რაც შეეხება სწავლას, იგი მაშინვე კარგავს ქცევის ცალკე სახეობის შინაარსს, როგორც კი მისი ბუნებიდან მოტივაციის ერთ-ერთი კომპონენტი ამოვარდება.

**PREPARING FUTURE TEACHER FOR WORKING IN THE CONTIDIONS OF THE POLI
CULTURAL CRIMEA**

Ludmila Redkina, Crimean University for the Humanities, Professor

SUMMARY

The paper attempts to highlight the main aspects of the training of future teachers to work in a multicultural space of Crimea. The possibility of using ethnopedagogical and national knowledge in working with students of humanities.

აღზრდის პრობლემები მიუსაფარ (ქუჩის) ბავშვებში

რუსუდან სანაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: rusosanadze@gmail.com

ელენე ფსუტური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
განათლების მეცნიერების მაგისტრი
E-mail: elenepsuturi@yahoo.com

საქართველოს უახლესმა წარსულმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტების გამო, ათასობით ადამიანი საკუთარ სამშობლოში დევნილი გახდა. შეიარაღებული დაპირისპირების, ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმების პირველი მსხვერპლი, ბუნებრივია, ბავშვები და მოზარდები არიან. შედეგად კი ვიღებთ თაობებს, რომელთა ცხოვრების წესი ქუჩაში მუშაობაა. მათ არ აქვთ ნორმალური აღზრდა-განათლება და ვერ იმკვიდრებენ თავს საზოგადოებაში. ისინი ხდებიან საზოგადოებისგან გარიყულნი და მთელი ცხოვრება ეჯაჭვებიან ქუჩას.

ქუჩის ბავშვები მთელ მსოფლიოში, უმეტესად, დიდ ქალაქებში ცხოვრობენ. კვლევები ადასტურებს, რომ ქუჩის მიუსაფარ ბავშვებს ახასიათებთ სხვადასხვა ტიპის დესტრუქციული ქცევა - მათხოვრობა, ქურდობა, გამოძალვა, ყაჩაღობა, პროსტიტუცია, მათი უმეტესობა ჩამოყალიბებული ტოქსიკომანია.

ასეთი ბავშვები არ არიან ჩართული სასწავლო პროცესში და აქვთ სერიოზული პედაგოგიური პრობლემები. UNICEF-ის 2004 წლის მონაცემებით, დაახლოებით 100 მილიონამდე მიუსაფარი ბავშვია მსოფლიოში და მათი რაოდენობა თანდათანობით იზრდება. იგულისხმება 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთათვისაც ქუჩა მთავარ საცხოვრებელ ადგილად არის ქცეული.

მსოფლიოში მრავალი ორგანიზაცია ზრუნავს ბავშვთა უფლებების დაცვაზე, მაგრამ „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელსაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს ერთხმად დაუჭირა მხარი, მსოფლიო მასშტაბის იურიდიული დოკუმენტია. კონვენცია, თავისი არსით, უნიკალური, ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების დაცვას. „ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია“ ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხელშეკრულებაა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, მას აღიარებს მსოფლიოს 192 ქვეყანა.

საქართველო 1994 წლის 21 აპრილს გახდა „გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის 1989 წლის კონვენციის“ წევრი სახელმწიფო. აღნიშნული კონვენციის საფუძველზე საქართველომ იკისრა ყველა იმ ვალდებულების აღსრულება, რომელსაც აკისრებს ბავშვთა კონვენცია და ყოველ 5 წელიწადში ერთხელ გაეროს ბავშვთა დაცვის კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული ვითარებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2003 წლიდან, საქართველოს მთავრობამ „ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმა“ და ქვეყნის კანონმდებლობის ბავშვთა დაცვის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა დაიწყო. ეს რეფორმა მზრუნველობამოკლებული და მიუსაფარი ბავშვებისათვის სოციალურ-მატერიალური დახმარების სისტემის დანერგვას და რეზიდენტული დაწესებულებების ალტერნატიული მზრუნველობის ფორმებით ჩანაცვლებას მოიცავდა.

დღეისათვის არსებობს რამდენიმე საინტერესო კვლევა, რომლებიც მიუსაფარი (ქუჩის) ბავშვების ყოფა-ცხოვრებას ეხება. კვლევები ძირითად აქცენტებს მიუსაფარი ბავშვების ცხოვრების წესზე, საქმიანობაზე, შრომასა და ქუჩაში ცხოვრების საფრთხეებზე აკეთებენ. მაგრამ, როგორც ჩვენთვისაც ცნობილი, არ არსებობს ცალკე კვლევა მიუსაფარი (ქუჩის) ბავშვების განათლების პრობლემებზე. სწორედ, პრობლემის **აქტუალობამ** გვიბიძგა საკვლევ თემად აგვეჩია „აღზრდის პრობლემები მიუსაფარ (ქუჩის) ბავშვებში“ და განათლების კუთხით გვეკვლია ეს საკითხი.

საქართველოს კონსტიტუციისა და „ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის“ თანახმად ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება. საქართველოში საბაზო განათლება სავალდებულოა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ყველა თავის მოქალაქეს აძლევს სავალდებულო საბაზო განათლებას უფასოდ, კანონით დადგენილი წესით. სამწუხაროდ, ოჯახების სიღარიბე და სამთავრობო სტრუქტურების გულგრილობა საქართველოში ქმნის მიუსაფარი (ქუჩის) ბავშვების ფენომენს. ქუჩის ბავშვები ღარიბი მოსახლეობის ყველაზე დაჩაგრული ნაწილია, რადგან უკიდურეს გაჭირვებასთან ერთად, მათ აკლიათ თავიანთი ასაკის შესაბამისი აღზრდა-განათლება. ისინი დაუცველნი არიან როგორც ცხოვრებისეული

სირთულეებისაგან, ასევე ქუჩაში გამეფებული უსამართლობისა და სისასტიკისგან. ყოველივე ამის შემდეგ ირღვევა მიუსაფარი ბავშვების ფიზიკური და გონებრივი განვითარების რიტმი. ქუჩაში ცხოვრება დაღს ასვამს მათ ფსიქიკას. ქუჩის ბავშვებს არ აქვთ თანატოლების მსგავსი განათლება და ცხოვრებისეული უნარები, ამიტომ ისინი პოტენციურად ვერ იქნებიან ქვეყნის ნორმალური მოქალაქეები და ძალიან გაუჭირდებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს აღზრდის პრობლემების კვლევა მიუსაფარ ბავშვებში და სახელმწიფო რეგულაციების განსაზღვრა მათ სავალდებულო განათლებასთან მიმართებით. კერძოდ, რას აკეთებს სახელმწიფო იმისათვის, რომ მიუსაფარმა ბავშვებმა მიიღონ სავალდებულო საბაზო განათლება.

ჩვენი კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დღეს არსებული იმ პრობლემის აღწერა, რომელშიც ქუჩის ბავშვები ცხოვრობენ და რომელიც ხელს უშლით სავალდებულო საბაზო განათლების მიღებაში. საკვლევი ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში - „საქართველოში, მიუსაფარი (ქუჩის) ბავშვები ვერ იღებენ სავალდებულო საბაზო განათლებას“.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ:

- ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე სავალდებულო სასკოლო ასაკის ბავშვები. კვლევის ადგილად შევარჩიეთ თბილისი, ვინაიდან ქუჩაში მომუშავე ბავშვების უმრავლესობა აქ იყრის თავს. სავალდებულო სასკოლო განათლების ჩატარების ადგილი მოიცავდა მეტროსადგურებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებს - ძირითადად მეტროსადგურებს „ვაგზლის მოედანი“, „დიდუბე“ და „რუსთაველის გამზირი“. რესპონდენტების იდენტიფიცირება ხდებოდა მათი ქვეყნის, საქმიანობისა და ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით.

- ასევე, იმ საგანმანათლებლო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები, სადაც სწავლობენ მიუსაფარი ბავშვები.

კვლევის მეთოდებად გამოყენებულ იქნა გასაუბრება და ჩაღრმავებული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდები.

კვლევის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი აღმოჩნდა. იგი, 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის მაისის ჩათვლით, 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

კვლევა რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა. კვლევის პირველ ეტაპზე:

- დაწვრილებით გავეცანით ინფორმაციას ქუჩის ბავშვების შესახებ, მათ ყოფასა და ცხოვრების წესზე;
- მოვიძიეთ მეორადი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა უბიძგებს ბავშვს ქუჩაში გასვლისკენ;
- გავეცანით სომხეთისა და აზერბაიჯანის მდგომარეობას ბავშვთა დაცვის და ბავშვთა სიღარიბის სფეროში, შევადარეთ იგი საქართველოს მდგომარეობას;
- გავარკვეეთ, თუ როგორია მიუსაფარი (ქუჩის) ბავშვების სამართლებრივი და სოციალური დაცვა, როგორია საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული პროგრამები და ქუჩის ბავშვების მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- მეორად ინფორმაციაზე დაყრდნობით გავიგეთ, როგორი დამოკიდებულებაა საქართველოში ქუჩის ბავშვების მიმართ, რამდენ კატეგორიად ყოფენ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს.

ბავშვების შესახებ ინფორმაციის მოგროვების მიზნით, **კვლევის მეორე ეტაპზე**, შევადგინეთ კითხვარი, რომელიც 2 დახურული და 28 ღია კითხვისაგან შედგებოდა. კითხვარი მოიცავდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც მიუსაფარი ბავშვების განათლებას და საქმიანობას შეეხებოდა. კვლევის ამ ეტაპის მიზანი ქუჩაში მომუშავე ბავშვების განათლების, სკოლის მიტოვებისა და ქუჩაში გამოსვლის მიზეზების შესახებ ინფორმაციის შეგროვება იყო.

კითხვარის ნიმუშმა აპრობირება თბილისის ქუჩებში გაიარა და მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

სავალდებულო განათლების დაწყების პირველივე დღიდან მივხვდით, რომ ასეთი კითხვარი მიუსაფარ ბავშვებთან არ იმუშავებდა. ისინი მხოლოდ ცნობისმოყვარეობის მიზნით თუ იღებდნენ კითხვარის ფურცლებს და რამდენიმე წამში უკან აბრუნებდნენ, ზოგიერთმა რესპონდენტმა კითხვაც კი არ იცოდა. რესპონდენტთა მოძიებაც საკმაოდ რთული პროცესი აღმოჩნდა. ამიტომ, გადაწყვიტეთ კითხვების რაოდენობა შეგვემცირებინა და გამოკითხვისათვის გასაუბრების სახე მიგვეცა. შესაბამისად, კვლევამ **თვისებრივი ხასიათი** მიიღო.

კვლევის მესამე ეტაპზე გასაუბრებისათვის შევარჩიეთ 7 წლიდან 14 წლამდე ასაკის ქუჩაში მომუშავე ბავშვები. სულ გამოკითხულ იქნა 28 რესპონდენტი. სავალდებულო განათლების ჩატარების ამ ეტაპზე კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო. ასევე მაღალი იყო არაზუსტი ინფორმაციის მოწოდების ალბათობაც. როგორც წესი, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები გასაუბრებისათვის ფულს ითხოვდნენ. ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოვიმუშავეთ საუბრის ასეთი ფორმა: მიუსაფარ ბავშვს ვთავაზობდით ფულს (10–20 თეთრი) და სანამ დაპირებულ გასამრჯელოს

გადავცემდით, ვუსვამდით წინასწარ შერჩეულ კითხვებს. საუბარი, ძირითადად, 3-5 წუთს გრძელდებოდა. საუბრის უეცრად შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით, უშუალოდ საუბრის მომენტში დიალოგის აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის გაკეთება ვერ ხერხდებოდა. საუბრის დასრულების შემდეგ ხდებოდა ინფორმაციის ჩანიშვნა. საუბრისას რესპონდენტები ხშირად იტყუებოდნენ, სარგებლის მიღების მიზნით არარეალურ ამბებსაც კი იგონებენ. ბავშვები საუბარს თავს არიდებდნენ, როცა სხვა ქუჩის მეგობრებთან ერთად იყვნენ და საერთო არ საუბრობდნენ თუ ზრდასრული ახლდათ. ხშირ შემთხვევაში გვიხდებოდა ერთი და იგივე რესპონდენტის რამდენიმეჯერ ნახვა, რაც თავის მხრივ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

კითხვები, რომლებსაც რესპონდენტებს ვუსვამდით, სპეციალურად მარტივი ლექსიკით იყო შედგენილი. ვცდილობდით კითხვათა დასმის თანმიმდევრობა ყველა რესპონდენტთან დაცული ყოფილიყო. სულ გამოკითხულ იქნა ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე 7-14 წლის ასაკის 28 ბავშვი. გამოკითხული ბავშვებიდან 4 გოგო იყო, ხოლო 24 - ბიჭი.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების **გამოკითხვის შედეგებიდან** აშკარად ჩანს, რომ ისინი მოკლებულნი არიან როგორც ოჯახის, ისე სახელმწიფოსგან მზრუნველობას. არ აქვთ ცხოვრების ნორმალური პირობები, გამოკითხვისას რამდენიმემ აღნიშნა, რომ სადაც დაულამდება იქვე იძინებს, არ იკვებება ნორმალური საკვებით. საუბრისას ბავშვები ამბობდნენ, რომ დღეში გამომუშავებული თანხის მიხედვით იკვებებიან. გარდა ამისა, ბავშვების უმრავლესობა საბაზო საფეხურის დასრულებამდე ტოვებს სკოლას და დარჩენილი ცხოვრება ქუჩაში მუშაობით ირჩენს თავს. მეორადი ინფორმაციის გაცნობისა და მიუსაფარი ბავშვების გამოკითხვის შედეგების ანალიზის შემდეგ, მივედი **დასკვნამდე - მიუსაფარი ბავშვების მიმართ არ სრულდება საქართველოს კონსტიტუციითა და ბავშვთა დაცვის კონვენციით მინიჭებული უფლება. მათ არ გააჩნიათ განათლების, ჯანდაცვისა და ჰარმონიული განვითარებისათვის საჭირო გარემო პირობები.**

ვინაიდან სკოლა წარმოადგენს ერთ-ერთ დამაკავშირებელ საჯარო სტრუქტურას საზოგადოებასა და მთავრობას შორის, **კვლევის შემდეგ ეტაპზე**, გამოკითხულ რესპონდენტთა დასახელებულ საჯარო სკოლების დირექტორებს მივმართეთ. შევარჩიეთ ქუჩაში მომუშავე ბავშვების მიერ დასახელებული ქალაქ თბილისის სამი სკოლა და შევადგინეთ დირექტორებთან ინტერვიუებისათვის კითხვათა ჩამონათვალი. ჩამონათვალი მოიცავდა კითხვებს როგორც მიუსაფარი ბავშვების მდგომარეობის, ისე სახელმწიფოს დამოკიდებულების შესახებ ასეთი მოწყვლადი ჯგუფის მიმართ. სკოლებში კარგად მიგვიღეს და თითოეულ დირექტორთან/დირექტორის მოადგილესთან საინტერესო საუბარი შედგა.

როგორც ბავშვების გამოკითხვის, ასევე დირექტორებთან საუბრის შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, მიუსაფარი ბავშვები ვერ იღებენ სავალდებულო საბაზო განათლებას. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ სკოლა თავისი რესურსებით ცდილობს დაიკავოს მიუსაფარი ბავშვები სკოლაში. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს დამრიგებლები თამაშობენ. ისინი აქტიურობენ, აკითხავენ ოჯახში და უხსნიან ოჯახის წევრებსა და ბავშვებს განათლების მნიშვნელობას. სამწუხაროდ, სახელმწიფოს როლი აქ მინიმალურია; თუ ბავშვმა დანაშაული არ ჩაიდინა, არცერთი საჯარო ორგანო არ ინტერესდება, რატომ არის სასკოლო ასაკის ბავშვი ქუჩაში საგაკვეთილო დროს. დირექტორებმა აღნიშნეს, რომ სკოლები მხოლოდ საკუთარი ინიციატივით ეხმარებიან მიუსაფარ ბავშვებს, სხვა რაიმე დახმარება, ან ინიციატივა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან არ მოდის, თუ არ ჩავთვლით სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისათვის უსასყიდლოდ გადაცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებს. ბავშვი, რომელიც დღეებს ქუჩაში ატარებს პურის ფულის საშოვნელად და სტრესს განიცდის, ძალიან დათრგუნული და ჩაკეტილია, ხშირად პედაგოგს უჭირს ასეთ ბავშვთან მუშაობა და საჭიროა ფსიქოლოგის ჩართვა. სკოლის, საზოგადოების დამოკიდებულება მიუსაფარი ბავშვების მიმართ თბილია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ინტერვიუებში სკოლის ხელმძღვანელები აცხადებდნენ, რომ საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ბავშვების დასახმარებლად.

ჩვენი **კვლევის შედეგებმა**, კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ მიუსაფარ ბავშვებს არ აქვთ აღზრდის ნორმალური პირობები, სახელმწიფო ვერ ასრულებს კანონით დადგენილ ვალდებულებებს, ბავშვების უმრავლესობა საბაზო საფეხურის დასრულებამდე ტოვებს სკოლას. ბავშვებთან საუბრისას დავადგინეთ, რომ ბავშვების ეს ჯგუფი სრულიად მოწყვეტილია დანარჩენ საზოგადოებას. ისინი არა განათლებისთვის, არამედ თავის გადასარჩენად იბრძვიან. სკოლის დირექტორებთან საუბარი დაგვხმარა ჩვენი კვლევის მთავარი ხაზის, ჰიპოთეზის დასაბუთებაში - **სახელმწიფო ვერ აძლევს მიუსაფარ ბავშვებს სავალდებულო საბაზო განათლებას.** კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლას არ გააჩნია არავითარი მექანიზმი ასეთი ბავშვების გაკვეთილზე დაკავებისა, არ არსებობს არავითარი საჯარო სტრუქტურა, რომელიც დაინტერესდება, რატომ არის სასკოლო ასაკის ბავშვი ქუჩაში და რატომ ასრულებს ასაკისათვის შეუფერებელ საქმიანობას. არც ოჯახი, არც მთავრობა არ ზრუნავს მათ

უსაფრთხოებასა და განათლებაზე. მით უფრო ძნელია მშვიერ ბავშვს ელაპარაკო განათლებასა და სხვა სულიერ ღირებულებებზე. მიუსაფარი ბავშვების ცხოვრების არსი ელემენტარული სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, **დასკვნის** სახით შეიძლება ითქვას, რომ, სამწუხაროდ, დღეს **საქართველოში მიუსაფარი ბავშვები ვერ იღებენ სავალდებულო საბაზო განათლებას . მიუსაფარი ბავშვები - ეს საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც დაივიწყა ოჯახმა, სახელმწიფომ და საზოგადოებამ. ისინი მოკლებულნი არიან საკუთარ უფლებას - ჰქონდეთ უსაფრთხო, ბედნიერი ბავშვობა და მიიღონ მათთვის კონსტიტუციით განსაზღვრული სავალდებულო განათლება.**

კვლევის ანალიზის შემდეგ საშუალება გვაქვს წარმოვადგინოთ რესპონდენტთა რეკომენდაციები და რჩევები მიუსაფარ ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს მიუსაფარ ბავშვთა საკითხებით დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის. კერძოდ, საჭიროა:

- სახელმწიფოს მიერ შეიქმნას ქუჩაში მომუშავე ბავშვების მონაცემთა ბაზა;
- ქუჩაში მომუშავე ბავშვთა რაოდენობის შემცირების მიზნით, ბავშვების ოჯახებისათვის მატერიალური და ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა სახელმწიფოს მხრიდან;
- შეიქმნას სპეციალურად ქუჩის ბავშვებისთვის განკუთვნილი სოციალური პროგრამები, რომლებიც დააკმაყოფილებენ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ მოთხოვნებს;
- ქუჩაში მომუშავე ბავშვებისა და მათი ოჯახების ინფორმირება არსებული სახელმწიფო მომსახურებების სარგებლობის შესახებ;
- შეიქმნას სახელმწიფო სამუშაო გუგუფი, რომელიც შეისწავლის ქუჩაში მცხოვრები ბავშვების განათლების საკითხებს და შექმნის ადაპტირებულ სასწავლო პროგრამებს, თვალყურს ადევნებს ქუჩაში მომუშავე ბავშვების გაკვეთილებზე დასწრებას;
- სახელმწიფომ დაუთმოს სათანადო ყურადღება ბავშვთა სიღარიბის შემცირების საკითხებს.

ჩვენი კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი აღნიშნული ჩამონათვალი მხოლოდ მცირედი ნაწილია ქუჩაში მომუშავე ბავშვების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა. მოხარული ვიქნებით მივიღოთ და გავითვალისწინოთ მიუსაფარი ბავშვების განათლების საკითხებით დაინტერესებულ პირთა შენიშვნები და დამატებები.

ლიტერატურა:

1. ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმა, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თბილისი 2010
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება 503 2011 წლის 29 დეკემბერი, ქ. თბილისი, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ
3. ჭკუასელი ქ. ჭკუასელი ი. „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები“ , „ინტელექტი“, თბილისი, 2012
4. <http://www.cyc-net.org/cyc-online/cycol-0904-Homelessness.html>
5. <http://www.unicef.org/georgia/>

PROBLEMS OF UPBRINGING IN HOMELESS (STREET) CHILDREN

Rusudan Sanadze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

Elene Psuturi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, MA degree in Educational Sciences

RESUME

Due to nowadays social problems hundreds of children in Georgia live and work at streets. Children are occupied by inappropriate for their age and development activities, which can be reason of huge problems in a future for children and for government. Their normal growth-education is a duty of the State.

The **purpose** of the topic is problems of education of homeless children and definition of state regulations on the process of obligatory education of them.

Topic describes all steps of quantitative research. **Target group** of research were homeless school age children and school administrative representatives where this children are studying. As **research methods** were chosen partially structured interview and dialogues.

As a conclusion at the end of the article authors provide research analyses, recommendations and suggestions which might be interesting for professional society.

პროფესიული განათლების როლი სტრუქტურული უმუშევრობის დაძლევაში

ლალი სრესელი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, უფროსი მასწავლებელი
E-mail: lalireseli@yahoo.com

უმუშევრობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი პრობლემაა. მიჩნეულია, რომ ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება იწვევს უმუშევრობის მაღალ დონეს. საქართველო, ისევე როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა ე.წ. სტრუქტურულ უმუშევრობას განიცდის. ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანი უმუშევრობაა, რომელიც გამოწვეულია მუშა-ხელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან, როდესაც არსებობს დიდი შეუსაბამობა დამსაქმებლების საჭიროებებსა და იმ უნარ-ჩვევებს შორის, რომლებსაც პოტენციური მუშა-ხელი სთავაზობს.

საქართველოს შრომის ბაზრის მთავარი პრობლემა კვალიფიკაციის დეფიციტია.

უმუშევრობის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორთა შორის მთავარია მკვეთრი დისბალანსი სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის. ქვეყანაში სამუშაო ადგილების სიმცირე განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სამუშაო ძალის რაოდენობრივი მიწოდება მნიშვნელოვნად აღემატება მასზე მოთხოვნას. ამასთან ერთად, დიდია სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსიც. 2010 წელს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კვლევის შედეგებით, დამსაქმებელთა 34%-ს პრობლემები აქვს მათთვის საჭირო პროფესიის კადრების მოძიებას და მოზიდვაში. პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ იკვეთება ცალკეული რეგიონების და ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით. ამის მიზეზად დამსაქმებლები ასახელებენ სასურველი კვალიფიკაციის კადრის მოძიების სირთულეს.

არსებითად იკვეთება პრობლემა, რომ ქვეყანაში ან არ მზადდება დამსაქმებლისათვის საჭირო გარკვეული პროფესიის კადრები, ან მომზადებული კადრების პროფესიული კვალიფიკაცია დამსაქმებლებისთვის არაადაამაკმაყოფილებელია.

სამუშაო ძალის მიწოდების პროფესიული სტრუქტურა და მოთხოვნასთან ხარისხობრივი შესაბამისობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემაზე. სამუშაო ძალის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნის ურთიერთმედარება შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს, თუ ქვეყნის პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემა რამდენად არის ორიენტირებული შრომის ბაზრის საჭიროებებზე.

საქართველოში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესასწავლად სისტემატური კვლევები, სამწუხაროდ, არ ტარდება, თუმცა ცალკეული კვლევები მაინც ნათლად წარმოაჩენს მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებულ სტრუქტურულ და ხარისხობრივ დისბალანსს. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესასწავლად 2007-2010 წლებში ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ მასობრივი უმუშევრობის პირობებშიც დამსაქმებელთა დიდ ნაწილს უჭირს საჭირო პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრის მოძიება.

მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით, საწარმოთა სიდიდის ზრდის პარალელურად, იზრდება იმ საწარმოთა წილი, რომლებსაც პრობლემები აქვთ გარკვეული პროფესიის კადრების მოზიდვისას. მაგალითად, საჭირო პროფესიის კადრების მოზიდვის პრობლემა სისტემატურად აწუხებს მცირე (20 კაცზე ნაკლები მომუშავეთ) ზომის საწარმოთა მხოლოდ 7%-ს. ეს მაჩვენებელი საშუალო სიდიდის საწარმოებისათვის (20-დან 100 კაცამდე) 12%-ია,

მსხვილი საწარმოებისათვის (100 კაცზე მეტი მომუშავეთ) კი 18%, აღნიშნული პრობლემა იშვიათად, მაგრამ მაინც აქვთ საშუალო ზომის საწარმოების 35%-ს და მსხვილი საწარმოების 40%-ს.

მომუშავეთა კატეგორიები, რომელთა მოძიებაც დამსაქმებლებისთვის პრობლემატურია, ასე ნაწილდება: მოსაძიებლად რთული კადრების საერთო რაოდენობის 54% კვალიფიციურ

მუშებს მიეკუთვნება, 31% - უმაღლესი განათლების სპეციალისტებზე მოდის, ხოლო არაკვალიფიციურ კადრებზე - 2%. დამსაქმებელთა 13%-სთვის პრობლემატურია, როგორც მუშათა კადრების, ისე უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მოზიდვა.

მიზეზები, რომელთა გამოც დამსაქმებლებისათვის რთულია საჭირო პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრების მოძიება, ობიექტური და სუბიექტური ხასიათისაა. ობიექტურ მიზეზებს მიეკუთვნება ის გრემოება, რომ მთელი რიგი პროფესიის კადრები რეგიონსა თუ ქვეყანაში არ მზადდება, სუბიექტურ მიზეზებს კი მიეკუთვნება გარემოებები, როცა პიროვნებებს არ სურთ კონკრეტულ რეგიონში, ან შემოთავაზებულ ხელფასზე მუშაობა.

ძირითადი მიზეზი, რის გამოც დამსაქმებლისთვის პრობლემატურია საჭირო კადრების მოძიება, არის ის, რომ ვერ მოუძებნიათ მათთვის სასურველი კვალიფიკაციის კადრი.

მთელი რიგი პროფესიის კადრები საქართველოს მასშტაბით კი მზადდება, მაგრამ სასწავლო დაწესებულებებისა და მოსამზადებელი პროფესიების ტერიტორიული განაწილებისას ნაკლებად არის გათვალისწინებული მოთხოვნის რეგიონული სპეციფიკა.

საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხდება ისეთი პროფესიების შესწავლა, რაზეც დღეის მდგომარეობით, ბაზარი ან გაჯერებულია, ან დამსაქმებელი ამ პროფესიის კადრს უყენებს უფრო გაზრდილ მოთხოვნებს განათლების ცენზისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების მიხედვით.

ბიზნესის კეთებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა ეფექტიანი გზაა დასაქმების დონის ასამაღლებლად. საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია: ფინანსების ხელმისაწვდომობა, ინფლაცია და არაადეკვატური განათლების მუშა-ხელი. ამიტომ საქართველოს მთავრობამ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უნდა სცადონ ამ შეზღუდვების აღმოფხვრა, რათა მეწარმეობა, დასაქმების წყარო, სწრაფად განვითარდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს განათლების სფეროზე. საჭიროა ისეთი შემდგომი რეფორმების გატარება განათლების სექტორში, როგორცაა განათლების სტანდარტების მოდერნიზაცია, დაწყებითი და საშუალო განათლების საყოველთაო უზრუნველყოფა, ორგანიზაციებისთვის დახმარების გაწევა მათი თანამშრომლების გადამზადებაში, რათა ისინი ახლანდელი ბაზრის მოთხოვნებს უკეთ შეესაბამებოდნენ და სხვა.

გორში მოქმედებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტაციისა და დასაქმების ცენტრი, რომლის საშუალებითაც 2011 წლის მონაცემებით 289 სამუშაოს მაძიებელმა გაიარა პროფესიული გადამზადების ტრენინგი და დასაქმდა 608 ადამიანი. აღნიშნული ცენტრი თანამშრომლობს ორგანიზაციებთან კომპანიებთან და სთავაზობს ბენეფიციარებს გადამზადებას, დასაქმების პერსპექტივებს სხვადასხვა სფეროებში. მათ მიერვე ტარდება: სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის, უნარ-ჩვევათა ტრენინგი, შრომის ბაზარზე საკუთარი შესაძლებლობების ობიექტური შეფასებისა და პოტენციური დამსაქმებლის წინაშე თვითწარმოჩენის უნარები.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემადგენლობა განათლების დონის მიხედვით არსებითად განსაზღვრავს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონეს. საქართველოს მოსახლეობის განათლების ცენზი საკმაოდ მაღალია და ეს აისახება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განათლების დონეშიც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საქართველოს სამუშაო ძალის 29%-ს უმაღლესი განათლება აქვს, 16,9% - საშუალო პროფესიული, 4,1%-ს დაწყებითი პროფესიული, 40,1% სრული საშუალო განათლებითაა, 7,4 % საბაზო განათლებით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის

მხოლოდ 2,0% არის დაწყებითი განათლებით და 0, 3% - განათლების გარეშე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამუშაო ძალის შემადგენლობაში მცირეა დაწყებითი პროფესიული (სახელობო) განათლების მქონე პირების წილი. ეს აისახება იმ ფაქტით რომ საქართველოში დაწყებითი პროფესიული განათლება არასოდეს არ იყო პრესტიჟული, 1990-ანი წლებიდან იგი სისტემატურ ნგრევას და დეგრადაციას განიცდიდა, რაც არსებითად განაპირობებს კვალიფიციური მუშახელის დეფიციტს და დისბალანსს ამ კვალიფიკაციის კადრებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

პროფესიულ განათლებას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირებაში, მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნას და მიწოდებას შორის ბალანსის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში.

პროფესიულ განათლებას პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლია უმუშევრობაზე, ინფლაციასა და მშპ-ზე კვალიფიციური კადრების მომზადებით, მეწარმეობის დაწყებისათვის, დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობით, როგორც არსებული, ასევე სამომავლო ტენდენციებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით.

განათლების ხარისხის გაუმჯობესება, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების, რეგიონის მოსახლეობის და იმ ჯგუფების შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და დასაქმება თვითდასაქმების პერსპექტივების გაზრდას, რომელთაც წარსულში ნაკლებად ჰქონდათ განათლების ანდა დასაქმების შესაძლებლობა.

პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირებისათვის განსაკუთრებით აქტიური საქმიანობა საქართველოში 2005 წლიდან დაიწყო. რეფორმის მიზანი იყო შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული ახალი პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თავსებადი იქნება საერთო ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან.

დღეს, პროფესიული განათლების სისტემის გამოწვევებს შორის არის პროფესიული განათლების არათანაბარი ხელმისაწვდომობა და სისტემის მოუქნელობა. დაბალია პროფესიულ განათლებაში

ჩართულობის მაჩვენებელი. 2010 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულთა წილი 15-22 ასაკობრივ ჯგუფში საშუალოდ 2,3%, ხოლო 15-65 ასაკის ჯგუფში - 0,4 %. პროფესიული განათლება ნაკლებად ხელმისაწვდომია სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის, როგორცაა დევნილები, ყოფილი პატიმრები, პრობაციონერები, ეროვნული უმცირესობები, ეკონომიკურად შეჭირვებულები და სხვ. სისტემა ნაკლებ მოქნილია იმ ზრდასრულთათვისაც, რომელთაც დროის მოკლე პერიოდში უნარების გაუმჯობესება სჭირდებათ.

რამდენად ობიექტურია დამსაქმებელთა ჩივილი იმის თაობაზე, რომ ვერ მოუძებნიათ საჭირო პროფესიის კადრი იმის გამო, რომ ისინი ქვეყანაში ან რეგიონში არ მზადდება? რა პროფესიის კადრის მომზადება ხდება თანამედროვე ეტაპზე საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში?

დღეს საქართველოში პროფესიული კადრების მოსამზადებლად 18 საჯარო და 78 კერძო პროფესიული კოლეჯი ფუნქციონირებს. პროფესიული სწავლების პროგრამებს ასევე ახორციელებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. საჯარო პროფესიული კოლეჯები განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. 2013 წელს პროფესიულ კოლეჯებში სტუდენტთა საერთო რაოდენობამ 12326 კაცი შეადგინა, მათი 40% თბილისის პროფესიულ კოლეჯებში სწავლობდა, 12% - აჭარაში, ამდენივე კახეთში, 9% - სამეგრელოში, 8% - იმერეთი, 8% - სამცხე-ჯავახეთში, 7% - ქვემო ქართლი, 2% გურია, 1% - რაჭა-ლეჩხუმი.

აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებებში მოსამზადებელი პროფესიების ნუსხა საკმაოდ ფართოა. რამდენად არის ეს ნუსხა ეროვნულ და რეგიონალურ შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული?

შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი 40 პროფესიის მიხედვით, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, დადგინდა, რომ პროფესიების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც ხდება

საჯარო (სახელმწიფო) პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებში კადრების მომზადება, არსებითად შეესაბამება პროფესიული განათლების კადრებზე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა არის პროფესიები, რომელთა დეფიციტიც შეინიშნება ბაზარზე და საქართველოს საჯარო პროფესიულ დაწესებულებებში არ ისწავლება. ასეთია; ზეინკალი, ქვის მარმარილოს დამამუშავებელი, კოსმეტოლოგი, ვიზაჟისტი, მეკაბელე, მრჩილავი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის უკან ბევრად მეტი იყო მოთხოვნად პროფესიათა ჩამონათვალი, რომელთა მომზადებაც სახელმწიფო პროფესიული სწავლების ცენტრებში არ ხდებოდა. უკანასკნელ წლებში საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ, საერთაშორისო და უცხოელ პარტნიორთა დახმარებით, გააძლიერა ძალისხმევა, რათა მოსამზადებელ პროფესიათა ნუსხა უფრო მიახლოებოდა შრომის ბაზრის საჭიროებებს, თუმცა პრობლემები კვლავ რჩება და ეს განსაკუთრებით აისახება ტერიტორიულ განაწილებისა და მომზადების ხარისხში.

მაგ. შიდა ქართლის მხარეში არ მზადდება ისეთი მოთხოვნადი სპეციალობის კადრები, როგორცაა მცხოვრები, მზარეული, მიმტანი, კონდიტერი, პარიკმახერი, ბარმენი, კოსმეტოლოგი, ვიზაჟისტი, მანიკიური პედიკურის სპეციალისტი, სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მექანიზატორი და მექანიკოსი, ტურ-ოპერატორი, ზოოტექნიკოსი, სანერგე მეურნეობის სპეციალისტი და სხვა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხდება ისეთი პროფესიების შესწავლა, რაზეც დღეის მდგომარეობით ბაზარი ან გაჯერებულია, ან დამსაქმებელი ამ პროფესიის კადრს უყენებს უფრო გაზრდილ მოთხოვნებს განათლების ცენტრისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების მიხედვით.

პროფესიული განათლების კადრების მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იქნას რეგიონში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სპეციფიკა. შიდა ქართლში ხიდისთავის პროფესიული კოლეჯი არის ერთადერთი პროფესიული სასწავლო დაწესებულება, სადაც შეისწავლება მელიორატორის პროფესია, მაშინ, როცა საქართველოს სხვა რეგიონებშიც ფიქსირდება ამ სპეციალისტებზე მოთხოვნა.

რძის გადამამუშავებლის კვალიფიკაციით მომზადებას უზრუნველყოფს ახალციხის პროფესიული კოლეჯი და გორის სასწავლო უნივერსიტეტი. სამუშაო ძალაზე მოთხოვნიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ სპეციალობის სწავლება სამეგრელოს, იმერეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებშიც დაიგეგმოს.

საქართველოს არც ერთ საჯარო პროფესიულ კოლეჯში არ შეისწავლება მეზოცვრის და სოკოს მომყვანის პროფესია, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის ეს მიმართულება საქართველოში საკმაოდ ინტენსიურად ვითარდება და ამ სპეციალობაზე დიდი მოთხოვნაა.

2010 წელს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა საკმაოდ ფართო სპექტრი იმ საკითხებისა, რაშიც ფერმერებს ჭირდებათ სწავლება ან კვალიფიკაციის ამაღლება, ამიტომ აგრარული მიმართულების პროფესიებით სწავლების დაგეგმვისას სასურველი იქნება შედარებით ხანმოკლე სასწავლო კურსების ორგანიზება ადგილობრივი

მოსახლეობისათვის, მათ საჭიროებებზე მორგებული სპეციალურად შემუშავებული სასწავლო მოდულების მიხედვით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტექნოლოგიური პროგრესის გამო სწრაფ ცვლილებებთან ერთად იზრდება ახლებური და მრავალფეროვანი უნარ-ჩვევების და ცოდნის მუშაკებზე მოთხოვნა. დღეს ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანები არა მარტო სამსახურს, პროფესიასაც იცვლიან, რათა შრომის ბაზრის მოთხოვნები დააკმაყოფილონ.

აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს მეწარმეებისა და განათლების სისტემის ინტეგრაცია. სასწავლო პროგრამები მეწარმეებზე მიმართული უნდა იყოს. სამუშაოს მსურველს ხშირად ის ცოდნა და უნარები არ აქვს, რაც მეწარმეს სჭირდება. ცოდნა, პროფესიული უნარ-ჩვევები, განათლება გავლენას ახდენს მოთხოვნასა და მიწოდებაზე შრომის ბაზრებზე. მუშაკები აფართოებენ ინვესტირებას იმგვარ უნარ-ჩვევებზე განათლებაში და გამოცდილებაში, რომლებიც შრომის ბაზარზე სულ უფრო მეტად ფასობს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებაში N 199. 2013. 2 აგვისტო) -- საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2012-2014 წლების სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების სისტემის განვითარების ხელშეწყობ ღონისძიებების შემუშავება-გატარებას შესაბამისი სამინისტროების მხრიდან. „სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი მწარმოებლურობის ზრდისთვის აუცილებელი წინაპირობაა შესაბამისი პროფესიული კომპეტენციების ფლობა, პროფესიული მომზადების ის ხარისხი, რომელიც შეესაბამება შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და აკადემიური სწავლების (მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება) სისტემის განვითარების მხარდაჭერას“ - ნათქვამია საქართველოს მთავრობის დადგენილებაში - საქართველოს შრომის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის შესახებ.

ამ დადგენილების მიხედვით შემუშავდება და განხორციელდება „უმუშევართა პროფესიული სწავლების სახელმწიფო პროგრამა“, რომლის ფარგლებში, შრომის ადგილობრივი ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად, მოხდება უმუშევრობის პროფესიული მომზადება -გადამზადება მათი შემდგომი დასაქმებისათვის. 2013-2014 წლებში პროფესიულ სწავლებას გაივლის დაახლოებით 10 000 უმუშევარი, აქედან 2013 წელს - 3000, ხოლო 2014 წელს 7000 უმუშევარი; მათგან სწავლის დასრულებიდან უახლოეს 6 თვის განმავლობაში დასაქმდება დაახლოებით 40%.

მომზადდება და განხორციელდება პილოტური პროექტები ე.წ. „დეპრესიული რეგიონების“ ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მხარდაჭერის მიზნით.

შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევების დასაძლევად აუცილებელია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიანი ეროვნული ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და მომავალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის უმაღლესი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბაზრისათვის. მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმების და თვითდასაქმებისათვის, კარიერის განვითარებისა და მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

პროფესიული ტექნიკური სასწავლებლების მაღალ დონეზე აღორძინება მნიშვნელოვნად განავითარებდა შრომის ბაზარს. დასაქმების პროგრამების ფარგლებში კი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირთა გადამზადების ისეთი მექანიზმი, რომელიც მათ გრძელვადიანი დასაქმების საშუალებას მისცემს. აუცილებელია სწორად შეირჩეს სპეციალობები, რათა კურსდამთავრებულები ფლობდნენ ბაზრის მოთხოვნის ადეკვატურ ხელობასა და უნარებს.

ლიტერატურა:

1. ნ. ჭითანავა, ლ. თაკალანძე, სოციალური ეკონომიკა. ფორმირება და განვითარება, 1 ნაწილი თბ., 2008.
2. საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი, 2010 წლის ივნის-ივლისში ჩატარებული კვლევის ანგარიში, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო.
3. სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა, 2011 წელს ჩატარებული კვლევის ანგარიში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, თბ., 2012.
4. შრომის ბაზარი საქართველოში, 2009, სტატისტიკური პუბლიკაცია.
5. საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება, 2011 წლის თებერვალ-ივნისში ჩატარებული კვლევის ანგარიში, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, თბ., 2011.

6. საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია, 2013-2014 წლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013.
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება N199 – 2013 წ. 2 აგვისტო, საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია.

ინტერნეტ-რესურსები:

1. www.mes.gov.ge
2. www.jcp.ge
3. www.economist.com
4. www.iom.ge

THE IMPORTANCE OF VOCATIONAL TRAINING FOR THE ELIMINATION OF STRUCTURAL UNEMPLOYMENT

**Lali Sreseli, Gori State Teaching University, Senior Teacher
RESUME**

Unemployment is an extremely acute social-economical problem for Georgia today and it is considered to be the main challenge of the country. In order to lower the unemployment and support employment together with the general economical policy it is necessary to create all eligible conditions for operating the labor market effectively. The majority of employers have difficulties with searching properly trained workers.

The existence of structural and quality disbalance between the requirement and transmission of labor power is a clearly distinguished factor at the Georgian labor market. The professional structure of transmitting labor power and its quality corresponding to the market requirements depends on the current educational and vocational training system in the country. The using of comparison method between the transmission and requirements of labor power gives us the opportunity to evaluate the corresponding reference level of the country's vocational and high educational system to the requirements of the market.

The essay is about the importance of vocational training system and transmission of qualified trained workers to the labor market, as well as about the evaluation of the country's vocational training system and its corresponding reference to the requirements of the labor market.

Vocational training practice can contribute to the country's social-economical development, decreasing unemployment and poverty level, maintaining and enforcing the existing balance between the requirement and transmission of highly qualified trained workers. Vocational Training can influence the unemployment, inflation, gross-domestic production, the qualification level of workers, industrial establishments, employment and self-employment by supporting the development of many necessary skills, taking into account both the current and future tendencies and technologies.

The intentional improvement of the quality of education, especially the vocational training, will support the improvement of chances and employment, the growth of self-employment perspectives among the young people, regional population and those groups, which had less opportunities of receiving education and training or employment in the past.

Nowadays the main challenges of vocational training are the inflexibility of the system and inequality in the access to it. The vocational training involvement rate is also quite low. Vocational training is less affordable for many different social groups. The system is less flexible for those grown-ups too, who need to improve their skills in a short period of time.

In order to overcome the current challenges, it is necessary to establish a national network of vocational training institutions, which will ensure the present and future economically active population to get high competencies, preparing competitive trained workers both for the local and international labor markets.

It is highly desirable to integrate the industrial and educational systems. The educational programs should be directed for the industrial workers. It is extremely important to develop a vocational training system, which will be focused on the requirements of the labor market.

უცხოენოვანი წიგნების კითხვა ელექტრონული ფორმით - პრიორიტეტები და ნაკლოვანებები

ინგა ტყემალაძე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

მანანა ღარიბაშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ნატო მუჩიაშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„კითხვა არის ერთადერთი გზა, რამდენჯერმე იცხოვრო“ - პიერ დუმაიეტი

უახლესი ტექნოლოგიების მოზღვავეების მიუხედავად, კითხვა ყოველთვის იყო და რჩება ინფორმაციის მიღების უმნიშვნელოვანეს წყაროდ, უცხო ენის/ენების შესწავლის რთულ პროცესში კი მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. კითხვა არის საუკეთესო გზა სწავლის, გონებრივი განვითარებისა და ზეპირი მეტყველების ჩვევის განვითარებისთვის. სწორედ კითხვის საშუალებით მნიშვნელოვნად ვითარდება შემეცნებითი ფუნქციები. კითხვას ნებისმიერ ასაკში აქვს სარგებელი.

ისეთ სამეტყველო კომპეტენციებს, როგორებიცაა: კითხვა, წერა, მოსმენა და ლაპარაკი, უდიდესი მნიშვნელობა, როლი და დანიშნულება აქვს უცხო ენის/ენების შესწავლის დროს.

კვლევაც სწორედ ამ ოთხი კომპეტენციიდან ერთ-ერთს, კერძოდ კითხვას ეხება. ჩვენ განვიხილავთ ზოგადად კითხვას და მის როლს უცხო ენის/ენების შესწავლის რთულ პროცესში და აქცენტებს გავაკეთებთ კითხვის თანამედროვე ფორმაზე, ანუ **ელექტრონული ფორმით წიგნების კითხვაზე, კერძოდ, თუ რით არის პრიორიტეტული და რა ხარვეზები ახასიათებს ამგვარი სახის კითხვას უცხო ენის/ენების შესწავლის პროცესში.**

ბოლო წლებში ტექნიკურმა პროგრესმა - ბექდური მასალის (კერძოდ კი წიგნების) კითხვა საგრძნობლად „დაჩრდილა“. უახლესი ტექნოლოგიების წყალობით დღეს ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია კომპიუტერის საშუალებით მიაკვლიოს მსოფლიოს ნებისმიერ ენასა თუ კულტურასთან დაკავშირებულ უამრავ ინფორმაციას. საათობით წიგნებში ინფორმაციის მოძიებასთან შედარებით (ან წიგნებში ქექვასთან შედარებით), ელექტრონული ფოსტის, თუ სხვადასხვა სოციალური ქსელის მეშვეობით საჭირო ინფორმაციის მოძიება პრაქტიკულად უფასო, ხელსაყრელი და, რაც მთავარია, უსწრაფესი გახდა.

იმ დამკვიდრებულ მეთოდებს შორის, რომლებიც ფრანგული და ინგლისური ენების, როგორც უცხო ენების შესწავლის დროს გამოიყენება, კითხვა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემეცნებით საშუალებას, რომელიც ამარტივებს ტექსტის აღქმას და ინტერპრეტაციას ორმაგი მიდგომებით: **სინტაგმატური ანუ სინთეზური და პარადიგმატული ანუ ანალიზური.** ცხადია, კითხვის ეს ტიპები, პირველ რიგში, აკმაყოფილებს მკითხველის დიდ ინტერესს, ხოლო შემდეგ კი შინაარსობრივად სიღრმისეულ შრეებს ეხება და ადამიანის პიროვნულ განვითარებაშიც უდიდეს როლს თამაშობს.

თვალს თუ გადავაგვლებთ უცხო ენების სწავლების ისტორიას, დავინახავთ, რომ სხვადასხვა დროს უცხო ენის/ ენების შესწავლას განსხვავებული მიზანი ჰქონდა ამა თუ იმ ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად და, რასაკვირველია, სამეტყველო კომპეტენციების როლიც მათთან თანხვედრაში უნდა ყოფილიყო. მაგ., **ანტიკურ ეპოქაში** უცხო ენისა და იმავდროულად უცხო კულტურის შესწავლა ხშირად სამიზნე ქვეყანაში ხდებოდა. იმ ეპოქის ადამიანებს ესმოდათ, რომ ენა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლის საშუალება როდია; მისი მეშვეობით ადამიანები შეიცნობენ სამყაროს. ენა ერთი თაობის მიერ დაგროვილი ინფორმაციისა და კულტურული ღირებულებების მეორისთვის გადაცემის საშუალებაა. **შუა საუკუნეების** ევროპაში, ჯვაროსნული ომებისა და სხვა ინტერკულტურული მოვლენების წყალობით, ადამიანებმა საკმაოდ ბევრი ენა იცოდნენ. იმ პერიოდში წიგნიერების საზომად და ინტელექტუალური ინფორმაციის გადაცემის საშუალებად ლათინური ენა მიიჩნეოდა, რომელსაც ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლაში ასწავლიდნენ მოსწავლე-შეგირდებს. **XVII-XVIII** საუკუნეებში კი ევროპელ წარჩინებულთა ოჯახებში ძალზე პოპულარული იყო გუვერნანტის (ადმზრდელის) ინსტიტუტი. გუვერნანტები ბავშვებს სიყრმიდანვე ასწავლიდნენ იმხანად პოპულარულ ფრანგულ ან რომელიმე სხვა ენას. უცხო ენასა და კულტურასთან ზიარება განათლებული ადამიანის პრივილეგიად ითვლებოდა, ისევე როგორც უცხო ქვეყანაში მოგზაურობა და ცხოვრება - ფუფუნების აუცილებელ ნიშნად. **მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე** უცხო ენების ცოდნა შეძლებულთა პრივილეგიად რჩებოდა, თუმცა, **მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან** მოყოლებული, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი აღმავლობის ჟამს, მათი შესწავლა უფრო და უფრო აქტუალური გახდა მთელ მსოფლიოში. ეკონომიკურმა და

კულტურულმა წინსვლამ და მასთან ერთად გლობალიზაციის მომძლავრებამ უცხო ენის/ენების სწავლება ცივილიზებული სამყაროს საგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტად აქცია. თანამედროვე ევროპული საზოგადოების მთავარი მახასიათებელი კი ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნებაა. ევროპა დიდი ხანია იქცა ხალხების, ენებისა და კულტურათა ურთიერთობის კერად. თანამედროვე ევროპელისთვის მნიშვნელოვანია სხვა კულტურისა და ენის მატარებელ ადამიანებთან კომუნიკაციის უნარი.

უცხო ენების კონკრეტული სოციალური კონტექსტისა და ვითარების მიხედვით გამოყენებისა და ვარიანტების უნარს ევროპაში კონკრეტული დეფინიციები მოუძებნეს: ევროსაბჭოს ლინგვისტური პოლიტიკის დეპარტამენტის დასკვნით, ენობრივი მრავალსახეობა ორ განსხვავებულ ფენომენს - **მულტილინგვიზმსა და პლურილინგვიზმს** - მოიცავს; **მულტილინგვიზმი** გეოგრაფიულ ფენომენად მოიაზრება - მოვლენად, როდესაც ერთ გეოგრაფიულ ზონაში ერთზე მეტი სალაპარაკო ენა ან დიალექტი ფუნქციონირებს, **პლურილინგვიზმი** კი ისეთ მოვლენას ეწოდება, როდესაც ადამიანები მშობლიურთან ერთად ერთ ან მეტ უცხო ენასაც ფლობენ. პლურილინგვიზმი სოციალურ მახასიათებლად მიიჩნევა. ის საფუძვლად უდევს უცხო ენების სწავლების არაერთი ქვეყნის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და კურიკულუმს. ის სასწავლო გეგმაში ენობრივთან ერთად კულტურული მრავალფეროვნების ინტეგრაციასაც ითვალისწინებს. (მოძიებულია <http://mastsavlebeli.ge/?action=news&nid=235>, 20.09.2013)

უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ენის/ენების შესწავლისას კითხვა საკმაოდ რთული გონებრივი პროცესია. იგი არეგულირებს კომუნიკაციურ ამოცანებს, რომელთა გადაჭრა უწევს მკითხველს თავის ყოველდღიურ თუ პროფესიულ საქმიანობაში. მიზანი შესაძლოა სხვადასხვა იყოს: მიღებული ინფორმაციის სხვისთვის გაზიარება, საუბრისას, სიტყვით გამოსვლისას, მესიჯის წერისას გამოყენება და ა.შ. საკომუნიკაციო ამოცანები არეგულირებს კითხვის პროცესს, აკონტროლებს აზრთა მდინარებას კითხვის დროს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში გაზეთს, ჟურნალსა თუ წიგნს კონკრეტული მიზნით ვკითხულობთ: ცოდნის მისაღებად, მეგობრებსა თუ კოლეგებთან საუბრისას კომპეტენტური ავტორების აზრის მოსაშველიებლად, მოხსენებით გამოსვლისთვის, ამა თუ იმ საკითხის შესახებ სტატიის დასაწერად, გასართობად. თუ კითხვისას კონკრეტული მიზანი არ გვაქვს, კითხვის პროცესი აზრს კარგავს. ამ შემთხვევაში წაკითხულის გაგება გვიჭირს.

კითხვის ტიპები და სახეობები:

რას ვკითხულობთ?	რა მიზნით?	როგორ? (კითხვის ტიპები)
გაზეთები, ჟურნალები	ზოგადი ინფორმაციის გასაცნობად.	მიმოხილვითი კითხვა: შინაარსის ზოგადი, ზედაპირული გაგება.
წერილები	ურთიერთობა, კონტაქტის დამყარება, პასუხი.	მიმოხილვითი კითხვა შინაარსის ზოგადი, ზედაპირული გაგება.
რეცეპტი, მენიუ, ინსტრუქცია განცხადება, აფიშა, რეკლამა სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, სამეცნიერო ნაშრომები, მხატვრული ლიტერატურა	პირობის (მოქმედების) სწორად შესრულება. აქტივობათა დაგეგმვა, მოცემული ინფორმაციის გამოყენება, ესთეტიკური სიამოვნებისთვის კითხვა, ცოდნის გაღრმავება, წყაროდ გამოყენება.	გაცნობითი კითხვა - შინაარსის სრულად გაგება. სელექციური (არჩევითი) კითხვა - საჭირო ინფორმაციის პოვნა, ციტატები. დეტალური კითხვა - ზემოწინააღმდეგარსით სრული, დეტალური კითხვა.

(მოძიებულია http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=300, 18.09.2013)

უნდა აღინიშნოს, რომ კითხვას აქვს უფრო მეტი პრიორიტეტი, ვიდრე ინფორმაციის მიღების მიზნით ტელევიზორთან თუ კომპიუტერთან გატარებულ საათებს. ეს პრიორიტეტები შემდეგია:

1. კითხვას შეუძლია განავითაროს შემოქმედებით აზროვნება. იყო შემოქმედი, ეს ნიშნავს პირად, ასევე პროფესიულ ცხოვრებაში თავს გრძნობდე ბედნიერად. ცალკეული ადამიანები ხდებიან წარმატებული მეწარმეები ან წარმატებული მწერლები იმიტომ, რომ მათ შეძლეს შემოქმედებითი აზროვნების კომპეტენციების განვითარება.
2. უცხოური ენის/ენების შესწავლის პროცესში კითხვას, როგორც სამეტყველო აქტივობის ერთ-ერთ საშუალებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სწორედ კითხვის საშუალებით შეუძლია ენის/ენების შემსწავლელს გაამდიდროს საკუთარი ლექსიკა. ახალი მხატვრული რომანის თუ ფანტასტიკის ჟანრის წიგნების კითხვის დროს ყოველთვის ვხვდებით რამდენიმე ახალ სიტყვას. რაც ძალიან ხელსაყრელია ლექსიკური მარაგის ახალი სიტყვებით გამდიდრებისთვის.

3. კითხვა, შესაძლებელია ასეც ითქვას, არის გაჯანსაღების ერთ-ერთი მთავარი წყარო. კითხვა ახდენს მთელი ჩვენი არსების რელაქსაციას, ადუნებს ჩვენს გრძნობებს და საშუალებას გვაძლევს ვიმუშაოთ უფრო სწრაფად და ნაყოფიერად.

4. კითხვა ხელს უწყობს ადამიანის პიროვნულ განვითარებას. როდესაც ჩვენ ვკითხულობთ ბიოგრაფიული ნაწარმოებებს ან ლეგენდარული პიროვნებების შესახებ, ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ჩვენზე. უფრო მეტიც, კითხვა აფართოვებს ჩვენი ცნობიერების სფეროს (მითუმეტეს უცხო ენაზე/ენებზე), რაც აგრეთვე რეალურად ხელს უწყობს საკუთარი თავის პატივისცემასაც.

5. კითხვას შეუძლია განამტკიცოს თავისი ძალაუფლება/ძალაუფლება ენაზე. ჩვენს მიერ კონკრეტული ენის ცოდნა ძლიერდება კითხვის დახმარებით, განსაკუთრებით რომანისა თუ ფანტასტიკის ჟანრის წიგნების კითხვით.

მიუხედავად იმისა, რომ ეპოქების შესაბამისად იცვლებოდა უცხო ენების შესწავლის მიზნები თუ საშუალებები, იხვეწებოდა სწავლების მეთოდები, მიდგომები, კითხვა, როგორც ერთ-ერთი სამეტყველო აქტივობა ყოველთვის მნიშვნელოვან კომპონენტად რჩებოდა სწავლის პროცესში.

კითხვას არც ამჟამად დაუკარგავს თავისი დანიშნულება უცხო ენების შესწავლის რთულ პროცესში, თუმცა შეიცვალა კითხვის ფორმა. საუბარია ელექტრონულ კითხვაზე. კითხვის ამ თანამედროვე სახეს - ელექტრონულ კითხვას გააჩნია ბევრი უპირატესობა უცხო ენის/ენების შემსწავლელთათვის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ჩვენგანს უყვარს წიგნის ხელში დაჭერა და ისე წაკითხვა, ელექტრონულ წიგნებს აქვთ ისეთი უპირატესობები, რომლებიც ქაღალდზე დაბეჭდილ წიგნებს უბრალოდ არ გააჩნიათ. ყველაზე დიდი უპირატესობა, რაც ელექტრონული კითხვისთვის შექმნილ ტექნიკას (აპარატურას) გააჩნია, ეს არის შესაძლებლობა მოერგოს **სწავლის სამ ძირითად სტილს ანუ ენის/ენების შემსწავლელებს ვიზუალურად, მოსმენით და კინესთეტიკურად** შეუძლიათ ამ აპარატურის გამოიყენება. (მოძიებულია http://vr2.fr/les_newsletters/public/2011/mai/les_bienfaits_de_la_lecture.php, 17.09.2013)

ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნების კითხვა მხოლოდ უცხო ენის/ენების ვიზუალურად შემსწავლელთათვის არის პრაქტიკული. მაშინ, როდესაც, ელექტრონული წიგნების მკითხველს, ამ წიგნების თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობების საშუალებით შეუძლიათ მათთვის საჭირო ტექსტების არა მარტო წაკითხვა, არამედ ამ ტექსტების მოსმენა და ვიდეოსა თუ ტექსტური ანიმაციების გამოყენება. ამ მხრივ კითხვის პროცესში უცხო ენის/ენების შემსწავლელები უფრო აქტიურები არიან და სწავლის პროცესიც ინტერაქტიულია. ენის შემსწავლელებს აგრეთვე აქვთ შესაძლებლობა ხაზი გაუსვან ამა თუ იმ სიტყვებს, ფრაზებს ან თუნდაც მთელ წიგნს ან წაკითხონ ეს წიგნი ხმამაღლა. აუდიო და ვიდეო ტექსტები უცხო ენის/ენების მოსმენით შემსწავლელთათვის არის პრიორიტეტული.

ელექტრონული წიგნების კითხვას აქვს შემდეგი პრიორიტეტები:

1. საკითხავი ტექსტების აუდიო თუ ვიდეო ვერსიები (განსხვავებით ბეჭდური ვერსიებისგან) მნიშვნელოვნად ამძლავებს და აუმჯობესებს შესასწავლი ენის ფონეტიკურ მხარეს;
2. ტექსტიდან სიტყვების სინთეზირებული ჟღერადობა - ხელსაყრელია უცხო ენის/ენების მოსმენით (აუდირებით) შემსწავლელთათვის, რომელთაც შეუძლიათ ცვალონ კითხვის ტემპი წარმოთქმის მოსმენის საშუალებით;
3. აუდიო, ვიდეო და ინტერაქტიური ანიმაციების გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია მათი მესამე განზომილებაში ყურება;
4. შესაძლებელია წიგნის შრიფტის ცვლილება; გადიდება ან დაპატარავება სურვილის მიხედვით;
5. ელექტრონული წიგნების კითხვის დროს არ ჩანს წიგნის ყდა და ვერავინ მიხვდება, რომ ვკითხულობთ, უფრო მეტიც, თუ რა წიგნს ვკითხულობთ;
6. ელექტრონული წიგნების კითხვის პროცესში „ჩამონტაჟებული“ ლექსიკონი გვაქვს - ანუ კითხვის პროცესის შეუჩერებლად სწრაფად შეგვიძლია საჭირო განმარტებების მოძებნა;
7. ძიების შესაძლებლობა (სწრაფად შეგვიძლია შინაარსის მოძებნა, ისე, რომ არ ვფურცლოთ წიგნის გვერდები);
8. შეგვიძლია ხაზი გავუსვათ, მოვნიშნოთ ან ტექსტის ანოტაცია გავაკეთოთ;
9. ელექტრონული წიგნების გადმოწერა რამდენიმე წუთშია შესაძლებელი ნებისმიერ დროს, ნებისმიერ დღეს (24/7);
10. მილიონობით წიგნი უფასოდ არის ხელმისაწვდომი (მათ შორის კლასიკოსებიც);
11. პორტაბელურობა - ელექტრონული წიგნების წამკითხველ აპარატურაზე შეგვიძლია ასობით წიგნის ჩაწერა;
12. ელექტრონული წიგნების კითხვისას შეგვიძლია ნაკლები შუქის მოხმარება ან სრულ სიბნელეში კითხვა წიგნების წამკითხველ აპარატურის ტიპის მიხედვით;
13. ძალზედ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ელექტრონული წიგნები უფრო „ეკოლოგიურია“ (ნაკლები რაოდენობის ხეები მოიჭრება წიგნების დასაბეჭდად).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრიორიტეტი, რასაკვირველია, უცხო ენის/ენების შესწავლის საკმაოდ რთულ პროცესს უფრო საინტერესოს და სახალისოს ხდის.

რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ელექტრონული ფორმით წიგნების კითხვას მარტო პრიორიტეტები გააჩნია. ახლა განვიხილოთ ის ნაკლოვანებები, რაც ამგვარი ფორმით კითხვას ახასიათებს.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის თაობაზე ასეთ განმარტებას ვერ დავეთანხმებით, რადგან მასში ბევრი რამ ბუნდოვნად არის წარმოდგენილი და ზოგიერთი პუნქტი ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია.

ასე, მაგალითად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მეორე და მესამე საფეხურზე არის თუ არა აუცილებელი იმ ფიზიკური მომზადებისა და უნარ-ჩვევების შექმნა, რაც ზემოთ დაწყებითი საფეხურისათვის არის მითითებული, ასევე არასრულყოფილად არის წარმოდგენილი მოცემული საფეხურისათვის და შემდგომ საფეხურებზე ის საერთოდ უგულვებელყოფილია.

რაც შეეხება სპორტის რომელიმე სახეობას, აქ სპორტის გაკვეთილებზე პროფესიული სპორტის განვითარება კი არ წარმოადგენს უმთავრეს მიზანს, არამედ აქცენტი კეთდება მოცემულ სპორტის სახეობაში ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფისათვის სპეციალური ფიზიკური მომზადებისა და შესაძლებლობების განვითარებაზე.

პირველ რიგში ამ უკანასკნელის გარეშე წარმოდგენილია პროფესიული სპორტი. მეორე - სპორტის ნებისმიერ სახეობაში ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფის მიღწევა სკოლაში ძნელი წარმოსადგენია 45-წუთიან გაკვეთილზე.

რაც შეეხება კონკრეტული სპორტის სახეობისათვის საჭირო ფიზიკურ მომზადებისა და შესაძლებლობების განვითარებას, იგი პროფესიულ სპორტისათვის მოზარდების მომზადების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

დღეისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკითხი სპორტის გაკვეთილის ჩატარების ორგანიზაციული მხარე, რომელსაც სპორტის მასწავლებელი ხელმძღვანელობს. აქ აუცილებლად ისმის კითხვა, როგორ არის მზად პედაგოგი ჩაატაროს მეცადინეობა ახალი პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად. პასუხი არის ერთადერთი. რა თქმა უნდა, არ არის მზად, რადგან არ ჩატარებულა პროგრამის მიხედვით პედაგოგთა გადამზადება, რაც აუცილებელი პირობაა გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარებისათვის.

თვით პროგრამის მოთხოვნაც არ მიგვაჩნია სრულყოფილად, რომლის მიხედვითაც სკოლაში სპორტის გაკვეთილების მიზანი მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლეთა სასკოლო სპორტის საშეჯიბრო პროცესში ჩაბმის ინიციატივის გაღვივებაა.

არაფერია ნათქვამი ქალაქის, რაიონის და რესპუბლიკის მასშტაბით ჩასატარებელ შეჯიბრებებზე მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ.

მიგვაჩნია, რომ სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების განსაზღვრის მიზნით შემოღებულ იქნეს სანორმატივო მოთხოვნები მძლეოსნობაში, ტანვარჯიშსა და ცურვაში. სპორტის გაკვეთილების

მიზანდასახულად ჩატარებისათვის აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული პედაგოგ კლასიკოსთა (კომენსკის, რუსოს, პესტალოცის, ჰერბრატის, უშინსკის და გოგებაშვილის) შეხედულებანი მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაზე, რომლის მიზანს სრულყოფილი პიროვნების, აქტიური მოქალაქის, შრომისუნარიანი სამშობლოს დამცველის აღზრდა წარმოადგენს.

დასახელებული მიზნის მისაღწევად სკოლაში სპორტის გაკვეთილების ჩატარების პროცესში უნდა გადაწყდეს შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცება და შრომისუნარიანობის ამაღლება;
2. მოსწავლეთა მორალურ-ნებელობითი თვისებების აღზრდა.

დასახელებული ამოცანების გადაჭრა პრაქტიკულად შეუძლებელია კვირაში ორი 45-წუთიანი გაკვეთილის ჩატარების პროცესში. ჩვენი აზრით, სკოლაში უნდა გაიზარდოს გაკვეთილების რაოდენობა კვირაში ოთხ მეცადინეობამდე და ამასთანავე, მეცადინეობისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით, საჭირო იქნება გადაიხედოს სპორტის გაკვეთილის ჩატარების სტრუქტურა, რომლის დროსაც კარგი იქნება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სპორტის გაკვეთილების ჩატარების თანამედროვე პრაქტიკის გადმოღება.

ამ ქვეყნების სკოლებში სპორტის გაკვეთილებზე მეტი დრო ეთმობა სპორტული თამაშებისა და ცურვის სწავლებას. შემდეგ კი, სათანადო ფიზიკური მომზადების დონის მიღწევის შემდეგ, მოსწავლე ირჩევს რომელიმე მისთვის საინტერესო სპორტის სახეობას.

გარდა ამისა, დასავლეთის ქვეყნებში სისტემატურად ტარდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სასკოლო, საქალაქო და ქვეყნის მასშტაბით შეჯიბრებები.

რადგან დღეისათვის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების დონე დაბალია, ამიტომ მიგვაჩნია, რომ სპორტის გაკვეთილების ჩატარება მიმდინარეობდეს შემდეგნაირად:

1. დაწყებით და საბაზისო საფეხურებზე სპორტის გაკვეთილების ნაცვლად კვალიფიციური პედაგოგის ხელმძღვანელობით ჩატარდეს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები;
2. საშუალო საფეხურზე კი, მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების დონის გათვალისწინებით ჩატარდეს სპორტის გაკვეთილები სპორტის სახეობის მიხედვით;
3. კლასგარეშე მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სულ მცირე 4-5 სპორტის სახეობაში სისტემატურად უნდა ტარდებოდეს სექციური მეცადინეობა.

ჩვენი შეხედულებით, აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს სკოლის მოსწავლეთა შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და მოზარდების სპორტით დაინტერესებას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მომავალი ჯანსაღი პიროვნებებისა და სრულყოფილი მოქალაქეების აღზრდას, რომელნიც წარმატებით იმოღვაწეებენ ქვეყნის სამსახურში.

ლიტერატურა:

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდის საფუძვლები (მეორე ნაწილი), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004.
2. სპორტის თეორია. დამხმარე სახელმძღვანელო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სტუდენტებისათვის, მწვრთნელებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისათვის.
3. გზამკვლევის კრებული სპორტის სახეობებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (VII-XII კლასები). თბილისი, 2010.
4. გზამკვლევი მასწავლებლისათვის. სპორტი. 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, თბილისი, 2011.

SPORTS LESSONS AND REALITY

Paata Kurdadze, Gori Staty Teaching University, Professor
Aleksandre Iashvili, Gori Staty Teaching University, Professor
RESUME

In the given authors have discussed the conditions of physical and sports education in secondary schools.

The aim of this article is to show that after long term observation and analyses it's impossible to sort out the issue of physical education in adults by putting only sports lessons, that changed the lessons of physical education. Because for good sports lessons it's vital to raise the level of physical prevalence. That's why the authors have worked out some important recommendations, which say that at the beginner and secondary level (I-IV, VII-IX grades) it's very important that sports lessons are given by highly qualified teachers along with extracurricular activities, that will be the base for students' sports lessons in the high school (X-XII grades). In order to raise the level of extracurricular activities, it's important to give teachers extra salary of their monthly income.

Besides that, if we want to raise the level of physical education and find out on which level our students are, we should organize school, town and regional competitions in different sports not less than twice a year according to students age level.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, როგორც ხარისხიანი სამედიცინო განათლების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი

ნანა შავლაყაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგი
E-mail: nanashavlakadze@hotmail.com

ნატო ალავიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
გულნარა შელია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ირინა ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თამარ პერტაია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქვეყნის ჯანდაცვა არის არა მარტო მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, არამედ მათი ფიზიკური და სოციალურ-ეკონომიური კეთილდღეობის განმსაზღვრელი სისტემა. ქართული საზოგადოება კი დღეს ობიექტური შეფასებებით, ერთხმად აღიარებს, რომ დადგა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის სრული რეორგანიზაციისა და განახლების დრო. რადგან ქვეყანაში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ საქართველოში მკვეთრად დაეცა ექიმის პროფესიისა და უმაღლესი სამედიცინო განათლების პრესტიჟი...

დრო არ იცდის... დრო ცვლილებებს თხოულობს ...

ჩვენ მუდმივად ცვლად, დინამურად განვითარებად სამყაროში ვცხოვრობთ. თანამედროვე მედიცინა წარმოუდგენელია უახლესი ტექნოლოგიების გარეშე: განათებული მონიტორები, უნატიფესი ბიოქიმიური და გენური ანალიზები, ნაყოფის ემოციების დონიდან დანახული პიროვნების ფსიქო-ემოციური სტატუსი...

ეს ყველაფერი ადეკვატურ ცოდნას თხოულობს, რომელიც პირდაპირ იწყება სამედიცინო აუდიტორიებში. აქ ერთმანეთს ორი დიდი სისტემა: თეორია და პრაქტიკა უნდა შეერწყას. ეს კი საკმაოდ რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი.

საბაზო სამედიცინო განათლების ხარისხის, როგორც წარმატებული საექიმო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობის, შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად აქტუალური პრობლემაა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. სამედიცინო საქმეში აუცილებელია არა მხოლოდ საბაზო საბუნებისმეტყველო და კლინიკურ მეცნიერებებში თეორიული ცოდნის მიღება, არამედ კლინიკური უნარების გამომუშავება და ამ პროფესიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება. ბოლონის პროცესის ფარგლებში, საბაზისო სამედიცინო განათლების კომპეტენციები განისაზღვრება სწავლის შედეგებიდან, რაც შემუშავებულა TUNING/MEDINE მოთხოვნათა მიხედვით.

დღეისათვის შედეგზე ორიენტირებული განათლება ითვლება ოპტიმალურად ქვეყნის მოთხოვნების თვალსაზრისით, რადგან ესაა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე დაფუძნებული სამედიცინო განათლება, რომელიც ფაქტობრივად უზრუნველყოფს წარმატებული და კონკურენტუნარიანი დიპლომირებული მედიკოსის მომზადებას.

საქართველოს კანონმდებლობით ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ინტეგრირებული კურიკულუმის თერთმეტსაფეხურიანი სკალის, სულ მცირე, მეორე საფეხურს.

ინტეგრირებული კურიკულუმი გულისხმობს ფუნდამენტური და კლინიკური საგნების ინტეგრაციას (ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია).

ინტეგრირებული კურიკულუმი საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ ცოდნის ფრაგმენტაცია და ადრეული ეტაპებიდან გამოვუმუშავოთ სტუდენტებს დამოუკიდებელი კლინიკური აზროვნების უნარი.

ინტეგრირებული კურიკულუმის შესაბამისი სწავლების მეთოდებში პირველ რიგში მოიაზრება პრობლემა და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლა (PBL და CBL, შესაბამისად). PBL-ის უპირატესობა სწავლის ტრადიციულ მეთოდთან შედარებით სტუდენტების მიერ პრობლემების გადაჭრის დამოუკიდებლად სწავლა და კოლაბორაციული სწავლის უნარის შექმნაა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ექიმის პროფესიული საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად.


ვირტუალური სასწავლო მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს პაციენტთა უსაფრთხოების დაცვას, მნიშვნელოვნად განტვირთავს სამკურნალო დაწესებულებებს სტუდენტთა დიდი ჯგუფებისგან, რომლებიც პაციენტთან უშუალო კონტაქტის მეშვეობით ხშირად ვერც კი ახერხებენ ამა თუ იმ კლინიკური ჩვევის გამომუშავებას, განსაკუთრებით სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე...

აწსუ-ის სამედიცინო ფაკულტეტი 18 წლის წინ დაარსდა. იგი სტუდენტებს სამი მიმართულებით ამზადებს: დიპლომირებული მედიკოსი, დიპლომიტებული სტომატოლოგი და ფარმაცევტი. სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობს. 2012 წლიდან ფუნქციონირებს მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა. სასწავლო პროგრამა არის ერთსაფეხურიანი, 6 წლიანი, 360 კრედიტიანი. იგი შეესაბამება მეორე დონის უმაღლესი განათლების საფეხურს.

ფაკულტეტს აქვს ევროპელ პარტნიორებთან ხანგრძლივი თანამშრომლობის ისტორია TEMPUS-ის, INTAS-ისა და სხვა საგრანტო პროექტებში ჩართულობიდან გამომდინარე.

1. Tempus – JEP 21127-2000, Akaki Tsereteli State University, “A Georgian National Network of Universities for Biomedical Education”.
2. The European Union INTAS program: “Immunotherapy of B cell chronic lymphocytic leukaemia (B-CLL)”, 2002-2006.
3. UM_JEP-27200-2006 (GE) Application of Tuning Approaches in Georgia Higher Education System (Tuning Georgia); 1/9/2007—31/8/2009.
4. Tempus project 158627-TEMPUS-UK-TEMPUS-JPCR on "Development of e-learning and Distance learning courses and assessment in Biomedical sciences in Southern Caucasus"; 1.01.2010-1.01.2013
5. Tempus – JPCR 530519-TEMPUS-1-2012-1-UK-TEMPUS-JPCR, Akaki Tsereteli State University, “ePBLnet: Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients”. 2012-2015


ამან საშუალება მოგვცა გვყავდეს მსოფლიოს ყველაზე რეიტინგულ უნივერსიტეტებში გადამზადებული პედაგოგიური კადრი, გვექონდეს უახლესი თანამედროვე ელექტრონული კლასები, რომლებიც პარტნიორ უნივერსიტეტებთან Live-ში სრულფასოვანი სწავლების საშუალებას იძლევა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო/სამეცნიერო ლაბორატორია.



მაგრამ 2 წლის წინ 19 მეორე კურსელს, 20 მეოთხე კურსელს და 21 მეხუთე კურსელს დავუსვით 2 მარტივი კითხვა:


1. მოგწონთ თუ არა სასწავლო პროცესი?
 - ა. კი
 - ბ. არა

პასუხები ასახულია №1 ცხრილში.



2. რას ისურვებდით სასწავლო პროცესში?
 - ა. პედაგოგიდან მეტი ინფორმაციის მიღებას;
 - ბ. მეტ თვალსაჩინოებას;
 - გ. მეტ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე;
 - დ. მეტ დამოუკიდებელ მუშაობას;
 - ე. მეტი სამედიცინო შემთხვევების გარჩევას;
 - ვ. ჩაწერეთ თქვენი სურვილი?!
 მეორე კითხვაზე პასუხები იყო ასეთი:

რას ისურვებდით სასწავლო პროცესში?



საკუთარი სურვილები მხოლოდ საერთო რაოდენობის 18%-მა დააფიქსირა და ამ სურვილებში ლიდერობდა „კლინიკურ გარემოში სწავლის“ სურვილი.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მეხუთე კურსელების პასუხებზე, ყველაზე მეტი სასწავლო გამოცდილებისა და სასწავლო პროცესისადმი კეთილგანწყობილ ჯგუფზე, რომელმაც პირველ კითხვაზე 68%-იანი დადებითი პასუხი გასცა.

ისინი მთლიანობაში სასწავლო პროცესისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების მიუხედავად ისურვებდნენ პედაგოგისგან მეტ ინფორმაციას (61%), მეტ თვალსაჩინოებას (68%) და რაც ძალზე მნიშვნელოვანია მეტი სამედიცინო შემთხვევების გარჩევას (93%).

მეხუთე კურსელებთან დამატებითი გამოკითხვით შევეცადეთ პრეტენზიების არსში გავრკვეულიყავით. სტუდენტების მიერ მოთხოვნა – პედაგოგიდან მეტი ინფორმაციის მიღება – ყურდნობდა:

1. მოდერნიზებულ, უახლეს ინფორმაციებზე დაყრდნობილ ლექცია-პრაქტიკულების მოსმენის სურვილს;

2. განსახილველი საკითხის ღრმა, ყოველმხრივი, პროფესიული ანალიზის მოსმენას;

3. პედაგოგიდან შემეცნების სწორი გზის მიმართულების მიღებას.

ბ. სტუდენტების 68% პედაგოგებიდან მეტ თვალსაჩინოების თვალსაზრისით თხოულობდნენ:

1. ახსნის პროცესის სრულფასოვან თანმხლებ ვიზუალიზაციას;

2. პოსტერებს, ვიდეო ფაილებს, განსაკუთრებით, მექანიზმებისა და ფუნქციების შესწავლის დროს.

გ. მიუხედავად ჩვენს ხელთ არსებული მრავალი ქართულენოვანი სახელმძღვანელოსი, სტუდენტების 51% თხოულობს მეტ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე, რადგან

1. სახელმძღვანელოები ძირითადად ნათარგმნია რუსულიდან;

2. მასალა მოძველებული;

3. არ შეიცავს საკმარის თვალსაჩინოებას და თითქმის არა აქვთ თანმხლები ვიდეო ფაილები.

დ. როგორც გაირკვა, სტუდენტთა უმრავლესობას დამოუკიდებელი მუშაობა გაიგივებული აქვს სახელმძღვანელოსთან მუშაობასთან, ხოლო 43 პროცენტი კი თვლის, რომ მათ მეტი სპეციალური ლიტერატურა ესაჭიროებათ შესასწავლი საკითხის გასაანალიზებლად, უპირატესად, მონოგრაფიები, რომელიც თითქმის არა გვაქვს და რჩებათ მხოლოდ ინტერნეტ სივრცე, რომელსაც თავისი პირობები აქვს. იგი საჭიროებს სტუდენტების მხრიდან ენების ცოდნას; მასში ზღვა ინფორმაციის მოძიებას ანუ განუსაზღვრელად დიდ დროს შესაბამისი მასალის მოსაპოვებლად.

ამ შედეგებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა 93%-იანი უარყოფითი რეიტინგით, არის მეტი სამედიცინო შემთხვევების გარჩევის სურვილი.

ამ მოსაზრებას ჩვენც პრაქტიკოსი ექიმი პედაგოგებიც სრულად ვემხრობით.

მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ეს პრობლემა დარწმუნებული ვართ მეტ-ნაკლები სიმწვავეთ ყველა სამედიცინო ფაკულტეტს უდგას. ამ სტატიის ფარგლებში ჩვენი მიზანია პრობლემათა დაძლევის გზების ხედვის და საშუალებების განხილვა.

საბაზო სამედიცინო განათლების ხარისხის, როგორც წარმატებული საექიმო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობის, შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად აქტუალური პრობლემაა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ამ შესაბამისობის მიღება უცხოელ კოლეგებთან მუშაობით გაცილებით მარტივად მიღწევადია. ამის კონკრეტულ მაგალითს წარმოადგენს ჩვენს უცხოელ კოლეგებთან ერთად (ლონდონის წმ. გიორგის, სალონიკის არისტოტელეს და ნიკოსიის უნივერსიტეტები) ტემპუსის 2012-2015 წლების 530519-TEMPUS-1-2012-1-UK-TEMPUS-JPCR საგრანტო პროექტის - Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients – დახმარებით, ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზაპოროჟიის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ასტანისა და ყარაგანდას სამედიცინო უნივერსიტეტები ვიწყებთ არსებული პროგრამების საბაზისო სწავლების ეტაპის მოდერნიზაციას. აღნიშნულ მოდერნიზაციას მრავალი ასპექტი აქვს, ჩვენ აქ განვიხილავთ მისი (მოდერნიზაციის) მხოლოდ ერთ საკითხს - სწავლების ახალი მეთოდის – პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – ათვისებასა და დანერგვას.

ჩვენ კვირის დასაწყისში სტუდენტებს ვაძლევთ ერთი კონკრეტული პაციენტის შემთხვევას (Case). მთელი კვირის განმავლობაში მათ ეკითხებათ ამ პაციენტის სიმპტომების მიხედვით: ლექციები, უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები. სტუდენტი დამოუკიდებლად შეისწავლის დამატებით მასალას და კვირის ბოლოს აკეთებს შემაჯამებელ ანალიზს: დიფერენციალურ დიაგნოსტიკას, არჩევს შედეგებს და აძლევს დანიშნულებას.

ერთი კონკრეტული PBL კვირის მეცადინეობების გრაფიკი ასე გამოიყურება:

‘an example of A Learning Week’

Monday	Tuesday	Wednesday	Thursday	Friday
PBL tutorial: HIV Viral Infections and Complications	Morphology and Biology of Viruses Immune Responses to Viruses and vaccines Malaria Session	Independent learning	Tutorial 2	PP Development PPD Portfolio Introduction HIV Counselling
Independent learning	25 years of the HIV Aids Epidemic Anti viral agents	Sports!	GP and Community Visits/ Phlebotomy Lab Sessions	Palliative Care Expert Forum

ეს ყველაფერი მიმდინარეობს ვირტუალურ პაციენტთან უშუალო ურთიერთობის ფორმით. თუ პაციენტი განიკურნა იგი მომლიმარი, ექიმის მაღლიერი სახლში მიდის, თუ პაციენტი დაიღუპა – მოგეხსენებათ ამას, რაც მოჰყვება!

ეს თამაში არ გახლავთ. ესა რეალური სასწავლო მეთოდია, რომელიც მრავალფეროვანს და საინტერესოს ხდის სტუდენტის შემეცნების პროცესს, გარკვეულწილად მას აიძულებს, ყველა თეორიული საგანი (ბიოქიმია, ფიზიოლოგია, ჰისტოლოგია, იმუნოლოგია, ანატომია...) „შემთხვევის“ დახმარებით „რეალურ დროში“ დაინახოს, თანაც პირველივე კურსიდან.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მიზანია დაინახოს სტუდენტს, როგორც მომავალ ექიმ კლინიკისტს, ცოდნის მიღების მნიშვნელობა.

პდს გზით შესაძლებელია სტუდენტისთვის მიღებული ინფორმაციის კლინიკური ღირებულების წარდგენა, შემეცნების პროცესის ცოცხლად და საინტერესოდ წარმართვა, რაც



ზრდის სტუდენტის ცნობიერებას და აყალიბებს მის კლინიკურ უნარ-ჩვევებს. სტუდენტები სწავლობენ ცოდნის მიღების ეფექტური გზის სწორ და სწრაფ არჩევას. ამ პროცესის დაბალ კურსზე დაწყება კი იმის გარანტიაა, რომ სტუდენტებმა პირველივე კურსიდან გააცნობიერონ, თეორიული, საბაზისო საგნების შესწავლით, ისინი პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და კლინიკური აზროვნების საფუძველს იქმნიან.

სწავლების მეთოდი და პედაგოგის როლი დადის კვლევის, შემეცნების სტიმულირებაზე და არა მზა ინფორმაციის გაცემაზე, რადგან სწავლის პროცესში ლექტორი აყალიბებს მიზანს, სტუდენტი კი ღებულობს პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებაზე. რითაც ის ბოლომდე რჩება მთავარ "მოთამაშედ".

ამ მეთოდით სტუდენტი ღებულობს:

- ა. პედაგოგისგან სწორ მიმართულებას;
- ბ. მეტ თვალსაჩინოებას;
- გ. სახელმძღვანელოების მიზნობრივად გამოყენების უნარს;
- დ. რეალური პაციენტის პრობლემის ირგვლივ მეტ დამოუკიდებელ მუშაობას;
- ე. მეტი კონკრეტული სამედიცინო შემთხვევის გარჩევას;
- და რაც მთავარია, სტუდენტი ამას აკეთებს ვირტუალურ პაციენტზე, რითაც აბსოლუტურად უსაფრთხო ხდება მისი „ექიმური“ გადაწყვეტილებები!

ყოველივე ამის გამო PBL მეთოდი სტუდენტების მიერ წამოყენებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი საუკეთესო გზად მიგვაჩნია, რადგან სტუდენტს რეალური პაციენტის პრობლემებზე უშიშრად პირველივე კურსიდანვე დავაფიქრებთ, ვამსჯელებთ და მისი პრობლემების „გადაჭრას“ ვასწავლით...

ამ ყველაფრით სტუდენტს უყალიბდება დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, რაც ასე ძალიან აკლია, ჩვენს კურსდამთავრებულებს.

გვესმის, რომ „შემეცნება“ მუდმივად ცვლადი და დინამიური პროცესია...

ჩვენ ამისთვის მზად ვართ, რადგან ეს საზოგადოების და დროის მოთხოვნაა?!

ლიტერატურა:

1. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი – დამტკიცებულია: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით №225; 01.06.2011.
2. კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მე-5 მუხლი.
3. WFME Global Standards for Quality Improvement in Medical Education: European Specifications For Basic and Postgraduate Medical Education and Continuing Professional Development. WFME/AMSE International Task Force, WFME Office Copenhagen. See WFME and AMSE websites: www.wfme.org and www.amse-med.eu.
4. Poulton T, Conradi E, Kavia S et al. The replacement of “paper” cases by interactive online virtual patients in problem based learning. med Teach. 2009;31:752-758.
5. Triola M, Feldman H, Kalet Al et al. A randomized trial of teaching clinical skills using virtual and live standardized patients. J Gen Intern Med. 2006;21 (5):424-429
6. Zary N, Johnson G, Boberg J, Fors UGH. Development, Implementation and pilot evaluation of web-based virtual patient case simulation environment-Web-SP. Acad Med. 2006;78(8):783-788.
7. Poulton T, Balasubramaniam C. Virtual patients: A year of change. Medical Teacher. 2011;33:933-937.

PROBLEM BASED LEARNING AS A KEY FACTOR IN DETERMINING THE QUALITY OF MEDICAL EDUCATION

Nana Shavlakadze, Akaki Tsereteli State University, Pedagogy
Nato Alavidze, Akaki Tsereteli State University, Associate Professor
Gulnara Shelia, Akaki Tsereteli State University, Professor
Irina Pkhakadze, Akaki Tsereteli State University
Tamar Pertalia, Akaki Tsereteli State University

RESUME

Country's Health is not only the health of the population, but their physical & social – economical stability's determining system. The objective assessment of Georgian society recognizes that the time has come for the country's health care system's complete reorganization and renewal. Because of the study found out in Georgia shows that the prestige of doctor's profession and the prestige of higher medical education have reduced obviously...

This work deals with the changes held at ATSU Faculty of Medicine for the modernization of undergraduate medical education. It presents the results of the student survey, here is proved the students request about necessary changes in the learning process, and is also shown their ideas about futer plans. Is submitted the Tempus Project „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients” at ATSU and the job already completed and also ongoing too. Analysis and discussion mainly focuses on the teaching / learning methods, namely problem based learning, as the new "study week" on the relevant methodology.

, « » (.),

XIX

1897

87%

[1].

[2].

4300

1861

1777 .), (« [80]. »
 (« », 1786 .),
 « » 1822 . 1846 « » (

[1]. «
 » (1819 .)
 « » (1827 .)
 1798 « »
 » (1818 .), «
 (1823 .).
 [2].

[3].

[3].

1886 ()

[3].

[4].

[4].

T. [1].

5- « » [3].

XIX
 « » [4].

1817
 »,
 [2].

« », « » [2].

1846
()

1847

[2].

[2].

1861

« »

[3].

60-70-
»

1874

(

1876)

[3].

(« »)

« »

1863

1863

[3].

«

«

».

70-

« »

« »

[4].

1868

« »

« »

«

»

[4].

« »

1873

1882

« »

66

(1873-1939 .)

1100

:

120

[1].

«

»

1913

XIX

1895

[3].

1. . - 1829-1833 ., 1833-1834 . // .707, .1, .887., .90.
2. . - 1917 .// .42, o .35, .1595, .
3. . - , 1890-1892 .// .42, o .35, .914, .30.
4. . - , 1889 .// .42, o .35, .832, .52

THE ROLE OF INTELLIGENCE IN DEVELOPING ORGANIZATIONAL-METHODOLOGICAL WORKS OF THE UKRAINE EDUCATIONAL DISTRICTS IN THE BEGINNING OF THE XIX-XX CENTURIES

Tatiana Shushara, Crimean University for the Humanities, Docent
SUMMARY

In article, on the basis of archive materials, historical publications, the materials testifying to an invaluable role of intelligence in organizational-methodical activity of educational region of Ukraine in the XIX - th and the beginning of the XX-th century are presented. Complex studying little-known or not enough the investigated sources connected with organizational-methodical activity and a role of intelligence in it on the Ukrainian earths, has allowed to enrich a science with new names, events, the facts that supplements and enriches our Historic-pedagogical knowledge, opens essence and value of the private initiative in a question of organizational-methodical activity in Ukraine. And as the rather-comparative analysis is carried out, allowing revealing and comparing specificity of activity of intelligence of the investigated period in a question of realization of organizational-methodical activity and specificity of activity of intelligence at the present stage.

უცხოენობრივი ტექსტის ვოკაბულარი და მასზე მუშაობის ეტაპები

ზურაბ ჩხიკვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: zura-gsu@yahoo.com

შესავალი

ნებისმიერი ენის გრამატიკა გარკვეულ როლს ასრულებს ტექსტის შინაარსის გახსნისათვის, მაგრამ მარტოდენ გრამატიკის ცოდნა მკითხველს საშუალებას აძლევს, გაიაზროს სიტყვათა შორის ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ გრამატიკული კუთხით, მაგრამ ცალკე ვერ უზრუნველყოფს წინადადების შინაარსის გაგებას. მაგალითად, გრამატიკოსების მიერ ხშირად ციტირებულ ინგლისურ წინადადება „Woggles ugged diggles“, (Fries: 1957, p. 71), სადაც წინადადების არცერთ წევრს ლექსიკური მნიშვნელობა არ გააჩნია და გრამატიკული სისტემისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული

ნიშნებითა და მორფემებით კი სრულყოფილი გრამატიკული კონსტრუქციაა, რადგან ნიშანი -s, -ed, -s, ამ თანმიმდევრობაში მიაჩნებენ, რომ პირველი და მესამე სიტყვები არსებითი სახელებია მრავლობით რიცხვში, ხოლო შუა სიტყვა მოქმედებას გამოხატავს წარსულ დროში. ასევე ამ სამ სიტყვას შორის სინტაქსური კავშირი გამოიხატება ინგლისური წინადადებისათვის დამახასიათებელი შემდეგი თანმიმდევრობით: „Woggles“ უნდა იყოს ქვემდებარე, „ugged“ -შემასმენელი, ხოლო „diggles“-დამატება. ამ სტრუქტურაზე დაყრდნობით, მიუხედავად მასში შემავალ სიტყვების ლექსიკურ დეფინიციათა არ ცოდნისა, შესაძლებელია სხვა გრამატიკულად სწორი კონსტრუქციების აგება დამხმარე ზმნების საშუალებით. მაგ. კითხვითი და უარყოფითი ფორმები, მომავალი და წარსული დრო და ა.შ. (Robert W. Funk: 1977, p. xxv-xxxii). უცხოენოვანი ტექსტის შინაარსის გაგებისთვის გრამატიკასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თემასთან მჭიდროდ დაკავშირებული გარკვეული სიტყვათმარაგის ვოკაბულარის ფლობას. რაც უფრო დიდია ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა, მით მეტია შესაძლებლობა ტექსტში შემავალი წინადადებების გაგება-გააზრებისა.

ლიტერატურაზე მუშაობის დროს მასწავლებელს არ შეუძლია, სტუდენტს ასწავლოს სამიზნე ტექსტში არსებული ყველა უცნობი ლექსიკური ერთეული ლიმიტირებულ საკონტაქტო საათების განმავლობაში (ლექცია, გაკვეთილი მეცადინეობა), რადგან დროშია შეზღუდული, მაგრამ მას შეუძლია გადაწყვიტოს ამათგან რომელი სიტყვებია ყველაზე მნიშვნელოვანი შინაარსის გასაგებად.

ტექსტამდელი ეტაპი - უცხოურ ლიტერატურაზე მუშაობის დროს აუცილებელია წასაკითხი მასალის შერჩევა ჯგუფის ან კლასის ენობრივი ცოდნის დონისა და სპეციალობის გათვალისწინებით. მას შემდეგ, რაც ტექსტი უკვე შერჩეულია პედაგოგის მიერ უცნობი ლექსიკის დამუშავება მიმდინარეობს სწავლების სამი სტრატეგიის გათვალისწინებით. დასამუშავებელ ტექსტის თემასთან დაკავშირებულ უცხო სიტყვებზე მუშაობა:

- ა) კითხვის დაწყების წინ;
- ბ) კითხვის დროს;
- გ) კითხვის შემდგომ.

სანამ ჯგუფი უცხო ტექსტის კითხვა-დამუშავებას დაიწყებს, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- 1) სტუდენტისათვის უკვე ნასწავლი, ცნობილი სიტყვები რომელიც შეხვდებათ უცხო ტექსტში;
- 2) მთლიანად უცხო სიტყვებიდან რომელი „კატეგორიაა“ აუცილებელი სტუდენტისათვის, რათა გაიგონ ტექსტი;
- 3) რა სიტყვათმარაგი დასჭირდებათ მათ მომავალში, რომ გაიმჯობესონ კითხვა-გაგების კომპეტენციები.

დასამუშავებელ ლიტერატურაში ყველაზე ხშირად გვხვდება თემის შესატყვისი ლექსიკა, რომელიც განისაზღვრება იმით, თუ რა შინაარსისა და სპეციფიკის მასალასთან გვაქვს საქმე. უკეთესია თუ შესაბამისი ტიპის ლექსიკას წინასწარ გავაცნობთ სტუდენტს, ვიდრე დავიწყებთ უშუალოდ მასალაზე მუშაობას (მაგ. ტექსტი თუ საინფორმაციო ტექნოლოგიებს ეხება, მაშინ ცხადია სიტყვები computer, Email, Internet, massage... და ა.შ. მჭიდროდ იქნება თემასთან დაკავშირებული).

თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ასეთი სიტყვების წინასწარი ცოდნა ან მათი გაცნობა-პრეზენტაცია მნიშვნელოვნად გააადვილებს შემდგომში კითხვის დროს ტექსტის შინაარსის გაგება-აქტუალს. მაგრამ დარგობრივ ტექსტთან დაკავშირებული ლექსიკა შესაძლებელია მხოლოდ მოკლე ვადით იყოს დამახსოვრებული, რადგან სავარაუდოდ შემდგომში სტუდენტს აღარ მოუხდეს მასთან შეხება, ამიტომ შეიძლება მათი დროის მონაკვეთში გაცნობა და „არამყარად“ პასიური ლექსიკის დონეზე დასწავლა.

როგორც ცნობილია, ნებისმიერ ენაზე მოსაუბრისა და მკითხველის მეხსიერებაში არსებობს პასიური ლექსიკა ანუ სიტყვათმარაგი, როგორც ამას უწოდებენ ვოკაბულარი და აქტიური ვოკაბულარი. პასიურ ლექსიკას მკითხველი შეიცნობს მაშინ, როცა მას ხვდება ტექსტში ან ესმის, ხოლო მას თვითონ არ იყენებს თავის მეტყველებაში და არც წერის დროს. რაც შეეხება აქტიურ ვოკაბულარს ანუ როგორც მას უწოდებენ პროდუქტულ ლექსიკას ადამიანები იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის დროს. პროდუქტულ ლექსიკის მარაგი მშობლიურ ენაზე მოსაუბრეს უფრო მეტი აქვს, ვიდრე მეორე უცხო ენაზე მოსაუბრეს, ხოლო უცხო ენაზე მოსაუბრე უფრო მეტ პასიურ ლექსიკასა ფლობს, ვიდრე აქტიურს.

ახალი სიტყვის გაგება-შესწავლისათვის სტუდენტს სჭირდება მასთან მრავალგზისი შეხვედრა სხვადასხვა კონტექსტში. „თუ ტექსტში გამოკვეთილია რომელიმე სიტყვა იგი შეიძლება „ათვისებულ“ იქნას კითხვის დროსაც, მიუხედავად იმისა არის თუ არა ზოგად ინგლისურში ხშირად გამოყენებული“ (Brown, C. 1993, p. 278). თუ მასწავლებელს სჭირდებოდა მიაჩნია, რომ სტუდენტმა დაისწავლოს თემასთან დაკავშირებული ლექსიკა, ეს მოხდება არა კითხვის წინ ამ ვოკაბულარის გაცნობისას, არამედ მესამე

კითხვის შემდგომ ეტაპზე ლექსიკის დასწავლის დროს. სიტყვის პრეზენტაცია და სიტყვის დასწავლა სხვადასხვა აქტივობებია და მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას მასწავლებლისაგან.

ტექსტზე მუშაობის ეტაპი - უცხო ტექსტებზე მუშაობის დროს სტუდენტები ხვდებიან სიტყვებს, რომლებსაც არ იცნობენ. ასეთ სიტყვათა რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ სირთულის მიხედვით ტექსტი როგორ შეესაბამება სტუდენტის ენობრივი ცოდნის დონეს. რაც დიდია განსხვავება, მით მეტია უცნობი სიტყვა და პირიქით, ცოტა სხვაობის შემთხვევაში - მცირე. ყველა შემთხვევაში მკითხველმა უნდა იცოდეს როგორ მიუდგეს უცნობ სიტყვებს კითხვის დროს.

უცნობს ლექსიკასთან მუშაობის მრავალი სტრატეგიაა შემუშავებული. მათ შორის პირველი და საკმაოდ აპრობირებული გზაა ამ სტრატეგიების პირდაპირ კლასში გამოყენება კითხვის პროცესში. მაგალითად, ტექსტის კითხვის დროს სტუდენტი სვამს შეკითხვას : what does ... mean? ამ დროს მასწავლებელი კი არ ცდილობს პირდაპირ უთარგმნოს, არამედ სიტყვის მნიშვნელობის გახსნის „არაპირდაპირი“ მეთოდების გამოყენებით ცდილობს, სტუდენტმა თვითონვე უპასუხოს თავისივე დასმულ კითხვას.

ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი სტრატეგია უცხო სიტყვებთან მიმართებაში არის ის, რომ განვსაზღვროთ არის თუ არა მათი მნიშვნელობა რელევანტური შინაარსის გახსნისათვის. ასე მაგალითად, თუ მკითხველი კითხულობს იმისთვის, რომ მიიღოს ზოგადი წარმოდგენა ტექსტზე, მაშინ მას შეუძლია „გადაახტეს“ საკმაო რაოდენობის უცნობ სიტყვებს, თუკი ესენი არ არიან საკვანძო სიტყვები შინაარსის გახსნისათვის. იმისათვის, რომ გავარკვიოთ რომელიმე სიტყვის „საკვანძო“ ფუნქცია კონტექსტში, საჭიროა, წინადადება წავიკითხოთ ამ სიტყვის გარეშე და დავაკვირდეთ ზოგადი შინაარსი თუ შეუნარჩუნდება ტექსტს.

ერთ-ერთი შედეგის მომტანი სტრატეგიაა გავარკვიოთ სიტყვის გრამატიკული „რაობა“. მაგალითად, თუ ეს სიტყვა ზედსართავი ან ზმნიზედაა უმეტეს შემთხვევაში მკითხველს შეუძლია ამოცანას თავი გაართვას მათ დეკოდირების გარეშე. მეორეს მხრივ, თუ უცნობი სიტყვა ტექსტში ხშირად გვხვდება ჩანს, რომ იგი ზოგადი შინაარსის საკვანძო სიტყვაა. ამ შემთხვევაში მასზე უნდა ვიმუშაოთ. არსებითი სახელები და ზმნები ზოგადად ძალიან მნიშვნელოვანია წინადადების კონტექსტისა და ტექსტის შინაარსის გაიფხვრისათვის. მათი დეფინიციების გარეშე ძნელია ტექსტის ძირითადი აზრის გაგება, ამ სიტყვების შინაარსის გახსნისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი სტრატეგიები:

ა) ლექსიკონის საშუალებით გავიგოთ სიტყვის მნიშვნელობა ან მნიშვნელობები. ეს მიდგომა ყოველთვის ზუსტი არ არის, სანამ ამ მნიშვნელობას არ განვიხილავთ კონტექსტში. (მაგალითად ინგლისურ სიტყვებს get და come-ს 50 ზე მეტი შესატყვისი აქვთ „Longman“-ის სქელტანიან განმარტებით ლექსიკონში).

ბ) სიტყვის შემადგენელი ნაწილების ანალიზზე დაყრდნობით მივხვდეთ მის სავარაუდო ზოგად მნიშვნელობას.

გ) კონტექსტის გამოყენებით, რომელშიც სიტყვაა მოცემული, ვეცადოთ მივხვდეთ სიტყვის მნიშვნელობას“ (Aebersold J.A./ Field M.L 2001. p 142)

„კონტექსტი ყველაზე გამოსადეგი გარემოებაა, სადაც სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა შეიძლება იქნას გახსნილი, მით უმეტეს თუ სიტყვა მრავალმარცვლიანია და იძლევა „შემადგენელ ნაწილებად“ დაშლის საშუალებას. ასეთი კონსტრუქციის სიტყვები საშუალოზე უფრო მაღალი დონის სირთულის ტექსტებში უფრო გვხვდება“ (Nation I.S.P. 1990. p. 162).

ტექსტის კითხვის დროს თუკი მასწავლებელი ყოველთვის კარნახობს უცხო სიტყვის მნიშვნელობას, მაშინ სტუდენტს ეკარგება შესაძლებლობა და სურვილი უცნობ სიტყვათა გახსნისათვის ზემოთხსენებული და უკვე ნასწავლი სტრატეგიების შემუშავება-გამოყენებისა.

წაკითხვის შემდგომი ეტაპი - მას შემდეგ, რაც სტუდენტები წაკითხავენ და გაარჩევენ ტექსტს, ისინი მზად არიან ბოლოჯერ გადახედონ ახლად შესწავლილ სიტყვებს. არსებობს მრავალი გამოწვევა ვოკაბულარის გამეორებისა: იმისათვის, რომ შეისწავლონ და მოყვნიენ ტექსტი, გაზარდონ თავისი აქტიური სიტყვათმარაგი და სხვა.

თუ გამეორება ემსახურება იმას, რომ განავითარონ ვოკაბულარი, მაშინ სტუდენტისა და მასწავლებლის მიზანია ახალ სიტყვათა განმტკიცება მეხსიერებაში ან ინდივიდუალურ სიტყვათა გამოკვეთა მათი მნიშვნელობების მიხედვით, ორივე მიდგომა ვალიდურია ტექსტის გარჩევის შემდეგ ვოკაბულარზე მუშაობისათვის.

დასკვნა - ამრიგად, უცხოენოვან ტექსტზე და მასში შემავალ უცნობ ლექსიკაზე მუშაობის დროს გამოვყოფთ სამ პერიოდს/ეტაპს:

1) ტექსტის დამუშავების (წაკითხვის) წინა პერიოდი, როდესაც ხდება მასში შემავალ თემასთან დაკავშირებული უცნობი სიტყვების წინასწარი გაცნობა-პრეზენტაცია იმ დონეზე, რომ ტექსტში მათთან

შეხვედრის დროს მკითხველში არ გამოიწვიოს ზოგადი შინაარსის გაგებასთან დაკავშირებული „უხერხულობები“ და რომელიც ამ ეტაპზე არ ნიშნავს ამ ლექსიკის დასწავლას.

2) ტექსტზე მუშაობის (უშუალოდ ტექსტის კითხვის) პერიოდი, როდესაც ხდება უცნობი სიტყვების კლასიფიცირება რელევანტურობის მიხედვით წინადადების, კონტექსტის ან ტექსტის შინაარსის გახსნასთან დაკავშირებით. ამ დროს ხდება უცნობი სიტყვების გარემოებათა შესატყვისი სემანტიზაცია, რომელიც არც ახლა გულისხმობს ამ ლექსიკის საფუძვლიან დასწავლას ხანგრძლივი დროით დამახსოვრებისათვის.

3) მხოლოდ ტექსტის შემდგომ (ტექსტის წაკითხვის შემდგომი) პერიოდში ხდება გაცნობილი ლექსიკიდან ისეთი სიტყვებისა და ფრაზების შერჩევა-გათავისება, რომელიც მომავალში გამოადგებათ პირად ზეპირმეტყველებაში ან დამოუკიდებელი წერითი აქტივობების განხორციელებაში, რაც ამ სიტყვათა აქტიურ ლექსიკაში აყვანას ნიშნავს.

ლიტერატურა:

1. Fries C.C. - *The Structure of English: An Introduction to the Construction of English Sentences.* London: Longmans, Green, 1957.
2. Robert W. Funk - *A Beginning-Intermediate Grammar of Hellenistic Greek.* Missoula, Montana 1977.
3. Brown, C. - *Factors affecting the acquisition of vocabulary: frequency and saliency of Words.* Sagepub.com/content/2/2/93. 1993
4. Aebersold J.A./ Field M.L - *From reader to Reading Teacher.* Cambridge University Press (2001)
5. Nation I.S.P. - *Teaching and learning Vocabulary.* New York, Newbury House 1990
6. *Longman Dictionary of contemporary English – New Edition* (2010)

VOCABULARY WORK OF THE FOREIGN TEXT **Zurab Chkhikvadze, Gori State Teaching University, Professor** **RESUME**

Working on the foreign text, great importance is given to the used vocabulary, that is not familiar to a reader. Reader should possess the strategies and devices when dealing with unknown words for selecting right ones to reveal content of the text in the limited time (lesson, lecture....) in order to understand it. Regarding this issue there is highlighted following approach: to divide total time for vocabulary acquisition into certain periods: 1. Pre-reading 2. During reading 3. Post reading.

In the first stage, the teacher will introduce basic vocabulary related to the topic, in order to encounter them making it easier to comprehend the content of the text.

In the second stage the class teacher is given the opportunity to use all strategies and means to teach the students how to work on vocabulary to find proper definitions.

In the third case, the students are trying to reinforce obtained skills and increase productive vocabulary to improve their competency in the target foreign language.

სწავლების ეფექტური სტრატეგიები მულტილინგვურ განათლებაში

ნელი ჭამპურიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: nelichampuridze@gmail.com

2008 წელს ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით შემუშავდა „მულტილინგვისტური განათლების გზით უმცირესობათა ინტეგრაციის კონცეფცია და 2009-2014 წლების საოქმედო გეგმა“. სამუშაო გეგმის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო მულტილინგვისტური განათლების პროგრამების განხორციელების მხარდაჭერა. ხდება სასწავლო შინაარსის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის ხერხების, სწავლების მეთოდების გადასინჯვა. კერძოდ, ინერგება ინტერაქტიური სწავლება/სწავლის მეთოდები, იქმნება შესაბამისი სასწავლო მასალები, მიმდინარეობს მასწავლებელთა თრენინგის პროგრამები, იხვეწება სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა მართვის სისტემა და სხვა. „გამოიკვეთა განათლების

სისტემის პრიორიტეტები: სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს პრობლემების გადაჭრის, თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების პრინციპების დანერგვაზე.“ (ჯ. სთილი, ქ. მერედითი, ჩ. თემფლი, 1997). კრიტიკული აზროვნების გამომუშავებით შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოებას ფორმირება, აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისათვის პიროვნების მომზადება, რომელსაც შეუძლია საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა, პრობლემების გამოკვეთა, მათი გადაჭრის მრავალი საშუალების დანახვა, სტრატეგიების შერჩევა, გადასადგმელი ნაბიჯების დაგეგმვა, და რაც მთავარია, მიზნის მისაღწევად დაუცხრომელი ქმედება მოეთხოვება. ყოველივე ზემოთ თქმული, პასუხისმგებლობის გარდა, აზროვნების გარკვეულ ნირს, წყობას მოითხოვს. მეოცე საუკუნეში ლოკალურ თუ საკაცობრიო პრობლემებთან ჭიდილში დაგროვილმა გამოცდილებამ სხვადასხვა დარგის სწავლულები, პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწენი კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობის თემასთან მიაბრუნა. კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობა, პირველ რიგში, სისტემის, სკოლის საქმეა. წარმატებაზე გავლენას ბევრი ფაქტორი ახდენს: შესაფერისი სასწავლო პროგრამა, განათლების შინაარსი, დახვეწილი სახელმძღვანელოები, სასწავლო გარემოცვა; მაგრამ მასწავლებლის პროფესიული ოსტატობა, საკუთარ საქმესთან დამოკიდებულება და შემოქმედებითობა მათ შორის წამყვანია. ის, რაც „კრიტიკული აზროვნების“ ცნებაში მოვიაზრეთ, უძველესი დროიდან ფიგურირებს მოაზროვნეთა ნაშრომებსა და გამონათქვამებში.

„კრიტიკული აზროვნება ნიშნავს ცნობისმოყვარეობას, გამოკითხვის სტრატეგიების გამოყენებას, შეკითხვების ჩამოყალიბებას და მათზე პასუხის მიებას. ის მოიცავს ფაქტების არა მხოლოდ დაფიქსირებას, არამედ მათი მიზეზებისა და შედეგების გარკვევას. კრიტიკული აზროვნება, ერთი მხრივ, თავაზიან სკეპტიციზმს, მეორე მხრივ კი, ჩამოყალიბებული პიროვნული პოზიციის არსებობას გულისხმობს“ (ჭავჭავაძე, 1989). კრიტიკული აზროვნების არსი არც ისე რთულია. ის შეიძლება განიმარტოს, როგორც ზრუნვა საკუთარ აზროვნებაზე, მისი ღირებულებაზე მარტივი გასაგებია: თუ ძალგვიძს, ვიზრუნოთ საკუთარ აზროვნებაზე. საკუთარ ცხოვრებაზე ზრუნვაც შეგვიძლია, რაც მის გაუმჯობესებას, პოზიტიური მიზნებისაკენ მიმართვას გულისხმობს.

მეორე ენის ათვისება საქართველოს უამრავი მოქალაქის კარიერული წარმატებისა და თვითრეალიზაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია. დემოკრატიულ ქვეყნებში კარგად არის ცნობილი ენობრივი ბარიერების მოხსნის განსაკუთრებული მნიშვნელობა საზოგადოებრივი ინტეგრაციის გზაზე. ამიტომ, მეორე ენის ეფექტური სწავლება და სწავლა ინტენსიური კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის საგანია.

- იმისათვის, რომ მეორე ენის ათვისება უკეთ გავიაზროთ, საჭიროა გავიგოთ:
- კონკრეტულად რას სწავლობს ადამიანი მეორე ენის ათვისების დროს? (ლინგვისტური ასპექტი);
- რა პროცესებს გაივლის ადამიანი მეორე ენის ათვისების დროს? (ფსიქოლოგიური ასპექტი);
- რა განაპირობებს იმას, რომ მეორე ენის ათვისების დროს ზოგიერთი მეტად წარმატებულია, ზოგიერთი კი – ნაკლებად? (სოციალური ასპექტი).

ამ შეკითხვებზე ცალსახა პასუხი არ არსებობს და მეცნიერული დავის საგანს წარმოადგენს. თვით მეორე ენის ათვისება კვლევის ახალი დარგია და უამრავ სხვა მეცნიერებასთან არის დაკავშირებული (ლინგვისტიკისა, ფსიქოლოგიის).

მეორე ენის ათვისება შეიძლება სამი სახით მიმდინარეობდეს:

1. არაფორმალური ათვისება ბუნებრივ კონტექსტში;
2. ფორმალური სწავლება – სწავლა საკლასო ოთახში;
3. შერწყმული ვითარება – ათვისება როგორც ბუნებრივ, ისე საკლასო გარემოში.

მეორე ენის სწავლების საწყის ეტაპზე, ენობრივი შენატანის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გაითვალისწინება:

- სასაუბრო ენა უნდა იყოს შენელებული, გამარტივებული, ხშირად განმეორებადი და განვრცობადი;
- ხშირად უნდა იყენებდეს ჟესტების ენას;
- ინტენსიურად უნდა მოწმდებოდეს რამდენად მოახერხა მოსწავლემ ტექსტის გააზრება;
- კომუნიკაციის პროცესში მოსწავლის მაქსიმალური დახმარება.

მულტილინგვური განათლების თანამედროვე მიმართულება ითვალისწინებს როგორც ენის სწავლებას, ასევე საგნის ცოდნას.

ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლებას რამდენიმე მიზეზის გამო აქვს უპირატესობა.

1. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისას რეალური შინაარსის სწავლება ხდება, რაც ზრდის სწავლის მოტივაციას და უზრუნველყოფს მაღალი ენობრივი კომპეტენციის მიღწევას.

2. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება დროის თვალსაზრისითაც ეფექტურია, რადგან დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ხდება როგორც საგნის სასწავლო გეგმის, ისე ენის სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.

3. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისას ენის შემსწავლელი არა მხოლოდ ითვისებს ენას, არამედ ახერხებს ამ ენაზე რეალურ ფუნქციონირებასა და მის პრაქტიკაში გამოყენებას.

„მეორე ენის ფორმალური სწავლება მნიშვნელოვანია, თუმცა ეს არ გულისხმობს გრამატიკული კონსტრუქციებისა და ფრაზების დაზეპირებას. მეორე ენის ფორმალური სწავლებისას, მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ენის ლექსიკურ და სემანტიკურ ასპექტებზე, და არა ენის სწავლების ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურებზე.“ (ლიგიტა გრიგულე, 2012)

მულტილინგვისტური პროგრამების განხორციელებისას აქცენტი კეთდება სამი მიმართულებით:

1. **გაკვეთილის დაგეგმვისას** მნიშვნელოვანია მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერითი უნარების გამდიდრებული შინაარსი.

2. **დავლების ტიპების შერჩევისას** აქცენტი ვიზუალურ მხარეზე კეთდება;

- მოსწავლეს ეწევა დახმარება ენის გამოყენებისას;
- დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი წერითი და კითხვითი დავალებები.

3. **პროგრამების შერჩევისას** ყურადღება გამახვილებულია შინაარსზე, უნარებსა და თემატიკაზე.

მულტილინგვისტური განათლების პროგრამების განხორციელების დროს საგნის შინაარსის ათვისებას ემატება: ბილინგვიზმი, ორმაგი წიგნიერება, მაღალი ინტერკულტურული მგრძობელობა და კონტინგენტის მრავალფეროვნება. ამიტომ საჭიროა მრავალფეროვანი სწავლების მეთოდების გამოყენება, რათა შევძლოთ მრავალფეროვანი კონტინგენტის საჭიროებების და სწავლების სტილის დაკმაყოფილება, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სწავლების შინაარსი და განხორციელების გზები, ის თუ სწავლების რომელი მეთოდები გამოიყენება მაღალი აკადემიური მოსწრების მისაღწევად.

მეორე ენაზე სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ენობრივი შენატანის ეფექტურად დაგეგმვა რათა მასწავლებელმა მიადწიოს როგორც ენობრივ, აგრეთვე საგნობრივ მიზანს. ოპტიმალურ ენობრივ შენატანს გააჩნია 4 მახასიათებელი:

(ა) შეესაბამება მოსწავლის ენობრივ კომპეტენციას,

(ბ) საინტერესო და რელევანტურია,

(გ) ენობრივი შენატანის რაოდენობა ადეკვატურადაა განსაზღვრული

(დ) ენობრივი შენატანის ათვისება წარმოადგენს ერთგვარ გამოწვევას მოსწავლეთათვის.

იმისათვის, რომ მეორე ენის ათვისება უკეთ გავიაზროთ, საჭიროა გავიგოთ:

- კონკრეტულად რას სწავლობს ადამიანი მეორე ენის ათვისების დროს? (ლინგვისტური ასპექტი);
- რა პროცესებს გაივლის ადამიანი მეორე ენის ათვისების დროს? (ფსიქოლოგიური ასპექტი);
- რა განაპირობებს იმას, რომ მეორე ენის ათვისების დროს ზოგიერთი მეტად წარმატებულია, ზოგიერთი კი – ნაკლებად? (სოციალური ასპექტი).

მულტილინგვისტურ განათლებაში ეფექტური სწავლების უზრუნველსაყოფად საჭიროა სწორად შერჩეული სტრატეგიების გამოყენება;

- თვალსაჩინოებების გამოყენება;
- მოდელირებული სწავლება;
- მოსწავლეების მიერ განხორციელებული მედიაცია და ფასილიტაცია;
- შეფასების განსხვავებული მეთოდების გამოყენება ;
- სკაფოლდინგი და დამხმარე მასალის გამოყენება;
- გამართივებული და გასაგები ენით საუბარი;
- პრეზენტაციის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება.

დემოკრატიული სისტემა დემოკრატიული ღირებულებების მქონე აქტიური მოქალაქეების არსებობაზეა დამოკიდებული. ყოველი ახალი თაობა გააზრებულად უნდა დაეთანხმოს ამ დაუწერელი სოციალური კონტრაქტის პირობებს, რითაც საზოგადოების ღირებულებებს გაიზიარებს. მულტილინგვისტური განათლების დანერგვა საშუალებას გვაძლევს გადავჭრათ ისეთი ძირეული ამოცანები, როგორცაა: დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების პრინციპების დანერგვა, სამოქალაქო ინტეგრაცია, ტოლერანტული ცნობიერების ჩამოყალიბება.

ლიტერატურა:

1. ჯ. სთილი, ქ. მერედითი. ჩ. თემფლი, „როგორ სწავლობენ ბავშვები“, 1997, გვ. 36.
2. ილია ჭავჭავაძე, აზრები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989, გვ. 24.
3. ლიგიტა გრიგულე, „მულტილინგვისტური სწავლების სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის“, 2012, გვ. 82.

EFFECTIVE TEACHING STRATEGIES IN MULTILINGUAL EDUCATION

Neli Champuridze, Gori State Teaching University, Professor

RESUME

The great importance of removal the language barriers on the way of social integration is well known in the democracies. Therefore, the effective teaching and learning of the second language is the subject of an intensive research and practical activities. At the time of implementation of the multilingual education bilingualism, double-literacy, high sensitivity and a contingent of intercultural diversity are added to the acquisition of the subject content. Determination of the content of the subject and its implementation in order to achieve the high academic performance is necessary during the multilingual education. Multilingual programs focus on three areas: lesson planning, selecting of the task types and the content of the program. Planning effectively the language input by the teacher during the second language acquisition is necessary to achieve the language as well as subject objectives.

აღზრდის მიზანი რელიგიურ სკოლებში

ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, პროფესორი

E-mail: Ketevan.chkuaseli@tsu.ge

ქეთევან ხაბაზიშვილი, განათლების მეცნიერებების მაგისტრი

E-mail: Ketevanxabazishvili@yahoo.com

საქართველო უძველესი ქრისტიანული კულტურის ქვეყანაა. ქრისტიანობა საქართველოში ოფიციალურ რელიგიად მეოთხე საუკუნეში გამოცხადდა, რაც იმ ფაქტზე მეტყველებს, რომ ქრისტეს მოძღვრებას ქართველი ერი მისი განკაცების პირველივე დღეებიდან იცნობს. ქვეყნის ამგვარი ვითარება, ბუნებრივია, აისახებოდა აღზრდა-განათლების პროცესებზე. შესაბამისად, საქართველოში სწავლა-განათლებას ისტორიულად რელიგიური ხასიათი ჰქონდა. შუა საუკუნეებში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ფუნქციას ეკლესია-მონასტრები ასრულებდნენ, თუმცა, მათ გვერდით, საქართველოში არსებობდა კერძო-საოჯახო აღზრდის ტრადიციები, სადაც სწავლა-აღზრდის პროცესს სპეციალურად მოწვეული აღმზრდელი აწარმოებდა, რომელიც რელიგიურ მსოფლმხედველობის ფორმირების პარალელურად, ზრუნავდა აღსაზრდელში ეროვნულ-პატრიოტული გრძნობისა და საომარი ხელოვნების დაუფლების ფორმირებაზე. მოგვიანებით, მე-17 საუკუნიდან, ქართულ სახელმწიფოში იხსნება სასწავლო ინსტიტუტები, რომელთა შინაარსი როგორც კლასიკურ, ისე რეალურ განათლებაზე იყო დაფუძნებული, მაგრამ, ბუნებრივია, ყველა სკოლა დაფუძნებული იყო რელიგიურ მრწამსზე და ყველგან ისწავლებოდა საღვთო სჯულის საგნები. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. საბჭოთა მთავრობამ დაგმო ღმერთი, რელიგია ოპიუმად გამოაცხადა და სწავლა-განათლება ათეიზმის პრინციპზე დააფუძნა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, სახელმწიფო სკოლა მთელ მსოფლიოში საერო ხასიათისაა, თუმცა სახელმწიფო სკოლის გვერდით, ყველა სახელმწიფოში არსებობის უფლება აქვს რელიგიურ სკოლას, რომელსაც კერძო პირები ან საპატრიარქოები აფინანსებენ. ასეთივე ვითარებაა საქართველოში 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ქართველი ხალხი კვლავ შემობრუნდა რელიგიისკენ, შესაბამისად, ლოგიკურია, რომ საერო სკოლების გვერდით, არა ერთი რელიგიური სკოლა დაარსდა და ფუნქციონირებს საპატრიარქოს ხელშეწყობით თუ კერძო პირთა ინიციატივით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღემდე არ არის განსაზღვრული აღზრდის მიზანი ამ ტიპის სკოლებში, არ არის გამიჯნული მათი მისიები საერო სკოლის მისიებისაგან, ზოგიერთი მათგანის დასახელებაში ვხვდებით დეფინიციას - საერო სკოლა, საპატრიარქოს სკოლებშიც სწავლება მიმდინარეობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით. ყოველივე ეს იწვევს გაურკვევლობას საზოგადოებაში და საჭიროებს სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ ერთიანი ხედვის შემუშავებას ამ ტიპის სკოლების მიმართ. შესაბამისად, ჩვენი კვლევა აღნიშნულ ვითარებაში საჭირო და *აქტუალურია*. საქართველოში რელიგიური სკოლების კონცეფციები და რელიგიური აღზრდის მიზანი დღემდე არავის უკვლევია, ამდენად, ნაშრომის თემატიკა სიახლეს წარმოადგენს ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის. *კვლევის მიზანს წარმოადგენს* თბილისში არსებული რელიგიური სკოლების კონცეფციებისა და აღზრდის მიზნის განსაზღვრა. *კვლევის*

მეთოდებად გამოყენებულ იქნა მეორადი ინფორმაციის დამუშავება/ანალიზი, თვისებრივი კვლევა - ჩაღრმავებული ინტერვიუ. **კვლევის სამიზნე ჯგუფს** წარმოადგენდნენ თბილისის დამოუკიდებელი და საპატრიარქოსთან არსებული რელიგიური სკოლების დირექტორები. შერჩეულ იქნა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიასთან არსებული 4 სკოლა და 4 დამოუკიდებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ისწავლება საღვთო სჯული.

კვლევის ობიექტია აღზრდის მიზანი რელიგიურ სკოლებში.

ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: რელიგიურ სკოლებში აღზრდის ძირითადი მიზანი არის მოზარდის ზნეობრივი აღზრდა.

კვლევის აღწერა:

კვლევის პირველ ეტაპზე ჩავატარეთ თეორიული კვლევა, მოვიძიეთ ლიტერატურა რელიგიური აღზრდის შესახებ და ინფორმაცია თბილისის რელიგიური სკოლებისა და მათი მისიების შესახებ.

კვლევის მეორე ეტაპზე განვიხილეთ და დავამუშავეთ თითოეული სკოლის მისია კლასიკური აღზრდის მიზნიდან გამომდინარე;

კვლევის მესამე ეტაპზე მომიტებული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შევადგინეთ სავარაუდო კითხვარი, რის შედეგადაც ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ სკოლის დირექტორებთან.

ჩაღრმავებული ინტერვიუს მიზანი იყო აღზრდის მიზნის დადგენა ჩვენს მიერ შერჩეულ რელიგიური სკოლებში, სკოლების ხელმძღვანელობის დამოკიდებულების გარკვევა სკოლის მისიასთან მიმართებით, რომლის გაწერა აკრედიტაციის პროცესში მოითხოვა ყველა სასწავლებლისაგან. ასევე, გვინდოდა გავგვეკვია განსხვავება რელიგიურ სკოლასა და სხვა კერძო და სახელმწიფო სკოლებს შორის, სკოლის მისიასა და აღზრდის მიზანს შორის.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

- თბილისში არსებული რელიგიური სკოლების მიზანს წარმოადგენს განათლებული, კონკურენტუნარიანი მოქალაქის აღზრდა, რომელიც რელიგიური მსოფლმხედველობის მატარებელი იქნება. კითხვაზე - რა არის სკოლის მიზანი, სკოლის დირექტორები აღნიშნავენ, რომ სკოლის მიზანია აღზარდოს ისეთი პიროვნებები, რომლებიც იქნებიან ქრისტიანული და ტრადიციული ღირებულებების მატარებელნი და მზად იქნებიან ქრისტიანული ცხოვრებისთვის.

ამასთანავე, სკოლების ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ აღზრდის პროცესში რელიგიური საკითხების ჩართვა ხელს შეუწყობს პიროვნების ზნეობრივ ფორმირებას.

არც ერთი სკოლა არ ამზადებს ბავშვებს მომავალი რელიგიური საქმიანობისათვის.

- სკოლების დირექტორებს, სამწუხაროდ, არ აქვთ გაცნობიერებული თეორიულ-პედაგოგიკურ დონეზე აღზრდის მიზნის საკითხი ისტორიული ასპექტით - **ჰარმონიული პიროვნების აღზრდა**, და მისი შეპირისპირების პრობლემა თანამედროვეობასთან. ტერმინი ჰარმონიული აღზრდა გაჟღერდა მხოლოდ ორი სკოლის - **წმინდა გიორგის სახელობის საერო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და სკოლის „ფესვები“** დირექტორის მიერ, თუმცა მისი მნიშვნელობა მათთვისაც ძალზე აბსტრაქტული იყო.

- უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის სკოლების უმრავლესობა **პრაქტიკულ საქმიანობაში** იცავს ჰარმონიული აღზრდის მიზანსა და ამოცანებს და, მათ შორის, აქცენტს აკეთებს ზნეობრივად ჯანსაღი პიროვნების აღზრდაზე. ჩვენი აზრით, ამ გარემოებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ეს სკოლები ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმით, სადაც ჰარმონიულობის იდეა, ჩადებულია პრაქტიკულ-საგნობრივ დონეზე. მამასადაც, რელიგიურ სკოლებში აღზრდის მიზანი ემთხვევა სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ განათლების ეროვნულ მიზნებს, რომელიც, ამ თვალსაზრისით, თავად მოიცავს სერიოზულ ხარვეზებს.

- გამოკითხული სკოლების დირექტორების უმრავლესობას, ისევე როგორც საჯარო სკოლების დირექტორებს, გაცნობიერებული არ აქვს **სკოლის მისიის ცნება და როლი**, რაც თანამედროვე რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. არც ერთი სკოლის მისიაში, გარდა მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონისა, გაჟღერებული არ არის სკოლის ის კონკრეტული მიმართულება, რის გამოც უნდა გააკეთოს არჩევანი მშობელმა ამ სკოლაში შვილის შეყვანის დროს. დირექტორების უმრავლესობა მიზანსა და მისიას ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს, რაც, ვფიქრობთ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არასაკმარისი და ნაჩქარევი, ფასადური მუშაობის შედეგია ამ მიმართებით.

- რიგ შემთხვევებში სკოლის სახელწოდება არ შეესაბამება სკოლის შინაარსს, რადგან მათ ეწოდებათ **საერო დაწესებულებები** და, ამასთან, ასწავლიან **საღვთო სჯულს** და ხშირ შემთხვევაში იცავენ **რელიგიურ რიტუალებს**. საღვთო სჯულის და, ზოგადად, ნებისმიერი საგნის სწავლება კანონით დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში არსებობს მშობელთა განაცხადი წერილობითი ფორმით. ამ სკოლების შემთხვევაში ამგვარი განაცხადი არ ფიქსირდება.

- ყველა რელიგიური სკოლა კერძოა და მათზე სახელმწიფოს კონტროლი ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, ყველა სკოლა გადის სახელმწიფო აკრედიტაციას

სკოლისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად. ყველა სკოლა ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით, რომელშიც დამატებით წარმოდგენილია რელიგიური საგნები.

- საქართველოში, სახელმწიფოსა და საპატრიარქოს მიერ, დღემდე არ არის განსაზღვრული აღზრდის მიზანი რელიგიურ სკოლებში, არ არის გამიჯნული მათი მისიები საერო სკოლის მისიებისაგან, საპატრიარქოს სკოლებშიც სწავლება მიმდინარეობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით.

- სახელმწიფოს მიერ არ არის მკაცრად გამიჯნული სკოლების ეს ტიპი **არც დასახელებით, არც სტრუქტურითა და შინაარსით საჯარო და სხვა კერძო სკოლებისაგან.**

- საპატრიარქო სკოლებს ეხმარება კონცეპტუალურად და მატერიალურად, გამოყოფს გრანტებს სხვადასხვა აქტივობებისთვის, რიგი სკოლების მოსწავლეები ესწრებიან საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში გამართულ ლექცია - საუბრებს.

- ამ ტიპის სკოლის დაარსების მიზეზად სკოლების დირექტორები ასახელებენ საჯარო სკოლებში სწავლების დაბალ დონეს, რთულ მდგომარეობას სკოლის მართვის თვალსაზრისით, რაც საფრთხეს უქმნის მოზარდის დაცვას გარემოს არასწორი გავლენისაგან. ყველა რელიგიური სკოლის დირექტორი მიიჩნევს, რომ მშობლებმა შვილები მათ სკოლებში უნდა მიიყვანონ იმის გამო, რომ იქ მაღალი ხარისხის სწავლაა, ბავშვებს ქრისტიანულად ზრდიან და ჰყავთ ძლიერი პედაგოგები, რელიგიურ სკოლებში ბავშვები სწავლობენ ჯანსაღ ურთიერთობებს და დამოკიდებულებებს ადამიანებთან, რელიგიური სკოლები საზოგადოებას სთავაზობენ ბავშვის ზნეობრივად ჩამოყალიბებას.

ყოველივე ეს იწვევს გაურკვევლობას საზოგადოებაში ამ სკოლებთან დაკავშირებით და საჭიროებს სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ ერთიანი ხედვის შემუშავებას ამ ტიპის სკოლების მიმართ.

ლიტერატურა:

1. გ. სიხარულიძე, ს. სიგუა, დ. ლორთქიფანიძე და სხვანი, *ქართული პედაგოგიკის ისტორია*, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974.

2. ი. ბასილაძე, *ქრისტიანული პედაგოგიკის საგანი, ამოცანები, პრინციპები და მეთოდები*, ქუთაისი, 2010.

3. История педагогики и образования, под редакцией А. И. Пискунова, Москва, 2004

www.Ardzani.ge

www.Bagratiioni-liceumi.ge

www.Fesvebi.edu.ge

www.Gimnazia-shavnabada.ge

www.Iliamartali.com

www.Khanzteli.edu.ge

www.Mefetamari.ge

www.Mtatsmindelebi.ge

PURPOSES OF UPBRINGING AT RELIGIOUS SCHOOLS

Ketevan Chkuaseli, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor
Ketevan Khabazishvili, MA degree in Educational Sciences
RESUME

Christianity has played an important role for Georgians since 4th century. Indeed, Christianity influenced greatly education and upbringing in Georgia. However, during the Soviet times, the religion was banished from schools. Only in 1990s, it was again possible to open religious schools along with public, secular ones. It must be noted, that, in Georgia, the missions of religious schools are not well-defined and there is no sharp distinction between the missions of religious and public/secular schools. At schools that are functioning under the Patriarchate of Georgia, the teaching processes follow the national educational plan which is defined by the state. The confusion related to the issue should be addressed by the state and Patriarchate and the common view for a better solution should be adopted and implemented. According to the above-mentioned, the research done in this paper is *important* and interesting. Up to that moment, a comprehensive research of the idea of religious schools in Georgia has not been conducted, therefore the data gathered and analysed in this paper will introduce certain novelties. **Research aim is to** define the concepts and missions at the religious schools in Tbilisi. **Research Methods:** Analysing primary data, gathered via in-depth interviews, analysing secondary data. **Target group of the research:** Directors of the independent religious schools and religious schools belonging to the Patriarchate. **Results of the Research:** The research shows, that there are no strictly religious schools in Georgia. In addition, some schools are regular secular schools but they teach religion and follow religious rituals during the teaching and learning processes. The study demonstrates that in these schools main objective is to create a harmonious environment for upbringing of people of higher moral awareness.

საატესტატო გამოსაშვები გამოცდების პრობლემური საკითხების კვლევისათვის

იფემია ხარაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ასისტენტ პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: ephemia.kharadze@tsu.ge

ნინო ნინოშვილი, თავდაცვის ეროვნული აკადემია, ინგლისური ენის მასწავლებელი, განათლების მეცნიერებების მაგისტრი

E-mail: ninoshvilinino@mail.ru

ბოლო წლების განმავლობაში განათლების სისტემაში მიმდინარეობს ძირეული ცვლილებები. შეიქმნა სისტემის მართვის ახალი სტრუქტურული მოდელი, რომლის მიზანია, უზრუნველყოს განათლების სფეროში შემავალი ერთეულების ავტონომიურობის გაზრდა, სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება და, შედეგად, განათლების სერვისის ხარისხის გაუმჯობესება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებისათვის. განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული სასკოლო საატესტატო გამოცდები ერთ-ერთი ცვლილებაა სისტემაში, რომელიც, თავის მხრივ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მიღებული ცოდნის ინდიკატორს უნდა წარმოადგენდეს. საატესტატო-გამოსაშვები გამოცდები საქართველოში CAT - ის სისტემით 2011 წლიდან ტარდება (გამოსაშვები გამოცდები, ელ. მასალები). ტესტი თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზეა მორგებული და გამორიცხავს ვარიანტების დამთხვევას, სხვანაირად რომ ვთქვათ, ტესტის იმდენი ვარიანტი არსებობს, რამდენი მოსწავლეც აბარებს გამოცდას. მოსწავლეები რვა საგანს აბარებენ (გამოსაშვები გამოცდების ახალი მოდელი, ელ. მასალები). CAT-ის სისტემით გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მთელი საქართველოს მასშტაბით წარმატებით ჩაატარა გამოცდები ორი წლის მანძილზე, გამონაკლისი აღმოჩნდა 2013 წლის ზაფხული. წელს გამოცდები სკოლებმა ჩაატარეს. გამოცდებს სააუდიტორიო სახე ჰქონდა, წინა წლებისაგან განსხვავებით, ტესტების შინაარსს თავად სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფდნენ (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 2012-2013 სასწავლო წელს სკოლის გამოსაშვები გამოცდების 4+4 მოდელი, ელ. მასალები). აღნიშნულმა საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია როგორც საგანმანათლებლო წრეებში, ასევე საზოგადოებაში. ამდენად, **აქტუალურად მივიჩნით და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზნად დავისახეთ** როგორც ზოგადად საატესტატო გამოცდების, ასევე 2012-2013 სასწ. წლის გამოსაშვები გამოცდების ზოგიერთი პრობლემური საკითხის ანალიზი. იმედს გამოვთქვამთ, რომ მათი გათვალისწინება გამოსადეგი აღმოჩნდება სამომავლოდ გამოცდების ორგანიზებისათვის.

რესპონდენტთა ჯგუფები დაკომპლექტდა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისგან, მასწავლებლებისგან და საჯარო სკოლის დირექტორებისგან. რესპონდენტთა თითოეული ჯგუფისთვის განისაზღვრა ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარის განსხვავებული ფორმა, გამომდინარე იქიდან, თუ რა პრობლემის შესახებ უნდა გვესაუბრა მათთან და მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით, რა შედეგზე გვსურდა გასვლა. კითხვარი, ძირითადად, დახურული ფორმატის იყო (სავარაუდო პასუხები - „დიახ“, „არა“), დაცული იყო ანონიმურობა. საერთო მდგომარეობის შეფასებაში კი დაგვეხმარა **რაოდენობრივი (დესკრიპტიული) და თვისობრივი კვლევის მეთოდები, ჩალრმავებული ინტერვიუ**. შეკითხვების შინაარსი განისაზღვრა საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებული ისეთი პრობლემური საკითხებით, როგორიცაა:

1. საშუალო სკოლაში მიღებული და გამოცდებზე მოთხოვნილი ცოდნის შესაბამისობა;
2. რეპეტიტორობის ინსტიტუტი;
3. გამოცდების ჩატარება ცენტრალიზებულად, თუ სკოლის მიერ;
4. საგნობრივი კათედრების მიერ შედგენილი ტესტების სტანდარტებთან შესაბამისობა.

გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს 3 რეგიონში: თბილისში (10 საჯარო სკოლა), შიდა ქართლში (10 საჯარო სკოლა) და რაჭა-ლეჩხუმში (6 საჯარო სკოლა), რომლებიც შეირჩა შემდეგი პრინციპით: რეგიონები, სადაც აქტიურად ხდება ყველა სიახლის გაცნობა (იქნება ეს ინფორმაციული, მეთოდოლოგიური თუ სხვ.) გამომდინარე მათი გეოგრაფიული მდებარეობიდან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სიმრავლიდან და რეგიონები, სადაც ნაკლებად ხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან უშუალო შეხვედრები, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მცირე კონტინგენტიდან გამომდინარე, ნაკლებად მიმდინარეობს სკოლის მუშაობის, ფუნქციონირების მექანიზმების სისტემატური შემოწმება და კონტროლი.

რესპონდენტთა სხვადასხვა ჯგუფის გამოკითხვამ აჩვენა ის შედეგები, რომლებზეც ვაპირებთ ყურადღების გამახვილებას. სასკოლო-საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებული ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია სკოლაში მიღებული და გამოცდებზე მოთხოვნილი ცოდნის შესაბამისობა, რაზეც ყველა რეგიონში, ყოველი 10 მოსწავლიდან 8 პასუხობდა, რომ სკოლაში მიღებული ცოდნის დონე არ არის საკმარისი საატესტატო ან მისაღები გამოცდების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პასუხების დეტალიზაციის მიზნით მათთან ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული პრობლემის მიზეზად მოსწავლეები მიიჩნევენ შემთხვევებს, როცა ამა თუ იმ დისციპლინაში მასწავლებლები ვერ ასწრებენ სახელმძღვანელოში მოცემული ყველა თემის მიწოდებას სემესტრის განმავლობაში. ტესტებში კი მოსწავლეებს, ბუნებრივია, მოეთხოვებათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალა, რასაც მივყავართ მომდევნო პრობლემურ საკითხთან – ისინი იძულებულნი ხდებიან დამატებით მოემზადონ კერძო მასწავლებლებთან. რეპეტიტორობის ინსტიტუტთან დაკავშირებული რეალობა კი ასეთია: გამოკითხული მოსწავლეების 100% ემზადება კერძო მასწავლებელთან, ამასთან, სხვადასხვა მიზნით: არის კატეგორია, რომელსაც საატესტატო გამოცდების ამა თუ იმ საგანში უნდა მომზადება, არის კატეგორია, რომელიც თვლის, რომ სკოლის ტესტს გაართმევს თავს და ეროვნული გამოცდების დასაძლევად ესაჭიროება დახმარება და არის კატეგორია, რომელიც როგორც საატესტატო, ასევე ეროვნული გამოცდების ჩაბარების მიზნით ემზადება რეპეტიტორთან. გამოკითხული მოსწავლეებიდან არავინ აღმოჩნდა, ვინც მომზადების გარეშე, მხოლოდ საშუალო სკოლაში მიღებული ცოდნით აპირებდა გამოცდების ჩაბარებას.

უცხოურ მოდელებს თუ დავაკვირდებით, მოსწავლეების მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის მხოლოდ ძვირადღირებული სახელმძღვანელოები და ინფრასტრუქტურა არაა საკმარისი. დიდი კაპიტალი იდება მასწავლებლის განათლებაში. ავიღოთ თუნდაც ფინეთის მაგალითი, სადაც მასწავლებლის სტატუსი ერთ-ერთი საპატიოა ქვეყანაში, მაღალია ანაზღაურება და შესაბამისად, მოტივაცია (როგორ აღწევენ ფინელები წარმატებას განათლებაში, ელ. მასალები). საქართველოში არსებული მდგომარეობა ცალსახად განსხვავებულია, თუმცა კითხვებს ბადებს საატესტატო გამოცდებში ჩაჭრილთა მცირე რაოდენობა. ჩვენი მოსაზრებით, სავარაუდო მიზეზებად შეიძლება დასახელდეს, ერთი მხრივ, რეპეტიტორობის ინსტიტუტი, ხოლო, მეორე მხრივ, საგამოცდო ტესტების შედგენის სანდოობა, უფრო თუ დავაზუსტებთ, რამდენად ადეკვატურად გამოხატავს მოსწავლის მიერ ამა თუ იმ დისციპლინაში მიღებულ ცოდნას საატესტატო ტესტი, უნდა მივიჩნიოთ თუ არა იგი საშუალო სკოლაში მიღებული ცოდნის ინდიკატორად, მით უმეტეს, რომ წელს გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების პრეროგატივა სკოლებს გადაეცა. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას მივდივართ გამოსაშვები გამოცდების კიდევ ერთ პრობლემურ საკითხთან, გამოცდების ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებთან, ორგანიზატორ მხარეებთან. როგორც აღვნიშნეთ, წელს გამოსაშვები გამოცდების ჩატარებას გამოცდების ეროვნული ცენტრი არ ხელმძღვანელობს, ტესტების შედგენაზე, მათ შინაარსობრივ მხარესა და სტილზე ზრუნვა სკოლის საგნობრივ კათედრებს დაევა. შესაბამისად, კვლევის დროს დავინტერესდით, რამდენად კომპეტენტურნი არიან აღნიშნული კათედრები ასეთი საპასუხისმგებლო მისიისათვის თავის გასართმევად, მიმდინარეობს თუ არა საგნობრივი კათედრების გადამზადება (გადამზადებაში იგულისხმება თანამედროვე ტექნოლოგიებთან, მეთოდოლოგიებთან გაცნობა და პრაქტიკაში გამოყენების დანერგვა, ცოდნის შემოწმებისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობიერება და არსებული სტანდარტების შესწავლა), რათა დავრწმუნებულიყავით ამ პროცესისათვის მათ მზაობაში, იმაში, თუ რამდენად კვალიფიციურად წარიმართებოდა საგამოცდო ტესტების შედგენა. საჯარო სკოლების გამოკითხულ მასწავლებელთა 70%-მა უარყოფითი პასუხი დააფიქსირა. გამოკითხვის შედეგმა აჩვენა, რომ არ არსებობს საგნობრივი კათედრების საქმიანობის კონტროლის არანაირი ფორმა, არ მოწმდება ტესტების სტანდარტებთან შესაბამისობა, არ ხდება იმის კვლევა, თუ რამდენად ასახავს იგი მოსწავლის მიერ შეძენილი ცოდნის დონეს და, შესაბამისად, კორელაციაშია თუ არა ტესტის სირთულე მის შესაძლებლობებთან. შედეგად, სკოლის ატესტატს იღებს თანაბრად როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, ისევე ყველა ის მოსწავლე, რომელსაც დაბალი აკადემიური მოსწრება ჰქონდა სკოლაში, მაგრამ „იოლი“ ტესტი შეხვდა გამოცდაზე. აქ ირღვევა სამართლიანობის პრინციპი და, შესაბამისად, დგება საკითხი, რამდენად არის სკოლა მზად თავის თავზე აიღოს ასეთი პასუხისმგებლობა, შეუძლია თუ არა მას სტანდარტებთან და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი საგამოცდო პროცესის წარმართვა, ვის მიერ უნდა ჩატარდეს საატესტატო გამოცდები. ჩვენი მოსაზრებით, უმჯობესია გამოცდების ჩატარებასა და საყოველთაო, კვალიფიციურად შედგენილი ტესტებით უზრუნველყოფას ისევ გამოცდების ეროვნული ცენტრი კურირებდეს. ამ საკითხს კითხვარებშიც შევეხეთ. შეკითხვა დაფუძვით მოსწავლეებს, მასწავლებლებს, დირექტორებს და ინტერვიუ ჩამოვართვით გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, მათ გაბუნინას. კითხვაზე, ცენტრალიზებულად, საგამოცდო ცენტრის მიერ უნდა ჩატარდეს, თუ სკოლები უნდა

ხელმძღვანელობდნენ გამოსაშვები გამოცდების ორგანიზაციას, ქალბატონი მაიასაგან ასეთი პასუხი მივიღეთ: „რა თქმა უნდა, უნდა ჩატარდეს ცენტრალიზებულად, გამოცდების ცენტრის მიერ. მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ამ შემთხვევაში, დაცული იქნება ობიექტურობა, გამჭვირვალობა და, რა თქმა უნდა, სანდოობა“. რაც შეეხება მოსწავლეების, მასწავლებლებისა და დირექტორების გამოკითხვას, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: მოსწავლეების 80%-მა უპირატესობა სკოლის მიერ ორგანიზებულ გამოცდებს მიანიჭა, 20%-მა კი – ცენტრალიზებულად ჩატარებულს. დაახლოებით ანალოგიური სურათია როგორც თბილისის (მასწავლებლები – 76%, დირექტორები – 78%), ასევე რეგიონული სკოლების (მასწავლებლები – 82%, დირექტორები – 80%) მასწავლებლებისა და დირექტორების მიერ მოწოდებულ პასუხებშიც. კვლევის ანალიზის საფუძველზე, მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების ახსნა სიძნელეს არ წარმოადგენს, ვინაიდან მოზარდს ყოველთვის ურჩევნია აირჩიოს მარტივი გზა – მიიღოს ტესტის იოლი ფორმა, გამოცდა ტარდებოდეს ნაკლებად კონტროლირებად გარემოში, რაც, საბოლოო ჯამში, მაღალი ქულის გარანტიაა. მასწავლებლებისა და დირექტორების გამოკითხვამ კი საფუძველი მოგვცა ჩამავებული ინტერვიუ აგველო, რაც ყველა მათგანთან ვერ მოხერხდა, მაგრამ შეჯამებულად პასუხები ასე გამოიყურება: მასწავლებლები თვლიან, რომ მათ უკეთ იციან შესაბამისი დისციპლინის სწავლების სპეციფიკა, საკუთარი ხარვეზები და ძლიერი მხარეები და, ყოველივე ამის გათვალისწინებით, დგება მათ მოსწავლეებზე ადაპტირებული ტესტები სკოლის საგნობრივი კათედრების მიერ. რაც შეეხება სკოლის დირექტორებს, ისინი ნდობას გამოთქვამენ საგნობრივი კათედრების მიმართ და, ამდენად, მოსწავლეზე მორგებულად მიაჩნიათ მათ მიერ შედგენილი ტესტები. ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ რესპონდენტთა გულწრფელობაში, მაგრამ თავს უფლებას მივცემთ, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ სკოლის ხელმძღვანელებსაც და მასწავლებლებსაც, გარდა გამოთქმული მოსაზრებებისა, საატესტატო გამოცდების არაცენტრალიზებულად ჩატარების შემთხვევაში, ხელთ უპყრიათ სადავეები მათი სკოლების ერთიანი აკადემიური წარმატებების უფრო ეფექტურად წარმოჩინების თვალსაზრისით. ამასთან, ამავე მიზეზის გამო, ირღვევა ობიექტურობის პრინციპი მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნის შეფასების ჭრილშიც, ვინაიდან, რაც არ უნდა კვალიფიციური იყოს ამა თუ იმ სკოლის საგნობრივი კათედრის წევრების მიერ შედგენილი ტესტური დავალებები, ისინი მაინც იმ სუბიექტური ნიშნისა და კურსის მატარებელნი რჩებიან, რასაც ადგას კონკრეტული რეგიონის სკოლისა თუ კათედრის პერსონალი და მასწავლებლები.

ბუნებრივია, ჩატარებული კვლევის მასშტაბი და მოცულობა არც თუ დიდია, მაგრამ საკმარის საფუძველს იძლევა ზოგად სიტუაციაზე მსჯელობისათვის დასმულ საკითხთან მიმართებაში. საატესტატო გამოცდების მზადებასთან დაკავშირებულ ყველა ზემოთ განხილულ საკითხს თუ შევაჯამებთ, ნათლად დავინახავთ, რომ იგი წელს ბევრი ხარვეზით მიმდინარეობდა საქართველოში, მისი გარეგნული და შინაარსობრივი მახასიათებლების ჩათვლით, თუმცა, მეორე მხრივ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ფაქტი, რომ ახალი ტიპის საატესტატო გამოცდები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს და „აიძულებს“ მოახდინონ ცოდნის, შესაძლებლობების მობილიზება, ამაღლდეს სკოლის სტატუსი, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთ პრობლემურ საკითხად რჩება საქართველოში. ყოველივე ამის გათვალისწინება კი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია სამომავლოდ საატესტატო გამოსაშვები გამოცდების ორგანიზების პროცესის წარმატებით წარმართვისათვის.

ლიტერატურა:

1. გამოსაშვები გამოცდები, <http://ka.wikipedia.org/wiki/>;
2. გამოსაშვები გამოცდების ახალი მოდელი, <http://www.tabula.ge/ge/story/62463-gamosashvebi-gamocdebis-axali-modeli>;
3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 2012-2013 სასწავლო წელს სკოლის გამოსაშვები გამოცდების 4+4 მოდელი, <http://pirweli.com.ge/index.php?menuid=25&id=24797>;
4. როგორ აღწევინოთ ფინელები წარმატებას განათლებაში, http://www.google.ge/webhp?source=search_app&gws_rd=cr#bav=on.2,or.&fp=dc01708e4d4b3

THE RESEARCH OF THE PROBLEMATIC ISSUES CONNECTED WITH FINAL CERTIFICATE EXAMINATIONS

Ephemia Kharadze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Humanitarian Faculty, Assistant Professor of Pedagogical Research Institute, PHD in Pedagogical Science

Nino Ninoshvili, National Defense Academy, English Language Teacher, MA in Educational Sciences

SUMMARY

In the recent years, there are basic changes in the educational system. Final examinations at schools, one of the important changes, implemented by the Ministry of Education and Science of Georgia, should be the indicator of the knowledge, gained at school. Accordingly, our goal was to discuss the problematic issues of the final certificate exams and also the final exams at schools, in 2012-2013 years. These questions are: the adequacy of the knowledge, given by the school and exam standards, the tutor institute, exams, organized by schools, or by the National Examinations Center, the adequacy of the tests, given by subject department of school and tests standards.

After summing up all the issues, connected with the process of preparation of the final certificate examinations, it is obvious, that despite many visual and conceptual gaps, the final exams "forced" the pupils to mobilize their erudition and skills and heightened the status of public school in Georgia, which, itself, still remains one of the problematic questions.

CHARACTERISTICS OF ADULT LEARNERS

Nona Khmiadashvili, Gori State Teaching University, Specialist by contract

E-mail: khmiadashvilinona@rambler.ru

INTRODUCTION

The theories of lifelong education and of life-span development may have been the most important theoretical contributions to adult education in recent years. We now know that not only children can learn. In a man's life-span there is no division between a period of learning and application of what has been learned earlier. Learning and application are interwoven, both continue and both reinforce each other. However, the ways adults learn is different from the way learn. What does it mean to be an adult learner? What are the characteristics of an adult learner? Education of children is compulsory, formal and standardized. Adult learning is voluntary and intentional. The aim of adult education is the independent self-directed learner. Adults tend to resist a learning process which is incongruent with their self-concept as autonomous individuals and does not correspond to their needs and interests (J. Muller, 2004). Since there is no single of what an adult learner is, there can be no universal statements about what characterizes all about learners. However it is possible to describe some general attributes. Adult students are engaged in multiple roles which impact both time and energy they can devote to their role as student. Unlike many younger students college is not a full-time occupation. Instead it is often a secondary role to that of being a parent, a spouse, an employee and /or a community leader. Adults have more life experiences to the classroom than the younger student. These experiences can be a double-edged sword. Frequently their experiences provide a rich resource for learning and a foundation upon which to build new knowledge enabling adult students to apply what they are learning in class to their own experiences (Cheryl J, Polson, 1993).

During the last 10–15 years, learning has become a key topic, not only for professionals and students in the areas of psychology, pedagogy and education but also in political and economic contexts. Knowledge of adult learning theory can provide a basis for effective practice. Presented here are several theoretical approaches to adult learning. Learning is a very complex matter, and there is no generally accepted definition of the concept. On the contrary, a great number of more-or-less special theories of learning are constantly being developed, some of them referring back to more traditional understandings, others trying to explore new possibilities and ways of thinking. It is also worth noting that whereas learning traditionally has been understood mainly as the acquisition of knowledge and skills, today the concept covers a much larger field that includes emotional, social and societal dimensions. For example, learning sometimes takes on the nature of competence development, which has to do with the ability to manage different existing and future challenges in working life and many other fields of practice. Since the last decades of the nineteenth century, many theories and understandings of learning have been launched. They have had different angles, different epistemological platforms and a very different content. Some of them have been overtaken by new knowledge and new standards, but in general we have today a picture of a great variety of learning theoretical approaches and constructions, which are more-or-less compatible and more-or-less competitive on the global academic market. The basic idea of the approach to learning presented in this chapter is to build on a wide selection of the best of these constructions, add new insights and perspectives and in this way develop an

overall understanding or framework, which can offer a general and up-to-date overview of the field (Knud Illeris, 2009). Knowledge of adult learning theory can provide a basis for effective practice. Presented here are several theoretical approaches to adult learning. One of the most commonly applied frameworks of adult learning is andragogy, described as the art and science of helping adults learn (Knowles and Associates, 1984). Malcolm Knowles commonly is credited with bringing this term to the attention of American adult educators during the late 1960s and 1970s (Merriam, 2001). Knowles was first who proposed a set of four assumptions about adult learners and contrasted this theoretical framework with that of pedagogy, the art and science of teaching children (Knowles, 1980). Later, he and colleagues added fifth assumption (Knowles and Associates, 1984). Knowles described the andragogical process as consisting of elements aimed at establishing a suitable physical and psychological climate for learning (mutual respect, collaborativeness, supportiveness, openness, and fun) and involving adult learners in mutual planning (Knowles and Associates, 1984). The learning contract was promoted as a tool for assisting adult learners to exercise self-direction through personally identifying goals, resources, implementations, and means of evaluating their learning (Knowles, 1975). Andragogy sustained considerable critique during the 1980s and 1990s; yet, scholars taking a retrospective look note its undeniable effect on adult education practice (Pratt, 1993; Merriam, 2001). Self-directed Learning - Even as self-direction in learning was emerging as one of the most challenged assumptions within andragogy, a distinct body of theory and research on self-directed learning (SDL) was evolving.

Transformative Learning

For those who question whether either andragogy or SDL theory represents a learning theory that is uniquely adult, transformative learning theory, proposed and revised most prominently by Jack Mezirow (2000), offers an appealing alternative. This theory grew out of Mezirow's research with reentry women in higher education. He offers the following definition of transformative learning: "Transformative learning refers to the process by which we transform our taken-for-granted frames of reference (meaning perspectives, habits of mind, mind-sets) to make them more inclusive, discriminating, open, emotionally capable of change, and reflective so that they may generate beliefs and opinions that will prove more true or justified to guide action" (Mezirow, 2000, pp. 7-8.) (Jovita M. Ross-Gordon, 2003).

Any theory of learning must answer at least four central questions: (1) Who are the subjects of learning – how are they defined and located? (2) Why do they learn – what makes them make the effort? (3) What do they learn – what are the contents and outcomes of learning? (4) How do they learn – what are the key actions of processes of learning? (Y. ENGESTRO - 2001)

Adults generally desire to take more control over their learning than youth. Adults tend to be self-directed in their lives, although responsibilities with jobs, families, and other organizations can remove a degree of their freedom to act. Adulthood brings an increasing sense of the need to take responsibility for our lives and adults strongly resent it when others take away their rights to choose. This fact is clearly seen in educational efforts among adults. When not given some control over their learning, most adults will resist learning and some will even attempt to sabotage education efforts. They do not like being relegated to a "passive" position. Adults draw upon their experiences as a resource in their learning efforts more than youth. The adult's experience is a key resource in any learning effort. Adults have a greater reservoir of life experiences simply because they have lived longer and seen and done more. This is a critical distinction between adults and traditional learners. Consciously or unconsciously, adults tend to link any new learning to their prior learning, a body of knowledge that is rooted in their life experiences. They evaluate the validity of new ideas and concepts in light of how the idea or concept "fits" their experience. - Adult tends to be more motivated in learning situations than youth. Higher motivation is linked to the fact that most adult learning is voluntary. Adults are making personal choices to attend schooling, even when such schooling is tied to professional development or job skills. Whenever an individual is able to choose to learn, s/he is much more motivated to learn. - Adults are more pragmatic in learning than youth. Adults are particularly motivated to learn information that seems immediately applicable to their situation and needs. They tend to be frustrated with "theory" that needs to be stored away for future use or learning for the sake of learning. Certainly there are exceptions to this principle, but the percentage of exceptions is quite low. In contrast to Youth, the learner role is secondary for adults for most adults; the "student" role is a minor and secondary role. This is in sharp contrast to traditional age learners for whom the learner role is both their primary social role and the main basis for their self-identity. Adults fulfill multiple roles and these multiple roles inevitably create conflicting and competing demands on the adult learner. Multiple roles will cause most adults to have far less time and energy to read, study, or learn. - Adults must fit their learning into life's "Margins" adult roles take energy and time to fulfill. Everyone faces the reality that there are limits on their energy and time. An important principle to understand is that learning takes time and energy. If an adult is going to undertake a learning activity, s/he must realistically evaluate his/her life and see there is actually room for the added demands of the learning. Adult learners must learn to carve out some margin in their lives to allow learning to occur, a process of priority setting. If the existing demands on an adult require all the energy they possess, then the learning will be compromised. - Many adults lack confidence in their learning many adults have had somewhat negative learning experiences in their traditional schooling. For a variety of reasons, they feel inadequate when comes to learning through formal educational programs. Still other adults, who may have done well in their earlier schooling, still lack confidence for further schooling efforts due to what they perceive as rusty study skills, poor reading skills, test anxiety, or other such learning barriers. Adults are more resistant to change than youth. Learning often involves changes in our attitudes or actions. Adults tend to be somewhat resistant to such changes because life itself

teaches us that change is not always for the better and that many of the outcomes of change are unpredictable. Youth tend to be more idealistic and are often open to change just for the sake of change.

Adults are more diverse than youth. Adults vary from each other as learners in terms of age and experiences much more than traditional age learners. Such differences can be used as a powerful resource for adult learning. Through collaboration in small groups, adults can benefit from their variety of experiences. Dialogue with other adults enables adult learners to perceive more nuances of application, and possible problems with new concepts, then could ever be gained from private reflection. - Adults must compensate for aging in learning. Aging brings with it a number of physical complications that can impact on adult learning efforts. The percentage of such complications increases with age. As we will see later, such complications are not really due to intelligence. Although the speed of learning tends to decrease with age, the depth of learning tends to increase. In other words, adults tend to learn less rapidly with age, but what they learn is learned at a deeper and more integrative level. As adults age, vision and hearing can also create barriers in educational programs. As adult educators, we must pay much more attention to sound and lighting when dealing with adult learners. (Dr. Gary Kuhne, 2008).

Adult students are mature people and prefer to be treated as such. They learn best in a democratic, participatory, and collaborative environment. They need to be actively involved in determining how and what they learn and they need active rather than passive learning experiences. They are self-reliant learners and prefer to work at their own pace. Adults have needs which are concrete and immediate. They tend to be impatient unless they see that information can be applied to practical problems. They are task or problem-centered rather than subject centered. This doesn't mean they are not interested in subject area, but their learning is not complete until it is expressed in appropriate action. Adults are more impatient in the pursuit of learning objectives. They are less tolerant of "busy work" that does not have immediate and direct application to their objectives. If it is not relevant to their needs, then they aren't very interested. Adults have useful past experience. They are more realistic and have insights about what is likely to work and what is not. They are more readily able to relate new facts to past experiences. Adults enjoy having their talents and information used in a teaching situation. They bring their own experiences and knowledge into the classroom. They like the type of learning that gives them practical activities that build on their prior skills and knowledge. Adults are intrinsically motivated. They are motivated by internal incentives and curiosity, rather than external rewards. They are also motivated by the usefulness of the material to be learned and learn better when material is related to their own needs and interests. Adults are sometimes fatigued when they attend classes. They appreciate any teaching devices that add interest and a sense of liveliness, a variety of methods, audiovisual aids, a change of pace and sense of humor - anything that makes the learning process easier.

Conclusion

There are at least three ways in which all of these approaches are contributing to our understanding of adult learning. The learner is more than cognitive machine processing information. H/he comes with a mind, memories, conscious and subconscious worlds, emotions, imagination, and a physical body, all of which can interact with new learning. The learning process is much more than the systematic acquisition and storage of information. It is also making sense of our lives, transforming not just what we learn but the way we learn. And it is absorbing, imagining, intuiting, and learning informally with others. Finally, the context in which learning occurs has taken on greater importance. Not only can we see learning as situated in a particular context but we can examine how race, class, gender, power and oppression. And conceptions of knowledge and truth shape the context in the first place and subsequently the learning that occurs. Indeed, as in the past, new developments in adult learning theory are contributing to a more comprehensive understanding of adult learning, an understanding that is both dynamic and changing. (Sharan B. Merriam, 2001)

REFERENCES:

1. Muller, J, *Adult Education; How Adults Learn*, 2004
2. Cheryl J. Polson, *Teaching Adult Students*, 1993
3. Knud Illeris, *Contemporary Theories of Learning*, 2009
4. Jovita M. Ross-Gordon, *Adult Learners in the Classroom*, 2003
5. Dr. Gary Kuhne, *Introduction to Adult Education*, 2008
6. Sharan B. Merriam, *Pillars of Adult Learning Theory*, 2001

ABSTRACT

The basic idea of the approach to learning presented in this article is to build on a wide selection of the best of these constructions, add new insights and perspectives and in this way develop an overall understanding or framework, which can offer a general and up-to-date overview of the field (Knud Illeris, 2009). Knowledge of adult learning theory can provide a basis for effective practice. Presented here are several theoretical approaches to adult learning. One of the most commonly applied frameworks of adult learning is andragogy, the theory that holds a set of assumptions about how adults learn. For most adults, the "student" role is a minor and secondary role. This is in sharp contrast to traditional age learners for whom the learner role is both their primary social role and the main basis for their self-identity. Adults fulfill multiple roles and these multiple roles inevitably create conflicting and competing demands on the adult learner. Multiple roles will cause most adults to have far less time and energy to read, study, or learn.

„უინტერესო“ ნაწარმოებებით მოსწავლეთა დაინტერესებისათვის

ირმა ხუნდაძე, შპს „ივერიონი“, პედაგოგი
E-mail: Irma.khundadze@gmail.com

ხშირად, სწავლების პროცესში დამწყები და არა მარტო დამწყები პედაგოგების წინაშე, თითქოს, გადაუჭრელ პრობლემად ისახება მოსწავლეთა დაინტერესება სასწავლო პროცესით. ხანდახან მასწავლებლები მძაფრად განიცდიან ამგვარ წინააღმდეგობებს და მიიჩნევენ, რომ ზოგიერთ მოსწავლეს ვერანაირი მცდელობით ვერ გაუღვივებ ცოდნის მიღების სურვილს. ამგვარ შემთხვევებში მნიშვნელოვანია კოლეგათა თანამშრომლობა და ერთობლივი ძალისხმევა სასწავლო პროცესით მოსწავლეთა დაინტერესებისათვის.

ერთი კონკრეტული მაგალითის საფუძველზე წარმოვადგენთ, როგორ აღმოიფხვრა ამგვარი პრობლემა ერთ-ერთ კერძო სკოლაში. ამასთანავე, ვითარებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული კლას-კომპლექტი, რომელთან მუშაობაც მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩნდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა შედეგების კვლევა არის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა მიღწევათა კოეფიციენტის ზრდისთვის. ყველასთვის ცნობილია, რომ იმ ქვეყნებში, რომლებშიც სისტემატურად იკვლევენ, აფასებენ და ზომავენ სწავლის შედეგებს, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების დონე ძალიან მაღალია. სწორედ ამ გზით შევეცადეთ წავსულიყავით:

VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის წინაშე დადგა ასეთი პრობლემა: მოსწავლეებმა უარი განაცხადეს ილია ჭავჭავაძის ლექსის „ჩემო კალამო“ შესწავლაზე და მთელი გაკვეთილის განმავლობაში იმაზე კამათობდნენ, რომ ილიას ნაწარმოებები უინტერესოა და ძნელად გასაგები. პედაგოგმა დახმარებისათვის კოლეგებს მიმართა. ეს საკითხი განვიხილეთ კათედრაზე და გადაწყვიტეთ, ჩამოგვეყალიბებინა ე. წ. კლას-კომპლექტი VI და VIII კლასების ბაზაზე. ამაში ხელი შეგვიწყო იმ ფაქტორმაც, რომ სკოლა კერძოა და თითოეულ ჯგუფში არც თუ ისე ბევრი მოსწავლეა.

ჩვენი მიზანი იყო მოსწავლეები, პირველ რიგში, როგორმე გასცნობოდნენ ტექსტს, ემსჯელათ მის შესახებ და გაეანალიზებინათ, წერილობით გადმოეცათ საკუთარი თვალსაზრისი.

მერვეკლასელთა გაერთიანებამ კლას-კომპლექტში, შესამჩნევი გახადა, რომ შეექმნათ გარკვეული მოლოდინი და განეწყვენ რაღაც ახლის მისაღებად.

მოტივაციისათვის დაფაზე გამოიკრა ფორმატი ილიას ლექსიდან ამოღებული ფრაზებით: „ჩემო კალამო“; „რად გვინდა ტაში“; „ჩემზედ ამბობენ“; „ბრიყვნი ამბობენ“. ვთხოვეთ მოსწავლეებს ამოერჩიათ ფრაზა და შვიდი წუთის განმავლობაში, ამ ფრაზასთან დაკავშირებით, რაც მოუვიდოდათ აზრად ხელაუღებელი ეწერათ. გამოითქვა პროტესტი, რომ წერა სულაც არ ეხალისებოდათ და არც არაფერი ახსენდებოდათ. მასწავლებელმა მიანიშნა, რომ შეუძლიათ არ მიიღონ მონაწილეობა გაკვეთილის ამ ეტაპზე, სურვილის მიხედვით ჩაერთონ სხვა ეტაპებზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მათ დააკლდებათ წინასწარ განსაზღვრული ქულები და იქვე მიანიშნა კლასში წინასწარ გამოკრულ შეფასების სქემაზე, რომელზეც დეტალურად იყო მოცემული, რა აქტივობისთვის რა შეფასება შეიძლება დაიმსახუროს მოსწავლემ. თუკი არც ერთ აქტივობაში არ მიიღებს მონაწილეობას, მას ავტომატურად დაეწერება უდაბლესი შეფასება. შეფასების სქემა ამგვარი სახით იყო წარმოდგენილი:

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ 15 მოსწავლიდან 5-მა თხზულების თემად აირჩია „რად გვინდა ტაში“, მხოლოდ 3-მა - „ჩემზედ ამბობენ“, 5-მა „ჩემო კალამო“, ხოლო „ბრიყვნი ამბობენ“ არც ერთს არ დაუწერია. საერთოდ არ იმუშავა 2-მა მოსწავლემ. ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ სწორედ იმ მოსწავლეებმა იმუშავეს დიდი მონდომებითა და საკუთარი ნაწერის პრეზენტაციაც მოითხოვეს, რომლებიც ყველაზე მეტად აპროტესტებდნენ. საერთოდ, ამ წერამ საინტერესო დეტალებზე დაკვირვების საშუალება მოგვცა:

1. მართალია, ხელაუღებელი წერის დროს გრამატიკულ, პუნქტუაციურ შეცდომებს ყურადღებას არ ვაქცევთ, მაგრამ ამგვარი მუშაობისას მაინც უნდა გამოვლინდეს წერის გარკვეული უნარ-ჩვევები. აღმოჩნდა, რომ ამ მიმართულებით ბევრად მეტია სამუშაო, ვიდრე ვფიქრობდით;
2. ხელაუღებელი წერისას მოსწავლეები საოცრად გულახდილნი არიან და ხშირად იკვეთება მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, განცდები, წარმოჩინდება ისეთი პრობლემები, რომლებზე საუბარსაც ჩვეულებრივ გარემოში თავს არიდებენ. მაგალითად, იოანე წერს, რომ მას კლასელები მამბეზღარას, ენატანას ეძახიან, და ერთადერთი ნათელი წერტილი თავის ცხოვრებაში თომაა, რომელიც სხვებს არ ჰგავს და რომ არა ის, აქამდე თავს მოიკლავდა. რა თქმა უნდა, ამ მოსწავლესთან განსაკუთრებული მუშაობა სასწრაფოდ ჩასატარებელი;

3. კლას-კომპლექტის თითქმის ნახევარი ნაკლებად ავლენს შემოქმედებით უნარს და არჩევს პირდაპირ გასცეს პასუხი კითხვას „რად გვინდა ტაში“ .

4. თხზულებების პრეზენტაციისას თავი იჩინა გაუბედაობამ. საკუთარი ინიციატივით უმრავლესობას არ გამოუთქვამს სურვილი ნააზრვის წარმოდგენისა. ეს მაშინ, როდესაც საკუთარ ჯგუფებში მუდმივად აქტიურობენ. ამგვარად, აუცილებელია, მოსწავლეთა გამოყვანა უფრო ფართო და უცხო საზოგადოების წინაშე.

მეორე ეტაპი მუშაობისა ითვალისწინებდა მარკირების მეთოდით (სხვადასხვა ფერის მარკერებით მნიშვნელოვანი, გაუგებარი, აღმართოვანებელი და ა. შ. ფრაზების მონიშვნა) ტექსტზე მუშაობას და არმიაზევე ნებისმიერი კომენტარის მიწერას.

მოსწავლეებს მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ ასე მონდომებით ფიქრობდნენ და წერდნენ აქამდე მათთვის არასასურველი ლექსიდან ამოღებული ფრაზების შესახებ, გაუჩნდათ მოტივაცია, წაეკითხათ ლექსი და კომენტარებიც გაეკეთებინათ, ამჯერად თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად მუშაობდა, გამონაკლისის გარეშე. ინსტრუქციის თანახმად კი უკვე წყვილში განაგრძეს განსჯა, მოსაზრებათა შეჯერება. ბოლოს კი გაიმართა საერთო საკლასო მსჯელობა.

მესამე ეტაპზე შეიქმნა ენათმეცნიერთა, ლიტერატორთა, კრიტიკოსთა, ღვთისმეტყველთა, ისტორიკოსთა „საექსპერტო ჯგუფები“. მათ სამუშაოდ დაურიგდათ ამგვარი ბარათები:

ენათმეცნიერთა საექსპერტო ბარათი №1

პატივცემულო ექსპერტებო! გთხოვთ დაგვეხმაროთ:

ამოკრიბეთ თანამედროვე ქართული ენისთვის მიუღებელი ფორმები და განგვიმარტეთ, რატომ არის ეს შეცდომა; განზრახ უშვებს პოეტი შეცდომას თუ უნებლიეთ? რომელი სიტყვებია ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი? ყურადღება მიაქციეთ ნარ-თანთან ფორმებს და აგვიხსენით რომელ ბრუნვებშია.

ლიტერატორთა საექსპერტო ბარათი №2

პატივცემულო ექსპერტებო! გთხოვთ განგვიმარტოთ:

რა მხატვრულ ხერხებს იყენებს პოეტი ლექსში და როგორ ახერხებს მკითხველის მოხიზვლასა და დაინტერესებას?

კრიტიკოსთა საექსპერტო ბარათი №3

პატივცემულო ექსპერტებო!

ჩვენთვის ძალიან საინტერესო იქნება და გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი შეხედულება იმაზე, თუ რა არის ილიას ლექსის მთავარი სათქმელი; ეთანხმებით მის მოსაზრებებს თუ არა; რატომ ეთანხმებით, ან არ ეთანხმებით. ასევე, სასურველია, თუკი ამავე თემაზე შექმნილ რომელიმე ნაწარმოებს გაიხსენებთ.

ღვთისმეტყველთა საექსპერტო ბარათი №4

პატივცემულო ღვთისმეტყველნო!

იქნებ მოგვითხროთ, გაგვახსენოთ, რატომ შერაცხა ჩვენმა ეკლესიამ ილია ჭავჭავაძე წმინდანად და ჩანს თუ არა ლექსში „ჩემო კალამო“ მისი ქრისტიანული მსოფლმხედველობა.

ისტორიკოსთა საექსპერტო ბარათი №5

პატივცემულო ისტორიკოსებო!

იმედი გვაქვს, გვიამბობთ იმ ისტორიული რეალობის შესახებ, რომელშიც მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძეს; რატომ სჭირდებოდა ასე განსაკუთრებულად „წმინდა სიტყვა უშიშარად“ წარმოთქმული ქართველ ხალხს და რატომ იყო მართალი სიტყვის თქმა სახიფათო?

საექსპერტო ჯგუფებში მუშაობისას თავდაპირველად შეიმჩნეოდა მცირე ქაოსი, გაუგებრობა, მაგრამ მასწავლებლის ჩარევის შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა ნაყოფიერად იმუშავა და შეიქმნა პროდუქტი – პლაკატები საინტერესო მოსაზრებებითა და ახალი ცოდნით აღჭურვილი. დროის ლიმიტთან დაკავშირებით გაჩნდა მცირე პრობლემა, რაც შემდგომში აუცილებლად გასათვალისწინებელია. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ბარათს თან ახლდა დამხმარე მასალა, საკითხის არსიდან გამომდინარე.

ექსპერტების რანგში მოღვაწეობა მოსწავლეებისათვის მიმზიდველი აღმოჩნდა. მოულოდნელი იყო ისიც, რომ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ჯგუფში შეთანხმებულად მუშაობდნენ. მეექვსეკლასელებს ილიას შემოქმედებიდან ბევრი ისეთი რამ ახსოვდათ, რაც მერვეკლასელებს გადავიწყებოდათ, ან საერთოდ არ ესწავლათ. საექსპერტო დასკვნებიც საკმაოდ გაბედულად და დამაჯერებლად წარმოადგინეს. ამ ეტაპზე მოსწავლეთა ჩართულობა, მართლაც, საგრძნობლად მომატებული იყო,

მეოთხე ეტაპზე გაიმართა დისკუსია: ადვილია თუ არა სიმართლის თქმა?

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის ხარვეზი, რომელიც დავუშვით სამ ჯგუფად მოსწავლეების გადანაწილებისას. მოსწავლეებს ვთხოვეთ, თავად აერჩიათ პოზიცია – ნეიტრალური, მომხრე თუ მოწინააღმდეგე. აბსოლუტურად ყველამ, გამონაკლისის გარეშე, მოითხოვა ნეიტრალური პოზიციის დაცვა, რაც უცილობლად ეწინააღმდეგება დისკუსიის წესებს. იძულებულნი ვიყავით ჩვენი შეხედულებისამებრ გადაგვენაწილებინა მოსწავლეები ჯგუფებში და კონკრეტული პოზიციის დაცვა დაგვევალეებინა თავიანთი შეხედულების საწინააღმდეგოდ. ამგვარად რომ თავიდანვე მოვექცეულიყავით და წინასწარ ინსტრუქცია მიგვეცა, იმ უკმაყოფილებას მოსწავლეებისას და ტექნიკურ საკითხებზე დროის ხარჯვას თავს ავარიდებდით. მოტივაცია კამათისა დასაწყისში დაეცა, თუმცა მას შემდეგ, რაც რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოიკვეთა, ყველა ჩაერთო დისკუსიაში.

რა თქმა უნდა, ქულას, თითოეული აქტივობის დასრულების შემდეგ, შეფასების სქემის მიხედვით, ხმამაღლა ვაცხადებდით. ვფიქრობთ, ამანაც დიდმნიშვნელოვნად გაზარდა მოსწავლეთა ჩართულობა გაკვეთილზე.

ამგვარად, გაკვეთილზე დასახულ მიზანს მივადწიეთ: მოსწავლეებმა შეძლეს ტექსტის გააზრება, გაანალიზება, შეფასება, გამოავლინეს შემოქმედებითი წერისა და პრეზენტაციის უნარები, რაც ყველაზე მთავარია, გაკვეთილის ბოლოს შეაფასეს საკუთარი თავი კითხვარის მეშვეობით, აღნიშნეს საკუთარი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და მომავალში გასათვალისწინებელი საკითხები. კითხვარში ბევრმა მათგანმა ჩაწერა, რომ შეხედულებები ილიას შემოქმედებაზე რადიკალურად შეეცვალათ და მზად არიან მისი შემოქმედება საფუძვლიანად შეისწავლონ.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამგვარად გადაჭრა საკითხისა უნაკლოა, მაგრამ მთავარ მიზანს ნამდვილად მივადწიეთ – მე-8 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პესიმისტური განწყობა, რომ მოსწავლეებს ვერასდროს დააინტერესებდა ილიას შემოქმედებით გაქარწყლდა, – ბავშვებმა თავადვე მოისურვეს გაეგრძელებინათ მწერლის შემოქმედების შესწავლა.

ამგვარად, ჩატარებული გაკვეთილის კვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ

1. კათედრის წევრთა კეთილგანწყობა და ურთიერთდახმარება უმნიშვნელოვანესია სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისათვის;
2. კლას-კომპლექტებში მუშაობა სასარგებლოა მოსწავლეთა შორის სხვადასხვა დონის ცოდნის შეჯერებისა და შეჯამებისათვის;
3. „უიმედო“ მოსწავლეების მოტივაცია გაკვეთილის დასაწყისიდანვე ნელ-ნელა იმატებს და ბოლოს მათი ჩართულობა პიკს აღწევს;
4. ნაწარმოების ენობრივი, მხატვრული, ისტორიული, კრიტიკული, საღვთისმეტყველო თვალსაზრისით განხილვა ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის აზროვნების მაღალი დონის გამოვლენას;
5. მასწავლებლისათვის თვალსაჩინოა მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეები;
6. მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით ხელაუღებლივ წერის დროს, იკვეთება მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა;
7. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეთა თვითშეფასება ადვილებს საკუთარი თავისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას, სამომავლოდ ხელს უწყობს სწავლის შედეგის გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას;

დასასრულს, მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ უსამართლოდ მიწებებულ „იარლიყს“ – „უინტერესო“ – მოსწავლეებმა თავადვე ჩამოაცალეს ნაწარმოებს...

ლიტერატურა:

1. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, თბ., 2007.
2. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, განვითარებისა და სწავლების თეორიები, თბ., 2008.
3. დ. უხანაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 2003.

TO INTEREST A STUDENT IN “UNINTERESTING” COMPOSITIONS

Irma Khundadze, Ltd “Iverioni”, Pedagogue

RESUME

The problem a lot of novice teachers care about the students' learning process. At Georgian language and literature lesson, children often unjustly stick any work "uninteresting", "label", and despite numerous attempts, the teacher can't strip them off. In such situations the best way is experienced teacher's consultations and joint efforts. To achieve this goal it is necessary to create a learning environment for pupils of unusual and unexpected, unconventional variety of activities on offer. At the same time , it is important to study the students' activities and assessments, the

results of the study . That kind of approach is a precondition for a high level of education among adults in most developed countries. Also, the modern challenge. Sec. Class – complects to work with, which is associated with certain difficulties, but there are many positive aspects.

უცხოური ენის გრამატიკის სწავლების შინაარსი და მეთოდები

თამარ ჯოჯუა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: tamrikojua@gmail.com

მაია დარასელია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: m.daraselia17@gmail.com

გრამატიკის როლი უცხოური ენის სწავლებისას იცვლებოდა სხვადასხვა მეთოდის გავრცელებასთან დაკავშირებით, მაგრამ იგი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სხვა უნარ-ჩვევებთან შედარებით, გრამატიკის სწავლებას ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ლინგვისტური თეორია და გრამატიკა თავიდან გაიგივებული ცნებები იყო. მაგალითად, ძველ რომში ბერძნული ენის შესწავლა მისი გრამატიკის დაუფლებას, უფრო მაღალ საფეხურზე კი რიტორიკის დაუფლებას გულისხმობდა (Titone, 1969). უცხოური ენის მიზანმიმართული სწავლება-დაუფლებისას გრამატიკას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. პირველი მეცნიერულად დასაბუთებული და ჩამოყალიბებული უცხოური ენების შესწავლის მეთოდის სახელი („გრამატიკულ-მთარგმნელობითი“) მეტყველებს გრამატიკის როლზე სწავლების სისტემაში. ამ მეთოდის ფარგლებში ლათინური ენის გრამატიკა იმდენად უნივერსალურად ითვლებოდა, რომ ყველა ცოცხალი ენის გრამატიკული აღწერა ხდებოდა ამ მკვდარი ენის საფუძველზე. მშობლიურ ენასაც ფაქტიურად მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა უცხოური ენის სწავლებისას ვიდრე შესასწავლ ენას, რადგან თარგმანი ძირითადად ხორციელდებოდა დედაენიდან დასაუფლებელ ენაზე მისი (უცხოური ენის) გრამატიკული სისტემის ასათვისებლად. გრამატიკული უნარ-ჩვევების ფორმირებისთვის გამოიყენებოდა ბევრი შინაარსს მოწყვეტილი გამეორება (Irteneva, Barsova, Blokh, Sharkin, 1969) გრამატიკული კატეგორიებისა და ფორმების საილუსტრაციოდ და დასამახსოვრებლად, მრავალი გამეორების მიუხედავად, უარყოფითი მოტივაციის გამო გრამატიკული მასალის დამახსოვრება ძალიან დაქვეითებული იყო. გამოსამუშავებელი გრამატიკული უნარ-ჩვევები წერითი მეტყველებით (წერა, ნაწილობრივ კითხვა) იფარგლებოდა.

ხორციელდებოდა თანდათან და შეუგნებლად. ხოლო თანამედროვე რევოლუცია უნდა იყოს ბოლომდე გააზრებული და საბოლოო მიზნები მაქსიმალურად გაცნობიერებული. არსებობს მდგრადი განვითარების სამი ძირითადი პრინციპი: **ეკოლოგიური მდგრადობა** უზრუნველყოფს განვითარების შეთავსებას საბაზო ეკოლოგიური პროცესების, ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ბიოლოგიური რესურსებისადმი; **სოციალური და კულტურული მდგრადობა** განაპირობებს ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც განვითარება უზრუნველყოფს ადამიანების თავიანთ ყოფაზე კონტროლის ზრდას კულტურული და მატერიალური ფასეულობების ზრდასთან ერთად, რომლებსაც ეხება განვითარების ეს პროცესები. ასევე ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმყოფადობის მოვლასა და შენარჩუნებას; **ეკონომიკური მდგრადობა** უზრუნველყოფს განვითარების ეკონომიკურ ეფექტიანობას და ისეთ მდგომარეობას, როცა რესურსების მართვის შერჩეულ მეთოდებს მომავალი თაობები გამოიყენებენ (მეტრეველი, 2008).

ტურიზმში ეკოლოგია და ეკონომიკა სულ უფრო და უფრო გადაჯაჭვულია მიზეზშედეგობრივი კავშირების უზარმაზარ სისტემად. დღეისათვის პოპულარული ტურისტული ცენტრების უმრავლესობის საიდუმლო დაფუძნებულია გარემოს სისუფთავეზე, მისი დაცვის ეფექტიან ღონისძიებებსა და ადგილობრივი კულტურის თვითმყოფადობაზე. ადგილებში, სადაც ეს არ არის, შეინიშნება მომსახურების დონის დაცემა და ტურიზმის მოცულობის შემცირება, გარემოს ხარისხის გაუარესება, კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვა, ეკონომიკური კონიუნქტურის დაცემა. ეს ყველაფერი მეტად ნეგატიურ გავლენას ახდენს ადგილობრივ მდგომარეობაზე. ადგილობრივ ხელისუფლებას პასუხისმგებლობა ეკისრება რესურსების გონივრულად მართვის უზრუნველყოფისათვის, რათა მომავალ თაობას ჰქონდეს მათი გამოყენების შესაძლებლობა.

ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და დაცვის ღონისძიებებს გააჩნია, როგორც გლობალური ისე ადგილობრივი ასპექტები. იმისათვის, რომ ტურიზმი იყოს მდგრადი, ტურისტული საქმიანობის ხასიათი და მოცულობა უნდა ითვალისწინებდეს არსებული ბუნებრივი და ხელოვნური რესურსების გამტარუნარიანობას. ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციას საფუძვლად უდევს გამტარობის პოტენციალის ცნება. გამტარობის პოტენციალი - ის მაქსიმალური დატვირთვაა, რომელსაც შეუძლია გაუძლოს ამა თუ იმ ტურისტულმა ობიექტმა ადგილობრივ რესურსებზე სერიოზული დაზიანების, ნეგატიური გავლენის და მოსახლეობაში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წამოჭრის გარეშე (ბირჟაკოვი, 2004).

მდგრადი განვითარება უწყვეტი ცვლილებების პროცესია, რომლის ფარგლებშიც რესურსების ექსპლუატაცია, ინვენსტიციების განხორციელება, ტექნოლოგიური პროგრესი და სხვა სიახლეები ხორციელდება მომავლისა და აწმყოს მოთხოვნილებების შესაბამისად.

კონცეპტუალური კითხვა - მიზანშეწონილია თუ არა ეკოტურიზმის განვითარება მკაცრად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე, დღემდე დისკუსიის თემად რჩება, როგორც მეცნიერულ საზოგადოებაში, ასევე ამ დაცული ტერიტორიების თანამშრომლებს შორისაც. მთავარი არგუმენტი არის ის, რომ დაცული ტერიტორიების განვითარება ხდება განსაკუთრებულად, როგორც ხელშეუხებელი ბუნების ეტალონი, რომელზეც დაშვებულია მხოლოდ მეცნიერული გამოკვლევები. საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ნაკრძალების ძირითად ამოცანებს უნდა მიეკუთვნებოდეს შემდეგი: ნაკრძალების, ბუნებისა და მათი მუშაობის პრინციპის გაცნობა მოსახლეობისათვის, ორგანიზებული ტურიზმისა და სამეცნიერო ექსკურსიების საშუალებით, ასევე მოსამსახურეებისათვის ექსკურსიების ჩატარებას, სტუდენტური პრაქტიკებისა და ტურიზმის მხარდაჭერას. ნაკრძალების სისტემების განვითარების განსაზღვრებებს შორის, არის ასეთიც: „ნაკრძალი - ესაა ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგის მიზნით შექმნილი დაცული ტერიტორია“. ესაა ბუნების დაცვის სკოლა და არაა საჭირო გვემინოდეს ადამიანებისა, მაგრამ მათ უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ მათი ნაკრძალებში ყოფნა არ გადაიქცეს ნაკრძალში ყოფნის რეჟიმის უხეშ დარღვევად.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე, ეს ის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც მოქმედებს რეგიონების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მას ასევე შეუძლია გაააქტიუროს ბუნების დაცვა ქვეყანაში. ჩვენი აზრით, მკაცრად დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს შეუძლია არა მხოლოდ გააძლიეროს ეკოლოგიური ტურიზმი ქვეყანაში, არამედ სტიმული მისცეს ტურისტების შემოსვლას საქართველოს ტერიტორიაზე, ამ მიზნებისთვის დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებს აქვთ უნიკალური ორგანიზებული ტერიტორია, ჰყავთ კომპეტენტური სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი, დაცვისა და ეკოლოგიური სისტემების აღდგენის გამოცდილება, მჭიდრო კონტაქტები ეროვნულ ფუნდამენტურ მეცნიერებასთან, საზღვარგარეთ თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა, აქვთ დაცვითი სტრუქტურები. ეკოტურიზმის სფეროს

მონაწილეებმა უნდა განავითარონ ისეთი მომსახურება და შეთავაზებები, რაც შესაბამისობაში მოვა ტურისტული ბაზრის მოთხოვნებთან, რაც, თავის მხრივ, გახდება ტურისტთა მოზიდვის გარანტი. აქ განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება სახელმწიფოს თავისი მხარდამჭერი პოლიტიკით, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურის მოწყობას, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამასა და ინვესტირების მოძიებას. ამ მიმართულებით სახელმწიფოს საბოლოო მიზანს წარმოადგენს ფინანსურად მომგებიანი ეკოტურიზმის ინდუსტრიის ჩამოყალიბება ბუნებრივი გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების პირობებში. საჭიროა ტურიზმის ექსპერტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების განვითარების დაგეგმარებაში. მნიშვნელოვანია ტურიზმის სპეციალისტთა და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების ერთობლივი მუშაობა ტურების დაგეგმვისა და ადმინისტრირების სფეროში.

ამრიგად, ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარებისათვის და გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია: ცალკეული რეგიონების ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსების ინვენტარიზაცია, მონაცემთა ბაზის შექმნა და მეცნიერულად დასაბუთებული რეკრეაციული დატვირთვების განსაზღვრა; ეკოტურისტული საქმიანობის საფუძვლიანი დაგეგმვა და რეგიონის განვითარების გეგმაში მისი ინტეგრირება; მარშრუტების პასპორტიზაცია; მინიმალური ინფრასტრუქტურის შექმნა; მომსახურე პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებაში აუცილებელია რეგიონული სტრატეგიის შემუშავება, ეკოტურიზმის კრიტერიუმისა და მაჩვენებლების განსაზღვრა, მათი მოგების მექანიზმის შემუშავება და ისეთი სისტემის აგება, რომელიც წინ აღუდგება დაცული ტერიტორიებისათვის ზიანის მიყენებას.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების უმნიშვნელოვანეს პრინციპებს უნდა წარმოადგენს რესურსების დეგრადაციის და გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების აუცილებლობა; ადგილობრივი მოსახლეობისა და მრეწველობისათვის რესურსებით სარგებლობა; მორალური და ეთიკური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება და ქვეყნის ნორმების შენარჩუნება ბუნებრივი და კულტურული გარემოს მიმართ; ინფრასტრუქტურის განვითარება; უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული შემოსავლების ზრდა. საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარება რამდენადმე საკანონმდებლო ბაზაზე არის დამოკიდებული და, შესაბამისად, საკანონმდებლო ბაზის განვითარება და დახვეწა საქართველოს ტურიზმს ბევრად წაადგებოდა.

ლიტერატურა:

1. მაისურაძე დ., ვერბეცვი ი., ხუციშვილი თ., ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2008, გვ. 45-47
2. გოგელია მ., „ეკოტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომები „ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები“, ქუთაისი, 2010.
3. მეტრეველი მ. ტურიზმი და გარემოს დაცვა, (ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები), თბ., 2008, გვ. 32-33
4. ბირჟაკოვი მ., „ტურიზმის თეორია“, გამომცემლობა „მზს ფოტონი“, თბ., 2004, გვ. 157
5. ჩარლზ რ. გელდენერი; ჯ.რ. ბრენტ რითჩი, „ტურიზმი - საფუძვლები - პრაქტიკა - თეორია, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, საქართველო, 2013, გვ. 430-431
6. საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, 1996, 7 მარტი

ECOLOGICAL TOURISM DEVELOPMENT PROBLEMS AND PERSPECTIVES

Maia Azmaiparashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

SUMMARY

The actuality of the presented thesis is associated with specific characteristics of ecological tourism. On the one hand, its main goal is to restore people's spiritual and physical forces during the recreation time in natural environment. On the other hand, environmental education, to rise cultural relationship with nature, to develop ethical standards in natural environment and to increase personal responsibility in this direction. **The aim** is to study the development of ecological tourism, its specific characteristics and ways, also to discuss the efficient development of ecological tourism in the socio-economic factors. **The research focused** on the study of the elements that are characteristic of ecotourism, as the activities of the area, which provides natural protection measures (environmental aspects), grows incomes (economic aspect) and helps to stabilize the social situation in the country (the social aspect).

მარცვლოვანთა (Graminae) ოჯახის მცენარეების აზოტით კვების თავისებურება შიდა ქართლის პირობებში

ნელი გოგინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: ne.goginashvili@gmail.com

აზოტი მცენარეში ძირითადად ორგანული ნაერთების სახითაა წარმოდგენილი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ცილები. ცოცხალ ორგანიზმში ისინი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ბიოლოგიურ ფუნქციებს (კატალიზური, სტრუქტურული, სატრანსპორტო, დამცველობითი) ასრულებენ. გარდა აღნიშნულისა, ცილებს ორგანიზმში აკისრია მთელი რიგი ფუნქციები: ენერგეტიკული, ჰორმონალური, კოლოიდურ-ოსმოსური და სხვა (1, 2).

მცენარეული ცილები - პროტოპლაზმის ძირითადი შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენს ამფოტერული ბუნების და კოლოიდური თვისებების რთულ ორგანულ ნაერთს. ქიმიურ ელემენტთა შემადგენლობის მიხედვით, ცილები, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევა იმით, რომ მათ მოლეკულაში ნახშირბადთან, ჟანგბადთან და წყალბადთან ერთად ყოველთვის იმყოფება აზოტი. ეს ელემენტი შედის აგრეთვე ქლოროფილის, ნუკლეინმჟავების, მრავალი ვიტამინის, ფერმენტების, ალკალოიდების და სიცოცხლისათვის საჭირო სხვა ნივთიერებათა შემადგენლობაში. მცენარის ორგანულ ნაერთებში - ამინომჟავებში, ცილებში აზოტი აღდგენილი ფორმითაა (NH_3) წარმოდგენილი, ამიტომ აზოტის დაჟანგული ფორმით (NO_3) კვებისას, ეს უკანასკნელი აღდგება ჯერ ჰიდროქსილამინამდე, შემდეგ - ამიაკამდე (ნიტრატების აღდგენის პროცესი ხდება ფოტოსინთეზის პროდუქტების - ნახშირწყლების ხარჯზე) და ჩაერთვება ცილების, ამინომჟავების და სხვა აზოტშემცველ ორგანულ ნივთიერებათა სინთეზში (3, 4).

აზოტით ნორმალური კვება ხელს უწყობს მცენარეთა ზრდას, საასიმილაციო აპარატის ფორმირებას, ფოტოსინთეზის პროდუქტიულობის ამაღლებას. აზოტით ჭარბმა კვებამ შეიძლება გამოიწვიოს ვეგეტატიური მასის უხვად განვითარება, პროდუქციის მომწიფების გაჭიანურება და მისი ხარისხის გაუარესება.

აზოტის ზემოთ აღნიშნული ბიოლოგიური როლიდან გამომდინარე, მცენარეების მიერ აზოტის შეთვისების, მათ პროდუქტიულობასა და ცილების დაგროვებაზე ამ ელემენტის გავლენის შესწავლა კვების სხვადასხვა დონესთან დაკავშირებით, ფრიად აქტუალურია.

აღნიშნული საკითხების შესასწავლად სავსე და ლაბორატორიული კვლევები ტარდებოდა ყოფილ ი. ლომოურის საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. სტაციონალურ ცდებში ისწავლებოდა ფოსფორ-კალიუმის სხვადასხვა დოზების ფონზე აზოტის მზარდი დოზების გავლენა მარცვლოვანთა ოჯახის მცენარეების - საშემოდგომო ხორბლის (ჯიში მუხრანი) და ქერის (ჯიში ძველთესლი) მიერ აზოტის შეთვისებაზე, მის აკუმულაციაზე, მცენარეთა პროდუქტიულობასა და პროდუქციაში ცილების დაგროვებაზე.

აზოტის შემცველობა საკვლევ მცენარეების ძირითად (მარცვალში) და თანმდევ (ღერო-ფოთლებში) პროდუქციაში განისაზღვრა მარცვლის ტექნიკური სიმწიფის ფაზაში, მარცვალში განისაზღვრა აგრეთვე ცილების რაოდენობა საყოველთაოდ მიღებული მეთოდით ამავე ინსტიტუტის ბიოქიმიურ ლაბორატორიაში. მცენარეში აზოტის შემცველობის საფუძველზე დადგენილი იქნა ამ ელემენტის გამოტანა მცენარეთა მიერ და მინერალური სასუქებიდან მისი გამოყენების კოეფიციენტი.

ცდები ტარდებოდა შიდა ქართლის მდელოს ყავისფერ, კარბონატულ, სარწყავ ნიადაგზე, რომლის ქიმიური შედგენილობა შემდეგია (0-20 სმ ფენაში) : ჰუმუსი - 3,02%, საერთო აზოტი - 0,18%, საერთო ფოსფორი - 0,13%, ჰიდროლიზური აზოტი, მოძრავი ფოსფორი და გაცვლითი კალიუმი, შესაბამისად 5,77; 0,82 და 37,3 მგ/100 გ ნიადაგში.

ჩატარებული კვლევის შედეგებით (ცხრილი 1) ირკვევა, რომ აზოტის დაგროვება მნიშვნელოვნად განსხვავებულია მცენარის ძირითად და თანმდევ პროდუქციაში, კერძოდ, ხორბლის მარცვალში მისი შემცველობა მთელი ცდის საშუალო მონაცემებით 2,03%-ია, ხოლო ღერო-ფოთლებში - 0,40%, ქერისთვის ეს მაჩვენებელი შეადგენს, შესაბამისად 1,75 და 0,31%-ს, ანუ ვარიაბელობა მცენარის ძირითად და თანმდევ პროდუქციას შორის 5-6-ჯერადია.

რაც შეეხება აზოტის დაგროვებას კვების სხვადასხვა დონესთან დაკავშირებით, შეიმჩნევა პირდაპირი კორელაციური დამოკიდებულება აზოტის მზარდი დოზების გამოყენებასა და მცენარეში მის შემცველობას შორის. ამ პროცესზე დადებით გავლენას ახდენს აგრეთვე კვების სხვა მინერალური ელემენტების - ფოსფორის და კალიუმის დოზების გადიდება (ცხრილი 1).

როგორც ჩვენი კვლევის შედეგებიდან ჩანს, მცენარეში აზოტის შემცველობის გაზრდა მკვეთრ გავლენას ახდენს მის პროდუქტიულობაზე. კერძოდ, P₆₀K₃₀ და P₉₀K₆₀ ფონზე N₆₀, N₉₀, N₁₂₀ დოზების გამოყენებისას ხორბლის მარცვლის საშუალო მოსავალი 40 ც/ჰა-ს აღწევს, რაც 70,9%-ით მეტია საკონტროლოსთან (კვების მინერალური ელემენტების გარეშე) შედარებით. მსგავსი შედეგია მიღებული ქერზე ჩატარებულ ექსპერიმენტშიც.

აზოტის დოზების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად იზრდება როგორც ძირითადი, ისე თანმდევი პროდუქციის მოსავლიანობა. ასე მაგალითად, P₆₀K₃₀-ის ფონზე N₉₀-ის გამოყენებისას ხორბლის მარცვლის პროდუქტიულობა 41,2 ც/ჰა-ს აღწევს, რაც 6,2 ც/ჰა ანუ 17,7%-ით მეტია ამავე ფონზე N₆₀ დოზის შეტანისას მიღებულ პროდუქციასთან შედარებით (რაც სრულიად სარწმუნოა - HCP₀₅=0,85 ც/ჰა). ანალოგიური მდგომარეობა ღერო-ფოთლის მასის მომატებაზე. ამასთან, აზოტის და მისი მზარდი დოზების გავლენა უფრო მეტად ჩანს ფოსფორ-კალიუმის შედარებით მაღალი დოზების (P₉₀K₆₀) ფონზე.

ცხრილი 1

აზოტის მზარდი დოზების გავლენა მარცვლოვან მცენარეთა კვებაზე

№	ვარიანტები	აზოტის შემცველობა, %		პროდუქტიულობა, ც/ჰა		აზოტის გამოტანა, კგ/ჰა			Ky, %	ცილა, %
		მარცვალში	ღერო-ფოთლებში	მარცვალში	ღერო-ფოთლებში	მარცვლით	ღერო-ფოთლებით	საერთო		
ხორბალი - Triticum										
1	0	1,87	0,31	23,4	30,4	43,8	7,4	51,2		11,69
2	N ₉₀ K ₆₀	2,01	0,37	33,0	42,2	66,3	15,6	81,9		12,56
3	N ₉₀ P ₉₀	1,96	0,36	36,7	41,0	71,9	14,8	86,7		12,25
4	P ₆₀ K ₃₀ - ფონი I	1,93	0,34	24,1	30,1	46,5	10,2	56,7	-	12,06
5	P ₆₀ K ₃₀ + N ₆₀	2,04	0,39	35,0	43,5	71,4	17,0	88,4	52,8	12,75
6	P ₆₀ K ₃₀ + N ₉₀	2,09	0,38	41,2	45,7	86,1	17,4	103,5	52,0	13,06
7	P ₆₀ K ₃₀ + N ₁₂₀	2,07	0,44	40,0	49,5	82,8	21,8	104,6	39,9	12,94
8	P ₉₀ K ₆₀ - ფონი II	1,94	0,38	25,2	26,1	48,9	9,9	58,8	-	12,12
9	P ₉₀ K ₆₀ + N ₆₀	2,08	0,44	35,2	48,1	73,2	19,2	92,4	56,0	13,00
10	P ₉₀ K ₆₀ + N ₉₀	2,15	0,47	43,9	49,2	94,4	23,1	117,5	65,2	13,43
11	P ₉₀ K ₆₀ + N ₁₂₀	2,17	0,51	44,3	51,7	96,1	26,4	122,5	53,1	13,56
	HCP ₀₅ , ც/ჰა			0,82	1,03					
	P, %			3,17	3,52					
ქერი - Hordeum										
1	0	1,58	0,28	20,7	25,0	32,7	7,0	39,7		9,88
2	N ₉₀ K ₆₀	1,67	0,26	27,9	34,3	46,6	8,9	55,5		10,44
3	N ₉₀ P ₉₀	1,68	0,26	33,8	35,7	56,8	9,3	66,1		10,50
4	P ₆₀ K ₃₀ - ფონი I	1,61	0,23	27,5	26,8	44,3	6,2	50,5	-	10,06
5	P ₆₀ K ₃₀ + N ₆₀	1,70	0,30	30,4	33,5	51,7	10,0	61,7	18,7	10,62
6	P ₆₀ K ₃₀ + N ₉₀	1,85	0,32	30,1	33,1	55,7	12,2	67,9	19,3	11,56
7	P ₆₀ K ₃₀ + N ₁₂₀	1,89	0,35	33,2	40,8	62,7	14,3	77,0	22,1	11,81
8	P ₉₀ K ₆₀ - ფონი II	1,68	0,25	26,7	31,3	44,9	7,8	52,7	-	10,50
9	P ₉₀ K ₆₀ + N ₆₀	1,70	0,34	32,2	40,2	54,7	13,7	68,4	26,2	10,63
10	P ₉₀ K ₆₀ + N ₉₀	1,93	0,39	35,3	51,0	68,1	19,9	88,0	39,2	12,06
11	P ₉₀ K ₆₀ + N ₁₂₀	1,93	0,39	33,7	51,9	65,0	20,2	85,2	27,1	12,06
	HCP ₀₅ , ც/ჰა			0,63	0,91					
	P, %			1,05	1,97					

მცენარის პოტენციური შესაძლებლობის გამოვლენისათვის საჭიროა მინერალური კვების ელემენტების მეცნიერულად დასაბუთებული დოზების დადგენა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ეკოლოგიური ფაქტორია მინერალური სასუქებიდან საკვები ელემენტების გამოყენების კოეფიციენტი. აღნიშნული მაჩვენებელი ჩვენს მიერ გაანგარიშებული იქნა მ.კ. კაიუმოვის (5) მიერ რეკომენდებული ფორმულით:

$$K_y = \frac{B_{np}}{D_y} \cdot 100$$

სადაც, K_y - არის მინერალური მარილებიდან საკვები ელემენტის გამოყენების კოეფიციენტი, %;

B_{np} - ნამატი პროდუქციით გამოტანილი საკვები ელემენტის რაოდენობა, კგ/ჰა;

D_y - საკვები ელემენტის დოზა, კგ/ჰა.

ჩვენი მონაცემებით (ცხრილი 1) აზოტის სასუქიდან (NH_4NO_3) აზოტის გამოყენების კოეფიციენტი მისი დოზების მიხედვით ხორბლისათვის 39,9-65,2%-ის, ხოლო ქერისათვის -18,7-39,2%-ის ფარგლებში ცვალებადობს. აზოტის დოზის გარკვეულ დონემდე (N_{90}) გაზრდა აპრობებს მის მაქსიმალურ გამოყენებას (K_y : ხორბლისათვის 65,2%, ქერისათვის - 39,2%), რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალი და ხარისხოვანი პროდუქციის მიღებისა და გარემოს ნორმალური ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის.

როგორც ჩვენი კვლევის შედეგებიდან (ცხრილი 1) ჩანს, მცენარეთა პროდუქტიულობის ამაღლებაში საკვები ელემენტებიდან პირველხარისხოვანი როლი ეკუთვნის აზოტს, რომლის ეფექტი შეადგენს 74,2%-ს, ფოსფორის - 33,0%-ს, კალიუმის - 19,6%-ს. ეს, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს აზოტის გავლენით მცენარეთა სასიმინლაციო ზედაპირის გაზრდასთან, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ფოტოსინთეზის პროცესს და, შესაბამისად, მცენარეთა პროდუქტიულობის ამაღლებას. ამასთან, მცენარეთა პროდუქტიულობა საკმაოდ მაღალია იმ შემთხვევაში, როდესაც სამივე საკვები ელემენტი (NPK) ერთადაა შეტანილი მათ შეწყვილებულად (NP, NK, PK) გამოყენებასთან შედარებით, ე.ი. საკვებ ხსნარში უნდა იყოს ყველა საჭირო ელემენტი, რადგან თითოეულ მათგანს მცენარისათვის განსაზღვრული ფუნქცია აქვს და ერთი ელემენტის მეორეთი შეცვლა შეუძლებელია.

პირველი ცხრილის მონაცემებით, ხორბლის მარცვალში ცილის საშუალო შემცველობა 12,67%-ია, ხოლო ქერის მარცვალში - 10,92%. მისი მაღალი შემცველობა ორივე საკვლევი კულტურების პროდუქციაში აღინიშნება $N_{90}P_{90}K_{60}$ და $N_{120}P_{90}K_{60}$ დოზებით შეტანისას.

მაშასადამე, ხორბლის და ქერის მცენარეთა პოტენციური შესაძლებლობების რეალურად გამოვლენის და მარცვალში ცილის მაღალი შემცველობის მიხედვით ოპტიმალური დოზაა - N_{90} ($P_{90}K_{60}$ ფონზე) N, P_2O_5 , K_2O -ს შორის თანაფარდობით 1,5:1,5:1. რეკომენდებული დოზა უზრუნველყოფს მინერალური სასუქებიდან აზოტის გამოყენების ყველაზე მაღალ კოეფიციენტს, რაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებას და გარემოს ქიმიკატებით გაბინძურებისაგან დაცვას.

ლიტერატურა:

1. ალექსიძე ნ., ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები, თბ., 2005.
2. ბოლქვაძე ა., ბიოქიმია, თსსი, თბ., 1999.
3. Благовещенский А.В., Биохимия обмена азотсодержащих веществ у растений. АН СССР, М., 1958.
4. Физиология сельскохозяйственных растений, т. 2, Отв. ред. П.А. Генкель. МГУ, 1967.
5. Каюмов М.К., Справочник по программированию урожаев, М., Россельхозиздат, 1977.

PECULIARITIES OF NITROGEN NUTRITION IN THE GRAMINAE FAMILY PLANTS IN SHIDA KARTLI REGION

Neli Goginashvili, Gori State Teaching University, Professor
SUMMARY

According to real detection of potential opportunities and high index of protein composition in the grain of the Graminae family plants: Triticum and Hordeum, in Shida Kartli (Georgia), the optimal nitrogen doze is N_{90} (with the $P_{90}K_{60}$); among N, P_2O_5 , K_2O with the correspondence 1, 5 : 1, 5 : 1. The recommended dose of the nutrient mineral elements supports the usage of nitrogen of the highest coefficient from the mineral fertilizer, which helps to obtain ecologically clean products and secure the environment from chemical pollution.

**ტემპუსის პროექტის „სამედიცინო განათლების ეროვნული ცენტრების
სუპრარეგიონული ქსელის დაფუძნება „PBL“-სა და ვირტუალურ პაციენტებზე
(ePBLnet) ფოკუსირებით“ ფარგლებში პროგრამის მოდერნიზაციის შესაძლებლობები**

ნინო თაბაგარი-ბრეგვაძე, დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი
E-mail: niabregvadze@europe.com

ლევან ტვილდიანი, დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი
პაატა ცაგარეიშვილი, დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი
სერგო თაბაგარი, დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი
E-mail: dean@aieti.edu.ge

საყოველთაოდ მიღებულია, რომ ექიმთა კომპეტენციას აუცილებლად სჭირდება მედიცინის მასაზრდოებელ მეცნიერებებში ადეკვატური ცოდნა. ამასთან, ნაკლებია თანხმობა/შეთანხმება მათი (ამ მეცნიერებათა) მოცულობის და/ ან როგორ და როდის უნდა ისწავლებოდეს, ვინ უნდა ასწავლიდეს მათ და, ზოგიერთ შემთხვევაში, როგორ უნდა იყოს ეს განმარტებული. დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში საბაზისო მეცნიერებათა სწავლებას, ყველა ექსპერტული შეფასებით, ჰქონდა და ჯერ კიდევ აქვს: (i) მასალის ნალებად გამართლებული განმეორებადობა; (ii) ფაქტებით გადატვირთვა; (iii) კურსდამთავრებულის მომავალ საქმიანობასთან ნაკლები შესაბამისობა (მასალა სტუდენტებს უფრო მეტად დისციპლინურ კონტექსტში მიეწოდებოდა და მიეწოდება ვიდრე კლინიკურ კონტექსტში; (iv) სწავლებაში ინტეგრაციის არ არსებობა/ნაკლებობა; (v) მეტი აქცენტი სწავლებაზე, ნაკლები სწავლაზე [1].

საკითხის/ პრობლემათა თანამედროვე გაცნობიერებიდან ძალზე მნიშვნელოვანი, თუ ყველაზე მნიშვნელოვანი არა, არის იმის აღიარება, რომ კურიკულუმთა სტილისტური განსხვავება სამედიცინო სკოლებს შორის ძალზედ კარგია ვინაიდან: (ა) განსხვავებული ადამიანები განსხვავებული გზებით სწავლობენ; (ბ) ეს ხელს შეუწყობს სამედიცინო განათლების, როგორც დარგის მეცნიერულ განვითარებას.

პროგრამის მოდერნიზაციის შესაძლებლობების განსაზღვრისას თანაბრად მნიშვნელოვანია შემდეგი 2 საკითხი: (1) პროცესის სწორად/სათანადოდ მომზადება; (2) კურიკულუმის ცვლილება დარგში (მედიცინა) არსებული ცვლილებების/მიღწევების/გამოწვევების შესაბამისად (საპასუხოდ).

წინამდებარე თემის „პროგრამის მოდერნიზაციის შესაძლებლობები“-ს ანალიზი წარმოდგენილი იქნება ზემოაღნიშნული საკითხების (1,2) ირგვლის ლიტერატურაში არსებული თანამედროვე მიდგომებისა და დტსუ-ს გამოცდილების გათვალისწინებით.

მოდერნიზაციისათვის მზადების საწყის ეტაპზე საჭიროა პროცესის გამოყვანა დეპარტამენტების კონტროლიდან, ანუ დისციპლინების მხრიდან კურიკულუმის შინაარსის დიქტატის თავიდან ასაცილებლად ახალი კომიტეტის შექმნა, ანუ იმ ჯგუფის შექმნა, რომელსაც ენიჭება პასუხისმგებლობა კურიკულუმის დიზაინზე. ამ ეტაპზე ჯგუფს ხშირად „კურიკულუმის განვითარების ჯგუფი“ ან „კურიკულუმის მართვის ჯგუფი“ ჰქვია, კურსის/კურსების შემუშავების შემდეგ, დარწმუნებისათვის, რომ მათი „იდეები“ რეალიზებულია, ჯგუფი ტრანსფორმირდება „კურიკულუმის მენეჯმენტის კომიტეტში“ [2].

ჯგუფის ფორმირების საუკეთესო მახასიათებლებია: თავმჯდომარე - უნივერსიტეტის იერარქიულად მაღალი თანამდებობის (გადაწყვეტილების მიმღები) პირი, მაგალითად დეკანი; ჯგუფის წევრობისთვის პირთა (კანდიდატთა) არა „დანიშნა“, არამედ „შეთავაზება“ კანდიდატად იმ პირთა განხილვა ვინც სამედიცინო განათლების საკითხებში ავლენს/ამტკიცებს ენთუზიაზმს და ცვლილებების სურვილს. რაც მცირეა კომიტეტში პროფესორთა რიცხვი, აგრეთვე ჯგუფის საშუალო ასაკი, მით უკეთესია. მნიშვნელოვანია აგრეთვე ბალანსი საბაზისო და ქცევითი მეცნიერებების, კლინიცისტების (რაც ნაკლებ სპეციალიზებულია უკეთესია), ზოგადი პროფილის ექიმების, არა-საუნივერსიტეტო ბაზის კლინიცისტების, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის. ძალზედ სასურველია ახალგაზრდა ექიმების, სტუდენტთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვა [1].

დტსუ-ში ტემპუსის პროექტის ფარგლებში პროგრამის მოდერნიზაციაზე მუშაობა სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით დაიწყო. დტსუ „კურიკულუმის მართვის“ ჯგუფი მუშაობის ამ ეტაპზე (პროგრამის დიზაინი/შინაარსი) სრულად დამოუკიდებელია, როგორც ადმინისტრაციული, ასევე დისციპლინარული კონტროლიდან. იგი იღებს რჩევებს პროექტის პარტნიორებისგან, თუმცა პროექტით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად. ამასთან, ჯგუფი შექმნის დღიდან ზრუნავს, უმაღლესი სასწავლებლის აკადემიურ წრეებში, სტუდენტებსა და

ადმინისტრაციისთვის ინფორმაციის (პროექტის ამოცანები, შესრულებული და მიმდინარე სამუშაოები) მაქსიმალურად გამჭვირვალედ მიწოდებაზე, მათ შორის მომავალში მათი მხრიდან რეზისტენტობის თავიდან ასაცილებლად. ჯგუფს ხელმძღვანელობს დტსუ-ს დიპლომადელი განათლების პროგრამის (MD) დეკანი, ჯგუფში ჩართულთაგან არიან საბაზისო და კლინიკური მეცნიერებების წარმომადგენლები, დტსუ კურსდამთავრებულები, სტუდენტები, დტსუ-ს ჰოსპიტალური და ამბულატორიული ბაზების წარმომადგენლები, დოქტორანტები. ამგვარად ჯგუფი შეძლებისდაგვარად დაბალანსებულია ასაკობრივი, დარგობრივი (საბაზისო/კლინიკური) და ადმინისტრაციული (აუცილებელი მინიმუმი) კუთხით. პროცესში ჩართვა მოხდა არა ადმინისტრაციული (ბრძანება და ა.შ) არამედ შეთავაზების და მათი სურვილის ფორმით.

კომიტეტის მიერ შემუშავებულია დტსუ-ს ახალი კურიკულუმის ზოგადი სქემა, რომელიც მოწონებულია ტემპუსის პროექტში ჩართული უცხოელი კოლეგების მიერ. „ზოგადი სქემა“ ნიშნავს სხვადასხვა სამედიცინო პრობლემით 53 ვირტუალური პაციენტის ქეისის სასწავლო გეგმაში განაწილებას დტსუ-ში საბაზისო მეცნიერებათა სწავლების ეტაპზე; თითოეული ქეისის ირგვლივ არსებული სასწავლო კურსების ორგანიზებას (სამუშაო ვერსია) და ვირტუალურ პაციენტებზე დაფუძნებული ზოგადი სასწავლო კვირის ფორმირებას.

პროცესის მომზადების ამ ეტაპისთვის უმნიშვნელოვანესია კომიტეტის შიგნით ისეთი ჯგუფების ფორმირება, რომლებიც ეფუძნება სისტემებს და არა დისციპლინებს (რისი რესურსიც თავიდანვე იყო გათვალისწინებული კომიტეტის შექმნისას) [3]. ეს ჯგუფები (მოდულის ჯგუფები) იმუშავებენ მოდულის და კონკრეტული სასწავლო კვირის ფარგლებში შეთავაზებული სამუშაო ვერსიის დახვეწაზე: (i) რა შინაარსი, რა ამოცანები და შედეგები ექნება კონკრეტულ სამუშაო კვირას; (ii) სწავლების/სწავლის და შეფასების, საჭირო რესურსების (ადამიანური, დროითი, ლიტერატურა და ა.შ) დაზუსტება; (iii) ხომ არ სჭირდება ქეისის ცვლილება ან გამოცვლა; (iv) ფარავს თუ არა შეთავაზებული ქეისები სისტემას (კარდიოვასკულარული და ა.შ.) თუ ესაჭიროება ცვლილება; (v) რა სასწავლო მასალა სჭირდება თითოეულ ქეისს, მათი (სასწავლო მასალის) ლოგიკური დალაგება და სტრუქტურირება სწავლების გასაადვილებლად [4]. კურიკულუმში საბაზისო მეცნიერებათა ინტეგრაციის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია საბაზისო მეცნიერებათა შესაბამისობა სამედიცინო პრაქტიკასთან, ვიდრე თავისთავად ამ მეცნიერებათა კონცეპტუალური კოჰერენტულობა [5].

ამგვარად, მიზანია - სწავლებისა და სწავლის ინტეგრირებული ქეისზე-დაფუძნებული მიდგომის შემოღება. აქ ორგანიზაციის მიდგომა არსებობს: I-დროის დამზოგველი გზა, დაწყება საბაზისო და კლინიკური მეცნიერებებით და მათი „ილუსტრირება“ (ანუ უნივერსიტეტის ცხოვრებაში შემოტანა) ქეისზე დაფუძნებული სწავლებით; II - დაწყება ქეისებით და შერჩევა სამეცნიერო ცოდნიდან იმ მასალის, რომელიც საჭიროა მათ გასაგებად/გასაცნობიერებლად.

პირველი მიდგომა (ტრადიციული) უფრო ადვილია, მოიცავს სისტემის ირგვლივ საჭირო დისციპლინების ორგანიზებას, ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს და აქ უმეტესწილად მასალის ქეისებით ილუსტრირება ხდება, რაც ასევე აიოლებს მასალის აღქმის და გაცნობიერების შესაძლებლობებს. არაფერი ცუდი არ არის ამ მიდგომაში, იგი ხელს უწყობს საბაზისო მეცნიერებათა გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხების კლინიკური ინტერპრეტაციის გაცნობიერებას. ამაში ჩვენც დავრწმუნდით დტსუ-ში არსებული პროგრამის ანალიზისას [6]. ამასთან, ეს მიდგომა ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მზაობას სამედიცინო პრაქტიკის ახალ, ბევრად გართულებულ გარემოში სამედიცინო საქმიანობისთვის (რაზეც შემდგომშიც იქნება საუბარი).

მეორე მიდგომა - პირველი რასაც იღებს სტუდენტი ქეისის სცენარია (ჩვენს შემთხვევაში ვირტუალური პაციენტის ქეისი), ან კლინიკური დემონსტრაცია. სწავლის იდეალური მეთოდი პრობლემებზე-დაფუძნებული სწავლებაა (PBL) [7] 7-8 კაცია სტუდენტური ჯგუფი ამ ქეისის, ან კლინიკური დასკვნის, ან სხვ. (ჩვენს შემთხვევაში ეს არის 35 წრფივი და 18 განშტოებული/მრავალალტერნატიული გზის მქონე ქეისი) - მასალაა მოწოდებული პრობლემის/პრობლემების ინიცირებისთვის. სტუდენტები თავად იღებენ გადაწყვეტილებას რა უნდა ისწავლონ (ამასთან, როგორც ჩვენს შემთხვევაში, წინასწარ ძალიან კარგად უნდა იყოს გააზრებული რა სასწავლო საკითხებისთვისაა ტრიგერი თითოეული PBL ქეისი) სტუდენტები სწავლობენ და 2-3 დღეში ახალი ცოდნით უბრუნდებიან ქეისის განხილვას. ასეთი გზით მხოლოდ იმ თემების დაფარვა ხდება, რაც გამომდინარეობს ქეისიდან, ირელევანტური მასალა კი ამოიღება სასწავლო კვირიდან. აქ მნიშვნელოვანი პრობლემა საჭირო დეტალების პრიორიტეტიზაცია და დამუშავებაა, ამან შეიძლება ხელი შეუშალოს გამოცდების ჩაბარებას. ამის თავიდან ასაცილებლად ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს შეფასების სისტემის სწორად დაგეგმვას.

შესაბამისად, პრობლემებზე-დაფუძნებული სწავლება: (i) იდეალური გზაა სტუდენტისთვის ისწავლოს მედიცინისთვის ღირებული სამედიცინო დისციპლინების ის შინაარსი და მოცულობა რაც მას

მომავალში დასჭირდება ამასთან, (ii) იგი (პრობლემებზე-დაფუძნებული სწავლება) იძლევა სწავლის კონტექსტუალიზაციის საშუალებას, (iii) სტუდენტები ამ გზით იძენენ ექიმის მომავალი საქმიანობისთვის საჭირო ბევრ უნარ-ჩვევას. ამასთან, სწორი, შესაბამისი შეფასების სისტემის (იყო და რჩება სწავლის მამოძრავებელ ძალად) გარეშე, ჩვენი აზრით განსაკუთრებით საქართველოში, თუმცა სხვა ქვეყნებშიც არის ეს გამოცდილება, სასწავლო პროცესი და კურსდამთავრებულთა მიღწევები შესაძლოა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს. შესაბამისად, დტსუ-ში, რომელშიც საბაზისო დონეზე სწავლება ორგანიზებული იყო ორგანოთა სისტემებზე დაფუძნებით და მოიცავდა მოდულში შემავალი ყველა სასწავლო კურსის ფორმატულ და მოდულში შემაჯამებელ (ცენტრალური წესით ორგანიზებულ) გამოცდებს, ასევე საბოლოო, კლინიკის სწავლების ეტაპზე გადასასვლელად საბაზისო ეტაპის დასკვნით გამოცდას, არ აკლდება, არამედ ემატება ყოველკვირეული საგამოცდო ფორმის „კლინიკური კითხვები“, „ქეისზე დაფუძნებული ერთი საუკეთესო პასუხის“, „მინი-ქეისების“, ა.შ. ქეისებზე-დაფუძნებული სწავლებისთვის რელევანტური ფორმატის შეფასება.

მნიშვნელოვანია სასწავლო რესურსების და პროცესში ჩართული ადამიანური რესურსების საკითხიც. ასეთი, PBL სწავლება საჭიროებს შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების არსებობას, მათთან წვდომას [8,9]. ელექტრონული სწავლების, ელექტრონული სწავლისთვის, მულტიმედია სწავლისთვის უმნიშვნელოვანესია დაფინანსება, რომელიც დტსუ-მ მიიღო ევროკომისიის მიერ ტემპუსის გრანტის ფარგლებში პროექტის განსახორციელებლად. ასევე PBL -კვირაში უზრუნველყოფილი იქნება კლინიკური უნარ-ჩვევების შეძენა დტსუ ამბულატორიულ და ჰოსპიტალურ ბაზებზე, კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორიაში, ასევე ექსპერტული ფორუმი, სამედიცინო პროფესიონალიზმში (ბიოეთიკა) გამოცდილება, მტკიცებულებაზე-დაფუძნებული სახელმძღვანელო (დაავადებათა დიაგნოსტიკის/სკრინინგის და ჯანმრთელობის შენარჩუნების); აგრეთვე სესიები, სამეცნიერო კითხვა/სამეცნიერო უნარები აუცილებელი მედიცინის კურსდამთავრებულთათვის [10,11]. ამ გზით მოხდა/მიმდინარეობს ახალი პროგრამის საბაზისო სწავლების ეტაპებისთვის „სასწავლო კვირის“ და შესაბამისად სტუდენტისთვის ახალი, აქტიური სასწავლო გარემოს ფორმირება. ეს ახალი გარემო გულისხმობს მათ შორის სამედიცინო საქმიანობას: (i) მტკიცებულებაზე დაფუძნებულ სამედიცინო სისტემებში; (ii) ავადმყოფის მოვლის შედეგებზე-დაფუძნებულ სტანდარტებს; (iii) სამეცნიერო მიღწევების/ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას; (iv) ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას; (v) შესაძლებელი და შესაბამისი სამედიცინო მოვლისთვის უსაფრთხო და ხარისხიანი მენეჯმენტის კომპეტენციას.

ამგვარად, დტსუ-ს პროგრამის მოდერნიზაცია სჭირდება სწორედ სამედიცინო დარგის ამ გამოწვევების საპასუხოდ, რასაც ახორციელებს ევროკომისიის დაფინანსებით ტემპუსის პროექტის „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ კოლეგების მხარდაჭერით. კერძოდ, ავითარებს (i) ახალი კურიკულუმის მოდელსა და საგანმანათლებლო სტრატეგიას; (ii) შემოაქვს კურიკულუმის ახალი თემები; (iii) სწავლების ახალი სიტუაციები; (iv) სწავლების ახალი მიზნები და ხერხები; (v) შეფასების ახალი მეთოდები და (vi) შტატის განვითარების ახალი სტრუქტურები (სამედიცინო განათლების ცენტრი).

საბაზისო მეცნიერებები მედიცინის სწავლების პროგრამაში აღარ რჩება ტრადიციული ფორმით და მთელს მსოფლიოში (მათ შორის საქართველოშიც) საჭიროებს ცვლილებებსა და განხილვას. თანამედროვე კურიკულუმის დიზაინი ეფუძნება კლინიკური და გამოყენებითი კვლევების ჩართვას, განათლებასა და ჯანდაცვაში ელექტრონული ტექნოლოგიების არსებობის ზრდას, სტუდენტზე-ფოკუსირებული და მოქნილი დიზაინის კურიკულუმების იმპლემენტაციას და პროფესიონალიზმსა, ეთიკურ ღირებულებებსა და ინტერპროფესიულ ჯგუფში მუშაობაზე ყურადღების კონცენტრირებას. ამასთან, სამედიცინო განათლებაში (ასევე განათლების ყველა სფეროში) პროგრამის მოდერნიზაციას ფრთხილი, გააზრებული მიდგომა და თანმიმდევრობა მუშაობა სჭირდება რათა (1) „მოდერნიზაცია“ არ დარჩეს ქაღალდზე; (2) მოხდეს ცვლილების პრაქტიკაში განხორციელება და მას კურსდამთავრებულთა ცოდნის, უნარ-ჩვევების, მომავალი საქმიანობის თვალსაზრისით უარესი შედეგი არ მოჰყვეს, ვიდრე ძველი პროგრამის ფარგლებში.

ლიტერატურა:

1. Dent I.A. and Harden R.M. A Practical Guide for Medical Teachers, 3rd Edition, 2009.
2. Harden R.M. The Integration Ladder: a Tool for Curriculum Planning and Evaluation, Medical Education, 2000;34:557-557.
3. Wolkerson L, Stevens C.M., Krasne S. No Content without Context: Integrating Basic, Clinical and Social Sciences in a pre-clerkship Curriculum;

4. Malic A.S., Malik R.H. Twelve Tips for Developing and Integrated Curriculum. *Medical Teacher*. 2011; 33:99-104.
5. Koens F., Custers E.I. ten Cate OT. Clinical and Basic Science Teachers' opinions about the required depth of Biomedical Knowledge for Medical Students. *Medical Teacher*. 2006, 28(3):234-238.
6. Nadiradze A., Tabagari N., Tabagari S. Educational Strategies to Promote Clinical Reasoning: Arguments for Medical University to Plan Curriculum Modernization. *AMEE 2013 Abstract Book*. 2013. p7.
7. Poulton T., Balasubramaniam C. Virtual Patients: A Year of Change. *Medical Teacher*. 2011, 33; 933-937.
8. Weber J., Hincke M., Patasi B et al. The Virtual Anatomy Lab: an edemonstrator pedagogical agent can simulate student-faculty interaction and promote student engagement. *Medical Education Development*. 2012. Vol2:e5 17-20.
9. Bjerrum A.S., Hilberg O, Cog T, et al. Effects of Modelling examples in Complex Procedural Skills Training: a Randomized Study. *Medical Education*. 2013;47:888-898.
10. Balmer D.F., Richards B.F. How do Medical Students Navigate the Interplay of Explicit Curricula, Implicit Curricula, and Extracurricula to Learn Curricular Objectives. *Academic Medicine*. Vol. N8. 2013. 1135-1141.
11. Verkoeijen P.I.L, Tabbers H.K. Good Research requires Productive Theories and Guidelines. *Medical Education*. 2013;47:858-865

PERSPECTIVES OF PROGRAM MODERNIZATION IN THE FRAMEWORK OF TEMPUS PROJECT "ESTABLISHMENT OF THE SUPRA-REGIONAL NETWORK OF THE NATIONAL CENTRES IN MEDICAL EDUCATION, FOCUSED ON PBL AND VIRTUAL PATIENTS"

Nino Tabagari-Bregvadze, David Tvildiani Medical University

Levan Tvildiani, David Tvildiani Medical University

Paata Tsagareishvili, David Tvildiani Medical University

Sergo Tabagari, David Tvildiani Medical University

RESUME

Teaching of basic sciences in undergraduate medical education, according to experts' opinions, was and is characterized by: (i) unjustified repeating of materials; (ii) overloading with facts; (iii) less compliance with graduates' prospective practice in future; (iv) lack or insufficiency of integration in teaching; (v) more focus on teaching, less on learning. Accordingly there is understanding of the need for changing, developing and modernizing medical programs, especially at the level of basic sciences, in all universities, including of Georgia. Modernization of programs is quite complicated and multicomponent process. Present article considers 2 important aspects in this regard (1) preparing and managing of modernization (change) process; (2) Changes of curriculum in accordance with present changes and achievements in the field (Medicine). David Tvildiani Medical University (DTMU) implements such modernization of present program in the framework of the TEMPUS project "Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients". Present article considers the experience of DTMU in this regard and analysis of present scientific literature in medical education. Every kind of change needs appropriately planned and consistent implementation to ensure its "safety" (worsening of results in regard to graduates' competencies has to be avoided). Targets and aims of changes is determined by the field (in this case medicine) itself and analysis of ongoing changes and development tendencies in it. Academic and administrative staff of HEI is responsible to select adequacy and developing of teaching/learning, assessment tools, as well as teaching/learning environment.

ქართული ჭიდაობა, როგორც მაღალკვალიფიციური მოჭიდავეების მომზადების ეფექტური საშუალება

ალექსანდრე იაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: iashvili43@gmail.com

მამია ტულუში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული დოქტორი
E-mail: Mamuli.42@mail.ru

ჩვენი ეროვნული სპორტის ბალავარი - ქართული ჭიდაობა, ხალხური სპორტის ნამდვილი მარგალიტია, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან მოდის და ეროვნული ფესვებით არის ნასაზრდოები. ქართულ ანბანთან, ძველ ციხე-ტაძრებთან, ვაზთან და ღვინოსთან, უმშვენიერეს ფოლკლორთან ერთად, ის ჩვენი ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია.

უძველეს დროში ქართულ ჭიდაობას საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა. დროთა ვითარებაში პირობით ჭიდაობაში გადაიზარდა. სწორედ აქედან დაიწყო მისი, ფიზიკური ვარჯიშობის დამოუკიდებელი სახეობის ჩამოყალიბება, ხოლო, როდესაც ფიზიკური აღზრდა გამოეყო საერთო აღზრდას და შედარებით დამოუკიდებელ დარგად იქცა, ჭიდაობა ზუსტად დადგენილი ტექნიკით, შემოქმედებითი ტაქტიკით და შეჯიბრების ჩატარების ერთიანი წესებით, საბოლოოდ ფიზიკური აღზრდის საშუალება გახდა.

ჭიდაობა ხალხური დღესასწაულების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო და ვისაც „კაი ყმის“ სახელი უნდოდა მოეპოვებინა, მას ჭიდაობა უნდა სცოდნოდა. ახალგაზრდობა წინასწარ ემზადებოდა ამ დღესასწაულებისათვის, რათა საკუთარი ძალა და მომზადებულობა გამოეცადა სარბიელზე. ასეთი თავყრილობის დროს უზუცესები ამოწმებდნენ მომავალი თაობის ფიზიკურ მომზადებულობის დონეს. ამის გარდა, თვით მოჭიდავეები ეცნობოდნენ სხვადასხვა ილიეთებს, მესრულების ტაქტიკურ ხერხებს, ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას.

რა შეიძლება ითქვას ქართული ჭიდაობის სათავეებზე?

ახალგაზრდობა ცხოვრების მეტწილ დროს გარეთ ატარებდა (ველ-მინდვრად, მწყემსობაში). მან არ იცოდა, თუ საიდან წამოეპარებოდა ნადირი ან საიდან დაეცემოდა მტერი. რთულ კლიმატურ პირობებში მოზარდის ორგანიზმი ფიზიკურად იწრთობოდა, რაც უადვილებდა მას მოულოდნელი სიძნელების გადალახვას.

ადამიანმა თავისი ცხოვრების გარიჟრაჟზე უკვე იცოდა, რომ მისთვის მთავარი იყო ძალთა სწრაფი მობილიზება ყოველი მომხდურის წინააღმდეგ. მაშინ მისი იარაღი მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონე იყო. იგი დარტყმებითა და ჩაბლუჯვით ცდილობდა დაეჯახნა მოწინააღმდეგე. ქართულ ჭიდაობას აქვს ვაზის თვისება - ჩახვეული სტილი; დუხჭირი ცხოვრების გამო მუდამ დგომელა ჭიდაობდა ქართველი კაცი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ჭიდაობა საქართველოში ყველაზე მეტად ისეთ რაიონებში გავრცელდა, რომლებიც მტრის გამუდმებულ თავდასხმებს განიცდიდნენ, სადაც მცირერიცხოვან ხალხს თავი უნდა დაეცვა მრავალრიცხოვანი მტრის მოძალებისაგან. ასეთი რაიონები უფრო აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო იყო. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ საქართველოს აღნიშნულ კუთხეებში ჭიდაობის მეტად საინტერესო და ურყევი ტრადიციები შეიქმნა. თითოეულ რაიონს, ასე განსაჯეთ, ხშირად ცალკეულ სოფელსაც კი თავისი ლოკალურად ჩამოყალიბებული წესები ჰქონდათ. ასეთი იყო, მაგალითად, სვანეთში - „ლიბრგიელი“ და „ლიბურმაგალი“, იმერეთში - „გიმრაობა“ და „საბეჭურიდან ჭიდაობა“, რაჭაში - „ლოჯური“ და ხევსურეთში - „მუქასრისა“ და „მომ და მომ“, გურიაში - „ჭედობა“ და „ტეკობა“, ქართლ-კახეთში - „მაჯურა“ და „თვალახვეული“, სამეგრელოში - „რკინება“, მთიულეთში - „ილილორა“. ცნობილი იყო, აგრეთვე, მესხური, ინგილოური და სხვა ჭიდაობები.

ქართულ ჭიდაობასთან დაკავშირებით საგმირო ამბები გადმოცემულია „ამირანის“ ლეგენდაშიც:

„ამირან დევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა, ადგილი დახვდა ქვიანი,
დასცა და ბეჭი მოსტეხა, დააწყებინა ღრიალი“.

ქართული ჭიდაობა (რკინობა) პირველად IX საუკუნის ლიტერატურულ ძეგლში - „ცხოვრება სვიმონ მესვეტისა“-ში არის ნახსენები.

XIII საუკუნის ისტორიულ წყაროებში ვხვდებით ქართლელი ხიზამბარელისა და კახელი ბებურიშვილის ჭიდაობის ამსახველ საინტერესო ეპიზოდებს. ისინი ლაშა-გიორგის თანამედროვენი იყვნენ.

1579 წელს სტამბოლში, ოსმალეთის სულთნის მურად მესამის მიწვევით, ჩასულან სამცხის ათაბაგი ყვარყვარე ჯაყელი და მისი ძმა მანუჩარი. სულთნის დაჟინებული თხოვნით, ფალავანი ყვარყვარე რჩეულ ოსმალ ფალავანს დასჭიდებია. 30 წლის ქართველს შუაკაურით წამოუღია მეტოქე და მიწაზე ბეჭებით გაუკრავს. მაყურებლებს ხელმეორედ დაჭიდება მოუთხოვიათ, მაგრამ სულთანს უთქვამს ყვარყვარეს გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

ვიდრე ჩვენს ხელთ არსებულ მასალებს მიმოვიხილავდეთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება შევეხოთ ტერმინ „ფალავანის“ საკითხს. ქართულ ლიტერატურაში ცნება „ფალავანი“ უმთავრესად ისეთ კონტექსტში გვხვდება, რომ იგი უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც გამარჯვებული და არა როგორც უბრალოდ „პარტი ვაჟკაცი“, თუნდაც „გმირი“, მით უმეტეს, როგორც „საერთოდ მოჭიდავე“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭიდაობა ძველად სოფლებში ძალიან ხშირად, კვირაში ერთხელ მაინც იმართებოდა და ყოველ შეჯიბრებაში ახალ-ახალი ფალავნები ვლინდებოდნენ, არ უნდა გაგვიკვირდეს ამ ტერმინის ასე ფართოდ გავრცელება.

თურქულ-რუსულ ლექსიკონში „ფეხლევან“ (ჩვენებურად ფალავანი) ახსნილია, როგორც ათლეტი, მოჭიდავე, გმირი, გოლიათი. პროფ. ვ. ელაშვილი თავის წიგნში „ქართული ჭიდაობა“ აღნიშნავს, რომ „არ ვდაობთ იმის თაობაზე, რომ სპარსულში, ისევე როგორც თურქულში, „ფეხლევანი“ მართლაც ათლეტს, ამასთან არა მარტო გმირსა და გოლიათს, არამედ საერთოდ მოჭიდავესაც კი აღნიშნავს. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ ქართულ ენაში „ფალავანი“ აუცილებლად ჭიდაობაში გამარჯვებულს ნიშნავს“.

ჩვენი ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლის, ალავერდის (ახმეტის რაიონი) საეპისკოპოსო ტაძრის კარიბჭის თავზე გამოსახულია ჭიდაობის ამსახველი ფრესკა. ცნობილი ეთნოგრაფი, პროფესორი ალ. რობაქიძე ამ მხატვრობის შესახებ წერდა:

„რთული სიუჟეტის შემცველი მხატვრობის ქვედა მარცხენა კუთხეში ორი მოჭიდავეა გამოსახული. როგორც საფიქრებელია, მოჭიდავეები, საგანგებო ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი და ჭიდაობის პროცესში იმყოფებიან. მხატვრობა მეთერთმეტე საუკუნით არის დათარიღებული და, ამდენად, იგი წარმოადგენს იშვიათსა და მყარ წყაროს, რომლის მეშვეობით ორი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა შეიძლება: ჯერ ერთი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აქამდე არ მოიპოვება ცოტად თუ ბევრად საიმედო წყარო, რომელიც მეთერთმეტე საუკუნის საქართველოში ქართული ჭიდაობის არსებობას ადასტურებდეს. ეს უნდა იყოს როგორც დროის, ასევე სანდოობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ადრინდელი წყარო, რომელიც მყარ ცნობას გვაწვდის მეთერთმეტე საუკუნის საქართველოში სპორტის ამ სახეობის არსებობის შესახებ. ამასთან, ზემოხსენებული მხატვრობის სახით ჩვენს ხელთ არსებობს წერილობითი წყარო, რომლის მეშვეობით ხდება მეთერთმეტე საუკუნის საქართველოში ქართული ჭიდაობის არსებობის არა მარტო ფაქტის დადასტურება, არამედ ამ ჭიდაობის ერთი მომენტის, მოჭიდავეთა ტანსაცმლისა და სხვა გარემოებების წარმოდგენა“.

ძველად, თბილისში და მთელს საქართველოში ჭიდაობა ისე იყო გავრცელებული, რომ ხშირად პირუტყვისა და ფრინველების შერკინებაც კი იმართებოდა. ყველაზე ძლიერ გავრცელებული კი ყოჩების ჭიდაობა იყო, ხოლო დუქნების წინ მამლების ძიძგილაობა იმართებოდა. დღეს ყოჩების საჯარო ჭიდაობა ჩვენში აღარ ეწყობა. სამაგიეროდ ქართული ჭიდაობის ტურნირებში რჩეულ ფალავანს საჩუქრად ცოცხალ პრიზს - ჭედელას გადასცემენ ხოლმე. ასე, რომ ქართული ჭიდაობის ტრადიციებში, ცხვრის კულტი აშკარაა.

ცნობები ქართული ჭიდაობის შესახებ მე-17 და მე-18 საუკუნეებში უკვე მრავლად გვხვდება. ამ ცნობების მიხედვით შეგვიძლია სრულად წარმოვიდგინოთ მისი მნიშვნელობა ხალხის ფიზიკური აღზრდის საქმეში.

ჭიდაობის დიდი ქომაგი გახლდათ ილია ჭავჭავაძე. სწორედ მისი ინიციატივით მოეწყო თბილისში ჭიდაობა კულა გლდანელსა და ნესტორ ესებუას შორის. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე თავის გაზეთ „ივერიაში“ დიდ ადგილს უთმობდა ქართულ ჭიდაობას და სპორტის სხვა სახეობებს. ასევე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქართულ ჭიდაობას აკაკი წერეთელი. იგი ბევრს წერდა ჭიდაობაზე, ხაზს უსვამდა მის ხალხურობას და საინტერესო დასკვნებიც გამოჰქონდა.

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ანტონ ფურცელაძე გაზეთ „დროებაში“ წერდა: „ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებად არის ნაქცევი, თითო ისეთ მოჭიდავეს ნახავთ, რომ სულ საოცრებიდან გამოგიყვანთ“... მას ერთ ადგილას აღწერილი აქვს დ. ხიზამბარელის ჭიდაობა - „ერთი სიტყვით, ვისაც ხიზამბარელის ჭიდაობა უნახავს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს სანამდე განვითარებულია ჩვენში ჭიდაობა“.

ამავე პერიოდის ქართულ პრესაში ხშირად ვხვდებით ცნობებს ქართულ ჭიდაობაზე. აი, რას წერს „ივერია“: „ჭიდაობაც გაიმართა, საჭიდაო ზურნაც დაჰკრეს და ორი ლომივით ბიჭი გადმოცვივდნენ ხალხითგან ხტომითა და თამაშობითა, შეიბნენ ლომნი, ზურნამაც მოუმატა თავის ხმას. ხალხი სულგანაბული შესცქერის. აი ბოლოს... მოიქნია ერთმა და ისე ლაზათიანად დასცა, რომ შენი

მოწონებული. „მაღალი წოდების ხალხითგან“ მოისმა, სწორედ რომ პოეტურად დასცაო. მართლაც რომ პოეტური იყო!..“

მაგრამ ჭიდაობის განვითარებაშიც ბევრი იყო „შავი დღეები“. გავიხსენოთ თუნდაც ის პერიოდი, როდესაც მეფის რუსეთის მთავრობამ აკრძალა სახალხო გართობების მოწყობა - ჩატარება. სწორედ ამას ეხებოდა აკაკის წერილი „დროებაში“, რომელშიც გულისწყრომით წერდა: „ნათილებას ზურნა აუკრძალა, მეზურნეები დაუპატიმრებიათ... რა ჰქნას ჩვენმა ხალხმა... ნუთუ იმის ნება არ უნდა ჰქონდეს, რომ კვირაში ერთხელ შრომისა და ოფლის ღვრის შემდეგ გული გაიმხიარულოს? როგორ მოიკლას კაცმა თავისი ჭირი და ლხინი“.

ქართულმა ჭიდაობამ შემდგომ უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო. თბილისში შეიქმნა ე. წ. „კრუგები“ (იტალიის - მუშტაიდის ბაღებში). ცნობილმა მოჭიდავემ ნ. ესებუამაც გამართა „კრუგი“, რომელსაც „სამეგრელო“ დაარქვა.

თუ სოფლად ქართულ ჭიდაობას ბოლომდე შემორჩა ხალხურობა და ყოველგვარი ოფიციალური შეჯიბრებების გარეშე ტარდებოდა, საქართველოს ქალაქებში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში) დაიწყეს ჩემპიონატების ჩატარება - პირველ რიგში კლასიკურ ჭიდაობაში (დღევანდელი ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). ჩვენში ჭიდაობის ტრადიციას იმდენად ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი, რომ ქართველმა ფალავნებმა სწრაფად აითვისეს მანამდე უცხო ჭიდაობა და ტოლი არ დაუდეს მყვირალა ტიტულების მქონე პროფესიონალურ მოჭიდავეებს.

საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ქართული ჭიდაობის შეტევისა და დაცვის ხერხები: კაურები, სარმები, ცერულები, მოგვერდები, ბრუნები, კისრულები, ღოჯურები, ჩოქელა, ნამგალა, წელმოგვერდი და სხვა მრავალი.

ქართული ჭიდაობის არსი მთლიანად არასოდეს უთანაბრდება მხოლოდ საშეჯიბრო მიზნებს, იგი ბევრად უფრო მდიდარია. მას, როგორც თვით ადამიანზე მრავალმხრივი ზეგავლენის მქონე საქმიანობას და ადამიანთა შორის კონტაქტის მრავალგვარ სფეროს, უფრო ღრმა აზრი აქვს და საბოლოო ჯამში განპირობებულია ძირითადი საზოგადოებრივი ურთიერთობით, რომელშიც ჩართულია მოცემული საქმიანობა, მისთვის სპეციალური მომზადება, სპეციფიკური დამოკიდებულება.

ქართული ჭიდაობა თავის ცხოვრებისეულ ასახვაში არის ადამიანის დაუოკებელი ლტოლვა საკუთარ შესაძლებლობათა საზღვრების გაფართოებისაკენ. იგი, როგორც მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოვლენა, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის ქმედითი ფაქტორია, შრომისა და სხვა საზოგადოებრივად საჭირო მოღვაწეობისათვის მათი მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა და ამასთან ერთად ეთიკური და ესთეტიკური აღზრდის, საზოგადოების სულიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილების საშუალებაც.

შემოქმედებითი ხასიათით და სხვა თავისი ნიშნებით ქართული ჭიდაობა მოზარდი თაობის მრავალმხრივი განვითარების, ფიზიკური და ფსიქიკური უნარების სრულყოფის, ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ქმედითი ფაქტორია. ამასთან, მისი კანონზომიერებანი და პირობები პიროვნების ნებელობით, ემოციურ, ზნეობრივ, ინტელექტუალურ თვისებათა გამომუშავების უმდიდრეს შესაძლებლობებს ქმნის.

ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სიტუაციაში არცთუ ხშირად ვხვდებით ნებელობითი თვისებებისადმი ისეთ მაღალ მოთხოვნათა გამოვლინებას, როგორც ამას საჭიროებს ქართული ჭიდაობის შეჯიბრება და მთელი სპორტული საქმიანობა. გავლენა პიროვნებაზე და აქედან მისი მნიშვნელობა, სპორტული საქმიანობის სფეროში და მასთან დაკავშირებით, ზნეობრივი აღზრდისათვის განპირობებულია ადამიანთა შორის ურთიერთობის სიფართოთა და დამაბულობით. ეს ურთიერთობები არასოდეს ივარგლება მხოლოდ პიროვნულად. სპორტულ კავშირებს მოჭიდავე შეჰყავს ფართო სოციალურ ურთიერთობათა სფეროში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ქართული ჭიდაობის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების სოციალური ფაქტორის როლს. ფართოდ იხსნება და საქმით მოწმდება პიროვნების ზნეობრივი სახის ისეთი თვისებები, როგორც არის კეთილშობილება, პატიოსნება, მეტოქის პატივისცემა, სპორტულ კონფლიქტებში ელემენტარულ ემოციებზე მაღლა დგომა, სპორტული და ზოგადად ადამიანური ეთიკის ნორმებისადმი საკუთარი ქცევის დაქვემდებარების უნარი.

ქართული ჭიდაობის სანახაობითი მიმზიდველობის საფუძველია მისთვის დამახასიათებელი ესთეტიკური თვისებები. სპორტული მოღვაწეობის ბუნებრივი და ხალისიანი საწყისები, რაც აირეკლება მის ძირითად ნიშნებში, სულიერ და ფიზიკურ თვისებათა მაღალი და ჰარმონიული გამოვლინების დემონსტრირებაში; ალაღმართალი, ვაჟკაცური და უკომპრომისო ბრძოლის ჭეშმარიტი სილამაზე გამარჯვებისთვის და მრავალი სხვა, პასუხობს ყველაზე მკაცრ ესთეტიკურ კრიტერიუმებს.

ქართული ჭიდაობის ყოველი შეჯიბრი ზეიშია. ის ხომ საჭიდაო მუსიკის ჰანგების გარეშე წარმოუდგენელია. ჭიდაობის „სიმფონია“ ეროვნული საგანძურის განუყოფელი ნაწილია. ქართული ხალხური საჭიდაოს შთაგონებით გამოჩენილმა კომპოზიტორმა რევაზ ლალიძემ 1952 წელს შექმნა

სიმფონიური სურათი - "საჭიდაო". ამ ნაწარმოების შესახებ კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი წერდა: „საჭიდაო“, ეს არის ქართული სიმფონიური მუსიკის ფეიერვერკი“.

ქართული ჭიდაობა იმ ფორმით, რაც მას დღემდე აქვს შემორჩენილი, ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან დასავლეთშიც მოივიდა ფეხი. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში საყოველთაოდ გავრცელებული სახეობაა და ხალხური სპორტიდან ხალხურ-ეროვნულ სპორტად იქცა.

ქართულ ჭიდაობაში ნათლად ჩანს ჩვენი ხალხის შემართება. ჭიდაობის დაწყებამდე ფალანგები ხალხის მოთხოვნით ჯერ ცეკვავენ. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფალანგი ცეკვაშიც ამჟღავნებს თავის სიმარჯვეს, მოქნილობას და ამით არსებით გავლენას ახდენს მოწინააღმდეგეზე. მეტოქენი აქ ერთმანეთის საპირისპიროდ მკლავშემართულნი, მკერდიმკერდ მიდიან. ჭიდაობის წესები არ ითვალისწინებს წაჩოქებული მოწინააღმდეგის დაჯაბნას; მორკინალნი მხოლოდ დგომში იბრძვიან და წაქცეულ კაცზე იერიშის გაგრძელება აკრძალულია. როდესაც ერთ-ერთი მორკინალი იმარჯვებს, ისევე ცეკვა - ცეკვავს გამარჯვებული და დამარცხებულიც, შემდეგ ერთმანეთს ძმურად კოცნიან და მათ ადგილს ახალი წყვილი იკავებს.

ქართული ჭიდაობა არაერთმა უცხოელმა მოგზაურმა თუ მწერალმა აღწერა თავის შემოქმედებაში. 1947 წლის ზაფხულში საქართველოში 10 დღე დაჰყვეს ამერიკელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯონ სტაინბეკმა და ცნობილმა ფოტოგრაფმა რობერტ კაპამ (ანდრე ფრიდმანმა). ისინი გორში დაესწრნენ ქართულ ჭიდაობას. ჯონ სტაინბეკმა თავის წიგნში „რუსული დღიური“ (1948 წ.), სხვა შთაბეჭდილებებთან ერთად ასე აღწერა გორში ნანახი:

„კმაყოფილებამ შეგვიპყრო, რომ მოგზავით პარკში, ვინაიდან იმ დღეს ტარდებოდა ეროვნული ასპარეზობის ფინალი ქართულ ჭიდაობაში. მრგვალი ფიცრული ღობე გამოჰყოფდა რაღაც ასპარეზის მსგავსს და ირგვლივ გაეწყობა სკამები. თვით საჭიდაო წრე, დიამეტრით 12 მეტრისა, მოფენილი იყო ნახერხის სქელი ფენით, ერთ მხარეს იდგა მსაჯთა მაგიდა, ხოლო მის უკან პატარა გასახდელი, შეჯიბრებაში მონაწილეთათვის. უმაღლეს თვალში მოგვხვდა სამი მამაკაცი, ორი უკრავდა ზურნას, მესამე - პატარა დოღს. მაღალი ფიცრულის გასწვრივ ჩამწკრივებულ ხეებზე მტევენებივით ეკიდნენ ზავშეები და იყურებოდნენ ღობის მიღმა“.

ქართული ჭიდაობის ტექნიკური მოქმედებების დამსახურება აის ფაქტი, რომ დღეისათვის საქართველოს მიუდოისტებს მოპოვებული აქვთ 5 ერთეული ოლიმპიური თამაშების, 5 ერთეული მსოფლიოს ჩემპიონატის და 33 ერთეული ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლები. 2006 წელს საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გუნდურ პირველობაზე. სულ ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ქართველ მიუდოისტებს მოპოვებული აქვთ 43 ოქროს, 43 ვერცხლისა და 70 ბრინჯაოს მედალი.

„შინაურ ომში“ საქართველოს ფალანგის ტიტულს ფლობდნენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები: არსენ მეკოკიშვილი (თავ. ჭიდაობა), შოთა ჩოჩიშვილი (მიუდო), შოთა ხაბარელი (მიუდო); მსოფლიო ჩემპიონები - თემურ ხუბულური (მიუდო), მალხაზ ბერუაშვილი (სამბო), ვალერი პარუნაშვილი (სამბო).

პირველმა ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ციმაკურიძემ ჰელსინკის ოლიმპიადაზე გადამწყვეტი ფინალური ორთაბრძოლა ირანელ თავისუფალი სტილის მოჭიდავეს ტახტის სწორედ ქართული ჭიდაობის ხერხით მოუგო, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელი შოთა ჩოჩიშვილი ბავშვობაში ქართული ჭიდაობით იყო გატაცებული და სწორედ ჩვენებური კისრულით დასცა მან ზურგზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იაპონელი სასახარა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა კი, გადამწყვეტ ბრძოლაში, ქართული ფანდით აჯობა იაპონელ იზუმის.

ქართული ჭიდაობის ხერხებს შესანიშნავად იყენებდნენ თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი „ჭიდაობის პროფესორად“ წოდებული ვახტანგ ბალავაძე და მისი მოწაფე, ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი ქართველი მოჭიდავე ლევან თედიაშვილი.

მიუდო თავისი სტილითა და ხასიათით უფრო ახალი აღმოჩნდა ქართულ ჭიდაობასთან, ვიდრე საბჭოური სამბო. ამიტომაც, სსრ კავშირის ნაკრები ძირითადად ქართველი მიუდოისტებით იყო დაკომპლექტებული. 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სსრ კავშირის მიუდოისტთა ნაკრებში 6 სპორტსმენიდან 4 ქართველი იყო - შენგელი ფიცხელაური, გურამ გოგოლაური, შოთა ჩოჩიშვილი და გივი ონაშვილი, სადაც შოთა ჩოჩიშვილი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა და მიუდოს ისტორიაში პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა მოჭიდავეებთან.

მიუდო ქართულ ჭიდაობასთან შედარებით, უფრო სრულყოფილი, სრულფასოვანი ორთაბრძოლის სახეა, რადგან შეჭიდების დროს ნებადართულია ხელებისა და ფეხების შეუზღუდავი გამოყენება. რაც შეეხება ქართულ ჭიდაობას, აქ ხელებით ფეხებზე ტექნიკური მოქმედებების განხორციელება

აკრძალულია, იკრძალება ჩოქბჯენში შეჭიდებაც. არენაზე ერთ-ერთი მოჭიდავის მუხლით შეხებისთანავე ჩერდება შეჭიდება. ქართულ ჭიდაობაში ზემოთ აღნიშნული შეზღუდვები მოჭიდავეს აიძულებს უფრო მრავალფეროვანი გახადოს დგომში შეჭიდების ტექნიკა, რითაც აიხსნება ქართული ჭიდაობის მდიდარი ტექნიკური არსენალის არსებობა.

როგორც იაპონელები აღნიშნავდნენ, ძიუდომ მართლაც მოიცვა ქართული ჭიდაობის ყველა ტექნიკური მოქმედება, რამაც კიდევ უფრო გაამდიდრა ძიუდოს ტექნიკური არსენალი და უფრო სანახაობრივი გახადა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოს ტექნიკურ არსენალს ბევრი აქვს საერთო.

უკანასკნელ წლებში ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ეროვნული სპორტის სახეობათა განვითარებისათვის. მართალია, რომ სპორტის საერთაშორისო სახეობებს დიდი და გამუდმებული ყურადღება სჭირდება, მაგრამ ამან არ უნდა შეაფერხოს ხალხურ - ეროვნული სახეობების განვითარება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ეს სახეობები აძლევს საზრდოს საერთაშორისო სპორტს. აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ადგილობრივი ტრადიციული სახეობების დანერგვა-გამოყენება.

ჩვენი ვალია, აღვადგინოთ ქართული ჭიდაობის ტრადიციები, ამასთან, მსოფლიო ჭიდაობის სამყაროს საფუძვლიანად გავაცნოთ ქართული ხალხური ჭიდაობის თვითმყოფადობა, მისი არტისტიზმი და მდიდარი არსენალი.

რაც მეტი მოზარდი მოირგებს ქართული ჭიდაობის ჩოხას, მით მეტი ჯანმრთელი და ფიზიკურად განვითარებული თანამემამულე და ჩემპიონი ეყოლება საქართველოს.

ამრიგად, ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ქართული ჭიდაობა თავის ცხოვრებისეულ ასახვაში არის ადამიანის დაუოკებელი ლტოლვა საკუთარ შესაძლებლობათა საზღვრების გაფართოებისაკენ. იგი, როგორც მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოვლენა, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის ქმედითი ფაქტორია;
- ქართული ჭიდაობა შემოქმედებითი ხასიათით და სხვა თავისი ნიშნებით მოზარდი თაობის მრავალმხრივი განვითარების, ფიზიკური და ფსიქიკური უნარების სრულყოფის, ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ქმედითი ფაქტორია;
- ჭიდაობის ქართულმა სკოლამ შთამომავლობას არ უნდა დაუკარგოს საუკუნეების მანძილზე შექმნილი ქართული ჭიდაობის შეტევისა და დაცვის ისეთი ხერხების ცოდნა, როგორცაა: კაურები, სარმები, ცერულები, მოგვერდები, ბრუნები, კისრულები, ღოჯურები, ნამგალა, ჩოქელა, გარესარმა, წელმოგვერდი და სხვა მრავალი.
- არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხალხურ - ეროვნული სახეობები აძლევს საზრდოს საერთაშორისო სპორტს. აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების, ფიზიკური აღზრდის პროგრამებსა და პრაქტიკულ მუშაობაში ასახვა ჰპოვოს ადგილობრივმა ტრადიციულმა სახეობებმა და მოძრავმა თამაშებმა.

ლიტერატურა:

1. არაბული თ., სამბო (ციფრები, ფაქტები, შედეგები), თბ., 2008.
2. ბარჯაძე გ., ქართული ჭიდაობა „პრეზენტაციის თასზე“, თბ., 2005.
3. ელაშვილი ვ., ქართული ჭიდაობა, თბ., 1975.
4. რატიშვილი გ. ძიუდოს განვითარების ისტორია, თბ., 1993.
5. ქართველი კლასიკოსები ბავშვთა აღზრდის შესახებ, რედაქტორი პროფ. უ. ობოლაძე, თბ., 1973.

GEORGIAN WRESTLING AS A GOOD WAY TO GROW UP HIGHLY QUALIFIED WRESTLERS

Aleksandre Iashvili, Gori State Teaching University, Professor

Mamia Tugushi, Gori State Teaching University, Invited Doctor

RESUME

The article is about the meaning of one of the treasure of Georgian people, Georgian wrestling, that helps to grow up highly qualified wrestlers in different means of wrestling.

The author shows clearly rich traditions of Georgian wrestling and its importance for defiance and people health. Georgian wrestling always was heroic mean of sport, according to its aim, as it differs from other fight competitions by its rules.

Author also gives the history of Georgian wrestling development according to different Georgian regions. The article retells about Georgian teacher-trainers: Kristepore Noniashvili, Bidzina Mazmishvili, Guram Papitashvili, Givi Zautashvili, Lavrenti Katsitadze and Omar Merabishvili, their role to preserve Georgian wrestling traditions and its development.

Also author pays attention to technical elements and their use in international arena's that always brings awards to Georgian wrestlers, to champions of Olympic games: Arsen Mekokishvili, Davit Tsimakuridze, Mirian Tsalkalamanidze, Levan Tediashvili, Davit Gobejashvili, Leri Kharobov, Shota Chochishvili, Shota Khabareli, Davit Sakhaleishvili, Zurab Zviadauri, Irakli Tsirekidze and World Champions: Vakhtang Balavadze, Guram Saghareli, Vladimer Rubashvili, Temur Khubuluri and Koba Kurtanidze.

By author's opinion it's important to include wrestling lessons in secondary schools' and university sport lessons if we want to develop and continue wrestling's rich traditions.

თავისუფალ ჭიდაობაში ერთი ან ორი ფეხის მოვლებით გადაყვანების, გდებების და წაქცევების შესრულების თავისებურებები, მათი პროცენტული შესაბამისობა სხვა ილეთებთან და სწავლების სპეციფიკური მეთოდიკა

გიორგი მძინარაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

E-mail: g.mdzinarashvili@rambler.ru

თავისუფალი ჭიდაობა არის სპორტის ერთ-ერთი უძლიერესი სახეობა, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო არენაზე. თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გამოირჩევიან ფილიგრანული ტექნიკით, მრავალფეროვანი ტაქტიკით, მათ ახასიათებთ განსაკუთრებული ყოველმხრივი ფიზიკური მომზადება და იმ სხვა მაჩვენებლებით, რომელიც საჭიროა დიდ სპორტში.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ თავისუფალი ჭიდაობა განსხვავდება ჭიდაობის სხვა სახეობებისგან ტექნიკური ილეთების დიდი მოცულობითა და მრავალფეროვნებით. მათი რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 1000 ილეთზე მეტს, როგორც დგომში ასევე ჩოქბჯენში, გარდა ამისა არსებობს ამ ილეთების კავშირი, რომელიც წარმოდგენილია კომბინაციებისა და კომპლექსების სახით.

საქართველოში თავისუფალი ჭიდაობა დიდი პოპულარობით სარგებლობს. ქართველი ფალავნები არიან ერთ-ერთი უძლიერესი ფალავნები მსოფლიოში, რომლებიც უწყვეტ ძლიერ კონკურენციას, როგორც რუსეთი, ამერიკა, თურქეთი, კუბა, ირანი, ბულგარეთი, აზერბაიჯანი და სხვა.

თავისი დიდი ტრადიციებით გამოირჩევა გორის საჭიდაო სკოლა. თავისუფალი ჭიდაობა გორში ჩამოაყალიბა და განავითარა დამსახურებულმა მწვრთნელმა, ჭიდაობის დიდმა პროფესიონალმა სპეციალისტმა - ბატონმა ნუგზარ სხირელმა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ტექნიკური ილეთი და მოქმედება არსებობს თავისუფალი ჭიდაობის არსენალში, მათი გამოყენება ვარჯიშის პროცესში და სხვადასხვა რანგის და დონის შეჯიბრებებზე არის განსხვავებული.

თავისუფალ ჭიდაობაში გადაყვანებს და გდებებს ფეხის (ფეხების) მოვლებით ასრულებს თითქმის ყველა მოჭიდავე, ბევრისთვის კი ეს ილეთები არის მთავარი მათ ტექნიკურ არსენალში.

ამ ილეთების შესწავლას საჭიროდ თვლის სწავლების პირველ წელიწადს, ჭიდაობის სწავლის დასაწყისშივე, სპეციალისტების დიდი რაოდენობა და ეს შემთხვევითი არ არის. არსებობს ბევრი კომბინაციები, სადაც შეიძლება ამ ილეთების დაკავშირება, როგორც დგომის ილეთებთან, ასევე ჩოქბჯენის ტექნიკურ მოქმედებებთან. ბევრი სპეციალისტი ამ ილეთებზე და მათთან დაკავშირებულ კომბინაციებზე ხარჯავს სასწავლო-საწვრთნო პროცესში და შეჯიბრისთვის მოსამზადებელ პერიოდში დროის თითქმის ნახევარს.

სავსებით ბუნებრივია, რომ შეჯიბრებებზე ეს ილეთები გამოიყენება დიდი რაოდენობით. მაგალითად, ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში თბილისის საერთაშორისო ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში 88 შეხვედრაში ჩატარებული იყო 477 შეფასებული ილეთი დგომში, მათ შორის 229 ილეთი, რომელიც სრულდება ფეხის (ფეხების) მოვლებით (48%), ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამ ილეთების დიდი პროცენტი (46%) არ შესრულდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ილეთების სწავლებასა და

სრულყოფის საქმეში არის გამოუყენებელი რეზერვები. საკმაოდ დიდია ამ ილეთების შეუსრულებელი მცდელობების პროცენტი (35%), რომლებსაც, როგორც წესი, თან მოსდევს ტექნიკური ქულების წაგება. ეს იმით აიხსნება, რომ სხვა მოჭიდავეთა ტექნიკურ არსენალში არის მრავალფეროვანი რთული ტექნიკური მოქმედებები, კონტრტექნიკური მოქმედებები და დაცვის ილეთები, რომლებიც გამოიყენება ერთი-ორი ფეხის მოვლების შემდეგ.

1994-1998 წლებში ჩვენ მიერ ჩატარებული იყო საშეჯიბრო მოღვაწეობის ანალიზი სტენოგრაფირების მეთოდის საშუალებით ოთხ ასაკობრივ ჯგუფში: პატარების, ახალგაზრდებისა და დიდების შეჯიბრებებზე. ვაწარმოებდით დიდების შეჯიბრებებზე სტენოგრაფირებას, როგორც საქართველოს ჩემპიონატზე, ასევე ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირზე, სულ გავაანალიზეთ 2025 შეხვედრა.

თავისუფალი ჭიდაობის დგომის მოწინავე ტექნიკური ილეთების გამოვლენის მიზნით ჩვენ გამოვყავით და დავახარისხეთ შეჯიბრზე შესრულებული ილეთები სამ საკლასიფიკაციო ჯგუფად: გადაყვანები, გდებები და წაქცევები. ერთი ან ორი ფეხის, ხელებით მოვლების შემდეგ რეალურად შესრულებულ და შეფასებულ ტექნიკურ მოქმედებებს ჩვენ ვაანალიზებდით ცალკე.

შეჯიბრის სტენოგრაფირებისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის, რომ ფეხში ხელებით მოვლების (შესვლის) ილეთები ამ შეჯიბრებებზე დომინირებენ და შეადგენენ დიდ პროცენტულ რაოდენობას, სხვა ილეთების პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაც დიდია მოჭიდავეთა ასაკი მეტად სრულდება ფეხში მოვლების შემდეგ ილეთები, პატარა ასაკის მოჭიდავეები კი ხშირად იყენებენ ტექნიკურ მოქმედებებს ორ ფეხში მოვლებით. მსგავსი კომპლექსური შეჯიბრებების ანალიზი ჩვენ ჩავატარეთ 2006 წელს და მივიღეთ თითქმის იგივე სურათი.

მანამდე გამოქვეყნებულ და ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომებში, სასწავლო-საწვრთნო პროცესის წარმართვისას ჭიდაობის სწავლების პირველ და მეორე წელიწადს, შემოთავაზებულ თანამიმდევრობაში დიაგრამის სახით, ერთ (ორ) ფეხში მოვლების შემდეგ ილეთების შესწავლა და დამუშავება უკეთესი არის, ჩვენი აზრით, მეორე წელს. მანამდე კი სასურველია სხვა მრავალფეროვანი და სანახაობრივი ილეთის შესწავლა.

მიუხედავად ამისა, ამ ძირითადი ილეთების კომპლექსების შესწავლის და დამუშავების დროს მწვრთნელმა და მოსწავლემ ბევრი რამ უნდა გაითვალისწინოს.

ტექნიკური მოქმედებები იყოფა ისეთ ძირითად ოპერაციებად, როგორცაა: სიტუაციის შეფასება, ილეთისთვის მომზადების შესრულება, დაახლოება, მოვლება და ილეთის დასკვნით ნაწილში გადაყვანა. ყველა ზემოთ აღნიშნულ ოპერაციას აქვს პრიორიტეტული მნიშვნელობა. ილეთისთვის ცუდ მომზადებას თან სდევს სიტუაციის არასწორად შეფასება, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს დაახლოების მომენტის არჩევაზე, შემდგომ მოვლების შესრულებაზე და ბოლოს ილეთის დასკვნით ნაწილში გადასვლა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფეხში შესვლასთან დაკავშირებული ილეთების შესრულების დროს, მნიშვნელოვანია ხელსაყრელი სიტუაციის შექმნა და მისი სწორად შეფასება. ამისათვის საჭიროა სწორად მოვახდინოთ მოწინააღმდეგის სხეულის ნაწილების მდგომარეობების ორიენტაცია და თვითონ უნდა ვიმყოფებოდეთ ოპტიმალურ ხელსაყრელ მდგომარეობაში, როდესაც ილეთის შესრულებისთვის წარმოიქმნება დინამიური სიტუაცია.

სასურველი და ხელსაყრელი სიტუაციები წარმოიქმნება შეხვედრაში როგორც თვითნებურად შეხვედრის პროცესში, ასევე მზადება იმ მოჭიდავის, რომელიც უტევს. მაგალითად, სწრაფი იაპონელი მოჭიდავეები ქმნიან სასურველ სიტუაციებს ცრუ მოძრაობებით, ცრუ შეტევებით, დაშინებით. ამით მოჭიდავეებს ეძლევათ საშუალება, რომ ეფექტურად მოამზადონ და ჩაატარონ ილეთი.

უძლიერესი ირანელი მოჭიდავეები წარმატებით ასრულებენ შემხვედრ შეტევებს.

თავისუფალი ჭიდაობა, როგორც აღვნიშნეთ ნაშრომის დასაწყისში გამოირჩევა ილეთების დიდი რაოდენობითა და მრავალფეროვნებით. ყველა ილეთს და მის შესწავლას აქვს თავისი პრიორიტეტული მნიშვნელობა და სპეციფიკა. დღევანდელ ჭიდაობაში დომინირებენ ილეთები ერთი ან ორი ფეხის მოვლების შემდეგ. რომ გავზარდოთ ტექნიკური მოქმედებების შესრულების ეფექტურობა, ამ ილეთების შესწავლისა და დამუშავების დროს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსამზადებელ ფაზას, სხვა შემთხვევაში ილეთი ან სრულდება რთულად ან მისი რეალიზება შეუძლებელია.

თავისუფალ ჭიდაობაში მოწინავე ქვეყნების მაგალითზე შეიძლება გამოვიყენოთ ამ მხრივ მათი უპირატესობები.

გარდა ამისა, ჩვენი აზრით სასურველი და აუცილებელი არის ილეთების შესწავლა და სრულყოფა მოხდეს მრავალფეროვანი, ხელსაყრელი სიტუაციების მომზადების უნართან. მსგავსი სიტუაციების შექმნა შესაძლებელია ისეთი ტაქტიკური მოქმედებებით, როგორცაა: წონასწორობიდან გამოყვანა, განმეორებითი შეტევა, ცრუ ილეთი, დასწრება, გამოწვევა, მანევრირება, ყურადღების გადატანა, შებოჭვა.

ლიტერატურა:

1. Алиханов И.И. Техника и тактика вольной борьбы. М., ФиС, 1986, 304 с.
2. Алиханов И.И. Биомеханические аспекты спортивной борьбы. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1984, с 20-22.
3. Дмитриев Р.М. Особенности выполнения переводов с захватом за ноги в вольной борьбе. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1982, с. 55-59.
4. Демин В.А., Пилюян Р.А., Седлов В.С. Деятельностный анализ борцовского поединка. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1979, с. 60-65.
5. Сурягин С.В., Гуров Б.Д. ЭВМ и анализ соревновательной деятельности в борьбе. В ежегодн. «Спортивная борьба», М., ФиС, 1979, с. 36-37.

SPECIAL TEACHING AND TRAINING METHODS IN FREE WRESTLING; AVERAGE PERCENTAGE CONSEQUENCE OF METHODS: THROWING DOWN, KNOCKING DOWN WITH ONE OR BOTH LEGS COMPARED WITH OTHER METHODS
Giorgi Mdzinarashvili, Gori State Teaching University, Associate Professor
RESUME

According to the data we can say that the complex of methods in wrestling is very difficult to master. Although it's time of high competition in the world all countries do their best to be the leaders and use different kinds of modern effective methods and skills. As a result of many years' research the most important method in the wrestling arsenal is to kneel the competitor by one or both legs. Other methods are less important and effective compared with this one. It's impossible to master these methods without special tactical, physical and psychological preparation. That's why trainers must teach their trainees methods as well as to create appropriate situations.

E-mail: ubiriamarika@mail.ru

E-mail: tiniko.iosebidze@mail.ru

(1).

XIX

4100

(2).

(*Anethum graveolens* L.)



40-100

c (3).

(-)

(2-4 %),

(), 20 %

(1,5 %),

(135 %),

(12 %),

6 (

),

(

),

5 (

),

I II
(*Adonis vernalis* L.)



0,15%

).

(

: 1 30 1
(4).

(*Potentilla anserina* L.)



(3).

6


0,5

. 2

20

()

(*Crataegus*)



4-6

(5).

(), (), (), () 4:4:4:1. (4). 1
 20- 30
 2-3 3
 (): 1 1 30
 0,5 3
 (): 1 1
 2-3 2-3 3-4
 1 0,5 40% ()
 20—30 3

1. , 1983.
2. , 1989.
3. , 1990.
4. , 1988.
5. , 1989.

MEDICINAL PLANTS USED TO TREAT DISEASES OF THE HEART- VASCULAR SYSTEM

Mariam Ubiria, Gori State Teaching University, Doctor

Tinatin Iosebidge, Gori State Teaching University, Associate Professor

SUMMARY

The article noted that recent years has increased dramatically expendable populations of medicinal plants as a more effective treatment of diseases.

There are given the recipes which have been widely used in herbal medicine to treat diseases of the heart-vascular system.

რადიონუკლიდების შემცველობა ქ. ქუთაისის ზონის მცენარეთა ფოთლებში

მაკა ხეცურიანი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გარემოს ინჟინერიისა და

უსაფრთხოების დოქტორი

E-mail: m.khetsur@gmail.com

მცენარეთა ფუნქციონირება დამოკიდებულია გარემო პირობებზე და გენეტიკურად განსაზღვრული ფიზიოლოგიური პროცესების ურთიერთქმედებაზე. ცალკეული ორგანიზმისა და პოპულაციის ფიზიოლოგიური და გენეტიკური ბუნება განიხილება როგორც გარემოს მდგომარეობის ასახვის ზომა ისეთი ძირითადი ცვლადი ფაქტორით, როგორცაა მაიონებელი გამოსხივება.

ბუნებრივ პირობებში მაიონებელი გამოსხივება, განსაკუთრებით მისი მაღალი დოზები, როგორც მცენარეული საფარის ერთ-ერთი ძირითადი დამორგუნველი ფაქტორი, ფართომასშტაბიანი

ეკოლოგიური გამოკვლევების შესაძლებლობას აპირობებს. ორგანიზმთა თანასაზოგადოება, რომელიც შედგება ასეულობით და ათასეულობით ერთეულისაგან გამოსხივების ფონური დოზიდან ლეტალურ დოზამდე დიაპაზონის ზეგავლენის ქვეშ ექცევა.

მაიონებელი გამოსხივებისა და რადიოზოტოპების გავლენა მცენარეებზე სხვადასხვა მიმართულებით განიხილება. ზოგიერთი მკვლევარის (1,2) ექსპერიმენტებით, ბუნებრივი რადიაქტიური ელემენტების მცირე დოზა საჭიროა როგორც მცენარეების, ისე ცხოველებისათვის. კერძოდ, მცენარეებში მცირე დოზით შეყვანილმა რადიოიზოტოპებმა გააძლიერეს ნივთიერებათა ცვლა და გაზარდა მოსავლიანობა. სხვა მეცნიერთა (3,4,5) აზრით კი, რადიაქტიური ელემენტები, განსაკუთრებით მათი მაღალი კონცენტრაცია, განაპირობებს ცვლილებათა რიგს, რომელიც ვლინდება ფოტოსინთეზის პროცესის შენელებით, აზოტის ცვლის დარღვევით, ზრდის დათრგუნვით, მორფოლოგიური ცვლილებებით და სხვა უარყოფითი შედეგებით.

უმრავლესობა რადიობიოლოგიური კვლევებისა, მცენარეულ ორგანიზმებზეა განხორციელებული. ეს ალბათ განპირობებულია მცენარის მთელი რიგი უნიკალური თვისებებით, რაც მის მოდელად გამოყენების საშუალებას იძლევა. ბუნებრივია პრაქტიკულად ღირებული ხერხის დამუშავება შეუძლებელია მისი მეცნიერული საფუძვლების შესწავლის გარეშე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა რადიონუკლიდების (^7Be , ^{40}K , ^{137}Cs , ^{208}Tl , ^{212}Pb , ^{214}Pb , ^{214}Bi , ^{224}Ra , ^{226}Ra) შემცველობის შესწავლა ქუთაისის ზონაში ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ხე-მცენარეების (მუხა, ჭადარი) ფოთლებში. საანალიზო ნიმუშები აღებული იქნა ქუთაისსა და მის მიმდებარე ლანდშაფტებში საყოველთაოდ მიღებული მეთოდის მიხედვით. ანალიზური სამუშაოები რადიონუკლიდების შემცველობაზე ჩატარდა საქართველოს აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის რადიოეკოლოგიისა და მოდელირების ლაბორატორიაში CANBERA–ს ფირმის მრავალარხიან სპექტრომეტრულ ანალიზატორზე.

ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

რადიონუკლიდების შემცველობა ქუთაისის ზონის მცენარეთა ფოთლებში (ბეკ/კგ)

	ნიმუშის ტიპი, ნიმუშის აღების ადგილი	რ ა დ ი ო ნ უ კ ლ ი დ ე ბ ი (ბეკ/კგ)								
		^7Be	^{40}K	^{137}Cs	^{208}Tl	^{212}Pb	^{214}Pb	^{214}Bi	^{224}Ra	^{226}Ra
1	მუხა (მუხნარის ტყე)		1673	19	27		55	78		
2	მუხა (სოფ. გუმათის შესასვლელი)		691				18			
3	მუხა (სოფ. ჭოგნარის გადასახვევი)		711	5.4						21
4	მუხა (სათაფლიის ნაკრძალის შესასვლელი)		791							
5	მუხა (სათაფლიის ნაკრძალიდან 1 კმ-ზე)		1548							61
6	მუხა (სათაფლიის ნაკრძალიდან 3კმ-ზე)		1535	5.3						
7	ჭადარი (ახალგაზრდობის გამზირზე)	33	734			26			128	
8	ჭადარი (ავტოქარხნის აეროდრომი)		456							
9	ჭადარი (ნინოშვილის ქუჩა)		470					5.4		
10	ჭადარი (თამარ მეფის ქუჩა)		359							
11	ჭადარი (ნ. ლომოურის ქუჩა)		585					7.5		
12	ჭადარი (წერეთლის ქ.)		495							
13	ჭადარი (ნიკვას ქ.)		376							
14	ჭადარი (საქართველოს პარლამენტის შენობა)		625							
15	ჭადარი (ჭავჭავაძის გამზირი, მოს-წავლე-ახალგაზრდობის პარკი)		359			9.1			69	
16	ჭადარი - (რუსთაველის გამზირი)		395							

როგორც მონაცემებიდან ჩანს ^{40}K -ის ყველაზე მეტი რაოდენობა აღინიშნება მუხნარის ტყეში – 1673 ბეკ/კგ, შემდეგ – სათაფლიიდან 1 და 3 კმ-ში მდებარე მუხის ფოთლებში (შესაბამისად 1548 ბეკ/კგ და 1535 ბეკ/კგ), ხოლო ამ ელემენტის მინიმალური რაოდენობა დაფიქსირდა თამარ მეფის ქუჩასა და

მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში მოზარდ ჭადრის ფოთლებში (ორივე შემთხვევაში 359 ბეკ/კგ). ზოგადად, მცენარეულ ორგანიზმებში ^{40}K -ის შემცველობა 3-10-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დედამიწის ქერქში.

მცენარეთა ალბულო ნიმუშებში ^{224}Ra დაფიქსირდა ჭადარში ახალგაზრდობის გამზირზე) 128 ბეკ/კგ და ჭავჭავაძის გამზირზე (მოსწავლე-ახალგაზრდობი პარკი) - 69 ბეკ/კგ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სათაფლიიდან 1 კმ-ში მდებარე მუხის ფოთლებში დაფიქსირდა ^{226}Ra - 61 ბეკ/კგ, ხოლო ჭოგნარში - 21 ბეკ/კგ.

გარკვეული რაოდენობით დაფიქსირდა ასევე ^{214}Bi , რომლის მინიმალური ოდენობა იყო ჭადრის ფოთლებში ნინოშვილის ქუჩაზე 5,4 ბეკ/კგ, ხოლო მაქსიმალური ოდენობა - მუხნარის ტყეში - მუხის ფოთლებში 78 ბეკ/კგ.

როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, მცენარეთა საანალიზო ნიმუშებში ასევე აღმოჩენილ იქნა ^{212}Pb -ისა და ^{214}Pb -ის იზოტოპები, კერძოდ ^{212}Pb ჭადრის ფოთლებში: ჭავჭავაძის გამზირზე - 9,1 ბეკ/კგ, ახალგაზრდობის გამზირზე - 26 ბეკ/კგ.

ალბულო საანალიზო ნიმუშებიდან მხოლოდ ერთ ადგილზე - მუხნარის ტყეში მუხის ფოთლებში დაფიქსირდა ^{208}Tl -ის იზოტოპი, რაოდენობით 27 ბეკ/კგ.

ხელოვნური რადიონუკლიდებიდან მცენარეთა რამდენიმე ნიმუშში დაფიქსირდა ^{137}Cs -ის შემცველობა. კერძოდ, მუხის ფოთლებში: სათაფლიიდან 3კმ-ზე - 5,3 ბეკ/კგ, ჭოგნარში - 5,4 ბეკ/კგ, მუხნარის ტყეში - 19 ბეკ/კგ.

რაც შეეხება ^7Be -ს, მისი გარკვეული რაოდენობა პირველად დაფიქსირდა ჭადრის ფოთლებში, ახალგაზრდობის გამზირზე - 33 ბეკ/კგ. ეს, ჩვენი აზრით, არის ჭექა-ქუხილის დროს ელექტრული განმუხტვის შედეგად ^{14}N -ის გარდაქმნის პროდუქტი.

ჩვენი მონაცემებით (ცხრილი 1) ირკვევა, რომ რადიონუკლიდების შემცველობა თვით ერთსა და იგივე სახეობის მცენარის ფოთლებში, მკვეთრად ცვალებადობს მცენარის ადგილსამყოფელის მიხედვით. ეს შესაძლებელია გამოწვეული იყოს ნიადაგში რადიაქტიური ელემენტების სხვადასხვა შემცველობით, ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია ნიადაგწარმოქმნელ ქანებთან. რამდენადმე მსგავსი შედეგებია მიღებული საქართველოს სხვა რეგიონში ჩატარებული კვლევებით (6).

ამრიგად, ქუთაისის ზონაში მუხისა და ჭადრის მცენარეთა ფოთლებში რადიონუკლიდების შემცველობა არ აღემატება მათ დასაშვებ ნორმებს და შესაძლებელია სწორი რადიოეკოლოგიური ღონისძიებების გატარებით მდგომარეობის დღევანდელ დონეზე შენარჩუნება და მომავალში მისი თანდათანობით გაუმჯობესება.

ლიტერატურა:

1. ო. მდივნიშვილი, ჯ. თავართქილაძე, რადიაქტივობა და სოფლის მეურნეობა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1977.
2. А.М. Кузин, Природный радиактивный фон и его значение в возникновение, эволюции и существования биосферы. Сб. Вопрос теоретический и прикладной радиобиологии М., 1960.
3. ე. ბიბილური, ზ. ჩანქსელიანი, გ. მაჭარაშვილი, მესხეთ-ჯავახეთის სავარგულების რადიონუკლიდებით შესაძლო დაბინძურების პირობებში სარეაბილიტაციო ღონისძიებების საკითხებისათვის. რადიაციული გამოკვლევები. ტ. IX, თბილისი, 2000.
4. ნ. პოპიაშვილი, მ. ივანიშვილი, მ. გოგებაშვილი, გამა-რადიაციის გავლენა სამკურნალო მცენარეული ქსოვილების ამინომჟავურ შემადგენლობაზე. რადიოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები. ტომი I, თბილისი, 2005.
5. Влияние ионизирующих излучение на наследственность, Под. ред. Н.П. Дубинина, М., Наука, 2000.
6. ქ. გოგინაშვილი, ზ. ჩანქსელიანი, გარემოს გამა-რადიაციული ფონი და მცენარეთა საერთო რადიაქტივობა შიდა ქართლის რეგიონში. საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 4, 2009.

PLANT LEAVES SCREENING GUIDANCE FOR RADIONUCLIDES IN THE KUTAISI ZONE

Maka Khetsuriani, Akaki Tsereteli State University, Doctor of Engineering Science in Environmental Engineering and Safety

SUMMARY

The content of radionuclides in plants growing in Kutaisi and in adjacent landscapes, which was determined for the mostly spread plants (Oak, Plane (tree)) in the existing zone, does not exceed permissible standards, and as a result of appropriate radioecological activities it is possible to keep this status quo. The study revealed certain amounts of ^7Be , ^{40}K , ^{137}Cs , ^{208}Tl , ^{212}Pb , ^{214}Pb , ^{214}B , ^{224}Ra , and ^{226}Ra isotopes in plants growing in Kutaisi zone. In some samples taken from artificial radionuclides there was determined the content of ^{137}Cs as well.

EU AND THE COMMON AGRICULTURAL POLICY (TENDENCIES OF DEVELOPMENT)

Merab Abdaladze, International Black Sea University, Professor

The Common Agricultural Policy (CAP) of the EU came into force on January, 1st 1958, as a part of the Treaty of Rome, which defined the general objectives of a CAP¹. Its main objectives are to ensure a fair standard of living for farmers, provide a stable and safe food supply at affordable prices for consumers and a balanced development of rural areas in the EU. The policy was actually implemented throughout the 1960s (it started in 1962) and is the oldest common policy of the EU. It represents a complex assembly of instruments and regulations, like trade controls, price support, income transfers, production subsidies, investment grants, conservation policies, health regulations and different standards.

When the CAP was born, the 6 founding members of the EEC (European Economic Community) were still emerging from over a decade of severe food shortages during and after World War II. The dominant method of agricultural support were import tariffs, since, in the early 1960s, the EEC countries were net importers of agricultural goods. With this background of external protection, the movement to a common external tariff for agriculture, as required by the Treaty of Rome, was a politically acceptable step towards the creation of a common market². For agriculture, however, instead of fixed tariffs, the EEC adopted a variable import tariff (which persisted until July 1995, when fixed upper limits to tariffs were introduced). This entailed setting Minimum Import Prices (MIPs) with Variable Import Levies (VILs) equal to the difference between the MIP and the lowest cost, insurance, and freight (CIF) price offered by importers at the community's borders.

The introduction of MIP mechanism with variable import levies (VILs) made import demand of the EEC countries' completely inelastic to changes in world prices. As P_w (world price) used to fall the Variable Import Levy over the same product introduced by the European authorities used to increase instantly in order to guarantee that no imports entered the EU at below the minimum import price (MIP)³.

The other consequence of the introduction of the minimum import price mechanism was that international market prices for agricultural products were forced downwards. They would rise if the European Economic Community price support and trade distortion was reduced and European import demand was higher.

Because of rapid technical progress in agriculture, called as the Green Revolution and involving the development of high – yielding varieties of cereal grains, expansion of irrigation infrastructure, modernization of management techniques, distribution of hybridized seeds and synthetic fertilizers to farmers, agricultural supply was increased drastically in the EEC.

The growth of European countries' agricultural sector was further stimulated by the Common Agricultural Policy in terms of supported prices above the international levels. Agricultural supply growth in the European Economic Community countries in 1970 -1980s exceeded radically their domestic demand growth and resulted in the emergence of excess supply of beef, dairy products, sugar, wine and some fruits.

The European authorities reacted naturally to the changed situation, by converting their protectionism in favor of their farmers from the external to internal stance. In particular, the internal support system operated through the process whereby the European authorities governing the CAP offered to buy different kind of agricultural products of at least minimum standard quality at certain times of the year at the intervention price -- P_i . In effect P_i acted as a floor price in the market and was set above the free on board export price which could be obtained by exporting the surplus. The internal price support mechanism of Intervention Buying was applied not to all commodities covered by the Common Agricultural Policy, but to wheat, milk, beef and wine. In a modified form it was applied as well to certain fruits, vegetables, and fish, surpluses of which could not be stored but had to be destroyed. The amount by which supply exceeded consumer demand was purchased by the CAP authorities into intervention stores where it used to develop into the so called beef and butter mountains and wine and milk lakes.

So, the European authorities by running the Intervention Buying Policy of the CAP were incurring net losses from buying the surplus from their European farmers at the Intervention Price and selling them internationally at the world prices -- P_w , which were considerably lower than Intervention Prices in the European Economic Community countries.

¹ James Gerber – International Economics. 5-th Edition. Addison – Wesley. 2011. P. 331

²http://en.wikipedia.org/wiki/Common_Agricultural_Policy

³The Economics of the European Union.4/E.2007. Oxford University Press. (Edited by Mike Artis and Frederick Nixon)

The budgetary costs of the CAP provided a persistent source of pressure and contributed significantly to the need to increase the total tax transfer from 0.77% of the combined GDP of the 9 members in 1980 to 1.03% of the combined GDP of the 12 members in the 1989¹.

In the case of the budgetary transfers, revenue is raised as a value added tax (VAT) levy at the country level, through direct national budgetary contributions. These are then transferred to the EU to support the principle of common financing of the Union's costs. These revenues are then used to finance storage and subsidized disposal of surplus products. It was exactly the costs of agricultural surplus management which dominated the budgetary expenditures of the European Agricultural Guidance and Guarantee Fund (EAGGF)².

The Common Agricultural Policy could be criticized as well for transferring funds from the poorest members of European society to some who are relatively well off. There were conducted many empirical investigations to determine the average cost imposed on European nonfarm families through higher agricultural prices and taxes to support the CAP. According to those estimates the poorest members of the society bear approximately 60% of this cost and generally wealthier farmers with larger farms benefit the most.

Because of those negative sides of the Common Agricultural Policy the policy instruments and regulations have been adapted from time to time to meet changing economic and political circumstances. For example, during the 1970s, in response to the growing surpluses of some commodities, the EU introduced several new measures to the CAP designed to encourage domestic consumption, including subsidies to certain categories of final consumers, subsidies to industrial users of food products. Alternatively, the European authorities attempted to decrease the budgetary cost of an existing policy instrument, intervention buying, by changing its rules of operation. In particular, the period of availability of intervention buying was shortened and the quality standards for acceptance were raised, whilst the price received for sales to intervention was reduced to a so – called Buying – In Price and so on.

Starting from 1980s there were some significant changes to the CAP initiated with the introduction of three new supply control mechanisms: Marketing Quotas, Co – Responsibility Levies, and Budgetary Stabilizers. The introduction of these supply control mechanism essentially essentially marked the end of unlimited price guarantees. For commodities covered by such policy instruments, if production exceeded a certain fixed level, known as the guarantee threshold, action was triggered which ensured that at least some part of the cost of the additional surplus disposal was born by producers.

At the start of 1990s another attempts were made for reformation of the CAP. In particular, the MacSharry reform package of 1992 (named after the European Commissioner for Agriculture, Ray MacSharry) owed much to the Uruguay Round of GATT/WTO multinational trade negotiations and the pressure from agricultural trade partners to reduce the level of trade distortion caused by the CAP³. Whilst the basic price support mechanisms described above retained, reductions in the level of support price significantly reduced their effectiveness. To compensate farmers for their potential loss in income, the EU decided to give direct income payments to farmers provided they adhered to certain restraints on input use. By partly replacing price support with direct income payments, the correlation between the amount of support received and the amount of output produced was weakened. Under the MacSharry package the compensation to farmers came to be paid only if a farmer agreed to set aside (take out of production) a proportion of his arable land, the exact proportion being determined by the Council of Ministers each year.

In the first half of the 2000th the European Union adopted a fundamental reform of the Common Agricultural Policy and introduced a new Single Payment – Scheme (SPS) for direct subsidy payments to landowners. In order for farmers to follow certain conditions:

- 1) Their holdings must be at least 1.0 hectare and used for an agricultural activity.
- 2) Their land must be at their disposal for a period of 10 months.
- 3) They must meet Cross Compliance standards. These cover environment, food safety and animal health and welfare law (and good practices).
- 4) Keeping land in Good Agricultural and Environmental Condition (GAEC), and the others⁴.

The European Union is currently considering further reform of the Common Agricultural Policy. In particular, the European Union member states are currently assessing the options. For example , an ongoing Scottish study is evaluating the consequences of calculating Single Payment – Scheme using an area – based scheme with payment rates linked to a classification of land quality.

REFERENCES:

1. James Gerber – International Economics. 5-th Edition. Addison – Wesley. 2011
2. http://en.wikipedia.org/wiki/Common_Agricultural_Policy
3. The Economics of the European Union.4/E. 2007. Oxford University Press. (Edited by Mike Artis and Frederick Nixon)

¹The Economics of the European Union.4/E.2007. Oxford University Press. (Edited by Mike Artis and Frederick Nixon)

²Jacques Pelkmans “European Integration : Methods and Economic Analysis” , 3/e . 2007.

³“ ევროკავშირის ეკონომიკა: პოლიტიკა და ანალიზი“, (მაკარტისის და ნორმანლის რედაქტორობით), მე-2 გამოცემის ინგლისური თარგმანი, თბ., 2002.

⁴http://en.wikipedia.org/wiki/Common_Agricultural_Policy

4. Jacques Pelkmans "European Integration : Methods and Economic Analysis" , 3/e . 2007.
5. „ევროკავშირის ეკონომიკა: პოლიტიკა და ანალიზი“ (მაიკარტისის და ნორმანლის რედაქტორობით), მე-2 გამოცემის ინგლისური თარგმანი, თბ., 2002.
6. Paul R. Krugman, Maurice Obstfeld "International Economics: Theory & Policy" 8/Ed.

RESUME

For decades the European Union have lavished subsidies on their farmers, typically guaranteeing them a minimum price for the products they produce. The aim has been to protect European farmers from the potentially devastating effects of low commodity prices from the world markets. The consequence of such subsidies is to create surplus agricultural production which is then sold on the world market, where the extra supply depresses prices, making it much harder for non-European producers to sell their output at a profit. The investigation of the European Common Agricultural Policy is basically important for Georgia because of 2 reasons: 1) Georgia is still maintained as a mostly agricultural country; and 2) The strategic target of the development of the country is to establish its place among the other European nations.

მცირე ბიზნესის განვითარების უცხოური გამოცდილება

**დავით ადვაპე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტი**
მერაბ ვანიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: merabvanishvili@yahoo.com

მცირე ბიზნესი საბაზრო ეკონომიკური სისტემის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. იგი ინგლისური სიტყვა „business“-იდან მოდის და ქართულ ენაზე საქმიანობას ნიშნავს. სწორედ ამ ნიშნის გამო, უკანასკნელ პერიოდში გამოცემულ ლექსიკონებში ხშირად აიგივებენ ბიზნესსა და მეწარმეობას. ასე, მაგალითად, დიდი ეკონომიკური ენციკლოპედია ბიზნესს განმარტავს, როგორც საქმეს, მეწარმეობას, ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება საკუთარი ან ნასესხები საშუალებების ხარჯზე, თავისი რისკით და თავისივე პასუხისმგებლობით; მისი მთავარი მიზანია მოგების მიღება და საკუთარი საქმის განვითარება.

მაგრამ, ბიზნესსა და მეწარმეობას შორის ტოლობის ნიშნის დასმა ყოველთვის არ შეიძლება. მეწარმეობა, მართალია, ადამიანების საქმიანობაა, მაგრამ რამდენადმე შეზღუდული ფორმით, რომელიც მატერიალური დოვლათის წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესს გულისხმობს, ბიზნესი კი ადამიანის საქმიანობის უფრო ფართო სფეროს მოიცავს [1, გვ. 60].

მცირე ბიზნესის მთავარ ფიგურა საწარმოს მფლობელია. იმან, ვინც მცირე ბიზნესში აპირებს თავის საქმიანობის დაწყებას, ან უკვე ამ სფეროშია ჩაბმული, უნდა იცოდეს, რომ ბიზნესი ემყარება საწარმოს მფლობელის ან მისი მმართველის უნარს - მიიღოს დამოუკიდებელი და სწორი გადაწყვეტილება. ასეთი დასკვნა, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ხალხში დამკვიდრებულ არასწორ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ თითქოს მცირე ბიზნესის წარმატების საფუძველს ფული წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ მცირე ბიზნესის აწყობის დროს მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს არა მისგან მიღებული ფულის რაოდენობის დათვლას, მისთვის კრედიტების გამოყოფას, არამედ, იმას, თუ როგორია ამ საწარმოების მართვის ხასიათი. სწორედ ეს აძლევს მცირე ბიზნესის მფლობელს იმის გარანტიას, რომ დახარჯული ფულის ყოველი ერთეული აუცილებლად მოგებით დაუბრუნდება. უფრო მეტიც, მცირე ბიზნესის საწარმოს ბევრი მფლობელი გულწრფელად არის დარწმუნებული იმაში, რომ პროცენტით მიღებული სესხი, ეფექტური მართვის პირობებში, მოგებით იქნება უკან დაბრუნებული.

უნდა ვიცოდეთ, რომ ტერმინი „მცირე ბიზნესი“ პირველად აშშ-ში იქნა გამოყენებული 1953 წელს მიღებულ კანონში „მცირე ბიზნესის შესახებ“. ამას წინ უძღოდა დიდი ბრიტანეთის მინისტრის მ. მილანის მიერ 1934 წელს გაკეთებული მოხსენება „დიდი ბრიტანეთის სამრეწველო და ფინანსური

მდგომარეობის შესახებ“, რომელშიც პირველად გამოიყენეს ტერმინი „მცირე და საშუალო საწარმოები“, ხოლო 1948 წელს აშშ-ში მიღებულ იქნა კანონი „მომსახურების გარკვეული სახეების შესახებ“. აქაც ლაპარაკია მცირე საწარმოების შესახებ. სამივე აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ბიზნესის კლასიფიკაციის (მცირე, საშუალო, მსხვილი) პირველ მცდელობას.

დიდ ეკონომიკურ ენციკლოპედიაში მცირე ბიზნესი განმარტებულია, როგორც მცირე და საშუალო კერძო საწარმოების ერთობლიობა. ეს არის ეკონომიკის ყველაზე მობილური სექტორი, ასრულებს მნიშვნელოვან დამაბალანსებელ როლს და აერთიანებს ქვეყნის შრომითი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. იგი არის ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნების მეწარმეობის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ფორმა.

მცირე ბიზნესს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება საწარმოები, რომლებიც პასუხობენ ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ორს მაინც: დამოუკიდებელი მართვა; საკუთარი კაპიტალი; მოქმედების ლოკალური რაიონი; წარმოების შედარებით მცირე სიდიდე; თანამშრომელთა მცირე რაოდენობა; საბრუნავი კაპიტალის შედარებით მცირე მოცულობა.

მცირე ბიზნესი თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. იგი წარმოადგენს ეკონომიკის თანამედროვე ნეოლიბერალური მოდელის საფუძველს და საბაზრო ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოფს ძირითად კონკურენციულ უპირატესობას, საბაზრო მექანიზმს ანიჭებს აუცილებელ მოქნილობას და ქმნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების წინამძღვრებს, ერთი მხრივ, ახდენს შესაბამისი კონკურენციული გარემოს ფორმირებას, ხოლო, მეორე მხრივ, - ახალი იდეების გენერირებას.

როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მცირე ბიზნესი წარმოადგენს მსხვილი კორპორაციული, მონოპოლიური კომპანიების საფუძველს.¹

ამერიკაში გავრცელებულია გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც „ამერიკული ეკონომიკის ხერხემალს დიდი კორპორაციები წარმოადგენენ, მის კუნთებს კი მცირე ფირმები ქმნიან“. ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ წლებში აშშ-ში მცირე ბიზნესს „ამერიკული ეკონომიკის ტვინსაც“ კი ადარებენ. ეს იმიტომ, რომ მრავალი ახალი მეცნიერებატევადი საწარმო, რომელშიც ქვეყნის სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის დიდი ნაწილია ჩართული, მცირე კერძო ორგანიზაციების სახით არის წარმოდგენილი.

თანამედროვე პირობებში მცირე ბიზნესის საწარმოები ფუნქციონირებენ არა მარტო ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორცაა მსუბუქი და კვების მრეწველობა, არამედ სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებენ მანქანათმშენებლობაში, ოპტიკური ხელსაწყოების წარმოებაში, ქიმიურ და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, განათლებაში, ხელოვნებაში, კულტურაში, ფიზკულტურასა და სპორტში, სამედიცინო, საკონსულტაციო, საყოფაცხოვრებო, რეკრეაციული, ტურისტული და მომსახურების ყველა სხვა სფეროში, რომელშიც კანონმდებლობით ადამიანის საქმიანობა აკრძალული არ არის. მათი კლასიფიკაცია ხორციელდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

რაოდენობრივი მაჩვენებლებია: საწარმოში დასაქმებულთა რიცხოვნობა (ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელი); წარმოების წლიური მოცულობა; გაყიდვების წლიური მოცულობა; აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება. ამასთან, რაოდენობრივი შკალა განსხვავებულია ცალკეული ქვეყნებისა და დარგების მიხედვით (ზოგიერთ ქვეყანაში კი რეგიონების მიხედვითაც).

ხარისხობრივი მაჩვენებლებია: საწარმო ფლობს ბაზრის მცირე წილს; საწარმოს მართვა ხორციელდება პირადად მისი მფლობელის მიერ; საწარმო წარმოადგენს დამოუკიდებელს, ე.ი. არ ემორჩილება მსხვილ კომპანიას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აღნიშნული მაჩვენებლების რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვანაირია სხვადასხვა ქვეყნების, მოცემული ქვეყნის რეგიონებისა და დარგების მიხედვით [2. გვ. 113].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია (OECD), რომელშიც შედიან განვითარებული ქვეყნები, განსაზღვრავს საწარმოთა შემდეგ კლასიფიკაციას: 19 კაცამდე რაოდენობით - როგორც „მეტად მცირეს“, 90-მდე კაცს - როგორც „მცირეს“, 100-დან 499 კაცამდე - როგორც „საშუალოს“ და 500-ზე მეტი - როგორც „მსხვილს“.

სსრკ-ის და, მათ შორის, რუსეთის პრაქტიკაში მცირე მეწარმეობის, როგორც ეკონომიკური საქმიანობის, არსებობა დაიწყო 1988 წელს. იმ პერიოდისათვის მცირეს მიაკუთვნებდნენ სახელმწიფო საწარმოებს, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა არ აღემატებოდა 150 კაცს. სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს მიერ 1990 წელს აგვისტოში დადგენილების შესაბამისად, რომელიც მიღებული იყო, მცირე საწარმოებს მიეკუთვნებოდნენ საწარმოები, რომლებშიც ყოველწლიური დასაქმებული არ აღემა-

¹ უმსხვილესი თანამედროვე კორპორაციები IBM, MacDonald's, Microsoft და სხვები, სწორედ რომ, მცირე ზომის საწარმოებიდან არიან შობილი.

ტებოდა: მრეწველობაში – 200 კაცს, მეცნიერებაში და მეცნიერულ მომსახურებაში – 100 კაცს, საწარმოო სფეროს სხვა დარგებში – 50 კაცს, არამწარმოებლურ სფეროს დარგებში – 25 კაცს, საცალო ვაჭრობაში – 15 კაცს. ამასთან ერთად, გათვალისწინებული იყო სამეურნეო ბრუნვის მოცულობაც. დასაქმებულთა რაოდენობრივი მნიშვნელობის განსაზღვრის უფლება ენიჭებოდათ მოკავშირე რესპუბლიკებს, მაგრამ სამეურნეო ბრუნვის მოცულობა პრაქტიკულად, მაინც არ იქნა დადგენილი.

„მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ რფ-ის ფედერალური კანონის (14.06.1995 წ.) შესაბამისად, მცირე მეწარმეობის სუბიექტად მიჩნეულია: კომერციული ორგანიზაციები, რომელთა საწესდებო კაპიტალში რუსეთის ფედერაციის სუბიექტების, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების), საქველმოქმედო და სხვა ფონდების წილი 25%-ს არ აღემატება; წილი, რომელიც ეკუთვნის ერთ ან რამოდენიმე პირს, რომლებიც არ წარმოადგენენ მცირე მეწარმეობის სუბიექტებს, არ აღემატება 25%-ს და რომელშიც დასაქმებულ მუშაკთა საშუალოწლიური რიცხოვნობა საანგარიშო პერიოდში არ აღემატება ზღვრულ დონეს:

- Ⓛ მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე – 100 კაცს;
- Ⓛ სოფლის მეურნეობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში – 60 კაცს;
- Ⓛ საბითუმო ვაჭრობაში – 50 კაცს;
- Ⓛ საცალო ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში – 30 კაცს;
- Ⓛ დანარჩენ დარგებსა და სხვა სახის საქმიანობის განხორციელებაში – 50 კაცს.¹

მცირე საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ რამდენიმე სახის საქმიანობას (მრავალპროფილიანები), კრიტერიუმის მიხედვით მიეკუთვნებიან მცირეს იმ საქმიანობის სახით, რომლის ხვედრითი წილი წარმოადგენს ყველაზე მეტს ბრუნვის წლიურ მოცულობაში ან მოგების წლიურ მოცულობაში.

განვითარებულ ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკის სუბიექტების კლასიფიკაციის მიზნით, გამოყენებულია სხვადასხვა კრიტერიუმები. ასე მაგალითად:

ევროპის საბჭოში შემავალ ქვეყნებში ეკონომიკის ყველა სუბიექტი იყოფა შემდეგნაირად: მიკროსაწარმოები, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები. ამავე ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მისაკუთვნებლად გამოყენებულია შემდეგი კრიტერიუმები:

- მიკროსაწარმოები – 1-დან – 9-მდე ადამიანის რიცხოვნობით;
- მცირე საწარმოები – 10-დან – 49-მდე ადამიანის რიცხოვნობით;
- საშუალო – 50-დან – 249-მდე ადამიანის რიცხოვნობით;
- მსხვილი საწარმოები – 250 და მეტი ადამიანის რიცხოვნობით.

ამრიგად, ევროსივრცეში ბიზნეს-ობიექტი მცირე საწარმოს რომ მივაკუთვნოთ, ადამიანების ზღვრული სიდიდე უნდა შეადგენდეს არა უმეტეს 49-ისა, მაშინ, როდესაც რუსეთის ეკონომიკის ცალკეულ დარგებში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს არა უმეტეს 100 ადამიანისა.

მთლიანად, ამ ქვეყნებში, რიცხოვნობის გარდა, გამოიყენება სხვა კრიტერიუმიც – საქონელბრუნვა (არაუმეტეს 40 მილიონი ევრო). მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს აგრეთვე მცირე საწარმოთა დამოუკიდებლობა, მაგრამ *ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში რაოდენობრივი კრიტერიუმები მნიშვნელოვნად განსხვავებულია:*

ავსტრიაში ასეთი კრიტერიუმებია: მომუშავეთა რიცხოვნობა არაუმეტეს 50_კაცისა, ამასთან, წლიური შემოსავალი – არაუმეტეს 5 მლნ ევრო, ან აქტივების საბალანსო ღირებულება – არაუმეტეს 2 მლნ ევრო. ორივე შემთხვევაში საწარმოს საკუთრებაში გარე მესაკუთრეების ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს. ეს უკანასკნელი კრიტერიუმი შეესაბამება რუსეთის პრაქტიკას.

გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოს მიკუთვნების კრიტერიუმებია: არაუმეტეს 500 კაცი, წლიური ბრუნვა – არა უმეტეს 100 მლნ ევროსი.

იტალიაში მიკროსაწარმოს აკუთვნებენ ბიზნეს-ობიექტს, რომელშიც დასაქმებულია არა უმეტეს 19 კაცისა, ხოლო მცირეს – 20-დან 49 კაცამდე. მცირე და საშუალო საწარმოს წარმოადგენს საწარმო, რომელშიც მომუშავეთა რიცხვი შეადგენს 100-დან 199 კაცამდე.

პორტუგალიაში მცირე საწარმოს მიეკუთვნება საწარმო, რომელიც დასაქმებულია მატერიალური წარმოების სფეროში, სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში, სხვა საწარმოებისათვის მომსახურების გაწევაში, აგრეთვე საწარმოები, რომლებიც მოქმედებენ საბითუმო და საცალო ვაჭრობაში. ამასთან, წლიური ბრუნვა მცირე საწარმოებში არ უნდა აღემატებოდეს 12,1 მლნ ევროს, ხოლო სხვა საწარმოების კაპიტალში წილი არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს.

შვეიცარიაში მცირე და საშუალო საწარმოს მიეკუთვნება საწარმოები მომუშავეთა რიცხოვნობით - არა

¹ საანგარიშო წელს მცირე საწარმოს საშუალო რიცხოვნობა განისაზღვრება მათი ყველა თანამშრომლის გათვალისწინებით, მათ შორის იანგარიშება ისინიც, ვინც მუშაობენ სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებით და შეთავსებით რეალურად გამომუშავებული დროის გათვალისწინებით.

უმეტეს 200 კაცისა. მცირე და საშუალო საწარმოთა კლასიფიკაციისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

- ☛ ზრდის სტადია (საწყისი, გადარჩენა, ზრდა);
- ☛ საქმიანობის გეოგრაფიული სფერო (ლოკალური, რეგიონული, ეროვნული მასშტაბები);
- ☛ დარგობრივი კუთვნილება;
- ☛ მფლობელებისა და მმართველების სპეციფიკური მახასიათებლები (მაგალითად, ქალი – მეწარმე, უცხოელები და ა.შ.);
- ☛ პრობლემების ტიპი, რომლებიც დამახასიათებელია საწარმოსათვის (მაგალითად, პროდუქციის ხარისხის მართვა, ფინანსირება და ა.შ.).

იპოვებაში გამოიყენება მცირემასშტაბიანი საწარმოს ცნება, მომუშავეთა რიცხოვნობით – 20 კაცამდე, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში – 5 კაცამდე.

პრაქტიკულ ინტერესს იწვევს აშშ-ის გამოცდილება. აქ მცირე საწარმოდ ითვლება საწარმო, რომელიც იმართება დამოუკიდებელი მესაკუთრეების მიერ და, რომელსაც დომინირებული მდგომარეობა არ უკავია ბაზარზე. რაოდენობრივ კრიტერიუმებს (დაქირავებული მუშაკების რიცხვი ან წლიური ბრუნვა) ყოველი ცალკეული დარგისათვის, სტანდარტული სამრეწველო კლასიფიკატორის შესაბამისად, დარგის თავისებურებებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ადგენს მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია.

მაგალითად, მშენებლობაში მცირე საწარმოს მიაკუთვნებენ საწარმოს – წლიური ბრუნვის მოცულობით 7 მლნ დოლარიდან (საქმიანობის სახეების მიხედვით), სოფლის მეურნეობაში – წლიური ბრუნვით 3,5 მლნ დოლარიდან, ცალკეულ დარგებში – 0,5 მლნ დოლარიდან.

დიდ ბრიტანეთში, „კომპანიების შესახებ კანონის“ (1981, 1986 და 1989 წწ. ცვლილებებით) შესაბამისად, მცირე საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან ორს მაინც: ბრუნვა – არა უმეტეს 2,3 – მლნ ფ. სტერლინგი, აქტივი – არაუმეტეს 1,5 მლნ ფ. სტერლინგი; დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა – 50 კაცამდე. გამოიყენება, აგრეთვე, უფრო კონკრეტული დარგობრივი მაჩვენებლები: მომუშავეთა რიცხოვნობა, ბრუნვა, ხოლო ტვირთიწონის – ავტომობილების რაოდენობა.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, როგორც წესი, საწარმოთა მცირე საწარმოდ მიკუთვნების კრიტერიუმებს წარმოადგენს მომუშავეთა რიცხოვნობა, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება სხვა მაჩვენებლებიც. უკრაინაში, მაგალითად, ასეთ კრიტერიუმებს წარმოადგენს მხოლოდ მომუშავეთა რიცხვი. იმის მიხედვით, თუ რომელი დარგის საწარმოა, მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე – არაუმეტეს 100 კაცისა; კვლევებში და დამუშავებებში – არაუმეტეს 60 კაცისა, საბითუმო ვაჭრობაში – არაუმეტეს 50 კაცისა, საცალო ვაჭრობაში – არაუმეტეს 20 კაცისა.

ბალტიისპირა ქვეყნებში გამოიყენებული კრიტერიუმები იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს. ლატ-ვიაში, მაგალითად, მცირე საწარმოს აკუთვნებენ ბიზნეს-ობიექტს, რომელშიც მომუშავეთა რიცხვი არ აღემატება 25 კაცს, ბრუნვა შეადგენს არაუმეტეს 200 ათასი ლატისა, ხოლო ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება – არაუმეტეს 70 ათასი ლატისა. ესტონეთში – მცირე საწარმოს მიაკუთვნებენ ბიზნეს-ობიექტს მომუშავეთა რიცხვით – არაუმეტეს 80 კაცისა და 15 მლნ ესტონური კრონის წლიური ბრუნვით; ლიტვაში, – შესაბამისად, არაუმეტეს 100 კაცისა და 2 მლნ ლიტისა.

საზღვარგარეთული და სამამულო გამოცდილების ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ მცირე ბიზნესის საწარმოებს ახასიათებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეები: ადგილობრივ პირობებთან იოლი ადაპტაცია; მცირე საწარმოთა მოქმედების დიდი დამოუკიდებლობა, მოქნილობა და მიღებულ გადაწყვეტილებათა მიღებასა და შესრულებაში ოპერატიულობა; საქმიანობის განხორციელების (განსაკუთრებით მართვის დროს) შედარებით დაბალი ხარჯები; ინდივიდის დიდი შესაძლებლობა – რეალიზაცია გაუკეთოს თავის იდეებს, გამოავლინოს თავისი უნარი; საწყის კაპიტალზე შედარებით მცირე მოთხოვნილება და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის საპასუხოდ სწრაფი ცვლილებები პროდუქციის ასორტიმენტსა და წარმოების პროცესში; საკუთარი კაპიტალის უფრო მაღალი ბრუნვადობა და სხვა.

აშშ-ს საერთაშორისო ბიუროს მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს, მსხვილ კომპანიებთან შედარებით, გააჩნიათ მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობები: ისინი ერთ მუშაკზე გაანგარიშებით ბევრად უფრო ნაკლებ კაპიტალდაბანდებას თხოულობენ და ფართოდ იყენებენ ადგილობრივ მატერიალურ და შრომით რესურსებს.¹

¹ აშშ-ის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოებში იმ ფირმის მიერ ჩადებული ყოველი დოლარი, რომელშიც დასაქმებულთა რიცხვი „100 კაცამდეა“, ახორციელებდა 4-ჯერ უფრო მეტი სიახლეების დანერგვას, ვიდრე ფირმები რიცხოვნობით 1000-დან 10000-მდე კაცით და 24-ჯერ მეტს, ვიდრე კომპანიები დასაქმებულთა რიცხვით 10000-ზე მეტი კაცით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მცირე ბიზნესის მფლობელები უფრო მეტად მიმართავენ სახსრების დაზოგვას, ორიენტირებულნი არიან ინვესტირებაზე, წარმატების მიღწევაში მათ ყოველთვის პირადი მოტივაციის მაღალი დონე აქვთ, რაც დადებითად მოქმედებს საწარმოს საქმიანობაზე. მცირე ბიზნესი უკეთესად არის ინფორმირებული ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის შესახებ, ხშირად საქონელს აწარმოებს კონკრეტული მომხმარებლის შეკვეთით, არსებობის საშუალებას აძლევს დაქირავებული მუშების მნიშვნელოვან რაოდენობას. მცირე ბიზნესი, მსხვილ საწარმოებთან შედარებით, ხელს უწყობს უმუშევარი მოსახლეობის დასაქმების ზრდას, და პროფესიონალი მუშაკების მომზადებასა და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებას. მცირე ბიზნესს, მსხვილთან შედარებით, ცალკეულ ქვეყნებში უკავია დომინირებული მდგომარეობა როგორც რიცხოვნობით, ასევე საქონლის (შესრულებული სამუშაოს, მომსახურების) წარმოების ხვედრითი წონის მიხედვით.

მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მცირე ბიზნესს ახასიათებს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც, რომელთა შორისაა: რისკის უფრო მაღალი დონე, რაც განაპირობებს ბაზარზე მდგომარეობის ნაკლებ სიმყარეს; მსხვილ კომპანიებზე დიდი დამოკიდებულება; თავისი საკუთარი საქმის მართვაში დაშვებული შეცდომები; ხელმძღვანელთა სუსტი კომპეტენტურობა, მეურნეობრიობის პირობების ცვლილებებისადმი ამაღლებული მგრძობელობა; დამატებითი ფინანსური სახსრების სესხებასა და კრედიტების მიღებაში სიმძნელები; სამეურნეო პარტნიორების ნაკლები თვითდაჯერებულობა, ხელშეკრულებების დადებისას სიფრთხილე და სხვა.

რა თქმა უნდა, მცირე ბიზნესის სუბიექტების უარყოფითი მხარეები და წარუმატებლობა განისაზღვრება მათ ფუნქციონირებაში არსებული როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზებით, პირობებით. მცირე ფირმების წარუმატებლობა ყველაზე მეტად დაკავშირებულია მათი მესაკუთრეების მენეჯერულ გამოუცდელობასთან, ანუ პროფესიულ არაკომპეტენტურობასთან.

მცირე ბიზნესის წარუმატებლობის მიზეზია აგრეთვე მეწარმეთა დაბალი კვალიფიკაცია. მეწარმე, რომელმაც მცირე ფირმის გაძღოლაში უკვე დააგროვა გამოცდილება, როგორც წესი, უფრო წარმატებულია. მცირე ფირმების სიცოცხლისუნარიანობაზე გავლენას ახდენს ფირმის არსებობის პირველ ეტაპზე დაფინანსების სიდიდე; რაც უფრო მეტი საწყისი კაპიტალია დაბანდებული ფირმაში, მით მეტი შანსი აქვს მას შეინარჩუნოს თავისი საქმიანობა კრიზისულ პერიოდში.

მცირე ბიზნესის წარმატების შანსი იზრდება მისი მომწიფებისა და განვითარების შესაბამისად. ფირმები, რომლებიც დიდხანს არსებობენ ერთი მფლობელის ხელში, იღებენ უფრო მაღალ და სტაბილურ შემოსავალს, ვიდრე ის ფირმები, რომლებიც ხშირად იცვლიან მფლობელს. ამერიკული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე ფირმების მფლობელი ქალები უფრო წარმატებული არიან ბიზნესში, ვიდრე მამაკაცები. კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ წარმატებებს აღწევენ ის მცირე ფირმები, რომლებიც ბევრს მუშაობენ, მაგრამ, ამავე დროს, არ გადადიან გონივრული აზრის საზღვრებს.

დაბოლოს, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საზოგადოების მოთხოვნილებების მუდმივი მიება და მათდამი უწყვეტი მორგება წარმოადგენს მცირე ბიზნესის სტრატეგიის საფუძველს. ზოგიერთი დასავლელი სპეციალისტი მცირე ბიზნესს განიხილავს, როგორც ახალი პიროვნული ურთიერთობების სკოლას, მომავალში მეწარმეობის განვითარების ორგანიზაციის მეთოდებისა და პრინციპების გამოცდის პოლიგონს. მაგრამ, მრავალი საწარმოსაგან განსხვავებით, მცირე ბიზნესის მეურნეობრიობის ნაკლებად ხელსაყრელი პირობები განაპირობებენ მათ ნაკლებ სიმყარესა და ნაკლებ კონკურენტუნარიანობას, ამიტომ იგი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ეს მხარდაჭერა ხორციელდება სახელმწიფო ცენტრალური და რეგიონული პროგრამების შესაბამისად. სამწუხაროდ, საქართველოში მცირე ბიზნესისადმი მხარდაჭერის მწყობრი სისტემა ჯერჯერობით არ არსებობს.

ლიტერატურა:

1. Большая экономическая энциклопедия, М., 2007.
2. Капуста М.Г., Старостин Ю.Л., Малое предпринимательство, учебник, М., 2007.
3. გველესიანი რ., მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, თბ., 1999.
4. სამადაშვილი უ., ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2009.
5. თოდუა გრ., გოგოხია რ., ქუტიძე რ., ეკონომიკის პრინციპები, მიკროეკონომიკა (ლექციების კურსი), თბ., 2008.
6. შენგელია თ., თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები (ნაწილი I), თბ., 2007.

THE FOREIGN EXPERIENCE OF SMALL BUSINESSES DEVELOPMENT

David Advadze, St. Andrew the First-Called Georgian University of Patriarchate of Georgia, Ph.D. Student
Merab Vanishvili, Gori State Teaching University, Associate Professor

RESUME

The article is devoted to the study of small business place and role in the national economy. It is the latest literary sources, considered a small business related to such important issues as: small business concept and the content of a small business classifications of quantitative indicators: Enterprise Number of employees, the annual volume of sales of the annual volume of assets with an average annual book value; small Business Classification qualitative indicators: Enterprise owns a small share of the market, the company is personally managed by its owners, is an independent enterprise, small business and enterprise recognition criteria and their parameters in different countries.

უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში

დავით ბიძინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail:davitbidz@gmail.com

საქართველოს საუკეთესო შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია, რომელთა გამოყენება ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საჭირო ღონისძიებების განხორციელებით და ევროკავშირის მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების შედეგად, საქართველო ნამდვილად შეძლებს, ევროპის დიდ ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყოს.

კვლევის მაღალი მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოში ვარაუდობენ, რომ უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

დღეისათვის ინვესტორები საქართველოს რეგიონული ეკონომიკის ცენტრად განიხილავენ. მთავრობა ყველაფერს აკეთებს საქართველოში ინვესტორებისათვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად.

იმ პერიოდიდან, როცა მსოფლიოში ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, საქართველოს, როგორც მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის შედარებით დაბალი ხარისხის მქონე ქვეყანას, ამ პროცესების ნეგატიური შედეგები ნაკლებად შეეხო. ინვესტიციები საქართველოსთვის ეკონომიკური ზრდის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს. ინვესტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქვეყანაში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებს. ინვესტორისათვის მნიშვნელოვანია დაცულობა ქვეყანაში და მშვიდი გარემო. დღევანდელ მსოფლიოში არსებული მაღალი კონკურენტული გარემოს ფონზე საქართველო ახერხებს როგორც ინვესტიციების, ისე დარეგისტრირებული კომპანიების ზრდას. ეს ყველაფერი კი ქვეყნის მიმართ მაღალი ინტერესით აიხსნება.

ეკონომიკის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ მუშაობა მიმდინარეობს როგორც ინვესტიციების მოზიდვის, ისე ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტის - საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. (<http://economy.ge>)

FDI - საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას გულისხმობს.

საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური დასაქმების კოდექსი და ასევე, საქართველოში დღეს ყველაზე მარტივია კომპანიის ჩამოყალიბება, ასევე ქვეყანაში გამარტივებულია საბაჟო პროცედურები.

ინვესტიცია არის კერძო კაპიტალი და ინვესტიციების რაოდენობაც ამით უნდა განვსაზღვროთ. სახელმწიფო კაპიტალს ინვესტიცია არ ჰქვია, ის არის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი. როდესაც

რადგან ჰყიდი და ფულს იღებ, ეს აქტივების სახეცვლილებაა და არა ინვესტიცია. ინვესტიცია არის ისეთი ფაქიზი რამ, რომელსაც სჭირდება მშვიდი ადგილი, სადაც ფინანსებს საფრთხე არ ემუქრება. ქვეყანაში არ უნდა იყოს პოლიტიკური რისკები, რომ საინვესტიციო გარემო უკეთესი იყოს.

ქვეყანაში შემომავალი ინვესტიციების დონე ძალზე ბევრ კითხვაზე სცემს პასუხს - რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური და დარგობრივი ზრდის პერსპექტივა და ასე შემდეგ.

ამ თვალსაზრისით უდაოდ საინტერესოა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემები, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შესახებ: ამ მონაცემების თანახმად, პირდაპირმა ინვესტიციებმა 2012 წელს 865 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეს 23 პროცენტით ნაკლებია 2011 წლის და 6 პროცენტით მეტია 2010 წლის დაზუსტებულ მონაცემებზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი ნაკადები საქართველოში 2007 წელს შემოვიდა. ამ მონაცემთან შედარებით 2012 წლის მაჩვენებელი, ცხადია, მოკრძალებულად გამოიყურება. (<http://geostat.ge>)

თუ 2011-2012 წლების საინვესტიციო დაბანდებებს სექტორების მიხედვით დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ბოლო წლებში წამყვანი სფერო ენერჯეტიკა გახლდათ; მას მოსდევს დამამუშავებელი მრეწველობა, საფინანსო სექტორი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. საინვესტიციო დანახარჯების განსაკუთრებული შემცირება კი 2012 წელს აბსოლუტურად ყველა სფეროს ეხება, გარდა დამამუშავებელი მრეწველობისა, ტრანსპორტისა და კომუნიკაციებისა, (ძირითადად სახელმწიფო ინვესტიციები), მცირედი ზრდაა სოფლის მეურნეობა/თევზჭერასა და ჯანდაცვის სფეროში. ეს უკანასკნელი, ძირითადად, სადაზღვევო კომპანიების მიერ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს - საავადმყოფოების მშენებლობის პროექტს უნდა უკავშირდებოდეს.

დარგობრივ ჭრილში განხილული ინვესტიციები მიუთითებენ იმ სფეროების შესახებ, რომელიც დღეს ქვეყანაში განვითარებადია. ამას გარდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა წლების მიხედვით საკმაოდ კარგ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, რეფორმებს, სტაბილურობას, განჭვრეტად მომავალსა და ინვესტიციების მასშტაბს შორის.

ვარდების რევოლუციის შემდგომი ორი წელი მარტივი არ ყოფილა საქართველოსთვის. პირველივე წლებში ინვესტიციების გარკვეული ზრდა გამოიკვეთა (2003 წლის მაჩვენებლებთან შედარებით), თუმცა საინვესტიციო ბუმით ახალი ხელისუფლების მოსვლიდან მესამე-მეოთხე წლები (2006-2007 წელი) აღინიშნა. სწორედ ის წლები, როცა მაშინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა ქვეყნის სამომავლო სახე და გეზი მეტ-ნაკლებად კარგად გამოკვეთა.

2007 წლის ბოლოდან 2008 წლის ჩათვლით საქართველოსთვის ერთ-ერთი უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური წელი გახლდათ - საპროტესტო აქციები, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, აგვისტოს ომი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ეს ფაქტორები სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ საქართველოში ინვესტიციების მასშტაბი მინიმუმამდე დასულიყო. სერიოზული კრახისგან თავის დაღწევა ქვეყანამ 2008 წლის ომის შედეგად დონორების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარებების წყალობით მოახერხა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წელი, ინვესტიციების თვალსაზრისით, საქართველოსთვის ერთ-ერთ დაბალ ნიშნულზე მყოფ წლად შეიძლება ქვეულიყო.

2009 წლიდან მოყოლებული საქართველოს პირდაპირი ინვესტიციები სტაბილური, წელიწადში დაახლოებით 200-300 მილიონიანი ზრდით ხასიათდებოდა. 2012 წელი ამ თვალსაზრისით კვლავ უკან დახვევის წელია. საპარლამენტო არჩევნები და მისი საკმაოდ მოულოდნელი შედეგი ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. წინასაარჩევნო მოლოდინი და პოსტსაარჩევნო განუსაზღვრელობა ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმის, რომ საინვესტიციო შემოდინებების მასშტაბი ქვეყანაში ძირითადად 2012 წლის მეორე ნახევარში შემცირდა.

მსგავსი ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ, მით უმეტეს პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში, ეს საკმაოდ მოსალოდნელი და ლოგიკური შედეგია. ცხადია, ამ ტენდენციის გაგრძელება საქართველოს ეკონომიკას საუკეთესო პერსპექტივებს არ უსახავს. ინვესტიციების შემცირების დროში გახანგრძლივებამ, შესაძლოა, ეკონომიკური აქტივობის შემცირებამდე და, როგორც შედეგი, საბიუჯეტო კრიზისამდეც მიიყვანოს ქვეყანა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ იგი, ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, „საქართველოში 2013 წელს 2 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემოსვლას პროგნოზირებს“. ეს მონაცემი უტოლდება 2007 წლის რეკორდულ მონაცემს და 2012 წლის მაჩვენებლის დაახლოებით 150 პროცენტით ზრდას გულისხმობს. (<http://mof.ge>)

მისივე თქმით, გარდა ამისა, არის რეინვესტირებული თანხების მოცულობის ზრდაც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ უკვე არსებული ინვესტორები თავს კომფორტულად და მშვიდად გრძნობენ, ეს კი დადებითად ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ასევე აღსანიშნავია, რომ გაიზარდა იმ ქვეყნების რაოდენობაც, რომლებიც საქართველოში დაინტერესდნენ და ინვესტიცია განახორციელეს. თუ ადრე ინვესტიციები 51-53 ქვეყნიდან შემოედინებოდა, დღეისათვის ეს მაჩვენებელი 61-ს შეადგენს. მნიშვნელოვანია, რომ არის ქვეყნები, რომლებიც კონსერვატიული ნაბიჯებით გამოირჩევიან და ქვეყნის შესწავლას ძალიან დიდ დროს უთმობენ, მაგალითისათვის - იაპონია. იაპონიიდან მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უფრო მეტი ინვესტიცია განხორციელდა, ვიდრე გასულ წელს მთლიანად. ინვესტორების მატება კი იმას მოწმობს, რომ საქართველოში შექმნილია ინვესტორებისათვის მიმზიდველი ბიზნესგარემო და აუცილებელი ინფრასტრუქტურა.

წინა წლების ციფრებს რომ დახედოთ, თუნდაც ინვესტიციების კუთხით, ნახავთ, რომ ჩვენ არ ვართ დამოკიდებული ერთ ბაზარზე და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. კარგად არის გადანაწილებული, საიდან უნდა შემოვიდეს ინვესტიციები. სავარაუდოდ, წელს ევროპიდან შემოსული ინვესტიციების რაოდენობა შემცირდება და აზიის მიმართულებიდან გაიზრდება. სწორედ ამ მხრიდან იზრდება ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი. დიდი სამუშაოები ჩატარდა როგორც ინდოეთში, ასევე აზიის სხვა ქვეყნებში იმისთვის, რომ პირველ ეტაპზე საქართველო გაეცნოთ. დღეს უკვე ვხედავთ, რომ პირადი ინტერესითა და ინიციატივით ჩამოდიან, ადგილზე ეცნობიან გარემოს და ქართველ ბიზნესმენებს. ეს გვამღევეს იმის თქმის საშუალებას, რომ წელს აზიის ინვესტიციები გაიზრდება. რა თქმა უნდა, ეს ასევე განისაზღვრება იმ ეკონომიკური მდგომარეობით, რომელიც დღეს არსებობს აზიასა და ევროპაში და იმედია, პრეზიდენტობამას განცხადების შემდეგ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე არა მხოლოდ აზიიდან დავინახავთ ინვესტიციას, არამედ ზოგადად, რადგან ეს არის მესიჯი მთელი მსოფლიოს ინვესტორებისთვის - საქართველოს შეხედონ, როგორც მდგრად ადგილს თავისი ინვესტიციებისთვის.

აუცილებელია, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საყრდენი იყოს სხვადასხვა სექტორი, ბევრი მიმართულება. როდესაც შევხედავთ ციფრებს, ნაწილი მოდის ტრანსპორტზე და გადაზიდვებზე, ნაწილი - ტურიზმზე, საფინანსო სექტორზე და ა.შ. ჩვენ გვინდა გამოვიყენოთ ისეთივე ეკონომიკური მოდელი, როგორც არის შვეიცარიაში, სინგაპურში და სხვა ისეთ ქვეყნებში, სადაც შიდა ბაზარი პატარაა, მაგრამ საინტერესო რეგიონული მოთამაშეები არიან.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში უმუშევრობის ციფრი შემცირდა დაახლოებით 1 პროცენტით. ეს ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეს ევროპის ქვეყნებშიც იზრდება უმუშევრობის ციფრი. საქართველო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში მაქსიმალურად ცდილობს, და უმეტესწილად კერძო სექტორის დამსახურებით ბიზნესები იქმნება და ხალხი საქმდება. იმედია, წელს ეს პროცენტი გაიზრდება, რადგან კვლევები პოზიტიურ ტენდენციას აჩვენებს და რაც მთავარია, მცირე და საშუალო ბიზნესები გაიზარდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თუ ჩვენ ეკონომიკის დასავლურ მოდელს ვირჩევთ, ჩვენი ეკონომიკა მცირე და საშუალო ბიზნესს უნდა ეყრდნობოდეს.

საქართველოს გეგმა და სტრატეგია არის, გავხდეთ კავკასიის რეგიონის ეკონომიკური, სავაჭრო ცენტრი. ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ერთ-ერთი ის ბიძგია, რომელიც ამ საშუალებას გვამღევეს. დღეს თუ სატრანზიტო ციფრებს გადავხედავთ და ვნახავთ, რა რაოდენობით ტვირთი გადის საქართველოს რკინიგზის ან სხვა სატვირთო გზებით, ნათელი გახდება, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველო რეგიონისთვის და ეს ყოველთვის ასე იყო. ეს ხელშეკრულება წარმოების გაზრდის საშუალებას მოგვცემს... მაგალითისთვის მოვიყვან თურქეთში ტანსაცმლის მწარმოებელ ფაბრიკას - ჩვენთან ჯერ კიდევ დაბალია ელექტროენერჯის, გაზის და ხელფასის ხარჯები, ვიდრე თურქეთში. როდესაც ჩვენი პროდუქციის ამერიკაში გატანის საშუალება მოგვეცემა, საქართველოში ფაბრიკის გახსნის ბევრად მეტი ინტერესი იქნება და კომპანიებისთვის საქართველო საინტერესო გახდება. გარდა ამისა, პასუხი გაეცემა ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას, რომელიც ყოველთვის ისმება - ვისთან, რომელ ქვეყანასთან გვაქვს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები?!

- ქართული კომპანიები რის შეთავაზებას აპირებენ, რას გაიტანენ ამერიკულ ბაზარზე?

- რა თქმა უნდა, ამას დრო დასჭირდება, მაგრამ ამ დროის განმავლობაში აუცილებელია გაიზარდოს საექსპორტო პროდუქციის სია. დღეს ეს სია გარკვეულწილად შეზღუდულია. საზღვარგარეთ გადის სოფლის მეურნეობის პროდუქტი, ღვინო, მინერალური წყლები, აქ წარმოებული სხვა პროდუქცია, მაგრამ მაინც ძალიან შეზღუდულია. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე გვაქვს მცირე რაოდენობის გადამამუშავებელი საწარმოები. ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთაა და რომ გადამამუშავდეს, უზარმაზარი ბაზარი დახვდება ამერიკაში.

რაც შეეხება იმას, შემოვა თუ არა დაგეგმილი ინვესტიცია საქართველოში, ანუ 2 მილიარდი დოლარი, ამის პროგნოზი რთული არაა. თავად ეს ციფრი ნამდვილად არ არის ფანტასტიკური და

შესრულებადიგაა. მაგრამ, ამისათვის უნდა მოხდეს შიდა და გარე ფაქტორების თანხვედრა. ამასთან, საჭიროა, შესაბამისი ბიზნესგარემოს შექმნა და ფორსმაჟორის გამორიცხვაც. ასევე უნდა მოხდეს ინვესტორების დარწმუნება იმაში, თუ რატომ უნდა შემოვიდნენ ისინი ჩვენთან მაშინ, როდესაც მსოფლიოში ინვესტიციების ნაკლებობაა. მოკლედ, იმისათვის, რომ შესრულდეს გეგმა, ბევრი მუშაობა საჭირო.

საქართველომ უნდა უზრუნველყოს პარტნიორ ქვეყნებთან სწორი და მომგებიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, აგრეთვე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს გლობალურ პროცესებში. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების უმთავრესი მიზანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, ქვეყნის იმიჯის განმტკიცება მსოფლიოში. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მიიღწევა ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდით, რაშიც ქვეყნის იმიჯი დიდ როლს თამაშობს. (ლ. ქოქიაური, 2010)

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზებად მიგვაჩნია:

- ა) რეგიონების საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა;
- ბ) საგადასახადო და სატარიფო პოლიტიკის სრულყოფა;
- გ) საინვესტიციო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და განვითარება;
- დ) ინვესტიციების გარანტიები და დაზღვევა.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ჩვენი აზრით, საჭიროა:

- სამეურნეო-ეკონომიკური და სამართლებრივი რეჟიმის ლიბერალიზაცია. მისი ისეთნაირი მოწყობა, რომელიც მიმართული იქნება ინვესტიციურ დაბანდებთან დაჩქარებისაკენ, საინვესტიციო მოტივაციების ზრდისაკენ, რაც საბოლოო ჯამში აისახება ეკონომიკური დემოკრატიის პრინციპების გამოვლენაში;

- უნდა შესრულდეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან აღებული ვალდებულებები და შემუშავდეს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა; მოხდეს სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის შემცირება; საინვესტიციო პროექტების სრულყოფილი ბანკის შექმნა და საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ პოტენციური ინვესტორებისათვის ინფორმაციის მიწოდება;

- საბიუჯეტო საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საგადასახადო და საბაჟო ტვირთების შემსუბუქება მწარმოებლებისათვის, მათთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც, ეკონომიკურ საფუძველს განუმტკიცებს, რათა მათ მაღალ სამეცნიერო ტექნიკურ ბაზაზე განავითარონ წარმოება.

ყოველივე აღნიშნული განაპირობებს ინვესტიციების მოზიდვას, ექსპორტის და დასაქმების ზრდას, როგორც მწარმოებლურ, ისე არამწარმოებლურ სფეროებში.

საქართველოს საუკეთესო შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია, რომელთა გამოყენება ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საჭიროა ღონისძიებების განხორციელებით და ევროკავშირის მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების შედეგად, საქართველო ნამდვილად შეძლებს, ევროპის დიდ ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყოს. (მ. გელაშვილი, 2006)

ჩვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების შემდეგ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს მდგრადი, ყოვლისმომცველი, ინკლუზიური. ეს გულისხმობს იმას, რომ სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას და უნდა მოხდეს სიღარიბის და უმუშევრობის შემცირება. საზოგადოების თანაბარუფლებიანობის მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, რათა ღარიბ მოსახლეობაზე განსაკუთრებით არ იმოქმედოს კრიზისმა. მომავალში ყველამ უნდა იხეიროს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით. რაც შეეხება კორუფციას, საქართველოში მდგომარეობა განსაკუთრებით გამოსწორებულია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ გაუსწრო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოზიციას ამ კუთხით.

ამავე დროს, გრძელვადიან პერიოდში საქართველოს მთავრობა (და არა მარტო საქართველოს) უნდა ეცადოს, შექმნას სამუშაო ადგილები, შეამციროს სიღარიბე შემდეგი გზით: შეიქმნას სოციალური დაცვის სისტემები, გაიზარდოს კერძო სექტორის როლი; მოხდეს ეკონომიკის დივერსიფიცირება, ნაკლები აქცენტი გაკეთდეს ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, გაუმჯობესდეს ბიზნესგარემო გამჭვირვალობის, მმართველობის და ინსტიტუციონალიზაციის კუთხით; ინფლაცია და უმუშევრობა - მთავარი გამოწვევა უნდა გახდეს.

ლიტერატურა:

1. <http://economy.ge>
2. <http://geostat.ge>
3. <http://mof.ge>

4. ლ. ქოქიაური, ინვესტიციების ბენეფისი, თბ., 2010

5. მ. გელაშვილი, ინვესტიციების მაკროეკონომიკური ეფექტიანობა, თბ., 2006

FOREIGN INVESTMENTS IN GEORGIA
David Bidzinashvili, Gori State Teaching University, Professor
RESUME

That period, when the world financial and economic crisis began, Georgia, as a relatively high degree of integration with the world economy in the country, with negative results are less affected by these processes. Investments of the most important components of economic growth. The investor pays particular attention to the progress of the country in the last year. Investor protection is important for the country and tranquil environment. In today's highly competitive environment in the light of the world manages to Georgia as an investment, as well as an increase in registered companies. All this is explained by the country's high interest.

The level of incoming investment in the country is very much a question of beating an answer - how stable the country and its economic policies, investment climate, economic and sectoral growth prospects, and so on.

Sectors discussed in the fields of investments indicate that the developed countries. In addition, the dynamics of foreign direct investment, according to the way in which it is a very good idea of what relation the country's political life, reform, stability, anticipating the future, the scale of investment.

ცოდნის ეკონომიკა და განათლების სისტემის პრიორიტეტები

გიული გიგუაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-meil: giuligi1@rambler.ru

თანამედროვე ეკონომიკის მთავარი რესურსი ინფორმაცია და ცოდნაა, ამიტომ ვუწოდებთ მას ცოდნის ეკონომიკას და განვიხილავთ განათლების სისტემის რეფორმირებასთან კონტექსტში. სადავო არაა, რომ სწორედ განათლების სისტემის მოწყობაზეა დამოკიდებული, რამდენად შეძლებს ქვეყანა არსებული პოტენციალის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენებას, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას. ცოდნის ეკონომიკა მოითხოვს თანამედროვე კომპეტენციების მქონე ადამიანურ რესურსებს, შესაბამის ინფრასტრუქტურასა და გარემოს. განათლების თანამედროვე სისტემამ უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობებისათვის ცოდნის ეკონომიკის შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. დღეს არავინ დაობს უმაღლესი განათლების როლისა და მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის განვითარებაში. უფრო მეტიც, უმაღლესი განათლების შესახებ რიტორიკა სწორედ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და საზოგადოების ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე ამყარებს იმედებს. ამ კონტექსტში განვითარებადი ქვეყნებისათვის უმაღლესი განათლება სტრატეგიული მნიშვნელობის სამიზნე ხდება კონკრეტული ქვეყნის კეთილდღეობისა და წინსვლის საქმეში.

გლობალიზაციამ და ინტერნეტის ერთმანეთს დააჩქარა ცალკეული ქვეყნების განათლების სისტემების განვითარების ტემპი, გამოიწვია მათი სწრაფი ტრანსფორმირება. ბევრი ქვეყანა საკუთარი მომავლის მკაფიო ხედვაზე დაფუძნებული განათლების კონცეფციის ერთიანი სტანდარტის გავლენის ქვეშ მოექცა, ბევრმაც საერთაშორისო პროცესებთან ჰარმონიზაცია მხოლოდ ფორმალურად მოახერხა. განათლების აღიარებულ სტანდარტებთან მისადაგება ჩვენმა ქვეყანამაც სცადა. თუმცა, განათლების სისტემის სრულფასოვანი რეფორმირებისაგან, ცოდნის ეკონომიკის უმთავრესი პრიორიტეტების დამკვიდრებისაგან ჯერ კიდევ შორს ვართ.

ცოდნის ეკონომიკის მთავარი თავისებურება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი, ინოვაციური, კრეატიული პოტენციალის გაძლიერება და რეალიზაციაა. ეკონომიკაში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ცოდნის გამომუშავებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობა. ცოდნის დაგროვება, გადაცემა და გამდიდრება საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელ ძალად იქცა. ცოდნის ეკონომიკის მთავარ საყრდენად განათლება, ინოვაციების სისტემა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა; საკანონმდებლო, ეკონომიკური და ინსტიტუციური რეჟიმი მიიჩნევა [1].

ცოდნის ეკონომიკაში ეკონომიკურ ზრდისათვის არამატერიალური კაპიტალი, ანუ ცოდნა და ინფორმაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბუნებრივი რესურსები, ფიზიკური ინფრასტრუქტურა და სამუშაო ძალის რიცხოვნობა. ეკონომისტი პიტერ დრუკერი ერთ-ერთი პირველი წერდა ახალი ეკონომიკის შესახებ, სადაც: „საზოგადოების მთავარი ეკონომიკური რესურსი უკვე არის არა კაპიტალი ან სამუშაო ძალა, არამედ ცოდნა. ღირებულებას ქმნის მხოლოდ პროდუქტიულობა და ინოვაცია. დღეს მშპ-ს ზრდაში გაცილებით დიდია ხელშეუხებელი კაპიტალის წვლილი, ვიდრე ხელშესახებისა, ამიტომ განსაკუთრებული აქცენტები სწორედ განათლების სისტემის სრულყოფაზე და მისი ნაკლოვანებების გამოვლენაზე უნდა გაკეთდეს, რათა ვეცადოთ ფეხი ავუწყოთ თანამედროვე ცოდნის ეკონომიკას.“ „ჩვენ 21-ე საუკუნის ცოდნის ეკონომიკაში ვცხოვრობთ, ჩვენი სკოლები კი... ისევე ძველ მეოცე საუკუნეში დარჩა“- ეს ამერიკის ვიცე პრეზიდენტის ჯო ბაიდენის სიტყვებია, რომლითაც მან თანამემამულეებს მიმართა, როცა ამერიკაში წიგნიერების ამაღლების საჭიროებაზე საუბრობდა. ის უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რადგან მისი აზრით, ქვეყანაში წერა-კითხვის უნარები ყველა ბავშვს სათანადოდ არ ჰქონდა განვითარებული, მით უფრო აზროვნების ისეთი უნარი, როგორსაც ცოდნის ეკონომიკა მოითხოვდა. დამეთანხმებით ალბათ, რომ ამ მხრივ არც საქართველოში გვაქვს საქმე სახარბიელოდ. ყოველდღიურად ვისმენთ საზოგადოების გარკვეული ნაწილის შემფოთებას, თუ როგორ ჩანანცვლა კომპიუტერულმა თამაშებმა წიგნი, როგორ დაკნინდა წიგნის როლი და როგორი სავალალოა ყოველივე ამის შედეგები. მოზარდთა ცხოვრებაში კომპიუტერის როლის უარყოფა შეუძლებელია. თანამედროვე ახალგაზრდების ყოველდღიურობაში იგი მყარად დამკვიდრდა. კომპიუტერი ადამიანს საშუალებას აძლევს სწრაფად მოიძიოს სასურველი მასალა, დაუყოვნებლის მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, შექმნას პერსონალური ვებ-გვერდი, იმოგზაუროს დროსა და სივრცეში, დედამიწის გარშემო და მის ფარგლებს გარეთ, წარსულში, აწმყოსა და მომავალში, მაგრამ კომპიუტერი უწიგნობით გაჩენილ სიცარიელეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამოავსებს. არაერთი ექსპერტი სამართლიანად აღნიშნავს, რომ წიგნით შეძენილი ცოდნა ღრმაა და საფუძვლიანი, მისით მიღებული შთაბეჭდილება – წარუშლელი, დაუციწყარი, მასში ჩაქსოვილი სიბრძნე – დამაფიქრებელი, გულისხმისმყოფელი, მისი მხატვრული სამყაროს წვდომა – ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელი და ამაღლებელი.

მსოფლიო ბაზარზე ჩვენი გავლენის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმთავრესი გზა წიგნიერების დონის ამაღლება და ადამიანური კაპიტალის ზრდაა. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორს ცოდნის დაგროვება წარმოადგენს. ეკონომიკის ექსპერტები კარგა ხანია შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერი ქვეყნის წარმატება დამოკიდებულია არა იმდენად ქვეყანაში არსებულ რესურსებზე, არამედ ადამიანური კაპიტალის ხარისხზე. მნიშვნელოვანია სწორედ ადამიანურ კაპიტალში, მომავალი თაობის განათლებაში ინვესტირება. თავისი მნიშვნელობით უდიდესი ინვესტიცია განათლების სისტემაში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით უნდა განხორციელდეს - ეს მსოფლიოს ახალი ეკონომიკის უმთავრესი მოთხოვნაა. თანამედროვე მსოფლიოს ცოდნის ეკონომიკა ეფუძნება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას, ინოვაციურ აზროვნებას და კომუნიკაციის უაღრესად დახვეწილ უნარებს.

ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლა საკმაოდ გრძელვადიანი პროცესია და განათლების სისტემის ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს. დღეს მთავარი ის კი არაა, რამდენად ხელმისაწვდომია ცოდნა ადამიანებისათვის, არამედ რამდენად შეუძლიათ მათ მისი ეფექტური გამოყენება და მათზე სხვა ცოდნის დაშენება. დღევანდელ რეალობაში ცოდნა, როგორც კაპიტალი, არ გულისხმობს მხოლოდ პასიური ინფორმაციის მიღებას, იგი კოგნიტური, შემეცნებითი უნარია, რომელიც ნებისმიერი ტიპის საქმიანობისათვის შეიძლება იყოს გამოყენებული. ცოდნის ეკონომიკაში წარმატების მისაღწევად უპირატესად იმ უნარების განვითარებაა საჭირო, რომლის მეშვეობითაც სპეციალისტები შეძლებენ შეცვლილი რეალობისთვის ალღოს სწრაფად აღებას, მათთვის მოულოდნელი და უცნობი პრობლემების გადაჭრას და ამ ცოდნის სხვებისთვის ეფექტურად გადაცემას. განსაკუთრებული მნიშვნელობა კრიტიკულ აზროვნებას უნდა მიენიჭოს - იმ უნარების განვითარებასა და მეთოდების ათვისებას, რაც სპეციალისტებს ინფორმაციის დამუშავებაში, გაანალიზებაში, სწორი დასკვნების გაკეთებასა და სხვა მსგავსი ტიპის ინფორმაციასთან შედარებაში დაეხმარება.

განათლების სისტემის ტრადიციული მისია - ინფორმაციული განათლება წარსულს ჩაბარდა. თანამედროვე განათლების მთავარი პრიორიტეტი კრეატიული და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზისა და გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაა. განათლების სისტემის რეფორმა 21-ე საუკუნის გამოწვევად მიიჩნევა. მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია თავის რეკომენდაციებში აზროვნების ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული პედაგოგიური მეთოდების შექმნისა და დანერგვისაკენ მოუწოდებს ქვეყნებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცოდნის ეკონომიკაში სწრაფად ხდება „ცოდნის დაძველება“, შეძენილი უნარების ცვეთა, ამიტომ ადამიანებს საკუთარი უნარების განახლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სჭირდებათ.

ცოდნის ეკონომიკაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამოქალაქო განათლებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საზოგადოების სამოქალაქო აღზრდაზე, შეიქმნას პირობები სოციალური ინტეგრაციისათვის. ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდა ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიის არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. სამოქალაქო განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში სამართლიან და ეფექტიან მმართველობას, კანონმორჩილებას, რაც პირდაპირ განსაზღვრავს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ამ მხრივ საქართველოში უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლების შემოღებით. მართალია, სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებას საქართველოს სკოლებში არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს, შესაბამისად, მისი ადგილი და მნიშვნელობა შესაძლოა კარგად არ არის გაცნობიერებული, მაგრამ დამეთანხმებით, რომ აღნიშნული დისციპლინის შემოღება სკოლებში ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეთა სოციალურად აქტიურ მოქალაქეებად ჩამოსაყალიბებლად, რომლებსაც ეცოდინებათ თავისი უფლება-მოვალეობები, სამოქალაქო პასუხისმგებლობანი და შეეძლებათ მათი რეალიზება [2].

ცოდნის ეკონომიკა ორიენტირებულია სარგებლის მიღებაზე, მოგების მაქსიმიზაციაზე. ცოდნის დონესა და სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის დადგენა კარგა ხანია დაიწყო. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიო სიმდიდრის 64% ადამიანურ კაპიტალში მდგომარეობს, რომლის დიდ ნაწილს შეადგენს მუშაკთა ცოდნა და ინტელექტუალური შესაძლებლობები. წიგნში, „კაპიტალისტური განვითარების დინამიური ძალები“ არტურ მედისონი ასაბუთებს, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიციების 1%-ით ზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.35%-ით ზრდას, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მის მიერ შეგროვილი ფაქტების ანალიზზე ასკვნის, რომ სწავლების საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობის ზრდა ერთი წლით, იწვევს შესაბამისი ქვეყნის მშპ-ის ზრდას 3-6%-ით.

ადამიანების მზარდი მისწრაფება წარმატებისკენ, მატერიალური უსაფრთხოება და ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე ორიენტირებულობა თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი გამოწვევებია. ბოლონის პროცესში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი მიმართულია ადამიანის უნარზე სწრაფად მოერგოს ახალ საბაზრო ვითარებას, ახალ ინტერესებს და დაიმკვიდროს ადგილი შრომის ბაზარზე.

უდავოა, რომ განათლების სფეროში ინოვაციები მომავლის საფუძველია. განათლების სისტემის ნებისმიერ რგოლს ექსპერიმენტირების, ახლის ძიებისა და დანერგვის უფლება უნდა ჰქონდეს. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ასეთ აქტივობას და ისინი საჭირო რესურსით უზრუნველყოს. იმისათვის, რომ განათლების სისტემა კონკურენტუნარიანი იყოს, საჭიროა მისი მოდერნიზაცია, სკოლებისა და უმაღლესი დაწესებულებების დაფინანსებისა და ავტონომიურობის ხარისხის ამაღლება, განათლების სისტემაში ღირსების კულტურის დამკვიდრება, განათლების სისტემის საერთაშორისო დასავლურ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და ფორმატების მოდერნიზაცია, კადრების მომზადება -გადამზადება და სხვ.

თანამედროვე განათლების უმთავრეს პრინციპს „აკადემიური თავისუფლება“ წარმოადგენს. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2006 წლის 30 ივნისს გამოსცა რეკომენდაცია აკადემიური თავისუფლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური თავისუფლება და უნივერსიტეტის ავტონომია დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი ელემენტია. პროფესორს უნდა შეეძლოს არსებული ცოდნის კრიტიკა, ახალი იდეების გენერირება, სამეცნიერო კვლევების თავისუფლად განხორციელება, მოსაზრების შეუზღუდავად გამოხატვა. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, აკადემიური თავისუფლება არის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა. საქართველოში აკადემიური თავისუფლების პრინციპის სათანადოდ დანერგვის ვალდებულებას აღიარებს კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. კანონი ასევე ადგენს, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების მიზნების მისაღწევად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის თავისუფლება [3].

როგორი ეკონომიკა გვექნება მომავალში, ამას ჩვენი განათლების სისტემის ეფექტურობა და საქართველოს სახელმწიფოებრივი არჩევანი განსაზღვრავს. განათლების სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება, მეცნიერებისა და თანამედროვე კომპიუტერული

ტექნოლოგიების განვითარება. პოლიტიკის პრეროგატივაა განსაზღვროს, როგორ გადანაწილდება ქვეყანაში არსებული რესურსები სხვადასხვა სფეროებში, რამდენად იქნება შესაძლებელი დაგროვილი ცოდნის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება.

სახელმწიფო პოლიტიკა და სტრატეგია განათლებისა და მეცნიერების სისტემაში სრულადაა გადმოცემული საქართველოს სამთავრობო დოკუმენტში “ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის” [4].

ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიხედვით:

განათლების სისტემა დაეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ, თანამედროვე სტანდარტებს. გარანტირებული იქნება უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომიის მაღალი დონე.

შეიქმნება განათლების სისტემის ეფექტიანი მართვის მექანიზმები. განათლების სისტემის მართვა თანამიმდევრულ და შედეგებზე ორიენტირებულ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვას დაეფუძნება; გაიზრდება და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისაგან მკაფიოდ გაიმიჯნება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები განათლების სფეროში.

შეიქმნება ობიექტური, გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმები საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების შესანარჩუნებლად/მოსაზიდად როგორც ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, ისე აკადემიურ და სხვა პოზიციებზე; დაცული იქნება მასწავლებლის, პროფესორის, მეცნიერის შრომის უფლება. უზრუნველყოფილი იქნება მშობლების (მშობელთა საბჭოს მეშვეობით) ეფექტიანი მონაწილეობა სკოლის ცხოვრებაში, სკოლის საქმიანობის ანგარიშის განხილვასა და შეფასებაში.

შეიქმნება განათლების დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმები. გაიზრდება სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით; გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა. ამალდება განათლების ხარისხი. ამალდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალი.

შემუშავდება სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის კუთხით; მეცნიერება გახდება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საფუძველი; მთავრობის პრიორიტეტების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზრდება მეცნიერების დაფინანსება.

მოხდება ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევათა ორგანიზებისა და მხარდაჭერის ახალი, ევროპული ტიპის სისტემის ფორმირება; თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად შეიქმნება ქმედითი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას, მეცნიერების მუდმივ განვითარებას და მის ინტეგრაციას ერთიან სამეცნიერო სივრცეში.

უზრუნველყოფილი იქნება სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება, კვლევების ხარისხის ამალდება, ახალგაზრდობის ჩართვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ქვეყნის მეცნიერების ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში; შეიქმნება მეცნიერების სფეროში შედეგზე ორიენტირებული საგრანტო დაფინანსების სისტემა.

ხელი შეეწყობა ქართული მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში, მათ შორის, ერთობლივ კვლევით საქმიანობას, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ფორმით; მეცნიერების სისტემა დაეფუძნება არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პოტენციალს. ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად გამოცხადდება ნიჭიერი ახალგაზრდების მეცნიერებაში მოზიდვა.

იმედს ვიტოვებთ, რომ განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმები სასიკეთო შედეგს გამოიღებს და ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ დამკვიდრდება ცოდნაზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა.

ლიტერატურა:

1. <http://de.slideshare.net/archilTb/ss-8412662>
2. <http://www.civics.ge/index.php?m=802>
3. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=14&id=180
4. საქართველოს სამთავრობო დოკუმენტი „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის“ (საბოლოო ვარიანტი), თბ., 2013.

KNOWLEDGE ECONOMY AND THE PRIORITIES OF THE EDUCATION SYSTEM

Giuli Giguashvili, Gori State Teaching University, Professor

RESUME

The main characteristic of the global economy of his knowledge and special requirements, so call it a modern economy – the knowledge economy. Both countries, as well as companies and individuals success Knowledge is a competitive, knowledge-based, innovative economy formation, only the classical and modern economic use of knowledge to our customers. Fields of fundamental scientific research on the basis of creative knowledge creation, dissemination, sale and commercialization of the latest digital technologies in all spheres of public activity in the economic progress of the crucial conditions for an innovative economy and the main motive.

The transition to a knowledge economy is a long-term process and requires major changes in the education system. The modern education a top priority in the development of creative and critical thinking, independent information retrieval, processing, analysis, and application of Skills - dance skills development.

საქართველოს აგრარული სექტორის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

მანია გოგიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სპეციალისტი
ირმა მახარაშვილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

აგრარული სექტორი ეკონომიკის განსაკუთრებული დარგია, რომლის განვითარებაც გარკვეულ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. განვითარებადი ქვეყნებისთვის აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა და მას უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები. ქვეყნები ცდილობენ აგრარული სექტორის დაფინანსების გაზრდით გაზარდონ წარმოება, რათა თავიდან აიცილონ საკუთარ ბაზრებზე ამა თუ იმ პროდუქტების დეფიციტი და ფასების ზრდა. საქართველოში ძირითადად მონოკულტურებზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობაა: კახეთში - ყურძენი, ქართლში - ვაშლი და სხვა. ჯერ ქვეყანამ უნდა განსაზღვროს, სხვა ქვეყნებთან შედარებით რაში აქვს უპირატესობა, რისი მოყვანა შეუძლია სხვაზე იაფად, ან ისეთი რამის, რაც სხვებს ვერ მოჰყავთ, რით შეიძლება ბაზარზე დაიკავოს საკუთარი ნიშა. ასეთ შემთხვევაში, სანამ სქემა დალაგდება, შესაძლოა სუბსიდირებაც განახორციელოს ხელისუფლებამ. სუბსიდირება არ ნიშნავს გლეხებისთვის ფულის ჩუქებას. ის გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდის ქვეყნის შემოსავალს, პლუს სოციალურ ფონს აუმჯობესებს, რადგან ადამიანებს ასაქმებს და ამცირებს სიღარიბეს.

საქართველო აგროსექტორში არაერთი ჩატარებული რეფორმით გამოირჩევა. 2010 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი 40 მლნ. ლარს შეადგენდა, 2011-ში კი 69 მლნ.-მდე გაიზარდა, რაც მთლიანი ბიუჯეტის ხარჯების 0,9%-ს შეადგენდა. რამდენიმე წლის წინ თავდაცვის სამინისტრომ შესთავაზა გლეხებს: რაც შეიძლება მეტი კომბოსტო და სხვადასხვა ბოსტნეული მოეყვანათ და ამ პროდუქციას ისინი შეისყიდინენ. იმ წელს მართლაც კარგი მოსავალი მოვიდა, მთავრობამაც შეასრულა პირობა, სატვირთო მანქანებით დადიოდნენ მინდორ-მინდორ და გლეხებისგან ადგილზე, ერთიანად ყიდულობდნენ მოწვეულ მოსავალს. გლეხებისთვის დიდი შეღავათია, მყიდველი ადგილზე რომ მოვიდა და ტრანსპორტირების ხარჯი არ გექნება გასაწევი. მას შემდეგ ასეთი რამ აღარ მომხდარა, ეს თითქოს და ერთჯერადი აქცია იყო. იყო პრეცედენტები, როცა თავდაცვის სამინისტრო ახალციხესა და ახალქალაქში ადგილობრივი მოსახლეობისგან კარტოფილს ყიდულობდა. ასეთი რამ ახლა არ ხდება, ამას კრძალავს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში სახელმწიფო უშუალოდ არ ყიდულობს გლეხებისგან. იქ ხდება სოფლის მეურნეობის სუბსიდირება და შემდეგ ეს სუბსიდირებული პროდუქცია ბაზარზე იყიდება. ამას ევროკავშირის ქვეყნებიც მიმართავენ და თან ძალიან აქტიურადაც. მთავრობას უფრო ძვირი დაუჯდება უშუალოდ გლეხებისგან საქონლის შესყიდვა.

წლების განმავლობაში ქვეყანაში სერიოზული მსჯელობა მიმდინარეობდა იმაზე, გააჩნდა თუ არა ქვეყანას აგრარული პოტენციალი და რა დარგების განვითარება უნდა ყოფილიყო თუ არა უფრო მეტად პრიორიტეტული. საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქართული აგრარული ბაზრის უდიდესი ნაწილი სწორედ უცხოურ საქონელს უპყრია, რომ ადგილობრივმა პროდუქციამ

იმპორტი უნდა ჩაანაცვლოს და ექსპორტზეც კი უნდა გავიდეს. აგრარული სექტორის ექსპერტები არ დაობენ, რომ თავისუფლად შეგვიძლია გავაორმაგოთ სოფლის მეურნეობის წილი ერთიან ეროვნულ პროდუქტში. ამისათვის ჩვენ უნდა ვისწავლოთ ახალი მეთოდებით მუშაობა და მაგალითად ეს არის მეთესლეობა... საქართველოს მთავრობას წლების მანძილზე ურჩევდნენ, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ეზრუნა, რადგან მიჩნეულია, რომ საქართველოს ამ მიმართულების განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს. მით უმეტეს, რომ ქვეყანა ევროკავშირთან სავაჭრო პრეფერენციების სისტემა „ჯი-ეს-პი პლუსით“ სარგებლობს, რომელიც ქართველ ფერმერებს ევროპის ქვეყნებში პროდუქციის საბაჟო გადასახადის გარეშე ექსპორტირების საშუალებას აძლევს. მიუხედავად ამისა, წლების მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობა დაღმავლობას განიცდიდა და ბოლო წლებში მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში ათ პროცენტს ჩამოსცდა. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა წინა მთავრობამ ადგილობრივ ჯიშებზე უფრო მოსავლიანი ამერიკული ხორბლისა და სიმინდის თესლით ფერმერების დახმარებაც გადაწყვიტა.

ხორბლის წარმოების ხელშეწყობა იმისთვის გადაწყდა, რომ საქართველომ უცხო ბაზრებზე დამოკიდებულება შეამციროს. წლების წინ რუსეთის მიერ ხორბლის ექსპორტის შეჩერებამ პურპროდუქტებზე ფასების ზრდა და დეფიციტის შიში წარმოქმნა. სწორედ ამ საფრთხის შემცირების მიზნით გადაწყდა სოფლის მეურნეობის ბიზნესში გარკვეული პროგრამების სუბსიდირების გზით სახელმწიფოს ჩარევა.

მიზეზი იმისა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციას მთლიან შიდა პროდუქტში ასეთი მცირე წილი უკავია, უპირველეს ყოვლისა არის ის, რომ წარმოება არ არის თანამედროვე და შესაბამისად, შედეგებიც ნაკლებია. ამასთან შრომატევადია და არ არის მექანიზირებული. ამ საქმით დაკავებული ადამიანები ჯერჯერობით არ არიან საკმარისად განათლებული იმისათვის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები გამოიყენონ. მთავარი პრობლემა არის ის, რომ დიდი ხნის განმავლობაში მიწა კერძო საკუთრება არ იყო, თავისუფალ ყიდვა-გაყიდვაში არ მონაწილეობდა და ადამიანებს არ ჰქონდათ საშუალება სარფიანად გაეყიდათ, თუკი ხედავდნენ, რომ მისი გამოყენება არ შეეძლოთ. თანდათან ეს სიტუაცია გვარდება, მაგრამ ბაზარი ჯერ სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული. ექსპერტთა მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ დღეს ქვეყნის აგრარული პოტენციალის მხოლოდ მცირედია გამოყენებული და თუ სოფლის მეურნეობის განვითარების ასეთი ტემპები შენარჩუნდება, უახლოეს წლებში საქართველოს შიმშილი ელის. მიზეზი კი მსოფლიოში მოსალოდნელი სასურსათო კრიზისია, რომელიც 2015-20 წლებში რთულ სახეს მიიღებს.

ამჟამად საქართველოდან ძირითადად ხორციელდება შემდეგი პროდუქციის ექსპორტი: თხილი, ვაშლი, ციტრუსი, უალკოჰოლო გაზიანი სასმელები, ხილის ნატურალური წვენები, წითელი და თეთრი ღვინოები, ბრენდი და სპირტი, ჩაი და მინერალური წყლები, მაგრამ ექსპერტთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ქვეყნის წინაშე ახლა სხვა გამოწვევები დგას და მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში, საკუთარი მოსახლეობის გამოკვება შეძლოს. მით უფრო, რომ მსოფლიოში იაფი პროდუქციის ეპოქა დასრულდა და ყველაზე მეტად დაზარალებულია ის, ვისაც არ ექნება სწორად ორგანიზებული სოფლის მეურნეობა. ექსპერტები შენიშნავენ, რომ ქვეყანა პირველ რიგში მეცხოველეობის მიმართულებით უნდა განვითარდეს. ხელისუფლებაშიც აცხადებენ, რომ მეცხოველეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან დარგს იმპორტის ჩანაცვლების თვალსაზრისით, როგორც არის, მაგალითად, რძის პროდუქტები. ამ დარგისთვის არსებობს რეალური შესაძლებლობები, რათა დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოთხოვნა. ამავე დროს, გრძელვადიან პერსპექტივაში მეცხოველეობის ბიზნესს გარკვეულწილად საექსპორტო პოტენციალიც გააჩნია. დღეს მსოფლიოში რძის დეფიციტია და პრიორიტეტების განსაზღვრაში სწორედ აქედან უნდა ამოვიდეთ. საქართველოში სწორედ მეხორცულ-მერძულ მიმართულებას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა. ჩვენ სწორი პროფესიული მიდგომის შემთხვევაში, შეგვიძლია მთლიანად უზრუნველყოთ საქართველოს ბაზარი რძითა და რძის პროდუქტით. ასევე, ხორცი. რაც შეეხება ექსპორტს, ეს ჯერ ძალიან ნაადრევია, თუმცა, რძის პროდუქტებიდან, მაგალითად, ცხვრის ყველის ექსპორტზე ფიქრის საფუძველს გვაძლევს ჩვენი პოტენციალი და ევროპის ქვეყნებში დიდ მოთხოვნა ამ პროდუქტზე. საერთოდ, მეცხვარეობას სწორედ რომ მივუდგეთ, ეს არის უაღრესად მომგებიანი მიმართულება, რომლის განვითარების შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია მოსაზღვრე ქვეყნების დეფიციტები შეავსოს.

როგორც ცნობილია, მთელ მსოფლიოში უკიდურესად არის გაზრდილი ფასი სურსათზე და, განსაკუთრებით, მარცვლეულზე. პირველ რიგში, მიზეზი არის ის, რომ ექსპორტიორ ქვეყნებში მარცვლეულის მარაგების შემცირება მოხდა, ამასთან მარცვლეული რესურსები ბიოსაწვავის გამომუშავებისთვის გამოიყენება, ასევე ხორბლის მოხმარების ზრდა დაიწყო ჩინეთსა და ინდოეთში. ყველაფერი ეს უახლოეს წლებში მარაგის მნიშვნელოვნად შემცირებას და მარცვლეულზე ფასების კიდევ უფრო ზრდას გამოიწვევს. ექსპერტები შენიშნავენ, რომ შექმნილ სიტუაციაში პრობლემის გადაჭრის

გასაღები მთავრობის ხელშია და ყველაფერი ხელისუფლების სწორ აგრარულ პოლიტიკაზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ მარცვლელი კულტურების საჭირო რაოდენობით მოყვანა დაიწყოს, საჭიროა, მრავალწლიანი ნარგავები დაუბრუნდეს მთისწინეთს და ბარის ზონა გამოთავისუფლდეს მარცვლისათვის. უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 85 პროცენტია, პრაქტიკულად, აგრარული ბალანსის ფორმირებაში არ მონაწილეობს. ექსპერტთა აზრით, ხორბალი 150-170 ჰექტარზე უნდა ითესებოდეს.

საქართველოს აგრარული სექტორის პრობლემებზე საუბრისას, დასკვნის სახით, ვაყალიბებთ იმ პრობლემების ჯგუფს, რომლებიც განაპირობებს სოფლის მეურნეობის განვითარების ზრდის დაბალი ტემპებს, ესენია:

- მიწების მაღალი სეგმენტაცია,
- სუსტად განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა,
- წარმოებული პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე,
- თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უცხოური ინვესტიციების (მთლიანი ინვესტიციების მხოლოდ 0,5%) სიმცირე, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია
- საკრედიტო რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, რაც განპირობებულია დღეისათვის ფინანსურ ბაზარზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთით, სოფლის მეურნეობა კი შედარებით გრძელვადიან ინვესტიციებს მოითხოვს.
- ხელისუფლება კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩაერიოს აგრარული სექტორის განვითარებაში და ამ სფეროს უფრო მეტი სუბსიდირება უნდა განახორციელოს, ისევე როგორც ეს თურქეთსა და ევროპის ბევრ ქვეყანაში ხდება.

ლიტერატურა:

1. კვარაცხელია თ., წარმოების განლაგებისა და სპეციალიზაციის ოპტიმიზაციის საკითხები საქართველოს სოფლის მეურნეობაში, თბ., 2008.
2. საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2012.
3. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2009.

THE PROBLEMS OF THE AGRICULTURAL SECTOR AND DEVELOPMENT PERSPECTIVES IN GEORGIA

Mania Gogidze, Gori State Teaching University, Specialist
Irma Makharashvili, Gori State Teaching University, Specialist by contract

RESUME

The agricultural sector in particular branches of the economy. The development of certain geographic - depends on the weather conditions. The agricultural conditions of Georgia favour competitive agriculture/agribusiness. The reasonably mild climate with adequate heat units, day length, and growing days enables economic production of a wide variety of crops. Soils are moderately fertile and easily tilled, although the rainfall is marginal in many areas and supplementation by irrigation water is required in many regions. Thus, the country of Georgia is blessed with favourable conditions for the production of a wide variety of annual and perennial crops, as well as livestock. Endowed with fertile soils, clean water and favourable climate, Georgia produces a broad range of agricultural products and provided up to 10% of inter-republic food trade under the Soviet Union. In 2010, agriculture represented 8.4% of total GDP. The main products include: wine, fruits, nuts, live cattle, tea, mineral water, dairy products, juices, sugar, grains, fish, flour and chickens. The main export markets are: Ukraine, EU countries, Kazakhstan, Azerbaijan, Belarus, Turkey, USA, and more recently Middle Eastern countries. Georgia, which became a net importing country of agricultural products, has launched significant reforms since 2004. A law on agricultural land privatization was passed in 2005 and opened 40,000 ha of State-owned agricultural land for sale.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სოფლის მეურნეობაში გადაუდებელი პირობაა

დარეჯან ჯაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ლამზირა გორგილაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

ნანა ჯაბნიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

ახლა, როცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღევანდელი გადასახედიდან ვაანალიზებთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და ვცდილობთ დაუსრულებელ სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისთან მიზეზების ახსნას, ბუნებრივია, სამართლიანი უკმაყოფილობის გრძნობა გვეუფლება. ესოდენ მდიდარი ბუნებრივი და შრომითი რესურსების მქონე ქვეყანას, როგორც საქართველოა, არ უნდა გაჭირვებოდა. მიზეზთა მიზეზს რა დალევს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ახლებურად ცხოვრება და აზროვნება ვერ ვისწავლეთ, სხვათა შემყურეობა და მოიმედება გაგვიტკბა, საკუთრივ კი დიდ ვერაფერს ვქმნით. ვერა და ვერ მოვახერხეთ უკეთესობისაკენ შემობრუნება. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს, საამისოდ არც ვიწუხებდით თავს. არადა, ასე პირობებში, რაც კარგი გვექონდა, იმასაც ვკარგავთ. ასე თუ გაგრძელდება კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

საბაზრო ეკონომიკის კანონები და სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი თავისას მოითხოვს. თუ მას ფებს ვერ ავუწყობთ უკეთესის პერსპექტივა არ გვექნება. თუ გვინდა, რომ მდიდარი და ძლიერი ქვეყანა ავაშენოთ, უპირველესად ეროვნული კადრების მომზადებით უნდა დავიწყოთ. დრო არ ითმენს, არც გვაპატიებს, საამისოდ დაუყოვნებლივ უნდა ავიღოთ მოწინავე ქვეყნებისაგან მაგალითები. არც ამ მხრივ არსებული საკუთარი ტრადიციები უნდა დავივიწყოთ.

მე-20 საუკუნის ბოლოს ათწლეულიდან დღემდე საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა რადიკალურმა ძვრებმა მეცნიერებაში გარკვეული თვისობრივი ცვლილებები გამოიწვია. ცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპზე აგებული ურთიერთობების გაწყვეტის გამო ქართულ მეცნიერებას საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ფუნქციონირება გაუჭირდა და გარდაქმნას საჭიროებს. დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების დროს მეცნიერებამ ისევ გამწევი ძალის როლი უნდა შეასრულოს, ამისთვის კი საფუძვლიანად უნდა იქნეს გარკვეული მეცნიერების თანამედროვე როლი და ფუნქციები (ო. დიდმანიძე, 2002).

მეცნიერების ახალი მიღწევების საჭიროება განსაკუთრებით სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამო წარმოიშვა. ტრადიციული რესურსების ამოწურვამ რესურსდამცავი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, არატრადიციული და განახლებადი წყაროების შექმნის აუცილებლობა გამოიწვია. თავის მხრივ ეკონომიკური განვითარების გიგანტურმა მასშტაბებმა კაცობრიობა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენა და ბუნებრივია, საჭირო გახდა ეკოლოგიისა და უნარჩუნო ტექნოლოგიების შექმნის სფეროში სამეცნიერო კვლევის გაფართოება. მეცნიერება რეალურად გახდა ახალი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების წარმოების, ახალი დარგების ფორმირების წყარო. დღეს უკვე მეცნიერება ეკონომიკის, მასშტაბური, უფრო, ინტელექტუალტევადი დარგია და საზოგადოებრივი პროგრესის წარმმართველ ფაქტორად რჩება (რ. ჯაბნიძე, 2013).

როგორი წარმატებულიც უნდა იყოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევები მსოფლიოში, ყველა ქვეყანაში აუცილებელია საკუთარი სამეცნიერო პოტენციალის შექმნა და გამოყენება. დღეს ქვეყნის ხელისუფლება მთავარ ორიენტირად განიხილავს მეცნიერებისა და განათლების სფეროში დროის შესაბამისი მოთხოვნების დონეზე რეფორმების გატარებას, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების უმოკლეს დროში დანერგვა. განსაკუთრებით, მტკივნეულად აისახება რეფორმები მეცნიერების სფეროში. ალბათ, სხვაგვარად შეუძლებელი იყო, თუ გავითვალისწინებთ, როგორც უახლესი წარსულის, ისე დღევანდელი რეალურ სიტუაციებს მეცნიერული კვლევებისადმი. მდგრადი ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბების პროცესი სრულიად ახლებურ მიდგომას მოითხოვს. თუ მხედველობაში მივიღებთ ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებს, მსოფლიო საზოგადოების ინტერესებს საქართველოსადმი, შეიძლება განისაზღვროს მეცნიერული კვლევების ძირითადი მიმართულებები (ვ. პაპუნძე, მ. პაპუნძე, 2007).

დღეისათვის ძირეულად უნდა შეიცვალოს მიდგომა სამეცნიერო კვლევითი თემატიკის შერჩევის და შესრულებისადმი. საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში, სამუშაო

თემატიკის შერჩევას, უპირველესად, გათვალისწინებული უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტული კურსი, მეცნიერება და აგროსამრეწველო სფერო ერთ მონოლითურ კომპლექსად უნდა ჩამოყალიბდეს. თუ გავანალიზებთ თუნდაც მარტო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებების საპროექტო გადაწყვეტილების, ექსპერიმენტული დანერგვითი შედეგების ამსახველ ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას, შეიძლება საკმაოდ რეალური დასკვნების გაკეთება. კერძოდ:

ქვეყანას გააჩნია საკმაოდ კომპეტენტური, კონკურენტუნარიანი ინტელექტუალური პოტენციალი, რომლის გამოყენება შეიძლება სათანადო რეფორმების გატარებით და თანამედროვე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებით;

მიღებული სამეცნიერო-კვლევითი შედეგები ადასტურებენ ადგილობრივი რესურსების მრავალფეროვნებას, მათი გამოყენების შესაძლებლობების ქიმიურ ბიოლოგიური და სხვა მაჩვენებლების უნიკალურობას.

ქვეყანაში თანდათანობით იკვეთება მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, ტენდენციები. თუმცა ცალკეულ სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე საკმაოდ დიფერენცირებულია და რეალურად არ ასახავს არსებული რესურსების შესაძლო გამოყენების პარამეტრებს, ბაზრის კონიუნქტურას. აღნიშნულ მდგომარეობას გააუმჯობესებს მეცნიერული-კვლევითი ფონდის აქტიურად გამოყენება, ამასთან დაკავშირებით რეკლამირების გაფართოება, მეწარმეთა ინფორმაციული უზრუნველყოფა და კონსურტირება, ტექნოლოგიების დანერგვაში დახმარების გაწევა;

აუცილებელია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების თანამედროვე პარკის შექმნა. დღეისათვის არსებული ტექნიკური საშუალებები უმეტესწილად მორალურად და ფიზიკურადაც მოძველებულია. ამის გამო შეუძლებელია არა მარტო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სრულყოფილად ჩატარება, არამედ, რაც მთავარია, ახალი კომპეტენტური კადრების მომზადება, მეცნიერებისა და წარმოების ერთ კომპლექსად ჩამოყალიბება;

დაჩქარებული ტემპით უნდა მოხდეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაობის კოორდინაცია, შემუშავდეს ინტეგრაციის და პრიორიტეტული ღონისძიებების ოპერატიულად შესრულების ქმედითუნარიანი სისტემის მეთოდი.

მეცნიერების და წარმოების ინტეგრაცია ყოვლისმომცველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პრობლემაა. წარმოებასთან მეცნიერების „ინტეგრალური ურთიერთობის“ იდეალი წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა პერმანენტულ დანერგვაში უნდა მდგომარეობდეს, ე, ი, მეცნიერება ტექნიკა-წარმოების ციკლი რაც შეიძლება უწყვეტი და ერთიანი უნდა იყოს. ამ ურთიერთკავშირის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია დაცული იქნეს:

- სტრუქტურული და ეკონომიკური ერთიანობა ორ მთავარ პარტნიორს სამეცნიერო-კვლევით მხარესა და საწარმოო ობიექტს შორის;
- სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება მართვის ერთიანი აპარატის და ფინანსების, დაგეგმვისა და ერთიანი ბალანსის საკითხები;
- ფინანსური უზრუნველყოფა.

სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ჩარჩოში მეცნიერების როლი და ადგილი შესაძლებელია ორი ასპექტით განვიხილოთ. მეცნიერება როგორც განსაკუთრებული სოციალური ინსტიტუტი, ადამიანის საქმიანობის სპეციფიკური სფერო და მეცნიერება როგორც ეროვნული მეურნეობის სფერო.

ეროვნულ მეურნეობაში ორი დარგი – მეცნიერება და ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული. მეცნიერება ითხოვს რა ეკონომიკის სფეროდან მოხვედრილი ყველა აუცილებელი სახის რესურსს, ასევე წარსულში დაგროვილი ცოდნის პოტენციალს, აწარმოებს პროდუქტს – ახალ ცოდნას, რომელიც ისევ ეკონომიკურ სისტემაში ხვდება. აქ განიცდის კლავწარმოებას (უმჯობესდება) და იქმნება ახალი პროდუქტი. ამდენად, ეკონომიკას გააჩნია მოთხოვნილება მეცნიერების პროდუქტზე, ხოლო მეცნიერება ითხოვს რესურსებს ეკონომიკის სფეროდან. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი განპირობებულია მეცნიერების ზემოქმედებით, ე. ი. ეკონომიკაში მისი პროდუქტის დანერგვითა და გავრცელებით.

მეცნიერება სოციალური სისტემაა, მისი ელემენტების არა აბსტრაქტული წარმოებადი საგნები, არამედ ინდივიდები და ჯგუფები, რომლებიც თავიანთ ინტერესებსა და მიზნებს ზოგიერთ ეკონომიკური სახის წესებსა და კანონებს უთანხმებენ.

ბოლო წლებში დინამიურად იზრდება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება აგროსამრეწველო სფეროს სხვადასხვა დარგებში. ეს ეხება, პირველ რიგში, მემცენარეობის დარგის

განვითარებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებს. ამ მიმართულებით აშკარად შეიმჩნევა პოზიტიური ძვრები, რამაც შესაძლებელი გახადა, მევენახეობაში, მეხილეობაში და სხვა დარგებში ახალი დარგობრივი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესების განვითარება. თუმცა, შეიმჩნევა გარკვეული ნეგატიური დეფექტები, რაც დაკავშირებული სატენდერო წინადადებების შედგენისას გაუთვალისწინებელ მომენტებთან. ეს ეხება ფასებს, მიწოდების გრაფიკს, ტექნოლოგიებს, დაფინანსების ეტაპობრიობას, მონაწილეობის პირობებს და სხვა პრობლემებს. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პოტენციალის გამოყენება ამ მიმართებითაც მნიშვნელოვანი უნდა გახდეს.

ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან აქტიურად ტარდება სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზაციის პროცესი. საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრება განათლებისა და მეცნიერების სფეროში სტიმულს იძლევა კერძო სამართლის იურიდიული პირების სახით ახალი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყონ მასტიმულირებული გარემო მათი შექმნისა და ფუნქციონირებისათვის. ამ გზით შესაძლებელი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ხარჯების თანდათანობით შემცირება ოპტიმალურ დონემდე და ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებით მაღალნაყოფიერი, გამოყენებითი ხასიათის კვლევითი შედეგების მიღება. რა თქმა უნდა, სახელმწიფომ უნდა შეძლოს მეცნიერული კვლევებისათვის, ახალი სტრატეგიული პროგრამებისათვის თანხების გამოყოფა, თუმცა მისი გამოყენება უნდა განხორციელდეს, უპირატესად, კერძო სტრუქტურების, საკონკურსო მონაწილეობის გაფართოებით, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციის პოტენციალის ეფექტური გამოყენებით.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად უნდა იქნეს განხილული ქვეყანაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია თანაბარუფლებიანი, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისათვის. ამ კურსის განხორციელება ფინანსური და მატერიალური რესურსების დაზოგვისა და პროექტების დაჩქარებული ტემპით შესრულებას უზრუნველყოფს. მეცნიერება და მეცნიერული კვლევის შედეგები თანაბარი მიმზიდველობით უნდა სარგებლობდეს სახელმწიფო მმართველობით ორგანოებში მეწარმეებთან ურთიერთობებში საქმიანობის წარმართვისათვის დაგეგმვასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის პროცესში.

არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი რესურსი, კაპიტალი ადამიანია, მისი სულიერი და კულტურული განვითარება, ცოდნის მაღალი დონე, მწარმოებლური საქმიანობის უნარი, ქვეყნის სიმდიდრე, სახელმწიფოს სიმდიერის გარანტიაა.

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და დასაქმების, მათი ეფექტურად გამოყენების პრობლემები მეტად გლობალურ საკითხად იქცა და იგი მაღალ მეცნიერულ დონეზე საჭიროებს მიდგომას. ვისაც წინსვლა და პროგრესი სურს, აღნიშნულის მიმართ გულგრილი არ უნდა იყოს. ეს თემა საგანმანათლებლო მუშაკების, მეწარმეების, ბიზნესმენების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, კვლევით დაწესებულებათა მეცნიერ-სპეციალისტების, ეკონომისტების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების ერთობლივი მსჯელობისა და განსჯის საგანი უნდა გახდეს.

ლიტერატურა:

1. ო. დიდმანიძე, რესურსდაზოგვის თეორიული საფუძვლები, თბ., 2002.
2. რ. ჯაბნიძე, სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები, ბათუმი, 2013.
3. ვ. პაპუნძიძე, მ. პაპუნძიძე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება აუცილებელია, ჟურნ. „საქართველოს რევიონები“, ბათუმი, 2007.

SCIENTIFIC-TECHNICAL PROGRESS AS AN URGENCY IN AGRICULTURE

Darejan Jashi, Batumi Shota Rustaveli State University, Associate Professor

Lamzira Gorgiladze, Batumi Shota Rustaveli State University, Assistant Professor

Nana Jabnidze, Batumi Shota Rustaveli State University, Academic Doctor

RESUME

The Determination to optimum model of the development agro industrial complex and its operation must be realized with using result of scientific development.

For many years in Georgia there are developed researches by scientific-institutions of the different profiles are designed unique technologies, which give the manufacturability to product high factor on competitiveness and consumer characteristic.

Special attention is concentrated on necessity of arrangement of task programs promoting development of farms. The main requirements of the program, the ways of its maintenance regulating role of state are discussed. The expected socioeconomic results are generalize.

ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

მერაბ ვანიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: merabvanishvili@yahoo.com

ნინო ვანიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი
E-mail: ninivanishvili@yahoo.com

თვითმმართველი ერთეულის ფინანსების არსისა და ორგანიზაციის ცალკეული საკითხები ასახული და განმტკიცებულია საქართველოს ფუძემდებლურ საკანონმდებლო აქტებში, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო და საგადასახადო კოდექსებში.

საქართველოს კონსტიტუციის 101 სამი პრიმა მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ქონება და ფინანსები“. ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, რომელიც მიეკუთვნება საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მეორე დონეს. ბიუჯეტის არსებობა განამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს შესაბამისი ტერიტორიების სამეურნეო საქმიანობის აქტივიზაციას და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ისე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისგან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან“ [1, გვ. 31].

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია: საკუთარი შემოსულობებით; ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრით; კანონით დადგენილ ფარგლებში დელეგირებულ უფლებამოსილებათა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით [2, გვ. 49].

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა“ [2, გვ. 5].

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის თითქმის ანალოგიურ განმარტებას ვხვდებით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის I-ელ პუნქტშიც: „თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ“ [1, გვ. 31].

ამჟამად ადგილობრივი ბიუჯეტები, წარმოადგენს რა საქართველოს საფინანსო სისტემის ნაწილს, არსებობს როგორც დამოუკიდებელი ფულადი ფონდები, რომლებიც გამიზნულია ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციების შესრულებაზე. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 65-ე მუხლის I-ელი

პუნქტის თანახმად, „თითოეულ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი“ [2, გვ. 49].

ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, ამჟამად საქართველოში არსებობს 69 ადგილობრივი ბიუჯეტი, აქედან: მუნიციპალური ბიუჯეტი – 64 ერთეული; თვითმმართველი ქალაქის ბიუჯეტი – 5 ერთეული.

ადგილობრივ ბიუჯეტს აქვს საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილები, რომლებიც დგინდება და რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო და საგადასახადო კოდექსებით, აგრეთვე საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალი საბიუჯეტო კანონმდებლობის (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 66-ე მუხლის და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის) შესაბამისად, მკვეთრადაა გამოიწვეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები. კერძოდ:

I. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება: ადგილობრივი გადასახადები; ადგილობრივი მოსაკრებლები; გათანაბრებითი ტრანსფერი; საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულებისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები.

II. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება: სპეციალური ტრანსფერი; მიზნობრივი ტრანსფერი; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსულობები.

ამგვარი ცვლილება, ჩვენი აზრით, ეხმიანება დასაბუთებულ მიდგომას, რომელიც მოითხოვს თვითმმართველი ერთეულის მიერ „გამომუშავებული“ ფინანსური რესურსების მკვეთრ გამოყოფას. თუმცა ამ მოთხოვნის სრული ზომით რეალიზება თანამედროვე ქართულ საბიუჯეტო კანონმდებლობასა თუ სამეურნეო პრაქტიკაში მაინც ვერ მოხერხდა.

ჩვენი პოზიციის არგუმენტირებისათვის მივმართოთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების სტრუქტურას. როგორც ჩანს, საკუთარი შემოსულობების შემადგენლობაში, თვითმმართველი ერთეულის მიერ „გამომუშავებულ“ ფინანსურ რესურსებთან ერთად გვხვდება გათანაბრებითი ტრანსფერის სახით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიც. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად, რამდენადაც მისი რეალიზაცია დაუსაბუთებლად აფართოებს იმ წყაროთა ჩამონათვალს, რომლებიც რეალურად შეიძლება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის განკარგულებაში აღმოჩნდეს.

თვითმმართველ ერთეულს საკუთარი შემოსულობების ხარჯვა შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებლად და თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, თვითმმართველ ერთეულს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული გრანტების, სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერების გარდა, დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ყველა სხვა წყაროდან მიღებული შემოსულობები. საყურადღებოა ისიც, რომ თვითმმართველი ერთეული დამოუკიდებლად განსაზღვრავს კანონმდებლობით დადგენილი ექსკლუზიური და ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დასაფინანსებელი გადასახდელების მიმართულებებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2010 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა ჯამურად (დაზუსტებული გეგმის მიხედვით) 1.567 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2009 წლის შემოსულობებთან შედარებით 307,6 მლნ ლარით მეტია, ხოლო 2008 წელთან შედარებით კი – 289,9 მლნ ლარით მეტი [5, გვ. 97].

ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხი არ გაზრდილა. ამასთან, ზრდა განპირობებულია თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტის შემოსულობების მნიშვნელოვანი ზრდით და არა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შემოსულობებით, სადაც, პირიქით – 2008 წლიდან ადგილი ჰქონდა შემოსულობების შემცირებას.

თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შემოსავლებს, რომელიც 2010 წლის დაზუსტებული გეგმის მიხედვით 1.412 მლნ ლარს შეადგენს. თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ შემოსავლებში საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები ძალიან მცირეა (2009 წელს ბიუჯეტების შემოსავლების მხოლოდ 24,7%, ხოლო 2010

წელს – 23,4%). თვითმმართველობების ბიუჯეტის შემოსავლების დიდი ნაწილის ფორმირება ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული ტრანსფერების ხარჯზე ხორციელდება.

გადასახადების სახით თვითმმართველმა ერთეულებმა 2010 წელს 180,7 მლნ ლარი მიიღეს, საიდანაც 66,7% ხუთ თვითმმართველ ქალაქზე მოდის. 2009 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად შეადგენდა 64,4 %-ს [5, გვ. 98].

ზოგადად, თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების სიმწირე ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ეკონომიკური აქტივობა დაბალია და ბიზნეს-სექტორი სუსტად არის განვითარებული. ამასთან, ქონების გადასახადში ბევრი საგადასახადო შეღავათია, რაც ასევე განაპირობებს ბიუჯეტში ამ გადასახადიდან შემოსავლების სიმცირეს.

საგულისხმოა, რომ ქონების გადასახადი ერთადერთი ადგილობრივი გადასახადი და, ამასთან ერთად, ერთადერთი საგადასახადო შემოსულობაა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. 2009 წლის 7 ივნისიდან საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით დადგინდა საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის დიფერენცირებული გამოთვლის წესი. 2010 წელს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსით, საწარმოს წლიური გადასახადი, რაც საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტს შეადგენდა, 2000 წლამდე შესყიდულ აქტივებზე 3-ჯერ გაიზარდა, 2000-დან 2004 წლამდე შესყიდულ აქტივებზე – 2-ჯერ, ხოლო 2004 წელს შესყიდულ აქტივებზე – 1,5-ჯერ. ასევე 2009 წელს გაიზარდა ფიზიკური პირების ქონების გადასახადის განაკვეთი და დაკონკრეტდა ფიზიკური პირის ოჯახის მიერ მიღებული შემოსავლების განმარტება. კერძოდ: იმ ფიზიკური პირების ქონების გადასახადის განაკვეთი, რომელთა ოჯახის წლიური შემოსავალი 100.000 ან მეტი ლარია, შეადგენს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,8 პროცენტს და არაუმეტეს 1 პროცენტისა. 2009 წლამდე აღნიშნული განაკვეთი შეადგენდა შესაბამისად 0,4 და 0,8 პროცენტს.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში მობილიზებული ქონების გადასახადის მოცულობა გაიზარდა. მიუხედავად ზრდის დინამიკისა, ქონების გადასახადს, როგორც საკუთარ საგადასახადო შემოსულობას, ძალზედ მცირე წილი (2010 წელს დაახლოებით 10,8%) უჭირავს თვითმმართველობების ბიუჯეტის შემოსულობებში, რაც გამორიცხავს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი კომპეტენციების სრულყოფილ განხორციელებას და ხარისხიანი საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფას. ამასთან ის ფაქტი, რომ თვითმმართველ ერთეულებს ფაქტიურად არ გააჩნიათ დისკრეცია ადგილობრივ გადასახადთან მიმართებაში (ბაზის განსაზღვრა, განაკვეთის შეუზღუდავი დადგენა, შეღავათების დაწესება, გადასახადის ადმინისტრირება), გამორიცხავს მათი მხრიდან საკუთარი შემოსულობების პროგნოზირების და ზოგადად, გააზრებული საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის დაგეგმვის შესაძლებლობას [6, გვ. 28].

ბიუჯეტების შემოსავლების სტრუქტურის ანალიზი გვამღევეს ნათელ სურათს, თუ რამდენად არის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები დამოკიდებული ცენტრალური ხელისუფლებიდან მისაღებ სახსრებზე. 2010 წელს თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტში სულ მიღებული იქნა 1.082 მლნ ლარის გრანტები (ტრანსფერები), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 222,6 მლნ ლარით, ანუ 26%-ით მეტია. ეს სახსრები 2009-2010 წლებში თვითმმართველობების შემოსავლების 75–77%-ს, ხოლო შემოსულობებში 69%-ს შეადგენს. ამასთან, 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემული გრანტების 73% თვითმმართველ ქალაქებზე მოდის, ხოლო დანარჩენი 27% – 64 მუნიციპალიტეტზე. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა იყო 2009 წელსაც [5 გვ. 99].

თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში სხვადასხვა სახის ტრანსფერების ხვედრითი წილი 2010 წელს შემდეგნაირად გადანაწილდა: ტრანსფერების 48% გადაეცათ გათანაბრებითი ტრანსფერის სახით, 41% – სპეციალური ტრანსფერის სახით, 10% – სხვა არაკლასიფიცირებული ტრანსფერის სახით, ხოლო 1% – მიზნობრივი ტრანსფერის სახით. განსხვავებული მდგომარეობა იყო 2009 წელს, ტრანსფერების 59% მოდიოდა სპეციალურ ტრანსფერზე, 32% – გათანაბრებით ტრანსფერზე, 7% – სხვა არაკლასიფიცირებულ ტრანსფერზე, ხოლო 2% – მიზნობრივ ტრანსფერზე [5, გვ. 100].

ტრანსფერებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლიდან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ძალაში შესვლით, „გამოთანაბრებითი ტრანსფერის“ ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი „გათანაბრებითი ტრანსფერი“, შეიცვალა მისი გაანგარიშების ფორმულა და წესიც. ცვლილების შედეგად გაიზარდა ტრანსფერის მოცულობის გამოთვლებისათვის საჭირო ინფორმაციის მოცულობა, რაც, გარკვეულ წილად, პრობლემას წარმოადგენს. იგულისხმება გამოთვლისათვის აუცილებელი

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ვინაიდან თვითმმართველობების დონეზე ყველა საჭირო ინფორმაცია (სტატისტიკა) არ აკუმულირდება. გარდა ამისა, გათანაბრებითი ტრანსფერის სამართლიანი განაწილების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება მისი გაანგარიშების წესის შეზღუდული საკანონმდებლო რეგლამენტაცია, მაშინ, როდესაც, ფინანსთა მინისტრს აღნიშნული საკანონმდებლო ნორმების განვრცობის თითქმის შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტროს აქვს რეალური ბერკეტი, მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის ფარგლებში, ფორმულაში გამოსაყენებელი სხვადასხვა კოეფიციენტების შემოღებითა და მათი მოცულობების ცვლილებით, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობაზე.

აღსანიშნავია, ასევე რომ 2009 წლის 1 იანვრიდან „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებით გამარტივდა თვითმმართველი ერთეულის მიერ გრანტის (არა სახელმწიფო გრანტის) აღების პროცედურა. კერძოდ, მოიხსნა გრანტის მხოლოდ საქართველოს მთავრობისგან ან მისი ნებართვით აღების შეზღუდვა, რაც პოზიტიურ ცვლილებად უნდა შეფასდეს. ამავე დროს, სესხის აღების საკანონმდებლო პროცედურა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის კვლავ ხისტი და მოუქნელი რჩება. მათ უფლება აქვთ აიღონ სესხი მხოლოდ საქართველოს მთავრობისგან ან მისი ნებართვით.

სამწუხაროდ, კვლავ ბუნდოვანი რჩება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობების განმარტება. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 49-ე და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 66-ე მუხლებით, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება: ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და „საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები“; ხოლო არასაკუთარ შემოსულობებს – სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები და „საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეულისათვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები“. როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში, შემოსულობების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ზოგადად მიაჩნდება საქართველოს კანონმდებლობაზე. არადა, აღნიშნულის მკაფიო გამიჯვნას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თვითმმართველი ერთეული თავისუფალია საკუთარი შემოსულობების განკარგვაში და, პირიქით, შეზღუდული – არასაკუთარი შემოსულობების განკარგვაში.

საინტერესო დასკვნების გამოტანის საფუძველს გვაძლევს ადგილობრივი თვითმმართველობების შემოსულობების ანალიზი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. 2009 წელს ქვეყანაში ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობების საშუალო მაჩვენებლები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 287,1 ლარს შეადგენდა, 2010 წელს კი მისი მოცულობა გაიზარდა და შეადგინა 353,1 ლარი, რაც ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია. თუმცა, თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში აღნიშნული მაჩვენებლები აშკარა დისპროპორციით ხასიათდება. თვითმმართველ ქალაქებში შემოსულობები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2010 წელს შეადგენს 684,2 ლარს, მაშინ როდესაც მუნიციპალიტეტებში ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 159,8 ლარია [5, გვ. 101].

2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო გადასახდელების საერთო მოცულობამ 1.570 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 331 მლნ ლარით მეტია. ბიუჯეტის ხარჯების კატეგორიაში ყველაზე დიდი წილი, ბოლო წლების განმავლობაში და 2010 წელსაც, საბინაო-კომუნალური მეურნეობის (33%), ეკონომიკური საქმიანობის (20%) და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე მოდიოდა (11%).

სამწუხაროდ, პრაქტიკაში კვლავ გვხვდება ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან მნიშვნელოვანი სახსრების ხარჯვა თვითმმართველობის არასაკუთარი კომპეტენციების დასაფინანსებლად. ამის ნათელი მაგალითია პოლიციის განყოფილებების კო-მუნალური, ზოგადი განათლების, ჯანდაცის და ა.შ. ხარჯების დაფინანსება, რაც წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების უხემ ჩარევას ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 2006 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განხორციელებული ცვლილებების შედეგად თვითმმართველობების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხი არა თუ გაიზარდა, არამედ, რიგ კომპონენტებში, შემცირდა კიდევ. ამრიგად, საქართველოში თვითმმართველი ერთეულების ფაქტობრივი საფინანსო-ეკონომიკური ავტონომიურობის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია, რაც დღის წესრიგში აყენებს ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო საფუძვლების დახვეწისკენ მიმართული თანმიმდევრული ღონისძიებების გატარების აუცილებლობას.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა იმ რეკომენდაციების ჩამონათვალი, რომელთა

THE MAIN DIRECTIONS OF IMPROVING THE USE OF LOCAL GOVERNMENT FINANCE IN GEORGIA

Merab Vanishvili, Gori State Teaching University, Associate Professor

Nino Vanishvili, Georgian Technical University, PhD Student

RESUME

The article described the use of the mechanism of formation and development of local government finance issues. Emphasizes that the central point of contact for local self-government unit budget funds, which would strengthen the economic independence of local self-government bodies, helps to activate the corresponding areas of economic activity and infrastructure development.

The conclusion is made that, since 2006, as a result of changes made in the field of local government finance - but if you do not increase the degree of economic independence, but also reduced the number of components too.

Based on the analysis revealed a general and specific nature of the list of recommendations, which are considered to contribute to the deepening of the process of decentralization and local self-government in Georgia and Finance - Budgeting Basics to strengthen. List of recommendations for the problems that have surfaced over the years 2009-2011.

თანამედროვეობა და ღირებულებები

შოთა ვეშაპიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი

E-mail: shotaveshapidze@mail.ru

ციური დურული, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

E-mail: ts.duruli@gmail.com

ღირებულებები ჩვენი ცხოვრების მარადიული გზამკვლევი და მისი სრულყოფილების სათავეა. ევროპულ და ევროატლანტიკურ ღირებულებებზე ორიენტირებას გადაამწყვდები მნიშვნელობა აქვს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, არსებობს თუ არა ფენომენი „ევროპული ღირებულებები“? ყველაზე მარტივად თუ ვიტყვით, „ღირებულებაა ის, რაც შეესაბამება ადამიანის ადგილს სამყაროში“. ის ისეთი რამაა, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია (იდეალურია) და ყოველი რეალურის განმსაზღვრელია. ღირებულებები არის ის იდეალური, რომლისკენაც მუდმივად უნდა ვისწრაფვოდეთ, რომელიც საზოგადოებას რაც უნდა, ის კი არ არის, არამედ ისაა, რაც საზოგადოებას უნდა უნდოდეს, რომელსაც ვერასოდეს მივაღწევთ, რადგან ღირებულებებისკენ სწრაფვა სრულყოფილებისკენ მუდმივ სწრაფვას ნიშნავს, იმას ნიშნავს, რომ არსებული გარემო არ უნდა გვაკმაყოფილებდეს, მუდამ უნდა გვინდოდეს უკეთესი, უკეთესის მარადიული წადილი უნდა გვამოძრავებდეს, რასაც მუდმივად უნდა განვიცდიდეთ, მუდმივად უნდა ვგრძნობდეთ, რისკენაც მუდმივად უნდა მივიღებოდეთ. შესანიშნავად აქვს უმბერტო ეკოს ნათქვამი: მე ვწერ არა იმას, რაც ხალხს უნდა, ვწერ იმას, რაც მინდა, რომ ხალხს უნდოდესო. [2, გვ. 8-9]

2005 წლის 5 აპრილს, ვენეციაში, ევროპული კულტურული ასოციაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე, ამ ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საქართველოს ელჩი ევროსაბჭოში ქ-ნი ლანა ლოლობერიძე თავის სიტყვაში ხაზს უსვამდა ისეთ ევროპულ ღირებულებებს, როგორცაა: პიროვნული სინდისი, თავისუფლება, ერთობა, თანასწორობა, სამართლიანობა. სწორედ ამ ღირებულებებით ვაცნობიერებთ ჩვენ, თუ რა არის ჩვენთვის ევროპა. როგორც ლანა ლოლობერიძე აღნიშნავდა, თუ ადრე ევროპასთან მიახლოება მისი ბავშვობის ოცნება იყო, ახლა ეს რეალობად იქცევა. ჩვენთვის, საბჭოთა სინამდვილიდან გამოსული ადამიანებისთვის, ეს არის „ევროპა ერთიანი, ევროპა გამთიშველი საზღვრების გარეშე, სადაც ყველას, ქვეყანას, ისევე, როგორც პიროვნებას, შეუძლია იცხოვროს თავისი თავისუფლებით. ეს ისეთი მომხიბვლელია, ხედავდე, როგორ იქმნება ერთობა ერებისა, რომლებიც ინაწილებენ საერთო ბედს; ერთობა, რომელიც სამყაროს გლობალური მოთამაშე ხდება, რომელიც არ კმაყოფილდება იმით, რომ იყოს რეგიონული ძალა ან სუპერმარკეტი; სადაც ყველა გრძნობს თავის მნიშვნელობას სხვებისთვის და თავის თანასწორობას სხვებთან. ეს ისეთი მომაჯადოებელია, წარმოიდგინო ერთიანობა ერებისა, რომლებიც ინაწილებენ საერთო სინდისს, ერთობა, სადაც ყველა ინარჩუნებს და ავითარებს თავის

თვითმყოფადობას და რომელსაც ორ მატერიალისტ გიგანტს – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის – არ ეშინია, იყოს ცოტათი იდეალისტი, გააერთიანოს ერები თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, გამოიყენოს თავისი კულტურული მრავალფეროვნება და მისცეს პლანეტას თავისი სიმდიდრეების სამართლიანად განაწილების მაგალითი“.

ნიკო ნიკოლაძე ევროპული ღირებულებებიდან, რომელთა განხორციელებითაც ევროპელები დაწინაურდნენ, უპირველესთა შორის ასახელებდა ქვეყნისათვის მსახურებას, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, ჩვენთვის უცხო პრაგმატულობასა და რეალიზმს, განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას და, ამასთან ერთად უცხოური, დადებითი გამოცდილების უეჭველ გათვალისწინებას.

ღირებულებათა სისტემა, რომელმაც ახალი საზოგადოების შექმნას უნდა შეუწყოს ხელი, საქართველოში ჩამოყალიბებული ფორმით ჯერ კიდევ არ არსებობს. ევროპულმა ქვეყნებმა, გაიარეს რა საკმაოდ ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა ქრისტიანობაზე დაფუძნებული ღირებულებათა სისტემის დასამკვიდრებლად, შეძლეს მისი ჩამოყალიბება. ამით მათ შეძლეს შედარებით უმტკივნეულოდ გაეძლიათ ყველა სირთულისათვის და XXI საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრეც მოწინავე პოზიციებზე პირველები და ყველაზე ადრე დამკვიდრდნენ. ეს მათ, უპირველეს ყოვლისა, ღირებულებათა მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებამ მოუტანა. ვინაიდან ამ ქვეყნებმა ყველაზე უფრო ადრე შეძლეს ღირებულებათა ყველაზე ღირსეული, ჰუმანური და სამართლიანი სისტემის დამკვიდრება, ამ ღირებულებებს შეიძლება ევროპული ან ევრო-ატლანტიკური ღირებულებები ვუწოდოთ. სწორედ საერთო ღირებულებებს ეფუძნება მსოფლიოს ყველაზე უნიკალური ინტეგრაციული გაერთიანება – ევროპული კავშირი, სწორედ საერთო ღირებულებებმა ჩაუყარა საფუძველი ერთიან ევროპას, რაც 1952 წლის 25 მარტს რომის დეკლარაციით გაფორმდა. ევროპული ღირებულებები ნაკლებადაა დაკავშირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან (მცირედითაც არ უგულუბელყოფს, არ ხელყოფს მათ) და ცხოვრებისა და შრომის ყველაზე ეფექტურ მოდელად გვევლინება, უპირველესი, უმთავრესი ევროპული ღირებულებები კი დემოკრატიაა, სამართლებრივი სახელმწიფო და სიტყვის თავისუფლება.

სისტემური სახით, სრულყოფილად ჩამოყალიბებული ღირებულებებისგან საქართველო ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა. გარკვეული გაგებით შეიძლება დავსვათ ასეთი კითხვა: ევროპამ ქრისტიანობაზე დაფუძნებული ღირებულებათა სისტემა დაამკვიდრა, განა საქართველოც ამ ღირებულებებს არ ეფუძნება? მაშ, რაშია საქმე? რით განსხვავდება ღირებულებათა ქართული სისტემა ევროპულისგან, რომლისკენაც ჩვენ ნიადაგ მივისწრაფვით? ეს დაკავშირებულია ღირებულებათა სისტემის განხორციელებასთან, მასთან მიახლოების სიმწიფესთან, მისი სისრულის მიღწევასთან, რასაც საქართველოში წინ მრავალი გარემოება ეღობება. ამიტომ საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ეს ხელისშემშლელი გარემოებები დავძლიოთ.

იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, საჭიროა თითოეული მოქალაქე ჩავაყენოთ ქვეყნის სამსახურში და ვიშრომოთ თავდაუზოგავად. ყველაზე უფრო პრიორიტეტული ის არის, რომ ვემსახუროთ სამყაროს ყველაზე მთავარ, უნიკალურ ღირებულებას – თითოეულ ადამიანს. ამ მიზნით საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე თავისი საპროგრამო სიტყვით გამოსვლისას ხალხისა და მთავრობის უპირველეს ამოცანებს შორის განსაზღვრა: 1. ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეული ადამიანი არის განუმეორებელი, უნიკალური უმაღლესი ღირებულება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხალხის უმრავლესობის უკიდურეს გაჭირვებას უნდა დავაღწიოთ თავი; 2. საჭიროა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება. უნდა დავამკვიდროთ კანონის უზენაესობა და აღვადგინოთ სამართლიანობა ქვეყანაში. არც ერთი დანაშაული, თუ ის მტკიცებულებებით იქნება გამყარებული, არ უნდა დარჩეს დაუსჯელი. ყველამ, ვისაც უკანონობაში ექნება მონაწილეობა მიღებული, პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე – მხოლოდ კანონისა და სასამართლოს ძალით. შესწავლილი უნდა იქნეს საკუთრების უფლების ტოტალური დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარება, აგრეთვე, საქართველოში ბოლო წლებში გავრცელებული „ელიტარული კორუფციის“ მასშტაბები და უნდა შემუშავდეს მათი აღმოფხვრის მექანიზმები; 3. ქვეყანამ უნდა განახორციელოს ფართომასშტაბიანი რეფორმები ყველა სტრატეგიული მიმართულებით და მთავრობის პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს საქართველოს მოსახლეობის მკაფიოდ გამოხატულ ინტერესებს. ამისათვის სამთავრობო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში აქტიურად უნდა იქნენ ჩაბმული მოქალაქეები და სწორედ ეს უნდა გახდეს მთავრობის მუშაობის საფუძველი [6, გვ. 2-3].

ოცდამეერთე საუკუნემდე საქართველომ ურთულესი გზა გაიარა. ქვეყანა ბევრჯერ სასწაულებრივად გადარჩა. ამ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლაში ერმა თავისი გადარჩენის მარადიული ღირებულებანი ჩამოაყალიბა. ჩვენი გადარჩენის

ერთადერთი, სწორი გზა, როგორც ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით დასტურდება, არის ეროვნული, ტრადიციული ღირებულებების გაძლიერება. ამასთანავე, გლობალური ფაქტორის გათვალისწინებაც არ უნდა დაგვავიწყდეს. გარე სამყაროსთან სრულფასოვანი ინტეგრირება ჩვენი და საერთოდ ყველას განვითარების აუცილებელ პირობად იქცა. ამიტომ ჩვენ გვჭირდება ღირებულებათა ზომიერი ცვლილება. ეს კი, ერთი მხრივ, შეუძლებელია სათანადო ეროვნულ ფუნდამენტზე დაფუძნების გარეშე, მეორე მხრივ კი, ფუნდამენტი გლობალიზაციით განპირობებული აუცილებელი ცვლილების გარეშე ყოველთვის მყარად ვერ იქნება. ჩვენ გვჭირდება ეროვნულ ფასეულობათა ჰომოგენიზაცია. სოციალური პოლიტიკის დოქტორი, გიორგი შაქარიშვილი, 2008 წლის 2 თებერვალს ქენევიდან გამოგზავნილ წერილში სამართლიანად აღნიშნავდა: „საქართველოს ისტორიის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის დასანახავად, თუ რაოდენ მრავალფეროვანია სხვადასხვა იდეოლოგიების, ცივილიზაციების და კულტურების ზეგავლენა ქართულ საზოგადოებაზე. ბიზანტიური წიაღიდან აღმოცენებული მართლმადიდებლური ქრისტიანული ბაზისი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა არაბულ და მონგოლურ, შემდგომ ისლამურ ზეგავლენას, რასაც მოჰყვა ცარისტული რუსეთის საშუალებით ევროპულ კულტურასთან ზიარება, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა ისტორიული თვალსაზრისით ხანმოკლე, მაგრამ ძლიერად თავსმოხვეული საბჭოთა იდეოლოგიით. ბუნებრივია, ზეგავლენათა ამგვარ დინამიზმს არ შეეძლო არ გამოეწვია საზოგადოებრივ ფასეულობათა ჰეტეროგენიზაცია, რის შედეგადაც დღევანდელი რიგითი ქართველი, თავისი კულტურული, ტრადიციული თუ ზნეობრივი ფასეულობების მიხედვით, არის ერთგვარი ჰიბრიდი, რომელშიც ტრადიციული ქართული ზნებუნებრივი თვისებები სხვადასხვა დოზით არის შეზავებული აღმოსავლური კონსერვატიზმით, ევროპული ლიბერალიზმით და საბჭოთა ვერტიკალიზმით. ყოველ ამ ფასეულობას შესაბამისი საზოგადოებრივი ქცევითი გამოხატულება ახასიათებს. ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივ ფასეულობათა სხვადასხვა ტიპები ერთმანეთთან უკუქმედებით დამოკიდებულებაში იმყოფება, რაც საზოგადოებრივ ქცევით გამოსავალს არაპროგნოზირებად და რთულად საინტერესოს ხდის. ყოველივე ამის ფონზე, ალბათ, სასურველია ამ ფასეულობათა მეტ-ნაკლები ჰარმონიზაცია, რომლის ერთადერთი სწორი გზა ეროვნული, ტრადიციული ფასეულობების გაძლიერება იქნებოდა. ამავე დროს, წარმოვადგენთ რა დღევანდელი თანამედროვე სამყაროს განუყოფელ ნაწილს, ალბათ, ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენს ტრადიციულ საზოგადოებრივ ფასეულობაში არსებული რომანტიკულ-ემოციური დომინანტის ზომიერი დაბალანსება თანამედროვე გლობალისტურ-პრაგმატული კომპონენტითაც, რაც დაგვეხმარება გარესამყაროსთან სრულფასოვან ინტეგრირებაში და თანამშრომლობაში, ეს კი ქვეყნის განვითარების და წარმატების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს [7, გვ. 4].

იმისათვის, რომ აღნიშნულ ამოცანას წარმატებით გავართვათ თავი, ჩვენ გვჭირდება როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე ინდივიდებსა და საზოგადოებას და საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ისეთი ფორმების განვითარება, როგორცაა სოლიდარობა, ტოლერანტობა, ნდობა, ურთიერთგატანა, თანამშრომლობა, ანუ ჩვენ, გვჭირდება სოციალური კაპიტალის განვითარება, რაც, უპირველეს ყოვლისა საგანმანათლებლო სისტემის პრეროგატივაა. ამასთან ერთად უნდა დავძლიოთ ერთგვარი „ფიქრის დეფიციტი“. უნდა დავძლიოთ სპონტანურობა, ემოციურობა, ახლომხედველობა საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას და დავამკვიდროთ ანალიზი და შორსმჭვრეტელობა. მყისიერი ეფექტის ნაცვლად ხანგრძლივ შედეგებზე ორიენტირებულნი უნდა გავხდეთ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ქვეყნის ჭეშმარიტ დემოკრატიულობას, რომელიც განისაზღვრება არა იმით, თუ რამდენად თავისუფალია პროტესტის გამოხატვის საშუალება, არამედ იმით, თუ რამდენად აქტიურია მმართველობის პროცესში მოსახლეობის თანამონაწილეობა. ჩვენ გვჭირდება მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის აქტიური დიალოგის ასპარეზის შექმნა.

საქართველო ევროატლანტიკურ ღირებულებებზე ორიენტირებული ქვეყანაა. ქართული საზოგადოება თითქმის ერთხმად ეთანხმება ქვეყნის დასავლურ კურსს. ამიტომ, ამასთან ერთად, ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა: ხომ არ დავკარგავთ ამით ჩვენს ღირებულებებს? როგორც ია ანთაძე აღნიშნავს: „საზოგადოების ცნობიერებაში ყველაზე ხშირად ეჭვები ეროვნულ თვითმყოფადობასთან დაკავშირებით ჩნდება: ხომ არ ემუქრება საფრთხე ქართულ ტრადიციებს? ხომ არ კნინდება მრავალი თაობის მიერ აღიარებული ღირებულებები? განსაკუთრებით ხშირად ისმის პროტესტი ტელეპროდუქციასთან დაკავშირებით: „ამდენი სისხლის ჩვენება შეუძლებელია!“, „სერიალების მორალი ღუპავს ახალგაზრდებს!“, „ჰოლივუდის ფილმები ძალადობის კულტს ამკვიდრებს!“ [1, გვ. 5].

ამ კითხვებზე გონივრული პასუხი ის არის, რომ „თუ საქართველოში ღირებულებები იცვლება, აგრესიის დონე იზრდება, ან ტრადიციები იკარგება, ამის მიზეზი საკუთარ ოჯახებსა და გარემოში უნდა მოვიძიოთ; თუ კულტურის როლი დაკნინებულია ან მეცნიერები თავს ზედმეტად გრძობენ, პასუხი ჩვენსავე საზოგადოებას და ხელისუფლებას უნდა მოვკითხოთ. ევროპული ინტეგრაცია ქვეყნის თვითმყოფადობას საფრთხეს არ უქმნის, ამას ევროკავშირის ძველი თუ ახალი წევრი – სახელმწიფოების გამოცდილება ადასტურებს. ეროვნული იდენტობის დაკარგვის შიშს თუ რამე საფუძველი აქვს, ეს საფუძველი საკუთარ თავშია სამიებული და არა ევროპაში“ [1, გვ. 5].

ეს სამართლიანი მინიშნება მოითხოვს იმას, რომ თუ გაქვს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის ამბიციები, უნდა შეიძინო სათანადო ამუნიციებიც, ანუ შეცვალო შენი ღირებულებები, ისე, როგორც ევროკავშირის ქვეყნებმა შეცვალეს. ისინი ისე ამადლდნენ საერთო ევროპულ ღირებულებებამდე, ისე მოახდინეს ერთმანეთთან ინტეგრაცია, რომ თავიანთი თვითმყოფადობა, მარადიული ღირებულებანი და ტრადიციები კი არ დაუკარგავთ, არამედ სწორედ ამ ინტეგრაციის საფუძველზე შეინარჩუნეს და განამტკიცეს კიდევაც ისინი. ხოლო იმისათვის, რომ ევროპულ ღირებულებებამდე ავმადლდეთ, გავხდეთ მისი ორგანული ნაწილი, მხოლოდ იურიდიულად ევროკავშირში ან ნატოში მიღებით ამას ვერ მივაღწევთ, ვერ გავხდებით მისი რეალური ნაწილი. ამიტომ უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება სწრაფად შევუსაბამოთ ჩვენი ყოფითი და პოლიტიკური კულტურა და, საერთოდ, მისი ყველა ასპექტი, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სტანდარტებს. სწორედ ეს არის ჩვენი გადარჩენის უმთავრესი ამოცანა თანამედროვე გლობალიზაციის ეტაპზე.

ლიტერატურა:

1. ანთაძე ი., რა მანძილია ევროპამდე? „24 საათი“, №123 (1567), 2007.
2. ვეშაპიძე შ., კაცობრიული ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები, ელექტრონული, nplg.ge, ციფრული ბიბლიოთეკა ივერიელი, 2012.
3. ვეშაპიძე პ., თავისუფალი პრესის არარსებობა ტირანიაა, „24 საათი“, №121 (670), 24 მაისი, 2004.
4. ივანიშვილი ბ., საქართველოს პრემიერ მინისტრობის კანდიდატის საპროგრამო სიტყვა, „საქართველოს რესპუბლიკა“, №206 (7082), პარასკევი, 26 ოქტომბერი, 2012.
5. კავკასიძე გ., რა უნდა შეიცვალოს საქართველოში? „24 საათი“, 2009 წლის 15 აპრილი, №83 (2121).
6. ფანასკერტელ-ციციშვილი ო., ლიბერალიზმი – სამყაროს გადამრჩენი, თუ – პირიქით. „საქართველოს რესპუბლიკა“, №130, 13 ივლისი, 2010.
7. ლოლობერიძე ლ., 800 მილიონი ევროპელის ევროპა „24 საათი“, №97, 2005 წლის 29 აპრილი.
8. შაქარიშვილი გ., საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმა: მასმედიის როლი ეროვნულ მშენებლობაში „24 საათი“, 12 თებერვალი, 2008 წ., №31.

MODERNITY AND VALUES

Shota Veshapidze, Georgian Technical University, Professor

Tsuri Duruli, Gori State Teaching University, Professor

RESUME

European values owe universal character and it suits every the epoch, society and states equally due to those eternal values such as: individual independence, human dignity, the supremacy of the law and national and cultural originality.

The history of Georgian culture, even its brief review, clearly shows that western values and among them the fundamental one-the human right-was not strange for Georgian society and consequently no conflict existed in this society.

From the European values (by means of development of the values the Europeans acquired the leading positions), the most important is to serve to the country, to outline the interests of the nation, pragmatism and realism, to create national model of development and taking into consideration positive experience of foreign countries. In order to improve the living conditions of people, it is necessary to involve every citizen in the life of the country, to serve to the most important and unique value-each citizen.

In order to cope with this objective successfully we need to develop the following forms of relationship such as solidarity, tolerance, trust, mutual understanding, collaboration between each individual, between the individuals and society, between the society and government that means we need to develop social capital which is the prerogative of educational system. At the same time we should cope with the “deficit of thinking”, emotions, taking short sight decisions and implement analysis and long sight. We should be oriented on long term results instead of rapid results. We should reach democracy which will be defined not by that how freely a person can protest, but to show how actively

the citizens are involved in the process of governing the country. We need to create an active dialogue between the government and the society.

The main objective is that we should connect our everyday and political culture to each other and generally, all its aspects to the standards of the modern civilized world. This is the main objective of our survival on the stage of modern globalization. How it can be done-this is the main point. No ready recipe exists for this, but we must define priorities and plan future activities.

მომხმარებელთა ლოიალურობის მარკეტინგული კვლევა

ნუგზარ თოდუა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესორი
E-mail: nugzartodua@yahoo.com

გლობალურ ბაზრებზე კონკურენციის გამძაფრება განაპირობებს კომპანიების მიერ კონკურენტული უპირატესობის შექმნის გზების სრულყოფას. ბიზნესში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი გზაა მომხმარებელთა ლოიალურობის მოპოვება, რომელიც მარკეტინგის მეცნიერების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მიუხედავად იმისა, რომ ლოიალურობის ზოგადი საკითხების შესწავლას საუკუნოვანი ტრადიცია აქვს, მარკეტოლოგებისათვის იგი დღემდე აქტუალურია. ამიტომ თანამედროვე მარკეტინგის მენეჯერებისათვის სულ უფრო მეტად იზრდება იმ ცოდნის მნიშვნელობა, რომელიც მომხმარებელთა ლოიალურობაზე ზემოქმედებას უზრუნველყოფს [1]. ლოიალურობის შესახებ ერთ-ერთი ადრინდელი განსაზღვრება ეკუთვნის ჯაკობისა და კაინერს (Jacob Jacoby & David B. Kyner, 1973), რომლებიც ლოიალურობას ქცევით ფაქტორებთან აკავშირებენ [2]. ასეთი მიდგომა განავრცო ოლივერმა (Richard L. Oliver, 1999), რომელმაც ლოიალურობა ერთი და იგივე ბრენდის განმეორებად შესყიდვებს დაუკავშირა [3]. ბრენდისადმი ლოიალურობის ერთ-ერთი უახლესი თეორია ეკუთვნის ჩეგინის (Mehrdad G. Chegini, 2010), რომელიც პოტენციური მომხმარებლის მხარდაჭერასა და შესაძლო კონტროლს აღწერს [4]. მორგანის და ჰუნტის (Robert M. Morgan & Shelby D. Hunt, 1995) მიხედვით, დღევანდელ მარკეტინგულ გარემოში მუდმივად იზრდება მომხმარებელთა ლოიალური ქცევის ამოცნობის საჭიროება, რაც ლოიალურობის სხვადასხვა სახეების იდენტიფიცირებასა და სხვადასხვა ბრენდზე გადართვის გაგების აუცილებლობას იწვევს [5]. როგორც გამოკვლევები ადასტურებენ, კომპანიას ახალი მომხმარებლის გადმოზიარება, არსებული მომხმარებლების შენარჩუნებასთან შედარებით, დაახლოებით 6-ჯერ მეტი უჯდება, ხოლო პოტენციური მიგრაციის 5%-ით შემცირების შემთხვევაში შესაძლებელია მოგების 60%-მდე გაზრდა. შესაბამისად, ლოიალური მომხმარებლების რაოდენობის ზრდა და მათი შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში კომპანიების წარმატების საწინდარია. ლოიალურობის საფუძველზე მომხმარებელთა შენარჩუნების მაჩვენებლის ზრდა ასევე საბაზრო წილის მატებას იწვევს. რაიჩელდმა (Frederick F. Reichheld, 1996) შეძლო მომხმარებელთა ლოიალურობიდან გამომდინარე სარგებლის შეჯამება [6]. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლოიალურობაზე დამყარებულ სარგებლიანობას ზოგიერთი მკვლევარი კრიტიკულად აფასებს. კერძოდ, რეინარტმა და კუმარმა (Werner J. Reinartz & V. Kumar, 2000) აღმოაჩინეს, რომ ლოიალურობასა და მოგებას შორის კავშირი ყოველთვის არაა ძლიერი, განსაკუთრებით, არასახელმწიფო ურთიერთობების დროს. ზოგიერთი მომხმარებელი დასაწყისში ძალიან მომგებიანია, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში არამომგებიანი აღმოჩნდება ხოლმე [7]. ჩეგინი (Mehrdad G. Chegini, 2010) ასევე აღნიშნავს, რომ ლოიალურობის წარმოშობა ყველა მომხმარებელში შეუძლებელია [4]. ზემოთქმულის მიუხედავად, მკვლევარების უმეტესობა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ საჭიროა ურთიერთობების მართვისადმი სერიოზული დამოკიდებულება, კომპანიებმა უნდა იზრუნონ მომხმარებლებთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე, ხოლო ლოიალურობა განიხილოს, როგორც ბიზნესის სტრატეგიული მიზნებისადმი უმთავრესი მიდგომა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლოიალურობის მოპოვება შესაძლებელია, თუმცა მარკეტოლოგებმა მისი შენარჩუნებისთვის ფრთხილად უნდა იმოქმედონ. ასეთი შეხედულების გაზიარება განსაკუთრებით სასარგებლოა ქართული კომპანიებისათვის, რომლებიც ბაზარზე საქმიანობისას მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იმაშია, რომ

ჩვენში ნაკლებადაა შესწავლილი ბრენდებისადმი ქართველი მომხმარებლების ლოიალურობის საკითხები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა, რომლის მიზანი იყო საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ჩართულობის დონის გამოვლენა, აგრეთვე იმის წარმოჩენა, თუ რას აქცევენ ყურადღებას ქართველი მომხმარებლები ყიდვის დროს და როგორ ვლინდება მათი ლოიალურობა. კვლევაში გამოვიყენეთ გამოკითხვის მეთოდი [8], რომელიც ჩატარდა როგორც ინტერვიუს, ისე ინტერნეტის მეშვეობით. გამოკითხვის არეალს წარმოადგენდა ქალაქი თბილისი, სადაც რესპონდენტები სააღბათო მეთოდით შეირჩა. კვლევა ჩატარდა 2013 წლის გაზაფხულზე. მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამით. კვლევის უტყუარობისა და სანდოობისათვის გამოვთვალეთ კრონბახის ალფა, რომლის საშუალო მნიშვნელობაა 0,74, რაც ამტკიცებს იმას, რომ შედეგები მისაღებია. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა არ ითვალისწინებდა რომელიმე კონკრეტული კომპანიის შესწავლას, შესაბამისად, ანკეტაც ზოგადი ხასიათის კითხვებით დაკომპლექტდა, რაც არსებული სიტუაციის საერთო სურათის დახატვის საშუალებას იძლეოდა.

რესპონდენტთა ასაკი დაიყო ხუთ ჯგუფად (<18, 19–25, 26–35, 36–45, 46–51). აქედან 18 წელზე ნაკლები იყო რესპონდენტთა 6%, 19–დან 25 წლამდე დაფიქსირდა 81%, 26–დან 35 მდე – 9%, 36–დან 45 მდე – 3%, ხოლო 46–დან 51–მდე იყო მხოლოდ 1%. დასაქმების კუთხით რესპონდენტების 64% დასაქმებულია, ხოლო დანარჩენი 36% – არა. რაც შეეხება შემოსავლებს, 9 საფეხურად ჩავშალეთ, რათა შეგვძლებოდა იმის დაკვირვება, თუ როგორ იცვლება ცვლადები შემოსავლების ზრდასთან ერთად. 3000 ლარამდე ხელფასი 500–იან ბიჯებად დაფიქსირდა, ხოლო შემდგომ 1000–ად. გამოკითხულთა 42.17%-ს 500 ლარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა თვეში, 30%-ს 501–დან 1000–მდე, 11.74%-ს – 1001–1500, 7.83%-ს 1501–2000, 2.61%-ს 2001–2500, ასევე 2.61%-ს 2501–3000, 0.43%-ს 3001–4000, 0.43%-ს 4001–5000 და 2.17%-ს 5000 ლარზე მეტი. გამოკითხულთა 65%-ს შეადგენდნენ ქალები, ხოლო 35%-ს მამაკაცები. მათგან 0.43%-ს ჰქონდა არასრული საშუალო განათლება, 2.61%-ს – საშუალო, 38.70%-ს – არასრული უმაღლესი და 58.26%-ს დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი.

კვლევისას შევეცადეთ, გაგვეგო, თუ როგორ ეკიდება ქართველი მომხმარებელი საყიდლებზე სიარულს, სარგებლობს თუ არა ქსელური მარკეტინგის პროდუქტებით, რომლებიც ხშირად ერთ კონკრეტულ ბრენდზეა მორგებული და საკმაოდ აქტუალობით ხასიათდება. კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი პროდუქტით სარგებლობს 47% (აქედან 38% იშვიათად, ხოლო 9% საკმაოდ ხშირად), ხოლო 53% საერთოდ არ ყიდულობს ქსელური მარკეტინგის გზით მიწოდებულ პროდუქტებს. როგორც კვლევიდან ცხადია, მაღაზიებში სიარული და მთელი დღის შოპინგისთვის დათმობა რესპონდენტებისთვის აქტუალური თემა არაა. ამის მიზეზი შეიძლება მრავალნაირი იყოს, მაგალითად, სამუშაოს გამო დაკავებული დრო, პატარა ბავშვების მოვლა, ნაკლები ინტერესი ზოგადად მსგავსი საქმიანობისადმი და სხვა.

კვლევიდან გამომდინარე, ინფორმირებულობის დონე ახალი ბრენდებისადმი და პროდუქტებისადმი ასევე დაბალია. გარკვეული პროდუქტისადმი მომხმარებლების ინდეფერენტულობას შეიძლება იწვევდეს პროდუქტების ერთმანეთთან შედარებისთვის არასაკმარის ინფორმაცია. ამიტომაც ახლად გამოჩენილ ბრენდებსა თუ პროდუქტებსაც ინტერესის გამო საშუალოზე ოდნავ მაღალი მაჩვენებელი დაუფიქსირდა.

საკმაოდ საინტერესო იყო იმის გარკვევა, ზოგადად, რა დონის ჩართულობაა მომხმარებლებს შორის. კვლევიდან გამომდინარე, შედარებით მაღალი მონაცემები დაიმსახურა პროდუქტზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვამ და რეკლამის მნიშვნელობამ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რესპონდენტები საქონლის ყიდვისას კონსულტანტის აზრს ნაკლებად ითვალისწინებენ, ასევე ისინი პროდუქტზე ინფორმაციის მოძიებას წინასწარ არ ახდენენ. კვლევაში შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაიმსახურა შეკითხვამ, რომელიც პროდუქტების ერთმანეთთან შესადარებლად არასაკმარის ინფორმაციას ეხებოდა.

მარკეტინგში მნიშვნელოვანია, თუ როგორ გამოხატავს მომხმარებელი ლოიალურობას ბრენდების მიმართ. როგორც კვლევა გვიჩვენებს, იძულებითი ლოიალურობის დონე ქართველ მომხმარებელში საკმაოდ დაბალია, ანუ ისინი უალტერნატივობას არ უჩივიან. შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ ამორჩეული კონკრეტული ბრენდები, რომლებსაც ენდობიან და მისი ერთგულები არიან. ასეთი ერთგულება გამოიხატება განმეორებითი ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების ადვილად მიღებაში.

ჩატარებული მარკეტინგული კვლევიდან გამომდინარე, შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ქართველი მომხმარებლები კომპანიების მიერ წარმოებულ ლოიალურობის პროგრამების მიმართ სხვა და სხვა აქტიურობას იჩენს. გათამაშებებში 50%-ზე ნაკლები მონაწილეობს, ონლაინ ფასდაკლების აქციებს და დაგროვების ბარათებს გამოკითხულთა 70% იყენებს, ხოლო უნივერსალური დაგროვების ბარათს – 53%.

2. ფიქსირდება მაღალი მაჩვენებელი საქართველოში წარმოებულ პროდუქციაზე დამატებითი ფასის გადახდის შემთხვევაში. გამოკითხულთა 96%-მა უპასუხა, რომ გადაიხდის პროდუქტში მეტს, თუ იცის, რომ ის საქართველოშია დამზადებული. ასეთი მომხმარებლების 76%-მა ამ ფაქტორის გამო დაასახელა ფასნამატი 5-10%-ის ფარგლებში.
3. პროდუქტის შერჩევისას ქართველი მომხმარებელი პირველ ადგილზე აყენებს ხარისხს და მომსახურების დონეს. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია, თუ რომელ ქვეყანაშია პროდუქტი დამზადებული. აღმოჩნდა, რომ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ფასი ყველაზე ძირითადი ფაქტორი არაა.
4. სავაჭრო წერტილის არჩევისას მაღაზიის იმიჯს და მის ახლო ადგილმდებარეობას დაახლოებით ერთნაირი პროცენტული მაჩვენებლები უჭირავს.
5. ქსელურ მარკეტინგში ქალების აქტიურობის მაჩვენებელი ორჯერ მაღალია მამაკაცების აქტიურობაზე. ათ ბალიან სკალაზე საყიდლებზე სიარულის სიყვარულმა დაიჭირა მაჩვენებელი 6.53, დაახლოებით ასეთივე მაჩვენებელი აქვს ინტერნეტის მიზნით ახლად გამოჩენილი პროდუქტის ყიდვას.
6. ქართველ მომხმარებლებში პროდუქტზე ინფორმაციის მიღებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასზე დატანილ ინფორმაციას და რეკლამას. ასევე დადგინდა ის ფაქტი, რომ პროდუქტების ერთმანეთთან შესადარებლად საკმარისი ინფორმაცია არაა.
7. ქართველი მომხმარებელი თუ ბრენდს ენდობა, ადვილად აკეთებს არჩევანს და ახლობლებსაც ურჩევს მის ყიდვას. რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ არის კონკრეტული ბრენდები, რომლებმაც უკვე მათი ნდობა მოიპოვეს.
And we should always bear in mind that the possibilities of raising the competitiveness optimization in enterprises depend on the quality of free competition that directly forces the enterprise to accomplish measures for the reduction of expenses, i.e. competitiveness is directly defined by product competitiveness and the combination of economic methods of enterprise activities on the market. It means that the significance of such features is increased that is possessed by product and its manufacturer.

Mathematical Basis of Research

In order to strengthen the above given analysis let us apply a mathematical method that will be the basis for finding competitiveness optimization ways for an enterprise.

Before identifying the research method and direction, it is necessary to note that from the very start the identification of the ways of an enterprise's competitiveness optimization implies not only the determination of quantitative (i.e. revenues, profit, expenses) indices of competitiveness but an overall analysis of the enterprise competitiveness as well, i.e. the identification of the quantitative as well as all those indices that are connected with the production process and that can be evaluated as advantages or disadvantages of the whole enterprise as well as its separate structural divisions (individual centers: departments, workshops, etc.). Accordingly, in case of revealed disadvantages, the aim of the enterprise becomes to eliminate the ones; however, in case of advantages – the aim becomes to improve them, i.e. to optimize the competitiveness [3; 5].

An enterprise involved in free competition always strives to create savings that will enable its expansion in future. The process of creating savings shows the potential and capacity of the enterprise and eventually its creative abilities. Proceeding from its nature, savings can become material (money, land, building, etc.) and non-material (patent, project, etc.) provision for the enterprise that will be utilized for the purpose of raising competitiveness. However, in order to accomplish this goal first it is necessary to evaluate and assess competitiveness indices of the enterprise, to study the dynamics of their development and make conclusions that, as we earlier remarked, will reflect reasons causing negative processes in the enterprise and the ways of their elimination; on the other hand, in case of positive results, the determination of optimization possibilities. But in order to get a perfect picture, it is necessary not only to reveal but to evaluate as well the ways of an enterprise's competitiveness optimization. It means to compare competitiveness indices of the enterprise under study with the analogous indices of rival enterprise (enterprises) applying selection method ("selection is a necessary number of competitors enough to conduct comparisons for finding out competitiveness of economic subjects, on the basis of equal parameters") [6; 7; 8].

In order to define the efficiency growth of competitiveness in an enterprise we need to elaborate a model that can accumulate competitiveness features into one single system. Obviously, the basis of this model should be the formula for competitiveness evaluation that will unify such indices as enterprise operative efficiency, strategic positioning and creativity of an enterprise.

Mathematical expression for competitiveness evaluation can be expressed as follows:

$$K = \frac{(Kr \times Ki)}{Ak},$$

where K – is the competitiveness of the enterprise under study, Kr – index of operational efficiency while Ki – ratio of strategic positioning, Ak – creativity ability of an enterprise, from this

$$Kr = \frac{r}{R},$$

where Kr is the ration of operational efficiency of an enterprise, R – operational efficiency according to selectivity.

In its turn, operational efficiency of an enterprise can be calculated with a formula:

$$r = \frac{B}{Z},$$

where B is gains/profit after the product realization, Z – expenses on goods production and realization.

Operational efficiency according to selectivity can mathematically be expressed in the following way (operational efficiency implies better performance of similar activities by the enterprise under study than its competitors that provides it with value added revenue during realization process):

$$R = \frac{B^S}{Z^S},$$

where B^S is gains/profit after the product realization according to selectivity, Z^S – expenses on goods production and realization according to selectivity.

The ration of strategic positioning can be determined with the formula:

$$K_I = \sqrt{\frac{I}{I^S}}$$

where I is the index of profit volume changeability of the enterprise under study, I^S – index of profit changeability determined by selectivity method; and $I = B/B_0$, while $I^S = B^S/B_0^S$, where B is the profit of enterprise for period under study, B_0 – volume of previous year profit, B^S – profit of enterprise for period under study according to selectivity method, B_0^S – volume of previous year profit according to selectivity method.

In its turn, the product total of the indices B/B_0 and B^S/B_0^S expresses attitude towards market. While evaluating strategic positioning of an enterprise, it is necessary to determine dependence on market, changeability of the share of the enterprise as well as changeability of the share of the competitor enterprises, according to the selectivity method:

$$\frac{\Delta Dt}{\Delta Dt^S} = \frac{B}{B_0} \times \frac{B^S}{B_0^S},$$

where ΔDt is the changeability/variable of market share of the enterprise under study whereas ΔDt^S is the changeability of competitor enterprises' shares on the market, according to selectivity method.

As for the creativity abilities of an enterprise, as it is known, it is the ability to rationally use the savings, and it can be calculated with the formula (author: V. Kakabadze):

$$Ak = \frac{G}{H},$$

where $H = P/C$, from which H is creative abilities of the enterprise under study, P – profit on the expenses of savings positioning, C – quantitative index of savings; whereas G is calculated with the formula: $G = Pn/Cn$, where G is the creativity ability of a competitor enterprise (enterprises), according to selectivity method; Pn – profit on the expenses of savings positioning, according to selectivity method; Cn – quantitative index of savings of competitor or competitors. The research proves that the lower the A index, the higher is the creativity ability share of the enterprise under study in the competitive environment.

Considering the above given formulas ($K = (Kr \times Ki)/Ak$; $Kr = r/R$; $Ak = G/H$; $K_i = \sqrt{I/I^S}$) the following equation is received:

$$K = \left(\frac{r}{R} \times \sqrt{\frac{I}{I^S}} \right) \cdot \frac{G}{H}$$

The given expression reflects correlation between the efficiency of economic activities of the enterprise under study and the efficiency of other economic activities according to the selective method. Numerator and denominator of this equation can be seen as the indices of efficient application of economic resources according to both – research and selection.

Finally, we can state that this method of evaluation of enterprise competitiveness gives opportunity of: deep analysis of acting factors on enterprise competitiveness; identification of optimization ways for enterprise competitiveness; and elaboration of rational measure for accomplishment of goals.

REFERENCES:

1. Azoev G.L. (2000). Competitive advantages of the company. // M.: OAO "TYPOGRAPHY NEWS". p. 254. (in Russian)

2. Basovskii L.E. (2001). Quality Management. // M.: „INFRA-M". p. 212. (in Russian)
3. Buhalkov M.I. (2000). Corporate planning. M.: // „INFRA-M". p. 400. (in Russian)
4. Kakabadze V. (2011). Investments and Projects Management. // Published by: „MERIDIANT", Tbilisi, Georgian. p. 375. (in Georgian).
5. Kakabadze V. (2009). Business, Principles and Directions. // Published by: „BARTONI", Tbilisi, Georgian. p. 557. (in Georgian).
6. Kakabadze V. (2006). Non Tariff Regulation. // Journal: „KOMERSANTI", Tbilisi, Georgian. p. 11. (in Georgian).
7. Kakabadze V. (2006). Aspects of Credit System and State Regulation. // Journal: „EKONOMIKA", 2, Tbilisi, Georgian. p.10. (Co-authors N. Khitarishvili, N. Maisuradze) (in Georgian).
8. Kakabadze V. (2005). "Philosophy and Economy of Knowledge-based Achievements". // Publishing House "Metsniereba", Tbilisi, Georgian. p. 460. (in Georgian).

RESUME

Unlike other similar methods, the two methods of competitiveness evaluation offered in the article, bear the clearly depicted mathematical apparatus from the very roots that enable to establish exact functional connections. At the same time, the given circumstances provide possibility of wide mathematical elaboration of an enterprise competitiveness that in itself provides multi-dimensional analysis of the category under study. The proposed approach will considerably foster gathering necessary information for the determination of enterprise competitiveness and excludes costly and often inaccessible marketing research as well as hiring experts.

E-mail: Imamulashvili@gmail.com

E-mail: izogabadadze@rambler.ru

E-mail: vgogisvanidze@mail.ru

E-mail: nmushkudiani@posta.ge

E-mail: inezatsereteli@mail.ru

(1883-1950),

[1]

[2]

()

25

(XVIII .) 90
20

(1.) [3].

()

ROLE OF INNOVATIVE PROCESSES IN ECONOMY

Leila Mamulashvili, Gori State Teaching University, Professor

Izolda Gabadadze, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Vakhtang Gogisvanidze, Akaki Tsereteli State University, Specialist by contract

Nino Mushkudiani, Akaki Tsereteli State University, Specialist by contract

Ineza Tsereteli, Akaki Tsereteli State University, Associate Professor

RESUME

In this article the terms of innovation and innovation process are considered, questions of formation of the economic policy directed on modernization of domestic economy and productions connected with diversification, updating of material base of real sector of economy, by labor productivity growth on an innovative basis are considered.

ღვინის ბაზრის სფეროში არსებული პრობლემები საქართველოში და მისი გადაჭრის გზები

ლეილა მამულაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

E-mail: lmamulashvili@gmail.com

თეა ანესაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

E-mail: teonaanesashvili@gmail.com

ქართული ღვინო ისტორიით ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. დღეისთვის ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მევენახეობისა და ღვინის წარმოებისა მიუთითებს საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე. ყველაზე განთქმული მევენახეობით საქართველოს რეგიონებს შორის არის კახეთი, მას მოჰყვება ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ასევე აფხაზეთი. ვაზის კულტურა არის დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელებაც საქართველოში. საქართველოში ღვინოს არსებობაზე წერილობითი ცნობები დაცულია ბერძნულ, სპარსულ და ქართულ წყაროებში.

ქართველი კაცის გონივრული და დაუზარელი შრომის შედეგია ამ მცირე ტერიტორიაზე მრავალფეროვანი აბორიგენული ჯიშების შერჩევა-გამოყვანა (500 დასახელებაზე მეტი), რომლებიც ძირითადად თავმოყრილია ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებში. ათასწლეულების მანძილზე მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს კულტურული მიწათმოქმედების წამყვან დარგად, ერის მატერიალური და სულიერი ცხოვრების წყაროდ ითვლებოდა. ღვინო ეს არის პროდუქტი, რომელიც იქმნება მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების შედეგად. პირველ ეტაპზე ადამიანები ვაზს უვლიან და და ახარებენ, მეორეზე კი - სხვადასხვა ტექნოლოგიით ამზადებენ ღვინოს. ღვინის ზომიერად გამოყენებისას იგი მთავარი წყარო ხდება ამაღლებული გრძნობებისა. ნამდვილი ქართველი მეღვინეები საუკეთესო გემური თვისებების, შეუდარებელი არომატის და განსხვავებული ფერის ღვინოებსა და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს ამზადებდნენ.

საქართველოში ღვინის ბაზარი შედგება მწარმოებლებისგან, რეალიზატორებისა და მომხმარებლებისგან. მწარმოებლები შედგებიან საოჯახო მეღვინეობების, მცირე მარნების და ღვინის ქარხნებისაგან. რეალიზატორები: კი წარმოადგენენ ბითუმად მოვაჭრეებს, სპეციალიზირებულ მაღაზიებს, სუპერმარკეტებს. მომხმარებლები შეიძლება დავყოთ პირდაპირ და არაპირდაპირ მომხმარებლებად.

საოჯახო მეღვინეობის განვითარებისას საბოლოო პროდუქტს არ აფასობენ და არ ყიდნიან საცალო ვაჭრობის ქსელებში. მისი ძირითადი რეალიზაცია საბითუმო ვაჭრობაზე მოდის, ე.წ. "ჩამოსასხმელი ღვინის" სახით. საქართველოში საოჯახო მეურნეობები ხშირ შემთხვევაში იურიდიული პირის ფორმითაც კი არაა დარეგისტრირებული და, შესაბამისად, მისი რეალიზაციის ასახვაც არ ხდება ეროვნულ სტატისტიკაში. კვლევების საფუძველზე ჩანს, რომ ყოველი 10 ოჯახიდან 6 პირდაპირ თუ ირიბად ჩართულია საოჯახო მეღვინეობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში, ოჯახური ღვინო ვერ აკმაყოფილებს ბაზრის სტანდარტებს.

მცირე მარანი ესაა საოჯახო მეღვინეობის განვითარებული მოდელი - ღვინის საწარმო მცირე სასაქონლო ასორტიმენტით. მასში გაზრდილია წარმადობა, განვითარებულია მენეჯმენტი და აკეთებს საუკეთესო ეკონომიკურ გათვლებს დროის გარკვეული პერიოდისათვის. წარმოებული პროდუქცია გადის რეალიზაციისათვის საცალო ვაჭრობის და კვების ობიექტებში.

ხშირად მცირე მარანში ირჩევენ კონკრეტულ ვაზის იშვიათ ჯიშებს და დაყენების ტრადიციულ ტექნოლოგიას. ირჩევენ ისეთი ჯიშის ყურმნისაგან წარმოებულ ღვინოს, რომელიც საკმაოდ ძვირად ფასობს და მოთხოვნადივცაა. მაგ., მცირე მარანი - "უსახელოურის ვენახები" აქცენტს აკეთებს ლეჩხუმურ იშვიათ ვაზის ჯიშ - "უსახელოურზე", რომელიც მცირე რაოდენობითაა გაშენებული და ბოლო წლებში ერთი ბოთლის საცალო ფასი 120 ლარს აღწევდა. ქართული ბაზრისთვის მაღალი ფასის მიუხედავად, აღნიშნული ღვინის მარაგი მთლიანად გაიყიდა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ბოთლის ღვინოსთან ერთად ჩამოსასხმელი ღვინოც საკმაო რაოდენობით იყიდება. ღვინის მცირე კომპანიების ნაწილმა თავადაც დაიწყო პლასტმასის 3-5 ლიტრიანი ჭურჭლით ღვინის გაყიდვა, რასაც არ შეუძლია ხელი ქართული კომპანიებისათვის მოეპოვებინათ სხვადასხვა ღვინის კონკურსზე მაღალი სინჯის მედლები. ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატება "ალავერდის მონასტრის მარანის" მიერ, ევროპაში (იტალია-გერმანია) მოპოვებული ოქროს მედლებია, რომელიც 2009 წლის მოსავლის რქაწითელის ქართული წესით ქვევრში დაყენებული მაღალი ხარისხის ღვინის გამო გადაეცა.

რამდენიმე წელია ევროპელ ბიო-მეღვინეებს საქართველოდან მიაქვთ ქვევრები საკმაო რაოდენობით და ევროპაში წარმოებულ ღვინის ეტიკეტზე უთითებენ, რომ ისინი დაყენებულია ქართულ თიხის ჭურჭელში. სათანადო კანონმდებლობის არარსებობის გამო არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ქვევრის ქართულობის მითითება ევროპელებს აღარ დასჭირდეთ ან "დაავიწყდეთ". ევროპაში "მონასტრის ღვინის" დიდი წარმატება ქართული ქვევრის პოპულარიზაციას უკავშირდება და სწორედ ამიტომ აუცილებელია მოხდეს ქართული ქვევრის დაპატენტება ევროპაში.

რაც შეეხება საქართველოს ღვინის ბაზარზე არსებულ სიტუაციას, 2012 წელს ქართული ღვინის კომპანიების მიერ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ექსპორტირებულია 6 მილიონამდე ბოთლი ღვინო, რაც ღვინის ინდუსტრიის განვითარების ტენდენციებზე მიუთითებს. თუმცა ღვინის ბაზრის განვითარება საკმაოდ რთული პროცესია და ბევრ რესურსს მოითხოვს. საქართველო ღვინის მოხმარების მიხედვით ოცდამეთოთხმეტე ადგილზეა, რომლის მიხედვითაც ღვინის მოხმარების მაჩვენებელი 2007 წელს შეადგენდა 702 000 ჰლ-ს, 2010 წელს კი 750 000 ჰლს, შესაბამისად ამ წლების მანძილზე მოხმარება გაიზარდა 6.8 %-ით. ქართული ღვინო ევროპაში და საქართველოში მოხმარებლების მიერ სხვადასხვა მახასიათებლებითაა შეფასებული. ჩვენს მიერ გამოკითხული 8 ქართული ღვინის კომპანიის თანამშრომლებიდან, თითქმის ყველა ერთნაირ მონაცემებს იძლევა. საქართველოში გაყიდული ბოთლის ღვინიდან 45% "საფერავზე" მოდის, დაახლოებით ამდენივე იყიდება "რქაწითელიც" (მათში შედის რქაწითელისა და სხვა ჯიშის ყურმნის ერთად დაწურვისაგან მიღებული ღვინოებიც), დარჩენილი 10%-დან კი დაახლოებით 7-8% დასავლეთ საქართველოში მოყვანილი ყურმნისაგან (ალექსანდროული, ალადასტური, ცოლიკოური, უსახელაური) დამზადებულ ღვინოზე მოდის.

რუსეთის ემბარგოს შემდეგ გაყიდვების კლების შედეგად ქართული ღვინის კომპანიები მეტად არასასიამოვნო ფაქტის წინაშე დადგნენ. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ისინი მსხვილი წარმოებიდან მცირე წარმოებაზე უნდა გადასულიყვნენ, ან უნდა ეფიქრათ იმ ალტერნატიულ გზებზე, რითაც სხვა მოხმარებლებს მაღალხარისხიან პროდუქციას შედარებით დაბალ ფასებში შესთავაზებდნენ. დადგა საკითხი მივიწყებული ქართული ვაზის ჯიშების აღდგენის შესახებ. ღვინის კომპანიებმა ქართველ და უცხოელ სპეციალისტებთან ერთად გაარკვიეს, რომ ყურმნის ისეთ ჯიშებს, როგორც არის: შავკაპიტო, ოცხანური საფერე, ხიხვი და სხვა პერსპექტივა გაყიდვების თვალსაზრისით აქვთ საქართველოშიცა და ევროპაშიც. ქართული ღვინოებიდან ევროპაში დღეისათვის ძირითადად ღვინის სამი სახეობაა პოპულარული: "რქაწითელი", "საფერავი" და "ხვანჭკარა". სწორედ ამიტომაც აუცილებელია ქართულ მეღვინეობაში გარკვეული სიახლეების ძიება. ქართული ღვინის შედარებით მსხვილი კომპანიები: "თბილღვინო", "თელავის ღვინის მარანი", "თელიანი ველი" და "ზადაგონი" სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებენ ნაკლებად ცნობილი ყურმნის ჯიშების პოპულარიზაციისათვის. მათი სამომავლო გეგმები, უპირველეს ყოვლისა, გაყიდვების ზრდის მომავალ პერსპექტივებზეა გათვლილი. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქართული ღვინის მომავალი რამდენიმე დასახელების ღვინოზე ვერ იქნება დამოკიდებული და დადებითი შედეგის მომტანი.

პატარა ერების განვითარება და კეთილდღეობა დამოკიდებულია არა იმდენად ბუნებრივ რესურსებზე, არამედ ქვეყნის უნარზე, გახდეს კონკურენტუნარიანი ინოვაციების დანერგვისა და შიდა წარმოების განახლების საშუალებით. ქართულ ღვინოზე რუსეთის ფედერაციის მიერ ემბარგოს დაწესების შემდეგ ქართველმა მეწარმეებმა ახალი ბაზრების ძიება დაიწყეს. ევროპელებისა და

ამერიკელებისთვის მათთვის ჯერ უცნობი ღვინით დაინტერესება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან მხოლოდ ღვინის ხარისხის ამაღლება საკმარისი არ იყო. საჭირო გახდა საერთაშორისო კონკურსებზე გამარჯვება და ამ გზით აღიარების მოპოვება, სწორი მარკეტინგული გათვლები, სარეკლამო კამპანიები და ა.შ. ღვინის ბაზრის სფეროში არსებული პრობლემების საფუძვლიანად მოგვარებისათვის მარტივი გამოსავალი არ არსებობს. საჭიროა მწარმოებლების მიერ დროში გათვლილი გრძელვადიანი გეგმის შემუშავება, რომელიც მთელ რიგ შემთხვევაში არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. ადგილობრივი მწარმოებლების ხელშეწყობის მიზნით საჭიროა შიდა და გარე ბაზრის დაცვა ფალსიფიკატორებისაგან. მეტი აქტიურობაა საჭირო საგარეო გასაღების ბაზრების ათვისების კუთხით სხვადასხვა ღონისძიებების გასატარებლად და ფასისმიერი კონკურენციის უზრუნველყოფად. ევროპასა და უმეტესად უკრაინაში, ქართული ღვინის გაყალბების საკმაოდ დიდი მასშტაბები იკვეთება. ცნობილია, რომ უკრაინაში გაყალბებული "ხვანჭკარა" 6-7 ლარის ეკვივალენტ თანხად იყიდება. ევროპაში ქართული ღვინის რეალიზაციის ზუსტი მონაცემების დასადგენად, უმჯობესია ქართული ღვინის დიდი კომპანიების მონაცემებს დავეყრდნოთ, ვიდრე იმ ქვეყნების ოფიციალურ სტატისტიკას, სადაც ქართული ღვინის სახელით არაქართული უხარისხო სასმელი იყიდება. ევროპელებს ქართული ღვინიდან ყველაზე მეტად საფერავი მოსწონდათ ყოველთვის და ამიტაც იყო განპირობებული საბჭოთა კავშირის დროს, კახეთში საფერავის ჯიშის ვაზის არნახულად დიდი მასშტაბებით გაშენება. მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს ღვინის წარმოების სტრატეგიული გეგმა და განვითარების პერსპექტივები.

ღვინის გაყიდვაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას: ხარისხი, დამზადების ადგილი, სარეკლამო კამპანია, გემო, რომელთაგან ყველა ცალ-ცალკე საკმაოდ მნიშვნელოვანს წარმოადგენს. ერთი და იმავე ხარისხის პროდუქტს ერთსა და იმავე საფასო კატეგორიაში დღეს ერთდროულად შესაძლოა რამდენიმე კომპანია გვთავაზობდეს. თუ მყიდველის სისტემატური მომხმარებელი არაა, მაღაზიაში შესვლის შემდეგ უპირატესად ორ რამეზე გაამახვილებს ყურადღებას - არსებულ სარეკლამო კამპანიასა და გარეგან შეფუთვაზე. რაც შეეხება ხარისხსა და გემოს, ბუნებრივია, პროდუქტის შექმნამდე ეს ინფორმაცია უცნობი რჩება. ფასს შესაძლოა არ ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ ის რამდენიმე სხვადასხვა ღვინისთვის საერთოა. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს ძვირად ღირებულ ღვინოებს, რადგან მომხმარებელმა შეიძლება ჩათვალოს, რომ მაღალ ფასთან ერთად ხარისხიც მაღალი იქნება, რაც რეალობასთან ხშირად არაა ახლოს. სარეკლამო კამპანია საკმაოდ ფართო ცნებაა და მთავარია როგორ გამოიყენებენ მათ პიარის სპეციალისტები და მარკეტოლოგები. საკმაოდ მნიშვნელოვანია გახადო პროდუქტი ცნობადი მომხმარებლის მიერ მის გამოყენებამდე. კონკურენტუნარიანი ღვინის შესაქმნელად მნიშვნელოვანია მისი იდენტიფიკაცია. ინფორმაცია, რომელიც ღვინოს, მის თვისებებს, წარმოების ადგილს და ზოგადად კონკრეტული პროდუქციის დადებით მხარეებს მოიცავს, ზედმიწევნით დეტალურ შესწავლას და გავრცელებას საჭიროებს.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. საქმიანი საქართველო, ავტორთა კრებული, თბ., 2008.
2. ე. ბარათაშვილი, საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, თბ., 2009.
3. ი. საბოშვილი, მისი უდიდებულესობა ქართული ღვინო, თბ., 2009.
4. [geowinepage.wordpress.com/2013/08/...](http://geowinepage.wordpress.com/2013/08/)
5. sopikobibilashvili.blogspot.com/
6. newikis.com/.../books
7. www.gtu.ge/faculties/bef/sadisertacio.../avtoreferati_t_gholadze.pdf

PROBLEMS IN THE FIELD OF WINE MARKET IN GEORGIA AND ITS WAYS OF SOLUTION

Leila Mamulashvili, Gori State Teaching University, Professor
Tea Anesashvili, Gori State Teaching University, Specialist by contract
RESUME

Georgian wine is one of oldest in Europe with its history. There is no simple solution for the problems existing in the field of wine market. It is necessary to work out a long-term plan which requires unpopular steps. Wine history is inseparable from the history of humanity and is a cultural achievement and an important factor of social life. Today in Georgia along with bottle wine, wine on tap is also sold in sufficient quantities. It's so-called "family wine". Some

small-sized Georgian wine companies have started selling wine with bottles of 3-5 liters which did not prevent Georgian companies to increase the quality of wine and gain high sample medals at different wine competitions.

საქართველოს ტურიზმის ბაზარი

გიორგი მერლანი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: kaeri5@yahoo.com; g.merlani@mrtdi.gov.ge

საქართველოს ტურიზმის ბაზრის კვლევა და ანალიზი აუცილებელი პირობაა ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების გამოკვეთისა და ტუროპერატორებისათვის სწორი რეკომენდაციების გასაცემად.

საკვლევ ობიექტებს წარმოადგენდნენ საქართველოში მომუშავე რეცეპტიული ტუროპერატორები და იგი ეხებოდა 2010-2011 წლებში მათ მიერ გაწეული ტურისტული მომსახურების ანალიზს.

მარკეტინგული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ უცხოელი ტურისტების მოზიდვის მიზნით ქართველი ტუროპერატორების მიერ გამოიყენება რეკლამის 6 სხვადასხვა სახეობა. ნიშანდობლივია, რომ მათი უმრავლესობა (97%) ტურისტული პროდუქტის პრომოუშენისა და ახალი მომხმარებლების დაინტერესების მიზნით იყენებენ საკუთარ ვებგვერდებს, ე.ი. ისინი ცდილობენ პროდუქტის გასაღება ინტერნეტის საშუალებით მოახდინონ. საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობს ტურისტული პროდუქტის მიმწოდებელთა 85,7%. ტურისტულ ბიზნესში რეკლამა ძალიან სპეციფიკურია. სხვა რეკლამის საშუალებებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობას ორმაგი დატვირთვა აქვს, რაც შემდეგში გამოიხატება: 2010-2011 წლებში საქართველოში რეცეპტიული ტურისტული ფირმების უმრავლესობამ 85,7%-მა მსგავს საერთაშორისო ბაზრობებში მონაწილეობით საკუთარი პროდუქცია წარუდგინეს მრავალ ვიზიტორს, დადეს ახალი კონტრაქტები უცხოურ კომპანიებთან და რაც ყველაზე მეტად მთავარია ხელი შეუწყვეს საქართველოს, როგორც ტურისტული იმიჯის მქონე ქვეყნის პოპულარიზაციას ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კომპანიათა 71,4%-მა პროდუქტზე მოთხოვნა უცხოელი პარტნიორებისა და საზღვარგარეთის სავაჭრო ცენტრებში წარმოდგენილი ქართული სარეკლამო მასალით მოახერხა. ტუროპერატორთა 42,9%-თვის გასაღების საშუალება ავიახაზებია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ 2010-2011 წწ-ში კომპანიათა 14,3%-მა მიმართა რეკლამის ისეთ ძვირადღირებულ საშუალებას, როგორცაა სატელევიზიო რეკლამა საზღვარგარეთის ტელევიზიაში. ეს თავისთავად მისასაღმებელია, ვინაიდან ტუროპერატორის მიერ ახალი მომხმარებლის მოპოვების და საკუთარ პროდუქტზე ახალი მოთხოვნის შესაქმნელად მიმწოდებელმა გაიღო საკმაოდ სერიოზული ხარჯი.

ტრადიციულად ქართველი ტუროპერატორების მიერ გამოყენებული სარეკლამო საშუალებების გათვალისწინებით, საინტერესოა რეალობაში მომსახურებული არარეზიდენტი ტურისტების პროცენტული რაოდენობა გაყიდვების საშუალებების მიხედვით, რომლის გაანალიზებით შეიძლება დადგინდეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტუროპერატორთა აბსოლუტური უმრავლესობა სარეკლამოდ ინტერნეტს იყენებს, 2010-2011 წლებში მიმწოდებელთა ნახევარზე მეტისთვის პროდუქტის ინტერნეტით გაყიდვების საერთო მოცულობამ 10%-ზე ნაკლები შეადგინა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სამუხაროდ ქართველმა ტუროპერატორებმა ჯერჯერობით ვერ აითვისეს საერთაშორისო ტურიზმში მიღებული დისტრიბუციის ისეთი თანამედროვე და ფართოდ გამოყენებული მეთოდი, როგორცაა პროდუქტის ინტერნეტით გაყიდვა. სამაგიეროდ უცხოეთის ბაზარზე ორიენტირებული ქართველი ოპერატორების 60%-თვის გაყიდვების საერთო მოცულობის ნახევარზე მეტი უცხოელი პარტნიორების მეშვეობით გასაღებაზე მოდის, ხოლო პირდაპირი მარკეტინგული გაყიდვა ტუროპერატორთა დაახლოებით 86%-თვის 35%-მდე შეადგენს.

საქართველოში არსებული რეცეპტიული ტუროპერატორების მიერ 2010-2011 წწ-ში უცხოელი ტურისტული ნაკადების მოზიდვის მიზნით გამოყენებული სარეკლამო საშუალებებისა და რეალურად გაყიდვების საშუალებების მიხედვით მომსახურებული უცხოელი ტურისტების

პროცენტული რაოდენობის გაანალიზების შემდეგ, ჩვენთვის საინტერესოა, თუ მსოფლიოს რომელი რეგიონის და ქვეყნის რეზიდენტები მოგზაურობენ საქართველოში.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (მტო) მიერ მიღებული კლასიფიკაციით მსოფლიო დაყოფილია 6 ტურისტულ რეგიონად. ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რომელი რეგიონიდან შემოდის ტურისტთა მეტი რაოდენობა. საქართველოს შემთხვევაში, შემოსულ არარეზიდენტ ვიზიტორებს შორის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი ევროპის რეგიონზე მოდის. თუ 2010 წელს ტუროპერატორთა 57,1% მუშაობდა აღნიშნული ბაზარზე, 2011 წელს მათმა რიცხვმა 71,4% მიაღწია და შესაბამისად გაიზარდა საქართველოში ევროპის რეზიდენტების მოგზაურთა რაოდენობა. ე.ი. ევროპა ქართული ბაზრისთვის მზარდი რეგიონია და ძირითადი ორიენტირი საქართველოში საერთაშორისო ტურისტთა მოზიდვის მიზნით მომავალში სწორედ ამ რეგიონზე უნდა იყოს აღებული. ევროპის რეგიონიდან და ზოგადად ქვეყანაში ყველაზე მეტი ორგანიზებული მოგზაური გერმანიიდან და იტალიიდან ჩამოდის, რომელთა ბაზრებზეც ქართველ ტუროპერატორთა ნახევარზე მეტი ანუ 57,1% მუშაობს და მათთვის ამ ქვეყნების რეზიდენტები საერთო მომხმარებლების 50%-ზე მეტს შეადგენს, რაც თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ტურისტული პროდუქტის გასაღების ბაზარი სწორედ ამ ქვეყნებშია საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ევროპის რეგიონის ამგვარი მოცულობითი ხვედრითი წილი განპირობებულია აგრეთვე შემდეგი ფაქტორებით: საქართველოს ტურისტული ბაზრის ევროპის რეგიონთან გეოპოლიტიკური სიახლოვით, კულტურათა თანაზიარობით, საქართველოს ევროსაბჭოში წევრობით და სწრაფვით ევროკავშირში გასაწევრიანებლად და ა. შ.

ტუროპერატორების 57,1%-თვის ამერიკის რეგიონის რეზიდენტები მათი მომხმარებლების საერთო რაოდენობის 35%-მდე შეადგენს. ე.ი. ევროპის შემდეგ საქართველოს ტურისტულ ბაზარზე სწორედ ამერიკის რეგიონია წარმოდგენილი. მესამე ადგილზეა აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონი. საკმაოდ უმნიშვნელო პროცენტი მოდის მსოფლიოს დანარჩენ 3 რეგიონზე, კერძოდ: ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის და სამხრეთ აზიის რეგიონები ქართულ ბაზარზე უმნიშვნელოდაა წარმოდგენილი.

მეტად საინტერესოა იმის დადგენა, თუ როგორია ქართული ტურისტული პროდუქტის გასაღების ეფექტიანობა დს.თ-ს სივრცეში, ტრადიციულად საქართველოს მთავარ ბაზრად ამ სივრცეში რუსეთი რჩება, ვინაიდან ტუროპერატორების 71,4% სწორედ ამ ბაზარზე მუშაობს და დს.თ-ს სივრციდან საერთო მომხმარებლების 50%-ზე მეტს სწორედ რუსეთის მოქალაქეები შეადგენენ, რაც იმით აიხსნება, რომ ერთის მხრივ საქართველოს და რუსეთს საერთო საზღვარი ჰყოფთ, ხოლო მეორეს მხრივ ისტორიულად ქართული ტურისტული პროდუქტი რუსეთში საკმაოდ ცნობადია. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს ზღვისპირა კურორტებს უცხოელ ვიზიტორებს შორის უმთავრესად რუსები სტუმრობდნენ. მეორე ადგილზეა სომხეთი, ტუროპერატორების თანაბარი რაოდენობა ანუ 42,9% მუშაობს აზერბაიჯანისა და უკრაინის ბაზრებზე.

ჩვენ უკვე ვიცით საქართველოში ჩამოსულ საერთაშორისო ტურისტთა გეოგრაფიული არეალი მსოფლიო ტურისტული რეგიონებისა და ძირითადი ქვეყნების მიხედვით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ 2010-2011 წწ-ში რამდენი იყო მათგან ახალი და მუდმივი (პოტენციური) მომხმარებელი. მარკეტინგული კვლევა გვიჩვენებს, რომ 2010-2011 წლებში არარეზიდენტი ტურისტების უმრავლესობამ საქართველოში პირველად იმოგზაურა, მიუხედავად ამისა, ტუროპერატორების 42,9%-თვის მომხმარებელთა სოლიდური ნაწილი საქართველოში დიდი ხანია მოგზაურობს. ეს ტენდენცია კი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ქართველი ტუროპერატორების გარკვეული ნაწილის მიერ წარმოდგენილი პროდუქცია უცხოელი ტურისტებისთვის ნაწილისთვის მიმზიდველია. მარკეტინგული კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ტუროპერატორების მიერ მოგზაურთა რაოდენობის მიხედვით გაწეული მომსახურება. 2010-2011 წლებში ტუროპერატორთა 57,1%-თვის მომხმარებელთა 50%-ზე მეტი ჯგუფური მოგზაური იყო, 28,6%-თვის უმეტესი მოცულობა ინდივიდუალურ ტურიზმზე მოდის, დანარჩენები კი საოჯახო ტურიზმზე მუშაობენ.

საქართველოს ტურისტული ბაზრის გაანალიზებისას აუცილებელია, მოვახდინოთ უცხოელი ტურისტების სეგმენტაცია ასაკის და სქესის მიხედვით. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ თუ 2010 წელს ტუროპერატორების ნახევარზე მეტისთვის 57,1%-თვის მომხმარებელთა უმეტესობა მამაკაცები იყვნენ, 2011 წელს საქართველოში უმეტესწილად ქალი ვიზიტორები ჭარბობდნენ, ეს ტენდენცია კი იმაზე მეტყველებს, რომ სამომავლოდ ტუროპერატორებმა სხვადასხვა ტურის შექმნის და დაგეგმვის პროცესში უნდა გაითვალისწინონ მთელი რიგი თავისებურებები, ვინაიდან მოგზაურობის მიზნების მიუხედავად მამაკაცებს და ქალებს ერთმანეთისგან განსხვავებით სპეციფიკური ინტერესები აქვთ.

მარკეტინგული კვლევის შედეგები ცხადყოფენ, რომ საქართველოში უმეტესწილად სჭარბობენ ასაკობრივი ტურისტები, ვინაიდან ტუროპერატორთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის (100%) 2010-2011 წწ-ში მომხმარებლების უმეტესობა 50-65 წლამდე და 65 წელს გადაშორებული ადამიანები იყვნენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ ასაკის ტურისტებს აქვთ ფინანსური დანაზოგები, მყარი მატერიალური მდგომარეობა და საშუალება დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებები.

მარკეტინგული კვლევისას მნიშვნელოვანია უცხოელი ტურისტების საქართველოში ყოფნის ხანგრძლივობის განსაზღვრა. პასუხი ამ კითხვაზე მთლიანად ემთხვევა საერთაშორისო ტურიზმში მიღებული ტურისტული პაკეტის ვადებს "Package Tours", რომლის ხანგრძლივობაც 1-2 კვირაა, ვინაიდან ტუროპერატორთა 100%-ს მომხმარებლები სწორედ ამ ხანგრძლივობის ტურისტულ პაკეტებს ყიდულობენ. კომპანიათა 85,7% ემსახურება ისეთ ორგანიზებულ ტურისტებსაც, რომლებიც საქართველოში ერთ კვირაზე ნაკლები ხნით მოგზაურობენ და კომპანიათა 42,9%, რომელთა მომხმარებლები ქვეყანაში ერთ თვეზე მეტს ყოვნიდებიან. ძირითადად, ეს 2 სეგმენტი პროფესიულ-საქმიან ტურიზმს მოიცავს (კონფერენციები, კონგრესები, ბიზნეს-ვიზიტები და ა.შ.).

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე და ზოგადად დარგის მდგომარეობის გაანალიზებისას უნდა გამოიყოს ისეთი საკითხები, როგორცაა: ქვეყნის ტურისტული პოტენციალი, რა სახის ტურები ხორციელდება და როგორია მათზე მოთხოვნა.

საქართველო საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო, 12000 ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლი, მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში, 7 არსებული და პერსპექტიული ეროვნული პარკი და ა. შ. ესე იგი თუ ლოგიკას მიყვებით და არსებული პოტენციალის რანჟირებას მოვახდენთ ტურიზმის სახეობების მიხედვით, მაშინ ჩვენს ქვეყანაში პერსპექტიული იქნება ტურიზმის ისეთი სახეობის განვითარება, როგორცაა: კულტურული, სამკურნალო, საკურორტო, ეკო და ა. შ. თუმცა თუ ტუროპერატორების მიერ 2010-2011 წწ-ში ტურისტული მომსახურების ანალიზს გავაკეთებთ, გამოიკვეთება, თუ რომელ ტურზე ყველაზე დიდი მოთხოვნა და შესაბამისად ტუროპერატორების რა პროცენტული რაოდენობა მუშაობს ერთგვაროვან ანუ ჰომოგენურ ტურებზე. ზოგადად ქართველი ტუროპერატორები საქართველოში სამოგზაუროდ 14 სხვადასხვა შინაარსის ტურს აწარმოებენ, ე.ი. საქართველოს ტურისტული ბაზარი 14 სამოგზაურო ნიშად შეიძლება დაიყოს, თუმცა კვლევა ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, რომ მოთხოვნები უმთავრესად კულტურულ ტურიზმზე მოდის და ფირმების 100% ძირითადად ამ სეგმენტზე მუშაობს. თუ 2010 წელს ტუროპერატორთა 71,4%-თვის მათ მიერ ნაწარმოები პროდუქციის უმეტესობას სათავადასავლო, ეკოტურები და ზამთრის ტურები შეადგენდა, 2011 წელს მოთხოვნა სათავადასავლო და ზამთრის ტურებზე შემცირდა და ფირმების მხოლოდ 57,1%-მა აირჩია შეთავაზებათა ეს პაკეტი. ასევე 2011 წელს შემცირდა მოთხოვნა საქმიან ტურებზე და კურორტებზე დასვენების მიზნით სამოგზაუროდ, ეს უკანასკნელი კი იმით აიხსნება, რომ ერთის მხრივ საქართველოს კურორტები, განსაკუთრებით კი შავიზღვისპირა კურორტები ძალიან მოკლე სეზონურობით გამოირჩევიან, რაც თავისთავად საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისთვის შემაფერხებელი ფაქტორია, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს მეზობელი თურქეთის ზღვისპირა კურორტები, რომლებიც იდეალური სეზონურობით გამოირჩევიან მომხმარებლებს სთავაზობენ თვისობრივად და ხარისხობრივად უფრო მაღალი დონის სამოგზაურო ტურებს შედარებით დაბალ ფასებში. ტრადიციულად 2010-2011 წწ-ში ტუროპერატორთა თანაბარი რაოდენობა აწარმოებდა შემდეგი სახის ტურებს: სპორტული ტურები, რელიგიური/პილიგრიმული ტურები, სპეციალიზებული ტურები (არქეოლოგიისათვის, ვიწრო სპეციალიზაციის მქონე ადამიანებისათვის და ა. შ.), აგროტურები, სამკურნალო ტურები, ეთნიკური და ნოსტალგიური ტურები. როდესაც საქართველოზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს დაგუთმობთ ქართულ ღვინოზე საუბარს, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს და რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესთაგანია. საქართველოს ყველა რეგიონში ვაზის სხვადასხვა უნიკალური ჯიში არსებობს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ღვინის ტურიზმით ქართველ ტუროპერატორთა უმრავლესობა იქნება დაკავებული, თუმცა რეალურად ტურიზმის ამ სახეობაზე კომპანიათა მხოლოდ 14,3% მუშაობს. ნიშანდობლივია ტუროპერატორთა 14,3%, რომლებიც „მოკ“ ტურებს აწარმოებენ, ე.ი. ორგანიზებული ტურისტების გარკვეული ნაწილი საქართველოში მათთვის სასურველი ნივთების და საგნები შესაძენად ჩამოდიან.

საქართველოში ტურიზმის მდგომარეობის მიმოხილვისას, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორია სეზონურობა ტურიზმის სახეობის მიხედვით. თუკი პირობითად შემოვიღებთ ცნებებს: ძალიან მაღალ, მაღალ, საშუალო და დაბალი სეზონურობის ტურებს, მაშინ მივიღებთ ასეთ შედეგებს: ძალიან მაღალი სეზონურობის ტურებს მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ

პროფესიული/საქმიანი ტურები, ვინაიდან იგი წელიწადის ოთხივე სეზონს მოიცავს, მაღალი სეზონურობის ტურებია: კულტურული და სპეციალიზებული ტურები, ვინაიდან ისინი წელიწადის სამ სეზონს მოიცავენ, საშუალო სეზონურობის ტურებს განეკუთვნებიან: რელიგიური/პილიგრიმული ტურები, ეთნიკური/ნოსტალგიური ტურები, ისინი წელიწადის ორ სეზონს მოიცავენ. დაბალი სეზონურობის ტურებს მიეკუთვნებიან: დასვენება კურორტებზე, აგროტურები, ეკოტურები, სამკურნალო ტურები, სათავგადასავლო ტურები, სპორტული ტურები, ღვინის ტურები, „შოპ“ ტურები. როგორც მარკეტინგული კვლევის ანალიზი გვიჩვენებს საქართველოს ბაზარზე არსებული ტურების უმრავლესობა დაბალი სეზონურობით ხასიათდება, რაც ტურიზმის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება განიხილებოდეს.

მარკეტინგული კვლევისას ჩვენ გვანტერესებდა თუ ძირითადად საქართველოს რომელ რეგიონებშია ზემოაღნიშნული ტურები და რომელ რეგიონებში ატარებენ უფრო მეტად უცხოელი ტურისტები საკუთარი მოგზაურობის პერიოდს. თუკი ასევე პირობითად შემოვიღებთ ცნებებს: ძალიან მაღალი აქტივობის, მაღალი აქტივობის, საშუალო აქტივობის და დაბალი აქტივობის ტურისტულ რეგიონებს, მაშინ მივიღებთ ასეთ სურათს: საქართველო რეგიონების 40% - ძალიან მაღალ აქტივობის ტურისტულ რეგიონებს განეკუთვნებიან, ვინაიდან ტუროპერატორთა აბსოლუტური უმრავლესობა 100% ძირითადად ამ რეგიონებში აწარმოებენ ტურებს. ესენია: კახეთი, სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, მაღალ აქტივობის ტურისტულ რეგიონებს განეკუთვნება რეგიონების 10%, რომლებშიც ძირითადად ტუროპერატორთა 74,1% აწარმოებს ტურებს, ესაა: აჭარის რეგიონი, საშუალო აქტივობის ტურისტულ რეგიონებს განეკუთვნება რეგიონების 50%.

მარკეტინგული კვლევის გაანალიზებისას, ჩვენ უცხოელი ტურისტები სოციალურ ჯგუფებად დავყავით, ანუ საინტერესოა საქართველოში მოგზაურ არარეზიდენტ ორგანიზებულ ტურისტთა სოციალური კუთვნილება. კვლევამ გვიჩვენა, ტუროპერატორთა 42,6%-თვის სოციალური კლასის ტურისტები 50%-ზე ნაკლებს შეადგენს პენსიონრები, სტუდენტები და ა. შ, მიმწოდებელთა 57,1%-თვის ეკონომ კლასის ტურისტები საერთო მომხმარებლების 35%-მდე შეადგენს, ფირმების მხოლოდ 14,3%-თვის ტურისტული კლასის ტურისტები მათი მომხმარებლების 50%-ზე მეტს შეადგენს. ტუროპერატორთა 85,7%-თვის ტურისტების მათი მომხმარებლების 25%-ზე ნაკლებს შეადგენს.

ამრიგად, საქართველოს ტურისტული ბაზრის კვლევამ და ანალიზმა გვიჩვენა, ბაზარზე ჯერ კიდევ არის თავისუფალი, სამოქმედო, შეიძლება ითქვას უკონკურენტო სეგმენტები. რომელთა ათვისება კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საქართველოში ტურიზმის განვითარებას.

ქართველი ტუროპერატორებისათვის, ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება უცხო ქვეყნის ტუროპერატორთა გამოცდილების გაზიარება, ამ მიზნით ქვემოთ მოგვყავს მაგალითი ცნობილი გერმანელი ტუროპერატორის „ბიბლიში რაიზენის“ მიერ შექმნილი ტური „კავკასიის ეკლესია-მონასტრები“ სადღეისოდ ერთ-ერთი სრულყოფილი ტური, რომელიც უცხოელმა ტუროპერატორმა საქართველოში შექმნა. როგორც სათაური გვიჩვენებს, ეს უდიდესი ტუროპერატორი აწყობს ბიბლიურ თემებთან დაკავშირებულ ტურისტული მოგზაურობებს მსოფლიოს 22 ქვეყანაში. ასობით სტანდარტულ შეთავაზებებს შორის არის ერთი – ქართულ სომხური. ტურის ხანგრძლივობა 2 კვირაა. მას მინიჭებული აქვს ფირმის კოდი გ-11 და გ-12. პირველი სრულდება 21 მაისიდან 3 ივნისამდე, ხოლო მეორე 30 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე პერიოდში. ტურის ღირებულებაში შედის შემდეგი მომსახურება: მგზავრობა აირზენა/საქართველოს ავიახაზების თვითმფრინავით ფრანკფურტიდან თბილისამდე და უკან, ტრანსფერი და ქვეყნის შიდა მოგზაურობები ავტობუსით, განთავსება საშუალო კლასის უბრალო ალკურვილობის სასტუმროებში, ორჯერადი კვება, კვალიფიციური ექსკურსიამდლოლის თანხლება, დაზღვევა მოგზაურობის პერიოდში, სავიზო მომსახურება, სურვილის მიხედვით ზურგჩანთა, ან პრაქტიკული სამგზავრო ჩანთა. იმ შემთხვევაში თუ ტურისტი ისურვებს სასტუმროს ცალკე ნომრის დაკვეთას, მან უნდა დაამატოს გარკვეული თანხა. ტურისტების რაოდენობა ჯგუფში განსაზღვრულია 20-დან 30- ტურისტამდე.

ამ ტურს გერმანელები უწოდებდნენ შემეცნებით-საგანმანათლებლო მოგზაურობას. შესაბამისად ტურს წამდღვარებული აქვს შემდეგი შინაარსის ახსნა-განმარტება: 301 წლიდან არის ქრისტიანობა სომხეთის სახელმწიფო რელიგია. დღემდე ამყობენ სომხები ქრისტიანული რწმენით, უწოდებენ რა საკუთარ ეკლესიას „სომხურ-სამოციქულოს“.

საქართველო, რომელმაც ასევე მეოთხე საუკუნეში გამოაცხადა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად, არის უძველესი დროიდან დამოუკიდებელი მართლმადიდებლური ქვეყანა, რომლის ეკლესიამაც ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა ავტოკეფალიის უფლება. ამ ქვეყნებში ეკლესიას უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი. ფირმის მიერ დეტალურად არის გაწერილი მოგზაურობის თხუთმეტივე დღის პროგრამა. მათგან საქართველოს ეთმობა 10 დღე, ხოლო 5 სომხეთში მოგზაურობას.

სადღესოდ მხოლოდ ეს ერთადერთი ტური შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, იმ ტურებსა და მოგზაურობებს შორის, რომლებიც ითვალისწინებენ რელიგიურ ტურიზმის ფორმით უცხოელი ტურისტების საქართველოში შემოყვანას.

TOURISM MARKET OF GEORGIA
Giorgi Merlani, Gori State Teaching University, Professor
RESUME

Research of tourism market of Georgia and analysis is indispensable conditions for all the tour operators. Searching subjects were working in Georgia tour operators and it was about 2010-2011 tourist service analysis.

Results of the marketing research showed us that bringing tourists from abroad was from the advertisement, and there were six kind of advertisements. However most of them (97%) were from tourism product promotion and new users to put them in interests by their web sites. It means that they are trying to sell their products by using the internet.

For example in Georgia most of the visitors are coming for the Europe region. If in 2010 year all the tour operators were working on this market and their quantity was 57,1%, in 2011 year their quantity was 71,4% for that reason quantity of the visitors from Europe was increased. It means that Europe for Georgian market is a growing region.

From the region of Europe in general in our country most of the organized visitors are coming from Germany and from Italy in which markets are working Georgian tour operators even more than half 57,1%.

When we are analysing search of the marketing, we divide foreigner tourists for social groups. Its very interesting in which social group belongs each tourist who is coming to Georgia. Research showed us that 42% of tour operators are the social class of tourists, less than 50% are pensioner, students and so one. 57,1% of suppliers economclass tourist users are 35%. 14,3 % of the companies tourists class of tourists and their users are more than 50%. For 85,7% tourists their users are less than 25%.

In that way, research of tourism market of Georgia and analysis showed us, that we still have the market free, we can operate, we can say that without competitor segments. I can say that if we will do like that the tourism development in Georgia will grow up.

გადასახადები, მათი სახეები და აღრიცხვასთან დაკავშირებული პრობლემები

გიორგი ნანუაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

როინ ქობლიანიძე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

ნებისმიერ ქვეყანაში გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც ის არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მართვის ბერკეტი, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს სწორ პოლიტიკას. საგადასახადო სისტემა – ეს არის ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ შემუშავებული და დადგენილი გადასახადების, მათი დაწესების (დაკანონების), შეცვლის, გაუქმების და ბოლოს გადახდევინების პრინციპების, მათი ფორმირებისა და მეთოდების ერთიანობა. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი სახის გადასახადი არსებობს, რომლებიც ერთიან საგადასახადო სისტემას ქმნის. გადასახადს თითოეული ჩვენთაგანი ვიხდით ყოველდღიურად მაშინ, როდესაც ვხარჯავთ ფულს. ხშირად ამას ჩვენ არც კი ვაცნობიერებთ. მათ შესწავლას აადვილებს გადასახადების ჯგუფებად დაყოფა.

საქართველოში დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემა ჩამოყალიბდა XX საუკუნის 90-იან წლებში. 1988 წელს შემოღებულ იქნა საგადასახადო კოდექსი, რომელმაც დაარეგულირა იმ პერიოდისათვის საგადასახადო პოლიტიკა. ამჟამად მოქმედებს საგადასახადო და საბაჟო კოდექსი.

უპირველეს ყოვლისა გადასახადებს ყოფენ ორ ჯგუფად – პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად. მათი დაყოფის უმთავრეს ამოსავალ წერტილს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტს პირდაპირ ჩვენ ვუხდით ფულს საკუთარ ბიუჯეტიდან (ჯიბიდან), თუ ამას ვუკეთებთ სხვისი მეშვეობით.

თავის მხრივ პირდაპირი გადასახადებიც ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: საშემოსავლო და ქონების გადასახადი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ პირდაპირი გადასახადები სხვას (მესამე პირს) დაეკისრება და მას უწევს მათი გადახდა.

საშემოსავლო გადასახადით იბეგრება გადასახადის გადამხდელის შემოსავალი, რომლის სიდიდეც განისაზღვრება შემოსავლის ოდენობითა და გადასახადის ნიხრით. საშემოსავლო გადასახადს იხდიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული ფირმები მცირე განსხვავებით.

იურიდიული პირებისაგან საშემოსავლო გადასახადს (CIT-Corporate Incomentax) იხდის ყველა შპს და სააქციო საზოგადოება. იგი გაიანგარიშება როგორც სხვაობა მათ საერთო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის.

რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს, რომელსაც ფიზიკური პირები იხდიან (PIT-Personal incom Tax) მას იხდის ყველა პირი (რეზიდენტი და არარეზიდენტი). რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს მის მიერ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიღებული ერთობლივი შემოსავალი, არარეზიდენტისათვის კი საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი.

ამდენად მისი დაბეგვრის ბაზაა შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს განსხვავებას პიროვნების მთლიანი შემოსავლებსა და მის მისაღებად გაწეულ ხარჯებს შორის ფიზიკური პირები მას იხდიან დარიცხული ხელფასიდან, რენტლიდან, პენსიიდან და უმუშევრებისათვის მიღებული შემწეობიდანაც კი.

საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც ფიზიკური პირები იხდიან მისი წარმოშობიდან დღემდე პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების საკამათო თემას წარმოადგენს. მისი წარმოშობა კი უკავშირდება ნაპოლეონის მიერ წარმოებულ ომებს.

საშემოსავლო გადასახადი, როგორც ასეთი, წარმოიშვა დიდ ბრიტანეთში 1798 წელს. ეს იყო გადასახადი შემოსავლებიდან. მას იხდიდა ყველა პირი, რომელსაც წელიწადში ჰქონდა 60 გირვანქაზე მეტი შემოსავალი, ხოლო უმაღლესი ნიხრი იყო 10% და მას იხდიდა ის პირი, რომლის წლიური შემოსავალი 200 გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა. ამ გზით დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება ფრანგებთან ომისათვის საჭირო სახსრებს უკეთებდა აკუმულირებას. მაგრამ ამ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის შემოსავალი 20 გირვანქა სტერლინგის ფარგლებში მერყეობდა და ამიტომ მისი გადახდა ბევრს არ მოუწია. 4 წლის შემდეგ დაიდო ცნობილი ამიენის სამშვიდობო ზავი და ეს გადასახადიც ერთი წლით გააუქმეს. ერთი წლის შემდეგ კვლავ შემოიღეს იმ სახით, რომ მას საზოგადოების უფრო ფართე წრე მოეცვა. ნიხრის უმაღლესმა დონემ შეადგინა 5 %, მაგრამ გადასახადი უნდა ყველას, ვისი წლიური შემოსავალიც 50 გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებულ ომებს ბრიტანელები მხარს უჭერდნენ, მაინც ამ გადასახადის შემოღებას უკმაყოფილოები შეხვდნენ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ბრიტანეთის პარლამენტმა 1816 წელს ეს გადასახადი გააუქმა. მაგრამ კვლავ აღადგინა ის 1860 წელს ბიუჯეტის დაბალანსების მიზეზით. მისი შემოღების ინიციატორი იყო რობერტ პილი, რომლის აზრითაც, იგი მხოლოდ 4 წლით იქნებოდა შემოღებული და მას გადაიხდიდნენ ის პირები, რომელთა წლიური შემოსავალი იქნებოდა 150 გირვანქა სტერლინგზე მეტი., ხოლო ნიხრი იქნებოდა 3 %. მაგრამ შემოღებულმა გადასახადმა იარსება 1894 წლამდე. მისი გაუქმების წინადადებით გამოვიდა მაშინდელი ფინანსთა მინისტრი ვილიამ გლადსტონი, რომელიც ვერაფერს გახდა და აღნიშნული გადასახადი მყარად დამკვიდრდა დიდი ბრიტანეთის საგადასახადო სისტემაში.

აშშ-ში საშემოსავლო გადასახადი შემოღებულ იქნა 1861 წელს ჩრდილოეთის შტატებში, რომელიც დაკავშირებული იყო სამოქალაქო ომის წარმოებასთან. მის შემოღებას აქაც არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში. აღნიშნულ გადასახადს იხდიდნენ ის ამერიკელები, რომელთა შემოსავალი 600 დოლარზე მეტი იყო 1000 დოლარამდე 3 % ნიხრით, ხოლო 10 000 დოლარზე მეტი 5 %-იანი ნიხრით. რამოდენიმე წლის შემდეგ ნიხრი გაზარდეს, ხოლო 1872 წელს საერთოდ გააუქმეს. საშემოსავლო გადასახადის შემოღება განახლდა 1914 წელს იმ მიზნით, რომ დაბეგრილიყვნენ ამერიკელი მდიდრები, როგორებიც იყვნენ: როკფელერები, მორგანები, დიუპონები, კარნეგები და სხვები.

ყოფილ საბჭოთა კავშირში საშემოსავლო გადასახადი შემოღებულ იქნა 1948 წელს. მის შემოღებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ომი ახალი დამთავრებული იყო და ქვეყანას უჭირდა არმიის შენახვა და შეიარაღება. იგი დროებითი სახის უნდა ყოფილიყო და, როგორც კი სულს მოითქვამდა, იგი გაუქმდებოდა. იბეგრებოდა ყველა პირი, გარდა ძალიან სტრუქტურებში დასაქმებული პირებისა, მაგრამ აღნიშნულმა გადასახადმა იარსება ამ დიდი იმპერიის ბოლო დღეებამდე.

დღე წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს. იგი ფასების ლიბერალიზაციის პირობებში მათი ინდივიდუალური ზრდის პირობებში ბიუჯეტის დაბალანსების საშუალებას იძლევა. ამ გადასახადს საბოლოო ჯამში იხდის მომხმარებელი ანუ საზოგადოება. დღე გადაიხდება ყოველი სამეურვეო

ოპერაციის დროს. მისი დარიცხვა და გადახდა აღრიცხვის თვალსაზრისით შედარებით მარტივია. როდესაც ფიზიკური პირი ან ფირმა ყიდულობს რაიმე საქონელს, დამატებით იხდის გარკვეულ პროცენტს, ხოლო ეს გადასახადი მიდის სახელმწიფო ბიუჯეტში.

სხვადასხვა ქვეყანაში დღგ-ს გადასახადის დონე განსხვავდება ერთმანეთისაგან და ყველა საქონელზე ერთნაირი არაა. მაგ., დღგ შედარებით ნაკლებია (ზოგჯერ კი საერთოდ არ არსებობს) სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე არსებობს ასევე გადასახადი საექსპორტო პროდუქციაზე. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნულოვანი გადასახადი და გადასახდელისაგან გათავისუფლება. კერძოდ, რამდენადაც ექსპორტის დროს საქონელი 0%-იანი დღგ-თი იბეგრება, იმპორტის შემთხვევაში მისი გადახდა აუცილებელია. უფრო მეტიც, მისი გამოანგარიშება ხდება არა მხოლოდ საიმპორტო საქონლის ღირებულებიდან, არამედ მას ემატება საბაჟო გადასახადიც და მათი ჯამიდან გამოჰყავთ დღგ, რაც, ჩვენი აზრით, ორმაგი დაბეგრვის ელემენტებს შეიცავს.

დღგ, როგორც ასეთი, პირველად გამოიყენეს საფრანგეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. აქედან თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა შემოღებიდან 30 წლის განმავლობაში. ამასთან მას ყველგან დღგ-ს სახელწოდებით არ მოიხსენიებდნენ. მაგალითად, სინგაპურში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიასა და კანადაში მას უწოდებენ GST (Goods and service tax - გადასახადი საქონლიდან და მომსახურებიდან). ზოგიერთ ქვეყანაში დღგ დღემდე არ არსებობს, მაგალითად: ჰონგ-კონგში, აშშ-ში (აქ გადასახადს იხდიან გაყიდვის ბრუნვიდან).

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დღგ-ს სიდიდე მერყეობს 450დან (სინგაპური) 25%-მდე (დანია).

საქართველოში დღგ შემოღებულ იქნა 1992 წელს და უკვე 1995 წელს მასზე მოდიოდა გადასახადების 30,4%. 2005 წლიდან დღგ 20% -დან 18%-მდე შემცირდა, რაც დღესაც ძალაშია. დღევანდელი კანონის მიხედვით თუ გადასახადის გადამხდელის დასაბეგრმა ოპერაციებმა გადააჭარბა 100 000 ლარს, მაშინ იგი ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად.

აქციზი გადასახადის უძველესი ფორმაა, იგი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო ცნობილი. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში კი აქციზი ძირითადად 90-იან წლებში იქნა შემოღებული.

აქციზით დასაბეგრი საქონელი შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაყვით:

- საწვავი და ელექტროენერჯია;
- მონოპოლიური საქონელი, ამ ჯგუფში შეიტანება ასევე ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, მარილი და სხვა;
- ფუფუნების საგნები (მაღალი კლასის ელექტრონიკა, ვიდეოკამერა, ზღვის კატარღები, ავტომანქანები, პარფიუმერიის ნაწარმი და ა.შ.);
- გასართობ-დასასვენებელი ობიექტებში მომსახურება (კაზინოს, ბანქოს, რულეტის სათამაშო მაგიდების) და ა.შ.

ისიც უნდა აღვნიშნოს, რომ აქციზის დაწესება და მით უმეტეს მისი გაზრდა საკმაოდ რთული პოლიტიკური საკითხია და ქვეყნის ხელმძღვანელობისაგან გონივრულ მიდგომას მოითხოვს.

მოგების გადასახადის გადამხდელებად ითვლებიან როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის საწარმოები, ხოლო დაბეგრის ობიექტია მოგება. იგი განისაზღვრება როგორც სხვაობა ერთობლივ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის. მოგების გადასახადის განაკვეთისადმი მიდგომა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია. მაგალითად ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, კანადა, შვეიცარია, ჩინეთი გამოიყენება პროგრესული განაკვეთები, ხოლო ახალ განვითარებულ ქვეყნებში: ჰონკონგსა და სინგაპურში შედარებით დაბალი განაკვეთები.

გარდა ამისა მოგების გადასახადები ითვალისწინებენ გარკვეულ შეღავათებს რომელსაც არ იზიარებენ ამერიკელი პროფესორები დ. ჯენკინსკი და რ. კონრადი ნაშრომში „მსოფლიოს საგადასახადო კოდექსის საფუძვლები“.

ზემოთ განხორციელებული საგადასახადო საკითხებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ითვლება საგადასახადო აღრიცხვის ობიექტად, რაც შეეხება ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის სურათის ელემენტების ანგარიშებაში დემონსტრირებას, მათ შორის გაყიდვების ბრუნვებს, მოგებას ითვალისწინებს მათ ბუღალტრულ შეფასებას, რომელიც დაფუძნებულია იმ პრინციპებზე, რომელიც ხშირად არ ემთხვევა სამეურნეო ცხოვრების საგადასახადო კვალიფიკაციის შესაბამის ფაქტებს.

საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვაში დღეისათვის არსებულ განსხვავებათა მასშტაბები ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსხვავება იმ წესებში რომლითაც ჩვენ ვაკვალიფიცირებთ და ვაფასებთ სამეურნეო ცხოვრების ფაქტებს ბუღალტრული გატარებების და დაბეგრის ბაზის გაანგარიშების მიზნით, ქმნიან სიტუაციას, როდესაც ბუღალტრულ ანგარიშებაში ასახული მაჩვენებლები და ამ ორგანიზაციის ვალდებულება გადასახადებთან მიმართებაში სრულიად არ

ეკორესპონდენტებიან ერთმანეთს. ყოველი ეს განსხვავება პროფესიონალი ბუღალტერიისათვის თვალსაჩინო, გასაგები და მისაღებია. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ბუღალტრები ანგარიშგებას ადგენენ არა თავიანთთვის, არამედ მომხმარებელთა ფართო (დიდი) წრისა და ჯგუფებისათვის, რომელთა უმრავლესობა შორს არის ბუღალტრული აღრიცხვებისაგან და მათთვის რთული და გაუგებარი მეთოდოლოგიისაგან. აი ამ მომენტში კი ის რაც პროფესიონალი ბუღალტერიისათვის გასაგებია, ის გაუგებარია და რთულად აღსაქმელია იმ პირებისათვის, რომელთაც კავშირი არა აქვთ აღრიცხვასთან, მაგრამ სასიცოცხლოდ ესაჭიროებათ სააღრიცხვო ინფორმაციას.

ბუღალტრული ინფორმაციის სწორი წაკითხვა და გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს საბუღალტრო ანგარიშგების აგებას ერთნაირი პრინციპების და წესების საფუძველზე, რაც ანგარიშგების ელემენტებს ხდის ურთიერთდაკავშირებულს. თუ ჩვენ შემოსავლებს ბუღალტრულ აღრიცხვაში ვაღიარებთ დარიცხვის, ხოლო საგადასახადო აღრიცხვაში კი საკასო მეთოდით, მაშინ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებაც უნდა აისახოს საკასო მეთოდით. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, შემოსავლებს, ხარჯებს და მოგებას, ხოლო, მეორე მხრივ, ვალდებულებას ბიუჯეტის წინაშე გადასახადების გადახდის თვალსაზრისით გახდის შეუსაბამოს.

ასეთი მდგომარეობა კი გვკარნახობს, რომ სამეურნეო ცხოვრების ფაქტები ბუღალტრულ ანგარიშგებაში ავსახოთ ერთნაირი შეფასებით. ე.ი. ანგარიშგების (მონაცემები) ელემენტები ბუღალტრულ და საგადასახადო აღრიცხვაში შევაფასოთ ერთგვაროვნად.

ლიტერატურა:

1. ლევან გრიგალაშვილი, აღრიცხვა და გადასახადები, თბილისი, 2006.
2. ლალი სადაღაშვილი, საქართველოს საგადასახადო სისტემის აქტუალური საკითხები და მისი სრულყოფის გზები, გორი, 2011.
3. ამბროსი გრიშკაშვილი, ეკონომიკური კალენდოსკოპი, თბილისი, 2007.
4. რ. ლუკასი, საბაზრო ეკონომიკა, თბილისი, 1997.
5. Соколова Я. В. – Бухалтерский учет, М, 2004.

TAXES, THEIR TYPES AND PROBLEMS CONCERN TO ACCOUNTING

Giorgi Nanuashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

Roin Koblianidze, Gori State Teaching University, Invited Specialist

RESUME

Taxes – these are the most important source for formation of the state budget. Exactly that's why it is one of the most important management lever which stipulates exact policy of state. Tax system is integrity of taxes developed and established by the legislative entities of country, principles of their institution (legalization), substitution, abolishment and payment at last, their formation and methods. We can suppose according to this that many kinds of taxes exist in different countries which create a unified tax system.

An independent tax system was formed in Georgia in 90 years of XX century. In 1988 a Tax Code was introduced which regulated a tax policy at that time. Nowadays Tax and Custom Codes act.

Taxes are divided into two groups – direct and indirect taxes. The basis of their division represents that if we directly pay money to the state budget from our own budget (pocket) or we do this through the other.

Direct taxes are also divided into two basic groups: income and property taxes. Income tax was arisen in 1798 in Great Britain and it was connected to the war with France.

Both Physical and Legal Entities pay the income tax.

All physical persons (resident or nonresident) pay income tax (Pit-Personal Income Tax).

All LTDs and Joint Stock Companies from Legal Entities (Companies) pay income tax (Cit-Corporate Income Tax). It is calculated as a difference between their total incomes and costs.

VAT (a value added tax) is an indirect tax: a level of this tax is different in different countries and is variously perceived.

Excise is the oldest form of tax. It was still emerged in the Middle Ages.

Corporate Income Tax is differentiated for example in the USA, Canada, China, Switzerland, lower is in Hong Kong, Singapore.

In the accounting and tax registration they should be estimated with the same methodology.

სახელმწიფო საგარეო ვალი და მისი დაფარვის პრობლემები საქართველოში

ლალი ოსადე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

E-mail: l.osadze@gmail.com

ილია თავშავაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნესის და მართვის
დოქტორანტი

სოფიო ცეცხლაძე, ბიზნესის და მართვის მაგისტრი

თანამედროვე პირობებში შეუძლებელია საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტითა და სახელმწიფო სპეციალური ფონდით, რისთვისაც სახელმწიფოები აქტიურად მიმართავენ ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან ფულადი სახსრების მობილიზაციას სახელმწიფო სავალო ურთიერთობათა საფუძველზე.

სახელმწიფო ვალის აღება არც ერთ ქვეყანას არანაირ საშიშროებას არ უქმნის იმ შემთხვევაში, თუ ვალის ზრდას თან ახლავს ეკონომიკური ზრდაც. გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის მომენტი, თუ რამდენად ეფექტურად მოახერხებს სახელმწიფო ვალის შედეგად მობილიზებული საშუალებების გამოყენებას.

სახელმწიფო ვალის ზრდის პრობლემა საბაზრო ეკონომიკის გზაზე მდგარი ქვეყნისათვის ტიპური მოვლენაა. მართალია, კრედიტის სახით მოზიდული კაპიტალი ზრდის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს, მაგრამ საჭიროა მიღებული სესხების გასტუმრება, რომელთა გადაუხდელობის შემთხვევაში კრედიტორები მიმართავენ მკაცრ სანქციებს და ვალს მაინც დაიბრუნებენ. აღსანიშნავია, რომ, არსებული სახელმწიფო დავალიანება არ უნდა გახდეს ეკონომიკური წინსვლის შეფერხებისა და თავისუფალი ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდვის საფუძველი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2013 წლისთვის საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 13,4 მილიარდს შეადგენს.

აღნიშნული საგარეო ვალიდან 4,2 მილიარდი სამთავრობო სექტორის, 582,3 მილიონს თავად ეროვნული ბანკის, ხოლო 2,5 მილიარდს საბანკო სექტორის ვალი წარმოადგენს.

ქვეყნის საგარეო ვალის 94,3% უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. ორმხრივი კრედიტორებიდან, საქართველოს ყველაზე დიდი ვალი გერმანიის სახელმწიფოსი აქვს - 341 000 000 დოლარი, შემდეგ მოდიან: რუსეთი - 106 000 000, იაპონია - 80 000 000, საფრანგეთი - 53 000 000, ამერიკის შეერთებული შტატები - 32 000 000 და ქუვეითი - 23 000 000 დოლარი.

საქართველოს ასევე აქვს ოთხივე მეზობლის ვალი: რუსეთის გარდა, თურქეთის - 24 000 000, სომხეთის - 15 000 000 და აზერბაიჯანის - 13 000 000 დოლარი.

მრავალმხრივი კრედიტორებიდან საქართველოს ყველაზე დიდი ვალდებულებები აქვს: მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიმართ - 845 000 000 დოლარი; საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალი - 483 000 000 დოლარია, ხოლო მსოფლიო ბანკის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის - 355 000 000 დოლარი. აზიის განვითარების ბანკის კი 327 000 000 დოლარი გვმართებს.

საქართველოს კრედიტორები ასევე არიან: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი და ევროპის საერთაშორისო ბანკი საერთო ჯამში, მათ მიმართ დავალიანება - 100 000 000 დოლარს აღემატება.

საქართველოს მიერ მიღებული კრედიტები იყოფა 3 ჯგუფად:

– ტექნიკური კრედიტები, რომლებსაც საფუძველად დაედო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი დავალიანება;

– სასაქონლო კრედიტები, რომლებიც წარმოქმნილია მოწოდებული პროდუქციის (ბუნებრივი აირი, ხორბალი, სურსათი, მედიკამენტები, ტრაქტორები და სხვა) შედეგად;

– სარეაბილიტაციო კრედიტები (საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ფონდის კრედიტები), რომლებიც მიმართულია ამა თუ იმ ეკონომიკური დარგის საჭიროებისათვის. სამწუხაროა, რომ მათგან პრაქტიკულად არც ერთი არ მიმართულია ქვეყანაში სტრატეგიული მნიშვნელობის პრიორიტეტული საწარმოების ამოქმედებისაკენ.

მათი წარმოშობის მიხედვით საქართველოს საგარეო ვალები შეიძლება პირობითად დავეყოთ 3 ეტაპად. პირველ ნაწილში შეიძლება შევიყვანოთ ის ვალები, რომლებიც წარმოიშვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მეორე ეტაპი მოიცავს 1992-1995 წლების პერიოდს, ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყანაში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, მიმდინარეობდა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ადგილი

ჰქონდა საშინელ დეფიციტს კვების და პირველადი მოხმარების პროდუქციაზე, ფისკალური სფერო ქაოსში იყო და ვერანაირად ვერ ხერხდებოდა მისი მოწესრიგება, უმთავრეს პრობლემას მაინც წარმოადგენდა საბიუჯეტო დეფიციტი და ფულის გაუფასურება. ამ პერიოდის 'პიონერი' იყო თურქმენეთის კრედიტი. თურქმენეთი ამ პერიოდში გვაწვდიდა გაზს, რომლის ფასებიც არ იყო დაფიქსირებული გაზზე არსებული მსოფლიო ფასების მიხედვით. თურქმენული მხარე გაზს გვაწვდიდა კოლოსალურ ფასებში, რის შედეგადაც მივიღეთ თურქმენეთის ხელოვნურად გაბერილი ვალი. ამ პერიოდს მიეკუთვნება ასევე თურქმენეთის 50 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტი, რომელსაც ასევე მაღალი საპროცენტო განაკვეთი და კაბალური პირობები ჰქონდა..

1996 წელს (20 მარტს) თურქმენეთსა და საქართველოს მთავრობათა მიერ ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ვალების რესტრუქტურის შესახებ. თურქმენეთის მხარემ საქართველოს ჩამოაწერა ვალის ძირითად თანხაზე დარიცხული საჯარიმო თანხები დაახლოებით 51 მილიონი დოლარის ოდენობით. 1996 წელს მიღწეული ამ შეთანხმებით ძირითადი ვალის დაფარვა უნდა დაწყებულიყო 1998 წელს, მაგრამ საქართველოს 1998 წლის ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული შესაბამისი თანხები, რადგან იგულისხმებოდა, რომ თურქმენეთის მხარესთან მიღწეულ იქნებოდა შეთანხმება შეღავათიანი პერიოდის გახანგრძლივების შესახებ.

მესამე ეტაპი უკვე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან აქტიური თანამშრომლობის პერიოდი იყო, ანუ 1995 წლიდან მოყოლებული, როცა ჩვენ გავვიჩინა წინა წლებთან შედარებით სტაბილური ვალუტა, იწყება ეკონომიკური რეფორმები და საქართველო მეტ-ნაკლებად რაღაც კონტურებში იკვთება, როგორც სახელმწიფო.

ამ პერიოდისათვის დიდ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ პრივატიზაცია მაღაზიებით, ჯიხურებით და სხვა წვრილი ობიექტებით დაიწყო და საკუთრებაში დავიტოვეთ ისეთი მძლავრი ობიექტები, რომელთა ამუშავებაც ჩვენს მიერ შეუძლებელი იყო. პრივატიზაცია უნდა დაწყებულიყო მძიმე მრეწველობისა და ენერჯის სექტორის პრივატიზებით. წლების მანძილზე მიმდინარეობდა კამპანია – ვემზადებით ზამთრისთვის; ავიღებდით მილიონობით საგარეო ვალებს, ამ თანხით შემოგვქონდა მაზუთი, ზოგჯერ 1-დოლარიანი 10 დოლარად, მერე ხდებოდა ჩამოწერა; ჰესების მუშაობა არარენტაბელური იყო. საბოლოო ჯამში შეიძლება დავასკვნათ: იმით, რომ სახელმწიფომ არ მოახდინა ენერჯეტიკის პრივატიზება, ქვეყანამ საერთო ჯამში იზარალა 500 მილიონ აშშ დოლარზე მეტი, რაც წარმოადგენს უზარმაზარ თანხას ასეთი მცირერიცხოვანი სახელმწიფოსათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების არამიზნობრივმა ხარჯებმა მნიშვნელოვნად გაზარდა საგარეო ვალის რაოდენობა.

საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, საგარეო ვალის მომსახურებაზე - 665 000 000 ლარია გათვალისწინებული. უკვე გვაქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამა. თუ 2013 წელს საბიუჯეტო სახსრები არ გვეყოფა, შეიძლება ვისარგებლოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაფინანსებით და დავფაროთ ეს ვალდებულება. სავარაუდოდ, ეს არ გახდება საჭირო. გაცილებით მძიმე იქნება 2017 წელი, როცა 500 000 000 დოლარის დაფარვა გვიწევს.

ვალების გადადება არ წყვეტს პრობლემას, იმიტომ, რომ გადადებული ვალი მაინც გასასტუმრებელია და მომავლისათვის ქმნის უფრო მძიმე სავალ კრიზისის წინაპირობას. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საგარეო ვალი თითქმის 13.4 მილიარდ დოლარს აღემატება, მისი დაფარვის გზები კი ჯერჯერობით ისევ არაა მკაფიოდ განსაზღვრული.

თეორიულ დონეზე თუ დავუშვებთ, რომ ქვეყანამ მიაღწია ვალების პატიებას, მათ ჩამოწერას, ეს გამოიწვევს იმას, რომ ქვეყანა აღიარებულ იქნა ლატაკ, გადახდისუუნარო ქვეყნად, ვინაიდან ვალებს პატიობენ მხოლოდ იმ ქვეყანას, რომელსაც ვალების გადახდა უკვე აღარ შეუძლია. ამით შეილახება ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი, შემცირდება ქვეყანაში იმპორტი, რასაც მოჰყვება შიდა ბაზრის პარალიზება და ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, განაპირობებს იმას, რომ ქვეყანა ვალების გადაუხდელობით იზარალებს უფრო მეტს, ვიდრე მათი დაფარვის შემთხვევაში.

იმ ქვეყნებში, სადაც დიდი მოცულობის ვალები აქვთ, აუცილებელია არსებობდეს ორგანო, რომელიც შეიმუშავებს საგარეო ვალის მართვის სტრატეგიას, კონტროლს გაუწევს მის ცხოვრებაში გატარებას. იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო საგარეო ვალის ძირითად ნაწილს შეადგენს ცენტრალურ მთავრობათა სესხები, მიზანშეწონილია, ეს ორგანო ფინანსთა სამინისტროს დაექვემდებაროს, ვინაიდან სწორედ ისაა პასუხისმგებელი ქვეყნის ფინანსურ სტაბილიზაციაზე.

თუ ქვეყანას დიდი მასშტაბებით აქვს კერძო სექტორის და სახელმწიფო საწარმოების საგარეო ვალი, მაშინ სასურველია აღნიშნული ორგანო დაექვემდებაროს ცენტრალურ ბანკს, რომლისთვისაც უფრო მარტივია საწარმოო სასესხო ოპერაციების რეგისტრაცია.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საქართველოში შემუშავებულ იქნეს სისტემა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ან რა პირობებში ვიღებთ საგარეო ვალებს, რისთვის ვიყენებთ მათ და რა

ეფექტი აქვს თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე აღებულს. ასევე საჭიროა დონორებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობათა ეფექტური ფორმის შემუშავება.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობა იქნებოდა დღეს საქართველოში, რომ არა ის უზარმაზარი თანხები, რასაც საერთაშორისო ბიუჯეტის შესავსებად და ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციისათვის იღებდა ქვეყანა. თუმცა ამ დახმარებების შედეგი უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მიმდინარე პრობლემების მოგვარება, არამედ ამ სახსრების ეფექტიანი გამოყენებისა და სწორი დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველზე ეკონომიკური გამოცოცხლება.

საქართველოში მკვეთრად დავარდნილი შემოსავლების მოცულობა საექსპორტო ოპერაციებიდან, რაც აუცილებელი პირობაა ძირითადი ვალისა და სარგებლის გადასახდელად. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ექსპორტის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმპორტის ზრდის ტემპს. თუ ქვეყანას სურს, მოახდინოს სავალო კრიზისის პრევენცია, აუცილებლად უნდა განხორციელდეს ექსპორტის ზრდა მაღალი ტემპებით, რადგან ექსპორტი ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსვლის ძირითადი წყაროა. საქართველოს საექსპორტო კვოტა (ქვეყნის ექსპორტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან) დაბალია და მიუთითებს მსოფლიო ბაზართან ეროვნული ეკონომიკის კავშირურთიერთობების ვიწრო მასშტაბზე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს შიდა ბაზრის მოთხოვნის დიდი ნაწილი იმპორტით კმაყოფილდება.

შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ვაჭრობის მოცულობის ზრდა ძირითადად განხორციელდა იმპორტის გადიდების ხარჯზე. ის რეალობა, რომ იმპორტის წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობაში მუდმივად აღემატება ექსპორტის წილს, განაპირობებს საგარეო ვაჭრობის ქრონიკულ უარყოფით სალდოს. ეს კი ამცირებს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუარესებს საგადახდო ბალანსს და აფერხებს საგარეო ვალების მომსახურებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია დღის წესრიგში დადგეს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შეცვლის საკითხი. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გატარდეს ექსპორტის ზრდის მიზანმიმართული და მეცნიერულად შემუშავებული ღონისძიებები, უნდა გადაისინჯოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმი, როგორც ექსპორტის გაფართოების ერთ-ერთი საშუალება. საექსპორტო შესაძლებლობების შეზღუდულობის აღმოფხვრისა და მისი გაფართოებისათვის აუცილებელია ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა გადაიხედოს და მოხდეს მისი კორექტირება, იგი არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ ბუნებრივ რესურსებზე.

საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და გადამამუშავების განვითარებას, თუმცა ამისათვის აუცილებელი პირობაა საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ასევე, საიმპორტო საქონლის სტრუქტურაში უნდა მოხდეს პროდუქციის ისეთი სახეობების ეტაპობრივი შემცირება, რომელთა შეცვლა შესაძლებელია ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით.

კარგად უნდა იქნეს შესწავლილი კრედიტის ამღები ფირმებისა და საწარმოების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რათა საგარეო სესხები გადახდისუნარო მსესხებლის ხელში არ მოხვდეს. სესხების აღებისას, როგორც წესი, არ შეისწავლებოდა კრედიტების მიმღები ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა. ჩვეულებრივი მოვლენა იყო სახელმწიფო გარანტიით მიღებული კრედიტების კერძო სტრუქტურებზე გაცემა. ამიტომ საჭიროა გადამოწმდეს წინა კრედიტები და დადგინდეს, რამდენად მიზნობრივად მოხდა მათი დახარჯვა.

ეფექტიანი ღონისძიებები უნდა გატარდეს უცხოური კრედიტებისა და დახმარებების არამიზნობრივი „ხვრელების“ გადასაკეტად. საჭიროა მკაცრი კონტროლის დაწესება მსესხებლის მიერ კრედიტის ხარჯვისა და დაფარვის სისწორეზე.

ქვეყანაში შემუშავებულ და ამოქმედებულ უნდა იქნას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების რამოდენიმე წლიანი გეგმა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა.

ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაცია უნდა მოხდეს მრეწველობის აღორძინებით. მცირე ბიზნესის განვითარებისათვის კი აუცილებელია მეწარმეობისათვის სათანადო სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, შეღავათიანი კრედიტების გამოყოფა, გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება და მეწარმეებისათვის დახმარების გაწევა საგარეო-ეკონომიკური კავშირების დამყარებაში.

ლიტერატურა:

1. ამირან ჯიბუტი, ივანე ღლონტი, საქართველოს სახ. საგარეო ვალი, თბ., 2010.
2. მურდულია შოთა, გველესიანი გოგა, საქართველოს საგარეო ვალი, 2007.
3. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ., ეკონომიკა, ტ. 4, თბ., 2000.

www.mof.ge
www.geostat.ge
www.nbg.gov.ge
www.geplac.ge
www.bfm.ge
www.georgia.gov.ge
www.fingorgia.ge
www.en.wikipedia.org
www.abg.org.ge
www.economics.wideworld.ru

FOREIGN DEBT AND REFUNDING ISSUES IN GEORGIA

Lali Osadze, Gori State Teaching University, Associate Professor

Ilya Tavshavadze, Georgian Technical University, PhD Candidate

Sophio Tsetskladze, MBA

SUMMARY

The study reviews the foreign debt of Georgia and problems associated with its repayment. It is mentioned that growth of foreign debt is common for countries with market economy, but it should not become an obstacle for economic growth and have significant influence on economic policy.

According to the National Bank of Georgia, foreign debt of Georgia is almost USD 13.4 billion, but it is still unclear how it can be paid back. Creditors tend to the restructuring of debts, but postponing the payment cannot solve the problem, as debts should be repaid anyway becoming the cause for even bigger crisis in future. Theoretically, if we assume that the country has achieved debt forgiveness, it would mean that it was recognized insolvent. This in turn harms to the reputation of Georgia, following by the decrease in import amounts and various other issues in the domestic market. Finally the negative effect of not repaying the debt can even outweigh the effect caused by refunding.

It is very important to develop a certain system regarding the terms and conditions under which the government is entitled to borrow additional funds. It is also important to discover how those debts affect the economy and develop an effective way of cooperation with international financial institutions. For repaying the debts it is essential to have increased revenues from export as it is the most effective source of foreign currency. Therefore it is important to implement certain activities towards this goal.

Particular attention should be paid to agricultural sector and development of processing to ensure the competitiveness of locally produced products.

Effective measures should be taken towards effective and authorized spending of foreign debt, aids and grants. Expenditures of borrower should be strictly monitored.

The country's economic stabilization should be reached through industry revival. Entrepreneurship and small businesses require proper legal frameworks, preferential credit terms, certain tax benefits and support on the international market.

ENTREPRENEURIAL ECONOMY AND SMEs: THEORY AND GEORGIAN PRACTICE

Tatiana Papiashvili, International Black Sea University, Professor

E-mail: t.papiashvili@ibsu.edu.ge

Introduction

The World Bank sent the clear message to the government of Georgia, "The central challenges today for the government of Georgia is to find sources of long-run economic growth, particular through private sector development" (Fostering, 2013; p.15).

Not only sources of economic growth but country's development goals also should be formulated clearly. Last years among the most often disputable were GDP (Gross Domestic Product) growth and increase of employment (or

decrease of unemployment). These two are closely related, but they are different. To achieve one of them, the society has to develop different strategies. Particular, if the society believes that the major issue is GDP growth, all measures of improvement business climate and FDI growth as well as development of a single sector of the economy (ether agriculture or tourism, no matter), would be a good decision. This idea is very popular among Georgian economists and foreign experts (Kakulia, 2007; Cordonnier, 2006; Shmidt, 2007; Economic Growth; 2004; Cordonnier, 2010; Samson,2008). But if Georgian society decides that the main challenge of the country is unemployment and as a result, poverty, entrepreneurial economy and SME sector development must be in the centre of government policy.

GDP growth vs. increase in employment as a goals of policies have an additional nuance in Georgia. “Jobless growth” or “paradox of growth” is a reality in last decade. Specifically, Georgian economy is growing economy with GDP growth rate of average of 5.3 percent in 2005 -2012. Despite the great achievements in economic performance, the number of unemployed/employed does not change significantly (Papiashvili, 2013). The result of the paradox is that poverty and unemployment are still the most painful issues for the most Georgians (Poll: Georgia’s, 2009).

The aim of the article is to analyze the entrepreneurial characteristics of Georgian economy and based on the theory of entrepreneurship to define the background for development of entrepreneurial economy.

The basics of entrepreneurship theory

Theories that are dealing with entrepreneurship come mainly from three different disciplines: economics, psychology, and sociology. Economists look at the effect of entrepreneurship on economic development, or, in other words, on application of growth theories within the entrepreneurial context. Psychologists interested in identifying the personal characteristics of entrepreneurs. Sociologists have been looking into behavioral aspects of the entrepreneurial personality.

A lot of definitions of entrepreneur and entrepreneurship have been developed in economic literature. The Organization for Economic Cooperation and Development (OECD) – Eurostat Entrepreneurship Indicator Program (2009) used the following definition (OECD; 2009):

- Entrepreneurs are those persons (business owners) who seek to generate value through the creation or expansion of economic activity by identifying and exploiting new products, processes, or markets.
- Entrepreneurial activity is an enterprising human action in pursuit of the generation of value through the creation or expansion of economic activity by identifying and exploiting new products, processes, or markets.
- Entrepreneurship is the phenomenon associated with entrepreneurial activity.

Thus, at the center of the entrepreneurial activity or entrepreneurial process is an individual, an entrepreneur, who acts as the economic factor that creates new value through combining the factors of production, the exploitation of opportunities and risk taken. From this point of view the entrepreneurial process consists of four elements: (1) the entrepreneur, who (2) identifies market opportunity (or gap left in the market); (3) leads and directs (or manages the process); (4) acquires the necessary resources (e.g. money, people, knowledge and skills, and materials) (Hassid and Komselis, 2007; p.40-43).

The question arises – what is behind this need to undertake all entrepreneurial activities? In the literature there is distinguishing between *necessity-driven entrepreneurship* and *opportunity-driven entrepreneurship* (Kelley, Singer, Herrington; 2012) or the similar *entrepreneurship “of need”* and *entrepreneurship “of opportunity”* (Hassid and Komselis, 2007; p.46). Behind the last is the force that pushes the entrepreneur to undertake risk because of financial reasons or might also stem from a need to achieve something like fulfill ones dreams, ambitions, or to be successful. As for *entrepreneurship “of need”* which is more common in transition countries, entrepreneurial activities result from a variety of reasons that make an individual become self-employed, because there is no alternative. Economic issues usually relate to employment discrimination (such as sex discrimination, convicts that return to normal life after prison, former drug addicts, individuals with mental or physical disabilities, ethnic groups and minorities, religious minorities, illegal immigrants, etc.) and as a result the individual has no way to earn his or her living. Self-employment is the only choice that remains for the individual to reverse the financial situation under which he or she suffers. Therefore, for a society that is looking to be entrepreneurial and to experience economic growth through entrepreneurial activity, it is important to cultivate people’s entrepreneurial propensity.

Entrepreneurial activities may be measured by their innovative activities. Innovation is a complex system that can take many diversified forms, including commercialization of science and technology as well as the development and implementation of new ideas more generally, as in the form of organizational change or inventing new ways of doing things (Napier, Serger, Hansson, 2004; p.28).

The European Commission defines innovation very broadly as “the renewal and enlargement of the range of products and services and the associated markets; the establishment of new methods of production, supply and distribution; the introduction of changes in management, work organization, and the working conditions and skills of the workforce” (European Commission; 1995; p.1). Based on this, more narrow definition of innovation was developed that emphasizes four types of innovation activities: introducing new products or services in the previous three years (product innovation), upgrading an existing product line or services in the previous three years (process innovation), investing in research and development, and licensing foreign technology (Fostering, 20013; p.11).

In different countries different levels of entrepreneurial propensity and activity can be found. In some countries more people claim that they want to be self-employed than actually are. In others it is quite the opposite. Also, in some countries self-employment and entrepreneurial activity is the result of over optimism.

Entrepreneurship vs. SME

Small and medium enterprises (SMEs) and their management are not the same as entrepreneurship. However, all entrepreneurs start as either small or medium sized enterprises. Usually no new venture kicks off at a large size; the only exception is serial entrepreneurs, who have been starting new businesses based on their operating venture.

Let us leave the debate about the differences between entrepreneurship and small business for special case, and focus on their commons and coincidences. Both entrepreneurship and SMEs management can generate wealth for the founder(s). Also, entrepreneurial ventures can be considered as a subset of the SME set of businesses. Finally, both types of activities produce self-employment and have a much higher risk than paid employment (Stevenson, 1999). So, in most cases the entrepreneur is a small business owner.

Analyzing the relationship between entrepreneurship/ innovation and small business, one can see that if innovation is defined generally and broadly– as the design of a new product or service (or a greatly improved product or service) as well as the successful bringing of the new product or service to the market, small business has occupied the specialized market “niches” and follow competitive strategies. Small enterprises and large companies play somewhat different roles in innovation. SMEs are more market oriented and less research-driven, quicker to respond to new opportunities and more oriented to small incremental advances. They play a vital role in pioneering and developing new markets and providing product diversity and innovation in existing markets, characterized by high risk/reward ratios.

Now it is internationally agreed that not only large companies but small businesses as well represent an important source of innovation. Turning from “gross” innovation indicators, such as private sector R&D, expenditure on R&D, number of scientific publications, number of researchers, human development indicators, etc. to more specific, for example, innovations per employee and/or innovation in different sector of economy, small firms are found to contribute about as many innovations as their larger counterparts in many countries (for instance, in the United States, the Netherlands, the United Kingdom, Italy, Turkey, etc.)(Innovation, 2012; p.160).

Entrepreneurship in Georgia

Evaluation of entrepreneur/ innovative activities in Georgia is based on surveys. The latest international survey was conducted by the World Bank, The 2012 World Bank Entrepreneurship Survey, that covers 300 firms between 2 and 10 years old. Evaluating “introducing new products or services in the previous three years” (product innovation), only 7 percent of Georgian respondents indicated that they had, compared with 2/3 of Armenian respondents. No products or services were new to the world markets in Georgian sample, compared with 3 percent in the Armenian sample, and around 50 percent products or services were new to the market in Georgian sample, compared with more than 80 percent in the Armenian sample (Fostering, 2013; p.37). For Georgian enterprises the most common innovation was the use of new methods of production, and the least common were innovations in logistics, supply chain, delivery or distribution of inputs, products, or services.

Because the vast majority of the goods and services produced by the Georgian firms were the same or modification of existing products, there was no innovation in terms of new market creation. More than 90 percent of surveyed firms in Georgia sell to local or regional markets; and they sell 75 percent of their total turnover on local or regional markets. Only 11 percent of businesses sell internationally but about half of their total products (Fostering, 2013; p.30). As a result, Georgian firms reported high level of market competition.

More than 90 percent of Georgian firms surveyed had no research and development (R&D) expenditures in the previous five years and did not plan them in the next years. In contrast, in Armenia 50 percent of the firms surveyed conducted some R&D in the previous five years and 55 percent have planned for the next two years (Fostering, 2013; p.28).

Despite the obvious fact, that nowadays entrepreneurship is an issue for Georgian economy, we can be optimistic because the country has a solid base for future entrepreneurship development in terms of human resources: an army of self-employed and operating SMEs.

It should be underlined once again, in transition countries like Georgia, where the wealth distribution is highly unequal and unemployment is high, most part of micro and small businesses are established in order to earn some income and to fight poverty rather than to exploit opportunities.

Labor statistics depicts the stable situation in the labor market in terms of employment and unemployment (Table 1). In other words, despite the successful FDI policy and impressive GDP growth in 2006-2007 (9.4% and 12.3%, respectively), and the 2010-2011 recovery (6.3% and 7.2%, respectively), with about 7% in 2012 (GeoStat), there is still a limited pool of job opportunities available.


Table 1. Employment and unemployment in Georgia.

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
Employed, thousand persons	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0
Unemployed, thousand persons	279.3	274.5	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1
Unemployment rate, percentage	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15.0

Source: Geostat

This “jobless growth” or “paradox of growth” causes, first of all, high self-employment which the department of statistics considers as employment (Figure 1). Specifically, at least from 2006 (and there is no reason to expect that the situation was different before) the share of self-employed was higher than hired or more than a half of all employed were self-employed. This fact means that an entrepreneurial mindset exists in Georgia. Even though the older population (60 years and above) is more engaged in self-employment (27 percent of all), group of 40 – 60 age old that includes the most active part of labor force, is the largest - about 42 percent (Geostat).

Figure 1. Distribution of employed




Source: Geostat

A 2011 survey shows that Georgians have a strong entrepreneurial spirit: around 92 percent of surveyed individuals said they would like to be self-employed, and roughly 51 percent believed it would be feasible in the next year (Natsvlshvili, 2011). Their motivation is clear: in Georgia the only reason for self-employment is the alternative to be unemployed!

Another consequence of weak labor market is the sector of micro and small enterprises (Figure 2). Till now there is no legal definition of SMEs; the new Tax Code of Georgia which entered into force in 2011, stipulates a new specification of businesses in Georgia as: micro, small, medium, and large based on workforce and annual turnover output (Tax Code of Georgia; p. 115-117).

Despite SMEs constitute a considerable number of business enterprises in Georgia, an inadequate growing of SMEs quality relevant to SMEs number, should be emphasized specially. In other words, SMEs have constituted an insignificant segment of Georgian economy according to their contribution to the main macroeconomic indicators - turnover, output, value added, national income, and even employment in comparison to the statistics of advanced countries (Table 2).

Figure 2. The number of enterprises by number of employees (2011).



Source: Geostat

Table 2. The share of SMEs , percent

	2008	2009	2010	2011
Registered enterprises	95.6	95.0	95.7	96.0
Turnover	12.3	15.6	16.1	19.9
Output	14.3	18.5	18.4	17.3
Value added	14.6	18.7	19.3	21.8
Employment	37.5	39.6	41.2	43.4

Source: Own calculation based on GeoStat

Thus, small business development and growth would be achieved only through encouraging firms of all size to entrepreneurial/innovative activities. Georgia society has to realize the existing challenges in terms of self-employed people and not innovative and uncompetitive SMEs and has to turn challenges to opportunities. Thus, Georgia government has to work out the specific policies.

Conclusion

Nowadays Georgia faces a challenge to define clearly long-run strategy of country development. The general direction is private sector development that includes creation of entrepreneurial/innovative economy and SME sector development. It is very natural to consider them together. SMEs are the area from which entrepreneurial activity is born. On another side, SMEs to be competitive have to be entrepreneurial and innovative.

The 2012 World Bank Entrepreneurship Survey shows that today Georgian economy is low innovative (in terms of product innovation and access to new markets, research and development expenditures, etc.) and entrepreneurial activity is weak. Despite SMEs constitute a considerable number of business enterprises, there is an inadequate SMEs quality in terms of their contribution to national economy. Thus, both entrepreneurial/innovative economy and SMEs are the issues for Georgia today. Nevertheless, we can be optimistic because the country has a solid base for future entrepreneurship development in terms of human resources: an army of self-employed, strong entrepreneurial spirit or mindset, experience (not always positive, but experience) of operating SMEs. We do believe that the pool of potential entrepreneurs known as “latent entrepreneur” – those who are not actual entrepreneurs but want to be – is larger than international survey shows (The Life, 2011).

Obviously, the country needs the special policy to promote entrepreneurial culture and innovative SMEs. The policy will turn existing challenges to opportunities. This is a special issue which would be investigated in the future.

REFERENCES:

- Burns, P. and Dewhurst, J. eds (1996) *Small Business and Entrepreneurship*, 2nd ed., NY, Palgrave
- Busenitz, L.W., West, G.P., Shepherd, D., Nelson, T., Chandler, G.N. and Zacharakis, A. (2003). Entrepreneurship research in emergence: Past trends and future directions, *Journal of Management*, 29, pp. 285-308
- Cordonnier, C. (March 2006). Georgia's Economic Growth : How to Avert Possible Risks in Future. *Georgian Economic Trends*, p.48-56
- Cordonnier, C. (April 2010). *EU Export Market Conditions for the Realisation of the Competitive Advantages of Georgian Agricultural Products*. *Georgian Economic Trends*, p.42-50
- Economic Growth in Georgia: Formidable Challenges and Effective policies for small business*. A guide for the policy review process and strategic plans for micro, small and medium enterprise development. (2004). OECD, UNIDO. Retrieved August 11, 2011 from <http://www.oecd.org/dataoecd/2/56/33926971.pdf>
- European Commission: Teaching and learning. Towards the learning society (1995). Retrieved October 12, 2012 from http://europa.eu/documents/comm/white_papers/pdf/com95_590_en.pdf
- European Commission :Flash Eurobarometer; Entrepreneurship(2004). Retrieved October 11, 2012 from http://ec.europa.eu/public_opinion/flash/fl160_en.pdf (May 20, 2007)
- Fostering Entrepreneurship in Georgia. (2013). IBRD/ W B
- Hassid, J., Komselis, A.-S. (2007). Introduction to Entrepreneurship. Part A: Theorizing entrepreneurship. Retrieved November 17, 2011 from http://entrepreneurship-georgia.unipi.gr/files/INTRODUCTION%20TO%20ENTREPRENEURSHIP_ver2R.pdf
- Kakulia, M. (2007). *Challenges and Prospects of Economic Growth in Georgia*. Retrieved September 9, 2011 from [www.geplac.ge/newfiles/others/Merab%20Tallinn\(ENG\).pdf](http://www.geplac.ge/newfiles/others/Merab%20Tallinn(ENG).pdf)
- Kelley, D., Singer, S., Herrington, N. (2012). *Global Entrepreneurship Monitor: 2011. Global Report*. London: Global Entrepreneurship Research Association. Retrieved September 22, 2013 from <http://www.gemconsortium.org/docs/download/2409>
- Life in Transition after the Crisis (2011). EBRD. Retrieved August 11, 2011 from http://www.ebrd.com/downloads/research/surveys/LiTS2e_web.pdf
- Napier G., Serger S., Hansson E. (2004). Strengthening Innovation and Technology Policies for SME Development in Turkey – Opportunities for Private Sector Involvement. International Organisation for Knowledge Economy and Enterprise Development (IKED). Retrieved March 2, 2012 from <http://www.iked.org/pdf/Strengthening%20Innovation%20and%20Technology%20Policies%20for%20SME%20Development%20in%20Turkey.pdf>
- Natsvlishvili, I. (2011). Entrepreneurship Attitudes in the context of Post-Soviet Transformation (Case of Georgia). Tbilisi State University and George Washington University, Washington.
- Papiashvili, T., Cloglu, I. Innovation and small business in Georgia (2012). Proceedings of 7th Silk Road Conference: Challenges and Opportunities of Sustainable Economic Development in Eurasian Countries, Batumi, May 24-26, 2012, p. 159-164
- Papiashvili, T. (2013). Georgia's Paradox: Growth without Employment. Proceedings of the First Mevlana (Rumi) University International Economics and Law Symposium. Mevlana University, Konya, Turkey, p.37-43.
- Samson, I. (February 2008). Medium-Term Prospects for the Georgian Economy. *Georgian Economic Trends*, p.63-77
- Shmidt, M. (January 2007). Foreign Direct Investment to Georgia: Can Active Investment Promotion Policies Make a Difference. *Georgian Economic Trends*, p. 63-71

- Stevenson, H.(1999) A perspective on entrepreneurship in Sahlmann, W. et al, *The Entrepreneurial Venture*, 2nd ed., Ohio, Harvard Business School Press
- Storey, D.J. (2000) *Understanding the Small Business Sector*, London, ThomsonLearning
- Taylor, M.P. (1996) Earnings, independence or unemployment: why becomes self-employed? *Oxford Bulletin of Economics and Statistics*, 58, pp. 253-266
- Tax Code of Georgia (In Georgian) (n/d). Retrieved June 1, 2011 from http://government.gov.ge/files/228_31388_281410_NewTaxCode2010.pdf
- United Nations. *Small and Medium Sized Enterprises in Countries in Transition*. (2003). Geneva, United Nations Economic Commission for Europe

ABSTRACT

Based on theory of entrepreneurship and analysis of entrepreneurial characteristics of Georgian economy, the article shows that despite the low level of entrepreneurial/innovative activities and weak, not innovative SME sector, the country has a solid base for future entrepreneurship development in terms of human resources: an army of self-employed, strong entrepreneurial spirit or mindset, experience of operating SMEs. SMEs are the area from which entrepreneurial activity is born and SMEs to be competitive have to be entrepreneurial and innovative.

In Georgia the pool of potential entrepreneurs or “latent entrepreneur” is larger than international survey shows.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში საშემოსავლო გადასახადის ანალიზი

ლალი სადალაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ნანული ქოქაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

გადასახადები ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია, რომელიც სახელმწიფოს არსებობას განაპირობებს. გადასახადები ქვეყნის ძირითადი სახელმწიფო საფინანსო გეგმის – ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენენ. არც ერთ სახელმწიფო გადასახადების გარეშე არსებობა არ შეუძლია, რადგანაც ისინი, ერთი მხრივ, უნდა ემსახურებოდეს, ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის შევსებას, ხოლო, მეორე მხრივ კი, იგი კატალიზატორი და სტიმულის მიმცემი უნდა იყოს ქვეყანაში ეკონომიკური, სოციალური და საინვესტიციო მდგომარეობის წინსვლისა და განმტკიცების თვალსაზრისით. ნებისმიერი სახელმწიფო არსებობისათვის მოიცავს სამ ძირითად ფაქტორს: ტერიტორიული ერთიანობა, საჯარო ხელისუფლება და საგადასახადო სისტემა. „სწორედ რომ საგადასახადო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელ და განმამტკიცებელ ატრიბუტს სახელმწიფო დროშასთან, გერბთან და ჰიმნთან ერთად“ (ლ. სადალაშვილი, 2011)

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საგადასახადო სისტემამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. შემცირდა გადასახადების რაოდენობა, შემცირდა განაკვეთები, ერთი შეხედვით გამარტივდა საგადასახადო კანონმდებლობა, მაგრამ მიუხედავად არსებული ძვრებისა, დღეისათვის საქართველოში მოქმედი გადასახადები მაინც მძიმე საგადასახადო ტვირთის მატარებელია. ქვეყანაში მოქმედი გადასახადები და საგადასახადო სისტემა უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის უზრუნველყოფის საქმეს, არამედ იგი უნდა იყვეს ერთგვარი ხელშემწყობი და სტიმულატორი ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებისა, უფრო მეტი და მეტი ადგილობრივი მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნისა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლების დონეს. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შემოსავლები საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ ბოლო სამი წლის განმავლობაში სისტემატური ზრდის ტენდენციით ხასიათდება, კერძოდ: აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2010 წელს – 23,5%, 2011 წელს – 25,2% და 2012 წელს კი – 25,3 % შეადგინა, თუმცა იგი ჯერჯერობით დაბალია, რამეთუ საზღვარგარეთის უმრავლეს ქვეყანაში საშუალოდ იგი 30–35%-მდე მერყეობს.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად გადასახადის სახეებია:

ა) საერთო-სახელმწიფოებრივი და ბ) ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები ამოღების თვალსაზრისით იყოფა: პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად. როგორც ანალიზი გვიჩვენებს ბოლო წლებში მაღალი ტემპით ხასიათდება პირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, კერძოდ: 2010 წელს პირდაპირი გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა – 2033,1 მლნ. ლარი 2011 წელს – 2642,0 მლნ. ლარი, 2012 წელს კი – 2856,0 მლნ. ლარი, თუმცა მათი ხვედრითი წილი მთელ საგადასახადო შემოსავლებში გაცილებით ნაკლებია და მთელი საგადასახადო შემოსავლების თითქმის 58-60 % მიღებულია არაპირდაპირი გადასახადებიდან (დღგ, აქციზი).

პირდაპირი გადასახადებიდან მეტად მნიშვნელოვანია საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების მიხედვით უკავია მეორე ადგილი დღგ-ს შემდეგ და წარმოადგენს მოსახლეობის ძირითად გადასახადს. საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრი ბაზა საკმაოდ ფართოა, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფიზიკური პირები, გარდა დაქირავებით მიღებული შემოსავლებისა სამეწარმეო საქმიანობასაც ეწევიან. ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადების სახით (ხელფასის) ქვეყნის ბიუჯეტში შემოსული თანხები ზრდის ტენდენციით ხასიათდება: კერძოდ, 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხულმა თანხებმა შეადგინა 1202,1 მლნ ლარი, 2011 წელს – 1439,5 მლნ ლარი, ხოლო 2012 წელს კი – 1623,0 მლნ ლარი. ე.ი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული თანხები 2012 წელს 2010 წელთან შედარებით 35%-ით გაიზარდა.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელებს წარმოადგენენ რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებსაც საგადასახადო წელს გააჩნიათ დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება მის მიერ საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან, ხოლო არა რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან. ერთობლივ შემოსავლებს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან საქმიანობით მიღებული შემოსავლები: კერძოდ: ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები; ბ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან; გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასა და ეკონომიკური საქმიანობასთან.

საშემოსავლო გადასახადის ადმინისტრირების საკითხებში მეცნიერ-მკვლევართა და ცალკეულ ექსპერტთა მოსაზრებანი ორ ჯგუფად იყოფა, ერთნი გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ საშემოსავლო გადასახადი საერთოდ არ უნდა არსებობდეს. ამ მოსაზრების საფუძველია ის, რომ უფრო სამართლიანია გადასახადით დაბეგვრის რესურსების მოხმარება, ვიდრე შრომითი დანახარჯებით მიღებული შემოსავლები. მეორენი კი საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ შემოსავლების დაბეგვრის საკითხში ორივე მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული. მხოლოდ ერთი მიდგომის გამოყენება სირთულეს შექმნის საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებში. თუ რომელიმე სახელმწიფო ფიზიკური პირის დაბეგვრის საკითხებში უპირატესობას საშემოსავლო გადასახადს მიანიჭებს, მეორენი კი ორიენტაციას სხვა გადასახადებზე აიღებს, შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეები შემოსავლების წყაროს ძიებას დაიწყებენ იმ ქვეყანაში, სადაც შემოსავლები არ იბეგრება, ხოლო ხარჯებს გასწევენ იმ ქვეყანაში, სადაც იბეგრება შემოსავალი და არა მოხმარება, რის შედეგადაც მივიღებთ არასამართლიან სისტემას. საშემოსავლო გადასახადმა საზოგადოებაში უნდა უზრუნველყოს განაწილების და გადანაწილების ფუნქციის შესრულება. სახელმწიფომ სოციალური პოლიტიკა სწორედ ამ გადასახადის საშუალებით უნდა განახორციელოს, თუმცა ეს საკითხი დღემდე პრობლემური იყო, რის გამოც საშემოსავლო გადასახადს დაკარგული ჰქონდა თავისი მნიშვნელოვანი ფუნქცია, მოეხდინა მოსახლეობაში შემოსავლების გადანაწილება და გამოთანაბრება.

ვფიქრობთ, რომ ეს მდგომარეობა ახალი საგადასახადო კოდექსის მეშვეობით ნაწილობრივ გათვალისწინებულია.

2012 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეტანილია ცვლილება საგადასახადო კოდექსში და 81 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „ფიზიკური პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლებამოსილია ამ შემოსავლიდან გამოიქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი – 1800 ლარი“, ხოლო დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 20%-იანი განაკვეთით. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2013)

ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მოითხოვს დამუშავებას, რადგან ფიზიკური პირი, რომლის მიერ მიღებული შემოსავალი ხელფასის სახით არ აღემატება 6000 ლარს, ე.ი. თვეში 500 ლარს,

დაუბეგრავი მინიმუმი 150 ლარია თვეში, წელიწადში კი შეადგენს 1800 ლარს, იმ დროს, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით ერთ სულზე საარსებო მინიმუმის ოდენობა 200-დან 220 ლარამდე მერყეობს. და მეორეც, კოდექსში აღნიშნული ცვლილებების შეტანის შედეგად საშემოსავლო გადასახადი პროპორციულ პრინციპზეა აგებული და ფიზიკური პირი შემოსავალზე იბეგრება 20%-იანი განაკვეთით. უმეტეს საზღვარგარეთის ქვეყნებში ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის დაბეგრვა ხდება პროგრესული სისტემით, რამეთუ თვეში 151 ლარიდან 500 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი გააჩნია მოსახლეობის თითქმის 80%-ზე მეტს და იგი იბეგრება 20%-იანი განაკვეთით.


ჩვენი აზრით საჭიროა არსებული მიდგომის გადახედვა. ამ გადასახადმა უნდა შეასრულოს თავისი ძირითადი ფუნქციები. საშემოსავლო გადასახადის არსებული სტრუქტურის და განაკვეთების ისეთნაირი შეცვლა, რომ იგი სრულად ითვალისწინებდეს ქვეყანაში რეალურად არსებულ მდგომარეობას, რაც გულისხმობს საშემოსავლო გადასახადის სიმძიმის დაწოლას მოსახლეობის იმ ფენაზე, რომელსაც რეალურად მნიშვნელოვანი შემოსავალი გააჩნია.

საგადასახადო კოდექსში შეტანილია თავი „სპეციალური დაბეგრვის რეჟიმები“, რომელიც ვრცელდება: ა) მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე, ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე, გ) ფიქსირებული გადასახადის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირია ის, ვინც არ იყენებს დაქირავებულ შრომას და განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად ითვლება მეწარმე, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს და მათი შემოსავალი იბეგრება 5%-ით, ხოლო თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს აქვს ერთობლივი შემოსავლების 60 %-ის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტი, მაშინ ის იბეგრება დასაბეგრი შემოსავლის 3%-ით. საშემოსავლო გადასახადის კლების გრაფიკი გადავადებულია და ნაცვლად 20%-დან 15 %-მდე ეტაპობრივად ითვალისწინებს გადასახადის 18%-მდე შემცირებას, 2013 წელს კი საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთი იქნება შენარჩუნებული.

საქართველოს საგადასახადო სისტემა ნაკლებად ითვალისწინებს შემოსავლების დიფერენციაციას დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჭრილში.

ვფიქრობთ, რომ საშემოსავლო გადასახადების განაკვეთის ოპტიმიზაცია ხელს შეუწყობს დამალული შემოსავლების ლეგალიზაციას და რეალური შემოსავლების დეკლარირებას. საშემოსავლო გადასახადის არაეფექტურობის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ მთლიან შიდა პროდუქტთან და ერთობლივ საგადასახადო შემოსავლებთან მიმართებაში, მისი წილი წლიდან წლამდე მცირდება. საშემოსავლო გადასახადის რეალურმა შკალამ უნდა უზრუნველყოს ყველაზე დაუცველი და საერთოდ ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. რადგან ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ შინამეურნეობების შემოსავლების ზრდასთან ასოცირდება და პირდაპირ კავშირშია სამომხმარებლო ხარჯების ზრდასთან.

იხილეთ გრაფიკი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ცვლილება (ლ. სადაღაშვილი, 2011)



საშემოსავლო გადასახადი

სოციალური გადასახადი

მომავალში ეკონომიკის განვითარებასთან ერთად საშემოსავლო გადასახადის მოცულობა და ხვედრითი წილი უნდა გაიზარდოს. ეს უნდა განხორციელდეს:

- პირველ რიგში დასაქმებულთა რიცხვის გაზრდით;
- საბიუჯეტო სფეროს მუშაკთა ხელფასის მოწესრიგებით;
- დასაბეგრი ბაზის გაფართოებით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი 2013 წლის 24 მაისის მდგომარეობით გვ. 75, 76.
2. შესწორებები და კომენტარები საგადასახადო კოდექსში, 2012 წ. 20 დეკემბერი.
3. ლ. სადაღაშვილი, საქართველოს საგადასახადო სისტემის აქტუალური საკითხები და მისი სრულყოფის გზები, გორი, 2011, გვ. 3, 22.
4. <http://www.geostat.ge/>

INCOME TAX ANALYZE IN GEORGIA' S TAX SYSTEM
Lali Sadaghashvili, Gori State Teaching University, Associate Professor
Nanuli Kokashvili, Gori State Teaching University, Associate Professor
RESUME

In the thesis *Income Tax Analyze in Georgia' s Tax System* is considered the role and importance of income tax as one of the main sources of replenishment the budget. In the thesis attention is drawn to transformation of tax system in Georgia, also to reducing taxes and simplifying a tax code. Income tax is separated from direct tax group and is shown the amount of money transferred by individuals tended to be increased based on the survey. In the thesis is considered positive and negative parts of amendment to paragraph 81 of the Code of December 20, 2012. To build up income tax on proportional principle will damage people in need. Conclusions given as a result of analyze will complete income tax as one of the sources of replenishment the budget.

ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირების საკითხისათვის

დალი სეხნიაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: dsekhniashvili@yahoo.com

ნაზი ჭიკაიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ბოლო ორი ათწლეულისათვის დამახასიათებელია გარე ორგანიზაციული სტრუქტურის გართულება, მისი ცვლილებების ტემპის მკვეთრი ზრდა და მსოფლიო ბაზარზე გამწვავებული კონკურენცია. ეს გარემოება მოითხოვს ფარული რეზერვების ძიებას და ეფექტურობის ამაღლებისათვის ახალი გზების ძიებას. ყველა ორგანიზაციული რესურსებიდან სწორედ „ადამიანისეული რესურსი“ ან „ადამიანისეული პოტენციალი“ არის ის რესურსი, რომელიც თანამედროვე ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლებისათვის უდიდეს რეზერვს მოიცავს. „ადამიანისეული ფაქტორი“ განიხილება როგორც არანაკლებ, და შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც, ობიექტი ინვესტირებისათვის, ვიდრე ქარხნები, მოწყობილობები, ტექნოლოგიები და ა. შ. ბოლო პერიოდში ეკონომიკის სფეროში ნობელის ორი პრემია გადაეცა „ადამიანისეული კაპიტალის“ თეორიის შემუშავებისათვის მეცნიერებს: თეოდორ შულცს (1979 წ.) და გარი ბეკერს (1992 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ მთავარი წვლილი ადამიანისეული კაპიტალის თეორიის იდეის პოპულარიზაციაში თ. შულცმა შეიტანა, თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების ფუძემდებლად მაინც გ. ბეკერის ტრაქტატი იქცა. ანალიზისას იგი ამოდიოდა იქიდან, რომ ადამიანის ქცევა არის რაციონალური და მიზანმიმართული [1].

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკაში ადამიანისეული კაპიტალის ცნებაში იგულისხმება ადამიანის ცოდნის, ჯანმრთელობის და გამოცდილების მარაგი, რომელიც ინდივიდის მიერ

შემოსავლების მიღების მიზნით გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის მხოლოდ ცოდნისა და უნარების ნაერთი, რომელსაც ადამიანი ფლობს, არამედ ადამიანისეული კაპიტალის ცნებაში იგულისხმება: ცოდნის, უნარებისა და ჩვევების შექმნილი მარაგიც, რაც საზოგადოებრივი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში შესაძლოა იქნას გამოყენებული და ის ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, ასევე შემოსავლებისა და ხელფასების ზრდას.

ადამიანისეული კაპიტალი არის თითოეული ინდივიდის ცოდნის, უნარებისა და მოტივაციის მარაგი. მასში ინვესტიციების შედეგი შეიძლება იყოს განათლება, პროფესიული გამოცდილების დაგროვება, ჯანდაცვა, გეოგრაფიული მობილურობა, ინფორმაციის მოძიება. მკვლევარების პირველადი ინტერესები ეხებოდა განათლებისგან ეკონომიკური სარგებლის მიღების შეფასებას.

გ. ბეკერმა პირველმა ჩაატარა განათლების ეკონომიკური ეფექტიანობის სტატისტიკურად კორექტული გაანგარიშება. უმაღლესი განათლებიდან მიღებული შემოსავლის განსაზღვრისათვის, მან, იმ ადამიანების მთლიან შემოსავალს, ვინც დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, გამოაკლო ადამიანების მთლიანი შემოსავალი, ვისაც საშუალო განათლების გარდა სხვა განათლება არ მიეღო. სწავლების ხარჯების, პირდაპირ დანახარჯებთან ერთად (სწავლის საფასური, საერთო საცხოვრებელი და ა. შ.) ძირითად ელემენტს შეადგენს „განუსაზღვრელი მოგება“ ანუ შემოსავალი, რომელიც განათლებაზე დახარჯული დროის პერიოდში შეიძლება მიეღო ადამიანს, და ითვლება ალტერნატიულ დანახარჯად. სწავლის პერიოდში დანახარჯებსა და შემოსავლების თანაფარდობის განსაზღვრის შემდეგ გ. ბეკერმა მიიღო 12-14% წლიური მოგების მაჩვენებელი.

მნიშვნელოვანი დასკვნა მდგომარეობდა იმაში რომ, საყოველთაოდ აღიარებული შეფასებით, ეკონომიკური უთანასწორობაა, ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების შეფასება ახლანდელი შემოსავლების მიხედვით და არა მთლიანი სიცოცხლის მანძილზე მიღებული შემოსავლების მიხედვით. ახალგაზრდები, რომლებმაც ჩადეს ინვესტიცია განათლებაში, შეგნებულად თანხმდებიან მიმდინარე დაბალანაზღაურებად სამუშაოს, სტაჟის დაგროვებისა და მომავალში მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილის პოვნის იმედით. ქალთა შედარებით დაბალი ხელფასები უმეტესად იმით არის გამოწვეული, რომ ისინი ნაკლებ ინვესტიციებს დებენ იმ უნარების ასამაღლებლად, რომლებსაც საბაზრო ღირებულება გააჩნიათ. სამაგიეროდ, ისინი მეტ ინვესტიციებს დებენ იმ უნარების ასამაღლებლად, რომლებსაც საოჯახო წარმოებაში გააჩნიათ დიდი ღირებულება.

ადამიანისეულ კაპიტალსა და „ჩვეულებრივ“ კაპიტალს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა. პირველი, ადამიანისეული კაპიტალი, მანქანა-დანადგარებისა ან აქციების პაკეტისაგან განსხვავებით, არ შეიძლება ყიდვა-გაყიდვის საგანი იყოს. ბაზარზე ფასები დგინდება ადამიანისეული კაპიტალის იჯარით გამოყენებაზე, ქირაზე (ხელფასის სახით), ხოლო ფასები მის აქტივებზე არ არის ხელმისაწვდომი, რაც სერიოზულად ართულებს ანალიზს. მეორე, ადამიანისეულ კაპიტალს შეუძლია საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო სექტორში და მისგან მიღებული შემოსავალი შეიძლება გამოხატულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი ფორმით. შედეგად, ადამიანში ჩადებული სამომხმარებლო ასპექტები არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმოებაში. თუმცა, ძირითადი მახასიათებლებით ადამიანისეული კაპიტალი ფიზიკურს ჰგავს: მან შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში მოიტანოს სარგებელი; სჭირდება შენახვისა და აღდგენის ხარჯები; შეიძლება მოძველებულ იქნას მანამ, ვიდრე იგი ფიზიკურად გაცვდება.

„ადამიანისეული კაპიტალის“ თეორეტიკოსები იმ წარმოდგენიდან გამოდიან, რომ განათლებასა და მომზადებაში ინვესტიციების განხორციელებისას სტუდენტები და მშობლები რაციონალურად იქცევიან შესაბამისი ხარჯების და სარგებლის შეფასებისას. მეწარმეების მსგავსად, ისინი აჯამებენ მოსალოდნელ შედეგებს და საზღვრავენ რამდენად მიზანშეწონილია ამ ინვესტიციის განხორციელება. შესაბამისად, იღებენ გადაწყვეტილებას სწავლის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

ასე, რომ ეკონომიკური უკუგება არის, როგორც განათლების სხვადასხვა ტიპებსა და დონეებს შორის ინვესტიციების განაწილების მარეგულირებელი, ასევე განათლებასა და დანარჩენ ეკონომიკას შორის ინვესტიციებს განაწილების მარეგულირებელი.

ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციებიდან ეკონომიკური უკუგების გაანგარიშების ორი მიდგომა არსებობს: პირველი სარგებლისა და დანახარჯების პირდაპირ გაანგარიშებას ეფუძნება. მაგალითად, უმაღლესი განათლებისგან მიღებული შემოსავალი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც უმაღლესდამთავრებულთა და საშუალო განათლების მქონეთა მთლიანი სიცოცხლის მანძილზე მიღებულ შემოსავლებს შორის სხვაობა. დანახარჯებში, პირდაპირი ხარჯების გარდა, შედის დაკარგული მოგება, ანუ შემოსავალი, რომელიც სტუდენტმა სწავლის პერიოდში ვერ მიიღო (არსებითად, იზომება სტუდენტის დროის ღირებულება, რომელიც მათ ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე დახარჯეს). დაკარგულ მოგებაზე სწავლის მთლიანი ხარჯების ორი მესამედი მოდის.

მეორე მიდგომა ეფუძნება ე. წ. „მოგების წარმოებითი ფუნქციების“ პარამეტრების შეფასებას, რომელიც აღწერს ადამიანის შემოსავლის დამოკიდებულებას მისი განათლების დონეზე, სამუშაო გამოცდილებაზე, გამომუშავებული დროის ხანგრძლივობასა და სხვა ფაქტორებზე.

გათვლები აჩვენებს, რომ ადამიანური კაპიტალის რენტაბელობა, როგორც წესი, უფრო მაღალია ვიდრე ფიზიკურის. ეს სტუდენტებისა და მათი მშობლების რაციონალური ქცევის სავარაუდო სარგებლიანობას მოწმობს. ამერიკაში უკუგების ნორმამ დაწყებით განათლებაში 50-100%-ს მიაღწია, საშუალო განათლებაში - 15-20%-ს, ხოლო უმაღლეს განათლებაში - 10-15% [2].

ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების უკუგების ნორმები სხვადასხვა ტიპის სამუშაო ძალას სხვადასხვა აქვს. მამაკაცებს უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ქალებს და თეთრკანიან მოსახლეობას უფრო მეტი აქვს, ვიდრე ფერადკანიანს. საერთაშორისო შედარებები აჩვენებს, რომ სულიერი შემოსავლის ზრდასთან ერთად მცირდება ადამიანში ჩადებული ინვესტიციების ეფექტურობა, მაგრამ ყველაზე მდიდარ ქვეყნებში სულიერი შემოსავლის ზრდასთან ერთად ადამიანში ჩადებული ინვესტიციის ეფექტურობაც იზრდება.

ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების უკუგების შიდა ნორმებს აკრიტიკებენ იმ მოტივით, რომ განათლებული მუშა ხელის მაღალი შემოსავალი შეიძლება არ იყოს მათ მიერ მიღებული განათლებისა და გამოცდილების შედეგად მიღებული, არამედ შესაძლოა, მათი ბუნებრივი ნიჭის ან მათი წარმომავლობის შედეგი იყოს. თუმცა, ემპირიული ანალიზი აჩვენებს, რომ როგორც ნიჭის ფაქტორი, ისე სოციალური ფაქტორი არსებით დამოუკიდებელ როლს არ თამაშობენ. ისინი შემოსავლებზე ზეგავლენას, ძირითადად, ირიბი გზით ახდენენ, ანუ მიღებული განათლების ხარისხსა და მოცულობაზე ზემოქმედებით.

სამრეწველო მომზადება, ადამიანისეული კაპიტალის თეორეტიკოსების აზრით, მოიცავს როგორც ფირმის შიგნით ფორმალურ სწავლებას, ასევე უშუალოდ შრომითი საქმიანობის დროს დაგროვილ გამოცდილებას. დიდი თეორიული მნიშვნელობა იქონია გ. ბეკერის მიერ ადამიანში სპეციფიკური და ზოგადი ინვესტიციების განსხვავებამ (მოგვიანებით ზოგადი და სპეციფიკური რესურსების გამიჯვნამ საფუძველი დაუდო ფირმის ტრანსაქციური თეორიის ჩამოყალიბებას). სპეციალური მომზადების დროს თანამშრომლები ისეთ ცოდნასა და უნარებს იძენენ, რომელიც მხოლოდ იმ ფირმის ინტერესს წარმოადგენს, სადაც ისინი მუშაობენ, ხოლო საერთო მომზადების დროს თანამშრომლები იძენენ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლის გამოყენება სხვა ბევრ ფირმაშიც იქნება შესაძლებელი. საერთო მომზადების დაფინანსება არაპირდაპირი გზით თვითონ თანამშრომლების მიერ ხდება, სწავლის დროს ისინი ცდილობენ კვალიფიკაციის ამაღლებას და თანხმდებიან შედარებით დაბალ ხელფასზე. სპეციალური მომზადება კი, პირიქით, ძირითადად, ფირმების მიერ ფინანსდება.

აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების მოცულობა საწარმოო გადამზადებაში შეიძლება შევადაროთ ინვესტიციის მოცულობას განათლების ფორმირებაში. მისი უკუგების ნორმები არ ჩამოუვარდება განათლების უკუგების ნორმებს.

გასული საუკუნის 70-ან წლებში ადამიანისეული კაპიტალის თეორია ე. წ. „ფილტრის თეორიის“ თავდასხმის ობიექტი გახდა (მისი ავტორები არიან ცნობილი ეკონომისტები და სოციოლოგები, კერძოდ: ა. ბერგი, მ. სპენსი, ჯ. სტიგლიცი, პ. უილსი და კ. ეროი). ამ თეორიის თანახმად, განათლება ისეთ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც ადამიანებს მათი უნარებისა და დონის მიხედვით ახარისხებს. ამ ინფორმაციას ფირმები უფასოდ ღებულობენ, რომელიც მათ პერსპექტიული კადრების შერჩევაში ეხმარებათ. შედარებით მაღალი შემოსავლების მიღება დაკავშირებულია არა თანამშრომლების მიერ მიღებულ განათლებაზე, არამედ მათ პირად შესაძლებლობებზე.

„ფილტრის თეორია“ ცალკეული ადამიანებისათვის დიპლომის ფლობის სარგებლიანობას ეჭვქვეშ არ აყენებს. მიუხედავად ამისა, „ფილტრის თეორიის“ არგუმენტები არასაკმარისად დამაჯერებელია. განათლებას შემრჩევის როლში მაშინაც კი შეუძლია ეფექტიანობის ამაღლებაზე მოახდინოს ზემოქმედება, როდესაც ეხმარება მომავალ თანამშრომლებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია საკუთარ შესაძლებლობებზე. ეხმარება საკუთარი თავის უკეთ შეცნობასა და ეკონომიკურ სისტემაში უფრო მეტად შესაფერისი ადგილის პოვნაში. საპირისპიროდ „ფილტრის თეორიის“, ფირმები კადრების შერჩევისას არ ეყრდნობიან განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს და მათ ტესტირებაზე საკმაო თანხას ხარჯავენ.

გ. ბეკერის მიერ შემოთავაზებული მოდელი ხსნის არამარტო შრომის შედეგად (ფაქტიურად ადამიანისეული კაპიტალისგან), არამედ ასევე საკუთრებისგან (საჩუქრად ან მემკვიდრეობით მიღებული აქტივებისგან) მიღებული შემოსავლების უთანასწორობას. ადამიანისეულ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციების უკუგება უფრო მაღალია, ვიდრე ფიზიკურ კაპიტალში. თუმცა, ადამიანისეული კაპიტალის შემთხვევაში, ინვესტიციის მოცულობასთან ერთად, მცირდება მიღებული მოგება, როდესაც სხვა აქტივების შემთხვევაში (უძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების და ა. შ.) ძალიან

სოფლის მეურნეობით. ეს საქართველოს ეკონომიკის არაეფექტიანი სტრუქტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს. თითქმის ყველა გარდამავალმა ქვეყანამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და სავაჭრო ურთიერთობების ზრდის სტრატეგია აირჩია. ბოლოდროინდელი გამოცდილება ცხადყოფს, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი ვაჭრობასა და უცხოური ინვესტიციების თავისუფალ შემოდინებას შორის, რაც უფრო სწრაფ ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლის უთანაბრობის შემცირებას უწყობს ხელს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პოზიტიურ როლს ატომატურად არ ასრულებენ. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება დაბალი ტექნოლოგიური გადაცემა მოჰყვეს, თუ უცხოელების საკუთრებაში მყოფი სექტორი იზოლირებული იქნება დანარჩენი მსოფლიოსაგან, როგორც ეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შემთხვევაში იყო. ეს ტენდენცია უფრო ძლიერია მაშინ, როდესაც მიმღებ ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების უფლებები არ არის სათანადოდ დაცული. ამჟამად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ არის მრეწველობაზე ორიენტირებული, იგი ინფრასტრუქტურაში (ტელეკომუნიკაციებში) ან მომსახურებაში (საცალო ვაჭრობა, დაზღვევა და საბანკო სექტორი) იდება. მაგალითად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნახევარზე მეტი არასაწარმოო სექტორშია თავმოყრილი.

მხოლოდ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია საქართველოს ეკონომიკის ზრდის დაჩქარება, განსაკუთრებით ისეთ სექტორში, როგორცაა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (სავაჭრომობილო გზები, რკინიგზა, საზღვაო პორტები და აეროპორტი), ტურიზმი (სასტუმროები), სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების წარმოება და მრეწველობის სხვა დარგები. 2006 წლის დასაწყისში ისეთმა დიდმა ქვეყნებმა, როგორცაა ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, გააერთიანეს იმპორტისა და ექსპორტის ჩანაცვლების სტრატეგიები. სამრეწველო პროდუქციის ექსპორტს ისინი ფარდობითი უპირატესობის (იაფი მუშახელი, მასალატევადი ნაწარმი და ა.შ.) მიხედვით ახორციელებენ. ამასთან, მათ შესწევთ უნარი მიაღწიონ შეთანხმებას და უზრუნველყონ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული ცოდნისა და ნოუ-ჰაუს მძლავრი ნაკადების შემოსვლა და ისარგებლონ მულტინაციონალური კომპანიების სტრატეგიებით.

2003 წლიდან 2010 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 7,531.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 2,015.0 მლნ. აშშ დოლარი 2007 წელს დაფიქსირდა, რაც 69.3%-ით აღემატება წინა წლის მონაცემს. ინვესტიციების მაღალი ტემპი შენარჩუნებული იყო 2008 წლის აგვისტომდე. 2009 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად, განპირობებული იყო რუსეთ-საქართველოს ომის და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით.

2010 წლიდან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2010 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოში, 23.7%-ით მეტი ინვესტიცია იქნა განხორციელებული¹ (ნახ. 1.).

¹ www.economy.ge/uploads/ek_seqtorebi/FDI_geo-1.pdf



წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2012.
ნახ, 1.


მთლიანი შიდა პროდუქტი 2003 – 2012 წლებში შემდეგნაირად განაწილდა:



წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2012.

2012 წლის მშპ ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით ასეთია:

მშპ-ს სტრუქტურა 2012წ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2012.

ინვესტიციები ძირითად კაპიტალში ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილი 1. – ში.

ცხრილი 1.

ინვესტიციები ძირითად კაპიტალში	მლნ ლარი				
	2007	2008	2009	2010	2011
სოფლის მეურნეობა	371.8	391.4	372.0	457.8	520.4
მრეწველობა	874.6	763.6	213.3	426.9	729.3
მშენებლობა	672.7	411.6	163.9	99.8	206.3
ვაჭრობა	252.6	279.5	146.5	352.9	586.8
სასტუმროები და რესტორნები	99.4	57.6	30,4	24.9	51.6
ტრანსპორტი და კავშირგაბმ.	398.6	450.8	245.9	348.6	623.3
საფინანსო საქმიანობა	132.3	111.3	70.2	69.1	112.7
იჯარა და კომერციული საქმიანობა	317.9	280.8	115.1	441.8	710.1
განათლება	39.4	34.5	33.1	60.2	87.4
ჯანმრთელობის დაცვა	101.6	59.2	73.1	79.5	118.9
კომუნალ. და სოციალ. მომს.	231.8	210.6	115.2	91.5	160.2

სახელმწიფო მმართველობა და საერთ. აქტ.	541.0	826.7	1 041.4	1 320.9	1 298.0
პირადი სარგებლობის აქტივები	336.7	220.9	135.6	235.2	269.5
ინვესტ. ძირით. კაპიტალში სულ	4 370.5	4 098.5	2 755.4	4 009.0	5 474.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2012.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2011 წელს უცხოური ინვესტიციების რაოდენობა სოფლის მეურნეობაში 2007 წელთან შედარებით 148.6 მლნ. ლარით გაიზარდა. ამასთან მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა კავშირგაბმულობასა და ტრანსპორტის, განათლების და ვაჭრობის სფეროშიც.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2012 წელს ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაზუსტებული მონაცემები 2013 წლის 11 მარტს გაასაჯაროვა. წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წლის IV კვარტალში 181 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2011 წლის IV კვარტლის დაზუსტებული მაჩვენებლის 53 პროცენტია¹.

ისეთ პატარა ქვეყნებს, როგორც საქართველოა, არც ის მასშტაბები აქვთ, რომ ინვესტორებისათვის მიმზიდველ ბაზრად იქცნენ და არც იმის უნარი შესწევთ, რომ შეთანხმებას მიაღწიონ ნოუ-ჰაუს შემოტანაზე. მათ ორი შესაძლებლობა აქვთ:

- გაერთიანდნენ ორი აღნიშნული მიზნის მისაღწევად ისე, როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნები არიან გაერთიანებულნი MERCOSUR-ში (სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზარი);

- ინტეგრირება მოახდინონ ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანასთან, როგორც აშშ-ს, ALENAA-ში (ჩრდილოეთ ამერიკის ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ) ან ევროკავშირთან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. ეკონომიკური ინტეგრაციის მეორე ფორმა, რომელიც მეზობლობაზეა დაფუძნებული, ბაზრებზე შეღწევის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ცოდნის ტრანსფერის, მომსახურების ექსპორტირებისა და სიახლოვის გამო წარმოების ქვეკონტრაქტული ორგანიზაციის უკეთეს საშუალებას იძლევა. თუ არსებობს სათანადო პირობები, ეს ორი პროცესი შეიძლება გაერთიანდეს. აზიაში, სამხრეთ ამერიკასა თუ აფრიკაში რეგიონული ქვე-ინტეგრირება ამ რეგიონების მიმზიდველობის ხარისხს ზრდის, ვინაიდან ისინი ინვესტორებისათვის უფრო დიდ ბაზრებად იქცნენ. ეს ვარიანტი საქართველომ სერიოზულად უნდა განიხილოს, ვინაიდან ევროკავშირში ინტეგრაცია დაკავშირებულია შავი ზღვის აუზის, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ინტეგრირებასთან.

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მაგრამ ამავედროულად არ უნდა მოხდეს ეროვნული ინტერესების შთანთქმა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს როგორც უცხოურ, ასევე შიდა ინვესტიციების მოზიდვას.

PERSPECTIVES OF ATTRACTING INVESTMENTS IN GEORGIA

Alexander Sichinava, Georgian Technical University, Professor

Aleko Kutateladze, Georgian Technical University, Professor

Maia Kaliashvili, Georgian Technical University, PhD student

RESUME

Attracting investments to the country is a key factor for economic growth potential in any country. Almost all transition countries have chosen a strategy of increasing foreign direct investment and trade relations. Recent experience shows, that there is a direct connection between free trade and foreign investment inflow, which contributes to more rapid economic growth and reduce income inequality.

¹ საქართველოს სტატისტიკური წელიწადი. თბილისი, 2012.

Currently there is no industry oriented foreign direct investments, it goes into the infrastructure (telecommunications) or services (retail, insurance and banking). For example, foreign direct investment in Central and Eastern European countries, more than half are concentrated in non-industrial sectors. Such small countries like Georgia, do not have big possibilities that the markets will become attractive for investors, nor are able to get know - how. They have two possibilities:

-To achieve the goal to unite the two, as well as Latin American countries are members of MERCOSUR-in (South American Common Market countries);

-To integrate with economically powerful country like the United States, ALENA-in (North American Free Trade Agreement) or with the European Union within the framework of the European Neighborhood Policy.

It is important for Georgia to attract foreign investments, but at the same time there can be no absorption of national interests. Country should encourage both foreign and domestic investments.

საგადასახადო მენეჯმენტის თავისებურებანი

თეა ხორგუაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

E-mail: tkhorguashvili@yahoo.com

ნათია ხორგუაშვილი, თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული

პროფესორი

E-mail: n.khorguashvili@mof.ge

საგადასახადო მენეჯმენტის დახასიათებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ, ერთი მხრივ, იგი სამეცნიერო მიმართულებას წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკული საქმიანობის სფეროს. პირველ შემთხვევაში საუბარი უნდა ეხებოდეს საგადასახადო მენეჯმენტის კონცეპტუალურ საფუძვლებს, მეორე შემთხვევაში კი გადასახადებით დაბეგვრის მართვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების კონკრეტულ მეთოდებსა და ხერხებს. კონცეპტუალური საფუძვლები შეიძლება გამოხატული იქნეს საგადასახადო მენეჯმენტის, მისი ობიექტის კვლევის საგნის ფორმულირების მეშვეობით, აგრეთვე ამ სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულების მიერ გამოყენებული მეთოდების ერთობლივი დახმარებით.

საგადასახადო მართვაში, როგორც ეს ხდება ნებისმიერ სხვა მმართველობით სისტემაში, გამოიყოფა მართვის ობიექტები და სუბიექტები. საგადასახადო დაბეგვრის მართვის ობიექტად გამოდიან სხვადასხვაგვარი ფინანსური ურთიერთობანი, ხოლო სუბიექტებად - ის ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება მართვა.

მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია საგადასახადო დაბეგვრის მართვა, რომელსაც ახორციელებს სპეციალური აპარატი განსაკუთრებული წესებისა და მეთოდების გამოყენებით, მათ შორის, სხვადასხვაგვარი სტიმულებითა და სანქციებით.

როგორც წესი, ფინანსური, მათ შორის საგადასახადო ურთიერთობის მართვა მოიცავს საქმიანობას, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ საერთო-საფინანსო პოლიტიკის გატარებას, ფინანსურ დაგეგმვას, ფინანსური რესურსების კორდინაციას, ფინანსების ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას, ფინანსური კანონმდებლობის დამუშავებას. (მესხია ი., „საერთაშორისო ფინანსები“, თბ., 2012) აქვე შედის ბიუჯეტის შედგენა-შესრულება, გადასახადების ამოღება, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება და სახელმწიფო ვალის მართვა. (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ. გვერდი www.mof.ge)

საგადასახადო მენეჯმენტის პრაქტიკა, „ბიზნესის“ და „ბიუჯეტის“ სფეროების სუბიექტებს შორის თანაზომიერი საგადასახადო უფლებისა და პასუხისმგებლობის დადგენის თვალსაზრისით, პროგრამული დოკუმენტის შემუშავებისა და მიღების საშუალებას იძლევა.

საგადასახადო ვალდებულებებისა და მართვადი კომპლექსების შესრულების დროს სახელმწიფო-საგადასახადო მენეჯმენტის ობიექტს წარმოადგენს „ბიზნესის“ სფეროდან „ბიუჯეტის“ სფეროში ფინანსური რესურსების ლეგიტიმური ნაკადი, როგორცაა წინასწარი ინვესტიციებისა და სხვა საგადასახადო კრედიტების მიღების დროს სახელმწიფო ურთიერთობები. საგადასახადო მენეჯმენტი მრავალმნიშვნელოვანი და იერარქიულად რთულია. იგი ერთმანეთს შორის

ურთიერთმოქმედი სამი ძირითადი სფეროსაგან შედგება: ეს არის საგადასახადო დაგეგმვა და პროგნოზირება, საგადასახადო რეგულირება და კონტროლი. ამ სამი სფეროს არსებობა წინასწარ არის განსაზღვრული დაბეგვრის სისტემის ისეთი ფუნქციებით, როგორცაა ფისკალური და მარეგულირებელი. დაბეგვრის მეშვეობით ხორციელდება განვითარების ძირითადი მიმართულება და გადაწყვეტილების მიღება, რომლებიც მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფენ.

საგადასახადო დაგეგმვის სფერო არაერთგვაროვანია და იშლება საბიუჯეტო - საგადასახადო და კორპორაციულ დაგეგმვად. პირველის მიზანია სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მოთხოვნათა უზრუნველყოფა და შემოსავლების წყაროების მიხედვით დასმული სოციალურ - ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის უზრუნველყოფა. მეორის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა გადასახადების გადახდის ოპტიმიზაცია, მათი მინიმიზაციის კანონიერი ხერხების ძიება.

მართვის თეორიაში დაგეგმვასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კიდევ ერთ ფუნქციას გამოყოფენ - რეგულირებას, რომელიც სახელმწიფო-საგადასახადო მენეჯმენტის ყველაზე უფრო მობილური სფეროა.

გადასახადებით დაბეგვრის მართვის პრობლემატიკის ფარგლებში რეგულირება განხილულ უნდა იქნეს უშუალოდ ამ პოზიციიდან გამომდინარე, ანუ მართვის პროცესის როგორც შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიმართულია კანონმდებლობით დამტკიცებული საბიუჯეტო - საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფაზე და, მათ შესაბამისად, მიღებულ საგადასახადო კონცეფციაზე. მიღებული საგადასახადო კონცეფციის ჩარჩოებში საბიუჯეტო - საგადასახადო დავალების შესრულების მიხედვით ზომების შემუშავება და რეალიზაცია გადასახადებით დაბეგვრის სისტემის შიდა საქმე და მისი მიმართველი ორგანოს პირდაპირი მოვალეობაა.

გადასახადებით დაბეგვრის ასეთი ფუნქციონალური დატვირთვისათვის ორივე პოლუსს საგადასახადო კონტროლი მოიცავს. საგადასახადო ადმინისტრაციის ეფექტური მაკონტროლებელი მოქმედება აუცილებელია, როგორც სახელმწიფოს შემოსავლების ფორმირებისას, ასევე ჰორიზონტალურად (დარგების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შიგნით) და ვერტიკალურად (ბიუჯეტებს შორის ურთიერთობების) ფინანსური (ფულადი) ნაკადების რეგულირების დროს.

საგადასახადო კონტროლი აუცილებელია აგრეთვე საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე „ბიზნესის“ და „ბიუჯეტის“ სფეროების ინტერესების შეთანხმების დროსაც. საგადასახადო კონტროლი უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფოს შიდა ფისკალურ ინტერესებს, ასევე მის ინტერესებსაც საერთაშორისო დონეზე.

გადასახადის გადამხდელის მხრიდან დაბეგვრაში საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობა, არადროული ან არასრული შესრულება ერთ - ერთი ყველაზე გავრცელებული საგადასახადო სამართალდარღვევაა. (საქართველოს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ. გვერდი www.rs.ge)

ამასთან მიგვაჩნია, რომ ხშირად გადასახადების გადამხდელთა მხრიდან გადასახადის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის, არადროული, ან არასრული შესრულების ერთ-ერთ საფუძველს საგადასახადო კანონმდებლობის სხვადასხვა სახის არასრულყოფილებაც წარმოადგენს, რაც საბოლოო ჯამში გადასახადიდან თავის არიდების საფუძველი ხდება. მათ რიცხვში შედის გადასახადებით დაბეგვრის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ფორმულირებული საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების არაერთგვარ მნიშვნელოვანი განმარტების შესაძლებლობა, საგადასახადო ორგანოებში სრულყოფილი კვალიფიციური და კომპეტენტური კადრების უკმარისობის შედეგად სრულყოფილი აპარატის არარსებობა, ტექნიკური შეცდომები, მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული დებულებები გათვალისწინებული ნორმების არასრულყოფილი, არაერთგვაროვანი განმარტება და ა. შ.

დაბეგვრის სისტემის ფისკალური მიმართულება მის მასტიმულირებელ როლს ყოველთვის ახშობს, ამიტომ სახელმწიფო საგადასახადო მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბების (აგების) დროს მნიშვნელოვანია ის, რომ მისი ელემენტების შერჩევა ეკონომიკური სტიმულირების უპირატესობის პრინციპის მიხედვით მოხდეს. მასტიმულირებელი ხასიათის საგადასახადო რეგულირება თავისთავად რთული მოქმედებაა, რადგანაც დაბეგვრის შინაგანი შემადგენლობა, როგორც ასეთი, ეკონომიკური ინტერესების ერთობლიობა და დაპირისპირებაა.

საგადასახადო შემოსულობათა დინამიკა ნათლად აჩვენებს სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის დონესა და გატარებულ საგადასახადო პოლიტიკას შორის უშუალო დამოკიდებულების არარსებობაზე. (საქართველოს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ. გვერდი www.rs.ge)

კვლევით დადგენილია, რომ საგადასახადო შეღავათების გამოყენებით შესაძლებელია ეროვნული მეურნეობის, რეგიონებისა და დარგების განვითარების სტიმულირება, ან, პირიქით, შეფერხება.

მეცნიერ-მკვლევართა და პრაქტიკოსთა დიდი ნაწილის აზრით, აუცილებელია ცალკეული გადასახადების განაკვეთების შემცირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წარმოების განვითარებისათვის სათანადო სტიმულების შექმნა. საგადასახადო ტვირთის შემცირების მომხრეები საზღვარგარეთის

ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირება გამოიწვევს ყველა დონის ბიუჯეტის შემოსავლების კლებას, თუმცა ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის გამოცოცხლებას და დასაბეგრი შემოსავლების ლეგალიზაციის დონის გაზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყანას მიიყვანს საგადასახადო დაბეგვრის ბაზის გაფართოებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას შეუძლია მნიშვნელოვანწილად შეუწყოს ხელი სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას. დღემდე არ არსებობს საგადასახადო პოლიტიკის გატარების მწყობრი კონცეფცია, რის გამოც მუდმივი ცვლილებები, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობაში შედის, ხშირად „წუთიერ“, კონიუნქტურულ ხასიათს ატარებს, რომელიც ქვეყანაში წარმოების დაცემის, სოციალური პოლიტიკის კრახისა და სხვა ნეგატიური ეკონომიკური შედეგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს. ამავდროულად მიგვაჩნია, რომ საგადასახადო პოლიტიკა ცხადია „პანაცეა არაა ყველა უბედურებისა“, არამედ იგი ეკონომიკაზე ზემოქმედების ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სახელმწიფოს მართვის არსენალში. საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის უმთავრეს მომენტად მიგვაჩნია საგადასახადო დაბეგვრის პრინციპების მტკიცედ დაცვა, სახელდობრ:

1. გადასახადების განაკვეთების დიფერენცირება შემოსავლების მიხედვით;
2. გადასახადების ამოღების ვადების ზუსტი დაცვა;
3. გადასახადის გადამხდელთათვის ეკონომიკური საქმიანობის გაფართოების უზრუნველსაყოფად ხელსაყრელი პირობების შექმნა;
4. გადასახადის ამოღების ხარჯების მაქსიმალურად შემცირება;
5. საგადასახადო სისტემის მენეჯმენტის შემდგომი სრულყოფით დაბეგვრის სისტემის მაქსიმალური რეალიზაცია;
6. გადასახადის განაკვეთების შემცირებისა და შეღავათების რაციონალური გამოყენებით საგადასახადო ტვირთის ოპტიმუმის დაცვის უზრუნველყოფა გადამხდელის შემოსავლის 35-45%-ის ფარგლებში.

ქვეყნის საგადასახადო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური პროცესების რეგულატორი უნდა იყოს. აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს საგადასახადო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების რეალიზება და შეთანაწყობა.

საგადასახადო სისტემის მართვის ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნის საფინანსო და საგადასახადო აპარატის მუშაკთა მიზანმიმართული საქმიანობა ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი ფონდების ფორმირების პროცესში.

ლიტერატურა:

1. მესხია ი., „საერთაშორისო ფინანსები“, თბ., 2012.

ინტერნეტ-რესურსები:

1. საქართველოს საპარლამენტო და საბიუჯეტო ოფისის ვებ. გვერდი www.pbo.ge
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ. გვერდი www.mof.ge
3. საქართველოს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ. გვერდი www.rs.ge

TAX MANAGEMENT FEATURES

Tea Khorguashvili, Gori State Teaching University, Professor

Natia Khorguashvili, Tbilisi international Teaching University, Associate Professor

SUMMARY

Taxes are one of the most important and the most problematic issue at the same time of XXI century, generally tax system and ongoing changes that happen in terms of tax system in our country.

Effective functioning and the viability of any country's economic system, including, greatly depends on functionality of tax system, existing in the country and the tax politics effected by the state. Hence it follow that, taxes are economic base of existence of the state and the fundamental source to complete the budget, with fiscal purpose, taxes are used as powerful mechanism to regulate the state's economy.

აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობები აჭარის რეგიონში

გიორგი ჯაბნიძე, ბათუმის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

გიორგი ჯაბნიძე, საქართველოს ბანკის აჭარის რეგიონალური კორპორაციული საბანკო მომსახურეობის დეპარტამენტის ბანკირი

ლაშა ლამპარაძე, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტურიზმისა და მარკეტინგის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი

მოგზაურობებისა და დასვენების საუკეთესო საშუალებაა აგროტურიზმი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა დააკმაყოფილოს მოსახლეობის ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებანი. ასევე მას შეუძლია შეასრულოს ეკონომიკური, სოციალური და ბუნების დაცვითი ფუნქციებიც, რომლებიც ქვეყნის ან მისი ტერიტორიის ნაწილის – რეგიონის – განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შეფასებით უახლოესი 15 წლის მანძილზე ტურისტების მხრიდან მოთხოვნა აგროტურისტულ პროდუქტებზე ათეულში მე-6 პოზიციას იკავებს. საქართველოში აგროტურისტული პროდუქტების მდიდარი რესურსული პოტენციალია და მათ გონივრულ გამოყენებას პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. აგროტურიზმი კულტურულ ტურიზმთან ერთად ტურისტული პროდუქტების მრავალფეროვნების შექმნისა და ეფექტიანი გამოყენების საფუძველია (დ. ჯაში, 2006).

აგროტურიზმი იმყოფება მჭიდრო კავშირში გეოგრაფიის ახალ დარგთან – რეკრეაციულ გეოგრაფიასთან, რომელიც შეისწავლის აგროტურიზმის განვითარების ბუნებრივ-გეოგრაფიულ, კულტურულ-ისტორიულ და სხვა პირობებს.

მრავალმა ქვეყანამ გაითავისა აგროტურიზმის ეფექტურობა და ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შემუშავებულ იქნა და წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს აგროტურიზმის განვითარებისა და შენარჩუნების კონცეფციას. მაგალითად, ეს საკითხი, გერმანიის ტურისტული ინდუსტრიის მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება და მისი შესწავლის საგანია. დღეს გერმანული მოსახლეობისათვის შვებულების გატარების მთავარი მოთხოვნილება არის დასვენება სოფლის ტერიტორიაზე, სიმშვიდე და რელაქსაცია (რ. ჯაბნიძე, 2010).

დღითიდღე აგროტურიზმს სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება და იგი ერთ-ერთ პრიორიტეტულ ტურისტულ დარგად გვევლინება ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. სასოფლო ტერიტორიაზე დასვენების მსურველთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, მაშინ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო თავისებურებებიდან გამომდინარე სოფლის ტერიტორიების დიდი ნაწილი გამოუყენებელია. ამ მიწების აქტიურად გამოყენება შესაძლებელია აგროტურიზმისათვის (აქვე იგულისხმება ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა).

ყოველივე აქედან გამომდინარე, აგროტურიზმი გვევლინება ეფექტურ საშუალებად, რათა განაახლოს და გააუმჯობესოს ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო რაიონები, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, გაიზარდოს სამუშაოს მრავალფეროვნება, მომსახურების დონე და ცხოვრების პირობები. იგი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს სასოფლო სამეურნეო საქმიანობის განვითარებაზე, ხდება ფერმერებისა თუ სოფლის მოსახლეობის კულტურული ინფორმაციის მიწოდების გაფართოება, პეიზაჟებისა და ბუნების მოვლა, ხალხური რეწვის საქმიანობის განვითარება. აგროტურიზმი აუმჯობესებს ქვეყნისა თუ რეგიონის ინფრასტრუქტურას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სხვა ეკონომიკური საქმიანობის ზრდას აგრარულ რაიონებში.

მსოფლიოს გამოცდილება აჩვენებს, რომ იმ რეგიონებში, სადაც განვითარდა აგროტურიზმი, საგრძნობლად გაუმჯობესდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პირობები, იმ მოსახლეობისა, რომელიც ცუდი პირობების გამო იზოლირებულია და ცხოვრობს მიყრუებულ სოფლებში. იმ პერიოდში, როდესაც აგროტურიზმმა ზრდა დაიწყო, საკმაოდ რთული იყო აღრიცხულიყო ტურიზმის ამ ნაირსახეობის სტატისტიკა მსოფლიოს მასშტაბებით, რადგანაც, ფაქტობრივად, მხოლოდ ცალკეული ქვეყნები ახორციელებენ ისეთ სტატისტიკას, სადაც აგროტურიზმის მონაცემები გამოიყოფა ტურიზმის სხვა სახეთა მონაცემებისაგან (გაზეთი „აჭარა“, 2011).

აგროტურისტული საქმიანობის პერიოდში გარდაუვალია გარემოს ცვლილება. ადრეულ წლებში აგროტურისტული საქმიანობის ანალიზის კვლევებს ეთმობოდა მცირე ყურადღება. თანამედროვე პირობებში გარემოს დაცვის პრობლემასა და მის გაუმჯობესებას უკავია მნიშვნელოვანი ადგილი

თანამედროვე კვლევებში. აგროტურიზმი ვერ განვითარდება გარემოსთან ურთიერთქმედების გარეშე, მაგრამ აგროტურიზმის განვითარების მართვისა და დაგეგმვის საშუალებით შესაძლებელია შემცირდეს ნეგატიური ზემოქმედება და გაიზარდოს დადებითი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს საქართველოში სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 47,3%, ნათელი გახდება, რომ იაფი და სოფლის ცხოვრების წეს-ჩვეულებების მცოდნე შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენებით ქვეყანაში არსებობს აგროტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი რეზერვები.

მხედველობაშია მისაღები ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. საქართველოს ტერიტორიის 54,4% ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ამ ტერიტორიების უმეტეს ნაწილზე ინტენსიური აგრარული პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები შეზღუდულია. მთისა და მაღალმთიანი ზონის ეკონომიკურ აღმავლობაში ადგილობრივი, არაინტენსიური, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებასა და ტრადიციებს, ფლორასა და ფაუნას, ლამაზ ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოს აგროტურიზმის განვითარებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია. საქართველოს მთიანეთი სამ რეგიონს – აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიანეთს განსხვავებული ტრადიციებით, რესურსული პოტენციალით, სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალით, სოციალურ-ეკონომიკური პირობებით დიფერენცირებული აგროტურისტული პროდუქტების შეთავაზებაც შეუძლიათ მომხმარებლისათვის. ამასთან, მთის რეგიონებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშან-თვისებების ორიენტაციით კონკურენტული აგროტურისტული პროდუქტების მიწოდება უკვე შესაძლებელია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

ინფრასტრუქტურა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა არის საქართველოს ეკონომიკის ის სამი პრიორიტეტული მიმართულება, რომელთა საფუძველზე მომავალი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი გაორმაგდება. აღნიშნული სამი პრიორიტეტული მიმართულება მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ურთიერთზემოქმედებას განიცდის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურიზმის, მათ შორის, აგროტურიზმის მულტიპლიკაციური ეფექტი, რომელიც ასტიმულირებს მასთან დაკავშირებულ ისეთ დარგებს, როგორებიცაა: ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, კავშირგაბმულობა, სამომხმარებლო საქონლის წარმოება, სოციალური სფერო და ა.შ. სწორედ ამიტომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგროტურიზმს, რომელიც სოფლის მოსახლეობას არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

არსებობს აგროტურიზმის მოდელის ფორმირების ორი კონცეფცია. პირველი კონცეფციის თანახმად აგროტურისტულ ბიზნესს აწარმოებენ მცირე ფერმერული და პირადი დამხმარე მეურნეობები საკუთარი ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენებით. რა თქმა უნდა, ასეთი დაფინანსების პირობებში ტურისტთა დიდი ნაკადის მოზიდვა ფაქტობრივად გამორიცხულია, მაგრამ ეს მოდელი ქმნის აგროტურიზმის განვითარების საფუძველს. მეორე კონცეფცია ითვალისწინებს აგროტურიზმის კომპლექსურ განვითარებას, ანუ სოფელში აგროტურიზმი ხდება ბიზნესის წამყვანი სახე, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტის რეკრეაციულ მომსახურებას სოფლის რესურსების გამოყენების საფუძველზე. ხშირად ეს ორი კონცეფცია ერთი და იმავე პროცესის ორი ეტაპის სახით განიხილება. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში აგროტურიზმი სწორედ ასეთი ეტაპების სახით ვითარდება და მისი განვითარების საწყისი მოტივები ძირითადად სოციალურ ხასიათს ატარებდა, ხოლო სახელმწიფო პოლიტიკა ლოკალური აგროტურიზმის მხარდაჭერაზე იყო გათვლილი. ამის გამო ევროპაში დღესაც აგროტურიზმის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა ეკონომიკურად ჩამორჩენილ რაიონებზეა ორიენტირებული. ასეთი პოლიტიკის აუცილებლობა, როგორც წესი, განპირობებულია ადგილობრივი აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაკარგვითა და სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებაზე გამიზნული რესტრუქტურირების აუცილებლობით. შესაბამისად, აგროტურიზმი განიხილებოდა და ახლაც განიხილება როგორც ეკონომიკური საქმიანობის ალტერნატიული სახე, რომელსაც ჩამორჩენილი რეგიონების შემოსავლების უზრუნველყოფა შეუძლია.

აგროტურისტული პროექტი საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე უნდა გაიტანონ, უპირველესად, ტურისტულმა ფირმებმა, რადგან სოფლის მოსახლეობას ჯერჯერობით არა აქვს პირდაპირი მარკეტინგის, უცხოეთში რეკლამის დაფინანსების, ან ინტერნეტით პროდუქტის გაყიდვის საშუალება. ამ თვალსაზრისით საჭიროა გათვალისწინებული იქნას შემდეგი პრიორიტეტები:

1. აუცილებელია აგროტურისტული პროფილის ტუროპერატორის არსებობა. თანახმად არსებული პრაქტიკისა ქართული ტურისტული ფირმების უმრავლესობა უნივერსალურობისაკენ მიისწრაფვის. მათ არ გააჩნიათ სურვილი ერთი რომელიმე სეგმენტის სპეციალისტად იწოდებოდნენ, რაც ხელს უშლის პროფესიონალიზმს და შესაბამისად ტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე მოუშაადებელი გადის. მოუშაადებლობაში ვგულისხმობთ უცხოელი ტურისტის მოთხოვნილებების არასრულყოფილად ცოდნას, რის გამოც მიწოდებული პროდუქტი არ შეიცავს მოსალოდნელ მომსახურებას;

2. აგროტურისტული პროდუქტი უნდა იყოს იაფი, რადგან ძირითადი მოტივაცია სოფლის ტურიზმისა არის იაფად, ნაკლები კომფორტით, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა და სასიამოვნო გარემოში დასვენება. ეს გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს პირობებში, რადგან დამწყები ბიზნესმენები გატაცებული არიან მაღალპროცენტური მოგების მიღებით; აგროტურიზმისათვის შერჩეულ სოფლებში უნდა ჩატარდეს საინფორმაციო-სააგიტაციო სამუშაოები ტურიზმის როლისა და ადგილის შესახებ ადგილობრივ დონეზე. უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობის და მმართველობითი რგოლის მომზადება ტურისტების მისაღებად;

3. აგროტურიზმისათვის სოფლებში კონკრეტული მასპინძლის შერჩევისათვის ტურისტულ ფირმებს უნდა ჰქონდეთ აუცილებელი პირობების ჩამონათვალი, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგ კონკრეტული სახლი შევა განთავსების საშუალებათა ნუსხაში. ეს პირობებია: ადგილის უსაფრთხოება, ღამაზე ბუნება და ღანდშაფტი: ტყის, მდინარის, ტბის, ან სამკურნალო წყლის არსებობა; სასურველია გლეხის კარმიდამოს გააჩნდეს ეროვნული სახე და ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტები: ცალკე საძინებელი, საშხაპე და ტუალეტი, მასპინძლის ოჯახში კვების საშუალება. უცხოელი ტურისტები დიდ ყურადღებას აქცევენ სოფლებში ისტორიული ძეგლებისა და სხვა ღირსშესანიშნაობის არსებობას, საცხოვრებლის სიახლოვეს რესტორნის, ტავერნის, ან ეროვნული კერძების სამზარეულოს არსებობას;

4. საინფორმაციო-სარეკლამო მასალების დამზადება უნდა მოხდეს საზღვარგარეთული ანალოგების გათვალისწინებით (კვიპროსი, ბულგარეთი და სხვ.), როგორც წესი, სოფლის ტურიზმის სარეკლამო მასალები უხვად არის ილუსტრირებული გლეხის კარ-მიდამოს ამსახველი ფერადი ფოტოები, მიმღები რაიონების შესახებ ვრცელი ინფორმაცია, განსაკუთრებით, ადათ-წესებისა და ტრადიციების შესახებ, აგროტურისტული პროდუქტის გასაღების ერთ-ერთი საშუალებაა სპეციალიზირებული ბაზრობები, აგრეთვე ის ბაზრობები, სადაც მომხმარებლები ჭარბობენ პროფესიონალებს.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარების კარგი პერსპექტივები არსებობს, მაგრამ საწყის ეტაპზე მას სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება და ეს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში უნდა აისახოს. აგროტურიზმში სახელმწიფო მხარდაჭერა შეიძლება ითვალისწინებდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აგროტურიზმის განვითარების პოტენციალის შესწავლას, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოთხოვნილებების შესწავლას, აგროტურიზმის განვითარებით დაინტერესებული ოჯახების ინფორმაციულ უზრუნველყოფას, მათ მომზადებას ტურისტების მისაღებად და აუცილებელი პირობების გაცნობას, საერთაშორისო ბაზარზე ტურისტული პროდუქტის რეკლამირებას და სხვა.

ლიტერატურა:

1. დ. ჯაში, გარემოს მდგრადი განვითარების საკითხები, გორი, 2006.
2. რ. ჯაბნიძე, სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია, ბათუმი, 2007.
3. აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები აჭარის მაღალმთიან რეგიონში. გაზეთი „აჭარა“, 2011.

POSSIBILITIES OF DEVELOPMENT OF AGRITOURISM IN AJARA

Giorgi Jabnidze, Batumi Agrarian and Membrane Technologies Institute, Academic Doctor of Agriculture
Giorgi Jabnidze, Banker of the Regional Corporation Bank Service Department of the Bank of Georgia in Adjara

Lasha Lamparadze, Leading Specialist of the Department of Tourism and Marketing of Batumi Botanical Gardens

RESUME

Sustainable tourism provides fair distribution of incomes and expenses.

Products of agro tourism should be exported to international market mainly by tour agencies because the population can not afford direct marketing, financing the advertisement abroad or purchasing products on the internet. Agro tourist product should be affordable because main motivation of rural tourism is a relaxation with less comfort but environmentally clean and nice atmosphere.

In order to select villages and host for agro tourism tour agencies should have a list of necessary conditions after satisfying of which the specific house will be included in the list of accommodation means. These means include: Place safety, beautiful nature, landscape. It is desirable that the house and yard of the peasant had a national image and the following elements of infrastructure: separate sleeping-room, and a toilet. Foreign tourist pay a great attention to the existence of historical building and other sightseeing in the village.

აუდიტი ფინანსური კონტროლის სამსახურში და ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელობა ბიზნესის განვითარების საქმეში

ნატო ჯაბნიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

ნათია წიკლაშვილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

ეროვნული ეკონომიკის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა ეკონომიკის მდგომარეობისა და საზოგადოებაში ეკონომიკურ-სოციალური პროცესების განვითარების კონტროლი. სახელმწიფო კონტროლის სისტემაში მთავარი რგოლია ფინანსური კონტროლი, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეობაა და მისი მიზანია სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა. იგი მოიცავს საფინანსო სისტემის ყველა რგოლს: ფინანსური რესურსების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების კონტროლს, იმის გამო, რომ ფინანსური კონტროლი ღირებულებითი კონტროლია, კონტროლის სხვა სახეობებიდან განსხვავებით, მას საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა სფეროში აქვს ადგილი და ფულადი ფონდების მოძრაობის ყველა პროცესის თანამგზავრია.

თანამედროვე პირობებში ყველა ქვეყნისათვის ფინანსური კონტროლის ძირითად ამოცანებად მიჩნეულია:

1. სახელმწიფო სახსრების ხარჯვის სისწორის შემოწმება, ე. ი. თუ რამდენად შეესაბამება ეს ხარჯები საკანონმდებლო ორგანოების მიერ დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებს;
2. სახელმწიფო რესურსების მობილიზაციის სისრულისა და თავისდროულობის დადგენა;
3. საფინანსო სისტემის ყველა რგოლში გაწეული ხარჯებისა და მიღებული შემოსავლების კანონიერების შემოწმება;
4. აღრიცხვა-ანგარიშობის კანონების დაცვის შემოწმება;

ამასთან ფინანსური კონტროლი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების შემოწმებით. მის ფარგლებში შედის არა მხოლოდ სახსრების ხარჯვის შემოწმება, არამედ ამ სახსრების ხარჯვის ეკონომიკური ეფექტიანობის შემოწმებაც. უფრო მეტიც, ეფექტიანობის კონტროლი დამახასიათებელი უნდა იყოს ყველა საკონტროლო ორგანოსათვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოებრივი კონტროლის სისტემასთან ერთად მოქმედებს არასახელმწიფოებრივი კონტროლი, რომლის აღიარებულ ფორმას წარმოადგენს აუდიტორული კონტროლი. იგი უმთავრესად გამოიყენება საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების და სათანადო დასკვნების გასაკეთებლად (დ. გადელია, 2006).

აუდიტი ფინანსური კონტროლის ფორმაა და საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმალური ფუნქციონირების რეგულირების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს. აუდიტი არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ მოიძიოს და შეაფასოს ცნობები, რომელთა საფუძველზე აუდიტორი ნათელჰყოფს, თუ რამდენად შეესაბამება ფაქტები დადგენილ კრიტერიუმებს.

საქართველოში აუდიტორული კონტროლის მოთხოვნა გამოიწვია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ. ის საბაზრო ურთიერთობების, დამოუკიდებელი, პროფესიული აუდიტის ჩატარების ხელშეუხებელი ნაწილია. აუდიტორული ფირმები სამეურნეო ანგარიშობის პრინციპით მუშაობენ და ისინი არანაკლებ დაინტერესებულნი არიან საწარმოთა მიღწევებით, მათი შედეგებით, რადგანაც მათი შედეგები უკავშირდება აუდიტორული ფირმების საანგარიშსწორებო და შრომის ანაზღაურების შედეგებს.

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით იზრდება მოთხოვნა აუდიტორულ კონტროლზე. მოთხოვნის ზრდა გამოწვეულია ისეთი ობიექტური მიზეზებით, როგორცაა: მეწარმეობისა და კაპიტალის ბაზრის განვითარება, ორგანიზაციების მისწრაფება თვითრეგულირებისაკენ, ფინანსური ფონდების შექმნის აუცილებლობა.

სახელმწიფო კონტროლისაგან აუდიტის არსებით განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მისი ნამდვილი დამოუკიდებლობა, უფრო მაღალი სპეციალიზაციის, პროფესიული მოთხოვნის დონე, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს აუდიტების პერიოდული ატესტაციით და აუდიტორული საქმიანობის პერიოდული ლიცენზიებით. აუდიტორების დაინტერესება კლიენტების მყარი ფინანსური მდგომარეობით და მასთან გრძელვადიანი თანამშრომლობით ხელს უწყობს კლიენტების განვითარებას, რაც გამოიხატება ბუღალტრული აღრიცხვის, ეკონომიკური ანალიზის, საგადასახადო, საფინანსო, საბანკო კანონმდებლობების საკითხებზე მუდმივი და ეფექტური კონტროლის გაწევაში.

აუდიტორული სტანდარტების ეროვნული სისტემა უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს სპეციფიკურ თავისებურებებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელ ნიშნებთან, ასევე ქვეყნის თავისებურებებთან. ამასთანავე, თითოეული დასამუშავებლად რეკომენდირებული აუდიტის ქართული სტანდარტი უნდა ეფუძნებოდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ანალოგს (მ. ჯიბუტი, 2003).

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აუდიტორული ორგანიზაციების მუშაობის ხარისხის კრიტერიუმად მიღებული უნდა იქნეს აუდიტორული სტანდარტების დაცვის დონე. ასეთი მიდგომა აუცილებლად უნდა გავრცელდეს ჩვენს ქვეყანაშიც. მომავალში საქართველოს ეკონომიკის ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტების გაწონასწორებასთან ერთად მკვეთრად უნდა გარდაიქმნას მუშაობა, რაშიც აუდიტორულმა კონტროლმა დიდი როლი უნდა შეასრულოს ეროვნული, ადგილობრივი ეკონომიკის დაცვისა და სამართლიანი ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგების საქმეში.

საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირეულმა ცვლილებებმა და საბაზრო ეკონომიკის ფორმირებამ აუცილებელი გახადა სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროსათვის კვალიფიციური ფინანსური მენეჯმენტის კადრების არსებობა. განვითარებული ქვეყნების საკადრო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფინანსურ მენეჯერებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ჭარბად არის კადრები ეკონომიკური ცოდნით, ეროვნული ეკონომიკა მწვავე დეფიციტს განიცდის ფინანსური მენეჯერების კუთხით. ქვეყანაში საკუთრებითი ურთიერთობის ტრანსფორმაციამ და კერძო საკუთრების განვითარებამ მთლიანად შეცვალა რესურსების გამოყენების, ფორმულირების და ფინანსური ურთიერთობების წესი, ამან კი აუცილებელი გახადა სპეციალისტთა მომზადება-გადამზადება ფინანსურ მენეჯმენტში.

ბიზნესის სამეურნეო საქმიანობა და წარმატებები ძირითადად დამოკიდებულია ფირმის ფინანსურ მენეჯერზე, რომლისათვისაც აუცილებელია ფინანსების და მენეჯმენტის საკითხების საფუძვლიანი ცოდნა. მათ უნდა შეძლონ საკუთარი რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება და ფინანსური შედეგების პროგნოზირება. ფინანსური მენეჯმენტი ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პრინციპის ცოდნას, მის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, სამეურნეო სუბიექტის ორგანიზაციულ საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფას. ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს შეადგენს ფინანსური თეორიის კონცეფციის და ანალიზის ღრმა ცოდნა. ბიზნესის განვითარების აუცილებელი პირობაა მაღალკვალიფიციური ფინანსური მენეჯერების არსებობა, რომელთა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ბიზნეს-სტრატეგიული მუშაობა-შეფასების პრინციპების უზრუნველყოფა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

ფინანსური მენეჯმენტი პროგრესულად დინამიურია, როგორც თეორიულად ისე პრაქტიკული კუთხით და ეს დინამიურობა გამოწვეულია სამეურნეო საქმიანობის სფეროს ცვალებადობით, ფინანსური ბაზრის, საგადასახადო კანონმდებლობით, ინფლაციის, საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ხშირი მერყეობით, პერმანენტული ფინანსური სიახლეებით, ეკონომიკური შეფასების თანამედროვე მეთოდების არსებობით და ა. შ. ბიზნესის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა თანამედროვე ეტაპზე გახლავთ ფინანსური მართვის ოპტიმალური სისტემა, რომელიც მოიცავს ბიზნესის შემოქმედებით სტრატეგიულ მიდგომას და პროგრესულ აზროვნებას, სამუშაო ბიზნეს-გეგმის შედგენას და ბაზრის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრას.

საქართველოში ეროვნული ეკონომიკის აღმავლობა, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში, შეუძლებელია ფინანსების მართვა ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის გარეშე, რადგან იგი პასუხობს ბიზნესის წარმოებაში დასმულ კითხვებს: ა) როგორ ვმართოთ საწარმოს ფინანსები; ბ) რა გავლენას ახდენს ფინანსების მართვაზე ინფლაცია და ვალუტის კურსის ცვალებადობა; გ) რა კრიტერიუმებია საჭირო ფინანსური და ეკონომიკური მართვის სტრატეგიისა და ტაქტიკის შერჩევისათვის; დ) როგორი ეკონომიკური მეთოდების გამოყენებაა საჭირო ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ნეგატიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად და სხვა. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ ფინანსურ მენეჯერს შეუძლია, რომლის ცალკეულ ფორმას უზრუნველყოფს სტრატეგიით, ტაქტიკით, მიზნით, ფინანსების მართვის თეორიული და პრაქტიკული მეთოდების შემუშავება - დანერგვით და მისი სრულყოფით (ნ. გალოგრაე, თ. ცეცხლაძე, 2010).

ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტის საქმიანობა მმართველობის სხვადასხვა დონეებზე დაკავშირებულია ძირითადად ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებასთან, რომელიც მოითხოვს ფინანსური მენეჯმენტის პრინციპების ცოდნას და ანალიზს, რომლის გარეშეც სამეურნეო - საფინანსო წარმატებები ვერ მიიღწევა.

დღეისათვის საქართველოში თავისუფალი ბაზრის პირობებში ფინანსური მმართველობის საკითხი მეტად აქტუალურია, რადგან სათანადოდ არ გაგვაჩნია ფინანსების მართვის სრულყოფილი ცოდნა, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური ისე პრაქტიკული. ამდენად ფინანსების მართვის თეორიული

ცოდნის ათვისება უნდა მოხდეს მისი პრაქტიკაში დანერგვის პარალელურად, ისეთ სფეროებში, როგორცაა ფირმის ფინანსური პოლიტიკა ინფლაციის პირობებში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება, საფონდო ბირჟა, ფინანსების მართვა წარმოების კრიზისის პირობებში და სხვა.

ლიტერატურა:

1. გადელია დ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2006.
2. ჯიბუტი მ., საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თბ., 2003.
3. გალოგრა ნ., ცეცხლაძე თ., აჭარაში ფერმერული მეურნეობის ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი და განვითარების პერსპექტივები, 2010.

AUDIT IN THE FINANCIAL CONTROL SERVICE AND THE IMPORTANCE OF FINANCIAL MANAGEMENT IN BUSINESS DEVELOPMENT

Nato Jabnidze, Batumi Shota Rustaveli State University, Assistant Professor

Natia Tsiklashvili, Batumi Shota Rustaveli State University, Full Professor

RESUME

In the article there is remarked the in connection with Georgia's economic moving on management relationship, the demand on auditor control grows. Increase of demands is provoked by development of employment and market of capital.

In the article it is directed that with the difference with state control, for independent audit it is characteristic higher specialization and the level of professional requests, what is achieved with audits periodical attestations and periodical licenses of audit work. This process guarantees car sales stability in the market and significantly increases increases living cycle of production. Besides, it decreases sharp sales fall of and timely renovate period of goods by means of new models.

აგრარულ სექტორში მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა წარმატების საწინდარია

რეზო ჯაბნიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

თავისი ნიადაგურ-კლიმატური და სხვა ეკოლოგიური ფაქტორების შეთანაწყობის თავისებურებით აჭარის რეგიონი უნიკალურ კუთხეს წარმოადგენს აგრარული სფეროს აღორძინებისათვის და ასეთი ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები იძლევა საშუალებას მრავალდარგოვანი და მაღალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნისათვის.

80-90-იანი წლებიდან დაწყებული ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები: მეხილეობა, მებოსტნეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა, რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 392000 ჰა-ს, ხოლო მთლიანი წლიური შემოსავალი 2 მილიარდ მანეთზე მეტს, კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აღნიშნული კულტურების ფართობები ორჯერ და მეტად შემცირდა, რაც ამოძირკვითა და მოუვლელიობითაა გამოწვეული. ამან მკვეთრად შეამცირა მოსავლიანობა, გაუარესდა პროდუქციის ხარისხი, მთლიანად მოიშალა მცენარეთა დაცვის სამსახური, ნიადაგის მოვლის ღონისძიებები, შეწყდა პროდუქციის ცენტრალიზებული დამზადება.

90-იანი წლების შემდგომ პირველი დარტყმა აგრარული რეფორმის პირობებში სწორედ მეჩაიეობამ განიცადა, გაიჩეხა და მიტოვებული იქნა ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი. ამჟამად ქართული ჩაის ხარისხი იმდენად დაეცა, რომ მისი გასაღების ბაზრები მკვეთრად შემცირდა, ჩაის ბუჩქის ნარგავები ან მთლიანად იღუპება ან იმდენად დაკნინებულია, რომ არ იძლევა ნორმალურ მოსავალს, ზოგჯერ კი ჩაის პლანტაციები გაველურდა. გლეხებისათვის ფულის გადახდის დაყოვნებამ შეამცირა სტიმული ჩაის ბუჩქის შენარჩუნების და მოსავლის მოყვანისათვის. ამან გამოიწვია მეჩაიეობის კრიზისი. საქართველოს ჩაის პროდუქციის მთავარი მომხმარებელი იყო რუსეთი. ქართული ჩაის პროდუქციის ასეთი დაცემის დროს, რუსეთმა იპოვნა ალტერნატიული წყაროები, ხშირად უფრო მაღალი ხარისხის ჩაიც (რ. ჯაბნიძე, 2011).

როგორც ვხედავთ, ქვეყანაში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად ბოლო 20 წლის მანძილზე, მეჩაიეობის დარგი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ამ უმთავრესი დარგის შესაძლებლობები ამჟამად მხოლოდ ალბათ 10-15%-ია გამოყენებული.

ამჟამად, როდესაც ჩაის დარგი ქვეყანაში გადაშენების პირას მივიდა, მისი აღდგენის ერთადერთ პრიორიტეტულ ფორმად ფერმერული მეურნეობების ორგანიზაცია მიგვაჩნია. ამისათვის საჭიროა თითოეული ფერმერისათვის 3-5 ჰა ჩაის პლანტაციების იჯარის წესით გადაცემა. ყველა აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებით ჰექტრიდან 2,5-3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღება და 4-5 ტონა პროდუქციის წარმოება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების ლიბერალიზაციის პირობებში ბუნებრივია ჩაის კულტურას გამოუჩნდება ე.წ. კონკურენტები. ასე მაგალითად, ბოლო წლებში ჩვენში თხილის გაშენებამ ეჭვის ქვეშ დააყენა ჩაის პლანტაციების არსებობის საკითხი, განსაკუთრებით პრივატიზირებულ ნაკვეთებზე. სამწუხაროდ, მომდევნო წლებში თხილის პროდუქციაზე ფასები მკვეთრად დაეცა, რადგან მსოფლიოში თხილის ფასების რეგულირებას ახდენს თურქეთი და ჩვენ, როგორც მისი მეზობელი ქვეყანა, ყოველთვის მასზე ვიქნებით დამოკიდებული.

სადღესოდ მეტად პრობლემური გახლავთ მეჩაიეობისა და საერთოდ სუბტროპიკული მემცენარეობის დარგთა ახალგაზრდა თაობით შევსების საკითხი, მხედველობაში მაქვს არა მარტო რიგითი სპეციალისტები, არამედ მეცნიერ-თანამშრომლებიც ჩაის გადამამუშავებელ სფეროს თითქმის აღარ ჰყავს კვალიფიცირებული ტიტესტერების, ბიოქომიკოსების, ტექნოლოგიის სხვა სფეროს სპეციალისტების ახალგაზრდა ცვლა. სოციალურად დაუცველი ძველი თაობა თანდათანობით ხელიდან გვეცლება. სამწუხაროდ სამეცნიერო კვლევის დაწესებულებებს ნაკლები ყურადღება ეძლევა.

სუბტროპიკულ ზონაში გლეხურ-ფერმერული მეურნეობების სავარგულების დაკავება მონოკულტურით არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. მოცემულ სქემაში ჩაისა და ციტრუსებს პრიორიტეტული ადგილები უკავიათ, რაც განპირობებულია იმით, რომ ტრადიციულად ამ კულტურათა პროდუქციაზე ყოველთვის იყო და პერსპექტივაშიც იქნება საბაზრო მოთხოვნილება, გლეხ-ფერმერს მიეცემა ვალუტით უზრუნველყოფის საშუალება. მნიშვნელოვანი იქნება აგრეთვე თხილის, აქტინიდიის (კივი), ფეიჰოას, სუბტროპიკული ხურმის, ტუნგის, დაფნის, მოცვის და ბამბუკის კულტურათა პროდუქციის რეაბილიტაციიდან მიღებული შემოსავლები. რაც შეეხება მარცვალს, ბოსტნულ-ბაღჩეულს, ვაზს, ისინი აუცილებელია შიდა მოხმარების დასაკმაყოფილებლად, მეცხოველეობის განსავითარებლად (ვ. პაპუნძიძე, 2007).

დღევანდელ საქართველოში მეციტრუსეობის განვითარების პრობლემები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი კანონების კონტექსტით, იგი განსაკუთრებულ მდგომარეობაშია და სახელმწიფოებრივ ხედვას საჭიროებს. მას აუცილებლად ესაჭიროება სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით სასწრაფო რეაბილიტაცია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძველი ეკონომიკური კავშირების რღვევის გამო ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა, ამჟამად ციტრუსოვანი კულტურების მოსავლის 10-ჯერ შემცირების მიუხედავად ექსპორტირება მნელდება, ასე მაგალითად, 1995 წელს ციტრუსების ექსპორტმა შეადგინა 7 მლნ აშშ დოლარი, 2000 წელს ექსპორტის მოცულობა მცირდება 2,3 მლნ-მდე, ხოლო 2012 წელს 1,5 მლნ აშშ დოლარამდე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სუბტროპიკულ ზონაში მეციტრუსეობისათვის ახალი ფართობების ათვისების რეზერვები ამოწურულია და დარგის განვითარება, ძირითადად, ინტენსიფიკაციის ფაქტორებზეა დამოკიდებული. დარგის რენტაბელობის დონის ამაღლება უნდა მოხდეს ბიოლოგიურად მობერებული (ამორტიზირებული) ხეების შეცვლით, პროგრესული აგროტექნიკის, სწორი ორგანიზატორული და ეკონომიკური ფაქტორების გამოყენებით, სანერგების მოწყობით, უხვად და რეგულარულად მსხმოიარე ჯიშების გამოყვანით და მათი ელიტური ნერგებით ახალი პლანტაციების გაშენებით.

ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის აუცილებელია სადედე ბაღებისა და ახალი სანერგების მოწყობა. უნდა ვეცადოთ, მივიღოთ მაღალხარისხიანი სტანდარტული კალმები, რისთვისაც განსაკუთრებული პირობებია საჭირო: კერძოდ, ნიადაგის აგროწესებით განოყიერება, ნორმალური ტენის, ტემპერატურის, ჰაერაციის, ნიადაგში არსებული სასარგებლო მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობის უზრუნველყოფა და ა. შ.

საჭიროა, რაც შეიძლება გავახანგრძლივოთ ნაყოფების მსხმოიარობის პერიოდი, რომლის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ციტრუსოვანთა განლაგების სტრუქტურაში ჯიშობრივი შეფარდების დაცვით, ანუ მანდარინის სამრეწველო ასორტიმენტში ისეთი ჯიშების ჩართვით, რომლებიც ნაყოფების მომწიფებას

სხვადასხვა პერიოდში მოახდენენ, ამასთან ექნებათ უხვი მოსავალი და ნაყოფის უკეთესი ხარისხი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გეგმით, ბაღების განახლება უნდა მოხდეს, ახალი, გაუმჯობესებული, სხვადასხვა დროს მწიფადი და საადრეო ჯიშებით, რომლებიც უკვე გამოცდილი და აპრობირებულია საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, სადაც მეციტრუსეობა ტრადიციული და მთავარი დარგია. უნდა გავზარდოთ ფორთოხლისა და ლიმონის ბაღების ხვედრითი წილიც, რაც ასევე მომგებიანი იქნება. მაგალითად, ფორთოხალი და განსაკუთრებით მისი ნატურალური წვენი სულ უფრო პოპულარული და მოთხოვნადი ხდება მთელ მსოფლიოში.

მიმდინარე მომენტისათვის სხვადასხვა სუბტროპიკული კულტურების ნერგების გამოყვანა წარმოებს არაორგანიზებულად, ცალკეული გლეხური მეურნეობის დონეზე, რომელიც არ ატარებს ინტენსიურ ხასიათს და ვერ პასუხობს კულტურათა გავრცელების თანამედროვე მოთხოვნებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ორგანიზებული სანერგე მეურნეობები ფაქტიურად აღარ არსებობს, ამიტომ მოსახლეობის ერთეული პირები ნერგების გამოყვანას ახორციელებს საკარმიდამო ნაკვეთში მოწყობილ მიკრო სანერგეებში, არააპრობირებული, ზოგჯერ კი არა პერიოდულად მეწლე ხეებიდან აღებული კალმებით.

მიუღებლად მიგვაჩნია, არაპროფილურმა ინსტიტუტებმა განაცხადოს პრეტენზია სუბტროპიკული მემცენარეობის განვითარების საკითხებში, მთავარი როლი ითამაშონ და კომპეტენტური სიტყვა თქვან, როდესაც საკითხი ეხება ციტრუსოვანთა დარგის მომავალს და მის გადარჩენას. ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებს, მათ პარტნიორებს სათანადო გამოცდილება და მაღალი კვალიფიკაცია გააჩნიათ ციტრუსოვანთა ნერგების წარმოება-რეაბილიტაციაში.

მეთამბაქოეობა - აჭარის მაღალმთიანი რაიონების ეკონომიკის განმტკიცების ძირითადი და ტრადიციული დარგი კვლავ კრიზისულ მდგომარეობაშია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თამბაქოს წარმოება 5060 ტონიდან 250-300 ტონამდე შემცირდა. სავალალო შედეგის ძირითადი მიზეზია ნედლეულზე შედარებით დაბალი შესასყიდი ფასები. მიუხედავად ამისა, თამბაქოს მწარმოებელთა ინტერესი ამ დარგისადმი კვლავ დიდია. მწარმოებელთა დაინტერესებას კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი უცხოური ბიზნესმენების გამოჩენა, რომლებიც დაინტერესებული არიან მაღალხარისხოვანი და ნაკლებნიკოტინიანი აჭარის თამბაქოს ნედლეულის შესყიდვით. ამ მხრივ ბიზნესმენთა დაინტერესება კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც წარმოებაში გამოიყენება ჩვენს მიერ ტრაპიზონისა და სამსუნის შეჯვარების შედეგად მიღებული ახალი ჯიშის „ქედის ადგილობრივი ჰიბრიდი“, რომელიც მოსავლიანობით, ხარისხით, არომატითა და ნიკოტინის დაბალი შემცველობით აღემატება აჭარაში დარაიონებულ სამსუნებს. მოგება ჰექტარზე 1780 ლარს შეადგენს.

თამბაქოს ნედლეულზე ფასების რეგულირებით შეიძლება მივაღწიოთ მოსახლეობის ისეთ მატერიალურ დაინტერესებას, რომ აჭარამ არა მარტო რეგიონის დასაკმაყოფილებელი ნედლეული დაამზადოს, არამედ საზღვარგარეთ გასატანი პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობაც აწარმოოს.

მევენახეობას შიდამთიანი აჭარის ეკონომიკაში, მეთამბაქოეობის შემდეგ, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. 2012 წლისათვის დაგეგმილია ვენახის ფართობის 100 ჰექტარის გაზრდა. ამ მხრივ განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა ჩხავერის ჯიშს, რადგანაც საერთაშორისო ბაზარზე წითელი და ვარდისფერ ღვინოებზე დიდი მოთხოვნაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ ჯიშის ვენახს არ სჭირდება განსაკუთრებული პირობები. იგი შეიძლება გავაშენოთ თითქმის ყველგან - გზების გასწვრივ, ღობეებზე, ეზოებში და სხვა. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ალადასტურის, ცოლიკაურის, ციცქას და სხვა ჯიშების გაშენებას, რომლებიც სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების მიერ არის რეკომენდირებული აჭარის მთის რაიონებისათვის. ტექნოლოგია გულისხმობს ეკონომიკური პირობებისა და ჯიშების ბიოლოგიური თვისებების მიხედვით კვების არის, შტამბის სიმაღლის ოპტიმალური ვარიანტისა და საყრდენი ტიპის შერჩევას, სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი იმაში გამოიხატება, რომ ფართობის ერთეულზე გაწეული ხარჯები ორჯერ ანაზღაურდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს შიდა და მაღალმთიანი აჭარის მეხილეობა. უპირველესად, უნდა შენარჩუნდეს ხეხილოვანი ჯიშების გენოფონდი. მეჩხერი ბაღები შეივსოს ყინვაგამძლე და მაღალმოსავლიანი ჯიშებით. ამ მიზნით ეფექტურია ვაშლის ახალი სელექციური ჯიშები „დელისი“ (ჰიბრიდული ფორმა 21/15) და „ხორუმი“ (ჰიბრიდული ფორმა 5/54). რომლებიც ხასიათდებიან ნაყოფის საშუალო ზომით (160-190 გრ), მაღალი გემური თვისებებით, ქედისა და ნაცრის მიმართ იმუნურობით ინახება მათის შუა რიცხვებამდე, ჰექტარზე ირგვება 1000 ძირი. ანალოგიური ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სხვა თესლოვნებისა და კურკოვნების აღდგენა-რეაბილიტაცია. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს კივის, თხილისა და კაკლის სელექციური ჯიშების გაშენებას.

კივი, რომელიც მრავალ ლიტერატურაში „სიცოცხლის ხილად“ არის ცნობილი, ჩვენს სუბტროპიკებს სწრაფად ინერგება. მისი ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, იგი თავისუფლად შეიძლება გავაშენოთ შიდამთიანი აჭარის მეჩხერი და განუახლებელი, დაბალი სიხშირის

ტყის კორომებში. შედეგად, ავითვისებთ ტყის უსარგებლო უბნებს და მნიშვნელოვნად გავზრდით ესოდენ მნიშვნელოვან პროდუქციას. გასაშენებელი ჯიშებიდან უპირატესობა უნდა მიეცეს „ჰაივარდს“.

თხილის ბადების გაშენება უმჯობესია მოხდეს ერთშტამბიანი დაბალტანიანი ხის ფორმით, შემცირებული კვების არეზე. სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი გაიზრდება 50-60% და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

და ბოლოს, აგრარულ სექტორში რადიკალური ცვლილებები დაიწყება მაშინ, როდესაც გადაწყდება მაღალკვალიფიცირებული სწავლული აგრონომებისა და ამ სფეროში დასაქმებული სხვა კადრების საკითხი.

მართალია ამ სფეროს ინტელექტუალური ძალების საგრძნობი ნაწილი უცხოეთში მოღვაწეობს, მაგრამ აგრარის მენეჯერ-პრაქტიკოსები, სათანადო განათლებასა და მაღალი კვალიფიკაციის კომპეტენტური სპეციალისტები საკმაოდ გვეყავს. არ არის გამორიცხული, რომ ბევრი დაბრუნდეს კიდევ და მოხდეს მათი დასაქმება. ყოვლად გაუმართლებელია, როცა კარგი მენეჯერის მოტივით, ამა თუ იმ სფეროში, გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა თანამდებობებზე ინიშნებიან სრულიად სხვა განათლების, პროფესიისა და პრაქტიკული გამოცდილების პირები. ან ახალგაზრდული ასაკი, კომპიუტერისა და უცხო ენის ცოდნა ხდება გადამწყვეტი უაღრესად საპასუხისმგებლო სამსახურში დანიშნვისას. მე ისე ნუ გამიგებთ, თითქოს წინააღმდეგი ვიყო უცხო ენისა და კომპიუტერიზაციის, მაგრამ აგრარულ სექტორში მცენარის ვეგეტატიურ და გენერაციულ გამრავლებას, მყნობას, გასხვლა-ფორმირებას, ჩაის კრეფას და სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებს კომპიუტერით ნამდვილად ვერ შევასწავლით, ამას აუცილებლად სავსე პრაქტიკული მუშაობა სჭირდება.

საქართველოსა და მის რეგიონებში შექმნილი მდგომარეობა, ის როლი და ამოცანები, რაც ამ ეტაპზე რეგიონულ მართვასა და ეროვნული ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას ეკისრება, მოითხოვს ქვეყანას ჰქონდეს ძირითადი სტრატეგიული მიმართულება მეციტრუსეობის სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის და ფუნქციების განვითარებისაკენ, კერძოდ, რეგიონებში ამ სფეროში ზრდის რეზერვების სრულიად ამოქმედების, მისი ეფექტიანობის ამაღლებისაკენ. ახლა, ადგილებზე მოსახლეობის სრულიად დაკმაყოფილება და ქვეყნის საწარმოო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება დღის წესრიგში აყენებს არა ზევით, არამედ ქვევით გარდაქმნების გატარებას.

მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობისა და ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ძირითადი დასკვნები გამომდინარე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკითხის აქტუალობიდან:

1. აჭარის, როგორც ტურისტული რეგიონისათვის და ბუფერული ზონისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სურსათის უვნებობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიზნით სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებას, რომელიც წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ინტერესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტს. შესაბამისად მიზანშეწონილია აჭარაში შეიქმნას რესპუბლიკის სურსათის სააგენტო, რომლის უფლებამოსილებებში არ შევა სურსათის უვნებობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ისეთი უფლება-მოსილებები, რომელსაც ერთიან ეროვნულ რეჟიმში ახორციელებს ეროვნული სააგენტო.

2. დღეისათვის ჩაის კულტურის ქვეშ აჭარაში ირიცხება 3500 ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია, საიდანაც საქართველოდ ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაშია 2050 ჰექტარი, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში კი 1450 ჰექტარი. მეჩაიეობის დარგის აღორძინებისათვის და აღნიშნული მიმართულებით საინვესტიციო პროექტების განვითარებისათვის მიზანშეწონილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გადმოცემა აჭარის ა/რ საკუთრებაში.

3. 2011 წელს აჭარაში ამოქმედდა პირველი უახლესი ტექნოლოგიებით გაშენებული ციტრუსის სადემონსტრაციო ნაკვეთი, რომელიც მოიცავს ციტრუსის ათამდე პერსპექტიულ ჯიშებს. ვინაიდან აღნიშნული სანერგე მეურნეობა გათვლილია ძირითადად სუბტროპიკულ ზონაში არსებული ამორტიზებული ბადების განახლებაზე და მოსახლეობაში არსებული ციტრუსის ჯიშების ადრემწიფადი და უხვმოსავლიანი ჯიშებით ჩანაცვლებაზე, მიზანშეწონილია სანერგე მეურნეობა მიუერთდეს სამინისტროს აგროსერვისცენტრს, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს წარმოადგენს აღნიშნული მიმართულება.

4. აჭარის ა/რ-ში ყოველწლიურად საშუალოდ 10000 ტონამდე ბოსტნეული, 13000 ტონა ხილი (თესლოვანი, კურკოვანი) და 60000 ტონამდე ციტრუსი იწარმოება. აჭარის მოსახლეობისა და ტურისტების წლიური მოთხოვნილება ბოსტნეულზე 70000 ტონამდე, ხოლო ხილზე 50000 ტონამდე შეადგენს. შესაბამისად მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება არასამრეწველო პერიოდში იმპორტირებული პროდუქციით ხდება. რეგიონში პროდუქციის შემნახველი სამაცივრე მეურნეობის არარსებობის გამო ფერმერები იძულებულნი არიან პროდუქციის რეალიზაცია ერთდროულად, მოკლე პერიოდში მოახდინონ, რის გამოც სამომხმარებლო ბაზარს ჭარბი პროდუქცია მიეწოდება, რაც

თავისთავად სარეალიზაციო ფასების შემცირებასა და პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის გაფუჭებას იწვევს. ამასთან, არასამრეწველო პერიოდში მომხმარებელთა დაკმაყოფილება იმპორტული პროდუქციის ხარჯზე ხდება, რაც თავისთავად ხელს უწყობს ქვეყნის უარყოფით სავაჭრო ბალანსს და პროდუქციაზე ფასების ზრდას. აქედან გამომდინარე, საკმარისად აქტუალურია რეგიონში შეიქმნას უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპლექსური სამაცივრე მეურნეობა.

5. 2011 წელს აჭარაში ამოქმედდა პირველი უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბოსტნეულისა და დეკორატიული კულტურების შპს „საქართველოს სათბურების კომპანიის“ ახალსოფლის საჩითილე სასათბურე მეურნეობა (100%-იანი სახელმწიფო წილით). კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს უვირუსო, მაღალხარისხიანი, დახურულ ფესვთა სისტემით გამოყვანილი ჩითილების წარმოება. აღნიშნული სათბური ძირითადად ორიენტირებულია რეგიონის ადგილობრივ ფერმერულ მეურნეობებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ელიტური, უვირუსო საჩითილე მასალებით უზრუნველყოფაზე. ამიტომ, მიზანშეწონილია აღნიშნული სასათბურე მეურნეობა ირიცხებოდეს სამინისტროს დაქვემდებარებაში.

6. რეგიონისათვის დამახასიათებელი მწირი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არ იძლევა საშუალებას ფართო მასშტაბზე განვითარდეს აგრარული დარგის სხვადასხვა მიმართულებები (მებოსტნეობა, მემარცვლეობა, მეცხოველეობა). სწორედ ამიტომ, აჭარის ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემის სრულად აღდგენა-რეაბილიტაციას (რიგი ახალი არხების გაყვანას, ჰიდროტექნიკური და ჰიდრომელიორაციული ნაგებობების, ცალკეულ მაგისტრალურ არხებზე ავარიული წყალსაგდებების, წყლის ჩამკეტი მარეგულირებელი ფარების, ურდულების, მდინარეებისა და არხების ნაპირსამაგრი კედლების, ჯებირების მშენებლობას და სხვა) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეგიონის აგრარული დარგის განვითარების საქმეში. დღეისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის მასიურ სახნავ-სათეს სავარგულებში სამელიორაციო სისტემები ძირითადად განთავსებულია 3350 ჰექტარ ფართობზე, რომლებიც ორ ათეულ წელზე მეტია საერთოდ არ გაწმენდილა და პრაქტიკულად გაუქმებულია, ამოვსებულია მიწით, დაფარულია ჭილოფის, ისლის და ჭაობის სხვა მცენარეებით, რომელთა გავრცელების არეალი არხის სიგანეზე ზოგან 4 მ-მდე აღწევს, რაც საგრძნობლად ამცირებს სახნავ-სათესი სავარგულების ფართობებს. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნული ფართობებზე ჩატარდეს სამელიორაციო სამუშაოები.

7. დღეისათვის, რეგიონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სამექანიზაციო საშუალებების ამხანაგობები, რომლებიც შეღავათიან ფასებში უწევენ მომსახურებას რეგიონის ფერმერებს. მცირე და დიდი სამექანიზაციო საშუალების ტექნიკური გამართვისა და სარემონტო სამუშაოების სერვისისათვის, აუცილებელ პირობას წარმოადგენს რეგიონში ფუნქციონირებდეს სამექანიზაციო სერვის ცენტრი, რომელიც აღჭურვილი იქნება უახლესი სამექანიზაციო ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებითა და დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური სპეციალისტებით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია უახლეს პერიოდში ამოქმედდეს მექანიზაციის სერვის ცენტრი.

ლიტერატურა:

1. რ. ჯაბნიძე, სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია, ბათუმი, 2011.
2. ვ. პაპუნძე, მ. პაპუნძე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება აუცილებელია, ჟურნ. „საქართველოს რეგიონები“, ბათუმი, 2007.

BRINGING UP HIGHLY QUALIFIED STAFF FOR THE AGRARIAN SECTOR BRINGS SUCCESS

**Rezo Jabnidze, Batumi Shota Rustaveli State University, Professor
RESUME**

The paper is on problems of development of farming industry in subtropical zones. Government role importance in farming industry development is assumed and long term model of agrarian service in experimental farming industry is discussed. In article are considered questions concerning meaning the revival of village and ways for rural populations to egress from crisis conditions.

The work shows the possibility of how to plan the market mechanism in the agrarian sector, revive productivity and business and make a thorough use of existing potential. It also deals with the cases of international experience in this field. The directions and prospects of the state regulation have been highlighted on the example of the agrarian sector.

აჭარის ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ძირითადი სუბტროპიკული კულტურების წარმოების შესაძლებლობები

რეზო ჯაბნიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ნანა ჯაბნიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

ბუნებრივ პირობებს შორის კლიმატს (ჰავას) წამყვანი როლი ეკუთვნის დედამიწის ზედაპირზე მცენარეული და ცხოველური სამყაროს გაადგილებაში. კლიმატური პირობების მიხედვით იგი დაყოფილია შესაბამის ზონებად. ზონები და მათი კლიმატური პირობები ზოგიერთ შემთხვევაში თითქმის რადიკალურად განსხვავებულია. ყველა მათგანი დასახლებულია მისთვის შესაფერისი მცენარეულობით და ცხოველებით, რაც ცოცხალი ორგანიზმების მაღალ შეგუებით უნარზე მიუთითებს. საქართველოში სუბტროპიკულ მცენარეთა დარაიონებისა და მათი გავრცელების არეალის გაფართოების მიზნით გამოკვლევები გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო, რაც დღემდე გრძელდება.

მეჩაიეობას საქართველოში საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, რომელიც კუსტარული მეურნეობიდან გადაიქცა მაღალგანვითარებულ დარგად და გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების, საზოგადოებრივი მეურნეობისა და ოჯახების ფულად შემოსავლებში. მეჩაიეობის დარგის სოციალურ – ეკონომიკური მნიშვნელობის დასახასიათებლად საკმარისია გავიხსენოთ, რომ 80-იან წლებში ჩაის პლანტაციებს 60 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი ეკავა, ხოლო ფოთლის დამზადება 500-550 ათას ტონას შეადგენდა. დარგს ემსახურებოდა 150 პირველადი და 20 მეორადი ფაბრიკა. ჩაის მზა პროდუქციის საშუალო – წლიური წარმოება 120-130 ათას ტონას შეადგენდა, დასაქმებული იყო 170-180 ათასი ადამიანი (რ. ჯაბნიძე, 2004).

ეკონომიკური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, გასული საუკუნის ბოლოსათვის ქართულ ჩაის ეროვნულ ბიუჯეტში შეჰქონდა ორი მილიარდ მანეთზე მეტი, ანუ ბიუჯეტის შევსების 37% მასზე მოდიოდა. ასე, რომ მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, გარდა ეკონომიკური მხარისა, თავისი სოციალური და პოლიტიკური დატვირთვითაც საყურადღებო იყო და ერთი დარგის ფარგლებს ყოველთვის სცილდებოდა. ამავე წლებში მეჩაიეობაზე მოდიოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 18 და მოგების 40 პროცენტზე მეტი. სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში ჩაის მრეწველობის ხვედრითი წილი 12%-ს აღემატებოდა. ასეთივე იყო მისი მოცულობა ქვეყნის ეროვნულ შემოსავალშიც. მეჩაიეობის რაიონები ქვეყნის მაღალმთიანი დოტაციური რეგიონების დონორებსაც წარმოადგენდნენ, რითაც კეთდებოდა უდიდესი სასარგებლო საქმე (რ. კოპალიანი, 2012).

საქართველო მსოფლიო ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის საპატიო მეოთხე-მეხუთე ადგილს იყოფდა თურქეთთან ერთად ჩაის ფოთლის როგორც წარმოების, ისე მისი მზა პროდუქციის რეალიზაციის თვალთახედვით. სამართლიანად ითვლება, რომ ჩაის მცენარემ საქართველოში მეორე სამშობლო ჰპოვა. ჩაის პლანტაციები მთელს დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 500 - 700 მეტრის სიმაღლემდეა გაშენებული. შესაფერისმა ნიადაგურ-კლიმატურმა პირობებმა და ტენიანმა სუბტროპიკულმა ჰავამ მას შეუქმნა სათანადო პირობები დაუბრკოლებელი ზრდისა და განვითარებისათვის.

მსოფლიოში წელიწადში ისმება 3 ტრილიონი ფინჯანი ჩაი, საქართველოში კი 2 მილიარდი. ჩაის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (გრამებში) შემდეგია: დიდი ბრიტანეთი 3500, ირლანდია 3200, ახალი ზელანდია 2200, ერაყი 2100, ირანი 2050, თურქეთი 2000, შრი-ლანკა 1500, რუსეთი 1000, ინდოეთი 760, ნიდერლანდები 640. ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში კი: თურქმენეთი 2275, ტაჯიკეთი 2177, უზბეკეთი 1872, აზერბაიჯანი 1510, ყაზახეთი 1300. საქართველო 185, ბელორუსია 176, მოლდავეთი 148, სომხეთი 142 (ვ. კუტუბიძე, 2010).

უკანასკნელი 40 წლის მანძილზე მსოფლიო ჩაის პლანტაციების ფართობმა მოიმატა 60%-ით და მიაღწია 2 მლ ჰა, ხოლო მოსავლიანობა გაიზარდა 50%-ით. მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ექსპორტიორები არიან: შრი-ლანკა 265 ათასი კგ, კენია 245 ათასი კგ, ინდოეთი 250 ათასი კგ, ჩინეთი 230 ათასი კგ, ინდონეზია 150 ათასი კგ.

დღეს არსებული ინფორმაციით მსოფლიოში მდგომარეობა ისეთია, რომ მომავალში ჩაის წარმოების შემდგომი მკვეთრი ზრდა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ჩაის პლანტაციების რეზერვი ძალიან შეზღუდულია და შესაბამისად, უახლეს წლებში შეიძლება გაჩნდეს ამ პროდუქტის დეფიციტი. ამიტომ შესაძლებელია საქართველოსათვის ჩაი კვლავ გახდეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე.

დღეისათვის ქართული ჩაის ბაზარი პროდუქციის დაბალი ღირსებებისა და თვისებების გამო მეტად შეზღუდულია. მხოლოდ შავი და მწვანე ჩაი იყიდება მეტნაკლები წარმატებით.

70-იან წლების შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირის საგეგმო პოლიტიკა მოითხოვდა ადგილობრივი წარმოებით ჩაიზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, საქართველოში დამკვიდრდა კრეფის უხეში მეთოდები. ერთეულ ფართობზე მზადდებოდა მსოფლიო პრაქტიკაში არარსებული და მიუღებელი მოსავალი, ე.წ. „მოწინავენი“ ჰექტარიდან 15-17 ტონა მწვანე მასას იღებდნენ. ამ პირობებში ხარისხობრივ მაჩვენებლების გათვალისწინება შეუძლებელი იყო. მოსავლიანობის მატების კვალობაზე არ იზრდებოდა გადამამუშავებელი ფაბრიკების სიმძლავრეები და დიდი რაოდენობით ფოთოლი პლანტაციებში ყოვნიდებოდა. ამით კიდევ უფრო უარესდებოდა ხარისხი, იზრდებოდა დანაკარგები.

დიდი რაოდენობის ფოთლის ერთდროულად გადამამუშავება ვერ ხერხდებოდა ტექნოლოგიის ყველა წესის დაცვით, იკვეცებოდა ღნობისა და გრეხის ხანგრძლივობა. 3-ჯერადი 45-წუთიანი გრეხის ნაცვლად პროცესი ორჯერ, ზოგჯერ ერთხელ წარმოებდა, მაშინ, როცა მოუხეშო ნედლეულის ჩვეულებრივზე მეტი ხანგრძლივობით გრეხა და სხვა დამატებითი პროცესები სჭირდებოდა.

ქართული ჩაის ხარისხის გაუარესების მიზეზი კრეფის ჯერადობის შემცირებაც იყო. წინათ ფოთოლი სეზონზე თხუთმეტ და მეტჯერ იკრიფებოდა, შემდგომში კი სამ-ოთხამდე შემცირდა. შერჩევითი კრეფა წყვეტილით ანუ გაზრდილი, გადაუხეშებული ყლორტების კრეფით შეიცვალა. შერჩევითი კრეფისას გაცილებით მეტი მუშახელი და გამოცდილი მკრეფავი იყო საჭირო, ამიტომ საქმე წყვეტილი კრეფით გააიოლეს.

ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციაზე მასობრივი გადასვლა გახდა ერთ-ერთი მიზეზი ნედლეულის ხარისხის დაქვეითებისა. ფოთლს კრეფდნენ აგრეთვე თვითნაკეთი იარაღებით: ნამგლით, ბამბუკისა და რკინის დანებით და სხვა საშუალებებით. საკრეფ მანქანებს მოხსნეს შერჩევითი კრეფის, დუყების ტეხვის შემსრულებელი მექანიზმი და მთლიანი ჭრის, ანუ სხვლის პრინციპებზე მომუშავე მანქანებად გადააკეთეს.

დღეს, როცა ჩაის ბუჩქები ბიოლოგიურად მობერებულია და ამორტიზირებული, მძიმე გასხვლა გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. ნახევრად მძიმე გასხვლა სასურველია მექანიზებურად, ანაზღაურებად მასალის დაქუცმაცებითა და რიგთაშორისებში თანაბარი განაწილებით.

აუცილებელია პლანტაციების პასპორტიზაცია. დასაზუსტებელია რამდენი ჰექტარი პერსპექტიული ჩაის პლანტაცია დარჩა, საერთოდ. რამდენი ექვემდებარება ალდგენას, რამდენ ჰექტარზე შეიძლება ახალი პლანტაციების გაშენება. გამოსაკვლევიანია ნიადაგში საკვები ელემენტების შემცველობა. ნიადაგის მჟავიანობა. გატყვევებული ჩაის პლანტაციები, სადაც მეჩხერიანობა 30-40 პროცენტის ფარგლებშია, ფესვის ყველაზე დიდ ტოტებზე მოდებულია ხავსი, მოსავლიანობა 2-2,5 ტონაა, ნიადაგის რეაქცია ძლიერ მჟავაა, ალდგენას არ ექვემდებარება. ასეთი ბუჩქები უნდა ამოიძირკვოს და გაშენდეს ჩაის ახალი პლანტაციები, უხვმოსავლიანი და მაღალხარისხიანი ჩაის სელექციური, კიმიინის ჯიშის თესლებით და „კოლხეთის“ ჯიშის ჩაის ნერგებით, ან სხვა რენტაბელური კულტურები, რა თქმა უნდა, რელიეფური და ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

სამამულო მეჩაიეობის რეაბილიტაცია საშინაო და საერთაშორისო ეკონომიკური კონიუნქტურის, სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით უკვე გადაწყვეტილია, თუმცა სტრატეგიული მიმართულება ჯერ გარკვეული არ არის. მეცნიერ-მკვლევარები და პრაქტიკოსები, შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურები ვერ შეთანხმებულან მთავარში – განმსაზღვრელ ძირითად მიმართულებად კვლავ შავი ჩაის წარმოება დარჩეს თუ მწვანე ჩაისა. დღემდე მსოფლიო და, რა თქმა უნდა, საქართველოც, შავი ჩაის აქტიური მომხმარებელია, თუმცა მწვანე ჩაის მოხმარება ბოლო წლებში 20 პროცენტამდე გაიზარდა. ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ეს მაჩვენებელი უახლოეს 10 წელიწადში გაორმაგდება, შემდეგ კი მთელი მსოფლიო მწვანე ჩაიზე გადავა. ჩვენს კლიმატურ პირობებში მოყვანილი ჩაის დუყი საუკეთესო ნედლეულს არ წარმოადგენს შავი ჩაისთვის. ჩვენთან, უკიდურესი ჩრდილოეთის სუბტროპიკულ სარტყელში, გავრცელება ჩინური სახესხვაობის მცენარეებმა მოიპოვეს, რომელთა დუყები ინდურისას საგრძნობლად ჩამორჩება ფენოლოგიური ნაერთების, მათ შორის კატექინებისა და ჩაის ხარისხის განმსაზღვრელი სხვა ნივთიერებების შემცველობით. ჩაის კატექინების დაჟანგვის პროდუქტი განაპირობებს ჩაის ნაყენის ფერს და გემოს. რაც უფრო ნაკლებია ეს ნაერთები ჩაიში, მით უფრო დაბალხარისხოვანია იგი.

ჩვენს კლიმატურ პირობებში მოყვანილი ნედლეული საუკეთესო თუ არ არის შავი ჩაისათვის, სამაგიეროდ, ის საუკეთესოა მწვანე ჩაისათვის. რადგანაც მწვანე ჩაის ბევრად უკეთესი საგემოვნო თვისებები აქვს, უფრო სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის და ამიტომაც საერთაშორისო ბაზარზე სულ უფრო პოპულარული და ძვირადღირებული ხდება. ამას მაღალი ანტიდამჟანგველი თვისებების მქონე კატექინების დიდი შემცველობა ანიჭებს. გადამამუშავების შემდეგ მზა პროდუქციაში კატექინები 90 პროცენტით ნარჩუნდება. მაშინ, როცა შავ ჩაიში ნახევარზე მეტი იკარგება და ხარისხიც უარესდება. ჩვენს

სუბტროპიკულ ზონაში მოწეულ ჩაიში კატექინების შემცველობა ისედაც დაბალია. ასე, რომ ტროპიკულ ქვეყნებში წარმოებულ შავ ჩაის ანალოგიური პროდუქციით კონკურენციას ვერასოდეს ვუწევდით და ვერც მომავალში გავუწევთ. როგორც წესი, სუბტროპიკულ ქვეყნებში წარმოებული შავი ჩაი, დაბალი ხარისხის გამო, იაფია და არც იყიდება. ამის გამო ჩვენს ჩაის ტროპიკულ ქვეყნებში წარმოებულ შავ ჩაის ვურევდით და ისე ვასაღებდით საბჭოთა კავშირის დიდ ბაზარზე.

ქართული მწვანე ჩაი, მის მომხმარებელ ქვეყნებს მხოლოდ და მხოლოდ მაღალ დონეზე დაფასოებული უნდა მივაწოდოთ. გადაჭრით უნდა ვთქვათ უარი დღემდე დამკვიდრებულ წესზე, რომ ჩაის მწარმოებელი ქვეყანა, მომხმარებელ ქვეყანას მზა ჩაის საბითუმო ვაჭრობისათვის დაუფასოებელი სახით აწვდიდა. ასეთ ჩაიზე საბაჟო გადასახადი სიმბოლურია, მაშინ, როცა დაფასოებულ ჩაიზე იგი თვითღირებულების 20 პროცენტია. ეს, რა თქმა უნდა, მოგების მიღების მიზნითაა გაკეთებული. მომხმარებელი ქვეყანა ახალისებს ჩაის ბითუმად შეტანას, რადგან საკმაოდ იაფი უჯდება. საერთაშორისო საბითუმო ბაზარზე ტროპიკული ქვეყნების მაღალხარისხოვანი შავი ჩაიც კი კილოგრამი 2 დოლარზე მეტი არ ღირს. მომხმარებელი ქვეყანა დაფასოების შემდეგ მას 10 დოლარად მაინც ყიდის და უზარმაზარ მოგებას იღებს. ამისთვის შექმნილი აქვს მძლავრი ინდუსტრია. ასე აკეთებს აშშ, დიდი ბრიტანეთი, ევროპის თითქმის ყველა განვითარებული ქვეყანა და განსაკუთრებით რუსეთი, რომელიც ძირითადად საქართველოს ჩაიზე მუშაობდა. ეს ფაქტორივად დაკაბალება, რომელიც სამომავლოდ ხელს აღარ გვამღევს. ამ წესს, რომ გავყვეთ, მზა ჩაი ბითუმად, დაუფასოებული სახით, კილოგრამი 2 დოლარადაც რომ გავყიდოთ, ქართული მეჩაიეობა ვერ იარსებებს. დაფასოებული ჩვენი მწვანე ჩაი კი, კილოგრამი 5 დოლარად მაინც გაიყიდება. ასეთ შემთხვევაში, მეჩაიეობის რეაბილიტაცია გარანტირებულია, რადგან სოლიდურ მოგებას მივიღებთ და ათასობით ადამიანსაც ცხოვრების სახსარი გაუზრდობა.

კიდევ უფრო დიდ უპირატესობას გვანიჭებს ჩაის მომხმარებელ ქვეყნებთან ტერიტორიული სიახლოვე. შეგვიძლია მზა პროდუქციის დასაწყობებისა და ტრანსპორტირების განსაკუთრებული ძვირადღირებული რეჟიმისა და პროცესების გარეშე მივაწოდოთ კონკურენტუნარიანი მწვანე ჩაის მომხმარებელს. ტროპიკული ქვეყნები კი ადგილობრივი ცხელი და ნოტიო კლიმატისა და ამერიკისა და ევროპის ჩაის მომხმარებელ ქვეყნებთან სიშორის გამო, იძულებულნი არიან ამისთვის დიდი ხარჯები გასწიონ. ჩვენი თვალსაზრისი ქართული მეჩაიეობის რეაბილიტაციის თაობაზე, ვფიქრობთ, საკმაოდ დასაბუთებული და გამართლებულია. დავაზუსტებთ – მთავარი არსი, საფუძველი მწვანე ჩაის წარმოებაზე გადასვლა და მომხმარებელზე დაფასოებული სახით მიწოდებაა.

თუ ამჟამად არსებული პლანტაციებიდან 20-22 ჰექტარზე გაშენებული ჩაის ფართობებს შევინარჩუნებთ და გავხდით მას სრულმოსავლიანს, შეგვიძლია ჰექტარზე მოვკრიფოთ 2,5-3 ტონა მწვანე ფოთოლი, რომელიც მოგვცემს 65-70 ათას კგ. ამ რაოდენობის ნედლეულიდან შესაძლებელია ვაწარმოოთ 16-18 ათასი კგ. მზა პროდუქცია.

ჩვენს მიერ წარმოებული ჩაი უნდა იყოს კონკურენტუნარიანი და ეს აუცილებელი პირობაა. მაშინ საქართველოს შეეძლება პირველ რიგში დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება ჩაიზე და გარკვეული რაოდენობა გაიტანოს საზღვარგარეთ.

დღემდე ამ მიმართულებით გატარებული რეფორმები რეალურად ვერ ასახავენ დარგის კრიზისიდან გამოყვანის გზებს. საკმარისია მოვიყვანოთ მიწის პრივატიზაციის მაგალითი, რომელიც განხორციელებული იქნა ქვეყნის დიდ ტერიტორიაზე, თუმცა მიწის მესაკუთრეს მისგან ჯერ-ჯერობით სიკეთე ვერ უგრძნია. სპეციალისტთა გარკვეული ჯგუფი ამ რეფორმას ნაჩქარევად მიიჩნევს და ასაბუთებს იმით, რომ ქვეყანაში არ იყო შექმნილი სათანადო პირობები პრივატიზირებული მიწების დასამუშავებლად. პრობლემა კიდევ უფრო რთულია სუბტროპიკული მემცენარეობის მიმართულების რეგიონებში. კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ფართობების პრივატიზაციამ, თუ იჯარით გაცემამ, ძირეულად მოსპო ჩაიზე და მის პროდუქციაზე სახელმწიფოებრივი ხედვა და პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გლეხობა, რომელმაც პრივატიზაციის შედეგად კერძო მფლობელობაში მიიღო ჩაის ნაკვეთები ტერიტორიულად დაშორებულ ადგილებზე, რაც ართულებს ნაკვეთების დამუშავებას, მოვლის, ექსპლუატაციისა და დაცვის საკითხებს.

ჩაის ნარგავების ოპტიმალური რაოდენობის შესანარჩუნებლად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბ ზემოქმედებას ახდენენ ჩაის პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციის ბედზე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების ლიბერალიზაციის პირობებში, ბუნებრივია, ჩაის კულტურას გამოუჩნდება ე.წ. კონკურენტები. ასე მაგალითად: ბოლო წლებში ჩვენში თხილის გაშენებამ ეჭვის ქვეშ დააყენა ჩაის პლანტაციების არსებობის საკითხი, განსაკუთრებით პრივატიზირებულ ნაკვეთებზე. სამწუხაროდ, მომდევნო წლებში თხილის პროდუქციაზე ფასები მკვეთრად დაეცა, რადგან მსოფლიოში თხილის ფასების რეგულირებას ახდენს თურქეთი და ჩვენ, როგორც მისი მეზობელი ქვეყანა, ყოველთვის მასზე ვიქნებით დამოკიდებული.

გასათვალისწინებელია, რომ მეჩაიეობის ბევრ რაიონში ნიადაგების მაღალი მჟავიანობის გამო ალტერნატიული კულტურების განაშენიანების შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდულია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენში ჩაის პლანტაციების უმეტესი ნაწილი ფერდობებზეა განლაგებული და ისინი ეროზიის საწინააღმდეგო ფუნქციას ასრულებენ. გარდა ამისა, საქართველოს ბუნებრივი პირობები იძლევა საშუალებას, რომ ჩაის პლანტაციებში არ იქნას გამოყენებული პესტიციდები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საექსპორტო ბაზარზე. თანაც ქართული ჩაის განსხვავებული არომატი და გემო აქვს, რაც უკვე საკმარისია იმისათვის, რომ მან მსოფლიო ბაზარზე თავისი ადგილი დაიმკვიდროს, მაგრამ ამისათვის საკმაოდ დიდი თანხებია საჭირო დამზადებული ხარისხიანი ჩაის შესაბამისი მარკეტინგის განხორციელებისა და საერთაშორისო ბაზარზე გავლისათვის, რისთვისაც ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგი დახმარებას ელოდება ქვეყნის ხელმძღვანელობისგან.

სადღეისოდ მეტად პრობლემური გახლავთ მეჩაიეობისა და საერთოდ სუბტროპიკული მემცენარეობის დარგთა ახალგაზრდა თაობით შევსების საკითხი, მხედველობაში მაქვს არა მარტო რიგითი სპეციალისტები, არამედ მეცნიერ-თანამშრომლებიც ჩაის გადამამუშავებელ სფეროს თითქმის აღარ ჰყავს კვალიფიცირებული ტიტისტერების, ბიოქომიკოსების, ტექნოლოგიის სხვა სფეროს სპეციალისტების ახალგაზრდა ცვლა. სოციალურად დაუცველი ძველი თაობა თანდათანობით ხელიდან გვეცლება. სამწუხაროდ, სამეცნიერო კვლევის დაწესებულებებს ნაკლები ყურადღება ეძლევა. ინდო-ჩინეთის ქვეყნების ხალხებს აქვთ ძალიან კარგი გამოთქმა: თუ ხელისუფლებას სურს ქვეყნის დაგეგმარება ერთი წლით, სწორედ ერთწლოვანი კულტურები უნდა გააშენოს; თუ მრავალი წლით - მრავალწლოვანნი კულტურები, ხოლო თუ საუკუნეების პერსპექტივით გეგმავს ქვეყნის განვითარებას, ცოდნას, წიგნიერებას, მეცნიერების და მეცნიერთა ნააზრევის შედეგებს უნდა მოუხმოს. სწორედ ეს სფეროები უნდა გამოაცხადოს პრიორიტეტულად.

აუცილებელია სუბსიდიების გარკვეული ნაწილის გამოყენება მეცნიერული კვლევის მიზნობრივი პროგრამის დასაფინანსებლად, რათა შესაძლებელი გახდეს მეჩაიეობის კლასიკურ შედარებით ჩვენი ჩამორჩენის აღმოფხვრა ისეთი ტექნოლოგიების დამუშავების გზით, როგორცაა ცივ წყალში ხსნადი ჩაის წარმოება, რომელზეც ბუმია ევროპასა და ლათინურ ამერიკის ქვეყნებში, ჩაის დაბალ ტემპერატურაზე დამუშავების კომბინირებული ტექნოლოგიის დანერგვა, ჩაის ამოსაძირკვი ტექნიკის შექმნა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით, თუ რაციონალური მეჩაიეობის განვითარების გზას დავადგებით.

გარდა აღნიშნულისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, დღევანდელი გლეხი-ფერმერი ნაკლებად არის გათვითცნობიერებული ბიზნესისა და საბაზრო ეკონომიკის საკითხებში. მათ ვერ გადაუდგამთ ნაბიჯი თავიანთი მეურნეობების რეორგანიზაციაზე. დღის წესრიგში დგას მომზადება-გადამზადების აუცილებლობა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე – სათანადო ლიცენზიის მინიჭების უფლებითაც კი. აღნიშნულ ფუნქციას საქართველოს რეგიონებში ყველაზე უკეთ შეასრულებს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები, ასევე შედეგიანი კონსულტაციების გაწევა შესაძლებელი იქნება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტის გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლების მიერ.

ლიტერატურა:

1. რ. ჯაბნიძე, ჩაი და ციტრუსები, თბ., 2004.
2. ვ. კუტუბიძე, ჩაის კულტურის განვითარების ისტორია და ჩაის სელექციაში მიღწეული შედეგები, ჟურნ. „მოამბე“, თბ., 2010.
3. რ. კოპალიანი (თანაავტორი), ჩაის პლანტაციის რეალური მდგომარეობა და მეჩაიეობის დარგის გადარჩენა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი მთავარი გზა, აფხაზეთის მეც. აკად. სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, 2012.

ADJARIAN NATURAL-CLIMATE CONDITIONS AND THE OPPORTUNITIES OF PRODUCING MAIN SUBTROPICAL CULTURES

Rezo Jabnidze, Batumi Shota Rustaveli State University, Professor
Nana Jabnidze, Batumi Shota Rustaveli State University, Academic Doctor
SUMMARY

During establishing of market economy the government must promote those sectors of agriculture industry, which are potentially competitive and capable to use effectively whole national resources and export possibilities, at the same time to obtain reasonable feedback incoming with minimal expenses in the nearest future.

Under the today's information, high growth of tea manufacture is almost impossible, because the reserve of tea plantation is very limited; therefore tea for Georgia becomes a possible business of the state value. On our presentation farmers state farms would become one of the sources for restoration of tea authority. Tea culture should become competitive, then Georgia probably provides first of all the need of tea and the certain quantity would be taken out abroad.

ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით

თინა ჯობორდი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი,
დოქტორი
E-mail: tinajobordi@gmail.com

ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას და ინტეგრაციის პროცესებს თან სდევს ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნა და განვითარება, ცალკეული ქვეყნების სამეურნეო კომპლექსში ჩართვა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ბიზნესის სფეროს გააქტიურებას და მისი მასშტაბების ზრდას. ამ პროცესმა მოითხოვა ბიზნესისთვის ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა. ბიზნესს ემსახურება ინფორმაციის მრავალი სახე, მათ შორის, საწარმოების და ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგებები. ქვეყნებს შორის ფინანსური ურთიერთობების გასამართლებლად და ბიზნესის ხელშესაწყობად შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ბიზნესის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება მინიმალური დანახარჯების და მინიმალური რისკის პირობებში. ბიზნესში მაღალი რისკი ჯილდოვდება მაღალი შემოსავლებით, დაბალი რისკი დაბალი შემოსავლებით. ამიტომ ყველა გადაწყვეტილება განხილულ უნდა იყოს ფინანსური მენეჯმენტის პოზიციიდან, განსაზღვრულ უნდა იქნეს რისკის და შემოსავლის კავშირურთიერთობა. ამ საკითხზე ახალი ფინანსური მოდელები იქმნება. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგებაც უნდა განვიხილოთ ფინანსური მენეჯმენტის პოზიციიდან, სადაც მნიშვნელოვანი მომენტია რისკის და შემოსავლების დამოკიდებულება, რაც შესაბამისად აისახა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში „ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით“. სტანდარტში გამოკვეთილად არაა ასახული რისკის და შემოსავლების დამოკიდებულება ბუღალტრულ ანგარიშგებასთან, მით უფრო გეოგრაფიულ და სამეურნეო სეგმენტების ჭრილში. საჭიროა ამ საკითხების დამუშავება ფინანსური მენეჯმენტის და მარკეტინგის თვალსაზრისით.

გეოგრაფიული სეგმენტი ძირითადად მოიცავს გეოგრაფიულ არეალს, რომელიც ითვალისწინებს ბაზრის დაყოფას გეოგრაფიულ ერთეულებად.

გეოგრაფიულ ერთეულებად დაყოფას ფირმები მიმართავენ, რათა უკეთ გაითვალისწინონ რეგიონალური თავისებურებები და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარ-ჩვევები. ტერიტორიალურ ჭრილში კომპანიის საქმიანობის პროგრამა უნდა იყოს ელასტიური, რათა მან შეძლოს ახალ შესაძლებლობებზე დაუყოვნებლივ რეაგირება და ნაკლებმომგებიან საქმიანობაზე უარის თქმა.

საქართველოში ბოლო წლებში საკმაოდ მრავალი ლიტერატურა შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით. აქ იგულისხმება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სახელმძღვანელოები, ჟურნალები, დამხმარე ლიტერატურა და სხვა, მაგრამ მათ შორის არაა განხილული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტანდარტი „ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით“, რომელიც მეტად საინტერესოა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. სტანდარტი მოიცავს

ანგარიშგების დაყოფას სამეურნეო და გეოგრაფიული სეგმენტების მიხედვით. აღნიშნული კვლევა მოითხოვს როგორც ბუღალტრული აღრიცხვის, ისე მარკეტინგის კარგ ცოდნას, რადგან გეოგრაფიული სეგმენტი მოიცავს პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის ბაზრების გეოგრაფიულ არეალებს.

სამეურნეო და გეოგრაფიულ სეგმენტებზე წარმოდგენის მისაღებად განვიხილოთ სტანდარტი 14 „ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით“.*

აღნიშნული სტანდარტის მიზანია სეგმენტების მიხედვით საწარმოს მიერ წარმოებული სხვადასხვა პროდუქციის და გაწეული მომსახურების ფინანსური ინფორმაციის და სხვა გეოგრაფიული არეების ინფორმაციის წარდგენის პრინციპების დამკვიდრება, რათა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელს დაეხმაროს, უკეთ გაიგოს საწარმოს საქმიანობის შედეგები, შეაფასოს საწარმოს წინაშე მდგარი რისკი და შემოსავლები, მთლიანობაში საწარმოს შესახებ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილებები. მრავალი საწარმო აწარმოებს პროდუქციის სხვადასხვა სახეს, ეწევა მომსახურებას ან ფუნქციონირებს იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც არსებობს მომგებიანობის, განვითარების პერსპექტივების განსხვავებული შესაძლებლობები და რისკები. საწარმოს სხვადასხვა პროდუქციის და მომსახურების სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია (მას ხშირად x სეგმენტურ ინფორმაციასაც უწოდებენ) საჭიროა დივერსიფიცირებულ ან საერთაშორისო საწარმოების წინაშე მდგარი რისკების და უკუგების შესაფასებლად, მაგრამ შესაძლოა იგი არ გამოცალკევდეს აგრეგირებული მაჩვენებლებისგან. ამგვარად, მიიჩნევენ, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭიროა სეგმენტის შესახებ ინფორმაციის არსებობა.* [ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), ნაწ. I, 2004].

სამეურნეო სეგმენტი არის საწარმოს განსხვავებული კომპონენტი, რომელიც მონაწილეობს ცალკეული პროდუქციის წარმოებაში ან ეწევა მომსახურებას, ან აწარმოებს ურთიერთდაკავშირებულ პროდუქციას და მომსახურებას, ან მომსახურების ჯგუფებს და არის რისკების და შემოსავლების ობიექტი, რომელიც განსხვავდება სხვა სამეურნეო სეგმენტების შემოსავლებისა და რისკებისაგან.

იმის დასადგენად, არის თუ არა პროდუქცია და მომსახურება ურთიერთდაკავშირებული, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები:

- ა) პროდუქციის მომსახურების ხასიათი;
- ბ) წარმოების პროცესის ხასიათი;
- გ) პროდუქციის მომხმარებელთან ან მომსახურების მიმღებთან ტიპი და კლასი;
- დ) პროდუქციის დისტრიბუციის ან სხვა მომსახურების გაწევის მეთოდები;
- ე) საჭიროების შემთხვევაში მარეგულირებელი გარემოს ხასიათი. მაგ.: საბანკო, სადაზღვევო, ან კომუნალური საწარმო.

გეოგრაფიული სეგმენტი არის საწარმოს განსხვავებული კომპონენტი, რომელიც აწარმოებს პროდუქციას ან ეწევა მომსახურებას გარკვეულ ეკონომიკურ გარემოში და არის რისკების და შემოსავლების ობიექტი, რომელიც განსხვავდება სხვა ეკონომიკურ გარემოში მოქმედი რისკებისა და შემოსავლებისგან. გეოგრაფიული სეგმენტის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები:

- ა) ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები;
- ბ) სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში განხორციელებულ ოპერაციებს შორის ურთიერთდამოკიდებულება;
- გ) ოპერაციათა სიახლოვე;
- დ) კონკრეტულ არესთან დაკავშირებული სისტემა;
- ე) ვალუტის გაცვლის წესები;
- ვ) ვალუტასთან დაკავშირებული ძირეული რისკები.

საანგარიშგებო სეგმენტი არის სამეურნეო ან გეოგრაფიული სეგმენტი, რომელიც განისაზღვრება ზემოთ მოცემული განმარტებების შესაბამისად და მოცემული სტანდარტის თანახმად უნდა წარმოადგინოს სეგმენტური ინფორმაცია.

ცალკეული სამეურნეო სეგმენტი არ მოიცავს პროდუქციას და მომსახურებას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან რისკის და მოგების მიხედვით.

გეოგრაფიული სეგმენტი ასევე არ მოიცავს ოპერაციებს იმ სხვადასხვა ეკონომიკურ გარემოში, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება რისკის და უკუგების მიხედვით. გეოგრაფიული სეგმენტს შეიძლება წარმოადგენდეს ერთი ქვეყანა, ორი ან ორზე მეტი ქვეყნის ჯგუფი, ან ქვეყნის შიგნით არსებული რაიონი.

* ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), ნაწ. I, 2004, გვ. 768

რისკის ძირითადი წყაროები გავლენას ახდენენ სხვადასხვა საწარმოების ორგანიზებასა და მართვაზე. საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი შიდა ფინანსური საანგარიშგებო სისტემა წარმოადგენს მისი სეგმენტების განსაზღვრის საფუძველს. საწარმოს რისკსა და უკუგებაზე გავლენას ახდენს როგორც მის მიერ განხორციელებული ოპერაციების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ასევე ბაზრების მდებარეობა. განმარტებები ითვალისწინებს, რომ გეოგრაფიული სეგმენტი დაეფუძნოს: საწარმოს პროდუქციის წარმოების ან მომსახურების გაწევისთვის საჭირო მოწყობილობების ან სხვა აქტივების განთავსების ადგილს ან ბაზრების და მომხმარებლების ადგილმდებარეობას.

საწარმოს ორგანიზაციული და შიდა საანგარიშგებო სტრუქტურა ჩვეულებრივ წარმოადგენს იმის დასაბუთებას, რომ საწარმოს გეოგრაფიული რისკების ძირითადი წყაროა აქტივების განთავსება (გაყიდული საქონლის წარმოშობის ადგილი) ან მის მომხმარებელთა ადგილმდებარეობა (გაყიდვის დანიშნულება), შესაბამისად, საწარმო განიხილავს ამ სტრუქტურას, რათა განსაზღვროს, რას ეფუძნება გეოგრაფიული სეგმენტი – საწარმოს აქტივების თუ მომხმარებელთა ადგილმდებარეობას. ამ თვალსაზრისით გეოგრაფიული სეგმენტის კვლევა მოითხოვს მარკეტინგის კარგად ცოდნას.

სამეურნეო და გეოგრაფიულ სეგმენტის შემადგენლობის განსაზღვრა გარკვეულწილად ექვემდებარება მსჯელობას. მსჯელობის დროს საწარმოს ხელმძღვანელობა მხედველობაში იღებს წინამდებარე სტანდარტში მოცემული სეგმენტის მიხედვით წარსადგენი ფინანსური ინფორმაციის მიზანს და ფინანსური ანგარიშგების მომზადების წარდგენის სტრუქტურულ საფუძველებში მოცემული ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივ მახასიათებლებს.

სეგმენტს ახასიათებს შემოსავალი, ხარჯი, შედეგი, აქტივები და ვალდებულებები.

სეგმენტის შემოსავალი არის ისეთი შემოსავალი, რომელიც წარმოადგენილია საწარმოს მოგების და ზარალის ანგარიშგებაში, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება სეგმენტს და საწარმოს შემოსავლის შესაბამისი ნაწილი, რომელიც მიღებულია გარე მომხმარებლისთვის ან მიყიდული პროდუქციიდან და იმავე საწარმოს სხვა სეგმენტთან დადებული გარიგებებიდან დასაბუთებულად შეიძლება მიეკუთვნოს მოცემულ სეგმენტს. სეგმენტის შემოსავალს არ მიეკუთვნება პროცენტების ან დივიდენდების სახით მიღებული შემოსავალი, ინვესტიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები.

სეგმენტის ხარჯი არის სეგმენტის საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი და პირდაპირ მიეწერება მოცემულ სეგმენტს და ხარჯის შესაბამის ნაწილს, რომელიც დასაბუთებულად უნდა მიეკუთვნოს მოცემულ სეგმენტს, მათ შორის გარე მომხმარებელთან მიყიდულ საქონელთან ან იმავე საწარმოს სხვა სეგმენტებთან დადებულ გარიგებებთან დაკავშირებული ხარჯი. სეგმენტის ხარჯს არ მიეკუთვნება: პროცენტები, ინვესტიციების გაყიდვით ან ვალის დაფარვიდან მიღებული ზარალი და სხვა.

სეგმენტის შედეგი არის სეგმენტის შემოსავალს გამოკლებული სეგმენტის ხარჯი. იგი განისაზღვრება უმცირესობის წილის ნებისმიერი კორექტირების განხორციელებამდე.

სეგმენტის აქტივი არის ის საოპერაციო აქტივები, რომლებიც გამოიყენება სეგმენტის მიერ საწარმოს საოპერაციო საქმიანობის დროს და უშუალოდ მიეკუთვნება სეგმენტს ან შეიძლება დასაბუთებულად განაწილდეს მოცემულ სეგმენტზე.

თუ სეგმენტის შედეგი მოიცავს პროცენტის ან დივიდენდის სახით მიღებულ შემოსავალს, სეგმენტის აქტივები მოიცავს მასთან დაკავშირებულ დებიტორულ დავალიანებას, სესხებს, ინვესტიციებს და სხვა შემოსავლის მომტან აქტივებს.

სეგმენტის ვალდებულებები არის ის საოპერაციო ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა სეგმენტის საოპერაციო საქმიანობიდან და უშუალოდ მიეკუთვნება სეგმენტს, ან, შესაძლოა, დასაბუთებულად მიეკუთვნოს მოცემულ სეგმენტს. თუ სეგმენტი მოიცავს საპროცენტო ხარჯს, სეგმენტის ვალდებულებები მოიცავს მასთან დაკავშირებულ პროცენტთან ვალდებულებებს.

საანგარიშგებო სეგმენტი შეიძლება დაიყოს პირველად და მეორად ფორმატებად, გამომდინარე საწარმო ს რისკებსა და შემოსავლებისაგან.

თუ საწარმოს რისკსა და მოგების ნორმაზე უპირატესად გავლენას ახდენს მის მიერ წარმოებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების სხვადასხვაობა, სეგმენტის შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზნით პირველადი ფორმატი უნდა წარმოადგენდეს სამეურნეო სეგმენტებს, ხოლო მეორადი ინფორმაცია უნდა აისახოს გეოგრაფიული ნიშნით. ასევე, თუ რისკის და უკუგების ნორმაზე უპირატესად გავლენას ახდენს ფაქტი, რომ იგი საქმიანობას ეწევა სხვადასხვა ქვეყნებსა და გეოგრაფიულ არეალში მის პირველად ფორმატს სეგმენტური ინფორმაციის წარმოადგენის მიზნით უნდა წარმოადგენდეს გეოგრაფიული სეგმენტები, ხოლო მეორადი ინფორმაცია წარმოადგენილი იქნება პროდუქციის და მომსახურების ურთიერთდაკავშირებული ჯგუფისთვის. ამრიგად, განმსაზღვრელი ნიშანი პირველადი და მეორადი ფორმატისათვის არის რისკებისა და შემოსავლიანობის დონე. ორი ან

მეტი გეოგრაფიული სეგმენტი, რომლის შესახებაც დგება შიდა ანგარიშგება, რომლებსაც არსებითად ერთმანეთის მსგავსია, შეიძლება გაერთიანდეს ერთ სამეურნეო ან გეოგრაფიულ სეგმენტად.

ამრიგად, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი ანგარიშგების სეგმენტის შესახებ მოიცავს სამეურნეო და გეოგრაფიულ სეგმენტებს. ამ თვალსაზრისით უნდა დამუშავდეს სამეურნეო და გეოგრაფიულ სეგმენტების კვლევის თეორია და პრაქტიკა, შემუშავდეს სააღრიცხვო და მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. შესაბამისად გამოკვლეულ უნდა იქნეს რისკის და შემოსავლების კავშირი პირველად და მეორად ფორმატებთან. სტანდარტის კვლევის მეთოდიკა უნდა განხორციელდეს გეოგრაფიულ და სამეურნეო ჭრილში კონკრეტული საწარმოსათვის.

გეოგრაფიული სეგმენტების კვლევის მეთოდიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ არეალებს: საქართველო შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი გეოგრაფიული სეგმენტი, რომელიც დაიყოფა სეგმენტებად რეგიონალურ ჭრილში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი და სხვა). საჭიროა რეგიონების მარკეტინგული გამოკვლევა კონკრეტული საწარმოების და პროდუქციის ჯგუფების მიხედვით. საჭიროა შესწავლილი იქნეს და გაანალიზდეს ამ რეგიონების ბიზნესგარემო, ფასიანი ქაღალდების ბაზარი და რისკების და მომგებიანობის ურთიერთკავშირი.

რისკების და მომგებიანობის ურთიერთკავშირი დაკავშირებულია საგადასახადო გარემოსთანაც, მოგებას ამცირებს გადასახადები, ამიტომ გეოგრაფიული სეგმენტების გამოკვლევა მოითხოვს მათი საგადასახადო გარემოს შესწავლასაც.

სტანდარტი არ ითვალისწინებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ბუღალტრული ანგარიშგების დარგობრივი სეგმენტები, სადაც საწარმოები, პროდუქცია და მომსახურება დაიყოფა სეგმენტების მიხედვით. ასეთი გამოკვლევები დადებითად წაადგება სააღრიცხვო საქმის განვითარებას საქართველოში.

ლიტერატურა:

1. ბ. კაკაბაძე, ზ. კანდელაკი, თ. ჯოღობორდი, ბიზნესი. პრინციპები და მიმართულებები, „ბარტონი“, თბ., 2009.
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), ნაწ. I, 2004.
3. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაჰოვიჩი უმცრ., ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, „საქართველოს მაცნე“, თბ., 2008.

GIVING ACCOUNTING REPORT ACCORDING TO SEGMENTS **Tina Jolbordi, Gori State Teaching University, Specialist under contract, Doctor** **RESUME**

Expansion of economic relations and integration process is followed by creating the united world market and development. All these facts caused activation of business field and expansion of its borders. This process caused making the united international base for business. Lots of means of information work for business. There are financial reports among them. The international standards of accounting are created for making financial relations among countries and helping business. The aim of business is getting maximum profit by minimal costs and minimal risks. In business high risk gets high income. That is why all decisions must be discussed with the position of financial management. Relations between risks and incomes must be taken into consideration. New financial models are created for this question. Financial report must be also discussed with the position of financial management where relations between risks and incomes are reflected in the international standard of accounting – “Giving Report According to Segments”. Relations between risks and incomes especially in the field of geographical segments are not shown in the standard obviously. It needs studying according to financial management and marketing.

A lot of works were created using the international standard of accounting in Georgia. We mean theoretical and practical text-books, journals, additional literature, etc. But one main standard – “Giving Report According to Segments”, which is very interesting according to theoretical and practical view, is not discussed.

The research of geographical segments may include the following fields: Georgia may be discussed as one geographical segment which is divided into segments according to the regions (Tbilisi, Kutaisi, Batumi, Poti, etc). It is necessary to study the regions with marketing points and according to groups of enterprises and production. Business environment, stock market, relations of risks and incomes must be studied. Relations between risks and incomes are connected with tax environment. Income is decreased by taxes. So research of geographical segments is connected with studying tax environment.

The research of this field will bring positive results to the development of accounting process in Georgia.

მეტაფიზიკისა და მეცნიერების დემარკაციის შესახებ

ნუგზარ აბრამიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

მეტაფიზიკა მთელი თავისი არსებობის მანძილზე, განსაკუთრებით კი დეკარტის დროიდან, იმას ცდილობდა, რომ ასულიყო აბსოლუტური მეცნიერების რანგში, მას შემდეგ, რაც კანტმა მკაცრად გააკრიტიკა მეტაფიზიკის პრეტენზია წმინდა გონების მეცნიერებაზე, მეტაფიზიკის მეცნიერულობის საკითხი ფილოსოფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა.

წარმოდგენილი ნაშრომი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, მეტაფიზიკა არ არის მეცნიერება, მეცნიერება და მეტაფიზიკა სხვადასხვა განზომილებაში იმყოფებიან და „მეტაფიზიკის ღირებულების მეცნიერულობის იდეით შეფასება მისი ნამდვილი არსების გაუგებრობაა და ფატალური დამცირება“ (3. გვ. 117).

მეტაფიზიკასა და მეცნიერებას შორის არსებითი განსხვავების დასადგენად ჯერ უნდა მოვნიშნოთ მეცნიერების საზღვრები, შემდეგ კი იგივე გავაკეთოთ მეტაფიზიკის მიმართ.

მეცნიერება, მეცნიერული შემეცნება წარმოადგენს გარკვეული საგნობრივი სფეროს მეთოდურ და ზუსტ კვლევას. ის მიემართება არსებულის რომელიმე კონკრეტულ სფეროსა და ასპექტზე. მეცნიერებანი, რომლებიც იკვლევენ და ასაბუთებენ საგნების შესახებ მაიძულებენ ცოდნას გვაწვდიან, გვაყენებენ ფაქტობრივი ვითარების წინაშე. მეცნიერება იმეცნებს ობიექტურად არსებულ მოვლენათა სამყაროს, მისთვის დამახასიათებელია ობიექტურობა და საყოველთაო მნიშვნელობა. ეს შემეცნება ყოველთვის საგნობრივია, მაგრამ მეცნიერული შემეცნება არ არის უსაზღვრო, ყველაფრის მეცნიერული ახსნა შეუძლებელია. მეცნიერული შემეცნების სფეროა სამყაროს ცალკეული მოვლენები და ადამიანის ემპირიული სამყარო. მეცნიერება ორმხრივაა ზღვარდადებული. პირველი მიჯნა მეცნიერებისთვის არის სამყაროს მთლიანობა. მეცნიერებას არ შეუძლია შეიმეცნოს სამყაროს მთელი. მთელის შემეცნების ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდება.

ყოველი საგანი, ყოველი ფაქტობრივი ვითარება მთლიან არსებულთან სისტემურ ერთიანობაში იმყოფება, ანუ მეტაფიზიკური საზრისის მატარებელია და, როგორც მთლიანი სამყაროს ელემენტი, საჭიროებს მეტაფიზიკურ ინტერპრეტაციას. მეცნიერებას არ აინტერესებს ფაქტების დამოკიდებულება სამყაროს ერთიანობის პრინციპთან, რადგან ეს მისთვის მიუწვდომელი სფეროა. საგანთა მეცნიერული შემეცნება არ არის მთლიანი არსებულის შემეცნება, ის ნაწილობრივია. მეტაფიზიკის საძიებელი სინამდვილე არ შეიძლება მეცნიერებებში გარკვეული ცოდნის შინაარსის სახით მოინახოს. მეტაფიზიკური ცოდნა ვერ იქნება ერთიანი საგნობრივი ცოდნის იდენტური.

მეცნიერებისთვის, რომელიც თავისთავადი სამყაროს კვლევას წარმოადგენს, სამყაროს აბსოლუტური შემეცნება შეიძლება იყოს უმაღლესი იდეალი, რადგან ჩვენი გონების ბუნებიდან აუცილებლობით გამომდინარეობს მოთხოვნილება, გავცდეთ კონკრეტულ, საგნობრივ სფეროს და მოვიაზროთ საერთოდ არსებული, დავეუფლოთ აბსოლუტურ ცოდნას, მაგრამ მთლიანი არსებულის მეცნიერული შემეცნება პრინციპულად შეუძლებელია. მეცნიერებას ხელიდან უსხლტება მთლიანი არსებული.

მხოლოდ მეტაფიზიკა მიემართება სამყაროს მთელს. ფილოსოფოსობა მთელის შესახებ აზროვნებაა. მეტაფიზიკასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მიზნად სამყაროს მთლიანობის წვდომა დასახული. სამყარო, როგორც მთელი იმიტომაც მეტაფიზიკის უმთავრესი პრობლემა, რომ ადამიანი მთლიანშია, მთელს ეკუთვნის, მთლიანის გზით არსებობს და კითხვა დგება იმ არსებულის შესახებ, რომელშიც ჩართულნი ვართ ჩვენი ყოფიერებით.

მთლიანი არსებულის ყოველი მოსაზრებისას ადამიანი აუცილებლობით და მუდმივად „ექსისტირებს“, ანუ ეს მოაზრება ადამიანის ყოფიერების საზრისის გამომთქმელია, სანამ არსებულზე, როგორც ასეთზე, უპასუხებდეს, ის მანამდე უკვე რაღაცნაირად წარმოადგენს ყოფიერებას.

„რანაირადაც არ უნდა იყოს გაგებული არსებული, როგორც სული, სპირიტუალიზმის აზრით, როგორც მატერია და ძალა, მატერიალიზმის აზრით, ან როგორც ქმნადობა და სიცოცხლე, ან როგორც წარმოდგენა, ან როგორც ნება, ან როგორც სუბსტანცია, ან როგორც სუბიექტი, ან როგორც ენერგია, ან როგორც იგივეს მარადიული დაბრუნება, არსებული როგორც არსებული ყოველთვის წარმოსდგება ყოფიერების შუქზე“ (4. გვ. 27). ამ დროს ჩვენ უნებლიეთ ვდგებით მთლიანი არსებულის შუაში. რომელიც არსებითად განსხვავდება მთლიანის მეცნიერული დაუფლების მცდელობისგან, ანუ აღმოჩნდება არსებულთან მეტაფიზიკურ მიმართებაში. ამ მიმართებაში მე უკვე აღარ შეიძლება მომეცეს სამყარო ისე, როგორც ის არის თავისთავად, ყოფიერებითი ინტერესებისაგან განყენებული სახით. მეტაფიზიკაში და მეტაფიზიკის მეშვეობით ადამიანი ქმნის თავისი ყოფიერების მთლიანი სამყაროს სურათს, რომელიც უმნიშვნელოვანეს მომენტად შეიცავს ადამიანს და მის ყოფიერებაზე დამოკიდებულ მნიშვნელობებს.

მთლიანი არსებულის მეცნიერული შემეცნება შესაძლებელი რომც ყოფილიყო, ეს მაინც არსებულის ცალმხრივი სურათი იქნებოდა, რადგან მეცნიერულ პოზიციაში იკარგება ადამიანი, ხდება ადამიანის ყოფიერებითი მიმართების გამორთვა, მისი სუბიექტური ყოფიერებისა და შესატყვისი მნიშვნელობების გამორიცხვა.

მეცნიერება ვერაფერს გვეტყვის ადამიანის ცხოვრების საზრისზე. მას არ შეუძლია მოგვცეს რაიმე მიზნები ცხოვრებისთვის, ვერ წამოაყენებს რაიმე მნიშვნელოვან ღირებულებებს, ვერ იქნება მსოფლმხედველობრივად მათემატიკური, ე.ი. მეცნიერება გამორიცხავს სწორედ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ადამიანისთვის. ის გამორიცხავს საკითხებს მთელი ადამიანური არსებობის აზრიანობასა და უაზრობაზე. არადა ადამიანს, როგორც თავისუფლად მოქმედ არსებას, პირველ რიგში, სწორედ ამ საკითხებში ორიენტირება ესაჭიროება. ადამიანს განსაკუთრებით სჭირდება გარკვევა გონივრულ-თავისუფალი ამორჩევის შესაძლებლობებში. მეცნიერებას არაფრის თქმა არ შეუძლია გონივრულობასა და არაგონივრულობაზე. ჩვენზე, როგორც ამ თავისუფლების სუბიექტებზე, მეცნიერება ყოველივე სუბიექტურობისგან განყენებას ახდენს.

სამყაროს მთელი ვერ ამოწურავს მეტაფიზიკის სფეროს. მეცნიერების მეორე მიჯნა ადამიანია. ადამიანი, როგორც ემპირიული არსება, შეიძლება სხვადასხვა მეცნიერებათა კვლევის ობიექტად იქცეს ბიოლოგიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და ა. შ., მაგრამ ადამიანი, როგორც მთელი, როგორც თვითმყოფი, რომლის არსებითი განსაზღვრულობა ექსისტირება, არ არის საგნობრივი არსებობის მქონე, არ შეიძლება გახდეს მეცნიერული კვლევის ობიექტი. ადამიანი იმდენადაა ადამიანი, რამდენადაც არ არის ობიექტი. მისი არსებითი განსხვავება სხვა არსებულთაგან ისაა, რომ ადამიანი თავისუფალი არსებაა. მისი ექსისტენცია მის თავისუფლებაშია. ადამიანი ამოუწურავი შესაძლებლობების თვალსაზრისით, მუდმივ ქმნადობაშია და შესაძლებლობათა განხორციელებაში არასოდეს არ უდრის განხორციელებულს. მან წინასწარ არასდროს არ იცის და არც მეცნიერულად შეუძლია გამოიკვლიოს თავისი ყოფიერებითი შესაძლებლობები, რომლებიც ყოფიერებასთან მის გაგებით მიმართებაში პირველად იხადებიან. ეს შესაძლებლობები ფაქტობრივად ადამიანად ყოფნის შესაძლებლობებია, რომელიც ხორციელდება თავისუფლებაში. აქ შესაძლებლობები, ცვლილებები და სიტუაციები ბუნდოვანია. ადამიანი წინასწარ ვერ განჭვრეტს შესაძლებლობებს, ექვემდებარება ცვლილებებს, რომელიც წინასწარ არ იცის, და მუდმივად მოძრაობს სიტუაციაში, რომელსაც ვერ ფლობს.

ადამიანი ბევრად მეტია იმაზე, რაც მეცნიერებას შეუძლია იცოდეს მასზე. როცა ადამიანი თავის თავს იკვლევს მეცნიერული მეთოდებით, ამით ახდენს თავისი თავის გაობიექტებას. ადამიანში, რაც საკუთრივ ადამიანურია (თავისუფლება, ექსისტირება), მხოლოდ მეტაფიზიკით მიიწვდომება.

ასე, რომ მეტაფიზიკური პრობლემები არ ექვემდებარება მეცნიერულ კვლევას. „განსჯის ყოვლისშემძლეობა იმსხვერვა მთლიანი არსებულისა და ყოფიერების საზრისის შესახებ კითხვებზე და ამით ლოგიკის ბედიც წყდება. მეტაფიზიკის შიგნით, მეცნიერება და ლოგიკა ირღვევა მეტაფიზიკის კარიბჭესთან“ (5. გვ. 40).

მეტაფიზიკისა და მეცნიერების საზღვრების მოცემული ნათელყოფის შემდეგ უნდა წარმოჩნდეს მეტაფიზიკის დამოუკიდებლობა და თავისთავადობა.

მეტაფიზიკა ადამიანის გონითობის გამოვლენის უმაღლესი და დამოუკიდებელი ფორმაა, მაგრამ თავის დამოუკიდებლობაში ის არ არის იზოლირებული გონითი მოღვაწეობის სხვა ფორმებისგან და თავის თავში ითავსებს რელიგიის, ხელოვნებისა და მეცნიერების ელემენტებს.

რამდენადაც მეტაფიზიკა მიემართება მთლიანს და ცდილობს ახსნას სამყაროს და ადამიანის ცხოვრების პრობლემები, ის გამოირჩევა ხედვისა და შემეცნების თავისებურებით და შესატყვისი აქტებით. მეტაფიზიკურ მიმართებაში ჩართულია მთლიანი ადამიანი აზროვნებით, ჭკრეტით, რომელიც პოეტური ჭკრეტის განზომილებაშია, რწმენით, რომელიც განსხვავდება რელიგიური რწმენისგან, გრძნობით და ნებულობით. მას განსჭვალავს რელიგია, პოეზია და მეცნიერებასე, რომ თვითონ არც მეცნიერებაა, არც ხელოვნება და არც რელიგია. ასე დანახული მთლიანი სამყარო არ შეიძლება შეფასდეს

ჭეშმარიტება-მცდარობის მეცნიერული კრიტერიუმით. ჩვენ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ მთლიანი ადამიანის მიერ ასე გააზრებული სამყაროს მთელისა და თავისი ყოფიერების საზრისის გამომთქმელი მეტაფიზიკა სამყაროს მეცნიერული სურათის აგების მცდელობისგან. სამყაროს მეცნიერული სურათი მეცნიერებათა განვითარებისა და მათში განმსაზღვრელად მოვლენილი მეცნიერების საფუძველზე აიგება და იგი მხოლოდ ახალი დროის კუთვნილებაა, მაგრამ სამყაროს მთელის მეცნიერული წვდომის მისწრაფება პრობლემაა, რომელიც ვერასდროს რეალიზდება, რადგან მთლიანი არასდროს მოგვეცემა, როგორც კვლევის საგანი, და ასევე არ არსებობს ზოგადმნიშვნელოვანი მეთოდები, რომლებითაც შეიძლება განხორციელდეს ეს კვლევა. მთლიანის ყოველი ტოტალური შემეცნება ვლინდება როგორც შეცდომა, რაც იმით გამოიხატება, რომ განხილვის ერთი ხერხი ერთადერთად იქცევა, ერთი მეთოდი უნივერსალურ მეთოდად გადაიქცევა.

მეტაფიზიკაში თეორიულ ასპექტს წარმოადგენს სპეკულაცია იმ საკითხებზე, რომლებიც ზუსტი მეცნიერული კვლევისთვის მიუწვდომელია. ის ცდილობს თავის დებულებებს მისცეს ზოგადსავალდებულო ხასიათი, ამიტომ მეტაფიზიკაში დომინირებს თეორიული ფაქტორი, გონების ავტორიტეტი, მაგრამ თეორიული ცოდნა ვერ იქნება თავისთავად მეტაფიზიკისთვის შინაგანად განმსაზღვრელი. შეიძლება სამყაროს მთელზე მრავალი თეორიული თვალსაზრისი ვიცოდეთ, მაგრამ არ ვიყო დარწმუნებული მათ ჭეშმარიტებაში. ასეთი ცოდნა, რადგან ის არ არის მეთოდური, მეცნიერული კვლევით მიღწეული, არ ხასიათდება უეჭველობით. ცოდნა მეტაფიზიკურ პოზიციას მხოლოდ მაშინ დაედება საფუძვლად, თუ ის ცნობიერებაში უბრალო სურათის სახით კი არ არის, არამედ მისადმი რწმენით განმტკიცებულ მრწამს წარმოადგენს. როცა რაიმე არ ვიცით მეცნიერული უეჭველობით, მაგრამ გვაქვს მრწამსი, რომ ის ნამდვილად ასეა. მრწამსად ქცეული ცოდნა წარმოადგენს მეტაფიზიკის თეორიულ კომპონენტს.

მხოლოდ თეორიულ აზროვნებისა და ცოდნის ამარა მეტაფიზიკა ვერ გაინამდვილებს თავს, ის ითხოვს რაღაც სხვა აზროვნებას.

ანტიკურობიდან მოყოლებული, მეტაფიზიკური აზროვნება დაკავშირებული იყო ადამიანის სულის უღრმეს ინტუიციასთან, ის ვითარდებოდა ან პოეტური გაცისკროვნების, ან შემოქმედებითი წარმოსახვის წყალობით. მეტაფიზიკური აზროვნება ლოგიკურობით კონტროლირებული თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნებაა, შემოქმედებითი ფანტაზიისა და თავისუფალი წარმოსახვის შედეგია. ის არსებობს იდუმალების ინტუიციურ წვდომას წარმოადგენს.

დიდი ფილოსოფოსები, რომელნიც განსაკუთრებული ძალის ინტუიციით იყვნენ დაჯილდოებულნი, თავისი მეტაფიზიკური იდეებით ახდენდნენ სამყაროს იდუმალების ისეთ ახლებურ განათებას და ადამიანის ყოფიერებითი შესაძლებლობების ისეთ გამომხეურებას, რომლითაც კვალადნენ ადამიანის ახლებური განამდვილების გზას და ქმნიდნენ ახალ ეპოქათა იდეურ და კულტურულ საფუძვლებს.

ასე რომ, მეტაფიზიკა არ არის მეცნიერება, მისი ჭეშმარიტება განსხვავდება მეცნიერული ჭეშმარიტებისაგან, ის არ შეიძლება ფლობდეს უტყუარ, უეჭველ ცოდნას პლატონის, პლოტინის, კუზანელის, ჰაიდეგერის და სხვათა მეტაფიზიკური ნააზრევნი არ შეიძლება შეფასდეს ჭეშმარიტება-მცდარობის მეცნიერული კრიტერიუმებით.

მეტაფიზიკური ჭეშმარიტება იმით განიზომება და ფასდება, თუ მისი იდეების საფუძველზე აგებული მსოფლმხედველობა და შესატყვისი იდეალი რამდენადაა ეპოქის შემქმნელი, ხოლო ამ იდეალის ნათელქვეშ მდგარი ადამიანი რამდენად მაღალ დონეზე ახდენს თავისი ყოფიერების საზრისის რეალიზაციას.

მეტაფიზიკისა და მეცნიერების გამიჯვნა არ ნიშნავს მათ შორის კავშირის უარყოფას. ისინი ერთმანეთთან აუცილებელ კავშირში არიან და ზემოქმედებენ ერთმანეთზე.

მეტაფიზიკის ამოცანაა მთლიანი სამყაროს მოაზრება. ის განიხილავს სამყაროს არსებობის წესსა და ფორმას. მეცნიერება კი ამ სამყაროში არსებულ ნივთებს და ნივთთა მიმართებებს შეიმეცნებს. მაგრამ ყოველი ნივთი თუ მიმართება მთლიან სამყაროსთან სისტემურ ერთიანობაში იმყოფება. ასე რომ, ყოველი ფაქტის მეცნიერულ შემეცნებას მივყევართ მეტაფიზიკური ინტერპრეტაციის აუცილებლობამდე. მეტაფიზიკა უნივერსალური განზოგადების შუქზე განიხილავს კონკრეტულ ფაქტებს, რაც მეცნიერებას მხედველობის გარეშე რჩება. მეტაფიზიკა ადგენს ისეთ ზოგადობებს, რომლებიც ახასიათებს სინამდვილეს მთლიანობაში. ამიტომ სპეციალური მეცნიერებები მეტაფიზიკაში ნახულობენ თავიანთ პრინციპებს. მეტაფიზიკური იდეები უდიდესი მეცნიერულ-ეგზისტენციული მნიშვნელობისანი არიან. ისინი მეცნიერულ კვლევაზე ახდენენ ზეგავლენას, სტიმულსა და ორიენტაციას აძლევენ მეცნიერულ კვლევას.

მეცნიერული თეორიების უმეტესობის წყარო მეტაფიზიკური იდეებია. მაგალითად კოპერნიკის სისტემა პლატონური იდეით იყო შთაგონებული. ასევე შეიძლება დასახელებდეს ატომიზმი და სინათლის

კორპუსკულარული თეორია. მივიწყებული, ძველისძველი ტექსტები ხელახლა დღის სინათლეზე გამოდიან და რომ გვეგონა მათ ვიცნობდით, ირკვევა, რომ გაგებული არ გვექონია, მათში ვნახულობთ გენიალური ინტუიციით მიგნებულ გასაოცარ ჭეშმარიტებებს, რითაც ისინი უაღრესად თანამედროვენი ხდებიან. თვით იმ მეტაფიზიკურ თეორიებშიც კი რომლებიც ერთი შეხედვით შეიძლება უმნიშვნელოდ ჩანდეს, თუ კი მოვძებნით, აუცილებლად ვიპოვით ისეთ იდეას, რომელიც ღირებული იქნება. „ისევე, როგორც ზოგიერთი სახეობის ცხოველი, მცენარე ან მიკრობი საუკუნეების მანძილზე შეუმჩნევლად არსებობს სადღაც ჯუნგლებში, ჭაობებში ან უკაცრიელ კუნძულებზე, მაგრამ ერთხელაც ისინი შემთხვევით იჭრებიან უფრო ფართო სამყაროში და ცვლიან კულტურას, იპყრობენ მთელ კონტინენტს, ანალოგიურ პოტენციურ ძალას ფლობენ იდეები, რომელნიც ინახებიან მრავალფეროვან მეტაფიზიკურ სისტემებში“ (6. გვ. 546).

ასევე უნდა ითქვას, რომ ფილოსოფიური სინათლე აუცილებელია მეცნიერების სიცოცხლისა და სიწმინდისათვის. ფილოსოფიის გარეშე მეცნიერებას არ ესმის საკუთარი თავი. მეცნიერი, რომელიც ფილოსოფიას სწყდება, სწყდება მეცნიერებასაც. მეტაფიზიკის მიერ გაცემულმა პასუხებმა ადამიანის ცხოვრების აზრის შესახებ უნდა მოაწესრიგოს მეცნიერების შედეგების ათვისება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მეცნიერებამ თავისი შედეგებით ხელი შეუშალოს ადამიანის ცხოვრების საზრისის რეალიზაციას და ამით აზრი დაკარგოს. ყველა პრობლემას შორის თავისი მნიშვნელობით პირველი ადამიანის პრობლემაა და მის გადაწყვეტაზე დამოკიდებული როგორც ადამიანის, ისე მეცნიერების ბედი. მეტაფიზიკა როცა ქმნის სამყაროს მთელის სურათს, ამ საფუძველზე ის ისეთ მსოფლმხედველობას აგებს, რომელიც თავის თავში აერთიანებს ღირებულებათა მთელ სისტემას. მეტაფიზიკა კერძო მეცნიერებათა იდეებს იმგვარად რთავს ამ მთლიან სურათში, რომ ღირებულებათა ეს სისტემა, ანიჭებს საზრისს ყოველგვარ მეცნიერულ კვლევას.

თავის მხრივ მეტაფიზიკა არ დგას მეცნიერების გარეშე. მეცნიერული კვლევა, რომელიც მუდმივი განვითარების პროცესში იმყოფება აქტიურად ზემოქმედებს მეტაფიზიკაზე და იწვევს მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ ცვლილებებს. თუ ფილოსოფოსი ვერ ერკვევა თანამედროვე მეცნიერებებში, მაშინ ის ბრმასავითაა, სამყარო ნათელი ცოდნის გარეშეა. მეტაფიზიკა თავისი სიღრმისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებით თავს ინამდვილებს მეცნიერებებთან ერთად და მეცნიერებების დახმარებით.

ლიტერატურა:

1. Хайдеггер М., Основные понятия метафизики. Вопросы философии, М., 1989, №9. ст. 117-119
2. Хайдеггер М., Время и Бытие, М., 1993, ст. 27
3. Хайдеггер М., Что такое метафизика Новая техническая волна и западе. М., 1986, ст.40.
4. Уайтхед А., Избр. философские сочинения, М., 1990. ст. 546.

ABOUT THE DEMARCATION OF METAPHYSICS AND SCIENCE

Nugzar Abramishvili, Gori State Teaching University, Professor

RESUME

Science, scientific knowledge is a methodical and accurate study of the subject area. It heads to particular field and aspect of the existing. Sciences exploring and confirming about subject enforcement knowledge, face us to the factual situation. Science acknowledges objectively existing phenomena of the universe, and it is characterized by objectivity and universal significance. This knowledge is always material.

Metaphysics is not science, its truth is different from the scientific one, and it cannot hold true, undeniable knowledge. Metaphysical thoughts cannot be evaluated with true-false scientific criteria.

Metaphysical truth is measured and evaluated by the facts how ideology and its appropriate idol, based on its ideas is a creator of an era, and a human being influenced by this idol how well can realize sense of existence.

ქორწინების ბათილობის სამართლებრივი შედეგი

ივანე ბალახაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, უფროსი მასწავლებელი
E-mail: v.balakhshvili@gmail.com

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქორწინება, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით მამაკაცის და ქალის კავშირი, უნდა ატარებდეს სამისდღეშიო ხასიათს. ამგვარი პოზიცია ეფუძნება ვარაუდს იმის შესახებ, რომ ოჯახის ერთ-ერთ ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბავშვების დაბადება და გაზრდა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საოჯახო სამართალი მოითხოვს ახალ, ეროვნული იურიდიული მეცნიერებისათვის არატრადიციულ შეხედულებებს ქორწინებაზე, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ადრე არსებულთაგან. სამართლის მეცნიერება ქორწინების ცნების განსაზღვრისას გამოდის იქიდან, რომ ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (სამოქალაქო კოდექსის 1106 მუხლი).

ქორწინების ცნებაში ხაზი აქვს გასმული, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი. თუმცა, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის გარემოება, რომ არსებობს ქვეყნები, სადაც კანონმდებლობით დაშვებულია ერთი სქესის პირებს შორის ქორწინების რეგისტრაცია (დანია, ნორვეგია, საფრანგეთი და შვეიცია). ამ ქვეყნებში უკანასკნელ წლებში მიღებულია სპეციალური კანონები, რომლებიც ნებას რთავენ ერთი სქესის ადამიანების ქორწინების რეგისტრაციისათვის (ჩიკვაშვილი, 1977).

მიუხედავად იმისა, რომ ქორწინება მიზნად ისახავს ოჯახის შექმნას, კანონმდებლობა განამტკიცებს გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ქორწინება და ამ გარემოებების დარღვევის შემთხვევაში კი - ქორწინების ბათილობა.

ქორწინების ბათილობა წარმოადგენს იმ ნორმალური იურიდიული შედეგების გაუქმებას, რომლებსაც კანონი ნამდვილ ქორწინებასთან აკავშირებს. იგი დგება მაშინ, როდესაც დარღვეულია დაქორწინების აუცილებელი პირობები, ან იგი მომხდარია იმ დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობისას, რომლის დროსაც ქორწინება აკრძალულია ან კიდევ ყველა ფორმალური ნიშნის დაცვით, მაგრამ იმ განზრახვის გარეშე, რომ ნამდვილად შექმნას ოჯახი. ქორწინების ბათილად ცნობა იმას ნიშნავს, რომ მას თავიდანვე არ წარმოუშვია ის იურიდიული შედეგები, რაც მოსდევს ნამდვილ ქორწინებას. ქორწინების ბათილად ცნობა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. ამასთან, პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან სასამართლოში ქორწინების ბათილობისა და განქორწინების განხილვის წესი.

ქორწინების გაბათილება შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმ პირთა მიმართ გამოყენებულ სანქციად, რომლებიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით გატარდნენ ქორწინების რეგისტრაციაში.

ქორწინების გაბათილება, როგორც სანქციის განსაკუთრებული სახე, მეუღლეთა მიმართ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა დასაქორწინებელ პირთა განზრახვა კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით გატარებულიყვნენ ქორწინების რეგისტრაციაში. მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მეუღლეებმაც არაფერი იცოდნენ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც კრძალავენ ქორწინების შესაძლებლობას. მაგალითად, შესაძლებელია ქორწინების რეგისტრაციის დროს მათ არ იცოდნენ ის, რომ არაბიოლოგიური და-მმა ყოფილან, რაც ქორწინებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ გახდა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში ქორწინება წყდება სასამართლოში ამ გარემოების დადგენის მომენტიდან. ამ დრომდე გასული პერიოდისათვის ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგებს, რაც ნამდვილი ქორწინებისთვისაა დამახასიათებელი.

საოჯახო კანონმდებლობის მიერ ქორწინების ბათილად ცნობის საფუძვლების დადგენა მიზნად ისახავს ოჯახის განმტკიცებას, მეუღლეებისა და მათი შვილების ინტერესების დაცვას და ავალდებულებს სასამართლოებს ასეთი ქორწინების დროს მხედველობაში მიიღონ თითოეული შემთხვევის თავისებურება და თუ დარწმუნდებიან, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, ეს ქორწინება აღიარონ ბათილად.

საქორწინო ასაკის დარღვევა იწვევს ქორწინების ბათილობას. იგივე შედეგი დგება მაშინაც, როცა საქორწინო ასაკი არ ყოფილა შემცირებული სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევებში

ქორწინების გაბათილება განპირობებულია იმ პირის ინტერესებით, რომელიც საქორწინო ასაკის მიღწევამდე დაქორწინდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დაქორწინების გაბათილების აუცილებლობა მოიხსნება, თუ საქმის განხილვის მომენტისათვის არასრულწლოვანმა მეუღლემ საქორწინო ასაკს მიაღწია, ან იგი ორსულადაა. ასეთ შემთხვევებში მხოლოდ მისი მოთხოვნით შეიძლება გაბათილდეს ქორწინება. იგულისხმება, რომ არასრულწლოვანი მეუღლე თვითონ გამოხატავს თავის ინტერესებს. სხვა შემთხვევაში არასრულწლოვანი მეუღლის ინტერესების განსაზღვრა სასამართლოს კომპეტენციაში შედის. მაგალითად, თუ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქორწინების გაგრძელება უარყოფითად იმოქმედებს არასრულწლოვანის ჯანმრთელობაზე, მაშინ აუცილებლად უნდა გაბათილდეს ქორწინება. ეს მაშინაც შეიძლება, როცა არასრულწლოვანმა მეუღლემ საქმის განხილვის მომენტისათვის საქორწინო ასაკს მიაღწია და პირიქით, სასამართლომ შეიძლება არ გააბათილოს ქორწინება, თუ ასეთ ქორწინებაში გაჩნდა ბავშვი, ან ცოლი ორსულადაა, ან კიდევ არასრულწლოვანი მეუღლე საჭიროებს სერიოზულ და ხანგრძლივ მკურნალობას.

სასამართლომ აგრეთვე შეიძლება ბათილად ცნოს ისეთი ქორწინება, რომელიც გაფორმდა: იმ პირებს შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთი სხვა ქორწინებაში იმყოფება. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა ამის შესახებ, მეორემ იცოდა თუ არა ეს, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მეორე ქორწინება უნდა გაბათილდეს და არა პირველი; პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის, თუნდაც დაქორწინების დროს ამის შესახებ მათ არ სცოდნოდათ; ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის არა აქვს მნიშვნელობა იმას, იცოდნენ თუ არა ამის შესახებ; მშვილებლებსა და ნაშვილებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ქორწინებისას გამოირცხვლია სისხლის აღრევასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგები; იმ პირებს შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთ-ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ. პირის ქმედუუნაროდ აღიარება წინ უნდა უსწრებდეს დაქორწინებას.

კანონით გათვალისწინებული ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა, მისი გაბათილების უდავო საფუძველს არ წარმოადგენს. სასამართლოს უფლება აქვს და არაა ვალდებული ყველა შემთხვევაში გააბათილოს ქორწინება. ეს უნდა გააკეთოს მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდება გაბათილების აუცილებლობაში.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როცა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება მართალია, არსებობდა ქორწინების რეგისტრაციის დროს, მაგრამ საქმის განხილვის მომენტისათვის იგი მოიხსნა. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს ნებისმიერი გარემოების მიმართ. არ შეიძლება მხოლოდ სისხლით ნათესაობასთან დაკავშირებული დამაბრკოლებელი გარემოების მოსპობა. თუ საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, მაშინ სასამართლოს შეუძლია ქორწინება ცნოს ნამდვილად იმ მომენტისათვის, როცა ასეთი გარემოებები მოიხსნა და არა ქორწინების რეგისტრაციიდან. მსგავს შემთხვევაში ფაქტობრივად ბათილდება ქორწინების ის ნაწილი, რომელიც არსებობდა მისი რეგისტრაციიდან ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე, ე.ი. მის მოსპობამდე. მაგალითად თუ პირველი ქორწინება შეწყდა მეორე ქორწინების პერიოდში, ეს უკანასკნელი უნდა გაბათილდეს მისი რეგისტრაციის მომენტიდან, რადგან იმ მომენტში ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება პირველი ქორწინების სახით სახეზე იყო, მეორე ქორწინება ნამდვილად უნდა ჩაითვალოს პირველი ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან.

ქორწინების გაბათილების სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს დასაქორწინებელ პირთა ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა. ნამდვილ ქორწინებას საფუძველად უდევს დასაქორწინებელ პირთა მიერ ურთიერთთანხმობისა და ნება-სურვილის თავისუფალი გამოხატვა. დასაქორწინებელ პირთა ნება შეიძლება დეფექტური ხასიათის იყოს. ეს ხდება მაშინ, როცა დაქორწინება იძულებითია. იძულება კი შეიძლება გამოიხატოს როგორც პირდაპირ ძალადობაში, ისე ფსიქიკაზე ზემოქმედებაშიც. ფსიქიკაზე ზემოქმედება მუქარის გზით, უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო ხასიათისა და მიმართული დასაქორწინებელი პირის ანდა მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. იძულებითი დაქორწინების გავრცელებული ფორმაა ქალის მოტაცება, რაც დღეს სისხლისსამართლებრივ დარღვევად არის მიჩნეული. იძულებითი დაქორწინება ყოველთვის როდი გულისხმობს ქალის ნებაზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედებას. შესაძლებელია ზემოქმედება მოხდეს მამაკაცის ნებაზეც.

ქორწინების გაბათილების საფუძველს წარმოადგენს დასაქორწინებელ პირთა ნების ისეთი გამოვლინება, რაც მიზნად არ ისახავს ოჯახის შექმნას. ასეთ დროს ქორწინებისათვის აუცილებელი ფორმალური მოთხოვნები ზუსტადაა შესრულებული, ოღონდ დასაქორწინებელ პირთა შინაგანი ნება

და მისი გარეგანი გამოხატულება ერთმანეთს არ ემთხვევა. შინაგანად ისინი ცდილობენ დაქორწინება გამოიყენონ სულ სხვა მიზნისთვის, ვიდრე ოჯახის შექმნაა. ასეთი მიზანი შეიძლება იყოს: სამემკვიდრეო ქონების მიღება, პენსიის დანიშვნა, სამხედრო სამსახურიდან თავის დაღწევის სურვილი და სხვა. გარეგნულად მათი ნება ოჯახის შექმნის სურვილს გამოხატავს. ასეთი ქორწინება ფიქციურია და სასამართლომ იგი შეიძლება გააბათილოს. იგულისხმება, რომ ამ დროს დაქორწინებულ პირს არ სურს ოჯახის შექმნა. თუ ერთ-ერთ მათგანს გულწრფელად ჰქონდა ოჯახის შექმნის სურვილი და არაფერი იცოდა მეორის ნამდვილი სურვილის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ქორწინება არ შეიძლება ჩაითვალოს ფიქციურად, რადგან კეთილსინდისიერი მექორწინის ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული. რადგან დაქორწინებისას იგი მოატყუა მისმა მომავალმა მეუღლემ და ამით სინამდვილეში ხელი შეეშალა ურთიერთთანხმობის ჭეშმარიტ გამოვლინებას, მას შეუძლია მოითხოვოს ქორწინების ბათილობა. მეუღლეთა შორის ხანმოკლე სიახლოვე არ შეიძლება ქორწინების ფიქციურად აღიარებისათვის ხელისშემშლელ გარემოებად იქნეს მიჩნეული, მით უმეტეს თუ იგი გამიზნული იყო ქორწინების ნამდვილობის გარემოს შესაქმნელად. როცა ორივე მეუღლეს მიზნად ჰქონდა ფიქციური ქორწინების შედეგად არა ოჯახის შექმნა, არამედ რაიმე გამორჩენის მიღება, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ქორწინების გაბათილების შესახებ გააჩნია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს (, 1996).

განქორწინებისაგან განსხვავებით, რაც მომავალში საქორწინო და საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა შეწყვეტას ედება საფუძველად, ქორწინების ბათილობას უკუქცევითი ხასიათი გააჩნია. იგი ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდანვე არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ასეთი ქორწინება ითვლება არარსებულად, თავიდანვე არშემდგარად. თუ საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს ქორწინების ბათილად აღიარების საფუძველი, სასამართლოს შეუძლია ქორწინება კანონიერად ცნოს ასეთი საფუძველების მოსპობის მომენტიდან. რადგან ქორწინების გაბათილება ნიშნავს დასაქორწინებელ პირთა შორის მეუღლეთა უფლება-მოვალეობების არსებობის უარყოფას, ყოველგვარი ქონებრივი დავა მათ შორის, ქორწინების გაბათილების შემდეგ უნდა გადაწყდეს როგორც კერძო პირებს შორის საერთო საკუთრების თაობაზე წარმოშობილი დავა. ე.ი. ასეთ შემთხვევაში დავა უნდა გადაწყდეს არა საოჯახო სამართლებრივი, არამედ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

ქორწინების გაბათილება მოქმედებს არა მარტო ქონებრივ, არამედ პირადი ურთიერთობების მიმართაც. ყოფილ მეუღლეებს არა აქვთ მეორე მეუღლის გვარის ტარების უფლება. შრომისუუნარო მეუღლე, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, კარგავს მეორე მეუღლისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას. ასეთი შედეგების დადგომამ მეუღლის მიმართ, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ, უსამართლობა იქნებოდა. ამიტომ კანონით კეთილსინდისიერ მეუღლეს უფლება ენიჭება, მეორე მეუღლისაგან მოითხოვოს სარჩო და ქორწინების ბათილად ცნობამდე შეძენილი ქონების გაყოფა-საოჯახო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებისა. კეთილსინდისიერ მეუღლეს შეუძლია კვლავაც ატაროს ქორწინების რეგისტრაციის დროს მიღებული გვარი და ა.შ. ამგვარად, ზოგიერთი ქონებრივი ურთიერთობა ერთ-ერთი მეუღლის კეთილსინდისიერების დროს მთლიანად კი არ წყდება, არამედ კარგავს თავის ორმხრივალდებულებით ხასიათს. იგი შენარჩუნებულად ითვლება კეთილსინდისიერი მეუღლის უფლებებთან და მეორე მეუღლის ვალდებულებებთან მიმართებაში.

ქორწინების გაბათილება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა და არავის არა აქვს უფლება, ქორწინება გაბათილებულად ჩათვალოს, თუ არ იქნება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება ცნობილი გახდა ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ ერთი მეუღლე ცდილობს შეცდომის გამოსწორებას, მეორე კი ამის წინააღმდეგია და ყველანაირად ცდილობს მიაღწიოს ქორწინების შენარჩუნებას. ამის გამო, კეთილსინდისიერ მეუღლესა და მეორე მეუღლეს შორის ფაქტობრივად შეწყვეტილია საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობანი. მიუხედავად ამისა, მას ხელახლა დაქორწინება მაინც არ შეუძლია, რადგან ქორწინება, რომელშიც იგი ფორმალურად იმყოფება, ჯერ კიდევ არ გაბათილებულა სასამართლოს მიერ. გაბათილების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან მოხდება მისი რეგისტრაცია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში და ყოფილ მეუღლეებს უნდა მიეცეთ ქორწინების ბათილობის მოწმობა. ამის შემდეგ შეუძლიათ სხვა პირზე დაქორწინება. აქედან გამომდინარე, ქორწინების გაბათილების შესახებ სასამართლომ უნდა აცნობოს სააგენტოს იმ ტერიტორიულ სამსახურს, რომელმაც გააფორმა აღნიშნული ქორწინება. თვით სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს კი არ შეუძლია ქორწინების გაბათილება იმ შემთხვევაშიც კი,

როცა ორივე მეუღლე ითხოვს მის გაბათილებას. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია მხოლოდ განაქორწინოს მეუღლეები სამოქალაქო კოდექსის 1124-ე მუხლის საფუძველზე.

ლიტერატურა:

1. ჩიკვაშვილი შ., ქორწინება, ოჯახი, სამართალი, თბ., 1977.
2.,, 1996.
3. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2007.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2007;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი V, ლ. ჭანტურიას რედაქციით, თბ., 2000.
6. შენგელია რ., საოჯახო სამართალი, თბ., 1999.

LEGAL RESULT OF THE MARRIAGE CANCELLATION Ivane Balakhashvili, Gori State Teaching University, Senior Teacher RESUME

Marriage annulment is an abolishment of those normal juridical results, which are connected to the real marriage by law. It is activated when the inevitable conditions of marriage are abrogated, or it happened in obstacle conditions, when the marriage is prohibited or vindicating all the formal sides, but without intention to create a real family. Marriage annulment means that it has not arisen those juridical results, which follows the real marriage. Only the court is able to annul a marriage. In difference with the divorce, which in the future will be a basis of abolishing marriage and family relations, marriage annulment has reflexive character. It does not arise rights and duties of spouses from the moment of marriage registration.

იძულება სისხლის სამართალში

იოსებ გაბარაევი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს განიხილავს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს, მათ აღიარებას, დაცვას და შესრულებას კი სახელმწიფოს მთავარ ვალდებულებად აცხადებს. ადამიანის უფლება, თავისი სურვილისამებრ იმოქმედოს ან თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედებისაგან, წარმოადგენს ყოველი ინდივიდის ერთ-ერთ ძირითად და წარუვალ ღირებულებას, რომელიც დაცული უნდა იქნეს კანონით. სწორედ აღნიშნულის გამოძახილს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი იძულების ჩადენის გზით ზიანის მიყენებისაგან, თითოეული პიროვნების უფლებების და თავისუფლებების ხელშეუხებლობის დაცვა.

ტერმინი „იძულება“ გამოირიცხავს ნებელობას და ძალადობას გულისხმობს. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს კონკრეტულ ძალადობრივ დანაშაულებებს, რომლებიც ჩადენილია იძულებით. ასეთი სულ თორმეტი ძალადობრივი დანაშაულებრივი შემადგენლობა გვაქვს, რომლის ჩადენაც იძულების გზით ხდება. მაგრამ ჩვენთვის მოცემული საკითხი საინტერესოა სქესობრივი დანაშაულების ჩადენისას გამოვლენილი იძულების კუთხით, ვინაიდან მოცემული თემის კვლევის საგანს სწორედაც, რომ სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის დროს გამოვლენილი იძულება წარმოადგენს.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც სისხლისსამართლებრივი დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტის ჭრილში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იძულების განმარტების, მისი სახეებისა და ნიშან-თვისებების სიღრმისეული შესწავლა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზ/ხსენებული იძულებით ჩადენილი თორმეტი ძალადობრივი დანაშაულიდან, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსში, თითქმის არც ერთი შემადგენლობის დისპოზიციაში, გარდა ს.ს. კოდექსის 139-ე მუხლისა, სადაც საუბარია იძულების გამოვლინების სახეებზე სქესობრივი დანაშაულებისას, არსად არაა აღწერილი თუ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ, რა ფორმით შეიძლება

გამოვლინდეს იძულება, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხი, რომელიც ცალკე სიღრმისეული კვლევის საგანს წარმოადგენს.

კვლევის განსაკუთრებული მნიშვნელობა, მდგომარეობს მასში, რომ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან დანაშაულებრივი „იძულება“ და „ძალადობა“, რომლებიც სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის ძირითად ხერხებს წარმოადგენენ და ძალადობით ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ძირითადი შემადგენლობების აუცილებელ ნაწილებად გვევლინებიან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იძულების ზოგად შემადგენლობისათვის და დანაშაულის ცალკე სახედაა წარმოდგენილი (ს.ს.კ-ის 150-ე მუხლი); თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის მეოცე თავში, სადაც თავმოყრილია სქესობრივი დანაშაულები, გვაქვს ერთ-ერთი სპეციალური შემადგენლობა იძულებისა, რომლის ჩადენასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულების ჩადენისას (ს.ს.კ-ის 139-ე მუხლი). მოცემული ნაშრომის კვლევის ძირითადი არსი სწორედ 139-ე მუხლში გადმოცემული იძულება და მისი სახეების თავისებურებების შესწავლაა. ვიდრე, იძულების ამ სპეციალური შემადგენლობის გაანალიზებას მოვახდენ, საჭიროა თვითონ იძულების როგორც ტერმინის თავისებურების ახსნა და სისხლისსამართლებრივად შეფასება.

იძულების შემადგენლობით გათვალისწინებული დანაშაულის სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს კანონის ფარგლებში თავისი შეხედულებისამებრ ადამიანის მოქმედების თავისუფლება, რომლის ხელყოფა შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით. კანონმდებელი ითვალისწინებს იძულების ორი ფორმით გამოვლინებას. ს.ს. კოდექსის 150-ე მუხლის დისპოზიციამში პირდაპირაა მითითებული, რომ იძულება ესაა ადამიანის თავისუფალი ნების უკანონო შეზღუდვა ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების გამოყენებით.

ფიზიკური იძულება გულისხმობს ადამიანისათვის ხელების გაკავებას, ხელებიდან რაიმე დოკუმენტის ან სხვა საგნის გამოგლეჯვას, ცემას, ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებას და ამდენად ძალადობა წარმოადგენს ფიზიკური იძულების ერთადერთ და აუცილებელ საშუალებას. თუმცა თუ ამგვარ ფიზიკურ იძულებას შედეგად მოყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით. ფიზიკური იძულებისაგან განსხვავებით, ფსიქიკური იძულება თვისობრივად უფრო მეტი შინაარსობრიობის მატარებელია, რაც შეიძლება გამოიხატოს თხოვნაში, შეთანხმებაში, საცხოვრებელი პირობების გაუარესებაში და ა.შ. თუმცა, იძულების ჩადენის ფაქტის აღიარება ყოველთვის არ მოითხოვს ფიზიკური ძალადობის გამოყენებას, სწორედ ამიტომ იძულება სახეზეა მაშინაც, როცა მხოლოდ მუქარის გამოთქმა და მოთხოვნის გაცხადებას აქვს ადგილი.

ფსიქიკური იძულება კი არის მუქარა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერ მუქარას ზოგადად. ფსიქიკური იძულების დროს მნიშვნელოვანია, გამიჯნულ იქნეს იგი მუქარისაგან მათი დისპოზიციების შინაარსის მიხედვით და გათვალისწინებით. კერძოდ: ფსიქიკური იძულება ხორციელდება მუქარის გამოყენებით, რათა აიძულონ დაზარალებული შეასრულოს რაიმე ქმედება, ანდა საკუთარ თავზე გამოაცდენინონ თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, ხოლო მუქარის დროს დამმუქრებელს არ აქვს ასეთი მიზანი, იგი არანაირი ქმედების შესრულებას არ მოითხოვს დაზარალებულისაგან. მაგ: თუ ერთი პირი ეუბნება მეორეს, რომ თუ მისცემს მის საწინააღმდეგო ჩვენებას გამოიმძიებელს, მას სახლს გადაუწვავს. ამ დროს სახეზეა იძულება, ხოლო თუ ერთი ადამიანი ეუბნება მეორეს, რომ სადაც შეხვდება იქ მოკლავს ცემით, ეს უკვე არის ჩვეულებრივი მუქარა. ფსიქიკური იძულება და მუქარა ობიექტური შემადგენლობის მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა, ისინი შეიძლება ერთი და იგივე ქმედებით გამოიხატოს; თუმცა მათ შორის განსხვავება სუბიექტურ შემადგენლობაშია: ფსიქიკური იძულების დროს, მაიმულებლის მიზანია, ადამიანს აიძულოს გარკვეული ქმედების შესრულება, მუქარის დროს კი მოქმედს, დამმუქრებელს ასეთი მიზანი არ აქვს და მისი ქმედება მიმართულია დაზარალებულის ფსიქიკური ხელშეუხებლობის, მისი სიმშვიდისა და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლების წინააღმდეგ. ამდენად მუქარა არის იძულების განხორციელების ერთ-ერთი ხერხი და მიზანი, რომლის გამოც ხდება ადამიანის იძულება, რაც განასხვავებს მას როგორც მუქარისაგან, ისე იძულების სხვა სპეციალური შემთხვევებისაგან. იძულების მთავარი ნიშანი არის ის, რომ დაზარალებულს არ უნდა შეეძლოს, თავისი ნების შესაბამისად უხელმძღვანელოს საკუთარ ქმედებას.

ამდენად, დანაშაულებრივი იძულება მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს: მიზანმიმართული ზემოქმედება ინდივიდის თავისუფალ ნებაზე, რაც ხასიათდება ნებელობის შეზღუდვით, მაგრამ არა გამორიცხვით, ზემოქმედების ძალადობრივი ხასიათი და მართლსაწინააღმდეგო მოთხოვნის წაყენება.

იძულების, ს.ს. კოდექსით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს 139-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება: „სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება.“ აღნიშნული მუხლის დისპოზიციის შინაარსი ასეთია:

„სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის ან სხვა სექსუალური კონტაქტის იძულება სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქართ, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით“. აღნიშნული შემადგენლობა, რომ ფსიქიკური იძულების სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს, ამას მოწმობს ისიც, რომ ამ მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს არა ყოველგვარ მუქარას, არამედ მხოლოდ სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან ქონებრივ დაზიანების მუქარას, რაც მოწმობს იმას, რომ სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობა, მხოლოდ ფსიქიკური იძულების ამ ორ კონკრეტულ სახეს ითვალისწინებს დისპოზიციაში აღწერილი ქმედების ძირითად შემადგენელ ელემენტად, სადაც ვერ ვხვდებით ფიზიკური იძულების რომელიმე ელემენტის არსებობას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფსიქიკური იძულება სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის ან სხვა სექსუალური კონტაქტის ჩადენის ხერხს წარმოადგენს და განსხვავდება ძალადობისაგან და შესაბამისად მისი სახეებისაგან. ძალადობა, გაუპატიურების და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების დროს გამოიყენება და ფიზიკური ძალის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება იძულებას, ამ შემთხვევაში დამნაშავე ემუქრება მსხვერპლს, თუ იგი მასთან არ დაიჭერს სქესობრივ კავშირს, გაავრცელებს მისი სახელის გამტეხ ცნობას ან დაუზიანებს ქონებას, ან აიძულებს დაამყაროს მასთან სქესობრივი კავშირი სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით.

ასევე მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ს.ს. კოდექსის 137-ე და 138-ე მუხლების პირველი ნაწილის ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი „ძალადობის მუქარა“ „ფსიქიკური იძულებისაგან“, ვინაიდან ძალადობის მუქარა გულისხმობს ქალთან ძალადობის მუქარას, რაც მიზანმიმართულია ქალის წინააღმდეგობის დასათრგუნვად, რასაც არანაირი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს ფსიქიკური იძულებისას გამოვლენილ მუქარასთან, ვინაიდან ამ უკანასკნელს არაფერი საერთო არ აქვს ქალთან ძალადობის მუქარასთან. აქ ფაქტიურად ისეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როგორც ყაჩაღობისას და გამოძალვისას: ყაჩაღობის დროს მუქარა იმავნუთიერია, დაუყონებლივ უნდა აღსრულდეს, ხოლო გამოძალვისას კი მუქარა მომავლისკენაა მიმართული.

პრაქტიკაში რომ მართლაც არსებობს კვალიფიკაციის მხრივ პრობლემები, ამას მოწმობს უზენაესი სასამართლოს ერთი შემდეგი გადაწყვეტილებაც, რითაც სავსებით კანონიერად იქნა ცნობილი უდანაშაულოდ მსჯავრდებული ჯ-მ. ს.ს. კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. საქმის მასალების მიხედვით, დადგენილი იყო, რომ ჯ-მ იყო რა პოლიციის უფროსი, ჯ. შ.მ დაბა ურეკის პოლიციის ქვეგანყოფილებაში გამომძიებელ ე. ჩ.ს მიერ დაზარალებულის სახით დაკითხვის შემდეგ, თ. წ. მიიპატიჟა დაბა ურეკის ერთ-ერთ კაფე-ბარში, რის შემდეგაც ჯ.შ.-მ თ. წ. არასრულწლოვან ვაჟიშვილთან ერთად მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით წაიყვანა ქობულეთის მიმართულებით. ურეკი ქობულეთის გზატკეცილზე, მშენებარე ატრაქციონებთან, გზიდან გადაუხვია და იქვე არსებულ ტყის პირას ავტომანქანა შეაჩერა. ჯ. შ. მოქმედებდა დაზარალებულ თ. წ.-თან სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით და მას ბ. ფ.-ს მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ოქროს სამკაულების დაბრუნების სანაცვლოდ დაუყოვნებლივ მოსთხოვა სქესობრივი კავშირის დამყარება, რაზედაც თ. წ.-მა თავდაპირველად უარი განუცხადა. ჯ. შ-ს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თავისი სამსახურებრივი გავლენის გამოყენებით აეძულებინა თ. წ., მასთან სქესობრივი კავშირი დაემყარებინა მოპარული ოქროს ნივთების დაბრუნებისა და მომხდარი დანაშაულის სრულად გახსნის სანაცვლოდ და თ. წ.-ს განმეორებით მოსთხოვა სქესობრივი კავშირის დამყარება. ასევე განუცხადა, რომ მათ შორის სისტემატური ხასიათის სექსუალური კონტაქტების შემთხვევაში მატერიალურად დაეხმარებოდა და მობილური ტელეფონისათვის შეუძენდა სიმ-ბარათს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოსახდენად ავტომანქანის უკანა სავარძელზე მძინარე არასრულწლოვანი ვაჟიშვილის გაღვიძებით დაემუქრა. დაზარალებული თ. წ. დარწმუნდა იმაში, რომ ჯ. შ.-ს, როგორც დაბა ურეკის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსს, სამსახურებრივი გავლენიდან გამომდინარე, შეეძლო, გაეხსნა მომხდარი დანაშაული და სრულად დაებრუნებინა მოპარული ნივთები, თავისი ნების საწინააღმდეგოდ იძულებული გახდა, ჯ. შ.-სთან დაემყარებინა სქესობრივი კავშირი. ჯ. შ.-მ თ. წ.-თან სქესობრივი კავშირის დამყარების შემდეგ იგი თავისი ავტომანქანით წაიყვანა დაბა ურეკში, ხოლო მეორე დღეს, დაპირებისამებრ, ერთ-ერთი პოლიციის თანამშრომლის ხელით გაუგზავნა სიმ-ბარათი და 5 ლარიანი მონო-ბარათი, ხოლო დაბა ურეკიდან გამგზავრებამდე მას პირადად გადასცა 50 ლარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სავსებით სამართლიანია, ვინაიდან მსჯავრდებულის (მაიძულებლის) მხრიდან არ არსებობდა არც სახელგამტეხი ცნობის გახმაურების საშიშროება, ვინაიდან არ არსებობდა შესაბამისი სახელგამტეხი ინფორმაცია და არც ქონების დაზიანების საფრთხის მუქარა, მისი ქონებრივი ინტერესი უკვე დაზიანებული იყო დამნაშავის მიერ და განმეორებით ქონებრივი დაზიანება აღარ ემუქრებოდა თ. წ.-ს. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ სახეზე იყო ტიპური სქესობრივი

კავშირი მოტყუებით, დაპირებით, რომელიც გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ქვესობრივი კავშირის ძალადობით ან იძულებით ჩადენისათვის.

და ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, თუნდაც წინამდებარე ნაშრომში განხილული მაგალითიდან გამომდინარე, რომ პრაქტიკაში ნამდვილად არსებობს ამ კუთხით ხარვეზები. მნიშვნელოვანია, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, ისე მათი სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ სულ რამდენიმე საქმეა ზოგადად იძულების შესაბამისი მუხლით მისული უზენაეს სასამართლომდე, ვინაიდან თუ არ მოხდება ფაქტობრივი გარემოებების კანონის შესაბამისად დადგენა და შეფასება, სხვაგვარად შეუძლებელი იქნება მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელება და პასუხისმგებლობის დიფერენციაციის პრინციპის პრაქტიკაში დაცვა.

ლიტერატურა:

1. სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2013.
2. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტორთა კრებული, თბ., 2008.
3. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008.
4. უზენაესი სასამართლოს #2157აპ გადაწყვეტილება, თბ., 2008.

COERCION IN CRIMINAL LAW
Ioseb Gabaraevi, Gori State Teaching University, Specialist under contract
RESUME

In this given work discusses Coercion, as criminal categories of essence and nature. The issue is important to the extent that the analysis of practical examples show that there are problems in terms of actual practice in terms of the proper legal qualifications.

The Coercion, as the method of committing criminal is the essence of the offense and the nature of general as well as its composition. His Types of crime, in the form of physical and mental Coercion, their union and their differences with respect to other crimes.

The work is interesting both practicing lawyers and law school faculty students and other persons interested in the subject.

საარჩევნო კამპანია და საინფორმაციო საშუალებები

მაკა დოლიძე, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: Dolidze_maka@yahoo.com

ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე დღეს წარმოუდგენელია მსოფლიო ინფორმაციულ სივრცეში აქტიურად ჩართვა და ინფორმაციული საზოგადოების შექმნა. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი მიზნების მისაღწევად, როგორცაა დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარება.

თანამედროვე მსოფლიოში, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, იმატა შემთხვევებმა, როდესაც არჩევნების წინა პერიოდში და მიმდინარეობაში საინფორმაციო ფაქტორებს გადაწყვეტი თუ არა მნიშვნელოვანი ადგილი მანინც უკავია. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით შესაძლებელია ინფორმაციული მხარდაჭერა სასურველი პარტიის ან კანდიდატის. საინფორმაციო საშუალებებმა ზემოქმედება უნდა მოახდინონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ამის მისაღწევად აუცილებელია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური იმიჯის შექმნა. ამისათვის საჭიროა:

- უარყოფითი ხმების გავრცელება მოწინააღმდეგეზე;
- დასმენა;

– ფაქტების უარყოფითად წარმოჩენა

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ბინძური ხერხები როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხრიდან ხშირად გამოიყენება. არც ერთ მთავრობას არ აწყობს ძლიერი ოპოზიცია, რომელიც მას მუდმივად აკონტროლებს და მზად არის ძალაუფლება ჩამოართვას. ოპოზიცია აცხადებდა, რომ ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს, მთავრობამ ბოროტად გამოიყენა სახელმწიფო მედია საშუალებები და ადმინისტრაციული რესურსი მმართველი პარტიის სასარგებლოდ.

საკავშირის მთავრობის რეაგირება ივანიშვილის პოლიტიკურ დებიუტზე მწვავე იყო, რადგანაც მის გამოჩენამდე ვერცერთი ოპოზიციური ძალა მათ სერიოზულად ვერ უპირისპირდებოდა. მთავრობა ცდილობდა გამკლავებოდა ოპოზიციას, რომელსაც, მათი აზრით, სურდა არჩევნებისა და ქვეყნის დესტაბილიზაცია.

წინასაარჩევნო პერიოდში სააკაშვილი ივანიშვილს მოსკოვის მარიონეტად ხატავდა, რომელიც მიზნად ისახავდა მილიონებით საქართველოს პოლიტიკური სისტემის ყიდვას. „საკაშვილი ირწმუნება, რომ მისი მილიარდერი მეტოქე „რუსულ ფულს“ ხარჯავს და ივანიშვილის არჩევა ძირს გამოუთხრის საქართველოს დამოუკიდებლობას“, – წერდა გაზეთი „The Washington Post“ (20.IX. 12)

ოპოზიცია ეყრდნობა სამ ფაქტორს:

– არათანაბარი გადანაწილება მთავრობის მიერ;

– ქვეყნის არაეფექტურად მართვა;

– ოპოზიციისთვის მხარდაჭერა სხვადასხვა სახით

ოპოზიცია ცდილობს ეს ფაქტორები ხელისუფლების შესაცვლელად გამოიყენოს. მათ არაერთხელ გაკიცხეს პრეზიდენტი, როგორც ყალბი რეფორმატორი, რომლის ეკონომიკური წარმატება ილუზია იყო, ხოლო ერთგულება დემოკრატიისადმი მხოლოდ თამაში. ივანიშვილის მხარდაჭერები ამტკიცებდნენ, რომ მთავრობამ მათ წინააღმდეგ მთელი რიგი რეპრესიული ქმედებები განახორციელა, მათ შორის კიბერთავდასხმა, რომლის გამოც დაზარალებდნენ არა მარტო ქართველი აქტივისტები, არამედ „ქართული ოცნების“ ამერიკელი იურისტები, ლობისტები და კონსულტანტები.

კიბერთავდასხმამ მეტისმეტად გაამწვავა სიტუაცია. გასაკვირია, რომ საქართველოს მთავრობა, რომელიც 2008 წელს თვითონ გახდა კიბერთავდასხმის მსხვერპლი და ამის შესახებ არაერთხელ განაცხადა, იგივე გზას დაადგა.

ქვეყანაში, სადაც სიღატაკის მაღალი დონეა – ინფორმაციული ომი ორივე მხარეს უზარმაზარ თანხებზე დაუჯდა. საერთოდ იგებს ის ვისაც მეტი ინფორმაციული ბაზა აქვს. აქ საუბარია იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე. საზოგადოება შეიძლება ცრუ ინფორმაციის მიწოდებითაც დააბნიოს. როგორც ცნობილია, საუკეთესო გზა ზეგავლენის ქვეშ მოსაქცევად არის იმ ინფორმაციის მიწოდება, რაც მომხმარებლისთვის არის საჭირო. ინფორმაცია უნდა მოვათავსოთ ყალბ რეალობაში, ისე თითქოს, რაც ხდება ყველაფერი ბუნებრივია. მედიკ კაილანი „The Daily Beast“-ში გამოქვეყნებულ წერილში მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ გვთავაზობს ოსტატურად შენიღბულ ინფორმაციას. იგი წერს, „საქართველოს დედაქალაქში საყოველთაო მშენებლობა და რემონტებია გაჩაღებული. ეს არის ახალგაზრდა სახეების, ძველებური ქუჩების, მოდური კაფეების და გრძელფეხება ლამაზმანების ქალაქი. და ეს ყველაფერი გავს ნამდვილ წინასაარჩევნო რეკლამას, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილზე მუშაობს“ (24.IX.12).

ამ პუბლიკაციით მედიკ კაილანი ცდილობს დადებითად წარმოაჩინოს სააკაშვილი და იგი იმასაც კი აცხადებს, რომ ჩინოვნიკის გადადგომა პრეზიდენტის დემოკრატიულობაზე მიუთითებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სააკაშვილი გამორჩეულად პოპულარული იყო ამერიკულ პრესაში. არადა „საკაშვილის ყოველმხრივი მხარდაჭერით, მისი გაუთავებელი ქებით და დემოკრატ რეფორმატორად მოხსენიებით, ჩვენ, როგორც მინიმუმ ნაწილობრივ მაინც მისი მთავრობის შეცდომების თანამონაწილეები ვართ“- ვკითხულობთ „Forbes“- ში. (25.IX.12)

როგორც ვხედავთ, საინფორმაციო საშუალებები ცდილობენ ახალი ინტერპრეტაციის წარმოჩენას, რომელიც უფრო მეტად მიიპყრობს აუდიტორიის ყურადღებას. ეს გამოიხატება ოპოზიციურ თუ სამთავრობო მხარდაჭერაში ან ბრალდების წაყენებაში, გააჩნია რომელს ემხრობიან.

მედიკ კაილანისაგან განსხვავებით „Forbes“ კორესპონდენტი მარკ ადომანისი აღნიშნავს, რომ სააკაშვილს დიქტატორული გამოხტომები თავიდანვე ახასიათებდა. მისი აზრით საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველო ისეთ კამპანიაში იყო ჩაფლული, რომელიც მასშტაბური პარტიული მიკერძოებითა და განსაკუთრებული დამაბულობით გამოირჩეოდა.

საინფორმაციო საშუალებები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ პოლიტიკა ძალიან ბევრს წყვეტს. პოლიტიკისთვის, რა თქმა უნდა, არამომგებიანი და არასახარბიელო პირობა იყო არჩევნების გაყალბება. პუბლიცისტები აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა, იმისათვის რომ დაემტკიცებინა დემოკრატიისადმი ერთგულება, ცდილობდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. „მაგრამ წლევანდელი ბნელი საარჩევნო კამპანიით სააკაშვილის რეჟიმი ემსგავსება

სიმბოლოს, რასაც ერთ დროს დიდი შემართებით თავად უპირისპირდებოდა: გაქვავებული ელიტა, რომელიც პოლიტიკურ ცვლილებებს ეწინააღმდეგება“ – წერდა გაზეთი „The Washington Post“-ი. [20.IX.12].

მედიის ყურადღება ძირითადად მიჰყვრობილი იყო „ნაციონალებისა“ და „ქართული ოცნებისაკენ“. დამკვირვებელთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ მათ შორის განსხვავება ძალიან მცირე იყო, თუმცა ფიქრობდნენ, რომ უპირატესობა მმართველ პარტიას ჰქონდა. „ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა“ (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩაატარა, რომელმაც აჩვენა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ გამოკითხულთა 37% უჭერდა მხარს, „ქართულ ოცნებას“ 12%, გამოკითხულთა 43%-მა თავი შეიკავა. მიუხედავად ამ შედეგებისა, კოლუმბიის უნივერსიტეტის მკვლევარი და საქართველოს ექსპერტი ლინკოლნი მიტჩელი აცხადებდა „თუკი არჩევნები საკმარისად სამართლიანი იქნება, ვფიქრობ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხდება“ („The National Interest“ 27 XII.12).

კვლევებმა აჩვენეს, რომ ივანიშვილის გზავნილების მიმართ დიდი უნდობლობა იყო. იმის გამო, რომ არჩევნებში გამარჯვება მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, „ქართული ოცნება“ არჩევნების შედეგების უარყოფისთვის ნიადაგს ამზადებს იმით, რომ უარს ამბობს „ქვეყნის კოდექსის“ გაზიარებაზე“ – ვკითხულობთ „The Wall Street Journal“-ში (10.IX.12).

საპარლამენტო არჩევნების წინ ბრალდებებს ორივე მხარეს უყენებდნენ. ევროსაბჭოს განცხადებაში გაკრიტიკებული იყო მთავრობის მიერ ოპოზიციისათვის საარჩევნო კამპანიისათვის საჭირო რესურსების ჩამორთმევის ფაქტი. ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას მელიამ აღნიშნა, „გასულ თვეებში არაერთი ხარვეზია შენიშნული, მაგრამ შეერთებული შტატები კვლავ იმედოვნებს, რომ კონკურენტული საარჩევნო პროცესი მიმდინარეობს“ („The Washington Post“ 20.IX.12).

დაქირავებული წამყვანი საერთაშორისო პიარ და ლობისტური ფირმები საკუთარ გზავნილებს აძლიერებდნენ და დასავლეთს საქართველოს შესახებ აბსოლუტურად განსხვავებულ ინფორმაციებს აწვდიდნენ.

არადა ნათლად ჩანდა, რომ ბრალდებებმა და კონტრბრალდებებმა სიტუაცია გამწვავა. ამას დაემატა თბილისის ციხეში პატიმრების წამებისა და გაუპატიურების ფაქტების ამსახველი ვიდეო მასალა, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ტელეკომპანიებმა გაავრცელეს. მედიის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ციხის ძალადობასთან დაკავშირებული სკანდალი ფაქტობრივად წარმოუდგენელი აღმოჩნდა. „ციხეებში წამება იმ საზოგადოების სიმპტომია, რომელიც კონტროლით და დაშინებით იმართება – წერდა ჟურნალ „ატლანტიკის“ კორესპონდენტი ჩარლზ ფერბენქსი (28.IX.12). მისი აზრით დაშინება იმ პერიოდში ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე 1980-იან წლებში. საარჩევნო ბრძოლის დროს შიში მთავარი ფაქტორია. „საკაშვილს ახლა ჩვენი ისე ეშინია, რომ ყველა შესაძლებლობას იყენებს იმისთვის, რომ როგორმე გაგვაჩეროს“, განაცხადა „The Times“-თან ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა (25.VIII.2012).

საპარლამენტო არჩევნების კამპანია დაიძაბა. ის, რაც საქართველოში ხდებოდა გარკვეულწილად არაპირდაპირი ომი იყო. საარჩევნო კამპანიისას ორივე მხარე შეურაცხყოფელ განცხადებებს აკეთებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, საინფორმაციო საშუალებების უმრავლესობა იუწყებოდა, რომ არჩევნები გახდებოდა ლაკმუსის ქაღალდი, საქართველოს ერთგულების ტესტი დემოკრატიისადმი.

„არჩევნები ქვეყნის მომავალ კურსს განსაზღვრავს“, „არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად უნდა ჩატარდეს“ – ასეთი ციტატებით გამოირჩეოდა ამერიკული პრესა.

არჩევნების შედეგების შესახებ პირველი გამოხმაურება ამერიკულ პრესაში უკვე ორ ოქტომბერს გამოქვეყნდა. გაზეთ „Time“-ის კორესპონდენტი საიმონ მუსტერი წერილში „იმ ციხის შიგნით, რომელმაც პრეზიდენტი დაამარცხა: როგორ წააგო სააკაშვილმა არჩევნები“ მკითხველს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მოხდა პირველ ოქტომბერს და რა იყო სააკაშვილის მთავრობის დამარცხების მიზეზი. ფაქტების სწორი ჩვენებით ჟურნალისტმა შეძლო დაეხატა მიმდინარე პროცესების სრული სურათი (2.X.2012).

„არჩევნები მართლაც კონკურენტული იყო და მოქალაქეები აქტიურად მონაწილეობდნენ საარჩევნო კამპანიის მთელი მსვლელობის განმავლობაში. მაგრამ არჩევნების წინ სიტუაცია იყო დაძაბული, ხოლო საზოგადოება პოლარიზირებული, დროდადრო ძალადობის შემთხვევებიც დაფიქსირდა“ – წერდა არიელ კოენი „The National Enterest“- ში (4.X.12)

ვფიქრობთ, საინტერესოა ერთი გარემოება, პირველ პუბლიკაციაში ძირითადად საუბარია იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ხელისუფლების დამარცხება. მეორეში კი ყურადღება არის გამახვილებული მომავლის პროგნოზზე. ამით პუბლიცისტს უნდოდა ეჩვენებინა, თუ რა შედეგი მოჰყვება „ქართული ოცნების“ მოსვლას ხელისუფლებაში. „წინ ძალაუფლების გადაცემის პროცესია და სწორედ ის გახდება

ნამდვილი გამოცდა საქართველოსთვის, რომლის პოლიტიკურმა ელიტამ ქვეყანაში მშვიდობა უნდა უზრუნველყოს“ – დასძენს არიელ კოენი. („The National Interest“ 4.X.12)

შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო კამპანიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთა: ქართული პოლიტიკა კვლავ ღრმად პოლარიზებულია, მასში გამორჩეული ფიგურები დომინირებენ, სააკაშვილის მთავრობის რეპუტაცია შეილახა, შეიქმნა ახალი პოლიტიკური სისტემა. არჩევნები საქართველოსთვის გარდამტეხ მომენტად იქცა.

როგორც ვხედავთ, საქართველოში მიმდინარე არჩევნები საინფორმაციო საშუალებებისათვის ფართო განხილვის საგანი გახდა. ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ და სამართლიანად აშუქებდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საარჩევნო კამპანიის დროს საზღვარგარეთის მედიის უმრავლესობამ თავი აარიდა რომელიმე მხარის მხარდაჭერას. რადგანაც მათი აზრით ღია ჩარევა მხოლოდ ფუჭი დამაბულობის და ეჭვების საფუძველი გახდებოდა.

ლიტერატურა:

1. Ariel Koen. The National Interest, 4 October, 2012.
2. Charles Perbenks. Atlantic, 28 September, 2012.
3. David Ignatius. The Washington Post, 20 September, 2012.
4. Mark Adomanis. Forbes, 25 September, 2012.
5. Melik Kailan. The Daily Beast, 24 September, 2012.
6. Roger Boyes Brussels. The Times, 25 August, 2012.
7. Saimon Muster. Time, 2 October, 2012.
8. Urmas Reinsalu. The Wall Street Journal, 10 September, 2012.

ELECTORAL CAMPAIGN AND MEDIA

Maka Dolidze, David Aghmashenebeli University of Georgia, Associate Professor

RESUME

In the work represented by us we would like to talk about the role which media imposes on the Georgian.

Media was closely watching the vote, and have said repeatedly that the proper conduct of the election was a “litmus test” for expanding ties. Georgia, already consumed by a fiercely partisan and bitterly contested parliamentary election.

The war of words is costing both sides huge amounts of money - in a country with high levels of poverty.

The West is being bombarded by two very different stories about Georgia, with top international PR and lobby firms hired to push the message.

This run-up to parliamentary elections had been thick with allegations of abuses on both sides. The Georgian political battle had seen allegations of dirty tricks by both sides. In addition, credible claims were made at the time of the last parliamentary elections that the Government abused the state-run media and official positions to give advantage to the ruling party.

The elections were indeed competitive, with active citizen participation throughout the campaign. But the campaign environment was polarized and tense, with some instances of violence. The campaign often centered on the advantages of incumbency, on one hand, and private financial assets on the other—rather than on concrete political platforms and programmes.

Whatever the result, this campaign has crystallised bigger issues: that Georgian politics remains deeply polarised and dominated by exceptional figures, and that the Saakashvili government will emerge tarnished from the campaign.

According discussed publication we can conclude, during the campaign, foreign media wisely avoided taking sides. But overt interference can only create unnecessary tensions and suspicions.

სიყვარულის სულიერი საფუძვლები პლატონის ფილოსოფიაში

კლარა ელჩიბეგაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

მსოფლიო კულტურის ისტორიაში პლატონი უდიდესი მოვლენაა. ის ძველბერძნულ საზოგადოებაში ცხოვრობდა, მაგრამ, როგორც ფილოსოფოსი მიეკუთვნებოდა მთელ კაცობრიობას. ანტიკური ხანის მოაზროვნეები და ეკლესიის მამები, შუასაუკუნეების თეოლოგები და აღორძინების ხანის ფილოსოფოსები აღფრთოვანებულნი იყვნენ პლატონით. მან, როგორც იდეალიზმის მამამ, უდიდესი ზეგავლენა იქონია ფილოსოფიური აზრის და თანამედროვე კულტურის შექმნაში. პლატონის მიერ ჩამოყალიბებული ნააზრები მრავალმხრივი და ფართოა, ის მოიცავს საკითხებს ბუნების, ადამიანის, სულის, შემეცნების, ენის, ხელოვნების, პოეზიის, სკულპტურის, ფერწერის, მუსიკის, სიყვარულის და აღზრდის შესახებ. პლატონმა თავისი ფილოსოფიური შეხედულებები წარმოადგინა ლიტერატურული ნაშრომების სახით. იგი ისწრაფოდა სამყაროს შეცნობას, ამ იდეით ხედავდა მსოფლიო მოწყობის კანონების გაგებას. ეს გზა თვით ადამიანშია, რომელშიც სიმამაცის, სიბრძნის, სამართლიანობის, თავშეკავების განვითარება აძლევს სულს საშუალებას ამაღლდეს იდეამდე. ამ გზაზე კი ადამიანი მიჰყავს ეროსს, სიყვარულს.

პლატონის სწავლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასიყვარულო ლტოლვას (ეროსის) თემას. სიყვარულის არსი ანტიკურ ეპოქაში იშვიათად ხდებოდა კვლევის საგანი. ანტიკური ფილოსოფოსებისთვის სიყვარული, როგორც კოსმოსური ძალა, წარმოადგენდა მსოფლიო მოწყობის ახსნის საფუძველს. ეს ასახვას ჰპოვებდა მითოლოგიაში ვენერასა და ამურის სახით. ეროსი პლატონში გააზრებულია, როგორც სულის სწრაფვა სიკეთისკენ. პლატონური სიყვარულის უმაღლესი ფორმაა სიბრძნის სიყვარული, რომლის მწვერვალია სიკეთემდე, როგორც იდეის მისტიკურ სახემდე მიღწევა. სიყვარული გვეხმარება სწრაფად გადავდგათ ნაბიჯები ფილოსოფიის გზაზე. აქ ჩვენ განვიცდით სწორედ იმ გაკვირვებას (რაც ფილოსოფიის საწყისს წარმოადგენს), რომელიც გვაიძულებს შევჩერდეთ და უამრავ ადამიანთაგან რომელიმე ერთში შევიმეცნოთ, თუ რა არის მასში განუმეორებელი და ერთადერთი. სიყვარული გვეხმარება გავიგოთ, რატომ არ შეგვიძლია სიტყვებით გამოვხატოთ ღრმა გრძნობა და პირადი განცდები. სიყვარული გვასწავლის, რას ნიშნავს მიისწრაფოდე საყვარელი ადამიანისაკენ, ფიქრობდე მხოლოდ მასზე, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანზე შენს ცხოვრებაში. სწორედ, ასეთი აზროვნება დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ პლატონის ფილოსოფიური მეტაფორები. პლატონი ამტკიცებს, რომ სიყვარულში რეალიზდება არა მხოლოდ მეორე ნახევრის ძიება, არამედ ესაა სწრაფვა მაღლიერებისა და უკვდავებისაკენ, ესაა ჯიშის გაგრძელების გზით საკუთარი თავის უკვდავების შენარჩუნება. აქვე უნდა დავაკონკრეტოთ, რომ ჯიშის გაგრძელებაზე საუბრისას, მხოლოდ ბავშვების დაბადებას არ გულისხმობს. „სხეულებრივად ორსულის“ ტერმინის გვერდით პლატონი სპეციალურად გამოყოფს „სულიერად ორსულს“, ანუ ესაა გახსნა, შემოქმედება და სწორედ ასეთ შთამომავლობაშია უკვდავება.

პლატონი, რომელიც მიწიერ სიყვარულს თვლიდა ზეციური სიყვარულის ერთ-ერთ საფეხურად, არ უარყოფდა „დაბალი დონის ეროსს“ და არა მხოლოდ თეორიულად. ზრდასა და ცოდნის შექენასთან ერთად ადამიანი იწყებს მეორე ადამიანში სულიერი სილამაზის შეფასებას და „მოძიფდება“ უფრო დიდი სიყვარულისთვის, რომელშიც არის კიდევაც შემოქმედების არსი. პლატონის თეორიიდან, ეროსის შესახებ, წარმოიშვა პლატონური „სიყვარულის“ სახელწოდება.

პლატონური ფილოსოფიური შეხედულებების ერთ-ერთი ურთულესი ამოცანაა – დავინახოთ მსოფლიოს ერთიანობის პრინციპი სიკეთეში, ადამიანის მიერ ადამიანის სიყვარულში. პლატონის მიხედვით იმისათვის, რომ ვიაროთ სიყვარულის გზით, ფილოსოფიის გზით და სხეულის ქვეშ ყოველთვის დავინახოთ სული, ანუ წარმავალი სილამაზის ნაცვლად, დავინახოთ უკვდავი სილამაზე, უნდა ვიაროთ სიკეთით და სიყვარულით. თანამედროვე ეტაპზე პლატონური სიყვარული დაყვანილია ურთიერთლტოლვის თითქმის გამქრალ ფორმამდე. პლატონის იდეებმა სილამაზის, სინამდვილის და სიკეთის შესახებ დაკარგეს თავისი ეთერული სიდიადის უდიდესი ნაწილი. პლატონი ამტკიცებს, რომ სამყარო ისევეა მოწყობილი, როგორც ენა თავისი აბსტრაქციებით. იგი გვასწავლის, რომ რეალური სამყარო არაა ისეთი, როგორც ჩვენ მას აღვიქვამთ.

პლატონის ცნობილ „ნადიმს“ ესწრებოდნენ ისტორიკოსები, მითოლოგები, პოეტები, ექიმები, ფილოსოფოსები და ცნობილი კომედიოგრაფებიც კი. ყველაზე საინტერესო საუბარი დაიწყო ჭამის შემდეგ, როდესაც სტუმრებმა ღვინით სავსე სასმისები აიღეს ხელში, მუსიკოსები და მოცეკვავეები აძლიერებდნენ სტუმრების სადღესასწაულო განწყობას. სწორედ აქ, მეგობრული და გონიერი ხალხის გარემოცვაში, იწყება სიყვარულზე საუბარი. „ნადიმის“ მთელ დიალოგში გამოიყოფა შვიდი გამოსვლა, შვიდივეში სხვადასხვა ასპექტში მსჯელობდნენ სიყვარულზე. პლატონის „ნადიმიდან“ შეგვიძლია

გავაკეთოთ ერთ-ერთი ყველაზე თვალნათელი დასკვნა სიყვარულსა და შემეცნებას შორის კავშირზე. პლატონისთვის სიყვარული ესაა მუდმივმოძრავი პროცესი, ამიტომ პლატონის სიყვარულის დიალექტიკა, ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე, წარმოადგენს შემეცნების დიალექტიკას, პლატონური ეროსი – ეს შემეცნების ეროსია. მეორე უმნიშვნელოვანესი დასკვნა ესაა კავშირი ეროტიკასა და სილამაზეს შორის. ბოლოს და ბოლოს სიყვარული ხომ სილამაზის აღქმის უმაღლესი ფორმაა. აქ პლატონის სიყვარულის ფილოსოფია ორგანულად ერწყმის ესთეტიკას, სიყვარული ისწრაფვის სილამაზისკენ. პლატონური სიყვარულის ამ ასპექტს არაჩვეულებრივად ხსნის ა. ლოსევი, უკეთეს რა კომენტარს პლატონის „ნადიმს“, იგი საუბრობს, რომ ესთეტიკური განცდები სწორედ სიყვარულია. სიყვარული შეყვარებულთა შორის მუდმივი სწრაფვაა, რომელიც მთავრდება ქორწინებით. ქორწინების შედეგად იბადებიან შვილები, რომლებშიც ორივენი არიან შერწყმულები შეუცნობადობამდე. ეს უკვე სიყვარულის ობიექტივაციაა, როგორც გრძნობად, ასევე სულიერი გააზრებით.

სიყვარულის თემას პლატონმა მიუძღვნა დიალოგი „ფედონის“ სახელწოდებით. „ფედონში“ არაა წარმოდგენილი ისეთი რთული დიალექტიკა, როგორცაა „ნადიმში“, მაგრამ სამაგიეროდ მასში სიყვარულის ის მხარეებია გახსნილი, რომელსაც პლატონი „ნადიმში“ საერთოდ არ ეხება. „ფედონში“ პლატონი უღრმავდება სიყვარულის სინთეზს ცხოვრებისეულ მოგონებებთან. იგი იშველიებს წარმართულ შეხედულებებს სულის შესახებ და გვეუბნება, რომ სული ცხოვრობს იდეათა სამყაროში. ემანაციის შემდეგ იგი კარგავს ფრთებს და იძენს სხეულს, განსხეულდება და ივიწყებს ყველაფერს. მაგრამ მას იდეათა სამყარო უტოვებს უნარს, წავიდეს განვითარების გზაზე, არ დარჩეს პასიურ მდგომარეობაში, რომ დაუახლოვდეს იდეათა სამყაროს, როგორც იდეალს. ყველაზე ახლოს იდეათა სამყაროს დაუახლოვდა ჩემი მასწავლებელი სოკრატე – ამბობს პლატონი. თუმცა ადამიანი ვერასდროს დაემთხვევა იდეას, როგორც იდეალს, სანამ მას აქვს სხეული. პლატონური სიყვარული ესაა უმაღლესი იდეის ნოსტალგია.

პლატონი ანტიკური ეპოქის უდიდესი მოაზროვნეა. მისმა შემოქმედებამ გაამდიდრა მთელი კაცობრიობის სულიერი კულტურა. პლატონის ფილოსოფია იქცა ანტიკური ეპოქის უმნიშვნელოვანეს ინტელექტუალურ მიღწევად. მის აკადემიაში გაიზარდა არისტოტელე, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ვეროპული ფილოსოფიის განვითარებაზე. პლატონის მიმდევრებმა (ნეოპლატონისტებმა) ასევე შექმნეს უმნიშვნელოვანესი ნაშრომები, რომლებზეც იზრდებიან თანამედროვე ფილოსოფოსთა თაობები. მიუხედავად, პლატონის ფილოსოფიის თავისებურებებისა მისი შეხედულებები, სამყაროს შეცნობის შესახებ, აქტუალობას არ კარგავს.

ლიტერატურა:

1. პლატონი, „ნადიმის“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964, გვ. 17-22.
2. პლატონი, „ფედონი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1966, გვ. 11-14.
3. ალექსეი ლოსევი, „აღმოსავლური რენესანსი“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2005, გვ. 6-9.

SPIRITUAL BASIS OF LOVE IN PLATO'S PHILOSOPHY **Klara Elchibegashvili, Gori State Teaching University, Professor** **RESUME**

Plato is the greatest phenomena in the history of the world culture. He had lived in old Greek society but belonged to all humankind. The thinkers of the antique epoch, fathers of the church, theologians of the middle ages and the philosophers of the Renaissance all admired Plato. As a father of idealism, Plato influenced philosophical views and formation of modern culture. The ideas of Plato are versatile and wide. He covers the questions about nature, human, spirit, cognition, language, art, poetry, sculpture, painting, music, love and upbringing. Plato presented his philosophical views in the form of literature works. He strived to understand the universe. He tried to cognize rules of world order with this idea. This way is in human spirit itself and the development of courage, wisdom, justice and restraint enables spirit to ascend. And all this is accomplished by love, Eros. Plato is the greatest thinker of the antique epoch. His works enriched spiritual culture of the whole world. Plato's philosophy became the greatest accomplishment of the antique epoch. Aristotle was trained in his academy. He affected the development of European philosophy. The followers of Plato (Neoplatonists) created the most important works. Despite the peculiarities of Plato's philosophy his views about the world recognition is still relevant today.

მკვლელობა, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით

ალექსანდრე კვაშილავა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, იურიდიულ
მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: Kak1930@mail.ru

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ერთ-ერთ გარემოებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი აცხადებს აუცილებელ მოგერიებას, ე.ი. დანაშაულებრივი ხელმყოფის დაზიანებას მომგერიებლის ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. აუცილებელი მოგერიება დანაშაულს არ წარმოადგენს, რის გამოც ის დასჯადი ქმედება არ არის. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის, სსკ 113-ე და 122-ე მუხლების მოთხოვნათა ერთობლიობით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ სამი დანაშაულისათვის, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობის, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის. 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების ცნებას (არსს), რომელიც იძლევა ქმედების შედეგის შესაბამისად 113-ე ან 122-ე მუხლით მომგერიებლის ქცევის დაკვალიფიცირების საფუძველს. სსკ 28-ე მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- „1. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.
2. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას.
3. ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა.
4. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.“¹

როგორც ვხედავთ, 28-ე მუხლის 1-3 ნაწილები ყველა მომგერიებელს, მიუხედავად იმისა თავის სამართლებრივ სიკეთეს იცავს ის თუ სხვისას, სამართლებრივი სიკეთის დანაშაულებრივად ხელმყოფის დაზიანების ერთნაირ უფლებას აძლევს, მაგრამ მოითხოვს, რომ ხელმყოფის დაზიანება უნდა მოხდეს ხელყოფისას, ანუ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. ამ მუხლის მე-3 ნაწილი მართლსაწინააღმდეგოდ წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დაბრუნების შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაშიც უშვებს აუცილებელი მოგერიების აქტის გამოყენებას.

აუცილებელი მოგერიების უფლების მიმნიჭებელი 1-3 ნაწილებით არ არის განსაზღვრული ხელყოფის სახე. იგი თავდასხმით იქნება ჩადენილი თუ სხვა სახის ხელყოფით ამას მნიშვნელობა არა აქვს. ხელყოფა უმოქმედობითაც შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, მივევალს, უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილს, ტრეფიკინგის მსხვერპლს, მონობის პირობებში მოქცეულს ან სექსუალურ ექსპლუატაციაში მყოფ თავისუფლებააღკვეთილ ქალს დაუყენეს დამცველი მისი გაქცევის აღსაკვეთად. დამცველს ჩაკეტილი ჰყავს ასეთი პირი გარკვეულ სათავსოში და არ უშვებს. იგი შეიძლება უვლიდეს კიდევ მას, აწვდიდეს წყალს, საკვებს, სხვა სასიცოცხლო საშუალებებს. მაგრამ ასეთი დამცველისგან აუცილებელი მოგერიების აქტის გამოყენების გზით გათავისუფლების უფლება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირს აქვს.

განსახილველი მუხლის 1-3 ნაწილებიდან გამომდინარე, ამავე 28-ე მუხლის მე-4 ნაწილით კანონმდებელი მიზნად ისახავს იმ მომგერიებელთა დასჯას, რომლებმაც აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადააცილეს და მოგერიების არამართლზომიერების პირობებში ჩაიდინეს მკვლელობა, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. სწორედ ამიტომ არის მოცემული აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების განმარტება ამ ნაწილში, მაგრამ ეს ნაწილი ჩამოყალიბებულია ხარვეზებით. იგი ეწინააღმდეგება ამავე მუხლის 1-3 ნაწილებისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-6 და მე-14 მუხლების მოთხოვნებს. სსკ 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოყვანა ამავე 28-ე მუხლის 1-3 ნაწილებთან და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში აუცილებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

1. სსკ 28-ე მუხლის 1-3 ნაწილები აუცილებელი მოგერიების ერთნაირ უფლებას აძლევს ყველას, როგორც თავისი ისე სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად;

2. ერთნაირი უფლების მქონე პირთა მიერ ერთნაირი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის ერთნაირი პასუხისმგებლობა უნდა იყოს დაწესებული (იხ. კონსტიტუციის მე-14 მუხლი კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობის შესახებ);
3. ყველა სამართლებრივი აქტი (იგულისხმება მთლიანად ყველა ნორმა) უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას (იხ. კონსტიტუციის მე-6 მუხლი);
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია არა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება, არამედ მკვლელობა, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით;
5. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება არის პასუხისმგებლობისა და სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც სსკ მიზნების, ამოცანებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ყველა მოქმედი აქტის მოთხოვნათა შესაბამისად ერთნაირად უნდა იქნეს გამოყენებული ერთნაირი დანაშაულის ერთნაირ სამართლებრივ პირობებში ჩამდენთა მიმართ. ამას ეწინააღმდეგება 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი;
6. სსკ 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი ზღუდავს იმ მომგერიებელთა წრეს, რომელსაც ამავე მუხლის 1-3 ნაწილები აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობის, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენების შემთხვევაში, შესაბამისად სსკ 113-ე ან 122-ე მუხლით გაცილებით უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობისა და სასჯელის მიღების შესაძლებლობას აძლევს, ვიდრე გათვალისწინებულია ამავე დანაშაულთა ჩადენისათვის არააუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენის შემთხვევაში. სასჯელებში განსხვავება დიდია (გამასწორებელი სამუშაო ორ წლამდე ან ექვს თვემდე მინიმუმში, უვადო თავისუფლების აღკვეთა მაქსიმუმში);
7. სსკ 113-ე ან 122-ე მუხლით ქმედების დაკვალიფიცირების საფუძველს იძლევა სსკ 28-ე მუხლის მე-4 ნაწილში მოცემული აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების განმარტება;
8. აღნიშნული განმარტება, ამავე მუხლის 1-3 ნაწილებისა და კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას განმარტავს, როგორც მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამისობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. ეს განმარტება არ არის კანონის ჩამოყალიბებისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული. მაგალითად, ადამიანს მოკვლის მიზნით პირდაპირ თავში დაუმიზნეს ტყვიამფრქვევი, ამ უკანასკნელმა ხელები, პალტო ან სხვა რამე აიფარა, რადგანაც სხვა საშუალება არ ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში მომგერიებლის მოქმედება აშკარად არ შეესაბამება თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებას, მაგრამ იგი აუცილებელ მოგერიებასთან, ე.ი. დანაშაულებრივი ხელმყოფის - დანაშაულის ჩამდენის დაზიანებასთან არაფრით არ არის დაკავშირებული. ამასაც თავი რომ დავანებოთ, ამ განმარტებამ ქმედების აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად დაკვალიფიცირების შესაძლებლობა მოსპო ყველა მომგერიებლის მიმართ, გარდა იმისა, ვინც პირადად მასზე თავდასხმის მოგერიებისას გამოიყენა ისეთი ღონისძიება, რომელიც აშკარად არ შეესაბამებოდა თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ განმარტებამ, როგორც წესი, მოსპო ქმედების აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობად, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებად დაკვალიფიცირების შესაძლებლობა საკუთარი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. როგორც გამონაკლისი, ქმედების 113-ე ან 122-ე მუხლით დაკვალიფიცირების შესაძლებლობა დატოვა მხოლოდ იმ მომგერიებლის მიმართ რომელიც პირადად მასზე თავდასხმას იგერიებდა.
9. ამ განმარტებამ საკუთარ თავზე თავდასხმის მომგერიებლის გარდა სხვა ყველა მომგერიებლის მიმართ მოსპო სსკ 113-ე და 122-ე მუხლების გამოყენების შესაძლებლობა. ამით იგი წინააღმდეგობაში მოვიდა სსკ 28-ე მუხლის 1-3 ნაწილებთან და კონსტიტუციის მე-14 მუხლთან;
10. ზემოთ, 1-9 პუნქტებში ჩამოთვლილ დასაბუთებათა გაბათილების ან სხვა გზით უარყოფის სამართლებრივი შესაძლებლობა არ არსებობს;
11. სსკ 28-ე მუხლი მიღებულია იმ მიზნით, რომ სს კოდექსით დანაშაულად გამოცხადებული არცერთი ქმედების მართლზომიერი, ე.ი. ამ მუხლის 1-3 ნაწილებით გათვალისწინებული აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენისათვის პასუხი არავინ არ აგოს, ხოლო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობის, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების ჩამდენმა პასუხი აგოს, მაგრამ უფრო მსუბუქად, ვიდრე ამ დანაშაულთა ჩადენისათვის სს კოდექსით არის გათვალისწინებული. ამ მიზნების მიღწევა აღნიშნული მუხლის მოთხოვნათა შესრულებით შესაძლებელი იქნებოდა მისი მე-4 ნაწილი მისივე 1-3 ნაწილებთან და კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობაში, რომ ყოფილიყო

ჩამოყალიბებული და აუცილებელი მოგერიების გზით დაცვის ობიექტად ან საგნად ყოველგვარი სამართლებრივი სიკეთე არ ყოფილიყო გამოცხადებული. ჩემი აზრით, არ არის აუცილებელი საქართველოში, საერთოდ ცნობილ სტუმართმოყვარე ქვეყანაში ყველას, ვინც საქართველოში იმყოფება, ჰქონდეს ნებისმიერი სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფისათვის ჯანმრთელობის დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობის უფლება. მიმაჩნია, რომ აუცილებელი მოგერიების აქტის გამოყენება დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, განსაკუთრებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.

გადავხედოთ როგორ წყდება ეს საკითხი სხვა ქვეყნების სისხლი სამართლის კოდექსებში.

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 პარაგრაფი აუცილებელი მოგერიების აქტის გამოყენების შესაძლებლობას უშვებს მაშინ, როცა ხორციელდება ან უშუალოდ ემუქრება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა მომგერიებლის ან სხვა პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სხეულის ხელშეუხებლობას, თავისუფლებას ან ქონებას (5 ობიექტი).²

ისრაელის სსკ 34 ჰიუდ მუხლი აუცილებელი მოგერიების აქტის გამოყენებას ითვალისწინებს ისეთი უკანონო თავდასხმის მოსაგერიებლად, რომელიც ვნების მიყენების რეალურ საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, თავისუფლებას, სხეულს და ქონებას (4 ობიექტი).³

აზერბაიჯანის სსკ 36-ე მუხლი აუცილებელი მოგერიების აქტის გამოყენებას ითვალისწინებს მომგერიებლისა და სხვა პირთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უფლებებისა და სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესების საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან დასაცავად (5 ობიექტი).⁴

რუსეთის ფედერაციის სსკ 37-ე მუხლი აუცილებელი მოგერიების აქტის გამოყენებას ითვალისწინებს მომგერიებლისა და სხვა პირთა პიროვნებისა და უფლებების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონით დაცული ინტერესების საზოგადოებრივად საშიში მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დასაცავად.⁵

საქართველოს 1922 წლის სსკ მე-14 მუხლი მიუთითებს: „სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მოქმედების ჩამდენს სოციალური დაცვის ღონისძიება სრულიად არ შეეფარდება, უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ მოქმედება ესე ჩადენილია მარტოოდენ აუცილებელი თავდაცვისათვის ისეთი ხელყოფისაგან, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლებისა და რევოლუციური წესრიგის ან თვით მომგერიებლისა თუ სხვა ვისიმე პიროვნების და უფლების წინააღმდეგ, და თუ ამასთანავე აუცილებელი თავდაცვის საზღვარი გადაცილებული არ იქნა“ (5 ობიექტი).⁶

საქართველოს 1928 წლის სსკ მე-12 მუხლი აუცილებელ მოგერიებას უშვებდა საბჭოთა ხელისუფლების, თვით მომგერიებლის ან სხვა ვისიმე პიროვნების და უფლების ხელყოფის საწინააღმდეგოდ (3 ობიექტი. ხელისუფლება, პიროვნება, უფლება).

საბჭოური ბოლო პერიოდისა და მის შემდგომ ცვლილებებითა და დამატებით ამჟამად მოქმედი კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი ყოფილი სსრკ მოკავშირე რესპუბლიკელების (ამჟამად დსთ ქვეყნების) კოდექსებიც თითქმის ზემოთ ჩამოთვლილი კოდექსების ანალოგიურია.

მოკლედ რომ ვთქვათ, აუცილებელი მოგერიების პრობლემა საქართველოს სს კოდექსში, სხვა ქვეყნების სს კოდექსებისგან განსხვავებით, ჯეროვნად არ არის გადაჭრილი.

გარდა ზომით აღნიშნულისა, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ვერ ვხვდებით იმის დასაბუთებას თუ რატომ გახდა აუცილებელი 1999 წლის ივლისში მიღებულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ისეთი ნორმის შემოღება, რომელიც ყოველგვარი სამართლებრივი სიკეთის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისათვის ყველას აძლევს ასეთი ხელმყოფის ნაკლებად მძიმედ ან მძიმედ დაზიანების ანდა სიცოცხლის მოსპობის უფლებას. ასეთს არ ითვალისწინებდა საქართველოს 1922, 1928, 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსები. არ ითვალისწინებდა ასეთს საბჭოური პერიოდის მოკავშირე რესპუბლიკეების სს კოდექსები და არ ითვალისწინებს დსთ და სხვა ქვეყნების კოდექსები.⁷

რაც შეეხება ო. გამყრელიძის კანონის არსიდან მოწყვეტილ, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „28-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით აუცილებელი მოგერიება არის თავდამსხმელის დაზიანება „თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად“. აქ ერთი სახელწოდების ქვეშ ორი სხვადასხვა მოვლენაა გაერთიანებული. აუცილებელი მოგერიება ისეთი შემთხვევაა, როცა ადამიანი თავის სიკეთეს იცავს. რაც შეეხება „სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვას“, ეს აუცილებელი დახმარებაა.“⁸ ციტირება სწორია. (ა.კ.) მაგრამ ამ ციტირებიდან რაც შეიძლება კაცმა გაიგოს არასწორია. დანარჩენი გაუგებარია.

სსკ 28-ე მუხლიდან გამომდინარე, სიტყვა „მოგერიება“ არის დანაშაულის განმახორციელებლის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება, ხოლო დახმარება ხელისშეწყობაა ისეთ რამეში, რაც ვისმე გაუადვილებს რასმე (ქსე ერთტომეული. თბილისი. 1986. გვ. 299). რაც შეეხება სსკ 128-ე და 129-ე მუხლებით გათვალისწინებულ დაუხმარებლობას, ე.ი. სისხლისსამართლებრივად დასჯად

უმოქმედობას, რასაც ავტორი სრულიად უსაფუძვლოდ იყენებს, მას არავითარი კავშირი აუცილებელ მოგერიებასთან არა აქვს. ავტორი რატომღაც ცდილობს დაასაბუთოს ის, რაც არ არსებობს. დასჯად დაუხმარებლობას აუცილებელი მოგერიების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს მაშინ, როდესაც თვლის, რომ მოგერიების მოვალეობა არ არსებობს. გამოდის, რომ სამხედრო მოსამსახურეებს, პოლიციელებს, სხვადასხვა სახის დაცვის მუშაკებს და სხვა მრავალ ადამიანს არ ევალება დასაცავი ობიექტის ხელყოფის მოგერიება. ეს აბსურდია, მაგრამ უფრო გასაოცარი ის არის, რომ ავტორი ერთ სიტყვაში „მოგერიება“ მართლზომიერი ქმედების შინაარსთან - სისხლისსამართლებრივი ნორმით დაცული ობიექტის მართლსაწინააღმდეგოდ ხელყოფის დაზიანებასთან ერთად სსკ 128-ე და 129-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა (განსაცდელში მიტოვება, დაუხმარებლობა) მოთავსებას შესაძლებლად მიიჩნევს. აუცილებელი მოგერიება, როგორც ითქვა, მართლზომიერი მოქმედებაა და მასში სხვა შინაარსის მოთავსების შესაძლებლობა არ არსებობს. აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ უმოქმედობით. მართლზომიერი მოქმედება ვერავითარ დანაშაულსა და უმოქმედობას ვერ შეითავსებს. ამიტომ, ამ საკითხზე მსჯელობა საჭიროდ არ მიმაჩნია.

ლიტერატურა:

1. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე, 113-ე და 122-ე მუხლები.
2. ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 პარაგრაფი.
3. ისრაელის სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე ჰიუდ მუხლი.
4. აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი.
5. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი.
6. საქართველოს 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14, 1928 წლის სს კოდექსის მე-12 და 1960 წლის სს კოდექსის მე-15 მუხლები.
7. ა. კვაშილავა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი კომენტარებით, თბილისი, ლეთა, 2009. გვ. 97-107; იგივე ავტორი აუცილებელი მოგერიება ჯგუფურად, თბილისი, საქართველოს ბიზნესის აკადემიისა და ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის მოამბე, თბილისი, 2011, №XV-XVI, გვ. 53-54; იგივე ავტორი. პასუხი პროფესორ ოთარ გამყრელიძეს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლების ჩემი კომენტარების მიმართ გამოთქმულ შენიშვნებზე, თბილისი, ჟ. ცხოვრება და კანონი, თბილისი, 2010, №2(10) გვ. 7-16. ო. გამყრელიძე პასუხად პროფესორ ა. კვაშილავას და განმეორებითი პასუხი ალექსანდრე კვაშილავას იგივე ჟ. ცხოვრება და კანონი. №1(9) 2010 წ. გვ. 2-10; №4(12) გვ. 2-11; ი. დვალიძე, აუცილებელი მოგერიება, წიგნში „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, სახელმძღვანელო, თბილისი, მერიდიანი, 2007, გვ. 244-252.
8. ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია, 2008, გვ. 215.

MURDER, INJURY OF SERIOUS OR LESS SERIOUS CATEGORY OF HEALTH BY EXAGGERATION OF ESSENTIAL FRAMEWORKS OF REPEL

Aleksandre Kvashilava, Gori State Teaching University, Doctor of Laws

SUMMARY

1. Requirements of Criminal Code of Georgian, article 28, part 4 do not correspond to the requirements of the same article, 1-3 parts and article 14 of constitution that violated constitutional principle of human equality before the law. It stipulates application of various punishments for similar acts and result. In order to have redressed the fault one of the version is to form part 4 of article 28 as follows: exaggeration of essential frameworks of repelling means commitment of such an act to encroaching person for the cessation of illegal encroachment that evidently transcends essential measure for the protection of the object of encroachment of violates other condition of repelling determined pursuant to the 1-3 parts of the same article.
2. According to the traditions and statistic data of Georgian population, differed from other countries it is not essential to apply all laws for the application of forces under the authority of his/her injury or destruction of life (those being in Georgia) against the law related to encroachment of all little object in Georgia. It is enough to be fit with the right of essential repelling, e. i. unlawful injury right the person who repels: person unlawfully repelling personal or other life, health, freedom, right, property or state or social interests.
3. Interpretation of exceeding essential frameworks of repelling under the basis of Criminal Code of Georgian, article 28, part 4 substantially limits contents of essential repelling and possibility on application Criminal Code of Georgian, articles 28113 and 122 that actually abolishes possibility on application of punishment that is righteously facilitated pursuant to this approved articles to repelling persons, who repelled encroaching person through lawful kindness of

others or non-assault, but were not able to reach this result within the lawful frameworks. Hostages are facing such a condition, unlawfully are released arrested persons, victims of trafficking, persons being in the condition of slavery or sexual exploitation and etc. That is why, having taken into consideration these conditions, it is essential to have changed aforesaid interpretations.

კვალიფიციური ყაჩაღობის სახეები

მაღბაზ ლომსაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: lomsadzem@gmail.com

ყაჩაღობა შედგება ოთხი ნაწილისაგან. 179-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები ითვალისწინებენ ყაჩაღობის კვალიფიციურ შემადგენლობებს ე.ი. ყაჩაღობის ისეთ შემთხვევებს, როდესაც იზრდება პასუხისმგებლობის ხარისხი. ყაჩაღობის კვალიფიციური შემადგენლობისას იზრდება მართლწინააღმდეგობის ან ბრალის ხარისხი და შესაბამისად იზრდება პასუხისმგებლობაც.

კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იზრდება მართლწინააღმდეგობის ხარისხი და შესაბამისად პასუხისმგებლობა მძიმდება თუ ყაჩაღობა ჩადენილია სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით.

სადგომს წარმოადგენს დროებითი და მუდმივი სარგებლობისათვის განკუთვნილი სტაციონალური ან მოძრავი მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ადამიანთა მოსათავსებლად ან ფასეულ ღირებულებათა შესანახად.

სხვა საცავში იგულისხმება სპეციალურად დაცული ტერიტორიული მონაკვეთი, რომელიც განკუთვნილია მატერიალურ ღირებულებათა მუდმივი ან დროებითი შენახვისათვის.

სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევა შეიძლება მოხდეს ფარულად ან აშკარად. ფარულ შეღწევასთან გვაქვს ადგილი მაშინ, როდესაც კაცის შეღწევა წარმოებს სხვებისაგან შეუმჩნეველად ან შეიძლება სხვებმა ეს შეამჩნიონ, მაგრამ დამნაშავე დარწმუნებული იყოს, რომ მის მოქმედებას სხვები ვერ ამჩნევენ. ფარულ შეღწევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ადამიანს შეღწევის დროს ამჩნევენ სხვა თანამზრახველები.

აშკარა შეღწევასთან გვაქვს საქმე, როდესაც დამნაშავე შეღწევას ახორციელებს სხვების დასანახად. აშკარა შეღწევა შეიძლება განხორციელდეს როგორც მოტყუებით, ასევე ძალადობის გზით.

სადგომში ან სხვა საცავში შეღწევა მაშინ განიხილება ყაჩაღობის კვალიფიციურ შემადგენლობად, როდესაც შეღწევა ხდება უკანონოდ. უკანონობაში იგულისხმება ნებართვის არ არსებობა.

თუ სუბიექტი სადგომში ან სხვა საცავში იმყოფება კანონიერი გზით, და ამის შემდეგ გაუჩნდება ყაჩაღობის სურვილი, ასეთი შემთხვევები ვერ განიხილება სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევად.

ყაჩაღობა არ შეიძლება ჩაითვალოს სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევად, „თუ პირს აქვს ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შესვლის უფლება თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან შესასრულებელი სამუშაოს ძალით, ასევე იმის მიერ, ვისაც აქვს ერთჯერადი და საშვით შესვლის უფლება“¹

თუ ყაჩაღურ თავდასხმას ადგილი ჰქონდა სადგომში ან სხვა საცავში შეღწევამდე, მოძრავი ნივთის დაუფლება კი საცავში შესვლის შემდეგ მოხდა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა ყაჩაღობად, ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით (179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), არამედ მარტივი სახის ყაჩაღობად (179-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ასეთი კვალიფიკაცია ეფუძნება იმას, რომ ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება არა მოძრავი ნივთის დაუფლების, არამედ თავდასხმის მომენტიდან. დანაშაულის დამთავრების შემდეგ განხორციელებული ქმედება გავლენას ვერ მოახდენს ყაჩაღობის კვალიფიკაციაზე.

¹ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბილისი, 2004, გვ. 49.

კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იზრდება მართლწინააღმდეგობის ხარისხი თუ ყაჩაღობა ჩადენილია ჯგუფურად.

კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, არსებობს ჯგუფის სამი სახე: წინასწარ შეუთანხმებლად მოქმედი ჯგუფი, წინასწარი შეთანხმებით მოქმედი პირთა ჯგუფი და პირთა ორგანიზებული ჯგუფი. ყაჩაღობის ჩადენა შეიძლება მოხდეს სამივე სახის ჯგუფის მიერ. თუ ყაჩაღობა ჩადინა წინასწარ შეუთანხმებლად ან წინასწარი შეთანხმებით მოქმედმა ჯგუფმა, იგი დაკვალიფიცირდება კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო თუ იგივე ქმედება ჩადინა ორგანიზებულმა ჯგუფმა, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს კოდექსის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

ზოგჯერ ჯგუფის ერთი წევრის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გავლენას ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე. მაგალითად, ან-ი და ბან-ი საყაჩაღოდ გაემართნენ. გზაზე მიმავალმა ბან-მა გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე. ასეთ შემთხვევაში ან-ი პასუხს აგებს ერთპიროვნულად ჩადენილი ყაჩაღობისათვის (179-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ხოლო ბან-ი მართალია პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება ყაჩაღობისაგან, მაგრამ პასუხს აგებს დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის (376-ე მუხლი).

სასამართლო პრაქტიკა ხშირად გამოუსწორებელ შეცდომებს უშვებს ისეთ საქმეებზე, როდესაც ყაჩაღური თავდასხმის ჩადენა ჯგუფის მიერ ხდება, მაგრამ გამოძიებით და სასამართლო განხილვით ვერ დადგინდება ერთი პირის გარდა სხვა მონაწილეები ან დადგინდება, მაგრამ ვერ მოხერხდება მათი გამოძიებისა და სასამართლოს წინაშე წარმოდგენა.

კან-ი და მისი ნაცნობი (გამოძიებით დაუდგენელი პირი) 10 დღის განმავლობაში უთვალთვალედნენ დონ-ს. 1998 წლის 15 აპრილს ისინი აედევნენ ჯიხურიდან გამოსულ დონ-ს და საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს ლიფტში თავს დაესხნენ. თავდასხმის დროს გამოძიებით დაუდგენელმა პირმა შუბლზე იარაღი მიაბჯინა, ხოლო დანით შეიარაღებულმა კან-მა დაზარალებულს შეაჭრა წელზე გაკეთებული ფულის შესანახი სპეციალური სარტყელი. მანვე პიჯაკის შიდა გულის ჯიბიდან ამოუღო ტყავის საფულე. ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დაზარალებულს გასტაცეს 9000 ლარი.

სასამართლოს 2001 წლის 31 აგვისტოს განაჩენით კან-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს 1960 წლის სსკ-ის 152-ე მუხლის ნაწილის 1-ლი პუნქტით (ყაჩაღობა, პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით). სააპელაციო სასამართლომ განაჩენი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში უცვლელად დატოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ კან-ის ქმედება სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი პუნქტიდან გადააკვალიფიცირა ამავე მუხლის პირველ ნაწილზე... კვალიფიკაციის შეცვლას პალატამ საფუძვლად დაუდო „გამოძიების მიერ ყაჩაღური თავდასხმის მონაწილე პირის დაუდგენლობა.“

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაც არ ყოფილა თანმიმდევრული მოცემული დანაშაულის საქმეებზე გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით. განჩინებებში პალატა ჯგუფურ დანაშაულად მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როცა ჯგუფის ორი წევრიდან ერთი მიმალვამია.

ასეთი პრაქტიკა არასწორია. ამავე აზრს ითვალისწინებს თ. ებრალიძე და მიუთითებს „პირს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს ჯგუფური დანაშაულისათვის, იქნება ეს ყაჩაღობა, ქურდობა თუ სხვა, თუ ორი წევრიდან ერთი მიმალვამია ან რაიმე სხვა მიზეზით სამართალში მიცემული არ ყოფილა“.¹

კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში მოხსენიებული „ჯგუფის“ ცნებაში იგულისხმება თანაამსრულებლობაც. თანაამსრულებლობა ნიშნავს მინიმუმ ორი ამსრულებლის ერთდროულ მონაწილეობას დანაშაულში. თუ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობს სულ მცირე ორი პირი, აუცილებელია ორივე შერაცხვისუნარიანი იყოს, ან ორივეს შეერაცხოს ბრალად ჩადენილი უმართლობა.

აქედან დასკვნა, თუ ყაჩაღობის ჩადენაში მონაწილეობდა ორი პირი და მათგან ერთ-ერთი მიმალვამია ან უცნობია გამოძიების და სასამართლო ორგანოებისათვის, მეორე პირი არ შეიძლება სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში იქნეს მიცემული ჯგუფური ყაჩაღობისათვის, ვინაიდან მიმალვამი მყოფი პირი ან პირი, რომელიც იმყოფება ძებნაში, შეიძლება აღმოჩნდეს შერაცხვისუნარო ან შერაცხვისუნარიანი, მაგრამ ბრალად არ შეერაცხოს ჩადენილი უმართლობა. შერაცხვა-შეურაცხაობის საკითხი ბრალის დადგენის დროს წყდება პერსონალურ დონეზე თუ პირი

¹ სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბილისი, 2004, გვ. 102.

არ არსებობს, მისი ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა გამოუსწორებელ შეცდომამდე მიიყვანს სასამართლოს.

კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იზრდება მართლწინააღმდეგობის ხარისხი და შესაბამისად იზრდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის, თუ იგი ჩადენილია სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.

მოცემული პუნქტით მართლწინააღმდეგობის ხარისხს ზრდის დანაშაულის საგანი. დანაშაულის საგანს აქ წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალება. სატრანსპორტო საშუალება შეიძლება იყოს: საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო. ჩვენს შემთხვევაში „სატრანსპორტო საშუალება“ გამოიყენება ვიწრო გაგებით და მასში მოიაზრება მხოლოდ საგზაო სატრანსპორტო საშუალება. საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის დაუფლება, მიუხედავად დაუფლების ხერხისა (ფარულად, აშკარად, თავდასხმით, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, მოტყუებით და ა.შ.), წარმოადგენს სხვა დანაშაულს (მუხლი 227) და იგი ზიანს აყენებს არა საკუთრების უფლებას მოძრავ ნივთზე, არამედ საზოგადოებრივ უშიშროებას და წესრიგს.

კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იზრდება ბრალის ხარისხი, თუ ყაჩაღობა ჩადენილია არაერთგზის.

არაერთგზისობა წარმოადგენს პერსონალურ ნიშანს და ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია კოდექსის შესაბამის მუხლში. ასეთი მითითება აქვს საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულს. კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით ყაჩაღობა არაერთგზის ჩადენილად ჩაითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ქურდობა (177-ე მ.), ძარცვა (178-ე მ.), ყაჩაღობა (179-ე მ.), თაღლითობა (180-ე მ.), გამოძალვა (181-ე მ.), მითვისება ან გაფლანგვა (182-ე მ.), განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით (183-ე მ.), ქონების დაზიანება მოტყუებით (185-ე მ.), წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება (186-ე მ.), ბანდიტიზმი (224-ე მ.), ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ამ მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (231-ე მ.), იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა (237-ე მ.) და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა (264-ე მ.).

დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა, თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იზრდება მართლწინააღმდეგობის ხარისხი, თუ ყაჩაღობა ჩადენილია ბინაში უკანონო შეღწევით.

ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობაზე ვრცელდება ყველა ის დებულებები, რომელიც ჩვენს მიერ განხილული იყო ზემოთ, სახელდობრ, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ყაჩაღობისას.

თუ თავდასხმა ბინაში შესვლამდე განხორციელდა, ძალადობა კი – ბინაში შესვლის შემდეგ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობად ბინაში უკანონო შეღწევით.

სასამართლო განაჩენით ენ–ს და გან–ს მსჯავრი დაედოთ კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

2000 წლის 11 ნოემბერს ენ–თან სახლში მივიდა მეგობარი ზენ–ი და შესთავაზა მონაწილეობა მიეღო მისი ნათესავის ინ–ის ბინაზე ყაჩაღურ თავდასხმაში. იმავე დღეს ზენ–მა იგი შეახვედრა გან–ს. მეორე დღეს სამივენი წავიდნენ ვაჟა-ფშაველას გამზირზე ინ–ის ბინის სანახავად, ზენ–მა თანამზრახველებს აჩვენა თვით ინ–ი და მისი მეუღლე, რომლებიც მუშაობდნენ თავიანთი საცხოვრებელი კორპუსის მახლობლად მდებარე სავაჭრო ჯიხურში. ორი დღის შემდეგ, 14 ნოემბერს, დაახლოებით 14 საათზე, ისინი შეთანხმებისამებრ შეხვდნენ ერთმანეთს ინ–ის კუთვნილ სავაჭრო ჯიხურის მახლობლად და დაუწყეს მას თვალთვალი. დაახლოებით 15 საათზე ინ–ი ჯიხურიდან გამოვიდა და წავიდა თავისი სახლისაკენ. ენ–ი და გან–ი აედევნნენ მას, წინ გაუსწრეს და შევიდნენ საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში. ისინი გაჩერდნენ მე-7 და მე-8 სართულებს შორის მდებარე მოედანზე. მალე კიბეზე ამოვიდა ინ–ი და მე-7 სართულზე გაჩერდა. ენ–ი და გან–ი

დაბლა დაემზენ და როდესაც ინ-მა თავისი ბინის კარები გააღო, მასთან მივარდნენ, ძალით შეიყვანეს ბინაში და კარები სწრაფად მიხურეს. ენ-მა „სკოჩით“ შეუკრა ხელ-ფეხი ინ-ს, აუხვია თვალები და დააწვინა იატაკზე. გან-მა ქურთუკის უბიდან ამოიღო „საიუველირო“ ხანჯალი, დაზარალებულს ყელზე მიადო და ფული და ოქრო მოსთხოვა. მალე ბინაში შევიდა ზენ-ი ნიღბით. სამივენი ფულისა და ძვირფასეულობის მოთხოვნით ფეხებით სცემდა დაზარალებულს. ინ-მა მათ მიუთითა ადგილი, სადაც ფული და ოქროულობა ჰქონდა შენახული. დამნაშავეებმა გაიტაცეს 7250 აშშ დოლარი და 830 ლარად ღირებული ოქროს სამკაულები.

მოცემულ მაგალითში თავდასხმა განხორციელდა ბინაში შესვლამდე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა კი – ბინაში შესვლის შემდეგ. დამნაშავეებს სწორად დაედო მსჯავრი ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ყაჩაღობისათვის. საკითხის ასეთი გადაწყვეტა ეფუძნება იმას, რომ თავდასხმა და ძალადობა ორი განუყოფელი აგრესიული აქტია, რომელთა ორგანული ერთიანობა ყაჩაღობის შემადგენლობას გვაძლევს. თავდასხმაზე, როგორც ყაჩაღობის დამოუკიდებელ ობიექტურ ნიშანზე, მხოლოდ პირობითად შეიძლება ვილაპარაკოთ. განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ თავდასხმას თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა. ამიტომ ზემოთ აღნიშნულ მაგალითში დანაშაული დამთავრდა ბინაში შესვლის შემდეგ, რადგან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, რაც ყაჩაღობის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, ბინაში განხორციელდა. ამიტომ ასეთი შემთხვევები უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – ყაჩაღობა, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით.

ზოგჯერ ბინაში შეღწევა შეიძლება მოხდეს მოტყუებით. მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

2002 წლის 28 ივლისს გან-მა და ვინ-მა გადაწყვიტეს ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ნაცნობ მან-ს, რომელიც მუშაობდა ანტიკვარიატის მაღაზიაში. საღამოს, დაახლოებით 20 საათზე, ჩანთაში დამალული გადაჭრილი სანადირო თოფითა და რკინის მილით შეიარაღებულნი, მივიდნენ მან-ის სახლთან. მას უთხრეს, რომ მოტანილი ჰქონდათ ძველებური დამბაჩა და უნდოდათ მისი შეფასება. ვინაიდან მან-ი ორივეს იცნობდა, მაშინვე გაუღო კარი და შეიყვანა სახლში. საუბრის დროს ვან-მა შეუმჩნევლად ამოიღო ჩანთიდან რკინის მილი და თავში ჩაარტყა მან-ს, ხოლო ვან-მა დაუწყო მუშტების ცემა, შემდეგ მიადო თოფი ყელზე და უბრძანა მიეცა ფული. თავდამსხმელებმა შეშინების მიზნით რიგ-რიგობით მოახდინეს თითო გასროლა. შეშინებულმა მან-მა გამოუტანა მათ 350 აშშ დოლარი. წასვლის წინ თავდამსხმელები დაზარალებულს მოკვლით დაემუქრნენ, თუ მომხდარის შესახებ პოლიციაში განაცხადებდა.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ყაჩაღობა ბინაში უკანონო შეღწევით, რადგან ყაჩაღური თავდასხმის მიზანი დამნაშავეებს სახლში შესვლის შემდეგ კი არ აღედრათ, არამედ სწორედ ამ მიზნით შეაღწიეს მან-ის ბინაში. მათი ქმედება კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირდა.

კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იზრდება მართლწინააღმდეგობის ხარისხი, თუ ყაჩაღობა ჩადენილია დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით.

ქმედება 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით კვალიფიცირდება, თუ კაცს განზრახული ჰქონდა ისეთი მოძრავი ნივთის (ნივთების) დაუფლება, რომლის (რომელთა) ღირებულება აღემატება 10000 ლარს. მაგალითად, ყაჩაღური თავდასხმა ძვირად ღირებული ავტომობილის დაუფლების მიზნით. მოცემული კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკა ჩვენთვის უცნობია.

კოდექსის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იზრდება მართლწინააღმდეგობის ხარისხი, თუ ყაჩაღობა ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ყაჩაღობა ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განხორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

კოდექსის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იზრდება ბრალის ხარისხი და შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ ყაჩაღობა ჩადენილია იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო სასამართლევი სხვისი ნივთის მართლწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის.

მოცემული პუნქტი პერსონალური ხასიათისაა და ვრცელდება მხოლოდ იმ პირზე, ვინც წარსულში იყო ნასამართლევნი ორჯერ ან მეტჯერ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის. მოცემული შემადგენლობა „არაერთგზისი“ ყაჩაღობისაგან იმით განსხვავდება, რომ „არაერთგზისი“ დანაშაულის კვალიფიცირდება ისეთი დანაშაული, როდესაც ყაჩაღობას სჩადის ისეთი პირი, რომელიც წარსულში ერთჯერ იყო ნასამართლევნი ყაჩაღობისათვის ან იმ დანაშაულისათვის, რომლებიც მოცემულია კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილში და ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს.

არ არის გამორიცხული, რომ ყაჩაღობაში მონაწილე პირთა ქმედებები სხვადასხვა ნიშნებით და პუნქტებით დაკვალიფიცირდეს. მაგალითად, დაუშვათ თანამემსრულებლობით ან-მა და ბან-მა ჩაიდინეს ყაჩაღობა, ამავე დროს ბან-ი წარსულში იყო ორჯერ ნასამართლევნი გამოძალვისათვის. ასეთ შემთხვევაში ან-ი პასუხს აგებს კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად), ხოლო ბან-ი კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

არ არის გამორიცხული თანამონაწილეობის შემთხვევაში ერთმა თანამონაწილემ პასუხი აგოს კვალიფიციური ყაჩაღობისათვის, ხოლო ამსრულებელმა მარტივი სახის ყაჩაღობისათვის. მაგალითად, დაუშვათ წარსულში გამოძალვისათვის ორჯერ ნასამართლევმა ან-მა წააქეზა ბან-ი ყაჩაღობისათვის. ასეთ შემთხვევაში ბან-ი პასუხს აგებს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო ან-ი კოდექსის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 24 მუხლზე მითითებით.

ამრიგად, კოდექსის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას პირი, რომელიც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევნი იქნება ყაჩაღობის ამსრულებელი, თანამსრულებელი თუ თანამონაწილე, აგრეთვე იმას, მან ყაჩაღობის მომზადება თუ დამთავრებული ყაჩაღობა ჩაიდინა.

TYPES OF ROBBERY QUALIFICATION **Malkhaz Lomsadze, Gori State Teaching University, Professor** **RESUME**

The work “Types of Robbery Qualification” is a subject which is not a novation in the Science of Criminal Law, but there are still some points to study in details referring to this sphere..

My research deals with the components of the robbery, the qualification problems of robbery, unfulfilled robbery and execution and co-participation in robbery.

The survey will be helpful for the professional lawyers, students and the people who are interested in the problematic issues referring robbery.

საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

მაკა სალხინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: ketinutsa@yahoo.com

„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ეროვნული ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად¹, საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოებია: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში „სემეკი“).

¹ საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, 2002 წ. 15 ოქტომბერი, მ. 2

მარეგულირებელი ორგანოების ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს ხელს უწყობს მარეგულირებლებს საქმიანობის დახვეწასა და განვითარებაში, ასევე ხელს უწყობს მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციურ გამყარებას.

სემეკს აქვს ურთიერთობა შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებთან: ნარუკთან, ერრასთან, ე-კონტროლთან, იუსაიდთან. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ისეთ ორგანიზაციასთან, როგორცაა ენერგეტიკული თანამეგობრობა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია თანამშრომლობს შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებთან: გაეროს განვითარების პროგრამასთან, ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტთან, მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტთან. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან, ამერიკის შეერთებულ შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, მსოფლიო ბანკთან. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

სემეკის თანამშრომლობა ნარუკთან. ქართულ მარეგულირებელ კომისიასა და აშშ-ის მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობას საფუძველი 1999 წელს ჩაეყარა. ნარუკის წევრი მარეგულირებელი კომისიების კომისიონრები და თანამშრომლები აქტიურად მოღვაწეობენ ასოციაციის მუშაობაში, ორგანიზებას უკეთებენ სხვადასხვა ფორუმებს, კონფერენციებსა და გაცვლით ვიზიტებს. ასეთი შეხვედრები დიდ როლს ასრულებს განვითარებადი ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების წარმატებით მუშაობაში.¹

ნარუკი აშშ-ის კომუნალური რეგულირების კომისიების ნაციონალური ასოციაცია დაარსდა 1889 წელს და არის არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია. ასოციაციის მიზანია კომუნალური რეგულირების მუშაობის ეფექტურობისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.²

მიმაჩნია, რომ ასეთი თანამშრომლობა ხელს უწყობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში რეგულირების პროცესის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნის რეგულირებისათვის. ამ ღონისძიებებზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის ყალიბდება მჭიდრო თანამშრომლობა, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, რაც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის წარმატებას.

სემეკის თანამშრომლობა ერრასთან. ენერგეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაცია დაარსდა 2000 წელს და არის ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დამოუკიდებელი ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების მიერ საკუთარი ინიციატივით ჩამოყალიბებული არაკომერციული დამოუკიდებელი ორგანიზაცია. ასოციაციის მიზანია წევრ ქვეყნებში ენერგეტიკის რეგულირების პროცესის გაუმჯობესება სტაბილური, დამოუკიდებელი ენერგეტიკის მარეგულირებელ ორგანოებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარება და ამ გზით სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების უზრუნველყოფა.³

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია სხვა ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან ერთად წარმოადგენს ასოციაციის წევრ დამფუძნებელს.

ასოციაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს გენერალური ასამბლეა, რომელიც შედგება ასოციაციის ყველა სრულუფლებიანი წევრისაგან. ასამბლეის მიზანია ერრას მოღვაწეობის ზედამხედველობა. გენერალური ასამბლეის შეკრება ტარდება წელიწადში არანაკლებ ერთხელ.⁴

ერრას ჩამოყალიბებული აქვს მუდმივი სამუშაო კომიტეტები, რომელთა შეხვედრები იმართება წელიწადში ოთხჯერ. შეხვედრებზე განიხილება ერრას წევრი ქვეყნების ენერგეტიკის დარგში მიმდინარე მოვლენები, ხორციელდება ინფორმაციისა და არსებული გამოცდილების ურთიერთგაცვლა. იგეგმება სხვადასხვა სახის სემინარები და სასწავლო პროგრამები.⁵

სემეკის თანამშრომლობა ე-კონტროლთან. 2001–2002 წლებში ავსტრია შეუერთდა ევროპაში მეოცე საუკუნის 90–იან წლებში დაწყებულ ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესს. კონკურენციის ხელშესაწყობად ბაზრის მონაწილეობისათვის მკაფიო წესების არსებობა გახდა საჭირო. ე-კონტროლი, როგორც ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო, ავსტრიაში აღნიშნული წესების შემუშავებასა და დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოა.⁶

¹ www.naruc.org. About.naruc. (გადამოწმებულია 12.13.12)

² www.naruc.org Constitution (გადამოწმებულია 12.13.12)

³ www.errant.org.ge ERRAs Price Regulation and Tariffs Course, (გადამოწმებულია 12.13.12)

⁴ www.errant.org.ge ERRAs Price Regulation and Tariffs Course, (გადამოწმებულია 12.13.12)

⁵ www.ERRAs Price Regulation and Tariffs Course, (გადამოწმებულია 12.13.12)

⁶ www.energy-twinny.at, What is Twinning? (გადამოწმებულია 12.13.12)

მარეგულირებლის ამოცანა უნდა იყოს კონკურენციის განვითარება და უზრუნველყოფა, რასაც ემსახურება ე-კონტროლი.

2012 წლის 23 სექტემბრიდან სემეკი ე-ონტროლიდან¹ ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს დამმობილების პროცესს: ევროკავშირი, ავსტრია და საქართველო: დამმობილება ელექტროენერჯის ტარიფის მეთოდოლოგიის განახლებისათვის, რომლის მიზანია საქართველოს ელექტროენერჯეტიკის რეგულირების გაუმჯობესება საუკეთესო ევროპული სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად.² **მოცემული პროექტი ჩემი აზრით**, რომ ხელს უწყობს გრძელვადიან ინვესტირებას საქართველოს ენერჯეტიკაში, ასევე მნიშვნელოვნად გაზრდის სემეკის თანამშრომლების ცოდნას ელექტროენერჯეტიკისა და რეგულირების სფეროში. პროექტის ხანგრძლივობაა 21 თვე.

პროექტის ფარგლებში მუშაობა შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით წარიმართება: სემეკის შესაძლებლობების გაძლიერება წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლება და რეკომენდაციების მომზადება სრულყოფილი და ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის შესაქმნელად.³

სემეკის თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს უშუალო ხელშეწყობით ჩამოყალიბდა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და საბაზისო კანონმდებლობა (1997 წელს ელექტროენერჯის, ხოლო 1993 წელს ბუნებრივი გაზის შესახებ). საქართველოს კანონების ასევე USAID-თან თანამშრომლობის საფუძველზე მოხდა სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება ლიცენზიის წესებისა და რეგულირების სხვა ფუძემდებლური დოკუმენტების შექმნა.⁴

სააგენტოს ხელშეწყობით, კომისიას მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებს აშშ-ს სხვადასხვა შტატების (მიჩიგანი, ვერმონტი, ვენტუკი) მარეგულირებელ კომისიებთან. სამუშაო შეხვედრები, სასწავლო კურსები ხელს შეუწყობს მარეგულირებლის განვითარებასა და საქმიანობის დახვეწას. Usaid-თან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისი დახმარებით ჩამოყალიბდა სემეკის კანონმდებლობა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომლობა ევროპის საბჭოსთან. 2002 წლის 5–6 ივლისს თბილისში, ევროკომისიისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, გაიმართა ევროპის საბჭოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული, მაუწყებლობის რეგულირებისა და მისი მომავალი პერსპექტივებისადმი მიძღვნილი სამუშაო შეხვედრა. ამ შეხვედრაზე მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების განხორციელების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. შემუშავდა მაუწყებლობის კანონპროექტი, რომელიც განსხვავებულად გაიგზავნა ევროსაბჭოში. ევროსაბჭოს ექსპერტებმა დაამუშავეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტი და გამოაგზავნეს კომენტარები. მაუწყებლობის კანონპროექტზე მუშაობა გაგრძელდა 2004 წლის 15 მარტს კანონპროექტი გაიგზავნა ევროსაბჭოში, 24 მაისს კომისიაში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ევროსაბჭოს ექსპერტებისა და მაუწყებლობის კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრების მონაწილეობით. კანონპროექტს საბოლოო სახე მიეცა და 2004 წლის აგვისტოში წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს, საკანონმდებლო ინიციატივის განსახორციელებლად. 2005 წლის 18 იანვარს კანონი ძალაში შევიდა.⁵

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან. მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“. შემუშავდა ორეტაპიანი პროექტი, რომელიც სრულად მოიცავს დარგის გარდაქმნისა და სრულყოფილი ჩამოყალიბების ძირითად ასპექტებს. მსოფლიო ბანკმა გამოყო შესაბამისი თანხები პროექტის პირველი ნაწილის დასაფინანსებლად. ეს ნაწილი ითვალისწინებს საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით დარგის ნორმატიული და ტექნიკური ბაზის განვითარებასა და მის ჰარმონიზაციას მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკასთან.⁶

2004 წლის სექტემბერში დასრულდა მსოფლიო ბანკის პროექტის პირველი ეტაპი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაქირავებულმა გერმანულმა სატელეკომუნიკაციო ფირმამ „DETECON INTERNATIONAL GMBH“-მა მოამზადა რიგი დოკუმენტებისა, რომლებიც მოიცავს სექტორისა და მასთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზების მიმოხილვასა და ანალიზს. აღნიშნულმა

¹ http://www.e-twinning.at/portal/page/portal/TW_HOME/Georgia (გადამოწმებულია 18.04.2013)

² [www.energy-twinny.at/How does it work?](http://www.energy-twinny.at/How%20does%20it%20work?) (გადამოწმებულია 12.13.12)

³ [www.energy-twinny.at/The Georgia project](http://www.energy-twinny.at/The%20Georgia%20project) (გადამოწმებულია 15.12.12)

⁴ [www.georgia.usaid.gov/index.php,Country Development and Cooperation Strategy](http://www.georgia.usaid.gov/index.php/Country%20Development%20and%20Cooperation%20Strategy) (გადამოწმებულია 25.03.2013.)

⁵ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.02.13)

⁶ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.03.13)

კონსულტანტებმა ზემოთ ხსენებულ საკითხებზე ჩაატარეს რიგი სემინარებისა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომლებისთვის და კავშირგაბმულობის ოპერატორებისთვის.¹

მსოფლიო ბანკის პროექტის მეორე ეტაპის დაფინანსება მსოფლიო ბანკში განხილვის პროცესშია. პროექტის მეორე ეტაპი ითვალისწინებს: უნივერსალური მომსახურების ფონდის დაფინანსებას ქვეყნის ცალკეულ რეგიონებსა და კუთხეებში. ქვეყნის სიხშირული სპექტრის მონიტორინგისათვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობის შექმნას, რეგიონალური სატელეკომუნიკაციო პროექტების ამოქმედება.²

მსოფლიო ბანკმა მოამზადა კვალიფიკაციათა ექვსი სერია, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით 2001 წლის ივნისში თბილისში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, მსოფლიო ბანკისა და PPIAF-ის მიერ ორგანიზებულ იქნა სამდღიანი სემინარი. სემინარის შედეგად შემუშავდა რეგიონული სტრატეგიისა და რეკომენდაციების პროექტი. რეგიონის სამ ქვეყანაში ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების განვითარების ძირითადი შემაფერხებელი მიზეზების აღმოსაფხვრელად.³

ასეთი მასშტაბის სემინარები მნიშვნელოვანია არა მარტო რეგულირების, არამედ ქვეყნის განვითარებისათვის.

სტანდარტული შესარჩევი პროცესის მეშვეობით შეარჩია ძირითადი საკონსულტაციო ფირმა, რომელიც PPIAF-ის გრანტის ფარგლებში განხორციელდება სოფლად რეგიონულ სატელეკომუნიკაციო სტრატეგიას და საცდელ პროექტს. შეირჩა საკონსულტაციო ფირმა „აპოიო კონსულტორია“ (პერუ). საკონსულტაციო ჯგუფი დაკომპლექტდა ყოფილი GEO-ს და პერუს მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენლებისაგან. საკონსულტაციო ჯგუფი უკვე რამდენჯერმე ეწვია საქართველოს. 2003 წლის სექტემბერში „აპოიო კონსულტორიამ“ წარმოადგინა თავისი ანგარიშების პირველი კომპლექტი, რომელშიც ასახული იყო არსებული პრობლემები და უნივერსალური მომსახურების სტრატეგიისადმი საწყისი მიდგომა.⁴

მსგავსი ანგარიშები დაეხმარება მარეგულირებელს არსებული პრობლემების აღმოფხვრასა და მისი არსებობის მიზეზის დადგენაში, რაც საბოლოო ჯამში დარგის რეგულირების განვითარებას შეუწყობს ხელს.

მსოფლიო ბანკის მისიამ, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, „საქართველოს ელექტროკავშირის“ თანამშრომლებსა და „აპოიოს“ კონსულტატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო კახეთის რეგიონში გამართულ ვიზიტში. ამ ვიზიტის განმავლობაში მისიამ დაათვალიერა თელავში განსხვავებული ციფრული სატელეფონო სადგური, ეწვია ასევე რეგიონის რიგ მოშორებულ ადგილებსაც. აღნიშნულმა ვიზიტმა ცხადყო კაპიტალდაბანდების დიდი საჭიროება სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განსავითარებლად. ქვეყნის ამ ნაწილში, სადაც სოფლებისა და დაბების ნახევარზე მეტს არა აქვს არც ერთი მოქმედი სალაპარაკო პუნქტი.⁵

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომლობა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან. 2012 წლის ოქტომბერში დაიწყო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინსტიტუციური განვითარების ხელშემწყობი პროექტი. პროექტი ითვალისწინებდა ამერიკელი ექსპერტების დახმარებას ისეთ სფეროებში, როგორც არის: მართვისა და რეგულირების იურიდიული, ტექნიკური და ეკონომიკური ასპექტები. კომისიამ მიიღო და გაითვალისწინა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს რჩევები სიხშირული სპექტრის მართვის, ორგანიზაციული მართვის, ურთიერთჩართვის, ტარიფებისა და რეგულირების სხვა სფეროებში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა დამთავრდა, კომისია განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან.⁶

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის USAID-თან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან იზიარებენ საერთაშორისო გამოცდილებას კომუნიკაციების რეგულირებაში, რაც დარგის განვითარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომლობა გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP). საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიათა სფეროში გაერთიანებული ერების მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, მსოფლიო ბანკისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინიციატივით 2004 წლის იანვარში გაეროსა და კომისიას შორის დაიდო

¹ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, გადამოწმებულია 16.12.12

² www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, გადამოწმებულია 16.12.12

³ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.12.12)

⁴ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.12.12)

⁵ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.12.12)

⁶ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.12.12)

ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც გაერომ შეიმუშავა საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-დოკუმენტის პროექტი. არსებული დოკუმენტი განსაზღვრავს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიათა როლს, მიზნებსა და ამოცანებს, სტრატეგიას, პოლიტიკას, ამ ტექნოლოგიათა მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებს, აგრეთვე იმ პრიორიტეტულ მიზნებს, რომლებიც ხელს უწყობს საქართველოში საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებას.¹

მარეგულირებელი ორგანოს გაეროსთან თანამშრომლობა ხელს უწყობს კომუნიკაციების ტექნოლოგიურ განვითარებას, ასევე საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგულირებისათვის.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომლობა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან. საქართველო, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სახით, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებაში 1992 წელს გაწევრიანდა. ამჟამად ორგანიზაციაში საქართველოს ხელისუფლებას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო.²

ეს ორგანიზაცია შექმნილია საერთაშორისო დონეზე სტანდარტიზაციის, რადიო-კოორდინაციის, განვითარებისა და სხვა სატელეკომუნიკაციო საკითხების განსახილველად და საერთო გადაწყვეტილებების მისაღებად. იგი წარმოადგენს გაეროს სისტემის წევრ ორგანიზაციას და აწარმოებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების გლობალურ კოორდინაციას.³

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან თანამშრომლობა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ხელს შეუწყობს, გააფართოოს საერთაშორისო თანამშრომლობა გაერთიანების ყველა წევრს შორის, განავითაროს ტელეკომუნიკაციები. გარდა ამისა იღებს აუცილებელ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით წინ გადაგმული ნაბიჯია კომისიისათვის.

პროფესიული დონის ამაღლების მიზნით კომისიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების მიერ ორგანიზებულ შემდეგ სემინარებში: საფინანსო მოდელების კორპორაციული გამოყენება (მინსკი, ბელორუსია, 2001 წლის 13–16 ნოემბერი), სატარიფო პოლიტიკის ახალი მიმართულებები (ბრატისლავა, სლოვაკეთის რესპუბლიკა, 2001 წლის 18–20 სექტემბერი), უნივერსალური მომსახურებისა და დაშვების პოლიტიკა (ბრატისლავა, სლოვაკეთი, 2002 წლის მარტი) და ა. შ.⁴

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების ყოველწლიურ მსოფლიო სიმპოზიუმებზე განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიც არის: მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობა, დაფინანსება და ადამიანური რესურსების ნაკლებობის პრობლემა და მისი გადალახვის გზები, ეფექტიანი რეგულირება.⁵

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომლობა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD). ევროპის ქვეყნების დიდი გამოცდილების გათვალისწინებით, ევროკომისიამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სატელეკომუნიკაციო სფეროს მარეგულირებელ ორგანოს. 2000 წლის ივლისში დაიწყო „საქართველოს კავშირგაბმულობის სფეროში თანამედროვე მარეგულირებელი ბაზის ჩამოყალიბების რეგულირების განვითარების პროგრამა“. პროგრამა ითვალისწინებდა სატელეკომუნიკაციო, ეკონომიკურ და იურიდიულ სფეროში საექსპერტო დახმარებისა და შესაბამისი სემინარების ჩატარებას. საექსპერტო თემატიკა განისაზღვრა ხუთი ძირითადი თემით: ლიცენზირება, მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობა, ურთიერთჩართვა, სატარიფო პოლიტიკა და უნივერსალური მომსახურება. კომისიის წევრების თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის პროექტის ფარგლებში ჩატარდა სემინარი. მომხსენებლებმა წარმოადგინეს საცალო სატარიფო პოლიტიკის ურთიერთჩართვისა და უნივერსალური დაშვების ძირითადი ასპექტები და ჩარჩო-კონვენციები საქართველოსათვის. აღნიშნული საკითხები, აგრეთვე ინტენსიურად განიხილებოდა უცხოელ ექსპერტთა გუნდისა და კომისიის თანამშრომლების ხშირი შეხვედრების დროს.⁶

¹ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 18.12.12)

² www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.12.12)

³ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.12.12)

⁴ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 19.12.12)

⁵ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.12.12)

⁶ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.12.12)

რეგულირების ევროპული მოდელის, სამომავლო პერსპექტივებისა და პრობლემატიკის უკეთ გასაცნობად კომისიამ მონაწილეობა მიიღო სატელეკომუნიკაციო სფეროს რეგულირების პოლიტიკის მეორე ყოველწლიურ ევროპულ კონგრესში. (ბრიუსელი, ბელგია 2001 წლის 19–20 ნოემბერი). კონგრესზე განხილული იყო მარეგულირებელი ორგანოების საერთო ევროპული განვითარების პერსპექტივები, დღევანდელი პრობლემები სატარიფო სფეროში, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და მისი კონკურენტუნარიანობა, ევროკომისიის პოლიტიკის განხორციელება და ცენტრალურ–ადმოსავლეთ ევროპის ახალი საბაზო სტრუქტურა.¹

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომლობა ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტთან. კომისია ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის ასოცირებული წევრი 2001 წლის 20–21 ნოემბერს, ინსტიტუტის გენერალური ანსაბლეს სხდომაზე გახდა. ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის ოფიციალურ პასუხისმგებლობას წარმოადგენს სტანდარტიზაცია ევროპის ფარგლებში სატელეკომუნიკაციო, სამაუწყებლო და საფოსტო სფეროებში, აგრეთვე, საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითად ასპექტებში. ინსტიტუტი აერთიანებს 56 წევრ ქვეყანას, აქედან 36 ქვეყანა სრულუფლებიანი წევრია, ხოლო 20 ასოცირებული, ორგანიზაციას ჰყავს აგრეთვე 20 დამკვირვებელი. ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის სტანდარტები გამოიყენება როგორც ევროპის ქვეყნებში, ისე ევროპის ფარგლებს გარეთ.²

ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის, ვინაიდან აღნიშნული ინსტიტუტი ამკვიდრებს კომუნიკაციების სფეროში საყოველთაო სტანდარტებს. მოცემულ ინსტიტუტთან თანამშრომლობის შედეგად კომისიას საშუალება ექნება გაეცნოს საერთო–ევროპულ სტანდარტებს და მოახდინოს მისი დანერგვა საქართველოში.

ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის 44-ე გენერალური ანსაბლეს სხდომაზე კომისიამ ინსტიტუტს უფრო მჭიდრო თანამშრომლობა შესთავაზა. თანამშრომლობას უნდა მოეცვა კომისიის მხარდაჭერა რეგიონსა და დსთ–ის ქვეყნებში საერთო–ევროპული სტანდარტების დანერგვაში და, შესაბამისად, კომისიის მიერ ინსტიტუტსა და დსთ–ს ქვეყნებს შორის ე.წ. მაკავშირებლის როლის შესრულება.

ამ მიზნით 2012 წლის 2-5 მაისის კომისიაში ვიზიტით იმყოფებოდა ინსტიტუტის უფროსი ტექნიკური ოფიცერი, ბატონი ადრიან დავიდ სქრაისი. გაიმართა შეხვედრები როგორც კომისიასთან, ასევე ეკონომიკის განვითარების სამინისტროსთან და ამერიკის სავაჭრო პალატასთან. შეხვედრებისა და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად დაისახა კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის მომავალი მჭიდრო თანამშრომლობის გეგმები.³

აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა საქართველოს სატელეკომუნიკაციო სფეროში ევროსტანდარტების აღიარებისა და დანერგვის წინაპირობაა, რითაც ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სფეროს სრულფასოვანი წევრი გახდება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომლობა მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტთან (ICANN GAC). 2005 წლის 11 თებერვალს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტში (ICANN GAC) გაგზავნილ ოფიციალურ წერილში გამოხატული თხოვნის საფუძველზე საქართველო გახდა მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის მე-100 სამთავრობო წევრი.⁴

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ქვეყნის ინტერესებს ზემოაღნიშნულ კომიტეტში წარმოადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. ქვეყნის აკრედიტებულ წარმომადგენლად დასახელდა კომისიის თავმჯდომარე.⁵

აღნიშნულ კომიტეტთან ურთიერთობის შედეგად შესაძლებელი გახდება კომუნიკაციების მაღალი დონის სისტემის ჩამოყალიბება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დარგის განვითარებისა და რეგულირებისათვის, მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

¹ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.12.12)

² www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.12.12)

³ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 18.12.12)

⁴ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 18.12.12)

⁵ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 16.12.12)

მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის პასუხისმგებლობაში შედის ინტერნეტ-პროტოკოლის IP მისამართების განაწილება სივრცეში, პროტოკოლის იდენტიფიკატორის მინიჭება, საერთო და ქვეყნის კოდის, მაღალი დონის სისტემის მართვა და „რუთ სერვერის“ სისტემის მართვის ფუნქციაში.¹

სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტი 1998 წლის მიწურულს ჩამოყალიბდა და განვითარება 1999 წლის დასაწყისიდანვე დაიწყო. 1999 წლის კომიტეტში გაერთიანებული იყო 23 სამთავრობო წევრი. 2005 წელს კი საქართველოს გაწევრიანებით სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტი უკვე 100 სამთავრობო წევრს ითვლის.²

ჩემი აზრით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია იმედოვნებს, რომ მისი მუშაობა მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტთან ნაყოფიერი იქნება, რაც სარგებელს მოუტანს რეგულირების განვითარებასა და ჩვენს ქვეყანას.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები საქართველოში უნდა ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობის სტატუსს და არცერთ უწყებას არ უნდა მიეცეს ამ ორგანოების მუშაობაში ჩარევის უფლება, ხოლო რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობებს, კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, 1997.
2. საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, 2002.
3. ავტორთა კოლექტივი, შესავალი ენერგომენეჯმენტში, თბ., 2011.
4. გ. თავაძე, ი. ქავთარაძე, დ. ჩომახიძე, დ. მენაბდე, „ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა“, თბ., 2006.
5. <http://www.gnerc.org/>
6. <http://www.gncc.ge>
7. <http://www.menr.gov.ge/>
8. <http://www.erranet.org/>
9. <http://www.naruc.org/>
10. <http://www.worldenergy.org/default.asp>
11. <http://www.eia.gov/404r.cfm?v=http://www.eia.gov/emeu/international/georgia.htm>
12. <http://www.eurasianet.org/>
13. <http://www.ebrd.org/>
14. <http://www.caspenenergy.com/bbulmain02.html>
15. http://www.e-twinning.at/portal/page/portal/TW_HOME/Georgia

RELATIONS OF GEORGIA'S INDEPENDENT REGULATORY BODIES WITH THE INTERNATIONAL ORGANIZATIONS

Maka Salkhinashvili, Gori State Teaching University, Professor

RESUME

According to article 2 of the Law of Georgia “on Independent National Regulatory Bodies,” the following independent regulatory bodies operate in Georgia: the Georgian National Communications Commission (GNCC) and the Georgian National Energy and Water Regulatory Commission (GNERC).

Interaction with the international organizations is important for the regulatory commissions, because it drives improvements in the operation of the regulators, promotes their organizational development and helps with their institutional strengthening.

GNERC cooperates with a number of international institutions, including: National Association of Regulatory Utility Commissioners (NARUC), Energy Regulators Regional Association (ERRA), E-Control, USAID. Negotiations for cooperation are underway with more organizations, including the Energy Community.

GNCC is cooperating with the following international organizations: UNDP, European Telecommunications Standards Institute (ETSI), the Governmental Advisory Committee (GAC) of Internet Corporation for Assigned Names and Numbers (ICANN), International Telecommunications Union (ITU), USAID, EBRD, the World Bank. The article examines the forms of cooperation of the regulators with each of the above international organizations.

¹ www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 18.12.12)

² www.gncc.ge. საერთაშორისო თანამშრომლობა, (გადამოწმებულია 18.12.12)

მედია და სინტაქსური სტრუქტურების სპეციფიკა

მარია შერაზადიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

საზოგადოებაში მიმდინარე სოციოკულტურული ცვლილებები მჭიდროდ უკავშირდება ლექსიკურ ცვლილებებს და ენობრივი ნორმების ერთგვარ ტრანსფორმაციას იწვევს. ირღვევა ძველი ლექსიკური, სინტაქსური კავშირები და მათ ნაცვლად ახალი ყალიბდება. ამ პროცესს „ლექსიკური პარადიგმების ცვლა“ შეიძლება ვუწოდოთ.

თანამედროვე ლინგვოკულტურული სიტუაციისათვის დამახასიათებელია არანორმატიული ლექსიკა, არაფორმალური კოდების სიხშირე. მასმედიის ენაში ფართოდ ვრცელდება ანგლიციზმები, ამერიკანიზმები და მათი დერივატები (კონსენსუსი, სტაგნაცია, ბრაუზერი...). საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, ასევე ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული ტერმინების სიხშირეს ზოგჯერ ენის გაუგებრობამდე მივყავართ. ახლად შემოსული სიტყვები სამეტყველო ენის შემადგენელ ნაწილად იქცა. ამის შედეგად ქვეითდება მეტყველების კულტურა, რაც არ შეიძლება, ლინგვისტების შემფოთებას არ იწვევდეს.

მასობრივი კომუნიკაციის ენის შესწავლა ფილოლოგთა აქტუალური ამოცანაა. ფართო კონტექსტში საჭიროა გაანალიზდეს, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოებაში ენის ფუნქციონირებაზე სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები. დადგენილია, რომ ენის და საზოგადოების კავშირი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ეგუება ენობრივი სისტემა ენობრივ გარემოცვას. საზოგადოებრივი ცვლილებები თითქმის ყოველთვის იწვევს ცვლილებებს ენობრივ სისტემაში. ენის ლექსიკა, რომელიც, ერთი მხრივ, შედარებით მობილური და ცვლილებებისადმი მზადმყოფია, მეორე მხრივ კი მკაცრად სტრუქტურირებული, - ექსპლიციტურ ფორმაში ასახავს ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს.

აღნიშნავთ რა თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე გლობალურ ცვლილებებს, რობლებიც მჭიდროდ უკავშირდება სწრაფად განვითარებად მასობრივ კომუნიკაციებს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ეს ცვლილებები გავლენას ახდენს არა მხოლოდ ცხოვრების პირობებზე, არამედ, პირველ რიგში, ადამიანის აზროვნებაზე, მის მიერ სამყაროს აღქმასა და მეტყველებაზე.

მასმედია ცხოვრების ახალი სოციალური და კულტურული მოვლენების გამტარია, მისი საშუალებით ინერგება ენაში ახალი ცნებები, ახალი გრამატიკული ნორმები. მასმედიის ტექსტი - ეს ტექსტის განსაკუთრებული სახეობაა, „ტექსტის განზოგადებული სივრცის“, როგორც ენობრივი მატერიის, ერთგვარი გამოვლინება. მასმედიის ტექსტი - ეს უმადლესი დონის ენობრივი ერთეულია. როგორც ი. ლოტმანი აღნიშნავდა, „ტექსტი - ეს არსებული ინფორმაციის გადაცემაა, იგი იბადება სემიოსფეროში - კულტურული საზღვრების შემავსებელ სინქრონულ სემიოტურ სივრცეში“ [1; 32]. განსაკუთრებით საინტერესოა მასმედიის ტექსტის მოდელის ფორმირება. თანამედროვე პრესის ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე გამოყოფენ შემდეგ ტიპოლოგიურ ნიშნებს: სასათაურო კომპლექსების სემანტიკური სტრუქტურა, თემატური ბლოკების დასახელებათა სემანტიკურ-სტილისტიკური სტრუქტურა, ტექსტის სამეტყველო სტრუქტურა, ტექსტის სინტაქსური თავისებურებები [2;75].

დღევანდელი მასმედიის ენისათვის დამახასიათებელია:

1. სამეტყველო კომუნიკაციის სფეროების გაფართოება (პირველ რიგში, ესაა ინტერნეტი, სადაც დიალოგური ურთიერთობის და ტექსტის ახალი ფორმები ვითარდება);
2. ცალკეული სოციალური ჯგუფების სამეტყველო ნორმათა მრავალფეროვნება, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ენობრივი კომუნიკაციისათვის და ასახავს პოულობს მასმედიის ენობრივ სინამდვილეში;
3. პუბლიცისტური სტილის დემოკრატიზაცია და მასობრივი კომუნიკაციების ენის ნორმატიული საზღვრების გაფართოება;
4. ენის სფეროთა ექსპანსია: ხალხური მეტყველება, ჟარგონი, არგო, ვულგარიზმები, ანგლიციზმები, ამერიკანიზმები.

განსაკუთრებით გვინდა შევხვით ენაში ანგლიციზმების დამკვიდრების საკითხს. ანგლიციზმების ინტენსიური გამოყენება სრულიად ახალ ლინგვისტურ სიტუაციას ქმნის, როდესაც ერთი ინგლისური ტერმინის გამოყენებით ჩანაცვლებულია მთელი სინტაქსური კონსტრუქცია. მასმედიის ენაში, სარეკლამო და ახალი ამბების ტექსტში დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკლებ მოცულობაში მეტი ინფორმაციის ჩატევას, სწორედ ამიტომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ადგილი დაიმკვიდრეს ანგლიციზმებმა. უცხოურენოვანი სიტყვები თანდათან ასიმილირდებიან, ერგებიან ჩვენს ბგერით

Modern linguistic and cultural situation is characterized by substandard vocabulary, frequency of informal codes.

Modern media language is characterized by:

1. Expansion areas of speech communication (first of all, this is the Internet, where communication of dialog and texting are developing);
2. Variety of speech standards of certain social groups, which are common in modern linguistic media communication and which reflects linguistic reality;
3. publicistic-style democratization and expansion the boundaries of media communication normative language;
4. Expansion of language fields: vernacular, slang, Argo, vulgarisms, Anglicisms, Americanisms.

Anglicisms are divided into two basic groups:

1. Terminology (computer language, modern economy; finance: website, banner, browser, internet provider, Holding, web design, PR manager etc.);
2. "A tribute to fashion" 2. "A tribute to fashion" (presentation, rating, consensus, briefing, shop tour, a killer, Fashion week, casting, talk show etc.).

We can track a similar process in sports terminology (bowling, diving, skateboard, snowboarding etc.), politics (speaker, Inauguration, mayor, Vice mayor, press conferences, press release etc.), professional field (provider, realtor, brand, broker etc.).

Loaning happens neither spontaneously, nor instantly. This is a gradual, long process, during which the foreign structural element is acquiring morphemic properties of Georgian language and is establishing in the language.

Thus, less formal style of speech is preferred while transferring information in accelerated conditions, which, together with the dysfunction of syntactic structures, is also characterized by disordering of genre boundaries.

დელიქტიკური ვალდებულებანი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა)

ელგუჯა ჭანტურია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

წინამდებარე სტატიაში ჩვენ მოკრძალებით შევეხებით დელიქტურ ვალდებულებათა ზოგად საკითხებს, კერძოდ, ცნებას, კანონმდებლობას, დელიქტების სისტემას, დელიქტური ვალდებულების მნიშვნელობას შედარებით – სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით. შედარებითი მეთოდის გამოყენება “სასარგებლოა იმისთვის, რომ უკეთ ვიცოდეთ ჩვენი ეროვნული კანონმდებლობა და გავაუმჯობესოთ იგი” (რენე დავიდი, 2010).

დელიქტური ვალდებულებები, ანუ დელიქტები, წარმოადგენს ეგრეთ წოდებული არასახელმწიფო ვალდებულებების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახესხვაობას და ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ ვალდებულებებთან ერთად წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს.

დელიქტური (delictum) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სამართალდარღვევას. მიგვაჩნია, რომ ეს ტერმინი ზუსტად არ განსაზღვრავს მის თანამედროვე მნიშვნელობას. ტერმინი “სამართალდარღვევა” ფართო ცნებაა და იგი გულისხმობს ნებისმიერ სამართალდარღვევას (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის და ა.შ.), ამიტომ ეს ტერმინი სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების წარმოშობის აღსანიშნავად კორექტულად უნდა გამოვიყენოთ (ზურაბ ახვლედიანი, 1999).

ზოგჯერ ტერმინ “დელიქტის” ქვეშ გულისხმობენ, ზოგადად, უკანონო მოქმედებას, მაშინ, როდესაც უკანონო მოქმედება ნებისმიერი სამართალდარღვევა (, 1983). ზოგჯერ ტერმინები “დელიქტი” და “დანაშაული” სინონიმებადაა გააზრებული (ლევან თოთლაძე, გაგა გაბრიჩიძე და სხვ., 2012).

ჩვენი აზრით, უფრო მართებულია ტერმინი “სამოქალაქო – სამართლებრივი დელიქტი” (გივი ლობჯანიძე, 2000), ანუ “დელიქტური ვალდებულებანი”. პროფ. შალვა ჩიკვაშვილი ტერმინ “დელიქტს” ტერმინ “უნებართვო ქმედებასთან” აიგივებს, აქაც უზუსტობაა, ვინაიდან უნებართვო ქმედება შეიძლება იყოს, მაგალითად, უკანონო ნადირობა, რაც სამოქალაქო სამართლის ნორმებით არ არის მოწესრიგებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, 2001).

დელიქტური ვალდებულება ისტორიის თვალსაზრისით არის ვალდებულებათა უძველესი სახე და ვალდებულებითი ურთიერთობის ჩანასახიც კი, მაშინ, როდესაც ხელშეკრულება, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს ვალდებულებათა ძირითად სახეს, გაცილებით გვიან წარმოიშვა. ცალკეულ სისხლის სამართლებრივ (კოდიფიცირებულ) ნორმებს მაშინ ძველი სამართალი არ იცნობდა და ძირითად

რეაქციას სიცოცხლის, ჯანმრთელობის ხელყოფისათვის, პირადი წყენისა და ქონებრივი ზიანისათვის შურისძიება წარმოადგენდა. თანდათან, სახელმწიფოს ინსტიტუტის განვითარების (გამლიერების) პარალელურად, შურისძიება შეიცვალა ჯარიმით (“ვირათი”, “ვერგელდით”), რომელიც სამართლის განუვითარებლობის გამო საკუთარ თავში შეიცავდა როგორც ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ისე სისხლის სამართლებრივ სანქციას. მაგალითად, 12 ტაბულის კანონში ასოთდაზიანებისათვის შემორჩენილი იყო დასჯა პრინციპის “თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ” მიხედვით (ტალიონის პრინციპით პასუხისმგებლობა) (ვალერიან მეტრეველი, 2002).

თანდათან შურისძიების და ფიზიკური ანგარიშსწორების აკრძალვა გავრცელდა კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართულ ყველა სამართალდარღვევაზე და დელიქტური ვალდებულებები (*delicta privata*) გარდაიქმნა დამოუკიდებელ სამართლებრივ ინსტიტუტად. უკვე რომის სამართალში არსებობდა დელიქტების ისეთი სახეები, როგორცაა პიროვნების ხელყოფა (*iniuria*), ქურდობა (*furtum*) და ე.წ. აქვილის კანონის (*lex Aquilia*) დარღვევა. პიროვნების ხელყოფა გულისხმობდა მკვლელობას, სხეულის დაზიანებას, ღირსების უხეშ შელახვას და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის დარღვევას. ცნება “ქურდობა” თავიდან მხოლოდ ქურდობაზე ვრცელდებოდა, ხოლო მოგვიანებით – საკუთრების უფლების დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაზე.

აქვილის კანონი თავიდან გულისხმობდა ფულადი ჯარიმით მხოლოდ იმის დასჯას, ვინც განზრახ ან მართლსაწინააღმდეგოდ მოკლა სხვისი მონა ან შინაური ცხოველი. თუმცა, თანდათანობით ამ კანონის მოქმედება ვრცელდებოდა ასევე წინაგულზრახულ მკვლელობასა და ქონებრივ ზიანზე. ძველ ქართულ სამართალშიც იყო დადგენილი ჯარიმა ზოგიერთი დელიქტისათვის, რომლის ოდენობა მოსამართლის შეხედულებაზე არ იყო დამოკიდებული (გიორგი ნადარეიშვილი, 2001). სახელმწიფო და სამართლის განვითარებასთან ერთად მოხდა საბოლოო გამიჯვნა ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას როგორც სამოქალაქო – სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახესა და ჯარიმას როგორც სისხლის სამართლებრივ სანქციას შორის.

მე-18-მე-19 საუკუნეების კონტინენტური სამართლის სისტემაში საკანონმდებლო წესით გაფორმდა დელიქტური ვალდებულების ზოგადი ცნება (1824 წ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, 1794 წ. პრუსიის სამოქალაქო სამართლის ზოგადი სჯულდება, 1811 წლის ავსტრიის სამოქალაქო სამართლის ზოგადი სჯულდება და სხვა), რაც მნიშვნელოვანი მოდიფიკაციით აისახა შემდგომი პერიოდის სამოქალაქო კოდექსებში. მაგალითად, საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი იძლევა დელიქტური ვალდებულების ზოგად ცნებას შემდეგნაირად: “პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი”.

დღეისათვის დელიქტურ ვალდებულებათა სამართლებრივი რეგულირების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსები და სპეციალური კანონები. უმნიშვნელოვანეს როლს დელიქტის რეგულირებაში ასამართლო პრაქტიკა თამაშობს.

საფრანგეთში დელიქტური სამართალური თითობების რეგულირების ძირითად წყაროებად ითვლება 1804 წლის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი (წიგნი მესამე, მუხ. 1382-1386) და სპეციალური კანონები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია 1985 წლის 5 ივლისის კანონი #858-677 საგზაო მოძრაობის სფეროში უბედური შემთხვევების შესახებ და 1998 წლის 19 მაისის კანონი #98-389 უხარისხო პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის შესახებ (. . . , 2008).

უფრო სრულად და დაწვრილებით არის ასახული დელიქტების სამართლებრივი რეგულირების წყაროები შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის შესაბამის მუხლებში (მუხ. 41-163). არსებობს რიგი სპეციალური ფედერალური კანონებისა, რომელთა შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს სარკინიგზო ტრანსპორტის, გემების კომპანიის და ფოსტის სფეროში მეწარმეთა პასუხისმგებლობის შესახებ (1905 წლის 25 მარტი), 1983 წლის 18 მარტის კანონი ატომური ენერჯის ექსპლუატაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, 1948 წლის 21 დეკემბრის კანონი საჰაერო გადაზიდვების შესახებ, 1977 წლის 25 მარტის კანონი ფეთქებად საშიშ ნივთიერებების შესახებ, 1983 წლის 7 ოქტომბრის კანონი გარემოს დაცვის შესახებ და ბევრი სხვა. გარდა ამისა, დელიქტურ ურთიერთობათა მოგვარებაში დიდ როლს ასრულებს შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკა (. . . , 1983).

გერმანიაში ასეთ წყაროებად ითვლება 1896 წლის გერმანიის სამოქალაქო სჯულდება (წიგნი მეორე, მ. 3823-853), აგრეთვე, შვეიცარიაში გამოყენებული კანონების ანალოგიური სპეციალური კანონები (1952 წლის კანონი ავტოტრანსპორტის შესახებ, 1922 წლის კანონი საჰაერო ტრანსპორტის შესახებ, 1989 წლის კანონი პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და ა.შ.) (. . . , 2006).

საქართველოშიც გერმანიის მსგავსად მიღებულია ანალოგიური კანონები (ავთანდილ კობახიძე, 2001).

ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დელიქტური პასუხისმგებლობის რეგულირების ძირითადი წყარო – სამოსამართლო სამართალი (“Case law”) და კანონის სამართალი (“Statute law”) (ლადო ჭანტურია, 1997) და ჩვეულება (გია ლილუაშვილი, 1999).

სამართლის ინგლისურ-ამერიკულ სისტემაში დელიქტური პასუხისმგებლობის რეგულირების დახასიათებისას ორი მომენტის აღნიშვნაა საჭირო.

პირველი: აშშ-ის სასამართლოების მიერ ფართოდ გამოიყენება ინგლისური სასამართლო პრეცედენტები, როგორცაა, მაგალითად Rylands v. Fletcher-ის პრეცედენტი.

მეორე: გარდა სასამართლო პრეცედენტებისა, არსებობს ცალკეული კანონებიც, როგორცაა 1947 წელს ინგლისში მიღებული კანონი თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ და 1926 წლის აშშ-ის ფედერალური კანონი ანალოგიური დასახელებით (. . . , 2006).

ცივილისტები დელიქტურ ვალდებულებათა სამ სისტემას განასხვავებენ: გენერალურს, სინგულარულს და შერეულს. დელიქტის გენერალური სისტემა გულისხმობს სამოქალაქო სამართალ-დარღვევათა ნებისმიერი ფაქტობრივი შემადგენლობის მიმართ გამოყენებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ზოგადი ცნების არსებობას. ასეთი სისტემის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მუხ. 1382, რომელიც მიუთითებს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ზიანს აყენებს სხვა პირს. იმის გამო, რომ ასეთი მიდგომა პირველად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში იქნა ფორმულირებული, მოცემულ სისტემას, აგრეთვე, ფრანგულ სისტემას უწოდებენ.

დელიქტის სინგულარული სისტემა, გენერალურისაგან განსხვავებით, ადგენს სამოქალაქო სამართალდარღვევათა მთელ რიგ ცალკეულ დამოუკიდებელ ფაქტობრივ შემადგენლობებს, რომელთაგან თითოეულისათვის გასათვალისწინებელია კონკრეტული პასუხისმგებლობა. რამდენადაც დელიქტის მოცემული სისტემა აღმოცენდა ინგლისში და შემდგომში ფართოდ გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, მას ინგლისურ სისტემად მოიხსენიებენ.

დელიქტის შერეულ სისტემას ადგილი იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც კანონის იმ ნორმების პარალელურად, რომლებიც გულისხმობს დელიქტურ პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისათვის ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ან უმოქმედობის შედეგად, არსებობს ნორმები, რომლებიც არეგულირებენ დელიქტურ პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. დელიქტის ასეთი სისტემა მოქმედებს გერმანიაში, ნასესხებია შვეიცარიისა და ავსტრიის სამოქალაქო სამართლის მიერ და ამიტომ გერმანულ სისტემას უწოდებენ (.

. , 1997). ამ სისტემას იზიარებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დელიქტის სისტემებზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს გენერალური და სინგულარული სისტემების დელიქტის შერეულ სისტემასთან დაახლოების ტენდენცია.

ამ სისტემის თანახმად, უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულს შეუძლია მოთხოვოს მიყენებული ზარალის კომპენსაცია დამზღვევს, მიუხედავად ამ ზარალის კონკრეტული მიმყენებლის პასუხისმგებლობისა. ეს სისტემა გარკვეულწილად მრავალი ქვეყნის კანონმდებლობამ გაიზიარა (ტესარიონ ზოიძე, 1985).

მიგვაჩნია, რომ პრინციპი “სადაზღვევო გარანტიები ნაცვლად დელიქტური პასუხისმგებლობისა” უფრო მეტად შეესაბამება და წარმატებით გამოიყენება საგზაო – სატრანსპორტო სფეროში, სადაც ბევრი ხარვეზია დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხებში, მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლების და სასამართლოების მნიშვნელოვანი ძალისხმევისა ამ მიმართულებით.

ასეთი ხარვეზები განსაკუთრებით შესაძინებელია იქ, სადაც, მაგალითად, ინგლისში, ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია მისი ბრალეულობის დამტკიცების შესაძლებლობაზე.

გერმანიაში მოქმედებს მკაცრი პასუხისმგებლობის სისტემა, რომლის თანახმადაც ავტომობილის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი, რაც მოჰყვა, მაგალითად, მუხრუჭების მწყობრიდან გამოსვლას, რისი თავიდან აცილებაც შეუძლებელი იყო, ან სწრაფად მიმავალი მანქანის საბურავიდან ასხლეტილი ქვის მოხვედრას, ან საბურავის მოულოდნელად დაშვებას და სხვ.

თუმცა, თუ დაზარალებული მოითხოვს არამატერიალური ზარალის ანაზღაურებას, მაგალითად, მისთვის მიყენებული ტანჯვის შედეგად, იგი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხის ბრალეულობა. ბოლო დროს კრიტიკის ობიექტი ხდება დაზარალებულის სარჩელის მიხედვით ასანაზღაურებელი თანხის შემცირების პრინციპი, თუ მომხდარ უბედურ შემთხვევაში მისი ბრალიცაა (. . . a, 1987).

1985 წლიდან საფრანგეთში ავტომობილის მფლობელს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეუძლია მიუთითოს დაზარალებულთან ერთობლივ ბრალზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც არსებობს ხარვეზები, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ კომპენსაცია არ არის გათვალისწინებული, თუ ინციდენტში არ

მონაწილეობდა კიდევ ერთი ავტომობილი, მაგალითად, თუ დაზარალებული მძღოლი საკუთარი შეცდომის წყალობით ან უიმისოდ შეეჯახა ხეს.

გარდა ამისა, სასამართლოების ან დამზღვევების მიერ დელიქტური სამართლის ნორმების, როგორც ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემის მოწესრიგების ინსტრუმენტის გამოყენებას ხშირად მოჰყვება არა მარტო დროის ფლანგვა, არამედ დანახარჯებიც, რაც შეიძლება აღემატებოდეს დაზღვევის თანხასაც (ი.კ. ტოლსტოი).

რაც შეეხება უბედურ შემთხვევებს წარმოებაში, აქ, პირიქით, დაზღვევის 100 გირვანქა სტერლინგიდან 90 გირვანქას იღებს დაზარალებული. ეს სხვაობა, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ პასუხისმგებლობის დადგენისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია, დადგინდეს ბრალეულობის არსებობა, ბრალის შერეული ფორმა, დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი და პირადი ზარალის მოცულობა და ა.შ. ყველა ეს საკითხი ხშირად იწვევს დავას და მათი გადაწყვეტა მოითხოვს ადვოკატების მონაწილეობას (ელგუჯა ჭანტურია).

დელიქტური პასუხისმგებლობის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის სისტემით შეცვლის პირობებში გაადვილდება იმ კრიტერიუმების დადგენა, რომელთა საფუძველზეც დამზღვევი უხდის კომპენსაციას დაზარალებულს და, რაც მთავარია, აღარ არის საჭირო პრობლემის გადასაწყვეტად ბრალეულობის დადგენა, მსგავსად იმისა, როგორც ამას ადგილი აქვს წარმოებაში უბედური შემთხვევისაგან დაზღვევისას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღწევა არის შესაძლებელი დაზღვევიდან ქონებრივი ზარალის გამორიცხვით, პირადი ზარალის ანაზღაურებით ფიქსირებული განაკვეთის საფუძველზე და სავალდებულო დაზღვევის შემოღებით.

ამერიკის ბევრ შტატში შემოღებულია ავტომობილის მფლობელთა სავალდებულო დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან, თუმცა სხვადასხვა ზომით, რაც კანონითაა განსაზღვრული. აშშ ზოგიერთ შტატში დელიქტური პასუხისმგებლობა სრული მოცულობით არის შენარჩუნებული იმ შემთხვევისათვის, როდესაც კომპენსაცია უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული პირისათვის აღემატება განსაზღვრულ თანხას ან მისთვის მიყენებული ზიანის შეფასება ფულადი გამოხატულებით გამწვანებულია, მაგალითად, ადამიანის დაღუპვის ან მის მიერ შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში.

გერმანიასა და საფრანგეთში აქტიურად ინერგება უბედური შემთხვევებისაგან დაცვის სისტემა, საფრანგეთში ეს სისტემა ნაწილობრივ რეალიზებული იქნა 1985 წლის 5 ივლისის კანონში. 1987 წელს ინგლისში წამოაყენეს წინადადება, რომ სახელმწიფოს აეღო საკუთარ თავზე ვალდებულება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გადახდასთან დაკავშირებით, მსგავსად იმისა, როგორც ეს კეთდება წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევაში.

ამ სისტემის დაფინანსება უნდა განხორციელდებოდეს იმ სახსრებიდან, რომელთა მიღებას ვარაუდობენ ნედლეულზე გადასახადის უმნიშვნელო გადინებით. ანალოგიური გეგმები იქნა შემუშავებული ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების სხვა შემთხვევებთან დაკავშირებით. ნაწილობრივ ეს გეგმები უკვე რეალიზებულია, მაგალითად, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით (Г. Р. Колоколов, Н. И. Махонько, 2012). თუმცა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზღვევის სისტემის შექმნა პრობლემის მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრად შეიძლება ჩაითვალოს.

ლიტერატურა:

1. რენე დავიდი. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ.: “ბონა კაუზა”, 2010, გვ. 10.
2. ზურაბ ახვლედიანი ვალდებულებითი სამართალი. თბ., „სამართალი“, 1999. გვ. 258.
3. „...“ , 1983, გვ. 133
4. ლევან თოთლაძე, გაგა გაბრიჩიძე და სხვ., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., BW-V, 2012, გვ. 145.
5. გივი ლობჯანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, პრობლემები, საგამომც. ცენტრი „ქუთაისი“, 2000, გვ. 434
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეოთხე. ტ. II, თბ., „სამართალი“, 2001, გვ. 379.
7. ვალერიან მეტრეველი. რომის სამართალი (საფუძველები), თბ., „მერიდიანი“, 2002, გვ. 101
8. გიორგი ნადარეიშვილი. რომის სამოქალაქო სამართალი. თბ., „ბონა კაუზა“, 2001, გვ. 128, 129.
9. „...“ , 2008, გვ. 15, 16

10. T. I,, 1983, გვ. 62, 63
11., 2006, გვ. 131, 132.
12. ავთანდილ კობახიძე. სამოქალაქო სამართალი. I, ზოგადი ნაწილი, თბ., „საქართვე. მაცნე“, 2001, გვ. 54-56.
13. ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ., „სამართალი“, 1997, გვ. 87
14. გია ლილუაშვილი, სავაჭრო ხელშეკრულებების განმარტების წესების მნიშვნელობა ქართულ და ამერიკულ სამართალში, ჟურნ. „სამართლის აქტუალური საკითხები“. სახელმწიფო უნ-ის გამომცემლობა, 1 დეკემბერი, 1999, გვ. 18-23.
15. II,, 2006, გვ. 321, 322.
16. 2.“, 1997, გვ. 714.
17. იბ.: ბესარიონ ზოიძე. ავტომობილის მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხისათვის. – ჟურნ. „საბჭ. სამართალი“. 1985, #4. გვ. 23-30; საქართველომ 1997 წ. 2 მაისს მიიღო შესაბამისი კანონი (იბ.: დაზღვევის სამართალი, ნორმატიული აქტების კრებული, თბ., „ბონა კაუზა“, 2006, გვ. 32-41).
18. a, 11., 1987, 2, გვ. 68-74.
19. ელგუჯა ჭანტურია. დაზღვევის ხელშეკრულების იურიდიული ბუნება ინგლისურ-ამერიკულ სამართალში. – სუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე აქტუალური სამეცნიერო საკითხები, სამეცნიერო შრომათა კრებული“, გორი: „უნივერსალი“, გვ. 387-389.
20. “”, 2012, გვ. 165-175.

DELICT OBLIGATIONS (COMPREHENSIVE LAW INVESTIGATION)

Elguja Chanturia, Gori State Teaching University, Associate Professor

RESUME

In the article there are discussed delict obligations common tasks: essence, legislation, delicts system, delict obligations and ensuring institution meaning toward injury compensation by delict.

ფ ი ლ ო ლ ო გ ი ა

Philology

ON TWO DIFFERENT FIGURES OF SPEECH – METAPHOR AND SIMILE

Maia Aghaia, Sokhumi State University, Assistant Professor

E-mail: mayaaghaia@yahoo.com

Our present paper focuses on differences and distinctions that exist between two different figures of speech: metaphor and simile. It is reasonable to say that metaphor and simile are two major rhetorical devices that make our speech beautiful and colorful. The uses of figures of speech help unify ideas for the speeches.

As we all know language is the most important tool of human communication. Language reveals our mental, cultural and behavioral phenomena. Language serves as an effective tool in persuading and influencing the audience. According to Leech (1978:47-50), as a tool for communication, language has five functions. First, language has the informative function to convey information to people through words, expressions or gestures. It also has the expressive function to express human feelings, attitudes, etc. The directive function of language enables us to influence the behavior or attitudes of others, such as commands and requests. The aesthetic function is used for the sake of linguistic artifact itself. Last but not least, language has the phonic function to keep social relationships in good repair. All the different kinds of functions of language are highly effective in communication. Friedrich Nietzsche asserts that language is figurative and rhetorical. Using simile, metaphor, personification or other rhetorical devices will make the communication impressive. In order to make the information accessible to audience, the choice of words in communication is very cautious and skillful. Language is always developing with the passage of time.

Today, English reigns in culture, business, diplomacy, communication, science, and the Internet. It is one of the six official languages of the United Nations. When we seek to convince, persuade or otherwise change other people's minds, the language we use is extremely important. Each word is a little packet of meaning from which the other person infers understanding. It gets even more complex when words combine in the semantics of entire sentences. Language provides a wealth of stock images and formulaic expressions to speakers who wish to describe a topic in figurative terms. Figures of speech (or 'rhetorical tropes') are ways of using words that may seem unusual but have a specific and desired effect. Read as 'normal words' they often break normal rules of grammar, but can be nevertheless understood. A figurative meaning is far more interesting – it's imaginative. It conveys not just the facts but an idea. It encourages us to use our imaginations. The figures of speech often give emphasis, freshness of expression, or clarity. It's a well-known fact that figurative language is a language that should not be taken literally. It is used as a way of saying something other than the ordinary way. Figurative language has been widely examined by linguist in the study of literature in recent years. It is because figurative language has the essence of style and beauty. Figurative language is one of the features that gives literature its distinctiveness in the form of the "suggestion or indirection, and imagination or invention" that characterize its method of expression (Egudu 1979: 3). It also constitutes a great part of the "intellectual pleasure" that literature affords us (Egudu 1979: 70). Figurative language often provides a more effective means of saying what we mean than direct statement. In the specific sense, figurative language may take the form of figures of speech. Figurative language is widely used in any form of communication such as in daily conversations, articles in newspaper, advertisements, novels, poems, etc. They are common in poetry, prose, non-fictional writing, and eloquent speech as well. Books, movies, media, and TV shows are full of figurative language – and so is everyday speech. People use the figurative language to give a touch in their speech. Through figurative language we convey our meaning in a more vivid and impressive manner than when we use them in their every-day sense. Figures make speech more effective, they beautify and emphasize it. They add energy and force to expression so that it compels attention and interest. They make our language more persuasive. They convey an effect on listener or reader.

Perrine (1982) stated the effectiveness of figurative language in four main reasons. First, figurative language affords the reader's imaginative pleasure of literary works. Second, it is a way of bringing additional imagery into verse, of making the abstract concrete, of making literary works more sensuous. The third, figurative is a way of adding emotional intensity to otherwise merely informative statements and conveying attitudes along with information. And the last, it is a way of saying much in brief compass. She argued that figures of speech cannot be taken literally only and that they serve function of giving extended meanings to words, phrases or sentences from their literal expressions. She also claimed that figures of speech can be more effective means of saying what we mean rather than direct statements. McArthur (1992: 402) explained that figurative language is the language in which figures of speech such as metaphors freely occur. He also states that figures of speech are a rhetorical device using words in distinctive ways to achieve a special effect.

There's no doubt that rhetorical devices serve as a tool to give beauty, variety and power to the language in which we intend to state. To achieve vividness and humor and to appeal to more readers, various rhetorical devices are employed in communication. Some of the most commonly used rhetorical devices we are going to discuss in our paper are the following: Similes and Metaphors. They are the two most common types of figurative language. They both take something concrete and compare it to something abstract to create a deeper, more imaginative meaning. Both are used to compare unlike items that normally do not go together.

One of the most important functions of a work of literature is to tell a story and create a world that the reader can accept as real or plausible. Imagery in literature is a collection of techniques that appeal to the senses and bring a lifelike quality to characters or settings in a written work, aiding the reader's imagination. There are two main types of language used in literature: descriptive and figurative; descriptive language appeals directly to the senses, whereas figurative language uses more subtle descriptions and often invokes other meanings or themes of a work. Both types of language are used to create imagery in literature. Simile and metaphor are other common techniques used to convey figurative imagery in literature. There are many theories on metaphors. Newmark (1981: 84–85) describes metaphors as a way for the author to deliberately improve descriptions, making them, e.g., more accurate or comprehensive.

According to McArthur metaphor is a figure of speech which concisely compares two things by saying that the one is the other (McArthur, 1996:653). For example: My lover is a treasure. My home is heaven. Business is a game. Metaphor is used to compare things that essentially unlike. Such uses are intended to say something more vividly and forcefully. A metaphor is the expression of an understanding of one concept in terms of another concept, where there is similarity or correlation between the two. Metaphor is a key way in which writers express their style, build their themes

and create emotive effect. According to Larson (1998: 279) metaphor consists of three elements: **topic**, which is the thing being compared, **image**, which is the best thing that the topic is compared to, and **point of similarity**, that is, the same characteristic that topic and image share. Newmark (1958:292) states there are three functions of metaphor, namely: 1. It is used to describe entities (objects or person), events, qualities, concepts or states of mind more comprehensively, concisely, vividly, and in a more complex way, than using literal language. 2. It is sometimes used to please aesthetically, to entertain, to amuse, often to draw attention to a technical and “physical” subject; 3. It is also used to indicate a resemblance between two more or less disparate objects

According to Lakoff and Johnson, the concepts that govern the way we think, what we perceive, how we navigate in the world, and how to relate to other people are largely metaphorical. When a concept is metaphorical, it is a part of how we structure everyday activities. When we speak of love, for instance, we use the conceptual metaphor **LOVE IS A JOURNEY** based on the conceptual metaphor

LIFE IS A JOURNEY. In the **LIFE IS A JOURNEY** metaphorical scenario, goals in life are destinations on the journey, and one’s actions form a path one moves along. Choosing a means to achieve a goal is choosing a path to a destination. In the **LOVE IS A JOURNEY** metaphorical scenario, the lovers are travelers on a journey together, and their common life goals are seen as destinations to be reached. Their relationship is the vehicle which will get them there. The journey is not easy, there are impediments, and there are places e.g. crossroads where decisions have to be made concerning which way to go, and whether to keep traveling together. [Lakoff, George and Johnson, Mark 1980: 44]

According to Jørgensen, metaphors bring out characteristics, which could not be seen before. This is because the word which is put in a new context, in which it does not naturally belong, selects and emphasizes certain characteristics which you were not aware of before (2003:150). Jørgensen states that, metaphors have another important function: They clarify concepts and make things visible by speaking to our senses. We need to see, hear and sense things in order to understand them. This is why a good metaphor borrows its material from one of the fields of the five senses e.g. the black veil of the night. The metaphors which speak to the eyes seem very vivid and strong, because they place items in front of the eye of the soul so to speak (2003: 150-151). It is important to emphasize that metaphors in the classical tradition are seen as ornaments of language, which can be replaced by literal language. This is not possible in the conceptual metaphor theory, as the given linguistic metaphor is seen as the best choice to express exactly that which you intend to express (Lakoff and Johnson, 1980:5).

Metaphoric language reflects the output of a cognitive process by which we understand one domain with cognitive models from another. For example, one way that metaphoric thought might affect language would be by playing a role in the historical evolution of what words and expressions mean. A somewhat stronger connection between language and thought can be found in the claim that metaphoric thought motivates synchronic word meanings, or meanings understood by current speakers. Metaphoric thought motivates speakers’ use and understanding of word meanings.

Example: She flew past me on her bike. If one says that someone ‘flies past’ on a bicycle or in a car, they are not really flying through the air, but the speed of their movement reminds one of a plane or a bird. This is a normal part of the way word meanings develop, and when a word has several different meanings, some of those meanings are usually metaphorical.

Simile is a figure of speech, in which a more or less fanciful or unrealistic comparison is made, using like or as (McArthur, 1996:935). For example: Rumors of his death spread like wildfire (to become known to more and more people very quickly). She is like a fish out of water. She is uneasy in an unfamiliar situation. You’re not going to go storming in there like a bull in a china shop, aren’t you? A person who is clumsy, careless or move in a very awkward way. Marvin runs like water. This does not mean that poor Marvin runs exactly like a water bird. We’re using figurative language – in this case a figure of speech called a simile. By comparing the way Marvin runs to the way a duck runs, we’re suggesting that Marvin waddles and that he is awkward. If we wanted to be literal, we would say, “Marvin is awkward and he waddles when he runs. Marvin runs like a duck is more colorful and interesting. Some other simile examples:

As blind as a bat - An exaggeration used to show someone who is unable to see clearly.

Eats like a bird - Comparing eating habits to that of a bird who supposedly eats very little.

As pure as snow - Comparing a person’s character to fresh snow (white and pure).

As strong as an ox - Someone having great strength.

Similes in everyday speech reflect simple comparisons. Similes in literature may be specific and direct or more lengthy and complex. They have always existed as instruments to bring the incomprehensible into the familiar. They, of course, fulfill the same function today. They give a story its flavoring. They provide a background that enhances the mood. They describe emotions and feeling that lie beyond the boundaries of language. They create a unique ambience. Similes may be used to highlight themes in a narrative, to add ironic shading, to inject humor, or to heighten the dramatic tension of a climactic scene. Simile seems like a simple figure, a minor variation. Unlike metaphor, simile is essentially a figure of speech—in fact, an explicit form of comparison; but unlike literal comparison, simile is essentially figurative, making unexpected connections between literally unlike concepts.

As for differences between metaphor and simile it’s quite reasonable to remark that a simile is a figure of speech which makes a comparison between two unlike elements having at least one quality or characteristic in common. A metaphor, like a simile, also makes a comparison between two unlike elements, but unlike a simile, this comparison is implied rather than stated. A metaphor is in a sense a condensed simile, differing from the latter only in form and

artistry. It is a higher form and requires greater ability on the part of the reader to perceive the hidden association, the insight into persons, things or ideas that is implied. As a figure of comparison, similes serve the basic rhetorical functions of description and evaluation. Basically, a simile is just a way of describing a target by asserting its similarity to some unexpected entity.

One of the most striking differences between these figures is explicitness: while metaphors need not be overtly marked, similes, by their very nature, must be. Simile is fundamentally a figure of speech requiring overt reference to source and target entities, and an explicit construction connecting them. Metaphor, on the other hand, is ultimately a figure of thought.

Metaphors, in other words, create similarities rather than reflecting them. Similes, on the other hand, really are a kind of comparison. Unlike metaphors, they require individuation of both source and target concepts, and an evaluation of what they have in common, but unlike literal comparisons, they are figurative—comparing things normally felt to be incomparable, typically using vivid or startling images to suggest unexpected connections between source and target.

REFERENCES:

1. Leech, Geoffrey. 1978. *Semantics[M]*. London: Penguin.
2. Egudu, R.N. (1979): *The Study of Poetry*, Ibadan, Ibadan University Press.
3. Perrine, L. 1982. *Sound and Sense. An Introduction to Poetry* . Sixth Addition. USA: Harcourt Brace Jovanovich.
4. McArthur, Tom (ed). 1992. *The Oxford Companion to the English Language*. New York: Oxford University Press.
5. Newmark, Peter. 1981. *Approaches to translation*. Pergamon Press Ltd., Oxford\
6. McArthur, Tom (ed). 1996. *The Oxford Companion to the English Language*. New York: Oxford University Press
7. Larson. M.L. 1998. *Meaning-based Translation*. Lanham: University Press of America Inc.
8. Newmark, Peter. 1998. *Text book of Translation* Oxford: Pergamon Press
9. Lakoff, George and Johnson, Mark (1980). *Metaphors We Live By*. Afterword (2003). Chicago and London: The University of Chicago Press.
10. Jørgensen, Katrine Ravn (2003). *Retorik - Indføring I fagets grundbegreber 2*. Udgave. Frederiksberg: Samfundslitteratur.

SUMMARY

Language is the most important tool of human communication. Language reveals our mental, cultural and behavioral phenomena. Using simile, metaphor, personification or other rhetorical devices will make the communication impressive. Language provides a wealth of stock images and formulaic expressions to speakers who wish to describe a topic in figurative terms. The figures of speech often give emphasis, freshness of expression, or clarity. Through figurative language we convey our meaning in a more vivid and impressive manner than when we use them in their every-day sense. Figures make speech more effective, they beautify and emphasize it. They make our language more persuasive. They convey an effect on listener or reader.

Similes and metaphors are the two most common types of figurative language. They both take something concrete and compare it to something abstract to create a deeper, more imaginative meaning. Both are used to compare unlike items that normally do not go together.

One of the most striking differences between these figures is explicitness: while metaphors need not be overtly marked, similes, by their very nature, must be. Simile is fundamentally a figure of speech requiring overt reference to source and target entities, and an explicit construction connecting them. Metaphor, on the other hand, is ultimately a figure of thought. Metaphors, in other words, create similarities rather than reflecting them. Similes, on the other hand, really are a kind of comparison. Unlike metaphors, they require individuation of both source and target concepts, and an evaluation of what they have in common, but unlike literal comparisons, they are figurative — comparing things normally felt to be incomparable, typically using vivid or startling images to suggest unexpected connections between source and target.

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების წარმოებისათვის ზანურში

ვიანორ ახალაია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ჭანურ-მეგრული საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზანურის სახელწოდებით არის დამკვიდრებული, დღეს მას კოლხურსაც უწოდებენ. ჭანური (ლაზური) და მეგრული ერთი ენის ზანურის (კოლხურის) დიალექტადაა მიჩნეული. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზებსა და მეგრელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით ასე იყო I-II საუკუნეებში. შემდეგ ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანი შიგ შუაგულში შეიჭრა და მეგრელები და ჭანები ერთი-ერთმანეთს დააშორა. ბუნებრივია მათი ენობრივი ურთიერთქმედება შეწყდა და განვითარება დამოუკიდებელი გზებით წარიმართა (ვ. ახალაია, 2012, გვ.14)

დიდი იყო ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული გავლენა ჭანურზე, განსაკუთრებით, ტრაპიზონისა და რიზე-ათენის რეგიონში მცხოვრებ ჭანთა მეტყველებაზე. ვიწე-არქაბ-ხოფის რეგიონი თავისი მჭიდრო კონტაქტის გამო ქართულენოვან სამყაროსთან ამ გავლენას ნაკლებად განიცდიდა, 1453 წელს თურქ-ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, რასაც მოჰყვა გარდატეხა წინა აზიის ხალხთა პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ჭანურის ერთი ნაწილი კონტინენტალურ საბერძნეთში გადასახლდა და მათი ენა ბერძნულმა შთანთქა, ლაზების ძირითადმა ნაწილმა, რომელიც მშობლიურ მიწა-წყალზე დარჩა, შეინარჩუნა მთლიანობა და ენა, მაგრამ გართულდა კომუნიკაცია ლაზურსა და მეგრულს შორის. ადრე მათ შორის სხვაობა ისე მცირე იყო, რომ გაგებინების პრობლემა არასოდეს არ დამდგარა. უკიდურესად შესუსტდა ურთიერთობა ქართულენოვან სამყაროსთან, ჭანები თურქულენოვან გარემოცვაში აღმოჩნდნენ.

მიუხედავად ამისა, ქართულ-ზანურ ენა-კილოთა ურთიერთგავლენის პროცესი არასოდეს შენელებულა. ამას განაპირობებდა ქართველ ტომთა როგორც ტერიტორიული ახლოობა და კულტურულ-ეკონომიკური მჭიდრო კავშირი, ისე ქართველური ენობრივი სამყაროს ერთიანობა და ეროვნული კონსოლიდაციის ხანგრძლივი ისტორიული გზა. აქვე მინდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ლინგვისტურ ნორმათა ერთობა აერთიანებს მეგრულსა და ჭანურს, ამიტომ არიან ისინი ერთი ენის დიალექტები.

თანამედროვე ჭანურს ახასიათებს ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია. ამაზე მიუთითებდა არნ. ჩიქობავა და სრულიად სამართლიანად აყენებდა საკითხს ყოველი ჭანური სოფლის მეტყველების საგანგებოდ შესწავლის აუცილებლობის შესახებ (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 9)

ჭანურში ძირითადად ოთხი კილოკავი გამოიყოფა: ხოფური, ვიწური, არქაბული, ათინური. ამის მიუხედავად, მკვეთრი საზღვრის დადგენა ამ კილოკავებს შორის ჭირს (ნ. ქუთელია, 2005, გვ.9); მთელი რიგი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ტენდენციები ერთად ახდენს ინტეგრაციას იმ მთელის გარშემო, რომელსაც ჰქვია ჭანური (ლაზური), ხოლო მეგრულთან ერთად ზანური (კოლხური).

ჩვენ შეძლებისდაგვარად წარმოგიდგენთ მათი სიახლოვისა და ერთგვარი დაშორების ერთ კონკრეტულ შემთხვევას, კერძოდ, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების გადმოცემას ზანურში.

არნ. ჩიქობავა წერს, ჭანურში „რადგანაც“ კავშირის მაგივრობას შენი ეწევა“ (ჩიქობავა, 1936, გვ. 186). იქვეა სათანადო საილუსტრაციო მასალა:

ამმა მცეკა ექსიდი-ნა ტუ-შენი, ვიტოხუთ ფარა ნუტკოჩუ (ჩიქ., I, 1830) „მაგრამ რადგან ცოტა აკლდა, ამიტომ თხუთმეტი ფული მიუგდო“¹.

ბერე კითხერი-ნა ტუ-შენი, ძურუნჯის ვარ მალერდინუ (ჩიქ. I, 197) „რადგანაც ბავშვი ნასწავლი იყო, მეფურნემ ვერ მოატყუა“.

ამ რიგის ნიმუშებში ნა „რომ“ კავშირი-ნაწილაკია, რომლის ფუნქცია დაჩრდილულია შენი კავშირის მნიშვნელობის მქონე ელემენტის დართვით; ზოგჯერ კი პირუკუა შენი-ს ფუნქციაა დაჩრდილული. მაგ., ზემოთ მოყვანილი ბოლო წინადადება ნაწყვეტია შემდეგი სრული წინადადებისა (ჩიქობავა, 1938, გვ. 360):

ბერე კითხეი ვა რტუ-კონ-ნა, მოლორდას -უნტუ, ჰამმა ბერე ჰკითხერი-ნა ტუ-შენი, ძურუნჯის ვარ მალერდინუ (ჩიქ., I, 1968) „ბავშვი რომ ნასწავლი არ ყოფილიყო, მოტყუვდებოდა, მაგრამ იმიტომ, რომ ბავშვი ნასწავლი იყო, მეფურნემ ვერ მოატყუა“.

¹ საილუსტრაციო მასალა მოგვყავს წიგნიდან: ვ. ახალაია, ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები 2004

აქ „მაგრამ იმიტომ, რომ ბავშვი ნასწავლი იყო“ ზუსტად ასე გადმოიცემოდა: „მაგრამ ¹ რადგანაც რომ (-შენი, „რადგანაც“, -ნა „რომ“) ბავშვი ნასწავლი იყო“.

- შენი „რადგანაც“, როცა ზმნურ ფორმებს დაერთვის, ჩვენი მაგალითების მიხედვით, მასთან ერთად სხვა კავშირ-ნაწილაკებიცაა:

-ნა - -შენი

ობორჯას ბაშკა ბერე-ნა ვა უყოუნტუ-შენი, ემუშ ჟინ თირთინტუ, ... (ჩიქ., I, 77²¹⁻²²), „რადგანაც (ზედმ. „რადგანაც რომ“) ქალს სხვა ბავშვი არ ჰყავდა, მას ზედ დაჰკანკალებდა“.

დიდო ნა აშქუინეტუ-შენი, ავჯი მუსტაფა იხოიშენ გალე ვა გამალეტუ (კარტ., II, 35³⁷⁻³⁸) „რადგანაც (ზედმ. „რადგანაც რომ“) ძალზე ეშინოდა, მონადირე მუსტაფა სახლიდან გარეთ არ გამოდიოდა“.

მზოლა დიდი-ნა რენ-შენი, მატორი (!) გალე ვა გააღენ... (ჩიქ., I, 146¹¹⁻¹²) „ზღვა რადგანაც ღელავს (ზედმ. „ზღვა რადგანაც რომ დიდა“) ნავი ნაპირზე ვერ გამოვა“.

მეჭკირუმი ვახთის მუქ-ნა ვა იძირუ-შენი, მჩხუი ვა ისალუ (ჩიქ., I, 21-2) „მოჭრის (ზედმ. „დაკვლის“) დროს, რადგანაც თვითონ რომ არ იყო, ცხვარი არ გაცოცხლდა“.

რაკი „-ნა და -ის/-სი ნაწილაკების გარდა, ყველა სხვა ნაწილაკი სახელებსაც დაერთვის ბრუნვის ნიშნად და თანდებულად“ (ჩიქობავა, 1936, გვ. 186), ნაწილაკებს, რომლებიც ბრუნვის ნიშნად თუ თანდებულად გვხვდებიან ჭანურში, განეკუთვნება -მა, -შენი, -შაქის. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სამი უკანასკნელი „მეგრულ ზმნას არ დაერთვის“ (ჩიქობავა, 1936, გვ. 186).

-შენი „რადგანაც“, „რადგან“ კავშირის ნაცვლად მეგრულში დასტურდება ქართულიდან შემოსული რადგან კავშირის ფონეტიკური ვარიანტები რადგანანს//რადგანს//რადგანანც//რადგანც//რადგან//რადგანც//რახანც//რახანგ//რახან//რადან... ყველა ეს კავშირები იხმარება მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში (ნ. აბესაძე, 1965, გვ. 250).

ასეთი დამოკიდებული წინადადების ადგილი შეიძლება იყოს:

ა) კავშირი თავშია, უსწრებს მთავარს

რახანცე ჩაისმენი რდგ, დიდი დინდარი ხენწგენი, ფირქენდგ (მეგრ., I, 48) „რადგან ცაისმენი იყო ძალიან მდიდარი ხელმწიფე, ფიქრობდა“.

რადგანანც ჩქიმი სქულაღე თქვანწკმა ცოფენია, მა ირფელს ქიგეჩიებუქუ (საკ. ჩან.) „რადგან ჩემი შვილები თქვენთან ყოფილა, მე ყველაფერს მოგიყვებით“.

რახანგ თე ბოშის დიდაში მუთა წინსგენი, მიდეეჟონი დო... ზღვას გიოჟოთი (ყიფშ., I, 47⁸) „რადგან ამ ბიჭს დედის არაფერი სწამს (სჯერა), წაიყვანე და... ზღვაში გადააგდე“.

რადგანგ ბოშის მუთუნქ ვაგაგინგ, ვაგაჩენდგ (ზუბ., 96⁴) „რადგან ბიჭმა ვერაფერი გაიგო, არ გაჩერდა“.

ბ) კავშირი მოსდევს მთავარს

ტყაშა ვემშერთუ, რადგანს დიდი მანგარი ტყა ორდუნი (ყიფშ., I, 47⁸) „ტყეში შესვლა ვერ მოხერხდა, რადგან დიდი მაგარი ტყე იყო“.

ამდლარი დლა მიპატიებუნია, რადგან თენერი მიიხერხიე (ყიფშ., I, 39¹) „დღევანდელი დღე მიპატიებია, რადგან ასეთი რამ მოახერხე“.

ევერ ჟანს ქემ-რთე თე ცირაქ თაქ, მარა ე ბოშიქ დიახტე ვეჩინ, რადგანანს გაჭყორდენი (მეგრ., I, 194) „ასეთ ჟამს მოვიდა ეს ქალიშვილი აქ, მაგრამ ამ ბიჭმა დიახტე ვერ იცნო, რადგან დაავიწყდა“.

ძლაბი დო ბოშიქ იცხოვრეს გემუანო ბრელ ხანს, რადგანს კოჩი მითენი ვაწუხენდუნი (საკ. ჩან.) „გოგომ და ბიჭმა იცხოვრეს ტკბილად დიდხანს, რადგანაც არავინ აწუხებდათ“.

გ) კავშირი მთავარი წინადადების წევრებს შუა

გამეთხუ ჩირსგ, რადგან სიცოცხლეს ვეელიდენი, დო გიიმილუ (მეგრ., I, 24) „გამოეთხოვა ცოლს, რადგან გადარჩენას („სიცოცხლეს“) არ ელოდა, და გავიდა“.

ე ხანი დო ანბეე შქას გიშეელგ წანამოქანაქე დო, რახან ვაძირესგ დორთელი - დიდა - მუმაქ მუშ გერიანი, ქიგიაყუნესგ... (მეგრ., I, 24) „იმ ხნიდან, რაც ეს ამბავი მოხდა, (ზედ., „ამ ხანსა და ამბავს შორის“), გავიდა ერთი წელიწადი და, რადგან ვერ ნახეს მშობლებმა დაბრუნებული თავისი გერია, გაუდგინენ - გზას“ (ზედმ. „კვალს მიყვნენ“).

დედიბი დო ბადიდი, რადგანაც უსქე რდესგ, მურდუნა თე ბაღანეფი მუნენს (საკ. ჩან.) „დედაბერსა და ბერ-კაცსა (ზედ. „დედა-კაცი და ბერ-კაცი), რადგანაც უშვილონი იყვნენ, გაუზრდიათ ეს ბავშვი მათ“.

ი. ყიფშიძის მიხედვით, так как „რადგან“ მნიშვნელობითი მეგრულში დასტურდება: რადგან, რადან, რადანგ, რახანგ, რახანო... რახან (მითითებულია, რომ ესენია ქართული, Γ.) (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 303).

¹ ჰამმა „მაგრამ“ აღმოსავლურ ენათაგანაა (არაბულ-თურქულიდანაა); ნ. მართთ ამა//ჰამა (ნ. მარი, 1910, გვ. 126)

მეგრულში გვხვდება ისეთივე ვითარება, რაც ჭანურშიც დასტურდება: რადგანაც კავშირის გასაძლიერებლად -ნი-ც წარმოდგენილია (-ნა ჭანურში): ზემოთ მოყვანილ ნიმუშთაგან მოვიყვანო მხოლოდ დამოკიდებული წინადადების ზოგ მაგალითს:

რადგანს დიდი მანგარ ტყა ორდუ-ნი ზედმ. „რადგან რომ დიდი მაგარი ტყე იყო“.

რადგანას გაჭყორდუ-ნი „რადგან რომ დაავიწყდა“

რადან სიცოცხლეს ვეელიდუ-ნი „რადგან რომ გადარჩენას (სიცოცხლეს“) არ ელოდა“.

შდრ. ჭანური:

მხოლა დიდი-ნა რენ-შენი „ზღვა რადგანაც დიდა“; ზედმ. „ზღვა რადგანაც რომ დიდა“;

დიდო-ნა აშქუინეტუ-შენი „რადგანაც რომ ძალზე“ (ზედმ. „დიდად“) ეშინოდა“ და სხვა.

მამასადამე, მიზეხის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ზანურში ასეა აგებული:

ა) მეგრული იყენებს ქართულიდან შეთვისებულ სპეციალურ კავშირებს (ფონეტიკურად ზოგჯერ განსხვავებული) - რადგან ... და მისთანებს;

გ) ჭანურისათვის ამ მნიშვნელობით საკუთრივ ჭანური -შენი ნაწილაკია.

ორსავე დიალექტში საერთოა „რადგან“-ისა ... და „-შენი“-ს გამძლიერება-ნი (მეგრ.), -ნა (ჭან.) ნაწილაკებით.

ეს კი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ -ნი და-ნა გამოიყენებოდა ადრე რადგანაც კავშირის ფუნქციით, ხოლო შემდგომ მეგრულმა ისესხა ქართულიდან სათანადო კავშირი, ხოლო ჭანურში ეს ვერ მოხერხდა და მან ამის საკომპენსაციოდ - შენი ნაწილაკი აირჩია.

-შენი ცხადად გამოსაყოფია ჭან. მუშენი „რატომ“, „რისთვის“ ზმნისართში. ნ. მარი თავის „ჭანურ-რუსულ ლექსიკონში“ მუშენი - ფორმას აგზავნის მუ „რა“ ნაცვალსახელთან (ნ. მარი, გვ. 170-171). მამასადამე, მუ-შენი...

მეგრულშიცაა -შენი გამოსაყოფი ზმნისართებში მი-შენი „ვისთვის“, თი-შენი „მისთვის“.

თიშენი 1. „ამიტომაც“, 2. „რადგანაც“, „იმიტომ რომ“... (ყიფშიძე, 1914, გვ. 447), „მისთვის“ (შდრ. თი „ის“), მიშენი „ვისთვის“ (შდრ. მი, მინ „ვინ“) ი. ყიფშიძე მიუთითებს მი-შე „ვისგან“, მი-შა „ვისკენ“ და სხვ. (ყიფშიძე, 1914, გვ. 280), სადაც -შე დაშორ. ბრუნვის ნიშანია, ხოლო -შა - მიმართულებითისა.

ცხადია, -შენი შეიძლება დაიშალოს, სადაც -შე დაშორ. ბრუნვის ნიშანია, ნ. მარის და ი. ყიფშიძის მიხედვით отложительный падеж (მარი, 1910. გვ. 16; 1914, გვ. 022), ხოლო -ნი კი „რომ“ კავშირს წარმოადგენს“ (ა. მარტიროსოვი, 1964, გვ. 276).

შემთხვევითი არაა, რომ -შენი მორფემიანი დამოკიდებული წინადადება (მნიშვნელობით „რადგანაც“) ამ კავშირის გასაძლიერებლად იყენებს -ნი (მეგრ.) -სა და -ნა (ჭან.)-ს „რომ“ კავშირის მნიშვნელობით (ნიმუშები იხ. ზემოთ), ე.ი. ფაქტობრივ ხდება -ნი-ს განმეორება.

მთლიანად „შე-ნი კომპონენტს მიუღია კავშირ-ნაწილაკის ფუნქცია, ქართ. რადგანაც კავშირის ტოლფარდი“ - ჭან. ბერე კითხერი-ნა ტუ-შენი, ფურუნჯის ვა მადერდინუ „რადგანაც ბავში ნასწავლი იყო, მეფურნემ ვერ მოატყუა (გ. როგავა, 1987, გვ. 47). კითხერი-ნა და ტუ-შე-ნი-ს -ნა და -ნი ფუნქციურად ერთია, ამდენად აქ განმეორებაა. ესაა ტოლფასი სიტყვის განმეორებისა, რაც ასე ხშირია უდამწერლობო ენაში „... რომელიც განსაკუთრებით მდიდარია სინტაქსურ კონსტრუქციათა ვარიანტულობით“ (დ. ჩხუბინაშვილი, 1991, გვ. 117). ყინი-ტა-ში თვირი მთვა-ში, ღორმა მუში მუთე მენძგიფუმ (ჩიქ., II, 92¹⁴⁻¹⁵) „როცა სიცივე იქნება, როცა თოვლს დადებს, ხვრელს (სკაში) რით დაგმანავ?“ აქ უკვე -ში-ს გამეორებაა.

სიტყვის განმეორებაზე მიუთითებენ ზანურის ენობრივ მასალაზეც (ბ. ლემონჯავა, 1996, გვ. 91). ეს მოსალოდნელია იმიტომ, რომ „გაბმულ ტექსტში (მეტყველებაში) გარკვეული დროის შემდეგ ხდება მოცემულის გამეორება, რადგან მეტყველი ფიქრობს, რომ მსმენელმა უკვე დაივიწყა თავისი ნათქვამი და ცდილობს ადადგინოს იგი მსმენელის მეხსიერებაში“ (ლ. ენუქიძე, 1987, გვ. 121).

გ. როგავას აზრით კი, -შენი მორფემიანი ზმნისართები (მუშენი „რატომ“ (ჭან.) მიშენი „ვისთვის“, თიშენი „მისთვის“ - მეგრ.) „მიღებულია -ნი კავშირ-ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადების გამარტივების ნიადაგზე -მუშე-ნი („რატომ“) მუ-შ-რე-ნი („რისთვის რომ არის“), მიშე-ნი (ვისთვის) მი-შე-რე-ნი „ვისთვისაც რომ არის“, თიშე-ნი (ვისთვის“) თი-შე-რე-ნი „მისთვისაც რომ არის“ (გ. როგავა, 1987, გვ. 47).

მეგრ. ცირა-შენი „ქალიშვილის შესახებ“, ჭან. თომა-შენი „თმის შესახებ“ ფორმებშიც -ნი-ს გამოყოფენ თანდებულად, „სინამდვილეში კი, ჩვენ აქაც გვაქვს საქმე იმავე დამოკიდებული წინადადების გამარტივებულ სახეობასთან: მეგრ. ცირა-შე-ნი („ქალიშვილის შესახებ“, „ქალიშვილზე“). ცირაშე-რე-ნი „ქალიშვილის შესახებ რომ არის“, უკეთ, თანდებულისა ბრუნვის ფორმისაგან - მეგრ. ცირაშე („ქალიშვილისაგან“) იწარმოება ცირა-შე-რე-ნი („ქალიშვილისაგან რომ არის ის“) ცირა-შე-ნი „ქალიშვილის შესახებ“, ჭან. ბერე-შე. („ბიჭისაგან“) ბერე-შე-რე-ნი („ბიჭისაგან რომ არის“) ბერე-შე-ნი „ბიჭის შესახებ“.

ამგვარად, ცირა-შე-ნი, ბერე-შე-ნი ფორმაში -ნი კავშირ-ნაწილაკია და არა თანდებული. თანდებულის ფუნქციას ამ ფორმაში ცირა-შე (ნი) ასრულებს ე კომპონენტი - ცირა-შ-ე „ქალიშვილისგან“, შდრ. ცირა-შ-ე ქალიშვილთან“... (გ. როგავა, 1987, გვ. 47).

ამდენად, -ნი „რომ“ კავშირია თუ კავშირ-ნაწილაკი, ერთი ცხადია, ის გამოიყოფა მისი წინამავალი = შ-ე-საგან (-შენი) და ორივე დიალექტისათვის - მეგრულისა და ჭანურისათვის - საერთოა.

ლიტერატურა:

1. ვ. ახალაია, 2012 - ვ. ახალაია, თურქული ენობრივი ელემენტები ლაზურში, სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ თურქული ურთიერთობები, გორი, 2012.
2. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ., 1936.
3. ნ. ქუთელია, 2005 - ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005
4. არნ. ჩიქობავა, 1938, არნ. ჩიქობავა, მეგრულ-ჭანურ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
5. ნ. აბესაძე, 1965 - ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები მეგრულში, თსუ-ის შრომები, ტ. 114, თბ., 1965.
6. ნ. მარი, 1910 – Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С-ТБ., 1910.
7. ი. ყიფშიძე, 1914 – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем.
8. ა. მარტიროსოვი, 1964 - ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.
9. გ. როგავა, 1987 - გ. როგავა, არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში, იკე., XXVI, თბ., 1987.
10. დ. ჩხუბიანიშვილი, 1991 - დ. ჩხუბიანიშვილი, გამეორება დიალექტურ მეტყველებაში, კრ. „დიალექტური კრებული“, თბ., 1991.
11. ბ. ლემონჯავა, 1996 - ბ. ლემონჯავა, სიტყვის გამეორება ზანური ენის შერწყმულ წინადადებაში, ქესს, VI, თბ., 1996.
12. ლ. ენუქიძე, 1987 - ლ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები საზღვარგარეთის ენათმეცნიერებაში, თბ., 1987.

FOR FORMING CONDITIONAL CLAUSES IN ZANURI Vianor Akhalaia, Gori State Teaching University, Professor RESUME

Internal regulatory of language development is a major driving force for linguistic processes formed in Zan language. Due to a number of events Megrelian and Chan linguistic interaction has been terminated and continued their development in independent ways. Linguistic environment where they appeared was very important. This has significantly contributed to the linguistic processes and changes in Megrelian and Chan languages. One of its examples is conditional sentence structure in Zan language.

, « »,
E-mail: margarita13boguslavskaya@mail.ru

XIX

XX

(XIX XX, 2005).

(XX, 2005).

XX

(),

<...>


(» (XX, 2009).

). « »


() ().



.2. ,



.3.



.4. ()



.5. :

(.6).



.6.

(
India House)



.7.

(. , 2008).

().

THE ROLE OF THE BUDIST SYMBOLS IN THE LIFE OF THE MODERN EUROPEANS

Margaritta Boguslavskaya, Crimean University for the Humanities, Ph.D Student

SUMMARY

This paper discusses the importance of the influence of Buddhist ideas on all aspects of life in Western society. This work reveals the role of the archetype in shaping the consciousness of modern man. In particular, the role of symbols of Buddhism in modern European.

გერმანელი მწერალი ძველ ქართველ კალიგრაფთა შესახებ

ლევან ბრეგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
E-mail: levan1b@yahoo.com

გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის არტურ ლაისტის ფონდში დაცულია არტურ ლაისტის ხელნაწერი, გოთური ანბანით შესრულებული (1877-ხ ფ. 19-20. - ეს ნომერი ჰქონდა მას 1970 წელს, როდესაც ჩვენ იგი გადმოვიწერეთ). ეს არის დასაწყისი არტურ ლაისტის დაუმთავრებელი მოთხრობისა „ბერი“ („Der Mönch“). არტურ ლაისტს ქართულ თემატიკაზე სამი მოთხრობა აქვს გამოქვეყნებული გერმანულ პრესაში („ვარო“, „ვარპანიდიანთ ნინო“, „კატასტროფა“). ეს მეოთხე, რომელიც იმერელი ყმაწვილის, გაბრიელის, ამბავს მოგვითხრობს, მას დაუმთავრებელი დარჩენია. სუსტი ფილტვების მქონე გაბრიელს ექიმები ქალაქის დატოვებას, ჰაერის გამოცვლას ურჩევენ. გაბრიელი გადაწყვეტს თბილისის ახლოს, ტყიან მთაზე მდებარე მონასტერში იმსახუროს. მონასტრის აღწერისას ა. ლაისტი მის ძველ ბინადართ, ქართველ მწიგნობარ ბერებს, იხსენებს, რომელთა დიდებულ ნაღვაწს, მათ მიერ გადაწერილ-შემკობილ ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნებს, დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი.

გთავაზობთ არტურ ლაისტის ამ დაუმთავრებელი მოთხრობის შემორჩენილი ფრაგმენტის ორიგინალს და ჩვენ მიერ შესრულებულ მის ქართულ თარგმანს:

Arthur Leist
Der Mönch

Gabriel war der Sohn eines armen Bauern aus Imeretien, und kam als zwölfjähriger Knabe nach Tiflis, wo er in einem Gasthause Stelle als Küchenjunge fand. Hier war sein Leben schwer, denn er mußte alle schweren Arbeiten verrichten und auch solche, die eigentlich der Koch zu tun verpflichtet war. Er war also nicht nur Küchenjunge, sondern auch Diener des Koches. Für alles das erhielt er das Essen und manchmal einen abgetragenen Anzug vom Sohn des Gasthausbesitzers. In dieser Knechtschaft blieb er vier Jahre und erst als sie ihm zu schwer wurde und er zu kränkeln anfang, verließ er sie und wurde Schriftsetzer wie sein Bruder und sein Vater. Aber nach einigen Jahren wurde er brustkrank und der Arzt riet ihm Tiflis zu verlassen und im Gebirge Heilung zu suchen.

Seit seinen Knabenjahren war er bescheiden und mäßig, arbeitsam und enthaltsam. Er aß kein Fleisch, trank keinen Wein und rauchte niemals, suchte keine Vergnügen und das Lesen von Büchern und stilles Betrachten der Natur waren seine einzigen Zerstreuungen.

Der Rat des Arztes gefiel ihm, aber er konnte lange keinen Ort finden, wo er wohnen und leben konnte ohne zu hungern. Endlich hörte er von einem Kloster, in welchem nur vier Mönche ansässig waren, die aber gern noch einen fünften aufnehmen wollten. Das Kloster lag nur wenige Stunden von Tiflis auf einem waldigen Berge und war an dieser Stelle vor mehr als tausend Jahren erbaut worden. Seine aus großen Steinen errichteten Mauern hatten nur kleine Fenster, so daß in die niedrigen Zellen auch am Tage nur wenig Licht drang. In diesen engen, feuchten Räumen hatten im Laufe vieler hundert Jahre viele Geschlechter von armen Mönchen ihr Dasein zu Ende gelebt. In der georgischen Geschichtschonik wird viel von ihren Leiden erzählt, von der Drangsal, wenn Feinde nach Georgien eindringen und von mancher Hungersnot, aber wir erfahren nichts von ihren Freuden, die sie doch auch haben mußten. Einst, in längst vergangener Zeit, befassten sich manche Mönche mit dem Abschreibung von Gebetsbüchern und andern Werken, die

für die Kirche geschrieben waren. Das war für sie eine fast feierliche Arbeit, beinahe ein Kunstwerk, zu welchem sie viel Mühe verwendeten und ihre Geschicklichkeit anstrebten. Sie schrieben langsam und die Anfangsbuchstaben zeichneten sie wie ein Maler. Monate, vielleicht Jahre vergingen bis ein solches Manuskript fertig war. Wer kann sich die Zufriedenheit und die Freude jener schlichten, einfachen Männer vorstellen, wenn sie ihr vollendetes Werk betrachteten! Da der Zahl der geschickten und geübten Abschreiber nicht groß war, hielten sie sich für wirkliche Künstler, für auserwählte Männer, die eine seltene Kunst beherrschten, die ein frommes Werk war. Das Abschreiben, das ihnen eine große Freude bereitete, war vielleicht ihr angenehmste Zerstreung um so mehr, da sie wenig andere kannten.

Dieses Leben gehörte jedoch schon längst zur fernen Vergangenheit, denn als Gabriel im Jahre 1890 in das Kloster eintrat, war das alte Gebäude schon lange nicht mehr bewohnt und neben ihm stand ein anderes, das auch nicht mehr neu, aber aus vier ziemlich großen Zimmer bestand.

არტურ ლაისტი ბერი

გაბრიელი ერთი ღარიბი იმერელი გლეხის ვაჟი იყო და თორმეტი წლისა ჩამოვიდა თბილისში, სადაც ერთ სასტუმროში დაიწყო მუშაობა მზარეულის დამხმარე ბიჭად. იქ მას მძიმე ჯაფა ადგა, ვინაიდან ყველა ძნელი საქმის შესრულება მას ევალებოდა, ისეთისაგ კი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მზარეულის მოსაგვარებელი იყო. ამრიგად, ის მარტო მზარეულის დამხმარე კი არა, მზარეულის მოსამსახურეც გამოდიოდა. ყოველივე ამის საფასურად მას ეძლეოდა საჭმელი და ზოგჯერ სასტუმროს მფლობელის ვაჟიშვილის გამონაცვალ ტანსაცმელი. ამ ყმობაში გაატარა მან ოთხი წელიწადი და მხოლოდ მაშინ, როცა მეტისმეტად გაუჭირდა და დაავადების ნიშნებიც დაეტყო, იქაურობა მიატოვა და ასოთამწყობობას მიჰყო ხელი, თავისი ძმისა და მამის დარად. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ფილტვების დაავადება აღმოაჩნდა და ექიმმა ურჩია თბილისს გასცლოდა და მთებში ეცადა ჯანმრთელობის აღდგენა.

ბავშვობიდანვე მოკრძალებული და ზომიერი იყო, შრომისმოყვარე და თავდაჭერილი. ხორცს არ ჭამდა, ღვინოს არ სვამდა და თამბაქოც არასოდეს მოეწია, სიამოვნების მიღებას არ ელტვოდა და მხოლოდ წიგნების კითხვა და ბუნების წყნარად ჭვრეტა იყო მისი გართობა.

ექიმის რჩევა ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ დიდხანს ვერ მოიძია ადგილი, სადაც ისე იცხოვრებდა, რომ შიმშილობა არ მოუწევდა. ბოლოს შეიტყო ერთი მონასტრის შესახებ, სადაც მხოლოდ ოთხი ბერი ეყუდა, და სურდათ მეხუთეც მიეღოთ. მონასტერი თბილისიდან რამდენიმე საათის სავალზე, ტყიან მთაზე იდგა და ათასზე მეტი წლის წინ იყო აგებული. დიდი ქვებით ნაშენებ მის კედლებს პატარა სარკმელები ჰქონდა დატანებული და ამიტომ ჭერდაბალ სენაკებში დღისითაც კი ძლივს აღწევდა შუქი. ამ ვიწრო ნოტიო ოთახებში საუკუნეების განმავლობაში საბრალო ბერთა მრავალმა თაობამ მიიყვანა ბოლომდე თავისი წუთისოფელი. ქართული საისტორიო ქრონიკები ბევრს მოგვითხრობენ მათი ტანჯვის შესახებ, მათ გაჭირვებაზე, როცა საქართველოში მტერი შემოიჭრებოდა, და შიმშილობებზე, მაგრამ ვერაფერს ვგებულობთ იმაზე, რასაც მათთვის სიხარული უნდა მიენიჭებინა. ერთ დროს, შორეულ წარსულში, ზოგი ბერთაგანი ლოცვანთა და სხვა საეკლესიო წიგნების გადაწერას მისდევდა. ეს მათთვის ლამის ზეიმური შრომა იყო, თითქმის ხელოვნება, რასაც ისინი დიდი რუდუნებით ეკიდებოდნენ და ოსტატობას არ იშურებდნენ. წერდნენ აუჩქარებლად და საზედაო ასოები მხატვრებივით გამოჰყავდათ. თვეები, ზოგჯერ წლებიც კი სჭირდებოდა ხელნაწერის დასრულებას. ვის შეუძლია წარმოიდგინოს იმ მოკრძალებული, უბრალო ადამიანების კმაყოფილება და სიხარული, როდესაც ისინი თავიანთ დასრულებულ ქმნილებას შეჰყურებდნენ! რაკილა მარჯვე და გამოცდილი გადამწერი არც ისე ბევრი იყო, თავი ნამდვილ ხელოვანებად მიაჩნდათ, რჩეულ ადამიანებად, რომლებიც იშვიათ ხელოვნებას ფლობდნენ, საღვთო საქმიანობას რომ წარმოადგენდა. გადაწერა, რაც მათ დიდ სიხარულს ანიჭებდა, იქნებ მათთვის ყველაზე სასიამოვნო გასართობი იყო, მით უფრო, რომ სხვა თავშესაქცევი ცოტა ჰქონდათ.

მაგრამ ამგვარი ცხოვრება დიდი ხნის წინ ჩაბარებოდა წარსულს, ვინაიდან, როდესაც გაბრიელი 1890 წელს მონასტერში შევიდა, ძველ შენობაში უკვე რა ხანია აღარავინ ცხოვრობდა და მის გვერდით სხვა ნაგებობა აეშენებინათ; ახალი აღარც იმას ეთქმოდა, მაგრამ ოთხი მოზრდილი ოთახისგან შედგებოდა.

* * *

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დაუმთავრებელი მოთხრობის ის ნაწილია, რომელიც ზემოთ მუქი შრიფტით გამოვყავით. ყურადღებას იქცევს შუა საუკუნეების გამოყენებითი ხელოვნების იმ დროისათვის (როცა ა. ლაისტის ეს მოთხრობა იწერებოდა) ნაკლებ დაფასებული დარგის ქართულ ნიმუშთა ადეკვატური შეფასება უცხოელი მწერლის მიერ.

დღესდღეობით აღარავის ეპარება ეჭვი, რომ „ძველი ქართული ხელნაწერები ჩვენი ეროვნული კულტურის განსაკუთრებული მნიშვნელობის საგანძურია. (...) ქართული ხელნაწერი წიგნის ხელოვნებას - ტექსტის კალიგრაფიულ სილამაზეს და წიგნის გვერდების დეკორატიულ შემკულობას ძველ საქართველოში დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ქართველი ოსტატები სავსებით დაუფლებული იყვნენ ხელნაწერი წიგნის მორთვის ოსტატობას. ამ მხრივ ეს ნიმუშები არ ჩამოუვარდება ხელოვნების სხვა დარგების - არქიტექტურის, ფრესკული მხატვრობის, ხეზე ჭრისა თუ ჭედური ძეგლების საუკეთესო ნიმუშებს“ (მაჭავარიანი 1970: 5).

არ არის გასაკვირი, რომ მონასტრის აღწერისას არტურ ლაისტს, რომელიც კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიასაც და ხელოვნებასაც, ძველი ქართველი წიგნის ოსტატები გახსენებია, ვინაიდან „ხელნაწერი წიგნის დეკორატიული მორთულობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს მონასტრებმა. მონასტერი მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. აქ არა მარტო იწერებოდა და ითარგმნებოდა, არამედ იხატებოდა კიდევ ხელნაწერები“ (მაჭავარიანი 1970: 6).

გზა ობიექტიდან (ხელნაწერი წიგნიდან) ამ ობიექტის შემოქმედ სუბიექტამდე (ინდექს-აღმნიშვნელიდან აღსანიშნამდე) არტურ ლაისტის დაუმთავრებელ მოთხრობაში ავტორის ფანტაზიით არის გავლილი და ხილულის მეშვეობით დამაჯერებლად არის აღდგენილი უხილავი; ანუ - „განმად დაშთომილი ნაშრომის“ მიხედვით აღდგენილია ამ განმის შემოქმედის სულიერი მდგომარეობა შემოქმედების პროცესში და მისი დასრულების შემდეგ.

იგივე გზა, ოღონდ ძველ ხელნაწერთა „ანდერძების“ (მინაწერების) მეშვეობით „გაიარა“ აკად. ვახტანგ ბერიძემ და მასაც თვალწინ ისეთივე სურათი წარმოუდგა, როგორც ჩვენს მეგობარ გერმანელ მწერალს: „ეს მინაწერები ზოგჯერ ისეთი უშუალო და ემოციურია, რომ დღევანდელ მკითხველს სრულიად ცოცხლად წარმოუდგება წიგნის მწერალი - „მხხრეკალი“ ან „მხხაბავი“ (ასე უწოდებდნენ ისინი თავის თავს), რომელიც ხშირად მძიმე პირობებში, მშვიერ-მწყურვალი, უსახლკარო, მოხუცი და სნეული - „თვალეზს იწყალებდა“ და მაინც შრომობდა. (...) წიგნის გადამწერებმა, რომელნიც საქართველოსა და უცხოეთის ქართულ სავანეებში იღვწოდნენ, კარგად იცოდნენ, რომ მათი ხელით იქმნებოდა უდიდესი განძი, რომელიც ეროვნული კულტურის საფუძველს შეადგენდა“ (ბერიძე 1967: 7).

ეს რწმენა, სიცოცხლეს რომ ულამაზებდა ამ არაჩვეულებრივ ადამიანებს, კარგად იგრძნობა იმ პასაჟში, რომელშიც გერმანელი მწერალი ხელნაწერ წიგნთა ქართველ ოსტატებზე ლაპარაკობს.

დაუმთავრებელი მოთხრობის ეს ადგილი მით უფრო საყურადღებოა, რომ იგი უცხოელის მიერ იმ დროისათვის გარდასულ-გარდაგებული ხელოვნების დარგის ქართულ ქმნილებათა და მათ შემოქმედთა ოსტატობის ერთ-ერთ პირველ შეფასებას წარმოადგენს და მისი აქტუალიზაცია ამ თვალსაზრისითაც საჭირო საქმედ მიგვაჩნია.

ლიტერატურა:

ბერიძე 1967: ვახტანგ ბერიძე. ძველი ქართველი ოსტატები. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1967.
მაჭავარიანი 1970: ქართული ხელნაწერები. თბილისი: „ხელოვნება“, 1970.

GERMAN WRITER ABOUT THE ANCIENT GEORGIAN CALLIGRAPHERS **Levan Bregadze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Chief Researcher** **RESUME**

The work represents the publication of and the commentaries to the original text of the remaining fragment of the unfinished story („The Monk“) by Artur Leist, German writer, as well as its Georgian translation. (The manuscript of the fragment is kept in the Artur Leist Foundation at the Giorgi Leonidze Georgian State Museum of Literature, and neither the original nor its translation has ever been published up today.) Special attention is paid to the part of the text which deals with the art of the ancient Georgian masters—the creators of handwritten books.

ერთი ეპოქის სამი ემიგრანტი ქართველი ქალი სხვადასხვა მხატვრულ ტექსტში

თამარ გოგოლაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: tamilagogoladze@gmail.com

ეპოქა: „პირველი მსოფლიო ომი და რუსეთის რევოლუცია - ეს ორი მოვლენა ჰქმნის მე-20 საუკუნის 10-იანი წლების სახეს. ორივეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ბედიღბლისათვის. ყოველი მოაზროვნე ადამიანის ყურადღება მიჯაჭვული იყო ამ მოვლენებზე“ [ზაქრადე, 1999].

ემიგრაცია საქართველოდან: ზოგნი რევოლუციას გაქცეულნი, ზოგნი პირადი გარემოებებით, ზოგნი ომამდე სასწავლებლად წასულნი და ჩარჩენილნი, ზოგნი ახალ ცხოვრებას მისწრაფებულნი, ზოგნი უცხოეთში ხელოვნების სიახლეებს დაწაფებულნი... ქალი, კაცი, საშუალო ასაკის, ასაკოვანი, ფეხმძიმე ქალი, თოთო ბავშვით, ნებსით თუ უნებლიედ, ეპოქის ქართველში მოხვედრილნი და მაინც სამშობლოზე ფიქრით...

მხატვრული ტექსტები: ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“ (1928 წ.), გრიგოლ რობაქიძის დაუსრულებელი ნაწარმოები „ფალესტრა“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისეს ღიმლი“ (1925 წ.)

სამი პერსონაჟი ქალი, მოხვედრილი ევროპაში:

ელი გორდელიანი: - დედით იოჰანე ვახერერის შთამომავლის, მატლდესა, და მამით, ძველთაძველი ქართული გვარის, შალვა გორდელიანის, ასული.

კავა, ელენე კოვალიოვა - დედით „ქართველი მოხელის შვილი (სამეგრელოს კუთხიდან)“. მამით „კაზაკი კოვალიოვ სწორედ ამ სტანიციდან, რომელიც ლევ ტოლსტოიმ თავის „კაზაკებში“ უკვდავჰყო“.

ჯენეტ-ხანუმი - დედით გურიელის შთამომავალი, მამით შავშეთის მფლობელის ჰემედ-ბეის ასული.

სამი ემიგრანტი ქალიდან ნ. ლორთქიფანიძის გმირი ქალი ელი თითქმის ქვეშეუცნობლად მიჰყვება უცხოეთში ინგლისელ ჰექსლის, მაგრამ მას თან სდევს განუშორებლად სევდა სამშობლოზე, უკან დაბრუნების „ბილეთის“ მოპოვების სურვილი იმდენად ძლიერია, გველებთან ცეკვაზეც თანახმაა...

კავას, ელენეს, საბოლოო ბედი უცნობია, მაგრამ უცხოება უცხოეთის მიწაზე, მძაფრი, რაღაც სწრაფვა კავას უბიძგებს იცეკვოს მისტერ ლეიკის „Rag-Review“-ში...

ჯენეტ-ხანუმი, ერთი შეხედვით, თითქოს ბედს შეგუებული ქალია, სპარსელის მეუღლე, მაგრამ ქრისტიანი, ქართული მიზანსწრაფვითა და ქართველისკენ სწრაფვით...

კ. გამსახურდიას შემოქმედების შესანიშნავი მკვლევარი სოსო სიგუა ჯენეტს საქართველოს ალეგორიულ სახედ მიიჩნევს: „იგი მუდამ ქრისტესა და გიორგის ეტრფოდა, უცხოს გაურბოდა, მაგრამ მაინც სჯულითა და სისხლით მტერს -სპარსელს მისთხოვდა. სპარსელი ამ ასპექტში ისევე არის რუსის ალეგორია, როგორც ბიზანტიელი „დიდოსტატის მარჯვენაში“ (სიგუა, 1997).

გერმანია, საფრანგეთი, იტალია... სივრცითი არეალი თითქოს ომისა და ომისშემდგომი ევროპის ფონზე იშლება. აღრევა ქვეყნების, აღრევა სხვადასხვა რასის ადამიანების. ომს, რევოლუციას გამოქცეული ემიგრაციის ტალღა და პიროვნება, რომლისთვისაც მშობლიური მხარე ისევე შორეულია და სანატრელი, როგორც „ევროპის გალიაში“ გამომწყვდეული ტუსადისათვის.

ევროპის ლიტერატურაში მკვიდრდება იმპრესიონიზმი, ძიება სულისა, ოღონდ განსაკუთრებული მოვლენების სუბიექტური აღქმის ფონზე. „ქართულ ლიტერატურაში იმპრესიონიზმი დაგვიანებით შემოვიდა, მაგრამ დამოუკიდებელ სკოლად არ ჩამოყალიბებულა. ჩვენში იმპრესიონიზმზეული სტილი ნიკო ლორთქიფანიძემ დაამკვიდრა. მის შემოქმედებაში ერთმანეთს ერწყმის **იმპრესიონიზმი და რეალიზმი**. ზოგიერთი ნოველა მთლიანად იმპრესიონისტულ ესთეტიკას ეფუძნება („შელოცვა რადიოთი“, „თავსაფრიალი დედაკაცი“, „ტრაგედია უგმირით“ და სხვა)“ (ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, 2008).

„იმპრესიონისტული მანერით არის დაწერილი ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“, რომელსაც ახასიათებს ფრაგმენტული, ნაწყვეტი თხრობა. ამ მოთხრობაში იგრძნობა ერთგვარი სიახლოვე მისტიკურ, ირეალურ მსოფლგაგებასთან“ (ტ. კვანჭილაშვილი, 1980).

იმპრესიონიზმს, ამ მიმართულების თანამედროვე, გრიგოლ რობაქიძე ასე ახასიათებს: „გერმანიაში ეს პაროლი (პოლ გოგენისა: „განზე ბუნება, უკან სურათისაკენ“) მთელ მიმართულებად გადაიქცა. იყო აქ პატრიოტული მოტივიც: თავის დაღწევა ტყვეობისაგან ხელოვნებაში. მაგრამ კიდევ იყო სხვა რამე: ევროპის დიდი ომი და რუსეთის დიდი რევოლუცია. რატომ მაინცა და მაინც გერმანიაში - ... აქ მხოლოდ ეს სიტყვაა: ამ ორი დიდი მოვლენის განცდაში მიუღებელი დარჩა პასივიზმი იმპრესიონიზმისა.“

ამსახველი პასივურ კი არ უნდა „ემლოედეს“ საგანს, რომ მიიღოს შეუღლებელი „შთაბეჭდილება“, არამედ აქტიურ უნდა „იურვებდეს“ საგანს, რომ მიიღოს მისი ქმედითი „გარდაქმნა“. აი ფორმულა საქმისათვის....

კარგად იტყოდა მაქს პიკარ,

იმპრესიონიზმს არ უცდია გამოეყო საგანი და განეცალკევებინა იგი. იგი არ იღებდა თავის თავზე პასუხისგებას საგნისათვის. მისთვის თავიდათავი იყო ურთიერთმიქცევა საგნების და არა თვითონ საგნები. საგანი, ამ ურთიერთქცევით გამოხმობილი, უკანვე ინთქებოდა უსახელო ქაოსში.“ (რობაქიძე, 1996).

1922 წელს კონსტანტინე გამსახურდიაც წერს სტატიას „იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი“. მისი აზრით, იმპრესიონიზმის ეპოქა უკვე მთავრდება, თუმცა „შეიძლება ძველი იმპრესიონისტი უფრო დიდი ხელოვანი იყოს, ვიდრე ახალი ექსპრესიონისტი“ (ვ. გამსახურდია VII, 1983).

მაშ 1924-1928 წლებში შექმნილი ნ. ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“ არის კი იმპრესიონისტული? საკითხის ასე დაყენება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთი მკვლევარი აცხადებს მის მოთხრობას იმპრესიონისტულად, ზოგი იმპრესიონისტული მანერით დაწერილ რეალისტურ ნაწარმოებს უწოდებს. აქ, ბუნებრივია, გასათვალისწინებელია სოცრეალიზმის თეორეტიკოსთა თავისებური მიდგომა, თანამედროვე თვალთახედვით განსჯაც. თუმცა ფაქტი ერთია: „შელოცვა რადიოთი“ არაა მთლად იმპრესიონისტული მოთხრობა. რა არის „დაჭერილი“ წამი? კინოკადრივითა სწრაფად მონაცვლე, დროში გაშლილი გორდელიანების ოჯახის და, საკუთრივ, ელის ცხოვრება. სივრცე ფართოვდება ჰექსლეისა და ელის გამგზავრებით კავკასიდან ევროპაში: რუსეთი, სკანდინავია, ბერლინ-პარიზი, შემდეგ მიუნხენი. დრო - ომისა და რევოლუციის შემდგომი, სავარაუდოდ, 1925 წლამდე.

„დაჭერილი“ საგანი:

„ელის წინ გროვდებოდა

მზეზე დამწვარი,

გამავებული,

გამტვრიანებული,

მშიერი,

მთვრალი

ბრბო“ (ნ. ლორთქიფანიძე, 1981)

„შეკრეჭილი შავი, აბურდული სხეული,

ალეწილი,

მოქნილი,

ვნებიანი თავიდან ფეხებამდე: და

უმწიკვლო შავი თვალები“. (ნ. ლორთქიფანიძე, 1981);

„დაჭერილი“ წუთი:

„თბილისში

გაუგებარმა რადიომ

ვიღაც განაცვიფრა,

ვიღაც გაბრაზდა:

მილიცია აფორიაქდა,

ვერ გაიგეს

ეგონათ რაღაც ხერხი - რაღაც ნიშანი,

ბანკის გამგე გაიწვიეს

ვიღაც დააკავა მილიციამ.

ყოველი შემთხვევისათვის...

ექვები გაფანტა ინგლისის საკონსულოს თანამომდევნო

ტელეგრამამ

და

აწკრიალდა ისევ ტელეფონი,

ტელეგრაფი არაკუნდა. (ნ. ლორთქიფანიძე, 1981).

„დაჭერილი“ საგნისა და წუთის მიღმა მხოლოდ ნიკო ლორთქიფანიძისეული ოსტატობით დამალულ-გახსნილი პიროვნებაა: ქართველი ქალი და მისი ბედი ემიგრაციაში. თავად სათაური „შელოცვა რადიოთი“, დასასრულის ფაქტისწინა ამბავზე თუ მიაწინებს მკითხველს. მთავარი სათაური მაინც ქვესათაურშია: „დიდი გოდების მცირე ნაკადი“.

ერთი ეპიგრაფი: უცხოეთში მორჩმით მყოფ ძლიერთა ამა ქვეყნისათა გართობა - „რა გინდოდათ, რას მერჩოდით?!“ - ამონაკვეთს ქართველი ქალისა რუსთველის ფრაზით.

მეორე ეპიგრაფი: ზიარების ლოცვიდან, მინიშნების გარეშე: „ეს არს სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული, მისატევებლად ცოდვათა და **გასაწამებლად სიცოცხლისა**“.

რატომ გაწამდა ელის ცხოვრება? ავტორი ამას უამრავი ფაქტით, ისტორიით მინიშნებს მკითხველს: ელის პირველი ქმარი - გრაფი ვლადიმერ **ბორენკოვი**, ულვეი ქონების პატრონი, მოხდენილი, ზრდილი, განათლებული, ცეკვავს უებროდ, ფანტავს დაუზოგავად - დიდმპყრობელი რუსეთის უკანასკნელი ნაშთი, ლოთი და მასხარა, რომელიც შიშველ ცოლს დაანახვებს შეზარხოშებულ თანამეინახეებს.

იერონიმე შვინდაძე - ახალი სახალხო გვარდიის ასეულის უფროსი, თითქოს ქართველი რაინდი, გადამრჩენი, „ინტერნაციონალურ პროლეტარიატზე“ მოსაუბრე, თამასუქების გამყალბებელი. მიიმალა.

ჰექსლეი: ავანტიურისტი, ვითომ მწერალი, ვითომ კინორეჟისორი, ვითომ ჯენტლმენი და ფულზე ყველაფრის გამყიდველი....

ბრომლეი: „გააზნაურებული მდაბიო“, „დავენამლეოთ“, „ახალი ამერიკელი“. ყოფილმა კოვბოიმ, მეყასბემ მოხერხებული გარიგების წყალობით თავი დააღწია სიღარიბეს და მილიარდერი გახდა. ავტორის მიერ შექმნილი გასაოცარი პორტრეტი ბრომლეისა „გუმინ“ და „დღეს“. კარიკატურისტი-იუმორისტის მიერ დახატული, ვითომ კაცი, რომელსაც შეუძლია ყველაფერი იყიდოს, მაგრამ ვერ ყიდულობს ინდოელ რამინოს.

ელი და რამინო: ქალბატონი და ერთგული მსახური. ელი იძულებულია გახდეს ემიგრანტი, თავისუფლებისმოყვარე რამინო თავად „დაემონება“ მხსნელ ჰექსლეის, მაგრამ არ მიეყიდვინება ბრომლეის.

უამრავი პლასტი თითოეული ფრაზის ქვეშ, მრავალწერტილებით დაფარული და მაინც გახსნილი მკითხველისათვის.

ტრაგედია უმშვენიერესი ქალისა, რომელიც არჩევს გველებთან ცეკვით მოიპოვოს თბილისში დაბრუნების უფლება, ვიდრე ფულით იყიდოს.

ამაღლებული სტილი, თითქმის დეტალიზებული აღწერა, რეალისტური მანერა და სათქმელის მიტანა მკითხველამდე. ელი ბრომლეიმ ღირსეულად დაკრძალა, მოგებაზეც კი თქვა უარი ამის გულისათვის. გასაოცარია, რომანტიკულიც, მაგრამ ავტორი მკითხველს აჯერებს მუსიკალური ნაწარმოებით, რომელშიც ყველა უკანასკნელი წუთი გაერთიანდა თითქოს: „სამხრეთის მზე, ტფილისის სევდა, ავტომობილის საყვირი, პროპელერის ხმაური, პარიზის ყავახანის როკვა, ჩინეთის აბრეშუმის დანელებული შრიალი, ბრომლეის უსაზღვრო პატივისცემა, თითქოს შურიანი ღიმილი, გველის სრიალი ქალის უზადო ტანზე, საიდუმლო შელოცვა და ყოველივე ამას გარს ეხვეოდა სულთმობრძავი შალვას ხრიალი, რამინოს მშვიდი ცქერა და საქართველოს მივარდნილ სოფელში გამზრდელ მამიდის უხმო, ბებრული ქვითინი, ტირილი და ზოგჯერ მოთქმა...“ (ნ. ლორთქიფანიძე, 1981).

აქ ისევ კინოკადრით სწრაფად მონაცვლე ფაქტებია გადმოცემული ნიკო ლორთქიფანიძისეული ოსტატობით და ეს არ არის რომელიმე სტილის ტრაფარეტული გადმოღება, მისადაგება, „ჩარჩოში“ მომწყვდევა.

კავა განსხვავებული ხასიათია გრ. რობაქიძის „ვალესტრასში“. მისთვის სამშობლო არაა თითქოს საქართველო, მაგრამ მწერალი ცდილობს სწორედ ქართული გენის ძლიერება ამოაკითხვის მკითხველს. როგორც რუდოლფ კარმანი წერს, „რობაქიძემ მოგვიტანა ჩვენ, დასავლეთ ევროპელთ, ქართული მიწა, მისი სისხლი, მისი სუნთქვა და მისი ფერები. ყველა მისი რომანი, ნოველა და დრამა ისე ესისხლხორცება კავკასიისა და ირანის ზეგანის ბუნებას, როგორც „დედის საშოს“ (რობაქიძე, 2012). თავად მწერალი ღრმად სწვდებოდა ქალის ბუნებას, მის სულს და ამას უმადლის ქალღმერთთა წყალობას.

კავას პორტრეტიც უცნაურად მშვენიერია, კინორეჟისორ ადოლფ უნგარისათვის იგი ამორძალთა დედოფლის ვალესტრას პროტოტიპია: „თმები შემორგვილი. მზის ფერი, ზღვაში ჩამავალის, პროფილი: მარჯვედ კვეთილი, ოდენი სიკუმშით. თვალები თითქოს სხვაგან არიან - ისე იხედებიან: ორ შავ ტალღის ფოთოლზე სრიალობს ზურმუხტის კიაფი“ (რობაქიძე, 1988). მას მხოლოდ მარტოობის წუთებში აგონდება „რადაც აგონდებოდა - შორეული“. ძლიერი ქალი, ყაზი-ბეის იდუმალი სატრფო, რომელსაც მამამისი შემოაკვდა. ქალი „მთელი დამე არჩევანში იყო, დარჩეს თუ წავიდეს. „წავიდეს“ - გადაწყვიტა მასში ვიღაცამ“ (რობაქიძე, 1988). კავა ტფილისში ჩადის, აქაურ ბოჭემას გაურბის ბათუმში, იქიდან უცხოეთში „გააზნაურებულ მდაბიოს“ ბრომლეის მსგავს კაცს, მაკ კოლახს, გაიცნობს. „ხასად მისცა თავისი თავი მაკ კოლახს“. ავტორი აქვე დასვამს კითხვას: მისცა კი?! კავა თავის თავს ფლობს, მაგრამ სევდა სწვავს უცნაური...

ჯენიტ-ხანუმი ამ ორთაგან განსხვავდება, ნაზია და უცხოედ მიმზიდველი: „ჯენიტ-ხანუმი ოდნავ გამოცვლილა, მის სახეს რადაც იდუმალი, დარდის იერი გადაკვრია. თვალების ჩრდილები გაღრმავებია, თუმცა ეს მომეტებულ სინაზეს აძლევს მის ფართე, უმოძრაო, მელანქოლიურ თვალებს“ (გამსახურდია, 1992).

13 წლისას ჩერქეზი გადაეკიდა კავკავში, რომელმაც მისი მამა მოკლა. შემდეგ გათხოვდა სპარსელზე, „14 წლის ცოლ-ქმრობამ დამარწმუნა, რომ ქართველი ქალი უცხოელს არ უნდა გაჰყვეს, რადგან ჩვენ ძლიერ განვსხვავდებით ყველა ერისაგან... მე ისევ მარტო ვარ და უსამშობლო“ (გამსახურდია, 1992). უცხოეთში მისი ერთადერთი სიხარული ნოტრდამში სიარულია, ქართულად საუბარი. ორივე გმირი ქალისაგან განსხვავებით, ჯენეტი ბრუნდება საქართველოში, მაგრამ აქ მას მეორე ტრაგედია დაატყდება თავს: შვილი უკვდება. გამწარებულ ქალს მხოლოდ რწმენა ასულდგმულებს, სამთავისის მონასტერში აპირებს წასვლას. დაბრუნდა, მაგრამ მოკვდა ამქვეყნიური ცხოვრებისათვის.

მწერალი ფეხდაფეხ მიჰყვება სავარსამიძეს, ჯენეტი მსხვერპლია. უცხოეთში გადაშლილი უცხო ყვავილი, სამშობლოში დამკვნიარი.

ნ. ლორთქიფანიძის, გრ. რობაქიძისა და კ. გამსახურდიას გმირი ქალები „უცხოეთით დაღდასმული“ ქართველებია, რომელთა სევდა სიკვდილს უთანაბრდება. ეპოქის მოვლენების ფონზე მშობლიურ ქვეყანასთან დაშორება მათთვის მისაღებია თითქოს, მაგრამ მაინც მიუღებელი. ბედნიერება, როგორც ასეთი, შორია თითოეული მათგანისათვის. ამით ჰგვანან კიდევაც ერთმანეთს და მაინც განსხვავდებიან ეს გმირი ქალები თითოეული მონუმენტურია და, ამავდროულად, ახლობელიც. თითოეული მწერლისათვის დამახასიათებელი განუმეორებელი მხატვრული ოსტატობის წყალობით.

ლიტერატურა:

ბაქრაძე ა., „კარდუ“, თბ., „ლომისი“, 1999, გვ. 42

სიგუა ს., „მარტვილი და ალამდარი“, ტ. I, თბილისი, „დიდოსტატი“, 1997, გვ. 101.

გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., „ლიტმცოდნეობის საფუძვლები“, თბ., 2008, გვ. 248;

კვანჭილაშვილი ტ., „ნიკო ლორთქიფანიძე“, 1980, გვ. 12;

რობაქიძე გრ., „გველის პერანგი. ფალესტრა“, 1996, გვ. 342;

გამსახურდია კ., თხზულებანი, ტ. VII, 1983, გვ. 423;

ლორთქიფანიძე ნ., „ერთტომეული“, 1981, გვ. 237, 266, 272, 278;

რობაქიძე გრ., სერიით „ქართული სიტყვიერება“, თბ., 2012, გვ. 316;

გამსახურდია კ., თხზ. ოც ტომად, ტ. II, თბ., გვ. 1992;

THREE EMIGRANT WOMEN OF ONE EPOCH IN DIFFERENT FEATURE TEXTS

Tamar Gogoladze, Gori State Teaching University, Professor

RESUME

The epoch-World War I and the Russian Revolution-these two events make the image of 1910s of the XX century. Both events had crucial importance in the fate of mankind. Each thinker person's attention was drawn to those events. [Bakradze, 1999]

Emigration from Georgia: some people had escaped revolution, some had emigrated for personal reasons, some of them had gone for educational purposes and stayed there, some people were seeking to new life and some were striving to the novelties in art...a woman, a man, an adult, a pregnant, with a baby, by their will or without it, undergone in the tempest of the epoch and still deep in thoughts of the motherland....

The feature texts: "Charm by the Radio" by N. Lortkipanidze (1928), "Falestra"-an unfinished writing by Gr. Orbeliani, "The Smile of Dionysus" by K. Gamsakhurdia-three Georgian women characters in Europe.

ტოტალიტარიზმი და შემოქმედებითი თავისუფლება: საბჭოური მოდელი

ნანა გაფრინდაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: n.gaprindashvili@tsu.ge

ნინო წერეთელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი
E-mail: n.tsereteli@yahoo.com

როგორც ცნობილია, მწერალი ვერ გაეცევა იმ გავლენას, რომელსაც მასზე ახდენს საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებები; ამიტომაც იგი თავისი შემოქმედებითი საქმიანობის დროს ვერასოდეს იქნება აბსოლუტურად თავისუფალი. აბსოლუტური თავისუფლება მხატვრულ შემოქმედებაში მიუღწეველია, რადგან მწერალი ანგარიშს უწევს მკითხველს, მის ინტერესებს, გამომცემლობას, მის მოთხოვნებს და სხვ. მწერლის შემოქმედებაზე ღია თუ ფარულ კონტროლს აწესებს მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოება: პირადული, სოციალური, ეკონომიკური ფაქტორები. დასავლეთის თავისუფალ შემოქმედებას განსხვავებით, საბჭოთა მწერალს ანგარიში უნდა გაეწია, უპირველეს ყოვლისა, პარტიის ინტერესებისათვის, რადგან საბჭოთა გამომცემლები მკითხველის ინტერესებზე კი არ იყვნენ ორიენტირებული, არამედ პარტიის კურსზე.

საბჭოთა მწერალს შეზღუდული ჰქონდა მთავარი უფლება: თავისუფლად აერჩია თემა და პრობლემა და ასევე თავისუფლად გამოეხატა თავისი დამოკიდებულება მათ მიმართ. საბჭოური ტოტალიტარიზმის პირობებში მწერლებისა და მათი ცალკეული ნაწარმოებების ბედი დიდად იყო დამოკიდებული ოფიციალურ კრიტიკასა და პარტიული მუშაკების დამოკიდებულებასა და შეხედულებებზე. თუ რომელიმე პარტიული მუშაკი ან კომუნისტების ნდობით აღჭურვილი კრიტიკოსი ან ლიტერატურათმცოდნე ხელოვნების ქმნილებას დაიწუნებდა, როგორც ხალხისათვის გაუგებარ ნაწარმოებს, იგი აღარ დაიბეჭდებოდა, ხოლო, თუ უკვე დაბეჭდილი იყო, მას „დააპატიმრებდნენ“, ანუ სპეცსაცავებში მიუჩინდნენ ადგილს, რომლებიც, საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებით, წიგნებისათვის იმავე ფუნქციას ასრულებდა, რომელსაც გულაგი განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებისათვის. ამგვარად, ბოლშევიკების იდეურ-ესთეტიკური კონცეფციის გატარება ლიტერატურაში ნიშნავდა იმას, რომ იგი ქცეულიყო მხატვრული ფორმებით „მოაზროვნე“ იდეოლოგიად, რაც რიგ შემთხვევაში ასეც მოხდა.

ასეთი ვითარება ამძიმებდა და გაუსაძლისს ხდიდა მრავალი მწერლის მდგომარეობას. უპირველეს ყოვლისა, ისჯებოდნენ ისინი, რომლებიც ვერ ერგებოდნენ ოფიციალური მოთხოვნებს. საშინელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის თავისუფლად მოაზროვნე მწერლები, რომლებიც დაადგნენ კომპრომისის გზას. კომფორტულად გრძნობდნენ თავს მხოლოდ ჭეშმარიტი სოცრეალისტები, რომლებსაც ეჭვი არ ეპარებოდათ პარტიის ხაზის სისწორესა და სამართლიანობაში. მათში კომუნისტური პარტიის რწმენა რელიგიური რწმენის დონემდე იყო აყვანილი. სოცრეალიზმის ცნობილი დასავლელი მკვლევრის, სიმონის შენიშვნით, „შუა საუკუნეების ეკლესიის მსგავსად, საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტია ქადაგებს ცხოვრების თავის მოდელს, რომელშიც პარტიის ჭეშმარიტი მორწმუნე ცხოვრობს აკვნიდან სამარემდე“ (Э. Дж. Симмонс, 2008). „პარტიის ჭეშმარიტი მორწმუნის“ მსგავსად ზოგ მწერალსაც ბრმად სჯეროდა და კომპარტიის იდეალებისა და, არა თუ კრიტიკულად, ეჭვითაც აღარ უყურებდა პარტიასა და მის მოთხოვნებს.

ამ ფაქტორის ზეგავლენით მრავალი პანეგირიკული ნაწარმოები დაიწერა ქართველი მწერლების მიერ, თუმცა, როგორც კი რეალობა შეიცვალა, მათი რადიკალურად განსხვავებული პოზიციის გამომხატველი ნაწარმოებებიც გამოჩნდა. აკაკი ბაქრაძემ ყურადღება მიაქცია ი. აბაშიძის ლავრენტი ბერიასადმი მიძღვნილ ორ ლექსს. ერთში ბერია საქართველოს გადამარჩენად არის მოაზრებული, მეორეში – საქართველოზე კაენის სულის აღმზევებლად (ბაქრაძე, 1990).

„უცებ ქალაქში ვნახე ბერია,

ქუჩა ნაბიჯით დინჯად გადასჭრა...

მე შემოვხედე ჩვენსკენ დარიალს,

ვთქვი – საქართველო უკვე გადარჩა“. (ირ. აბაშიძე, „ვლადიკავკაში“)

ეს სტრიქონები ბერიას ზეობის ეპოქაშია დაწერილი და საბჭოთა კონიუნქტურის დაღი აზის. ვიმედოვნებთ, მწერლის გულიდან ამოსული, მისი დამოკიდებულებისა და პოზიციის გამომხატველი სხვა სტრიქონებია. კერძოდ:

„შენ, შენ დაეცი იმ წელს
როცა საქართველოზე
კაენის სულის აღზევებამ
გადისრიალა“.

(ირ. აბაშიძე, „პაოლო იაშვილს“)

ეს ლექსი საბჭოური რეპრესიების ერთ-ერთი მსხვერპლის, პაოლო იაშვილის, სიკვდილის პოეტურ სურათს წარმოგვიჩენს. მისი შექმნის დროს პოლიტიკურ-იდეოლოგიური ვითარება ნაწილობრივ შეცვლილი იყო და ავტორს უკვე უშიშრად შეეძლო, ბერიას საქართველოში „მოდვაწობა“ კაენის სულის აღზევებისათვის შეედარებინა.

პოლიტიკური კონიუნქტურით დაწერილი ნაწარმოებები ხშირად აწვალეს თავად ავტორს და საკუთარი თავის რეაბილიტაციის გზებს აძებნიდნენ. 1925 წელს თავი მოიკლა სერგეი ესენინმა. ტიცინან ტაბიძემ გულწრფელად დაიტირა რუსი პოეტი. მან ლექსით „სერგეი ესენინს“ თავისი გულწრფელი სინანული გამოხატა შესანიშნავი პოეტისა და მეგობრის ტრაგიკული სიკვდილის გამო და, ამავდროულად, მის ბედში თავისი და თავისი მეგობრების ბედიც განჭვრიტა:

„ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს – სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს.“

ამ სამწუხარო ფაქტს და ტიცინანის ნაწარმოებს ბოლშევიკურ-კონიუნქტურული ლექსით „რამდენიმე სიტყვა ესენინს და სხვებს“ გამოუმართა კონსტანტინე ლორთქიფანიძე. „სხვებში,“ უპირველეს ყოვლისა, ტიცინან ტაბიძე მოიაზრებოდა:

„აჰა, ლექსიც დავიწყე, მამძიმებდა ფიქრები:
ღამე იყო და გული მოგონებით მიძგერდა,
შორს ქუჩიდან ფარანი, ფერმიხდილი, მიმქრალი,
როგორც თავი დამხრჩვალის ესენინის მიცქერდა.
მწუხარებამ შემიპყრო, მსურს გავძახო: მაენია
შენი უკანასკნელი ხულიგნობა, ესენინ!
განა ჩვენი ცხოვრება ისე ჩლუნგი რამეა,
სასიკვდილოდ თოკზე რომ გადმოჰკიდო კისერი?
თვითმკვლელობა რად გვინდა, მოვა დრო და მოვკვდებით.
პოეტებო, უმდერეთ ახალ ქვეყნის ალიონს,
სჯობს კისერზე გრიგალი მოვიხვიოთ თოკივით,
საწამლავის მაგიერ დავლიოთ ეს ცხოვრება“ (ლორთქიფანიძე, 1927)

თითქმის 50 წლის შემდეგ პოეტმა გამოაქვეყნა ლექსის ახალი ვარიანტი სათაურით „სერგეი ესენინს“:

„გამაღვიძა სიჩუმემ, ხმის გამცემი – არავინ,
დაილია სანთელი და ბუხარი გაცივდა...
ჩემი ფანჯრის პირდაპირ ეს ჩამქრალი ფარანი
ასე რამ დაამგვანა ჩამოხრჩობილ კაცის თავს.
ასე მწარედ არასდროს მე გული არ მტკენია,
ის მარყუჟი თითქოსდა მეც კისერზე მიჭერდეს...
ნუთუ ჩვენი ცხოვრება ისე მოსაწყენია,
შენისთანა ბულბული ბაღში არ გაგვიჩერდეს.
მამ, რა მოხდა იმ ღამეს, გული რად მოგვიკალი,
შენ არასდროს არ იყავ ლაჩარი და გამქცევი...
თოკი არა, – კისერზე მოვიხვიოთ გრიგალი,

რომ მგოსნებიც კვდებოდნენ, როგორც ჯარისკაცები.“ (ლორთქიფანიძე, 1978)

„ამ ლექსის ქვეშ დაწერის თარიღად 1926 წელი ზის. მაგრამ ეს ხომ ტყუილია. 1926 წელს კ. ლორთქიფანიძემ დაწერა პირველი ვარიანტი, რომელიც ძირითადად და არსებითად განსხვავდება ახალი ვარიანტისაგან განწყობილებით, დამოკიდებულებით, პათოსით, მიზანდასახულობით. რატომ გახდა მწერალი იძულებული, სიცრუე ეთქვა? ლექსის დაწერის ძველი თარიღის დატოვება და სრულიად ახალი ვარიანტის შექმნა ხომ იმას მოწმობს, რომ კ. ლორთქიფანიძე სინდისის ქენჯნას განიცდიდა იმ პირველი ვარიანტის გამო? არ შეიძლება, არ განეცადა, რამეთუ ლექსის პირველ ვარიანტში გადმოცემული დამოკიდებულება ესენინისადმი ნაკარნახევია არა ქართველი პოეტის უშუალო განცდით, არამედ კომპარტიის იმდროინდელი ლიტერატურული პოლიტიკით“, – წერს აკაკი ბაქრაძე (ბაქრაძე, 1990) და შეუძლებელია არ გაიზიარო მისი ეს მოსაზრება.

სოცრეალისტი მწერლების მხატვრული პროდუქციის ხარისხზე საკმაოდ უარყოფითად იმოქმედა საბჭოთა კავშირში არსებულმა ანაზღაურების სისტემამ, რომელიც დამოკიდებული იყო ნაწარმოების ხელნაწერის მოცულობაზე. დასავლეთში დამკვიდრებული იყო საავტორო ჰონორარის განსხვავებული სისტემა: კერძოდ, წიგნის გაყიდვიდან მიღებული ჰონორარის სისტემა). სსრკ-ში პოეტური ნაწარმოებების ავტორები ჰონორარს ნაწარმოებში სალექსო სტროფების რაოდენობის მიხედვით იღებდნენ, ხოლო პროზაში – გვერდების რაოდენობის, ე.წ. „ავტორის ფურცლის“ მიხედვით. „ავტორის ფურცელი“ ნორმალური ზომის წიგნის 16 გვერდის ეკვივალენტი იყო. ყოველი ჟანრისათვის ჰონორარი შესაბამისი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განისაზღვრებოდა. მაგალითად, ბელეტრისტიკის ერთი „საავტორო ფურცლის“ ტარიფი 150-დან 400 მანეთამდე მერყეობდა. იგი ნაშრომის ხარისხსა და კატეგორიაზე იყო დამოკიდებული და მას გამომცემელი განსაზღვრავდა. თუმცა, ტარიფს ადგენდნენ ავტორთან შეთანხმებით, რომელსაც უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა მისთვის მიუღებელ პირობებზე. განსაკუთრებით დიდი მოცულობის როგორც ახალი, ისე ხელახალი ბეჭდური გამომცემებისათვის ავტორებს დამატებითი ანაზღაურება ეძლეოდათ. მწერლები ხელოვნურადაც ცდილობდნენ ნაწარმოების მოცულობის გაზრდას, რომ დიდი ჰონორარი აეღოთ. შესაბამისად, იმატა სქელტანიანი რომანების, მოთხრობებისა თუ ვრცელი პოემების რაოდენობამ. ამ პერიოდში შექმნილი მრავალი სქელტანიანი რომანი არის დღლარქნილი და იდეოლოგიური ფორმალიზმით შეზღუდული. ავტორებს ახასიათებთ ნაწარმოების მოცულობის ზრდისაკენ გადამეტებული სწრაფვის ტენდენცია. ეს ეხება არა მარტო ცალკეულ ნაწარმოებებს, არამედ თემატურად ერთმანეთთან დაკავშირებულ რომანებსაც, რომელთაც ცალკე სახელწოდებები აქვთ და ერთიანდებიან ორტომეულების, ტრილოგიების, ტეტრალოგიების სახით (ბრაუნი, 1993)

წარმატებული საბჭოთა ავტორების შემოსავალი ლიტერატურული ჯილდოებითაც იზრდებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი სტალინის პრემია იყო, რომელიც 1941-1952 წ.წ. გაიცემოდა, ხოლო 1956 წლიდან იგი საბჭოთა სინამდვილისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანმა, ლენინის პრემიამ, შეცვალა, 1966 წლიდან კი სსრკ-ს სახელმწიფო პრემია დაწესდა. ავტორებს ეს პრემიები როგორც ახალგაშობილები ნაწარმოებებისათვის, ისე ლიტერატურული მოღვაწეობისათვისაც ეძლეოდათ. არსებობდა პირველი, მეორე, მესამე ხარისხის პრემიები. პრემიით დაჯილდოებულთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა. ლიტერატურული ჯილდოები ფინანსური წახალისების საკმაოდ სერიოზული ფორმაც იყო, მაგალითად, სტალინის პირველი ხარისხის პრემია 100.000 მანეთს შეადგენდა, ხოლო ლენინის პირველი ხარისხის პრემია – 10.000 მანეთს. რა თქმა უნდა, ეს პრემიები კიდევ უფრო „ღირებული“ იყო, ვიდრე დასახელებული თანხები, რადგან მათი მიღება წარმოადგენდა დიდ გამომცემლობებში შემდგომი დასტამბვის, მაღალი ანაზღაურების, სსრკ-ში შემავალი რესპუბლიკების ენაზე თარგმნის მყარ გარანტიას და ა.შ. (გიუნტერი, 1990).

აღსანიშნავია, რომ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ანტისაბჭოური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება ხდებოდა არა მხოლოდ ცალკეულ მწერალთა ნაწარმოებების საშუალებით, არამედ არატექსტური გზითაც. აღნიშნული ხერხის ძირითადი მატარებელი გახდა ფოლკლორი – ანეკდოტები, ხუმრობები, სიმღერები. აღნიშნულ ფენომენთან დაკავშირებით საინტერესოდ გვეჩვენება ცნობილი მკვლევრის, იური ბორევის მოსაზრება. თავის მონოგრაფიაში, რომელიც სოციალისტური რეალიზმის პრობლემებს ეხება, იგი აღნიშნავს, რომ ინტელიგენცია არასოდეს მიმართავდა ზეპირსიტყვიერებას; იგი წერდა რომანებს, ლექსებს, დღიურებს. თუმცა, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როდესაც საზოგადოებრივ ინსტიტუტებს სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას აიძულებდნენ, როდესაც ყველა და ყველაფერი მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა, ისიც კი საშიში აღმოჩნდა, რომ მწერალს „საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება საწერი ფურცლებისთვის გაენდო“ (ბორევი, 2008). სიმართლე უნდა თქმულიყო, მაგრამ რა გზით? სწორედ ასეთ პირობებში ინტელიგენციამ გამოიხატა ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის საშუალება, რომელიც ცენზურის კონტროლს არ ექვემდებარებოდა. ასე გაჩნდა **ინტელიგენტური ფოლკლორი**.

XX საუკუნის კულტურაში ჩამოყალიბდა მთელი პლასტი – ნაკლებადშესწავლილი და გარკვეულწილად, ნაკლებადცნობილი – რომელშიც საინტერესოდ აისახა XX საუკუნის საბჭოთა პოლიტიკური ცხოვრებისა და ხელოვნების განვითარების თავისებურებანი. ინტელიგენტური ფოლკლორის მთავარი გმირები ყველასათვის ცნობილი ადამიანები იყვნენ (პარტიული ლიდერები, მწერლები, პოპულარული მსახიობები და ა.შ.). რაც შეეხება თემატიკას, იგი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ქვემოთ მოვიტანთ ინტელიგენტური ფოლკლორის რამდენიმე ნიმუშს, რომელიც ტოტალიტარიზმის პირობებში შემოქმედებითი თავისუფლების თემას მიემართება:

საბჭოთა ხელოვნის შემოქმედებითი თავისუფლების შესახებ. კრემლში, დახურულ კონცერტზე, წარმატებით გამოვიდა ცნობილი მომღერალი ივან კოზლოვსკი. პარტიული ელიტა (რა თქმა უნდა, მეუღლეების თანხლებით), გარს შემოეხვია. ერთნი სთხოვეს: ამხანაგო კოზლოვსკი, იმდერეთ ლენსკის

არიოზო“; მეორენი: „გთხოვთ, შეგვისრულოთ რომანსი“. საუბარში ჩაერია სტალინი: „მეგობრებო, ამხანაგი კოზლოვსკი შემოქმედია და მან უნდა იმდეროს მხოლოდ ის, რაც სურს. მას კი სურს, რომ შეასრულოს რომანსი „Я помню чудное мгновенье“.

ბელოვანთა დაჯილდოების შესახებ. 30-იან წლებში სტალინმა მიიწვია კრემლში ოთხი ცნობილი რეჟისორი და ჰკითხა, თუ რა სჭირდებოდათ, რათა მათი შემოქმედებითი ნაყოფიერება ამაღლებულიყო. მიხაილ რომმა დაიჩვილა, რომ ის და მისი ავადმყოფი მეუღლე ერთოთახიან ბინაში ცხოვრობენ. „გექნებათ დიდი ბინა, ამხანაგო რომო“, – შეჰპირდა სტალინი. პუდოვკინმა თქვა, რომ იგი ქალაქგარეთ, სიმშვიდეში გაცილებით უკეთ მუშაობს. „გექნებათ აგარაკი, ამხანაგო პუდოვკინო“, – შეჰპირდა სტალინი. პირივემა დაიჩვილა, რომ დიდ დროს კარგავს თავის აგარაკზე მისასვლელად. „გექნებათ მანქანა, ამხანაგო პირივეო“, – შეჰპირდა სტალინი. ჯერი ალექსანდროვზე მიდგა. იგი უხერხულად შეიშმუშნა და ბელადს უთხრა, რომ ძალზე დიდი თხოვნა ჰქონდა: „მე მსურს საჩუქრად მივიღო თქვენი წიგნი „ლენინიზმის საკითხები“ ავტოგრაფით“. „მიიღებთ წიგნს ავტოგრაფით, ამხანაგო ალექსანდროვო“, – შეჰპირდა სტალინი. ბინა, აგარაკი და მანქანა ალექსანდროვმა წიგნთან ერთად მიიღო.

კომუნიზმში ცხოვრების შესახებ. 60-იან წლებში ხრუმოვმა საბჭოთა ხალხს ამცნო, რომ ოცი წლის შემდეგ ისინი კომუნიზმში იცხოვრებენ. ყველამ აიტაცა ეს თემა. აღნიშნულ პერიოდში ცნობილ მსახიობს, ალექსანდრა იაბლოჩკინას გადაუხადეს სასცენო მოღვაწეობის 75 წლისთავი. 80 წელს გადაცილებული ვეტერანი მსახიობი სამადლობელო სიტყვით გამოვიდა: „მე მჯერა, რომ ჩვენ მალე კომუნიზმში ვიცხოვრებთ: აღარ იქნება რიგები; ყველაფერი თავზე საყრელად გვექნება: პროდუქტები, ტანსაცმელი... საზღვარგარეთაც ვივლით დასასვენებლად.. მოკლედ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც დიდი იმპერატორის, ნიკოლოზის დროს იყო“.

მწერალთა დაჯილდოების შესახებ. პოსკრებიშევი სტალინს მოახსენებს, რომ მწერალმა ლეონიძემ მას ახალი პოემა მიუძღვნა. „როგორია ლეონიძის საცხოვრებელი პირობები?“ – დაინტერესდა ბელადი. თანაშემწემ მოახსენა, რომ მწერალს აქვს კარგი ბინა თბილისის ცენტრში და აგარაკიც. „მანქანა თუ ჰყავს?“ – კითხულობს ბელადი. პოსკრებიშევი უდასტურებს, რომ მწერალს მანქანაც ჰყავს. „მასხოვს, რომ ლენინის ორდენითაც დავაჯილდოვებთ, - აგრძელებს ბელადი. პოსკრებიშევი უდასტურებს. სტალინი გაოცებული შლის ხელებს; „აბა, რაღა უნდა?“

ზემოთ მოტანილი მასალა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ტოტალიტარული წნეხის ქვეშ მყოფი საბჭოთა მწერლების უმეტესობა ცდილობდა, მათი ნაწარმოებების თემატიკა და იდეოლოგიური მიზანმიმართულება სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო კომუნისტური პარტიის მოთხოვნებთან, ოფიციალურად მიღებულ და გაზიარებულ შეხედულებებთან, თუმცა მწერალთა ერთი ნაწილი ვერ ეპუებოდა შექმნილ ვითარებას და ყველა გზით (მათ შორის, არატექსტური გზითაც), ახერხებდა არსებული რეჟიმის მხილებას და შემოქმედებითი თავისუფლების პრინციპის შენარჩუნებას.

ლიტერატურა:

1. აბაშიძე გ., უსათაურო, ლექსები, თბილისი, 1974.
2. ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბილისი, 1990.
3. ლორთქიფანიძე კ., პირველის შემდეგ (ლექსები), ტფილისი, 1927.
4. ლორთქიფანიძე კ., სერგეი ესენინს //ლიტერატურული საქართველო, 1978, 6 ოქტომბერი.
5. Боров Ю., Социалистический реализм: взгляд современника и современный взгляд., М., 2008.
6. Симмонс Э. Дж., Политический контроль и советская литература (Политическая лингвистика. – Вып. 1 (24). – Екатеринбург. 2008
7. Braun, Deming. Soviet Russian Literature since Stalin. Cambridge University. 1993.
8. Günther, Hans. The Culture of the Stalin Period. New York: St. Martin's Press. 1990.

TOTALITARIANISM AND CREATIVE FREEDOM: THE SOVIET MODEL

Nana Gaprindashvili, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

Nino Tsereteli, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

RESUME

In terms of the Soviet totalitarianism the success of writers and some of their works strongly depended on official criticism and party workers' likes and dislikes. If any party official or critic equipped with communist ideology or literary critic rejected a piece of art as not comprehensible for people, this work wouldn't be published and if it had already been published it would be "imprisoned", i.e. be placed in special book storages which as it was generally recognized fulfilled the same function as *Gulag* did for people with opposite views. Thus, the conduction of Bolsheviks

ideological and aesthetic conception in literature meant that it was to be turned into the “thinking” ideology by artistic forms which in a number of cases happened so.

მითოსური წარმოდგენები სიკვდილისა და საიქიოს შესახებ გოდერძი ჩოხელის მოთხრობების მიხედვით

ანა დათუაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

ადამიანი საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა და თანდათან შორდებოდა იმ სიბრძნეს, რასაც მითოლოგია ეწოდება. მითოლოგია ბუნების კანონთა შესახებ ადამიანის ქვეცნობიერი ლოგიკით შექმნილი გამონაგონია, ის რაც გაუცნობიერებლად, მაგრამ ძალიან სწორად გადმოსცემს კოსმოსის განვითარების კანონებს. კაცობრიობამ განვითარების მანძილზე მრავალჯერ უწოდა მითს გამონაგონი და ჩაანაცვლა იგი მეცნიერებით, რომელიც ასევე სწავლობს სამყაროში არსებული წესრიგის კანონზომიერებას. საბოლოო ჯამში თავად მეცნიერებაც მითოლოგიურია, რადგან გვიწევს დავიჯეროთ ის, რაც ჩვენ თვითონ არასოდეს გვინახავს და მხოლოდ მეცნიერებისათვისაა ხელმისაწვდომი, ისინი, როგორც უძველესი ქურუმები ფლობენ ჩვენთვის უცხო ცოდნას და ამ ცოდნის საფუძველზე მოითხოვენ ვირწმუნოთ მათი ცოდნის ჭეშმარიტება (მაგალითად დარვინი, კოპერნიკი, ფროიდი, ნიუტონი და სხვ) აქედან გამომდინარე მეცნიერება თითქოს გასცდა პირველყოფილ მითოლოგიას, მაგრამ თავად შექმნა ახალი.

მითოლოგია ყოველთვის იყო საინტერესო სფერო ხელოვნებისა და განსაკუთრებით ლიტერატურის მსახურთათვის, მრავალი მხატვრული ნაწარმოები შექმნილა მითის საფუძველზე, მწერლებისათვის საინტერესო იყო როგორც კლასიკური, ისე მეცნიერული და მომავლის მითოლოგია.... მწერალს, რომელიც მითს მიმართავს, შეუძლია შექმნას მითის ახალი ინტერპრეტაცია, მაგრამ არა აქვს უფლება შეცვალოს მისი ძირითადი არსი.

მეოცე საუკუნის მეცნიერული აღმავლობის, ახალი აღმოჩენების ფონზე მწერლობამ გადაწყვიტა საწყისს ჩაღრმავებოდა და ასე შეემეცნებინა ადამიანის სიცოცხლის ნამდვილი არსი, ადამიანმა შეძლო მთვარეზე დაჯდომა, ატომის გახლეჩა, ტელევიზიის გამოგონება, მაგრამ ის მაინც მოკვდავი დარჩა ანუ უძლური ბუნების კანონთა წინაშე, მთავარი - საკუთარი სიცოცხლის მართვა, სიბერისა და სიკვდილის შეჩერება ვერ შეძლო და აქ კიდევ დაიბადა უამრავი კითხვა: მაინც რა არის ადამიანის სიკვდილი - სიცოცხლის მთავარი აზრი, რა არის სიკვდილი და რანი ვიქნებით სიკვდილის შემდეგ? ყველა ამ კითხვაზე მეცნიერებამ ვერ შეძლო პასუხის გაცემა და სწორედ ამიტომ ფილოსოფია და მწერლობა ისევ პირველ საწყისში იწყებენ პასუხის ძიებას.

გოდერძი ჩოხელი ერთ-ერთი გამორჩეულია მათ შორის, ვისაც ამდენი უფიქრია სიკვდილსა და მის შემდგომ არსებობაზე, მის შემოქმედებაში, ისევე როგორც ვაჟა-ფშაველასთან, მითისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება იგრძნობა. ჩოხელის მოთხრობების ფესვი ღრმადაა ჩასული საკუთარი ხალხის მითოლოგიურ წარმოდგენებში, რომელნიც ასე აღრეულან ქრისტიანულ და წარმართულ რელიგიათა შორის და კიდევ უფრო დიდ სიღრმეებს სწვდებიან.

მაინც რა არის სიკვდილი? ანტიკური მითოლოგიის თანახმად, სიკვდილს ადამიანის სახე აქვს და ადამიანთა შორის თამამად მოძრაობს, გოდერძი ჩოხელის სიკვდილიც ადამიანთა შორისაა. მას უყვარს ადამიანები და მხოლოდ ბედისწერას ემორჩილება, ის ხან ერთია (ადამიანთა სევდა) ხან რამდენიმე (სულეთის კაცები „სულეთის კიდობანი“). სიკვდილი ისევე, როგორც ვაჟასთან მთავარ უბედურებას არ წარმოადგენს, რადგან ბუნების წესია. გოდერძი ჩოხელთან ადამიანის გარდაცვალება სევდიანი ამბავია, თუმცა არც სიცოცხლეა ნაკლებად სევდიანი, სიკვდილი გაშინაურებულია ჩოხელის მოთხრობებში, ადამიანები სიკვდილს ისევე სცემენ პატივს, როგორც სიცოცხლეს, და მიაჩნიათ, რომ ადამიანთა სევდის მიუხედავად სულელები საიქიოში უკეთ არიან, ვიდრე სააქაოში: „იცი რა ლამაზია სულეთის ქვეყანა, იცი რა კარგად არიან ჩვენები, დედაც ვნახე, მამაც, ჩემი პატარა ძმაც, პაპაჩემიც, აღარ მინდოდა იქიდან წამოსვლა“ („სულეთის კიდობანი“, 4-132), „სული? სული არ დაიკარგება. ხორცს გაეყრება და სიზმარივით იქნება. სულ სიზმარივით იქნება, ცხონებული ვინც არის სულ ნათელში იქნება, ბოროტებს სხო ადგილი ექნებათ.“ („ადამიანთა სევდა“ 2-467)

სიკვდილი გარდაუვალია, ჩოხელის გმირები უბრალო ხალხია, მაგრამ სიკვდილისადმი ფრიად ფილოსოფიური დამოკიდებულება აქვთ, ისინი შეგუებულნი არიან, რომ ადამიანი მოკვდავია და ამიტომ არ ეშინათ სიკვდილის, რომელიც მათ ძალიან ლამაზი სახით ეცხადება, ისინი ქვეცნობიერის ძალით სწორად სჭვრეტენ სიკვდილის აუცილებლობას, „სულეთის კიდობანში“ დედა-შვილის გაყრას სულეთის კაცები ესწრებიან, დედა აცნობიერებს რა სიკვდილის გარდაუვალობას, შვილს დასტირის და სულეთის კაცებს აბარებს: „წადი დედაო, გაჰყევი ნურაცა შეგაშინებს, ნუმც დამილონდები, მალე დამც შეყრები შენს სწორთ. უდედობით ნუ იტირებ, მაინც არ გწირავენ; მე დამითხოვიხარ, ჩამიბარებიხარ სულეთის კაცთათვის“ (4-129) სულეთის ღმერთს აბარებს დედა შვილის ნათელში ყოფნას და სჯერა, რომ ეს ნამდვილად ასე იქნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მთიანეთის წარმართული წარმოდგენების მიხედვით წმინდა გიორგის ორი სახე ჰქონდა და ის იყო სააქაოს და საიქიოს ღმერთიც, მაშინ ადვილი მისახვედრია, რატომ უყვარდათ ჩოხელის გმირებს სიკვდილიც ისევე, როგორც სიცოცხლე. „წარმართული მითოლოგიისა და რელიგიისათვის ღვთაებათა ორპირიანობა ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც ჩანს წარმართული წმინდა გიორგიც ორი ჰიპოსტასის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ქართული ფოლკლორი იცნობს როგორც თეთრ გიორგის, ისე ჯოჯოხეთის წმინდა გიორგისა და უმზეურ გიორგის“ (აკაკი ბაქრაძე „ფიქრი და განსჯა“ 8 - 103/104)

ამიტომაც მოთხრობაში „ადამიანთა სევდა“ გოდერძი ჩოხელის სიკვდილი ლამაზია და კეთილი, ის ისევე სევდიანია ადამიანთა მოკვდინების გამო, როგორც თავად ადამიანები სიკვდილთან შეხვედრისას: „იცი რა დედი მე კი არ გკლავთ, თვითონ ვკვდები თქვენში, თვითონ ვიტანჯები სულის გაყრისას, მე ვასრულებ იმას რაც უნდა მოხდეს, და ყოველთვის ხდება ის რაც მოსახდენია“ („ადამიანთა სევდა“, 2-528). სიკვდილი ბედისწერას ისევე ემორჩილება, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი, ქრისტიანული რელიგია არ სცნობს ბედისწერას, ბედისწერა განსაზღვრავდა ადამიანებისა და ღმერთების ბედ-იღბალს ანტიკურ მითოლოგიაში, ბედისწერის ქალღმერთები განსაზღვრავდნენ ადამიანის ბედს და სიკვდილიც ამ განსაზღვრების ნაწილი იყო, სწორედ ასე წუხს და თავად ასაფლავებს სარპედონის ცხედარს „ილიადაში“ თანატოსი. ჩოხელის უბრალო ადამიანებს გათავისებული აქვთ მარტივი ჭეშმარიტება, სიკვდილი გარდაუვალი და თან აუცილებელი მოვლენაა ადამიანთა სიცოცხლისა, უკეთესი გაგრძელება სააქაო ცხოვრებისათვის. ადამიანისათვის სააქაო ცხოვრება მოსამზადებელი პერიოდია უფრო დიდი და ლამაზი სიცოცხლისათვის.

„ - სიკვდილისა გეშინია?

- რატო მეშინია?

- რატომ არა?

- იმიტომ რომა სიკვდილი ვალაია, უნდა მაიხადოს კაცმა თავისი ვალი.“ („ადამიანთა სევდა“ 2-477)

ანტიკური მითოლოგია ასევე არ წარმოაჩენს სიკვდილს უბედურებად, რადგან არსებობს მესამე სკნელი, უკანა-სკნელი, სადაც ადამიანები მიდიან გარდაცვალების შემდეგ, იქ მოგზაურობა და უკან დაბრუნებაც შეიძლება, მითოლოგიური გმირები ხშირად მოგზაურობენ საიქიოში თადეოზივით და უკანაც ბრუნდებიან, ჩოხელის გმირებს სიკვდილის არ ეშინათ სწორედ იმ ღრმა რწმენიდან და ქვეცნობიერი ცოდნიდან გამომდინარე, რომელიც უტყუარად წარმოაჩენს საიქიოს არსებობას.

საიქიოს მითოლოგიური სახე აქვს გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში, ქრისტიანული წარმოდგენებისაგან განსხვავებით სჭარბობს წარმართული და ანტიკური მითოლოგიური წარმოდგენები საიქიოს შესახებ, მითის კანონებით საიქიო დედამიწისა და წყლის შეერთების ადგილასაა ანუ წყლისა და მიწის შუა არსებული სივრცეა, საიქიოში მოსახვედრად აუცილებლად უნდა გადაიარო მდინარე... მაგალითად ანტიკურ მითოლოგიაში გოდების მდინარე აქერონის შემდეგ ქარონს სულეები დავიწყების მდინარეზე გადაჰყავდა და ასე ხვდებოდა ამქვეყნიური დარდებისაგან თავისუფალი ადამიანი საიქიოში. „სად არის სულეთის ქვეყანა ბებო? -ხმელეთი რომ გათავდება, ცის ნაპირი რომ გათავდება, იქ არის სულეთი.“ („სულეთის კიდობანი“, 2-131)

მითოლოგიურ კანონიკაში წყალი საიქიოს ნიშანია და სწორედ ამიტომ ზის გამიხარდაი წყალში, როგორც განსაწმენდელში და შემდეგ არაგვს მიაქვს უკვე სულეთის ქვეყანაში, დარდების შემგროვებელიც არაგვმა წაიღო თავის დარდებიანად, აქაც ისევ დავიწყების მდინარის მითის იმპროვიზაცია ხდება. დარდებს ჩაჩაი ვერ მოერევა და ამიტომ შთანთქვას დავიწყების მდინარე, რათა დამშვიდებული მოხვდეს საიქიოში.

„ - წაილო.- თქვა გამიხარდაიმ.

- რა წაილო, აღარ იტყვი?

- თქვენი დარდი.

- ვინ წაილო?

- არაგვმა.

- სად წაილო?

- სადა და სადაც უნდა დადგეს რაც მე მადარდებდა.
- ვერაფერი გავიგეთ შენი
- არ ჩაგიხედათ დამდგარ წყალში?
- ჩაგვიხედა
- დაგინახავთ რამე?
- მთები, ჩვენი თავი.
- წალმა?
- უკულმა.“ („ნაწილიანი“, 2-97)

მითის კიდევ ერთი პასაჟი ადამიანის ცოცხლად ცაზე დასახლებაა, ანტიკურ მითოლოგიაში გმირებს ღმერთები ხშირად ასახლებდნენ ცის კაბადონზე, ასე აიტაცა მთვარემ ჩალი გულში ჩაიკრა და მგლებისაგან გადაარჩინა, მას შემდეგ დაკვირვებულ თვალს მთვარესთან ჩახუტებული ბიჭის დანახვა შეუძლია, ეს გარდაცვალების ერთგვარი სახეცვლილებაა, თანაც, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ნახსენებ ორბუნებოვნებას, მთვარის ღმერთად ხომ ზეციურ წმინდა გიორგის მიიჩნევს წარმართული მითოლოგია.

სიკვდილის მოკვდინება, ეს ისტორია ჰგავს ბერძნულ მითს სიზიფეს მიერ სიკვდილის ღრმერთის თანატოსის დამარცხებისა და დაპატიმრების შესახებ, სიზიფემ ქვესკნელში ჩაკეტა სიკვდილის ღმერთი, რის შემდეგაც აღარავინ კვდებოდა, ამის შემდეგ ზევსს დასჭირდა არესის დახმარება, რათა გამოეხსნა სიკვდილი ტყვეობიდან.

ასევე საინტერესოა პასაჟი მზის ამოსვლისა სიკვდილის საფლავიდან, მოთხრობაში, ადამიანთა სევდა“. მზე იესო ქრისტეს სიმბოლოა ქართულ პანთეონში, და სიმბოლურად გარდაცვლილ და მკვდრეთით აღმდგარ ღმერთს ნიშნავს, ასევე ამოდიოდა ყოველდღე საიქიოდან ოზირისი, ჰელიოსი, რა, მსოფლიო ხალხთა მითოლოგიაში მზის ამოსვლა საიქიოდან განასახიერებდა ღმერთის აღდგომას, ბუნების კანონზომიერებას გარდაცვალებისა და დაბადების შესახებ.

და მაინც რა არის სიკვდილი და რა არის სიკვდილის შემდეგ, ამ კითხვას გოდერძი ჩოხელმა „ადამიანთა სევდაში“ ისევ სიკვდილის სიტყვებით უპასუხა: „უჩემოდ გაგიჭირდებათ სიცოცხლე, აღარც სიყვარული გექნებათ და აღარც სიხარული...“

„- მერე სად მიგყავართ ხოლმე შვილო?

- მაგის თქმა არ შემიძლია დედი“ („ადამიანთა სევდა“ 2- 528)

სიკვდილი აუცილებელი გაგრძელებაა სიცოცხლის, რადგან უიმისოდ არაფერს ექნებოდა ფასი, ხოლო რა ხდება სიკვდილის შემდეგ, ამაზე მსოფლიო მითოსი ერთი და იმავე აზრისაა. არა აქვს მნიშვნელობა რა ერქმევა, საიქიო, ჰადესი, ვალჰალა... სული არ შეიძლება გაქრეს, ის ემსგავსება სიზმარს და ოდესმე აუცილებლად ცხადად გარდაიქმნება.

„- სული როგორია?

- სული ისეთია რო, ხან როგორ მოეჩვენება კაცსა, ხან როგორა. ხან იქ წავა, სული, ხან იქ. აი, სიზმარში როგორ მოეჩვენებაკე კაცსა.

- სიზმარში?

- ჰო, სიზმარს აკი ვნახავთკეა და სულიც ეგე არის, დადის არი არედ, დადის..

- სუ მუდამ იქნება ის სული?

- იმასაც დრო ექნება, წავა მერე და სუ დაიკარგება, სუყველას თავის დრო აქვს.

- არაფრად გადაიქცევა?

- ჰო, არაფრად. მერე არაფერი ისევ რამედ მაიქცევა და ესე.

- შენ არ გეჩვენება, რომ ხშირად ამ ცხოვრებას ვიმეორებთ?

- როგორ თუ ვიმეორებთ?!

- აი, მაგალითად, რაღაცას რომ ვაკეთებთ, გვეჩვენება, თითქოს ეს როდისღაც უკვე გავგიკეთებია?

- ჰო, როგორ არა.“ („ადამიანთა სევდა“, 2)

მითის ლოგიკა გვეუბნება, რომ: 1) სიკვდილი გარდაუვალია; 2) სიკვდილი უბედურება არაა; 3) სიკვდილი ხანდახან შეიძლება იყოს სიკეთე; 4) სული არ იკარგება.

ამ ლოგიკას მისდევს ზუსტად გოდერძი ჩოხელის მითოპოეტური ხედვა, რომელიც გვეუბნება, რომ ადამიანის სიცოცხლის მთავარი არსი სიკვდილზე შიში და დარდი კი არ არის, არამედ სიკვდილთან ღირსეული შეხვედრაა.

ლიტერატურა:

1. გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ სამეცნიერო შრომები, თბ., 2012.
2. გ. ჩოხელი, „თევზის წერილები“, თბ., 1989.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოზარდის ჩამოყალიბება-ფორმირებაში უდიდეს როლს თამაშობს ოჯახი, განსაკუთრებით – დედა.

ალექსანდრე ორბელიანმა ყურადღება მიაქცია ოჯახის როლს მოზარდის აღზრდაში. წინათ ბავშვები ოჯახში იღებდნენ კარგ აღზრდას, იქ ითვისებდნენ საუკეთესო ჩვევებს, რაც მერე ცხოვრებაში საგზაოდ მიჰყვებოდათ ხოლმე. ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩემი შეცდომები ანუ ჩემი ცოდვანი“ ალექსანდრე ორბელიანი იგონებს, თუ როგორ იზრდებოდა თვითონ იგი ოჯახში: „ისე უმანკოთ და წმინდათ მზრდიდნენ, რომ არც ყურით რამ ცუდი არ უნდა გამეგონა და არც თვალით ცუდი მენახა რამე, ეს არის ჩვენი გაზრდილობა, ჩვენი საუკეთესო სახლის შვილებისა“ (ორბელიანი, S-1656). აქვე იმასაც ვიგებთ, რომ სიწმინდეს, უმანკობას, ზნეობრიობას, არსებით მნიშვნელობას ანიჭებდნენ აღზრდაში როგორც თავადები, ასევე გლეხებიც. ამის შედეგი იყო, „მთელი საქართველო რომ შემოეარათ, ერთს „შეგარცხვინოს“ ვერ გაიგონებდნენ, არამცთუ ლანძღვა ან გინება გაეგონათ ერთმანეთში. ახლა შემოვიდა ამ რუსების დროსა, თორემ უწინ სად გაიგონებოდა უშვერი სიტყვა საქართველოში, სადაც წმინდა სახარების ზნეობისა ქცევა იყო ხოლმე, უწინ ჩვენში და მიზღვედნენ სდმთო წერილისა დარიგებას, ყოვლის თავის სიმართლითა“ (ორბელიანი, S-1656). ყოველგვარი სიკეთე და ბედნიერება, ყველაფერი კარგი, ალექსანდრე ორბელიანის აზრით, სათავეს იღებს სახარებიდან. სწორედ ღვთისმოსაობა, სარწმუნოების უსაზღვრო სიყვარული განაპირობებდა იმას, რომ მაშინდელი კაცებისა და ქალების „გული სიწრფელით სავსე იყო“. თავის ერთ ბოლოდროინდელ თხზულებაში „ ჩვენი ძველი სახლეულობანი“ ავტორი კიდევ ერთხელ აღნიშნავს ძველი დროის უპირატესობას ახალთან შედარებით და ყველაფერი ეს კვლავ დაკავშირებულია ქრისტიანობასთან. „კარგი, ძალიან კარგი ეს იყო, რომ სულ სიმართლეს მისდევდნენ და წმინდა სახარების რიგსა. სარწმუნოების განუსაზღვრელი სიყვარული, წრფელი უმანკოების სიმართლე, მშობელი მამულის თავდადებით ერთგულება, თავიანთ სახლეულობაში მშვიდობის მყოფელობა, სიყვარული თავის სახლის პატრონისა და დასასრულ, წმინდა სახარების წესი. ჩვენი უწინდელი ზნეობა აი ამაზე იყო შედგენილი“ („ქართული პროზა“, 1984).

ალექსანდრე ორბელიანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა არისტოკრატიული წრის ბევრ ოჯახთან და აი, მრავალი ნაცნობი ოჯახიდან სანიმუშოდ იღებს ერთს და იმის მიხედვით წარმოდგენას გვიქმნის საერთოდ ძველ ქართულ სახლეულობაზე. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრებსა და სტუმრებს საუბარში „ერთი ბეწვა უზრდელი სიტყვა არ გაურევიათ. არც ხმამაღალი ლაპარაკი ყოფილა, თვინიერ დამშვიდებულის ზრდილობიანის საუბრისა.“

ვინ ან რა იყო მიზეზი, სათავე ასეთი უმანკო, ზრდილობიანი ქცევისა? ალექსანდრე ორბელიანის რწმენით, შინაური, ოჯახური წესიერი აღზრდა, რომლის წარმმართველი და ხელმძღვანელი ქალი, დედა გახლავთ. ძველ ქართველ დედაკაცებზე, იმათ ზნე-ხასიათზე საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ავტორი. „მე, – წერს ალექსანდრე ორბელიანი, – ძველი დედაკაცების ხელში ვარ დაბადებული, იმათ ხელში გაზრდილი და მინამ ორმოცდაათხის წლისა შევსრულდებოდი, სულ იმათთან ვიყავი, თუ ოდესმე გარემოება არ განმამორებდა. მაშ, მგონია ამდონი დრო ჩემთვის საკმაოა, რომ მე ისინი ძალიან კარგად მეცნა, მით უმეტესად, რომ იმათ ყოფა-ცხოვრებას ვიკვლევდი და ვსწავლობდი, ამიტომ რომ დიდად მომწონდა“. სადავო არაა, მწერალს აქ მხედველობაში ჰყავს, უპირველესად, საკუთარი დედა და მასთან ახლო მყოფი მანდილოსნები – თეკლა ბატონიშვილის დები, რძლები და სხვანი. მამასადაამე, ალექსანდრე ორბელიანი გვესაუბრება ისეთ საკითხებზე, რომლებიც მისთვის ზედმიწევნით ნაცნობი და მშობლიურია. ამიტომაცაა მწერლის ნათქვამი ესოდენ დამაჯერებელი და ანგარიშგასაწევი. ახლა თვითონ ალექსანდრე ორბელიანს მოვუსმინოთ: „იმ ჩვენს ძველს დედაკაცებს ჯერ ყმაწვილობაში სადმთო წერილს ასწავლიდნენ, კერვა-ხელსაქმეს და მასუკან საერო წიგნებს, ანუ ხელწერილებს (ე.ი. – ხელნაწერებს) აკითხებდნენ; ამასთან კარგ ზნეობას, კარგს თვისებას ასწავლიდნენ; შემდეგ ქცევას, მიმოხვრას, თავის უმანკოების სიწრფელის სიმართლითა, თან ცდილობდნენ იმათ ყოველი წმინდა და პატიოსანი ხასიათი ჩაეწვეათ, თავის მოთმინებით იმათ ბუნებაში; დაბოლოს, როდესაც დრო მოვიდოდა, გაათხოვებდნენ – და ეს ხასიათები ქალს განმად და საუნჯედ გაჰყვებოდა თავის ქმრისა და იმის სახლის გასაბედნიერებლად. იმათში თავის დღეში ჭორი არ ითქმოდა, თორემ ტყუილი და სიცრუე როგორ შეიძლებოდა, როგორც ეხლა ჩვენში გაადვილებულია, – ნამეტნავად უმანკოთა და მართებულების მოთხრა ბევრი არის ეხლა“ („ქართული პროზა“, 1984).

აქ კარგადაა აღწერილი, თუ როგორ იზრდებოდნენ ოჯახებში მომავალი დედები. სწორედ ასეთი აღზრდა განაპირობებდა იმ ძველი ოჯახების მორალურ-ზნეობრივ სიმტკიცეს. ბავშვობიდანვე საუკეთესო ადამიანურ თვისებებს უნერგავდნენ ოჯახებში, ცხადია, არა მხოლოდ ქალებს, არამედ ვაჟებსაც. მათაც, უპირველესად, საკუთარი მაგალითით ზრდიდნენ, თანაც ისე, რომ თანაბარი ყურადღება ექცეოდა როგორც ფიზიკურ და გონებრივ, ისე სულიერ განვითარებასაც. „ჩვენმა მამებმა იცოდნენ, თავის პატარა შვილებს შვიდის ანუ რვისა და ანუ მეტნაკლების წლისას თავის შუაში დაგვსახამდნენ, თავის სახლში დედმამანი და ყოველს შეყრილობაშიც, რომ კარგათ გაიგონეთ და კარგათ დაისწავლეთ რასაც

ვლამარაკობთო,“ – იგონებს ალექსანდრე ორბელიანი. უფროსთა ყურის გდებით სწავლობდნენ ყმაწვილები მშობლიურ ენას, მამულის სიყვარულს, კეთილ ზნეობას, სიწმინდეს, პატიოსნებას.

ალექსანდრე ორბელიანს ბავშვის ფსიქოლოგია კარგად ესმის. ახალგაზრდის, ყრმის, ჯერაც უწვრთნელი ყმაწვილის გულისყური უფრო სავნებლის, უმსგავსობისკენ არის მიქცეული. ოსტატს (მწვრთნელს, მზრდელს) ევალება, სწორი მიმართულება მისცეს აღსაზრდელის გონებას. „მინამ სრული წლოვანი არ შეიქმნას, მინამ ხელიდგან გასაშვები არ არის“ (ორბელიანი, S-1634). ძველად ქართულ ოჯახებში სწორედ ამრიგად ზრდიდნენ ბავშვებს. ასე რომ, ალექსანდრე ორბელიანის ეს თეორიული მოსაზრება გამომდინარეობს სინამდვილის, რეალობის ანალიზიდან, ოჯახებში აღზრდის წესზე დაკვირვებიდან და ამდენად უაღრესად საინტერესო და საყურადღებოა.

მწერლის არქივში შემონახულია მცირე მოცულობის დამრიგებლობითი ხასიათის თხზულება „კმაყოფილების წადილი და ვნების სურვილი“, რომელშიც ავტორი სავსებით ნათლად და მკაფიოდ გამოთქვამს თავის აზრს ადამიანის ქცევის მოტივების შესახებ. „უკეთუ კმაყოფილების წადილით მოქმედებს ანუ საქმობს კაცი, იგი დიდ სიტკბოებასა შინა იქნება: ვითარცა სულით, ეგრეთვე ხორცითა, და სასიცოცხლოდ თვისად რავდენ რიგად ინუგეშებს და რავდენ კაცსა გამოიხსნის შეწუხებისაგან, გარდა ამისა რავდენ ნეტრებას მიიღებს მისი სული და ვითარის განსვენებით დაიძინებს! მხოლოდ გრძნობით უნდა მივხედეთ ეგრეთი კაცი ვითარი ზედნიერი იქნება თავისა თვისისა! თორემ ენა ვერ გამოთქომს სრულად!“ (ორბელიანი, S-1634)

კმაყოფილების წადილს ნაწარმოებში უპირისპირდება ვნების სურვილი. ყოველგვარი ბოროტება ტანჯავს ადამიანს, მის სულს წუხილი არ მოაკლდება. „ვნების სურვილიდან წარმოდგება, – უზომო პატივის მოყვარულობა! – უზომო მედიდურობა! – და უზომო შური! – უბედურნი, გაჭირვებულნი, გლახაკნი და შეწუხებულნი მისთვის არაფერია, ოღონდ თვითონ იყოს და არა სხვა ვინმე“ (ორბელიანი). ზედნიერებას, სიხარულსა და კმაყოფილებას განიცდის ის, ვინც სიკეთეს უანგაროდ აკეთებს. ოღონდ ამ გრძნობასაც სხვისთვის სიკეთის კეთებისგან სიამოვნების მიღებას) სწავლება, ზრდა, წვრთნა და განვითარება სჭირდება და ადამიანი მას, ჩვეულებრივ, ოჯახში ითვისებს.

საგანგებოდ წარმოაჩინა მოზარდის აღზრდაში ოჯახის როლი ლავრენტი არდაზიანმაძე, რომელმაც 1863 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდა რომანი „მორჩილი“. ამ დროს უკვე გამოქვეყნებული იყო ილიას „ქართველის დედას“. თითქოს ილიას ამ ღაღადისს ეხმაურება ლავრენტი არდაზიანი.

„მორჩილში“ არ არის ნაჩვენები უშუალოდ აღზრდის პროცესი, მოქმედი პირები ზრდასრული ადამიანები არიან, მაგრამ სწორედ მათი (ორი ოჯახის) დაპირისპირებით გვიჩვენებს ავტორი, რომ ორ ახალგაზრდას (ალექსანდრასა და თეიმურაზს) სხვადასხვაგვარი, ურთიერთსაწინააღმდეგო აღზრდა და განათლება მიუღია. ლავრენტი არდაზიანს სურს გვაჩვენოს, რომ „თუ ნაყოფი არ ვარგა, ეტყობა, თვითონაც ხე არ ვარგებულა“ (დ. გამეზარდაშვილი, 1953). ამის საილუსტრაციოდ ნაწარმოებში ნაჩვენებია თეიმურაზი და მისი ოჯახი. ერთი ახალგაზრდა ქალი, ბარბარე, თეიმურაზზე ამბობს: „მე მოგახსენებთ იმის მაღალ სიციტეს, რომელიც არის ნაყოფი უსწავლელობის“ (ლ. არდაზიანი, 1936). ამკარაა, ოჯახში არავის უზრუნია ბავშვის აღზრდისა და სწავლებისათვის. დაცინვად გაისმის თეიმურაზის სიტყვები: „განათლებული დრო გვაქვს, ბატონო დედიდა, სირცხვილიც არის, განათლებას არ მიყვებს კაცი!“ თვითონ თეიმურაზი გიმნაზიის მესამე თუ მეოთხე კლასიდან გამოსულა და თავის გასამართლებლად ასე მსჯელობს: „რა საჭიროა, კურსის დასრულება, წიგნებში ყველა სწერია, წიგნს წავიკითხავ და ყოველივე ვიცი.“ წიგნებთან და კითხვასთან დაკავშირებით კი ჭეშმარიტად თათქარიძისეული დამოკიდებულება აქვს. ჭკვიან და განათლებულ ქალებთან საუბრისას თავმოებზრებული თეიმურაზი გულწრფელად წამოიძახებს: „ლიტერატურა ღმერთმა დასწყევლოს, რის მაქნისია! სრულიად არ მიყვარს, ასე გასინჯეთ, გაზეთსაც არ ვკითხულობ.“

ეს თავმომწონე, ქარაფშუტა და უზნეო ახალგაზრდა ცდილობს, სხვებს თავი განათლებულ ადამიანად მოაჩვენოს, მაგრამ არაფერი გამოუდის. კომიკურია სიტუაცია, როდესაც ალექსანდრასთან სტუმრად მყოფი, იგი (თეიმურაზი) ფრანგულად იწყებს ლაპარაკს იმ იმედით, რომ ქალი ამ ენაზე პასუხს ვერ გასცემს, მაგრამ სასტიკად მოტყუებული, დამცირებული და შეურაცხყოფილი რჩება, როცა უცოდინარობის გამო თვითონვე ხდება იძულებული, საუბარი რუსულად შეცვალოს.

ამპარტავან და გულმხეც თეიმურაზს ოჯახიც არეული აქვს. მისი სახლიდან გამვლელ-გამომვლელს ყოველთვის ესმის ხმაური, ღრინაცელი, აქედან ყოველთვის ჩხუბისა და აყალ-მაცალის ხმა გამოდის. აქ არასოდეს არაა სიწყნარე და სიმშვიდე, ამ ოჯახს არა ჰყავს მეგობრები და კეთილმოსურენი... და-ძმა ერთმანეთს დასანახად ვერ იტანს და დედა-შვილიც ერთთავად ჩხუბობს. რომანში არის ერთი ქვეთავი, რომლის სათაურია „გაუზრდელი გაუზრდელთან“. ეს გაუზრდელი აქ არის თეიმურაზის და თეკლე – ტუტუცი, ანჩხლი, კაპასი, მოურიდებელი, თავხედი, უტიფარი ახალგაზრდა ქალი. მოკლედ, როგორც თეიმურაზია, ისეთია მისი დაც. ჩანს, რომ არც ერთს წესიერი აღზრდა არ მიუღია. მწერლის მიერ დამაჯერებლად ნაჩვენები, რომ ყოველივე ამის ძირი, პირველმიზეზი არის მისი დედა

(ეკატერინე). მას „სახით არა უჭირდა რა და ეტყობოდა თვალეზზე, რომ სიყმაწვილეში მთარშიყე უნდა ყოფილიყო.“ გასაგებია, რომ ამ ქალმა ოჯახს, შვილების აღზრდას სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია. თეკლე, რომელიც ბუნებით უჭკუო არაა, ამ მიზეზს კარგად ხედავს და სამართლიან საყვედურს გამოთქვამს: „მანამ კარგა მოვიზრდებოდი, არც დედამ, არც ძმამ არ იცოდით – ვიყავ თუ არა სახლში. დედა თავის თავის არმოყოფას უნდებოდა, კვეკლაობდა, დილიდან შუადამდე გართული იყო.“ დედა და შვილი სულ ერთმანეთთან ჩხუბობენ. დედის საყვედურზე – „გაგონილა სადმე, რომ შვილმა დედას ეს ამბავი დააწიოს“, თეკლე თავს იმართლებს, რაც დათესე, იმას იმკიო, როგორც აღმზარდეთ, ისეთი ვარო. „მშობლიურად, გულმტკივნეულად, სიყვარულით და პატივისცემით მომექეცით, მეც სრულის მორჩილებით, სიყვარულით და პატივისცემით მოგექცევით, თორემ ქვევრს რასაც ჩასძახი, იმას ამოგახეხს. რაც მასწავლეთ, ის ვიცი.“ ცხადია, ბავშვს თავიდანვე დააკლდა ის, რაც მისთვის აუცილებლად საჭირო იყო – დედის განსაკუთრებული ყურადღება, მზრუნველი ხელი, სითბო და ალერსი, სათუთი დამოკიდებულება. ყოველივე ამის შედეგად ბავშვის ნაზი და სათუთი სული გაუხეშდა, დამახინჯდა, დასახინჩრდა.

ამ ოჯახის ჩვენებით მწერალი გვეუბნება, თუ როგორ არ უნდა იზრდებოდეს ბავშვი. ტუტუცი, რევენი და უზრდელი და-ძმა ერთმანეთს ვერ იტანს, ერთმანეთს მუდამ კრიჭაში უდგანან და ერთმანეთის ძვირს ამბობენ ხოლმე. საყურადღებოა, რომ თეკლემ დიდი როლი ითამაშა თეიმურაზისა და ალექსანდრას ქორწილის ჩაშლაში. ამ ბუნებით კეთილმა ქალმა საიდუმლოდ შეატყობინა ალექსანდრას მშობლებს, თუ რა კაციც ბრძანდებოდა თეიმურაზი – „ანჩხლი, ბოროტი, უწყალო, ზვავი, დაუდერამი, გარყვნილი და ვალით ყელამდე სავე.“

დედამამიშვილთა შორის ასეთი მტრული ურთიერთობა ცუდი ოჯახის, ცუდი აღზრდის, ცუდი დედის შედეგია. სულ სხვანაირია ალექსანდრას ოჯახი.. აქ სიწყნარე და სიმშვიდეა, სათნოებასა და ურთიერთგაგებას, სიამტკბილობასა და სიყვარულს დაუსადგურებია. ყოველივე ამის წყარო და სათავე კარგი მშობლებია – მარიამი და კონსტანტინე. უპირველესად, ცხადია, დედა.. ღვთისნიერმა, სათნო და შრომისმოყვარე ქალმა კარგი შვილები (ალექსანდრა და რევაზი) აღზარდა. „ამ დროში ფასდება სილამაზე ჭკვისა და გულისა და არა სახისა“, – ამბობს მარიამი და შვილებიც ამ შეგნებით ჰყავს აღზრდილი. მარიამისთვის უპირველესი საზრუნავი ოჯახია, შვილს გვერდიდან არ იცილებს (ე.ი. მარტო სიტყვით კი არ ზრდის შვილებს, არამედ – ქცევითაც). შვილებსაც მშობლები უზომოდ უყვართ, ისინი მშობლების მორჩილნი არიან. ეს, უპირველესად, ითქმის ალექსანდრაზე. ისაა მორჩილი (აქედანაა ნაწარმოების სათაური – „მორჩილი“).

ალექსანდრა დედ-მამის ნება-სურვილის უსიტყვოდ შემსრულებელია. ჩანს, ისეა აღზრდილი, რომ ჩაგონებული, შეთვისებული და შესისხლბორცებული აქვს მშობლების სიყვარული, პატივისცემა და მორჩილება. ალექსანდრა არ ეწინააღმდეგება მათ, თუმცა თეიმურაზთან დაკავშირება მისთვის აუტანელია.

ალექსანდრა, რომელიც მშობლებისაგან მხოლოდ სიკეთის, სინაზისა და სიყვარულის გამომჟღავნებასაა მიჩვეული, გულწრფელად ამბობს: „არ მინდა იოტისოდენად ვაწყენინო ჩემს დედ-მამას, იმიტომ რომ მე იმათგან ჯერ წყენა არა მინახავს რა. ისევ ვამჯობინებ, მე დავიტანჯო, ვინემ დავტანჯო ისინი“.

ლავრენტი არდაზიანის აზრით, ბავშვის აღზრდაში, შეხედულებათა ჩამოყალიბება-ფორმირებაში უდიდეს როლს თამაშობს მშობლების რელიგიური მრწამსი, ღვთისმოყვარეობა. როგორც ცნობილია, თვითონ მწერალი უაღრესად მორწმუნე და ღვთისმომშიში გახლდათ. ქრისტეს მოძღვრება კი ურთიერთსიყვარულს, მიმტევებლობასა და სათნოებას ქადაგებს. გავიხსენოთ, როგორ მიმართავს ილია ქართველ დედას: „საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.“ ამასვე ქადაგებენ ლავრენტი არდაზიანი და ალექსანდრე ორბელიანი.

ასე აღზარდეს მარიამმა და კონსტანტინემ შვილები. ამიტომაც არიან ალექსანდრა და რევაზი ჰუმანისტები, კაცთმოყვარენი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბატონების დამოკიდებულება ყმებთან. ღვთისნიერ ალექსანდრას თავისი მოსამსახურე გოგო მარიკო შვილივით უყვარს. „ალექსანდრამ გაზარდა, გაასწავლა და გონებაში ჩააგდო მარიკო. ალექსანდრას ერთი მხრივ ეთაკილებოდა ცუდი, გაუზრდელი ან გარყვნილი მოსამსახურე არ ჰყოლოდა, მეორეს მხრივ, მარიკო, თუმცა მოსამსახურე იყო, მაგრამ ებრალებოდა – უსწავლელი არ დარჩენილიყო.“ სამაგიეროდ, მარიკოსაც არანაკლებ უყვარს თავისი ქალბატონი. მოახლე თავის პირად ბედნიერებაზე უარს ამბობს, სანამ არ გაბედნიერდება ალექსანდრა.

აღზრდის საკითხი, როგორც ჩანს, ასევე მაღალ დონეზე იდგა მიხაკოს ოჯახში. ამიტომაცაა მიხაკო ყოველმხრივ უზადო, რიგიანი მოქალაქე. მიხაკოსაც თავის ყმებთან (მაგალითად, როსტომთან) ასეთივე ჰუმანური, მამაშვილური ურთიერთობა აქვს.

სულ სხვაგვარია თეიმურაზის დამოკიდებულება ხელქვეითებთან. ეს არის დესპოტი, გულქვა ადამიანის ურთიერთობა მოსამსახურებთან. ნაწარმოებში დასამახსოვრებელი, რელიგიური სახეა თეიმურაზის ყმა, გოჩუნა, ბატონისაგან დამონებულ-დაბეჩავებული, როზგის შიშისაგან ადამიანის ფორმადაკარგული, „კაცთ არამსგავსი“, როგორც მას მწერალი უწოდებს. თეიმურაზს მოსამსახურეთა დასასჯელად „ერთი კონა მათრახები“ აქვს და გასაგებია, რომ ხელქვეითებიც ისეთივე გულქვა, დაუნდობელი, ბოროტი გულისანი არიან, როგორც მათი ბატონი. საინტერესოა ამ მხრივ რომანის ერთი ქვეთავი, რომელსაც ბევრისმთქმელი სათაური აქვს – „როგორც უფროსები, ისეთი უნცროსები.“

მოკლედ, ორი ოჯახის ურთიერთდაპირისპირებით მწერალმა რელიგიურად გამოკვეთა ოჯახისა და მშობლების როლი ბავშვის აღზრდაში. ერთ შემთხვევაში ჩვენება არის უარყოფითი – აი, როგორი არ უნდა იყოს დედა და როგორ არ უნდა იზრდებოდნენ ბავშვები ოჯახში, მეორე ოჯახის მაგალითზე კი საპირისპირო (სანიმუშო) შემთხვევაა ნაჩვენები.

ალექსანდრე ორბელიანისა და ლავრენტი არდაზიანის ნააზრევი ძალიან ახლოს დგას ქართველ სამოციანელთა და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის შეხედულებებთან და ძირითადად დღესაც მისაღები და გასაზიარებელია.

ლიტერატურა:

1. ალ. ორბელიანი, ჩემი შეცდომები ანუ ჩემი ცოდვანი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი S-1656.
2. ალ. ორბელიანი, ჩვენი ძველი სახლეულობანი, „ქართული პროზა“, VII, თბ., 1984.
3. ალ. ორბელიანი, კმაყოფილების წადილი და ვნების სურვილი, ფონდი S-1634.
4. დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, თბ. 1953.
5. ლ. არდაზიანი, მოთხრობები, თბ., 1936.

PROBLEM OF FAMILY UPBRINGING IN ALEKSANDRE ORBELIANI AND LAVRENTI ARDAZIANI'S THOUGHTS

**Nino Vakhania, Sokhumi State University, Associate Professor
RESUME**

It is known that thinkers of all countries and times gave great consideration to upbringing and spiritual formation process of a teenager. Georgian writers of 19th century were also interested in this problem and it was not occasional. By the proper views of public figures of the sixtieth the country will have the future the way a teenager of today is developed. A child is a beginning, the beginning of a great person – said Ilia. That's why the child has to be grown up as a useful, properly orientated, patriot, moral citizen. The executor of this obligation is first of all a mother. The same thoughts have Aleksandre Orbeliani and Lavrenti Ardaziani, by which they appear as predecessors of Ilia and the public figures of the sixtieth.

Aleksandre Orbeliani in some works of literature touches the problem of upbringing. In autobiographical work “My mistakes or my sins” the author remembers how he was brought up in his family. Here, we also understand that morality, cleanness, innocence were given great consideration in upbringing as for the noblemen as for peasants. From the writer's point of view any kindness and happiness sources from love of God, love of religion, study of Bible. Polite and innocent behavior comes from family. Leading of home upbringing does a woman, a mother. We receive the interesting information about old Georgian women, their character in his work of literature “Our old homes” by the author. Exactly by listening to grown-ups studied the children love of language, homeland, morality, innocence, honesty. Al. Orbeliani's theoretical idea comes from analysis of truth, reality, observation of rule of upbringing in families and it has to be taken into great consideration.

At the example of two different families Lavrenti Ardaziani showed us that two youngsters (Aleksandre and Temuraz) had received different and opposite upbringing and education (novel “Morchili”). By showing Teimuraz's family the writer tells us how the child hadn't been to be brought up in a family. The different is Aleksandre's family. Here is calmness, mutual respect and love. The source and beginning of this is good parents, first of all mother. The writer obviously expresses his will from the modern point of view, the view – the way is the parent's relation to the child, the brought up child will have the same approach to the parents.

Aleksandre Orbeliani and Lavrenti Ardaziani by their belief and views on problems of upbringing are the predecessors of Georgian public figures of the sixtieth, and particularly Ilia Chavchavadze.

გიორგი შერვაშიძის ენობრივი პოზიცია

თამილა ზვიადაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ყველაზე თვალნათლივი სახე ბრძოლისა კულტურასა და კონტრკულტურას შორის ენაა, რამდენადაც ენა სათავეა აზროვნებისა, ცნობიერებისა, გონმეტყველებისა, მთელი კულტურული შემოქმედებისა. მხატვრული სტილის კანონზომიერება მქლავნდება მხატვრული აზროვნების, მეტყველების მრავალფეროვნებაში, რაც ენის გრამატიკულ კანონზომიერებას ემყარება.

ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი ენას აქცევს ხოლმე თავისი რუდუნების საგნად. მწერალი ენის გამომყენებელიცაა და შემოქმედიც. მწერლის ენისა და სტილის საკითხებს ყოველთვის ეთმობოდა და ეთმობა დიდი ყურადღება, ვინაიდან, „შემოქმედის სრული და ყოველმხრივი დაფასება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც გათვალისწინებულია ის ფორმა, რომელშიც იგი თავის ფიქრებსა და გრძნობებს ასახავს, ესეიგი, თუ შესწავლილია მისი ენა“ (ა. შანიძე, 1939);

გიორგი შერვაშიძე მშობლიური ენობრივი სამყაროს გაცნობიერება – გათავისების უნარით გამორჩეული შემოქმედიცაა. ენობრივი ცნობიერება კი ხშირად ცნობიერების სინონიმია. ქართული და აფხაზური ეროვნული მისწრაფებანი ისე ორგანულად, ბუნებრივადაა ერთმანეთთან შესისხლხორცებული, რომ მათი გამიჯვნა შეუძლებელია. გიორგი შერვაშიძის შემოქმედება ქართულია. ქართულია მისი ქმნილებათა ენაც. ეს არცაა გასაკვირი. ცნობილია, რომ გიორგის მამის – მიხეილ შერვაშიძის, ისევე როგორც სხვა შერვაშიძეთა ოფიციალური და არაოფიციალური მიმოწერა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა და მისი კანცელარიიდან გამოსული სხვა ოფიციალური დოკუმენტები ქართულ ენაზე იწერებოდა. მოქვის ტაძარში დაკრძალული მიხეილ და გიორგი შერვაშიძის საფლავებზეც ეპიტაფია ამოკვეთილია ქართული ასომთავრულით.

გიორგი შერვაშიძის ენობრივი პოზიცია ნათლად აისახა წერილში „ქართული ენის გარშემო“, რომელიც დაიბეჭდა 1915 წელს. სტატიაში მწერალი ქართული სამწიგნობრო ტრადიციების აქტიური დამცველის როლში გვევლინება. არ მოსწონს „სხვათა ენიდან უხეშად თარგმნა სიტყვისა და მიბაძვით გადმოლაგება სხვათა გონებრივი ვინაობისა“. მისი აზრით, ეს „სამშობლო ენის გადაგვარებისადმი მისწრაფების გამოხატულებაა“. მწერალი შეწუხებულია ქართულში უცხო სიტყვების უსისტემო მომრავლებით და თვლის, რომ უცხო სიტყვებსა და გამოთქმებს „უნდა მივმართოთ უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ, როცა დასტურ ქართულად არ ითქმება აზრის შინაარსი... ყოველ ენას მიჰქონიჭებია თავისი, ასე ვთქვათ ჯიშური თვისება. მიუხედავად ამისა, შეიძლება უფრორე განვითარება ენისა, შესაბამისად დროთა პროგრესისა, მაგრამ ამას დიდის მოწიწებით, ცოდნით და სიფაქიზით სჭირია მოპყრობა, რათა არ გაირყვნას ჯიშური თვისება ენისა... ენის გადაკეთებას თავი უნდა დავანებოთ! საჭიროა ჩვენს ენას შევსძინოთ, გავამდიდროთ და არა გადავაშენოთ, გარდავაგვაროთ!“

საკმაოდ კრიტიკული იყო გიორგი შერვაშიძე თეატრის მესვეურთა მიმართაც.

რუსულიდან თარგმნილი ერთ-ერთი პიესის ენის შესახებ იგი წერდა: „შიგადაშიგ ბრტყელ – ბრტყელ, გაჭიანურებულ დიალოგს ბევრს შეჰხვდებით, გაცვეთილი სიტყვებითა და ფრაზებით... ისეთ ქართულს, რომელსაც ვერცერთი სჯულის ადამიანი ვერ გაიგებს“.

მწერალი არა მარტო დიდი აზრების ან გრძნობების მხატვრული ოსტატი უნდა იყოს, არამედ მშობლიური ენის დაუღალავი მოამაგეც, მესაიდუმლე და ჯადოქარიც. გიორგი შერვაშიძე ყოველთვის ქართულს ანიჭებს უპირატესობას და როგორც კი შემთხვევა მიეცემა, ამხელს იმას, ვინც მშობლიურს უცხოს ამჯობინებს: 1893 წლის 7 დეკემბერს თბილისში გამართულ „ქართულ სალიტერატურო სადამოს“ გიორგი შერვაშიძე პუბლიცისტური წერილით გამოეხმაურა და გამოხატა თავისი დამოკიდებულება: „ქართულის თეატრის არტისტებმა რუსულს ენაზედ წაიკითხეს „შემლილის წერილები“... საუცხოოდ კი იქნა წაკითხული, მაგრამ არ გვესმის, რუსულად რად ამჯობინა არტისტმა ...ეს წერილები ქართულ სცენისთვის არის ნათარგმნი და ამას გარდა, თითქმის მთელი დამსწრე საზოგადოება ქართველობა იყო“ (გ. შერვაშიძე, 2006); გიორგი შერვაშიძე, რა თქმა უნდა, აფხაზური ენის შესანიშნავი მცოდნეც იყო. ასე კარგად არავინ ლაპარაკობს აფხაზურსო – შენიშნავდნენ მისი თანამედროვეები. იგი ხშირად დადიოდა აფხაზეთში, ჩოხაში გამოწყობილი მოივლიდა თურმე მთასა თუ ბარს და ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას. ცნობილია მწერლის პუბლიცისტური გამოსვლები აფხაზეთის ისტორიისა და მიმდინარე ცხოვრების საკითხების გარშემო ადგილობრივსა და საზღვარგარეთულ პრესაში (გაზეთი „საქართველო“, 1915);

გიორგი შერვაშიძის მხატვრულ – ესთეტიკური თუ ენობრივი პოზიცია კარგად ჩანს მხატვრულ თხზულებებშიც – პოემებში, პიესებსა თუ ლექსებში. შენიშნულია, რომ გიორგი შერვაშიძის ენა გრივოლ ორბელიანის, ილიას, აკაკისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა ენას გვაგონებს. იდეური ხაზითაც სწორედ

მათ მიჰყვება. „ვისაც მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიასთან „ღამე გაუთევია“, იქნებ გაუჭირდეს კიდევ განსაზღვრა, ვისია ეს გამჭირვალე ლექსები. მათი მხატვრული ქსოვილი უცნაურად ირეკლავს ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის უდიდეს ოსტატთა მხატვრულ სტილს და რამდენადაც უცნაურად არ უნდა გვეჩვენოს, გრიგოლ ორბელიანის, აკაკის, ვაჟას სტილთა კომპილაციას, სიმბიოზს წარმოადგენს“ (ნ. კუცია, 2011);

გიორგი შერვაშიძის ენობრივი სამყარო საკვლევი, გამოსავლენია მისი მხატვრული ენის მასაზრდოებელი წყაროები, დასადგენია მწერლის ენაში ისეთი ენობრივი სამეტყველო სტილების დომინანტობა, როგორებიცაა სტანდარტული ენისა და სასაუბრო ენის მეტყველების სტილები. გრამატიკული ენათმეცნიერების პოზიციებიდან საინტერესოა გიორგი შერვაშიძის ლექსიკის მიმართება ძველ მწიგნობრულ ენასთან, ხალხურ მეტყველებასთან. მწერალი სხვადასხვა ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ აღწერილი ყოფის შესაფერისად შეარჩიოს ლექსიკა – ფრაზეოლოგია თუ გრამატიკული თავისებურებანი. მის ენობრივ სამყაროში ერთი მხრივ ცოცხალი ზეპირი მეტყველების ტრადიციები ირეკლება, მეორე მხრივ, ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში შთაბეჭდილი წიგნიერი ენის ლექსიკა – ფრაზეოლოგია. ისტორიული ხასიათის თხზულებებში ჭარბობს არქაული ფორმები როგორც ლექსიკაში, ასევე გრამატიკულ კონსტრუქციებში. მწერალი ცდილობს, დამაჯერებელი იყოს და ენობრივი ფორმები მიუსადაგოს აღწერილ რეალობას. მხატვრული მიზანდასახულობის საფუძველზე იგი ახალი სემანტიკით ავსებს და ფუნქციურად აქტიურს ხდის ამგვარ ფორმებს. განსაკუთრებით მრავლადაა არქაული ლექსიკა პოემაში „გიორგი მესამე“. შევარჩიეთ რამდენიმე:

ოფიკალი: „გავგზავნე ოფიკალი, ეხლავე გაახლებათ, ხელმწიფეო“; „დახოცეს რაზმი იგი. გადარჩა მხოლოდ სამი მხედარი და ერთი ოფიკალი (გ. შერვაშიძე, I, 183);* – (რომაული ციფრით აღნიშნულია ტომი, არაბულით – გვერდი);

სულხან-საბას მიხედვით, ოფიკალი განიმარტება, როგორც მოხელე (რადაც მოხელეა, ეგნატი) –ს.ს. ორბელიანი, 1991, 609;

ნ. ჩუბინაშვილი სიტყვას ბერძნულიდან მომდინარედ მიიჩნევს და განმარტავს, როგორც ჯარის მოხელეს, ოფიცერს.

აეშაგი: „გლახაკია, ბატონო, ვიღაც, აეშაგი ჰგონებიათ დარაჯთ და დაუჭრიათ, მინდა წყლული შევუხვიო, ცოდვაა“;

აეშაგი – მსტოვარი, ჯაშუში: აეშაგი ესე არს, რა კაცი ვინმე გაგზავნო ქვეყანათა განსასჯელად, ანუ მტერთა ლაშქართა და ეგვიტართა უცნაურად (ს.ს. ორბელიანი, 1991, 30);

ლალა – „ღიახ, ბატონო, უფლისწულის დიმიტრის ლალა... ლალა, ხო ლალა, მაგრამ ჯაშუში და აეშაგი“ (I, 190).

ლალა მამამშუპეა, აღმზრდელი, მზრდელი; გვხვდება ამავე მნიშვნელობით ილია ჭავჭავაძესთან: „ჩვენი ჩვეული ლალა ჩვენზე ხელს იღებს“; აკაკი წერეთელთან: „მე გამიზრდია მეფე გიორგი, მე ვიყავ მისი ერთგული ლალა“;

ნიკო ჩუბინაშვილის მიხედვით ლალა სპარსული სიტყვაა და გამზრდელს ნიშნავს.

ლალაობა – ა) ზრუნვა, ბ) განებივრება;

ლალაობს – თავს ევლება, პატრონობს: „ქასეიროდ გაქვს მზის სივრცე და სანადიმოდ – ქვეყანა. რომ აგრე გივლის, **გლალაობს**, რა სიკეთე გაქვს მზესთანა? –ვაჟა(ალ. ნეიმანი, 1978, 184);

პორფირი – „რომ ვიყო მეფე, ჩემსა სამეფოს მუხლმოდრეკითა გიძღვნიდი სრულად; სკიპტრას, პორფირსა ფეხ-ქვეშ გიფენდი, თვით დავრჩებოდი მსახურ-ერთგულად“ (I, 90); „და იმავ ტახტზე პორფირითა მე პირმშოისა, ვით ავაზაკი, განვირეკდე სულთ განწირულთა“ (I, 176);

პორფირი სისხლისფერს (ძოწისფერსაც) აღნიშნავს. გულისხმობს მეფეთა და მღვდელ-მთავართა სამოსელს (სულხან-საბა ორბელიანი, 1991, 628);

ლაშა – „ზღვას გადაეკრა ზურმუხტი ლაშა და მის ციალზე დუღუნით, სტვენით თეთრი კრავები აათამაშა“ (I, 104).

ლაშა ქვეყნის მანათობელს აღმნიშვნელია (სულხან-საბა ორბელიანი, 1991, 408);

ზარნიში – „და ეს ანდერძი... როგორც ფოლადში ოქროს ზარნიში, ქართველთა გულში ჩაჭედელია“ (I, 121);

ზარნიში ჩუქურთმისა, გრეხილ-ხვეული (ალ. ნეიმანი, 1978, 495);

ყანდი – „ყუბარსან, რას მალავ ზურგს უკან? – არაფერს... ხაჭაპური თუა, ან ყანდი“ (I, 166);

ყანდი – გამხმარი, გაფიტული (პური) – ალ. ნეიმანი, 1978, 549;

ყარიბი – „იცი, კი რაა, დედაკაცო, მოვალეობა? ოჯახს არ უვლი, ყარიბივით კი დაეთრევი!“ (I, 187). „ყარიბი ვარ ვინმე, ოხერი და უპატრონო ! ლუკმა პურს დაგსდევ“ (I, 202);

ყარიბი – მწირი, მოხეტიალე (ალ. ნეიმანი, 1978, 293);

ყარტლი – „როგორა გნებავს, რომ გარეცხო ყარტლი გონებისა?“ (I, 194). განმარტებულია სულხან-საბასთან: ყარტლი – გულის სიბილწე, სიმყრალე (სულხან-საბა ორბელიანი, 1993, 262);

სარანგი – „სარანგთა უთხარ, თვალი ადევნონ, კვლავ არ გაიქცეს“ (I, 200). სიტყვას განმარტავს სულხან-საბა, რომელიც იმეორებს „ქართლის ცხოვრებას“: „ესე არს რაოდენთა კაცი და უფროსი, რათა მათ მიერ ბოროტნი კაცნი შეშინდნენ... ხელჯობიანს ჰგავს“ (1993, 48);

ზოსტერი – „სატევარი ხელში ჰქონდა... ქარქაში სადღაც დაჰკარგვოდა და ზოსტერია“ (I, 201);

ზოსტერი ქამარია, სამღვდლო სარტყელი (სულხან-საბა ორბელიანი, 1991, 285);

არქაული ლექსიკური ერთეულის სემანტიკა ხანდახან შეცვლილია და სხვა მნიშვნელობითაა გამოყენებული. მაგალითად, „ქეშიკი“ „ქონდაქარის“ სინონიმია, ქონდაქარს კი სულხან-საბა განმარტავს, როგორც მკვლელს, ჯალათს: „ესე არს მკვლელობის მოხელე კაცთა თუ საკლავთა; ქონდაქარად ითქმის ხორცის მკაფელნი, არამედ უფროსად კაცთა მკვლელობისა მოქმედნი, რომელსა თურქნი ჯალათს უხმობენ – ყასაბი (სულხან-საბა ორბელიანი, 1993, 231); გიორგი შერვაშიძის პოემაში კი „ქეშიკი“ ნიშნავს შიკრიკის, მაცნეს;

ქეშიკი – „ქეშიკს ხომ არაფერი უთქვამს რა?“ (I, 181). „მოვახსენე ყველაფერი და დამპირდა, ქეშიკს გამოვადევნებ, უსტარს ვაახლებ მეფესაო“ (I, 193);

სტილიზაციის მიზნით მწერალი გრამატიკულ არქაიზმებსაც მიმართავს.

ძველ ქართულში ხშირი იყო ტმესის შემთხვევები, როცა ზმნისწინი ითიშებოდა ზმნისგან რაიმე სიტყვით, უმეტესად ნაწილაკით. როგორც აკ. შანიძე მიუთითებს, ტმესის ხმარების შემთხვევები ადრინდელ ძეგლებში უფრო ხშირია, ვიდრე მომდევნო დროის ნაწერებში. გიორგი შერვაშიძე ასეთ ფორმებს მიმართავს ისტორიული ხასიათის თხზულებაში:

„შენ მიზეზად აუტეხიხართ, რომ საქართველო ასვარონ და **დაცამცირონ**“ (I, 197). „რასაც ვნატრობდით, **დაცავბედნით** მუდმივის შრომით...“ (I, 85). „გარეთ კი ავი თოვლის ქარ-ბუქი როგორც რომ მხეცი **გაცაჰვიოდა**“ (I, 141). „მას რისხავს მამა, ძე და სული წმინდა, **წაცაედების** კეთრი...წყეულიმც იქნების“ (I, 188).

არქაიზაცია, რომელიც გიორგი შერვაშიძის ნაწერებში იჩენს თავს, თვითმიზნურია – ენობრივი ორიენტაციის გამომხატველია. არქაულ ფორმათა მოხმარება მათი სემანტიკისა და ფუნქციური აქტივიზების თავისებურებათა გამოვლენას ემსახურება. სიტყვათა არჩევა და ერთმანეთთან დაკავშირება განპირობებულია არა მარტო ინფორმაციის გადაცემის ამოცანით, არამედ იმ სიტუაციითაც, რომელიც ნაწარმოებშია აღწერილი. ენაში მოცემული ერთი და იმავე აზრის გადმოცემის საშუალებათაგან მწერალი ირჩევს ერთს – სამეტყველო აქტის გამიზნულობის შესაბამისად და სწორედ ეს ქმნის განსხვავებულ სტილს.

გიორგი შერვაშიძის პიესებში ისმის ცოცხალი სასაუბრო მეტყველებაც, რაც ადასტურებს მწერლის ენის მჭიდრო კავშირს ხალხურ მეტყველებასთან. ეს გარემოება უფრო სახიერს ხდის ავტორის ჩანაფიქრს და ააშკარავებს მწერლის პიროვნებას, უფრო მეტად გახაზავს სიუჟეტთან დაკავშირებულ შეხედულებებს, აზრებს, პრინციპებს. ხშირად დიალექტური ფორმები ისეთი ატრიბუტი ხდება, რომელიც უკეთ ერგება სათქმელს: აჩვენებს მოქმედების გარემოს, პერსონაჟის მეტყველების თავისებურებებს, ემსახურება ადამიანის განწყობილებისა და მისწრაფებათა გადმოცემას, ხაზი ესმება სოციალურ კუთვნილებასა და მდგომარეობას, განათლებას, იუმორის გრძნობას. ლექსიკური დიალექტიზმებიდან დადასტურდა:

რიოში – „ჩემთვის საბუთი ეგ არ არის, ჩემო ხელმწიფევ! ალბათ, რიოში იქნებოდა ესე წერილი“ (I, 199); „შმაგი არ არის ეს კაცი, რომ რიოში სწეროს“ (I, 199).

რიოში – არანამდვილი, ყალბი, შერყენილი (უელ, 2006, 106); უწმინდური, უსუფთაო (ალ. ჭინჭარაული, 2005, 714).

ყუნჩი – „არცერთ საქმეში საშვალი და ყუნჩი გრძნობა არ უნდა იკადრო.. მით უმეტეს, ვისთანაც ხშირად პური მიგირთმევია და ძმობა გითქვამს“ (I, 193);

სიტყვა დასტურდება გურულსა და ქვემო იმერულ დიალექტში, აღნიშნავს წყნარს, უხმოს, ყუჩს, თვინიერს (ალ. ლლონტი, 1974, 616).

გახიახება – „ახლა ყველაფერი იცი... წადი, უამბე ყველას და გამახიახე ქვეყანაში“ (I, 237);

იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულია (ხშირად გამოიყენებს დავით კდიაშვილი: „მართლაც ყველაფერი დაივიწყა სონიამ ამ გახიახებული საქმის გამო“ – „ქამუშადის გაჭირვება“), აღნიშნავს გამჟღავნებულს, ხმაგავარდნილს (ალ. ლლონტი, 1978, 147);

ღვლერჭი – „მუხანათობა რას მიქვია, რომ შვილმა თავის მამას ღვლერჭში არ ჩააკიდებოს თავი“ (I, 193); „შემოდის ნელის ნაბიჯით ჩაფიქრებული დემნა, ხელში ღვლერჭად შეკრული თოკი უჭირავს“ (I, 195);

ღვლერჭი//ღვლეჭი(ქვ. იმერ., ლეჩხ., ქიზიყ.) დაგრებილი მსხვილი წნელი, იყენებენ თოკის ნაცვლად. (ალ. ლლონტი, 1978, 589);

ბადია – „შევსვით, გავავსოთ კვლავაც ბადია“ (I, 115); ბადია – დიდი საწვწე ჯამია(ალ. ლლონტი), ასევე საბასთანაც: დიდი ჯამი (სულხან-საბა ორბელიანი, 1991, 90);

გვხვდება ფონეტიკურად და გრამატიკულად სახეცვლილი ფორმებიც: მობლუმული (მოლუმული), კელპი (კერპი), ანბები (ამბები), პლუტური (პრუტუნი), უმფროსი (უფროსი), მოსრული (მოსული), მწვერი (წვერი)... მეორე S პირის –ს სუფიქსიან ზმნა, რომელსაც ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი –თ დაერთვის, –სთ კომპლექსითაა წარმოდგენილი, რაც ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, –სთ კომპლექსის გამარტივებისაკენ სწრაფვა საშუალო ქართულიდან იწყება, „ს –ს დაკარგვა ფონეტიკური მიზეზებით არის გამოწვეული, –ს ვერ ძლებს წინა თანხმოვანსა და მომდევნო თ–ს შორის“(არნ. ჩიქობავა, 1938); –სთ კომპლექსს დაკარგული აქვს არქაულობა და დიალექტურად გაიზარება. ასეა მაგალითად იმერულში, სადაც იგი შეიძლება იქ შეგვხდეს, სადაც მოსალოდნელი არ არის(მზად გახლავსთ –დ.კლდიაშვილი). რაც შეეხება გ. შერვაშიძეს, იგი აშკარა სტილიზაციის მიზნით მიმართავს მსგავს ფორმებს, კერძოდ მაშინ, როცა პერსონაჟი მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელია და ცდილობს, არქაული ფორმებით გაამაღალფარდოვნოს მეტყველება: „სასულიერო სამსჯავრომ განჩინება დააყენა თქვენზე: ყრმისა...სიკვდილისათვის თქვენის ხელით თქვენს სახლში, **მიგისაჯესთ** ხუთი წლის ეკლესიის შენანება ძმათა უდაბნოში...საჭიროა თქვენ ორთავს **გეყურებოდესთ** ჩემი საუბარი მასთან...“ (I, 260);

მწერლის ენა ნარევი გრამატიკული თავისებურებებით ხასიათდება. ისინი ზოგჯერ თანაბრად გამოიყენება როგორც პერსონაჟთა მეტყველებაში, ასევე საკუთრივ თხრობაში და ძირითადად ინფორმაციული დანიშნულება აქვს: ცნობას გვაწვდის მოლაპარაკის ურთიერთობის პირობების, განწყობილებისა და მდგომარეობის შესახებ. პერსონაჟთა დახასიათებისას გიორგი შერვაშიძე ხშირად იყენებს ამ ხერხს და მოქმედ პირებს მეტყველების საშუალებით წარმოაჩენს. მის ნაწერებში აშკარად ჩანს მწერლის დამოკიდებულება, ზნეობრივი პოზიცია მოქმედი პირებისადმი, გარემომცველი სინამდვილისადმი. ასეთ შემთხვევაში დიალექტიზმების გამოყენება გამართლებულია. ამავე მიზნით მოხმობილია რუსიზმებიც.

„ქალბატონმა ისე დამიმოწმა, **ქვევითად** წაბრძანდესო...იმ ყარაულებმა რო გაგვაჩერეს, იქ მოვიდა **ვინცა** მუნდერ –ოფიცერიო... თუ რა ქვია. სად მიდიხართო? ჩვენ ვუთხარით, რომ **ასთე –ისტე, პომპოლიკთან**, ციხის **უმფროსთან** ქალადი მიგვაქვს-თქო...**სალდათი** გაგვაყოლეს! მერე მივედით, ჯერ **ბატონმა კნიაჟნამ** ქალადი შეაგზავნა, მერე გამოვიდა კაცი, მობრძანდით, **პაქალუსტაო**...“ (I, 251) – ასე მეტყველებს მოსამსახურე ბიჭი.

განსხვავებული ენობრივი საშუალებებით ახასიათებს მწერალი მასზე სოციალურად მაღლა მდგომთ, რომელთა მეტყველება გაცილებით ხელოვნურია და თავისუფალია ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფრაზებისაგან: „ახლა ვიცი ყოველივე, რასაც საჭიროდ ვრაცხდი – ეხლა კი ჩემს სახლში გაიხლები და დავწერ არზას გუბერნატორის სახელზედ, რომელსაც გაახლებ ეხლავე. გთხოვთ ხელი მოაწეროთ და დამიბრუნოთ. ..სჯობია... ფრანგული ანდაზა იტყვის: „ღამე კარგი მრჩეველიაო“ (I, 227); ეს ხერხი – დიალოგებში პერსონაჟთა ხასიათის, სოციალური მდგომარეობის, განათლების წარმოჩენა, გარკვეულ თვისებაზე ხაზგასმა მათი მეტყველების თავისებურებების საფუძველზე, მწერლის ენობრივი სტილის ერთ-ერთი ნიშანია.

გიორგი შერვაშიძე გვთავაზობს ორიგინალურ სიტყვათწარმოებასაც, რომელთაც გარკვეული ფუნქციით გამოიყენებს. პუბლიცისტურ წერილებში შეგვხვდა ისეთი ფორმები, როგორიცაა: ტანჩაცმულობა, მობენეფისე, მეთათბირე, საოთხშაბათო... ასევე გაზმნავებული სახელები: „გულში ტრფობა ჩაესვენა, შიგ **ჩაებინაო**“ (I, 178); „**გაკანონიერდეს**... ეს უბედური ჩემი მდგომარეობა, რომელიც მტანჯავს“ (I, 211); „შეთრეულია რაღაც სატანურს საიდუმლოში და ...იმოდენზე **მოჯადოსნულა**, რომ ვერასგზით სიტყვა ვერ ვათქმევინე“ (I, 178); „სიხარულით დაბნეული მდუმარება ბევრს უყურებს გულს და **წამოაცრემლიანებს** ხოლმე“ (I, 287); „შიშველ ფეხზედ **წამოიკოჭლა** და შეეგება ხარხარით“ (I, 259);

წამოაცრემლიანებს, წამოიკოჭლა ...ცოცხალი სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი ფორმებია. ნასახელარ ზმნებზე დართული ზმნისწინი მოქმედების ოდნაობას, სიმცირეს, სიცოტავეს გამოხატავს. პრევერბთა ფუნქცია (ამ შემთხვევაში წამო – ზმნისწინისა) ნათქვამს მიანიჭოს გარკვეული მოდალობა, ოსტატურადაა მწერლის მიერ გამოყენებული.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ გიორგი შერვაშიძის პუბლიცისტურ წერილებში ოფიციალურ – დოკუმენტური სტილის დამახასიათებელი ფორმები იჩენს თავს. გვხვდება ხელოვნური ფრაზებიც: „ისე ცხოვლად და ლამაზად **ჩაატარა ეს როლი**, რომ უკეთესად სასურველი არა არის“; „თავის ლაპარაკს ამ დრამაში **გლების კილოს აძლევდა**“; „**ზარმაცად იყო წარმოდგენილი** ვოდევლი“... თუმცა ეს ფორმები ალბათ, ეპოქისთვის დამახასიათებელი უფროა. პუბლიცისტურ სტილს ახასიათებს მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრობა, მრავალფეროვანი თემატიკა, მოვლენათა განზოგადება, შეფასებითი დამოკიდებულება სათქმელისადმი და თუ მისი სტილი ბუნებრივი და მიმზიდველი არაა, ვერ

გამართლებს მიზანს. გიორგი შერვაშიძე მიუხედავად იმისა, რომ ცდილობს, ოფიციალური იყოს, ვერ ცდება ბუნებრიობას და ამიტომაცაა, რომ მისი პუბლიცისტური წერილები საინტერესოდ იკითხება: „თეატრის დარბაზი სავსე იყო ხალხით, სკამი კი არ ეძებდა ჩვეულებისამებრ, ხალხს, არამედ ხალხი ეძებდა სკამებს...“ (I, 279); „თეატრის დარბაზი უდაბნოს არ წარმოადგენდა, ხალხი საკმაოდ დაესწრო“ (I, 279); „ის სცენა, სადაც გიორგი გოჭურად აჭყვირებით აფრთხობს მაჰმადიან დარაჯს, რომელისამე ფარსის საკადრისია, ვიდრე დრამისა“ (I, 274)...

მწერლის ენის, მისი ენობრივი სამყაროს, მხატვრულ-ფუნქციური სტილის კვლევებით ირკვევა ბუნებრივი ეროვნული ენის ფუნქციონირების თავისებურებანი კონკრეტულ დონეზე, კონკრეტულ ვითარებაში. ესაა ამ კვლევათა ზოგადმეცნიერული ღირებულება. თუმცა ამგვარ კვლევებს კერძოობითი მნიშვნელობაც აქვს: არკვევს, რა შემატა მწერალმა სალიტერატურო ენას ლექსიკის დონეზე და რა გავლენა იქონია ზოგადად მისმა ენამ და სტილმა, საზოგადოების – ენის ჩვეულებრივ მომხმარებელთა – მეტყველების კულტურაზე. ამ თვალსაზრისით გიორგი შერვაშიძის ენა გამორჩეულ ინტერესს იწვევს და მისი კვლევაც მომავლისათვის საშური საქმეა.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „საქართველო“, 1915, №169; 1918, №45-46; გვ. 6;
2. ნ. კუცია, 2011 – ნ. კუცია, „ვერ გადავგვარდე გვარადა“, სამეცნ. ჟურნალი „ფილოლოგიური პარალელები“, №3, 2011, გვ., 135;
3. ტ. მოსია, 2011 – ტ. მოსია, გ. შერვაშიძის ზოგიერთი ცნების ინტერპრეტაციისათვის“, ჟურნ. „ათინათი“ №2, 211; გვ. 55 –58;
4. ალ. ნეიმანი, 1978 – ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978;
5. სულხან –საბა ორბელიანი, 1991-1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991; ტ. II, 1993;
6. ალ. დლონტი, 1974 – ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974;
7. ავ. შანიძე, 1939 – ავ. შანიძე, ნ. ბარათაშვილის ენა, თბ., 1939, გვ. 149;
8. გ. შერვაშიძე, 2006 – გ. შერვაშიძე, თხზ. ორ ტომად (რედაქტორ-შემდგენელი ელგუჯა თავბერიძე), ქუთაისი, 2006, გვ. 286;
9. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისთვის „ვეფხისტყაოსანში“, ენიმკის მოამბე, III, თბ., 1938, გვ. 8;
10. ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005, გვ. 714.

GIORGI SHERVASHIDZE'S ASPECTS OF LANGUAGE NOTION

Tamila Zviadadze, Sokhumi State University, Associate Professor

RESUME

Language is a source of thinking, consciousness, mental thinking, whole cultural creative work. Language is the means which serves to creation of artistic figure in a work of literature. It is obvious that regularity of artistic style reveals in artistic thinking, variety of speech, which depends on language grammatical regularity. Understanding of Giorgi Shervashidze's native language world – he is a distinguished creator having an ability of understanding. In his writings from the one part are reflected traditions of oral speech, from the other part lexis – phraseology of literate language depicted in our historical memory. They are masterly used and supported not only to extraction of content part of the artistic phrase, but strengthening of emotional influence. A writer addresses different means to choose the vocabulary – phraseology or grammatical forms by the described being. In the article is discussed Giorgi Shervashidze's vocabulary direction to old literary language, lively conversational speech, also there are shown peculiarities of semantics and functional activization of archaic words.

ანტიბუნებრივი მოვლენა ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში (ტიპოლოგიურ-შედარებითი პარალელები)

მირანდა თოდუა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: mirandatodua@mail.ru

ნანა არახამია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

მშობლის მიერ შვილის მოკვლის თემის (დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირებულია როგორც ანტიდაბადება ან არსებობის მარადისობის დარღვევა. დაწვრ. იხ. ავ. ბაქრაძე, 2004) სათავეს ანტიკურობამდე მივყავართ. არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ ტრაგედიაზე მსჯელობისას ამახვილებს ყურადღებას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: შიშისა და სიბრალულის გრძობა, ვნებათა განწმენდა, გმირთა სულიერი განცდების გადმოცემა, ძლიერი ვნებები და სხვა. ტრაგედიის საბოლოო ესთეტიკურ საზომად კათარზისი ანუ „შიშითა და თანაგრძნობით“ გამოწვეული მშვენებების შეგრძნება მიაჩნია. ტრაგედიაში გადმოცემული ამბავი უფრო ბედნიერებიდან უბედურებაში „გადასვლას“ უნდა ასახავდეს და ადამიანს უბედურება თავისი სიავისა და სიმდაბლის გამო კი არ უნდა დაემართოს, არამედ რაღაც საბედისწერო შეცდომის გამო. არისტოტელე თვლის, რომ „ძლიერი ვნებები მოყვარეთა შორის ურთიერთდაპირისპირების მიზეზად იქცევა. როდესაც ძმა ძმას ან შვილი მამას, ან დედა შვილებს, ან შვილი მშობელს კლავს. ასეთი ამბები მზამზარეული სახით გვხვდება მითებში, რომლითაც პოეტმა კარგად უნდა ისარგებლოს. არისტოტელეს თანახმად, მითებში წარმოდგენილია რამდენიმე ტიპური შემთხვევა:

1. როდესაც მოქმედი პირი გააზრებულად სჩადის ქმედებას (მაგ., მედეას მიერ შვილების დახოცვა).
2. როდესაც მოქმედმა პირმა არ იცის, რომ მისი ქმედება ახლობლების წინააღმდეგ არის მიმართული (მაგ., ოიდიპოსის მიერ საკუთარი მამის მოკვლა).
3. როდესაც მოქმედმა პირმა დასაწყისში არ იცის, რომ მისი ქმედება ახლობლების წინააღმდეგ არის მიმართული. იგი მხოლოდ უკანასკნელ მომენტში იგებს ამის შესახებ და თავიდან აიცილებს მოსალოდნელ ტრაგედიას (მაგ., „კრესფონტი“ მეროპე აპირებს შვილის მოკვლას, მაგრამ „გამოცნობის“ შემდეგ, ცხადია, არ კლავს) (ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, 2008).

ამდენად, აღნიშნული თემა აქტუალური იყო ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში. იმ დროის უკვდავ მოაზროვნეებს იგი მაყურებელზე ძლიერი ზემოქმედების ერთ-ერთ უტყუარ საშუალებად მიაჩნდათ. მშობლის, აღმზრდელის მიერ შვილის მოკვლის ფაქტს ვხვდებით ძველ ქართულ მწერლობაშიც, აგიოგრაფიაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აგიოგრაფის მთავარი სათქმელი განსხვავდება ჩვენ მიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებთა იდეური ჩანაფიქრისაგან. ცხადია, აგიოგრაფის პერსონაჟთა მოქმედებას რელიგიური რწმენა განსაზღვრავდა, მაღალი სულიერი თვისებები, ამქვეყნიური ტანჯვისა და საცდურის დათმენით სასუფეველის მოპოვება. „ცხრა ძმა კოლაელთა წამებაში“ აგიოგრაფი მოგვითხრობს მცირეწლოვან ყრმათა მოწამებრივ აღსასრულზე. სოფელ კოლას მკვიდრი წარმართი ბავშვები ღამით მშობელთაგან მალულად მონათლულან მდინარე მტკვარში, ანგელოზთაგან განმტკიცებულებმა უარი თქვეს წარმართ მშობლებთან დაბრუნებაზე. განრისხებულმა მშობლებმა ისინი ჩაქოლეს. როგორც რ. სირაძე აღნიშნავს, „აგიოგრაფიულ ნაწარმოებში მრავალგვარი პერსონაჟია ხოლმე გამოყვანილი, მაგრამ ძირითადი გმირი მხოლოდ იდეალური ადამიანის განსახიერებაა. მის გვერდით ცხოვრებისეული დეტალები, კონკრეტული ხასიათები, ბუნების კანონზომიერებანი, ოჯახური პრობლემები შეიძლება მხოლოდ დამხმარე მასალა იყოს და მათ ძირითადი მნიშვნელობა არასოდეს ენიჭებათ“ (რ. სირაძე, 1987). ამ თხზულებაშიც წინა პლანზე წამოწეულია მცირეწლოვან ყრმათა სულიერი სიმტკიცე, ურყევი ნებისყოფა. ბავშვებმა საოცარი მოთმინებით აიტანეს მშობელთაგან შეურაცხყოფა, ტანჯვა-წამება, მშვიერ-მწყურვალნი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: „ჩვენ ქრისტიანენი ვართ და არა ჯერს არს, ვითარმცა ვჭამეთ და ვსუთ ნაგები კერპთა“. რ. ბარამიძის დაკვირვებით, „წამებათა“ ჟანრის თხზულებებში კონფლიქტი აისახება „მწამებელსა“ და „წამებულს“ შორის დაპირისპირებაში, ბრძოლაში, რომელიც თანდათან ვითარდება და კულმინაციას აღწევს. ამ თხზულებაშიც სიუჟეტი ასე ვითარდება. ამ შემთხვევაში მშობლები (იგივე მწამებლები), სასტიკად უსწორდებიან თავიანთ შვილებს, რომელთაც არა დაუტევებს ქრისტეს სჯული. ამდენად, ავტორი არ ასახავს შვილისმკვლელი მშობლების სულიერ მდგომარეობას, მათ განცდებს, რადგან აგიოგრაფები იდეას გვაწვდიან არა ბოროტის გმობით, არამედ დადებითი პერსონაჟის სახით. განსაკუთრებულ ყურადღებას ავტორი ამახვილებს მხოლოდ მოწამის სიკვდილთან შერიგების უნარზე, „ჩვენ ქრისტიანენი ვართ და მისთვისცა მოვსწყუდებით და მოვკუდებით, რომლისა მიმართ ნათელ ვიღეთ“, - ეს იყო კოლაელთა უკანასკნელი სიტყვები. „მათ წმინდანობის

დიდება ენიჭებათ სიკვდილის შიშის დაძლევისთვის. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ ყურადღება არ ექცევა ცხოვრების დათმობის სიძნელეს, რადგან ცხოვრებით ტკბობა ღირსებად არ ითვლებოდა. აქაც მქადვანდება აგიოგრაფის ცალმხრივობა. გამორიცხულია სიკვდილის ტრაგიკული განცდაც, რადგან ხორციელი გარდაცვალება ითვლება მომავალი მარადიული ცხოვრების წინადადებ. სიკვდილთან შერიგებით პიროვნება ცხადყოფს თავის შინაგან ძალას, რწმენის სიძლიერეს“ (რ. სირაძე, 1987).

მცირეწლოვანი ძმები, დავითი და ტირიჭანი, უღმობელი ბიძის სისასტიკის მსხვერპლნი გახდნენ („დავითისა და ტირიჭანის წამება“). წარმართმა თევდოსიმ გადაწყვიტა უსჯულოებისაკენ მიედრიკა დაქვრივებული და და დიშვილები. როდესაც თავინე წინ აღუდგა ძმის უსჯულოებას, მაშინ მან იხმო ყრმები და მათი გადაბირება სცადა, მაგრამ ამაოდ. განრისხებულ თევდოსიმ მოგვიანებით დედის მიერ გადამალულ ძმებს სასტიკად გაუსწორდა. დავითი საკუთარი ხელით, მახვილით განგმირა, ხოლო გაქცეულ ტირიჭანს მდეგრები დაეწივნენ და ისიც მოკლეს. ახალი აღთქმის მიხედვით, განმწმენდი ძალა აქვს წმინდანთაგან დაღვრილ სისხლს და ღმერთი შურს იძიებს მოწამეთათვის (გამოცხ. 16, 3-7). თხზულების მიხედვითაც, ყრმათა მკვლეელი ბიძა დაბრმავდა. „ოლაელთა წამებისაგან“ განსხვავებით, დაბრმავებული თევდოსი ღვთის სასჯელმა სინანულით ადავსო. როგორც რ. სირაძე აღნიშნავს, „აგიოგრაფიაში უკეთურების მხილებას ნაკლები ადგილი ეთმობა. ამისდაკვალად, უარყოფითი პერსონაჟები ფერმკრთალადაა წარმოდგენილი. აგიოგრაფია არ ასახავს პიროვნებათა ავ-კარგს, მათ ჭიდილს, პიროვნების დრამატიზმს“ (რ. სირაძე, 1987). თუმცა ავტორი გულმოდგინედ გვიხატავს მონანიე ბიძის სახეს, რადგან ის სასწაულს უკავშირდება, სასწაული კი, თავის მხრივ, ყოველთვის წმინდანსა თუ მოწამეს, რომელიც მას, უპირველეს ყოვლისა, გამორჩეულობას სძენს და ამასთანავე, წმინდანობის მამტიციცებელია. სინანულში ჩავარდნილ თევდოსის თავინემაც შეუნდო, რომელიც მიხვდა, რომ ღმერთმა მსხვერპლად შეიწირა „მშუენიერნი საკუერთხნი“, შვილნი მისნი და შეუნდო ძმას, უფალს შეავედრა, რომ კურნება მიენიჭებინა თევდოსისთვის, აიღო წმინდა დავითის სისხლით გაჟღენთილი მიწა, თვალებზე მოუსვა ძმას და მას უმაღ დაუბრუნდა მხედველობა.

აგიოგრაფიულ თხზულებებში მწამებლებისადმი (ოჯახის წევრები იქნებიან ისინი, თუ უცხოტომელი მსაჯულები, ამირები, დამპყრობლები...) მწერლის დამოკიდებულება, ცხადია, ცალსახაა. აგიოგრაფთაგან განსხვავებით ჩვენ მიერ საანალიზოდ მოტანილ თხზულებათა ავტორები გვახედებენ დადებით თუ უარყოფით პერსონაჟთა სულიერ სამყაროში და მკითხველსაც გვიტოვებენ საფიქრალს.

მწერლის სიტყვას აქვს ის მაგიური ძალა, რომელიც ძალუმად იკაფავს გზას ადამიანთა გულებისაკენ და ღრმად იდგამს ფეხს მათ ცნობიერებაში. სწორედ რომ მწერლები „იმღვეიან ადამიანური ცხოვრების უფრო დამარწმუნებელ აღწერას, ვიდრე სოციალური ფსიქოლოგები. მეცნიერები ხშირად უძლურნი არიან, გაიგონ ის, თუ რა ქმნის ადამიანებში ადამიანურს. ლიტერატურაში ყურადღებას აპყრობენ ხასიათთა შორის დამყარებულ აფექტურ კავშირთა აღწერას, მათ განცდათა განვითარებას, ასევე, ადამიანთა შორის წარმოშობილ კონფლიქტებს, სიხარულსა და ნაღველს. ცხადია, ეს მოვლენები ცხოვრებისეული დრამის ცენტრალურ ნაწილად გვევლინება“ (Т. Шибутин, 1969). ეს მოსაზრება უდავოდ ვრცელდება ისეთ ნაწარმოებებზე, რომლებიც პერსონაჟების ღრმა დრამატიზმითა და ფსიქოლოგიზმით გამოირჩევიან ლიტერატურულ სივრცეში. ამ კონტექსტში გვინდა მიმოვიხილოთ აკ. წერეთლის „გამზრდელი“, ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ნ.გოგოლის „ტარას ბულბა“, პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“, ველ მირო აიალა გაუნას „ბებია“. რა არის ის მთავარი, რაც ამ თხზულებებს აერთიანებს, შეიძლება თუ არა დამნაშავენი ვუწოდოთ აღნიშნული ნაწარმოებების მთავარ პერსონაჟებს: საფარ-ბეგს, ონისეს, ფორტუნატოს, ანდრის, სანტინოს? წარმოადგენდა თუ არა აუცილებლობას მათი სიკვდილით დასჯა? თუ დამნაშავეები მშობლები (აღმზრდელები) არიან, რომლებიც შეგნებულად სჩადიან ასეთ შემზარავ საქციელს. ამ გენიალურ ქმნილებათა დაწყვილების შედეგად შევეცდებით წარმოვაჩინოთ ემოციური მომენტები და ზნეობრივი ღირებულებები, რომლებიც ყველა დროის მოაზროვნეთათვის არის და იქნება აქტუალური.

სიყვარულის თავდავიწყებამ წაიღო და ონისემ („ხევისბერი გოჩა“) გუშაგის მოვალეობა დაივიწყა, მტერი შემოეპარა. თხზულების ამ ნაწილში ყველაზე მეტადაა თავმოყრილი წინააღმდეგობანი, რომლითაც განპირობებულია ონისეს ტრაგედია. ერთი მხრივ, მოვალეობა, რომ ჩაბარებული ადგილიდან მტერი არ შემოიპაროს, რასაც ემატება მამის დარიგება და საკუთარი ფიცი, ხოლო მეორე მხრივ-სიყვარული. მიუხედავად მომხდარი მძიმე ფაქტისა, ონისეს პიროვნებას კეთილშობილებით მოსავს მისივე აღიარება თემის ყრილობაზე. მისი აღსარებიდან იცნობა „ზნემაღალი ადამიანი, რომელიც საკუთარი მარცხის შემდეგაც ვაჟკაცობის იდეალს არ ღალატობს“ (აბ. მახარაძე, 2003).

ონისესაგან განსხვავებით, ანდრი („ტარას ბულბა“) დუშმანის მხარეს გადავიდა. ესეც არ იკმარა და თავისიანებს მედგარი ბრძოლა გაუმართა, რადგან უცხოტომელი ქალი შეუყვარდა. ონისემ იცის, რაც ელის დანაშაულისათვის, მაგრამ მისთვის ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე. არსებითად განსხვავდება ანდრი ბულბას საქციელი, რომელიც მამამ ბრძოლის დროს შეიპრო. მან

უდრტინელად მიიღო მამისგან სასჯელი, მაგრამ არ განუცდია სინდისის ქენჯნა. არ გაუცნობიერებია დანაშაული. ონისე ბევრად უფრო ზნემაღალი პერსონაჟია. „ონისეს ტრაგედია მისსავე დიდ ადამიანურობაშია“ (აპ. მახარაძე, 2003).

ამ ორი პერსონაჟის ტრაგედიას სიყვარული უდევს საფუძვლად, თუმცა ტრფობისადმი მათი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. ონისე უნებლიედ გახდა მოღალატე, ანდრიმ კი თანამომძმენი საყვარელ ქალს ანაცვალა. როცა ანდრი ალყაშემორტყმულ დუბნოში შეიპარა და საყვარელი ქალის ოჯახს საზრდო შეუტანა, უარი თქვა უკან, კაზაკთა ბანაკში დაბრუნებაზე: „სამშობლო ის არის, რასაც სული დაეძებს, რაც ყველაზე მეტად შეგყვარებია. ჩემი სამშობლო შენ ხარ“. საერთოდ, რომანის კონცეფციის მიხედვით, სიყვარული უძლეველ ძალადაა მიჩნეული. ძიძიას სიყვარულიც ონისესთვის ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა, ის ებრძოდა გულში დაბუდებულ ტრფობას, ცდილობდა გაქცეოდა, დამალვოდა, მაგრამ ამაოდ. ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ ეს იყო მხოლოდ „მორჩილება ვნებისადმი“ (ნ. სარჯველაძე). განსაკუთრებით ონისეს შემთხვევაში (გ. ასათიანი, 2004). ვნებისადმი მორჩილება ჩანს აკაკის „გამზრდელში“. საფარ-ბეგი ძიძიმე დანაშაულის ჩამდენია (მორდუობის გამტეხი). ფაცხაში ძიძიშვილის მეუღლესთან დარჩენილს სძლია ვნებამ და გამოუსწორებელი შეცდომა, ცოდვა ჩაადენინა, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი განზრახვით არ მისულა ოჯახში. საფარ-ბეგი ითხოვს სიცოცხლის ფასად გამოისყიდოს დანაშაული, სიკვდილით გაიმრთელოს სინდისი, რითაც ენათესავება ალ. ყაზბეგის ონისეს. ამ ორი პერსონაჟის დაწყვილების საშუალებას ისიც გვაძლევს, რომ მხოლოდ „სინდისიერ კაცს შეეძლო ეს გაეკეთებინა, რაც საფარმა მოიმოქმედა - მართლა წავიდა გამზრდელთან და ყოველივე უამბო, რომ უკანასკნელს მაინც გაეჩინა სამართალი და საფარი გაეთავისუფლებინა ძიძიმე განცდებისაგან“ (ლ. მინაშვილი, 2003).

პატარა ფორტუნატო ვნებათა ამ სიმძაფრემდე ვერ ადის. იგი ბავშვური სულწასულობის მსხვერპლი ხდება. სერჟანტის მიერ შემოთავაზებულ საჩუქარს დახარბდა და ხიზანი გასცა. ჯონ ლოკის მიხედვით, ბავშვის სული, ცნობიერება არის დაუწერელი სუფთა ქაღალდი, ანუ არისტოტელედან მომდინარე - სუფთა დაფა. უარყოფდნენ თანდაყოლილ იდეებსა და აღიარებდნენ, რომ აღმზრდელს შეუძლია ნებისმიერი სასარგებლო თვისება დაწეროს ბავშვის სუფთა ფურცელზე. საპირისპირო აზრის მიხედვით, ბავშვის სული და ცნობიერება არ არის სუფთა დაფა. მას თან დაჰყვება მემკვიდრეობითი ბუნებრივი მონაცემები - შთამომავლობითი გენები, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს ადამიანის აღზრდის პროცესში, რომელთა თანაარსებობა გარკვეულ შემთხვევაში ართულებს ან აადვილებს აღზრდას. ყოველ შემთხვევაში,, ძიძიმე თანდაყოლილი თვისებების გასწორება ზოგჯერ შესაძლებელი ხდება (აბ. ქართ. ლიტ. ისტ. , 2003). ჯიანეტოს გამოჩენისთანავე ფორტუნატო გარიგებას სთავაზობს, „რას მომცემ, რომ დაგმალო?“ უკვე ჩანს მოზარდის ხასიათში ხარვეზი. სხვა მომენტს კი უფრო მძაფრად აღწერს ავტორი: „ბავშვურ სახეზე ეხატებოდა ბრძოლა, რომელიც მის სულში წარმოებდა საათის მძაფრ სურვილსა და სტუმართმოყვარეობის ვალდებულებას შორის. გადაღედილი მკერდი უთრთოდა, გული ყელში ებჯინებოდა. ამავე დროს საათი მის თვალწინ ტრიალებდა და რამდენჯერმე ცხვირის წვერს მოხვდა...“ ფირალი მატეოს სახლს „გამცემლის სახლს“ უწოდებს. „მხოლოდ სასიკვდილოდ განწირული კაცი თუ გაბედავდა მატეოსთვის გამცემელი ეწოდებინა“, - დასძენს ავტორი. ამ ამბავმა მატეო გაანადგურა. „კარგად იწყებ ცხოვრებას!“ - თქვა ბოლოს მან დამშვიდებული ხმით, მაგრამ, ვინც მას იცნობდა, ამ ხმაში მუქარას გაიგონებდა. „ეს ბიჭი პირველია, ვინც ღალატე ჩაიდინა ჩვენს გვარში“. მიუხედავად ფორტუნატოს მუდარისა, მამამ სიტყვებით, „ღმერთმა გაპატიოს“, გამოასალმა სიცოცხლეს. მატეო არ ითვალისწინებს იმას, რომ ფორტუნატო ბავშვია, რომ ბავშვის „სული, ცნობიერება დაუწერელი სუფთა ქაღალდია“, რომ ბავშვი იოლად გააბრიყვა გამოცდილმა და გაქნა ჟანდარმმა. არც შვილის ვედრებამ იმოქმედა მასზე. მან სრულიად მშვიდად მოკლა ფორტუნატო და ასევე აუღელვებლად უთხრა ცოლს: „...ახლავე დავასაფლავებ, მოკვდა როგორც ქრისტიანი“... ასევე გულგრილად, ისე, რომ ხელიც არ აკანკალებია, მოკლა შვილი ტარას ბუღბამ. იგი დაჰყურებს მკვდარ ანდრის და ამბობს: „რით არ იქნებოდა კაზაკი?... ტანი მაღალი, შავი წარბი, სახე ნაზი, კეთილშობილი, მკლავი მაგარი, ბრძოლაში დაიღუპა! ძალღვივით უსახელოდ დაიღუპა!“. მეტიც, როცა ოსტაპმა ანდრის დამარხვა სთხოვა მამას, ტარასმა უპასუხა: „უჩვენოდაც დამარხავენ, ჭირისუფლები და ნუგემისმცემლები გამოუჩნდებიან!“ მართალია, მერე ორიოდე წუთით დაფიქრდა დაემარხა თუ არა შვილი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ვერ მოასწრო, რადგან მტერი უტევდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო.

აუღელვებლად, საკუთარი ხელით კლავს დონა ემეტერია შვილიშვილს, სანტინოს („ბებია“). მაიდანას მკვიდრთათვის უზენაესი „მაიდანას კანონი იყო, რომელსაც იარაღით ატარებდნენ და იარაღით იცავდნენ“. საგვარეულოს მამაკაცები სიკვდილს წარბმუხურელად ხვდებოდნენ. ამიტომაც უკლავდა გულს დონა ემეტერიას შვილიშვილის საქციელი, რომელიც არც წინაპართა ვაჟკაცური თვისებებით გამოირჩეოდა და არც იარაღის ტარება უყვარდა. საზარელ სურათს შეესწრო ბებია. დის შემარცხვენელს დაეჩოქებინა სანტინო და მათრახით სცემდა. შეურაცხყოფილ დონა ემეტერიას მეხსიერებაში „ვაჟკაცური

სიკვდილით დაცემული ყველა მაიდანა აღსდგა. როგორი ზიზლით შეხედავდნენ ისინი თავიანთ შთამომავალს, რომელმაც ოჯახის სიწმინდის დაცვა ვერ შეძლო.“

დონა ემეტერიამ საოცარი ორთაბრძოლა გაუმართა ოჯახის შემარცხვენელს. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მან მოწინააღმდეგე სწორედ იმ მახვილით განგმირა, რომლითაც ოდესღაც მისი ნამუშის შებღალვის მოსურნე სამი ჯარისკაცი უკუაქცია. შემდეგ კი უგონოდ მყოფი შვილიშვილს წინ დაიჩოქა, დანა გულში ტარამდე უყოყმანოდ ჩაასო, შემდეგ კი გვამებს შორის ჩააგდო. საშველად მოსულ გლეხებს კი პირქუშად უთხრა: „იგი ჩვენებური კანონით მოკვდა, როგორც ნამდვილი მაიდანა“. ბებიამ სამარცხვინო სიცოცხლისგან იხსნა „ნებიერი ქალიშვილის“ დარი შვილიშვილი.

დონა ემეტერიას, ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს სულიერ სამყაროში შვილებისადმი თანაგრძნობის მისხალიც კი არ აღმოაჩნდათ. ამ კუთხით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხევისბერი გოჩა. რომანში არაერთგზის გვხვდება მისი შეგონება შვილისადმი: „ვინმლო ქვეყანა არ გააცინო“, „წადი საცა გინდა, ოღონდ ჩემს შეგონებას ნუ დაივიწყებ, გახსოვდე ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისათვის არის გაჩენილი“... ასე ავედრებდა უფალს ერთადერთ პირმშოს: „ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლად ატარე! ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გაწბილდებოდეს და ქედი მოეხდებოდეს...“ მან სამართალიც საკუთარი ხელით აღასრულა, მიუხედავად თემის გადაწყვეტილებისა, თუმცა შვილის სიკვდილს ვერ გაუძლო და ჭკუიდან შეიშალა.

არც ხევისბერმა გოჩამ, არც ტარას ბულბამ, არც მატეო ფალკონემ შვილებს დანაშაული არ შეუნდო და სიკვდილით დასაჯა. მხოლოდ ჰაჯი-უსუბი („გამზრდელი“) მოიქცა სხვაგვარად, საფარ-ბეგის დანაშაული თავად ზღო - თავი მოიკლა. საფარმა გააცნობიერა დანაშაული და თავადვე გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს. მან არა მარტო ბათუს წინაშე დახარა თავი მორჩილად, არამედ გამზრდელსაც დაუმაღავად, შეულამაზებლად მოუყვა ყველაფერს. ონისემაც თავად აღიარა დანაშაული თემის წინაშე. მან იცის, რაც ელის დანაშაულისთვის, მაგრამ მისთვის ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე. ანდრი ბულბა, მათგან განსხვავებით, ღალატის გამო არ განიცდის სინდისის ქენჯნას. თუკი ონისეს მივიჩნევთ ყველაზე ზნემაღალ პერსონაჟად ანდრისა და საფარ-ბეგთან შედარებით, ხევისბერ გოჩას, ტარას ბულბას, მატეო ფალკონესა და ჰაჯი უსუბის შედარების საფუძველზე აშკარად ჩანს ამ უკანასკნელის ადამიანურ ღირსებათა პრიორიტეტი. სრულიად განსხვავებულია დასჯის მეთოდებიც. საფარ-ბეგის მიერ დანაშაულის მონაწილების დროს ჰაჯი უსუბმა თავი მისი ცოდვის თანამონაწილედ მიიჩნია და საკუთარი სიცოცხლითაც ზღო. სამართლიანად შენიშნავს აკ. ბაქრაძე: „როგორც ონისეს მოკვლა არის ხევისბერის დასჯაც, ასევე იქნებოდა ჰაჯი უსუბის დასჯაც საფარ-ბეგის მოკვლა. ამიტომაც ამგობინა გამზრდელმა თვითმკვლელობა. ჰაჯი უსუბი მარტო სიცოცხლეში კი არ იყო საფარ-ბეგის მოძღვარი, არამედ სიკვდილშიც. მან სიკვდილით გაცილებით მეტი ასწავლა საფარ-ბეგს, ვიდრე, ალბათ, ცხოვრებით. წარსულმა (ჰაჯი უსუბმა) მომავალს (საფარ-ბეგს) პატიოსანი არსებობის უკვდავი გაკვეთილი მისცა (აკ. ბაქრაძე, 2004).“

როცა ამ პერსონაჟებს ვაკვირდებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „დანაშაული არ უნდა მომხდარიყო, რამეთუ არცერთს არ აკლია არც პატიოსნება, არც ნებისყოფა, არც ვაჟკაცობა. სწორედ შვილების (აღზრდილების) მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო ხდება ის დიდი ტრაგედია, რასაც კაცთა კვლა ჰქვია. (აკ. ბაქრაძე, იქვე)“. ცხადია, როდესაც აგოგრაფიულ პერსონაჟებზე ვსაუბრობთ, აქ უპირველესია „სულით სიცოცხლე“, რწმენისთვის ხორციელი სიკვდილი კი სასუფევლისკენ მიმავალი გზაა. „სულით სიკვდილი“ არის შუშანიკისთვის ქმრის უკეთური საქციელის გლოვის მიზეზი. ამ მხრივ ერთი საინტერესო ეპიზოდი შემოუნახავს „შუშანიკის წამების“ სომხურ რედაქციას. შუშანიკის ერთ-ერთი შვილი მტკვარში დაიხრჩო. დედოფალმა, შეიტყო რა ეს ამბავი, ჰმადლობდა უფალს და იტყოდა: „დადაცა თუ ჯორცითა მოკუდა, გარნა სულითა, განერა საბრჯესა მამისა მისისა უვარის მყოფელისასა და აწ ღმერთსა დიდება ყოველსა შინა“. რაც შეეხება ზემოაღნიშნული თხზულებების პერსონაჟებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მშობლები ზნეობრივი კრიტერიუმების დარღვევას ვერ პატიობენ შვილებს. მათი სასტიკი ქმედების საფუძველი შეიძლება შვილების შებღალული სახელისა და შერცხვენილი სიცოცხლისაგან გათავისუფლება იყოს, რამეთუ ზოგჯერ სიცოცხლე უფრო დიდი სასჯელია. თუმცა, ისიც თვალშისაცემია, რომ ავტორები გვანახებენ შვილის მოკვდინება ეწინააღმდეგება ბუნების კანონზომიერებას, რომ ეს არის სწორედ მარადისობის არსებობის დარღვევა. ამიტომაც შეიშალა ხევისბერი გოჩა, ტარას ბულბა ცდილობს იხსნას მეორე შვილის სიცოცხლე, მატეო ფალკონე ოჯახის ტრადიციების გამგრძელებლად სიმეს ხედავს. კლასიკოსი მწერლები დაინტერესდნენ ადამიანის ღრმა შინაგან შრეებში მიმდინარე იდუმალ პროცესთა გარკვევით და თავიანთი ნიჭის, მსოფლმხედველობის, მრწამსის შესაბამისად სხვადასხვაგვარი ვარიაცია შემოგვთავაზეს აღნიშნული თემისა. უნდა აღინიშნოს, რომ მეტი სიფრთხილე, ფაქტების სიზუსტე და სიუხვევა საჭირო, როცა ვეხებით ასეთ მტკივნეულ თემებს, რათა უფრო მეტი სიცხადე შევიტანოთ აღნიშნული თემის კვლევა-ძიების საქმეში.

ლიტერატურა:

1. აკ. ბაქრაძე, „გამზრდელი“, წიგნში ქრესტომათიული კრიტიკა XIX ს. II, , თბ., 2004, გვ. 233.
2. ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2008, გვ. 20-21.
3. რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987, გვ. 12.
4. რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, გვ. 15.
5. რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, გვ. 16.
6. Т. Шибутин, Специальная психология, М. 1969, стр. 264.
7. აპ. მახარაძე, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 2003, გვ. 456.
8. იქვე, გვ. 247.
9. http://nunusarjveladze.blogspot.com/2011/03/blog-post_07.html.
10. გ. ასათიანი, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება, წიგნში ქრესტომათიული კრიტიკა, XIX ს. II, თბ., 2004, გვ. 285.
11. ლ. მინაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები და წერილები, თბ., 2003, გვ. 38.
12. იხ. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 2003, გვ. 186.
13. აკ. ბაქრაძე, „გამზრდელი“, წიგნში ქრესტომათიული კრიტიკა, XIX ს. , თბ., 2004, გვ. 188.
14. აკ. ბაქრაძე, იქვე.
15. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და და რედაქციით, თბ., 1963.
16. ალ. ყაზბეგი, ხევისბერი გოჩა, თბ., 1991.
17. აკ. წერეთელი, თხზულ. სრული კრ. 15 ტომად, ტ. 5, თბ., 1956.
18. ნ. გოგოლი, ტარას ბულბა, თბ., 1951.
19. პროსპერ მერიმე, მატეო ფალკონე, მსოფლიო ლიტერატურა, რჩეული მოთხრობები, ტ. მე-2, თბ., 2008.
20. ველმირო აიალა გაუნა, „ბეზია“, თარგმნა ლ. თურმანიძემ, „ჩვენი უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ყოველთვიური ჟურნალი, გორი, 2012, №6.

ANTI-NATURAL FACTS IN GEORGIAN AND EUROPEAN LITERATURE (TYPOLOGICAL AND COMPARATIVE PARALLELS)

Miranda Todua, Sokhumi State University, Associate Professor

Nana Arakhamia, Sokhumi State University, Assistant Professor

SUMMARY

We can come across with a number of anti-natural facts in Georgian and European literature revealed by classic authors according to their outlooks and beliefs. Such a fact is considered to be the murder of a child by his parent which in scientific literature is identified as the opposite of birth, anti-genesis or as the disruption of eternity. The subject of research takes its roots from antiquity. Even Aristotle highlights these issues in his poetics. The immortal thinker reckons such things (the murder of children, to kill a father or brother) as necessary to cause strong emotional impacts on the viewers. Such facts can be found in Georgian and European Literature. They are also found in old Georgian literature. Hagiographic writer's main message differs from the ideological messages of the works we have discussed but in this case we are more interested in putting together the works in which anti-natural facts are dominant in order to compare and analyze them. From this perspective in the article we are reviewing "The Torture of the Nine Kollian Brothers", "The Torture of Davit and Tirichan", "The Torment of Holly Shushanik", "The Foreman Gocha" by Aleksandre Kazbegi, "The Tutor" by Akaki Tsereteli, "Mateo Palcone" by Prosper Merime, "Taras Bulba" by N. Gogol and "The Grandmother" by Velmiro Gauni. We tried to clear out what are the essentialities uniting these works and if the main characters can be called guilty; if the death penalty was necessary for them or if their parents or tutors are the main offenders committing such dreadful murders. These are the questions to which we more or less have found solutions. Besides we tried to reveal emotional moments, details with moral and ethical loading. Onise and Andria are both the victims of love but what distinguishes them is that Onise is more morally exalted figure with his conscience, confession and understanding. In the article we also draw parallels between Onise and Safar-Beg. These two characters are common with their feeling of repentance. Santino with his blindness and lack of courage is different from other analyzed character. As for Donna Emmeteria, Taras Bulba, Mateo Palcone not even a drop of compassion towards their children is common characteristic unlike the foreman who went mad after he killed his son. The tutor is far extremely elevated in the ethical context than the foreman, Taras Bulba, Mateo Palcone or Donna Emmeteria. In the article there are numerous other parallels connected with this research brought into discussion as well.

მოცულობისა და მანძილის საზომი ლინგვისტური კრიტერიუმები ქართულ ენაში

თინათინ თურქია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

სოციალურ სინამდვილეში ადამიანის „სამყარო“ მისი უახლოესი გარემოცვის კოლექტიურ ცნობიერებასთანაა შეჯერებული (ან დაახლოებული, ან დაშორებული), რაც მრავალი კუთხით შეისწავლება. ქართულში, სადაც ჩვენ საშუალება გვაქვს ლექსიკა-ფრაზეოლოგიას უძველესი დროიდან მივადევნოთ თვალი და პიროვნული თუ საზოგადოებრივი აზროვნების არაერთ სპეციფიკურ სფეროს დავაკვირდეთ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი დიალექტური მასალის საფუძველზეც, უაღრესად საინტერესოდ წარმოჩნდება საზოგადოებრივი (ეთნიკური და სოციალური) ყოფის დროში ცვალებადობის ტემპიცა და მიმართულებებიც.

უკვე უძველეს ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ჩანს ადგილისა და ადგილთან დაკავშირებული სივრცული განზომილებების სკრუპულოზური ცოდნა და ლექსიკურად მარკირების ტენდენცია, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ჰაგიოგრაფიული თხზულების „შუშანიკის წამების“ ტექსტში უკვე დასტურდება ისეთი ლექსემები, როგორცაა: მახლობლად, „შენი ადგილი დაგიტევიეს და სხუად წარსრულ ხარ“, ადგილდ-ადგილდ და სხვ. „ქართლის ცხოვრებაშიც“ ადგილთან ადამიანის მიმართების გამომხატველი უამრავი ლექსიკური ერთეული სახელდება და ამ ლექსიკის სიმრავლე, იმაზე მიუთითებს, რომ „ძველ“ საქართველოში დიდხანს იყო შენარჩუნებული საცხოვრებელი ადგილის ან ტერიტორიის მიმართ ადამიანის დამოკიდებულების დეტალიზაციის ტენდენცია, რაც ენას უმცირესი წვრილმანის დონეზეც კი ჰქონდა გაცნობიერებული და მარკირებული (მაგალითისთვის: „მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა“, „ხოლო მათ ცნეს რაჲ სიშორე მისი, ჩამოდგეს ბოტორას დიდნი ფრიად და დაიზამთრეს“, „მათ მყის მოაქცივნეს გზანი მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი“ და სხვ.

ადამიანის საცხოვრებელი სასიცოცხლო სივრცე-სამყარო ისაა, სადაც იგი თავის თავს ხედავს, აკვირდება, აღიქვამს, შეფასებას აძლევს და რომელზეც აგებს თავის სამოქმედო და სააზროვნო ორიენტირებს. ამ სამყაროს უკავშირდება მისი ემპირიული გამოცდილებაც და მისი კულტურული - ღირებულებრივი კრიტერიუმებიც. ამ სამყაროს გარეშე პიროვნებას უჭირს ადაპტაცია, მისთვის ძნელია ინტეგრირება სრულიად განსხვავებულ გარემოში. და თუ თავისი მდგრადი ფსიქიკისა და ნიჭიერების წყალობით იგი ამას მაინც ახერხებს, ეს მისი მუდმივი პიროვნული მობილიზაციის ხარჯზე ხდება და ემოციურად დაღლასა და ცვეთას იწვევს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ლექსიკის განსაკუთრებული მრავალფეროვნება ადამიანის ტერიტორიასთან მიკუთვნებულობის, ან ამა თუ იმ ადგილთან მიმართების თვალსაზრისით, ძალიან დიდია, განსაკუთრებით, თუკი დიალექტურ მასალასაც გავითვალისწინებთ. ამ ლექსიკაში ძალიან მაღალია არა მარტო მხატვრული, ტროპული ბუნების ან სახისმეტყველებითი სემანტიკის მქონე ლექსიკის წილი, არამედ სოციალურად მარკირებული ლექსიკისაც, რომელიც პირის ან კოლექტივის საცხოვრისთან მიმართების სოციალურ ასპექტთაგან ძალიან უმნიშვნელო ნიუანსებს აფიქსირებს და ცალკე ლექსიკური ან გრამატიკული საშუალებით აღნიშნავს.

ქართული ენისათვის დამახასიათებელია მანძილის გაზომვისას ბუნებაზე დაკვირვებისა და საყოფაცხოვრებო გამოცდილების მოხმობა; ამ რიგისად დაჩნდება: ორნაზიჯზე, ადლი, მტკაველი, მკლავის გაშლა, ირმის ნახტომი, ცხრა მთას იქით, თვალუწვდენელი, მაჯისსიმსხო, ცეროდენა, ნამცეცა, მუჭანახევერა, თხილის გულისოდენა, გულისოდენა, არსენას არშინი და სხვ.

ათვლის წერტილი მანძილის აღქმისას თავად ადამიანია (მოლაპარაკე) მისი ადგილსამყოფლის მთავარი მარკერი კი – „აქ“ ზმნიზედაა. ის, რაც „აქ“ ზმნიზედით აღნიშნულ სივრცესთან იმყოფება, „ახლოსაა“, ის, რაც ამ სივრცის მიღმაა – „შორსაა“.

სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ შორს სიტყვის განმარტებაში ვკითხულობთ: „მიღმას იქით“, თავად მიღმა კი განმარტებულია, როგორც „შორი-ახლოს, საშუალი“. სწორედ ეს მისწრაფება, მოიძებნოს ათვლის წერტილი და მის მიმართ დადგინდეს მანძილისა თუ სიდიდის ხარისხი, არის დამახასიათებელი სულხან-საბა ორბელიანის სალექსიკონო განმარტებების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. საყურადღებოა, რომ თავად მანძილისა და სიდიდის (მოცულობითობის) ცნებები ერთმანეთსაა გადაჯაჭვული. მაშასადამე, მანძილს ათვლის წერტილიდან ახლოს შეიძლება ვსაზღვრავდეთ ნაბიჯების რაოდენობით, მტკავლობით („ცერი და ნეკი გაჭიმული“ (საბა)), მკლავის სიგრძით ან ადლობით უფრო მოშორებული „მანძილი ირმის ნახტომის“ სიგრძისა შეიძლება იყოს და ა.შ. მანძილის ცნებას მუდმივ ასოციაციად ახლავს „გზის“ გაგება. „გზას“ საბა ასე განმარტავს: „გზა არს

ზომიერი კაცთა სავალი, ხოლო შარა ვრცელი და ბილიკი ვიწრო, ხოლო ქაშანი შამბნართა ანუ თოჯლთა ზედა გატყევილი სავალი და წავარნა კლდეთა ზრდა ვიწრო რამე ნადირთა წარსავალი.” აქ დახასიათება სიგრძივი კი არა გვაქვს, არამედ - ფუნქციური.

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანი თანდათან სულ უფრო შორდება კონკრეტულ სამკვიდრებელს და უკიდევანო ტექნიკური შესაძლებლობების წყალობით მთელი პლანეტის სივრცობრივ ათვისებას ლამობს. ამის შედეგია ის, რომ მუდმივმა მოძრაობამ შეცვალა ადამიანის მიმართება საცხოვრებელი ადგილის მიმართ: დღეს ადამიანები სახლობენ ბევრგან: სასტუმროებში, პანსიონებში, მდგმურებად, მიგრანტებად (ემიგრანტებად და იმიგრანტებად), ხიზნებად, სახე იცვალა სოფელმა, დაირღვა შთამომავლობითი მამულის საცხოვრებლის პრინციპი; საგვარეულო ეკლესიები, საგვარეულო ქვევრები, აკლდამები და საფლავები თანამედროვე გარემოებებში სხვადასხვა ეკონომიკური სანქციისა და ვალდებულებების გავლენით მუდმივობას კარგავს და ახალი ტიპის სამოსახლო ორიენტირებს სახავს.

სამყარო გაცილებით უფრო დაპატარავდა, სამკვიდრებელი კი გაფართოვდა. ფილოსოფიისათვის სამყარო კონცეპტებამდე დაიყვანება და სხვადასხვა გარემოებებში სხვადასხვა მნიშვნელობას შეიცავს. ადამიანისათვის არსებობს სხვადასხვა მასშტაბის გარემო: მისი პირადი საცხოვრებელი სივრცე - მისი უახლოესი გარემოცვის საცხოვრებელი სივრცე, ქუჩა, უბანი, რაიონი, ქალაქი (სოფელი), ქვეყანა, რეგიონი, კონტინენტი, დედამიწა, სამყარო.

ამ ფონზე წარმოიშობა სხვა საზომი კრიტერიუმები: „დედამიწა პატარაა,“ „ხელისგაწოდებაზეა,“ „ამერიკა შორს არის, ევროპა აქვეა“, „ბაქო ორ ნაბიჯზეა“...

მანძილსა და სიდიდესთან დაკავშირებული ლექსიკა-ფრაზეოლოგია ერთი მხრივ თავისი მოცულობითი შინაარსით, და მეორე მხრივ, თავისი ფუნქციური მნიშვნელობით გარკვეული შინაგანი წესრიგის მატარებელია; ამ წესრიგის დადგენა და შეფასება საინტერესოა არა მარტო სოციოლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის, არამედ ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც (.., 2004, 10-11)

ფილოსოფიაში ასეა, თუ პიროვნებისათვის მისი სამყაროს მთლიანობა ირღვევა, ის დეზორიენტირებულია და ახალი მთლიანობის შექმნას ან სხვა მთლიანობასთან მიკედლებას ლამობს. ადამიანისათვის მისი სამყარო ბევრი ფაქტორისაგან შედგება, პიროვნება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა არის სტაბილური სივრცეც, რომელიც არ უნდა ირღვეოდეს, რათა პიროვნების სულიერ წონასწორობას საფრთხე არ შეექმნას. და ეს მსჯელობა ეხება არა მარტო პიროვნების „მეს“ მენტალურ და ფსიქიკურ სისრულეს, არამედ მისი მსოფლმხედველობის ყველა გამოვლინებას; სოციალურ სინამდვილეში ადამიანის „სამყარო“ მისი უახლოესი გარემოცვის კოლექტიურ ცნობიერებასთანაა შეჯერებული (ან დაახლოებული ან დაშორებული), რაც მრავალი კუთხით შეისწავლება. ამ თვალსაზრისით, ადამიანის ადგილკუთვნილებისა და საცხოვრისის აღმნიშვნელი ლექსიკა განსაკუთრებულად საინტერესოა.

ქართულ საენათმეცნიერო სკოლებში გამორჩეულია პროფ. ბ. ფოჩხუას ღვაწლი, მან განახორციელა ახალი ქართული ენის ლექსიკის საგნობრივი (თემატური) კლასიფიკაცია და კარგად გააზრებულ იდეოგრაფიულ ლექსიკონში განათავსა (ფოჩხუა, 1987); ამ ლექსიკონში ავტორი ლექსიკური პარადიგმატიკის საკითხებს ქართულ მასალას უსადაგებს და თავის სალექსიკონო მონაცემებს მწყობრი თეორიული მსჯელობით ამყარებს: „როდესაც სიტყვას განვიხილავთ, როგორც ლექსიკური ერთეულს, არსებითი ამ სიტყვისათვის ამ შემთხვევაში არის მისი საგნობრივი მიმართება და ამიტომ, პირველ ყოვლისა, ეს უნდა იქნეს გარკვეული – სიტყვა უნდა დახასიათდეს საგნობრივი მიმართების მიხედვით (რას ნიშნავს, რას აღნიშნავს). მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ნაყოფიერი მისი განხილვა ენობრივ კოლექტივთან (თუ ცალკე მოლაპარაკესთან) მიმართებაში (ამგვარ განხილვას „პრაგმატულს“ უწოდებენ) და ბოლოს, ამა თუ იმ ენის ლექსიკურ-სემანტიკური აგებულების გათვალისწინებით, საკუთრივ „ენობრივად“ დახასიათება, ე.ი. დახასიათება ლექსიკური პარადიგმატიკის (და, აგრეთვე, სინტაგმატიკის, შეხამებადობის) პოზიციებიდან.“ (ფოჩხუა, 1987, 23) იქვე დასძენს, რომ „ლექსიკური ფონდის საგნობრივ-თემატური აღწერა მხოლოდ შორეული მისადგომებია ლექსიკის სისტემობრივი დახასიათებისათვის; მათ შორის მოთავსებულია კიდევ ერთი ზონა, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, უაღრესად მნიშვნელოვანია ლექსიკური ფონდის ადეკვატური აღწერა-დახასიათებისათვის; ეს არის ლექსიკის განხილვა ენობრივი კოლექტივის ყოფა-მოსაქმეობის გათვალისწინებით, რადგანაც ყოფის თავისებურებები ძირითადად განსაზღვრავენ ამ თავისებურებებს, რაც სხვადასხვა ენის ლექსიკურ ფონდთან შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა“ (ფოჩხუა, 1987, 24).

დასახელებული ლექსიკონიდან ჩვენ ერთი სისტემური ჯგუფი გვანტერესებს და ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ თავად იდეოგრაფიული ლექსიკონის პრინციპი ჩვენი წინამდებარე კვლევისათვის მისაღებ და სახელმძღვანელო კრიტერიუმს წარმოადგენს. ჩვენთვის საინტერესოა ჯგუფი ავტორისათვის სივრცულად არის კვალიფიცირებული (ზოგადი (სივრცე – მხარე, მოედანი, ადგილმდებარეობა,

გადაადგილება, სადმე მყოფობა... მაცხოვრებელი... მოცულობა...), განზომილება); აქ თავს იყრის უადრესად მრავალფეროვანი ლექსიკა, რომელთაგან მხოლოდ ნაწილს დავასახელებთ: დედამიწა, მიწა, ქვეყანა, ცისქვეშეთი, ცა და ქვეყანა, ცა და ხმელეთი, ცა-ხმელი, ცა-მყარი. არე-მარე, არე, მიდამო, მისადევარი, ალაგი, ადგილი, ყანა, მყარი სანახები, ზღვა-ხმელი, დედამიწის ზურგი, მთელი ხმელეთი, დუნია, მისახედ-მოსახედი (მიხედვა= ზრუნვა), მთაბარობა, მღვიმე, გამოქვაბული, ქვაბი, გამოქვაბული ადგილი და სხვ.

ადამიანის საცხოვრებელი სასიცოცხლო სივრცე-სამყარო ისაა, სადაც იგი თავის თავს ხედავს, აკვირდება, აღიქვამს, შეფასებას აძლევს და რომელზეც აგებს თავის სამოქმედო და სააზროვნო ორიენტირებს. ამ სამყაროს უკავშირდება მისი ემპირიული გამოცდილებაც და მისი კულტურული - ღირებულებრივი კრიტერიუმებიც. ამ სამყაროს გარეშე პიროვნებას უჭირს ადაპტაცია, მისთვის ძნელია ინტეგრირება სრულიად განსხვავებულ გარემოში. და თუ თავისი მდგრადი ფსიქიკისა და ნიჭიერების წყალობით იგი ამას მაინც ახერხებს, ეს მისი მუდმივი პიროვნული მობილიზაციის ხარჯზე ხდება და ემოციურად დაღლასა და ცვეთას იწვევს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ლექსიკის განსაკუთრებული მრავალფეროვნება ადამიანის ტერიტორიასთან მიკუთვნებულობის, ან ამა თუ იმ ადგილთან მიმართების თვალსაზრისით, ძალიან დიდია, განსაკუთრებით, თუკი დიალექტურ მასალასაც გავითვალისწინებთ. ამ ლექსიკაში ძალიან მაღალია არა მარტო მხატვრული, ტროპული ბუნების ან სახისმეტყველებითი სემანტიკის მქონე ლექსიკის წილი, არამედ სოციალურად მარკირებული ლექსიკისაც, რომელიც პირის ან კოლექტივის საცხოვრისთან მიმართების სოციალურ ასპექტთაგან ძალიან უმნიშვნელო ნიუანსებს აფიქსირებს და ცალკე ლექსიკური ან გრამატიკული საშუალებით აღნიშნავს: შინაური, ჩემიანი, ჩვენიანი, სახლიკაცი, მეზობელი, კარის მეზობელი, ღობის მეზობელი... აქ¹, ამერი, ჩვენში, ჩვენში - კავკასიაში (ქართულ ფრაზეოლოგიზმებში არსად არ ფიქსირდება ისეთი ერთობა, როგორცაა „ჩვენში- ამიერკავკასიაში“, უნდა ითქვას, რომ კავკასიონის ქედის სიმაღლისა და რუსეთის იმპერიის ორსაუკუნოვანი საგანგებო პოლიტიკის მიუხედავად, ქართულ ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში კავკასიური (ქედს იქით და ქედს აქეთ) იდენტობა და კავკასიის მთლიანობა დღემდეა დაცული), სახლში ვარ, შინ ვარ, გაღმა, გადაღმა, გამოღმა, განაპირა, სოფლის ბოლოში, სოფლის დასაწყისში, გადავიდა საცხოვრებლად, გადასახლდა, წავიდა, აიყარა, გუდა-ნაბადი აიკრა, ამოიკვეთა, ფეხი ამოიკვეთა, ჩამოსახლდა, ჩამისახლდა, ჩასახლდა...

საინტერესოა, რამდენად იცვლება ადამიანის ადგილკუთვნილებითი დამოკიდებულება საერთო სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის ცვლასთან ერთად. ამ თვალსაზრისით, დღევანდელი, გლობალიზაციური მსოფლიო ნამდვილ გამოწვევას წარმოადგენს წარსულში ჩამოყალიბებული მანძილებისა და ადგილკუთვნილებითი დამოკიდებულებების მიმართ. ადრე მანძილს ცხენით, ან ეტლით მოგზაურობის ხანგრძლივობით აფასებდნენ, ანუ მანძილი კილომეტრაჟის ნაცვლად დროით იზომებოდა (ორი დღის სავალი და ერთი კვირის სავალი იმდროინდელი გზებისა და სამგზავრო საშუალებების შესაბამისი იყო. ასე რომ თუკი კაცზე ამბობდნენ გადამთიელიაო, შეიძლება რომელიღაც ეტაპზე მართლაც მთასიქითა ადგილი ჰქონდათ მხედველობაში, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს მანძილი „ერთ მთაზე შორს“ მოიაზრებოდა, ხოლო გადამთიელი უკვე არა მხოლოდ მანძილით, არამედ მენტალურადაც უკიდურესად დაშორებულ, განსხვავებულ ადამიანს აღნიშნავდა. გადამთიელი გარედან მოსულია; ამ ლექსემასთან ერთად უთუოდ უნდა განვიხილოთ კიდევ ერთი ლექსიკური ერთეული - გადახვეწილი, ისიც შორსაა, მაგრამ გადახვეწილი შინიდან წასულია, ოღონდ წასულია დიდი ხნით ან სამუდამოდ, არა საკუთარი არჩევანით, არამედ გარემოებათა მიზეზით.

თანამედროვე ადამიანის გარშემო ახალი პარადიგმატული სივრცე ჩამოყალიბდა (Haugen, 1966; Haugen, 1972); თუ ადრე ადამიანის ორიენტირები სამკვიდრებელს უკავშირდებოდა და, სადაც არ უნდა წასულიყო იგი, ბოლოს აუცილებლად შინ ბრუნდებოდა (ფიზიკურად ან გონებითად), ახლა ნოსტალგიური ტკივილები ნაკლებად საგრძნობია, ადამიანი შინ ყოფნის დროსაც ნაკლებად არის შინ, და ამდენად მისი მდგომარეობა მუდმივ მოძრაობას უფრო წარმოადგენს, ვიდრე მკვიდრობას. ამიტომაც გაფერმკრთალდა მაგალითად ქართულში სიტყვა მკვიდრი და მისი ადგილი დაიკავა ისეთმა „გრილმა“ მარკერმა, როგორცაა მცხოვრები.²

¹ შდრ.: „აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი/ მასზე ოცნებას დაემგვანება, / ისევ ამწვანდა მდელი და კორდი! / დავდივარ... ვწუხვარ და მენანება! (გალაკტიონი) ან: „არსად ისე არ მღერიათ, როგორც აქ. ამ ქვეყანაში“

² შდრ.: ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში (მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას საჯარო გამოსვლებში ჟღერდა მიმართვა „მამულიშვილნო!“, რომელიც სამხედრო გადატრიალების ინიციატორების გამოსვლებში შეიცვალა ნეიტრალური მიმართვით - მოქალაქენო!...

სამყარო ადამიანის წარმოსახვის ერთ-ერთი ნაწილია, თუმცა თავად ადამიანიც განიხილება მთლიანი სამყაროს ნაწილად. ორივე შემთხვევაში საგნობრივი მიმართება მთელსა და ნაწილს შორის პარტიტიულია; ჰიპონიმურ მიმართებებში გვარეობით და სახეობით მიმართებათა შემდეგ სწორედ პარტიტიულ სემანტიკურ კავშირებს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. (Кузнецова, 1989. 45)

ლინგვისტებს მიაჩნიათ, რომ ლექსიკის აზრობრივი მოწესრიგების საქმეში სწორედ ნაწილ-მთელის მიმართებაა მნიშვნელოვანი, რათა ლექსიკა განთავსდეს როგორც მთლიანი იერარქიული სტრუქტურა (ანუ აღიარებულია პარტიტიული მიმართებების როლი ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში). როგორც აღვნიშნეთ, ადამიანი სამყაროს ნაწილია, თუმცა თავისებურად სამყაროც არის ადამიანის რთული მსოფლშეგრძნების (ნაწილების, დეტალების, მხარეების, ხარისხების, თავისებურებების, ერთობლიობა) შემადგენელი ნაწილი; ამ მხრივ ადამიანის კუთვნილი თავისებურებები შეიძლება იყოს როგორც თანდაყოლილი (მისი ორგანიზმი, ეროვნება), ისე შეძენილი (ეს გულისხმობს ადამიანის ურთიერთობას სხვებთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტთან და აგრეთვე რეალური სამყაროს საგნებსა და ნივთებთან.

მანძილისა და სიდიდის განსაზღვრის პრინციპში კარგად ჩანს კონკრეტული ერისა და ენის ხასიათი და გემოვნება.

ლიტერატურა:

1. ბიძინა ფოჩხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974.
2. Haugen E. The Problem of Language, - Language conflict and Language Planning, The case of Modern Norwegian, Cambridge, Massachusetts, 1966.
3. Haugen E. Linguistics and Language planning, The ecology of Language, Essays Selected and Introduced by Anwar S. Dil, Stanford University Press, Stanford California, 1972.
4. Кузнецова Э. В. Лексикология русского языка: Учеб. пособие для филол. фак. ун-тов. —2-е изд., испр. и доп. — М.: Высш. шк., 1989.
5. Лакофф Дж. Метафоры, которыми мы живем - <http://codenlp.ru/books/lakoff.pdf>

LINGUISTIC MEASURING CRITERIA OF SIZE AND DISTANCE IN GEORGIAN LANGUAGE

Tinatin Turkia, Ilia State University, Assistant Professor

SUMMARY

In determining the distance and the size is well expressed specific nations language's nature and taste. In social reality "World" for human is reconciled with his closest collective's consciousness (close or distant), many of which are taught. In Georgian language we have opportunity to observe vocabulary from ancient times and also can have a look on the public consciousness which is expressed in numerous and varied dialectal material.

ზვიად გამსახურდია, ლიტერატურული პერსონაჟი ნაირა გელაშვილის რომანში „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“

ანა იმნაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

გასული საუკუნის მიწურულის საქართველოში განვითარებული მოვლენების ლიტერატურულ რეფლექსიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ნაირა გელაშვილის შემოქმედებას. 2010 წელს ქართულმა საზოგადოებამ იხილა ავტორის მორიგი რომანი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“, რომელმაც იმავე წელს მიიღო ერთ-ერთი პრესტიჟული ჯილდო „საბა“, როგორც წლის საუკეთესო პროზაულმა ნაწარმოებმა. საინტერესოა, რომ რომანი, როგორც თავად ავტორი ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს, 1992-94 წლებში შეიქმნა, მაგრამ, შექმნილ მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სულიერ სუფთუბის ფონზე,

ნაირა გელაშვილმა არ ისურვა, რომ რომანს დღის სინათლე ეხილა. სავარაუდოა, ე. წ. „დროის დისტანციის“ თეორიის მიხედვით, ავტორი ელოდა, გადაფასდებოდა თუ არა მის მიერ ნაწარმოებში გატარებული იდეები, მოსაზრებები. ნაირა გელაშვილი, ოთარ ჩხეიძისგან განსხვავებით, დაელოდა დროის გასვლას. ავტორი ამ ფაქტს ერთი შეხედვით უცნაური მიზეზით ხსნის - „უხალისობა“. მალხაზ ხარბედიასთან ინტერვიუში კი აზუსტებს, რომ: „ეს რომანი 1994 წელსაა დამთავრებული და არც მინდოდა გამოქვეყნება და რაღაცნაირად მინდოდა, ის სინამდვილე დამევიწყებინა, ისევე, როგორც ბევრს სურს დავიწყება ჩვენი უახლოესი წარსულისა, რომელიც მთლიანად შედგება ტრავმების წნულისაგან. ეს განცდა მახსოვს, „დრო, დრო აღნიშნე“, გალაკტიონის სიტყვები, რომელიც თითქოს რაღაც ანდერძითაა. მაგრამ ჩემთვის მაინც მთავარი არის ის, რომ ესაა მცდელობა, დაასახელო მიზეზები, რამაც გამოიწვია საქართველოს პერმანენტული მარცხი და პერმანენტული უიღბლობა და, რაც დღესაც იწვევს კიდევ, რადგან ის მიზეზები აღმოფხვრილი არც ახლა არ არის და გრძელდება“ [ხარბედია, 2012]. აღსანიშნავია, რომ ავტორი იმავე პოზიციაზე დარჩა, რაც ჰქონდა 80-იანი წლების მიწურულში და 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებული მოვლენების მიმართ. ჩვენთვისაც სწორედ ამ კუთხითაა საინტერესო რომანი „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“. ტექსტი რთული კონსტრუქციისაა, მოიცავს 10 კარს, რომელშიც კიდევ ერთი რომანის ნაწილებია ჩართული და ამით უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ავტორის დამოკიდებულებაზე ზემოთ აღნიშნულ ეპოქასთან.

მკვლევარი ლელა კოდალაშვილი თხზულებას მხატვრულ-დოკუმენტური რომანის ჟანრს განაკუთვნებს: „მე არ ვიცი, თავად ავტორი რა ჟანრს მიაკუთვნებს თავის ტექსტს, მაგრამ „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ მხატვრულ-დოკუმენტური რომანია, სადაც იგი ყოველგვარი დანდობის, მამბელობისა და გულისაჩუყების გარეშე აწნავს სილას ქართველ ერს და ამსხვრევს კულტს მისი საუკეთესოობის, გამორჩეულობის შესახებ და ესაა ერის სამართლიანი, ობიექტური ხედვის რაკურსი“ [კოდალაშვილი, 2011]. მალხაზ ხარბედია კი თვლის, რომ „რომანი “პირველი ორი წრე” არაა დოკუმენტური, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც დოკუმენტების, ასევე ავტორისეული ხედვებისა და ტკივილების ერთიანობა ახლიდან განგვაცდევინებს ჩვენი ქვეყნის არეულ თავგადასავალს“ [ხარბედია; 2012]. ჩვენ კი ვფიქრობთ, ეს რომანი გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის საქართველოს ისტორიის მხატვრული გააზრების კიდევ ერთი, ძალზე საინტერესო ცდაა. მკვლევარი მაია ჯალიაშვილი, ნაირა გელაშვილის შემოქმედებაზე საუბრისას, შენიშნავს, რომ ავტორისთვის „მძვრდება სურვილი აღსარებისა, ერთგვარი გამიშვლებისა - ყველა ნაკლისა და ხარვეზის წარმოსაჩენად“ [ჯალიაშვილი, 2006]. შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო აღნიშნული რომანის შესაქმნელად და შემდეგ ამდენ ხანს მისი არ გამოქვეყნებისა.

ორიოდე სიტყვა სათაურის შესახებ: ავტორი აღნიშნავს, რომ ხშირად ხდება სათაურის დამახინჯება და არ მოიხსენიებენ მთავარს „ყველა სხვა“, „ამ რომანის სწორად წარმოთქმული სათაური უდიდეს იშვიათობად მექცა: უმთავრესად საბას პრემიის დღეებში ჩნდებოდა მედიაში ზეპირად თუ წერილობით და ყველაზე მანუგემებელი იყო მისი რედუცირებული ფორმა: „პირველი ორი წრე“ (მაშინ როდესაც „ყველა სხვას“ აქვს მნიშვნელობა)“ [გელაშვილი; 2011]. ნაირა გელაშვილი ამ „ყველა სხვას“ ანიჭებს უპირატესობას, ამაზე აუცილებლად შევჩერდებით, თუ რას გულისხმობს ავტორი ყველა სხვაში. ერთი შეხედვით, „პირველი ორი წრე“ შეიძლება გავიგოთ, როგორც თარგმნის ურთულესი და უმძიმესი პროცესის შემადგენელი ნაწილი, ავტორის თქმით, „თარგმანი მკაცრად ორგანოზომილებიანი ხელოვნებაა და ორივე განზომილება ერთნაირად მთავარია“ [გელაშვილი; 2010]. სამწუხაროდ, ჩვენ ერთსა და იმავე წრეში ვტრიალებთ და აქედან გამოსვლისათვის ჯერ საფუძველი არ შეგვიქმნია. თუმცა, თუ სწორად გავიგე, პირველ და მეორე წრეს თარგმანთან მიმართებაშიც ენიჭება მნიშვნელობა, იმ აზრით, რომ პირველი წრეა ტექსტის გაგება და მეორე - მისი გადატანა მეორე ენაზე.

ნაირა გელაშვილის რომანში „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ მთავარი პერსონაჟი ზვიად გამსახურდიაა, ისევე როგორც ოთარ ჩხეიძესთან, ზვიად გამსახურდიას ვხვდებით როგორც პრეზიდენტს. მიუხედავად ყველაფრისა, რაზეც ვისაუბრეთ რომანის გარშემო, მისი მთავარი თემა, იდეა, პერსონაჟი, ანტიგმირი, ყოველგვარი ტრაგედიის თავი და მიზეზი მაინც ერთი ადამიანია, მის გარშემო ტრიალებს რომანის სიუჟეტიც, თემაც და იდეაც - ესაა ზვიად გამსახურდია. ჩვენი აზრით, ნაირა გელაშვილი გარკვეულ წილად მიკერძოებულ პოზიციას ამჟღავნებს, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართულ კრიტიკას. მაგალითად, კრიტიკოსი, მკვლევარი ლელა კოდალაშვილი ზვიად გამსახურდიას პერსონაჟთან დაკავშირებით ასეთ დასკვნას აკეთებს: „თუ თავიდან ზომიერად კრიტიკულია ავტორი ეროვნული მოძრაობის ფორმების, მეთოდების და, რაც მთავარია, მისი ლიდერის, გამსახურდიას მიმართ, მერე და მერე, განსაკუთრებით კი რომანის ბოლოს, აღშფოთებას ვერ ფარავს. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ავტორს, გარდა საქმიანი დაპირისპირებისა, რაღაც კონკრეტული საყვედური ამოძრავებს მის მიმართ. მაშინაც კი, როცა უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე მოვლენაზე, კერძოდ კი სოხუმის დაკარგვაზე საუბრობს, მხოლოდ გაკვრით ახსენებს მთავარ დამნაშავეს და კვლავ აგრესიის საყვარელ

ადრესატს, გამსახურდიას უბრუნდება. იგი ბოლომდე ჩქმალავს ბოლო ოცწლეულის ტრაგედიათა სხვა მოქმედ გმირებს და ანგარიშსწორებას კვლავ ეროვნული მოძრაობის ლიდერზე ახდენს. ეს კი იგივეა, რაც მტაცებლების მავნებლობაზე საუბრისას მგლის მიერ მიყენებულ ზარალზე, დაგლეჯილ ათასობით ადამიანზე, მათ დაღვრილ სისხლზე და აწიოკებულ სოფელზე არაფერი თქვა და ვრცლად ისაუბრო იმაზე, თუ როგორი საშინელი და მავნებელი ცხოველია ტურა და რა დაუნდობლად იპარავს ქათმებს“ [კოდალაშვილი; 2011]. მართლაც, ნაირა გელაშვილი რომანში ფერებს და ეპითეტებს არ იშურებს ზვიად გამსახურდიას დასახასიათებლად, მისი ცხოვრება-შემოქმედების შეფასება-განქიქებისას. შევჩერდებით ავტორისეულ სულ რამდენიმე შეფასებაზე. ავტორი მას სხვადასხვა თიკუნით იხსენიებს - „მეფე საული“, „ურჩხული“, „კოლხი ფიურერი“. მივყვით თანმიმდევრობით - მეფე საული, ძველი აღთქმის ერთ-ერთი პერსონაჟი, ისტორიული პირია, რომელიც ისრაელის პირველი მეფე იყო. იგი აკურთხა აკურთხა წინასწარმეტყველმა სამოელმა, რომელთანაც შემდეგ კონფლიქტი მოუვიდა, მოგვიანებით სამოელმა საიდუმლოდ აკურთხა დავითი, რომელიც საულის კარზე იმყოფებოდა, იქორწინა მის ქალიშვილზე და სიმღერითა და ქნარის კეთილხმოვანებით ეხმარებოდა საულს მელანქოლიის დაძლევაში. მიუხედავად ამისა, საულმა არ დაინდო დავითი და მისი მოკვლა განიზრახა, მძიმედ დაჭრილი დავითი მიიმალა. ერთ-ერთი ბრძოლაში მარცხის შემდეგ დაჭრილმა საულმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

საული ლიტერატურაში მოიაზრება, როგორც მჭიმუნვარე, მელანქოლიით შეპყრობილი მშფოთვარე სული. ამასთან, პერიოდულად მას მრისხანების შეტევებიც ახასიათებს, რომელიც მხოლოდ ჰარმონიული მელოდიითა და სილამაზით შეიძლება დაცხრეს. ასეთია მეფე საულის ზოგადი დახასიათება, ახლა ვნახოთ, როგორ ახასიათებს ავტორი ზვიად გამსახურდიას და რამდენად ესადაგება ეს შედარება რეალურ პიროვნებას. როგორც ძველი აღთქმიდან ვიგებთ, მას შემდეგ, რაც ისრაელის მოსახლეობამ წინასწარმეტყველსა და მსაჯულს - სამოელს მოსთხოვა, რომ მათთანაც, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებში, მმართველი მეფე ყოფილიყო, ისრაელმა, უფლის ნებითა და სამოელის კურთხევით, მიიღო მეფე - საული, რომელიც ისრაელის ყველაზე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი იყო. პირველი სხვაობაც აქ იჩენს თავს: ზვიად გამსახურდია იმ პერიოდის ყველაზე ცნობილი, პოპულარული და წარმატებული ოჯახის წარმატებული შვილი იყო. საიდუმლო ხელდასხმის შემდეგ კი, საჭირო გახდა საულის საჯარო, სამოქალაქო არჩევა-კურთხევა. კენჭისყრამ საული გამარჯვებულად გამოავლინა და ისრაელმა მიიღო პირველი მეფე - საული. საულის პარალელთან დაკავშირებით კიდევ ერთ ფაქტზე შევჩერდებით, როგორც ცნობილია, დავითი საულის ოჯახის წევრი, თანამებრძოლი და მისი მელანქოლიის განმქარვებელიც იყო. თუმცა ეჭვიანობისა და მრისხანების მორიგი შეტევის დროს საულმა დავითი დაჭრა და მისი მოკვლა განიზრახა; მთელს სახელმწიფოში სდევნიდა სიცოცხლის ბოლომდე, ამის საპასუხოდ დავითი იმალებოდა, არ ცდილობდა საულზე შურისძიებას და ორჯერ, როცა ამის მარჯვე შესაძლებლობა მიეცა, საული არა თუ არ მოკლა, არამედ გამაფრთხილებელი ნიშანი დაუტოვა (კაბის კალთა შეაჭრა) იმის ნიშნად, რომ პატივს სცემდა მას, როგორც ხელდასხმულს და სთხოვდა, შეეწყვიტა მისი დევნა, თუმცა საულის გულმოწყალება დროებითი და ხანმოკლე იყო. მრავლისმეტყველია ბოლო ეპიზოდებიც მათი ურთიერთობისა: როდესაც მძიმედ დაჭრილმა საულმა თანამებრძოლის დახმარებით სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მტერმა მის უსიცოცხლო სხეულს თავი მოკვეთა და ტანი ყველას დასანახად ქალაქის კედელზე გამოკიდა. ამ ამბის მაცნე დავითმა სიკვდილით დასაჯა, რადგან გაიგო, რომ ის საულს თვითმკვლელობაში ეხმარებოდა. როგორც ცნობილია, ხელდასხმულის ხელყოფა დანაშაულად ითვლებოდა. მთელი ეს ისტორია მხოლოდ ერთი მიზნით გავისხენეთ, მაშინ, როცა ნაირა გელაშვილი ზვიად გამსახურდიას „მეფე საულს“ უწოდებს, საინტერესოა, ვის მოიაზრებს დავითში, რადგან საული თავისთავში დავითსაც გულისხმობს, ვინ იყო ის მაღალი საულის და მორალის მქონე ადამიანი, ვინც ხელი არ გაურია არც მეფე საულ - ზვიად გამსახურდიას სიკვდილში, დევნაში, რბევაში და ვინც ის ადამიანები, რომლებიც ამ რბევა-აწიოკებაში მონაწილეობდნენ, სიკვდილით თუ არა პატიმრობით მაინც დასაჯა?! ედუარდ შევარდნაძე - შევარდენ I, გიზ ვეშაპოვანი, თუ ჯაბა იოსელიანი? ამ კითხვაზე რომანი პასუხს არ იძლევა. ავტორი მიიჩნევს, რომ ზვიად გამსახურდია - საული ვერ იტანდა, თუ მას აქტიურად არ სცემდნენ თავყვანს, ვერ იტანდა მცირე შეწინააღმდეგებასაც კი. ავტორი თვლის, რომ ზვიად გამსახურდია ყველა მოაზროვნეს, ჭკვიანსა და განათლებულ ადამიანს სიკვდილის პირას მიიყვანდა. ზვიად გამსახურდია ტექსტში შედარებულია ცრუ მოსესთან, რომელიც იმას კი არ ცდილობდა, რომ ადამიანები სტერეოტიპების მონობისგან გაეთავისუფლებინა, არამედ, პირიქით, „სურდა და მიაღწია კიდევ, რომ სტერეოტიპების, ფიქციების, ფანტომების ჯუნგლები კიდევ უფრო გაახშირ-ჩაახვია და ქართველი საზოგადოება იქ აბესალომივით გახლართა“ [გელაშვილი, 2010]. ავტორი ასევე მიიჩნევს, რომ ზვიად გამსახურდია იყო ეროვნული შუღლის მთავარი გამწაღებელი საქართველოში და მისი საცეცები თუ მარწუხები იქამდე სწვდებოდა, რომ შეძლო ფერგანაში მესხებზე თავდასხმის მოწყობის ხელშეწყობაც კი და, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია, ავტორი მიიჩნევს, რომ ზვიად გამსახურდიამ შეძლო რელიგიური შუღლის ჩამოგდება

ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის, არადა, თავად აქვს ახსნილი, როგორ ნერგავდა საბჭოთა უშიშროება ანტიქრისტიანულ და ანტიმუსულმანურ ისტერიას, მაგრამ ეს ანტიქრისტიანული ისტერია აზერბაიჯანიდან მოდიოდა და, ამდენად, ავტორისთვის გასაგები და მისაღები იყო ახსნა, საბჭოთა უშიშროება ნერგავსო, მაგრამ როგორც კი იმის საფრთხე გაჩნდა, რომ მსგავსი ფაქტი საქართველოშიც მომხდარიყო, აქ განზრახ ინსპირირებულ ფაქტთან კი არა, ზვიად გამსახურდიას ისტერიასთან გვაქვს საქმეო, ეს კი მით უფრო გაუგებარია, თუ გავიხსენებთ და გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დევნილმა ზვიად გამსახურდიამ სომხეთიდან სწორედ ისლამურ ჩეჩნეთში პოვა თავშესაფარი და, რაც მთავარია, ეს თავშესაფარი თავად ჯოხარ დუდაევმა შესთავაზა, მიუხედავად საფრთხისა, რაც ამ ფაქტის გამო ელოდა. ჯოხარ დუდაევს ანტიმუსულმანობას და სიმხდალეს ვერ დავაბრალებთ, ასევე საინტერესო და გასათვალისწინებელია ზვიად გამსახურდიას პოზიცია იუგოსლავიის კრიზისის დროს; მან ქრისტიან სერბებს ბრმად არ დაუჭირა მხარი, როდესაც ეს უკანასკნელნი მუსულმან მეზობლებს დაუნდობლად უსწორდებოდნენ. ასევე ტექსტიდან ჩანს ერთი ფაქტი, როდესაც ერთ-ერთი პერსონაჟი საკუთარ სარდაფში პლაკატებს და ტრანსპარანტებს ათვალიერებს, თვალში მოხვდება „შეუსაბამობა“ - შვეარდნადის ტრანსპარანტს ეწერა „ტარტაროსი“, პატრიარქისას - „იუდა“, ხოლო დუდაევისას - „ძმა“. იმ შემთხვევაში, თუ ზვიად გამსახურდია ყველა ჩამოთვლილ უბედურებასთან ერთად ანტიმუსულმანურ ისტერიას თესდა, როგორ გაჩნდა საულისტ-ზვიადისტების ტრანსპარანტებზე დუდაევი „ძმა“. ავტორი ასევე მიიჩნევს, რომ ჩეჩენი ხალხის ტრაგედიაში, რომელიც 90-ინი წლებიდან გრძელდება, სწორედ ზვიად გამსახურდიაა მთავარი დამნაშავე და ბრალეული, სწორედ ზვიად გამსახურდიამ აურია და დაუბნელა გონება ჯოჰარ დუდაევს და წააქეზა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. „მაღალმა ლტოლვილმა ნევროზული, მილიტარისტულ-რომანტიკული ილუზიებით გააბრუა, რაღაც საერთოკავკასიური სამხედრო ბლოკის შექმნა და რუსეთის წინააღმდეგ რადიკალური ქმედებების განხორციელება შთააგონა, რაც იმ მამაცმა, მაგრამ სრულიად არადიპლომატმა დუდაევმა მართლაც ნაწილობრივ განახორციელა და საკუთარი თავიცა და ქვეყანაც დაღუპა“ [გელაშვილი, 2010]. ზვიად გამსახურდიას ცოდვებს კიდევ ერთი - ჩეჩნეთის მორიგი გენოციდი და ტრაგედიაც მიემატა. ვნახოთ, რას წერს და როგორ შეფასებებს აკეთებს ამ ყველაფერზე ჯოჰარ დუდაევის მეუღლე - ალა დუდაევა: როგორც მისი მოგონებებიდან ირკვევა, ჯოჰარ დუდაევის ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა 1990 წლის 12 იანვარს ლიტვაში დატრიალებული ხოცვა-ჟლეტის შემდეგ. „ჯოჰარი დიდხანს სცემდა ბოლოს და აშკარა იყო, რაღაც გადაწყვეტილებას იღებდა. მაგრამ რას? ეს არავინ უწყობდა მის გარდა... ლიტველი ხალხის უდანაშაულო სისხლმა ბევრ რამეზე აუხილა თვალი. „მომღერალი რევოლუციის“ იმედი იანვრის თოვლს მიესრისა. ვფიქრობ, სწორედ მაშინ მიხვდა, რომ ასეთ დროს ყველაზე საშინელი რამ უმწეობაა: მტაცებელს იარაღით უნდა დაუპირისპირდე!“ [დუდაევა; 2010]. ასე რომ, ჯოჰარ დუდაევის ცხოვრების ტრაგედია და ჩეჩენი ხალხის გადაწყვეტილების დაკავშირება ზვიად გამსახურდიას სახელთან კიდევ ერთი მცდელობაა ამ ადამიანის მითოლოგიზაციისკენ. ამ პრობლემასთან დაკავშირებით კი თავად ნაირა გელაშვილიც წუხს: მისი აზრით, ის ფაქტი, რომ ზვიად გამსახურდია დაამხეს და ქვეყნიდან გააძევეს, ცუდია მხოლოდ ერთი თვალსაზრისით - ეს ამბავი მას აუცილებლად შემოსავს დიდების შარავანდედით და გაძნელებდა მიცვალებულის შემდგომი დევნა.

მორიგი მეტსახელი, რომლითაც ავტორი ზვიად გამსახურდიას მოიხსენიებს, არის - ურჩხული, უფრო სწორად, ის ვითომ გმირია, რომელიც ურჩხულს ამარცხებს და თავად ხდება ურჩხული, ნამდვილი გმირი კი ხალხს ეჯავრება და სწორედ გმირს უწოდებს „ურჩხულს“. მივყვით ავტორის შეფასება-ანალიზს და იმ ლოგიკურ ჯაჭვს, რაც გაფიქრებინებს, რომ ურჩხულთან მეზრძოლ და შემდგომ ურჩხულად ქცეულ არსებაში ზვიად გამსახურდია მოიაზრება. „მდინარე და ურჩხული“ რომანის ერთ-ერთი მორიგი ჩანართია. ესაა სტატია, სამეცნიერო კვლევა, რომელიც ეხება ურჩხულის თემას და დასკვნები გამოტანილია ლიტერატურულ-დოკუმენტური მასალის შედარება-ანალიზის საფუძველზე. ტექსტში განმარტებულია, რომ წყაროს, წყალს, სათავეს დაპატრონებული ურჩხული, რაღა თქმა უნდა, ფიზიკურ წყაროს და სათავეს არ გულისხმობს და, ამ შემთხვევაში, იგულისხმება ადამიანთა ძირითადი, ფუნდამენტური მოთხოვნა - თავისუფლება, თავისუფალი აზროვნება, ადრეულ პერიოდში ურჩხული თავისუფლებას ტლანქად და უხეშად იტაცებდა, ბრძოლაში გამარჯვებული გმირი (ურჩხულის დამმარცხებელი) საჩუქრად მეფის ასულს, განწირულ ასულს ან გადარჩენილი ხალხის სიყვარულს და ოვაციას იმსახურებდა. ყველაფერმა ამან შემდეგ ფორმა შეიცვალა და, ავტორის მოსაზრებით, თანამედროვე დროში ურჩხულის ამოცნობა თითქმის შეუძლებელია; ის შეინიღბა, ადარაა ტლანქი და უხეში ძალა, მკვეთრად გამოხატული მტერი. ურჩხულის წარმოშობასთან დაკავშირებით ერთი ასპექტიც არის საინტერესო და გასათვალისწინებელი, კონკრეტულად - რა წარმოშობს ურჩხულს? როგორც ავტორი შენიშნავს, წყარო, სათავე, თავის თავში უკვე გულისხმობს ურჩხულს, რადგან ყველა სიწმინდე თავად ქმნის მასთან მეზრძოლ უწმინდურებას. არსებობს კიდევ ერთი მოსაზრებაც: ურჩხულს წარმოშობს არა სათავის სიწმინდე, არამედ იმ მოქალაქეთა უწმინდურება, რომელსაც შემდეგ ლოგიკურად თავს ატყდება

ურჩხული და მოითხოვს და ართმევს ყველაზე წმინდას, რაც გადარჩენია მათ უწმინდურებას. ეს - რაც შეეხება მოკლე მიმოხილვას, ავტორის შიშის და მთელი ამ ნარკვევის მთავარი იდეა ისაა, რომ თანამედროვე ეპოქაში ურჩხული სწორედ იმ მხსნელის და გმირთაგმირის სახით გვხვდება, რომელიც მას ზღაპრის ეპოქაში კლავდა. აქედან გამომდინარე, ხალხს, რომელსაც შველა ესაჭიროება, ნამდვილი გმირი ეჯავრება, ურჩხული კი უყვარს და ღმერთს მის უკვდავებას ევედრება. ურჩხულის და მასთან მეზობლი ცრუ გმირის დახასიათებისას ავტორი გამოყოფს რამდენიმე შტრიხს, რომლის საშუალებითაც შეიძლება მათი ამოცნობა. ეს არის: ა) უსულგულო, ფსევდო-მეცნიერული და პოლიტიკური ნაშრომები; ბ) ნამდვილი სიყვარულის უუნარობა; გ) თუ ზღაპრის ურჩხულთან ძალით მიათრევდნენ ასულს, ახალი ეპოქის ურჩხულისკენ ქალთა მასების აღზნებულ-აღტყინებულ ლტოლვას საზღვარი არა აქვს, და ბოლოს დ) მოქმედების, მოძრაობის დამახასიათებელი მანერა, კერძოდ, მარჯვენა ხელის დამახასიათებელი ზეადმართვა, ან ორივე ხელის სხარტი და სწრაფი მოძრაობა... ურჩხულის, გმირისა და ცრუ გმირის ასეთმა სახესხვაობამ იქამდე მიიყვანა მოსახლეობა, რომ „მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა თვით ის წყალიც კი შეიძულა, ურომლისობაც [იკითხება: თავისუფლება შეიძულა ა.ი.], როგორც გვეგონა, ადამიანს არ შეეძლო“ [გელაშვილი, 2010]. სწორედ ასეთ ურჩხულთან მეზობლ ცრუ გმირად და თავად ურჩხულად ჰყავს წარმოჩენილი ნაირა გელაშვილს ზვიად გამსახურდია.

აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: ავტორი მიიჩნევს, რომ ზვიად გამსახურდია არის ყველა უკეთურების სათავე; არა მარტო 9 აპრილის, არამედ იმ პერიოდში ქვეყანაში დატრიალებულ ყველა მოვლენასთან, რომელთანაც ოდნავი შეხებაც კი ჰქონია.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი ნ., „ინტელექტუალები უფრო დიდი დამნაშავეები არიან, ვიდრე ის, ვინც კონკრეტულ დანაშაულს სჩადის“ <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1997007.html>
2. გელაშვილი ნ., „მორალი ერთი უნდა გვექონდეს“ „9 აპრილი“, „მერანი“, თბ., 1990, 683 გვ.
3. გელაშვილი ნ., თხზულებანი, ტ. IV, პირველი ორი წრე და ყველა სხვა, „კავკასიური სახლი“, თბ., 2010, 735 გვ.
4. ხარბედია მ., ნაირა გელაშვილის „პირველი ორი წრე“ <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1981991.html>
5. კოდალაშვილი ლ., ნაირა გელაშვილის ახალი რომანი ანუ ყველაფერი კარგად იქნება <http://lib.ge/book.php?author=329&book=8212>
6. ჯალიაშვილი მ., სიცოცხლის საიდუმლო, „წყაროსთვალი“, თბ., 2006, 260 გვ.
7. დუდაევა ა., დუდაევი, წიგნი I, „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, თბ., 2010, 235 გვ.

ZVIAD GAMSAKHURDIA – LITERARY CHARACTER IN THE NOVEL “THE FIRST TWO CYRCLES AND ALL THE OTHERS” BY NAIRA GELASHVILI

Ana Imnadze, Sokhumi State University, PhD Student

RESUME

The end of XX century literary reflection on the ongoing events in Georgia can not keep silence while speaking Naira Gelashvili's creativity. In 2010, the Georgian society saw the author's next novel, "The first two laps and all the other" which in the same year – took one of the prestigious award for "Saba" as the best prose work.

In Naira Gelashvili's novel "The first two laps and all the other" main character is Zviad Gamsakhurdia, as well as with Otar Chkheidze's novels we meet the face as president. The author believes that Gamsakhurdia is the source of all wickedness, not only on 9 April, but by the time the country turned all the events with which they have had even the slightest touch. In our opinion, the Naira Gelashvili somewhat biased towards what the critics have not gone unnoticed.

წინადადების მოდელირების ფორმები ზმნა-შემასმენლის მიხედვით ოთარ ჩხეიძის „მორჩილში“

მარინე კაკაჩია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ზმნა-შემასმენელი ქართული წინადადების დედაბოძია, ხერხემალია. „ზმნა არის წინადადება მინიატურაში“ (ლ. ენუქიძე, 1987). „მონოპრედიკატულ წინადადებაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი ზმნა-შემასმენელი, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა იყოს მონოპერსონალური ან პოლიპერსონალური“ (რ. ჭიკაძე, 2005). ზმნა-შემასმენლის სწორედ ეს თვისებაა დამახასიათებელი ოთარ ჩხეიძის ენისთვისაც. მწერალი ვირტუოზულად ფლობს წინადადების მოდელირების ფორმებს. ამიტომაც არც სხვა ტიპის შემასმენელია მისთვის მიუღებელი. ამის დასტურია ოთარ ჩხეიძის „მორჩილი.“ არაფერს ვიტყვით „ჩვეულებრივ შემასმენლებზე (მარტივი, შედგენილი...) ნიმუშად რამდენიმე „არაჩვეულებრივი“ (ფრაზეოლოგიური, პარონომაზიული, ბივერბალური) შემასმენელიც კმარა.

ფრაზეოლოგიური შემასმენელი:

1. ეწერა ალბათ მარჯვედა. მახვილადა. ფრთხილადა და მაინც მახვილადა - **თვალში რო ევათ**, რო ამოაგდეს გულისფანცქალითა. (ჩხეიძე, 2004, 15)
2. მაგრამ **თავი ჰო მოჰქონდა** უანგარო მოკეთედაცა სოროსის ფონდსა? (ჩხეიძე, 2004, 80)
3. არც იმოდენა ნაშალის გატანაც **ადარ უჯდებოდა ჭკუაშია**. (ჩხეიძე, 2004, 319)
4. ან დამნაშავე თქვენვე გააძვევთ ან მევე გაგყრით ყველას ერთადაო. არ გასჭრა. არც **ყური არავინ შეიბერტყა**. (ჩხეიძე, 2004, 116)
5. არ შეისმინა ჯამბაკურმა მაინცა. ტყუილის დევნა **ხელს არ მომცემსო**. (ჩხეიძე, 2004, 172)

პარონომაზიული შემასმენელი:

1. ხმამალა არ უთქვამს. არც კომპანიონს **წამოცდენით არ წამოსცდენია** არაფერი. (ჩხეიძე, 2004, 132)
2. **დაპირებით დაჰპირდებოდნენ**. რასაც მოითხოვდნენ. (ჩხეიძე, 2004, 134)
3. **შეუთვალეს შეთვლით** მაინცა: ოდის მშენებლებს სათლით ვეძებთო. (ჩხეიძე, 2004, 149)
4. **ძარცვით ჰო გამარცვეს. დაქცევით დააქციეს**. (ჩხეიძე, 2004, 160)
5. ნულარას ნულარ **მოვთხოვთ მოთხოვნიताო**. ოლონდ **დასჯით** მაინც **უნდა დაისაჯონ**. (ჩხეიძე, 2004, 182)

ბივერბალური შემასმენელი:

1. **ეცდება** ფეხი იმასაც რო იქავ **არ წაუცდეს**. (ჩხეიძე, 2004, 161)
2. **დამაცადეთ მოგკვდე** და მერე მაინც მე არ დამბრალდება თუ რამეს ჩაიდენთ თქვენდა საზიანოდაო. (ჩხეიძე, 2004, 183)
3. **შეგვეძლო წამოგველო** ზუჩიცა, სათვალეცა მამიდა როდამისაო. (ჩხეიძე, 2004, 199)
4. „**მეგონა** შენც **გამომყვებოდი...**“ ტატულიმა. (ჩხეიძე, 2004, 308)
5. არც თავიდანვე რო არ ეპირებოდა მონაზვნობასა და აღარც რო **არ ეგონა** თუ **არ ჩარჩებოდა** მონასტერშია. (ჩხეიძე, 2004, 336)

ქართული წინადადების სინტაქსური რაობა ამოუცნობი დარჩება იმათთვის, ვინც მოიწადინებს მათი სინტაქსური ბუნების გარკვევას აბსოლუტური სახეობის ზმნებიან წინადადებათა მიხედვით. რელატიურ ზმნებიანი წინადადებებია სპეციფიკური და მასთან ძირითადი ქართულისათვის (ჩიქობავა, 1968). როგორც აღვნიშნეთ, წინადადების მოდელირებისას მწერალი უპირატესობას ისეთ წინადადებას ანიჭებს, რომელშიც ერთადერთი წევრი მხოლოდ ზმნა-შემასმენელია. (აბსოლუტურიც და რელატიურიც). იმდენად ფართოა დიაპაზონი მწერლისა, რომ ასეთ წინადადებებშიც რამდენიმე ტიპის გამოყოფაა შესაძლებელი:

I განმეორებული:

ა) უკავშირო:

1. დააცხრება რო რამდენიმე მშიერი ნოყიერ სუფრასა. დააცხრება და **ნთქავს. ნთქავს. ნთქავს**. (ჩხეიძე, 2004, 30)
2. ახჰიალდებოდა კბილებიცა. **ახჰიალდებოდა. ახჰიალდებოდა.** (ჩხეიძე, 2004, 255)
3. ხელისუფლება არჩვენებს **გააყალბებს. გააყალბებსო. გააყალბებსო. გააყალბებსო.** (ჩხეიძე, 2004, 267)
4. ჩქარობდნენ ჰო ისე, არც შეუხედათ. **ჩქარობდნენ. ჩქარობდნენ.** (ჩხეიძე, 2004, 283)
5. ჩაფიქრდნენ კიდევაცა: ახლაც ჰო არ მივაფუჩქეთ სადმე რაიმეო. ჩაფიქრდნენ. **იფიქრეს. იფიქრეს. იფიქრეს.** (ჩხეიძე, 2004, 292)

ბ) და კავშირით:

1. ტკბებოდნენ რუსული სიკეთითა. პუშკინსა სწავლობდნენ. ლერმონტოვსა სწავლობდნენ. და **ტკბებოდნენ. ტკბებოდნენ.** (ჩხეიძე, 2004, 98)
 2. რა შვილი იყო. ჯამბაკური. ამას თუ არ გაიმეორებდა. **გაიმეორებდა და გაიმეორებდა.** (ჩხეიძე, 2004, 112)
 3. თქენც ვერ ივარგეთ. ივარგონ ეგებ შემდგომთა თქვენთაო. **დასძენდა და დასძენდა.** ჯამბაკური. (ჩხეიძე, 2004, 113)
 4. მერე შეუდგნენ მშენებლობასა ქალაქისასა. და **ააშენეს და ააშენეს და ააშენეს.** ქალაქი ააშენეს. ინტერნაციონალურიო -არა? (ჩხეიძე, 2004, 134)
 5. ერთად დაასია მექისენი. ჯანიანნი და გამობრმედილნი. **ახეხინა და ახეხინა. ახეხინა და ახეხინა. ახეხინა და ახეხინა.** გარეთ ახეხინა ავტობუსები. ახეხინა და ახეხინა. (ჩხეიძე, 2004, 107)
- განმორება ქსპრესიულობისათვის არც სხვა ტიპის წინადადებებისათვის არის უცხო:
1. და დემოკრატიზმმაც რო **მოიქნია** კუდი, ისე **მოიქნია**, არას გიქადდა სასიკეთოსა. (ჩხეიძე, 2004, 21)
 2. ის კაცი გახლდა: ქართული რო **სტკიოდა.** ძალიან რო **სტკიოდა.** (ჩხეიძე, 2004, 23)
 3. კარი მაინც **უნდა შეიკეტო. უნდა. უნდა. უნდა შეიკეტო.** (ჩხეიძე, 2004, 39)
 4. ჟამი შრომისა **ეფუძნებოდა.** გარდასულიყო ჟამი პირმოთნეობისა. ჟამი მართლისა **ეფუძნებოდა. ეფუძნებოდა და ვერ ეფუძნებოდა. ეფუძნებოდა და ვერ ეფუძნებოდა.** მაინც უნდა დაფუძნებულიყო. უნდა. უნდა. უნდა. უნდა დაფუძნებულიყო. (ჩხეიძე, 2004, 99)

II სინონიმურ წყვილთა შეერთებით მიღებული:

1. მოშლილ ტაფაზე, მოშლილ ქურაზე **იწვოდა და იხრუკეოდა.** (ჩხეიძე, 2004, 23)
2. ეს ჯოჯოხეთი რაღამ შეაჩერა. **არც იძვრის. არც ირხევა.** (ჩხეიძე, 2004, 25)
3. ღნაოდა ბავშვი. **ჩხაოდა. წიოდა.** იდორბლებოდა. (ჩხეიძე, 2004, 27)
4. პარლამენტში ჰო ჭამდნენ ერთმანეთსა. **ხრავდნენ. ღეჭავდნენ. ყლაპავდნენ.** (ჩხეიძე, 2004, 29)
5. ძალი წარიღო შემართებისა. **დასცა. დათრგუნა. დააჩიავა.** (ჩხეიძე, 2004, 41)

III სინონიმურ-ანტონიმური წყვილით მიღებული:

1. გახვალ - ღია არ დააგლო, შეომახვალ - შეიკეტო. **წავიდეს, რასაც უნდა, მოვიდეს რასაცა ნებაგს,** შენ კარებს იქითა. **აიაროს. და ჩაიაროს.** იაროს. იაროს. (ჩხეიძე, 2004, 39)
2. გადახდის ვადას **ამცირებდნენ.** სარგებელს **ადიდებდნენ.** ადიდებდნენ და ადიდებდნენ. (ჩხეიძე, 2004, 49)
3. ერთადაც შესძრავს კანცელარიასა პრეზიდენტისა. შესძრავს და შესძრავს. **ჩაუქროლებს და აუქროლებს. ჩაუქროლებს და აუქროლებს.** (ჩხეიძე, 2004, 201)
4. სჭრიან და ჰკერავენ როგორც რო ნებავთ. **სჭრიან და ჰკერავენ. სჭრიან და კერავენ. 209**
5. შეჰხედავს ისე. **აავლებს და ჩაავლებს** თვალსა. (ჩხეიძე, 2004, 238)

IV სემანტიკური ველის შევსება-დაზუსტებისათვის:

1. გაუძარცვეს ძლივას აწყობილი მეურნეობაი. **გაუძარცვეს. გადაუწვეს. გაუუპატიურეს.** (ჩხეიძე, 2004, 63)
2. მსხვილი კაპიტალისადმი სრული მხარდაჭერა **აცხარებს. აგულისებს. აფორიაქებს.** (ჩხეიძე, 2004, 61)
3. ეზოში აირვა. **აგმუკდება. აჩქარდება. აცანცარდება.** (ჩხეიძე, 2004, 301)
4. საითმე გადაუხვევეს თუ მართლადაც რო **გაფერმკრთალდება. გაიცრიცება. გაწყალდება. გაჰქრება.** (ჩხეიძე, 2004, 311)
5. შემოგსევინ მამებარნი სამოვრებისა, **აუკლიხარ. დაუქცევიხარ. გადაუშოვიხარ.** (ჩხეიძე, 2004, 420)

„მარტივი წინადადებისათვის დამახასიათებელია ერთი პრედიკატული ერთეული (მონოპრედიკატულობა, მონოსტრუქტურა)“ (დავითიანი, 1973). „მორჩილის“ ენობრივ ქსოვილზე დაკვირვებამ ცხადყო, მწერალი მონოპრედიკატულობას ანიჭებს უპირატესობას, თითქოს ამით ცდილობს თავი დააღწიოს ძნელად თუ რთულად წასაკითხი მწერლის იარლიყს. „ურთულესი, ვრცელი თანწყობილი წინადადებებიდან, რომელთა განმეორებადი წრებრუნვაც თავის წიაღში ატმოსფერული ძაბრივით თითქოს საგანგებოდ ითრევდა მხატვრული სივრცის ნაკადებით ამომრავებულ ეპოქალურ პროცესებსა და მოვლენებს, რომლის წყალობით ერთდროულად ინიღბებოდა და იშიფრებოდა კიდეც მწერლის მიერ დასმული აქცენტები და „თავგზააზნეულ ცენზურასთან ერთად დიდი პოეტის მიერ „გადამკითხველებად“ მონათლულ მკითხველებსაც აღიზიანებდა, დღეს თითქოს აღარაფერი დარჩათ სასაყვედურო“. (მაკა ჯოხაძე, 2006.)

სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა: ოთარ ჩხეიძე კლასიკოსი მწერალია, მის ძნელ თუ რთულ მწერლად შემრაცხველთ კი... (სახელებიც არავის ახსოვს).

ლიტერატურა:

1. ლ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987, გვ. 125
2. რ. ჭიკაძე, პრედიკაცია და წინადადების აგებულების საკითხი ახალ ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, 2005, გვ. 121
3. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968, გვ. 222
4. ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973, გვ. 71
5. მაკა ჯოხაძე, „ოდოჟდერი“ — წარმავლობის საკმეველი“, ჟ. „ჩვენი მწერლობა“, №1, 2006, გვ. 11
6. ოთარ ჩხეიძე, „მორჩილი“. ქუთაისი, 2004

FORMS OF MODELLING ON THE SAMPLE OF VERB-PREDICATE IN OTAR CHKHEIDZE'S "MORCHILI" ("MEEK")

Marine Kakachia, Sokhumi State University, Associate Professor

RESUME

The Verb-Predicate is 'the spine' of the Georgian sentence and it has the same importance for Otar Chkheidze's literary language. The writer has mastery of the forms of the sentence modelling achieving it with the equation of the verb-predicate and the sentence. Though it does not mean, that the other type of the predicate is unacceptable for the writer. All this is proved in Otar Chkheidze's 'Morchili' ('Meek') by demonstrating the types of phraseological, paranomasiac and bi-verbal predicates.

In the article It is marked out, that in the process of modelling, such sentence where the only member is the verb-predicate has predominance for the writer. Several types of such sentences are singled out and verified with the relevant examples.

ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის საკითხები (წინასწარი მოხსენება)

მარინე კაკაჩია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
ქეთევან მარგაიანი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
მარინა ჯღარკავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XX საუკუნის ოციანი წლებიდან იწყება ქართველურ შესიტყვებაში სინტაქსური დამოკიდებულების საკითხის მეცნიერული შესწავლა. სინტაგმის კვლევის ინტერესი დიდია, დაიწერა არა ერთი გამოკვლევა თუ მონოგრაფია, რომლებშიც შესიტყვების საკითხები ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის საფუძველზეა გაანალიზებული. ქართველურ ენებში კი ამ კუთხით როგორც მონოგრაფიების, ასევე სამეცნიერო სტატიების სიმცირეც საგრძნობია. ჩვენი დაინტერესება სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა. ქართული ენის შესწავლა ხომ სრულფასოვანი ვერ იქნება მარტოდონ სალიტერატურო ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით. ამ მხრივ მეტად ფასეულია სხვა ქართველურ ენათა – სვანურის, მეგრულის, ლაზურის მონაცემები. შესაბამისად, თანამედროვე ქართველოლოგიის გადაუდებელ ამოცანად გვესახება ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის სრული კურსის შექმნა.

ქართველურ ენათა საერთო ტიპოლოგიისა და ერგატიული კონსტრუქციის ძირითად საკითხებში მსგავსების მიუხედავად, არსებითი სხვაობანი და ცალკეული გამონაკლისები სვანურში, მეგრულსა და ლაზურში (სახელის მიერ ზმნის პირში და ზმნა-შემასმენლის მიერ სახელის ბრუნვაში მართვის თვალსაზრისით) წინასწარი კვლევების საფუძველზე იმთავითვე გამოიკვეთა. საბოლოო დასკვნების გაკეთება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სვანურ-მეგრულ-ლაზურის მთელი ტექსტური კორპუსის დამუშავების, მორფოსინტაქსური ანალიზის, თითქმის

საუკუნის წინ ჩაწერილი ტექსტების მონაცემების თანამედროვე ცოცხალ სვანურ, მეგრულ, ლაზურ მეტყველებასთან შედარების შემდგომ. უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულში, ლაზურსა და სვანურში შეთანხმების, მართვის, მირთვის, კოორდინაციის საგანგებოდ შესწავლა ლინგვისტურად ინტერესის შემცველია იმდენად, რამდენადაც თავს იჩენს უამრავი სპეციფიკური ნიუანსი. ცნობილია, რომ ზმნასა და მორფოლოგიურად მასთან დაკავშირებულ სახელებს შორის რთული სინტაქსური ურთიერთობაა. ზმნა მართავს მორფოლოგიური სუბიექტისა და მორფოლოგიური ობიექტის ბრუნვებს და სუბიექტი და ობიექტი მართავენ ზმნის პირს. ამ რთულ სინტაქსურ ურთიერთობას არნოდლ ჩიქობავამ უწოდა კოორდინაცია, ხოლო კოორდინაციის მონაწილე სიტყვებს – კოორდინატები (ჩიქობავა, 1968:216-217). ამჯერად ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართველურ ენებში მორფოსინტაქსის ცალკეულ საკითხებზე დაკვირვება; იმ საერთოსა და განსხვავებულის, ზოგადი თუ ნიუანსური თავისებურებების წარმოჩენა, რაც სალიტერატურო ქართულთან მიმართებაში შესაძლოა ახასიათებდეს მეგრულს, ლაზურსა და სვანურ მეტყველებას ზმნის მიერ სახელის ბრუნვაში მართვისა და სახელის მიერ ზმნის პირში მართვის თვალსაზრისით; საილუსტრაციოდ საინტერესო იქნებოდა რამდენიმე მაგალითის დასახელებაც კი; სვანურში მმართველია ქვემდებარე, სუბიექტი შემასმენლისა, დამატება (პირდაპირი და ირიბი) შემასმენლისა პირში, შემასმენელი ქვემდებარისა და დამატებისა ბრუნვაში; მართულია ქვემდებარე და დამატება (ყველა სახისა) შემასმენლის მიერ ბრუნვაში, შემასმენელი ქვემდებარის, პირდაპირი და ირიბი დამატების მიერ პირში და უბრალო დამატება და გარემოება უფორმო სიტყვის მიერ ბრუნვაში (თოფურია, 2002: 276). რამდენადაც განსაკუთრებულ სპეციფიკას ამ თვალსაზრისით მოთხრობითი ბრუნვა ქმნის, ასევე ინტერესთა სფეროში შემოდის საკითხები ერგატივის ფორმანტთა და ალომორფთა განაწილების, სვანურში ერგატივზე დაფუძნებული ორფუძიანობის, ბრუნვათა ტიპების მრავალფეროვნების, ინტერფერენციით განპირობებული ცალკეული შემთხვევებისა... ზოგადად, მოთხრობითი ბრუნვა სვანურში გამოირჩევა ალომორფთა სიმრავლით და მათი განაწილების წესების სირთულით (ჭუმბურიძე 2007:92). მარკირება ხდება როგორც საკუთრივ მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტებით (-დ, -ემ), ასევე გვაქვს შემთხვევები ორ- (- ემ, -ნ-ემ, -ა-დ) და სამფუძიანობისა (-ემ-ნ-ემ, -ემ-ნ-ემ-დ): ღ რბეთ-დ „ღმერთმა“: მიჯ-ნ-ემ-დ „იმან“ (შდრ. ჯი-ნ-ემ, მიჯ-ნ-ემ); მართვის თვალსაზრისით სურათი ქართველურ ენათა ერთიანია, თუმცა შეიძლება რამდენიმე გამონაკლისის დასახელება; მაგ. იცის ზმნა სვანურში დატიური კონსტრუქციისაა, ქართულში კი ზმნა-შემასმენლის მიერ სახელის მართვა ხდება მოთხრობით ბრუნვაში. იცის (მან ის); (როგორც ცნობილია, ეს არის ძვ. ქართული სპეციფიკური მწკრივის მეორე ხოლმეობითის ფორმა, უკვე ძველშივე აწმყოდ გააზრებული. შდრ. სვან. (მ-იხა მი, ჯ-იხა სი, ხ-იხა (ეჩა-ს ეჯა). იცის ზმნასთან დაკავშირებით, საინტერესოდ გვეჩვენება აკად. ი. მელიქიშვილისეული თვალსაზრისი: „როგორც ჩანს, ქართული ენა ზანურისა და სვანურისაგან განსხვავებით აზროვნებითი პროცესების აქტიურ პროცესებად მიჩნევას იწყებს. ამას მოწმობს იცის, უწყის ზმნათა სუბიექტის მოთხრობითი ბრუნვით გაფორმება, მაშინ, როდესაც ზანურსა და სვანურში შესატყვისი ზმნები დატიური კონსტრუქციისა და მ-ს რიგის აფიქსთა მქონეა (მელიქიშვილი 2005: 147). ხოხა ამსუაღდს – „იცის ადამიანმა (= ადამიან-ს); ჟანიაცხ ბეფშვ – „გაიღვიძა ბავშვ-მა (=ბავშვ-ი), ასკინე ეჯა „ხტება ის“; ანსკინე/ქაადსკინე ეჯნ-ემ „გადმოხტა ის“ (=იმა-ნ) – ეს გამონაკლისი ცალკეული შემთხვევები სვანურში კონკრეტულ ზმნათა სტრუქტურის სპეციფიკით აიხსნება და ასეთი მონაცემები ქართულისას ხშირად მხოლოდ სემანტიკურად შეესაბამებიან; მაგ. ჟანიაცხ „გაიღვიძა“ სვანურში გარდაუვალია და იეცხნი სიტყვასიტყვით „იღვიძებს“ კი არ არის, არამედ „ღვიძდება, ფხიზლდება“... გელნი „იხევა“, ხეპნი „სკდება“ ტიპის ზმნათა მსგავსად, ის ვნებითის სტრუქტურისაა; მართალია, აწმყოში გამოვლენილი -ნ სუფიქსი მთელ პარადიგმაზე არ ვრცელდება, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში იგი კვალიფიცირებულია „ვნებითის გამომხატველ დამატებით მორფემად“ (ონიანი 1998: 235).

ამ ტიპის გამონაკლისების გამოვლენა და შესწავლა ქართველურ ენათა ტექსტური კორპუსისა და ცოცხალი მეტყველების მონაცემების შედარების საფუძველზე უთუოდ გახდება საფუძველი საინტერესო დასკვნების გაკეთებისა ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის კუთხით. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ბოლო დროს ქართველოლოგთა ყურადღება გადატანილია საკუთრივ ქართველურ ენებზე; ცნობილია, რომ სვანურ-მეგრულ-ლაზურის ენობრივ მონაცემებს უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის. ამ უმწერლობო ენათა რთული ფონეტიკა-ფონოლოგია, სტრუქტურული თავისებურებანი მორფოლოგია-სინტაქსის სფეროში, სპეციფიკურობანი სემანტიკა-სემასიოლოგიისა და ლექსიკოლოგიის ასპექტით, დიალექტური ნაირგვარობანი განსაკუთრებით ფასეულია მთელი რიგი ზოგადლინგვისტური საკითხების დასასმელად თუ გასაშუქებლად. „ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის საკითხები (მარტივი წინადადება)“

ვარგლებში აღიწერება ქართულის ენისა და სხვა ქართველური ერთეულების (სვანური, მეგრული, ლაზური) სინტაქსური თავისებურებები, მარტივი წინადადების მოდელი და კოორდინაციის მექანიზმი, სინტაქსური კონსტრუქციები ერგატიულობისა და კოორდინაციის მექანიზმის მიხედვით. კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართველურ ენებში მორფოსინტაქსის საკვანძო საკითხების სიღრმისეული შესწავლა, ანალიზი; იმ საერთოსა და განსხვავებულის, ზოგადი თუ სპეციფიკური თავისებურებების წარმოჩენა, რაც სალიტერატურო ქართულთან მიმართებაში შესაძლოა ახასიათებდეს სვანურსა და მეგრულ-ლაზურს: (ანალიზი და შედარება განხორციელდება დეტალურად, სიღრმისეულად, ყურადღების მიღმა არ დარჩება, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალები, ნიუანსები, თითო-ორთა გამონაკლისი კი, რამდენადაც უმწერლობო ენებში ხშირად სპეციფიკა სწორედ გამონაკლისებშია). ქართველთა დიდი გულშემატკივარი, ცნობილი ქართველოლოგი ვინფრიდ ბოედერი ბრძანებს: „პენსიაზე გასვლის შემდეგ მინდა განვახორციელო ჩემი ძველთაძველი ოცნება, დავწერო ქართველურ ენათა შედარებით სინტაქსზე, რომლის მასალების შეკრება საქართველოში ჩემი პირველი ვიზიტის დროს 1974 წელს დავიწყე“... (ვინფრიდ ბოედერი). აღიარებულია, რომ ქართული და იბერიულ-კავკასიური ენების სინტაქსის კვლევის (ერგატიული კონსტრუქციის არსისა და წინადადების წევრთა შორის მიმართებათა დადგენის) თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არნ. ჩიქობავას. თანამედროვე მეთოდოლოგიით ქართული ენის სინტაქსის გამორჩეული მკვლევარია ა. დავითიანი, აქვე უნდა აღინიშნოს ა. კიზირიას „მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში“ თბ., 1982; ენათმეცნიერების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით სწორედ დასახელებულ ავტორებსა და მათს შრომებს დაეყრდნობა ჩვენი კვლევა ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის შესახებ. ქართველურ ენათა მარტივი წინადადების მორფოსინტაქსის – ამ ერთი კონკრეტული სეგმენტის დამუშავება გახდება საფუძველი სამომავლოდ სვანურში, მეგრულსა და ლაზურში ჰიპოტაქსისა და პარატაქსის საკითხების, ზერთული კონსტრუქციების სიღრმისეულად შესწავლისა. ამ ეტაპზე პასუხგასაცემი კითხვებისა და საკვლევი საკითხების თემატიკა კი ამ სახით გამოიკვეთა: ქართველური შესიტყვება ანუ სინტაგმა; წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები სვანურში, მეგრულში, ლაზურში; ბივერბალური, პარონომაზიული, ფრაზეოლოგიური... შემასმენელი ქართველურ ენებში; მარტივი წინადადების აგების პრინციპი და სტრუქტურა სვანურში, მეგრულსა და ლაზურში; კოორდინაცია და კოორდინატები (ძირითადი, დიდი, მცირე, უმცირესი კოორდინატი) სვანურში, მეგრულში, ლაზურში; მორფოლოგიური სუბიექტი (MS) და მორფოლოგიური ობიექტი (MO) სვანურში, მეგრულსა და ლაზურში. ნომინატიური და დატიური კონსტრუქციები ქართველურ ენებში; ერგატიული კონსტრუქციის არსი და სპეციფიკა სვანურში, მეგრულსა და ლაზურში; სინტაქსური დამოკიდებულების სახეები – შეთანხმება, მართვა, მირთვა სვანურში, მეგრულში, ლაზურში. კვლევის ამოცანად გვესახება სრულყოფილი სახით აღწერა, სისტემური კვლევა ქართველურ ენათა სინტაქსის საკვანძო საკითხებისა. სვანურის, მეგრულისა და ლაზურის მორფოსინტაქსური ანალიზი; კვლევა თემებისა, თუ რაში მდგომარეობს მსგავსება-განსხვავებანი სალიტერატურო ქართულსა და ქართველურ ენებს შორის მარტივი წინადადების სტრუქტურის, სინტაგმის, შეთანხმების, მართვის, მირთვის, კოორდინაციის, ნომინატიურ, ერგატიულ, დატიურ კონსტრუქციათა თვალსაზრისით. მეგრულში, ლაზურსა და სვანურში ისეთ საკვანძო საკითხებში, როგორცაა ქართველური პოლიპერსონალური ზმნა-შემასმენლით განპირობებული კოორდინაცია და კოორდინატები (ძირითადი, დიდი, მცირე, უმცირესი კოორდინატი), შეთანხმება, მართვა, ბივერბალური თუ ფრაზეოლოგიური შემასმენელი, პარონომაზიის საკითხები, ქართველურ თუ არაქართველურ ენათა ინტერფერენცია, ასი წლის წინ ფიქსირებული ტექსტების მონაცემები მორფოსინტაქსის, კოორდინაციის, წინადადების სტრუქტურის თვალსაზრისით, ამ ენათა სპეციფიკის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უდავოდ განსხვავებული იქნება თანამედროვე ვითარებისგან.

ამდენად, ქართველურ ენათა საერთო ტიპოლოგიისა და ერგატიული კონსტრუქციის საკითხებში თითქმის იდენტურობის მიუხედავად, ნიუანსური სხვაობანი და ცალკეული გამონაკლისები სვანურში, მეგრულსა და ლაზურში სახელის მორფოსინტაქსის თვალსაზრისით გამოიკვეთა. საბოლოო დასკვნების გაკეთება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ქართველური მთელი ტექსტური კორპუსის დამუშავების, ცოცხალ მეტყველებასთან, სალიტერატურო ქართულთან შედარების შემდგომ.

ლიტერატურა:

ჩიქობავა 1968 – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი.

მელიქიშვილი 2005 – ი. მელიქიშვილი, პირდაპირი სემანტიკური მარკირება, როგორც ქართველურ ენათა მორფოლოგიის განმსაზღვრელი პრინციპი და პირის ნიშანთა ინვერსიის პრობლემა, ტიპოლოგიური პარალელები ტ. ვ. თბილისი.

თოფურია 2008 – ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბილისი.
აბესაძე, 1975 – ნ. აბესაძე. ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით, თსუ შრომები, 164, თბილისი;
კარტოზია, 2005 – გ. კარტოზია. ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი;
კიზირია, 1982 – ა. კიზირია. მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი;
ონიანი 1998 – ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი;
თოფურია – 2002 ვ. თოფურია, სვანური სინტაქსი, შრომები, ტ. II, თბილისი;
კვაჭაძე 1977 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი;
ქრესტომათია, 1978 – სვანური ენის ქრესტომათია. ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით. თბილისი;
 სვანური პროზაული ტექსტები. ტ. I, ბალსზემოური კილო. თბ., 1937
ხუბუა, 1937 – მ. ხუბუა. მეგრული ტექსტები. თბილისი;
 ხალხური სიბრძნე, მეგრული და ლაზური იდიომები, შემდგენლები რ. შეროზია, ო. მემიშიძე.

ISSUES OF MORPHO-SYNTAX OF KARTVELIAN LANGUAGES

Marine Kakachia, Sokhumi State University, Associate Professor

Ketevan Margiani, Sokhumi State University, Associate Professor

Marina Jgharkava, Sokhumi State University

RESUME

It was always paid a great attention to researching of Kartvelian languages, but for development of Kartvelology, as linguistic discipline, that is not enough an international level of comparativistic researching only. Studying of Kartvelian linguistic units is important taking into account their ethnolinguistic aspects. Researching of Georgian language will not be valuable taking into account only data of literary Georgian language. Data and facts of other Kartvelian languages (Svan, Megrelian, Laz) are very important as well. Accordingly, the main task of modern Kartvelology is creating of complete course of comparative Grammar. It's fact that in spite of longstanding history and tradition of scientific researching of mentioned languages we still have not consummate linguistic works so we decided research problem in this direction and realize the project idea-suggestion "Morphosyntax of Kartvelian languages" with supporting of experts and Rustaveli Scientific Fund.

In the last years at Sokhumi State University (we note with a heavy heart that it's the only refugee University) we began fundamental researching of issues of morphosyntax of Kartvelian languages (Svan, Megrelian, Laz). The topic is important and actual, scientifically innovative as the problem was not researched completely and fundamental, substantial analysis was not made. In the first place we have studied detached issues of morphosyntax (Svan, Megrelian, Laz) using textual publishing. It's necessary to note that recently Kartvelologists pay attention to Kartvelian Languages in particular. It is known that data of Svan, Megrelian, Laz are too important for historical-comparative researching of Kartvelian languages. Difficult phonetics and phonology of these unliterary languages, structural peculiarities in morphology and syntax, specifications of semantics, semasiology and lexicology, dialectical varieties are especially valuable for raising a question and elucidating of different common-linguistic issues. Linguistic competence and practical knowledge of Svan and Megrelian, semantic nuances of languages help us in decision of the problem. The following issues are analysed in the article: The main and minor (secondary) members of the sentence in Svan, Megrelian and Laz; Biverbal, phraseological and paronomasive Predicate in Kartvelian languages; Principles of constructing and structure of the simple sentence in Svan, Megrelian and Laz; Coordination and co-ordinates (the main, big, little, the least co-ordinates) in Svan, Megrelian and Laz; The morphologic(al) subject (MS) and the morphologic(al) object (MO) in Svan, Megrelian and Laz; Nominative and dative constructions in Kartvelian Languages; Essence (the main point) and specifics of Ergative construction in Svan, Megrelian and Laz; Types of syntactical coordination ("Shetankhmeba" (agreement), "martva"(government), "mirtva" (connecting)) in Svan, Megrelian and Laz; Georgian syntagma. syntagma, coordination ("shetankhmeba", "martva", "mirtva"), Nominative, Ergative and Dative constructions.

ფრაგმენტები მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან

სალომე კაპანაძე, გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

კულტურული ურთიერთობები ყველაზე კრიზისულ დროშიც კი შეიძლება აღმოჩნდეს პოზიტიური ემოციებისა და გონივრული გადაწყვეტილებების საფუძველი. კულტურათა ზიარებისა და შეხვედრის თემა იმანენტურია კულტურული ერებისათვის არამარტო უნივერსალური საკაცობრიო იგივეობის ძიების კონტექსტში, არამედ ეროვნული ინდივიდუალობის თვალსაზრისითაც. კულტურული ურთიერთობები ის უნივერსუმია, რომლის საბოლოო განადგურება შეუძლებელია, კულტურა „კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრისა დედაბოძი“ (ილია) ღრმად ზემოქმედებს ადამიანის შინაგან სტრუქტურაზე, ფსიქიკის არაცნობიერ პლასტებსა და წარმოსახვაზე. ეს ყოველივე დროის გამოცდილებით არის დადასტურებული და ამიტომაც არსებული პოლიტიკური რეალობის ჭრილში მისი ფორმალური გადატანა შედეგობრივად დროის მოკლე ლოკალზეა გათვლილი.

საქართველო ყოველთვის იმყოფებოდა კულტურათა ზიარების ეპიცენტრში. ქართულ-აღმოსავლური, ქართულ-ბიზანტიური და ქართულ-რუსული ურთიერთობანი ჩვენი კულტურის და განსაკუთრებით მწერლობის ისტორიაში უწყვეტობის, ცვალებადობისა და ნოვაციების პარალელურად ხელს უწყობდა მის ჟამისმეორე სიმყარეს და ორიგინალობას. ასეთი კულტურული ურთიერთობების თვალსაზრისით საინტერესო გახლავთ XX საუკუნის დასაწყისი – ხანა ახალი იდეოლოგიის დაბადებისა ხელოვნებასა და მწერლობაში. გარდამავალი ხანის სპეციფიკურ პირობებში შობილი ზეგრძნობადობა, ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური ევოლუცია გეოგრაფიულად ახლომდებარე და ბედისწერით ისტორიულად დაკავშირებულ ქვეყნებს შორის მრავალ ტიპოლოგიურ მსგავსებას შეიცავს. ევროპიდან იმპორტირებული მოდური „იზმები“ თანაბრად აღაფრთოვანებდა და განაწყობდა პოეზიის განახლების იდეით მოსულ ახალ თაობას საქართველოსა და რუსეთში. მათ აერთიანებდათ მოდერნიზმის ინტერკულტურული პოსტულატები, გამოსახვის მხატვრულ სტილისტური საშუალებები და ეპოქისმეორე განწყობილებანი. ხშირად სწორედ ეს ხდებოდა საფუძველი რუს და ქართველ ესთეტთა არამარტო ლიტერატურული, არამედ გულწრფელი ადამიანური ურთიერთობებისა. ქართველი სიმბოლისტები, რომლებიც ევროპულ მწერლობაში ინტეგრირების ამბიციური სურვილით გამოჩნდნენ სალიტერატურო სივრცეში, დასავლური კულტურული ღირებულებების პარალელურად თვალყურს ადევნებდნენ რუსეთში მიმდინარე სამწერლობო პროცესს და აქტიურად რეაგირებდნენ მასზე. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო მასალას იძლევა არამარტო პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძისა და ვალერიან გაფრინდაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, არამედ მათ თანამედროვეთა – ნინო მაცაშვილის, შალვა აფხაიძის, სერგო კლდიაშვილის, გრიგოლ ცეცხლამის და სხვათა მოგონებები. ტიციან ტაბიძის ზიარება რუსულ კულტურასთან 1913 წლიდან დაიწყო. როცა მან სასწავლებლად მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტს მიაშურა. მისი ბიოგრაფია დატვირთულია ამ პერიოდის რომანტიკული მოგონებებით – ბუნდოვანი მისტიური დაქანცულობით, ცხარე კამათით გოეთეზე და ლექციებით ჟესტ-მიმიკის თეატრზე, ნაცნობობა კონსტანტინე ბალმონტთან, ვალერი ბრიუსოვთან და ანდრეი ბელისთან აღაფრთოვანებდა მას. მათი საერთო ინტერესს, ცხადია, შეადგენდა პოეზიის უსაზღვრო სიყვარული, მწერლობის ის ნოვაციები, რომელიც სიმბოლიზმის ლიტერატურული სკოლის ზეგავლენით აირეკლა რუსეთისა და საქართველოს ინტელექტუალურმა ელიტამ. ტიციან ტაბიძის ჟანრობრივი ინტერესები ამ პერიოდისათვის არ შემოიფარგლება მხოლოდ პოეზიით. სწორედ ამ დროს ემთხვევა მისი განსაკუთრებული გატაცება მინიატურის ჟანრით, სადაც გარკვევით მოჩანს მისი ნაადრევი სიმბოლისტური განწყობილებანი. მთელი ცხოვრების მანძილზე ტიციან ტაბიძე ყოველთვის იყო არამარტო აქტიური ლიტერატურული, არამედ მეგობრული ურთიერთობების ინიციატორი. იგი თარგმნიდა რუსი პოეტების ნაწარმოებებს, აზრს გამოთქვამდა მათ ესთეტიკურ ფასეულობებზე, საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და უფრთხილდებოდა ამ ურთიერთობებს. ბევრს მუშაობდა, რათა რუს მკითხველამდე მისულიყო ქართული ეროვნული მწერლობის უნიკალური საგანძურები. ცნობილია, თუ როგორი დახმარება გაუწია მან კონსტანტინე ბალმონტს, რომლის ნიჭიერებით მოხიბლული იყო „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში. „სტუდენტობისას გაიტაცა ტიციანი რუსულმა სიმბოლიზმმა, რომლის წარმომადგენელთა შორის მის გულში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დაკავებული ალ. ბლოკს, კ. ბალმონტსა და ანდრეი ბელის. ამათგან მეორეს ადრე, ხოლო მესამეს უფრო გვიან – პირადად იცნობდა. კ. ბალმონტს საგრძნობ ყურადღებას უთმობდა, ჯერ ერთი, იმიტომ რომ მოსწონდა მისი ამღერებული პოეზია, რომელშიც მზის შუქი უხვად იყო ჩადვრილი: უფრო კი მისდამი

სიყვარული ნაკარნახევი იყო პატრიოტული გრძნობით – ბალმონტის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნით.“ – აღნიშნავს თავის მოგონებებში შალვა აფხაიძე. (1.67).

პარიზში შედგა კონსტანტინე ბალმონტისა და პაოლო იაშვილის შეხვედრა. მას „ვეფხისტყაოსანი“ უჩუქებია რუსი პოეტისათვის. ბალმონტის ასული, ამ შეხვედრის დეტალების აღწერისას, ყურადღებას სწორედ იმაზე ამახვილებს, თუ როგორი გზებით ესაუბრებოდა ახალგაზრდა, ელევანტური პაოლო მამამისს „ვეფხისტყაოსანზე“. მონათხრობი, როგორც ჩანს, იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ კონსტანტინე ბალმონტს მისი თარგმნის უმძაფრესი სურვილი იმ დროიდან გაჩენია. მისი აღტაცება უსაზღვრო ყოფილა და სტუმრებისთვის განუცხადებია: მრავალი ქვეყანა მინახავს. ისეთიც კი, სადაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია. საქართველოში კი, რომელიც სიყრმიდანვე ძალიან მიყვარს, ჯერ არ ვყოფილვარ. ეგებ რაღაც ძალა განგებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახული სილამაზის შემდეგ მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი ტკბილი სიზმრის დასასრული ყოფილიყო. ამის შემდგომ ბალმონტს წიგნი უსახსოვრებია პაოლოსათვის წარწერით: „საჩუქრად მისგან, ვისაც უყვარს მატყვევებელი მარგალიტი კავკასიისა – საყვარელი საქართველო.“ იმავე წელს პაოლო იაშვილი თარგმნის ბალმონტის ლექსებს და აგზავნის საქართველოში. ამ პერიოდს ემთხვევა ბალმონტის ჩამოსვლა საქართველოში და რუსთაველის უკვდავი პოემის თარგმანზე მუშაობის დაწყება. ბალმონტმა თბილისში წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თავის თარგმანი. 1915 წელს კი ესტუმრა ქუთაისს და გამართა პოემის კითხვის საღამო. ქართველი პოეტები მას შესანიშნავ დახვედრას უწყობენ. ვალერიან გაფრინდაშვილი უძღვნის სონეტს რუსულ ენაზე. ბალმონტი ახალგაზრდა პოეტებს ლექსითვე პასუხობს, რომელშიც ამკარად იგრძნობა „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკით აღფრთოვანება. პაოლო იაშვილის ამ თარგმანში ყურადღებას იქცევს შემდეგი სტრიქონები:

„– საქართველო! ცოცხლობს, ცოცხლობს, ცოცხალია.
მღერის თერგი და არაგვიც ამას მღერის
მე ეს მესმის, და მეც მჯერა, მართალია.
და, მაშ რისთვის, ვით ბალახი ბინძურ მტვერის,
ვისიც გულში ცოცხლობს მხოლოდ გრძნობა მტერის,
შბედავს კიდევ მოსვლას წმინდა ქვეყანაში,
სადაც ხალხი ცხოვრობს მზიურ ოცნებაში.“

საინტერესოა, რომელ მტერს გულისხმობს კონსტანტინე ბალმონტი? ცალკეულ პერსონებს თუ საქართველოს ისტორიული გამოცდილების პასაჟებს. ლექსში ნახსენებია „რაინდები წმინდა ჯვრის“ ქრისტეს მოციქულები, რომელთაც „პირველად აქ უმღერიათ“.

1927 წელს საქართველოში ჩამოდის ანდრეი ბელი – (ბორის ბუგაევი). მან სამი თვე დაყო საქართველოში და მას გულითადი მასპინძლობის შემდეგ 2 ივლისს ვლადიკავკაზამდე სამხედრო გზით აცილებენ პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, პავლე ინგოროყვა და ტიციან ტაბიძე. მეორედ მას საქართველოში ვხვდავთ 1929 წელს. მთელი ზაფხული მას საჩხერეში – აკაკის სახლში და კოჯორში გაუტარებია. ანდრეი ბელიმ დაუვიწყარი შთაბეჭდილებები გაიყოლა საქართველოდან. სხვათაშორის, ტიციან ტაბიძის ცნობით, მას რამდენიმე წლით თბილისში დაბინავების სურვილიც კი ჰქონია. თავის წიგნში „კავკასიის ქარი“ ანდრეი ბელიმ შეძლო შთაბეჭედავად გადმოეცა არამარტო იმდროინდელი თბილისის ლიტერატურული ატმოსფერო, არამედ დაეხატა იმ ადამიანების პორტრეტები, რომლებიც ქმნიდნენ ამ „ლიტერატურულ ბოჰემას“. „მთელი დღე ხელოვნების უერთგულეს ადამიანებთან გავატარე. ვიყავი ტიციან ტაბიძესთან და ბრინჯაოსავით უდრეკ, მაგრამ თან აღერსიან პაოლო იაშვილთან. პაოლო ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული, ფიქრებად ნაძერწი, მარტო გულია. ტაბიძე – კეთილი ვულკანი, აზრებს რომ აფრქვევს და გაშინებს, იაშვილის მიერ რეტუშირებულ, შორსმჭვრეტელურ, ბრძნულ აზრებს იმეორებს. იაშვილის ბასრი გონება სათუთად გარდაქმნის ტაბიძის ვულკანებს კლდეთა ნატიფ ქანებად, კულტურის ბარიელეფად. პირველის მგზნებარება თავბრუს გახვევს, ფრთებს შლის. კოსმიურ აზროვნებას იძენს, რისგანაც სხეული უთუოდ გაგიცივდებოდათ, პაოლო იაშვილის ცად ასროლილი ნიაღვარი, გონებით დედამიწაზე რომ არ გაბრუნდეთ, სადაც ტაბიძის საუბრისა და სადღეგრძელოების წყალობით ბრძნული სიტყვების ვულკანი თანდათან ადამიანური და კონკრეტული ხდება. მთელი ღამე მათთან გავატარეთ და მივხვდით, რომ ისინი ერთნი არიან, პოეტთა წრის ლიდერები“ (1.58) ლიტერატურული საუბრებითა და ქართული სუფრის რიტუალით აღფრთოვანებული ანდრეი ბელი ხატოვნად აღწერს იმ საკრალურ წესრიგს, რომლის თვითმხილველი იგი საქართველოში სტუმრობის დროს გამხდარა: „ამ სიმწვანეში, ხალხით საგვე მაგიდასთან დინჯად ვსაუბრობთ. ყოველ ნაბიჯზე უნებლიე თავაზიანობა ვლინდება. ქართველები არ „ქეიფობენ“, კი არ „ღრიალებენ“, კი არ „ლოთობენ“, მეგობრულად იკრიბებიან, ამ შეკრებას, ბუნებრივია, ასეთ საქმეში გაწაფული თავმჯდომარე განაგებს, როცა ისინი ლაპარაკობენ, ღვინო მათთვის ზღვაში წვეთია მხოლოდ...“ (4.60)

ანდრეი ბელისა და ქართველ სიმბოლისტთა ურთიერთობისათვის საინტერესოა ტიციან ტაბიძის წერილი „ანდრეი ბელი“. იგი იმავე აზრს ავითარებს მასზე, რომელიც თავის დროზე გამოთქვეს ბ. პილნიაკმა და ბ. პასტერნაკმა, რომლებმაც ანდრეი ბელი მსოფლიო სახელებს ამოუყენეს და აღიარეს მისი გავლენა იმდროინდელი რუსეთის ყველა ლიტერატურულ მიმდინარეობაზე, ამასთან ტიციან ტაბიძე მსჯელობს ანდრეი ბელის შემოქმედებაში ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციების არსებობაზეც და აღნიშნავს, თუ რომ სტილისა და მსოფლმხედველობის ძიების პროცესში ანდრეი ბელიმ საკმაოდ რთული გზა გაიარა, მრავალი „საბედისწერო ბრძოლა“ გადაიტანა. „როდესაც ანდრეი ბელი ხვდებოდა კაპიტალისტური კულტურის კრიზისს, ეხეთქებოდა კარებს ამ საპყრობილედან გასაფრენად, მაგრამ ვერ ენახა ეს გზა, ან თუ ხანდახან ნახულობდა, მალე რწმუნდებოდა, რომ ეს არ იყო მთავარი მაგისტრალი, ეს იყო მხოლოდ დროებითი განათება და ერთი ჯურღმულიდან მეორე ჯურღმულში გადავიდა.“ იმის გათვალისწინებით, რომ წერილი 1934 წელსაა დაწერილი, არ არის ძნელი მისახვედრი რა იგულისხმება „ჯურღმულში“. ეს უკვე ის პერიოდია, როცა დეკადენტური წარსული საღანძღავ სიტყვად იყო დამკვიდრებული და მწერლობის მოთვინიერების პროცესი თავის კულმინაციას უახლოვდებოდა. საფიქრებელია, რომ ტიციან ტაბიძე სწორედ ანდრეი ბელის სიმბოლისტურ პერიოდს გულისხმობს. ჩვენს ამ მოსაზრებას ამაგრებს ფრაზა, რომელსაც იგი ურთავს ანდრეი ბელის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს, რომელშიც რევოლუციის მოლოდინია გამჟღავნებული. „მართალია ეს ლექსი ბლოკის „თორმეტის“ და „სკვითების“ ყალიბითაა დაწერილი, მაგრამ ქრისტე მაინც არ სცილდება რევოლუციას“. (5.224) წინასწარმეტყველური გრძნობით გამორჩეულს უწოდებს ტიციან ტაბიძე ანდრეი ბელის რომანს „პეტერბურგი“. ამ რომანმა მართლაც საგონებელში ჩააგდო იმდროინდელი რუსეთის ინტელექტუალური ელიტა. ფაქტიურად, ეს იყო ანდრეი ბელის ხილვა, პროფეტულობა მომავალ რევოლუციასთან დაკავშირებით.

ქართველ სიმბოლისტთა მოგონებებსა და თარგმანებში ხშირად ფიგურირებს რუსი სიმბოლისტი პოეტის ვალერი ბრიუსოვის სახელი. მისი პოეზიის თარგმნით თავი განსაკუთრებულად გამოიჩინა ვალერიან გაფრინდაშვილმა. მასვე ეკუთვნის ორი ესე ვალერი ბრიუსოვზე, რომელიც სხვადასხვა დროს – 10 წლის შუალედით არის დაწერილი და ამდენად, დროის ნიშნით არის აღბეჭდილი. ვალერიან გაფრინდაშვილის პირველი ესე 1924 წლის 7 ნოემბრითაა დათარიღებული. მასში ჯერ კიდევ არ არის თვალშისაცემი მწერლის შეფასების პოსტრევოლუციური სტანდარტები და ესეისტი ბრიუსოვის შემოქმედების ესთეტიკურ ფასეულობებზე, მის მრავალმხრივ სამწერლო მოღვაწეობაზე საუბრობს. რაც მთავარია, იგი აღიარებს მას რუსეთში სიმბოლიზმის პროპაგანდისტა, რუსული სიმბოლიზმის მეტრად, რუსულ პოეზიაში თავისუფალი ლექსის დამამკვიდრებლად, რომელმაც არამარტო ნიადაგი მოუმზადა წმინდა სიმბოლიზმს – ანდრეი ბელისა და ალექსანდრე ბლოკის სახით, არამედ შექმნა მთელი სკოლა, რომელთა შორის იყვნენ რუსული სიმბოლიზმის ისეთი ავტორიტეტები, როგორებიც იყვნენ მაქსიმილიან ვოლოშინი, სერგეი სოლოვიოვი და ნიკოლოზ გუმილიოვი. მიუხედავად იმისა, რომ ესე საკმაოდ შთამბეჭდავია და კარგად წარმოაჩენს ვალერი ბრიუსოვის ლიტერატურ პროფილს, ვალერიან გაფრინდაშვილი აღიარებს, რომ შეუძლებელია ვალერი ბრიუსოვის შეფასება ერთ წერილში და ამისათვის საჭიროა დიდი მონოგრაფია. უადრესად ორიგინალურია ვალერიან გაფრინდაშვილი ბრიუსოვის სტილზე საუბრისას: „არ დარჩენილა არც ერთი უძნელესი ფორმა ლექსის, რომ ბრიუსოვს არ შეეთვისებინოს და არ ეძლიოს. საუკეთესო და თითქმის პირველი რუსული სექსტინა ბრიუსოვს ეკუთვნის. ბრიუსოვი ალიტერაციის ოსტატია. მისი სონეტები მორიგი გამარჯვებაა პოეტის. . მისი „ვაბრიჩნაია“ ისეთივე უშუალოა, როგორც ლერმონტოვის „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“. მისი მოთხრობებია დაწერილია ედგარის გავლენით, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ისეთივე შედეგურია საშინელების, როგორც „ყორანი“ და „ემერების სახლის დამხობა“. ბრიუსოვმა შექმნა საკუთარი სტილი.“ (2.600)

ვალერიან გაფრინდაშვილის მეორე წერილი 1934 წლის 18 ოქტომბრით არის დათარიღებული. ესთეტიკურ ძიებებს აქ უკვე პროპაგანდისტული და საბჭოური იდეალებით ნასაზრდოები შეფასების კრიტერიუმები ენაცვლება. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპებიდან გამომდინარე, მთავარი აქცენტებია – ბრიუსოვი რევოლუციამდე – „რუსეთის ბურჟუაზიის ომპერიალისტური ტენდენციების მებაირახტე“ და შემდგომ, „მუშაობის დაწყება რევოლუციის მხარეს“. „ოქტომბრის რევოლუციაში ბრიუსოვმა იპოვა ის, რასაც ამაოდ ეძებდა ბურჟუაზიულ კულტურაში. იგი ხედავდა, რომ მთელი კულტურა დაიღუპება, თუ პროლეტარიატი არ დაეუფლება მას“ (2.641) ძნელი დასადასტურებელია ვალერიან გაფრინდაშვილის ამ შეფასებების გულწრფელობა. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ რევოლუცია როგორც მთავარი ორიენტირი ნამალადევად ჩნდება ამ წერილში. ჯერ კიდევ რჩება დრო 1937 წლამდე და, აკაკი ბაქრაძისა არ იყოს, „საშინელი მუქარის არსი“ ჯერაც ამოცნობილი არ არის. ვალერიან გაფრინდაშვილს ეკუთვნის ვალერი ბრიუსოვის რამდენიმე ლექსის თარგმანიც. მათ შორის

არის „თეთრი მერანი“, „სადამო“, „ქალაქს“ და ლექსები საბჭოთა პოეზიისათვის ნიშანდობლივი სათაურით „ჩაქუჩი და ნამგალი“, „კალატოზი“.

ვალერი ბრიუსოვის უაღრესად საინტერესო სახე ჩნდება ტიაციან ტაბიძის 1924 წლით დათარიღებულ წერილშიც „ვალერი ბრიუსოვი“. რა თქმა უნდა, ტიაციან ტაბიძეს აინტერესებს ბრიუსოვი, როგორც „რუსული სიმბოლოზმის მეთაური“, როგორც „რუსული პოეზიის ითანე კალიტა“ და მებრძოლი სკოლის მეთაური. ტიაციან ტაბიძე, როგორც ჩანს, ყურადღებით ადევნებდა თვალს ბრიუსოვის რედაქტორობით გამოშვებულ ჟურნალს „Вест“, რომლის ფურცლებზე არაერთი მწვავე პოლემიკა გამართულა თავად ბრიუსოვსა და სიმბოლისტების ახალ თაობას შორის. ბრიუსოვი ხშირად გამხდარა იმ ახალბედა პოეტების სამიზნე, რომლებიც ლიტერატურული პარნასისკენ გააფთრებული მიიწევდნენ და ისეთ ავტორიტეტთან, როგორც ბრიუსოვი იყო. ფრაგმენტული შერკინებაც კი მათ გზას უკაფავდა. ტიაციან ტაბიძე აღიარებს, რომ ამ ბრძოლაში ბრიუსოვი არასოდეს დამარცხებულა. „ყველა ახალი მიმართულება და ხელმოცარული პოეტები ვალერი ბრიუსოვს ემგერებოდნენ, მაგრამ მას, ხარის ღონეს გარდა, მაგარი რქებიც ჰქონდა. ათასი ფსევდომით ბრიუსოვი ებრძოდა ათას შინაურ და გარეულ მტერს და ლარივით მიჰყავდა თავისი ხაზი“ (5.215) ტიაციან ტაბიძის ეს წერილი ერთი რამითაც არის თვალშისაცემი. ტიაციან ტაბიძე ბრიუსოვის ბიოგრაფიაშიც ხედავს „შავ ხვრელს“ – ირიბ თუ პირდაპირ კავშირს ფუტურისტებთან იგი მისი რიტორიკის სიყალბის დასაბამად მიიჩნევს. „ამ ათ წელში მოიშხამა რუსული პოეზია ფუტურისტების იეზუიტ კრუჩიონიხის სახით. ამ დახსნის შემდეგ. ბრიუსოვის რიტორიკა სულ სიყალბეში გადადის და თავისმოსაგრები ლიტერატურა ხდება, და ვალერი ბრიუსოვი ემსგავსება ჯამბაზს: სიბერის დროს ჯამბაზობა ტრაგიკულია“ (5.215) როგორც ჩანს, ბრიუსოვის ზოგიერთი მოწაფის – მათ შორის ბორის სადოვსკის, რომელმაც მას სალიერი დაარქვა და ანდრეი ბელის ზეგავლენით, რომელმაც სასტიკად დაახასიათა ვალერი ბრიუსოვი თავის მოგონებებში, ტიაციან ტაბიძე არ ერიდება ვალერი ბრიუსოვი დაინახოს სხვადასხვა რაკურსიდან. ერთის მხრივ, აღიაროს მისი პრიმატი რუსული სიმბოლოზმის ისტორიაში. მეორეს მხრივ, აღნიშნოს, რომ იგი უკვე „პოეზიის ისტორიას“ ეკუთვნის, თუმცა „დღემდე დგას პოეზიის ფრონტზე და წურბელასავით არ ეშვება მას“. (5.216)

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ალექსანდრე ბლოკის შემოქმედებით პორტრეტზე, რომელმაც ასახვა ჰპოვა ქართველი სიმბოლისტების ესეისტიკასა და თარგმანებში. ამ თვალსაზრისით გამოვარჩევდით ტიაციან ტაბიძის 1921 წლით დათარიღებულ წერილს – „ალექსანდრე ბლოკი“, რომელშიც პოეტის უდროო, მოულოდნელი სიკვდილით გამოწვეული სევდა და სიმბოლისტურ ჟღერადობაში აღქმული მისი პოეზია ისეა გადაწული, რომ ჟანრობრივად მინიატურას უფრო წაგავს, ვიდრე ესეს. მთავარი პერსონაჟი – ალექსანდრე ბლოკია – „მთვარიანი მეგობარი“, როგორც მას „დეკადენტური მადონა“ – ზინაიდა გიპიუსი უწოდებდა. სულიერი მარტოობითა და დაუცველობით გატანჯული პოეტი, რომლის ტიპოლოგიურ მსგავსებაზე გალაკტიონ ტაბიძესთან დღეს ბევრს საუბრობენ. თავად გალაკტიონი ბლოკს „მეფე-პოეტს“ უწოდებდა: „იმ მრისხანე წელს პოეტი-მეფე გარდაიცვალა ალექსანდრე ბლოკი“, და ეს უდავოდ იყო მათი მსოფლხედვისა და ეპოქის სინამდვილის აღქმის ერთგვარობა, განცდათა თანაზიარობა. პაოლო იაშვილმა დარიანისეულ ლექსების ციკლში ასე შეაჯერა თავისი მწუხარება ბლოკის გარდაცვალების გამო და ანა ახმატოვას მიმართა: „მე მინდა გითხრა სამიძმარი, რომ ბლოკი მოკვდა“. ალექსანდრე ბლოკის სიკვდილით გამოწვეული სევდა ორგანულად მიყვება ტიაციან ტაბიძის ესეს. „ეს იყო ყველაზე მოულოდნელი. უეცარი და უაზრო სიკვდილი“ – განიცდის იგი. ამ სიტყვების დაწერიდან ერთი წლის თავზე 1922 წელს იგივეს იმეორებს ზინაიდა გიპიუსი თავის მოგონებაში „ჩემი მთვარიანი მეგობარი“, მხოლოდ უფრო მკაცრად, სახელდებით მიანიშნებს პოეტის ჯალათებზე. იმაზე, თუ რატომ გაემიჯნა ცინგით გატანჯული ალექსანდრე ბლოკი სიცოცხლის ბოლო წუთებში ყველას და ყველაფერს: „მან იცოდა, რომ კვდებოდა, მაგრამ ჯალათთა ხელიდან არაფრის მიღება არ ეწადა“. (3.97) იმისათვის, რომ ბლოკი სიკვდილისთვის გამოეტაცათ, მწერლებმა არაერთხელ მიმართეს საბჭოთა მთავრობას, რომ მომაკვდავი პოეტი ფინეთში გაეგზავნათ სამკურნალოდ. მათ შორის აქტიურობდა მაქსიმ გორკიც, მაგრამ ლენინის სახკომსაბჭომ თხოვნაზე ჯერ უარი უთხრა, ხოლო როცა ნება დართო, ბლოკი უკვე განწირული იყო. ზინაიდა გიპიუსის მოგონებით, თავისი ოცნებითა და ტანჯვით შემოსაზღვრულ პოეტსაც სიცოცხლე უკვე მოზეზრებოდა.

ალექსანდრე ბლოკის ესთეტიკის უნივერსალიზმი აოცებდა მის თანამედროვეებს. მის სიდიადეს ვერ უარყოფდნენ ისინიც, ვისაც მეტოქეობის განცდა არ აძლევდა მოსვენებას – ანდრეი ბელი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, აკმეისტი ნიკოლაი გუმილიოვი და სხვები დროდადრო ცდილობდნენ მის დამცირებას, მაგრამ ვერ უარყოფდნენ, რომ ბლოკი იყო მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტი. გამონაკლისი არც ტიაციან ტაბიძე აღმოჩნდა. ბლოკის ჰარმონიული კავშირი გერმანელ მისტიკოსებთან, იტალიურ და ესპანურ პოეზიასთან და ამავდროულად რუსული სულის უფაქიზესი განცდა აძლევდა მას საფუძველს, რათა ბლოკი პუშკინის შემდეგ ყველაზე ეროვნულ პოეტად ეღიარებინა. 1921 წელს, როცა ალექსანდრე ბლოკი გარდაიცვალა, ტიაციან ტაბიძეს გაზეთ „ბახტრიონში“ დაუბეჭდავს ბლოკის სურათი, რომელზეც უკვე

საგრძნობი იყო მოახლოებული სიკვდილის აჩრდილი. „უკანასკნელმა ჟურნალებმა რუსეთიდან ჩამოიტანეს სურათი, რომელიც იბეჭდება ჩვენს გაზეთში. ეს ნერონი პოეზიისა, თმაგამილი და ავხორცტუჩებიანი, ყველაზე ლამაზი რუს პოეტებში, ამ სურათზე ჰგავს ანათემაზე გადაცემულს. ჩანს–სიკვდილი კარგა ხანია უახლოვდება პოეტს.“ (5.219) როგორც ცნობილია, ალექსანდრე ბლოკი ანდრეი ბელისთან ერთად მიეკუთვნებოდა სიმბოლისტების მეორე თაობას. ქართველმა სიმბოლისტებმა იგი ძირითადად აღიქვეს „სიმბოლისტურ კონტექსტში,“ თუმცა თავად ალექსანდრე ბლოკი 1912 წელს ალი არსენიშვილისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში მას მოუწოდებდა, რომ მათ უნდა დაემლიათ „სიმბოლიზმის შხამი“ და, ნიშნად სიყვარულისა, იქ სწორედ მომავლის იმედი ამოეკითხათ“. სავარაუდოდ, ეს უნდა ქვეულიყო სერიოზულ მოტივაციად იმ მოსაზრებების ვარიანტებისათვის, სადაც ბლოკის „სასწაულ წინასწარმეტყველურ ინტუიციას“ ხედავენ პოემებში „თორმეტნი“ და „სკვიტები“. აქ დაინახა სწორედ ტიცინ ტაბიძემ „რევოლუციის გამოძახება და ქადილი“. 1934 წელს მწერალთა კავშირის პირველ საკავშირო ყრილობაზე ტიცინ ტაბიძე ეპოქის შესაფერის ტონალობაში კვლავ ამახვილებს ყურადღებას ბლოკისა და რევოლუციის ურთიერთიმართების საკითხზე და დამსწრეთ შეახსენებს, რომ ბლოკს ვლადიმერ მაიაკოვსკიზე არანაკლები წვლილი მიუძღვის რევოლუციური თემატიკის განვითარებაში, ალექსანდრე ბლოკის რევოლუციასთან დამოკიდებულების საკითხის გასარკვევად ჩვენ კვლავ ზინაიდა გიპიუსის მოგონებას მოვიშველიებთ, რომელიც წერს, რომ ბლოკმა თავისი ცხოვრების ბოლო წლებში „შეიძულა თავისი პოემა „თორმეტნი“. მისი თანდასწრებით პოემის ხსენებასაც ვერ იტანდა“. (5.96) ამდენად, ტიცინის სურვილი რევოლუციის სამსახურში ჩაეყენებინა ბლოკის პოემები ბოლომდე დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება. სხვათაშორის, იგი არ იყო ერთადერთი, ვინც ამას დაჟინებით ცდილობდა. იმხანად რუსეთში ბლოკის ოქტომბრის მომდერალთა რიგებში ჩაყენებისა და მისი პოემის „თორმეტნის“ რევოლუციის ჰიმნად გადაქცევის არაერთი მცდელობა დაფიქსირდა. სინამდვილეში ეს პოემა იმ საყოველთაო ნგრევის აპოკალიფსური წარმოსახვაა, რომელიც რევოლუციას უნდა მოყოლოდა. სოსო სიგუა ალექსანდრე ბლოკის მისეული თარგმანების წინასიტყვაობაში მართებულად შენიშნავს: „სიკვდილი თავისთავად ყველაზე დიდი ტრაგედიაა, მაგრამ ზოგჯერ იგი შეიძლება ბედნიერიც იყოს. როგორც ხელოვანს, ასეთი ბედნიერი დასასრული ერგო ალექსანდრე ბლოკს. მან სუნთქვა შეწყვიტა მანამდე, სანამ ბოლოშევიზმის მეხოტბედ აქცევდნენ. ის თავის ილუზიურ სამყაროსთან ერთად დაიღუპა. თუმცა, ვინ იცის იქნებ აპოლოგეტი არც გამხდარიყო, განსხვავებით ვალერი ბრიუსოვისაგან“ (7.324)

ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის თვალსაზრისით შეუძლებელია არ ვახსენოთ ბორის პასტერნაკი, როგორც კეთილშობილებისა და ერთგულების სანიმუშო მატიანე. ბორის პასტერნაკის შეუცვლელი მასპინძლები საქართველოში იყვნენ ტიცინ ტაბიძე და პაოლო იაშვილი. იგი თავადაც გულითად დახვედრას უწყობდა მათ რუსეთში. პასტერნაკს ეკუთვნის თარგმანი ტიცინის ლექსებისა „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“, „ლექსი მეწყერი“, „ოქროყანა“, რომელიც მას განსაკუთრებულად მოსწონდა. ბორის პასტერნაკმა ბოლომდე უერთგულა ტიცინის ხსოვნას 1937 წლიდან მის რეაბილიტაციამდე. „მე გული ამომკვეთეს“ – წერდა იგი ნინო მაყაშვილს ტიცინის დაპატიმრების გამო, „ვერ ვიცოცხლებდი, მაგრამ ახლა ორ ოჯახზე უნდა ვიზრუნო: ზინასა და ლიონიაზე და თქვენსა და ნიტაზე“. ერთგან ნინოსადმი მიწერილ წერილში პასტერნაკი წერს: „ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ტიცინი მიყვარდა, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ჩემს ცხოვრებაში ასეთი დიდი ადგილი ეკავა, ჩემდა უნებურად, შეუცნობლად. მე ეს მხოლოდ გრძნობა მეგონა, მაგრამ რა ვიცოდი, ზღაპრული ფაქტი ყოფილა. რამდენჯერ გაგვიმართავს ლხინი, ერთმანეთისთვის ერთგულების ფიცი მიგვიცია (რა თქმა უნდა, საბრალო პაოლოსაც ვგულისხმობ). ხომ არ გგონიათ, რომ ოდესმე დავივიწყებ! ... ხშირად მესიზმრებოდა ხან თქვენ, ხან ყველანი, ხანაც ჩემიანებთან ერთად იმ ადგილებში დავხეტიალობ, სადაც თქვენ გიტარებოდათ. გასულ ზამთარში ეს მხოლოდ ტანჯვას მგვრიდა. ზოგჯერ თვალცრემლიანი ვიღვიძებდი და ვფიქრობდი, რომ საკუთარი ტკივილი კი არ მაწუხებდა, არამედ თქვენი ტანჯვის მონაწილე გავხდი, თვით თქვენ ნაწილად ვიქეცი და ასე უზომოდ იმიტომ ვიტანჯებოდი. ამ სიგიჟის ახსნა ძალიან მიჭირს“ (4.170) იმ ავადსახსენებელ წლებში, როცა სიკვდილისა და რეპრესიების შიშით დათრგუნული ადამიანები „სამშობლოს მოღალატეებს“, როგორც კეთროვანებს, ისე არიდებდნენ თავს, „დოქტორ ჟივაგოს“ ავტორი გასაოცარ სითამამეს იჩენდა, თანადგომასა და მზრუნველობას არ აკლებდა სასოწარკვეთილ ნინო მაყაშვილს და იმაშიც არწმუნებდა, ტიცინი მალე დაუბრუნდებოდა. იქნებ თვითონ ამის არ სჯეროდა, მაგრამ სჯეროდა ბოროტების წარმავლობის დიალექტიკის და სათუთად უფრთხილდებოდა ნინო მაყაშვილისა და ნიტას იმედს, ვიდრე ტიცინი ხელახლა დაიბადებოდა ქართულ მწერლობაში. „მას არ უღალატნია თავისი სიტყვისათვის. ჩემთვის უმძიმეს წლებში, თვით ტიცინის რეაბილიტაციამდე, ჩვენ არ მოგვკლებია მისი მორალური და ნივთიერი დახმარება. ყოველ ზაფხულს პასტერნაკებთან ვატარებდით. იმ დროს ბორისისა და ზინას ბადალი და-ძმაც კი ცოტა მოიძებნებოდა, ასე უშიშრად და ისეთი სიყვარულით რომ ეზრუნათ თავის მოყვასზე. სამუშაოდან

დაბრუნებულს, თითქმის ყოველ კვირას, შინ მისი წერილი მხვდებოდა ხოლმე. გაკრული ხელით წერდა ბორისი და ასე მეჩვენებოდა, თითქოს ფურცელზე მერცხლის ფრთების ჩრდილი იყო გადაწოლილი და დადლილს, სასომიხდილს მისი ზრუნვისა და ალერსის მზე თავს დამადგებოდა ხოლმე“ (4.170) – წერს თავის მოგონებებში ბორის პასტერნაკზე ნინო მაყაშვილი.

ქართულ-რუსული ურთიერთობის ეს მატყანე თანამედროვე ცვალებადი პოლიტიკური რეალიების ფონზეც კი, ცხადია, გადასინჯვას არ ექვემდებარება. დოსტოვესკისა არ იყოს, „შემოქმედი მაინც გამონახავს დროს და საქმეს გააკეთებს“. ეს საქმე მარადიულად იარსებებს იმათ სამხილად, ვინც ამ ღირებულებებს ვერ გაუფრთხილდა. ესთეტიკური ფასეულობების ერთგულებისა და, ეროვნული სამანების შემოსაზღვრასთან ერთად, ნამდვილი მწერლობის სულიერი მისია უცილობლად უნდა იყოს ზოგადდამიანური მგრძნობელობა და ინტერკულტურული დიალოგისთვის მუდმივი მზადყოფნა.

ლიტერატურა:

1. აფხაიძე შალვა, მახსოვს მარადის, თბ., 1985.
2. გაფრინდაშვილი ვალერიან, რჩეული, თბ., 1990.
3. გიპიუსი ზინაიდა, ჩემი მთვარიანი მეგობარი, ჟურნ., ლიტერატურა და სხვა. თბ., 2005.
4. ტაბიძე ნინო, ტიცციანი და მისი მეგობრები, თბ., 1985.
5. ტაბიძე ტიცციან, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ტ. 2, თბ., 1966.
6. იაშვილი პაოლო, პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები, თბ., 1975.
7. სიგუა სოსო, ალექსანდრ ბლოკი, რჩეული, თარგმანი, წიგნში „მოდერნიზმი“, თბ., 2008

FRAGMENTS FROM HISTORY OF THE BEGINNING OF THE TWENTIETH CENTURY LITERARY RELATIONS

Salome Kapanadze, Grigol Robakidze State University, Associate Professor

RESUME

Cultural relations can appear as a ground of positive emotions and smart decisions in the most critical period. Cultural share and meeting topic is immanent to cultural nations not only in the universal humanity similarity searching context, but also from the point of view of national individuality. Cultural relations is the universe, final destruction of which is impossible, this is proved by time experience and that's why in the existed political reality view its formal movement is possible as a result to be figured out only at short local of time.

Georgia has always been in the epicenter of cultural shares. Georgian-Asian, Georgian-Persian and Georgian-Russian relations supported in parallel to continuity, changing and innovation its strength of era and originality. From the point of view of such cultural relations is interesting the beginning of XX century – epoch of the beginning of new ideology in art and writing. Over sensitivity of period of transition born in specific conditions, aesthetical-psychological evolution between the countries being geographically close and historically connected by fortune, contain many typological similarities. Fashionable “ism” imported from Europe equally delighted and disposed the new generation who came with an idea to renew poetry. They were united by intercultural postulates of modernism, means of artistic-stylistic expression and mood characteristic to the epoch. Often exactly that became the ground of not only literary but also human relations between Russian and Georgian aesthetes. Georgian symbolist which appeared in literary space with ambitious wish to integrate in the European writing, in parallel to Western cultural valuables watched the writing process taking place in Russia and actively reacted on it. From this point of view very interesting materials of memories are given not only by Paolo Iashvili, Titsian Tabidze and Valerian Gaprindashvili's literary inheritance, but also modernists – Nino Makashvili, Shalva Apkhaidze, Sergo Kldiashvili, Grigol Tsetskhladze and others.

-მცა ნაწილაკი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში

მარიამ კობერიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

-მცა ნაწილაკის შესწავლას ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. -მცა ნაწილაკის ფუნქციას ა. შანიძემ მიუძღვნა სტატია „-მცა ნაწილაკი ძველ ქართულში“. იგი წერს: „რთული -მცა სუფიქსი ძველ ქართულში მნიშვნელობას უძლიერებს იმ სიტყვას, რომელსაც ის დაერთვის ხოლმე. დართვით კი შეიძლება დაერთოს სახელსაც, სახელის ნაცვალსაც, ზმნასაც, ზმნისზედასაც, კავშირსაც, მაგრამ რა გინდ სიტყვის ნაწილსაც უნდა დაერთოს, სულ ერთია, იმავე წინადადებაში ნატვრით კილოს ვერ იხმართ, არამედ ყოველთვის მოთხრობითი უნდა იყოს“ (შანიძე, 1918: 79). ამ შემთხვევაში მოთხრობითი იგულისხმება თხრობითი კილო.

თუ გადავხედავთ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურას, გრამატიკოსთა ერთი ნაწილი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას -მცა ნაწილაკს, მეორე ნაწილი კი ამ ნაწილაკს ასახელებს, მაგრამ მისი ფუნქციის მკაფიო განსაზღვრას ვერ იძლევა.

ზ. შანშოვანი თავის „მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა“-ში, როცა „შემკურელთ“ (=კავშირებს) იხილავს, ასახელებს მათ: „უკუტუ, ვთქუ, **მცა, გინა**“ (შანშოვანი, 1881: 75). საფიქრალია, რომ ზ. შანშოვანს -მცა ნაწილაკი გამოკვეთილად არ ჰქონდა შეცნობილი და მისი ფუნქციაც მას არ განუსაზღვრავს. მას ეს ნაწილაკი ისეთივე კავშირად მიაჩნია, როგორცაა დასახელებული უკუტუ, ვთქუ, გინა (გაჩეჩილაძე, 1960: 242).

ანტონ I-ს -მცა ნაწილაკიანი სიტყვები დასახელებული აქვს კავშირებში, მაგრამ არა მიზეზობითში, არამედ საუსრულოში და წინა აღრჩევითებში: კავშირნი „რომელნიმე ითქმიან რეცა საუსრულონი, რამეთუ რომელსაცა ჰაზრსა სიტყვასასა არიან მოკიდებულ, ითხოვენ სხუასაცა ჰაზრსა სიტყვასასა. მაგალითებრ: დაღათუ, ... თუმცაღა, უკუთუმცა, ხოლო თუმცაღა... და სხუანი“. აქვე აღნიშნავს: კავშირნი „რომელნიმე ითქმიან წინა აღრჩევითად, რომელნიცა ნამყოსა ჰაზრსა სიტყვასასა ასაჩინებენ წინასა აღრჩევასა ვიდრეღა შემდგომთა. მაგალითებრ: ვიდრეღა, ვიდრე, ვირე, უკუთუმცა და სხუანი“ (ანტონი, 1985: 109). როგორც ჩანს, მას არ გამოუყვია -მცა სხვა კავშირ-ნაწილაკებისაგან. ამიტომ, რომ ის -მცა-ს ხშირად ხმარობს იქ, სადაც ძველი ქართულის მიხედვით არ უნდა ეხმარა (გაჩეჩილაძე, 1960: 242).

გაიოზს -მცა ნაწილაკი თავის „ქართულ ღრამატიკაში“, როგორც განსაკუთრებული ნაწილაკი, შენიშნული არა აქვს და არც მის ფუნქციაზე ამბობს რამეს, მაგრამ, როცა კავშირებს იხილავს, ამბობს: „მიზეზობითნი: ვინათგან, რათამცა, რმცა, ვრმცა..“ (გაიოზი, 1789: 85).

ს. დოდაშვილს -მცა ნაწილაკიანი სიტყვები კავშირებში აქვს დასახელებული:

„კავშირნი მნიშვნელობისამებრ თვისისა იქმნებიან შემდგომნი... ნებართვითნი: თუმცაღა, უკუთუმცა, დაღათუ, დაღათუმცა, მართლად და სხვ.“ ის -მცა ნაწილაკიანი სიტყვებს ზმნისზედებშიც ასახელებს: „ზმნისზედანი მნიშვნელობისამებრ თვისისა იქმნებიან შემდგომნი...საწადნი: ნეტარ, ნეტართუმცა, ნეტარძი, უკეთუ და სხვ.“ (დოდაშვილი, 1830:54).

პლატონ იოსელიანიც -მცა ნაწილაკს კავშირებში იხილავს: განაღამცა, გაღანამცა, თუმცა, -ცარა. ერთი -მცა ნაწილაკიანი სიტყვა შორისდებულთა შორისაც მოჩანს. აქ დასახელებულია : ნეტამცა (იოსელიანი, 1851: 71-72).

პირველად დავით ჩუბინაშვილმა განიხილა ნაწილაკთა კატეგორია: „ცა, ც, მცა, მცაღა“. „ადიდოსცა ღმერთმან“ (ჩუბინაშვილი, 1985: 48). მან შედარებით ზუსტად განსაზღვრა -მცა ნაწილაკის რაობა, თუმცა მან იგი ვერ გამოყო სხვა ნაწილაკებისაგან და ვერ მისცა თავისი ნამდვილი ადგილი ქართულ გრამატიკაში (გაჩეჩილაძე, 1960: 244).

თ. ჟორდანიაც კავშირთა შორის იხსენიებს -მცა ნაწილაკს: „ხშირად სიტყვას თან დაჰყვება რომელიმე კავშირი: მე, ვე, მცა, ცა ... ღა-მცა, ცა-მცა, მე-ღა-მცა. ამ გვარ შემთხვევაში იბრუნვის მხოლოდ თუთ სიტყვა და კავშირები თან მისდევს დაბრუნებულ სიტყვას შეუცვლელად... ორიღამცა, ორისაღამცა, ორსაღამცა... თუ კავშირდართულ სიტყვებსა დაერთო თანდებულიცა, მაშინ უკანასკნელი დაიდება სიტყვის და კავშირის შუა და არა შემდეგ კავშირისა, მაგ...სახლ-ში გან-მცა“ (ჟორდანი, 1989: 149). -მცა ნაწილაკიანი სიტყვებს ისევ კავშირებად მიიჩნევენ ა. ბენაშვილი (1894: 23), მ. ჯანაშვილი (1906:131) და არ. ქუთათელაძე (1907:124).

ძველ ქართულში -მცა ნაწილაკი იხმარება თხრობით-კილოან ზმნასთან და გამოხატავს სურვილს ან ნატვრას: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, **ცოცხალმცა** ხართ შენცა და იგიცა! (შუმანი.); „მოითხოვა წყალი და დაიბანა ჰელნი და თქუა: **უბრალომცა** ვარ მე სისხლისაგან მაგისისა! (მ. 27, 24) (შანიძე, 1976:149). ამ ნაწილაკის თავისებურება ის არის, რომ იგი ვერ იგუებს წინადადებაში შემავალი ზმნის

ფორმას კავშირებითში და უთოოდ უნდა გადააყენოს იგი თხრობით კილოში. „არარაჲ აქუს, რამცა ჭამეს“ (ადიშის ოთხთავი). -მცა ნაწილაკის გავლენა ვრცელდება შერწყმული წინადადების რამდენიმე ზმნაზე: ნუ შემემთხუევი მე ეგე ყოფად, ვითარმცა დაგიტევე შენ, და მივექეც და წარვედ სახიდ ჩემდა (რუთ. 1, 16) (მანიძე, 1976: 106).

ძველ ქართულში -მცა ნაწილაკის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად ზ. სარჯველაძე მიიჩნევს პირობითობის გამოხატვას („უკუეთუმცა მე მიცოდეთ, მაღამცა ჩემი იცოდეთ, ი. 8, 19). თხრობითი კილოს ფორმას - მცა ნაწილაკი ბრძანებითად აქცევს: „ესემცა იცით“ (მ. 24, 43). ის ზმნის ფორმას ანიჭებს II თურმეობითის შინაარსს: „არა უნდა, ვითარმცა ჰურიასტანს იქცეოდა (ი. 7, 1 C). იშვიათად -მცა იხმარება „თითქოს“ ნაწილაკის ფუნქციით: „ნუ ჰგონებთ ვითარმცა მე ძურისმეტყუელ რამე ვყავ თქუენთვის წინაშე ღმრთისა (ი. 5, 45) (სარჯველაძე, 1997: 161).

3. გაჩეჩილაძემ -მცა ნაწილაკის ისტორიის გათვალისწინებისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნია ქართულ ნათარგმნ ძეგლებში -მცა ნაწილაკიანი ფორმების სხვა ენების ძეგლების შესაბამის ფორმებთან შედარება. ამ მიზნით მან ძველი ქართული ოთხთავი ძველ ბერძნულ და ძველ სომხურ ოთხთავთან შეადარა. „ქართული ნათარგმნი ძეგლების ენაში -მცა ნაწილაკიანი ფორმების გამოყენება არ არის შედეგი უცხოური (ბერძნულ-სომხური) გავლენისა, რამდენადაც ქართულის ამ ფორმების შესატყვისი უცხოურ ენებში სხვადასხვა ენობრივი საშუალებითაა გამოხატული (გაჩეჩილაძე, 1960: 246).

ისმის კითხვა, რით უნდა აიხსნას ქართულ ენაში დადასტურებული შემთხვევა-ფრაზა, რომელსაც ერთგვარი აზრი აქვს? ორი საშუალებით – კავშირებითითა და -მცა ნაწილაკდართული ფორმებით?

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულში კავშირებითის ფორმები შედარებით ახალი წარმონაქმნი მოვლენაა (ჩიქობავა, 1948: 10). ამ ვარაუდის მიხედვით კავშირებითის ჩამოყალიბებამდე ქართულს ამ ფორმით გამოხატული კატეგორიის გადმოსაცემად -მცა ნაწილაკიანი თხრობითი ჰქონდა. კავშირებითის გაჩენის შემდეგაც -მცა-ს თავისი ფუნქცია დიდხანს არ დაუკარგავს და კავშირებითის პარალელურად იხმარებოდა, უეჭველია, რომ ამის მიხედვით კავშირებითისა და -მცა ნაწილაკიანი ფორმები სხვადასხვა ისტორიული ფენაა ქართულში. პირველი უფრო გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე მეორე (გაჩეჩილაძე, 1960: 248).

ძველი ქართულის ენის ტექსტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ენაში კავშირებითის არსებობამ - მცა ნაწილაკიანი ფორმები ვერ შეარყია და ვერ განდევნა ხმარებიდან, ორივე ფორმა ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება. -მცა ნაწილაკის ფუნქციის მოშლისა და გაქრობის მთავარ მიზეზად მიიჩნევენ ასპექტის წარმოების შეცვლის შედეგად თხრობითი კილოს მყოფადის ფორმების ჩამოყალიბებას. XI საუკუნიდან ძველ ქართულში იცვლება ასპექტის წარმოების სისტემა. ამ სისტემის შეცვლის შედეგად თავი იჩინა ახალმა მოვლენებმა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მყოფადის ფორმების გაჩენა. „შეიქმნა საფუძველი იმისა, რომ მომავლის საწარმოებლად თხრობითი კილოს გაგებით აწმყოს მწკრივი ყოფილიყო გამოსავალი და II კავშირებითს საშუალება მიეცა, თხრობითი კილოს გამოხატვაზე აეღო ხელი და მართლ კავშირებითობა აღენიშნა“ (მანიძე, 1953: 278). შემდეგში ამ მოვლენასთან უნდა იყოს დაკავშირებული -მცა ნაწილაკიანი ფორმების II თურმეობითთან ხმარება (სარჯველაძე, 1997: 161; კოტინოვი, 1956: 16).

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულ ნათარგმნ ძეგლებში -მცა ნაწილაკის ხმარებას არ განსაზღვრავს უცხოური გავლენა., ორიგინალურ თხზულებებში მეტი თუ არა, ნაკლები სიხშირით არაა - მცა გამოყენებული. ამავე ანალიზის შედეგად ბუნებრივია: -მცა ნაწილაკი ქართული ენობრივი მოვლენაა, ამიტომაც, რომ იგი ქართული ენის დიალექტებში (აღმოსავლურსა და დასავლურშიც, მართალია, გადმონაშთის სახით და ზედმეტნაკლებად) დღემდე მოიპოვება (თოფურია, 1931: 183).

მცა, მც ნაწილაკი ახალ ქართულში ნატვრას გამოხატავს. წინათ მხოლოდ თხრობით-კილოიანი მწკრივის ფორმას იგუებდა და დღესაც ასეა მთის კილოებში გამოყენებული (მანიძე, 1980: 615). მაგ.: „აგრამც დამირჩებით!“ (ყაზბეგ., 271, 32); „ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი დეკა და ღვიანი“ (ვაჟა-ფშაველა „ზახტრიონი“).

მთიულურ-გუდამაყრულში -მც გამოიყენება, ერთი მხრივ, თხრობითი კილოს ფორმებთან („ადამო ჯარიანვილო, დედამც ცხონდება შენიო“), მეორე მხრივ, კი კავშირებითის ფუნქციას ანიჭებს თხრობითი კილოს ფორმებს („შენამც შეგიყორდეს (= შეგიყვარდეს) ცხრათავიანი დევის დაო“) (ჩიქობავა, 2010: 238; ჯორბენაძე, 1989: 238).

-მცა ნაწილაკი ხეცსურულშიც ხშირად ხმოვანმოკვეცილია, იხმარება თხრობითი კილოს ფორმებთან და ანიჭებს მათ კავშირებითის ფუნქციას: „...იქნებიმც უშიშასად! მზიდავიმც ხარი წყლისაო!“ (ხევს. პოეზია., 108, 17); „ანამც კი დაწვა ჩაბანო, ანამც წყალს წააღებინა...(რაზიკ., 142, 26); „ღმერთიმც აგაშენებს“ (გაბ., 128, 24, შდრ. „აგაშენოს ღმერთმა!“) (ა. ჭინჭარაული, 1960, გვ. 65).

ფერეიდნულში -**მცა** გარკვეული ინოვაციით გამოიყენება კავშირებითის ფორმასთან: „ღამით გავიარნეთ, **არა-მც** ქენი ჰამყათარებმა მოდოგოკიდანენ" („ღამით გავიაროთ, თქვენი თანამოსაქმენი არ გადაგვეკიდონ") (ჯორბენაძე, 1989: 872).

რაჭული დიალექტის გლოლურ კილოკავში შემორჩენილია -**მცა** ნაწილაკ-მორფემოიდი; ზოგჯერ იგი ძველი ქართულის წესისამებრ ეხმარება ზმნის თხრობითი კილოს ფორმას და გამოხატავს კავშირებითის სემანტიკას: „**დია-მც** (=ბევრი-მც) მოგივა ახალი წელიწადიო შექმენისაო", „**ნეტამც** ნაცარა მანატრა", „**ღმერთი-მც** გიგმია მალალო" (ნიშნავს: ბევრი მოგივიდეს// მოგვლოდეს). გვაქვს ამ წესის დარღვევის შემთხვევებიც: -**მცა** ნაწილაკი კავშირებითი ფორმის შემცველ კონსტრუქციებშიც გამოიყენება: **ნეტამცა** ეჯობოს (სავარაუდოა: **ნეტამცა** ეჯობოს). კავშირებითის ფუნქცია შესაძლოა გამოიხატოს -**მცა** ნაწილაკ-მორფემოიდითიც მაშინ, როცა ზმნა ფორმით თხრობითი კილოსაა: „ჩამოვდგი ფეხიო, გწყალობდენ ღმერთიო, **დია-მც** (ბევრი-მც) მოგივა ახალი წელიწადიო შექმენისაო, მოგებისაო, სტუმარიც მოგეცო და სტუმრის გასატუმრებიცაო" (ჯორბენაძე, 1989: 435).

-**მცა** ნაწილაკი ქართულურსა და კახურში, მართალია, ერთნაირი ფორმითა და ძალით იხმარება, მაგრამ გვხვდება მხოლოდ აქა-იქ გადმონაშთის სახით. მას თითქმის დაკარგული აქვს თავისი სინტაქსური ძალა, რომელიც გააჩნდა ძველ ქართულში და ამჟამადაც თავს იჩენს მთის კილოებში. ქართულურ-კახურში იგი შეიძლება შეგვხვდეს კავშირებითთანაც. იხმარება ძალიან იშვიათად და ისიც თითქმის მხოლოდ დაწყველისა და დალოცვის დროს. შეცვლილია იგი ფორმითაც: მოკვეცილი აქვს ხმოვანი (როგორც მთიულურში), ზოგჯერ ც-ც ეკვეცება და რჩება მხოლოდ **მ** (როგორც ინგილოურში). ქართულურისა და კახურის ამ ვითარებას თავისი გამოხატულება უპოვია ახალ სალიტერატურო ქართულში. აქ მთლად გამქრალა ეს ნაწილაკი (იმნაიშვილი, 1974: 57).

ფრონეს ხეობის ქართულურში -**მცა** ნაწილაკს, ქართულური და კახური კილოების მსგავსად, მოკვეცილი აქვს ხმოვანი და გვხვდება **მც**. იგი გამოხატავს: ა) **დალოცვას**: „**შენამც** აშენებულხარ და გამრავლებულხარ ქმარ-შვილში"; ბ) **ნატვრას**: „**ნეტამც** შემემლოს, რომ ჩემ მტერსა სიცოცხე მოვუსწრაფო"; გ) **გაბრაზებას**: „**ასემც** გიქნია, რომ დარჩენილხარ"; დ) **შესიტყვებას**: „**ისემც** რა გითხრა შენ" (მ. კობერიძე, 2000, გვ. 95-96).

გურულ დიალექტში -**მცა** ნაწილაკი ასევე მოკვეცილი ფორმით დასტურდება: „იგი ვისაც აქ, **გინდამც** ფული ქონდეს ჯიბეში დაკეცილი" (კოჭკათი). -**მცა** ნაწილაკი იგუბს კავშირებითის ფორმასაც: „იგი თუ მევიდა, გინდამც საკუთარი შვილი მოსულიყოს" (შუხუთი) (გრ. იმნაიშვილი, 2006, გვ. 123).

ამრიგად, -**მცა** ნაწილაკი ქართულ სალიტერატურო ენაში მხოლოდ აქა-იქ იხმარება გადმონაშთის სახით, მას თითქმის დაკარგული აქვს თავისი სინტაქსური ძალა, რომელიც გააჩნდა ძველ ქართულში და ამჟამად დასტურდება ქართული ენის დიალექტებში -მც-ს სახით დაწყველის, დალოცვის, ნატვრის, გაბრაზების დროს.

ლიტერატურა:

1. ანტონ I, ქართული ღრამატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, გამოცემული ალ. ეპისკოპოსის საფასით, თბ., 1885.
2. ბენაშვილი ა., მოკლე ქართული გრამატიკა...ტფ., 1884.
3. გაიოზი, ქართული ღრამატიკა, კრემენჩუკი, 1789.
4. გაჩეჩილაძე პ., კვლავ -მცა ნაწილაკისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XII, 1960.
5. თოფურია ვ., სვანური ენა, 1, თბ., 183.
6. იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, თბ., 1974.
7. იმნაიშვილი გრ., გურული დიალექტი, თბ., 2006.
8. იოსელიანი პლ., პირულ- დაწყებითი კანნი ქართული ღრამატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანის მიერ, აღბეჭდილი მეორედ ქ. თფილისს, 1851.
9. კობერიძე მ., ზოგი ნაწილაკის ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართულურში: საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000.
10. კოტინოვი ნ., -მცა ნაწილაკის ფუნქციები ქართულში: ასპ. და ახალგ. მეც. მუშაკთა VII, სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1956.
11. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
12. შანიძე ა., -მცა ნაწილაკი ძველ ქართულში: ჟურნ. „პრომეთე", #1, 1918.
13. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1948.
14. შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
15. შანიძე ა., თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.
16. შანშოვანი ზ., მოკლე გრამატიკა ქართული ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანის მიერ 1737 წელსა, გამოცემული ალ. ცაგარელისაგან, სანკტ-პეტერბურდი, 1881.

17. ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1, თბ., 1948.
18. ჩიქობავა არნ., მთიულურის თავისებურებანი: შრომები, I I, თბ., 2010.
19. ჩუბინაშვილი დ., Краткая грузинская грамматика, С-Пбю., 1855.
20. ჭინჭარაული ა., ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
21. ჯანაშვილი მ., ქართული გრამატიკა, ტფ., 1907.
22. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

MTSA PARTICLE IN THE DIALECTS OF THE GEORGIAN LITERAL LANGUAGE
Mariam Koberidze, Gori State Teaching University, Professor
RESUME

The study of-*mtsa* particle in the Georgian Linguistic Literature has a long history. Z. Shanshovani, Anton I, Gaozi, S. Dodashvili discussed it in conjunctions. First David Chubinashvili isolated particles in his „short Georgian Grammer“. and identified -*mtsa* particfe. A. Shanidze thought that it was used with the narrative form in the Old Georgian Language and gave the sentence the idea of conjunctive mood. The shortened form of the -*mtsa* particle is met in the dialects of Khevsureti, Pereidani, Bacha, Kakheti, Kartli. *Mtsa* particle is almost disappeared and seldom used in the New Georgian Language.

მაია ლომია, რუსუდან გერსამია, ხაზთაშორის მორფემული გლოსირება
(მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი) – წიგნის პრეზენტაცია
(ანოტაცია)

მაია ლომია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
 ასოცირებული პროფესორი
 E-mail: maia-lomia@mail.ru
რუსუდან გერსამია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
 E-mail: rgersamia@iliauni.edu.ge

საპრეზენტაციო წიგნი მომზადდა სამეცნიერო პროექტის „მეგრული ტექსტების ელექტრონული კორპუსის“ ფარგლებში (A-043-09, დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ). წიგნში მოცემულია მეგრული ტექსტების მიხედვით სახელური და ზმნური ფორმების სეგმენტაციისა და საერთაშორისო სტანდარტით მათი ანოტირების თეორიული საფუძვლები¹. დღეს ძალზე აქტუალურია კომპიუტერული ტექნოლოგიების ჩართვა ბუნებრივი ენების დამუშავების პროცესში, რაც ითვალისწინებს მონაცემთა ბაზების შექმნას – ტექსტური ბანკის განთავსებას კომპიუტერში და მათ ლინგვისტურ დამუშავებას. ძალზე რთულია, ზოგჯერ შეუძლებელიც, ერთი ენის სინტაქსური კონსტრუქციების, ფრაზეოლოგიური ერთეულების, კომპოზიტების და სხვა გრამატიკული ოდენობების ერთი ენობრივი სისტემიდან მეორეზე გადატანა ადეკვატურად, თუნდაც ეს ენები მონათესავე იყოს. რაკი თარგმანს ამგვარი ხარვეზი ახლავს, კვლევა-ძიების თანმხლებად განიხილება მეტაენა². ჩვენი პროექტის ფარგლებში მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და საანოტაციო პარამეტრები

¹ მთლიანად სამეცნიერო პროექტით სამუშაო განისაზღვრა ორი მიმართულებით: ერთი, ბეჭდურად გამოცემული მეგრული ტექსტების ეფექტურად გამოყენება, რაც მათ სეგმენტირებასა და მორფოლოგიურ გლოსირებას გულისხმობს; მეორე, დღევანდელი მეგრული მეტყველების ფიქსაცია ტექსტების სახით, რაც იძლევა საუკუნისწინანდელ გამოცემებთან შედარების საშუალებას. პროექტის შედეგები განთავსდება web აპლიკაციის სახით შემდეგ მისამართზე: <http://www.klr.ge> ; <http://www.klrg.net> . აქვეა მოცემული ლინგვისტური ექსპედიციების ამსახველი დიდძალი ფოტომასალა.

² მეტაენის გამოყენება გულისხმობს გლოსირებას. გლოსა (gloss) ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს შენიშვნას, განმარტებას. ლინგვისტურ ტექსტში ეს არის გრამატიკული კატეგორიის განმარტება საერთაშორისო

განისაზღვრა იმგვარად, რომ წარმოდგენილი მასალა ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ქართველი ან ქართულის მცოდნე მკვლევრებისთვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული მეცნიერისთვის. მეგრული ტექსტი დამუშავებულია საანოტაციო ერთეულებად შერჩეული შემდეგი პარამეტრების მიხედვით: წინადადების ჩანაწერი, მორფემებად დაშლილი მიმდევრობები, მორფემის შესაბამისი გლოსები, მეტყველების ნაწილების მიხედვით ანოტირებული ჩანაწერი, ქართული თარგმანი (ანბანური ჩანაწერით), ინგლისური თარგმანი.

წინამდებარე წიგნში გამოყოფილია მორფემათა ჯგუფები, დახასიათებულია სახელურ და ზმნურ მორფემათა რანგობრივი სტრუქტურა, გაანალიზებულია ხმოვანთა ფუნქციური და ფორმალური გემინაციის საკითხები. სახელთა გლოსირების პრინციპებზე მსჯელობისას გამოიყოფა რამდენიმე პრობლემური საკითხი; კერძოდ, სახელის ფუძის განსაზღვრას უკავშირდება მორფემათა საზღვარზე არაკანონიკური კომპლექსების დაძლევისა და მრავლობითის ფორმებთან -ლ- თანხმოვნის ჩართვის საკითხები, რომლებიც განიმარტება სპეციალური გლოსებით. ზმნის გლოსირებათან დაკავშირებით შეიძლება გამოიყოს ცალკეული პრობლემური საკითხები: მორფონოლოგიური ტრანსფორმაციების შედეგად მიღებული ზმნური პრეფიქსების ჩაწერის პრინციპები, პირის ნულოვანი ალომორფების გლოსირებული ჩანაწერი, მორფონოლოგიური გარდაქმნები თემის ნიშანსა და -ეს სუფიქსს შორის, ინვერსიულ ფორმათა ჩაწერა, ზმნური პარადიგმების წარმოდგენა მწკრივის სავრცობისა და პარადიგმის მარკერების აღმნიშვნელი გლოსებით, მეგრულისთვის სპეციფიკური აღწერითი მწკრივების ანოტირება, თურმეობითის მწკრივების გლოსირება. განხილულია მსაზღვრელისა და საზღვრულის შედგენილობა, რიგი და გლოსირების პრინციპები.

წიგნში მოცემულია დასკვნა, ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე, დამოწმებული ლიტერატურის სია და დანართი, რომელიც აერთიანებს სტანდარტული აბრევიატურის სიას, ზმნურ სუფიქსთა რანგობრივი მიმდევრობის ცხრილს, კონკრეტული ზმნის გლოსირების ნიმუშებს .

წიგნი გამოადგებათ სტუდენტებს, მეცნიერებს, ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს.

MAIA LOMIA, RUSUDAN GERSAMIA, INTERLINEAR MORPHEMIC GLOSSING (MORPHOLOGICAL ANALYSIS OF MEGRELIAN TEXTS) – BOOK PRESENTATION (ANNOTATION)

Maia Lomia, Ivane Javaxishvili Tbilisi State University, Associate Professor
Rusudan Gersamia, Ilia State University, Associate Professor

The book for presentation was prepared in the frames of the scientific project “Electronic Corps of Megrelian Texts” (A-043-09, financed by Shota Rustaveli National Scientific Foundation). In the book are given theoretical fundamentals¹ of segmentation of nominal and verbal forms and their annotation according to international standard in Megrelian texts. Today it is very actual to involve computer technologies during the natural languages processing that implies creation of databases – inputting the text bank into the computer, and their linguistic processing. It is too hard, sometimes even impossible, to transform syntactic constructions, phraseological units, composites, and other grammatical amounts from one linguistic system of one language to another adequately, even if these languages are relative to each other. As translation is accompanied with such defect, meta language is examined as one, accompanying the research.²

The structure of database and annotation parameters in the frames of our project are determined in the way that the submitted material is available not only for the Georgian researchers or the researchers knowing Georgian, but also for any interested scientist. The Megrelian text is processed according to the following parameters, chosen as annotation

სტანდარტით მიღებული აბრევიატურების (შემოკლებების) მიხედვით. გლოსირების სინონიმური ტერმინია ანოტირება. ჩვენი პროექტის ფარგლებში განხორციელებული გლოსირება ეყრდნობა ლაიფციგში შემუშავებულ საერთაშორისო გლოსირების წესებს (LGR, 2008).

¹ In total by the scientific project were determined two directions of work: one – effective use of already published Megrelian texts, implying their segmentation and morphological glossing; the second – recording today’s Megrelian speech in the form of texts, making possible their comparison with the century-old publications. The results of the projects will be given as a web-publication at the following address: <http://www.klr.ge> <http://www.klrg.net>. Here is also abundant amount of photographs, illustrating the linguistic expeditions.

² Use of the meta-language implies glossing. Gloss is a Greek word and in Georgian means remark, explanation. In linguistic text this is explanation of a grammatical category according to Internationally accepted standard abbreviations, The synonymous term for glossing is annotation. Glossing, accomplished in the frames of our project is based on the international rules of glossing, developed in Leipzig (LGR, 2008).

units: record of a sentence, morpheme fragmented sequences, glosses, corresponding to morpheme, record, annotated by parts of speech, the Georgian translation (in alphabetical record), English translation.

In the present book are separated morpheme groups, the range structure of nominal and verbal morphemes is characterized, are analyzed problematic issues of functional and formal germination of the vowels. During discussing the glossing principles of the nouns, several problematic issues are coming forward; in particular, with definition of the noun root are connected the issues of overcoming non-canonical complexes at the morphemic boundary and inserting the consonant **-l-** with the plural forms, explained with special glosses. In connection with the verb glossing it is possible to highlight particular problematic issues: the principles of recording verbal prefixes, derived as the result of morphonologic transformations, glossed record of personal zero allomorphs, morphonologic transformations between thematic marker and **-es** suffix, recording of invariable forms, expressing verbal paradigms with the glosses, denoting row extension marker and paradigm markers, annotation of descriptive rows, specific for Megrelian, glossing of resultative rows. There is examined composition of determinative and determinatum (syntagm) sequence and glossing principles.

In the book is given a conclusion, extensive English language summary, evidenced literature list and appendix, which includes a list of standard abbreviations, verbal suffixes' range sequence table, the particular verb glossing samples.

The book will be useful to students, scholars, concerned individuals.

კოდორის ხეობის ტოპონიმის ლექსიკური ანალიზი

ქეთევან მარგანი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

საანალიზოდ წარმოდგენილია კოდორის ხეობის ტოპონიმია, რომლის ჩაწერასაც (როგორც ხეობის მკვიდრი) საკუთარი სურვილით და სახსრებით ვახორციელებდით 1990-2008 წლების განმავლობაში; რამდენადაც, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, თითქმის ათეული წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ტოპონიმის ლაბორატორიის სამეცნიერო მივლინება მასალის ჩასაწერად და შესაკრებად ისტორიულ დალის, იგივე კოდორის ხეობაში. 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შედეგად, სამწუხაროდ, დალის ხეობის დედამამშობლოსგან დროებით მოკვეთის შემდგომ ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, უდავოდ გაიზარდა. ლექსიკური ასპექტით კოდორის ხეობის მიკროტოპონიმის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი სურათი, რიგ შემთხვევებში, იდენტურია მიმდებარე რეგიონებისა და მთლიანად საქართველოს ტოპონიმისა, რიგ შემთხვევებში კი შეინიშნება ამ კუთხის ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი; დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დარგობრივი და ყოფითი ლექსიკის განსაკუთრებულ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას სვანური ენისა მკაფიოდ უჩენია თავი გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. მიკროტოპონიმიაში ხშირია მეურნეობის, საწარმოო დასაქმებულობის, ყოფაცხოვრების აღმნიშვნელი ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორცაა ნაწილობრივ (<მეზგე „კომლი, მოსახლე“) „ნამოსახლარი“, ნაქრულდ (<ქორ „სახლი“) „ნასახლარი“, „ნაეკლესიარი“, „ნაწისქვილარი“, „ნაკომკარი“, „ნაბოსტნარი“ შდრ. ძვ. ქართ. მტილი... ხშირია აგრეთვე ლაშქარ („სალოცავი“) დანიშნულების საზოგადო სახელიდან მომდინარე ტოპონიმები. ეს არის გეოგრაფიული სახელები შესაწირ-შესავედრებელი ადგილებისა, სადაც მთელი სოფელი იკრებოდა ხოლმე, რიტუალების დაცვით სწირავს და ლოცულობს კუთხისა და ქვეყნის სადიდებლად; ზოგადად, ქრისტიანულ დღესასწაულებთან დაკავშირებული ლექსიკა; ეთნო და რელიგიური ხასათის ტერმინები, შტოგვარები, დანიშნულების სახელები; ისეთი სამეურნეო საქმიანობისა და ხელობის აღმნიშვნელი ლექსემები, როგორცაა ჭედვა და მჭედლობა, ტყავის გადამუშავება, ნადირობა და ნადირობასთან დაკავშირებული ხშირ შემთხვევაში ტაბუირებული ლექსიკა, შემის ჩეხვა, თიბვა, არყის გამოხდა, ტყიდან მორების გამოზიდვა, ცხენების მომწყვდევა და დაჭერა, თევზაობა, შენებასთან დაკავშირებული დარგობრივი ლექსიკა და ტერმინოლოგია... ხშირია აგრეთვე დანიშნულების საზოგადო სახელთაგან მომდინარე ტოპონიმები... ვიდრე უშუალოდ გეოგრაფიულ სახელთა ენობრივ ანალიზზე გადავალთ, უნდა შემოგთავაზოთ ამ ეგზოტიკური კუთხის მცირე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსკურსი: კოდორის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმინეთი ეწოდებოდა,

შუა საუკუნეებში – დალის ხეობა, XIX საუკუნეში – წებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში – აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში – ზემო აფხაზეთი. უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, კლუხორის, მარუხის, ნაჰარვის... უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა. კოდორის ხეობა მდებარეობს დასავლეთი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მდინარე კოდორის ხეობის ზედა წელზე, სათავეებიდან 70 კმ-ის მანძილზე. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი, საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ნაჰარვისა (გონდორის) და ქლუხორის უღელტეხილებიდან მარუხის უღელტეხილამდე (დაახლოებით 80-90 კმ.) დალის სვანეთს აღმოსავლეთით მესტიის რაიონი ესაზღვრება. მათ ერთმანეთისაგან ყოფს ხვარაშისა და ჯერილის საკმაოდ მაღალი მთაგრები; სამხრეთით ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების ტერიტორიებია (ურთიერთგამყოფია ფანავის ქედი, ჰარვასა და ბარუმბას მთები), დასავლეთით კი – ბაგადის კლდეებია. ვარაუდობენ, რომ კლუხორის უღელტეხილით ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ-ის III ათასწლეულში მყარდებოდა რეგულარული კავშირები სრულიად სხვადასხვა ეთნოსთა შორის, ხოლო „ხალხთა მასიური გადაადგილების ეპოქაში - IV-VII სს. კოდორის ხეობა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიასა და შუა აზიას შორის“ (ბონდარევი 1981, გვ. 89). ითვლება, რომ უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო დალის ხეობას საუკუნეების მანძილზე ხალხთა და ტომთა გადაადგილება-გადანაცვლებისა თუ დროებითი განსახლების მრავალმა გრიგალმა გადაუქროლა, რამაც გარკვეულწილად ჰპოვა ასახვა ამ მხარის ტოპონიმიაში, ყოფაში, სულიერ და მატერიალურ კულტურაში. თუმცა ფაქტია, რომ არცერთ ეპოქაში, არც ერთ საუკუნეში, დალის (კოდორის) ხეობა დედა სამშობლოსგან მოკვეთილი არ ყოფილა, იქ მუდამ სუფევდა მძლავრი ეროვნული სულისკვეთება და გაისმოდა ძლიერი ქართული სიტყვა. კოდორის ხეობა ისტორიული მისიმიანეთია. ქართველი ერის ისტორიაში მისიმიანელებმა სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს. მართალია, მათ მხოლოდ ერთხელ გაიელვეს ისტორიის არენაზე ჩახარის (ჩხალთის) მიდამოებში 555 წელს მომხდარი აჯანყებით, მაგრამ „ისეთი ძლიერი იყო ის გაელვება, რომ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული ქვეყნის – ბიზანტიის ხელისუფალთა განგაში გამოიწვია“ (მიბჩუანი, 1898, გვ. 128); სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თითქმის 15 საუკუნის შემდგომ მისიმიანელთა ნაფუძარზე მოსახლე მათმა მემკვიდრე დალეულებმა ღირსეულად გაიმეორეს წინაპართა გმირობანი და 1993-2008 წლებში გმირულად შეინარჩუნეს ქართული სულისკვეთება და კოდორის ხეობა საქართველოდ შემოინახეს დედა სამშობლოსაგან დროებით მოკვეთილ აფხაზეთში.

უაღრესად მნიშვნელოვანია და საყურადღებო, რომ ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების სხვადასხვა წყაროებში მოხსენიებულია კოდორის ხეობის შემდეგი სვანურენოვანი (ან სვანური ეტიმოლოგიის) გეოგრაფიული სახელები: ფუსტა, ჩიხარი/ჩხალი/ჩხალთა, ლაგვანა, შიყერი/შეყერი, ტიბელეოსი, დარენი, ბოკერი/ბოგერი... ფუსტა <სვან. ფუსდ „უფალი, მეუფე, პატრონი, თავადი, ბატონი, უფროსი“... სქიომარი/ჰიომარი/სქიომარი < სვან. სგიმ „მჟავე წყალი“, სკოტორი <სვან. სკოდი „ღრმა“; შეყერი/შიყ-ერ < სვან. შიყ „ზურგი“, ბოკერი/ბოგ-ერ < ბოგ „ხიდი“, ლაგვანა/ლაგვანთა <სვან. ლი-გ-წე „საგოდებელი“, ლათა< სვან. ლა-თალ „საზღვარი, გასაყარი, გასაყოფი ადგილი“, ციხე ტიბელეოსი < სვან. ტვიბ/ტუიბ „ხევი, ხეობა“... ციხესიმაგრე ბოკერი/ბოგერ (ბუკერ, ბოკელ, ბოკელკ, ბუქლოონ, ბუხლოონ)<სვან. ბოგ „ბოგა, ხიდი“ – დღევანდელი „ნაღვიმალჷპარ“-ის ადგილას სოფ. ომარიშალის ბოლოს, კლუხორისაკენ მიმავალ გზაზე მოხსენიებული აქვს აგათია სქოლასტიკოსს; დარენი< სვან. „ლი-დარენი „დადარაჯება“ – მენანდრე პროტიქტორს; ჩხალთა/ჩახარ<ჯახარ – „საბრძოლო ადგილი“ – აგათია სქოლასტიკოსს, თეოფანე ჟამთააღმწერელს (მიბჩუანი, 1989, გვ. 132); კოდორის ხეობის ძველი სვანური ტოპონიმების შესახებ ცნობები მოწოდებული აქვთ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ბერძენ და რომაელ ავტორებს, ნაწილი გვიანდელი პერიოდის შუა საუკუნეების წერილობით წყაროებშია ფიქსირებული, ნაწილზე კი ლეგენდა-გადმოცემებსა და ხალხის მეხსიერებას შემოუნახავს ცნობა; მაგ., სვანებმა ჯერ კიდევ გადმოსვლამდე იცოდნენ, რომ უნდა ჩასახლებულიყვნენ ტიშში, გენწვიშში, ნაჰარვში, ხუტიაში, ლათაში, შიყერში... ამ გეოგრაფიულმა სახელებმა აფხაზურ ენობრივ გარემოცვაში საუკუნეებს გაუძლეს და უძველესი დროიდან დღევანდლობამდე მოაღწიეს... კოდორის ხეობის თანამედროვე ტოპონიმის უპირველესი მახასიათებელი არის ენობრივი სიჭრელე, მრავალფეროვნება, სახელდების სრულიად განსხვავებული ქრონოლოგია, სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა; სვანურია, მირითადად, სოფლებისა და უღელტეხილების სახელწოდებანი, მთელი მიკროტოპონიმია, ჰიდრონიმთა უმეტესობა, აგრეთვე წერილობითი (ბერძნული) წყაროებით ფიქსირებული გეოგრაფიული სახელები; აფხაზურია არაერთი სოფლის, მდინარის, მთისა და საზაფხულო საძოვრის/იალადის სახელი;

მხოლოდ ერთეულების სახითა არის წარმოდგენილი მეგრული, რუსული... გაურკვეველი ეტიმოლოგიის ტოპონიმები. საკმაოდ გავრცელებული ტოპოფორმატების (-ბა,-ბა) გათვალისწინებით აფხაზურენოვანია კოდორის ხეობის შემდეგი გეოგრაფიული სახელები: აკაკუა, აბაყუა, ანუყუა, არ^რქ^ეშუა, ღუაღუა, ქუთარბა, ბარგმა//, მრამბა < მაკრამბა, შოჭ, აძმახ, სირბისტა, არგუნ, დოუჩ, დედუქეფთა, მარუხ... სოიფსარა, გუანდრა, აჯარა, ჯეჯერა, აძგარა...

კოდორის ხეობის ტოპონიმის დაჯგუფება შეიძლება სხვადასხვა ასპექტით, კერძოდ, მარკირების, სემანტიკისა და არქაულობის კუთხით, თუმცა ამჯერად მხოლოდ ლექსიკური ანალიზით შემოვიფარგლებით. ჰულდემ-ს რ <ჰულდუმ „ურდული“ მდინარის ციცაბოკალაპოტიანი ზოლისა და მისი შემოგარენის სახელია კლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც კლდეები თითქოს ურდულივით კეტავენ მთის ბობოქარ, ჩანჩქერებად მომავალ მდინარეს, ჩიჩხულდ-არ< ჩიჩხუ-ღლდ „გაფსკვნილმაფებოლოებიანი ფოჩი“ -ღლდ -კნიზობითის სუფიქსია; სახელია კლდის ფერდობისა, სადაც შხეფებად მოდის და მოწანწკარებს ჩანჩქერი და მცინვარების ნადნობ-ნაჭური წყალი... ლამდღუი-არ „სამარხები“ < ლი-მდღუი „დამარხვა“ კალბტ-არ, მურყმ-ლ-არ< მურყამ „კოშკი“ ბიქულდ-არ< ბიქუ „ქარი“ ბანი-ვლ, ნალგიმალტ-არ < ლი-გემ „შენება“ ქტ-ბილ-არ < ქტ-ბ „გამოქვაბული“ ნაყარტ-ვლ < ყ-არ „ყავარი“ ნაქტ-არ < ლი-ქვე „ჭრა, მოჭრა“ ასლან-არ, ვაგონ-არ, ლასფლავ-ვლ, შდინ-არ, ნაკ-არ < ნაკ „ვაკე“, ზაგრ-ვლ < ზაგარ „მადლობი, ზეგანი“, გაკ-არ < გაკ „ნიგოზი“, ლექორ-ვლ < ლექ-ტერ „წისქვილი“, ნამტყტიფტ-არ, სარგ-ვლ < სარაგ „წყარო“, ტობ-არ < ტობ/ტომბ „ტბა“... ლა-ყსგრ, ლა-რ-კვა, ლა-მდღუი-არ, ლ-შუმინა, ლა-განჭუ, ლა-ციქ ტარ-ვლ, ლა-მანჩუ, ლა-ნესგირ, ლ-ჩხტ-არ, ლა-ჯმუნ-ვლ, ლა-ხერხა, ლა-ჯრებ, ლა-დრელ, ზუგ-ლ-დ, ზაგრ-ღლდ, ნალზიგტ-ულ, ბიქუ-ლდ-არ, კიბ-ღ ლდ-არ, მურყმ-ილ-არ... ამ ჯგუფის ტოპონიმები მცირე გეოგრაფიული არეალის გამომხატველნი არიან. ნ-ლ-გიმ-ალ-ტ-არ „ნამშენებლარები“ < ლი-ლ-გიმ-ვლ „შენება“ ნა-ყარ-ტ-ვლ < ყ-არ „ყავარი“ ნა-დაუშ-უ-არ „დანადუშები“... მურყმ-ილ-არ „კოშკუნები“... გენწ-იმ „ანწლისა“ ვემ-იმ, ხუარ-ვმ „რღვევისა, ჩამოშლისა“ ტი-მ < ტყვი-იმ „ტყვისა“... გონდორ-ნი თან-ვლ „გონდორის უღელტეხილი“, ფაჩა დარ „ცაცხვის ხევი“, ბეროლრე ნალზიგ... „ბერების ნამოსახლარი“, „მერცხლების სამყოფი/სამერცხლე“... ნადირობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელებია: დალ „ნადირობის ქალმერთი, მონადირეთა მფარველი“ დალი-არ კოჯარ „დალის კლდეები“, ჯალდემრე ლ-კუტ-არ „ხალდეველთა საჯიხვე“... ბოტანონიმებია: ლეტლენგინ-არ < ტელენგი „მთის ღოღო“ ლაგანჭუ ღარ „საანწლე ხევი“, ლენზი სგიმ „ფიჭვის მჭავე წყალი“... სოციალური ხასიათის ტოპონიმებია: ლ-შკდ-ში ნაგ-ამ „სამჭედლოს დანადგამი“ ზანრე ნაკრავ „მეგრელების კარვი დანადგამი“... მრავლად გვხვდება ლანდშაფტით გაპირობებული ტოპონიმები: მურყმილარ „კლდეები“ < მურყამ „კოშკი“, ბ-ჩ-არ ბოგ „ქვის ხიდი“, მაკლათხე ზაგარ „უმაღლესი ზეგანი, მწვერვალი“... ჰიდრონიმებია: მეშხე ტტიბრა „შავი ღელე“ იალცუნესგა < ღარტ-ლიც-ნესგა „ორ-წყალ-შუა“ იგივე „შუამდინარეთი“... საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ კოდორის ხეობის ჰიდრონიმებზე; როგორც ცნობილია, ჰიდრონიმია არის ტოპონიმის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილი; წყალს, ზოგადად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანისათვის. კაცობრიობის ცივილიზაციის კერები, პირველი დასახლებანი სწორედ მდინარეებთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი ზოგადტოპონომიკური კანონზომიერების თანახმად, დიდ ობიექტთა, განსაკუთრებით, მდინარეთა სახელები საუკუნეებში ცოცხლობენ და მოსახლეობის ეთნიკურ ცვლასაც კი უძლებენ. (ცხადაია 2004: 89) აღსანიშნავია, რომ ყოფილი მისიმიანეთის და დღევანდელი სვანეთის მხარეთა მდინარეების სახელების გარკვეული ნაწილი ერთსა და იმავე –რა სუფიქსს შეიცავს: გვანდ-რა, საკნ-რა, აძგარ-რა, აჯარ-რა, ხეც-ქვა-რა/ხე-წყვა-რა/ხე-ქვა-რა ... სვანეთიდან მსგავს წარმოებას ვხედავთ მდინარეთა სახელებში: დოლ-რა, ნაკ-რა, კალ-რა, მგლხუ-რა... (ქალდანი 1999:56). ზოგადად, საქართველოს ჰიდრონიმებზე თუმცა მწირი, მაგრამ მაინც მოიპოვება ცნობები შუა საუკუნეების არაერთი არაბი, ფრანგი, იტალიელი მოგზაურისა და ისტორიკოსის ნაწარმოებებსა თუ ჩანაწერებში. მაგ. მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც 16 წელი იცხოვრა სამეგრელოში, აღწერს მდინარეებს – ფაზისს, ჰიპოსს (ცხენისწყალს), გლაუკს (აბაშას), ტაკურს(ტეხურას), კოხისს (ხობს), ენგურს, კოდორისს (კოდორს), ასევე ჟ. შარდენმა 1672-73 წლებში საქართველოში მოგზაურობის დროს შესრულებულ ნაშრომში აღწერა მდინარე ენგური, შეეხო მტკვარს, კოდორს, რიონს და სხვა მდინარეებს. მდინარე კოდორი და მისი შემოგარენი ვრცლად არის აღწერილი ვახუშტის გეოგრაფიაშიც: „ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქ...ს მდინარის შორისის ადგილისა... მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელ არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ მთაში. ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა“... (ვახუშტი, 1973: 781) ჰიდრონიმ კოდორის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ონომასტიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი: თ. მიბჩუანი მას სვანურ კადარ-ს „მშრალ-ს“ უკავშირებს და მიიჩნევს მის ზანინებულ

ვარიანტად; სხვა თვალსაზრისის თანახმად მიუხედავად ძირისეული ხმოვნის სიგრძის პრობლემისა, კოდორი მიჩნეულია სვანურ სკოდი „ღრმა“ ლექსებიდან მომდინარედ თავიკიდური თანხმოვნის დაკარგვითა და –ორ ტოპოფორმანტიტ წარმოქმნილად (ჭუმბურიძე 2007:34; მარგიანი 1998: 138); ხ. ბლაჟბა კოდორის ანალიზისას საჭიროდ მიიჩნევს პარალელების გათვალისწინებას ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე: კუდა-კო შაფსულში, კუდე-ფსტა სოჩის რეგიონში, კუდირ-თა ბზიფის რაიონში... (ბლაჟბა 1956: 127). რელიგიური ლექსიკა კოდორის ტოპონიმიში: ჯგერწგ შყერიშ – შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია კოდორის სათავეებთან. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ამ სალოცავის – შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის – განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში; ტრადიციულად „იარუნესგას“ კვირეულში, ზემო სვანეთში, სრულიად საქართველოს წმინდა სალოცავების მოხსენიებისას კალენდარით დასახელებული ასზე მეტი სალოცავიდან სვანი მომლოცველი პირველს სწორედ ჯგერწგ შყერიშ-ს მოიხსენიებდა (იხ. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი 1939, გვ. 27); შიყერის სალოცავს ყველა დაღელისათვის, ყველა კოდორელისათვის განსაკუთრებული მადლი და ძალა აქვს. მას ღვთაებრივის გარდა მედიატორის მისიაც აქვს შეთავსებული. აქ მოსიხლე მტრებიც კი შერიგებულან; რამდენადაც შიყერის მაღალ სალოცავზე (აქედან ხომ მთელი დაღის ხეობა ხელისგულივით მოჩანს) ნათქვამი ყოველი სიტყვა თითოეული კოდორელისათვის მუდამ იყო წმიდათაწმიდა, საბოლოო და სავალდებულოდ შესასრულებელი. ხალხური გადმოცემებით, XIX საუკუნის მიწურულისათვის ნანგრევების სახითა მოღწეულ სალოცავზე ადრეულ ეპოქაშიც კი ადგილობრივი სვანებისაგან შეწირული ათეულობით ზვარაკი იკვლებოდაო. აჯარწ ჯგერწგ/ჯგერწგ სტიფიშ – აჟარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია; დაღის ხეობაში კაზაკების მასიურად ცხოვრების ხანაში იქვე მდგარა წმინდა ნიკოლოზის სახელობის სალოცავი. ნალჯტამი (სვან. ნალჯტამ „ნაეკლესიარი“ ლაჯტმი „ეკლესია“ შდრ. სვან. მაჯტამ „მადლობა“, ე.ი. ლაჯტმი/ლაჯტამ სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლო, სამადლიერო“)... კოდორელთათვის, ადგილობრივ მკვიდრთათვის ნალჯტამის სახელითაა ცნობილი ქვის ზღუდის სახით შემორჩენილი ძეგლი აჟარის ერთ-ერთ შემადლებულ გორაზე, რომელიც ხალხური გადმოცემით მაცხოვრის სახელობის სალოცავს წარმოადგენდა და საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა აჯარწ ჯგერწგს – აჯარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას. ჩხალთწ ჯგერწგ – ჩხალთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც მისიმიანთა მთავარი ისტორიული ციხის ჩიხარის/ჩიხარისის მიმდებარე ტერიტორიაზე კოდორელთა ძალისხმევით აღიმართა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში.

ამრიგად, კოდორის ხეობის მიკროტოპონიმიის ლექსიკური ასპექტით შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დარგობრივი და ყოფითი ლექსიკის განსაკუთრებულ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას სვანური ენისა მკაფიოდ უჩენია თავი მიკროტოპონიმიში. გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისას განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ქრისტიანულ დღესასწაულებთან დაკავშირებული ლექსიკა, მითონიმები, ლეგენდებთან და მითითურ პერსონაჟებთან დაკავშირებული ლექსემები, წინა ვითარების სახელები, ეთნო და რელიგიური ხასიათის ტერმინები, შტოგვარები, დანიშნულების სახელები, ბოტანიკური, სამეურნეო საქმიანობისა და ხელობის აღმნიშვნელი სახელები, როგორცაა ნადირობა და ნადირობასთან დაკავშირებული ხშირ შემთხვევაში ტაბუირებული ლექსიკა, თიბვა, არყის გამოხდა, ტყიდან მორების გამოზიდვა, ცხენების მომწყვდევა და დაჭერა, თევზაობა, შენებასთან დაკავშირებული დარგობრივი ლექსიკა და ტერმინოლოგია, საყურადღებოა ბუნებრივ გეოგრაფიული გარემოს მახასიათებელი ტერმინების უაღრესად ხშირი გამოყენება. ზოგადად კი, შეიძლება ითქვას, რომ კოდორის ხეობის ტოპონიმი ხასიათდება ენობრივი მრავალფეროვნებით და სახელდების სრულიად სხვადასხვა ასაკითა და ქრონოლოგიით. ამდენად, სვანური ტოპონიმიის კვლევა იძლევა უაღრესად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას – იქნება ეს ეტიმოლოგიური, სტრუქტურული თუ ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები.

ლიტერატურა:

ბატონიშვილი, 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე, 2007 – ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე – სვანური ტოპონიმი, სვანური ენა, თბ., 2007.
გასვიანი, 1998 – გ. გასვიანი, აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზეთი, თბ., 1998
ზარდალიშვილი, 1949 – გ. ზარდალიშვილი, ქლუხორის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების დადგენისათვის, თსუ შრომები, ტ. 36. თბ., 1949.

მიზჩუანი, 1989 – თ. მიზჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.

ასლანიშვილი, 1933 – ს. ასლანიშვილი, აფხაზეთის სვანეთი, ტფ., 1933.

ბარდაველიძე, 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხ. დღეობათა კალენდარი, თბ., 1939.

ქალდანი, 1970 – მ. ქალდანი, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იკვ. ტ. 17, თბ., 1970.

ქალდანი, 1999 – მ. ქალდანი, მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, „აფხაზეთის მოამბე“, № 2, თბ., 1999.

ცხადაია, 1986 – პ. ცხადაია, სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“ 122, №1, თბ., 1986.

ხორავა, 2008 – ბ. ხორავა ბ., წებელდა-დალის 1840 წლის აჯანყება, სვანეთი – ქართული კულტურის სავანე, თბ., 2008.

. 1981 – , , 1981.

. 1956. – , , .

, , . 27. 1956.

. 1950 – XIX , , . – . 1950.

LEXICAL ANALYSIS OF KODORI GORGE TOPONYMY

Ketevan Margiani, Sokhumi State University, Associate Professor

RESUME

Kodori Gorge is a historical part of the West Georgia, Abkhazia. In the antique epoch it was called Mivisianeti or Misimianeti, in the middle ages - Dali Gorge, in the XIX century – Tsebelda Dali Sabokaulo (the area controlled by a certain police department), in the Soviet epoch it was called Abkhazian Svaneti, and in the XXI century – Upper Abkhazia. Such a variety of the names speaks for itself, of the importance and special role of this gorge in the history of Georgia. Whereas for Svaneti, Svanians and immediate neighbors, Kodori Gorge always been known as Dali (Dal as Svanians pronounce the name – the throne of a goddess of hunting in Georgian mythology was placed there in the gorge, and the place was considered to be the place where Dalelians resided).

Kodori Gorge Toponymy is characterized by the abundance of environment describing terms. The Geographical phenomena and lexemes, such as – ravine, gorge, rock, the places where there used to be towers there, lake, mountain, brook, pass, hill, hillock, knoll, grassland, tower, cliff, slope, risen river, landslip, waterfall, mountain top... Including morphemoids – down, downwards, up, upward, eastern-western... An observation showed that considerable richness and variety of special and everyday vocabulary is distinctly shown in microtoponymy. Tracing the derivation of geographical names shows that Christian holiday vocabulary, mythonims and lexemes connected to legends and mythical characters, words designating former circumstances, ethno and religious terms, branch-surnames, destination names, economic activities and handicraft, such as blacksmith's work, leather processing, hunting and hunting-related taboo words, words connected to cutting, and splitting firewood, mowing, vodka distillation, transporting logs from the forest, catching horses, fishing, construction, constructing towers, building related vocabulary and terminology, are most frequently used in their direct meaning as well as in non-direct meaning.

The main characteristic of Dali Gorge modern Toponymy is its lingual diversity: Names of several summer pastures, mountains, villages and rivers (Armua, Achara, Adzgara, Soipsara..) are of Abkhazian origin, whereas names of most villages and passes, the whole microtoponymy, most hydronyms, drimonims (names of forests) and oikonims (Gentsish, Naharv, Kodori, Khuarash, Lata, Saken, Altsunesga, Gvandralla, Saknara...) are basically of Svanian origin. Megrelian, Russian and other names of uncertain etymology within Kodori Gorge Geographical nomenclature are met very rarely.

გაუმჭვირვალე სიტყვა და მისი განმარტება რთული სიტყვის სტრუქტურაში (ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევა გერმანულ ენაში)

ლელა მახვილაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: lelamakhviladze@gmail.com

ენის სიტყვათა მარაგში მუდამ არის საჭიროება თუ მოთხოვნილება "მოტივირებული ენობრივი ნიშნების¹ ან გამჭვირვალე სიტყვებისა², რომელთა სტრუქტურა გამჭვირვალეა და ენის ნიშანთა სისტემაში არა იზოლირებულ, არამედ სხვა ენობრივ ერთეულებთან მოტივაციურ ურთიერთმიმართებაში იმყოფებიან და შესაბამისად ისინი ენობრივ ცნობიერებაში დამახსოვრებულია"³ (Erben 2006, 23). ისე, როგორც არსებითი სახელი "Lenz" ("გაზაფხული"), რომელიც მოდის lang -იდან ("გრძელი") და უკავშირდება დღის ხანგრძლივობის გადიდებას. მას შემდეგ, რაც სიტყვის მოტივაციური მნიშვნელობა გაუმჭვირვალე გახდა, თანდათანობით მოხდა მისი ჩანაცვლება (გამოძვევა) სიტყვებით: Früh-jahr და Früh-ling, შდრ. früh "ადრეული; ადრე" (მაგალითი წიგნიდანაა). "Lenz" დღეს პოეტურისა და მოძველებულის კვალიფიკაციით იხმარება გერმანულ ენაში.

ზოგჯერ ენაში რთული სიტყვის წარმოშობა უკავშირდება რომელიმე გაუგებარი სიტყვის მნიშვნელობის განმარტებას, ან უბრალოდ მნიშვნელობის გამოკვეთა-ხაზგასმას. ასეთი ე.წ. "განმარტებითი რთული სიტყვები"⁴ ("verdeutlichende Komposita") უმეტესად ჩნდება მოძველებული, იშვიათადხმარებული, ან უცხო ენებიდან შემოსული, გაუგებარი ლექსემების განმარტების მიზნით, რისთვისაც ასეთ ერთეულს ენის მატარებელი უკავშირებს თავისთვის ნაცნობ სიტყვას (კომპონენტს) და ამ საშუალებით განმარტავს მას.

ენათმეცნიერები ამ ტიპის სიტყვებისათვის გამოიყენებენ ტერმინებს: "verdeutlichende Komposita", "erläuternde Ausdrücke /erläuternde Zusammensetzungen", "Lindwurm-Komposita"⁵, "სადაც, ჩვეულებრივ, მეორე წევრის დანიშნულებაა ახსნას და განმარტოს პირველი წევრი, რომელიც როგორც დამოუკიდებელი სიტყვა უცხო და გაუგებარი გახდა" (Schmidt 2008, 100-101). და როდესაც ასეთი სიტყვის ორივე წევრი სინონიმებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავენ, მათ ტავტოლოგიურ კომპოზიტებს ("tautologische Komposita") უწოდებენ (იქვე).

ნაშრომის მიზანია ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევის საფუძველზე წარმოადგინოს საანალიზო სიტყვების განვითარების (ფორმირების) ისტორიული ეტაპები, ახსნას დესემანტიზაციის გამომწვევი მიზეზები და გამოკვეთოს სემანტიკურად გაუმჭვირვალე სიტყვების განმარტების ტიპები.

როგორც ენათმეცნიერები აღნიშნავენ, ე.წ. "განმარტებითი რთული სიტყვები" დეტერმინატული მიმართებების განსაკუთრებულ სახეს ავლენენ (Fleischer/Barz 2012, 146; Simmler 2002, 80-81), რამდენადაც ერთ-ერთი უშუალო შემადგენელი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რთული სიტყვის ნაცვლად (ე.ი. გადმოსცეს მთლიანი სიტყვის მნიშვნელობა) - ზოგიერთ შემთხვევაში კი თითოეული კომპონენტი (Fleischer/Barz 2012, 146; Stepanova/Fleischer 1985, 117), და რამდენადაც ორივე კომპონენტი სუბორდინაციულ (არა კოორდინაციულ) მიმართებაშია ერთმანეთთან (იქვე). განმარტებითი რთული სიტყვები განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ იმიტომ, რომ ასეთი სიტყვის "პირველი კომპონენტი ენაში თავდაპირველად გვხვდება როგორც მარტივი სიტყვა და სულ ცოტა ერთი სემით მაინც იმავე ენობრივ რეალობას გამოხატავს, რასაც მოგვიანებით წარმოქმნილი კომპოზიტი" (Simmler 2002, 81). ასეთი სიტყვების სტრუქტურული ტიპები სხვადასხვაგვარია და როგორც ავტორები აღნიშნავენ: „nicht in jedem Falle hat „determinierende“ Erstglied spezifizierende Bedeutung“ (Fleischer/Barz, იქვე). განვიხილოთ რამდენიმე ასეთი ქვეჯგუფი.

(1) განმარტებითი რთული სიტყვების ქვეჯგუფი, სადაც სემანტიკურად გაუმჭვირვალე კომპონენტი მოძველებული (იშვიათად ხმარებული) ან ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან დაკარგული სიტყვაა. ასეთი ენობრივი ელემენტები სემანტიკურად გაუმჭვირვალე ფსევდომორფემებია.

სრული დემოტივაციის მოვლენა გვაქვს სიტყვაში **Lindwurm** მით. "გველეშაპი, დრაკონი" (საშ.ზგ. lint-trache, lintrache, -wurm "მითოლოგიური ცხოველი, დრაკონი, გველეშაპი") (Lexer 1992, 128). სიტყვის პირველ უშუალო შემადგენელს შეესაბამება საშ.ზგ. lint "გველი" (იქვე). მას შემდეგ, რაც საშ.ზგ. ფორმა

¹ შდრ. de Saussure 2001, 156; Fleischer/Barz 2012, 42-45.

² შდრ. Gauger 1971, Durchsichtige Wörter.

³ აქ და შემდგომში თარგმანი ჩვენია - ლ. მ.

⁴ "განმარტებითი რთული სიტყვები" - როგორც სამუშაო ტერმინი - ლ. მ.

⁵ იხ. ტერმინოლოგია: Schmidt 2008, 100-101; Kluge 2002 (3.13); Henzen 1965, 63; Fleischer 1976, 18, 101-02; Stepanova /Fleischer 1985, 117; Simmler 2002; Fleischer/Barz 2012, 146-148.

გაუგებარი გახდა და შესაბამისად შეწყვიტა ფუნქციონირება როგორც მარტივმა სიტყვამ, ის განმარტეს "Wurm"-ისა და "Drache"-ს შესაბამისი ძველი ფორმებით, ე.ი. მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებით. (ძველ დროში Wurm -ს ჰქონდა უფრო ფართო მნიშვნელობა, რომელიც თავის თავში მოიცავდა ასევე "გველს" და "დრაკონს"; შდრ. მისი დღევანდელი მნიშვნელობა "ჭია, მატლი".) ელემენტი "lind-" სემანტიკურად გაუმჭვირვალე უნიკალური ფსევდომორფემაა და Lindwurm განმარტებითი რთული სიტყვაა. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ მარტივი სიტყვა უკავშირდება ლათ. lentus -ს "biegsam" "მოქნილი", რითაც ის ეკუთვნის ზედსართავ სახელს lind (საშ.ზგ. linde, lint "რბილი, ნაზი, მოქნილი") (Kluge 2002, 577; Lexer, 127), შდრ. ასევე არსებითი სახელი Linde "ცაცხვი", რომელიც ეტიმოლოგიურად იმავე ზედსართავი სახელის ძველ ფორმებს უკავშირდება.

არსებითი სახელი **Windhund** გამოჩნდა მე-16 საუკუნიდან მარტივი სიტყვის Wind ადგილზე მისი განმარტების მიზნით, შდრ. საშ.ზგ., ძვ.ზგ. wind, საშ.ქვე. wind, საშ.ნიდერ. wint (Kluge, 991), საშ.ზგ. windin "მდებრი მწვეარი" (Lexer, 323). ელემენტი "wind-"ს ეტიმოლოგიურად არაფერი აქვს საერთო სიტყვასთან Wind "ქარი". როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, ელემენტი მიეკუთვნება სლავური წარმოშობის ხალხის გერმ. სახელს "Wenden" (DuHw., 2007, 930) (შდრ. რუს. "венеды, венды" "ვენდები"; ასევე: საშ.ზგ. ზედს. სახ. windisch, windesch "windisch, wendisch, slawisch" "ვენდური, სლავური" (Lexer, იქვე). ე.ი. სიტყვა "Windhund" უნდა ნიშნავდეს "ვენდურ ძაღლს" "wendischer Hund". აშკარაა, რომ ამ ჯიშის ძაღლებს განსაკუთრებით სლავებთან აშენებდნენ (DuHw., იქვე; Schmidt 2008, 101). ელემენტი "wind-" თანამედროვე გერმანულ ენაში სემანტიკურად გაუმჭვირვალე უნიკალური ფსევდომორფემაა. განხილული ელემენტი და Wind -ის "ქარი" შესაბამისი თავისუფალი მორფემა შეიძლება განვიხილოთ როგორც ომონიმები.

(2) განმარტებითი რთული სიტყვები წარმოიქმნება უცხო ენებიდან შემოსული, გაუგებარი ლექსემების ეროვნული სიტყვით განმარტების გზითაც.

არსებითი სახელის **Kichererbse** "მუხუდო" პირველი უშუალო შემადგენლის შესატყვისი ძველი ფორმებია: საშ.ზგ. kicher, ziser "Erbse" "მუხუდო" (Lexer, 107), ძვ.ზგ. kihhira, kihhura, kichera (Kluge, 485; Du.Univ., 895). ფორმები მოდის ლათ. cicer -იდან, რაც, თავის მხრივ, მოდის საშ.ლათ. cisser -იდან "მუხუდო" (Lexer, იქვე). სემანტიკურად გაუმჭვირვალე უცხო სიტყვა მეორე კომპონენტით განმარტეს რთული სიტყვის სტრუქტურაში. ელემენტი "kicher-" დღეს უნიკალური ფსევდომორფემაა, Kichererbse კი განმარტებითი რთული სიტყვაა.

არსებითი სახელის **Turteltaube** "გვრიტი", "პატარა ნაცრისფერი მტრედი, გულსა და ყელზე მოწითალო ბუმბულით" (შესატყვისი ძველი ფორმები: საშ.ზგ. turteltūbe, ძვ.ზგ. turtul[a]tūba, ნიდერ. tortelduif, ინგლ. turtledove) პირველი კომპონენტი ნასესხებია იმავე მნიშვნელობის ლათ. turtur -იდან "Turteltaube" ("r"-ს დისიმილაციით მივიღეთ "t") (DuHw., 764). გაუგებარი სიტყვა განმარტეს მეორე კომპონენტით Taube "მტრედი". ელემენტი "turtel" თანამედროვე გერმანულ ენაში სემანტიკურად გაუმჭვირვალე უნიკალური ფსევდომორფემაა.

(3) განმარტებითი რთული სიტყვები ჩნდება ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ერთნაირი ქდერადობის, მაგრამ სხვა მნიშვნელობის სიტყვების არსებობა ენაში გაურკვევლობას იწვევს. ასეთ შემთხვევაში რთული სიტყვის მეორე წევრი ზოგადი ცნების გამომხატველია და ხდება სიტყვის განმარტება რთული სიტყვის სტრუქტურით (E. Seebold, წიგნში: Kluge 2002 (3.13)).

ასე, მაგალითად, სიტყვები **Maulesel** "ჯორცხენა", **Maultier** "ჯორი" გერმანულ ენაში გამოჩნდა მე-15 საუკუნიდან როგორც განმარტებითი რთული სიტყვები. თვითონ მარტივი სიტყვა საშ.ზგ. mül, ძვ.ზგ. mül „Maultier“ "ჯორი", რასაც შეესატყვისება ნიდერ. muildier, -ezel, ძვ.ინგლ. mül, შვედ. mula, mulasna, ძვ.ჩრდ. múll, ნასესხებია ლათ. mülus -იდან "Maultier" "ჯორი" (DuHw., 515; Kluge, 606); შდრ. ასევე ფორმები: ძვ.ზგ. mül "Maulesel" (Schütz., 243), საშ.ზგ. mül, müle "Maultier", mülinne, -iu "Mauleselin" (Lexer, 145). მას შემდეგ, რაც მარტივი სიტყვა ენის მატარებელისათვის გაუგებარი გახდა, განმარტების მიზნით ახსნეს იმავე მნიშვნელობის სიტყვებით "ვირი", "ცხოველი", შდრ., ადრ.ახ.ზგ. mülesel, mül(-tier) (Kluge, 606). მე-18 საუკუნიდან დარგობრივი ენა განასხვავებს სახელწოდებებს Maulesel (მამრი ცხენის/ულაყის და მდებრი ვირის ჰიბრიდი) და Maultier (მამრი ვირისა და მდებრი ცხენის/ფაშატის ჰიბრიდი) (Kluge, იქვე; EWD 1993, 851).

უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსური სიტყვების პირველი კომპონენტი ადრეული ახალი ზემოგერმანული დროიდან უკვე სემანტიკურად გაუმჭვირვალე სტრუქტურული ელემენტია, და ამდენად, აღარ იხმარება როგორც მარტივი სიტყვა. ამასთან აღნიშნული ელემენტი ამ დროიდან არა შინაარსობრივად, არამედ მხოლოდ ფორმობრივად ემსგავსება მარტივ სიტყვას Maul "Mundöffnung verschiedener Tiere"¹ (Simmler 2002, 81). ბუნებრივია, ეს გაუგებრობას გამოიწვევდა და მოხდა მისი

¹ Maul "ცხოველის პირი (პირის ღრუ), დინგი".

განმარტება. სიტყვები: Maultier, Maulesel თანამედროვე გერმანულში მხოლოდ ნაწილობრივ არის მოტივირებული. "maul-" ელემენტს განვიხილავთ როგორც არაუნიკალურ ფსევდომორფემას.

(4) წინა ქვეჯგუფებისაგან განსხვავებით ამ ქვეჯგუფში განმარტებითი რთული სიტყვების მორფოლოგიური გამჭვირვალობა განსხვავებულია. რთული არსებითი სახელი **Bimsstein** "ქაფისებური ვულკანური ქვა, პემზა" წარმოიქმნა მე-16 საუკუნეში მარტივი სიტყვის Bims (საშ.ზგ. bümēz, ძვ.ზგ. bumiz) განმარტების მიზნით, რომელიც ნასესხებია ლათ. pumex -იდან "ღია ფერის, ქაფისებური გაქვავებული ვულკანური მასა". ლათინური სიტყვა ნიშნავს "ქაფის ქვას", შდრ. ლათ. spuma "ქაფი" (DuHw., 96). გაუგებარი სიტყვის განმარტება მოხდა მეორე კომპონენტის Stein "ქვა" საშუალებით. მარტივი სიტყვა თანდათან გამოდის ხმარებიდან, ელემენტი bims- კი რჩება კომპლექსურ სიტყვაში. ენაში ფუნქციონირებს ასევე ზმნა bimsen "პემზით გახეხვა, დამუშავება", რაც, თავისთავად, განმარტებითი რთული სიტყვის მორფოლოგიურ გამჭვირვალობაზე მოქმედებს. უნდა ითქვას, რომ დღეს ენაში განმარტებითი რთული სიტყვის პარალელურად ფუნქციონირებენ სიტყვები: Bims "პემზა", bimsen. აქედან გამომდინარე, ვეღარ ვილაპარაკებთ bims- ელემენტის სემანტიკურ გაუმჭვირვალობაზე. როგორც ჩანს, მოხდა უკუწარმოების მსგავსი მოვლენა.

მსგავს შემთხვევას წარმოადგენს **Kometstern** "კომეტა". მარტივი სიტყვა Komet "კუდიანი, თმიანი ვარსკვლავი" (საშ.ზგ. Komēte) მოდის ლათ. cometa, cometes -ის გავლით ბერძნ. komētēs -იდან "თმიანი ვარსკვლავი" "Haarstern" (DuHw., 428). ამდენად, რადგან მარტივი სიტყვა იყო გაუგებარი, იგი ახსნეს ეროვნული სიტყვით Stern "ვარსკვლავი", შემდეგ კი მოხდა განმარტებითი რთული სიტყვის ისევ სიმპლექსამდე შემცირება. უკანასკნელი ორი მაგალითი და შესაბამისად ორივე განხილული ელემენტი თანამედროვე გერმანულ ენაში სემანტიკურად გამჭვირვალე თავისუფალი მორფემებია.

არსებითი სახელი **Farn** "გვიმრა" (საშ.ზგ., ძვ.ზგ. farn, ნიდერ. varen, ინგლ. fern, ენათესავება ძვ.ინდ. parna-m "Flügel, Feder", "ფრთა, ბუმბული") მე-15 საუკუნიდან განმარტეს საზოგადო ცნების გამომხატველი მეორე კომპონენტით Kraut - "მცენარე" (DuHw., 205). დღეს გერმანულ ენაში განმარტებითი რთული სიტყვის **Farnkraut** პარალელურად ფუნქციონირებს მარტივი სიტყვაც Farn.

მსგავსი შემთხვევებია **Eich-, Fichten-, Tannenbaum** ("მუხა", "სოჭი", "ნაძვი"), **Kebsweib, -frau** "მოახლე ქალი". სიტყვების პირველი უშუალო შემადგენლები იმავე მნიშვნელობით დამოუკიდებლად გვხვდება ენაში. განმარტებითი რთული სიტყვების მეორე კომპონენტი Baum "ხე" საზოგადო ცნების გამომხატველი სიტყვაა; შდრ. ასევე Kebse "მოახლე ქალი" (Du.Univ. 888).

სიტყვაში **Tragbahre** ("საველე" საკაცე, ავადმყოფის ან დაჭრილის გადასაცვანად) მეორე კომპონენტი (ძვ.ზგ. beran "tragen" "ტარება", რომელიც მოდის გერმ. ძირიდან bēr- "tragen" "ტარება") იმავე მნიშვნელობას გამოხატავს, რასაც პირველი კომპონენტი (შდრ., ზედსართავი სახ. სუფიქსი "-bar") (Schmidt 2008, 62). დღეს გერმანულ ენაში რთული სიტყვის პარალელურად ფუნქციონირებენ მარტივი სიტყვები: Trage, Bahre.

(5) არსებითი სახელი **Schwiegermutter** "დედამთილი, სიდედრი" ენაში გამოჩნდა მე-16 საუკუნიდან იმავე მნიშვნელობის მოძველებული სიტყვის Schwieger -ის (საშ.ზგ. swiger (Lexer, 222), ძვ.ზგ. swigar, swiger (Schütz., 278), ძვ.ინგლ. swegar, გუთ. swaifhrō (DuHw., 748)) გვერდით განმარტების მიზნით. სიტყვა წარმოიშვა როგორც მდებრობითი სქესის წარმონაქმნი (შდრ. რუს. свекровь) Schwager -ით გადმოცემული ფორმის საპირისპიროდ (შდრ. საშ.ზგ. swēger-, swiger-hërre; swēher, swæher, swēger, swêr "Schwiegermutter" - Lexer, 221). რთული სიტყვის ანალოგიით წარმოიშვა ფორმები: "Schwiegermutter, -sohn, უფრო გვიან: -tochter, -eltern (DuHw., იქვე). "schwieger-" ელემენტი დღეს კონფიქსია.

(6) **Dambock, Damhirsch, Damwild** განმარტებითი რთული სიტყვებია. როდესაც ველური ცხოველის აღმნიშვნელი ძველი სიტყვა საშ.ზგ. tāme (DuHw., 133), ძვ.ზგ. tām[o] "Damhirsch" "ირემლადი" (Schütz., 280) უხმარებელი და გაუგებარი გახდა, ის განმარტეს ნაცნობი სიტყვებით "Bock", "Hirsch", "Wild" ("თხა; ცხვარი, მამალი ცხოველი"; "ხარირემი", "ნადირი"). კომპლექსური სიტყვის პირველი უშუალო შემადგენელი ნასესხებია ლათ. dama -დან, რომელიც ჯერ საერთოდ ირმის მსგავს ცხოველებს, შემდეგ კი "Damwild"-ს "ირემლადი; ფურირემი" აღნიშნავდა (DuHw., იქვე). ელემენტი გვხვდება ასევე სიტყვებში: Damkalb "ნუკრი", Damtier "ირემი". "dam" ელემენტს თანამედროვე გერმანულ ენაში განვიხილავთ როგორც არაუნიკალურ ფსევდომორფემას.

(7) რთულ სიტყვებს **Hirschkuh, Rehkab, Schafbock** ი. ბარცი განსაზღვრავს როგორც დეტერმინატულს და არა კოპულატიურს (შდრ. Fleischer 1976, 102), რადგან მეორე ელემენტი აქ ცხოველის ბიოლოგიური სქესის განმსაზღვრელია. თუმცა თითოეულ კომპონენტს შეუძლია კომპოზიტი ჩაანაცვლოს: (Schafbock არის ცხვარიც "Schaf" და ვაციც "Bock"), მაგრამ კოპულატიური ენდოცენტრული

კომპოზიციისაგან განსხვავებით ამ ტიპში არ არის სემანტიკური წონასწორობა სიტყვის კომპონენტებს შორის (Fleischer/Barz 2012, 148)¹.

(8) დღეს პროდუქტიულია უცხო ელემენტების ეროვნული სიტყვით (კომპონენტით) განმარტების მოდელი. ამასთან, უცხო ენიდან შემოსულ ელემენტს უმეტესად უკავშირებენ სემანტიკურად მეტად ან ნაკლებად ეკვივალენტურ ეროვნულ სიტყვას (Fleischer/Barz 2012, 112). გერმანულ ენაში განმარტების შემთხვევები გვხვდება როგორც პირველი (**Einzelindividuum, Ausstellungsexponat, Fachexperte, Schutzpatron, Briefkuvert**), ისე მეორე კომპონენტით (**Servise-Dienst, Container-Behälter, Kometstern**). ასეთი ლექსემები პრესისა და ყოველდღიური სასუბრო ენისათვის არის დამახასიათებელი (მაგალითები წიგნიდანაა, 112, 146).

(9) როგორც ზემოთ აღინიშნა, ტავტოლოგიური კომპოზიტი შედგება ორი სინონიმი კომპონენტისაგან, ამასთან ორივე კომპონენტი ენაში გვხვდება როგორც დამოუკიდებელი სიტყვა. მაგალითად, არსებითი სახელი **Trödelkram** (საუბრ. უარყოფ. "ძველი, გაუფასურებული, გამოუყენებელი ნივთები (მაგ., ტანსაცმელი, ავეჯი").

ამდენად, ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ენაში განმარტებითი რთული სიტყვები უმეტესად ჩნდება იშვიათად ხმარებული, მოძველებული, ან უცხო ენიდან შემოსული გაუმჭვირვალე ლექსემების ეროვნული სიტყვით განმარტების მიზეზით. ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევის საფუძველზე წარმოვადგინეთ ნაწილობრივ მოტივირებული კომპლექსური სიტყვების ფორმირების ისტორიული ეტაპები გერმანულ ენაში. გამოიკვეთა დესემანტიზაციის გამომწვევი მიზეზები და განმარტებითი რთული სიტყვების ტიპები.

შემოკლებათა განმარტებანი:

ადრ.ახ.ზგ. - ადრეული ახალი ზემოგერმანული

ბერძნ. - ბერძნული

გერმ. - გერმანიკული

გუთ. გუთური

ინგლ. - ინგლისური

ლათ. - ლათინური

ნიდერ. - ნიდერლანდური

რუს. - რუსული

საშ.ზგ. - საშუალო ზემოგერმანული

საშ.ლათ. - საშუალო ლათინური

საშ. ნიდერ. - საშუალო ნიდერლანდური

საშ. ქვგ. - საშუალო ქვემოგერმანული

შვედ. - შვედური

ძვ.ზგ. - ძველი ზემოგერმანული

ძვ.ინგლ. - ძველი ინგლისური

ძვ.ინდ. - ძველი ინდური

ძვ.ჩრდ. - ძველი ჩრდილოური

ლიტერატურა:

1. DuHw. = Duden (2007): Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache. 4., neu bearb. Auflage. Hrsg. von der Dudenredaktion. B.7. Dudenverlag. Mannheim, Zürich.
2. Du.Univ. = Duden. Deutsches Universalwörterbuch. 4., neu bearb. u. erw. Aufl. Dudenverlag. Mannheim, Leipzig, Wien, Zürich.
3. Erben, J. (2006): Einführung in die deutsche Wortbildungslehre. Erich Schmidt Verlag. Berlin.
4. EWD = Etymologisches Wörterbuch des Deutschen (1993). 2. Auflage, durchgesehen und ergänzt von Wolfgang Pfeifer, 2 Bände, Akademie Verlag. Berlin.
5. Fleischer, W. (1976): Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. 4., durchges. Aufl. VEB bibliographisches Institut. Leipzig.
6. Fleischer W./Barz I. (2012): Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Unter Mitarbeit von M. Schröder. 4. Auflage; völlig neu bearb. von I. Barz unter Mitarbeit von M. Schröder, De Gruyter Verlag. Berlin/Boston /Tübingen.
7. Gauger, H.-M. (1971): Durchsichtige Wörter. Zur Theorie der Wortbildung. Carl Winter Universitätsverlag. Heidelberg.

¹ ვ. ჰენცენი (Henzen 1965, 77) აღნიშნულ სიტყვებს ტავტოლოგიურ კომპოზიტებს მიაკუთვნებს.

8. Henzen, W. (1965): Deutsche Wortbildung. 3., durchges. u. ergänzte Auflage. Tübingen.
9. Kluge = Kluge, Fr. (2002): Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache. 24., durchges. u. erw. Auflage. Bearbeitet von Elmar Seebold. Walter de Gruyter. Berlin, New York.
10. Lexer = Lexer, M. (1992): Mittelhochdeutsches Taschenwörterbuch. Mit den Nachträgen von Ulrich Pretzel. 38., unveränd. Auflage. S. Hirzel Verlag. Stuttgart.
11. Saussure, F. de (2001): Grundfragen der allgemeinen Sprachwissenschaft. Hrsg. von Charles Bally u. Albert Sechehaye, unter Mitw. von Albert Riedlinger. 3. Aufl. Walter de Gruyter. Berlin/ New York.
12. Schmidt, W. (2008): Deutsche Sprachkunde. 8. Aufl./Neuauf. IFB Verlag, Paderborn.
13. Schütz. = Schützeichel, R. (2006): Althochdeutsches Wörterbuch. 6. Auflage, überarbeitet und um die Glossen erweitert. Max Niemeyer Verlag. Tübingen.
14. Simmler, Fr. (2002): Pseudomorpheme. Ermittlungsmethoden, Typologie und Sprachgeschichte. In: Habermann, M./Müller, P.O./Munske, H.H. (Hgg.): Historische Wortbildung des Deutschen. Max Niemeyer Verlag, Tübingen.
15. Stepanova M.D./Fleischer W. (1985): Grundzüge der deutschen Wortbildung. 1. Auflage. Leipzig.
16. მახვილაძე, ლ. (2001): სემანტიკურად გაბუნდოვებული ელემენტები გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპ. წარმოდგ. დისერტაცია. სპეციალობა 10.02.04. (რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერება).

INTRANSPARENT WORD AND ITS DEFINITION IN THE STRUCTURE OF A COMPLEX WORD (HISTORICAL-ETYMOLOGICAL RESEARCH IN THE GERMAN LANGUAGE)

Lela Makhviladze, Gori State Teaching University, Professor

RESUME

Nowadays in the German language such words function where the second component defines the first component, which as an independent word by various reasons became incomprehensible. In the presented work the so called "defining complex words" ("verdeutlichende Komposita") are discussed. According to the etymological analysis their semantic structure is presented. The semantically intransparent components of such complex words are mainly introduced from foreign languages, or they are old forms, or the words lost from the usage independently.

The goal of the research is to present the historical stages of the formation of the analyzed words, explain the reasons caused desemantisation and show the types of definition of semantically intransparent words on the bases of the historical-etymological research.

ბუნების ასახვის ფორმები არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში

მაია მელანაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

E-mail: melanashvili.maia@gmail.com

არჩილ სულაკაური ეძიებდა და ამკვიდრებდა ქართულ პოეზიაში გამოსახვის ახალ ფორმებსა და საშუალებებს. ადამიანი და ბუნება - მათი ურთიერთდამოკიდებულება, პერსონაჟის სულის მოძრაობა, რამდენად გაითავისებს იგი მის გარშემო არსებულ მშვენიერებას, ბუნების სილამაზეს, - მწერლის დაკვირვების საგანია. მისი გმირები არა მარტო ცხოვრების უზენაესი აზრის მაძიებელნი არიან, ყოველდღიური საზრუნავით და საფიქრალით გადაღლილნი, არამედ შეუძლიათ დაინახონ სამყაროს მშვენიერებაც, განიცადონ მისი იდუმალების ძალა. იგი პეიზაჟს, ბუნების ფონს პერსონაჟთა განწყობისა თუ გარკვეული სიტუაციის პარალელურად წარმოაჩენს. გარემო, ბუნებაში მიმდინარე მოვლენები ხშირად თანაუგრძნობენ ღრმა სულიერი დრამატიზმით დატვირთულ გმირებს, ამიტომაც პეიზაჟი კიდევ უფრო აძლიერებს მკითხველის ემოციურ შთაბეჭდილებებს. მაგალითად: „გამუდმებულმა სიცხეებმა ქალაქი მოსაწყენი გახადა, ხოლო მტვერმა და ბუღმა - სულის შემხუთველი. მას უკვირდა, ჩინოვნიკები რომ ისე ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მტვრიანი ხვატისგან არავის ეხუთებოდა სული და

მომაბეზრებლად ერთფეროვანი, ცხელი დღეები არავის ჰგვრიდა სევდას... ახალგაზრდა მოხელეს არა მარტო უკვირდა, აღიზიანებდა კიდევ გარემოსთან მათი შეგუების უნარი. უფრო სწორად ყოფის მორევში დანთქმულებს დაჩლუნგული ჰქონდათ ადამიანური ვნებები და ისე ცხოვრობდნენ, რომ თავის გარშემო ვერავის და ვერაფერს გრძნობდნენ” („ღამე ყაბაჩზე“).

მთვარის მშვენიერების შეგრძნებას ქალაქში დაუკარგავს პირველყოფილობის განცდა: „სახურავებს იქით მთვარე ამოიზარდა, ტელეგრაფის მავთულეებში გაიხლართა. უცნაურია, აქ მთვარე გურამისთვისაც პეიზაჟის ნაწილია... სახურავიდან სახურავზე გადადის ყვითელი, დიდი მთვარე, იქ კი სამყაროს უსასრულობაში მოსროლილი, პატარა და ცივი სხეული“, ან კიდევ, მწერალი ხატავს არა წვიმას, არამედ მისგან გამოწვეულ შედეგს, შექმნილ განწყობილებას: “წვიმამ ცოტა ხნით გადაიღო. ქუჩში მტვერი დაწმინდა და სასიამოვნო, ნოტიო სიგრილე დატოვა. ორპირმა ქარმა ეს სიგრილე ახლა ოთახში დაატრიალა და გულის ამრევი ჰაერი ამომძრავა. აუტანელი სიცხეები დაიჭირა, დღესაც დილიდანვე ცხელოდა, ვაზიანის მხრიდან გამუდმებით უბერავდა ხორშაკი ქარი. ხალხი გამოლაყებულნი დაფარფატებდა ქუჩებში, ბედზე მოუსწრო წვიმამ და სული მოათქმევინა. რამდენიმე საათი განუწყვეტლივ წვიმდა”.

წვიმა და წვიმით დასველებული ქუჩების ხატი ლეიტმოტივით გასდევს იმ სევდიან განწყობილებას, რომელიც თითქმის სულაკაურის ყველა მოთხრობაში იგრძნობა. წვიმას სულიერ არსებად აღიქვამს იგი თავის პოეზიაშიც:

„გადაუღებლად წვიმს და მივდივარ,
ჩემი საგზალი მიმაქვს დასავლით.
წვიმისთვის ხელი ჩამიკიდია,
ქუჩაში მომყავს უმცროს დასავით“ („შემოდგომა“).

ავტორი, ხშირად, გარემოში მომხდარი მოვლენების უჩინარი თანამონაწილეა და დანახულით გამოწვეულ საკუთარ განცდებზე გვესაუბრება: „ცა უამრავი მოკაიფე ვარსკვლავით დამჩერებოდა. ძახილზე ვარსკვლავები თრთოდნენ და მეჩვენებოდა თითქოს წკრიალებდნენ კიდევ, როგორც უზარმაზარ ჭაღზე ბროლის გირჩები. ხანდახან ჩემს ხმას რომელიმე მათგანი დაედევნებოდა, ცაზე ცეცხლის ვიწრო ზოლს დატოვებდა და ძახილით ერთად გაქრებოდა, დაინთქმებოდა სადღაც ძალიან შორს“. არჩილ სულაკაურის მიერ აღწერილი ბუნება არ არის ზოგადი, ზედაპირული. მას მშვენივრად ესმის „უასაკოთა და უსულოთა“ ენა; ამიტომაც მკითხველი თითქოს მწერალთან ერთად დადის და ემოციურობით ეზიარება ბუნების მშვენიერებას თუ მის ჭირვეულობას. მწერალი ასე აღწერს მოსალოდნელი ამინდით გამოწვეულ პერსონაჟების განცდებს: „დღეს დილით გამოიღარა, მერე დაცხა.

12 საათისთვის უკვე ჰაერი არ იძროდა და სუნთქვა ჭირდა. მცირე იმედსაც არ იძლეოდნენ, არც ცა და არც ზღვა, რომ ოდესმე ნიავი დაუბერავდა. მაგრამ მზის ჩასვლისთვის ისევ მოიღრუბლა და მალე გაწვიმდა კიდევ, თუმცა ამ წვიმას დამსვენებლებისათვის მაინცდამაინც დიდი შვება არ მოუტანია. ახლა მზით გახურებულ მიწას ცხელი ოხშივარი ასდიოდა და ისედაც ნოტიო ჰაერს ამძიმებდა“ („ჟამი დასვენებისა“).

არჩილ სულაკაური მოკლე ჩანახატების სახით გადმოგვცემს ბუნების სილამაზეს. მაგალითად: „მზე უკვე ჩასული იყო და ზღვაზე იისფერი, გამჭვირვალე, ბურუსი იდგა“ („ჟამი დასვენებისა“), „ცა მაღალი იყო, სუფთა და გამჭვირვალე. ასეთი მაღალი მხოლოდ შემოდგომის უღრუბლო ცაა...“ („მტრედები“), „თენდებოდა. ცას ფერი შეეცვალა, გაბაცებულიყო, შემოდგომის დაძმენილი ღრუბელი თითქმის სახურავებზე ეყარა („ოქროს თევზი“).

არჩილ სულაკაურს შესანიშნავად ხელეწიფება ქალაქური ხედების, ერთმანეთზე მიჯრილი სახლების სურათხატების შექმნა. აქ ის ნამდვილი დიდოსტატია. მაგალითად: „გაღმა მოჩანდა ორსართულიანი, კრამიტით დახურული სახლი, სადაც ლუკა ცოვრობდა მოჩანდა რიკულებიანი აივნები, შუშბანდები, ხის დაბრეცილი კიბეები. ასეთი სახლები მოსდგომოდნენ მტკვრის ნაპირს ერთი ხიდიდან მეორე ხიდამდე. ერთსართულიანები... ორსართულიანები... სამსართულიანები... ერთმანეთს მიჯრილები, ჩახლართულები... ზოგიერთი აივანი პირდაპირ მდინარეზე ეკიდა. კრამიტთან სახურავებს გაუქმებული ეკლესიის გუმბათი დაჰყურებდა ზემოდან...“ („ლუკა“).

ქალაქურ ყოფის სიმშვიდეს და იდილიურობას ხშირად არღვევენ ბუნების მოვლენები - როცა წვიმა მოდის, როცა თოვლია ან კიდევ წყალდიდობაა. ურბანისტული ცხოვრების რიტმით დაღლილი პერსონაჟისათვის წვიმას განსაკუთრებული მნიშვნელობა შეუძენია: „კაფეში იჯდა და ფართო ვიტრინიდან გასცქეროდა კოკისპირულ წვიმას, თავდაპირველად ხალხი არ ჩქარობდა. პირიქით, შვებითა და ნეტარებით მიაბიჯებდნენ ტროტუარებზე. მერმე წვიმამ იმძლავრა და ადამიანები სადღაც შეიყუჟნენ, მიიძალნენ. მონაცრისფრო ღრუბელი ჩამოდაბლდა და მაღალ სახურავებს ჩამოეხმო. უკაცრიელ ქუჩებში გაუთავებლად წვიმდა. შუა ზაფხული შემოდგომის მიწურულს დაემსგავსა. დროდადრო გაიელვებდნენ სველი მანქანები და უმალ თვალს მიეფარებდნენ...“ („ხიდი“).

უნდა აღვნიშნოთ არჩილ სულაკაურის პროზაში ბუნების სურათის ხატვის ერთი თავისებურებაც. ქალაქური ყოფისთვის დამახასიათებელი გარემო, მისი ხედები, ე. წ. უცვლელი დეკორაციები, ხშირად გაცოცხლებულია ბუნებასთან ასოციაციური კავშირებით, მასთან შედარების გზით. ღია ფანჯრიდან მოსროლილი ქალაქის დაფლეთილი ნაკუწების ცვენა აკაციის ყვავილების ფარფატთან არის შედარებული; შპალერზე მიხატულ ყვითელ ვარდებს საიდანღაც შემოფრენილი ჭია-მაია აცოცდება; დამეული ქალაქის ხედი კი გაჩახჩახებულ ხომალდს მოჰგავს. მოვიტანთ მაგალითებს თანამიმდევრობით: „გურამმა ბარათი დაანაკუწა და ღია ფანჯარაში მოისროლა. ფანჯარას შიშით გადაეყუდა მაშინვე: ქალაქის ნაკუწები ხომ არავის გადაეყარე თავზეო. საბედნიეროდ, იმ დროს ფანჯრის ქვეშ არავის გაუვლია. შუა ქუჩაში ყვითელი ნაგაზი იწვა და წინა თათებში გაჩრილ ძვალს გულმოდგინედ ხრავდა. ქუჩა თითქმის გამშრალი იყო, მხოლოდ ჩაღრმავებულ ადგილზე ეტყობოდა ასფალტის ნაწვიმარობა. დასავლეთისკენ გადახრილი მზე ირიბად გზავნიდა სხივებს. მზე ისევ ცხელი და მწველი იყო. ქალაქის ნაფლეთები ჯერ კიდევ ჰაერში დაფარფატებდა და ტრიალ-ტრიალით ეფინებოდა ასფალტს აკაციის ყვავილებივით“ („ხიდი“).

„შპალერზე ყვითელი ვარდები ეხატა. ვარდის ფურცლებს რატომღაც რუხი ზოლები ქონდა მოვლებული. პაწაწკინტელა ჭიამაია მიცოცავდა. ჭიამაიაც ყვითელი იყო, რუხი წერტილებით დაწინწკლული, ვერც კი შეამჩნევდი. ალბათ, ღია ფანჯრიდან შემოფრინდა: („ოქროს თევზი“).

„ფანჯრიდან მოჩანდა დამეული სივრცე, ვარსკვლავებიანი სივრცე ოთახზე უფრო ნათელი იყო. ჭერიც უფრო ნათელი იყო. ჭერზე დაბორილებდა მილიარდობით ვარსკვლავი რკინის აივანზე გასასვლელ კარიდან გაჩირადდებულ ქალაქს გასცქეროდა. ქალაქი ღამის რეიდზე მდგარი გაჩახჩახებულ ხომალდს ჰგავდა“ („ოქროს თევზი“).

დასამახსოვრებელი ბუნების სურათები შექმნა მწერალმა რომანში „თეთრი ცხენი“. იგი მკითხველს დაატარებს ალაზნის ჭალების ზღაპრულ გარემოში და ბუნების მშვენიერებით აღტაცებული კაცის თვალთა ასურათხატებს ამ მშვენიერებას: „აქედან ალაზნის ველი ორჯერ ერთნაირი არასოდეს მინახავს, სულ სხვადასხვაგვარად, ნაირფერად მეჩვენება თუ მიმჟღავნებდა თავს, მაგრამ ყოველთვის ერთნაირ გრძნობას ბადებს და ერთსა და იმავე ყიჟინას ამოგლეჯდა ხოლმე მკერდიდან. - აჟუჰ! მძიმე გულჩათხრობილი დღეა, კავკასიონის მთები არ მოჩანს... ღრუბლებს კახეთის მიწა თავიდან ბოლომდე დაუდაბლებია, მთა და ბარი ერთი სიმაღლით გაუთანაბრებია. ეჭვიც კი შეგეპარება, რომ ამ ველის მიღმა გოლიათი მთებია ცად ატყორცნილი, მთები, რომლებიც მზიან ამინდში ვარდისფერი, გამჭვირვალე ბურუსით ათრთოლებულ სივრცეს, მიწას ირგვლივ ყველაფერს, არარეალურ, ზღაპრულსა და სიზმარეულ იერს ანიჭებს, ახლა ეს ყველაფერი დაბალი და ნაცრისფერია, ანუ ერთფეროვანი, მიწა თითქოს ცის ანარეკლია, მხოლოდ ერთგან, შორს მარცხნივ ალავერდის თეთრი ტაძარი ანთია სანთელივით და მთელ სივრცეზე აქა-იქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სალაზამნი თუ გაიელვებს ხოლმე“ („თეთრი ცხენი“).

ხანდახან გაგჩერდებოდა და ტყის დუმილს მივაყურადებდით. შორიახლოს კოდალა უკაკუნებდა ხეს და ამ თოვლიან დიდმყუდროებას ზხარავდა. თოვლით ვისრესდით და ვიგრილებდით გახურებულ სახეს, მერე ისევ თვალს ვხუჭავდით და მზისკენ ვიბრუნებდით პირს გასათბობად. მერე ისევ მივსრიალებდით ხეებისა და დახლარჭნილ ტოტებს შორის... ტყის იქით მზე ჩადიოდა. თოვლზე იისფერი ჩრდილები თანდათან იზრდებოდა, უსაშველოდ გრძელდებოდა და ერთმანეთს ეხლართებოდა“ („დიდთოვლობა“).

არჩილ სულაკაურის პროზის პოეტურობას განაპირობებს ისიც, რომ მწერალი თითქოს უმნიშვნელო რომელიმე დეტალს, ეპიზოდს, მომხდარ ფაქტს, რაიმე შემთხვევას, ზღაპრულობის, განსაკუთრებულობის ელფერით მოსავს, რითაც ვლინდება მთხრობელის რომანტიკული განწყობილება, მისი მისწრაფება ჩვეულებრივში დაინახოს არაჩვეულებრივი, ამაღლებული. ასეა დახატული თოვლიანი ბუნების სურათი: „ცა მოწმენდილი იყო და მზე გვაცხუნებდა. ქათქათა თოვლი მზეზე ბრწყინავდა და თვალს გვტკენდა. ჩვენსკენ გამო... - თოვლით დატვირთული ფიჭვები და სადღაც უკან რჩებოდნენ. ტყის იქით მზე ჩადიოდა. თოვლზე იისფერი ჩრდილები მისრიალებდნენ და ჩრდილები თანდათან იზრდებოდა, უსაშველოდ გრძელდებოდა და ერთმანეთს ეხლართებოდა“. ხატოვანი შედარებებისა და ეპითეტების გამოყენებით ავტორმა ბუნების არა მარტო პოეტიზირებული სურათი შექმნა, არამედ მოახერხა შეექმნა ფერთა გამა, შეძლო მიეცა სიტყვისათვის ფერი და მუსიკალური ჟღერადობა. ეს ფაქტი კი უდავოდ მეტყველებს მწერლის სულიერ სიფაქიხესა და მის მაღალმხატვრულ გემოვნებაზე.

პოეტიზირებული ხდება სივრცე, გარემო, ღრუბელი, ადამიანი, რაც არჩილ სულაკაურის, როგორც მწერლის, გამოსახვის ინტერესების სფეროში მოექცევა. „ვიწრო სარკმლიდან დაღრუბლული სივრცე მოჩანდა. ნაცრისფერი, დაძენილი ღრუბლები ნოტიო ჩვრებივით ეკიდა“. ამ შედარებით ავტორმა შექმნა ორიგინალური პოეტური სურათი ღრუბლიანი, ჩვეულებრივი ამინდისა. თითქმის არაფრით გამორჩეული ყოველდღიურობიდან აიღო და მხატვრული ღირებულება მიანიჭა ჩვეულებრივს, რიგითს. ეს მხოლოდ

სიტყვის ოსტატური ფლობით მიიღწევა. ასეთივე დამოკიდებულებით აღწერს მწერალი მდინარე მტკვარს: „მტკვარი მისი ბავშობის მდინარე იყო, ბავშობიდანვე ესმოდა ეს ხმაური და სულ ეგონა, ამ ხმებით მტკვარი რაღაცის თქმას აპირებდა, წვალობდა, იტანჯებოდა და მაინც ვერ აგებინებდა... მერმეც ასე ფიქრობდა: ტალღების სრბოლაში იმალებოდა დიდ მნიშვნელოვანი, მარადმჭიმუნვარი და მარადშეუცნობელი. მდინარის მოძრავი და ცოცხალი სხეული, დაუხშობელი ხმა იზიდავდა და ეძახდა, აღელვებდა, როგორც ცხოვრება ან ქალი. მტკვარი ბნელი და გულჩათხრობილი მოეჩვენა. ეტყობოდა, დღეს ვეღარ გაუგებდნენ ერთმანეთს. დღეს მტკვრის დღე არ იყო. უაზროდ მდგარმა მაღალმა ნაპირს გადახედა. ჩულურეთში აქა-იქ საცოდავად კიაფობდა სინათლე და მდინარის ზედაპირზე მკრთალად ირეკლებოდა. გაწბილებული გაბრუნდა უკან, თითქოს მეგობართან მოვიდა და მეგობარი შინ არ დახვდა“.

არჩილ სულაკაურთან მდინარეს, წყლის სტიქიას, კონკრეტულად მტკვრის სახეს, განსაკუთრებული სიმბოლური დანიშნულება ენიჭება. ავტორი ცოცხალი ორგანიზმივით აღიქვამს მტკვარს - „მარადიულ მდინარეს“. მდინარე არის ერთადერთი, რომელიც აბსოლუტურად თანაუგრძნობს მასთან დაკავშირებულ პერსონაჟთა განწყობილებას. არჩილ სულაკაურის პროზაში იგი მხატვრულ სახედ არის ქცეული. მდინარეს უკავშირდება მრავალი ადამიანის ბედი და მისი შფოთვა თუ სიწყნარე ხშირად პერსონაჟთა ემოციურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას განსაზღვრავს კიდევ. მწერალი ემოციურად აღწერს მტკვრის სურათს: „ვანჯრიდან მოჩანდა მტკვარი და მტკვრის გაღმა ნაპირი, ფერდობზე შეფენილი ქალაქის ძველი უბანი ერთმანეთზე მიწყობილი, დაბრეცილაივნიანი, კრამიტით დახურული სახლები. მათ შორის, როგორც დედოფალი, იდგა გოდოლისებული შენობა, რომელსაც ქამარივით ქონდა შემორტყმული ხის ლურჯი აივანი. მდინარის მიმართულებას აქ ვერ გაიგებდი. წყალი ყოველი მხრით მოძრაობდა, ბდღვნიდა, ფუთფუთებდა, უზარმაზარი ქვაბივით დუღდა, ძაბრულებს აჩენდა. დინება სწრაფად, მზაკვრულად იცვლიდა გეზს, აგურის კედელს ეხეთქებოდა და უკან დაბრუნებული უფრო მოულოდნელი მიმართულებით მიდიოდა. მომწვანო ფერი დაკრავდა მორევს, მიუკარებლად ცივსა და ღრმას („ღამე ყაბახზე“).

წყლის სტიქია ამ შემთხვევაში აღიქმევა, როგორც სიმბოლო წარმავლობისა, ასევე მარადიული განახლებისა. წყალი სიცოცხლის საწყისია, ერთი ოთხკავშირთაგანი; იგი ერთდროულად განახლებისა და სიკვდილის მომტანი სტიქიაა. ის სამყაროს დენადობის, წარმავლობის და მუდმივი განახლების ხატია. ამიტომაც მწერლის თითქმის ყველა პროზაულ ნაწარმოებში წყალს - მდინარეს უმთავრესი ადგილი უჭირავს („ლუკა“, „ბიჭი და ძაღლი“, „წყალდიდობა“, „ღამე ყაბახზე“, თეთრი ცხენი“). მოედინება მდინარე მტკვარი, როგორც დროის (ბოროტებისა და კეთილის) უსასრულობის დამტვევი; თანაბრად მოაქვს სისხლი და ცრემლი, (ანდუყაფარის დახრჩობა მტკვარში, ცხენების დაღრჩობა ალაზანში, ნაგაზის დაღუპვა სხვ). სიხარული და ბედნიერება („ბიჭი და ძაღლი“, „ლუკა“, „წყალდიდობა“).

არჩილ სულაკაური პეიზაჟის, ცოცხალი ბუნებისა თუ ურბანისტული ხედების ხატვის ოსტატია. უნდა აღვნიშნოთ მის პროზაში ბუნების სურათის ხატვის ერთი თავისებურებაც: ქალაქური ყოფისათვის დამახასიათებელი გარემო, მისი ხედები, ე. წ. უცვლელი დეკორაციები, ხშირად გაცოცხლებულია ბუნებასთან ასოციაციური კავშირებით, მასთან შედარების გზით.

ლიტერატურა:

1. სულაკაური ა., მოთხრობები, რომანი, თბ., 1975.
2. სულაკაური ა., სამი რომანი, თბ., 1988.
3. სულაკაური ა., მოთხრობები, თბ., 1986.
4. სულაკაური ა., შემოდგომის მზე, ლექსები, თბ., 1985.
5. სულაკაური ა., ლირიკული საუბრები, თბ., 1990.
6. სულაკაური მ., არჩილი, ლიტერატურული საქართველო, 1999., 19-26.II.
7. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., წერეთელი ნ., სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე), წიგნი II, 2010.

THE FORMS OF THE NATURE RENDERING IN THE WORKS OF ARCHIL SULAKAURI

Maia Melanashvili, Sokhumi State University, PhD Student

RESUME

Archil Sulakauri searched and infused the new forms and options of expression in the Georgian poetry. A human being and a nature- their interrelationship, the movement character's souls, how she accustoms with the surrounding fineness and the nature itself- is an object of a writer's observation. Archil Sulakaruri's characters are not only searching for the supreme concept of life, being tired of troubles and worries, they can also see the fineness of the

universe and feel its power of eeriness. He shows the landscape, the background of the nature along with the character's sentiments or parallel to some kind of situation. The environment, the ongoing processes of nature often show sympathy to the characters who are loaded with the deep spiritual dramatics, therefore the landscape strengthens the emotional expression of the readers.

The space, environment, the clouds and the human being, all becomes poetic, which makes it the sphere of interest of expression of Archil Sulakauri, as a writer. It is worth noting that in the works of Archil Sulakauri there is a special way of painting the nature. The environment that is typical for the city-life, its sights-the so-called fixed decorations, are often resurrected while associating and comparing to the nature.

The poetics of Archil Sulakauri's works is conditioned by the special method of approach, where the author tries to array the single detail, an episode, a fact with a fantastic and exceptional tincture, which shows the romantic nature of the teller; when trying to see an ordinary thing a sublime and exceptional.

მითი და რეალობა (გენო კალანდიას პოეზია)

ციალა მესხია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: mesxiacala@mail.ru

კოლოსალური აზრისა და მნიშვნელობის დამტვეია გენო კალანდიას სულისშემძვრელი პოეზია. კითხულობ მის პოეტურ ქმნილებებს და გრძნობ, როგორ ელვისებურად იჭრება სულში „ძლევამოსილი სულიერი დამპყრობელი“ (პოლ ვალერის ტერმინით)... ჩვენი დროის პოლიტიკურ, სოციალურ თუ მხატვრულ ღირებულებათა ისტერიკული გადაფასების ხანაში, სწორედ ისაა ერთ-ერთი საიმედო საყრდენიცა და აღიარებული მეტრი... მისკენაა მიმართული ჩვენი, აფხაზეთიდან დევნილი ქართველობის, მავედრებელი მზერა და ისიც, როგორც მაღალი სიბრძნით მორჭმული ჭირისუფალი, ჩვენი ქვეყნისა მოვლენათა შუაგულიდან ჭვრეტს და აწონასწორებს ჩვენს თითქმის უიმედოდ აბურდულ და აზრდაკარგულ სინამდვილეს...

გენო კალანდიას პოეტური აზროვნება კონკრეტულად ადასტურებს ქართველი კაცის ლტოლვას ბედნიერებისაკენ, სიცოცხლის სიყვარულს, როგორც თვითგამოხატვის თავისებურ ფორმას. მიუხედავად ძმათამკვლელი ომის უმწარესი შედეგებისა და დევნილობისა, რომელშიც მან გამოიარა და აღმოჩნდა, შეძლო დაემკვიდრებინა საკუთარი ხმა წარმავალი ყოფიერების ქაოსში... მის პოეტურ აზროვნებას გრძნეულებაც ხელეწიფება. იგი შემმართველური ენერგიით იჭრება მარადისობაში და გარდახდილ-განცდილის უსაზღვროებაში აჯირითებს თავის სულს, რათა კიდევ ერთხელ განგვაცდევინოს მარადიული ტრაგიზმის სიდიადე: „კრწანისის ველზე დარჩენილი სამასი ხარი“, „ტყვიით განგმირული ცისარტყელები“, „ტანმოხატული ხოხბებივით დახოცილი ცისკრები“... „ამდენი ცრემლი, ამდენი სისხლი, ამდენი ჯვარცმა და მკვდართა კორდი“, „მწუხარე წიგნის ფურცელი, მრავალტანჯული მიწა იბერთა“ და გადასხეპილი ჰორიზონტები - ასეთი პოეტური მეტაფორებით ვლინდება დროთა მარადიული კავშირის ჭეშმარიტი ლოგიკა, დროში შეზღუდული მარადისობა და მარადისობაში განფენილი დრო...

აფხაზეთის თემაზე დაწერილი ლექსები გენო კალანდიას ევროპული პოეზიის ერთ-ერთი მძლავრი შენაკადია, რომელიც თავის სათქმელს ამბობს განსხვავებული ინტონაციით, სტილით, ამიტომაც სრულიად ბუნებრივად იბადება აზრი: იქ, სადაც დანაკარგია, ყოველთვის წარმოიშობა სევდა-ნალღელი, სადაც ხელყოფილია იდეალი და ღირსება, წუხილი და ცრემლი მომხდარის გამო ბუნებრივი შედეგია და: „ფრთმოტეხილ შაშვივით ღამე ცრემლად ვიღვრები, ყელი გამოჭრილი მაქვს მშობლის ძველი სიმღერით, უსინათლო ბერივით გეძებ ცხელი თითებით, გული გაგლეჯილი მაქვს ზღვის მშფოთვარე ზვირთებით, რაც სოფელი გავიგე, ვცოცხლობ ჩემი ფესვებით, სული დაფლეთილი მაქვს სულ ქართული ლექსებით“ (კალანდია, 2012). მომხიბლავია ეს სტრიქონები, სადაც მოვლენები, საგნები ფილოსოფიურ ჭრილშია გააზრებული და პოეტური გრძნობებისა და განცდების აფეთქება...

გენო კალანდიას პოეზიაში „კაცი ხარის“ გულმდუღარე ცრემლებია ჩაღვრილი. დიახ, ის, რაც ხელშესახებია, მისი მუდმივი ფიქრის საგანია, მის სამსახურს უძღვნის თავის სულიერ ენერგიას და ღვთისგან ბომბულ ტვირთს ხარივით ეზიდება. ხარის სიმბოლიკა მისი პოეზიის ერთ-ერთი

ნიშნული მხარეა, რომელიც პარალელურად პოულობს მითოლოგიურ-ფოლკლორულ არქეტიპებთან. გენო კალანდიას პოეზიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს მითოსს. პოეტმა მითოსური პასაჟებით და სიმბოლოებით მიგვანიშნა აფხაზეთის ომის მწარე შედეგებზე; „ოქროს საწმისისა“ და „ლოტოფაგების ოდისეას“ მითები ორიგინალურად დაუკავშირა ქართულ-აფხაზურ სინამდვილეს და ღირსეულად განაგრძო ქართული მწერლობის მამხილებელ-მეამბოხური ტრადიცია, რითაც სათავე დაუდო ამავე ტრადიციის ეგზისტენციალური შეფერილობით წარმოჩენას.

გენო კალანდიას მხატვრულ სამყაროში მთავარი მხოლოდ ხილულის დანახვა კი არ არის, არამედ უხილავის წვდომაც. ლექსის არქეტექტონიკა მარტო მიწაზე ნაგებობა როდია, არამედ ღრმად ჩაფლული სამირკველი, რომელსაც იგი ეფუძნება და მაინც, „რასაც გარეგანი გრძნობები აღიქვამენ მხოლოდ ნაწილია სამყაროსი, სულთან წილნაყარი უნდა იყო, რათა შესძლო მის გამოცხადებათა გადმოტანა გრძნობად სამყაროში“ (შტაინერი, 1993). მისი რწმენით, ღმერთისგან შექმნილი მისტიკური საუფლო მარტო სევდის მომგვრელი ერთფეროვნებით როდი განიცდება, არამედ სიყვარულისა და სიკეთის, ერთგულებისა და თანადგომის, ურთიერთგატანისა და ერის გადარჩენისათვის ბრძოლის ჭეშმარიტ დემონსტრირებად...

„მედეას დიალოგი ძიძასთან არგონავტების ჟამს და მიწურულს“ – პოეტის ერთ-ერთი ბრწყინვალე ლექსია, რომელიც მკაფიოდ მეტყველებს მისი ნიჭის ინდივიდუალობისა და პოეტური ხილვების, ინტუიციის ამაღლებულობაზე. ჩვენს წინაშეა მითოსური ხომალდი არგო და მისი მგზავრები, მეფე აიეტი, გრძნეული მედეა, აფისოსი (აფისისტი და სხვები)... კვითხულობ ლექსს და ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება საოცარი სურათი, დამხვდურები, უცნაური სტუმრები: „უცხო ხომალდი მოადგა ნაპირს, ვინ უნდა იყვნენ, ძიძა? ღუზა ჩაუშვეს ოქროს ყურეში, ნეტა რა უნდათ, ძიძა? ბრინჯაოს კაცების მსგავსმა არსებებმა უკვე ციხე-კარს ქვე-ქვე შემოანათეს, ნეტა რა უნდათ, ძიძა? ღუზა ჩაუშვეს ოქროს ყურეში, ნეტა, რა უნდათ ძიძა?“ - ეს სულისშემძვრელი კითხვა არ ასვენებს პოეტს...

გენო კალანდიას პოეტურმა მუზამ არგონავტები არესის ჭალებთან დალანდა და ჩვენს დღევანდელობაში შემოიყვანა. პოეტის სულიერი სამყარო, შინაგანი წვა და სულის ტკივილი ირეკლება მთელ ლექსში: „მზე ჩადის, მცოცხა... და მაჟრიალებს, მითხარ, რა ვქნა, ძიძა, რას ნიშნავს შავი ხარის სიკვდილი, - თქვი, ამიხსენი, ძიძა? ხავსივით მწვანე წყალში ვიდექი, - ნეტა რას ნიშნავს, ძიძა? ნაპირზე ვეღარ ამოვდიოდი, - ნეტა რას ნიშნავს, ძიძა? ვგრძნობ უცნაურის მოახლოებას, - მითხარი, რაღა ვქნა, ძიძა?“ - პოეტის ინტუიცია წინასწარ გრძნობს საკუთარი ქვეყნის ტრაგედიას... ღრმა ფილოსოფიური განსჯითა და მიგნებებითაა წარმოჩენილი ბიბლიური მითის მხატვრული გარდასახვა მისი კალმის მაღლიანი ძალით...

რა დიდებულად თქვა კამიუმ: „მითებს თავისთავადი სიცოცხლე არ გააჩნიათ, მითი გველოდება, როდის შევასხამთ მას ხორცს, თუნდაც ერთი კაცი რომ გაეხმაუროს ამ ქვეყანაზე მითის ძახილს, უმალ მოგვგვრის იგი სურვილს დაუშრეტელი წვენით, ჩვენი საქმეა შევინარჩუნოთ მითები, ვიმოქმედოთ ისე, რომ მითის ძილი მომაკვდინებელი არ იყოს, რომ შესაძლებელი გახდეს აღორძინება“.

გენო კალანდიას მიერ გამოხმობილ მითებში მთელი ისტორია და წარსული მთიდან მოვარდნილი ნიაღვარივით მოედინება და მაინც არა მარტო პოეტური სტრიქონი, არამედ თვით პოეტის მთელი სულიერი სამყარო და მის მიერ ჩამოძერწილი სურათი გაჯერებულია მითიური ხატოვანებით. მისი უნიკალური პოეტური წარმოსახვა, თვითმყოფადი გენია, მისი ფილოსოფიური აზროვნება წინ გადაგვიშლის ხელითმოუხელთებელ სამყაროს, საიდანაც მომხიბლავი მხატვრული სახეები, ფორმები და ხატები იმზირებიან!... ვფიქრობ, მთავარი მაინც მის მიერ გამოხმობილ მითებში მეგრძოლი ჰუმანიზმის ქადაგებაა, რაც კაცის, ერის, ქვეყნის ხსნის ერთადერთ საშუალებადაა დასახული და უპირისპირდება ბოროტებას და უზნეობას, რამეთუ ბოროტებამ, თავაშვებულმა უზნეობამ და სიძულვილმა დაასამარა მისი ოცნებები. პოეტი ადგილის დედას, „ნაცრისფერ სამეგრელოს, ღვთაებრივ სულს“ დასტრიალებს თავს და ისევ ცდილობს სამყაროს პირველქმნილი მდგომარეობის მოძიებას და ეს ის სტადიაა, როცა დედამიწა მითებმა დატბორეს. მიწა დატბორეს იმისთვის, რომ ამ მიწას მდინარეთა თვალებით ეცქირა ცისთვის... „ახლა ეს ლექსი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი მარხია ხალხი, ციხეში ვიზივარ, გარეთ მთვარეა, შორს გაუსხლავი ლურჯი ბაღია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი მარხია ხალხი“ (ტერენტი გრანელი). გაივლის დრო და ჩვენი თანამედროვე პოეტი დენდი იტყვის: „ტამარი შენი დაქცეულა, მკვდრები ცოცხლებში არეულა, ის გულგრიგალი ჭაბუკები სულ თითოთითოდ დახოცილან, ტამარი შენი დანგრეულა!...“

გენო კალანდიას პოეზიაში დუმილი და იდუმალეა სამყაროსადმი დამოკიდებულება, თვით ჩვენი სინამდვილე, შინაგანად დამუხტული უზენაესის ხილვის მოლოდინით, მითით შენიღბული

დიალოგის ფორმადაა განცდილი. მას გაცნობიერებული აქვს სამყაროს საოდუმლოებაში წვდომისა და თვითჩარმავებისაკენ სწრაფვის მისწერი ინსტიქტი: „აგერ კორინთო, აგერ ქალდეა, აგერ შავტუხა სპარტა, მიდია... მაგრამ სხვა არის ჩემთვის მედეა, ოქროს საწმისი სულ სხვა მითია. როგორც ბრძანებდა ძე ჰელიოსის, იმ ძველ კოლხურ წელთაღრიცხვიდან, მთელი ეგვიპტე, მთელი ნილოსი შენს მწუხარებად არ ღირს, იდია! ქალი ხარ, დედა-შვილმოკვეთილი, უსასტიკესი, მწარე ხვედრისა, ვისთვის შუმერთა შთამომავალი, ვისთვის პირიმზე ჩემი ქვეყნისა“. ესაა პოეტ-ვიზიონერის წვდომა მითისა, მისტიკური ატმოსფერო მძაფრდება თანადროულობის შეგრძნებით. პოეტის ხილვა თანადროულობიდან წვდება შორეულ წარსულს, ოქროს საწმისის ხილვა მისთვის ღვთაებრივი მოვლინების ტოლფარდია და სწორედ აქაა მითისა და სინამდვილის საოცარი წნული, მისტიკური და ამოუცნობი მხერა წარსულისა. მხატვრულად შეგრძნობილი ბერძნული ქალაქები და თვით კოლხეთი, ფაქტობრივად, ვიზუალური მხედველობით, გრძნობით აღიქმებიან და საკმაოდ მკვრივ სემანტიკურ წრეს ქმნიან...

ბავშვობის უმთავრესი ზღაპრული სამყაროდან, მითებიდან და ლეგენდებიდან გამოწვეული პერსონაჟებიც შემოგვანათებენ: „შვიდი აბრაგი, შვიდი შავი თოხარიკით, შვიდი გუდა არაკით“, „თუთარჩელა თელიას ეპითალამა“, „სასძლოს მძებნელი კაცისა და ქალის ეპითალამა“ და ა.შ. ალბათ მხოლოდ გენო კალანდიას ხელეწიფება მთელი არსებით ამოთქვას ასეთი ულამაზესი სტრიქონები: „...ობლის ცრემლი ხარ გამჭვირვალე და ჩუმიდ მოთქვამ ოქროს ბედზე და დაკარგულზე. მედეას შმაგი სიკვარულის მსხვერპლო დიადო, გახვეული ხარ ლეგენდების ცისფერ ბურუსში. აჩეხილი ხარ საკუთარი დავითფერულით და მხცით მოსილი ლამაზი თავი, გიდევს ნანგრევთა თავსართულაზე“...

გენო კალანდიას ახასიათებს ფათერაკიან საბრჯენზე გავლის გამბედაობა, უცხო მხარისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ჟინი და ალლო. და მაინც, ჩემი ღრმა რწმენით, შინაგანი თავისუფლება აძლევს მას შემართებას პოეტური ენერჯის შესაძლებლობების მთელი არსებით გამჟღავნებაში. მის პოეზიაში მითის გამოყენება ორიგინალური ფორმით გამოვლინდა, რაც საუკეთესო საშუალებაა პოეტის ხელწერის, მისი ინდივიდუალობის წარმოსაჩენად. საგულისხმოა ისიც, რომ ძველი და ახალი აღთქმის ბიბლიური ვარიაციები ძალუმად იგრძნობა მის პოეზიაში, ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ოლიფანტე“. ესაა ლექსი „გროტესკული საბურველით, ოღონდ თავისი გროტესკულობის მიუხედავად აქ ადგილი არ რჩება დაცინვისათვის, გამეტებისათვის... ის გროტესკი, ის ირონია გლოვია უბედურებისა, ცრემლია მწარე ღიმილის საბურველში, რომელიც მაინც საოცრად გამჭვირვალეა და ისიც მკაცრად გამიზნული, გნებავთ გაანგარიშებული უზადო პოეტური ინტუიციის წყალობით, რომ არსად არც ერთ სტრიქონში შემთხვევით არაფერი ხდება, სხვათაშორის არაფერი ითქმება, რაკი, რითმაც უარყოფილია, რითმისთვისაც არაფერი კეთდება“ (ამყოლამე, 1999).

პოეტისათვის აფხაზეთის ომი, ესაა სამასიათასი ადამიანის სასომიხდილი, ჩაფერფლილი თვალები, უსიხარულო და უსიცოცხლო დღეები, უკუბოო ცხედრები, ღიად დარჩენილი საფლავები, ესაა სულიერ ძალთა შესაკრებელი, სადაც საკუთარი სული უნდა გამოფინო, რათ შენს გენეტიკურ წარმომავლობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და საგულისხმო ილუსტრაციად უნდა აქციო... საკენჭუბერის გოლგოთა გამოვლილი რაინდი პოეტი და მისი მსგავსნი ცხოვრებამ ვერ აქცია დოტოფაგების მითიურ კასტად: „თავს გაუფრთხილდი, ოლიფანტე, უხვად გექნება წლეულს ლოტოსი, მიირთვი, კარგად მიეძალე“. წარმოსახვის თვალი უნდა გაახილო კაცმა და ფიქრი შემოიჯარო, რომ სრულად აღიქვა რას ძერწავს პოეტი, სხვაგან უფრო სინატიფე და აღქმის სიმძლავრეა საჭირო, რომ გაითავისო პოეტის მიერ დახატული იდეალური სურათი: „ჩვენ მშვიდობა გვინდა, ოლიფანტე, რა დროს შიდა ქართლია, შე კაცო, რა დროს აფხაზეთი, როცა ქვირითისფერ მტკვარსა და ლიახვს ქორივით დაჰყურებს სკვითი და ხაზარი. მიირთვი, მიირთვი, უდარდელად მიირთვი, კარგად, მიეძალე“. ამ სტრიქონებიდან მირონივით იღვრება პოეტური ძალმოსილება. „ქვირითისფერი მტკვარი და ლიახვი“, როგორ იტევს მდინარის ფერსაც, განწყობილებასაც, სიამაყესაც და სამშობლო მიწის უნაპირო სიყვარულს და ეს პირდაპირი ხატი მიიღვენებს სტრიქონს: „ქორივით დაჰყურებს სკვითი და ხაზარი“. ამჯერად მთავარი მაინც ის არის, თუ საიდან იღებს სათავეს ამ ლექსის სტილური ნიშანი, მასშტაბური მინორი, მსგავსი კოსმიური პესიმიზმისა. ვფიქრობ, არ მოდის არც რომანტიკული იმპულსებიდან და არც სხვა რაიმე მოვლენიდან, არამედ იმ დიდი ტკივილიდან, რომელიც სინამდვილემ, რეალობამ შთააგონა პოეტს.

უჩვეულო ლირიზმით და მხატვრულ-ასოციაციური აზროვნებითაა გამორჩეული ლექსი „ძიძიშვილის აპითალამა“. პოეტს ნებისმიერი მოვლენა მხატვრულ რეგისტრში აჰყავს და უკეთილშობილეს იდეას აზიარებს: „ძიძიშვილის ერთგულემა ძიძიშვილის წესია!“ მთელი ლექსი აფხაზურ-ქართული თანაცხოვრების ანარეკლია. ნაზად ირხევა პოეტის სულის სიმები, სიყვარულით

ანთებული გული ძგერს ამ პოეტური ხედვის მზედაუვალ ვარჯებში. მიძიშვილობა, მორდუობა, მისთვის უზენაესი ძალაცაა და დიდი პასუხისმგებლობაც, მარადიული გაკვეთილი, რომელიც აკაკის „გამზრდელიდან“ იღებს სათავეს ქართულ მწერლობაში.

ამ ლექსში სრულიად ბუნებრივად ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ძაფები აკაკისთან იბმება: „ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის, ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა, ილუპებიან ორივე, არც ღონეს ზოგვენ, არც ძალსა... რა დროს მტრობაა ძმებისა და რა დროს განზე დგომაა, შეერთდით, ძმებო, შეერთდით! ხელი ხელს მივცეთ ძმურადა, და მტერს დავუხვდეთ გარემეს, თამამად, ვაჟკაცურადა“ (აკაკი).

საგულისხმოა ის, რომ გენო კალანდიას მთელ რიგ ნაწარმოებში ასახულია მითოსური ხატი წარმართული თუ ქრისტიანული ყოფისა, ამ მხრივ მისთვის ამოსავალი თქმულებები და ლეგენდებია. მორდუობა-მიძიშვილობა არაერთხელაა ხაზგასმული მის ნაწარმოებებში, საინტერესოა ისიც, რომ წინამდებარე ლექსში წარმოდგენილი სახე-სიმბოლო „ბედისწერის შავი ხიდი“, რომელიც „შიგ წარჩეში ჰკიდია“, ამყარებს ლექსში აღწერილ შინაარსს და თვით სათაურის მნიშვნელობას. ასევე ხაზგასმულია „შავი ცხენის“ მისტიური ფუნქცია და ურთიერთკონსტრასტული სახე-სიმბოლოები. და მაინც, პოეტისათვის ამოსავალი წერტილი რწმენისადმი ერთგულება და ღვთისადმი სიყვარულია.

ლექსი „აგერ კორინთო, აგერ ქალდეა“ მედეას მითის გენო კალანდიასეული პოეტური ინტერპრეტაცია საგულისხმოა მოქალაქეობრივი პათოსითაც. პოეტისთვის მითი სივრცეა, რომელშიც ადამიანი ქაოსის ალაგმვას ცდილობს. ამ ქაოსის დასალაგებლად, როგორც მითიდან ვიცით, მედეა მოქმედებას იწყებს. ოქროს საწმისი დაკარგულია, შვილები დახოცილი, იაზონი უჭირისუფლო, მედეა ყველაზე ტრაგიკული ქალი, ტრაგიკულია იმიტომ, რომ დაკარგა ის დასაყრდენი, რომელიც ერთადერთია ადამიანის ცხოვრებაში, სანუკვარი სამშობლო და მშობლიური კერა. კოლხეთიდან საბერძნეთში გადახვეწილ მედეას გუნდი უმდერის: „სამშობლოვ, კერავ, ნუმც მოვესწარი მე იმ დღეს, რომ უსამშობლოდ ვიდოდე ტანჯულ ცხოვრების გზაზედა, მწარე ბედის შემყურე, ამ დღის მომსწრე უმაღ სიკვდილს ვარჩევდი. მე თვით ვიხილე, სხვისი თქმით არ ვამბობ, რომ არც ერთ ქალაქს და არც ვისმე მეგობართაგანს ეგზომ ტანჯული ვნება-ვაისგან შენ არასოდეს ებრალებოდი“ (ყაუხჩიშვილი, 1990).

თავისი მასშტაბებითა და მნიშვნელობით გენო კალანდიას პოეტური ქმნილებები და კერძოდ, „კოლხური ეპითალამები“ იძენენ ეთიკურ-ფილოსოფიური განზოგადების ხასიათს. პოეტი „მესამე თვალის სხივნათელით“ სწვდება მითიურ სამყაროს, კორინთოში იაზონის ქორწილსაც დალანდავს და მედეას მოქარგულ კაბასაც, „ბეჭდები მწვანე ბივრიტის თვლებით, შვლისა და კრავის ჭრილით“ იდუმალების ფარდიდან ბრწყინდებიან და განმაცვიფრებელ დროსა და სივრცეს რაღაც გრძნეული ჯადო ძალით ვეზიარებთ: „მაგრამ უეცრად სასახლეს შესძრავს ქალის და ცეცხლის პირველი კოცნა... და გულს ჯერ კიდევ ქორფას და ცოცხალს უცხო მხარეში წაიღებს ძერა...“ ეს ის უცნაური ხილვაა, რომელიც პოეტმა მითიური სამყაროდან ამოზიდა და მთელი არსებით განგაცდევინა მისტიკური ტკივილი და ფანტასტიკურ საბურველში გახვეული ბერძნულ-კოლხურ-იბერიული სამყაროს თავბრუდამხვევი სურნელი. მარტო ლექსების სათაურების ჩამოთვლა კმარა იმისათვის, წარმოვიდგინოთ, თუ რა ადგილი უჭირავს მითოსს გენო კალანდიას პოეზიაში. სახეთა მასშტაბურობას და მონუმენტურ ხელწერას პოეტი აღწევს მითებისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მხატვრული გარდასახვითა და ათვისებით, ასევე თანამედროვე ყოფითი მოვლენების „გალეგენდურებით“ (ელგუჯა მადრამის ტერმინით).

გენო კალანდიასთვის მითი იქცა დიდებულ და განუმეორებელ ფონად, რომელზედაც განსაკუთრებული სიცხადით იკვეთება და იხსნება დღევანდელი პრობლემები, ვნებები, ტრეგედიები. დღევანდელი ტკივილით შეძრული სულის ყივილს და ჩაგუბებულ ცრემლს ისეთივე ძლიერი ძალით ეხმიანება ათასწლეულების წარსულიდან ამოვარდნილი ექო, რომ თითქოს ყველაფერი ბოზოქრობს... მის პოეზიაში, მითის გამოყენება ორიგინალური ფორმით გამოვლინდა, რაც საუკეთესო საშუალებაა პოეტის ხელწერისა და მისი ინდივიდუალურობის წარმოსაჩენად.

გენო კალანდიას თითოეულ პოეტურ ქმნილებაში ის მფეთქავი მუხტია ჩადებული, ურომლისოდ ლექსი თავის მომხიბვლელობას დაკარგავდა. ეს მის პოეზიაშია ათასწლეულების სურნელი განსხეულებული. ქარაშოტივით ტრიალებს სივრცე მისი ლექსებიდან მომდინარე ტკბობით გათანგული და აქ მართლაც „პირველყოფილი დრო მარადიულობაში შრიალებს, ყოფნა ღვთაებრივში“ (რა მახლობელია გრ.რობაქიძე).

გენო კალანდიასთან უსასრულო ოცნებების, ლამაზი ფიქრების, ახალ-ახალ პოეტურ ფორმათა ძიებისა და დიადი გამარჯვებების გვირგვინების დაუცხრომელი წყურვილია...

ლიტერატურა:

1. გენო კალანდია, ფესვები, თბ., 2012, გვ. 42.
2. რ. შტაინერი, როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება, თბ., 1993, გვ. 97-98.
3. თ. ამყოლაძე, გენო კალანდიას ერთი ლექსი, უქიმერიონი, თბ., 1999, გვ. 8.
4. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1990, გვ. 543, 545.

MYTH AND REALITY (POETRY OF GENO KALANDIA) Tsiala Meskhia, Sokhumi State University, Associate Professor RESUME

Poetical world of Geno Kalandia is sensitive. It perfectly reflects Georgian reality. Poets personality is different as well. He is a honourable representative of modern Georgian literature. He plays an important part in development of Georgian poetry.

Geno Kalandia is an outstanding Georgian thinker who's works reflect political, social, artistic and aesthetical tendencies of the epoch.

These tendencies are resented as philosophical and colourful layers.

It s impossible to separate them from one another. Each paradigm and phrase has different meanings-symbolic and realistic, historical and mystical.

Verses of G. Kalandia are spiritual and intellectual reflections of the epoch.

Collections of his verses are plastic tranformatious of epochal issues. They help us to shove his intelligence.

Leith in the poetry of Geno Kalandia is the magnificent background for modern problems, issues, tragedies, pains and tears.

Form and fable if Geno Kalandias' s poetry are different from ether Georgian artists. His literary style is different and magnificent as well as individual.

Works from the Kolkhian cycle reflect Georgian-Abkhazian life. Titles if the verses are inspired by myth where everything is in harmony-life and death, love and abhorrence.

Reading the verses of Geno Kalandia we remember our eternal obergation to the lord god and the universe.

Myth is connected with the modern epoch and transformed artistically in the poetry of Geno Kalandia.

კავკასიელის/ქართველის ნაციონალური სტერეოტიპის მოდელი რუსულ ლიტერატურაში

მარიამ მირესაშვილი, სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: m.miresashvili@gmail.com

ოლღა პეტრიაშვილი, სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: olga.petriashvili@gmail.com

ცნობილია, რომ ნაციონალური სტერეოტიპისა და ნაციონალური იდენტობის პრობლემები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და, როგორც ყოველგვარი სტერეოტიპი, წარმოადგენენ სოციალური კონსტრუქტის თავისებურ სახეს, ინდივიდის ერთგვარ მაორიენტირებელ და მოტივაციათა განმსაზღვრელ წყაროს. რიგი მკვლევრებისა (Anderson, 1991; Stereotypes and Nations, 1995 და სხვ.) სტერეოტიპის სამ შემადგენელ ასპექტს გამოყოფს: შემეცნებითს, პრაგმატულს და ემოციონალურს. ამ უკანასკნელის ბუნებას განაპირობებს მისი შემფასებლური ხასიათი (იგულისხმება დადებითი ან უარყოფითი შეფასება), რომელიც შესაძლოა გავრცელდეს როგორც საკუთარ, ასევე სხვა ეროვნებებზეც. ამასთან ერთად, ეს შეფასება ვრცელდება არა მარტო მასზე, ვინც სტერეოტიპული შეფასების ობიექტს წარმოადგენს, არამედ იმაზეც, ვინც ეს სტერეოტიპი შექმნა და დაამკვიდრა.

სტერეოტიპული აზროვნება ისწრაფვის, რათა საკუთარი თავი, „შენი“, გამოიჯნოს „სხვისგან“; „შენი“ ნაციონალური მახასიათებლები დაუპირისპიროს „სხვისას“, მეტწილად, იმ ერის ნაციონალურ მახასიათებლებს, რომელიც მისთვის უარყოფითი კონოტაციის მატარებელია. „ჩვენ არა ვართ ისეთი ტრაზახები, როგორც გერმანელები; ისეთი დაუნდობლები, როგორც მოსკალები (იგულისხმებიან

უკრაინელები, მ.მ.); ისე უცერემონიოდ არ ვიყენებთ საწამლავს, როგორც შვედები; არ ვქურდობთ, როგორც უნგრელები; არ ვართ ისეთი ქედმაღლები, როგორც ინგლისელები; არ ვართ ისეთი შურისმაძიებლები, როგორც შოტლანდიელები“ (Stereotypes and Nations, 1995). მე-18 საუკუნის პოლონეთის ისტორიულ ქრონიკებში დამოწმებული ეს ამონარიდი მოტანილი გვაქვს კრავოში ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალათა კრებულიდან, რომელიც შეიცავს ძალზე საინტერესო ცნობებს ევროპელების ნაციონალური სტერეოტიპების შესახებ. ამ კრებულის გაცნობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ნაციონალური სტერეოტიპი წარმოადგენს მდიდარ, მრავალფეროვან შემეცნებით სტრუქტურას, რომელიც სერიოზულ შესწავლას მოითხოვს, რადგან ყოველი თაობა სწორედ იმ ნაციონალური სტერეოტიპებითა და ნაციონალური მითებით მსჯელობს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ და დამკვიდრდნენ მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში ათწლეულებითა თუ საუკუნეებით ადრე. წინამდებარე სტატიის მიზანია რამდენიმე მნიშვნელოვანი მოდალური კონსტრუქციის წარმოჩენა ზოგადად, *კავკასიელის*, კონკრეტულად კი, *ქართველის* ნაციონალური სტერეოტიპისა რუსულ ლიტერატურაში.

უდავოა, რომ დისკურსული ბუნებიდან გამომდინარე, ნაციონალური სტერეოტიპი/ ნაციონალური მითი დამკვიდრებისა და გავრცელებისთვის ყველაზე ნოყიერ ნიადაგს მხატვრულ ლიტერატურაში პოულობს; ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, დგება სიტყვაკაზმული მწერლობის მნიშვნელობის საკითხი ამა თუ იმ ერის წარმოდგენაში ნაციონალური სტერეოტიპის დამკვიდრებასთან ან, პირიქით, უარყოფასთან, ზოგჯერ კი, პოლემიკაში შესვლასთან დაკავშირებით. ძალზედ რთულია მე-19 საუკუნიდან დღემდე კავკასიელებს/ქართველებსა და რუსებს შორის განვითარებული დრამატული მოვლენების ამსახველი ეთნიკური და კულტურული სტერეოტიპებისა და ფობიების სრულად წარმოჩენა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს ქვემოთ წარმოდგენილი სტერეოტიპების კრიტიკა, არც იმის დემონსტრირება, თუ რამდენად შეესაბამება რუსულ საზოგადოებრივ სინამდვილეში არსებული მითები კავკასიელთა/ქართველთა შესახებ რეალობას. მინდა მხოლოდ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოდალური, ტიპური კონსტრუქციის, მხატვრული სახის გამოყოფა, რომლებიც დამკვიდრებულია მასათა შეგნებაში, მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ პუბლიცისტიკაში; რომლებიც ათწლეულების მანძილზე ერთგვარი კოორდინატების როლს ასრულებდნენ ორივე მხარისთვის.

რუსულ ლიტერატურაში კავკასიისა და კავკასიელი ხალხებისადმი დამოკიდებულების სპექტრი საკმაოდ ფართოდ არის წარმოჩენილი, რასაც, თავის მხრივ, მხატვრულ სახეთა პოლარულობამდე მივყავართ; ამ უკანასკნელს კი, ხშირად, ისტორიული ფონი განაპირობებდა. კავკასიელის ნაციონალური სტერეოტიპის ერთ-ერთი პირველი და საკმაოდ გავრცელებული, ე.წ. *რომანტიკული მოდელი*, მე-19 საუკუნის რუსულ კლასიკურ ლიტერატურას უკავშირდება. კავკასიელი მთიელის რომანტიკული სახის ეთიკურ საფუძველს *თავისუფლება*, *პატიოსნება* და *მეომრული ღირსება* წარმოადგენს. თავისუფლებისა და ღირსება-პატიოსნების დომინანტა ყველაფერში გამოსჭვივის: ცხოვრებისეული საზრისის გაგებაში, ადამიანურ ურთიერთობათა (მეგობრულსა თუ მტრულ) პრინციპებში, ხასიათსა და თავის დაჭერის მანერაში, საუბარსა და ჩაცმაშიც კი.

მე-19 საუკუნის რუსებისთვის კავკასია, თავისი პირველყოფილი, ეგზოტიკური ბუნებით, წარმოადგენდა ერთგვარ გამოწვევას, რუტინული ცხოვრების სიყალბისგან „განწმენდის“ საშუალებას, ხიფათით აღსავსე ცხოვრებისეულ გამოცდას, ავანსცენას, სადაც ადამიანი უბრუნდებოდა ჭეშმარიტ, არქაულ და გარკვეულწილად, უჩვეულო განზომილებებს: ღირსებას, სილამაზეს, ერთგულებასა და სიკვდილსაც კი. რომანტიკულ მოდელებზე აგებული სიუჟეტების პროტაგონისტი შეიძლება ყოფილიყო ყაჩაღი (რა თქმა უნდა, კეთილშობილი აბრეკი), ან მარტოსული მხედარი, ან თავისუფალი მონადირე, ან მთის ბილიკზე ანაზდეულად გადაყრილი მოკეთე/მტერი. უმეტეს შემთხვევებში, ისინი მთავარ პერსონაჟს (ხშირად, ანტიპოდს) ცხოვრებისეული გამოცდილების გამზიარებლებად, ერთგვარ დამრიგებლებად ევლინებოდნენ. თავის მხრივ, მათი სილუეტის დანახვაზე შემხვედრსაც უწევდა ფიზიკური და სულიერი ძალების მობილიზება, რათა ღირსეული პასუხი გაეცა, თავად ვინ იყო, რას წარმოადგენდა, რას ეძიებდა კავკასიაში და შეძლებდა თუ არა თავისი ბედის დაკავშირებას ამ მშვენიერ და ფათერაკებით აღსავსე მხარესთან.

რომანტიკული მოდელი დასტურდება ენობრივი ფაქტების განხილვის დონეზეც კოორდინატთა სისტემაში „შენი-სხვისი“ მე-19 საუკუნის რუსი კლასიკოსების - მ. დერჟავინის, ვ. ჟუკოვსკის, ნ. გოგოლის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის და სხვათა შემოქმედებაში. კავკასია ცალსახად „სხვის“ პოლუსზე იმყოფება, მაგრამ არ არის უცხო; მისდამი დამოკიდებულებაში გამოსჭვივის სიფრთხილაც და პატივისცემის გრძნობაც. მე-19 საუკუნეში რუსებისთვის კავკასია ორ ძირითად ასპექტში არის საინტერესო: ბუნება და კავკასიელთა ყოფა, ადათ-წესები. აღიარებულია, რომ რუსულ ლიტერატურაში ეს ტრადიცია პირველებმა მ. დერჟავინმა და ვ. ჟუკოვსკიმ დაამკვიდრეს. მ. დერჟავინმა გრაფი

ზუბოვისადმი მიძღვნილ ოდაში დიდი ადგილი დაუთმო კავკასიის გრანდიოზული პანორამის აღწერას; საინტერესოა, რომ ოდის პირველ ნაწილში გვხვდება უარყოფითი კონოტაციის მატარებელი სიტყვები: ეპითეტები *საშინელი* (მთები), *ბრაზიანი* (მდინარეები), *უძირო*, *ბნელი* (უფსკრული) და სხვ., თუმცა, მეორე ნაწილში მათ დადებითი კონოტაციის მატარებელი სიტყვები ანაცვლებს: *არაჩვეულებრივი* (კავკასიონის ხედი), *მეწამული* (განთიადი), უძიროდ ლურჯი (ზეცა). მთლიანობაში, მწერალი მოხიბლულია კავკასიით და ვერ ფარავს აღფრთოვანებას მისი პირველყოფილი ბუნების გამო. (Державин, 2013).

საინტერესოა, რომ ვ. ჟუკოვსკიც („ვოეიკოვისადმი“) კავკასიის ბუნების აღწერის იმავე მოდელს იმეორებს: ერთი მხრივ, გვხვდება ეპითეტები: *საშინელი*, *შემაშფოთებელი* (კავკასიონის მთები, მათი ჩრდილი) და, მეორე მხრივ, დიდებული ქმნილება (ელბრუსი/იალბუზი). თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, ჟუკოვსკიმ გააფართოვა თემატური რეალი; იგი იყო პირველი რუსი მწერალი, რომელმაც დააფიქსირა კავკასიელი ხალხების ეთნიკური სახელწოდებები (აბაზგები, შაფსულები, ბალყარელები, ჩეჩნები, ყაზარდოელები...), მათი ყოფა-ცხოვრების ამსახველი რეალიები. (Жуковский, 2013).

აღსანიშნავია, რომ რუსი კლასიკოსების მიერ კავკასიისა და კავკასიელების რომანტიკულად აღქმის პარალელურად რუსულ საზოგადოებრივ სინამდვილეში არსებობდა რადიკალურად განსხვავებული, ოპოზიციური შეხედულებებიც. „რუსეთში არსებული შეხედულება მთიელებზე, ზოგადად, დადებითია: მათ ერთგვარ რაინდებად წარმოადგენენ. თუმცა, რაც უფრო მეტად ეცნობი ამ ხალხს, მით უფრო ხშირად უპირისპირდები და აცნობიერებ, რომ ეს შეხედულება მცდარია... მათთვის უცხოა კეთილშობილება და დიდსულოვნება, ანგარებანიები და პირის გამტეხნი არიან, მათ სიტყვას ვერ ენდობი, მხოლოდ საკუთარი თავი უყვართ და მის გადარჩენაზე ფიქრობენ. მათი ქებული სიმამაცე მხოლოდ ველური, გამძვინვარებული ნადირის სისხლით გაუმაძღრობას მაგონებს... მათთვის ჩვეული საქმეა უიარაღოზე თავდასხმა, სუსტის მოკვლა, მძინარესთვის ყელის გამოჭრა... მთიელთა სტუმარმასპინძლობაც სულაც არ არის იმდაგვარი, როგორსაც წარმოაჩენენ ხოლმე: სარგებლის მოლოდინის გარეშე ისინი სტუმარს არც ხმიადს გამოუცხობენ და არც ცხვარს დაუკლავენ... მთიელთა გონებრივი განვითარება ბევრად წინ უსწრებს ზნეობრივს“ (Грабовский, 1876) - ეს ვრცელი ამონარიდი რუსი ისტორიკოსის, კავკასიის ცნობილი მკვლევრის, ნ. გრაბოვსკის მიერ არის მოტანილი თავის შრომაში, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის უფროსის მიერ თერგის ოლქის უფროსისადმი მიწერილ მოხსენებით ბარათს. კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ მკვლევარი იზიარებს ამ წერილის პათოსს და აქვე დავძენთ, რომ იგი გამოხატავდა მე-19 საუკუნის რუსული საზოგადოების ერთი ნაწილის თვალსაზრისს.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოტანილი შეხედულებები პოლარულად განსხვავდება ერთმანეთისგან; თუკი რუსი კლასიკოსები ცდილობდნენ კავკასიის მთიელთა სამყაროს ამოცნობას თავად მთიელთა კულტურის კატეგორიებით, იმპერიის ჩინოვნიკებისთვის (ნ. გრაბოვსკი ნამდვილად არ არის გამონაკლისი) კავკასია წარმოადგენდა უწიგნული, ველური ხალხით დასახლებულ ტერიტორიას, რომელიც იმპერიის მხრიდან არა მარტო ეკონომიკურ, არამედ კულტურულ კორექციას, გაკეთილშობილებას საჭიროებდა. თუმცა შევნიშნავთ, რომ რომანტიკული კავკასიელის მოდელი მაინც საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა რუსი კლასიკოსების - ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ლევ ტოლსტოისა და სხვათა წყალობით. მან თითქმის საუკუნეს გაუძლო და მე-20 საუკუნეშიც კი კავკასია თავისუფლების ერთგვარ ტესტად, გამოცდად რჩებოდა რუსი მწერლების შემოქმედებაში (ი. ბუნინი, ს. ესენინი, ვ. მაიაკოვსკი, კ. ბალმონტი, ბ. პასტერნაკი, ო. მანდელშტამი, მ. ცვეტაევა...).

კავკასიელის ნაციონალური სტერეოტიპის შემდგომი მოდელი საბჭოთა სოცრეალისტური ლიტერატურის კანონიკას უკავშირდება. კეთილშობილი, თავისუფლებისმოყვარე მთიელის ნაცვლად სოცრეალისტურმა ლიტერატურამ შექმნა და დაამკვიდრა „საბჭოური ძმური ოჯახის“ ღირსეული წარმომადგენლის, გონიერი, სამართლიანი და **კოლორიტული კავკასიელის** მხატვრული სახე. ეს უკანასკნელი, ცხადია, არსებულმა ისტორიულმა რეალობამ განაპირობა. სტალინის ქართული წარმომავლობამ, კავკასიურმა აქცენტმა, ქარიზმატულობამ განსაზღვრა ის რეალობა, რომ საბჭოურ ლიტერატურაში კავკასიური სახეები (განსაკუთრებით ქართველები) მხოლოდ დადებითი კონოტაციის მატარებლები იყვნენ. ფაქტიურად, კავკასიელების უარყოფით კონტექსტში მოხსენიებას ტაბუ დაედო; მისი დარღვევა ლამის „ანტისაბჭოთა ქმედებად“ განიხილებოდა. დასაშვები იყო კავკასიელის წარმოჩენა ტემპერამენტულ, ზოგჯერ თავშეუკავებელ პირად, რომელიც კონფლიქტურ სიტუაციაში მუშტებზეც კი იხედებოდა, მაგრამ მთლიანობაში, სიუჟეტის მიხედვით, იგი უნდა ყოფილიყო კოლექტივის „სული და გული“, ყველასათვის საყვარელი პიროვნება. კოლორიტული კავკასიელის მხატვრული სახე საბჭოთა ლიტერატურისა და კინემატოგრაფის თანამდევნი იყო 1930-1954 წლებში, ანუ „დათბობის“ პერიოდამდე.

ზემოაღნიშნული სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა სკკპ მე-20 ყრილობისა და ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ „პიროვნების კულტის“ დაგმობის შემდგომ; რუსულ ლიტერატურაში კავკასიელ რაინდს ჩაენაცვლა

ირონიულ-რომანტიკული მოდელი, რომელიც საბოლოო სახით 1960-იანი წლების მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. აღნიშნული მოდელის ცენტრალურ ფიგურას სიმპათიური ქართველი ლოველასი (და არა კეთილშობილი რაინდი) წარმოადგენდა. აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნული მოდელის დამკვიდრებას გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირში საყოველთაოდ აღიარებულმა ქართულმა კინემატოგრაფმა, რომლის მთავარი გმირები იყვნენ მეოცნებე, რომანტიკული, ნიჭიერი, არაორდინალური ადამიანები (ელდარ შენგელაიას, მერაბ კოკოჩაშვილის, გია დანელიას, ლანა დოლობერიძის, ოთარ იოსელიანის და სხვათა ფილმები). ისინი მკვეთრად განსხვავდებოდნენ სტალინური ეპოქის კინემატოგრაფის ნიველირებული პერსონაჟებისგან: არ გაურბოდნენ ცხოვრებისეულ სიამეებს, უყვარდათ სიმღერა, ქეიფი, ქალთა საზოგადოება, შეცდომებსაც უშვებდნენ (ზოგჯერ გამოუსწორებელს), თუმცა მაინც დადებითი კონოტაციის მატარებლები იყვნენ. აღნიშნული კინოგმირები რუსული საზოგადოების ერთ ნაწილს ესიმპათიურებოდა, თუმცა მეორე ნაწილისთვის - ირონიული ქირქილის საბაბს წარმოადგენდა. აქვე შევნიშნავთ, რომ „სხვისი“ უარყოფითი ნაციონალური სტერეოტიპების დამკვიდრებას, მეტწილად, მასკულტურა უწყობს ხელს, განსაკუთრებით ანეგდოტების ჟანრი. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ პერიოდში (ვგულისხმობთ გასული საუკუნის მეორე ნახევარს) დამკვიდრდა რუსულ მასობრივ აზროვნებაში ანეგდოტების საშუალებით რუსული ბაზრის უცვლელი პერსონაჟის, ქართველი „გივის“ სახე - სხვადასხვა ვარიაციით, ყვავილების/ციტრუსების/ხილ-ბოსტნეულის გადამყიდველი (ე.წ. სპეკულიანტი).

ქსენოფობია, სამწუხაროდ, ზოგადსაკაცობრიო სენია, რომელიც ხშირად წარმართველია ერებს შორის ურთიერთობებისა, განსაკუთრებით ყოფილ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის. ცნობილია, თუ როდის მოიხსნა ოფიციალური ტაბუ კავკასიელთა/ქართველთა ლანძღვაზე; ეს მოხდა 1986 წელს, როდესაც ერთ-ერთ საკავშირო ლიტერატურულ ჟურნალში გამოქვეყნდა ვ. ასტაფიევის „ციმორებზე თევზაობა საქართველოში“. მიმაჩნია, რომ აღნიშნულმა მოთხრობამ (რომელსაც ნამდვილად ნიჭიერი რუსი მწერლის შემოქმედებაში საუკეთესოს ვერ დაარქმევ) სათავე დაუდო ანტიქართულ ისტერიულ კამპანიას, რომელიც ქართულ-აფხაზური (ფაქტობრივად, ქართულ-რუსული) კონფლიქტის დაწყებამდე პერიოდულად ვლინდებოდა ხან რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის (ორტ-ს) გადაცემებში და ხანაც რუსი მწერლების (რად ღირს თუნდაც რუსულენოვანი აფხაზი მწერლის, ფაზილ ისკანდერის „მახაზი და შალიკო“) მოთხრობებსა თუ ლექსებში. ასტაფიევის მოთხრობაში ქართველების მიმართ დაუფარავი ზიზღი გამოსჭვივის: „ქართველი ტიპი, რომელსაც ენაც კი არ მოგიბრუნდება, რომ ქართველი დაარქვა. კაცობრიობის ხეზე გამოჩრილი ტოტის მსგავსად, ყველა რუსულ ბაზარზე, მურმანსკისა და ნორილსკის ჩათვლით, ყველგან ეგ არის დარჭობილი და ყველგან მიაბიძგ ჩრდილოელ ხალხს... ხარბი, უვიცი, სწორედ ისეთი, რომელსაც რუსეთში „სულით კაპიკზე გაყიდულს“ უწოდებენ, დაუბანელი ხელებისგან გაზინტლული შარვლის გადმობრუნებული ჯიბეებით, ყველგან ეგ აფრიალებს ფულებს... რაინდო! რაინდო! სადა ხარ, ძვირფასო? ნეტავ შემოგიყვანო ვეფხვით, ხმლითა და ხანჯლით, თუმცა, უმჯობესია, მათრახით გალში ან რუსულ ბაზრებში, რომ ერთიანად მოხვეტო, გააძევო იქიდან უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი შენი სისხლისმიერი ძმები, რომლებიც ანგარებიან ვაჭრუკანებად და საქმოსნებად იქცნენ“ (Астафьев, 2013; თარგმანი ჩვენია, მ.მ.). სამწუხაროდ, ასტაფიევის წინასწარმეტყველება ახდა და მისთვის საძულველ საქართველოს მალევე მოევლინა „ომის რაინდი“ რუსი ცისფერჩაფხუტიანისა და მთიელი კონფედერატების სახით.

დაბოლოს, უდავოა, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე რუსეთი ყოველთვის ცდილობდა საკუთარი „ცივილიზებულობის“ მაღალი დონის წარმოჩენას „აღმოსავლელ მეზობელთან“ შედარებით. ორი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ქართულ-რუსული ურთიერთობები აქტუალური განხილვის თემაა პოლიტიკოსებისთვის, სოციოლოგებისთვის, მწერლებისთვის, კინემატოგრაფისტებისთვის და ა.შ. ამ ხნის მანძილზე მიმდინარეობს დრამატული დიალოგი, რომელიც გრძნობათა ფართო პალიტრას მოიცავს: სიყვარულიდან - სიძულვილამდე, ურთიერთდაახლოებიდან - სრულ გაუცხოებამდე. თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ქართველის უარყოფითი ნაციონალური სტერეოტიპის პოპულარიზაციის ხელისშემწეობა ფაქტორად ქართულ და რუსულ საზოგადოებებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის სიმწირე, ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნა გვესახება; ეს კი, თავის მხრივ, რუსული მედიის მხრიდან საქართველოს მუქ ფერებში, აგრესორ ქვეყნად წარმოჩენის წინაპირობას წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ დიალოგის რეჟიმში შესაძლებელი გონივრული მიდგომების, მართებული გზის შერჩევა; სწორ არჩევანზე კი დამოკიდებულია ჩვენთვის არასასურველი, XX საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ რუსულ ლიტერატურაში დამკვიდრებული *ქართველის* ნაციონალური სტერეოტიპის მსხვერვა და ახალი სტერეოტიპების დამკვიდრება.

ლიტერატურა:

1. Benedict Anderson, Imagined Communities, rev. Ed. London: Verso Books, 1991
2. Stereotypes and Nations / Ed. By Teresa Walas. Cracow: International Cultural Centre, 1995, 15-54.
3. Державин Г. Р. На возвращение графа Зубова из Персии. <http://www.knigafund.ru/books/29759?locale=en>
4. Жуковский В. А. К Воейкову (послание). <http://profismart.ru/web/bookreader-111983-40.php>
5. Грабовский Н. Ф. Ингуши. Сборник сведений о кавказских горцах, Вып.9.Тифлис, 1876. <http://fgurgia.ru/showObject.do?object=26352686>
6. Астафьев В. Ловля пескарей в Грузии. http://lib.ru/PROZA/ASTAFIEW/r_peskari.txt

A CAUCASIAN/GEORGIAN NATIONAL STEREOTYPE MODEL IN RUSSIAN LITERATURE

Mariam Miresashvili, Sokhumi State University, Professor

Olga Petriashvili, Sokhumi State University, Professor

SUMMARY

The stereotype thinking aspires to distinguish “one’s own”, “yours” from “another’s”, to contrast “ your ”national characteristics with “ somebody else’s “, mostly with the national specificities of a nation which is the bearer of a negative connotation. The national stereotype is an ample, varied cognitive structure which requires a serious study as each generation judges according to the national stereotypes and national myths which were formed in belles-lettres and publicism many decades or centuries ago. It is indisputable that proceeding from its discursive nature the national stereotype / the national myth finds a most fertile soil for its establishment and distribution in fiction in connection with the latter there arises a problem of importance of belles-lettres in the conception of a certain nation in view of formation of a national stereotype or, vice versa, of its rejection, sometimes in view of entering into polemics. It is extremely difficult to show exhaustively the ethnic and cultural stereotypes and phobias reflecting the dramatic occurrences between the Caucasians/ Georgians and the Russians beginning from the 19th century until today. The aim of the present work is not to criticize the given stereotypes, neither is it to demonstrate how much the myths in the Russian society correspond to the reality about the Caucasians/Georgians.

The present article is an attempt to highlight only some typical, essential, modal constructions, images which are implanted in the consciousness of the masses, in fiction and publicism and which have been fulfilling a kind of coordinating role for both sides for decades.

ნობელის პრემიის ლაურეატი ფრანგი მწერალი და საქართველო

ალექსანდრე მღებრიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ანდრე პოლ გიომ ჟიდის მხატვრული მემკვიდრეობა მკითხველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესის საგანს წარმოადგენს. მისი ადრეული ნაწარმოებები სიმბოლიზმის გავლენას განიცდის, ამასთან, მისთვის უცხო არ გახლდათ ანარქისტული განწყობილება, ხოლო რომანი „ჭაობები“ ფრანგული ლიტერატურული მოდერნიზმის ნიმუშია.

მწერლობაში ჟიდის ძირითად ინტერესთა სფეროს განეკუთვნებოდა: სოციალური თემატიკა („მოგზაურობა კონგოში“, 1927; „ჩადიდან დაბრუნება“, 1928), ქალთა საკითხები („ქალთა სკოლა“, 1929; „რობერი“, 1930; „ჟენევიევი“, 1936), ხოლო 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან იგი გაიტაცა სოციალისტურმა იდეებმა.

1935 წელს მონაწილეობა მიიღო პარიზში გამართულ ანტიფაშისტური მწერლების კონგრესში, ხოლო მომდევნო წელს იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი ანდრე ჟიდის კომუნიზმით გატაცებას. მისმა დასკვნებმა, ამ მიმართულებით, თავი მოიყარა იმავე წელს გამოცემულ წიგნში „სსრკ-დან დაბრუნება“ [1] საბჭოური იდეალების ახლოს გაცნობის შემდეგ იმედგაცრუებული მწერლის აზრით,

საბჭოთა ადამიანი სამიშ ადამიანად იწყებდა ჩამოყალიბებას იმ წნეხის და თავისუფალი აზრის მკვეთრი დეფიციტის გამო, როგორც ატმოსფეროც შეიქმნა მმართველი სუბიექტების მიერ. დასახელებულ ნაშრომში ავტორი თბილად მოიხსენიებს უბრალო ადამიანებს, მოწონებით ხვდება აქ წარმოებულ რიგ საქმიანობებს, მაგრამ ზოგადად ნაშრომი ანტისაბჭოთა ხასიათისაა, რის გამოც წლების განმავლობაში სსრკ-ში მისი წიგნები აკრძალული და მისი სახელის ხსენება სახიფათო გახლდათ.

„Три года назад я говорил о своей любви, о своем восхищении Советским Союзом. Там совершался беспрецедентный эксперимент, наполнявший наши сердца надеждой, оттуда мы ждали великого прогресса, там зарождался порыв, способный увлечь все человечество. Чтобы быть свидетелем этого обновления, думал я, стоит жить, стоит отдать жизнь, чтобы ему способствовать. В наших сердцах и умах мы решительно связывали со славным будущим СССР будущее самой культуры. Мы много раз это повторяли, нам хотелось бы иметь возможность повторить это и теперь“ [2].

„Кто может определить, чем СССР был для нас? Не только избранной страной - примером, руководством к действию. Все, о чём мы мечтали, о чём помышляли, к чему стремились наши желания и чему мы готовы были отдать силы, - все было там. Это была земля, где утопия становилась реальностью. Громадные свершения позволяли надеяться на новые, ещё более грандиозные. Самое трудное, казалось, было уже позади, и мы со счастливым сердцем поверили в неизведанные пути, выбранные им во имя страдающего человечества“ [3].

ანდრე ჟიდი არაერთხელ გამოსულა ყოფილი საბჭოთა კავშირის მხარდამჭერი განცხადებებით. საწყის ეტაპზე იგი გარკვეული პატივისცემით სარგებლობდა საბჭოეთში. გამოცემოდა მისი ნაწარმოებების კრებულები. საკუთარ განხმარებულ წიგნში, 30-იანი წლების საბჭოთა სივრცის შესახებ საკუთარი შთაბეჭდილებების გადმოცემისას წერდა კიდევ: „Я рассказываю здесь о своих личных впечатлениях от всего, что мне с законной гордостью показывали в СССР и что я смог увидеть сам. Достижения СССР во многих областях замечательны. Порой даже можно вообразить, что здесь царить счастье“ [4].

ზემოთ თქმულის მიუხედავად, საბჭოური რეალობის ახლოს გაცნობის შემდეგ, ჟიდს მალევე გაეფანტა ყოველგვარი ილუზია ბედნიერი საბჭოთა ხალხის შესახებ.

ნაშრომში „სსრკ-დან დაბრუნება“ ავტორი ეხება სსრკ-ში წარმოების, საკვები პროდუქტების, განათლების და სხვა სფეროებში არსებულ სავალალო მდგომარეობას. ცალკე მსჯელობის საგანია ახალი ხელისუფლების ანტირელიგიური ბრძოლის თამატიკა.

„Товары, за редким исключением, совсем негодные. Можно даже подумать, что ткани, вещи и т. д. специально изготавливаются по возможности непривлекательными, чтобы их можно было купить только по крайней нужде, а не потому, что они понравились“ [5].

აბ კიდევ, „Тебе жаль тех, кто часами стоит в очереди, - они же считают это нормальным. Хлеб, овощи, фрукты кажутся тебе плохими - но другого ничего нет. Ткани, вещи, которые ты видишь, кажутся тебе безобразными - но выбирать не из чего. Поскольку сравнивать совершенно не с чем - разве что с проклятым прошлым, - ты с радостью берешь то, что тебе дают. Самое главное при этом - убедить людей, что они счастливы настолько, насколько можно быть счастливым в ожидании лучшего, убедить людей, что другие повсюду менее счастливы, чем они. Этого можно достигнуть, только надежно перекрыв любую связь с внешним миром (я имею в виду - с границей). Потому-то при равных условиях жизни или даже гораздо более худших русский рабочий считает себя счастливым, он и на самом деле более счастлив, намного более счастлив, чем французский рабочий. Его счастье - в его надежде, в его вере, в его неведении“ [6].

სამწუხაროდ, ანდრე ჟიდიზე არც განათლების სფეროში მიღებულ შედეგებს მოუხდენია განსაკუთრებული შთაბეჭდილება: „Советский гражданин пребывает в полнейшем неведении относительно границы. Более того, его убедили, что решительно всё за границей и во всех областях - значительно хуже, чем в СССР. Эта иллюзия умело поддерживается - важно, чтобы каждый, даже недовольный, радовался режиму, предохраняющему его от худших зол. Отсюда некий комплекс превосходства, несколько примеров которого я приведу ниже. Каждый студент обязан изучать иностранный язык. Французский в совершенном небрежении. Им положено знать английский и в особенности немецкий. Я был удивлен, услышав, как плохо они говорят на нём. У нас школьники знают его лучше. Мы спросили об этом одного из них и получили такое объяснение (по-русски, Джеф Ласт нам переводил): "Ещё несколько лет назад Германия и Соединенные Штаты могли нас чему-нибудь научить. Но сейчас нам за границей учиться нечему. Зачем тогда говорить на их языке?"

...Вопросы, которые вам задают, иногда настолько ошеломляют, что я боюсь их воспроизводить. Кто-нибудь может подумать, что я их сам придумал. Когда я говорю, что в Париже тоже есть метро, - скептические улыбки. "У вас только трамваи? Омнибусы?.." Один спрашивает (речь уже идёт не о детях, а о

вполне грамотных рабочих), есть ли у нас тоже школы во Франции. Другой, чуть более осведомленный, пожимает плечами: да, конечно, во Франции есть школы, но там бьют детей, он знает об этом из надежного источника. Что все рабочие у нас очень несчастны, само собой разумеется, поскольку мы ещё "не совершили революцию". Для них за пределами СССР - мрак. За исключением нескольких прозревших, в капиталистическом мире все прозябают в потемках" [7].

ანდრე ჟიდის ხსენებულ ნაშრომში საგანგებო ადგილი ეთმობა საქართველოს. იგი 1936 წლის ივლისში ეწვია თბილისს. იმ პერიოდის პრესის მიხედვით ძერჟინსკის სახელობის ბაღი 17 ივლისს საღამოს სავსე იყო მწერლებით, ხელოვნების მუშაკებით. დაახლოებით 10 საათისათვის ჟიდი თანამგზავრებთან (ლუი გუიო, ეჟენ დაბი, შიფრინი) ერთად ეწვია. სტუმრებს მასპინძლობდნენ ქართველი მწერლები. საღამო გაიხსნა არისტო ჭუმბაძის ფრანგულად წარმოთქმული მისასალმებელი სიტყვით. საზოგადოების წინაშე ლექსებით წარსდგნენ: ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, იოსებ გრიშაშვილი და სხვები.

დასკვნით სიტყვაში ჟიდი აღნიშნავდა, რომ ბედნიერია საქართველოს ხილვით. მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ქართველმა ხალხმა, რომლის ხმაში არის რაღაც პოეტური, ვაჟკაცური, კეთილშობილური, წარმტაცი და ამავე დროს ნაზი [8].

„Словами не выразить этого искреннего и простого чувства... А сколько было кроме этих и других встреч! Грузинские поэты, студенты, интеллигенты, рабочие в особенности. Многие были мне по душе, я жалел, что не знаю их языка. В их улыбках, во взглядах было столько неподдельной сердечности. Надо сказать, что повсюду я был представлен как друг и чувствовал всюду дружеское к себе отношение. Я хотел бы быть достойным ещё большей дружбы, и это тоже побуждает меня говорить“ [9].

არანაკლები შთაბეჭდილება მოუხდენია ჟიდიზე საქართველოს ბუნებას. ამის შესახებ იგი წერდა: „Однако мне хотелось бы рассказать о великолепных лесах Кавказа – при въезде в Кахетию, в окрестностях Батуми и в особенности Бакуриан под или, точнее сказать, над Боржомом. Более прекрасного леса я не видел и не представлял себе...“ [10]

საქართველოში თავისი ვიზიტის დროს ჟიდი საგანგებოდ ეწვია გორს. ქალაქს, რომლის წიაღშიც პროლეტარიატის ბელადი მოველინა სამყაროს. გორში ვიზიტის აღწერისას იგი იხსენებს ერთ ინციდენტს, რომელიც ტიპიურად ასახავს იმ პერიოდის საბჭოურ მენტალიტეტს.

„По дороге из Тифлиса в Батум мы проезжали через Гори, небольшой город, где родился Сталин. Я подумал, что это самый подходящий случай послать ему телеграмму в знак благодарности за прием в СССР, где нас повсюду тепло встречали, относились к нам с вниманием и заботой. Лучшего случая более не представится. Прошу остановить машину у почты и протягиваю текст телеграммы. Содержание примерно такое: "Совершая наше удивительное путешествие по СССР и находясь в Гори, испытываю сердечную потребность выразить Вам..." Но в этом месте переводчик запинается: такая формулировка не годится. Просто "вы" недостаточно, когда это "вы" относится к Сталину. Это даже невозможно. Надо что-то добавить. И, поскольку я недоумеваю, присутствующие начинают совещаться. Мне предлагают: "Вам, руководителю трудящихся", или - "вождю народов", или... я уж не знаю, что еще. Мне это кажется абсурдом, я протестую и заявляю, что Сталин выше всей этой лести. Я бьюсь напрасно. Делать нечего. Телеграмму не примут, если я не соглашусь на дополнения. И, поскольку речь идёт о переводе, который я даже не могу проверить, соглашаюсь после упорного Сопротивления и с грустной мыслью о том, что все это создает ужасающую, непреодолимую пропасть между Сталиным и народом. И, поскольку я уже обращал внимание на подобные добавления и уточнения в переводах моих речей, произнесенных там, я тогда же заявил, что отказываюсь от всего опубликованного под моим именем во время пребывания в СССР и что я ещё об этом скажу. Вот я это и сделал теперь“ [11].

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ანდრე ჟიდის ვიზიტი ცხინვალში. ამ ინფორმაციას იმავე 1936 წელს აგვისტოს დამდეგს ცხინვალის ერთადერთი ქართული გაზეთი აუწყებდა მკითხველს. ვრცელ საგაზეთო მასალაში „ანდრე ჟიდი სტალინირში“ მითითებულია, რომ „24 ივლისს ქ. სტალინირში ჩამოვიდა საფრანგეთის დიდი მწერალი ანდრე ჟიდი. ანდრე ჟიდთან ერთად ჩამოვიდნენ საფრანგეთის მწერლები: დაბიტი, გიუიო, ჰოლანდიელი პოეტი ჟივ-ლოსტი და ქართველი მწერლები: დემეტრადე, მამაშვილი, ლორთქიფანიძე, ტ. ტაბიძე და სხვ.

სტალინირში მწერლებს შეეგებნენ: სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარე ი. ჯიოევი, განსახკომი - ს. ყულაევი, საქართველოს რესპუბლიკის მწერალთა კავშირის სამხრეთ-ოსეთის განყოფილების თავმჯდომარე ჩ. ბეჯიზათი, სტალინირის პიონერები და მშრომელი მოსახლეობა.

ანდრე ჟიდმა ორ საათამდე დაჰყო სტალინირში. ჯიჯოევთან, ბეგიზოვთან და ყულაევთან საუბრისას გაეცნო სამხრეთ-ოსეთის სამეურნეო და კულტურული ფრონტის მიღწევებს“ [12].

როგორც ზემოთ მივუთითეთ, საბჭოთა სივრცის ახლოს გაცნობით გამოწვეულმა შოკმა რადიკალურად შეცვალა ჟიდის წარმოდგენა-შეხედულებანი. საბჭოთა ადამიანზე გაკეთებულ პორტრეტში იგი წერდა: „Малейший протест, малейшая критика могут навлечь худшие кары, впрочем, они тотчас же подовляются. И не думаю, чтобы в какой – либо другой стране сегодня, хотя бы и в гитлеровской Германии, сознание было бы так несвободно, было бы более угнетено, более запугано (терроризировано), более поработщено“ [13].

მიუხედავად მსგავსი შთაბეჭდილებებისა, ქართველი ხალხის გულდია და ალალი მასპინძლობით აღფრთოვანებულ მწერალს ეკუთვნის შემდეგი სტრიქონები: „მენანება, რომ ვტოვებ ეგზომ მშვენიერ ქვეყანას და ჩემში წარუშლელი იქნება მისი ხსოვნა, აღსავსე მისი და იმ მიღების მწვავე მოგონებით, რომელიც აქ მომიწვევს...“ [14]

ანდრე ჟიდის თქმით, მისი მოგზაურობა საქართველოში გახლდათ ერთ-ერთი ულამაზესი მთელს მის ცხოვრებაში [15] და მაინც, საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების შემდეგ გამოცემული „სსრკ-დან დაბრუნება“ იმდენად ანტისაბჭოური გამოვიდა, რომ წინა პერიოდის საბჭოთა პრესისაგან განსხვავებით [16], საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის ეს ფაქტი მეხის გავარდნას დაემსგავსა. ჟიდის წიგნები აიკრძალა, მისი სახელის ხსენებაც კი სახიფათო გახდა. მის შესახებ საბჭოთა მედიასაშუალებებში [17] ათასგვარი შეურაცხმყოფელი ტექსტი იბეჭდებოდა და ა. შ.

სამწუხაროდ, ამ საინფორმაციო ფრონტში ჩართული იყო ქართული მედიაც. მაგალითისთვის შეიძლება დავსახელოთ ვ. მგალობლიშვილის „იუდას ამბორი (ანდრე ჟიდის ცილისწამება სსრ კავშირზე)“ [18, 19], „ანდრე ჟიდს - მოლაღატეს“ [20], „ანდრე ჟიდის სიცილი და ცრემლები (ანდრე ჟიდის ცილისწამება საბჭოთა კავშირზე)“ [21] და ა.შ.

გარდა თხზულებისა „სსრკ-დან დაბრუნება“ საყურადღებოა ანდრე ჟიდის შემდეგი ნაწარმოებები: „ჭაობები“, (1895) „მიწიერი კერპები“ (1899), „ცუდად მიჯაჭვული პრომეთე“ (1899), „იმორალისტი“ (1902), „ვიწრო კარიბჭენი“ (1909), „ვატიკანის მიწისქვეშეთი“ (1914), „ცოლების სკოლა“ (1929), „ჟენევიევი“ (1936). XX საუკუნის 20-იან წლებში ჟიდის აფრიკაში მოგზაურობის შედეგად დაიწერა: „მოგზაურობა კონგოში“ (1927), „ჩადიდან დაბრუნება“ (1928). მეორე მსოფლიო ომის დროს ტუნისში ცხოვრებისას შეიქმნა მისი უკანასკნელი დიდი ნაწარმოები „თეზევსი“.

ღრმა და მხატვრული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებისათვის, რომლებშიც ადამიანური პრობლემები გადმოცემულია ჭეშმარიტების უშიშარი სიყვარულით და უღრმესი ფსიქოლოგიური წვდომებით, 1947 წელს ანდრე ჟიდს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. მისი ზოგიერთი წიგნი თარგმნილია ქართულ ენაზე [22].

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტური იდეებით გატაცებულ ანდრე ჟიდს, რომელიც გორკის [23] დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში იტყვის „В наших умах судьбу культуры мы связываем с СССР. Мы будем его защищать“ [24], საბჭოთა სივრცის ახლოს გაცნობისთანავე იმედები გაუცრუვდა. მოგვიანებით, აქაურობასთან შედარებით ჰიტლერულ გერმანიასაც კი შვების ადგილად მიიჩნევს და შიშით ადევნებს თვალს გაუსაძლის გარემოში საშიში საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბების პროცესს.

უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურული დატვირთვის მატარებელი გახლდათ ჟიდის საქართველოში სტუმრობის ფაქტი. მწერალმა მოინახულა საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, გაეცნო ქართულ კულტურას, ქართველ მწერალთა ერთ-ერთ მოწინავე ნაწილს, მოიხიბლა უმშვენიერესი ბუნებით და ცხოველ მოგონებად გაიყოლა ფიქრი კავკასიის მთებში ჩაკარგული პატარა, ულამაზესი ქვეყნის შესახებ.

ლიტერატურა და შენიშვნები:

1. <http://www.gutenberg.ca/ebooks/gide-urss-00-h.htm>
2. <http://www.pseudology.org/chtivo/fromUSSR.htm>
3. <http://www.pseudology.org/chtivo/fromUSSR.htm>
4. <http://www.pseudology.org/chtivo/fromUSSR.htm>
5. <http://www.pseudology.org/chtivo/fromUSSR.htm>
6. <http://www.pseudology.org/chtivo/fromUSSR.htm>
7. <http://www.pseudology.org/chtivo/fromUSSR.htm>
8. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, VII;
9. <http://www.pseudology.org/chtivo/fromUSSR.htm>
10. <http://www.pseudology.org/chtivo/fromUSSR.htm>
11. <http://www.pseudology.org/chtivo/fromUSSR.htm>
12. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1936, 4/VIII;
13. <http://www.pseudology.org/chtivo/fromUSSR.htm>

14. გამოთხოვება საქართველოსთან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, №12;
15. გამოთხოვება საქართველოსთან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, №12;
16. საილუსტრაციო. იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1935 №176;
17. ა) Смех и слезы Андрэ Жида (Клевета Андрэ Жида на СССР) газ. „Правда“, 1936, 3/ХІІ; б) газ. „Заря Востока“, 1936, ХІІ, №284;
18. გაზ. „კომუნისტი“, 1936, ХІІ, №287;
19. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1936, ХІІ, №289;
20. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, ХІІ, №21;
21. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, ХІІ, №21;
22. ქართულ ენაზე თარგმნილია ანდრე ჟიდის შემდეგი ნაწარმოებები: „ხელოვნების საზღვრები“ (1901), „ყალბი ფულის მჭრელები“ (1925) და სხვ.
23. მაქსიმ გორკი (ალექსანდრე მაქსიმეს ძე პეშკოვი), თვითნაკითხი რუსი მწერალი. იმყოფებოდა თბილისში (1891), მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოში. გარდაიცვალა 1936 წლის 18 ივნისს მოსკოვთან ახლოს.
24. <http://www.pseudology.org/chtivo/fromUSSR.htm>

NOBEL-PRIZEWINNING FRENCH WRITER AND GEORGIA
Aleksandre Mghebrishvili, Gori State Teaching University, Professor
RESUME

An Artistic heritage of Andre Paul Guillaume Gide is a particular line of considerable number of readers. His earlier works have effect of symbolism, also anarchist feeling is not unknown for him and his novel “Swamps” is a model of French Literature Modernism.

Andre Gide’s interests for communism were eventually ended up after his travelling in the Soviet Union. His conclusions in this direction were gathered in his book “Return from the USSR”. After facing soviet ideals closer, the disappointed writer thought that soviet man was becoming a dangerous one because of the pressure and lack of free ideas.

In the above-mentioned work of Andre Gide, a special part is given to Georgia. In June 1936, together with his companions (Lui Guio, Ejen Dabi, Shiprini) he visited Tbilisi. The guests were treated by Georgian writers: Aristo Chumbadze, Titsian Tabidze, Konstantine Lortkipanidze, Ioseb Grishashvili and others.

Among his visits in Georgia Gide had a special visit in Gori

Andre Gide’s visit in Tskhinvali is especially interesting for us. In early August 1936, this information was given to Georgian readers through the only Georgian newspaper in Tskhinvali. In a large newspaper article “Andre Gide in Stalinir” was written that on the 24 July of the same year Gide visited Tskhinvali together with his companion writers (Dabiti, Giuio, Dutch poet – Jiv-Lost and Georgian writers: Demetradze, Mashashvili, Lortkipanidze, T. Tabidze and others).

In Stalinir the writers were met by: I Jioev – The head of Central Executive Committee of South Ossetia, S. Kulaev – the member of Public Commission of Education, Ch. Bejizati – the Head of the department of South Ossetian Writers’ Union of Georgian Republic and others.

Admired by Georgian people’s sincere treatment the writer said these words “It’s so pity that I am obliged to leave such beautiful country; I will always remember it, I will never forget such hospitality...”

The book “Return from the USSR” published after returning from the Soviet Union was so anti-soviet that it was like a thunder for Soviet authorities. Gide’s books were banned; even mentioning his name was dangerous. Many insulting texts were printed in Soviet mass media.

Unfortunately, Georgian media was also engaged in that information front.

In 1947, Andre Gide was given a Nobel prize in literature for his most artistic and significant works. Some of his books are translated in Georgian Language as well.

Thus, Andre Gide, absorbed in socialist ideas, was very disappointed after seeing the soviet world closer. Later, he keeps watching the process of formation of Soviet men in such terrible atmosphere with fear and thinks that Germany is even a better place compared with that soviet one.

Gide’s visit in Georgia was a very important cultural event. The writer visited a lot of places in Georgia, saw Georgian culture, met different Georgian writers, was admired by beautiful Georgian nature and kept memories in his mind about this wonderful land.

ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ლიტერატურულ-კულტურული და პოლიტიკური ასპექტები

ალექსანდრე მღებრიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ოსთა წარმოშობის საკითხით სხვადასხვა დროს XIX საუკუნის არაერთ რუსულენოვან წყაროს გამოუხატავს დაინტერესება. მაგალითად, სახელწოდებიდან („ორ“, „ირონ“) გამომდინარე ირანულენოვან ტომებთან მათ საერთო ფუმეზე მიანიშნებდა ბარონი უსლარი: "Осетины или, лучше сказать оссы, сами себя называют иронами, название, происходящее несомненно от одного корня с иранцами..." [1].

განსხვავებული მოსაზრება გააჩნია ა. ანდრეევს, რომლის თქმითაც ამ პერიოდის კავკასიაში (მხედველობაში გვაქვს XIX ს. - ა. მ.) ოსები ყველაზე უფრო შესწავლილ ხალხთა რიცხვს მიეკუთვნებიან: "Они составляют одну из наиболее изученных национальностей на Кавказе. Однако, известностью этой они обязаны не своему могуществу, а скорее тем различным теориям, которыми ученые пытались объяснить происхождение и родственные связи этих горцев. Кто видел в них алан; кто - представителей арийского племени, братьев германцев и персов; кто - азов, родственных тем, которые переселились в Скандинавию; кто, наконец - семитов... Однако, разнообразие их типов, варьирующих от идеально красивых до отвратительно безобразных, приводит к тому заключению, что осетины - национальность смешанная, заключающая в себе грузин, армян, кабардинцев, татар. Вообще, по красоте они стоят гораздо ниже всех других племен Кавказа: они - угловаты, неуклюжи, у них нет того чарующего взгляда, того благородства в лице, той стройной походки, которыми отличаются черкесы и кабардинцы..." [2].

მკაცრი კლიმატური პირობები და მცირემიწიანობა იყო ის ძირითადი ფაქტორები, რაც განაპირობებდა ოსთა თანდათანობით ჩამოსახლებას ბარის მიმართულებით. სამხრეთის კალთებზე ჩამოვაკებულ ოსთა უმრავლესობა სწავლობდა ქართულს და ხდებოდა მათი ქართულ მოსახლეობასთან შერევა.

შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ოსთა მიერ ავანაკობისა და მმარცველობისაკენ მიდრეკილებისა გახლდათ საერთო სიღარიბე, რაც სხვადასხვა სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზთა გამო გახლდათ გაპირობებული. საგულისხმოა, რომ ხასიათში და ყოველდღიურობაში გამჯდარი ეს თავისებურებანი განსაკუთრებულად აისახა ოსთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში. ა. ანდრეევსის სიტყვით რომ ვთქვათ: ოსთა რელიგია - ეს ქრისტიანული, ისლამური და წარმართული შეხედულებების და რიტუალების წარმოუდგენელი ნარევი [3].

"Малоземелье было причиной того, что часть осетин перешла на южный склон Кавказского хребта, покинутый грузинами, спустившимися ниже, в места, где население сделалось редким от непрерывных опустошений. Там они, поселившись на помещичьих землях, сделались из свободных людей крепостными, выучились по-грузински, а у предгорий даже совсем смешались с грузинами.

Бедность развила в осетинах склонность к грабежу и убийствам (осетинская пословица говорит: "что находим на большой дороге, то нам послано Богом"). Замкнутая жизнь и редкие сношения друг с другом породили гостеприимство, общее всем горцам, а отсутствие всякой гражданственности заставило прибегать к личной расправе, породившей кровомщение, которое бывало иногда причиною ужаснейших злодеяний" [4].

როგორც ზემოთ მიუთითებდით, ქურდობისა და მმარცველობის ხასიათში გამჯდარი თავისებურებანი ძალზე საინტერესოდ აისახა ოსთა, როგორც ეთნოგრაფიულ წარსულში, ისე მათ რელიგიურ წარმოდგენებშიც. ვფიქრობთ, საილუსტრაციოდ იმის გახსენებაც იკმარება, რომ ოსეთში XX საუკუნემდე მოიპოვებოდა ქურდების, ყაჩაღების, მკვლელების მფარველი ღვთაებების არსებობის ფაქტები. მაგალითად, ფართოდ გახლდათ ცნობილი ალაგირის თემში მდებარე შავი მხედრის ჯვარის (Саубар) ღამის თავგადასავალთა მამიებლების, მპარველთა და მოძალადეთა მფარველი ღვთაების სახელი. არანაკლები პოპულარობით გამოირჩეოდა მკვლელთა მფარველი ჯვარ-სალოცავი „ფარინჯი ძუარ“ და ა.შ.

ყოველივე ამას ერთვოდა დაბალი სოციალური ფონი, განვითარების დაბალი საფეხური და განათლების დონის მკვეთრად გამორჩეული ჩამორჩენილობა. ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლების, მათი ქართულ კულტურასთან, ტრადიციებთან ზიარების და ზოგადად ქართველ ხალხთან შერევის დაწყებისთანავე ზემოთ ჩამოთვლილ ხარვეზთა თვალშისაცემი გამოსწორება უცხო თვალისთვისაც კი არ დარჩენილა შეუმჩნეველი.

"Масса осетин была безграмотна, погрязала в суевериях. У осетин, живших в горных тущобах, даже заключенные договоры отмечались на бирках, вместо летописей служили звериные головы и рога, которые привешивали в память к домам и молельням. Только в Южной Осетии, поддерживавшей сношения с Грузией, попадались грамотные люди. Для религиозно - нравственного просвещения народа нужно было позаботиться о переводе на осетинский язык Евангелия, богослужебных книг и пр. Одни старались применить к делу церковно славянский алфавит, другие - грузинский..." [5].

ქართველთა და საქართველოში მცხოვრებ ოსთა თანაცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, შეიძლება ითქვას, ბოლშევიკური რუსეთის ასპარეზზე გამოსვლამდე ოსთა შორის არანაირი სეპარატისტული ზრახვები არ არსებობს. პირიქით, XIX საუკუნის დასაწყისში ისინი ერთგულად დგანან ქართველ ბატონიშვილთა გვერდით და მათ მხარდამხარ იბრძვიან რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ.

"Среди осетин начались (ავტორს მხედველობაში აქვს XIX საუკუნის პირველი მეოთხედი - ა. შ.) возмущения, выражавшиеся иногда дерзкими нападениями на самую войска, при следовании их по военно-грузинской дороге. Это вызвало ряд военных экспедиций в горы" [6].

ოსთა შესახებ საგულისხმო ცნობები აქვს მოპოვებული დ. ლავროვს. მას შემდეგ, რაც ოსთა თავდაპირველი წარმოშობის წყაროდ ირანულ ტომებს ასახელებს, ლავროვი ვრცლად საუბრობს ოსთა ერთგულებაზე ქართველ ბატონიშვილთა მიმართ და მათ მიერ რუსეთის სამხედრო ნაწილებზე განხორციელებული თავდასხმების შესახებ.

"По тем или другим причинам, но грабежи и разбои, затихшие на некоторое время, стали повторяться теперь чаще и чаще. Хищники стали нападать уже не только на частных проезжих, но и на военные команды, военные транспорты и т. п." [7].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ აჯანყებულ ოსებთან გამართული მოლაპარაკებების ერთ-ერთ მთავარ ფიგურად ავტორის მიერ დასახელებულია აზნაური იალღუძე, ხოლო მოვლენათა ცენტრად მოხსენიებულია ცხინვალი.

"В период этих смут не малую услугу русским властям по уговариванию и усмирению этих бунтовавших в Южной Осетии лиц оказал осетинский дворянин Ялгуидзе. Главным центром как русских властей по управлению южными осетинами, так и вообще района событий Южной Осетии, было сел. Цхинвал, по среднему течению притока Куры - Лияхвы" [8].

იმ უამრავ საგულისხმო ცნობათა შორის, რომლებიც XIX საუკუნის რუსულ წყაროებშია დაცული და ხსენებული მოვლენების ნათლად წარმოდგენას უწყობს ხელს, სადღეისოდ ერთ-ერთი მათგანის წარდგენა გვსურს მკითხველის წინაშე, რომელიც ცხინვალის მისადგომებთან ოსთა შეიარაღებული რაზმების რუსულ ნაწილებზე თავდასხმას ასახავს. ეს და სხვა მსგავსი ღონისძიებანი მიზნად ისახავდნენ საქართველოში რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას და საქართველოს სამეფო სახლის კანონიერ უფლებებში აღდგენისათვის ხელშეწყობას.

"Дальнейший путь от сел. Роки к Цхинвалу не представлял уже особых затруднений, за исключением первых 5-7-ми верст, где Лиахва мчится в лесистой теснине. Отряд шел без всяких военных предосторожностей. Люди безпечно брели в разсыпную, ведя лошадей в поводу. Человек 40 отделились и шли впереди. Вдруг, в самом узком месте, бросились на них осетины. Передовые были отрезаны и взяты в плен. Застигнутые врасплох, казаки бились в одиночку среди густого леса и понесли полное поражение. Из полка в 7 офицеров и 442 человека было убито и пропало без вести 3 офицера и 158 казаков; из остальных - 1 офицер и 100 человек спаслись без лошадей, но с оружием, а 3 офицера и 184 казака и без лошадей и без оружия. Из числа 69-ти человек рекрутской партии спаслось только 38, а заведывавший ими офицер и 58 человек погибли. Пропали также все до одной казачьи лошади и весь вьючный обоз полка" [9].

სამწუხაროდ, ქართულ-ოსურ პოზიტიურ ურთიერთობათა შენარჩუნება ვერ მოხერხდა გასული საუკუნის დამდეგისათვის. როდესაც საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და 1918-1921 წლებში დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, ბოლშევიკური რუსეთის დიდი ძალისხმევითა და აქტიური მეცადინეობით დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ქართლში დასახლებულ ოსთა რამდენიმე შეიარაღებული გამოსვლა მოეწყო.

მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან არაერთი დათმობისა, ოსები კიდევ უფრო მეტს მოითხოვდნენ და კვლავ აგრძელებდნენ ბრძოლას. ოსების მიერ საქართველოს კუთვნილ მიწა-წყალზე ავტონომიური ერთეულის მოთხოვნა შეიარაღებული აჯანყების ფონზე მიმდინარეობდა. ცხინვალისა და ჯავის რაიონებში მცხოვრები ოსები იარაღით ხელში გამოვიდნენ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. აჯანყება დაიწყო 1918 წლის 14 მარტს სოფელ ერედვში. 18 მარტს აჯანყებულებმა დაბა ცხინვალი აიღეს და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ოსებმა წამებით მოკლეს გიორგი მაჩაბელი, სანდრო კეცხოველი, პეტრე ეფრემიძე, კოსტა ყაზიევი, კოტე ცერცვაძე. მათ მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, არარსებული „სამხრეთ

ოსეთის“ გამოყოფა საქართველოდან და საბჭოთა რუსეთთან შეერთება. 1920 წლის 8 მაისს, სოფელ როკში ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს, ხოლო საბჭოთა ოსეთი რსფსრ შემადგენელ ნაწილად აღიარეს. აჯანყებულთა დასახმარებლად ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოვიდნენ ის რაზმები, რომლებიც აქ შიდა ქართლში ოსთა 1919 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ გადავიდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, რომლის სათავეში ვალიკო ჯუღელი იყო, აღკვეთა ოსთა გამოსვლები.

რუსეთის უხეში ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში ნათლად გამოიკვეთა 1920 წლის 17 მაისის რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ჩიჩერინის მიერ საქართველოს მთავრობისადმი გამოგზავნილი ნოტით. ნოტის შინაარსი ასეთი იყო: „ჩვენ შემფოთებით გავიგეთ, რომ „სამხრეთ ოსეთში“, სადაც გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკა, ასეთი ხელისუფლების მოსპობისათვის გაგზავნილია ქვეითი ჯარები. თუ ეს სწორია, ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ გაიწვიოთ თქვენი ჯარები ოსეთიდან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ოსეთს ისეთი ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორც სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნებოდა სრულიად გაუმართლებელი ჩარევა უცხო საქმეებში“ [10].

აღნიშნულ ნოტას, ბუნებრივია, მკვეთრი რეაქცია მოჰყვა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. იმავე წლის 20 მაისის საპასუხო ნოტაში ნათქვამია, რომ “საქართველოს ფარგლებში „სამხრეთ ოსეთი“ არ არსებობს, არამედ საქართველოს ფარგლებში არსებობენ ოსური სოფლები, რომლებიც მდებარეობენ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში, ეს სოფლები შეადგენენ საქართველოს უდავო ტერიტორიას... ეს ტერიტორია ხელშეკრულებით შედის საქართველოს საზღვრებში და იქ სხვა ხელისუფლება, გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისა დაუშვებელია“ [11].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-რუსეთს შორის 1920 წლის მაისში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად რუსეთი სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და იღებდა ვალდებულებას მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობასთან დაკავშირებით, უკვე მომდევნო წლის ქართული პერიოდული პრესა წერდა: „საბჭოთა მთავრობას ერთი ფრიად დამახასიათებელი თვისება დაჰყვა თან: კაცმა არ იცის, როდის აიღებს იგი იარაღს იმის წინააღმდეგ, ვისაც ხელშეკრულებით ეკვრება. ეტყოდა პირობას იმიტომ სდებენ, რომ არ აასრულონ და წინდაწინვე არიან დარწმუნებულნი ამაში“ [12].

აკი ასეც მოხდა. რუსეთის მიერ ქვეყნის ანექსიის შედეგად 1921 წლის 25 თებერვალს დამოუკიდებელმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეწყვიტა არსებობა და საბჭოთა რუსეთს შეუერთდა.

ამრიგად, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა კვლევისას ნიშანდობლივია, რომ ოსური სეპარატიზმი ბოლშევიკური რუსეთის წიაღში აღმოცენებული მახინჯი რეალობის შედეგია. საქართველოში მცხოვრებ ოსთა ქართულ მოსახლეობასთან ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე ამ ორი ერის ურთიერთანაცხოვრების უამრავი ნათელი ფურცლის დამადასტურებელი მაგალითები მრავლად იკითხება როგორც საქართველოს ისტორიის, ასევე უცხოელ ავტორთა უამრავი თხზულების სტრიქონებში. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი შევახსენეთ მკითხველს. ამ ურთიერთობების ტენდენციურად, ცალმხრივად შეფასება, რაც ყალბ ისტორიულ ფაქტებს ეფუძნება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად, დაუშვებელი და ყოვლად უშედეგო მცდელობაა.

ლიტერატურა:

1. П. К. Услар, Древнейшія сказанія о Кавказе, Тифлис 1881, ст. 327;
2. А. П. Андреев, От Владикавказа до Тифлиса, Тифлис 1895, ст. 78-79;
3. А. П. Андреев, От Владикавказа до Тифлиса, Тифлис 1895, ст. 87;
4. М. Владыкин, Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу, часть I, Москва 1885, ст. 187;
5. П. Надеждин, Опыт географіи Кавказскаго края, Тула 1891, ст. 113;
6. А. П. Андреев, От Владикавказа до Тифлиса, Тифлис 1895, ст. 80-81;
7. Д. Лавров, заметки об Осетии и осетинах, Тифлис 1883;
8. Д. Лавров, заметки об Осетии и осетинах, Тифлис 1883;
9. Утвержденіе русскаго владычества на Кавказе, Том I, (Под руководством начальника штаба Кавказскаго военнаго округа генерал-лейтенанта Н. Н. Більявскаго; под редакціей генерал-маіора Потто), Тифлис 1901, ст. 173;
10. <http://expertclub.ge>;
11. <http://expertclub.ge>;
12. გაზ. "სახალხო საქმე", 1921, 3/II;

LITERARY-CULTURAL AND POLITICAL ASPECTS OF THE GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS

Aleksandre Mghebrishvili, Gori State Teaching University, Professor
RESUME

Different Russian sources expressed their interest towards the origin of the Ossetian people in the XIX century.

The ethnographic and religious past reflects robbery and burglary peculiarities of the Ossetians. There are some facts of existence the protector idols of robbery, theft, and murder. For example, the name of the protector idol of the night adventurers of the Cross of the Black Rider, protectors and violators located in Alagiri community. "Parinji Dzuar" the protector of scholars and other cross-chapel were even more popular.

During the prolonged period of the Georgians and Ossetians cohabitation, till the interruption of the Bolshevik Russia, there was no separative intensions between them. On the contrary, at the beginning of the XIX century together with the Georgian nobles they struggled against the Russian tsarism.

Unfortunately, till the previous century it was difficult to maintain Georgian-Ossetian positive relationship. When Georgia declared sovereignty and became a democratic republic in 1918-1921, the Bolshevik Russia organized several armed meetings of the Ossetians living in Kartli region against Georgia.

In spite of several compromises of the authority of the Georgian Democratic Republic, the Ossetians demanded more and continued struggling.

The armed forces of the Georgian Democratic Republic led by Valiko Jugheli, suppressed Ossetians' protesting meetings.

During the research of the Georgian-Ossetian relationship, it is obvious that the Ossetian separatism was caused by the ugly reality risen from the entrails of the Bolshevik Russia. In the Georgian history and also in the compositions by foreign authors there are lots of documents reflecting Georgian-Ossetian relationship through the years. Only a few of them were shown to the readers. This relationship must not be evaluated as tendentious and unilateral which is based on the false historical facts and aims to entice society and is totally a vain attempt.

ლექსიკის კონოტაციურობის ამპლიტუდა ქართულ იუმორისტულ ტექსტში

მერაბ ნაჭყებია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: m.nachkebia@gmail.com

მანანა ტაბიძე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: mananatabidze@gmail.com

„არაფერი კლავს ხუმრობას ისე,
როგორც ლინგვისტური ანალიზი.“

ნებისმიერ ენას და ცხადია, ქართულსაც, ულვეი საშუალებები აქვს ტექსტის იუმორისტული კონოტირებისათვის. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ იუმორისტულობის მისაღწევად მრავალი ხერხის გამოყენება შეიძლება (გამოსახულება, პანტომიმა, მოქმედების სხვადასხვა ფორმა, ზგერითი და სხვ.). ჩვენთვის საინტერესოა ე.წ. ლინგვისტური იუმორი, რომლის კვლევა ქართულში დღემდე ლიტერატურისმცოდნეობითი სფეროს საკუთრება უფროა, ვიდრე ენათმეცნიერებისა. თუმცა ასე არაა სხვა ქვეყნებში, სადაც იუმორიზების ლინგვისტური საშუალებების შესწავლა ადამიანისმცოდნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევა და ეს ასეც უნდა იყოს.

მიიჩნევა, რომ იუმორი ყველაზე ნაციონალური მოვლენაა ენისშიდა სოციალურ შრეთა შორის, რამდენადაც მას ყველა სხვა სოციალურ სამეტყველო სისტემაზე მეტად ახასიათებს ორაზროვნება, სიტყვებით თამაში, კალამბური, ასოციაციური ცდომილებები, მაღალი იდიომურობა, ტროპულობა და ამის პარალელურად დეიდომპატიზაციის პრაქტიკა, რაც მოითხოვს ეთნიკურ-ენობრივი კოლექტივის იდენტობის ყველა ასპექტის ზედმიწევნით ცოდნასა და ფლობას. თუმცა იუმორს ინტერნაციონალური ბუნებაცა აქვს. ენობრივი მასალა იუმორისტული კონოტაციის თვალსაზრისით უფრო ინტერნაციონალურია წერილობითი ვერსიის სახით, ვიდრე – ზეპირისა. რადგან წერისას ძირითადი

ყურადღება გადატანილია ტექსტის სემანტიკურ მხარეზე, იგი უფრო გააზრებულია, ნაკლებ ექსპრომტული (ნაკლებ ფოლკლორული) და, შესაბამისად, მეტად ითვალისწინებს მრავალფეროვან აუდიტორიას. რაც შეეხება ე.წ. ზეპირ იუმორს, მას ახასიათებს კომუნიკაციურობის მაღალი ხარისხი, იმპროვიზაციულობა, ექსპრომტულობა, ინტონაციური მგრძობიარობა, მეტი თავისუფლება ლექსიკა-ფრაზეოლოგიის შერჩევაში, კონკრეტული საკომუნიკაციო გარემოს მაქსიმალური გათვალისწინება.

ეს მსჯელობა ზოგად საუბრად რომ არ დარჩეს, შევეცდებით განვიხილოთ ენობრივი იუმორის (ე.წ. ლინგვისტური იუმორის) ცალკეული შემთხვევა და განვსაზღვროთ, როგორ, რა საშუალებებით მიიღწევა ენაში ირონიული, იუმორისტული, სატირული კონოტაციები და რა გამოცდილება აქვს ამ მხრივ ქართულს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციურ საზოგადოებას აერთიანებს ის, რომ საგნებსა და მოვლენებს ერთგვაროვანი მნიშვნელობები და შინაარსი ენიჭება, ანუ არსებობს ერთიანი ფონური ცოდნა ამა თუ იმ საგანსა თუ მოვლენაზე. ამ ფონური ცოდნიდან ყველა ცდომილება ან გაუგებრობის მიზეზი ხდება ან - კომიკური სიტუაციის წარმოქმნისა. სწორედ მნიშვნელობათა აღრევა ხდის კონტექსტს სასაცილოს. ეს კონტექსტი კი ხან შემთხვევით წარმოიშობა, ხან – გააზრებულად.

იუმორის ენის შესწავლა პრაქტიკულად შეუძლებელია ლინგვისტური პრესუპოზიციის ფაქტის გათვალისწინების გარეშე. კერძოდ, პრესუპოზიცია გამონათქვამის აზრობრივი კომპონენტია, რომელიც აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ჭეშმარიტებას, რათა გამონათქვამი სემანტიკურად ნორმალურად იქნას მიჩნეული და შესაბამისი იყოს მოცემული კონტექსტისათვის. სწორედ **პრესუპოზიციური დაშვების მოხსნა** იძლევა კომიკურობის ეფექტს.¹

იუმორი და ირონია (სასაცილო შენიღბულია სერიოზულობით), ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ მათ განასხვავებს სიცილის ობიექტისადმი დამოკიდებულება: იუმორი პოზიტიურადაა განწყობილი სასაცილოს მიმართ (თუმცა არსებობს ე.წ. შავი იუმორიც), ირონია კი – ნეგატიურად. თუმცა ირონიის უკიდურესი აგრესიულობა უკვე ირონია კი არა, სარკაზმია. ირონიის სახეებში განიხილება პაროდირება, გამოჯავრება, კალამბური, კომიკური მიდგომა და სხვ. კომიკურობის სახეობაა სატირაც, დაცინვის მწვავე, ენამწარე ფორმა.

ლინგვისტიკისათვის განსაკუთრებულად საინტერესოა სიცილისა და დაცინვის ხარისხების ამსახველი ლექსიკა, ქართულში ამ ლექსიკის არასრული სია ასე გამოიყურება: დაცინვა, ენაკვიმატობა, ენამწარეობა, გონებამახვილობა, ქილიკი, მასხრობა, მასხრად/მასხარად აგდება, კაფია, შაირი, თავსიცილი, სასაცილოდ აგდება, სიცილის დაყრა, აბუჩად აგდება, გაბასვრა, გამასხარავება, გაკენწვლა, გაქიქება, გაქირდება, გაკილვა, კბილქვემ მოტანა, აბუება, გატრიზავება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „სიცილის“ განმარტებისას რამდენიმე სინონიმურ ერთეულსაც ასახელებს: სიხარულის, მხიარულების, კმაყოფილების... გამოხატვა სპეციფიკური წყვეტილი ხმებით, რომელთაც თან ახლავს ხშირი და ძლიერი ამოსუნთქვა. „სიცილი მოერია. – ხალხს **სიცილი წასკდა...**“ (ილია). „ჩვენ ერთმანეთს მუჯღლუგუნნი წავკარით და **სიცილი აგვიტყდა**“ (ა. ბელიაშვილი). „მასპინძელო! – სიცილით თქვა, – **წახდა ჩემი ხუმრობაო!**“ (აკაკი). „...თოხნიდნენ **სიცილით და ტკარცალითა**“ (გ. ლეონიძე). სიცილით კვდება (იხოცებიან, დაწყდებიან...) **სიცილით დახოცავს** (დაწყვეტს)... **სიცილს დააყრის** (მიაყრის...)... **სიცილს იკავებს** (იჭერს, იმაგრებს) ცდილობს არ გაიცინოს. **უნებურად ეცინება**. „ილია **სიცილს ვეღარ იჭერდა** ამ საღამოს“ (მელან.). „მეც **სიცილი ვეღარ შევიმაგრე**“ (ჭ. ლომთათიძე). **სიცილად არ ეყოფა, სასაცილოდ აიგდებს**, დასცინებს. „ვისაც ვეტყვი, დამცინებს, ჯალაბსაც-კი **სიცილად არ ვეყოფი**“ (ილია). „**სიცილად არ ეყო** ეს ამბავი“ (ი. გოგებაშვილი).

ამავე რიგისაა: ხუმრობა, ოხუნჯობა, ხუმრობის გარეშე, ხუმრობა იქით იყოს ხუმრობაში გატარება, ხუმრობაში [ჩა]ატარებს, ჩაუტარებს, გაატარებს იხ. იტარებს, ჩაატარებს, ჩაუტარებს, გაატარებს; ხუმრობაგაშვებით, ხუმრობანარევი, ნახევრად ხუმრობით ნათქვამი; ხუმრობა-სიცილი ...

ქართულ სალიტერატურო ენას იუმორისტული საშუალებების ამოუწურავ საზრდოს აწვდის ქართული დიალექტური სამყარო, სადაც ყოველ კუთხეს აქვს, ერთი მხრივ, დამახასიათებელი მეტყველება (გამორჩეული ინტონაციურად, ლექსიკურად, საყოფაცხოვრებო გამოცდილებით), მეორე მხრივ კი, სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა მიერ მეორე კუთხის თავისებურებათა შემჩნევისა და საკუთარ თავისებურებებთან შედარების (მსგავსებისა და კონტრასტირების) უნარი (მაგალითისათვის:

¹ პრესუპოზიცია ტექსტის კლასიკური მოდელის აგების პირობაა: ა) ის ითვალისწინებს გამონათქვამის ლოგიკურ მიმდინარეობას და ბ) იცავს გამონათქვამის პრაგმატიკულ გარემოს (ენა, სტილი, სიტუაცია და ა.შ.); პრესუპოზიციას ახასიათებს სიმყარე და კონვენციურობა (მაგრდება ენობრივ ერთეულზე).

„საციელი – რაც სიცილს იწვევს, სამხიარულო“; „ხუმარ-ხუმრ-, ხუმარ-ი ხუმრობა, მასხრობა, ხუნდრუცი, ხინდრიცი, ხუნტრუკი, გახუნტრუკდების...“ (ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი).

როდიდან ფიქსირდება ქართულ ტექსტებში იუმორისტული სემანტიკა და მისი განმსაზღვრელი ლექსიკა-ფრაზეოლოგია?

იუმორი კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარების პირველსაწყისთანვე ჩნდება და ადამიანის განვითარების მუდმივ თანმხლებს წარმოადგენს. ჩვენშიც იუმორს მრავალწახნაგა ბუნება და დიდი წარსული აქვს. ცხადია, წერილობით ძეგლებში იუმორის დამადასტურებელი მასალა უხვად მოიძებნება; თვით ისეთ ლიტერატურულ დარგში, როგორცაა ჰაგიოგრაფია, რომელსაც იმთავითვე მოსდგამს განსაკუთრებული სერიოზულობა და მკაფიო დამოკიდებულება გარემოსადმი (ტექსტური პრესუპოზიციით გამოხატული), შეიძლება დაიძებნოს იუმორისტული სიტუაციური ფრაგმენტები.¹ რაც შეეხება საერო ლიტერატურას, „ქართლის ცხოვრებიდან“ მოყოლებული მრავალია სათანადო ლინგვისტური საშუალებებით გაფორმებული იუმორისტული თუ ირონიული ფრაგმენტები. ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ მასალა ამ კუთხით საერთოდ ფასდაუდებელია და საგანგებო შესწავლას იმსახურებს.

რუსთაველის პოემაში პირველად ჩნდება იუმორისა და ირონიის სხვადასხვა კატეგორიებად დიფერენცირება-განხილვა. აქ იუმორი უკვე კონოტაციურ კატეგორიებადაა დანახული და შესაბამის ტექსტურ მასალაშია რეალიზებული; მაგალითად: ა) იუმორის ფუნქცია: „მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“; ან: „იგინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს“; ბ) შეხუმრება-ირონიზება: „ერთმანერთსა, თუ: „მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს, ამხანაგობდეს, ლაღობდეს, იქით და აქათ დგებოდეს.“ გ) მეტაფორული იუმორი (შეფარული ირონია) „მან მითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია: „ჩვენთა მგელთაცა დასჭამენ, ინდონო, თქვენი თხანია“. დ) შეხუმრება/ფამილარული იუმორი: „ვკვადროთ რამე სალაღობო, რასათვისმცა გაგვაწილა?“ ე) იუმორის სოციალური გარემო, სიტუაცია: „...თვითო აივსეს ჭიქები, მივლენ ქვევითა წყნართა, წინა მიუსხდეს მუხლ-მოყრით, პირითა მოცინართა. / ვაზირი ლაღობს ენითა, წყლიანად მოუბნართა...“ ე) იგავური ტექსტური იუმორი (მაგ.: „ჭაში ჩავარდნილის ამბავი“: ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა: /ორნი კაცნი მოდიოდეს სადაურნი სადმე გზასა, / უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა, / ზედ მიადგა, ჩაჰყიოდა, ტირს, იძახის ვაგლახ-ვასა“. / „ერე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე, /წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე“; / „მას ქვეშეთსა გაეცინა, გაუკვირდა მეტად კიდე, / შემოჰყივლა: „არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე?“); ვ) მწარე სიცილი: „ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუცა ცრემლსა ვერ იწურვებს: /- მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს!“ - / „ვინ, არ მისცემს ქადებულსა, მოურავსა მოიმდურვებს, / თქმულა: «ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა დაიურვებს““. (რუსთაველი, 2013)

ამ მიმართულებით კვლევა კვლავ გასაგრძელებელია და შედეგებიც, უდავოდ, საყურადღებო იქნება.

იუმორისტული კონოტაციის კლასიფიკაციას ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანთანაც, რომელიც თავადაც არის ავტორი იუმორით გაჯერებული მრავალი ტექსტური ოპუსისა. განსაკუთრებით დასაფასებელია მისი „სიტყვის კონა“, რომელშიც სიცილის სემანტიკური და კონოტაციური გრადაციებია წარმოდგენილი: „სიცილი – განყოფანი სიცილთასა ესე არს: ღიმილი არს სიცილი სიმშვიდით უკმო, ბაგეთა ოდენ შეეტყობოდეს; სიცილი არს მცირედ ჳმიანი და მდაბალი; კაშკაში არს სიცილი მაღალი და მოკდომილი; კასკასი არს სიცილი მრავალთაგან შეკმობილი; ღინცილი არს სიცილი მიწვივ უწესო; ხოლო ფრუსტუნი ვის არა ენებოს სიცილის გამოჩინება და ერთს საცინელს საქმეზედ წარსცინოს და მალიად დაიდუმოს.“ საბასთანვე ხუმრობა შემდეგნაირადაა განმარტებული: „ხუმრობა – წყლიანობა (ესე არს სიტყვა კეთილი და გამაცინებელი კაცთა; ხუმარი – მასხარა“ („მასხარა – სხუათა ენაა ხუმარი ჰქვან“), სიცილის (იუმორის) სოციალური მგრძნობიარობის შემჩნევაც ისტორიული ფაქტია; ისევე საბას რომ

¹ მაგალითისათვის: „მრავლით ჟამითგან არა მეხილვა მამად გრიგოლ, არამედ მასმიოდა, ვითარმედ ბრძენთაგან შეუცავი სიბრძნე მისი შეცვალებულ არს სიბერითაო. და პირველ სმენილი ვიხილე თვალითა. და შჯულისაცა მრავალთა სიტყვათა იტყოდა, რომელი არა შეჰგავს ერისკაცთა, რამეთუ იყო იგი ფრიად სიტყვახელოვან... რაჟამს განმხიარულდა გვარამ ღვინითა, მაშინ ეპისკოპოსთა მათ ერთობით თქვეს“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“); ასევე „აბოს წამებაში“ შემდეგი ეპიზოდები: „ახლა მეც მმართებს, რომ გავიდე საბრძოლველად ქრისტიანთა მტერთან და ქრისტეს გამო ჩემი სისხლის დანთხევით საცინლად ავიგდო იგი და ყველა ქრისტიანისთვის მოსამაგებელი გაგზადო, რადგან ეგონა მას, რომ სიკვდილის შიშით გამამორებდა მე ჩემი უფლის იესო ქრისტეს სიყვარულს, მაგრამ მე შევარცხენ მის განაზრახს, დავძლევ მას ქრისტესმიერი შეწევნით და გადავიხდი ჩემი უფლის ორმხრივ ვალს“. „უთხრა მას მსაჯულმა: „ამდენი რა სიტკბოება გაქვს შენი ქრისტესგან, რომ სიკვდილისთვისაც არ გებრალეუბა შენი თავი?“ უთხრა მას წმინდა აბომ: „თუკი გინდა შეიგნო სიტკბოება მისი, შენც იწამე ქრისტე, მოინათლე მისდამი და მაშინდა გახდები მისი სიტკბოების შეცნობის ღირსი“. („ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა“, 2013)

მივმართოთ, ვნახავთ, რომ „სილოდა ეს არს მივრალისა მიერ ხუმრობა, მასხარაობა, ზველვა, სიმღერა, როკვა...“ და სხვ. (ორბელიანი, 1928). ქართულში იუმორის ენა სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული კონტაქტებისა და შიდაპოლიტიკური განწყობილებების ცვლის შესაბამისად იცვლებოდა. შედარებით ადვილია დაკვირვება უფრო გვიანდელ მასალაზე. მეცხრამეტე საუკუნიდან კი ქართულ ენობრივ სივრცეში იუმორის სახეობრივი ოდენობა იზრდება, ენობრივ კონტაქტებს ე.წ. უცხო იუმორიც მოსდევს, თუმცა ქართული მწერლობა, რომელიც ამ დროსაც მკვიდრად კიდებს ხელს ეროვნული ცნობიერების დაცვის საქმეს და ამიტომაც ყოველივე უცხოს გაქილიკებას იწყებს, ძლიერდება სატირული განწყობები და სატირული ტექსტი ან ტექსტური ეპიზოდი საგანგებო ყურადღებას იქცევს (გაიხსენოთ: გ. ერისთავის სატირა ცუდ მოქართულეებზე, ილია, აკაკი და სხვ.)

იუმორისტული კონოტირების ლინგვისტური საშუალებებიდან ქართულში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ჯგუფები:

1. ფონეტიკური საშუალებები (ა) მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენებული ფონეტიკური ვარიაციები (მაშა, აკაკი კაკო კაკი, ვეჟო, ჩუპრი-ჩუპარ, ნე მოჟეტ ბიწ! და სხვ. ბ) ზეპირ მეტყველებაში (ჩოუსხდეთ, გოუიმასქნის, მილისია, მილისიას დაუძახებ...);
2. მორფოლოგიური საშუალებები (მორფოლოგიის ყველა პლასტი შეიცავს გადააზრებისა და ირონიზების შესაძლებლობას (მაგ., ზმნისწინის არადანიშნულებისამებრ გამოყენება: მოიპრანჭა, მიემგზავრა (შდრ. დაემგზავრა), ბეკინა სამანიშვილი **ერთობ გადაპრანჭული** აზნაური იყო; შექანებული...; ზმნის მრავლობითური ფორმები: ზის/სხედს, სხდომა/ჯდომა..., სიტყვაწარმოებითი საშუალებები (მაგ., კნინობითი ფორმები: ლხინიკო, ზურიკელა, ილარიონა, კომპოზიტები: ლოყაჩამობლოტილი, თეფშნახევარი, სულძაღლიანი, პატრონძაღლი და სხვ).
3. სინტაქსური საშუალებები (მაგ. მყარი შესიტყვების დაშლა: ველოდი მეხის გავარდნას და **მეხი გავარდა**), გავარდნილი ტყვია ვარ შენთვის..., უჩვეულო შესიტყვებები: ბებია **გაცუნცულდა** და მოიტანა არაყი, **ერთუჯრედიანი მოსწავლე** მყავს, **ტვინი აღრჭიალდა**, თავი **კიტრად** მოაქვს, კისრისტეხით გაიქცა, ენა მხარზე აქვს გადაგდებული, ფეხებს ზურგზე ირტყამდა, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, ყურები ჩამოყარა...)
4. ლექსიკური საშუალებები: ა) საკუთრივ ირონიული ლექსიკა: იკრიჭება, ჩაბჟირდა, ჩაკუჭკუჭა, ხარხარი და სხვ. ბ) ბარბარიზმები (როგორც ტექსტში იუმორისტული კონოტაციის გამოხატვის საშუალება (ზუზმატი რემენი, ზაპრავკა, სტაქნები, კურუმუკა და სხვ.)
5. სიტყვაშეხამებების (მყარი შესიტყვებების) არამეტაფორული წაკითხვა; მაგ.: რას იძლევიან? კარტოფილს (= ყიდიან), შემწვარი გოჭი ჩამოივლის (= სუფრაზე ჩამოატარებენ), ფეხსაცმელს არიგებენ (= ყიდიან), ენა მხარზე აქვს გადაგდებული (= ბევრს ლაპარაკობს); გავიდა გაღმა, მარილზე (=მოკვდა), სამარე ვარ (=არავის არაფერს ვეტყვი);
6. სიტყვათა ორზროვნების გამოყენება: ცოლი მონაპოვარია (მონა+პოვარი);
7. დიალექტიზმების მოხმარება იუმორისტული პერსონაჟის მარკირებისათვის და სხვ.

ქართულში იუმორის ენის კვლევის უდიდესი პოტენციალი არსებობს; ამგვარ კვლევებს აქვს ლინგვოკულტუროლოგიური, ანთროპოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ღირებულება.

ლიტერატურა:

1. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, <http://georgianweb.com/language/geo/shota/index.html>
2. ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?site=localhost&a=p&p=about&c=vertwo&l=ka&w=utf-8>
3. ორბელიანი ს.ს., ქართული ლექსიკონი, გამომც. ქართული წიგნი, ტფილისი, 1928.

THE AMPLITUDE OF VOCABULARY CONNOTATION IN GEORGIAN HUMOROUS TEXTS

Merab Nachkebia, Sokhumi State University, Professor

Manana Tabidze, St. Andrew the First-Called Georgian University of Patriarchate of Georgia, Professor

RESUME

There is a biggest potential of researching of humour language; this type researches have lingo cultural and anthropological and sociolinguistic value.

Humour connotation linguistical means in Georgia can be allocated in such groups as: morphological (each part of it includes the ability to reunderstanding and ironizing, syntax means, lexical means, non metaphorical reading of phraseology; using of dual meaning of words, using dialects, to mark the humorous character and etc. Georgian literal world is provided by dialectical language.

Humour has a big history, there is an obvious material in our literature, even in Hagiography. In secular literature as well since “Kartlis Tskhovreba” (Chronical of Kartli) we can meet fragments of humour decorated with needed lingual means. In this point of view “Vepkhistkaosani” (The Knight in the Panther’s Skin) is giving us invaluable material and has to be studied specially.

-ებ, -ევ სუფიქსთა განაწილებისათვის ქსნის ხეობის ტოპონიმიაში

ნიკოლოზ ოთინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ქსნის ხეობის და, საერთოდ, საერისთავოს შესახებ მოგვეპოვება ცნობები საისტორიო წყაროებში, სხვა სახის დოკუმენტებში, ეპიგრაფიკულ წარწერებში, სიგელებში და სხვა.

აქაური ტოპონიმია მოხსენებულია „ქართლის ცხოვრებაში“, ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების „აღწერებში“, „1774-82 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერებში“. გეოგრაფიული და საერთოდ ონომასტიკური მასალები მოცემულია ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, დავით გვრიტიშვილის, ჯონდო გვასალიას, კობა ხარაძის და სხვა სწავლულთა შრომებში.

ხეობა მოიცავს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, რომლის დიდი ნაწილი დღეს ოკუპირებულია უცხო ქვეყნის მიერ.

როცა ხეობის ტოპონიმია ვიკვლევთ, საჭიროა ორგვარი მიდგომა: თანამედროვე და ისტორიულ ანუ სინქრონული და დიაქრონული. სინქრონულის შესწავლისას მასალა უნდა გავაანალიზოთ დღევანდელი მონაცემების მიხედვით. დიაქრონულად შესწავლისას კი საკუთარი სახელები უნდა განვიხილოთ ისტორიული ვითარების მიხედვით. ენათმეცნიერებას ამ შემთხვევაში გვერდით უნდა დავუყენოთ ისტორიული, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული მონაცემები.

ტოპონიმკური სახელების განხილვის დროს ყურადღება მივაქციეთ სახელების სწორად აღწერას და მის დაწერილობას.

ხეობის ტოპონიმთა საწარმოებელი აფიქსებიდან ძირითადად გამოყენებულია: -ებ, -ევ, -ურ, -თა, -ეთ, -იან, -ოვან, -ოსან, -ის და სხვა სუფიქსები.

-ებ-სუფიქსიანი წარმოება ქსნის ხეობაში ძალუმად იგრძნობა, უფრო მაშინ, როცა ობიექტის სიმრავლე უნდა წარმოჩინდეს. ასეთი ტოპონიმებია საზოგადო სახელები: წყაროები, მამულები, ველები, ახოები, დელები, ციხეები, ნაფუძრები და სხვა. აკაკი შანიძე წერს: „ზოგიერთი სახელი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითის ფუნქცია აღარა აქვს, ასეთებია ეკლესიაში სახმარებელი წიგნები: ჟამნი, დავითნი, განსაკუთრებით ხშირია ასეთი ფორმები გეოგრაფიულ სახელებში: მსხლები, კოშკები, მოწამეთა, ჩხიკვთა და სხვა“ (შანიძე, 1980). ძნელია ამ მოსაზრების წინააღმდეგ რაიმე საპირისპირო აზრი გამოითქვას, მაგრამ ზოგიერთი ტოპონიმი ნაკვეთის სიდიდეზე მიუთითებს და არა სიმრავლეზე: თივებიქედი (ს. ალევში), გვერდიები (ქ. ბოლი), ნადიკვები (ვრცელი ადგილებია ს. ახმაჯში), ნაფუძრები (ისევ სოფელ ახმაჯში), წითელი კლდეები (ს. ნახიდში), ხოდაბუნები (ს. კორინთაში) და სხვა.

-ებ სუფიქსის შესახებ გ. ბედოშვილი აღნიშნავს, რომ „ეს სუფიქსი გეოგრაფიული სახელებს უძველესი ხანებიდან აწარმოებდა. შემდგომ -ნ სიმრავლის აღმნიშვნელ სუფიქსს თავისი საწარმოქმნო ძალა, როგორც ჩანს, თანდათან დაჰკარგვია“ (გ. ბედოშვილი, 1980).

როგორც ხეობის ტოპონიმია გვიჩვენებს -ებ დაერთვის სუფთა ფუძესაც: ნაკაფები, რიყეები, ქვიანები, ფერდები, ასევე გაუფორმებელ ფუძეებსაც: მსხლიანები, მაჟალოები, მწარეები...

ხეობაში ნართანიანი ფორმების გვერდით, ძირითადად ანთროპონიმებში გაჩენილია -ებ-იანი პარალელური ფორმები. ამ ფორმანტებით ნათელი ხდება, თუ რომელი სოფელი სად ლოკალიზდება და რომელი გვარი ცხოვრობდა მოცემულ ადგილზე. მთიდან მიგრაციამ ბარში ბევრი სოფლის, გვარის გაუქმება გამოიწვია. მაგრამ ტოპონიმმა, ანთროპონიმმა დროს გაუძლო და მისი საშუალებით ხერხდება მათი აღდგენა.

მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, არაგვის ხეობის წყალგამყოფზე იყო სოფელი ლიმისხევი, სადაც დღეს აღარავინ ცხოვრობს. გასული საუკუნის ოციან წლებში ცხოვრობდნენ ოდიშელები, რომლებიც ბარად წავიდნენ საცხოვრებლად. მათ ადგილას დღეს ოდიშელები ეწოდება. ასევე ტოპონომასტიკური

ერთეულია ამავე სოფლის შემოგარენში ბუნტურები, რომლებიც ასევე ბარად არიან წასულები. აქვე ცხოვრობდნენ არჯანაშვილები და სწორედ ასეთი ფორმით დასტურდება მათი ნასახლარები.

უკანამხარეში, სოფელ კლდეჩიტანში, დღესაც სამი კომლი, გვარად ჩიტიშვილი, ცხოვრობს. მათი წინაპრები, გვარად ნარიმანიძე, არაგვის ხეობის სოფელ სონჩადან არის გადმოსული. აქ ნარიმანიძეები მიუღიათ ჩიტიშვილებს და ისინიც ჩიტიშვილებად ქცეულან. ერთ შტოს დღესაც ნარიმანიძეები ეწოდება და ეს ტოპონომასტიკური ერთეული დაცულია ხალხში. როგორც ინფორმატორმა გვიჩვენა, საფლავის ქვები - ერთ მისი მამის საფლავის ქვას აწერია ჩიტიშვილი, პაპისას კი ნარიმანიძე.

ამავე ხეობის სოფელ უკანუბანში ჩიტიშვილების ერთი შტო იწოდებოდა ხადილანთებად, გვარი გადაშენდა, მაგრამ დარჩა ტოპონიმი ხადილანთები. აქედან გვაქვს ჰიდრონიმიაც: ხადილანთ ალაზანი, რომელიც მდინარე ცხრამშულას მარჯვენა შენაკადია. თეზელაშვილების გვარი ცხოვრობდა ამავე ხეობაში და დღეს იქ აღარავინ სახლობს, დარჩა ტოპონიმი თეზელათები.

ნასოფლარ თოხთაში ხუციშვილებისა და თარაშვილების საცხოვრებელ კუთხეებს ეწოდება ხუციშვილები და თარაშვილები.

-ებ სუფიქსიან სახელებს მრავლობითის გაგებაც აქვთ შენარჩუნებული. სუფიქსი ერთვის არსებით სახელებს: ახუები, ხევეები, ავაზნები, გვერდეები, გუბეები...

-ებ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს დღეს მოქმედი გვარებისაგან. სოფლებს, უბნებს (მთაში ორ-სამკომლიანი დასახლებები ძველადაც და ახლაც სოფლებად არის ჩათვლილი) სახელები მიუღიათ იმ გვართა მრავლობითი რიცხვის ფორმით, რომლებიც აქ სახლობენ. მაგალითად: ხოკრიშვილები, კარელიძეები, გაგაძეები, გოჭაშვილები, ბალაშვილები, პავლიაშვილები, ზანგურები, ზანგურაშვილები, ოდიშვილები, ელოშვილები, თამარაშვილები, მწითურები, ქესურები...

არამართო გვარები, არამედ თვით ტოპონიმები, რომლებიც აღნიშნული სუფიქსით არის გაფორმებული, აღნიშნავენ რეალურ სიმრავლეს. იმიტომ, რომ ასეთი პუნქტები აღნიშნავენ მცხოვრებელთა სიმრავლეს. მრავლობითი რიცხვის გამოხატვა, ისე ჩანს, როგორც ტოპონიმარმოებელი ფორმანტი.

ბიგანანთები (გვარია) სოფელ მოსაბრუნში დიდ ადგილებს ეწოდება. აქვე პანტიანები, რომელიც ასევე დიდ ადგილს ჰქვია, კერძოდ კი პანტების კორომს.

სოფელ სამეგურში ქედისერები ვრცელი, სათიბი ადგილებია აქ ჩანს ადგილის სიმრავლე. ასევე სოფელ ქურთაში, სადაც ადგილს ეწოდება „გოგლურები“, არის ნასახლარებიც. სოფელ წირქოლში ნასახლარების სახელებია: ფიცხელაურები და ფუმნარები, სადაც პირველი გვარია, მეორე კი მათი მამულების სახელია.

აკაკი შანიძის დაკვირვებით, -ევ სუფიქსი -ებ-ის ტოლია. იგი დაასკვნის, რომ „საქართველოს ტოპონიმიკა ძალზე მდიდარია მრავლობითის ფორმიანი სიტყვებით: ჩამოთვლილი სუფიქსებით არ ამოიწურება მრავლობითის ნიშნები ასეთ სახელებში. მათ უნდა მიემატოს -ევ, რომელიც გვხვდება ტოპონიმიკაში, როგორც სურამის ქედის აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით. არაგვსა და ქსანს შორის გვაქვს: ძეგლევი, ალევი“ (შანიძე, 1981).

უნდა აღინიშნოს, რომ -ევ სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის გეოგრაფიული სახელები ხეობაში ძალზე ცოტა გვხვდება. ჩვენ დავაფიქსირეთ მაკრო- და მიკროტოპონიმები: ნასოფლარები: ნაგომევი, ნაბაკევი, ქვენიფნევი, ზენიფნევი, იფნევი, ჰიდრონიმები: ალევა, სათევი (წყარო) ალეურას ხეობაში.

-ევ სუფიქსიანი წარმოების შემცირება შესაძლოა გამოწვეული იყოს ნა-სუფიქსიანი წარმოების გაზრდით, რომელიც წარმოდგენილია როგორც ქსნის, ასევე სხვა ხევ-ხეობებში, ძირითადად მიკროტოპონიმიში.

ლიტერატურა:

1. შანიძე ა., თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980, გვ. 80.
2. ბედოშვილი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმიკა, თბ., 1980, გვ. 26.
3. შანიძე ა., თხზულებანი, ტ. II, თბ., 1981, გვ. 440.

DISTRIBUTION OF –EB AND –EV SUFFIXES IN TOPONYMS OF KSANI GORGE

Nikoloz Otinashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

RESUME

The toponyms of Ksani Gorge are mentioned in various kinds of works by Georgian and foreign scientists such as „Kartlis Tskhovreba“, „Records“ by Vakhushti and Ioane Bagrationi, statistic descriptions of Ksani Gorge made in 1774-82.

While discussing the toponymic names a great attention was paid to the fact that the names should be described and written in a correct way. There mainly were used suffixes –eb, –ev, –ure, –et. Such toponyms are springs, valleys, letters, streams, castles (eb-tsvaroebi, vabebi, akhoebi, geleebi, tsikheebi) –eb – suffixs is added to a pure stem e.g. vikeebi, kvianebebi, perdebi.

–Eb-suffix produces as former surnames as surnames used in modern times: Khutsishvilevi, Karelidzeebi, Odishvilebi, Eloshvilebi, Gagadzeebi.

The names ending in –ev suffix expressing plural mainly in geographical names are very, few and they are mostly the names of former villages such as Nagomevi, Nabakevi, Ipnevi etc.

The production of such Kinds are minimized the reason for it can be the intensive use of the words –na suffix.

ნიკო შიუკაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან

ზურაბ ოქროპირიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

ნიკო შიუკაშვილი არ ყოფილა ვიწრო დრამატურგიულ ჩარჩოებში ჩაკეტილი შემოქმედი. როგორც სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტი, აქტიურად აკვირდებოდა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მაჯისცემას. თუ გულისყურით გავეცნობით XX საუკუნის I მესამედის ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, „ამერიკელი ძიას“ ავტორი ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც ბრწყინვალე პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ეროვნული და საზოგადო მოღვაწე, მისი პუბლიკაციები განცვიფრებას იწვევს საკითხის ღრმა ცოდნით, ლოგიკური აზროვნებით. ისინი შეეხებიან ქართული ყოფის აქტუალურ საკითხებს. საყურადღებოა ცნობილ ქართველ მოღვაწეთა მისეული შეფასებანი (ილია, აკაკი, ნ. ლომოური, გ. ყიფშიძე, შ. დადიანი, ვ. გუნია, ლ. მესხიშვილი და სხვები) კულტურის, კერძოდ, თეატრისა და მუსიკისადმი, მიმდინარე ლიტერატურულ-საზოგადოებრივი პროცესებისადმი მიძღვნილი წერილები.

1908 წლიდან მწერალი საინგილოში მოღვაწეობს, ხელმძღვანელობს ზაქათალის სამაზრო სკოლას. ამ წელს მისი თაოსნობით მომზადდა აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. დამსწრე საზოგადოება აღუფრთოვანებია ამ ღონისძიებას. ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშად ჩაითვლება ნიკო შიუკაშვილის სიტყვა აკაკიზე, რომელიც თავისი შინაარსით იმდენად საყურადღებო იყო, რომ მაშინვე დაიბეჭდა გაზეთში „დროება“. თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა დრამატურგს დიდ ქართველ სამოციანელთა ეროვნულ-განმანათავისუფლებელი იდეებისადმი, საილუსტრაციოდ მოგვყავს ნაწყვეტი: „დიდებული მგოსანი, მხოლოდ დიდებულ ერს ებადება! მხოლოდ ერთი კაცი – შექსპირი ინგლისის ისტორიაა! შოთა რუსთაველი ჩვენი ძველი ისტორიაა, ილია, ბარათაშვილი, აკაკი – ახალი ისტორიაა, ჩამოგვაცილეთ ეს რამდენიმე კაცი და გაჰქრება ჩვენი დიდებაც! უამათოდ ქართველებს ნება არ გვექნებოდა ამაყად გვეთქვა: „მე ქართველი ვარ“!... აკაკი მთელის ქართველობის შვილია და როგორც უთოვლო ხრიოკი მთა მქუხარე ნაკადულს ვერა ჰშობს, ისე სულიერად წყალწყალა ერი თავის აკაკის ვერ ეღირსება... შარშან ვგლოვობდით და ვადიდებდით ჩვენი პოეზიის მეორე არწივს – ილიას. ის აღარა გვყავს – უღელში ობლად დარჩა ჩვენი მოხუცი აკაკი და ისღა გვაფარებს თავის გაჭადარავებულ ფრთებს. ვისურვოთ, რომ ამ ფრთებქვეშეიდან ჩქარა გამოფრინდეს მომავალი შოთა, ილია, აკაკი...“ (შიუკაშვილი, 1908)

1912–18 წლებში დრამატურგი ფართო პედაგოგიურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა ქ. გორში. იგი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გორის განყოფილების ხელმძღვანელი. 1915 წლის გაზეთში „ახალი ქართლი“ (№34) მოთავსებულ ერთ-ერთ წერილში ნიკო შიუკაშვილი აღნიშნავს ამ საზოგადოების დიდ როლსა და მნიშვნელობას ქართველთა გათვითცნობიერების საქმეში. დრამატურგი თავისი უშუალო მონაწილეობით ცხინვალშიც აარსებს მის

ფილიალს. იგი საოცარი გულისხმიერებით ეკიდება დიდი ილიას მამულიშვილურ წამოწყებას. ნიკო შიუკაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ მწერალ ნიკო ლომოურთან. გორში მისი მოღვაწეობის დროს უფრო გამყარდა ეს კავშირი. ერთ-ერთ პუბლიკაციაში იგი ასე აღწერს ნიკო ლომოურის დამსახურებას ქართველი ერის წინაშე: „...მთელი ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ თითქმის შეუძლებელია სინიდისის შერჩენა და თუ შენ ამ პირობებშიც უმწიკვლოდ შეინარჩუნე ეგ სინიდისი, მაშ შესაძლებელი ყოფილა სინიდისის გენიოსობაც“ (შიუკაშვილი, 1915). დრამატურგმა მწვავედ განიცადა მეგობრის გარდაცვალება. იგი იყო ნიკო ლომოურის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე.

ზემოთ აღვნიშნეთ, როგორი ამაღლებელი იყო ნიკო შიუკაშვილის მიერ დიდი აკაკის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა. შვიდი წლის შემდეგ როგორც მთელი საქართველო, ნიკოც უსაზღვროდ დაამწუხრა საქართველოს ბუღბუღის გარდაცვალებამ. იგი ქართლის საზოგადოებასთან ერთად ცრემლითა და გლოვით შეეგება გორში სახელოვანი მამულიშვილის ცხედარს. საოცრად შთამბეჭდავი და მრავლისმეტყველი იყო დრამატურგის სიტყვა: „დღეს ყველასა სურს ილაპარაკოს აკაკიზე და მეც ეს სურვილი მავალბს მოგმართოთ ორიოდ სიტყვით, მაგრამ რა გითხრათ? ზღვა კოვზით მხოლოდ ზღაპარში იღვეა და აკაკიც ხომ ზღვა არის! როდესაც აკაკიზე ყველაფერი ითქმის, ისიც ზღაპრად იქცევა და ეს ზღაპარი ჩვენს შთამომავალთ გადაეცემათ... დღეს ჩვენ ვიძენთ დიდებულ სამარეს მამა დავითის ძირში!... წმინდა დავითის ძირში დღემდე ორი დიდი სამარე იყო: დიმიტრი ყიფიანისა და ილიასი! დღეს ემატება მესამე – აკაკისა!.. ამიერიდან წმინდა დავითი ეროვნული რელიგიის საკურთხეველად გადაიქცევა! მთელი ქართველობა შორიდან ქუდს მოუხდის ტფილისის თავზედ წამომდგარ სამს დიდებულ სამარეს...“ (შიუკაშვილი, 1915)

1916 წლის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იგი ათავსებს წერილს „გაფრთხილება“, სადაც მიმოიხილავს ქართული ნაციონალური სიმღერა-გალობის მდგომარეობას. ავტორი აღნიშნავს, რომ ეროვნული საკრავები, სიმღერა-გალობა დიდი ეროვნული განძია და მას მოფრთხილება სჭირდება: „არ უნდა დაიკარგოს ან დამახინჯდეს ქართული სიმღერა-გალობის არცერთი კილო. უნდა გადაღებულ იქნას ნოტებზე და შენახული, როგორც დიდი ეროვნული განძი...“ (შიუკაშვილი, 1916) პუბლიცისტის თქმით, ეროვნული მუსიკა-სიმღერის პარალელურად ახალგაზრდობა უნდა აღიზარდოს თანამედროვე მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ურომლისოდაც შეუძლებელია მუსიკალური ხელოვნების განვითარება უმაღლეს წერტილამდე. ჩვენთვის ცნობილია, რომ ნიკო შიუკაშვილი თავად იყო ვიოლინოს კლასის ბრწყინვალე შემსრულებელი. დრამატურგი აღნიშნულ თემას აგრძელებს ჟურნალის მომდევნო ნომერში წერილით „ქართული ფილარმონიული საზოგადოება და ჩვენ“: „ჩემის აზრით, - წერს ავტორი, - ქართველი ადამიანის ბუნებას არცერთ დარგში არ წარმოუშვია ესეთი მშვენიერება, როგორც სიმღერა-გალობაში და გაცეხილი შევცქერი ამ დიდებულ ხატებას! მაგრამ რა!... გავიყინეთ ერთ ადგილას...“ მისი აზრით, ქართული სიმღერა-გალობა თანამედროვე მსოფლიო კლასიკური ჰანგებით უნდა გამდიდრდეს. ამ თემაზე მას დიდ აკაკისთანაც ჰქონია საუბარი: „...ამ სამიოდე წლის წინათ განსვენებულ აკაკისთან მქონდა საუბარი... მთელი საათი ვუმტკიცებდი, რომ ქართულ სიმღერა-გალობას არავითარი ხიფათი არ მოეღოს, თუ მას ნამდვილი მუსიკოსის ხელი შეეხება...“ აკაკი დაეთანხმა დრამატურგს, მაგრამ ქართული საზოგადოება ნაკლებად ინტერესდებოდა ამით. „...ამის მიზეზად, - წერს შიუკაშვილი, - მე ვთვლი იმას, რომ ქართველებს ჯერ ნამდვილი ინტელიგენცია არა გვყავს. განათლებულნი გვყავან, მეცნიერების რომელიმე დარგის მცოდნენი, მაგრამ ფართო მსოფლმხედველობითი ინტელიგენცია არა გვყავს...“ (შიუკაშვილი, 1916) არ შეიძლება არ დაეთანხმო პუბლიცისტს, მას შემდეგ საუკუნე გავიდა და ეს პრობლემა (ინტელიგენციის) ისევ დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე.

ნიკო შიუკაშვილი, როგორც ფართო დიაპაზონის შემოქმედი, აქტიურად ადევნებდა თვალყურს მისი დროის რუსულ-ევროპულ მწერლობას. მას არ გამოჰპარვია ცნობილი რუსი მწერლის ალ. კუპრინის (1870–1938) მოთხრობა „ორმო“. დრამატურგი აღშფოთებულია კუპრინის მოთხრობით, მისი დამოკიდებულებით ქართველების, ქართული კულტურის მიმართ. წერილში „ქართველი კუპრინის ორმოში“, მხილებულია რუსი შემოქმედის ანტიქართული განწყობილება. ნაწარმოებში აღწერილია რუსეთის „კანონიერი სიმრუშე“ – საროსკიპოები. ამ გახრწნილებაში სტუდენტ ლიხონინს რაინდული გრძობა გაედვიძება, მემავ ლუბას გამოიხსნის საროსკიპოდან, მოიყვანს თავისთან და გაიხდის საყვარლად. იგი მეგობარ სტუდენტებს სთხოვს, ლუბას რამე ასწავლონ. მათ შორისაა ქართველი ნიჟარაძე. როცა ლიხონინს სახლში მიჰყავს რუსი „ქალიშვილი“, ნიჟარაძეს უყვირის: „...“

...“ ერთი მეგობარი წერა-კითხვას ასწავლის, მეორე – ქიმია-ფიზიკას... დარჩა ნიჟარაძე, რომელმაც ავტორის სიტყვით „...“ „ამიტომ შესთავაზებენ უზნეო ქალს „ვეფხისტყაოსანი“ ასწავლოს. „ორმო“, როგორც მხატვრული ნაწარმოები, დიდი ღირსებით არ გამოირჩევა, მაგრამ ეს მხარე ნაკლებად აინტერესებს დრამატურგს. ნაწარმოები გაჟღენთილია რუსული ველიკოდერჟავული შეხედულებებით. ნიკო შიუკაშვილი მკაცრად აკრიტიკებს კუპრინს (რამდენადაც ვიცი, ქართველ

მწერალთა პოზიცია ამ „შედევრის“ მიმართ არაა დაფიქსირებული – ზ.ო.) და რუსი მწერლების ერთ საინტერესო ჩვევას უსვამს ხაზს: „...საზოგადოდ რუს მწერლებს, ნიჭიერებსაც კი – ვერ ეხერხებათ უცხოელების დახასიათება, განსაკუთრებით კავკასიელებისა, გარდა უმცერებისა, მათ ხელს უშლის კიდეც „რაღაც“ და თუ დღეს კუპრინზე ხმას ვიღებ, იმისათვის, რომ მის უმცერებას წინ უძღვის ეს „რაღაც“ და არცთუ ისეთი გულუბრყვილო, როგორც უმცერება...“ (შიუკაშვილი, 1915) კუპრინის ქართველი პერსონაჟი მეტად არაბუნებრივია. იგი იმისთვის დასჭირდა რუს მწერალს, რომ სახელი გაეტეხა ქართული კულტურისათვის. ნიჟარაძის დახასიათებისას ავტორი განგებ ამუქებს ფერებს. წინასწარი ტენდენცია რეალობის გრძნობას აკარგვინებს: „...დმერთმა უწყის, – წერს კუპრინი, – რითა სცხოვრობდა ქართველი სტუდენტი. თავის თავზე ამბობდა, რომ აქლემის უნარი აქვს, ისე გაძღეს ერთხელ, რომ შემდეგ მთელი თვე უჭმელობა აიტანოს...“ (შიუკაშვილი, 1915) ნიკო შიუკაშვილი მეტად ააღელვა რუსი მწერლის მიერ ქართული პოეტური კულტურის გვირგვინის, „ვეფხისტყაოსნის“, დამამცირებელ სიტუაციაში მოხსენიებამ. რუსთაველის პოემა ჭეშმარიტ სიყვარულს ქადაგებს და არაფერი აქვს საერთო რუსეთის კანონიერ საროსკიპოებთან, „...რომელსაც მრავალ საუკუნეთა ნაციონალური სიბნელე აქვს წამოფარებული“ – წერს დრამატურგი.

ნიკო შიუკაშვილი, დიდი ესთეტი და დახვეწილი პიროვნება, ღრმად განიცდის ჩვენი ხალხის ზნეობრივ დაცემულობას. 1919 წელს იგი აქვეყნებს მეტად მძაფრ წერილს „თეატრი და ცხოვრება“, სადაც გაშიშვლებულია მწერლის თანადროული ცხოვრება. გარეგნული დეკორუმით თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ შიგნით – ადამიანში მიდის დაუნდობელი ბრძოლა. სიყვარული, მეგობრობა ფიქციად ქცეულა: „... ჩვენი კულტურული ცხოვრება წარმოადგენს სასტიკ, უღმობელ, ჩუმ ბრძოლას სიკვდილ-სიცოცხლისას! ერი ერს, კაცი კაცს, დიდი პატარას, პატარა დიდს, ძმა ძმას, ყველა ერთს, ერთი ყველას – ადამიანი ადამიანისათვის მგელია... გლეჯენ ერთმანეთს ფრჩხილებით, პოლიტიკით, დიპლომატიით! ცილინდრ-გალსტუქ ქვეშ ამოფარებული არა ჩანს ეს ბრძოლა, მაგრამ კაცობრიობა კვნესის ამ საგაყეთში! და ეს არის ჩვენი კულტურული ცხოვრება!...“ (შიუკაშვილი, 1919) ავტორის აზრით, ვერავითარი პოლიტიკა – მემარცხენე თუ მემარჯვენე – ვერ უშველის ადამიანს, ვიდრე არ უარყოფთ მოჩვენებით გზას ჩვენი კულტურისა. ავტორი, როგორც დიდი ჰუმანისტი, ღრმად განიცდის ადამიანთა და ერთა ტრაგედიებს. მსოფლიო ავადაა, რადგან განვითარების ყალბ გზას ადგია. ადამიანი – ეს უმშვენიერესი არსება ღვთისა, დაბნეულია... ჰკარგავს ყოველგვარ რწმენას. იგი სულიერი და ფიზიკური გადაგვარების საფრთხის წინაშეა. პუბლიცისტს მაგალითად ქართული ცხოვრება აქვს აღებული, რომელსაც საკაცობრიო ჭრილში განიხილავს. ასეთი გაშიშვლებული სურათები ადამიანური ცხოვრების გადაგვარებისა იშვიათია. იქნებ აჭარბებს დრამატურგი? ცხადია, არა. წარმოვიდგინოთ საუკუნის წინანდელი და დღევანდელი მსოფლიო, რა შეიცვალა? მხოლოდ დრო და ადამიანები. ისევ ბრძოლა, უფრო ამაზრზენი, მილიონებისთვის, გავლენის სფეროებისთვის, ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისათვის დემოკრატიისა და ბედნიერი მომავლის სახელით. ასწლეულის შემდეგ უფრო მწვავედ დგას ეს საკითხი ადამიანის წინაშე. მართლაც საით მიდის მსოფლიო უღმერთოდ, ფსევდორწმენითა და კულტურით, გაუთავებელი ომებით? საინტერესო მიგნებაა – „...სიბრძნე თანამედროვე ცხოვრებისა გაქონილ მედუქნის, გაიძვერა მოხელის ერთ ფრჩხილში უფრო მეტია, ვიდრე კანტის და ბეთჰოვენის მთელ თავში. პირველნი მეფობენ ცხოვრებაში, მეორენი – მხოლოდ ისტორიაში...“ დღევანდელ საქართველოში ბევრმა ე.წ. ბანკირმა და ბიზნესმენმა უნდა ამოიცნოს საკუთარი თავი ამ სიტყვებში: „...მთელი შენი დრო, ენერგია, გაიძვერობა... მოანდომე ოქროსათვის ბრძოლას „კანონიერების ფარგლებში“, გათელე, დაღუპე მეტოქე, აავსე ბანკები ფულებით...“ მკვეთრი, კონტრასტული ფერებითაა წარმოდგენილი სინამდვილე:

„...გასიებული ბანკირი ტურფა საყვარლებში ქეიფობს...“

„...ბუნების საუკეთესო შვილნი იღუპებიან ამ ბრძოლაში...“

„...ვეფხვივით ლამაზი გმირი ბაჯაჯღანა სალდათის ტყვიით კვდება...“

„...უხეირო კულტურის უხეირო შვილნი პოეზიაზე ლაპარაკობენ...“

„...მათი ცოლები დადიან თეატრში, როგორც კაბების გამოფენაზე საყვარლების შესახვედრად...“

რა ძაფი უნდა გაიბას სცენასა და ამ პუბლიკას შორის? მათში ხომ ვერასოდეს დაიბადება ის დიდი და ძლიერი განცდა, ცრემლს რომ აფრქვევინებს მაყურებელს? კიდეც კარგი, წერს დრამატურგი, „თუ შიშველი გოგოები ფეხებს აქნევენ სცენაზე, თორემ რა საერთო აქვს „ოცნების ზღაპრებს“ ბანკირის გასიებულ ფაშეთან, ან პოლიტიკოსის გამშრალ ტვინთან?...“ (შიუკაშვილი, 1919)

დრამატურგი ქართული ენის აქტიურ დამცველად გვევლინება. ქართველთათვის უმძიმეს, 1924 წელს გაზეთში „ქართული სიტყვა“ აქვეყნებს წერილს მრავლისმეტყველი სათაურით: „კულტურული ხიფათი“, სადაც დიდ გულისტკივილს გამოხატავს ქართული ენის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ: „მე–19 საუკუნის დამლევს, წერს იგი, ჩვენ გვქონდა ესე თუ ისე ჩამოყალიბებული ქართული ლიტერატურული ენა... დღეს კი აღარავის მიაჩნია საჭიროდ არც სირცხვილი, არც სინდისი და ანაგვიანებს ეროვნულ-კულტურულ საუნჯეს – ენას...“ (შიუკაშვილი, 1924) კრიტიკის ძირითადი

ადრესატი ხელისუფლებას, რომელმაც 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობასთან ერთად, არც ქართულ ენას დააყარა ხეირი და თანდათან განდევნა სხვადასხვა დაწესებულებებიდან. ამავე წლის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს წერილს „ქართული მეტყველება სათეატრო ინსტიტუტში“, სადაც კვლავ უბრუნდება ქართული ენის საკითხს. იგი შემფოთებულია ქართული ენის უსახო არევ-დარევით. ნიკო შიუკაშვილი მოითხოვს დიქციის, როგორც დამოუკიდებელი საგნის, შემოღებას სკოლებში, რადგან აქედან იწყება მოზარდის მხატვრულ-ესთეტიკური ჩამოყალიბება.

მწერალი ბევრს მსჯელობდა და კამათობდა ქართული თეატრის საკითხებზე. დრამატურგი მშობლიური თეატრის წინსვლის საფუძვლად ეროვნულ დრამატურგიას მიიჩნევდა. 1920 წელს, როდესაც სანდრო ახმეტელი მოიწვიეს თეატრის მთავარ რეჟისორად, ნიკო შიუკაშვილი ახალდაარსებული ქართული სახელმწიფო დრამის თავმჯდომარე იყო. მან უმაღლ შენიშნა ახალგაზრდა ხელოვანის განსხვავებული რეჟისორული ხედვა: „...ჯერ კიდევ 1920 წელს, როცა ქართულ სახელმწიფო დრამას ჩაეყარა საფუძველი და მე ვიქმენ ერთ-ერთ ხელმძღვანელად, ახმეტელმა მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება თავის სასცენო გემოვნებით... დასადგმელად მან აირჩია „ცხვრის წყარო“ და „ბერდო ზმანია...“ ახმეტელმა პირდაპირ ამოხოცა მსახიობები მუშაობით... „ბერდო ზმანია“ დაიდგა დიდი გემოვნებით... არაჩვეულებრივ...“ დრამატურგი განსაკუთრებულ სიახლედ მიიჩნევდა ახმეტელის „რეჟისორულ ვირტუოზობას“, დაეჭვებით უყურებდა ასეთ ექსპერიმენტს, თუმცა შინაგანად ეთანხმებოდა კიდევ: „...ბერდო ზმანიას“ დადგმა მართლა რომ მოითხოვს დიდ ვირტუოზობას, ჩვენ საწინააღმდეგო არა გვაქვს რა, რომ ასეთი ხასიათის წარმოდგენები გაიმართოს... მაგრამ ახმეტელი მთლად მისდევს ამ ხაზს...“ (შიუკაშვილი, 1923) ჩანს, შიუკაშვილმა დაინახა, რომ ეს ამ ახალგაზრდა კაცის პრინციპული ხაზია. მიუხედავად იმისა, რომ ახმეტელის პრინციპებს ბოლომდე არ იზიარებდა, უნდა ვიფიქროთ, რომ დრამატურგს შემდეგში სახელოვანი რეჟისორის სცენური ხედვა პერსპექტიულად მოეჩვენა და მისთვის გზის გადაჭრა არ მოისურვა, თუმცა მისი და მარჯანიშვილის დადგმები არცთუ იშვიათად გამხდარა შემოქმედის მწვავე კრიტიკის საგანი. 1923 წელს მწერალმა გაზეთ „ტრიბუნის“ (№492) ფურცლებზე (სათაურით „ქართული თეატრი“) მიმოიხილა რა 1922–23 წლების ქართული თეატრის სეზონი, აშკარად გამოამჟღავნა თავისი კრიტიკული დამოკიდებულება თეატრის რეპერტუარისადმი. იგი კიდევ ერთხელ აფიქსირებს თავის აზრს: „ქართული თეატრის შექმნა-აღორძინება გარეშე ქართული დრამისა – ფიქციაა...“ ამ დროისათვის კოტე მარჯანიშვილი ახალი დაბრუნებული იყო საქართველოში. მისი აზრით, ეროვნული დრამატურგია ძალზედ ჩამორჩენილი იყო, ფაქტიურად არ არსებობდა. ჟურნალში „კავკასიონი“ იგი წერდა: „...მიუხედავად ა. ცაგარელის დიდი ტალანტისა – მისი თეატრი, სკოლა, ოდნავადაც არ არის ორიგინალური – ქართული. ჩვენი თეატრის 72 წლის არსებობის მანძილზე ჩვენს დრამატურგიაში არაფერი თავისებური, ეროვნული არ ყოფილა... ამიტომ, ასკვნის ავტორი, ჯერჯერობით საერთო ნაბიჯით ევროპასთან ერთად“ (მარჯანიშვილი, 1924). იმავე 1924 წელს ახალგაზრდა მსახიობების მიერ შექმნილი კორპორაცია „დურუჯის“ მანიფესტმა (რომელიც თავისი შინაარსის გამო შეურაცხყოფად აღიქვა თეატრის მოღვაწეთა და საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა) კოტე მარჯანიშვილის აღნიშნულ წერილთან ერთად დაძაბა პოლიტიკურად ისედაც გამწვავებული სიტუაცია. 1923–24 წლებში ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახშეს ქართველთა გამოსვლები, დახვრიტეს ასობით ქართველი მამულიშვილი, გაჟლიტეს უდანაშაულო მოსახლეობა. ამ ფონზე, ვფიქრობთ, ასევე უარყოფითად უნდა ემოქმედა საზოგადოებაზე კოტე მარჯანიშვილის ცნობილ პოლიტიკურ მოწოდებას: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია...“ ასეთ ვითარებაში ყოველგვარი ეროვნულის უარყოფა (მათ შორის ენის, ეკლესიის დევნის და სხვა) მტკივნეულად აღიქმებოდა ქართველ მოღვაწეთა დიდ ნაწილში. ნიკო შიუკაშვილი წერილში „ისევ ქართული თეატრის გარშემო“ უარყოფს მარჯანიშვილის აზრს ეროვნული დრამატურგიის არარსებობის შესახებ: „...რომელი ქართველი არ იტყვის, რომ ცაგარელის პერსონაჟი დღესაც ცოცხალი არ დარბის დახურულ ბაზარში, რომ ცაგარელის პიესების ყოველი შინაგანი მოქნევა არის წმინდა ქართული...“ ნიკო შიუკაშვილი არ ეთანხმება რეჟისორს, რომ „...ისტორიული პიესები არსად და არასდროს არ წარმოადგენდა ნამდვილ დრამატულ შემოქმედებას... იგი მხოლოდ უბრალო დრამატული ქრონიკაა, დიალოგად გადატანილი ისტორიის ფურცლებზე...“ ნიკო შიუკაშვილს მაგალითად მოჰყავს შექსპირის პიესები: „იულიუს კეისარი“, „ანტონიუს და კლეოპატრა...“ „...როგორ შეიძლება თქმა იმისა, - წერს შიუკაშვილი, - რომ ზემოხსენებული ისტორიული პიესები არ წარმოადგენენ „ნამდვილ დრამატულ შემოქმედებას“, ხელოვნებას... პიესაში შეიძლება იყოს ხელოვნება ან არახელოვნება... მაგრამ არა დიალოგად გადატანილი ისტორიის ფურცლები...“ (შიუკაშვილი, 1924) დრამატურგი სახიფათოდ მიიჩნევს ეროვნული დრამატურგიის უარყოფას. „ქართული სიტყვის“ მორიგ ნომერში (№22) პოლემისტი საგულისხმო დასკვნებს აკეთებს. მისი აზრით, ხელოვნება გაჯერებული უნდა იყოს ღვთაებრივი მადლით: „...საჭიროა ღმერთი, რელიგია, რათა შეიმეცნო ცხოვრება და დაამარცხო სიკვდილი. დღეს კაცობრიობა დამფრთხალია შავი აჩრდილის წინაშე – არა აქვს რელიგია, გრძნობა მარადიულობისა. მისი გარეგნული

სიმშვიდე მხოლოდ ჩვენებაა გრიმისა, ქარხნების, ავტომობილების გუგუნში ის მხოლოდ გაყრუებულია...“ (შიუკაშვილი, 1924) დღევანდელი გადასახედიდან აღნიშნული წერილი არა მხოლოდ რუსთაველის თეატრის, არამედ უმეტესად საბჭოური და საერთოდ, კაცობრიული ყოფის მძაფრ კრიტიკას წარმოადგენს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული კრიტიკისა, ნიკო შიუკაშვილი დიდად აფასებდა მარჯანიშვილის ღვაწლს. მისი თქმით, „...მან დიდის ენერგიით შეჰკრა მკვდარი ორგანიზმი, შეიტანა დიდი ხალისი და სიცოცხლე, მაგრამ საკმარისად ვერ შეაფასა ჩვენი თეატრის წარსული და აწმყო...“ (შიუკაშვილი, 1924) ქართული თეატრის გარშემო ატეხილ პოლემიკაში ნიკო შიუკაშვილის პოზიციებს იზიარებდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები: შ. დადიანი, ვ. კოტეტიშვილი, შ. შარაშიძე, ლ. ქიაჩელი, ი. იმედაშვილი, არჩ. ჯაჯანაშვილი, ივ. გომართელი და სხვები.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „დროება“, 1908, №30;
2. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №18, გვ. 4–6;
3. „ახალი ქართლი“, 1915, №8; 34;
4. „თეატრი და ცხოვრება“, 1916, №3, გვ.14–16; №4, გვ. 16–18;
5. იგივე, 1915, №30, გვ. 4–5; №31, გვ. 6–8; 1919, №5, გვ. 8–10;
6. „ქართული სიტყვა“, 1924, №13,
7. „თეატრი და ცხოვრება“, 1924, №15, გვ. 19–21;
8. „ტრიბუნა“, 1923, №480, 492;
9. „კავკასიონი“, 1924, № 1–2, გვ. 23–25;
10. „ქართული სიტყვა“, 1924, №17,18,20,21,22.

FROM NIKO SHIUKASHVILI'S EPISTOLARY LEGACY Zurab Okropiridze, Gori State Teaching University, Specialist by contract RESUME

The well known playwright Niko Shiukashvili left us very rich epistolary legacy. He discusses the most important and sensitive issues connected with the Georgian language and the public life of the Georgians, writing, music and theatre in his writings. Writer's critical articles are distinguished with academically deep knowledge of the matter. The author with his publicist-critical writings greatly contributed to the formation moreover to the development of Georgian culture in XX century - the I-thirds.

„უკუ[უ]ან“ ზმნიზედის სემანტიკურ-ფორმოზრივი მიმართება მარადიულობის აღმნიშვნელ ლექსემებთან („საუკუნე“ და „უკუნითი უკუნისამდე“)

ინგა სანიკიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ზმნიზედა, როგორც ფორმაუცვლელი სიტყვა, ყოველთვის იქცევს მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს უპირველესად მისივე არქაული წარმოშობითა და ფორმათა წარმოების არაერთგვაროვანი ხასიათით არის შეპირობებული. სამეცნიერო აზრისათვის სრულიად უდავოა ის ფაქტიც, რომ „ქართულ ენაში ცნობილი ზმნისწინები დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებისაგან (ზმნისართებისაგან) მომდინარეობენ. ზოგიერთი ზმნისართი, თუ შეიძლება ასე ითქვას, – შენიშნავს არ. მარტიროსოვი, – ჩვენ თვალწინ გადაიქცა ზმნისწინად. ძველ ქართულში, მაგალითად, უკუნ//უკუ, უკუმო, წიად, წიადმო, გარდამო ზმნისართადაც იხმარებოდა და ზმნისწინის ფუნქციასაც ასრულებდა. ესენი ზმნისწინად ხმარებისას ზმნასთან ისე მტკიცედ არ იყვნენ შეერთებული, როგორც სხვა დანარჩენი ზმნისწინები“ (მარტიროსოვი 1953: 73). ამრიგად, ნათელია, რომ ჩვენ მიერ განსახილველად აღებული უკუნ//უკუ ლექსემების თავდაპირველ გრამატიკულ ფუნქციად უცილობლად

ზმნისართობა უნდა მივიჩნიოთ, ხოლო იმავე ძველ ქართულში მათი ზმნისწინად გამოყენება მეორეულ, ზედნაშენურ ენობრივ ფუნქციად მოვიაზროთ.

რაც შეეხება უკუნ- ენობრივი ფორმის აგებულების საკითხს, ირ. ვეშაპიძე მასში –ნ მაწარმოებელ ელემენტს ხედავს და გა-ნ ზმნისწინის დეტერმინანტ –ნ აფიქსთან აიგივებს. მეცნიერი შენიშნავს: „ძველ ქართულში უკუ- ზმნისწინი უკუნ- სახითაც გვხვდება, მისი ნ ელემენტი ისეთივე წარმომავლობის უნდა იყოს, როგორც გან ზმნისწინსა და რიგ თანდებულებში გვაქვს“ (ვეშაპიძე 1967: 126). დასახელებულ თვალსაზრისს მკვლევარი არ. მარტიროსოვის იმავე შეხედულებაზე დაყრდნობით ავითარებს. „გან- ზმნისწინში გა ძირეული მასალა მოჩანს“, – წერს არ. მარტიროსოვი, – ხოლო „გან-ში ნ ნარჩენია ნა ელემენტისა, რომელიც დასტურდება თანდებულებსა და ზმნისართებში: ში-ნა, ზე-ნა, თა-ნა, წი-ნა, მუ-ნ (← მუ-ნა), ქუე-ნა, გარ-ნა. ნა-ს სხვა შემთხვევაში და ენაცვლება: ზე-და, ში-და, ქუე-და, გარ-და და სხვ.“ (მარტიროსოვი 1953: 88).

უნდა აღვნიშნოთ, რომ სივრცეში ორიენტაციის თვალსაზრისით, „უკან“ ზმნიზედა „წინა“ ზმნიზედის საოპოზიციო, ანტონიმური ცალია. კოორდინაციის სათავეში მდგომი მაორიენტირებელი პირისათვის (ამ შემთხვევაში კოლექტიური ენობრივი ცნობიერებისათვის) ის სიბრტყეზე წარმოიდგინება და მთელის შემადგენლობაში მყოფ ორ ურთიერთსაპირისპირო ნაწილს შეიცავს; ესენი წინა¹ და უკანა არეებია. საინტერესო ის არის, რომ „უკუან“ ზმნიზედური ფუძე მთელი რიგი სახელური წარმოებების საფუძველია და გვამღვებს სახელებს: „უკუნი“, „უკუნ-ეთ-ი“ (← *უკუან-ეთ-ი), „სა-უკუნ-ე“ (← *სა-უკუან-ე) და შესიტყვებას – „უკუნ-ით-ი უკუნ-ის-ად-მდე“ (← *უკუან-ით-ი უკუან-ის-ად-მდე).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „უკუნი“ არის „ბნელი წყვდიადი; ბნელი კელით საძიებელი“ (ორბელიანი 1993: 159); ხოლო „ღამის“ განსაზღვრისას კი ვკითხულობთ: „ღამე ეწოდების მწუხრიდამ ვიდრე განთენება(დ)მდე... წყვდიადი – ფრიად ბნელსა, სღვაშეუძლებელსა, და უკუნი – მისგან უბნელესა“ (ორბელიანი 1993: 246). ამავე სემანტიკურ ხაზს აგრძელებს –ეთ დერივაციული ფორმანტით გაარსებითებული ფუძე „უკუ[ან]-ეთ-ი“²; რომელიც სხვა არაფერია, თუ არა უკანა არისა და ამასთან ერთად სიბნელის ადგილი, მისი სამყოფელი. ძველი ქართული ენის პერიოდში „უკუ[ან]“ ფუძე თავისუფლად ფუნქციონირებს ისეთ წარმოქმნილ ფუძეებში, როგორებიცაა „სა-უკუ[ან]-ო და „სა-უკუ[ან]-ე“ და მათ მარადიულობისა და მუდმივივობის გაგება აქვს. მაგალითისათვის რამდენიმე ნიმუშიც საკმარისია:

„და უწყი, რამეთუ მცნებაჲ მისი ცხორება საუკუნო არს“: იოვ., 12, 50.

„მოდღარ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკუდრო?“: ლუკა, 10, 25.

„უმჯობეს არს შენდა შესღვაჲ ცხორებასა მკელობელისა გინა უკელოსაჲ, ვიდრე ორნი კელნი და ორნი ფერკნი თუ გესხნენ და შთაჰვარდე ცეცხლსა მას საუკუნესა“; მათე, 18, 8.

ვფიქრობთ, რომ ზემოთ ნათქვამი ლოგიკურად ბადებს ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვან კითხვას: რა ურთიერთმიმართება შეიძლება არსებობდეს უკანა არეს, უკუნ სიბნელესა და მარადიულობას შორის? და თუ დავუშვებთ იმას, რომ უძველეს ენობრივ წარმოდგენაში, როგორც კოლექტიურ ცნობიერების სადისტრიბუციო მასალაში, ეს შინაარსობრივი კავშირი არ არსებულა, მაშინ რატომ დაეყრდნო სრულიად განსხვავებული სემანტიკური დატვირთვის მქონე ლექსემები ერთსა და იმავე ძირეულ ფუძეს? როგორც ჩანს, მათი შინაარსობრივი გადაკვეთა აზროვნების რომელსამე ეტაპზე განხორციელდა და რაღაც კონკრეტული მიზეზის გამო. ჩვენთვის საინტერესო სწორედ ეს მიზეზია, ამიტომ ქვემოთ მის ახსნას შევეცდებით.

მარადიულობის (ანუ საუკუნო³) უკანა, ბნელი არეალიდან მომდინარეობას იმთავითვე გამორიცხავს ქრისტიანული მსოფლმხედველობა. ასეთ შემთხვევაში ისღა რჩება, მისი დაბადების ადგილიცა და გადააზრიანების გზაც წარმართულ ეპოქებს მივაწეროთ და ერთგვარი ქრონოლოგიური ბადეც შევქმნათ. რა თქმა უნდა, ლინგვისტურ ანალიზს რამდენადმე სცდება უძველეს რწმენა-წარმოდგენათა სიღრმისეული განხილვა, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ისეთ ემპირიას, რომელიც დასმული ამოცანის ამოხსნაში სიცხადეს შეიტანს, შეიძლება, რომ შევეხოთ.

¹ **დამატება:** ვფიქრობთ, რომ ზემოთ ნათქვამი რამდენადმე გამოხატავს ძველი ქართულისა (ძვ. ზმნ. წინა-უკმო) და ახალი ქართულის ვითარებას, თუმცა დამოუკიდებელი კვლევის საგნად შეიძლება იქცეს „წინა“ ზმნისსართის უძველესი ფუნქციის საკითხი, რადგან, ჩვენი აზრით, “წ” ფონმიანი ძირი, თავის მხრივ, ძალზე საინტერესო ფორმოზრივ და სემანტიკურ განშტოებებს გვამღვებს. გვაქვს: ა-წ (ახლა), წ-ინ, ა-წინ, უ-წინ ფორმები და ისინი ყოველთვის არ გულისხმობენ წინა არეში მყოფობას, ადგილობას. როგორც ჩანს, მათი ფუნქციური დატვირთვა უძველეს ენაში მცირეოდენად განსხვავებული მაინც უნდა ყოფილიყო.

² „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით: „უკუნეთი – 1.დიდი სიბნელე, წყვდიადი;

2. ძალიან ბნელი, უკუნი (ღამე)“ (ქეგლ 1960; სვ. 1494).

უპირველესად ვიტყვით იმას, რომ ზოგადქართული კულტურის დამოუკიდებელ ერთეულად განხილვა, იმთავითვე იქნებოდა მცდარი მეცნიერული გეზი, ამიტომ უძველესი მცირეაზიულ-შუამდინარული კოსმოგონია იქცევს ყურადღებას. „შუმერული მითოსის თანახმად, – წერს აკ. გელოვანი, – სიკვდილი და სიცოცხლე, ნათელი და ბნელი, ქვესკნელი და ზესკნელი, მიწა და ცა, ვითარცა ფური და ხარი, განუყრელი და მარადიული ორეულებია. ქვესკნელიდან აღორძინდება სიცოცხლე, ამიტომ ნერგალი (სიკვდილი) და შამაში (მზე) ერთი და იგივეა“ (გელოვანი 1983: 536). ნათელია, რომ სამყაროს მთელში მოქცევის მცდელობას (შესაძლებელია, ქაოსისაგან წესრიგის შექმნას) უნდა მიეწეროს შუმერ-აქადეველთა ძირითადი კონცეპტი, რომელიც ნაწილთა ერთ არსად ქვესკნის იდეურ ხაზს მისდევს და სიკვდილ-სიცოცხლის, მიდმიერი და ამქვეყნიური არსებობის მთლიანობას უწოდებს მარადიულობას. ჩვენთვის საყურადღებო ამ შემთხვევაში ის არის, რომ შუმერულ პანთეონში (და არა მხოლოდ შუმერულში) როგორ მოძრაობენ, როგორ გადაადგილდებიან ან „მოგზაურობენ“ ღმერთები (//ქალღმერთები) მათ მიერვე შექმნილ წესრიგში. მაგალითად, „ეგვიპტ. რასავით დამეულ სახლში (განუწმში), ქვესკნელის ოკეანეში ჩადის ქალღმერთი ინანა (მწუხრის ვარსკვლავი), მზე, ვარსკვლავები, ბუნების ძალნი და არსნი ყოველნი. იქიდან აღმოცენებული სიცოცხლის ხე სიმბოლოა ბნელისა და ნათლის, მიწისა და ცის მთლიანობის, არსთა კავშირის“ (გელოვანი 1983: 536).

სამყაროს სიბრტყივი და არა წრიული წარმოდგენა ხილულ დაკვირვებას ეყრდნობა. უძველესი ადამიანი ჰორიზონტზე ჯერ ბნელიდან ამომავალ და შემდეგ ჩამავალ მზეს ხედავს, რომელიც სადღაც ინთქმება; მაგრამ სად თუ არა ქვესკნელში?! ქვესკნელი ბადებს „აისს“ და თან მიაქვს „დაისი“. ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა ხალხის წარმოდგენათა მრავალფეროვან პალიტრას მაინც ეს მარტივი, ხილულად, თვალის სენსორით შემეცნებული „რეალობა“ უდევს საფუძვლად. ჩვენი აზრით, სამყაროს დანაწილებისა და ღმერთთა მოძრაობის მიმართულებებს, რომლებიც საერთო უნდა ყოფილიყო მთელი რიგი მცირეაზიული კულტურებისათვის, ქართულ ენაში დაღეჭილი რამდენიმე ლექსიკური ერთეული ეხმიანება და ეს, რა თქმა უნდა, „სკნელების“ სისტემა უნდა იყოს; ვიკითხავთ: რას ნიშნავს „სკნელი“? რა სემანტიკური დატვირთვა აქვს უძველეს ფუძეს? სად წარმოიდგინებიან ისინი?

ვფიქრობთ, რომ „სკნ“ (→ „სკნ-ელ“) ძირეული ფუძე, რომელიც დამოუკიდებლად, ანუ უზმნისსართოდ, ფაქტობრივ არ გვხვდება, ფორმოზ-სემანტიკურად პირდაპირ უკავშირდება „სკდ“ (//სკდ-ომ-ა) ენობრივ ვარიანტს. ასეთ შემთხვევაში ბოლოპოზიციური –ნ სონორი თანხმოვნის –დ’ონში გადასვლის ფონეტიკური პროცესია სავარაუდებელი (ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ ფონეტიკური მოვლენის შესახებ ბევრი თქმულა); ამიტომ „სკნელი“ სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა სკდომის, დანაპრალების ადგილი, ერთგვარი ვიწრო კარიბჭე, რომელიც განსაზღვრულ სივრცეს კეტავს და იმავდროულად განსხვავებულ სივრცეთა მართებლის ფუნქციაც აკისრია.

ძველი ქართული ენის ეტაპზე „სკნელი“ ოთხია, ამათგან სამი ჰორიზონტალურ-ვერტიკალურ ხაზებს მისდევს და კოორდინაციის სისტემას ქმნის: I. მიმართულება ქვემოდან ზემოთა ვერტიკალში, პირობითი საწყისიდან პირობით სასრულამდე გადმოიცემა კომპოზიციური სახელებით: „ქუე-სკნელ[ი]“ და „ზე-სკნელ[ი]; II. მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ (წინიდან უკანა არისაკენ), ჰორიზონტალურ სიბრტყეზე აღნიშნულია მხოლოდ ერთი ლექსებით – „უკანა[ა]-სკნელ[ი]“. ის საოპოზიციო ცალის გარეშეა, როგორც ჩანს, ორიენტატორი პირი, ანუ მასალის დისტრიბუტორი, ასეთ „სკნელს“ არ იცნობს, ამიტომ ენაში ის არც ფიქსირდება. ფაქტია, რომ ერთი შეხედვით მოსალოდნელი ფორმა – *წინ-სკნელ[ი] ქართული ენისათვის უცხოა, რაც, თავის მხრივ, ცნობიერ დონეზე მისი არარსებობის პირდაპირპროპორციულია; თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლებელია თვით „წინა“ ზმნიზედის უძველეს შინაარსში ძვეს. ის ახალ ქართულშიც კი ყოველთვის არ მიემართება უკანას საპირისპირო პოზიციას და გვაქვს: „წინა-რე“ (//ადრეული, ადრინდელი), „რამდენიმე წლის წინათ // წინეთ“, რომელიც წარსულში მომხდარს გულისხმობს და მისთანანი.

მეოთხე ლექსიკური ერთეული, რომლის შემადგენლობაშიც „სკნელი“ კომპოზიციის უკანაპოზიციური ნაწილია, არის „გარდამო-სკნელი“. „გარდამო“ რთული ზმნისწინის შესახებ შენიშნულია, რომ: „იგი იქ იხმარებოდა, სადაც მოსალოდნელი იყო დამო- ზმნისწინი, ე.ი. აღნიშნავდა ზევიდან ქვევით მიმართულებას ზედა არეში (ჩვენს ზევიდან ჩვენსკენ). ეს იყო და არის სააქეთო ორიენტაცია როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური მოძრაობის თვალსაზრისით. გარდამო- ზმნისწინისათვის ეს ფუნქცია ძირითადია“ (ვეშაპიძე 1967: 168).

ძველ ქართულში „გარდამო“ ცალკე მდგომი თანდებულის ფუნქციითაც გამოიყენებოდა და უდრიდა „იდან“ შინაარსს (იმნაიშვილი 1986: 99), მაგალითად: „კმაჲ იყო ზეცით გარდამო“ [ე.ი. ზევიდან]: მათე, 3,17. მოსაუბრე პირისაკენ ორიენტაცია მართლაც ორსავე ხაზზე (როგორც ვერტიკალზე, ისე ჰორიზონტალზე) იყო შესაძლებელი, რაც მის ერთგვარ ნეიტრალურ ხასიათს უსვამს ხაზს. ნათელია, რომ ის საზოგადო აღმნიშვნელია დანარჩენი „სკნელებიდან“ დარდმომავალი მოქმედებებისა და სხვა სამი შემთხვევისათვის საზიარო ენობრივ ვარიანტს ქმნის.

გარდა-მო- > ვერტიკალური შინაარსისათვის:

„და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ ადებად რასმე სახლისაგან თქსისა“: მათე, 24,17.

გარდა-მო > ჰორიზონტალური შინაარსისათვის:

„კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალიმით“: ლუკა, 10, 30.

ზესკნელის, როგორც ამალეებისა და სინათლის სიმბოლური სამყოფელის, ადამიანური წარმოდგენა ლოგიკურ-აზრობრივ წინააღმდეგობაში მოდის „უკუნი“ სიბნელის განცდა-წარმოსახვასთან; სანაცვლოდ, ეს უკანასკნელი დასაშვები „ქვე-სკნელსა“ და „უკანა-სკნელშია“ (უკუნ-ეთშია) შესაძლებელი, მაგრამ მაინც, წარმართული წარმოდგენით, რისი ადგილი შეიძლება იყოს უკან არსებული ნაპრალი, უკანა ნახეთქი, რომელიც, თავის მხრივ, რაღაც ალაგის კარიბჭეა? სად მივყავართ მას? ჩვენი აზრით, ამ კითხვებზე პასუხს ქართული ეთნომასალა გასცემს, კერძოდ, ყურადღებას ვაჟა-ფშაველას „შავეთზე“ შევაჩერებთ. „შავეთი“ რომ „საიქიოს“ აღმნიშვნელია, ეს ქართულ ლექსიკოგრაფიაში იმავე ეთნომასალაზე დაყრდნობით დიდი ხნის შენიშნულია (ჭინჭარაული 1969: 288). ვაჟა-ფშაველას ნაწერებიდანვე იკვეთება, რომ „შავეთს“ „მებატონე“ ჰყავს¹, როგორც ჩანს, რომელიც ხთონიური ღვთაება, რომლის პერსონიფიკაცია საგულდაგულოდაა დამალული (ან უკვე დაკარგული) საზოგადო სახელით „მებატონე“//„ბატონი“ [//ღვთაება]. ვაჟა წერს: „აი ლექსი საიქიოზე, რომელიც გვაჩვენებს ძველისძველს შეხედულებას ხალხისას და, ამასთან, ფშაველის წინ წაწევას საიქიოს წარმოდგენაში:

ნეტარ რად უნდა კარგს ყმასა სამკლავე, საფუხარია?

მეც მიმყვა სამარის კარსა, _ ერთიც ვერ მოვიხმარია.

შავეთის მებატონესა სამჯერ დავუკარ თავია,

უკლუებ გამაარჩია შიგ ნარჩევები ყმანია“

(ვაჟა-ფშაველა 1961: 15).

ამავე ლექსიდან ირკვევა, რომ „შავეთის“ მკვიდრთა საკვირველება უპირველესად იმაში გამოიხატება, რომ იქ „ერთსაც არ ესხდნენ თვალნია“; ე.ი. „უკუნეთს“ თვალის ჩინის აბსოლუტური უქონლობა, უხედველობაც განაპირობებს. მიუხედავად თავად ვაჟა-ფშაველას განმარტებისა, რომ „საიქიოს ის [ანუ ფშაველი – ი.ს.] ეძახის „შავეთს“ (ვაჟა-ფშაველა 1961: 15) მაინც დავსვამდით კითხვას: რამდენად წარმოადგენს „შავეთი“ „საიქიოს“ პიდაპირ შესატყვისს? ლოგიკურია, რომ რაღაც ხარისხის შინაარსობრივ (სინონიმურ) გადაფარვასთან საქმე ნამდვილად გვაქვს, მაგრამ, ჩვენი აზრით, საკითხი არც ასე მარტივად დგას. ვაჟას ეთნოგრაფიული ხასიათის წერილიდანვე ირკვევა, რომ „შავეთი“ მკვდართა // მიცვალებულთა სამყოფელია. აქ ერთად იყრიან თავს „მართალნი“ და „ცოდვილნი“, თუმცა მათ ერთმანეთისაგან „დიდი ხევი“ და „ბეწვის ხიდი“ აშორებთ. „შავეთში მართალნი არიან მკრთალს ნათელში, – წერს იგი, – ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასული მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზედ ... შავეთს ჩამოუდის შუაზე დიდი ხევი, რომელზედაც მოდის კუპრის მდინარე, ცეცხლმოდებული; მაზედ არის გადებული ბეწვის ხიდი, მართალი გაივლის იმ ხიდზე, ცოდვილი კი ჩავარდება და იწვის კუპრში. საიქიოს მკვდრები ლაპარაკობენ მისუსტებულის ხმით“ (ვაჟა-ფშაველა 1961: 15). ამრიგად, „შავეთი“ გარდასულ სულთა სამკვიდრებელი ადგილი ნამდვილად მოჩანს, რომელსაც საკუთარი მებატონე (//ღვთაება) დასდგომია დარაჯად. რა თქმა უნდა, თავისი ფართო გაგებით ეს „საიქიოა“, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ვიწრო მნიშვნელობასა და შედარებით კონკრეტულ სემანტიკურ ხაზს თუ მივყვებით, მისი პირდაპირი შესატყვისი, ერთი მხრივ, „სულ-ეთ-ი“, ხოლო, მეორე მხრივ, „უკუნ-ეთ-ი“ და „სა-უკუ[ა]ნ-ე“ // „სა-უკუ[ა]ნ-ო“ უნდა იყოს; ეს უკანასკნელი კი, ძირეული ფუძიდან გამომდინარე, ორ ძირითად შინაარსობრივ რგოლს გვამღევს: პირველი სულთა სამყოფელის უკანა არეში წარმოდგენას გულისხმობს, მეორე კი – მასში დასადგურებულ ბნელს, „შავს“ (→ შავეთს). ასეთ ვითარებაში, ალბათ, უნდა გაგვიადვილდეს „შავეთ-სულეთის“ ლოკალიზაციის განსაზღვრა. ცხადია, რომ ენა ამ თვალსაზრისით უძველესი აზროვნებისა და რწმენის ადდგენის კუთხით უნიკალურ ცნობას გვაწვდის. ნათელია, რომ მარადიულობა, როგორც სულთა სამკვიდრებელი, უკანა და თანაც ბნელი, უთვალისჩინო არეა.

„უკუნ“ ფუძეს ეყრდნობა ძველი ქართულის ენის ეტაპზევე ფიქსირებული შესიტყვება _ „უკუნ-ით-ი უკუნ-ის-ად-მდე“ (→ უკუნ-ით-ი უკუნ-ის-ად-მდე), რომლის ძირითადი მნიშვნელობა ასევე მარადიულობაა; თუმცა თუკი ძირეულ სემანტიკას აღვადგენთ, ის სხვა არაფერს გულისხმობს, თუ არა – *უკანა არედან უკანა არემდე, წყვილიადიდან წყვილიადამდე წარმოდგენილ სივრცეს; წარმოების თვალსაზრისით კი პარონომაზიულია და მისი პირველი სემანტი ჰგავს იმავე ძველ ქართულში კარგად გავრცელებულ წყვილად ფორმებში დადასტურებულ მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტით წარმოებულ

¹ ალ. ჭინჭარაული შენიშნავს: “შავეთის მებატონე ღმერთი, რომელიც ვითომც მიცვალებულთა სულს პატრონობს, – სულეთის ღმერთი” (ჭინჭარაული 1969: 289).

ფუძეებს: „დღ-ით-ი დღე“, „დიღ-ით-ი დიღად“, „ჟამ-ით-ი ჟამ-ად-[მდე]“, „სახლ-ით-ი სახლ-ად“ და მისთანათა. მაგ.,

„ოდეს მოვიდიან ყოველნი პირუტყუნნი თაყუანის ცემად ადამისა დღითი-დღე და დილითი-დიღად, ყოველსა დღესა მიხვიდი შენცა თაყუანის ცემად“ („ცხოვრება ადამისი“ 1946: 9).

„და ჟამითი-ჟამად მივიდის [ფარნავაზ] ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხის მეგრელნი და კლარჯნი“ (ლეონტი მროველი 1955: 25).

შესიტყვებაში (უკუნ-ით-ი უკუნ-ის-ად-მდე) შემავალი მეორე ფუძე, თავის მხრივ, პრეპოზიცივაში მდგომი მართული მსახდვრელია, ჯერ – ნათესაობით გაფორმებული (*უკუნ-ის), ხოლო შემდგომ – ვითარებითი დასმული.

ამრიგად, კიდევ რა შეიძლება ითქვას მუდმივომა-მარადიულობის აღმნიშვნელი ერთი ჯგუფის ლექსიკურ ერთეულთა შესახებ?! ალბათ, ის, რომ თავიანთი წარმოშობით „საუკუნ-ო“//„სა-უკუნ-ე“ და „უკუნ-ით-ი უკუნ-ის-ა[დ]-მდე“ საკმაოდ ვრცელი წარმართული ეპოქის წარმოდგენათა წიაღში დაბადებული ლექსიკური ოდენობებია, რომლებიც მემკვიდრეობით ერგო ქრისტიანობას, თუმცა უკვე ძირეულ სემანტიკას არსებითად დაშორებული, თავდაპირველ შინაარსს მოწყვეტილი და მნიშვნელოვნად გადააზრიანებული გამოიყურება.

ლიტერატურა:

1. გელოვანი 1983: გელოვანი აკ., *მითოლოგიური ლექსიკონი*, თბილისი, 1983, გამომც. „საბჭოთა საქართველო“.
2. ვაჟა-ფშაველა 1961: ვაჟა-ფშაველა, *თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად*, ტ. V, ტბ., 1961, გამომც. „საბჭოთა საქართველო“.
3. ვეშაპიძე 1967: ვეშაპიძე ირ., *ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში*, თბილისი, 1967, თსუ გამომცემლობა.
4. ლეონტი მროველი 1955: ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართულთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, „ქართლის ცხოვრება“ (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), ტ. I, თბ., 1955, გამომც. „სახელგამი“.
5. მარტიოსოვი 1953: მარტიოსოვი არ., *ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში*, კრებულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, თბილისი, 1953, საქართველოს სსრ აკადემიის გამომცემლობა.
6. ორბელიანი 1993: ორბელიანი ს.–საბა, *ლექსიკონი ქართული* [ორტომეული], ტ. II, თბ., 1993, გამომც. „მერანი“.
7. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია 1979: [მათე, მარკოზ, ლუკა, იოვანე] *ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1979, თსუ გამომცემლობა.
8. „ცხოვრება ადამისი“ 1946: „საკითხავი ადამ და ევასი სამოთხით გამოსლვისა [აპოკრიფი]“, კრებულში: „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ (შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ), თბ., 1946, გვ. 3-13, თსუ გამომცემლობა.
9. ჭინჭარაული 1969: ჭინჭარაული ალ., *ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი*, თბ., 1969, თსუ გამომცემლობა.

THE SEMANTIC-FORMING RELATION OF ADVERB “BACK” TO LEXEMES INDICATING THE ETERNITY (“ETERNITY/CENTURY” AND “UNTO AGES OF AGES” - FOR ALL ETERNITY)

Inga Sanikidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

RESUME

The archaic origin of Adverbs considerably conditions the scientific interest towards them since they are the very ones which maintain the antique morphological layers and the substantive presentations. It is interesting that in the Georgian language the adverb „უკუნ“ (back) from the point of orientation in space is the antonymic pair of the adverb “front”. By the orientating person standing at the beginning of coordination there are perceived two mutually controversial parts; these are the front and back areas. It should be noted that the adverbial root „back” in the Georgian language is the basis for a number of Noun derivatives: “darkness”, “darkness”, “eternity, forever” and to objection – “unto ages of ages”. According to definition of Sul Khan-Saba Orbeliani “ukuni” is the “gloomy darkness”. Thus, the root (stem) becoming the Noun “uku[a]n-et-i (very gloomy) “(is nothing else than the being back and simultaneously

the place of darkness. In the period of old Georgian language the stem (root) “uku[a]n”(back) is used in such derivative roots as “sa-uku[a]n-o” (eternal, everlasting, perpetual) and “sa-uku[a]n-e” (eternity) and they have the interpretation of eternity and constancy.

A question is put: what kind of interrelation can exist between the back area, gloomy darkness and eternity (consistency?) As it seems on some stage of thinking there has been performed their substantive intersection. Of course, The Christian world-vision excludes its appearing from the dark, black areal of eternity. In our opinion, responding to the represented question is somewhat simplified the Georgian ethnic material, in particular Vazha-Pshavela/s “Shaveti” (blackness) which is the indicator of the Kingdom come, the case is that the “blackness” is the place of residence of the went away souls which have their own master (///Deity); i.e., in a wide sense, this is really the “Kingdom come”, but we think that if we follow the narrow meaning and considerable concrete semantic line, its direct correspondence should be the relative “residence of souls” on the one hand, and on the other hand, the “ukun-et-i” (darkness) and “sa-uku[a]n-e” (eternity) // “sa-uku[a]n-o” (eternal); And the latter, produced from the basic stem gives us two main substantive circles: the first implies the representation of the lodging of the souls in the back area, and the second – the darkness, “black” (-> blackness).

On the stem/root “ukun” is based the combination fixed on the very stage of the Georgian language – “unto ages of ages”, (“ukun-it-i ukun-is-ad-med” (for all eternity, “unto ages of ages”), the main meaning of which is the eternity as well: Though, if we restore the basic semantics, it does not mean anything else than the - *from the back/rear area to the back area, the space represented from darkness to the darkness.

Thus, in our opinion, the combinations of “saukun-o” (eternal) and “sa-ukun-e” (eternity) and “unto ages of ages”, (“ukun-it-i ukun-is-a[d]mde”) (for all eternity, “unto ages of ages”) by their origin are the lexical quantities born in the bosom of images of the heathen epoch which became the ownership of Christianity hereditably, though they are essentially far away from the main semantics.

მერაბ კოსტავას ესთეტიკური თვალსაწიერი

ლუარა სორდია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

მერაბ კოსტავა იყო არა მხოლოდ ეროვნული იდეალებისთვის ჯვარცმული „საღვთო ზვარაკი“, არამედ საკაცობრიო მასშტაბებში მოაზროვნე შემოქმედი, დიდი ესთეტი, მხატვრული სიტყვის ოსტატი. მის ფართო თვალსაწიერში მოქცეულია რელიგიის, ფილოსოფიის ყველაზე არსებითი, აქტუალური პრობლემები, მოვლენები განჭვრეტილია უზენაესი სამართლიანობის გადასახედიდან.

ამ „ვაჟკაცობის დიდი მოძღვრის“ მსოფლმხედველობას ასაზრდოებდა უმაღლესი ზნეობა, საღვთო ეთიკა, საღვთო სიბრძნე და საღვთო სიყვარული.

მერაბ კოსტავას მხატვრული სიტყვა აღჭურვილია რელიგიის, ღვთისმეტყველების ფუნქციით, პოეზია დასახულია, როგორც სულიწმინდის მადლი, პოეტის მისიაა რწმენის, ზნეობის განმტკიცება, მიწის და ზეცის საიდუმლოებათა შეცნობა, ეროვნული და კოსმიური იდეალების დასმა-გადაწყვეტასთან, საერთაშორისო არენაზე საკუთარი ერის ადგილის ძიებასთან ერთად.

პოეტი არის „ზემთაგონებით გაბრძნობილი მოძღვართმოძღვარი“, უმაღლესი მისანი.

მერაბ კოსტავას ყოვლისმომცველი ხედვა ერთმანეთისგან არასოდეს თიშავდა გრძნობას და აზრს, გულს და გონებას.

პოეტის „გრძნობის ცეცხლზე“ მდებარე გონი საზღვრების მიღმა ილტვოდა, „ვულკანის სიმძაფრით“, „ეთერის ჰაეროვნებით“ ხასიათდებოდა.

მერაბ კოსტავას აზრით, ლექსი არის „აღმრული სასწაულითა, საღვთო ქორწილის მყარი“ (ლექსი) (1,60-61).

სასწაული საღმრთო სახელია: „მოავლინე სასწაული და საოცრებანი ჩვენს შორის“ (ფს. 134/135,9) (2,669).

„სასწაულით აღმრული“, ანუ უზენაესისგან ჩაგონებული მხატვრული სიტყვა სულის უკვდავების, სასუფევლისკენ სავალი გზით მიემართება, რადგან „საღვთო ქორწილი“ არის სასუფეველი, სამოთხე, სულით სპეტაკთა სავანე...

„სამეფო ტიარით“ მოსილი ლექსი არის „სიკვდილის ზიარი, შავეთში გადანახედი“, ანუ მიღმურში მჭვრეტელი, „უსაზღვრობიდან მოსული“, „უსაზღვრობა“ კი საღვთო სახელია (იოანე დამასკელი) (3,334).

ლექსი „დემონურ ჭანგებთან“, ეშმაკეულთან შეჭიდებული უძლეველი ძალაა, „უკმარობის ხანძარი“, ტანჯვა, რომელიც მოითხოვს სულის გაღებას“ (ლექსი) (1,60-61).

ჭეშმარიტი პოეტი სილაჟვარდში არწივივით ნავარდობს, ამასთან, ეამბორება მიწასაც (სულო, დაიცა) (1,40-42).

სადმროთ სიტყვა სამყაროს საცნაურმოფელია, იცის „სამყაროს ენა, დრო-ჟამის ენა, ვარსკვლავთა ენა“.

პოეტის მისიაა „შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-104).

დიდი პოეზიის მახასიათებელია ზღვა, ოკეანე (შეხვედრა) (1,56-58).

„აზრების რთველის“ მოწვევას სჭირდება თვალი და გამორჩევა, რწმენა და ცოდნა: „რადგან თვალია გამორჩევის და სიბრძნის დედა, ის რწმენას ძლიერს შარავანდედს ცოდნისას ადგამს“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1, 87-104).

სრულყოფილი თვალი „ჭვრეტს მეუფებას ოქროს ტახტიანს“ (სულო დაიცა) (1,40-41).

ამასთან, წმინდა სულების მეგზურია „ხმა ზეციური“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,88), „უკვდავების ქნარის ხმა“, „ანგელოზთა უჩინარ ბავით ნათქვამი ნანა“ (თეთრი ქალწული) (1,45).

„გულთა სმენა“ და „განსჯის წვდომა“ უზენაესისგან ხელდასხმულთ მიემადლებათ: „ხილვას დაგანძავს თვალით მონაგარი და გულთა სმენას წვდომა განსჯისა, ყოველი არსი სად მონა არი უზემთაესის მფეთქავ მაჯისა“ (სფინქსი) (1,76-77).

„აღმფრენის ფრთებს“ შეისხამენ მხოლოდ „უკვდავების წყაროს“ (ღმერთის სახელია), ნაზიარებნი (შენ გვედრები სულით გლახაკი) (1,23).

მაღალთა და მაღლადმხედთა ხვედრია გაითავისონ „ზეციური გეომეტრია“, „ისტორია ცისა და მიწის“, „მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობა“, „ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი“.

პოეტი არის „მთარგმანებელი, წამკითხველი ვარსკვლავთ ენისა, ჩამძიებელი და ამხსნელი ყოველგვარ ნიშნის“.

მთავარია „თვალთა ახელა, ახლად ხედვა, გონის თვალი“ (ბიბლიური რემინისცენციები).

რეზიუმესავით ჟღერს ყოველი დიდი შემოქმედისათვის აუცილებელი მოთხოვნა: „საქმეა იქვე მსოფლიო კაცად და არ უმუხთლო ერსა და თვისტომთ, ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას ჰმატო ზურმუხტი და ამეთვისტო“ (ტანჯვათა ტიტანი) (1,16-20).

მერაბ კოსტავა ეთაყვანებოდა დიად, ამაღლებულ ადამიანებს, მარადიულ ფენომენებს, კაცობრიული აზრის გიგანტებს.

მის კუმირებში უპირველესი ადგილი ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს.

არავის შეუღწევია ასე ღრმად „არტისტული ყვავილების“ ავტორის ურთულეს სამყაროში.

„ათასის... მხედველობა“, „ასი ათასის სმენა“, „ათასის მზე ჰქონდა მიმადლებული პოეტების მეფეს და ჰიპერბოლად არ უნდა მოგვეჩვენოს მისი გაბედული განაცხადი: „და ჟრუანტელით ისე, ვით ბავშვი, შენ საუკუნე გიცქერის შიშით“...

მერაბ კოსტავას, როგორც თვითონაც არსთაგანმრიგის რჩეულს, დაძლეული ჰქონდა პოეტური ტიტანის შიში, ის თავისუფლად ნავარდობდა გალაკტიონის პოეზიის ტალღებში და უცდომლად აგნებდა მის ფარულ, ჯერაც შეუმჩნეველ დინებებს, ისე სიდრმისეულად განჭვრეტდა „ლურჯა ცხენების“ ავტორის ენიგმური ლირიკის საიდუმლოებებს, რომ აშკარაა: ის ერთი იმთაგანია, ვინც ამ გენიოსის სკოლა ძირფესვიანად გაიარა.

ლექსში გალაკტიონი წარმოჩნდება არა როგორც მიწიერ თავადთა მეხოტბე, პოეტური არტელის ერთ-ერთი წარმომადგენელი, არამედ როგორც სულიწმინდისგან ხელდასხმული რელიგიური პოეტი, ზეციური ცეცხლითა და საღვთო ნათელით შემოსილი „სიტყვის ნათლისმცემელი“, რომელიც რწმენის, ეროვნულობის, ზოგადსაკაცობრიო იდეალების მსახურად მოავლინა უზენაესმა (გალაკტიონი) (1,144).

პოეტების მეფის გამორჩეულობას განაპირობებდა მის შემოქმედებაში დაუნჯებული საღვთო სიბრძნე, „სიბრძნის ერთი დარგის“ ერთგულება, რადგან სიბრძნე ღმერთია: „წყარო სიბრძნისა – უფალი“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3,12) (4,190).

„ღმერთი – სიბრძნეა – ყოველთა შემოქმედი“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,27) (5,24).

„სიბრძნე“ მხოლოდ „უბიწო სულებს“ განამზადებს ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,21) (5,24).

ახალ აღთქმაში გარჩეულია „მიწიერი, მშვიინვიერი, ეშმაკეული, სიბრძნე“ და „მაღლიდან გარდმოვლენილი, წმინდა, მშვიდობიანი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო სიბრძნე“ (იაკობ მოციქული, 4,15,17) (2,298).

პავლე მოციქული გმობდა „წუთისოფლის სიბრძნეს“ და შეგვაგონებდა შეგვეცნო „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2,64) (2,358).

გალაკტიონი „ცრუ სიბრძნეს“ უპირისპირებდა „უკვდავ აზრის ბჭეს“ (უმშვენიერეს კიბეზე) (6,471).

მერაბ კოსტავა მიმართავდა დიდ პოეტს: „მზეთა ორგია გბანგავდა ძველი, მთვარის მაგიას არც შენ მიჰრიდე, ახალუხლებსაც დაასხი ხელი, სიბრძნის იმ ერთ დარგს როს დაეწინდე, ვითარცა მოსემ აღმართე გველი, ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი“ (1,141).

„სიბრძნის ერთი დარგი“ საღვთო, უზენაესი სიბრძნეა.

„მზეთა ორგია“ და „მთვარის მაგია“ საღვთო შინაარსის სახეებია.

მზე საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (2,612).

მთვარე უფლის მეტაფორაა სასულიერო სახისმეტყველებაში (7,124).

ლექსში ძალიან მიგნებულად არის ჩასმული ბიბლიური სპილენძის გველის ამბავი.

ბიბლიაში მოთხრობილია, რომ ღმერთმა ურჩი ებრაელები დააგესლინა გველებს. ისრაელიანებმა ამის შემდეგ შეინანეს, აღიარეს დანაშაული, სთხოვეს თავიანთ წინამძღოლს მოსეს, რათა შევედრებოდა მათთვის ღმერთს და ეხსნა შხამიანი გველებისგან. ღმერთმა აპატია ებრაელებს, მოსეს გააკეთებინა სპილენძის გველი და ჩამოაკიდებინა მაღალ ადგილზე. ქვეწარმავლებისგან დაკბენილნი შეხედავდნენ ამ სპილენძის გველს, რომელიც შხამს ანეიტრალებდა და ასე ახერხებდნენ გადარჩენას (რიცხვ. 21,6-9) (5,157).

რა კავშირი აქვს ბიბლიის ამ ეპიზოდს გალაკტიონთან?

ხელისუფლება გალაკტიონს ავალდებულებდა საბჭოთა წყობილების საქებარი ლექსების წერას (რაც გადარჩენის ერთადერთი გზა იყო), შემდგომ „პრინციპული“ კრიტიკა კი ვერ ჰპატიობდა ასეთ კომპრომისებს, მიზეზებს კი არავინ უღრმავდებოდა.

მერაბ კოსტავამ ამ საკითხს გამგები თვალთ შეხედა, ასეთი ნიმუშები კეისართა საკადრის „თაღლით თვალად“ მონათლა, რომელთაც სპილენძის გველის (ანუ თავის გადარჩენის) ფუნქცია ეკისრებოდა, ზენაარისთვის მიძღვნილ შედეგებს კი „თვალის პატიოსანი“ უწოდა: „...თაღლითი თვალის წარეც კეისარს, ზენაარს – თვალის პატიოსანი“.

მართლაც, გალაკტიონმა შესძლო სატანური, გველური, შხამიანი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბიბლიურ მოსესავით აღმართა „სპილენძის გველი“ (შეკვეთით დაწერილი სახოტბო ლექსები), ვითომცდა „საბჭოთა სამოთხის“ (სინამდვილეში „ჯოჯოხეთური სამოთხის“), ამსახველი ნიმუშები, სხვაგვარად გარდუვალი იყო პოეტის სიცოცხლის ხელყოფა.

მერაბ კოსტავას გალაკტიონის ლირიკის მთავარ განმასხვავებლად, საღვთო სიბრძნესთან, ერთად მიაჩნია საღვთო სიყვარულის ერთგულება: „...ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი, როცა გახელდი, მთლად აიწყვიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი, მღვრიე მშვენება უმაღლესში დასწმინდე, მკვიდრად შეაბი ზეცას ქვესკნელი“ (1,145).

მართლაც, გალაკტიონის პოეზიის უმთავრესი პრობლემაა საღვთო ტრფობა, მისივე ტერმინებით, „ზექვეყნიური სიყვარული, მზიანი სიყვარული, სიყვარული უკანასკნელი, ტრფობა სრული“.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს პლატონის „ნადიმი“. პლატონი განასხვავებს მიწიერ და ციურ ეროსს. ეროტიკულ მისტერიათა საწყისი სტადია პირველი საფეხურია, რის შემდეგაც იწყება „სულის მშვენიერების“ უპირატესობის აღიარება, ზეციური მშვენიერების უკიდევანო ოკეანის ჭვრეტა, როცა „გაბრძნობილი“ სული მიადგება... ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას... აბსოლუტური მშვენიერების შესახებ, როცა ხდება “მარადიული, ხელთუქმნელი, სულიერი მშვენიერების აღქმა, რომელიც წმინდაა, “შეურყვნელი და შეურევნელია კაცის ხორცით და არის „ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერება“... ანუ სიყვარულის უკანასკნელი, უმაღლესი საფეხური (8,17,60,63).

საღვთო სიყვარულის იდეა, „რელიგია სიყვარულისა“, დაზელები (საღვთო სიბრძნე) ცნობილია აღმოსავლურ სუფიზმში (ჯალა-ედ-დინ რუმი, იბნ ელ არაბი) (9,17).

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „საყვარელს“ – ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, „საყვარელი“ და „სულიკო“ ერთდროულად (9,106-117).

„პირველი სიყვარული“ ეწოდება ღმერთს იოანეს გამოცხადებაში. ქრისტემ მიმართა ეფესელთა ეკლესიას: „შენ დაივიწყე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2,4) (2,492).

ახალი აღთქმის მიხედვით, „ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლეონი იოანესი, I,4,8).

მთავარია „რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 13,12,3,4).

ზვიად გამსახურდია სუფისტურ ასპექტში კითხულობდა რუსთაველურ მიჯნურობას (10,10).

დანტემ სულიერ ზეცაში შეიგნო „სიყვარული სხვადასხვაგვარი“. პოეტს იზიდავდა „სიყვარული პირველი, სიყვარული ღვთაებრივი, სიყვარული დაუშრეტელი, სიყვარული მისნური“ (11,328).

საღვთო სიყვარულის იდეა იკითხება რუსულ პოეზიაში (ვლ. სოლოვიოვი, ალ. ბლოკი) (12,102,145,168).

გალაკტიონმა მართებულად ირწმუნა, რომ „უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“ (ანუ უღმერთოდ). ამასთან, „იმ საწყისებს, მიწიერს, ციურს“ პოეტი „შემოქმედების ჟინით“ ავსებდა (1,159).

მერაბ კოსტავას ლექსში „სადმართო ტრფობა, სრულქმნილი სიყვარული“ უძლეველი ძალაა: „ეგ სადმართო ტრფობა თუ გაგიჯდა ძვალსა და რბილში, მაშინ სრულქმნილმან სიყვარულმან განდევნოს შიში“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,88).

„ლურჯა ცხენების“ ავტორი „სხვისთვის უხილავს ჭკრეტდა ეთერში“ (1,154) – უხილავი ღმერთის სახელია...

განსაკუთრებული ინტუიცია, გულისა და გონების ძალა გალაკტიონს ანიჭებდა მხოლოდ ერთეულთათვის დამახასიათებელ უნარს – წინასწარ ეგრძნო, წინასწარ განეჭვრიტა მოსალოდნელი მოვლენები: „...ინტუიციით, განწონით მიზნის, წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი, პოეტის გული გულია მისნის“.

პოეტის რელიგიურობის დასტურია ინტერესი გრაალისადმი, ძვირფასი თასისადმი: „...რამეთუ გვერფლავს, ვითარცა ალი, სიწრფელე გულთამხილავი თვალის, შეუღწევლობა მონსალვატისა, მიუწვდომლობა წმინდა გრაალის“ (1,148).

„გრაალი არის სიმბოლო სულიწმინდისა, ღვთისმშობლისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი“ (13,134).

გალაკტიონის ტრაგიზმი ასხნილია ღმერთისუარმყოფელი ეპოქის რწმენის გემების მსხვრევით: „როდემდე ზღვაში დამსხვრეულ გემის უიმედობის აფრა გვემოსოს“...

დრამას განაპირობებდა „ღირსთა მამათა წმინდა სავანის მდუმარება, „ჭაობზე უნოტიესი სულის“ მძლავრობა, რომელმაც ჯვარს აცვა უფალი, მაგრამ ეს ხელს ვერ უშლიდა პოეტს, ცაზე ისევ ეძებნა „ვარსკვლავი იგი ფიქრთა საგანი“.

ვარსკვლავი სადმართო სახელია. ქრისტე არის „ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (იოანეს გამოცხადება, 22,16) (2,52).

მერაბ კოსტავას ხიბლავს გალაკტიონის განუმეორებელი ენიგმები: სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში, ივლისისფერი ყინვის თასები, ვარდისფერი და იისფერი თოვლის მშვენეირება.

ყურადღების სფეროში შემოდის „ჯვარცმული ელვის“, „ცეცხლოვანი აზარფეშის“ სახეები, რომლებიც მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ გვესახება „ალის თასის, სიხარულის ჭიქის“ პარალელუბად (14, 129-193).

გალაკტიონის იდუმალ სამყაროში შესასვლელი უმთავრესი კარია მისი განუმეორებელი, რელიგიურ მსოფლმხედველობაზე მიმანიშნებელი სიმბოლოურ-მეტაფორული სახეები...

მართებულაა მიძღვნით ლექსში დიონისური და აპოლონური საწყისების დანახვა, ქვეცნობიერთან, დიონისესთან ერთად, აპოლონურის, კოსმიური ჰარმონიის ძიება.

მერაბ კოსტავას დაკვირვებით, როგორც სოკრატეს, გოეთეს სამყაროში, გალაკტიონის შემოქმედებაშიც მძლავრობდა „დემონი საანგელოზო“ – სიმბოლო გენიალობისა და „მაცდური დემონი“, ლუციფერი, როგორც ბოროტება.

მართლაც, დემონი ერთმნიშვნელოვანი ცნება არ არის გალაკტიონთან, იგი ხან გენიალობის, ხან ბოროტების სიმბოლოა.

გალაკტიონი, ლექსის ავტორის თქმით, იყო „შემმეცნებელი მეფისტოფელის“, ლოცვით, ღმერთის სასწაულის ძალით, ბოროტების გაკეთილშობილების, მისი შენდობის მთხოვნელი.

პოეტების მეფის შემოქმედების მთავარი მიზანი იყო „სულის წრთობა“, ერის ზიარება სიმადლეებთან, მამულის გრძნობით ავსება, ეროვნული იდეოლოგიის სამსახური: „მამულის გრძნობით შენგან ავივსეთ, ვცანით ვით მადლის სულში ჩადგომა, მისი მაისი, მისი აპრილი, მისი მკათათვე და შემოდგომა“ (1,146).

ლექსში ხაზგასმულია „ჰადესში ჭკრეტის“ უნარი, „სულეთის სიღრმის“ განცდა, რაც არ ახასიათებდათ არც ლადო ასათიანს, არც ნიკო სამადაშვილს, არც გიორგი ლეონიძეს, აქ მხოლოდ „მემენტო მორის“ ავტორთან კეთდება პარალელი. გალაკტიონმა ახლებურად შეხედა სიკვდილის პრობლემას, „მესამე გზას“, რაც სულით სპეტაკთა მარადიულ სახლში დაბრუნებას, უკვდავებას გულისხმობს.

„არტიტული ყვავილები“ ავტორის გამორჩეულობას განაპირობებდა საღვთო მუსიკის, ზეციური მუსიკის, კოსმიური რიტმის მოსმენის და გათავისების უნარი, ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენები...

სიტყვის ჯადოქარი ადამიანური შესაძლებლობების გაფართოებისთვის, საზღვრის მიღმა, სივრცეებს იქით, კოსმიურისკენ ესწრაფვოდა. ის თვით იყო გალაკტიკები, მესიური მასშტაბების, მაკროკოსმიური, ზოდიაქალურ ველებში გაჭრილი, ზესთასიმაღლეს ნაზიარები, სულის წრფობის, სულის განწმენდის, კათარსისის, რწმენის განტკიცების მისიით მოვლინებული, „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციით“ გატაცებული.

გალაკტიონი სამყაროს საცნაურმყოფელია, სივრცეებს მიღმა მიმსწრაფი, თავად კოსმოსად სახელდებული: „...გაიერთსახე, რაიც დაჰყავი, როცა სამყარო საცნაურ ჰყავი, როს სულის წროთობას ხელი მიჰყავი, რადგან კოსმოსი თავად იყავი“ (1,159).

ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, ღმერთმა იგი სულით დაიმსგავსა, ამიტომ მიწიერთა სული უკიდევანოა და მთელი სამყაროს დამტევია: „ადამიანი არის მცირე ქვეყნიერება“ (წმინდა იოანე დამასკელი) (14,362).

პოეტურ პარნასს გალაკტიონი ქართული სულით მიეახლა.

როგორც ნოვატორმა და რეფორმატორმა, შორს გასწია მხატვრული სიტყვის შესაძლებლობები და რუსეთს, ევროპას გააცნო და დააწია ეროვნული პოეტური გონი.

„ლურჯა ცხენების“ ავტორის მახასიათებელია ამირანის შემართება, ყაზბეგის სიდიადე, ჩინარის სიმაღლე, მუხის ძლიერება და განმარტობეულობა.

„პოეტების მეფე“ წარმოგვიდგება, როგორც „ვეერესტივით ნისლმოხვეული“, ანუ თანამედროვეთათვის შეუცნობელი, მაკროკოსმიური არსება.

მერაბ კოსტავას გალაკტიონი ესახებოდა, როგორც „ჯადოქრულ სიტყვის ალფა, ომეგა, საჭეთმპყრობელი და წარმმართველი“, „ქართული სიტყვის ოქრომჭედელი“, რუსთაველის ჯუფთი“ გენია.

დავიწყებული არ არის სატანური ხელისუფლების წვლილი პოეტის თვითმკვლელობაში, „საქმენი ბარბაროსის“, რომელიც ვერ იგუებდა მაღალთ, მართალთ, რომელმაც გენიოსის დაშინების და დათრგუნვის მიზნით ციმბირში გადაასახლა პოეტის უდანაშაულო მეუღლე – ოლია ოკუჯავა.

ლექსში პოეტი სახელდებულია, როგორც „საქართველოს თვალის სინათლე“, რომლის უკიდევანო, უსახლო სულმა დამსახურებულად დაივანა სიმართლის მარადიულ სახლში: „შენ, საქართველოს თვალის სინათლევე, ხომ მოიპოვე, რაიც ინატრე, დაუსაბამო სახლი სიმართლის, მიუსაფართა თავშესაფარი“ (გალაკტიონი) (1,161).

ლიტერატურა:

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ., 1990.
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
3. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000.
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982.
7. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996.
8. პლატონი, ნადიმი, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ., 1964.
9. აღმოსავლური პოეზია, თამაზ ჩხენკელის თარგმანი, თბ., 1964.
10. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, თბ., 1990.
11. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ., 1941.
12. მარადი დღე, თბ., 1987.
13. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990.
14. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ., 2009.

AESTHETIC OUTLOOK OF MERAB KOSTAVA
Luara Sordia, Sokhumi State University, Professor
SUMMARY

According to Merab Kostava's poetic talent is a gift from Holly Spirit, mission of artistic expression is a serve to faith, to the ideals of national, human problems. True creativity characterizes the phenomenon of clairvoyance, the providence of the future, path of divine wisdom and love, solid loyalty of themes.

Merab Kostava saw a special manifestation of the Georgian poetic genius in the works Galaktion Tabidze and rightly stressed the renaissance and global significance of the lyrics king of poets.

ინდივიდუალური შემოქმედების სტადია

მარინე ტურავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი
E-mail: mari.turava@gmail.com

რუსმა მეცნიერმა ვესელოვსკიმ მხატვრული კულტურის ისტორიაში გამოყო ორი დიდი – სინკრეტიზმისა და ინდივიდუალური შემოქმედების ეპოქა (Аверенцев С.С., 1994). მოგვიანებით დამკვიდრდა მხატვრული ცნობიერების სამ ტიპად – არქაულად, რიტორიკულად და ინდივიდუალურად დაყოფის ტრადიცია. დღეს უკვე აღიარებულია, რომ მხატვრული ცნობიერების ბოლო სახეობა, მხატვრულ-ინდივიდუალური, მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდში ჩაისახა. მისი უმთავრესი ნიშანი ის არის, რომ ლიტერატურული პროცესის ეპიცენტრში ექცევა არა მხატვრული ნაწარმოები და მისი შექმნის კანონიკა, არამედ თავად ავტორი (Броитман С.Н., 2001). ფაქტიურად, ეს ეპოქა რომანტიზმით დაიწყო, როცა მნიშვნელოვანი გახდა არა „ჩაილდ ჰაროლდი“, როგორც რომანტიკული, ლირიკული პოემა და მისი იმანენტური თუ ასოციაციური ანალიზი, არამედ პოემის ავტორი – ბაირონი, თავისი სუბიექტური შეხედულებებით, პოეტის „მე“, პერსონა იქცა კვლევისა და რეფლექსიის წყარო.

გერმანულ ლიტერატურისმცოდნეობაში, სადაც ისტორიული პოეტიკა, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა არ ჩამოყალიბებულა, მხატვრული ცნობიერების ბოლო სახეობას „ესთეტიკურ მოდერნიზმად“ (die asthetische Moderne) მოიხსენიებენ. რუსულ „ინდივიდუალური შემოქმედების სტადიას“ (стадия индивидуального творчества) გერმანელები ასწავლიან როგორც „მოდერნიზმის მაკროსისტემას“ (Kemper D., 1998). ნიშანდობლივია ისიც, რომ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე გაჩენილი ცნება „die Moderne“ უპირისპირდება არა მხოლოდ რეალიზმს, არამედ ანტიკურობასაც – რიტორიკულ მხატვრულ აზროვნებას ზოგადად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ანტიკურობა გულისხმობს რიტორიკული სიტყვიერების ხანგრძლივ პერიოდს – ევროპული ლიტერატურის ოცდაექვსსაუკუნოვან ისტორიას, ჰომეროსიდან გოეთემდე“ (Curtius E.R.).

ქართულმა ლიტერატურამ განვითარების საკუთარი გზა განვლო, რომელიც დეტერმინირებული იყო ჩვენი ისტორიული რეალობითა და სინამდვილით, ცხოვრების წესითა და აზროვნების მოდელით. ყოფიდან გამომდინარე, ქართული კულტურა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იყო იზოლირებული, მოწყვეტილი ევროპულ მხატვრულ თუ ზოგადად კულტურულ ცნობიერებას, სწორედ ამით არის გამოწვეული მეცამეტე საუკუნიდან თითქმის მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე სპარსულ-აღმოსავლური მოტივებისა და თემების მოძალეობა, გვიანი ქართული აღორძინება, რომელიც დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. თუ ობიექტურ ანალიზს ჩავატარებთ, ნათელი გახდება, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, ქართული რომანტიზმის ჩასახვიდან, ვითარდება ქართულ ლიტერატურაში – ინდივიდუალური შემოქმედების სტადია. ბარათაშვილისათვის ისევე მნიშვნელოვანია პოეტური „მე“, სუბიექტური განცდა და საკუთარი დამოკიდებულება მოვლენებისადმი, როგორც ბაირონისათვის. სწორედ ბარათაშვილის შემოქმედებიდან იწყება რიტორიკული მხატვრული მოდელის დაძლევა და მოვლენათა ეპიცენტრში გადმოდის ავტორი, ის ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი. თუმცა თავად ბარათაშვილის გამოჩენაც, ევროპული ლიტერატურული კონტექსტის გათვალისწინებით, მოულოდნელი და არალოგიკურია. ქართული რომანტიზმი არ ჩამოყალიბებულა კლასიციზმთან

პოლემიკაში, როგორც ეს ევროპაში მოხდა, რადგან ეს ესთეტიკური მეთოდი ქართულმა მხატვრულმა აზროვნებამ უბრალოდ გამოტოვა, რაც ქართული სახელმწიფოს ისტორიითა და ყოფით იყო გამოწვეული, კლასიციზმი მხოლოდ ძლიერი მონარქიის პირობებში ვითარდებოდა.

გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი, ფრიდრიხ შლეგელი, კანტის შეხედულებებზე დაყრდნობით, თანამედროვე პოეზიას „ტრანსცენდენტურს“ უწოდებდა. „წმინდა გონების კრიტიკაში“ „ტრანსცენდენტურის“ ცნება შემეცნებას უკავშირდება. ტრანსცენდენტური შემეცნება შესამაცნებელი საგნის რეფლექსიაში ამ რეფლექსიის ხერხსა და აზროვნების იმ აპრიორულ ფორმებსაც გულისხმობს, რომლებიც აყალიბებენ მგრძობელობით გამოცდილებას და განსაზღვრავენ შემეცნების შედეგებს. აქიდან გამომდინარე, შლეგელისა და ზოგადად რომანტიკოსებისათვის სინამდვილის ასახვა არ გულისხმობს დასრულებულს, შემოქმედებითი პროცესის დაწყებამდე მზა სახით არსებულის გადმოცემას. ლიტერატურა, ხელოვნება ზოგადად, წყვეტს ბუნების მიზაძვას. თანამედროვეა ის პოეზია, რომელშიც ასახვის ობიექტი შემოქმედებითი აქტის დროს, პროცესში ყალიბდება. შექმნა გულისხმობს შემოქმედის, ხელოვანის სახის, ხატის ექსპლიცირებას, სუბიექტის, პოეტის ავტოპრეზენტაციას. როგორც ნოვალისი ამბობდა, ავტორი თავის თავს ნაწარმოების შიგნით განფენს, როგორც მისი შექმნის მიზეზს, ბიძგს. მიუხედავად იმისა, რომ შლეგელის თეორიულ ნაშრომებს ბარათაშვილი არ იცნობდა, არც კანტის ფილოსოფიის გააზრების კვალი ჩანს მის პოეზიაში, ის ამ თვალსაზრისითაც ჭეშმარიტი რომანტიკოსია, რადგან შექმნის აქტის დროს ხორციელდება მისი შემოქმედების, პოეზიის მთავარი საიდუმლო. ინსპირაციის მიუხედავად, მისი პოეზია ღრმად ინდივიდუალური და სუბიექტურია, ბარათაშვილის პოეტური „მე“ კი სრულიად ყოვლისმომცველი. რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, მოდერნისტები შემოქმედის პიროვნებას არ აიგივებენ უნივერსალურ და განყენებულ გონებასთან, თუმცა მოდერნიზმში ავტორი მაინც გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია.

ჯერ კიდევ სენტიმენტალიზმის ეპოქაში სუბიექტურობა, როგორც თანამედროვე ესთეტიკის კონსტრუქციული პრინციპი, სულის ირაციონალური კატეგორიებით, გულითა და „გულისმიერი შთაგონებით“, ყველაფერი იმით რთულდება, რასაც რომანტიკოსები „სულის ბნელ მხარეებს“ უწოდებდნენ. ამის გამო ასახული სინამდვილე შემოქმედის, მხატვრის შინაგანი გამოცდილების სივრცეს ემთხვევა. სინამდვილე და რეალური არსებობა აზრს იძენს, იქცევა ტექსტად, რომელსაც განსაზღვრავს პოეტის განცდა, ემოცია, პერცეფცია, აზრი, ფანტაზია (Жеребин А., 2012).

მიუხედავად იმისა, რომ მოდერნიზმი მთლიანად უარყოფს და უგულვებელყოფს წარსულის კულტურულ მონაპოვრებსა და რეცეფციას, ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესი მაინც აქტუალურად რჩება. მოდერნიზმში ისევე მნიშვნელოვანია ავტორი, როგორც რომანტიზმში. მოდერნიზმი ეყრდნობა ისეთ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ კონცეფციებს, რომლებიც ხაზს უსვამენ ინდივიდუალიზმს, პიროვნულ თვისებებსა და იდენტობას. ასეთი კონცეფციებია ფროიდიზმი, ნიცშეანიზმი...

მოდერნიზმი ჩაისახა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, მეოცე საუკუნის ოციან წლებში მიაღწია მწვერვალს ევროპასა და ამერიკაში, მან უარი თქვა არა მხოლოდ რეალისტურ ტრადიციაზე, არამედ ზოგადად ტრადიციის აღიარებასა და გაზიარებაზე. ნებისმიერი ლიტერატურული მიმდინარეობა თავის თავს გამოხატავს ტრადიციასთან მიმართებაში. ანტიკურობა იყო მხატვრული შემოქმედების მოდელი კლასიციზმისათვის, რომანტიკოსები უპირატესობას ანიჭებდნენ შუა საუკუნეებს, სწორედ ამიტომაც თითქმის ყველა კულტურულ ეპოქას, მოდერნიზმამდე, ეწოდება კლასიკური. მოდერნიზმი არის პირველი კულტურული და ლიტერატურული ეპოქა, რომელმაც დაარღვია „მემკვიდრეობითობა“ და ახლებურად, განსხვავებულად უპასუხა მარადიულ კითხვებსა და პრობლემებს. ერთადერთი, რაც მან შეინარჩუნა წარსულის გამოცდილებიდან არის ინდივიდუალური მხატვრული შემოქმედებითი მოდელის გაგრძელება.

მოდერნიზმში მთავარია ავტორი, პოსტმოდერნიზმში კი ინტერპრეტაცია. სწორედ მოდერნიზმთან პოლემიკამ მიიყვანა პოსტმოდერნიზმი „ავტორის სიკვდილამდე“ (როლან ბარტი). სიმბოლიზმში, რომელიც პირველ მოდერნისტულ ესთეტიკურ თეორიად ითვლება, ყველაფრის ცენტრში დგას თავად პოეტი, შემოქმედი, რომელიც არის თვითკმარი, ამოდრავებს სამყაროს და ქმნის საკუთარ წესრიგს. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სიმბოლიზმს, სამეცნიერო კვლევებში, ხშირად ნეორომანტიზმადაც მოიხსენიებენ. თუმცა ამ მხრივაც ქართულ ლიტერატურაში ოდნავ განსხვავებული სურათია. დღეს უკვე აღიარებული ფაქტია, რომ მოდერნისტული ტენდენციები სიმბოლისტების გამოჩენამდე არსებობდა ჩვენში. „ვაჟა-ფშაველა არის პირველი ქართველი მოდერნისტი“, წერს ზურაბ ქარუმიძე. „თუკი საქართველოში მოდერნისტული მსოფლადქმის ლიტერატურულ პრეამბულაზე უნდა მივუთითოთ, უფრო მოკლე ქრონოლოგია ჩანს გასავლელი - სულ ორიოდე ათწლეული, ვაჟა-ფშაველას და ვასილ ბარნოვის შემოქმედებით ბიოგრაფიებთან მისაახლებლად, რადგან მოდერნისტული აზროვნების

სილუეტები მათ შემოქმედებით დისკურსებში ცალსახად იკვეთება“ (თამარ პაიჭაძე, 2011). თუმცა მოდერნისტული მხატვრული სილუეტების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს შემოქმედებითი მოდელის არსებობას, ამიტომაც ქართული მოდერნიზმის ისტორიაც სიმბოლიზმით დაიწყო. სიმბოლისტები თავიანთი შემოქმედებით ქმნიან პოეტურ, მხატვრულ, ლიტერატურულ სინამდვილეს, რადგან ობიექტური სინამდვილე, რეალობა არ არის საინტერესო, მიმზიდველი, ყურადღების ღირსი. ამიტომაც „გასიმბოლოებული სინამდვილე“ (მ. ჯალიაშვილი), მხატვრული გამონაგონია უფრო დამაჯერებელი, მთავარი, მნიშვნელოვანი. სიმბოლისტები ცვლიან ქრისტიანულ მითოლოგიას და ახალ სიმბოლისტურ მითებს ქმნიან. ისინი ცდილობენ ყველაფრის გადაფასებას, გადახარშვას, თავიანთ შემოქმედებით სამყედლოში გამობრძნედას. „მე ხელოვანმა შევქმენ სამყარო“, აცხადებს შარლ ბოდლერი. სიმბოლისტებმა ქრისტეს ჩანაცვლებაც კი მოახერხეს.

„ახალი ქრისტე“ იყო ხელოვნება, რომელიც პარიზში დაიბადა და მისი „ქადაგება“ მალე მთელ ქვეყნიერებას მოეფინა. მის დაბადებას ხელი შეუწყო კაცობრიობის მთელმა ისტორიულმა თუ კულტურულმა განვითარებამ, განსაკუთრებით კი ლიტერატურამ და ფილოსოფიამ“ (მაია ჯალიაშვილი, 2009). ამ თვალსაზრისს იზიარებენ ქართველი სიმბოლისტებიც, ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა: „ხელოვნება გააღმერთებს მთელ ქვეყანას და როგორც ქრისტე განკურნავს კაცობრიობას ყველა სენებიდან.“ რადგან ღმერთი არ არსებობს (მოდერნისტები იზიარებენ ფრიდრიხ ნიცშეს კონცეფციას ღმერთის სიკვდილის შესახებ, რაც ადამიანების ღმერთის გარეშე დარჩენას გულისხმობს), მისი ჩანაცვლება ხელოვნებით უნდა მოხდეს, ხელოვნებამ უნდა იტვირთოს კაცობრიობის განკურნების ურთულესი მისია. ამგვარია სიმბოლისტთა პოზიცია ევროპაშიც, საქართველოშიც. „სიმბოლისტებმა გაქვევებულ ლიტერატურულ, წარმართულ თუ ქრისტიანულ სახეებს მიუმატეს სიმბოლიზირებული საგნები, როცა მწერალი ერთს წერს, მაგრამ მეორეც იგულისხმება, წერს მეტაფორული ენით და ხდება სამყაროს პირველხილვა“ (სოსო სიგუა, 2008). ვაგნერს ხელოვნება საიდუმლო მსახურებად, საზოგადოების წყლულთა უებარ მალამოდ მიაჩნდა, ამავე პოზიციას იზიარებდნენ სიმბოლისტები.

სიმბოლისტურმა პოეზიამ, ზოგადად მოდერნიზმმა, წამოატივიტივა არა მხოლოდ ავტორის ტრანსცენდენტური, გონისმიერი თუ გრძნობისმიერი დამოკიდებულება სამყაროსადმი, არამედ ავტორის პიროვნებაც. პაოლო იაშვილის პოეზიის განხილვა მისი დაუდეგარი, პოეტური, მოდერნისტული განწყობებისა და ბიოგრაფიის გარეშე შეუძლებელია. ერთი მთლიანობაა პიროვნება და პოეტი, ადამიანი და სიმბოლისტი. პარიზში ყოფნამ, იქ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა პოეტზე, ის განსხვავებულად, სიმბოლისტურად დამუხტული ჩამოვიდა საქართველოში და თავისი განწყობები „ცისფერი ყანწების“ დაარსებით, არაერთი აქციითა და კულტურტრეგერული გამოსვლით გამოხატა. დღეს ამას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ – პერფორმანსი, წარმოდგენა. პაოლო იაშვილი კაფეებში ექსპრომტად გამართული პოეზიის საღამოების სული იყო. უდავოდ ის იყო ყველაზე ეპატაჟური ქართველ პოეტთა შორის. პაოლო არის არტისტული და ხშირად ეს ეპატაჟი შინაგანი მოთხოვნილებაა, მაგრამ იგი ბევრსაც მუშაობს საკუთარი თავისა და ყანწელთა პოპულარობისათვის. იგი ოცნებობს ისეთ ქვეყანაზე, სადაც პოეტები არიან მოდაში, სადაც შლეგურ პოეზიას, სიტყვის, ფერის, ბგერის ზეიმს აღიარებენ და პატივს მიაგებენ, სადაც უყვართ გიჟი პოეტები. პაოლო იაშვილმა დაივიწყა სამოციანელთა მემკვიდრეობა, ერის წინამძღოლობა, ღმერთთან და ზეცასთან შუამავლობა – „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერს“ და ახალი რეალობის დანერგვა დაიწყო. სიმბოლისტები ხომ თავად ქმნიდნენ საკუთარ თეატრს პოეზიაში, თავად იყვნენ რეჟისორებიც, მსახიობებიც, სცენარისტებიც. ჭემი სამშობლო საქართველო სხვა თეატრია, ბევრი მინახავს ხეტიალში მე თეატრები, გახუნებული მისი სული ბევრმა ათრია, მაგრამ ელვარე მზე სხივებით არ ეხათრება“, წერდა ტიციან ტაბიძე. პაოლომ ეს თეატრი პოეზიიდან ყოფაშიც გადმოიტანა – ცნობილია მის მიერ განხორციელებული არაერთი წარმოდგენა, საჯარო აქცია. ის პირველია ქართველ მწერალთა შორის, ვინც საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მუშაობს, დღეს ამას „ფაბლიქ რილეიშენზი“ (PR) ეწოდება და მის შესაქმნელად კორპორაციები იქმნება. პაოლოს კი შინაგანად ჰქონდა პერფორმანსის განცდა, რასაც მისი პოეტური ნატურა განსაზღვრავდა. მან შეძლო პოეზიის მიტანა მასებამდე, მალარმესაგან განსხვავებით, პაოლოს პოეტური წარმოსახვები ყველასათვის მისაწვდომი უნდა გამხდარიყო, პოეზიას უნდა ეხსნა კაცობრიობა სულიერი ტკივილებისაგან.

ინდივიდუალურ მხატვრულ მოდელში მოდერნისტებმა ავტორთან ერთად დააბრუნეს მისი შემოქმედებაც, მთავარი და გადამწყვეტი ხდება ავტორიც და მისი ნაწარმოებებიც, მათი შექმნის კანონიკაც. ყანწელები ცდილობდნენ, ფრანგი სიმბოლისტების მსგავსად, თავადაც ბოჰემურად, მოუსვენრად ეცხოვრათ, ცდილობდნენ პოეზია და პოეტი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოეყვანათ, ერთნაირად პოპულარულად ექციათ ლექსიცა და ავტორიც. საუკუნის მიჯნის ახალმა პოეტურმა ხმებმა, რომელშიც სიმბოლიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ქართული პოეტური სიტყვა მსოფლიო ჟღერადობას აზიარა. ქართული ლექსის წინაშე გადაიშალა მსოფლიო კულტურასთან

ზიარების, მის კვალდაკვალ სიარულის დიდი პერსპექტივა. ქართული ლექსი ღირსეულად უნდა ამოდგომოდა გვერდში მსოფლიო პოეზიის შედეგებს, მათი პოლიფონია და გენიალობა აეთვისებინა, თანაც ისე, რომ არ დაეკარგა ეროვნული ტრადიცია, ქართული ლექსის ძარღვი. „მომავალ დიდ პოეტში უნდა შეერთდეს რუსთაველი და მალარმე“, წერდა ტიციან ტაბიძე.

მოდერნიზმის მიხედვით, სამყარო შეუცნობადია, ამიტომაც ყველა მხატვარს შეუძლია მისი ახალი სურათის დახატვა, ეს არის ესთეტიკური გამარჯვება სამყაროს ქაოსზე. განსხვავებული, მაგრამ მკვეთრად ინდივიდუალური ფილოსოფიური კონცეფციები განსაზღვრავს მოდერნიზმის არსს. ნიცშე განასახიერებს უმაღლეს სუბიექტურობას – ყველა თავად არის ღმერთი და კანონი. ადამიანის სამყაროს განსაზღვრავს თავად ადამიანი, ოღონდ ამისთვის საკმარისი ძალები უნდა აღმოაჩნდეს. მთავარი მამოძრავებელი ძალა სამყაროსა და ადამიანისათვის არის ძალაუფლების სიყვარული. ფროიდის ფსიქანალიზის მიხედვით, ადამიანი არის არა რაციონალური არსება, არამედ გაუცნობიერებელი იმპულსების კომპლექსი, რომელიც დათრგუნულია სოციალიზაციის შედეგად. რაციონალური „მეს“ ფუნქცია მხოლოდ წონასწორობის დაცვაა არაცნობიერის ორ გამოვლინებას შორის. ფროიდი უარყოფს პლატონის აზრს, რომ სიყვარული არის ადამიანთა სწრაფვა ამაღლებულისადმი, სილამაზისა და ზეციურისადმი. ეს სიყვარული საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა ჯერ ქრისტიანული, შემდეგ კი რომანტიკული სიყვარულის სახით. ფროიდის მიხედვით, ადამიანი იღებს ღმერთის თავისუფლებას და ცხოველის თავისუფლებას და რატომღაც ამ უკანასკნელს ირჩევს. შოპენჰაუერთან სამყაროს არსი ახსნილია, როგორც არაგონივრული ნება, ბრმა, უმიზნო სწრაფვა სიცოცხლისადმი, სამყაროსაგან „განთავისუფლება“. ესთეტიკური ჭკრეტა, ასკეტიზმი მიიღწევა ერთგვარი ნირვანით.

მოდერნიზმი არის ახალი მეგანარატივი, რომელიც რჩება სუბიექტური მხატვრული შემოქმედების დისკურსში და აგრძელებს ერთადერთ ტრადიციას – მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებიდან მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე. ის რომანტიზმის მხატვრული ტრადიციის მემკვიდრეა ამ თვალსაზრისით, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა პოსტმოდერნიზმში, რომელიც „ავტორის სიკვდილის“ გარდა ინტერტექსტულობასაც გულისხმობს. ინტერტექსტულობა XX საუკუნის 60-იანი წლების ლიტერატურის თეორიაში დაამკვიდრა ფრანგმა მკვლევარმა იულია კრისტევამ. მან საკუთარი თეორიის შემუშავებისას გამოიყენა რუსი ფორმალისტის – მიხეილ ბახტინის მიერ შემოღებულ ცნება – „დიალოგურობა“ (1975). ბახტინის აზრით, ყველა გამონათქვამი, რომელიც ლიტერატურულ ტექსტში გვხვდება, უშუალო კავშირშია დიალოგსა და ციტატასთან, მასში ისმის ერთგვარი ექო სხვა გამონათქვამებისა. რადგანაც ენა სოციალური ფენომენია, ჩვენ მიერ გამოყენებული სიტყვები გაჯერებულია სხვათა ინტენციებითა და აქცენტებით. გამონათქვამის მნიშვნელობა წარმოიქმნება უცხო სიტყვებისა და ღირებულებების, სხვადასხვა სოციალური და პროფესიული ენების ურთიერთქმედების შედეგად. ინტერტექსტულობა არის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ტექსტების საერთო თვისებას, გამოხატულს მათ შორის კავშირების არსებობით. ამ კავშირების დამსახურებით ტექსტები ან მათი ნაწილები, სხვადასხვა გზით, აშკარად ან ნაკლებად მიუთითებენ ერთმანეთზე. ტერმინის ავტორი ნებისმიერ ტექსტს განიხილავს როგორც მოზაიკას და რომელიმე სხვა (დონორი) ტექსტის შეთვისებისა და ტრანსფორმაციის პროდუქტს – „ესაა რეაქცია, რომელიც დატვირთულია მითითებებით წინა ტექსტებზე“. მითითება შეიძლება იყოს პირდაპირი, კონკრეტული (ციტატა) და ბუნდოვანი, განუსაზღვრელი (ალუზია).

პოსტმოდერნიზმის დამახასიათებელი ნიშნებია: ტრადიციული ფორმების ნგრევა, ციტატურობა, მორალთან დაკავშირებით მარგინალურობის გამოვლენა, კანონების უარყოფა, გაურკვეველობა, სამყაროს აღქმა როგორც მუდმივად ცვალებადი, ამორფული, პოლივარიანტული რეალობისა. თუმცა სწორედ ინტერტექსტულობის, ე.წ. უნივერსალური ტექსტის არსებობა, გვაფიქრებინებს, რომ პოსტმოდერნიზმი ვერ თავსდება ინდივიდუალური მხატვრულის შემოქმედების სტადიაში, თუმცა ეს სხვა კვლევის საგანია.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ცდილობენ ლიტერატურისმცოდნეობით კვლევებში გააერთიანონ ლიტერატურის ისტორია და თეორია. სულ უფრო აქტუალური ხდება თეორიის ისტორიული კონკრეტიზაცია და ისტორიის თეორიული კონცეპტუალიზაცია. სწორედ ამ მეთოდით გახდება შესაძლებელი ქართული ლიტერატურისმცოდნეობის წინსვლა და ქართულ-ევროპული, თუ წმინდა ქართული ესთეტიკური და ლიტერატურული თეორიების, კონცეფციების ზუსტი ანალიზი და კვლევა.

ლიტერატურა:

1. Аверенцев С.С., Андреев М.Л., Гаспаров М.Л., Гринцер П.А., Михайлов А.В., Категория поэтики в смене литературных эпох // Историческая поэтика. Литературные эпохи и типы художественного сознания. М. 1994, с. 33-37.
2. Бройтман С.Н., Историческая поэтика, 2001.

3. Kemper D., *Astetische Moderne als Makroepoche*, Munchen 1998, s. 108-109.
4. Curtius E.R., *Europäische Literatur und lateinisches Mittelalter*. 6. Aufl. Bern; Munchen, 1948, s. 88.
5. Жеребин А., *От Виланда до Кафки*, Санкт-Петербург, 2012, с. 182-183.
6. თამარ პაიჭაძე, მოდერნიზტული მოდელის გააზრებისათვის ქართულ შემოქმედებით სივრცეში, *ARS GEORGICA*, ელექტრონული ჟურნალი, სერია B, <http://www.georgianart.ge>.
7. მათა ჯალიაშვილი, შეხვედრა წიგნში, თბ., 2009, გვ. 44.
8. სოსო სიგუა, მოდერნიზმი, თბ., 2008, გვ. 289.

THE ERA OF AN ART OF INDIVIDUAL CREATIONS
Marine Turava, Sokhumi State University
RESUME

The Russian scientist Veselovski the history of cultural art has divided in two eras, the era of syncretism and the era of individual creations. Later on was based three types of distinguishing art consciousness: archaic, rhetorical and individual. Nowadays there is already acknowledged that last stage of art consciousness was established in the middle of 18th century and the principal mark of it is that in the centre of literary process is not the literary work or the creating principles, but the author(writer) itself.

The Georgian literature has passed its own way of developing, what was determined with our historical past, the way of living and thinking models. Due to existence, Georgian culture was long time isolated from European cultural consciousness. That is the reason why from 13th to almost the end of 18th century predominates the Eastern-Persian themes and motives, so called The late Georgian renaissance, which is always the subject of scientific debates and discussions. With the objective research will become clear that from the beginning of 19th century with the establishing of era of romanticism starts developing of stage of individual creations. For Baratashvili his poetic “me” and his own subjective attitude to the events are as equally important as for Byron. Precisely from the works of Baratashvili starts overcoming of rhetorical literary model and in the centre of literary work appears author. He becomes the mainly important and decisive figure.

Characteristic is that appearance of Baratashvili at that time, foreseen of European cultural context, was unexpected and illogical. The Georgian romanticism was not formed in the controversial polemics with classicism. This esthetic method was by Georgian art developing simply omit, due to Georgian history and existence. Classicism was only developing itself under conditions of powerful monarchy.

The most important in the modernism is the author itself, while in postmodernism is an interpretation. Precisely after polemics with modernism In postmodernism works appears “the death of author” (Roland Barthes). In symbolism, which is thought as a first postmodernism aesthetic theory, in the centre of a work is the creator, he is self-sufficient, he makes the world move and sets his own rules everywhere.

ჰალდუნ თანერის ნოველების („აწვიმდა შიშჰანეს“, „თორმეტს აკლია ერთი წუთი“, „ორი მეზობელი“, „დურბინდი“) ქართული თარგმანის ადეკვატურობის საკითხი

მუზაფერ ქირი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ლექტორი
 E-mail: muzafferkir55@hotmail.com

სხვა ხალხების მწერლობის თარგმანი ყოველთვის საინტერესო იყო ქართველი ერისათვის. ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გახშირდა თურქი მწერლების ლიტერატურული ნიმუშების გადათარგმნა ქართულ ენაზე.

თურქული ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნა, პირველ რიგში, დაკავშირებულია ცნობილი თურქოლოგის ლია ჩლაიძის სახელთან. კავკასიურმა სახლმა 2004 წ. გამოსცა ცნობილი თურქი მწერლისა და დრამატურგის ჰალდუნ თანერის კრებული „აწვიმდა სტამბოლს“. მასში შესულია თანერის რჩეული ნოველები და პიესა, რომლებიც თურქულიდან თარგმნა ლ. ჩლაიძემ. ასევე, ლ. ჩლაიძეს ეკუთვნის ცნობილი თურქი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ორჰან ფამუქის რომანის „მე მქვია წითელი“ ქართული თარგმანი.

ჰალდუნ თანერი (1915-1986) მე-20 საუკუნის გამორჩეული თურქი მწერალია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე.

ჰალდუნ თანერის წინაპრები, გვარად თავდგირიძეები, ქობულეთელი ბეგები ყოფილან.

ქართველი მთარგმნელი, ლ. ჩლაიძე, ჰალდუნ თანერს პირველად თბილისში შეხვდა. თანერი დიდად აფასებს მთარგმნელის ღვაწლს და მიიჩნევს, რომ მისი როლი არაფრით ჩამოუვარდება მწერლისას. მისი აზრით, სწორედ მთარგმნელია ორ ხალხს შორის გადებული ხიდი (თანერი, 2004).

მხატვრული ლიტერატურა საუკეთესო საშუალებაა ამა თუ იმ ერის კულტურისა და ყოფაცხოვრების გასაცნობად სხვა ხალხებისათვის, რაც ხშირად ხერხდება თარგმანის გზით.

აქედან გამომდინარე, დიდად საინტერესო უნდა იყოს ჰალდუნ თანერის ნოველების ქართული თარგმანის აკვარგანობის დადგენა, რაც შევეცადეთ გაგვეკეთებინა დედნისა და თარგმანის შეპირისპირების გზით.

1. ადეკვატური თარგმანი. დედნისეული ეპიზოდების ქართულ თარგმანთან შედარებისას ირკვევა, რომ მთარგმნელი ადეკვატურ თარგმანს ხშირად არაპირდაპირი გადმოცემით ახერხებს. მაგ., თურქულ ტექსტში მრავლობითი რიცხვით გადმოცემული სიტყვა ქართულ თარგმანში მხოლობითი რიცხვითაა გადატანილი:

Mesela, Saraylının bahçesinde iri iri sultanselim incirleri vardı (მაგალითად, სარაიელის ბაღში მსხვილ-მსხვილი ლეღვის ხეები იყო) (თანერი, 1994);

ქართულ თარგმანში კვითხულობთ: *სარაილის ბაღში დიდი ლეღვის ხე იდგა* (გვ. 65);

Hemen sırtını dönüp içeri girmişti (სწრაფად ზურგით მობრუნდა და შიგნით შევიდა) (თანერი, 1994).

ქართულად: *შებრუნდა და შინ შევიდა* (თანერი/მთარგ. ჩლაიძე, 2004). როგორც ჩანს, მთარგმნელი ერიდება სიტყვასიტყვით თარგმანს.

ასევე საინტერესოა შემდეგი ეპიზოდი:

...Komşu komşu, sokak sokak dolaşiyor (მეზობელ-მეზობელ, ქუჩა-ქუჩა დახეტიალობს) (თანერი, გვ. 129).

შდრ. ქართული თარგმანი: *კარდაკარ, ქუჩა-ქუჩა დადიოდა* (თანერი/მთარგ. ჩლაიძე, 2004).

შემდეგი თურქული წინადადების ქართული თარგმანიც ადეკვატური თარგმანის მაჩვენებელია:

Her meslek insanı sonradan değiştiriyor (ყოველი ხელობა ადამიანს საბოლოოდ ცვლის) (თანერი, 1969).

შდრ. ქართული თარგმანი: *ყოველი ხელობა თავის დაღს ასვამს კაცს* (თანერი/მთარგ. ჩლაიძე, 2004). მთარგმნელი უბრალო სიტყვებით გადმოცემულ თურქულ ტექსტს შესანიშნავად და მხატვრულად გადმოსცემს თარგმანში. ჩანს, რომ მთარგმნელს წინადადების თარგმნისას ასევე გათვალისწინებული აქვს მთელი ეპიზოდის მნიშვნელობა და მხატვრულადაც აფორმებს აზრს.

ტექსტის ბოლოს ერთი ფრაზა *Ne derlerse desinler, ben artık durmuş bir saatim* (თანერი, 1994: 22) ზუსტად ასე უნდა ითარგმნოს: რაც უნდათ ის თქვან, მე უკვე გაჩერებული საათი ვარ. ქართულ ვარიანტში კი ასეა თარგმნილი:

ესე იგი, მე უკვე გაჩერებული საათი ვარ (თანერი/მთარგ. ჩლაიძე, 2004).

Ne derlerse desinler უნდა ითარგმნოს ასე: რაც უნდათ ის თქვან.

მხატვრული ტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმანი ხშირად შეუსაბამობას, გაუგებრობას იწვევს. ჰალდუნ თანერის ნოველების ქართული ტექსტის მთარგმნელი ზედმიწევნით პირდაპირ თარგმანს არ გვთავაზობს. როგორც დ. ფანჯიკიძე აღნიშნავს: „მთარგმნელი სინამდვილეს სხვისი თვალით უცქერის, შემდეგ გადააქვს იგი მშობლიურ ენაზე ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთიანობის შენარჩუნებით, ანუ, გარდასახავს საკუთარ მსოფლმხედველობრივ პრიზმაში“. (ფანჯიკიძე, 1988).

მაშასადამე, მხატვრული თარგმანის შესრულებისას მთარგმნელმა თავისი შესაძლებლობა ნაყოფიერად რომ გამოიყენოს, იგი უნდა იყოს თავისუფალი, რათა მიაღწიოს შედეგს. თუმცა გასათვალისწინებელია ცნობილი გერმანელი მეცნიერის Margret Amman-ის მოსაზრება: „თარგმანი (მთარგმნელი) მაქსიმალურად უნდა იყოს დედნის ერთგული და ზედმეტად არ უნდა იყოს თავისუფალი“ (Amman, 2008).

მთარგმნელის თავისუფლებაზე საუბრობს გ. გაჩეჩილაძე. მისი აზრით, „პროზის მთარგმნელი თავისუფალია პოეტური პირობითობისაგან და შეუძლია თავისუფლად გამოიჩინოს ენის ცოდნაცა და შემოქმედებითი უნარიც“ (გაჩეჩილაძე, 1959)

ზემოთ შეპირისპირებული ფრაზებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელი დედნისეული ტექსტის აზრს თარგმნის არა პირდაპირი გზებით, არამედ ეძებს ქართულ შესატყვისებს და მკითხველს თავიდან აცილებს გაუგებრობას.

2. თარგმანში ნაწილობრივ გამოტოვებული სიტყვები და გამოთქმები. ხანდახან მთარგმნელი მთლიანად ან ნაწილობრივ არ თარგმნის დედნისეულ სიტყვებს ან ფრაზებს, მაგრამ ამით არ ზიანდება

დედნის შინაარსი, პირიქით, მთარგმნელი ხშირად გვთავაზობს ადეკვატურ თარგმანს, რაც მიუთითებს მთარგმნელის ოსტატობაზე.

სრულყოფილი თარგმანის შესახებ თურქი მეცნიერი ს. ქემალ იეთქინი აღნიშნავს, რომ „მთარგმნელი წარმატებული რომ იყოს, ამისათვის ის პირველ რიგში მშობლიურ და დედნის ენას კარგად უნდა ფლობდეს; არ უნდა გადააჭარბოს დედნისეული ტექსტში და არც უნდა გამოტოვოს მან ესა თუ ის სიტყვა თუ ფრაზა თარგმანში“ (იეთქინ, 1978). მართალია, მთარგმნელი კარგად უნდა ფლობდეს როგორც მშობლიურ, ისევე თარგმნის ენასაც, მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს მ. ქირს: „თარგმნის დროს სიტყვის გამოტოვებამ, სხვა სიტყვებით ჩანაცვლებამ არ უნდა დაამახინჯოს დედანი. პირიქით, ის შეიძლება მოუხდეს კიდევ მშობლიურ ენას. ამ გზით იქმნება მხატვრული თარგმანი, რომელიც დამაკავშირებელია ავტორსა და თარგმნელი ტექსტის მკითხველს შორის. ამის გარეშე შეუძლებელია თარგმანის გზით სხვა ხალხის კულტურის, ყოფა-ცხოვრების გაცნობა“ (ქირი, 2010).

ქართული ტექსტი დაცლილია ზედმეტი, ხელოვნური ფრაზებისა და სიტყვებისაგან. ის, რაც თურქულისთვის აუცილებელია, ქართულისთვის ზედმეტია. მაგალითად:

Üstelik rejimin de barışmaz bir düşmanı idi (თანერი, 1994).

Üstelik (= გარდა ამისა) ქართული ენისთვის აშკარად ზედმეტია და თარგმანშიც არ გვხვდება. წინადადება პირდაპირ ასე იწყება:

ახალი რეჟიმის დაუძინებელი მტერი იყო... (თანერი/მთარგ. ჩლაიძე, 2004).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველი მთარგმნელი აკეთებს თავისუფალ თარგმანს. არის ისეთი ეპიზოდები, რომლებიც სიტყვასიტყვით, ზედმიწევნით კი არ არის თარგმნილი, არამედ რამდენიმე სიტყვა არის გამოტოვებული. მაგალითად, თურქულ ტექსტში ვკითხულობთ:

Hazret ne büyük ciddi gibi gökleri, ne büyük babası gibi denizin enginliğini, ne de babası gibi yol nivelmanının nirengi noktalarını araştırıyor... (თანერი, 1969).

ქართულში ეს წინადადება ასე გადმოიცემა:

დიდად პატივცემული ბეი არც თავისი პეკერასავით გაჰყურებდა ცას, არც პაპასავით ათვალთვრებდა ზღვას და არც მამასავით ეძებდა გზის ტრიანგულაციის პუნქტებს (თანერი/მთარგმ. ჩლაიძე, 2004).

ახლა განვიხილოთ თარგმანში ის ეპიზოდები, რომლებშიც გამოტოვებულია ისეთი სიტყვები, ქართულ ტექსტს რომ დაამძიმებდა, ამიტომაცაა, რომ მთარგმნელი ლაკონურად ახერხებს მათგან ტექსტის გათავისუფლებას და კარგ შედეგსაც აღწევს. თარგმანი ბუნებრივია და მსუბუქი, რაც წაკითხულის აღქმის გაადვილებაში ეხმარება მკითხველს. ასეთია, მაგალითად:

Eniştem içeri, saate bakmaya koştı... (თანერი, 1994).

ამ წინადადების ზუსტი თარგმანი ასეთი იქნება:

ჩემმა სიძემ შიგნით საათის შესახედად შეირბინა.

თარგმანში კი ქართულ ენაზე მორგებული ფრაზა გვხვდება:

...ჩემმა სიძემ შინ შეირბინა გასაგებად (თანერი/მთარგ. ჩლაიძე, 2004). აქ გამოტოვებულია სიტყვა

საათი, მაგრამ იგულისხმება, რომ საათის გაგებაზეა საუბარი. ქართულსა და თურქულში საათის გაგებასთან დაკავშირებული გამოთქმები განსხვავებულია. მაგალითად, ქართულად ვამბობთ: *რომელი საათია?* ხოლო თურქულად, *საათი რამდენია?* ასევე ქართულად ვამბობთ: *მიდი, გაიგე, რომელი საათია*, ხოლო თურქულად: *მიდი, ისწავლე, თუ რომელი საათია.*

მაშასადამე, მთარგმნელს კარგად ესმის ეს ნიუანსები და, შესაბამისად, გადმოაქვს დედნისეული შინაარსი ქართულად. Ben o aralık კი საერთოდ გამოტოვებულია, რაც ნიშნავს „მე იმ დროს“. მთარგმნელს გადმოაქვს პირდაპირი პასუხი: *ოთხის ოცდასამი წუთია, – წამოვიძახე* (თანერი/მთარგმ. ჩლაიძე, 2004).

თურქულ ტექსტში ვკითხულობთ:

Peki ama nasıl bildin? (თანერი, 1994).

რომლის სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება:

კარგი, მაგრამ როგორ მიხვდი?

მთარგმნელი კი სიტყვების გამოტოვებით ამარტივებს და ასე წერს:

როგორ მიხვდი? (თანერი/მთარგ. ჩლაიძე, 2004). Peki ama (კარგი, მაგრამ). ეს ქართულ თარგმანში

გადმოტანილი არ არის.

3. თარგმანში მთლიანად გამოტოვებული ფრაზები. ზოგჯერ მთარგმნელი აძლევს თავს უფლებას, იყოს მეტად თავისუფალი.

მთარგმნელს არ უთარგმნია გრძელი და მოკლე ხმოვნების მონაცვლეობაზე დამყარებული აღმოსავლური ლექსის ფორმა, არუზი, რომლის მაგალითიც გვხვდება ორიგინალში:

„Sanma ki saat çalar

Bil başına tokmak vurur“ (თანერი, 1994),

რაც შეიძლება ასე ითარგმნოს :

„არ იფიქრო, რომ საათი რეკავს

ივოდე თავში ჩაქუჩი მირტყამს“;

İfakat Hanım, bu kötü haberi duyduğunda ben yanında idim (თანერი, 1994) (იფაკათ ჰანუმმა ეს ცუდი ამბავი რომ გაიგო, მე მასთან ვიყავი).

ეს წინადადებები ქართულ თარგმანში არ გვხვდება, თუმცა ამით თარგმანს არაფერი არ აკლდება.

უკვე არა ერთხელ აღინიშნა, მთარგმნელის ლ. ჩლაიძეს პროფესიონალიზმი, მაგრამ რაც უნდა კარგად, ადეკვატურად, სრულყოფილად იყოს შესრულებული თარგმანი, ის მაინც თარგმანია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თურქი მეცნიერის ნილგუნ აქსოის შეხედულება: *“Hiçbir tercüme aslının güzelliğini, yazıldığı dildeki inceliklerini, şekil ve mükemmelliğini zevkini veremeyeceği tartışılmaz bir gerçektir”* (უდავოა, რომ ვერც ერთი თარგმანი ვერ გადმოსცემს დედნისეულს სილამაზეს, დეტალებსა და გემოვნებას) (Sökmen, 2002).

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელი ეძებს ორიგინალის შესატყვისს ქართულში, ცდილობს შეაღამაზოს, მხატვრულად გადმოსცეს სათქმელი და ამით თავიდან აიცილოს დარიბული თარგმანი... ყოველივე ეს მიუთითებს მის ოსტატობაზე, დამოუკიდებლობაზე, გემოვნებაზე. ის ითვალისწინებს მკითხველის ინტერესებს.

ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბილისი, 1959, 182
2. თანერი ჰ., აწვიმდა სტამბოლს (თურქულიდან თარგმან ლია ჩლაიძემ), თბილისი, 2004, 5-163
3. ფანჯიკიძე დ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 1988, 6
4. ქირი მ., ნოდარ დუმბაძის რომანი „მე ვხედავ მზეს“ თურქულად (დისერტაცია), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქუთაისი: 2010, 10
5. Amman M., Akademik Çeviri Eğitime Giriş (Çev.: D. Ekeman, Ankara, 2008, 14
6. Sökmen N., Kuramsal ve Uygulamalı Çeviri Sorunları (3 – 4 Kasım Sempozyum Bildirileri), A. Ü. TÖMER Bursa Şubesi. Ankara, 2002, 47
7. Taner H., Bütün Hikayeleri. 4. baskı, İstanbul, Ocak 1994, 127-131
8. Kızıl Saçlı Amazon 3. baskı, Ankara, Eylül: 1988, 9-22
9. Hikayeler. Sanço'nun Sabah Yürüyüşü, Ankara, 1969, 183-193
10. Yetkin S. K., Çeviri Sorunları Özel Sayısı, 1978 (Sayı: 322), 43

THE ISSUE OF CORRESPONDENCE OF HALDUN TANER'S NOVELS („IT WAS RAINING DOWN ON SHISHANE“, „ONE MINUTE TO MIDNIGHT“, „TWO NEIGHBORS“, „BINOCULAR“) GEORGIAN TRANSLATIONS

Muzaffer KIR, International Black Sea University, Lecturer

RESUME

Georgians have always been interested in translating literary texts of other nations and especially, translation of Turkish writers has gained an importance in the last years.

Translation of Turkish literary texts is connected with the prominent Georgian translator and Turkologist Lia Chlaidze. Lia Chlaidze translated (2004) the work of a famous 20th century Turkish writer Haldun Taner entitled „It was Raining Down on Istanbul“, where the selected novels and plays are included.

According to the translator herself, the translator plays the role of a bridge between the two nations. Literature is the best means of demonstrating the culture and everyday life of a society. The same way, translating a literary work into another language has its important function as well.

Hence, it must be interesting to study the issue of correspondence of Haldun Taner's Georgian translations which we have endeavored by comparing the original Turkish texts with Georgian translations.

It is interesting to examine the factual situation, if it is possible to translate one literary text into another language in a fully adequate manner.

The following Turkish sentence is an example of adequate Georgian translation: *...Kom u kom u, sokak sokak dola ıyor* (მეზობელ-მეზობელ, ქუჩა-ქუჩა დახეტიალობს) - ...he is walking from neighbor to neighbor, walking the streets. (p. 129).

Georgian translation: *კარდაკარ, ქუჩა-ქუჩა დადიოდა* - He was walking from door to door, street to street. (p. 67).

Relying on an above given example we can conclude that the translator does not give a direct translation of a Turkish text but rather tries to find corresponding original Georgian meanings in order not to confuse the reader with the peculiarities of Turkish Language thus making translation adequate.

Key words: adequate translation, comparison, literature, „It was Raining Down on Istanbul“

ხელოვანი ტოტალიტარიზმის პირისპირ (კლაუს მანი „მეფისტო“)

თამარ ყალიჩავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი
E-mail: Tamriko_Kalichava@hotmail.com

„მეფისტო“, ანუ ამბავი შესადლო კარიერისა“, ასე ჰქვია ჰიტლერული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ რომანს, რომელიც კლაუს მანმა 1936 წელს ემიგრაციაში დაწერა. გერმანიის ფედერაციაში წიგნის გამოცემა სასამართლოს განაჩენით აკრძალეს. „მეფისტოს საქმეს“ მსოფლიო პრესა ეხმაურებოდა. ეს სკანდალური ამბავი 30-იან წლებში დაიწყო და იქამდე გაგრძელდა, ვიდრე მასზე ყველა ქვეყანაში გაიგებდნენ. „მეფისტო“ თავდაპირველად ამსტერდამში გამოქვეყნდა, მერე — მსოფლიოს 19 ქვეყანაში. მხოლოდ გერმანიაში ვერ ხერხდებოდა წიგნის გამოცემა.

მსახიობის უპირველესი მისწრაფება ხელოვნების სამსახურია, მაგრამ შეუძლებელია ემსახურო ხელოვნებას და არ შეაფასო იმ ეპოქის პოლიტიკური ვითარება, რომელშიც გიწევს მოღვაწეობა. სწორედ ამას ათვალსაჩინოებს კლაუს მანის რომანი. მისი სიუჟეტი რეალურ ფაქტებზე ააგო მწერალმა და „მეფისტოს“ გამოსვლის შემდეგ, აზრი არ ჰქონდა იმის უარყოფას, რომ ჰენდრიკ ჰოფგენი და გუსტავ გრიუნდგენსი, კლაუსის სიძე, ერთი და იგივე პიროვნება იყო. ცნობილია, რომ ერიკა მანის ქორწინება მსახიობ გუსტავ გრიუნდგენსთან ხანმოკლე და უიღბლო გამოდგა. რომანში ადვილი ამოსაცნობი იყო არამარტო მსახიობიცა და მწერლის დაც, მამაც და თვითონ ავტორიც. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ წიგნმა გამოსვლისთანავე სენსაცია გამოიწვია არამარტო მკითხველებში, არამედ პოლიტიკურ წრეებშიც.

ორმოციანი წლების დასასრულს, ემიგრაციიდან დაბრუნებულმა კლაუს მანმა კვლავ სცადა გერმანიაში „მეფისტოს“ გამოცემა, მაგრამ ვერაფერი გააწყო — გამომცემლები უარზე იყვნენ; მათ გავლენიანი გრიუნდგენსის, ჰიტლერულ სახელმწიფოში უპირველესი მსახიობის, ემინოდატ, რომელიც 1946 წელს კვლავ დაუბრუნდა გერმანულ სცენას. პოზიციის გასამყარებლად, ნიჭის გარდა, გრიუნდგენსს ზურგს უმაგრებდა „მემარცხენე“ ახალგაზრდობისა და ებრაული წარმოშობის მსახიობთა მხარდაჭერა, რომლებიც საკუთარი გავლენისა და მეგობრების წყალობით საკონცენტრაციო ბანაკებსა და გესტაპოს ჯურღმულებს გადაარჩინა. ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასამართლომ მიიჩნია, რომ რომანი „გუსტავ გრიუნდგენსის ხსოვნას შეურაცხყოფდა“ და გახლდათ „კლაუს მანის შურისძიება დის უიღბლო ქორწინების გამო“. ეს სასამართლო ყველაზე ხანგრძლივ პროცესად ითვლება გერმანულ გამომცემლობათა ისტორიაში. მან შვიდ წელიწადს გასტანა, ვიდრე გერმანიის უზენაესი სასამართლო საბოლოოდ აკრძალავდა წიგნს.

1979 წელს პარიზის „მზის თეატრში“ „მეფისტოს“ მიხედვით შექმნილი პიესის პრემიერა (რეჟისორი - არიან მნუშკინი) შედგა. პიესის წარმატებამ კლაუს მანის შემოქმედებისადმი ცხოველი ინტერესი გამოიწვია. 1981 წელს ეკრანზე გამოვიდა ცნობილი უნგრელი რეჟისორის იშტვან საბოს ფილმი. იშტვან საბომ ფილმისთვის ისეთი მსახიობები შეარჩია, რომლებიც გარეგნულად ძალიან ჩამოჰგავდნენ ავთენტურ გმირებს. მან ზედმიწევნით შეისწავლა კლაუს მანის შემოქმედება, რასაც ნათლად მიგვანიშნებს გახმაურებულ ფილმში. თვითონ კლაუს მანი (სებასტინი) კი სულ რამდენიმე ეპიზოდში გამოჩნდება. ფილმის გამოსვლამ დააჩქარა წიგნის რეაბილიტაცია, ხელისუფლებამ უკვე ვეღარ შეძლო სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანა — „მეფისტო“ დაბრუნდა ემიგრაციიდან და იმთავითვე ბესტსელერად იქცა. შემოქმედთა გვარ-სახელები: კლაუს მანი, არიან მნუშკინი და იშტვან საბო არაერთი ილუსტრირებული ჟურნალის გარეკანზე მოხვდა.

სატირულ-პოლიტიკური რომანის ეპიცენტრშია არცთუ ძნელად გასარჩევი პორტრეტი კლაუს მანის ყოფილი სიძის, გერმანული თეატრის ლეგენდის, მსახიობ გუსტავ გრიუნდგენსის. მწერალი, ჰიტლერული გერმანიის მაგალითზე, ამხელს ტოტალიტარული სახელმწიფოს ბოროტებას, მის უხამსობასა და სულისშემძვრელ სიბილწეს. „მეფისტოში“ მოთხრობილია, როგორ გაიკეთა კარიერა ოციანი წლების გერმანიაში, პროვინციელმა ჰენდრიკ ჰოფგენმა. იგი ცნობილ მსახიობობაზე ოცნებობდა

და გერმანიაში ნაცისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მსახიობის კარიერის გასაგრძელებლად, უარყო კომუნისტური წარსული, მიატოვა ცოლი და საყვარელი. ჰოფგენის მიერ „ფაუსტიდან“ მეფისტოფელის ბრწყინვალედ განსახიერებული როლი ამტკიცებს, რომ მას იდეალურად შეეძლო გამოევიდინა გარყვნილება და სწორედ ეს იქცა მისი წარმატებული კარიერის პლაცდარმად. მეფისტოფელის როლით, ჰოფგენმა მოხიბლა მესამე რეიხის გავლენიანი პირი — ჰერმან გერინგი, ვისი მფარველობითაც გაიუმჯობესა მდგომარეობა და გერმანიის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელის თანამდებობასაც მიაღწია. მსახიობის თითოეული ნაბიჯი, თეატრისადმი უდიდესი სიყვარულით იყო შთაგონებული და გასაკვირი არცაა, რომ ბერლინის სცენა დაიპყრო: მესამე რეიხში ჰოფგენი თეატრალური ყოფის ლიდერად, ბერლინის უდიდესი თეატრის გენერალურ დირექტორად იქცა.

ჰენდრიკ ჰოფგენი XX საუკუნის გერმანიასთან ერთად განიცდის სახეცვლილებას: დამოუკიდებლად ირჩევს გზას, რომელსაც წარმატების მიღწევის სურვილი ასაზრდოებს, იგი ზნეობრივი კომპრომისის ხარჯზე მოიპოვებს „პურს არსობისას“. 1932 წლის 2 დეკემბერს, როდესაც ჰენდრიკი მეფისტოფელის როლის თამაშს იწყებდა, მისი გადაწყვეტილება ისტორიის ადეკვატური იყო — ქვეყანა ამ დროს ახალი სპექტაკლის დასადგმელად ემზადებოდა. რაკი ჰენდრიკმა გერმანია არ დატოვა, იგი უკვე მზად იყო დანაშაულის ჩასადენად: ჯერ კიდევ 20-იან წლებში დადო ეშმაკთან ზავი. შეიძლება ითქვას, რომ კლაუს მანის გმირი ეხმაურება „დოქტორ ფაუსტის“ პერსონაჟს და გოეთეს „ფაუსტს“, სადაც უსიტყვო გარიგება იმთავითვე არსებობს;

სულიერ კრიზისში მყოფი ქვეყანა მეფისტოფელის მარწუხებში ექცევა, ჰოფგენისათვის, ერთი მხრივ, მიუღებელია ახალი ხელისუფალი, მაგრამ, მეორე მხრივ, მისგან აპლოდისმენტებს მოელის. მყარდება „ახალი წესრიგი“ და ისევე, როგორც უძველეს სამყაროში — აქაც მეფისტოფელი ზეობს, ფაუსტი არავის სჭირდება. „შემიძლია მე შევაკავო ნიაგარას ჩანჩქერი ქოლგით?“, — კითხულობს ჰენდრიკი და სინდისის დასამშვიდებლად თვითონვე პასუხობს, — „არა!“ (მანი 1995: 263). ნიკოლაი ბერდიაევი, აფასებს რა XX საუკუნეში განვითარებულ მოვლენებს, ამგვარ შეხედულებამდე მიდის — „ღრმა სოციალური გარდაქმნების ეპოქაში, როდესაც ძველი საზოგადოებები ირღვევა, ხოლო ახლები ჯერ კიდევ არ შექმნილა, სულიერი ფასეულობანი უკან იხევს და მისი შემოქმედნი შევიწროებულნი არიან... რევოლუციაც ფსიქოლოგიურად რეაქციაა, მას ახლავს ცნობიერების დავიწროება, ძლიერი შემოქმედებითი მისწრაფებისა და ფასეულობის გამოდევნა. ის, რაც ფასეულობათა იერარქიაში ყველაზე მაღლა დგას, შეიძლება უსარგებლოდ და მავნედაც გამოჩნდეს“ (ბერდიაევი 1998: VI). სალვატორე კუაზიმოდოს მოსაზრებით, პოლიტიკოსი უნდობლობით სჯის კულტურის თავისუფლებასა და კონფორმისტული კრიტიკის მეოხებით ცდილობს გააუვნებელყოს თვით ხელოვნების არსი, რადგანაც „შემოქმედებითი გენია ყოველთვის ითვლებოდა მომაკვდინებელ გადამდებ სენად“ (კუაზიმოდო 2009: 32).

დიქტატურას მიმხრობილმა ხელოვანმა, რომელსაც ამისკენ საპყრობილეში ჩავარდნის შიში თუ სხვა მიზეზი უბიძგებს, ჯილდოდ შესაძლოა პიროვნული თავისუფლება მიიღოს კიდევაც, მაგრამ თუ ჯიბრან ხალილს დავესესხებით, ეს თავისუფლებაც ბორკილების დაკარგვით „უფრო დიდი თავისუფლებისთვის გარდაიქმნება ბორკილად“ (ჯიბრან ხალილი 2007: 55).

ოჯახსა და უახლოეს ადამიანებზე უარის თქმით, ჰენდრიკმა ნაცისტებისგან ჯილდოდ მიიღო ციხე-სიმაგრის მსგავსი ვილა, რჩეული ადგილი ბერლინის უმაღლეს წრეებში, მსმენელის პატივისცემა... ეს მსახიობის ნაოცნებარსაც აღმატებოდა. მაგრამ მორალური შედეგი, უახლოესი ადამიანებისთვის ღალატისა, უმძიმესია. შექმნილი ვითარების გამო, ჰოფგენი აცნობიერებს, რომ უკვე ძველებურად თავმოწონე მსახიობი აღარ არის, რომელსაც მოსწონდა პუბლიკის მქუხარე აპლოდისმენტები — იმ პუბლიკისა, რომლის მოტყუება მას, საჭიროების მიხედვით, თავისუფლად შეეძლო. ჰენდრიკის მიერ მეფისტოფელის როლის ამგვარმა შესრულებამ შეუძლებელია არ გაფიქრებინოს, რომ მსახიობის სულსაც სატანა იყო დაუფლებული. ჰოფგენს ოცნების სამყარო გაუსაძლის ღამის კოშმარად ექცევა და თვითონაც გააცნობიერებს ეშმაკისა და ბოროტების დამღუპველ გავლენას მასზე.

როცა ჰენდრიკის მეგობარი, თეოფილუსი თავს იკლავს, კლაუს მანი მის პიროვნებას ამგვარ ფორმულირებას უკეთებს: „თავისუფლებისა და შიშის გარეშე მცხოვრები მსახიობი, რომელსაც ხალხის სამსჯავროსი არასოდეს შეშინებია“ (მანი 1995: 147). ჰენდრიკმა მის დაკრძალვაზე კი ვერ გაბედა მისვლა და როცა გასვენებისა და კუბოს შესაძენ მცირეოდენ თანხას უგზავნიდა გარდაცვლილი მეგობრის დედას, შიშით ვინაობაც კი ვერ გაუმხილა. ებოდიშებოდა და თან სწერდა, ვიცი, სიფრთხილის გამოჩენას მაპატიებთო. ამით ნაწილობრივ მაინც დაიმშვიდა სინდისი, თან თავიც დაიზღვია — სიფრთხილე გამოიჩინა (მანი 1995: 253).

როცა მეფისტოფელის როლს ასრულებდა, ჰენდრიკმა თავიდანვე იცოდა რომელი ქესტი შეეფერებოდა ამა თუ იმ სიტყვას, როგორი ინტონაცია და მოძრაობა იყო საჭირო, მაგრამ დანიელი პრინცის, ჰამლეტის განსახიერება მისთვის დაუძლეველი სირთულე გახლდათ. ჰოფგენი თავს

ირწმუნებდა, რომ მხოლოდ ჰამლეტის ღირსეული განსახიერების შემთხვევაში ჩამოირეცხავდა სირცხვილს, მხოლოდ ხელოვნება იხსნიდა მის ცოდვილ სულს, რომ ის არტისტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუკი ჰამლეტის განსახიერებას მოახერხებდა. ჰენდრიკს ჰამლეტის აჩრდილი ტანჯავს, შეახსენებს მსახიობს, გაკეთებულ არჩევანს კეთილშობილებასა და კარიერას შორის და მოსთხოვს, იცხოვროს ბედნიერად ამ არჩევანით, ოღონდ არ შეურაცხყოს კეთილშობილი პრინცის ხატი. ჰენდრიკ ჰოფგენმა მართლაც ვერ შეძლო ჰამლეტის როლის მორგება: ჰამლეტს ისე თამაშობდა, თითქოს დანიელი პრინცი კი არა, „ნერვიული პრუსიელი ოფიცერი“ იყო. მიუხედავად ამისა, ჰამლეტის პირველმა წარმოდგენამ მაინც ტრიუმფით ჩაიარა. ჰენდრიკ ჰოფგენი შეაფასეს არა როლის შესრულების ხარისხით, არამედ მსახიობის გავლენიანი ნაცნობების მიხედვით. მსახიობს სინდისის ქენჯნა არ ასვენებს და მართალია, დაუპატიჟებელ სტუმარს არწმუნებს — მე შეუცვლელი ვარ, ყველა რეჟიმს სჭირდება თეატრი, ვერცერთი რეჟიმი ფონს ვერ გავა უჩემოდო (მანი 1995: 260), მშვენივრად აცნობიერებს თავისი ყოფის ტრაგიკოსმს. გაისიგრძეგანებს დანაშაულს, ცხოვრებისეულ ჩავარდნასა და სასოწარკვეთილს მწარე ცრემლები ახრჩობს, უკვე კარგად იცის, რომ ყველასი უნდა შურდეს, ვინც ადრე წაგებული და დამარცხებული ეგონა. მათ ხომ მისგან განსხვავებით იდეალებისთვის სიცოცხლის გაწირვა მოახერხეს... (მანი 1995: 261).

კლაუს მანი მიიჩნევს, რომ მთავარი არამზადა და დამნაშავე ის საზოგადოებაა, რომელიც ტოტალიტარიზმის მახინჯ მანქანას შობს და გასაქანს აძლევს. თუ ჯიბრან ხალილს დავუჯერებთ, „ვინც სიბოროტეს სჩადის, ის ერთ-ერთი ჩვენგანია და არა ვიღაც უცხო სტუმარი ჩვენს სამყაროში დაუპატიჟებლად მოსული“ ... როგორც წმინდანნი და მართალნი უზენაესზე მეტად ვერ ამალდებიან... ასევე, ავის ჩამდენი ვერ ჩაიდენს სიბოროტეს უკლებლივ ყველა თქვენგანის ფარული ნების გარეშე...“ (ჯიბრან ხალილი 2007: 47).

„მეფისტოს“ ავტორი ამხელს ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელ თვისებას, რომელიც ხელოვანთა გადაბირებასა და მათი ოფიციალური მეხოტბედ ქცევას გულისხმობს. ცნობილი ადამიანების, განსაკუთრებით ხელოვნების მოღვაწეთა გადაბირების სურვილი, მისწრაფება დიქტატორულ რეჟიმებს ზოგადად ახასიათებთ. მხოლოდ ჰენდრიკ ჰოფგენის მაგალითზე არ შეიძლება ამ პრობლემაზე საუბარი, რომანში განზოგადებულია და წარმოჩენილი მთელი სპექტრი მსახიობებისა. როგორც წესი, არცერთი დიდი ხელოვანი არ ჰგავს მეორეს, თითოეული ორიგინალურობითა და გამოკვეთილი ინდივიდუალიზმითაა ხოლმე აღბეჭდილი, მაგრამ, როდესაც XX საუკუნის ტოტალიტარული ეპოქის ამსახველ ნაწარმოებებს ვეცნობით, დიქტატის პირობებში მოქცეული ყველა ხელოვანის ბედი ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. ამ ტიპის, ეგზისტენციალურ რომანთა ციკლს განეკუთვნება თემატური ჯგუფი, რომელიც შემოქმედებასა და ხელოვნებას უკავშირდება. ლიონ ფოიხტვანგერის „გოია“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“, მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“. ჩამოთვლილ რომანთა მთავარ თემას წარმოადგენს ხელოვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში. ზოგიერთმა მწერალმა ისტორიულ წარსულში მომხდარი მოვლენები ასახა, თუმცა, ეს თემატიკა (ხელოვანის ბედი დიქტატორულ სახელმწიფოში) მათი ქვეყნებისა და თანამედროვე ეპოქებისათვისაც აქტუალური იყო. ლიონ ფოიხტვანგერის შემთხვევაში ხელოვანის თავისუფლება იზღუდებოდა გერმანელი ნაცისტების მიერ, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძისა და მიხაილ ბულგაკოვის დროს — კომუნისტური რეჟიმის მიერ.

კლაუს მანმა, მიუხედავად იმისა, რომ რომანი კონკრეტულ ადამიანს მიუძღვნა, ოსტატურად შეძლო თემის განზოგადება: ასეთი ადამიანები ჩვენს გარშემოც არიან. ეს არის პორტრეტი გაორებული ხელოვანისა, ტრაგიკული, საბრალო სულით, ვისთვისაც მთავარია ვიღაც უკრავდეს ტაშს. რასაკვირველია, ეს ბუნებრივია მსახიობისთვის, მწერლისთვის, სურვილი, რომ მას კითხულობდნენ, რომ ხალხს სჭირდებოდეს, რომ მედიუმი იყოს ადამიანებისთვის, მაგრამ ამაშია მათი ტრაგედია. „ემშაკთან“ გარიგება სწორედ მაშინ ხდება, როდესაც ხელოვანისათვის პატივმოყვარეობა ხდება ძირითადი წარმართველი ძალა; პატივმოყვარეობა ხომ ყველაზე ძლიერი საცდურია ემშაკისაგან. ტაში და მისი რაობა, მისი საზოგადოებრივი, სოციალური თუ ფსიქოლოგიური შინაარსი მთელი სიცხადით გადმოგვცა მწერალმა.

1998 წელს გერმანიაში გამოცემული ლექსიკონის — „ფართოდ გავრცელებულ (პოპულარულ) მცდარ წარმოდგენათა ლექსიკონი“ — ავტორები, ვალტერ კრემერი და გიოც ტრენკლერი, მცდარ წარმოდგენად მიიჩნევენ ფრაზას, რომლის თანახმადაც: „ინტელექტუალები ერის სინდისს განასახიერებენ“. „მათი სიტყვით, თუ უკანასკნელი ასი წლის მონაცემებს გავითვალისწინებთ, ინტელექტუალები მსოფლმხედველობრივად უფრო ადვილი საცდუნებელი არიან, ვიდრე „ნორმალური ადამიანები“. არ მოიძებნება დიქტატორი, — ვკითხულობთ ლექსიკონში, — რომელიც თავს ვერ მოიწონებდა იმით, რომ მას დასავლელ ინტელექტუალთა სოლიდური ჯგუფი უჭერდა მხარს. იმისათვის, რომ ეს მხარდაჭერა მოიპოვოს, დიქტატორმა ერთადერთი რამ უნდა მოიმოქმედოს: ტაში გაუხერხოს

(ქარგონით თუ ვიტყვით, გაუჩალიჩოს) ინტელექტუალს, ანუ მისთვის ტაშის ორგანიზება შეძლოს“ (ბრეგაძე 2006: 12).

ტაში ლექსიკონში ქლოროფორმს არის შედარებული, საშუალებას, რომელსაც მედიცინაში პაციენტის დასაძინებლად იყენებენ მტკივნეული ოპერაციის დროს: „აპლოდისმენტი ქლოროფორმით მოქმედებს თანამედროვე ლიტერატორებზე და აჩლუნგებს მათი კრიტიკული ხედვის უნარს; სანამ აპლოდისმენტი ესმით, სამყაროს იმათი თვალთ უყურებენ, ვინც მათ ტაშს უკრავს“ (ბრეგაძე 2006: 12). ლექსიკონის ავტორები ცდუნებულ ხელოვანთა შორის ანდრე ჟიდს, ბერნარ დშოუს, ჟან-პოლ სარტრს ასახელებენ, რომელთა აღტაცება დიქტატორებით არ შეიძლება ნორმალურ მოვლენად ჩაითვალოს. ხოლო კრიტიკული პათოსის ერთგულ ინტელექტუალებს, ჰანს-მაგნუს ენცესბერგს, ჯორჯ ორუელსა და ბერნარ ტრასელს, ხელის თითებზე დაითვლის ადამიანი.

როსტომ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ საბჭოეთის მოუდრეკელი ხელოვანებიც პოპულარობის, ტაშის საცდურს ვერ შეეწინააღმდეგნენ და „ტაში დარჩებოდა საბჭოთა ქვეყნის მთავარ მუსიკალურ ფონად და მმართველობის რიტმად. სულ უფრო შორს რჩებოდა სტალინის სახელი, ეს ინერცია კი არა და არ ნელდებოდა და ყველა გრძნობდა — მის გრიალში დაემხობოდა ეს უზარმაზარი საკონცენტრაციო ბანაკი. ტრაგიკში ფარსში გადაზრდილიყო, დრამატული ფონი პაროდიად აღიქმებოდა...“ (ჩხეიძე 2004: 7). ტოტალიტარულმა რეჟიმმა გადაბირებულ ხელოვანთა ამაღლა შენიღბულ კასტად აქცია, რომელიც დანარჩენი, ნიველირებული მასისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ შეემლო კანონზე მაღლა მდგარიყო (რასაც ისინი პირადი კეთილდღეობისათვის იყენებდნენ). ხელოვნება იქცა სუროგატად. ძალაუფლებას აქვს მომხიბვლელობა, მაგრამ ხელოვანი ვალდებულია თქვას „არა“, როდესაც ამის საშუალება აქვს და მაშინაც კი, გარემო პირობები ყველანაირად საპირისპიროსაკენ რომ უბიძგებს. ესაა „მეფისტოს“ კონცეფცია. ჰენდრიკის ფინალური სიტყვები მოედანზე — „რა უნდა ხალხს ჩემგან, რატომ არიან ასეთი მკაცრები, მე ხომ მხოლოდ ერთი საოცრად ჩვეულებრივი მსახიობი ვარ?“ (მანი 1995: 260), ერთდროულად სასაცილოც არის და ტრაგიკულიც.

ასეთ ყოფაში აღმოჩნდა არამარტო ერთი ხელოვანი, თვითმკვლევლობით დაასრულა სიცოცხლე წიგნის ავტორმაც — კლაუს მანმა და „მეფისტოს“ მთავარი გმირის პროტოტიპმა. „და როცა ვინმე ეცემა, ის უკანმომავალთათვის ეცემა დაბრკოლების ლოდზე რომ მიანიშნოს. ის წინამავალთა გამოც ეცემა მეწინავედ რომ მიაბიჯებენ, ჩქარა და გამართულად, მაგრამ ლოდი გზიდან არ მოაშორეს“ (ჯიბრან ხალილი 2007:47). მართალია, ამით ხშირად ამკარავდება თვით მსოფლიო არსებობის ბნელი და შემადრწუნებელი მხარეები, მაგრამ ტრაგიკული გმირის ქცევაში ყოველთვის არის რაღაც განმასპეტაკებელი და აღმაფრთოვანებელი, უდიდესი ადამიანობის მატარებელი.

ადამიანის არსებობის ყველა სფეროს ზნეობრიობა მსჭვალავს. ლიტერატურა ზნეობრივი ფენომენის ამ ყველგანმყოფობას ხდის ხილულს, ადამიანს მიანიშნებს, რომ ზნეობრივი კრიტერიუმი აღმოუფხვრელია მის ყოფიერებაში, რომ ზნეობის „თვალს“ ვერსად და ვერასდროს დაემალება. ლიტერატურა საფარველს აცლის საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობის შინაგან ხედს, „გვაიძულებს“ თავი არ მოვიტყუოთ და მომავლის განჭვრეტას გვიადვილებს.

ლიტერატურა:

მანი 1995: Klaus Mann, Mephisto (Classic, 20th-Century, Penguin), translated from the German by Robin Smyth, 1995.

ბერდიაევი 1998: ნიკოლაი ბერდიაევი, ინტელექტის კრიზისი და ინტელიგენციის მისია. თარგმნა ზურაბ კიკნაძემ. არილი, 30 ივლისი, 1998.

ბრეგაძე 2006: ლევან ბრეგაძე, ტაში: ბანგი ინტელექტუალთათვის, ჟ. „ჩვენი მწერლობა“, №1, 2006.

გაფრინდაშვილი.. 2008: გაფრინდაშვილი ნანა, მირესაშვილი მარიამ, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი, 2008.

კუაზიმოდო 2009: სალვატორე კუაზიმოდო, პოეტი და პოლიტიკოსი, „ჩვენი მწერლობა“, 27 ნოემბერი, 2009.

ჩხეიძე 2004: როსტომ ჩხეიძე, მისი უდიდებულესობა ტაში, ჟურნალი „ომეგა“, №2,

ხალილი 2007: ჯიბრან ხალილი, წინასწარმეტყველი, ინგლისურიდან თარგმნა დავით-დევი გოგიბედაშვილმა, თბილისი, 2007.

AN ARTIST FACING TOTALITARIANISM (KLAUS MANN "MEPHISTO")

Tamar Kalichava, Sokhumi State University, PhD Student

RESUME

The pincers of the totalitarian regimes were the cause of tragedies of many artists and also the inspirations for writers. The horrors of the Hitler's Germany during the 30s of the 20th century were accurately depicted by Klaus Mann in his cult novel "Mephisto — Novel of a Career". The political-satire novel created in exile echoes the real stories, it, with the Third Reich as an example, reveals the mysterious road of life full of temptations for the artists in the totalitarian state, the essence of the applause and its public, social or psychological contents. The writer vividly portrays the tempting nature of the applause, the dangers and troubles associated with it, which throughout the history of mankind, within the terms of such regimes, has turned out to be fatal for many artists and will be fatal time and again.

ჟურნალი „კავკასიონი“ და მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“

მარინე გერცვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

მეოცე საუკუნეში ევროპა-აზიისა და ამერიკის კონტინენტზე ქართული ემიგრაციის შექმნა-ჩამოყალიბება რეალური ფაქტია, რომელსაც ჩვენ დიდი ხნის მანძილზე თვალს ვერ ვუსწორებდით, ანგარიშს არ ვუწევდით, ყოველნაირად ვცდილობდით უარი გვეთქვა სამშობლოს მკერდიდან მოკვეთილ ღირსეულ შვილებზე, იმათ სულიერ მემკვიდრეობაზე, რომელთა „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“.

მეოცე საუკუნის ქართული ემიგრაცია წლების განმავლობაში გაიგივებული იყო პარიზთან და ლევილთან, არადა, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ქართველები აღმოჩნდნენ არა მარტო ევროპის რიგ ქვეყნებში, არამედ აზიაში და ამერიკაშიც.

გურამ შარაძის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული ემიგრანტული პრესის მოსამძიებლად და მის სამშობლოში დასაბრუნებლად. დიდია მისი გულისტკივილიც, რომელსაც გამოხატავდა რუსუდან ნიშნიანიძესთან საუბარში, 1997 წ. 14 ოქტომბერს საქართველოს პირველი რესპუბლიკის არქივის დაბრუნების და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადაცემის შესახებ (რომლის საფუძველზეც გაიხსნა ქართული ემიგრაციის მუზეუმი). მეცნიერს ეგონა, რომ დაიძვრებოდნენ სტუდენტები თუ პროფესორ-მასწავლებლები ამ მასალების შესასწავლად, მაგრამ არც 1995, არც 1996, არც 1999 წელს არავინ გამოჩნდა მასალების მკვლევარი და რომ „გაბრაზებულმა“ გურამ შარაძემ დაიწყო წერა „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიისა“, რომელიც 8 ტომში განთავსდა.

ამაო გამოდგა მეცნიერის გულისტკივილი, ამ ყველაფერს აქტიურად იყენებს ემიგრანტული მწერლობით დაინტერესებულ მეცნიერთა ერთი ჯგუფი, ქართული სალიტერატურო პროცესის ახლებურად დასაწერად.

1990-იან წლებამდე იკრძალებოდა ემიგრანტების, როგორც მოღალატეების ხსენებაც კი. მათზე ან არ წერდნენ, ან „რაც იბეჭდებოდა საბჭოური იდეოლოგიის წნეხში იყო გატარებული“. გურამ შარაძის დამსახურებაა „საკითხის ახლებური შეფასების მცდელობა“ [3. გვ. 3]. რუსუდან დაუშვილი, ნაშრომში „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წ.წ.“, ჩამოთვლის იმ მკვლევარებს, რომლებიც დღეს „ამ თემებზე ჩვენს წარმოდგენას ავსებენ“ [3. გვ. 5] -31 მკვლევარი, თითოეულ მათგანს მიაჩნია, რომ ემიგრანტთა მოღვაწეობის არც ერთი პერიპეტია არ უნდა დარჩეს გამოკვლევის მიღმა, რადგან ქართველი ემიგრანტების უმრავლესობამ ქართული მენტალიტეტი შეინარჩუნა, ისინი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ სამშობლოში დაბრუნების იმედით. ემიგრაციის სხვადასხვა ტალღას, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს ერთი საერთო მიზანი აერთიანებდათ – სამშობლოში დაბრუნება.

„ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ თითოეულ ტომში მოცემული მასალების გაცნობის შემდეგ აშკარაა, რომ „ქართველი ემიგრანტები ძირითადად ქართველი მკითხველისთვის წერდნენ. მათ მიერ მშობლიურ ენაზე გამოცემული გაზეთები და ჟურნალები ამის დასტურია“ [3. გვ. 5]. ნაშრომში განვიხილავთ ემიგრანტულ ჟურნალ „კავკასიონში“ გაშლილ პოლემიკას მიხეილ ჯავახიშვილის რომან „ჯაყოს ხიზნების“ ირგვლივ. საკითხმა გამოიწვია უდიდესი ინტერესი და ამის გამო რედაქცია

საშუალებას აძლევდა ყველა თანამშრომელს თავისი შეხედულება შეუზღუდავად გამოეთქვა. ჩვენ მიმოვიხილავთ ვლადიმერ ბაქრაძისა და ვიქტორ ნოზაძის წერილებს.

ჟურნალ „კავკასიონს“ უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში. ჟურნალი გამოვიდა 1929 წელს პარიზში. 1-2 ნომბრისათვის წამმდვარებულ დეკლარაციაში ნათქვამია: „უცხოეთში გადმოხვეწილი ქართველი საზოგადოება მოკლებული იყო ისეთ გამოცემას, რომელშიც სიტყვა: კაზმული, მხატვრული და მეცნიერული დაისადგურებდა“. კარგად ჩანს ის გულისტკივილიც, რაც ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდათა ეროვნულ გაერთიანებას აწუხებდა. იქვე იბეჭდება ქართველ სტუდენტთა ეროვნული გამგეობის მიმართვა „ქართველ საზოგადოებას“, „საიდანაც ჩანს ბედის უკუღმართობით უცხოეთში მოხვედრილი ქართველი ემიგრანტი ახალგაზრდობის ინტელექტუალური პოტენციალი და ქართული მწერლობისა და კულტურის სამსახურის დაუოკებელი წყურვილის მოკვლის სურვილი“. ახალგაზრდები ცდილობდნენ ჟურნალის შექმნით ღირსეულად შეესრულებინათ ის როლი, რომელიც ერის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცხოვრებაში ისტორია აკუთვნებს ახალგაზრდობას.

ჟურნალის რედაქტორები იყვნენ ვ. ნოზაძე, ედუარდ პაპავა, იროდიონ მანწყავა.

ჟურნალში დაბეჭდილი სტატიების ავტორთა სია საკმაოდ მრავალრიცხოვანია. დღეს მათზე ბევრი იწერება, 1990 წელს კი, როცა გურამ შარაძე ლიტერატურულ-კრიტიკულ აღმანახში „ქართული მწერლობა“, რუბრიკით „ორნატი“, აქვეყნებდა ემიგრანტთა წერილებს, ეს სიახლედ აღიქმებოდა მკითხველთა იმ კატეგორიისათვის, რომელიც არ იცნობდა ქართულ ემიგრაციას და არც ემიგრანტთა შემოქმედებაზე ჰქონდა წარმოდგენა. ასეთები კი არც ისე ცოტანი იყვნენ. აქ შეიძლება გავისხენოთ პაატა ნაცვლიშვილის სიტყვები: „გრიგოლ რობაქიძეზე ჩემმა თაობამ ყურმოკვრით თუ იცის რამე, ისიც ხშირად ჭორებისა და ლეგენდების დონეზე“. ეს ითქვა გრიგოლ რობაქიძეზე, რომლის შესახებაც იწერებოდა სიტყვები: ის „დასავლეთ ევროპასაც ზემოდან დასცქეროდა. მას ჰქონდა ევროპელების წინაშე უპირატესობის გრძნობა, რადგან ქართველი ერი, მისი აზრით, უფრო ძველი და კეთილშობილი... რასაა“ [2. გვ. 17], რაღა შეიძლება ითქვას ჟურნალზე „კავკასიონი“ და იქ მოღვაწე ქართველებზე, რომელთაგან შემდგომში ზოგიერთი კია ცნობილი სახე, ზოგიერთების გვარი კი „სამუდამოდ ჩარჩა ჟურნალის I-VIII ნომრების ფურცლებზე, და მას შემდეგ აღარსად გახმიანებულა“ [1. გვ. 143].

ჩვენ შევჩერდებით ჟურნალ „კავკასიონის“ იმ პუბლიკაციებზე, რომლებიც თავის შესამჩნევ კვალს ტოვებენ არა მხოლოდ ემიგრანტული მხატვრული ლიტერატურის, არამედ ზოგადად ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ჩვენი სტატიის მიზანიც ეს არის, რომ იმ შეფასებათა შორის, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის რომანს ერგო, თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს ვლადიმერ ბაქრაძის და ვიქტორ ნოზაძის შეფასებებამაც.

გურამ შარაძე გაცეხულია - როგორ შეძლეს ემიგრაციის უმძიმეს პირობებში მოხვედრილმა ხელმოკლე ახალგაზრდებმა შეექმნათ ასეთი შინაარსობრივად და ჟანრობრივ-თემატიკურად მდიდარი, პირველხარისხოვანი ინტელექტუალური მასალებით სავსე პერიოდული გამოცემა. ჟურნალში ვნახავთ პოეზიას, პროზას, თარგმანებს, ისტორიულ-ლიტერატურულ ესსეებს, ლიტერატურის ისტორიას და მხატვრულ კრიტიკას, საქართველოს ისტორიას, ხელოვნებათმცოდნეობას და მუსიკას, საერთაშორისო სამართალს, გეოპოლიტიკას, ურბანისტიკას, სტატისტიკას, ეკონომიკასა და დემოგრაფიას, ბიოგრაფიულ პორტრეტებს და ნეკროლოგებს, მოგონებებს, ბიბლიოგრაფიას. ჟურნალის ცალკეული ნომრები დასურათებულია მაღალხარისხოვანი და უნიკალური ფოტოილუსტრაციებით.

გურამ შარაძე არსად აკეთებს მინიშნებას იმის შესახებ, რომ შესაძლოა პარიზში გამოშვებული ჟურნალი „კავკასიონი“ იყვეს მემკვიდრე, თავისი იდეებით, პავლე ინგოროყვას „კავკასიონისა“, რომელიც წარმოგვიდგება „ჩვენი კულტურის ერთი ეტაპის დამავიწყებელ მოვლენად და, ამავდროულად, ახალი ეტაპის დასაწყისად“ [4. გვ. 2]. როსტომ ჩხეიძეს მიაჩნია, რომ ამ ჟურნალის „ფართე, ყოვლისმომცველი დიაპაზონი იმ დროისათვის სრულიად ახალი იყო და არც შემდგომ განმეორებულა, რომ „კავკასიონი“, როგორც საზოგადოებრივი წამოწყება, საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში ვერ იხარებდა, და რაც მთავარია, „მას შემდეგ აღმოცენებული მხატვრული თუ სამეცნიერო ჟურნალები ოდნავადაც ვერ მიუახლოვდებოდნენ ამ რეპრესირებულ ეტალონს“ [4. გვ. 3], ამ ნომრების ხელახლა გადაკითხვა აღფრთოვანებასთან ერთად იწვევს ამ ჰიპერბოლიზებულ სურვილსაცო, წერს როსტომ ჩხეიძე.

ამ ორი ჟურნალის საერთო ინტერესების კვლევა მომავლის საქმეა. სახეზეა მხოლოდ ორი დიდი მეცნიერის უზომო აღფრთოვანება: გურამ შარაძისა - პარიზში გამოშვებული „კავკასიონის“ და როსტომ ჩხეიძისა - პავლე ინგოროყვას „კავკასიონის“ ღირსებების წარმოჩინებისას.

აიკრძალა საქართველოში გამოსული „კავკასიონი“, როსტომ ჩხეიძე აზუსტებს: „სახელისუფლებო განაჩენში აღნიშნულია მიზეზებიც: ნაციონალისტურია, შოვინისტური, კონტრევოლუციური და არა დგას საბჭოთა ნიადაგზეო“ [4. გვ. 3] და, ამ ფონზე, ვის მიუწვდებოდა ხელი პარიზში გამოშვებულ ჟურნალს

„კავკასიონზე“. ამიტომაც ამბობს პაატა ნაცვლიშვილი, რომ ჩვენმა თაობამ ყველაფერი ამის შესახებ ან არაფერი იცოდა, ან იცოდა ჭორის დონეზეო. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ ქართულ სალიტერატურო პროცესში ჩაერთოს ემიგრანტი ქართველების კრიტიკული სტატიები, რომლებიც მიუკერძოებლად და უდიდესი გულისტკივილით არის დაწერილი, ისინი დღესაც უცნობია მკითხველთა თუ სტუდენტთა ფართო წრისათვის, თუმცა ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

გურამ შარაძე წერს: „კავკასიონის ფურცლებზე ფართო კამათი გამოუწვევია დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ახალ რომანს „ჯაყოს ხიზნები“ [1. გვ. 296]. მივაქციოთ ყურადღება, „ახალ რომანს“, ესე იგი ვლადიმერ ბაქრაძის გამოხმაურება „კრიტიკული შენიშვნები - ჯაყოს ხიზნები“ რომანი მიხეილ ჯავახიშვილისა, რომანის გამოსვლისთანავე იწერება. გურამ შარაძე ამ წერილს „შესანიშნავად“ მიიჩნევს და არ გვაქვს (მისი გაცნობის შემდეგ) უფლება, არ დავეთანხმოთ ამ შესანიშნავ მკვლევარს და მეცნიერს.

ვლადიმერ ბაქრაძე დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, არ იცნობს მიხეილ ჯავახიშვილის სხვა ნაწარმოებებს და იძულებულია მწერლის მხატვრულ ღირსებებზე იმსჯელოს მხოლოდ ამ რომანით. მან კარგად იცის, რომ ქართული ლიტერატურის დიდი ნაკლია ის, რომ „არა გვაქვს რომანი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“ [1. გვ. 296]

ამის შესახებ წერდა გრიგოლ რობაქიძეც სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე. აკაკი ბაქრაძე თვლის, რომ „როგორც ბევრ სხვას, ისე მასაც აწუხებდა, რომ ქართველის შემოქმედებითი ნიჭი პოეზიაში უფრო იჩენდა თავს, ვიდრე პროზაში... ქართული პროზის უმნიშვნელოვანეს ხარვეზად ის მიაჩნდა, რომ არ არსებობდა რომანი, ამ სიტყვის ევროპული გაგებით“. ამის შესახებ წერდა თავის სტატიაში „ქართული რომანი“.... გრიგოლ რობაქიძეს იმედი აქვს, რომ რაკი აღდგა ქართული სახელმწიფოებრიობა, საქართველო დამოუკიდებელია, ქართული სინთეტური ტიპი ჩამოყალიბდება და ქართული რომანიც დაიწერება.

დავუბრუნდეთ ისევ ვლადიმერ ბაქრაძეს და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“. ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფო და მალევე მოექცა ბოლშევიკური რუსეთის გავლენის ქვეშ. რეჟიმის გავლენის ქვეშ მოექცა ლიტერატურაც. რა არის რომანი? კითხულობს ვლ. ბაქრაძე და თვითონვე პასუხობს: „რომანი ეს ფართე ტილოა, სადაც დახატულია მთელი საზოგადოება, საზოგადოების სხვადასხვა წრეები და ჯგუფები თავიანთი მისწრაფებებით, ზნე-ჩვეულებებით და ძრახვებით, უარყოფითი და დადებითი მხარეებით, დამახასიათებელი თვისებებით, თავიანთი მისწრაფებებით, თავიანთი პსიქოლოგიით და მოქმედებით“ [1. გვ. 296]. ვლ. ბაქრაძეს მიაჩნია, რომ რომანში უნდა დაცული იყოს ისტორიული სინამდვილე და პსიქოლოგიური სიმართლე. „რომანი - ეს ნიშნავს მხატვრულ ტიპებს, რომლებიც უნდა სცოცხლოდნენ და მოქმედებდნენ“ [1. გვ. 296]. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რომანის შექმნაში უმთავრესი ფაქტორია „არა ტვინი, გრძნობა, მხატვრული შემოქმედება, არამედ ხელი, მარჯვე და „გაჩვეული“ ხელი“ [1. გვ. 297].

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ ავტორი კვლავ მიხეილ ჯავახიშვილსა და მის რომანს უბრუნდება და რადგანაც მიიჩნევს, რომ ქართული ლიტერატურის დიდ ნაკლს შეადგენს მხატვრული რომანების უქონლობა, გასაგებია ის სიხარული, რომელიც უჩნდება მკითხველს მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ხელში აღებისას; ჩნდება იმედი-იქნებ შეივსოს ეს ხარვეზი, იქნებ მწერალმა გამოასწოროს ეს ნაკლი.

გაუმართლდა თუ არა ეს იმედი, ვლ. ბაქრაძე რომანის ღრმა ანალიზის შემდეგ გაგვიმხელს. ის ჯერ მოკლედ ყვება რომანის შინაარსს, შემდეგ განიხილავს თეიმურაზ ხევისთავს. საბოლოოდ კი დაასკვნის, რომ თეიმურაზს გვაცნობს ავტორი და ყველა ის ნაკლი, რაც მას გააჩნია, ავტორის ბრალია, რომ ეს ავტორს უნდა ასეთი იყოს თეიმურაზი, რომელსაც „არცერთი სურვილის და არცერთი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მას არ ძალუძს“.

და არა მარტო თეიმურაზი, რომ რომანის ყველა მოქმედი პირი ლაპარაკობს არა იმას, რასაც ფიქრობს, არამედ იმას, რასაც ფიქრობს იმისი ავტორი.

აქედან გამომდინარე, თუ პერსონაჟების ცოდნა არ არის ღრმა და არ მიდის შორს, ამაში დამნაშავე რომანის ავტორია, რომელმაც არ შეისწავლა ის საკითხი, რაზეც პერსონაჟებს ალაპარაკებს.

ამ ფონზე სრულიად გაუგებრად გვეჩვენება ავტორის განზრახვა, როცა ის გვიხატავს თეიმურაზს. სიყალბე და ცილისწამებაა იმის ფიქრი, რომ თეიმურაზი ქართული ინტელიგენტის ტიპია. შეიძლება კიდევაც არსებობს ასეთი ტიპი ცხოვრებაში, მაგრამ „რა შვაშია აქ ხელოვნება“ [1. გვ. 303], ამდენად, თეიმურაზი არ არის მხატვრული ტიპი. ასეთია სტატიის ავტორის დასკვნა.

ასევე მოკლებულია მხატვრულ ლოგიკას მარგოც, რადგან ცხოვრების ლოლიკა განსხვავებულია და ნამდვილი შემთხვევა, რომელსაც ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა, არ იქნებოდა მართალი მხატვრულად.

და მხოლოდ ჯაყოა ნამდვილი ტიპი. ჯაყოს ასეთ დახასიათებას ვერ შევხვდებით სხვა კრიტიკოსთა ნააზრევში. ვლ. ბაქრაძე თეიმურაზისა და მარგოსგან განსხვავებით ჯაყოს მიიჩნევს

ნამდვილ, ცოცხალ, მხატვრულ ტიპად, რომელიც „შევა არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ საერთაშორისო ლიტერატურის ტიპთა გალერეაში და დაიკავებს ადგილს იქ, სადაც არიან: გარპაგონი, ტარტიუფი, დონ-კიხოტი“... [1. გვ. 308]

და თუ არადამაჯერებელია თეიმურაზის ყველა ქმედება, მის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი, ჯაყო არ ღალატობს თავი თავს არცერთი ჟესტით, არც ერთი სიტყვით და არც ერთი ქმედებით. „არც ერთ მის მოქცევაში არ არის სიყალბე“ [1. გვ. 306].

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ჯაყო არის სიმბოლო ყველაფერი იმისა, რაც მუდმივი და უკვდავია ბოლშევიზმში. ვლადიმერ ბაქრაძე ფიქრობს, რომ თუ მოხდა და აღარ დარჩა არავითარი ისტორიული და ლიტერატურული მასალა ბოლშევიზმის შესასწავლად, საკმარისი იქნება მხოლოდ ჯაყო ჯივამვილის გაცნობა: „როგორც მეცნიერისთვის საკმარისია მხოლოდ ლომის ბრჭყალები, რომ აღადგინოს მთელი სხეულის სურათი, ისე მომავალი ისტორიკოსისათვის საკმარისი იქნება მხოლოდ ჯაყოს გაცნობა, რომ გაიცნოს მთელი ეპოქა ბოლშევიკური ტირანიისა“ [1. გვ. 309].

ჯაყოს შეფასებებში სტატიის ავტორი კიდევ უფრო შორს მიდის და მიიჩნევს, რომ სტალინ-ჯუღაშვილი-იგივე ჯაყოა და რომანის დიდ დამსახურებად მხოლოდ ის მიაჩნია, რომ მან დაგვანახვა ბოლშევიზმის ნამდვილი სახე. რაც შეეხება რომანის მხატვრულ მნიშვნელობას, მასში მრავლადაა შაბლონური და მონოტონური ადგილები, რომ ნაწარმოებში ხშირად გვხვდება ანალოგია პოლიციელის ოქმისა, „პორნოგრაფიული ლიტერატურისა“ და რომ მხატვრული ლიტერატურის საგანი ფიზიოლოგიური აკტების აღწერა კი არ არის, არამედ ფსიქოლოგიური განცდების აღწერაა, რაც ასე აკლია რომანს; ამიტომაც ვლ. ბაქრაძის აზრით, საქმე გვაქვს „დაბალი ხარისხის პროზასთან“, თუმცა გვხვდება მხატვრული ადგილებიც.

ვლადიმერ ბაქრაძის კრიტიკულ ნაშრომს „კავკასიონის“ მესამე ნომერში გამოეხმაურა ვიქტორ ნოზაძე წერილით - „თათქარიძის მოდგმა“. თეიმურაზ ხევისთავი („ჯაყოს ხიზნების“ გამო). ვიქტორ ნოზაძე წერილს წერს თამარ ვარდანაძის ფსევდონიმით, რომელიც მკაცრად ყოფილა გასაიდუმლოებული.

ვიქტორ ნოზაძე არც ერთი პერსონაჟის შეფასებაში არ ეთანხმება ვლადიმერ ბაქრაძეს. მას მიაჩნია, რომ მხატვრული ნაწარმოები შეიძლება ოცნების ნაყოფი იყოს, შეიძლება სინამდვილე, მაგრამ ის უპირველეს ყოვლისა მხატვრული უნდა იყოს. რომანი მწერლობის იმ დარგს ეკუთვნის, რომელშიც განსაკუთრებული სიმღიერით ცხადდება სურათული მხარე, ამიტომ ვიქტორ ნოზაძე მიიჩნევს მისაღებად რომანის იმ განმარტებას, რომელსაც ვლ. ბაქრაძე იძლევა. ის ატარებს პარალელს თეიმურაზ ხევისთავსა და ლუარსაბ თათქარიძეს შორის. ორივე პერსონაჟი ტიპია თავისი კლასისა. მათ გააჩნიათ ყველა დადებითი და უარყოფითი თვისება, რაც შეიძლება ამ კლასის წარმომადგენელს გააჩნდეს, ავტორებიც ერთ ხერხს მიმართავენ მათ დასახასიათებლად – აზვიადებენ. ლუარსაბი თავისი დროის ტიპია, შეიცვალა დრო, წარმოიშვა ახალი ლუარსაბი და ეს თეიმურაზია ხევისთავია.

ამის შემდეგ ვიქტორ ნოზაძე დაწვრილებით განიხილავს: ვინ არის თეიმურაზ ხევისთავი? რას აკეთებდა თეიმურაზი? რა მიმართულებას მისდევდა თეიმურაზი? როგორ უვლიდა თეიმურაზი თავის მამულს? რა მოხელე იყო თეიმურაზი და ა.შ. ყველა კითხვას პასუხობს ზუსტად რომანის მიხედვით; ასე იქმნება პორტრეტი ინტელიგენტისა და თუ არჩილ ჯორჯაძეს გავიხსენებთ, წერს ვიქტორ ნოზაძე, როცა ის ინტელიგენციას ახასიათებს, დავინახავთ, რომ თეიმურაზი მსგავსი მხატვრული სახეა ამ ინტელიგენციისა. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ „თეიმურაზი ნამდვილი მოვლენაა, ჩვენი ცხოვრების შვილია, ამიტომ არ არის მართალი ვლ. ბაქრაძის მიერ გამოთქმული მოსაზრებები თეიმურაზის შესახებ“ [1. გვ. 320].

ვიქტორ ნოზაძეს მიაჩნია, რომ თეიმურაზი არის ახალი დროის შვილი, ახალი აზრებით აღჭურვილი, მაგრამ ეს სიახლე დამცნობილი იყო თეიმურაზის ფეოდალურ ფსიქიკაზე, ამიტომაც ამბობს: „ფულიანებისმახვილს ჩვენ დავუპირისპირეთ ჩვენი აზნაურული ფარი, დენდობა და რაინდობა, ესე იგი ფუქსავატური ცხოვრება, ყოყოობა, კუდაბზიკობა“ [1. გვ. 318].

ეს ყველაფერი სიმართლეა, და ვიქტორ ნოზაძის აზრით, ეს არის დახასიათება არა მარტო თეიმურაზისა, არამედ ინტელიგენციის დიდი ნაწილისა, ამდენად თეიმურაზი ნამდვილი მოვლენაა, ჩვენი ცხოვრების შვილია და გაუგებარია ის აზრი, რომელსაც გამოთქვამს ვლ. ბაქრაძე: „როგორ მოახერხა ავტორმა... რომ შექმნა ისეთი ყალბი ტიპები, როგორც თეიმურაზი და მარგოა“ [1. გვ. 322].

ვიქტორ ნოზაძის დასკვნა ასეთია: „ყველა მოქმედი პირი ცხოვრებისა მხატვრული სიმართლით არის გადმოცემული“ [1. გვ. 323].

აღსანიშნავია, რომ ჟურნალის მკითხველი ვერ დააკმაყოფილა რომანის ვერც ბაქრაძის და ვერც ნოზაძის შეფასებამ, ამიტომ რედაქციამ გამოაქვეყნა შენიშვნა, რომ საშუალებას აძლევდა ყველა თანამშრომელს თავისი შეხედულება შეუზღუდავად გამოეთქვა. ამ გაგრძელებებს შემდგომ შრომები მიმოვიხილავთ.

ლიტერატურა:

1. გ. შარაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. III, თბ., 2003.
2. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბ., 1991.
3. რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.
4. ჩვენი მწერლობა №17, 23 აგვისტო, 2013.

THE JOURNAL “KAVKASIONI” AND MIKHEIL JAVAKISHVILI’S NOVEL “JAKO’S LODGERS”

Marine Tsertsvadze, Gori State Teaching University, Professor
RESUME

Creation of Georgian emigration in Europe, Asia and America in the XX century is a real fact, to which we neither taking into consideration nor evaluating. We were doing our best to reject our honorable children torn from the heart of our country. None of the peripety should be left out of research because most of the Georgian emigrants preserved Georgian mentality. They lived and acted with the hope of coming home. Different waves of emigration and people with different opinion were united under the aim of returning.

ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის

ჯულიეტა ძაძუა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი
E-mail: julidzadzua@yahoo.com

განათლების თანამედროვე პრობლემად ისევ რჩება ქართული ენის სიწმინდის დაცვა. მოვიტანოთ მარტივი მაგალითი. რას იძლევა საშუალო სკოლის სახელის შეცვლა „საჯაროდ“?

ენის დამახინჯებას: სკოლებს თავდაპირველად ასეთი წარწერა ჰქონდათ: საჯარო სკოლა №51, საჯარო სკოლა №23 და ასე იყო დამახინჯებული ყველა სკოლის სახელწოდება ამ საუკუნის დასაწყისში. დღეს გასწორდა ეს ხარვეზი და გვაქვს: 52-ე საჯარო სკოლა, 23-ე საჯარო სკოლა. აქ დგება სხვა საკითხიც: რას ნიშნავს „საჯარო“? – ჯარი არის სამხედრო ნაწილი, ქვეყნის დამცავი შეიარაღებული ძალა. სკოლაში კი ჯარისკაცებს ხომ არ ვასწავლით, საშუალო მოაცილეს, სრულიად უსამართლოდ, ვიდაცის უხეირო ამბიციებზე დაყრდნობით, ისევ სჯობდა“ სახალხოთი შეგვეცვალა და იქნებოდა 51-ე სახალხო სკოლა. მაინც ყველაზე უკეთესი ტერმინია „საშუალო სკოლა“, „დაწყებითი სკოლა“, „უმადლესი სკოლა“.

რა მოგვცა უმაღლეს სასწავლებლებში „მისაღები გამოცდების შეცვლამ „ეროვნული გამოცდებით“ – უკუსვლა. პირველი კურსის სტუდენტებმა არ იციან მშობლიური ენის ელემენტარული საკითხები:

„მეტყველების რამდენი ნაწილია ენაში, მეტყველების რომელი ნაწილი რომელი წევრის როლს ასრულებს. წარმოდგენა არა აქვთ ზმნის კატეგორიებზე, მასთან დაკავშირებულ მართლმეტყველებასა და მართლწერის საკითხებზე, ლიტერატურულ-მხატვრულ ხერხებზე, არღვევენ ენის სინტაქსურ კონსტრუქციებს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არ იციან ენის წეს-კანონები, განსაზღვრებები, ტერმინები და ასეთ ადამიანებზეა მინდობილი დღეს სახელმძღვანელოების შედგენა“ (რეხვიაშვილი, ძაძუა; 2010).

ჩვენ მიერ 2010 წელს გამოცემულ ნაშრომში მოცემულია უამრავი მაგალითი ენის დამახინჯებისა, რაც ზღვაში წვეთია. გასაკვირია, ნუთუ ასე სწავლობდნენ ენას ჟურნალისტები აკადემიკოსების: ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურას, გ. ახვლედიანისა და სხვათა მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში მათ მიერ შედგენილი ენის სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით? ან ვინ ასწავლიდათ მშობლიური ენის საკითხებს, ან როგორ მიიღეს სახელმწიფო დიპლომები, როცა პირველი კლასის ენის პროგრამის საკითხებს ვერ ფლობენ, ვერ არჩევენ ვინ და რა ჯგუფის სახელებს ერთმანეთისაგან?

ამ ბოლო ხანებში გამოთქვამენ სიტყვებს: „გააკეთა“, „საკუთარი“, „დაბადებული“, „მაგარი“, „პროცესი“, „გაყიდვაში“, „დაცვის ქვეშ“, „მხედველობის ქვეშ“, „შეცდომაში შეიყვანა“, „დააგემოვნა“, „ქართული“ „ქართველის“ მაგივრად, „გაკეთებადი“, „მაღალი სტუმარი“, „დაკონტაქტება“, „გემური თვისებები“, „თაობა“ და სხვ.

ზემოთ დასახელებულ სიტყვებს, გამოთქმებს უაზროდ, უცნებოდ ხმარობენ ისინი, ვისაც ევალება ენის სიწმინდის დაცვა (ტელე და პრესის ჟურნალისტები, ეთერით გამომსვლელი). მაგალითები:

„საკუთარი ცოლი მოკლა“, „საკუთარი მამა მოკლა“, ცოლსა და მამას არ სჭირდება „საკუთარი“ სიტყვის დართვა. ცოლი და მამა თავისუფლად გამოხატავს საკუთრებას“.

„მანქანა დაბადებულია ამერიკაში“, „გადაიხადეს გუდვილის დაბადების დღე“, მანქანა და მალაზიები არ იბადებიან. „მშობლები არ ჰყავთ. მანქანებს აკეთებენ, მალაზიებს აარსებენ, აშენებენ“.

„მაგრები ვართ“ - „მაგარი ყვავილებია“. მაგრები არ შეიძლება გამოვიყენოთ არც ადამიანებზე, არც ყვავილებზე. ადამიანი შეიძლება იყოს ძლიერი და არა მაგარი. ყვავილი კი – მშვენიერი ან ლამაზი.

„პროცესი“ - „დაიწყო მუშაობის პროცესი“, „დაიწყო სასწავლო პროცესი“, „დაიწყო საგაკვეთილო პროცესი“. პროცესის დაწყება არ შეიძლება. პროცესი ნიშნავს მიმდინარეობას, მიმდინარეობას კი ვერ დაიწყებ. ამიტომ უნდა ვთქვათ: „დაიწყო მუშაობა, დაიწყო სწავლა, დაიწყო გაკვეთილი“. „მუშაობა“, „სწავლა“, და „გაკვეთილი“ ნაზმნარი არსებითი სახელებია.

„გაყიდვაშია“ - რუსულის კალკია, „ნაყინი გვაქვს გაყიდვაში“, „მეორადი ტანსაცმელი გვაქვს გაყიდვაში“. ეს სიტყვა ამ ფორმით საერთოდ არ უნდა ვიხმაროთ, მის მაგივრად უნდა ვთქვათ: „იყიდება“, „ყვიდით“, „გასაყიდა“.

„ქვეშ“: „ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დამნაშავე“, „ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იზრდება“. დამნაშავე ადვოკატის დაცვის ქვეშ არ შეიძლება იყოს, ეს ქართული გამოთქმა არ არის, ქართულად ასე ითქმება: „ჩემი დასაცავი დამნაშავე“, არც ეს გამოთქმა – „ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იზრდება“ – არ ვარგა! სწორია: „ჩემი მეთვალყურეობით იზრდება“.

ასევე ქართული ენისთვის მიუღებელია „შეცდომაში შეყვანა“, შეცდომაში კი არ შეიყვანა ან გამოიყვანა, არამედ „შეაცდინა“.

ქართული ენის გრამატიკა ყველა ქართველს აქვს ნასწავლი პირველი კლასიდან და პირველკლასელები შესანიშნავად არჩევენ ვინ და რა ჯგუფის სახელებს. „ვინ“ კითხვა დაესმის მხოლოდ ადამიანს, „რა“ კი ყველა დანარჩენ სულიერ და უსულო საგანს. პირველკლასელებმა ისიც კარგად იციან, რომ ადამიანის სადაურობის საწარმოებლად გამოიყენება „ელ“ სუფიქსი, სხვა სულიერი და უსულო საგნების საწარმოებლად – ურ (დისიმილაციით – ულ). ამიტომ ვამბობთ: ქართლ–ელ–ი, კახ–ელ–ი, იმერ–ელ–ი, რაჭვ–ელ–ი და ა. შ. ადამიანებზე; სხვა საგნებზე კი ქართლ–ურ–ი, კახ–ურ–ი, აჭარ–ულ–ი და ა. შ.

დღევანდელი ჟურნალისტების უმრავლესობა (ტელე და რადიო), ყველა პარლამენტარი, მთავრობის წევრები და მათი გავლენით, ბევრი ქართველი, დიდ შეურაცხყოფას გვაყენებს, უფრო სწორად გვლანძღავს და გვეძახის „ქართულებს“: „ქართული საზოგადოება“, „ქართული დელეგაცია“ „ქართული ინტელიგენცია“, „ქართული მასმედია“, „ქართული დიასპორა“, „ქართული ჯარი“, „ქართული არმია“ და ა. შ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ქართველები ვართ და არა ქართულები. ქართულები ისინი არიან, ვინც ამ გამოთქმას ხმარობს. დაიმახსოვროს ყველა ქართველმა, რომ, სადაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი იგულისხმება, უნდა ითქვას ქართველი“ (მაძუა, 2011). „ქართველი საზოგადოება“, „ქართველი ინტელიგენცია“, „ქართველი დელეგაცია“, „ქართველთა მხარე“, „აფხაზთა მხარე“ და ა. შ.

გაკეთებადი: „ეს საქმე გაკეთებადია“. ეს გამოთქმა „გაკეთებადი“ უხეიროა. უმჯობესია „გასაკეთებელია“ ან „გაკეთდება“.

„მაღალი სტუმარი“: ეს გამოთქმა პირველად შევარდნადმისგან გავიგონე, როცა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი ჩამობრძანდა თბილისში. სტუმარი შეიძლება მაღალი იყოს ან დაბალი, ან საშუალო სიმაღლისა, ამიტომ სხვა ენების გავლენით ის არ უნდა ვთქვათ, რაც ქართული ენისათვის შეუფერებელია. მაღლის მაგივრად ჩვენ გვაქვს შესანიშნავი სიტყვები – „დიდებული“, „პატივისცემი“ და ესენი უნდა ვიხმაროთ ჩვენთვის სასიამოვნო ადამიანზე.

განათლების პრობლემად მიმაჩნია, რომ პარლამენტარებისთვის დასაწესებელია კონსულტაციები ენის ორთოეპიისა და ორთოგრაფიის შესასწავლად.

2010 წელს ჩვენ ვწერთ: „მთავრობავ და პარლამენტარებო, თქვენ არ გაქვთ იდეოლოგია ქვეყნის მართვისა და ენის სიწმინდის დაცვის შესახებ. ამიტომ იხელმძღვანელებ უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის 2007 წლისა და 2010 წლის საშობაო და სააღდგომო „ეპისტოლეით“ და ეს აგაცდენთ ყოველგვარ უსიამოვნო კრიტიკას. თქვენი მოსავლელია ქართული ენა. თქვენი მეტყველებით და საქმით უნდა შეამკოთ იგი, ამაზე მეტი საზრუნავი არაფერი არ გაქვთ, რადგან სამი რამ შემოგვინახეს ჩვენ წინაპრებმა: „მამული, ენა, დარწმუნოება“. მამული და სარწმუნოება კი ენამ შემოგვინახა და მას „ცოდვილის, მსახვრალის ხელი არ უნდა შეეხოს“ (ილია). ეკლესიებში სიარულით ხალხის პატივისცემას ვერ მოიპოვებთ. გულით უნდა გწამდეთ ღმერთი. მედიის რისხვას დაიმსახურებდით, რომ თვითონ არ იყოთ დამნაშავე ენის წახდენაში. გთხოვთ და გირჩევთ, სათანადო მუხლი შეიტანოთ კონსტიტუციაში ენის სიწმინდის დასაცავად, აღადგინოთ ენის დამცველი ორგანიზაცია და დააწესოთ მკაცრი ჯარიმა სატელევიზიო არხებზე, რადიოკომენტატორებზე, ჟურნალისტებზე, პარლამენტარებსა და ეთერში

გამომსვლელ ხელმძღვანელ პირებზე, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებზე, რომლებიც დახვეწილი ქართულით არ ისაუბრებენ“ (რეხვიაშვილი, ძაძუა; 2010).

ახალი მთავრობის ინიციატივით საკანონმდებლო ორგანოში უკვე დაიწყო მსჯელობა იმაზე, რომ ენის სიწმინდის დასაცავად ამუშავდეს სათანადო მექანიზმები, რაც მისასალმებელია.

დაკონტაქტება – ქართული არ არის, მაგრამ გრამატიკაში ხმარობენ ამ სიტყვას ზმნის ერთ-ერთი კატეგორის აღსანიშნად. გრამატიკულად კონტაქტი ნიშნავს კავშირს, ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს შორის და მისი გამოყენება როგორც მეცნიერული ტერმინი, დასაშვებია, მაგრამ სხვა შემთხვევაში დაუშვებელია. მაგ.: დაუკონტაქტდი, დამეკონტაქტე და სხვ. ეს სიტყვა პირველად სერგი გვარჯალაძისგან გავიგე „რუსთავი-2“-ის საშუალებით (ჯ. ძაძუა).

თაობა – თაობა შეიძლება იყოს განსაკუთრებით ადამიანებისა. გამონაკლის შემთხვევაში სხვა სულიერ საგნებზეც ვხმარობთ: ცხოველებზე, ფრინველებზე, მხეცებზე და სხვა, მაგრამ დაუშვებელია „თაობა“ ვიხმაროთ უსულო საგნებზე: მაგალითად, ტელეფონებზე, ზეთებზე, მანქანებზე და ა.შ. მაგალითად, ტელეფონებზე და მანქანებზე შეიძლება ვთქვათ: პირველი გამოშვება, მეორე, მესამე გამოშვება ან გამოცემა და არა – თაობა.

ზემოთ მოყვანილ სიტყვებსა და გამოთქმებს აკვიატებული სიტყვები და გამოთქმები ჰქვია. ამიტომ ისინი ჩვენი საუბრიდან უნდა ამოვიღოთ.

ერთი და იგივე კაცს თუ ერთი და იმავე კაცს?

იგივე „ვე“ ნაწილაკიანი მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელია სახელობით ბრუნვაში: იგივე კაცი, მაგრამ სხვა ბრუნვებში ენაცვლება იმავე., რომელიც ის ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმა და გვექნება იმავე კაცმა. მიცემითში – იმავე კაცს და ა. შ. იგი ნაცვალსახელი რომ ვაბრუნოთ, მოთხრობითში იქნება – მან. ვე ნაწილაკით კი – მანვე კაცმა. მიცემითში მასვე კაცს, „მაგრამ იგი ნაცვალსახელს ვე ნაწილაკით მხოლოდ სახელობით ბრუნვაში ვხმარობთ; სხვა ბრუნვებში კი ის ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმით იმავე-ს ვიყენებთ და ყველა სხვა ბრუნვაში ამ ფორმით იხმარება“ (რეხვიაშვილი, 1998). წოდებითი ბრუნვა არ გააჩნია.

ჩემს შესახებ, შენს შესახებ, ჩვენს შესახებ, თქვენს შესახებ თუ ჩემ შესახებ, შენ შესახებ, ჩვენ შესახებ, თქვენ შესახებ ?

ცნობილია, რომ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ბრუნვისას ფორმას არ იცვლიან. მაგ.:

სახელობითი – მე შენ ჩვენ თქვენ

მოთხრობითი – მე შენ ჩვენ თქვენ

მიცემითი – მე შენ ჩვენ თქვენ

ნათესაობითი – ჩემ შენ ჩვენ თქვენ

მოქმედებითი –

ვითარებითი –

წოდებითი – შე (შენ) თქვე (თქვენ)

როგორც ვხედავთ, მარტო მე ნაცვალსახელმა იცვალა ფორმა ნათ. ბრუნვაში და მივიღეთ ჩემ. ნათესაობით ბრუნვას ერთვის თანდებულები: გან, კენ, თვის, მიერ, გამო შესახებ, გარდა და სხვ.

ეს თანდებულები პირდაპირ ერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს და გვექნება: ჩვენგან, ჩვენკენ, ჩემ მიერ, ჩემ გამო, ჩემ შესახებ, ჩემ გარდა. შენგან, შენკენ, შენთვის, შენ მიერ, შენ შესახებ; ჩვენგან, ჩვენკენ, თქვენთვის, თქვენ მიერ, თქვენ გამო, თქვენ შესახებ და არა შენს მიერ, ჩემს მიერ, ჩვენს მიერ, ჩვენს შესახებ, თქვენს შესახებ და ა. შ.

კენ თანდებული აღნიშნავს საგნის ან საგნების მიმართულებას, მაგ.: ძროხა სოფლისაკენ მიდის და ძროხები სოფლისაკენ მიდიან.

ძროხები სოფლისაკენ მიდიან, მაგრამ ხომ შეიძლება სოფელში არ შევიდნენ და გვერდი აუარონ.

კენ თანდებულს ჟურნალისტები უწესოდ ხმარობენ სიტყვებთან, განსაკუთრებით საწყისთან ან სახელზმნასთან, ანუ უპირო ზმნასთან, ანუ მოქმედების სახელთან. მაგალითად, შეთანხმება, გამარჯვება, მშვიდობა, დახმარება და მისთ. ამ სიტყვებს ურთავენ „კენ“ თანდებულს და ვიღებთ:

შეთანხმებისაკენ მოუწოდებს, გამარჯვებისაკენ მოუწოდებს, მშვიდობისაკენ მოუწოდებს, დახმარებისაკენ მოუწოდებს.

ამ გამოთქმებში კენ მიზანს ვერ ხვდება ისე, როგორც ძროხები ასცდნენ სოფელს.

ამიტომ უნდა ვთქვათ: შეთანხმებას მოუწოდებს, შეთანხმებას ურჩევს; გამარჯვებას მოუწოდებს, გამარჯვებას ურჩევს; მშვიდობას მოუწოდებს, მშვიდობას ურჩევს; სწავლის დაწყებას მოუწოდებს, სწავლის დაწყებას ურჩევს.

გადაცემა დასასრულს მიუახლოვდა. ასე გამოთქვამენ ტელე-წამყვანები, როცა გადაცემას ამთავრებენ.

დასასრულს მიუახლოვდა დასრულებას არ ნიშნავს, ამიტომ გამოთქმა უაზროა. მის მაგივრად უნდა ითქვას: „გადაცემა დასრულდა“ და ამით უფრო სრულყოფილი იქნება აზრი, ცნება.

ლიტერატურა:

1. მ. რეხვიაშვილი, 2010 – მ. რეხვიაშვილი, ჯ. ძაძუა, დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე. გვ. 19–20. თბილისი.
2. ჯ. ძაძუა, 2011 – ჯ. ძაძუა, მეტყველების კულტურა, გვ. 137. თბილისი.
3. მ. რეხვიაშვილი, 1998 – მ. რეხვიაშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ. 284. თბილისი.

PROTECTING THE GEORGIAN LANGUAGE **Juleta Dzadzua, Sokhumi State University, Assistant Professor** **SUMMARY**

It is obvious that changing the traditional way of taking the entrance exams at the Institutes with so called “National Exams” has not brought any positive results. The first graders do not know the following elementary questions of their native language: How many parts of speech the Georgian grammar contain; with which parts of speech can parts of sentences be expressed; categories of verb (the principal part of speech); the artistic ways of expression; orthography, - literary language in general. Students do not take into consideration the rules of sentence structure; They do not know participial phrases and attributes, agreement in number – as we have already mentioned above. Furthermore – unbelievable but it is the fact that even the text-books are written and published by these kinds of unqualified people having no professional skills.

You had an opportunity to get acquainted with number of bad grammar mistakes, that are only the little part of the whole.

Georgian grammar has been taught at elementary schools and mostly schoolchildren even in the first classes can classify nouns – they know that the interrogative word “who” refers to the human beings only and “what” – to the rest nouns (living or lifeless). “ელ” suffix is used to denote the place of birthplace of a person while “ურ” (in dissimilation “ულ”) to form the other nouns. According to this rule Georgians say: ქართლ–ელ–ი, იმერ–ელ–ი, რაჭუ–ელ–ი and so on, ქართლ–ურ–ი, აჭარ–ულ–ი and so on.

Most parts of our TV and radio journalists, parliamentarians, members of the government torture the language so much that it insults the cultural part of our society and besides (that is the real disaster for our language) their expressions have an influence on ordinary people.

საკაცობრიო ჰუმანიზმის იდეა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა?!“

ნელი ჭამპურიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: nelichampuridze@gmail.com

იაკობ გოგებაშვილმა 150-ზე მეტი საბავშვო ნაწარმოებები შექმნა. ეს ნაწარმოებები გამოირჩევიან მაღალი აღმზრდელობითი პრინციპებით. მისი საბავშვო ნაწარმოებები ათეული წლების მანძილზე დიდ მოწონებასა და აღტაცებას იწვევდნენ როგორც მოზარდებში, ასევე მოზრდილებშიც. სხვადასხვა დროს ცალკე გამოცემის სახით იბეჭდებოდა მოთხრობები: „იავნანამ რა ჰქმნა?!“ (1890), „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ასპინძის ომი“, „თავდადებული ქართველნი“ და სხვა. აღსანიშნავია, რომ „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ერთ-ერთი თხზულებაა, რომელიც მწერლის სიცოცხლეშივე ითარგმნა ფრანგულად.

აკაკი წერეთელს მოთხრობის სიუჟეტი გაუცვნია რუსი მწერლისა და პედაგოგის ალექსი ოსტროგორსკისათვის, რომელსაც ამ მოთხრობის გადათარგმნის სურვილი გამოუთქვამს. „ნებართვა გაცემული იყო და აკაკი ეშურება იაკობის თანხმობას, რათა რუსულ მწერლობაშიც გამოჩნდეს ქეთოს დრამატული თავგადასავალი და მშობლიური მიწის ძახილის განსაკუთრებული ძალა და მაღლი, გამოჩნდეს კავკასიური ერთიანობის რწმენაც დაე აღმფოთდნენ და გამწარდნენ შოვინისტურად

განწყობილი მწერლები თუ პედაგოგები, დაე მთავარ პროტესტადაც აღიქვან ამ მოთხრობის გამოქვეყნება რუსულ გამოცემაში“ (ჩხეიძე, ბურჯი ეროვნებისა, 2007)

ი. გოგებაშვილს, როგორც ერთ-ერთს მეტად თვალსაჩინო მებრძოლს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფრონტზე, ხაზი უნდა გაუსვას, რომ ქართველებსა და მეზობელ ერთა შორის უნდა იყოს კეთილმეზობლური განწყობა. „ძველი დროიდან დაღესტანსა და საქართველოს შორის ტკბილი განწყობილება არსებობდა, დიდი მეგობრობა სუფევდა, ყოველს საქართველოს მტერს დაღესტანი მტრობას უწევდა, ყოველს საქართველოს მეგობარს მოყვრულად ეპყრობოდა და არავის ახსოვდა, რომ ლეკები როდისმე საქართველოს დასცემოდნენ და ჩხუბი აეტეხათ ქართველებისათვის“. საერთო მტერი, რომ აჩვენოს ავტორი ასეთ დამატებას ჩაურთავს: „ლეკები მტრად გაუხდნენ ქართველებს შემდეგში, როდესაც მაჰმადიანობა მიიღეს და საქართველომ მართმადიდებლური რუსეთისაკენ გაიწია. ძველ დროში პატივისცემისა და გულითადი მეგობრობის მეტი ქართველებს ლეკებისაგან არა მოაგონდებათ რა.“ (იაკობის სამრეკლო, 1990)

ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ განსაკუთრებით საგულისხმოა სწორედ ასეთი მიზანმიმართულებით - „ბავშვს (მოქალაქეს) მოყვასი დაანახოს არა მარტო თავისი ეროვნების ადამიანში, არამედ ფართოდ გასწიოს ეს საზღვარი.“ (იაკობის სამრეკლო, 1990) - აღნიშნავს მ. ზანდუკელი. ავტორი ხაზგასმით გადმოგვცემს, რომ ქეთოს სიყვარულმა დაახლოვა ქართველები და ლეკები.

მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა?!“ გადმოცემულია საქართველოს ერთი ნასოფლარის, სოფელ ვაშლოვანის ამბავი, რომელიც ალაზნის ველზეა გაშლილი. როგორც მწერლის ბიოგრაფიიდან ირკვევა, აღნიშნული მოთხრობა დაწერა ქართლის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ კავთისხევში, თავისი უახლოესი მეგობრის, ნიკო ცხვედაძის ოჯახში სტუმრობის დროს. სოფელმა კავთისხევმა მრავალ ქართველ მეცნიერს დაურწია აკვანი, მისმა შთამაგონებელმა ბუნებამ, ისტორიული სიძველეებით სავსე ადგილებმა, ხალხში მიმოფანტულმა უდიდესმა ფოლკლორისტულმა მასალამ მრავალ გამოჩენილ ადამიანს მისცა შთაგონება შემოქმედებითი კვლევა-ძიებისა. კათისხევის ულამაზესმა ბუნებამ, სოფლის ისტორიულმა წარსულმა თუ ამ სოფლის გლეხკაცობასთან საუბარმა სიუჟეტური მასალა მოუშადა მის მეტად გახმაურებულ მოთხრობას „იავნანამ რა ჰქმნა?!“ კავთისხევის ხშირად თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ დაღესტნელი ფეოდალები, ამიტომ მას ხალხში შავსოფელსაც ეძახდნენ. სოფელი ვაშლოვანი, კავთისხევის მსგავსად, ხშირად გამხდარა ლეკთა თარეშის ადგილი. მწერალი მოგვითხრობს კახეთის უმშვენიერეს სოფელ ვაშლოვანში ტკბილად მცხოვრები ცოლ-ქმრის, ზურაბისა და მაგდანის ოჯახის განსაცდელის შესახებ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ჰყავდა ერთადერთი შვილი ქეთო. სიკეთისა და სათნოებასთან ერთად მათ სიმღერის ნიჭიც გააჩნდათ. მაგდანი ქართლიდან ჩამოყვანილი ქალია (როგორც აღვნიშნეთ, იაკობმა მოთხრობა ქართლში ყოფნის დროს დაწერა. სოფელ კავთისხევშია სწორედ ჩაწერილი „იავნანას“ ყველაზე გავრცელებული ტექსტები, განსაკუთრებით გავრცელებული იყო „იავნანა“ ქართლსა და კახეთში). მაგდანს ჰქონდა საოცარი ხმა და მთელ იმ მხარეში განთქმული იყო თავისი მშვენიერი სიმღერით. სამი წლის ქეთოს ძლიერ უყვარდა დედის სიმღერა, ხშირად ამღერებდა და სულგანაბული უგდებდა ყურს. ამ პერიოდში ლეკები თარეშობდნენ, არბევდნენ სოფლებს, წვავდნენ ყანებს და იტაცებდნენ ადამიანებს. ლეკების თარეშმა არ დაინდო ზურაბის ოჯახიც. ლეკებმა გაიტაცეს სამი წლის ქეთო, გამდიდრების წყაროდ გამოიყენეს, ნივთად აქციეს და ფულის შოვნის მიზნით ნაიბს მიჰყიდეს. ლეკებშიც მოიძებნა კეთილი და ვაჟკაცი ადამიანები და სწორედ მათ ხელში ჩავარდა მოტაცებული ქეთო. მდიდარ ნაიბს ლეკებმა მართალი დაუმალეს და უთხრეს, თითქოს ბავშვი ტყეში იპოვნეს. მზრუნველი ადამიანების ხელში სამი წლის ქეთო მალე ივიწყებს წარსულს. ნაიბისა და მისი ცოლის მზრუნველობამ, მათმა უსაზღვრო სიყვარულმა მალე დაავიწყა ქეთოს ყველაფერი წინანდელი.

ავტორი ღრმა ფსიქოლოგიური ალღოთი გვიხსნის სამი წლის ბავშვის სულიერ სამყაროს: „ბავშვი აწმდგომით ცხოვრობს, ის შეუწყვეტლივ, ყოველდღე იზრდება, სულითა და ხორციით წინ მიდის, მატულობს, გრძნობს საკუთარ ზრდას, წინსვლას და ბედნიერია ამ გრძნობით. ის სრული სიხარულით შეჰხარის ცასა და დედამიწას და ადამიანსა. რადგან ბედნიერია აწმდგომით, ბავშვი არ ფიქრობს არც წარსულზე და არც მომავალზე“. (გოგებაშვილი, საგანძური, 1986) მიუხედავად ამისა, მის სულში ხელშეუხებლად, ქვეცნობიერად რჩება რაღაც მარადიული, გენური საწყისი, რაც დედის ცნობასთანაა დაკავშირებული. ყველაზე გვიან დედის სიმღერა დაივიწყა ქეთომ. სულის უხილავ სიღრმეში მიიმალა წარსულის ღრმა კვალი. ასეთი კვალი შეიძლება დაეტოვებინა მხოლოდ მშობლიურს, დედის საშოდან, აკვნიდან, პირველი ცნობიერებიდან მიღებულ შთაბეჭდილებას, რომელიც ხშირად ქვეცნობიერიდან ამოტივტივდება ხოლმე სულის სიღრმეში და თავს შეახსენებს ადამიანს. ქეთო თანდათან ლეკ ქალად გადაიქცა. „ნაიბმა და მისმა ცოლმა ისე შეაყვარა თავი, რომ თანდათან ჩააქრეს მის ხსოვნაში ღვიძლის დედ-მამის სიყვარული, მოგონება და სხვა.“ (გოგებაშვილი, საგანძური, 1986) კვალი ცოდნისა არასოდეს ქრება ადამიანში, დიდი შთაბეჭდილებები მიმალული ნაკვალევის სახით განაგრძობს არსებობას ქეთოს სულში. დაღესტნის ლამაზმა ბუნებამ, რომელიც ძლიერ ჰგავდა ქეთოს მშობლიური სოფლის ბუნებას და

ახალ ოჯახურ გარემოში მზრუნველ ადამიანებთან ყოფნამ გაუადვილა ბავშვს ახალ გარემოებასთან შეგუება. გავიდა ათი წელიწადი. ამ ხნის მანძილზე ქეთოს მშობლებს, რომელთა თვალებს ცრემლი არ შემორობია შვილის დაკარგვის შემდეგ, ცდა არ დაუკლიათ ბავშვის მოსაძებნად და გამოსახსენლად. დიდი ცდის შემდეგ ზურაბი იტაცებს საკუთარ შვილს, რომელიც ბედმა (თუ სამშობლოს უბედობამ) დაღესტნის შვილად აქცია. მშობლებს უხარიათ შვილის დაბრუნება, მაგრამ სიხარული ნაადრევია - ქეთო ვერ შეიცნობს ნამდვილ მშობლებს, მასში ხომ წარსული მივიწყებულია და ღრმად არის მიმალული სულის სიღრმეში. ქეთო იტანჯება და მშობლიურ გარემოს უცხოდ მიიჩნევს. მის მწუხარებას საზღვარი არა აქვს. მასთან ერთად იტანჯებიან მისი მშობლებიც, რომლებმაც ჯერაც არ იციან, რა გზას დაადგინენ. მათ ყველაფერი იღონეს, რათა ქეთოსათვის გაეხსენებინათ საკუთარი მშობლიური კერა. „იავნანა“ ჩვენს სულში აღბეჭდილი ბავშვობაა და მისი ძალისა და ზემოქმედების შესაძლებლობები მართლაც ამოუცნობია. და აი, რა ჰქმნა „იავნანამ“ - მაგდანის მიერ დამღერებულმა ნაწინამ. სევდაჩამდგარი მაგდანი მისდაუნებურად იწყებს „იავნანას გალობას. მისმა სევდიანმა სულმა გალობა მოითხოვა. უფლის ნება იყო მაგდანის მიერ „იავნანის“ თქმა. ყოველი ქრისტიანი უფალს გალობით „გამოიხმობს“, რათა გაიკვალოს მასთან მისასვლელი გზა. გალობით მივეახლებით განწმენდილები და ვთხოვთ „ყურნი მოგვაპყრას“ და ისმინოს „ვედრება ჩვენნი“. „იავნანას“ ჰანგები ტაძარში თქმული გალობაა. გალობით იქნა გამოხმობილი კეთილი ანგელოზი ქეთოს სულში, რომელმაც „მზეებრივი“ ძალით იმოქმედა მის ცნობიერებაზე. „სითხო-სინათლის“ სიმღერა, როგორც ეროვნული გრძნობის ჩანასახი, ამოტივტივდა ქეთოს ცნობიერებაში და ისეთი სიხარული მოუტანა, „რომელსაც ქრისტეს დროს გამოივლიდნენ ხოლმე ისინი, ვისაც მაცხოვარი მომაკვდავს მოურჩენდა, ან მკვდარს აღუდგენდა“ (იავნანამ რა ჰქმნა?!).

საბავშვო სიმღერის ძლიერი გავლენით მოაგონდა ქეთოს ბავშვობა. მოგონებას მოგონება მოყვა. დედის გახსენებასთან ერთად გაიხსენა ქართული ენა. ქეთოს ცნობიერებაში ამოტივტივდა ქართული ენაც, რომელსაც ავტორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. „...ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა ენა ჰხატავს სინამდვილით და სისრულით“. წარსულის შთაბეჭდილებები, რომლითაც დაიწყო პირველი სიტყვების წარმოქმნა და შთაბეჭდილებათა გაცნობიერება, არ გამქრალიყვნენ ბავშვის მეხსიერებაში, ისინი მხოლოდ სულის სიღრმეში ჩაძირულიყვნენ. „ამ ჩასახულობათა დაძვრა და გამოღვიძება შეეძლო მხოლოდ რომელიმე ძლიერსა და ღრმა შთაბეჭდილებას, სწორედ ისე, როგორც მცენარის თესლს ზევით ამოიყვანს ხოლმე გამაცოცხლებელი მზის სითხო-სინათლე. ამასთან მზეებრივი შთაბეჭდილების მოხდენა შესძლო მხოლოდ სამშობლო ხმამ, საბავშვო სიმღერამ „იავნანა“, რომელიც ყველაზე უფრო ღრმად ჰქონდა ქეთოს ძვალსა და რბილში გამჯდარი“. „სამშობლოს ხმამ“, სწორედ დედაენაზე ნამღერმა სიმღერამ მოახდინა სასწაული. მოთხრობის ბოლო ნაწილი „ქეთოს ბედნიერებით“ არის დასათაურებული. ქეთო ბედნიერი გახდა სამშობლოს ხმამ, რომელიც მის სულში თბილმა სიმღერამ - „იავნანამ“ გახსნა.

ღმერთმა ქეთოს განსაცდელი მოუვლინა, რათა უფრო გამოეწროთ მისი მოსიყვარულე გული. დიდი სევდისა და ძლიერი სასიხარულო განცდებით გამოწრთობილი ქეთოს გული კაცთმოყვარეობის წყაროდ გადაიქცა, „გაუქრობელი ლამპარი სიყვარულისა მოყვასისადმი“, როგორც ავტორი უწოდებს. ქეთოს ერთნაირი სიძლიერით უყვარს როგორც ლეკები, ისე ქართველები და სიყვარულმა შვა უფრო დიდი სიყვარული. ქეთო განსაკუთრებით მაშინ არის ბედნიერი, როდესაც ლეკ და ქართველ მშობლებს ერთად ხედავს, ეალერსება და ეტრფის მათ. ქეთოს სულში სიყვარულის დიდმა დუღილმა დაამეგობრა ქართველი და ლეკი ხალხი. სწორედ ამის ჩვენება იყო მწერლის მიზანი, რათა „სამშობლოს ხმის“ სასწაულის ფონზე ეჩვენებინა სრულყოფილი, ადამიანის მოყვარული გული, როგორც წყარო ადამიანთა ბედნიერებისა.

მოთხრობა დიდაქტიკური ხასიათისაა. ავტორი დამრიგებლური ტონით გვაძლევს საკაცობრიო ჰუმანიზმის იდეას. „ღმერთმა თქვენს გულშიაც აღზარდოს, ჩემო ყმაწვილნო მკითხველნო, მოყვასთა ჩაუქრობელი სიყვარული, გაგაძლიოთ მათი სიყვარულით თქვენდამი და ქეთოსავით ბედნიერად გაცოცხლოთ დიდხანს...“

და აი, მაგალითი სიყვარულის განუსაზღვრელი მასშტაბებისა. ქეთოს გული მრავლის სიყვარულს იტევს და იძვის კიდევ. ამაშია სწორედ ქეთოს ბედნიერება. ი. გოგებაშვილს მიაჩნია, რომ ჭეშმარიტი ქართველი ხალხთა მეგობრობისა და ჰუმანიზმის იდეებით უნდა აღიზარდოს. ამ მოთხრობას უდიდესი ეროვნულ-პატრიოტული გრძნობის აღზრდა შეუძლია მოზარდებში.

იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ რელიგიურ-ზნეობრივ პრინციპებზე აგებული უბრწყინვალესი ნაწარმოების, სადაც მძლავრად შერწყმია ხალხის სულში დაბუდებული ეროვნული ძალა საკაცობრიო ჰუმანიზმის იდეას.

ლიტერატურა:

1. როსტომ ჩხეიძე, ბურჯი ეროვნებისა, 2007, გვ. 228-229

2. იაკობის სამრეკლო, 1990, გვ. 118
3. ი. გოგებაშვილი, საგანძური, 1986, გვ. 422, 424

**THE IDEA OF HUMANISM IN THE STORY “IAVNANAM RA HKMA?!” (“THE LULLABY”) BY
IAKOB GOGEBASHVILI**

Neli Champuridze, Gori State Teaching University, Professor

RESUME

The children’s story “The Lullaby” written by Iakob Gogebashvili is an excellent work based on religious - moral principles. In the story the national strength settled in the people’s souls is blended with the idea of universal humanism. Keto has the same feeling of love towards both Avars and Georgians. Keto is especially happy when she sees the Avar and Georgian parents together and when she caresses them. The great love in the child’s soul befriended the Avars and Georgians. The purpose of the writer was to show the perfect, loving heart of the person in the background of the miracle of “the voice of the homeland” as the source of human happiness. Keto’s heart can hold a big love and that is exactly her happiness. Iakob Gogebashvili as the encourager of the National-liberation movement in Georgia wants to emphasize the importance of kind, neighborly atmosphere between Georgia and its neighboring countries. In his publications Iakob Gogebashvili often referred to the issues of Caucasian unity and the writer fighting for the country’s independence, with the purpose of establishing of humanist consciousness, created excellent stories for children.

E-mail: natela.sveta@gmail.com

E-mail: xabalaevi.tea@mail.ru

()

« »

(, 1990)

— :
—
—

« » — « » , « »
« »
« »
« »
« »

« »

».

—

:

— — !—

« », « », (—)
:

!— !

« », « » « » — « ».
« » « » : « », « » (« »),
« » « »

« »).

- « -», :
-
- :
- ,
- ;
-
- ,
- :
- ,
- (,),
- ,
- :
1. « » (« », « », « »), — , 1972.
 2. — ., 1954. . 89
 3. « », 1990 .1 (. 109, 321, 153, 243, 122, 281, 282, 103, 132, 177, 312, 286, 143, 166, 289).
 4. :
— - , 1964.

THE LEXICAL TRANSFORMATION OF PHRASEOLOGY IN MARINA TSVETAEVAS' POETRY

Natela Khinchagashvili, Gori State Teaching University, Professor
Tea Khabalaevi, Teacher of Gori State Teaching University, Specialist by contract

SUMMARY

In the given article the lexical transformation of phrases has been searched in the poetry of Marina Tsvetaeva. In the article the main kinds of authoritl interpretation and their exclusiveness of using have been isolated. The methods of treatment of phraseology units have also been analyzed. The authors have picked out and analyzed the methods and different ways of the transformation of the constant combination of the words in Marina Tsvetaeva's poetry. They are: The broadening of the phraseological lexical staff; The changing of one component of phraseological units with the common linguistic or contextual synonym; The synchronous changing of the phraseological word component with the broadening of its staff.

" (4. , 1968)

?

" (1922 .) (5. , 1968):

" () .

! "

« ...»1836) (6.А. С. Пушкин, 1977)

?

(« ») (7. , 1998)

« ...».

...

...

(8. , 1998)

... : « ... ».

« ... » (9. ,1998)

« ... » : «...»

(, ...)

(10. . . ,1989)

()

« ... » « ... »

« ... ? »

...» (11. . . ,1960)

« ... ; ... »

(12. . . ,1960)

1. . . . 30 , .5, .326;
2. . . . / . . . : « ... »,1908. .1 .292.;
3. . . . XX : / . . . : ,1988. .712.;
4. . . . " , . . , 1968 .1, .26;
5. . . . 111;
6. 1998 .157; . .3, .103;
7. . . . 1998 .157;
8. . . . 192;

9. . 254;
10. . . . 1989 . 78;
11. . . . 1960, . 3 . 180;
12. . . 2 . 228

THE MODELS OF REALISING DEATH IN THE RUSSIAN LITERATURE

Elene Khirseli, I. Javakhishvili Tbilisi State University, PhD Student

RESUME

Philosophy central type is “Death.” The “Death” transfer into the aesthetic category, it’s examine as an aesthetic value is addressed introduction the traditional-negative dependence, to overcome the subconscious own fear.

At the philosophy opinion of life is Beauty. Death and Beauty (Prettiness) are identity for aesthetic standpoint, are connected and dependence.

Concept of Beauty is prime proportion to time. Or as less time has Beauty, as fast it disappears, as strong it is, sense of beauty, as more is aesthetic. Poet is interesting in Death as unrepeatable with its beauty and great, second as main condition, criterion of Beauty.

So we go to the decision that the opinion of life at Esenin’s philosophy is in Death. Death is the top of the aesthetic category. So opinion of life is in the aesthetic. Death, in itself is beautiful, but Live is beautiful, because there is Death at it.

პოსტმოდერნისტული ტენდენციები რომანში „სულეთის კიდობანი“

გიორგი ხორბალაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი
E-mail: g.khorbaladze@gmail.com

რომანი „სულეთის კიდობანი“ ორიგინალური ნაწარმოებია გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ნაწარმოები ცალსახად პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობას მიეკუთვნება, თუმცა შეიძლება ვიმსჯელოთ აღნიშნულ რომანში გამოკვეთილი პოსტმოდერნისტული ტენდენციების შესახებ.

„სულეთის კიდობანი“ ასახულია მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის მოვლენები, გლობალიზაციის, მასონობის საფრთხე, რაც, უპირველესად, მცირე ერებს უქადის გადაშენებას.

წიგნში ორი ზესახელმწიფოს, ჩრდილოეთის და დასავლეთის ალტერნატივაა, ჩვენს თავზე ბედისწერის მიერ ისევ დაკიდებული დამოკლეს მახვილის სამიშროება ილანდება.

„გადაურჩება თუ არა ეპოქის უღმობელ ქართველებს ჩვენი პატარა ქვეყანა, რას უმზადებს მას მომავალი, სად, რაში, როგორ ვიპოვოთ გადარჩენის გზა? ჩვენი სამშობლოს ყოფნა - არყოფნის ეს მარად აქტუალური კითხვა აფორიაქებს ყოველ ნამდვილ ქართველს და სწორედ ამ სატკივარს უღრმავდება წიგნის ავტორი“ (სორდია, 2012: 122).

შინაარსობრივად, გარკვეული ალეგორიებისა და მინიშნებების საშუალებით, რომანი ზედმიწევნით ზუსტად მიმოიხილავს და მთელი სიმწვავეთ აკრიტიკებს აღნიშნული პერიოდის საქართველოში განვითარებულ მოვლენებს: ეროვნული ხელისუფლების დამხობა, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვა, ეკონომიკური დაცემა, ინტელექტუალური და ზნეობრივი კრიზისი, ეროვნული გრძობის დაქვეითება და ის ძარცვა-რბევა, რაც ქვეყანამ გადაიტანა.

გზა, რომელზეც ადრე ვახტანგ გორგასალი დადიოდა თავისი ჯარით, დადიოდა თამარ მეფე, მეფე ერეკლე და რომლითაც კეტავდნენ დარიალის კარს, 90-იან წლებში ყველა ჯურის დამნაშავეთა და მომხდურთა სათარეოდ გადაქცეულა და თუ არა „დარდების შემგროვებელმა“ გოდერძი ჩოხელმა, მაშ ვინ უნდა შეახსენოს ხალხს ის ამბავი, რომ „მუზეუმში“ იმდენი უცხო წარმოშობის „ნივთია“, რომ ერთ მშვენიერ დღეს ადგებიან და წავლენ. მათ ქართველებიც მიყვებიან, მოვა დედა-ღვთისმშობელი ამ სიჩუმე-სიცარიელეში, მოიდრეკს მუხლს და ატირდება, რადგან სატანამ, მწყემსად მოვლენილმა, გაანადგურა ქვეყანა: „სიმულაკრისა და სიმულაციის ერაში აღარ არის ღმერთი, საკუთარი თავის გასაცხადებლად, არც უკანასკნელი სამსჯავრო, განყოფად ჭეშმარიტისა ყალბისაგან, ნამდვილისა მისი ხელოვნური აღდგინებისაგან, რადგან ყველაფერი უკვე მკვდარია და წინასწარ აღდგენილი“ (ბოდრიარი

1994: 6). თუმცა, რომანის ფინალი იმედიანია და მიგვანიშნებს, რომ სატანას მიეზღვება ის, რისი ღირსიც არის, საქართველო კი მარადიულად იქნება ის აყვავებული ზეთისხილის რტო, რომელზეც მტრედმა ახალი ცა და ახალი დედამიწა ახარა ქვეყნის მეუფეს.

გოდერძი ჩოხელი კარგად ხედავს - ჩრჩილები შესევნიან საქართველოს ფარდაგს, ვახტანგ მეფის ნახევარი ანდერძი უკვე შეუჭამიათ და აღარ იცის რა იღონოს ამ ჩრჩილების მოსასპობად, ვერც სახლში წავა და მშვიდად დაიძინებს და ვერც ხელისუფლებას უმღერებს დითარამბებს, ქართველ ხალხს კი ყოველთვის განუმტკიცებს იმის რწმენას, რომ ეს ღვარცოფი გადაივლის, მზე ამოანათებს, აელვარდება პირიმზის ეკლესია და ეკლესიის ეზოში დაფენილი, წვიმით გარეცხილი ხალიჩა, რომელზედაც საქართველოა ამოქარგული, ცისარტყელიდან ჩამომდგარი შუქით უცნაურად გაბრწყინდება.

ნაწარმოების შინაარსობრივი მხარე თავისთავად მეტად საინტერესო, აქტუალური და პრობლემატურია. თუმცა ამჯერად, ჩვენი ნაშრომი უფროოდენ გამოხატვის ფორმაზე იქნება კონცენტრირებული, ვინაიდან, როგორც როლან ბარტი აღნიშნავს, პოსტმოდერნიზმისათვის „მნიშვნელობა პირობა კი არა, პროცესუალური ფენომენია. „მნიშვნელობის მიღმა ყოველთვის ვგულისხმობდი აზრის გამომუშავების პროცესს და არა თვით აზრს“ (კვაჭანტირაძე, 2008: 109).

სებას ამბის პარალელურად ვითარდება მუზეუმის ექსპონატთა თანაცხოვრების ისტორია, ასევე საინტერესოდ, ერთგვარი კოლაჟით, შემოდის რომანში თითოეული ექსპონატის თავგადასავალი და მოზაიკურად იკავებს მისთვის უზუსტესად განსაზღვრულ ადგილს: „პლურალობისა და ცვალებადობის გამო, ფაქტობრივად, არც განისაზღვრება პოსტმოდერნიზმის ერთიანი ესთეტიკური, სტილურ-პოეტიკური სისტემა და ამ მოვლენის ფარგლებში მოექცევიან ისეთი ურთიერთგანსხვავებული ტექსტები, რომელთაც არ აერთიანებთ რაიმე მსოფლმხედველობრივი ან ესთეტიკური პრინციპები“ (წიფურია, 2008: 280), თუმცა, ტექსტური კოლაჟის ყველა ნაწილი, მიუხედავად მისი დამოუკიდებელი შინაარსისა, საბოლოოდ დაიყვანება ერთ ძირითად შემთხვევამდე და ქმნის რომანის საინტერესო სამყაროსა და ფაბულას. „პოსტმოდერნულ და პოსტმეტაფიზიკურ კონტექსტში თამაშის ცნება ჩაენაცვლება მეტაფიზიკურ მისწრაფებას, დააფუძნოს საგნები პრინციპებზე, მოახდინოს მოვლენათა სტაბილიზება დადგენილი მნიშვნელობისაკენ ჰერმენევტიკული გადმონაცვლებით და, საბოლოოდ, დაიყვანოს ფენომენის (გრძნობადი მოვლენის) მრავალგვარობა და მრავალრიცხოვანება ერთ შემთხვევამდე, რომელიც ყველა მათგანისთვის საერთოა“ (კიუჩერი, 1994: 1).

უნიკალურია, „სულეთის კიდობანის“ პერსონაჟთა სამყარო. უსულო საგნები მარტობაში ადამიანურ თვისებებს იძენენ და ემსგავსებიან არა მხოლოდ ზოგადად ადამიანებს, არამედ, კონკრეტულ თანამედროვე ჩინოვნიკებს, რაც იმდენად გონებამახვილურად არის დანახული ავტორის მიერ, რომ განსაკუთრებული მონდომების გარეშე ჩნდება შესაბამისი ასოციაციები: „ორთითა და ფიწალი თავზე დაადგნენ სებას და სთხოვეს:

-თუ გინდა მუზეუმი მუზეუმს დაემსგავსოს, რუსების ბასტიონის ჩრდილო კედელზე რო მელიას ფიტული ჰკიდია, ის ფიტული უნდა მოიტანო, თუ არა და სუ არეულობა იქნება შენ მოწყობილ მუზეუმში.“

„-მეგობრებო! მე მოხარული ვარ, რომ დიდი ხნის განშორების შემდეგ ისევ თქვენს შორის მიწევს თანაცხოვრება. ჩემს ადამიანობას, ჩემს სინდისს ვფიცავ, რომ ცოდნასა და ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა თქვენი ნდობა გავამართლო: პირობას გაძლევთ, რომ ერთი ექსპონატი არ დააკლდება ამ მუზეუმს და ერთ გოჯს ვერ მოაჭამენ ამ ფარდაგს ჩრჩილები.

-ძირს მოღალატე!

ძირს სატანა!- დაიძახეს ზოგიერთმა ნივთებმა აქეთ-იქიდან. მელიის ფიტულმა ვითომც ვერ გაიგონა, მშვიდად განაგრძო“ (ჩოხელი, 2010: 94) თითქოს საქართველოს უახლეს ისტორიულ მონაკვეთზე საუბრობდეს ავტორი, თითქოს არც არავითარი შენიღბულობა არ გააჩნია ამ ტექსტს; იმდენად ცოცხალი სურათია დახატული, რომ საკითხავი აღარაფერი რჩება. საინტერესოა, რომ მუზეუმის ექსპონატთა პარტიას, რომელსაც პრეზიდენტი მელია უდგას სათავეში, „მუზეუმელთა კავშირი“ ჰქვია, რაც ინტონაციურად, მარცვალთა რაოდენობითა თუ ბგერათა ასოციაციით აშკარა მინიშნებას წარმოადგენს „მოქალაქეთა კავშირთან“. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი ერთგვარი ინტერტექსტის სახეობად მიგვაჩნია, რადგან სიტუაციის სრულად აღსაქმელად სხვა ამბის ცოდნა საჭირო, იმისა, რასაც ამ რომანში აღარ ყველა ავტორი.

საინტერესოა ისიც, რომ როგორც პოსტმოდერნიზმისთვის თამაშის ცნება ერთგვარი მახასიათებელია, რომანის მთავარი პერსონაჟი სებაც, სწორედაც, რომ გარკვეული თამაშის პრინციპით მოქმედებს; მან იმთავითვე იცის, მის მუზეუმს დამთვალეირებელი არ ეყოლება და, მაინც, ერთგვარი აზარტით ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად ააგოს მუზეუმი: „ფაქტობრივად პოსტმოდერნულობის განმსაზღვრელ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ, უწინარესად, ავტორის გარკვეული პოზიცია რეალობისადმი, რეპრეზენტაციისადმი, შემცენებითი ან ესთეტიკური ტრადიციისადმი, მის წინაშე

არსებული სისტემებისადმი.“ (წიფურია, 2008: 280) უნდა აღინიშნოს, რომ სებას მოქმედება თამაშის პრინციპთან ერთად, სწორედ ავტორის მიერ პოსტმოდამ ნიშნების გამოყენებაზე მიგვანიშნებს.

სება საქართველოს რუკის ფორმის მქონე ხალიჩაზე ისე ანაწილებს ექსპონატებს, როგორც მოჭადრაკე საჭადრაკო დაფაზე - ფიგურებს. ბელა წიფურიას მოსაზრებით, პოსტმოდერნისტულ ეპოქაში „თამაში ხდება ერთადერთი პირობა, რომლითაც ადამიანმა შეიძლება დაადგინოს თავისი მიმართების წესები ერთი მხრივ გარესამყაროსთან, მეორე მხრივ კი - საკუთარ საქმიანობასთან. ქაოტური და ზედაპირულად ორგანიზებული გარესამყარო მისთვის მისაღები ხდება იმდენად, რამდენადაც საკუთარ თავს გაიაზრებს არსებად, რომელიც ჩაბმულია თამაშში გარემოცულობებთან“ (წიფურია, 2008: 286) სებას განაწილების შემდეგ კი ამ ერთგვარი თამაშის ძირითადი ნაწილი იწყება, სადაც გუდამაყრის მუზეუმის ექსპონატები ინდივიდუალური მოთამაშეები ხდებიან და მართლაც საჭადრაკო ფიგურებივით იბრძვიან გადარჩენისა თუ გამარჯვებისთვის. ამ თამაშში, თანდათან თამაშის წესების არ არსებობა იკვეთება და ძალაუფლებასა და პატივმოყვარეობაზე დამყარებული ადამიანური თვისებები იკავებს წარმართველ პოზიციებს, ჭადრაკიდან სწრაფად გადადის სიტუაცია წესების გარეშე ბრძოლის არენაზე და ქაოსის სურათიც იკვეთება, რაც, ასევე პოსტმოდერნიზმისთვის ნიშანდობლივი ელემენტია. „ერთობიდან მთვარის შუქზე შემოდის და ამ მკრთალ შუქზე ჩანდა, თუ როგორ მიიწვედნენ აღმოსავლეთის კედლისაკენ სამუზეუმო ნივთები. აღარც კი ეტყობოდა ფარდაზე ამოქარგული საქართველოს რუკა, ბარიდან და ნიჩბიდან დაწყებული, ყველაფერი ზედ იყო ახოხილი. იყო ერთი გაუთავებელი ღრინცელი და ლანძღვა-გინება. ექსპონატები ადამიანის ხმაზე ლანძღვდნენ ერთიმეორეს.

ამის დანახვაზე, ისე შეეშინდა სებას, ტახტის კუთხეში მიიყუჯა და აღარ იცოდა, რა ექნა.

-მოიცათ, მოიცათ, რა დაგემართათ?! ყველანი რო ამ ფარდაზე ჩამოვეკიდოთ, ვერ გაგვიძლებს, ჩამოწყდება, - ხმამაღლა იძახდა ფარი და იერიშით წამოსულ ნივთებს იგერიებდა“ (ჩოხელი, 2010 : 89).

რომანი „სულეთის კიდობანი“ მდიდარი ირონიით გამოირჩევა. რეალურისა და ირეალურის ურთიერთმონაცვლეობით, თითქოსდა ჩვეულებრივი ამბების სახით, ნაწარმოებში არაერთგზის არის შემოტანილი მწვავე ირონია, რომელსაც უდავოდ ატყვია უნიჭიერესი მწერლის ხელი. მაგალითისათვის, ზარფუმის თაობაზე, სადგისის მიერ მელიასადმი მიწერილი მოხსენებითი ბარათიც სრულიად საკმარისად მიგვაჩნია: „მოგახსენებთ: ზარფუმი არის ის საგანი, რომელიც ეხურება საარაყე ქვაბს და იქ დატრიალებული ორთქლი ზარფუმის მილიდან გამოდის. იმ მილს ცივ წყალს ასხამენ და მილის ბოლოს პატრუქია დატანებული, საიდანაც არაყი ჩამოდის. ბევრ შემას შეუკეთებ საარაყე ქვაბს, შიგნით მეტი ორთქლი დატრიალდება და მილიდანაც მეტი არაყი გამოიხდება. თუ უფრო მეტ შემას შეუკეთებ, ქვაბში უფრო წამოდულდება საარაყე მასალა და შეიძლება ისე მოხდეს, რომ არაყის მაგიერ მთხლე გამოვიდეს მილიდან. მოკლედ, ზარფუშუბა დამოკიდებული ორთქლის გამოშვება“ (ჩოხელი, 2010: 154). ხომ უმტკივნეულო და რეალური ამბავია მოთხრობილი ზარფუმის შესახებ და არც წააგავს ეს ამბავი ირონიას, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ზარფუმი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურაა და ადამიანური თვისებების კონტექსტში უნდა გავიაზროთ ზარფუმის, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის ერთადერთი და უალტერნატივო კანდიდატურის თვისებები, მაშინ ფრიად საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალება გვეძლევა: უსულო საგნების თვისებები, წარმოუდგენლად ზუსტად არის მორგებული ადამიანებზე და რომანში აღწერილი პერიოდის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ზარფუმის ზოგადი თვისებების მორგების საშუალებით, დახასიათებულია მარტივად და კონკრეტულად: თუ ზარფუმის (ქვეყნის) შიგნით სწორი პროცესები განვითარდება, მისი მილიდან არაყი გადმოვა, თუ არასწორი - მთხლე! მაგრამ, მაინც, მასზეა ორთქლის გამოშვება დამოკიდებული.

ავტორის უდიდესი ნიჭიერების ნაყოფია ისიც, რომ, მიუხედავად ნაწარმოებში განვითარებული სიტუაციების კონკრეტულობისა, რომანი მასში მიმოხილულ პრობლემატიკას განიხილავს ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში და სწორედ ამ ფონზე უჩვენებს პრობლემატიკის სირთულესა და მნიშვნელობას. „ეგეთია ეს ცხოვრება! -ჩაილაპარაკა სებამ.

- როგორი, მამავ? - შეეკითხა უცებ მის გვერდით მჯდარი პატარა ბიჭი.

სებამ შვილს შეხედა.

- როგორია, მამავ? -ისევ ჰკითხა შვილმა.

- როგორი და ეგეთი, -უფრო თავისთვის თქვა სებამ და ცოტა დუმილის მერე დააყოლა:

- ისე იწყება, შენ არავინ გეკითხება და ისე მთავრდება, არც მაშინ გეკითხება ვინმე რამეს“ (ჩოხელი,

2010: 77).

თითქოს სხვათაშორის გასროლილი სადგისის შეკითხვა კი, „იქნებ არ გჭირდება სიყვარული?“ (ჩოხელი, 2010: 115). ავტორის მიერ ჩამოკრული უმთავრესი განგაშის ზარია სინამდვილეში, რომელიც კაცობრიობას უღმერთობისაკენ მიმავალ გზაზე უკანდახევისაკენ მოუწოდებს.

ლიტერატურა:

1. სორდია ლ., „რწმენისა და სამშობლოს მომავლის გადარჩენის პრობლემა გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანის“ მიხედვით“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი 2012 წ.
2. Baudrillard J., Simulakra and Simulation. Trans. by Faria Glaser. Ann Arbor: The University of Michigan Press, 1994.
3. კვაჭანტირაძე მ., „ენის სემიოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიისათვის“, ლიტერატურის თეორია, „XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2008.
4. წიფურია ბ., „პოსტმოდერნიზმი“. ლიტერატურის თეორია, „XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2008.
5. Kuchler T. Postmodern Gaming // Heidegger, Duchamp, Derrida. New York: Peter Lang, 1994.
6. ჩოხელი გ., თბზ., ტ. III, თბ., 2010.

**POST MODERN TENDENCIES IN THE NOVEL
“THE ARK OF SPIRITS” (“SULETIS KIDOBANI”)
Giorgi Khorbaladze, Gori State Teaching University, Assistant Professor
RESUME**

A novel “The ark of Spirits” is an original work in Goderdzi Chokheli’s creations, which is discussed in the context of postmodern tendencies within the frames of this work. Of course, we do not claim that the work belongs to post modern trend, though we consider interesting to discuss those postmodern tendencies shown in this novel.

In “The Ark of Spirits” late XX century events are shown, like globalization, freemasonry, which firstly threatens extinction of small nations.

There is an alternative of two mega states and Damocles sword is above us endangering our fate again.

Within the context, with the means of certain allegories and hints Georgian events of that period are overviewed and severely criticized. These events include overthrowing the national government, the loss of Abkhazia and Samachablo, the economic decline, intellectual and moral crisis, falling national senses and those robbery and raids the country has suffered.

**ენობრივი მსოფლხედვა, როგორც ერის არსებობის და მთლიანობის განმსაზღვრელი
ფაქტორი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის
შემოქმედებაში**

ელენე ხოჯევანიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: ekhojevanishvili@gmail.com

მრავალმხრივია უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის - ილია მეორის შემოქმედება. მისი ეპისტოლეები, სიტყვანი და ქადაგებანი, ერთის მხრივ, სხვადასხვა დროის მეცნიერულ კვლევებზე, ხოლო მეორეს მხრივ საკუთარი დაკვირვებების შედეგებზე დამყარებული, უდიდესი რუდუნებითაა შექმნილი და ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს.

ცნობილია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულის გაუქმების შემდგომ (1811 წ.) რუსეთის იმპერიამ ქართული ეკლესიის მიზანმიმართულ განადგურებასთან ერთად იერიში ქართულ ენაზეც მიიტანა, დაიწყო მისი განდევნა სკოლებიდან, ეკლესიიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან და მშობლიური ენა დავიწყებას ეძლეოდა. საბედნიეროდ, როგორც ერში, ისე ბერში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ქართული ენის დაცვა უპირველეს საზრუნავად მიიჩნიეს! მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება უნდა გავიხსენოთ, რომელმაც მამულის, ერის, სარწმუნოების და ენის გადარჩენის მთელი პროგრამა შექმნა. სწორედ ამ იდეალებს ემსახურება,

ურთულესი და უმძიმესი წლების მანძილზე, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომელსაც მოხდენილად უწოდეს მეორე ილია.

ზუსტად 35 წლის წინათ, 1978 წლის აპრილში, როცა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში ამოღებულ იქნა მუხლი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკაში **ქართული ენის** სახელმწიფოებრივ სტატუსს აკანონებდა, მშობლიური ენის დასაცავად გამოსული ადამიანების მოკავშირე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იყო.

საბჭოთა იმპერიის უკან დახევა და **ქართული ენის** სახელმწიფო ენად დაკანონება ქართველი ხალხის უდიდესი გამარჯვება იყო, მაგრამ სიონის საპატრიარქო ტაძრისკენ დაძრულ დემონსტრანტებს იგი რომ ცეცხლის ალში გახვეული დახვდათ, ეს პასუხი იყო იმ მხარდაჭერისთვის, რასაც ეკლესია ქართველ ხალხს უცხადებდა. „როცა ვხედავთ ჩვენს წარსულს, გვაოცებს, თუ ამდენ წინააღმდეგობაში ვით შეინარჩუნა ქართველმა ხალხმა თავისი **ენა...** როგორ არ მოისპო, ვით გაუძლო ჟამთა ჭიდილს“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1997, წიგნი I, გვ. 343).

„ჩვენი ერი ჯვარცმული ერია“, „ჩვენ ვართ იმ მიწა-წყლის შვილები,... სადაც დაინთხა სისხლი მრავალი ათასი მოწამის, რომელთაც თავისი სიცოცხლის ფასად დღემდე შემოგვინახეს ჩვენი **ენა** და რწმენა“. და „მტერმა ვერ წაგვართვა ნიჭი, ვერ წაგვართვა ჩვენი **ქართული ენა**“ წერს ილია მეორე. (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1997, წიგნი II გვ. 25-27). უწმინდესს ყველა მამულიშვილის უპირველეს მოვალეობად ესახება სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა და ცხოვრების ყველა სფეროს გაუმჯობესებაზე ძალისხმევა, ხოლო მათ შორის უპირველესი ზრუნვის საგნად **ქართულ ენას** მიიჩნევს, როგორც ერის სულის ყველაზე ნათელ გამოხატულებას, რადგან როცა ენა თავის ბუნებრივ სახეს კარგავს, უსულო სხეულს ემსგავსება ერი. სულიერი აზრით სწორედ ერი იგულისხმება ენაში ვ. ჰუმბოლტის ლინგვისტური კულტუროლოგიის ფუნდამენტური პრინციპის თანახმად. ამიტომაც სჭირდება მას სასოებით დაცვა და მოფრთხილება. „ვინ წარმოშვა **ქართული ენა?** ქართველმა ერმა წარმოშვა იგი თუ **ქართულმა ენამ** წარმოშვა ქართველი ერი?“ სვამს კითხვას უწმინდესი და თავადვე პასუხობს: „მათი შობა ერთად მოხდა, წარმოიშვა **ქართული ენა** და წარმოიშვა ქართველი ერი“. (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1997, წიგნი I, გვ. 343) და ორივე მათგანი, უწმინდესის ღრმა რწმენით, პრეისტორიული ხანიდან იღებს სათავეს.

„ღრმა უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელია **ენა ქართული**, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისეთივე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო... გაზაფხულზე აყვავებული პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად ამოსული მზის ცხოველმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი, სიტყვა მისი მჭრელია, ვით დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია როგორც სვეტიცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი“. (<http://www.orthodoxy.ge>) ასეთი სიყვარულით ახასიათებს უწმინდესი **ქართულ ენას**. მისი ზრუნვის საგანი მუდამ იყვნენ უცხოეთში მცხოვრები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით გადახვეწილი ქართველები და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერები რომელთაც ასე მიმართავს: „ნუ დაივიწყებთ, ვინა ხართ, გახსოვდეთ ღვთისგან დალოცვილი **ქართული ენა** და საუკუნეთა მანძილზე ნაკურთხი ქართული ტრადიციები“. სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობისას კი ამ სიტყვებით მიმართა მრევლს: „საქართველო იქაა, სადაც ღმერთს **ქართულ ენაზე** ადიდებენ“-ო (ჟ. „ჯვარი ვაზისა“, 1988. №4, გვ. 40).

პატრიარქი ისეთივე სიყვარულით საუბრობს ქართულ ლიტერატურაზე, როგორც **ენაზე**. არის ღირებულებანი, რომელნიც ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში საუკუნეობით იქმნება და ყალიბდება და რომელთა დაკარგვაც დანაშაულია. ასეთად მიაჩნია მას ჩვენი **ენა** და მწერლობა - იდუმალებით სავსე და დიდებული. „ჩვენი მხნე, სიცოცხლისა და თავისუფლების წყურვილით აღვსილი ხალხი საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა ჩვენს დიდებულ, უნიკალურ **ენას**“, ამ **ენაზე** შეიქმნა ჩვენი უძველესი მწერლობა, ამ **ენაზე** დაიწერა „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“, მთელ მსოფლიოში უსაჩინოესი „ვეფხისტყაოსანი“ და ბევრი სხვა. ამ **ენაზე** მეტყველებდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიები, ეს **ენა** ჟღერდა სინას მთაზე, წმ. ათონზე და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში“. (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1997, წიგნი II, გვ.183-185).

უწმინდესის აზრით ქართველმა ხალხმა ღვთისგან მონიჭებული შემოქმედების გენიის წყალობით შექმნა **ქართული ენა**, დამწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო მთავარი წყარო, საიდანაც ქართველები იღებდნენ სულიერ ძალებს - უძველესი და მადლიანი **ქართული ენაა**, რომელზეც შეიქმნა საოცრად მდიდარი ლიტერატურა და რომელიც „იყო, არის და იქნება ერის წინამძღოლი“ (ჟ. „მნათობი“, 2006, №1,2,3. გვ. 157). ამიტომაც მოგვიწოდებს ყოველ ჩვენგანს დავიცვათ და შევინახოთ ჩვენი ეროვნული ფასეულობები, ჩვენი **ენა**, კულტურა და ყველაფერი ის, რასაც საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ჩვენი წინაპრები, თავად მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში არ შეუწყვეტია ამაზე

ზრუნვა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი აღსაყდრების დროს თითქმის არ არსებობდა ქართულენოვანი სასულიერო წიგნები, ჟურნალები და გაზეთები. უდიდესი მნიშვნელობის იყო ფაქტი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თანამედროვე ქართულ ენაზე ბიბლიის სრული ტექსტის გამოცემისა. მისივე დაარსებული საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის დაფინანსებით მოხდა ქართული ჟურნალების „ცისკრის“, „მნათობის“, „ლიტერატურა და ხელოვნების“ აღდგენა და გამოცემა და XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული უძველესი ქართული ხელნაწერი ძეგლის - ანჩის სახარების (ოთხთავის) რესტავრაცია. ასევე პატრიარქი იყო ინიციატორი 1995 წელს ქართული ენის და ლიტერატურის კვლევა-განვითარებისათვის გელათის მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისა, რომლის მიერ გამოცემულ ყოველთვიურ ჟურნალში არაერთი ღირებული გამოკვლევა დაიბეჭდა ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელოვან პრობლემებზე. პატრიარქმა ბევრ საზღვარგარეთ არსებულ ქართულ მონასტრებთან მოახერხა კავშირის აღდგენა. ალბათ, ყოველივე ამის გამო მიიჩნევეს გურამ დოჩანაშვილი პატრიარქის დამსახურებად იმას, რომ დღეს ჩვენ ქართულად ვლაპარაკობთ.

ილია II წერს, რომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში შეუცვნიათ მთელი სიღრმით ჩვენს დიდ წინაპრებს მშობლიური ენის სილამაზე, საღვთისმეტყველო ბუნება და რელიგიური ძალისხმევა და არა ერთი ლექსი თუ საგალობელი უძღვნიათ მის შესამკობად. თავის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში უწმინდესი არაერთგზის მოიხსენიებს და იმოწმებს იოანე ზოსიმეს. პატრიარქი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ იოანე ზოსიმე არ არის ის ადამიანი, რომელსაც გამოუცხადა უფალმა, რომ „სახარებასა შინა ქართულსა ენასა ლარზე ჰქვიან“, არამედ იგი არის მხოლოდ გადამწერი, ვისი ხელნაწერთაც მოაღწია ამ საოცარმა სიტყვებმა ჩვენამდე. ილია II საიდუმლოებით მოცული ამ სიტყვების ამოხსნის გასაღებად გვამღვეს და ფრაზას: „ხოლო ენასა ამას შინა ყოველი საიდუმლო დამარხულ არს“ ასე განმარტავს: „აქ არ იგულისხმება ენა, როგორც მხოლოდ მეტყველების საშუალება, არამედ უპირველეს ყოვლისა, ერის მსოფლმხედველობის გამოვლინება, რომელიც თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად, არის ერთი და ერთიანი“. (ქ. „ქაროზი“. 2011 №1. სააღდგომო ეპისტოლე).

პატრიარქი ბრძანებს, რომ ქართული ენა, მართლაც არის „შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა“, მაგრამ მტრების მიერ, იგი დამდაბლებული და დაწუნებულია. ნათელია მაცხოვრის მიერ ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების აზრიც: ღვთის ნებით, ქართული ენის მკვდრეთით აღდგენილ წმინდა ლაზარესთან სიმბოლური გაიგივება, მის საღვთო ბუნებას წარმოაჩენს, ხოლო ჭირისუფლად შერაცხული ქართველი ერი ვალდებულია დღენიდაგ უფრთხილდებოდეს, ზრუნავდეს მისთვის.

ილია II ყურადღებას მიაპყრობს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებულ ტომთა ხელოვნურ გაერთიანებად. სწორედ საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული ეს შორსგამიზნული კამპანია გახდა შემდგომში საღვთისმეტყველო წიგნების მეგრულ და სვანურ ენებზე თარგმნის და წირვა-ლოცვის ამავე ენებზე ჩატარების წინაპირობა.

ილია მეორეს მიაჩნია, რომ „მოციქულთა მიერ ნაქადაგები ქრისტიანობის აღიარებამ სხვადასხვა ქართველური ტომები ერთი რწმენით, ერთი ენით, ერთი კულტურით ერთიან ქართველურ ერად შეადუღაბა და უნიკალური, თვითმყოფადი და მრავალმხრივი ქართული ცივილიზაცია შექმნა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ზოგადქრისტიანული კულტურის განვითარებაში“. (2007 წ. „სააღდგომო ეპისტოლე“, გვ. 9-10) ამიტომ ბრძანებს უწმინდესი, რომ ქართული ენა შეიძლება შევადაროთ სინათლეს, რომელიც თავის თავში მოიცავს ცისარტყელას ფერებს. ეს ფერები მსგავსია ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის სამეტყველო ენისა: ხევსურულის და სვანურის, მეგრულის და თუშურის, ლაზურისა და კახურის... რომელნიც შენაკადების მსგავსად ქმნიან ქართული ენის მდინარეს, ენისა, რომლითაც უძველესი დროიდან ჩვენს მიწა-წყალზე... „ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველ აღესრულებს“.

ილია II ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა უძველესი ქართული ხელნაწერების და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ნუსხების მოძიების მიმართ და დიდი ღვაწლი მიუძღვის მათი შესწავლის საქმეში როგორც საზღვარგარეთ, ისე ქვეყნის შიგნით. სწორედ მის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა აქცია რეალობად ქართველ პატრიარქთა და მეცნიერთა ოცნება, გასცნობოდნენ ათონის წმინდა მთაზე არსებულ ქართულ მონასტრებთან დაცულ ქართულ ხელნაწერებს. პატრიარქის დამსახურებაა ასევე კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის ჯვრის მონასტერში დაცულ, მანამდე შეუსწავლელ ქართულ ხელნაწერთა მიკრო-ფილმების გადაცემა.

უწმინდესი არ აკლებს მცდელობას ძველი ქართული დამწერლობის აღორძინებას. წუხს, რომ დღეს ძველი ქართული (ასომთავრული და ნუსხა-ხუცური) მხოლოდ ენათმეცნიერთა საქმედ იქცა: „გვახსოვდეს, ასომთავრული და ნუსხა-ხუცური დამწერლობის ხმარებიდან განდევნით ჩვენივე ნებით ვაშენებთ ყრუ კედელს წარსულსა და მომავალს შორის. თანამედროვე ქართველი კაცისათვის თანდათან უცხო და გაუგებარი ხდება უძველესი ქართული გამოცემები, თუმცა ისინი იმავე ღვთიური მადლით

გასხივოსნებული, დინჯი და დარბაისლური ქართულით გვიამბობენ ერის გარდასული ცხოვრების ჭირსა და დაღბინებას.“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 1997, წიგნი I, გვ. 341) სწორედ იმ მიზნით, რომ თითქმის დავიწყებას მიცემული უნიკალური ძველი ქართული ანბანი მრევლისთვის კვლავ ახლობელი და გასაგები გამხდარიყო, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ასომთავრულით და ნუსხურით დაწერილი ყოველდღიური ლოცვები და ფსალმუნები დაიბეჭდა.

საპატრიარქოს არქივში დაცული პატრიარქის ხელნაწერები ქართული კალიგრაფიის საუკეთესო ნიმუშებია. როგორც მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი, პროფესორი ს. ვარდოსანიძე წერს, „პატრიარქი გრძნობს უნიკალური ქართული ანბანის თითოეული ასო-ნიშნის სიდიადეს და მას თავისი ხელნაწერით კიდევ უფრო ამაღლებულად წარმოაჩენს“. (ს. ვარდოსანიძე, 2008, გვ. 434).

სიტყვა ძალია ღვთისა. „პირველთაგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი“ – გვაუწყებს „იოანეს სახარება“, ამიტომაც განსაკუთრებულია პატრიარქის დამოკიდებულება სიტყვისადმი, მისთვის თითოეულ სიტყვას ჭეშმარიტად დიდი ძალა აქვს და ცდილობს თითოეულ სიტყვაში საუკუნეების წინათ ქართველის მიერ ჩადებული აზრი ყველასთვის გასაგები გახადოს. პატრიარქი ბრძანებს: „ქართველმა იცოდა, რომ ქრისტიანული ცხოვრებითა და ქვეყნისათვის თავდადებით სასუფეველს დაიმკვიდრებდა და ამდენად, მისთვის სიკვდილი არსებობის ერთი სახიდან მეორეში გადასვლის საშუალებას წარმოადგენდა.“ სწორედ ამ აზრს უკავშირებს უწმინდესი გენიალურ ქართულ სიტყვას გარდაცვალებას, რაც გულისხმობს იმას, რომ პიროვნება კი არ ქრება, არამედ იცვლება, სიცოცხლის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის. ამავე აზრის გამოძახილად მიიჩნევს პატრიარქი ლაზურ გამოთქმას „ცაშა ეხტი“, (ანუ „ცაში ახტი“, „ცას ეწიე“) რომელსაც გარდაცვალებასთან დაკავშირებითაც იყენებენ და ყოველდღიური სამადლობელი ლოცვის ფორმადაც. ასევე საყურადღებოდ მიიჩნევს მიმართვის ფორმას ლაზურში: „შური მშინე“, („სულის მომხსენებელი“) ლაზის მიერ თავისი შთამომავლისადმი ასეთი მიმართვა მისი აზრით იმას გულისხმობს, რომ იგი მისი სულის მომხსენებელი იქნება; უწმინდესის აზრით, ქართველთა სტუმართმოყვარეობაზე მიგვანიშნებს სიტყვა „საუცხოო“, რაც ქართველთათვის საუკეთესოს ნიშნავს: „საუცხოოაო ვამბობთ, რადგან ის, რაც კარგია, საკუთარი თავისთვის არ გვემეტება და სხვისთვის გვაქვს გადანახული“.

ალბათ სწორედ ეს და ამდაგვარი სიტყვების შინა არსის სიღრმე აფიქრებინებს ჩვენს პატრიარქს, რომ შეუძლებელია ქართული პოეზიის თარგმნა, რადგან ეს თარგმანი უცხოურ ენაზე ფერმკრთალი და უბრალო გამოდის, ხოლო თავად ქართულს, უძველესი და მდიდარი ლექსიკის მქონე ენას, აქვს ყოველი უცხოური სიტყვის შესაბამისი თარგმანი და „თუკი ენაში არსებობს ამგვარი ტერმინოლოგია, რაღა საჭიროა უცხო სიტყვების შემოტანა და დანერგვა?“ მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს უწმინდესი. (ქ. „ქაროზი“, 2011 №1).

კათოლიკოს-პატრიარქის თვალსაწიერი სიტყვათა ეტიმოლოგიის დადგენის საკითხებსაც სწვდება, ქართველთა წარმომავლობის შესახებ მსჯელობს ტოპონიმებზე დაყრდნობით და თავის მოსაზრებას სხვადასხვა წყაროთი ამყარებს. კერძოდ, იგი იხსენებს ილია ჭავჭავაძის იმ მოსაზრებას, რომელიც ქართველთა ფესვებს ურარტულ წიაღს უკავშირებს და ამის ერთ-ერთ არგუმენტად იმას ასახელებს, რომ ურარტულთა სამ მთავარ ღვთაებას შორის უპირველესს „ქალდი“ ერქვა. ამის შემდეგ ილია II-ეს მოჰყავს კათოლიკოს-პატრიარქის - კირიონის ნაშრომი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, - სადაც იგი აღნიშნავს, რომ ქართველნი ქალდეველთა შთამომავალნი არიან. უწმინდესი დიდი მეცნიერის - პავლე ინგოროყვას აზრსაც მოიშველიებს იმასთან დაკავშირებით, რომ „ქალდეად“ ლაზურ-ჭანური სივრცე მოიაზრება, ამ ტოპონიმთან დაკავშირებით ლეონტი მროველის მოსაზრებასაც გაგვახსენებს „ქართლის ცხოვრებიდან“, და იმაზეც მიაქცევს ჩვენს ყურადღებას, რომ „ქალდი“ დღესაც ჰქვია უძველეს ქართულ კუთხეს ტრაპიზონის მთებში, სადაც ოდითგან ლაზები ცხოვრობდნენ. ყოველივე ამაზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს, რომ სიტყვა „ქალდიდან“ უნდა იყოს ნაწარმოები ეთნონიმი „ქართიც“ და ასეთ სქემას გვაძლევს: ქალდი - ქართი - ქართლი - ქართველი, რომელიც ჩვენი ერის ისტორიული გზის, ჩვენი ერთობის გამომხატველი ტერმინია. - („საშობაო ეპისტოლე“ – 2012).

პატრიარქის ქადაგებანი და ეპისტოლეები ქართული მჭერმეტყველების საუკეთესო ნიმუშებია, მას აქვს არაჩვეულებრივი უნარი სიყვარულით თქვას დიდი სათქმელი: „მე არ ვიცი, საქართველოა ჩემში, თუ მე ვარ საქართველოში“, რაოდენი სიყვარულია ამ სიტყვებში... სწორედ სიყვარულია ქრისტიანული ენობრივი მსოფლხედვის საფუძველთა საფუძველი, ხოლო თავად ენობრივი მსოფლხედვა - ერის კულტურის განმსაზღვრელია.

პატრიარქი არცთუ იშვიათად მიმართავს ძველი ქართული ენის მდიდარ წიაღს საჭირო სიტყვის მოსაძებნად და ზედმიწევნით არგებს სათქმელს ჩვენში სიკეთის და სიყვარულის ჩასანერგად: ძველი ქართულის ზომიერად შეზავებული ფორმების ნიმუშად არა ერთი ამონარიდის მოყვანა შეიძლება მისი შემოქმედებიდან: „და ესრეთ ვქადაგებ. გმადლობთ, მორჩილ ვარ ბრძანებისა თქვენისა და არარას

მცირესა წინააღმდეგომსა ვიტყვი: გვედრებით... ოდეს დამდებთ ცხოველმყოფელი სულის მომნიჭებელთა სულთა თქვენთა, მრჩობილ ადავლენდეთ წინაშე ღვთისა ლოცვათა თქვენთა, რათა გარდამოსულმან სულმან წმინდამან ადავსოს ყოველივე ნაკლოვანებანი ჩემნი, რათა ვიქმნე სახედ მორწმუნეთა სიტყვით სვლით, სიყვარულით, სიწმინდით, რათა ჟამს მეორედ მოსვლისასა მოკრძალებით გარნა კადნიერებით წარვსდგე წინაშე მართალსა მსაჯულისა განცხადებად... ამინ.“ („ილია II“, გვ. 79).

სწორედ მის სიტყვებში შეიძინა ახალმა ქართულმა საღვთისმეტყველო სფეროს ენობრივი განახლებისათვის საჭირო სემანტიკურ-გამომსახველობითი სისავსე და სისრულე.

უწმინდესის ამაღლებული, დარბაისლური მეტყველება ზოგჯერ მთის დიალექტებისთვის დამახასიათებელი სურნელითაცაა შენელებული, და როცა მის საუბარში ვაჟასებურად ნათქვამი „მოიდა“ ან მისი მსგავსი ფორმები გვესმის, საოცარი ნათელი იღვრება სულში.

ილია II-ის შემოქმედების თვალის ერთი გადავლებითაც ნათელია, რომ იგი ჩვენს შორის მავალი ღვთის რჩეული ადამიანია, რომელიც უფლის განსაკუთრებულ მისიას ასრულებს. იგი, ისე, როგორც ილია მართალი „ღმერთთან მისთვის ლაპარაკობს, რომ წარუძღვეს წინა ერსა“.

პატრიარქი თავად ნათლად ხედავს და ჩვენს ყურადღებასაც მიაპყრობს მსოფლიო გლობალურ პრობლემებს, რასაც სხვა ფაქტორებთან ერთად შესაძლოა ქართული ენის სამოქმედო არეალის შემცირებაც მოჰყვეს, ეს უწმინდესის რწმენით სავალალო შედეგებს გამოიღებს და მოგვიწოდებს, კულტურათა დაახლოების და ცივილიზაციათა დიალოგის რთულ პერიოდში არ დავკარგოთ ჩვენი ეროვნული საუნჯე, ჩვენი ფასეულობანი, რომელთა შორის, მისი რწმენით, **ქართული ენა** ერთ-ერთი უპირველესია!

ლიტერატურა:

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, წიგნი I, II, თბ., 1997.
2. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, თბ., 1988, ; №4.
3. ჟურნალი „მნათობი“, თბ., 2006 №1, 2, 3.
4. ჟურნალი „ქაროზი“, თბ., 2011 №1.
5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის „საადღგომო ეპისტოლე“, თბ., 2007.
6. ს. ვარდოსანიძე, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II“, თბ., 2008.
7. „ნათელი ქრისტესი“, საქართველო, ტ. II, თბ., 2006.
8. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის „სამოზაო ეპისტოლე“, 2012.
9. „პატრიარქი“ (შემდგენელი მზია კაცაძე), თბ., 2006.
10. „ილია II“, ფოტოალბომი, თბ., 2013.
11. „მზიანი ღამე“, თბ., 2008.
12. „საპატრიარქოს უწყებანი“, თბ., 2007.
13. ვ. კიკნაძე, მშობლიური ენის ფენომენი XIX ს-ის ქართველი სამღვდელოების შემოქმედებაში, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №2. 2011.
14. ს. ყამარაული, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 2009.
15. „წერილები პატრიარქს“ (შემდგენელი მზია კაცაძე), თბ., 2009.
16. რ. სირაძე, „მოქცევა ქართული ენისა“, „ლიტერატურული საქართველო“, 1997.

LINGUISTIC VIEWPOINT AS THE DEFINING FACTOR IN EXISTENCE AND UNIFICATION OF A NATION IN THE CREATIVE WORK OF ILIA II CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA

Elene Khojevanishvili, Gori State Teaching University, Professor

RESUME

This paper deals with the attitude of His Holiness and Beatitude Catholicos –Patriarch of All Georgia Ilia II to the Georgian language.

Getting to know to the variety of creative work of his Holiness, verifies that defending mother language is one of the foremost issue together with other very important issues. He and the Orthodox Church of Georgia played a great role in legitimation of the Georgian language as the State language in 1978. Patriarch considers the Georgian language and the writing works created on this language are the main values from where the nation gets vital spiritual strength.

With the effort of his Holiness many Georgian theological books, magazines and newspapers were published and the restoration of the oldest manuscript –Anchi Gospel was financed. He contributed greatly to restore old Georgian writing and to find and learn various Georgian manuscripts abroad and inside the country as well.

Patriarch, in his each speech, preaching and epistle, speaks about the dignities and theological nature of the Georgian language, substantiates the incorrectness of the views which are opposed on purpose to the unity of Georgia. According to these views the Georgian nation was an artificial unity of different tribes.

The viewpoint of Patriarch also deals with the issues of stating the etymology of Georgian words. His all preaches and epistles are good examples of eloquence and his manuscripts present Georgian handwriting even more visibly.

Evaluating the current events of the world, His the Holiness and Beatitude Ilia II strives assiduously, appeals to us for not to lose our values among which the Georgian language is one of the most significant in the difficult period of convergence of civilizations.

ნოდარ დუმბაძის ადრეული პერიოდის შემოქმედების ერთი თავისებურების შესახებ

ნანა ჯალაღონია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

ნოდარ დუმბაძის ადრეული პერიოდის შემოქმედების ერთი თავისებურების, კერძოდ იუმორის შესახებ რომ ვისაუბროთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევხვით იმ საკითხს, თუ რა შემთხვევაში და როგორ იყენებდნენ მას ქართულ ლიტერატურაში.

სინამდვილის ასახვა ლიტერატურის საგნად ჯერ კიდევ არისტოტელემ აღიარა. განვითარების პროცესში, გარდა ამ უმთავრესი ნიშნულებისა, სიტყვის ხელოვნებამ სხვა ბევრი ფუნქციაც შეითავსა – მათ შორის, გადამრჩენისაც. გადასარჩენი კი მე-20 საუკუნის მწერლობას ბევრი ჰქონდა: დარღვეული ეროვნული ცნობიერება, დაცემული ადამიანური ღირსება, ფეხქვეშ გათელილი მორალი და დამდაბლებული ზნეობა, გამართლება სჭირდებოდა გახლეჩილ ადამიანურ ფსიქიკასაც.

„სინამდვილის, სიმართლის ობიექტური ასახვა, ზუსტი ცხოვრებისეული ამბის აღწერა, მუდამ იყო პროგრესული ლიტერატურული საგანძურის თანამგზავრი. სატირულ-იუმორისტული გამონათქვამებით ერთბაშად ხერხდება ამა თუ იმ ვითარების დახასიათება. ხშირად მკვეთრი სატირული სიტყვებით იქმნება ნათელი წარმოდგენა ეპოქაზე, მიმდინარეობაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ მონაკვეთზე თუ ცალკეულ ადამიანზე. ხშირად, სწორედ ასეთი სიტყვა უფრო ახერხებს მოვლენის არსის წვდომასა და მის გამოაშკარავებას, ვიდრე რომელიმე გაშლილი მსჯელობა“ – ვკითხულობთ გ. კიკნაძის ნაშრომში „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“.

რასაკვირველია, საბჭოთა პერიოდში ხელოვნება და ლიტერატურა მძიმე იდეოლოგიურ არტახეზში იყო მოქცეული. მე-20 საუკუნის საბჭოთა საქართველოსაც მიესადაგებოდა სიტყვები XVI-XVII- საუკუნის ინგლისელი დრამატურგის შექსპირის 66-ე სონეტიდან „და ხელოვნებასაც ბრძანებებით დაბმია ენა“. ცენზურა (მაშინ მთავლიტი ერქვა) ყველაფერ გამოსაქვეყნებელს წინდაწინ კითხულობდა და იძლეოდა საბოლოო ვერდიქტს დაბეჭდვა- არდაბეჭდვის შესახებ.

ასეთ პირობებში მწერალთა ზოგიერთი ნაწილი ცდილობდა ხმა აემალლებინა იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომლის გამოც სასტიკად ისჯებოდნენ და სამშობლოში მოღალატედ იწოდებოდნენ. „კომუნისტურმა რეჟიმმა კარგად იცის, რომ თუ გინდა ერი ან ადამიანი გახრწნა და გადაავარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდევ იგი, თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატენი კი გმირებად, რადგანაც კარგად უწყიან ამ რეჟიმის იდეოლოგებმა, რომ სწორედ სარწმუნოება და ეროვნებაა ის ძირითადი თვისებები, რომელნიც ადამიანს სხვა სულიერისგან განასხვავებენ და მისთვის ამ თვისების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე.

ეპოქა, რომელზეც ვსაუბრობთ განიცდიდა არსებული რეჟიმის უკონტროლო ბატონობას – იდეოლოგიზაციას. იდეოლოგიზაციის პროცესი კი, თუკი რაიმეზე ახდენს დიდ ზეგავლენას, ეს არის კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება...

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო იყო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა, კომუნისტური დიქტატურა აქაც მძლავრად იგრძნობოდა. აბსურდული მიზეზების გამო იჭერდნენ, ხვრეტდნენ და ასახლებდნენ ხალხს. ამ ხალხს კი წარმოადენდა სამღვდლოება, ბურჟუაზია და ინტელიგენცია. ისინი შეეწირნენ ტოტალიტარული რეჟიმის გამყარებას. არცერთ დიქტატორს არ

სჭირდებოდა ისეთი ადამიანი, ვისაც მათთვის მიუღებელი აზრი ჰქონდა. ის ვინც არ განადიდებდა პარტიისათვის მისაღებ იდეოლოგიას, ქვეყნის მტრად ირაცხებოდა. საქართველოში ასეთი ქვეყნის მტერი საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა, ისინი დაუფარავად იბრძოდნენ არსებული წყობის წინააღმდეგ.

მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში პატიოსნების, სინდისის, ღირსების, სამართლიანობის ცნებები უზომოდ დევალვაციას განიცდიდა. მწერლები თავიანთ რეალისტურ ქმნილებებს დიდი ხნის მანძილზე საგანგებოდ, საიდუმლოდ ინახავდნენ უკეთესი მომავლის მოლოდინში. ბევრი ნაწარმოებისათვის დღის სინათლის ხილვა ჯერ კიდევ ნაადრევი იყო.

აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევარში წარმატებები მოიპოვა ქართულმა პროზამ თავისი უაღრესად მრავალმხრივი და მდიდარი თემატიკით.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა „წითელი რუსეთი“, რომლის სათავეშიც იდგა ვ. ი. ლენინი – „ულიანოვი“. რუსეთის იმპერიის ბევრ ერს ცეცხლითა და მახვილით აიძულეს გასაბჭოება. 1924 წლიდან საბჭოთა კავშირის „ძმურ რიგებს“ საქართველოც შეუერთეს. იმავე წლიდან კომუნისტურ იმპერიას სათავეში იოსებ ბესარიონის ძე ჯულაშვილი, იგივე სტალინი, ჩაუდგა, რომელმაც ააღორძინა და გააძლიერა ლენინის მიერ დანატოვარი იმპერია. მანაც არ უღალატა წინამორბედის იდეოლოგიას და მართვის ფორმებს. მანაც იგივე სისხლიანი გზით განაგრძო სვლა.

როგორც მ. მირესაშვილი თავის ნაშრომში „დათბობისა“ და „უძრაობის“ პერიოდები და მათი კრიზისი (1953-1985)“ აღნიშნავს, „ირონიის ვირუსი პროზაიკოსებმა 60-იან წლებში დაამკვიდრეს; ამდენად ამ დროიდან საბჭოთა ტროპების გამომსახველ დომინანტურ სტილად ირონია იქცა. ცნობილია, რომ ტროპების რეალიზება ორი ტიპის დისკურსში ხდება: სერიოზულ და სერიოზულ კომიკურში, რომლის კერძო გამოვლინებას წარმოადგენს ირონიული დისკურსი. ამერიკელი ლინდა პაჩონი მონოგრაფიაში „ირონიის ზღვარი: ირონიის თეორია და პოლიტიკა“ (1985) სერიოზულ-კომიკურ დისკურსში სამ ძირითად სახეს განასხვავებს – ვკითხულობთ იქვე. პაჩონის აზრით, განსხვავებას მათ შორის ქმნის ეთოსი, ანუ ნარატორის ემოცია, რომლითაც იგი ცდილობს მკითხველისათვის დამიფრული სიტყვის მიწოდებას (იგულისხმება, რომ მკითხველმა უნდა შეძლოს დაფარული სიტყვის სწორად წაკითხვა). ეთოსი პოზიტივია (პაროდული სიტყვა მიაგებს ორიგინალს, რომელზეც პაროდიას ქმნის), სატირის ეთოსი კი დაუნდობელი, დამცინავი დამოკიდებულებაა. როდესაც ტროპები შეუთავსებლები ხდებიან ახალი ეპოქის კულტურულ ფასეულობებთან, ისინი ირონიული ქვეტექსტების არეალში მოექცევიან, ანუ, როგორც ამერიკელი მკვლევარი ამბობს, ირონიის „კლანჭებში“ აღმოჩნდებიან.

ამ საუკუნის 50-60-იანი წლები ისტორიაში შევა, როგორც უაღრესად რთული სოციალური პერიოდი, რამაც ადამიანების შეგნებაში საფუძველი მისცა ურთიერთობების, ზოგიერთ მოძველებურ შეხედულებასთან ახლებური დამოკიდებულების გამომუშავებას.

გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქას თან მოჰყვა მთელი რიგი ახალი პრობლემები, რომელთა ერთ ნაწილში გარკვევა არც თუ იოლი აღმოჩნდა. ცხოვრებამ მწერლობის წინაშე დააყენა უაღრესად რთული საკითხები და ომისშემდგომი პერიოდის ქართული მწერლობა თვისებრივად ახალი მოვლენებით დაიმუხტა.

60-იანი წლების ქართველმა პროზაიკოსებმა დღის სინათლეზე გამოიტანეს ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომლებშიც წინა პლანზე წამოწეული იყო საზოგადოებრივი ზნეობის ზოგიერთი აქტუალური საკითხი.

გ. ასათიანი „კრიტიკულ დიალოგებში“ წერს: „ამ პერიოდში ყურადღების ცენტრში მოექცა ადამიანის სულიერი „მიკროსამყარო“, თავისი მრავალსახოვანი, მარადმოდრავი, ცვალებადი, ბოლომდე ამოუცნობი, ნებისმიერი კონიუქტურისა და იმპერატივისადმი ბოლომდე დაუქვემდებარებელ გამოვლინებაში. რაღაც შეიცვალა ქართულ მწერლობაში, რაღაც დაიკარგა თითქოს, თვალდახელშეა გაქრა და მისი ადგილი რაღაც სხვამ დაიკავა... ეს იყო არსებითად არა მეთოდის, არამედ რაკურსის შეცვლა, რის გამოც საგნებმა მოულოდნელი კონტურები შეიძინეს. „მიკროსამყაროსადმი: ინტერესის გაცხოველებამ აქა-იქ სინამდვილის დაქუცმაცებული, უპერსპექტივო ჩანახატებიც წარმოშვა, მაგრამ იქ, სადაც ამ გულისხმიერით დაინტერესების ნიჭი და ოსტატობაში დაუდგნენ მხნედ, ჩვენ მივიღეთ მხატვრულად სრულფასოვანი მხატვრულად სრულფასოვანი სურათები“.

ნოდარ დუმბაძის რომანების პოპულარობა განაპირობა სწორედ თანამედროვე ცხოვრების მწვავე პრობლემათა თავისებურმა ხატოვანმა გააზრებამ; მათი მკვეთრად დასმისა და ორიგინალურად გადაწყვეტისკენ სწრაფვამ. ნ. დუმბაძისათვის ადამიანური სიკეთე უპირველესად შეცნობილი ჰუმანიზმია. ამიტომ მოქმედებენ მისი „დადებითი“ გმირები სისასტიკისთვის არა სამაგიეროს მიგების, არამედ კეთილი ნების მაქსიმალური რეალიზაციის, კეთილი მოქმედების პრინციპით, რომელიც დიდი სიმართლის მიეხილათა და პოვნით მიიღწევა. მის ახალგაზრდა გმირებს არ სჭირდებათ სულიერი განწმენდა; მათ თვითონ მოაქვთ სულის ეს სიწმინდე, როგორც ცხოვრებაში განმტკიცების უპირველესი საშუალება. ისინი ახლებურად დანახული ძლიერი ნების ადამიანები არიან.

„ნანახის, განცდილისა და გადატანილის გამო ნ. დუმბაძემ გულიანად აცინა და კიდევაც ატირა ხალხი... მისი ლიტერატურული დებიუტი და ტრიუმფი ერთდროულად შედგა. ნოდარ დუმბაძის პირველი რომანი „ მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ 1959 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, რომანმა ლიტერატურული მანიფესტის მისია შეასრულა. თუ მანიფესტებს, ჩვეულებრივ ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ეპიცენტრში მიმდინარე დუდილის, წინააღმდეგობების, საბრძოლო ბობოქრობისა და ლოზუნგების ბეჭედი აზით, ამგვარი ტრადიციებისაგან განსხვავებით, ნ. დუმბაძის რომანმა თავისი მისია საოცარი სიმსუბუქით, თითქოს შეუმჩნევლად, ლაღად, თითქოს აშკარა კონფლიქტებისა და აჟიოტაჟის გარეშე შეასრულა. თუ რატომ მოხდა ასე, ამის მიზეზები მხოლოდ ნ. დუმბაძის სულიერი წყობისა და მსოფლგაგების ორ განმაიარალებელ თავისებურებაშია საძებარი. პირველი ისაა, რომ ამ რომანით ჩვენს საზოგადოებას ნ. დუმბაძემ კიდევაც შეახსენა და კიდევაც აგრძნობინა, რომ ის „სიცილით ემშვიდობებოდა წარსულს“. მეორე კი ის გახლდათ, რომ ეს „დამშვიდობება“, ან გამოთხოვება წარსულთან ცხოვრებისა და ისტორიის აუცილებლობად უნდა აღქმულიყო. ამ აუცილებლობას ლიტერატურაში საკუთარი განმსახიერებლები მოჰყავდა. ადამიანის მიღმა არსებული ფასეულობებისა და მათი განმსახიერებელი ფუნქციონირების ბატონობის შემდეგ, თითქოს გაჭიანურებული ანტრაქტი დასრულდა, ლიტერატურული ცხოვრების სცენაზე ისევ დაიკავეს ადგილი ცხოვრების საზრისად ადამიანურობის მატარებელმა ადამიანებმა“ – აღნიშნავს გიორგი გაჩეჩილაძე სტატიაში „ და არა აქვს მას დასასრული“.

მისი ნაწარმოებები წაკითხვისთანავე იუმორის გრძნობით გვატკბობს, მაგრამ მწერლის პროზას სამამულო ომით დამძიმებული სოფლის ცხოვრების მაჩვენებელი სურათები ძაბავს.

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ კომიკური ელემენტების მაქსიმალური გამოყენებით

გამორჩევა, მდიდარია სატირულ-იუმორისტული ასახვის ფორმით, მაგრამ ამასთანავე ავტორი გვიჩვენებს სამამულო ომის სუსხიან დღეებს. ომის გამო უჭირდათ რომანის მოქმედ გმირებს და ისინი თავიანთი „ მოლესილი ენით“, ქილიკით, ერთმანეთს ანუგეშებენ. ილიკო და ილარიონი ერთი შეხედვით ტყუპისცალეები ეგონება მკითხველს, რადგან ისინი ერთმანეთის კარიკატურებს წარმოადგენენ. ილიკო და ილარიონს თითქოს უკვე გაუვლიათ თავიანთი კომიკური ურთიერთდამოკიდებულების საფეხური, რასაც პირობითად „სიტყვიერი კენწლაობა“ ეწოდება. ეს ორი პირი დაკავშირებულია ბებია ოლღას ოჯახთან. ამან კი განაპირობა ზურიკო ვაშალომიძის სიახლოვე მათთან. ოლღა ბებიას სახით ავტორი აცოცხლებს ქართველი დედის შესანიშნავ სახეს, რომელიც სამშობლოს სადარაჯოზე მდგარი ვაჟკაცებისთვის არაფერს იშურებს. საინტერესოა ის ეპიზოდი, სადაც მეზობლები ომში გასაგზავნ ნივთებს აგროვებენ. ილიკომ თავისი ერთადერთი ნაბადი მოატანინა ზურიკელას. ეს ნაბადი ილიკოს საბნადაც ეხურა. ილიკოს საქციელში ვლინდება ქართველი კაცის ბუნება, ერთსულოვნება და სიალალე, რომელიც ყოველ ადამიანს უნდა ახასიათებდეს. ილიკოს საქციელით აღფრთოვანებულმა ილარიონმა მიმართა მას: „ოქროს გული რომ გქონდა, კი ვიცოდი, მაგრამ ამხელა ბაჯაღლო თუ გედო გამხმარ მკერდში, არ მეგონაო“.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედების გავლენის ძალას ათას რამეს მიაწერენ: ღრმა ადამიანურობასა და კაცთმოყვარეობას, სათნოებასა და სიკეთეს, იუმორსა და ხალხურობას, ნათელ რწმენასა და კიდევ ბევრ სხვას. მწერლის ამ „საიდუმლოებათა“ ჩამოთვლა ამით არ სწყდება და არც შეიძლება შეწყდეს, რადგან ნ. დუმბაძის შემოქმედების ყველა მამომრავებელი სასიცოცხლო ძარღვის დამებნა და გამომზეურება ძნელი და გრძელი საქმეა.

ნოდარ დუმბაძემ ღვარძლიან სინამდვილეს დაუპირისპირა უებარი წამალი – სიცილი... აკი თვითონაც ამბობდა: „მე თავისუფლება მინდოდა და სიცილი ამიტომ ავირჩიეო“.

თავისუფლებამონიჭებულმა მწერალმა კომუნისტურ ეპოქაში სწორედ იუმორის წყალობით შეძლო რეალური ყოფისათვის ნიღბის ჩამოხსნა და საბჭოურ მანკიერებათა სააშკარაოზე გამოტანა.

ნოდარ დუმბაძის იუმორი მთლიანად უშუალო და ემოციურია. არცერთ მის იუმორისტულ სიტუაციას, დიალოგს, აღწერას, სახეს არა აქვს ინტელექტუალური საფუძველი. ეს არის ხალასი, უშუალო, გადამდები და დამათრობელი იუმორი, „რომლის მიღწევა შეუძლებელია ტვინის ჭლეტითა და იუმორის თუნდაც კანონზომიერების ცოდნით.“

უნდა ითქვას, რომ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები მსუბუქი იუმორის, დაუძაბავი ფრაზების, ბუნებრივობის წყალობით პირველ ემოციად სიცილისა და ჯანსაღი, უბოროტო იუმორის შეგრძნებას იწვევს. ამის მიღმა კი იმ რეალობას ვხედავთ, რომელიც ნამდვილად არსებობს, შეუნიღბავი და შეუღამაზებელია.

როგორც გურამ ასათიანი ნოდარ დუმბაძის გმირების შესახებ შენიშნავს, „მათ ოინებში, მათ მხიარულ ლაზღანდარობაში იყო ბევრად უფრო მეტი ნიშანი ნამდვილი ზნეობისა, ვიდრე ყველა პერსონიფიცირებული ეთიკური ნორმის, ყველა სამუდამოდ მოზეზრებული რეზონიერის „სანიმუშო ყოფაქცევაში“. სწორედ რომ სიცილით შეაყვარა თავისი გმირები მკითხველს, სიცილით მიანიშნა

ადამიანთა შეცდომების მრავალ სათავეზე, მაგრამ ისე, რომ ყველა თავის მსხვერპლს გამოსავალი დაუტოვა, ნუგეში არ გადაუწურა.“

„ბედით, ხასიათით, ცხოვრებით ნოდარის მხატვრული ქმნილებები ძალზე ჰგვანან ნოდარ, მათ შემოქმედს. ისინი ადვილად იკვლევენ გზას მკითხველის გულისაკენ, ხიბლავენ, აჯადოებენ და ნუსხავენ ადამიანებს, ირგვლივ ფეიერვერკივით აფრქვევენ სიხარულსა და სიკეთეს“.

პერსონაჟების სახით ჩვენ ვხედავთ და ვხვდებით იმას, თუ როგორია ადამიანი, როგორია სოფელი, ქვეყანა ან როგორი უნდა იყოს ეს ყველაფერი. ნოდარ დუმბაძე თავის შემოქმედებაში პერსონაჟებსა და მკითხველს ისე აახლოებს და აკავშირებს ერთმანეთთან, რომ თითქოს მკითხველიც პერსონაჟად იქცევა.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე ამერიკულმა ლიტერატურამ დიდი ზეგავლენა იქონია. ამას თვითონვე აღიარებდა. იგი აღიზარდა ბიჩერ სტოუს, მარკ ტვენის, ფოლკნერის, ჰემინგუეის, უიტმენის, ო'ჰენრის, სტეინბეკის, საროიანის და სხვათა წიგნებზე... კოლდუელის ჯორჯიელი ბიჭი“ მისი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ სტიმული გახდა. „ის, რაც მე მომწონს ამერკულ ლიტერატურაში, ჩემად და მშობლიურად მიმაჩნია, ხოლო, რაც არ მომწონს, იმას ვერავითარი მრგვალი მაგიდა და დიალოგი ვერ მიმაღებინებს – უთქვამს მას აპდაიკთან შეხვედრაზე“. („ოდისევსის დაბრუნება“, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1981, გვ. 9).

„ისევე, როგორც ამერიკულ ლიტერატურაში მარკ ტვენმა და ჰემინგუეიმ შექმნეს მითი დაკარგული სამოთხის შესახებ და ჰეკლბერი ფინის, ტომ სოიერის და ნიკ ადამსის თავგადასავლებით გვიჩვენეს, თუ როგორ იქცევა ცხოვრების ჯოჯოხეთურ გამოცდილებასთან ზიარება ბავშობის უზრუნველ სამოთხესთან განშორების დრამად – ნოდარ დუმბაძემ შექმნა გალერეა ქართული ყოფის დრამატულ გამოვლინებებთან ნაზიარებ ყმაწვილთა სახეებისა... და მართლაც, მწერლის გმირები, მეტწილად, ყმაწვილები არიან. საგულისხმოა, რომ ყოველი მათგანი იზრდება, ცხოვრობს და განსაცდელს ეგებება უმამოდ, იშვიათად, დედის ან ბებია-ბაბუას გარემოცვაში. მამის ავტორიტარისტულ ზეგავლენას ისინი მოკლებულნი არიან. ექსტრემალურ სიტუაციებში ისინი მარტონი დგანან, თუმცა იუმორის გრძნობას მაინც არ კარგავენ. („და არა აქვს მას დასასრული“, გ. გაჩეჩილაძე, ჟურ. მნათობი 1983 წელი. N 8. გვ.138).

როდესაც ნოდარ დუმბაძეზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ მისი შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს პუბლიცისტური მემკვიდრეობა წარმოადგენს, რომლის ოსტატური „საკმაზიც“ ავტორისეული განუუმეორებელი და მრავალფეროვანი იუმორია, „ნ. დუმბაძის იუმორი მრავალფეროვანია... ბევრჯერ ვყოფილვარ მომსწრე იმისა, თუ როგორ დასცინის ნოდარი თავის ახლობლებს, ან როგორ იგერიებს სხვათა დაცინვას. (თვითონაც არაერთხელ აღმოვჩენილვარ მისი ენამახვილობის შუაცეცხლში) – იხსენებს ნოდარ ტაბიძე „წერილებში“ (1978)

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ქართლოს კასრადის რედაქტორობით დაარსდა სატირულ-იუმორისტული კედლის გაზეთი „ჭინჭარი“, რომლის საქმიანობაში ნ. დუმბაძეც ჩაერთო თავისი მახვილი კალმით. ეს გაზეთი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მისი გაკენწვლისა კი ბევრს ეშინოდა.

გრიგოლ რობაქიძე ამბობდა: „მტრის დასაძლევად ორი რამ არის საჭირო: თავდაჭერა და ირონია“. ნ. დუმბაძემ ნიჭიერებისა და გამჭირაბობის ალღოს წყალობით სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შეიცნო ცხოვრების ეს ფილოსოფია და იგი თავისი შემოქმედების მეთოდად აქცია.

რომანში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ნ. დუმბაძემ ჩვენს ლიტერატურაში თავისებური სამყარო გახსნა. დუმბაძის შემოქმედების მკვლევარი თ. სარჯველაძე სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ეს სამყარო მხოლოდ გურიის სოფელი როდი გახლავთ. ამ რომანის გამოქვეყნებამდე გურია არსებობდა ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც. ავტორის მიერ აღმოცენილი სამყარო მისი მხატვრული სტილის, პერსონაჟების, მწერლის ცხოვრებასთან დამოკიდებულებისა და მოქმედ პირთა ურთიერთობის ორიგინალური სინთეზია, რაც მწერლის სტილს ასე გამოკვეთილად ახასიათებს“.

ალბათ, ნ. დუმბაძის სამწერლო სტილი ყველაზე უკეთ იმსახურებს ცნობილი მწერლის ჯონათან სვიფტის ნათქვამს: „საჭირო სიტყვა საჭირო ადგილზე. აი, რა არის სტილი“.

ლიტერატურა:

1. ა. ნემსაძე, „რიდენტოფიკაციის პრობლემა ო. ჭილაძის რომანებში“, დისერტ., 2001, გვ. 2.
2. გ. კვიციანიძე, „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, 1953.
3. რ. გაჩეჩილაძე, „ჩემი მე–20 საუკუნე 1953–2000 წლები. გვ. 133.
4. ს. ჟღენტაძე, მე–20 ს–ის 70–80–იანი წლების ლიტერატურული კრიტიკული აზროვნება და ზ. გამსახურდია. / კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა 2004 №7
5. საქართველოს ისტორია მე–20 საუკუნე, 2003.
6. მ. მირესაშვილი, „დათბობისა“ და „უძრაობის“ პერიოდები და მათი კრიზისი (1953–1985), 2010.
7. რ. მიშველაძე. უახლ. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1998.
8. გ. გაჩეჩილაძე, „და არა აქვს მას დასასრული“, ჟურ. მნათობი 1983, N 8. გვ. 138

9. „მზიანი გულის მწერალი“, თბ., 1984, გვ. 33.
10. ნ. ჩხეიძე, „კრიტიკული წერილები“, 1977, გვ. 138.
11. ნ. პოპიაშვილი, ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი მე-20 საუკუნის გამოცდილება. 2010, გვ. 465
12. გ. ასათიანი, კრიტიკული დიალოგები, 1977, გვ. 469
13. ნ. დუმბაძე, „ოდისეოსის დაბრუნება“, საბჭოთა საქართველო, თბ., 1981, გვ. 9.
14. მუზაფერ ქირი, ნოდარ დუმბაძის რომანი „მე ვხედავ მზეს“ თურქულად. /დისერტაცია/ 2010, გვ. 5

ABOUT ONE PECULIARITY OF NODAR DUMBADZE'S EARLY WORKS

Nana Jalaghonia, Sokhumi State University, PhD Student

RESUME

The destiny of a writer and an artist, generally of a creator, in the soviet reality was peculiar. The existing regime did not allow them to freely express their opinions, attitudes, feelings. Only propaganda of the ideas and ideals acceptable to the regime was necessary. For the different opinion, word, people were exiled to Siberia. The Georgian prose writers of the 60s brought many such works to the daylight, in which current issues of the public moral are shifted to the foreground. In the 50s of the 20th century such a generation came into the creative arena which brought many novelties into the Georgian literature. Among them are the works of Nodar Dumbadze. For his literary style it can be said: "Necessary word at the necessary place (Jonathan Swift). Dumbadze's humour is direct and emotional. He confronted humor to the existing reality and in the communist epoch with the help of humour, he revealed the soviet vices. Despite the fact that his characters („Me, Grandma, Iliko And Ilarioni“) could hardly make ends meet because of the war poverty, they comforted each other with wordplays. In their jesters and funny acts one can observe kindness, mutual respect, assistance. Their laughter, jokes are based not on the welfare but the bitterness of the reality.

ისტორია History

ელისუს სასულთნოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ყოფის ისტორიიდან

იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორი

ელისუს სასულთნოს ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს (წუქეთის, ჰერეთის, კახეთის ჯერ საერისთავოს, შემდეგ სამთავროს და სამეფოს) წარმოადგენდა. მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები, ხოლო გაბატონებულ რელიგიას - ქრისტიანობა, რასაც დღემდე შემორჩენილი არაერთი ეკლესია-მონასტრის ნაშთი ადასტურებს. თვით სახელი მხარეს მიუღია თომა მოციქულის მოსწავლე - ელისესაგან, რომელიც იერუსალიმიდან მოსულა გიშში, აქ დამკვიდრებულა და ეკლესიაც აუშენებია. [7:59] კავკასიაში მონღოლთა ბატონობის შემდეგ, აქ დარჩნენ მათი შთამომავლები „მუგალების“ სახელწოდებით. XVI ს. 60-იან წლებში ერთიანი საქართველოს ტახტის დამკარგავ გიორგი VIII-ს მხოლოდ კახეთის სამეფოდა შერჩა სამართავად, რომელმაც კახეთში „მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირე ადგილთა ...მოურავი ქისიყისა, ელისენისა, წუქეთისა...“. [2:568] სწორედ ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე ჩაეყარა საფუძველი მოგვიანებით ელისუს სასულთნოს.

ელისუს სასულთნოს ტოპონიმებსა და ოიკონიმებზე სპეციალური გამოკვლევა აქვს აზერბაიჯანელ მეცნიერს - ელვირა ლეტიფოვას. იგი წახურის ეტიმოლოგიას „წა“ (ადგილობრივ ენაზე - „ცეცხლი“) „ხურ“ (ლეკურად - „სოფელი“) კავშირით ხსნის და იმით ადასტურებს, რომ ქრისტიანობამდელ ალბანეთის (IV ს.) ტერიტორიაზე ხშირი იყო სისხლიანი დაპირისპირებები. [13] ხსენებული ავტორი თვლის, რომ ქართული გავლენა აქ პირველად დავით აღმაშენებლის დროს გაძლიერდა, რომელმაც ყივჩაღებთან ერთად განახორციელა დასავლეთ აზერბაიჯანის დაპყრობა. ქართველებმა მოახერხეს ორი თურქული მოდემის

ხალხების - ყვიჩალებისა და ოღუზების ერთმანეთზე წაკიდება, რის შედეგად ყვიჩალები პოლიტიკური არენიდან თანდათანობით გაქრნენ, თუმცა გარკვეული კვალი ელისუს სასულთნოს ტერიტორიაზე მაინც დატოვეს. [13] აღსანიშნავია, რომ სასულთნოს ტერიტორიაზე მის მიერ შესწავლილი ტოპონიმების უმრავლესობას (წახურის, ლექითის, მალახის, თორადაის, გორაგანის და სხვ.) იგი, ძირითადად, თურქული წარმომავლობით ხსნის და ქართულ ფესვებს ვერც ერთ მათგანში ვერ ამჩნევს, მით უფრო, რომ ბიბლიოგრაფიაში ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომსაც იშველიებს. [13]

ახერბაიჯანელი ავტორების: გ. გეიბულაევის, ჰ. აზიმოვის, შ. აჰმედოვის და სხვათა მდებლობებს ჰერეთის ისტორიის დამახინჯების გამო, დამაჯერებელი პასუხი გასცა თენგიზ პაპუაშვილმა 2008 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „საინგილოს ისტორიის ნარკვევები, [4:20-35] მაგრამ, როგორც ვხედავთ, საქართველოს ძირძველი ისტორიული კუთხის რეალური ისტორიის გაყალბება დღესაც გრძელდება და მიზანმიმართული ხასიათი აქვს.

წუქეთის, ქურმუხის, კასრის და სხვა ადგილობრივი ტოპონიმების წარმომავლობის საკითხი როგორც ქართულ (ჯუანშერი, ვახუშტი ბატონიშვილი, პავლე ინგოროყვა), ისე სომხურ (ს. ერემიანი, ლევონდი) [6:41-52] ისტორიოგრაფიაში ცნობილია და ზემოხსენებულ ავტორისათვის, როგორც საკითხის მკვლევრისათვის, წესით, უცხო არ უნდა იყოს, რომ თურქული წარმომავლობის ტოპონიმები აღნიშნულ ტერიტორიებზე მხოლოდ მოგვიანებით გაჩნდა და ისტორიული ჰერეთი დავით აღმაშენებელამდე ბევრად ადრე, IV-V საუკუნეებში ქართლის სახელმწიფოში შემავალი ქვეყანა იყო. [6:13] წუქეთი VIII საუკუნეშიც ქართული სახელმწიფოს სივრცეშია. [8:243]

ქართული გავლენა აღნიშნულ ტერიტორიებსა და ჩრდილო კავკასიაზე მნიშვნელოვნად შესუსტდა თემურ-ლენგის შემოსევების დროს. კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით საშამხლო ჩამოყალიბდა, რომელიც მალევე მოექცა ოსმალეთის სულთნის გავლენის ქვეშ და მოსახლეობის ისლამიზაცია სწრაფი ტემპით დაიწყო. [1:34-38] კახეთში ლეკთა ჩამოსახლება ჯერ კიდევ ლევან კახთა მეფის (1518-1574) დროიდან ხდება. ლევანს მეორე ცოლად შამხლის ასული ჰყავდა და გარკვეული ვალდებულებებით ჩრდილო-კავკასიელთა კახეთში ჩამოსახლება მეფისავე ინიციატივით ხდებოდა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „ამანვე ლევან მოიყვანა ლეკნი და დასხნა ფიფინეთს ზიდვად ყინულისად ზაფხულისათვის კავკასიიდან“. [2:539]

მშვიდობიანი პროცესი ლევანის მემკვიდრის ალექსანდრე II-ის გამეფებისთანავე გაფუჭდა. კახეთის მეფემ დედინაცვლის სამშობლოსთან (ალექსანდრე ლევანს პირველი ცოლისგან ჰყავდა) კავშირს რუსებთან „ფიცის წიგნი“ (1587 წ.) არჩია, რომლის მიხედვით, კახეთი რუსეთის მფარველობაში შედიოდა იმ პირობით, რომ რუსები საგარეო მტრებისაგან დაიცავდნენ. მალე (1588 წ.) ალექსანდრემ მოსკოვში ახალი ელჩობა გააგზავნა და წერილი გაატანა, რომელშიც რუსთ ხელმწიფეს შამხლის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნასა და საშამხლოს დაკავებას სთხოვდა. [3:146] ალექსანდრეს ელჩები აცხადებდნენ, რომ წახურის სულთანი მათი მეფის ქვეშევრდომია. [12:59] XVI საუკუნის 80-იან წლებში ალექსანდრე II, თევდორე მეფის, მოსკოვის პატრიარქისა და ბორის გოდუნოვისადმი მიწერილ არაერთ წერილში იუწყება, რომ შამხლის წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყანას უჭირს, რადგან ისინი ბრძოლას გაურბიან და ტყვე-ალაფით დატვირთულნი მიუვალ მთებში იმალებიან. [12:225; 233-234] ხუთასი „იენიჩარი“, რომელიც ალექსანდრეს ჰყავდა, [12:171] ლეკ-აბრაგთა რბევისაგან ქვეყანას ვერ იცავდა. ამავე საუკუნის 60-იანი წლებიდან ირან-ოსმალეთის ხელისუფალთა ინიციატივით კახეთს აღმოსავლეთი ზღუდე თანდათანობით ერღვევა. ჯერ კიდევ 1562 წელს, ერთგული სამსახურის გამო, წახურის მფლობელ ადი-კურკულ-ბეგს ირანის შაჰი - შაჰ-თამაზ I წყალობას აძლევს და ლევან კახთა მეფეს უბრძანებს, რომ „მის სამფლობელოებს ნურავინ შეეხება“. [7:83]

შაჰ-აბას I-ის კახეთში ლაშქრობებს აუნაზღაურებელი ზიანი მოჰყვა. გარდა მატერიალური ზარალისა, კატასტროფულად შემცირდა მოსახლეობა. ამით ისარგებლეს ლეკებმაც, ნაოხარ კახურ სოფლებში ჩამოსახლება და როგორცად გადარჩენილი მოსახლეობის მარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი. ვახუშტი ბატონიშვილი ძირძველი ქართული ქრისტიანული პროვინციის გამაჰმადიანების პროცესს შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „არამედ გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთაო წუქეთისა და ეკლესია დიდი გუმბათიანი, და იჯდაცა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა, არამედ მიუხუნა შაბაზ და ჰყო სასულტნოდ და ამას ეწოდა წუქეთი და აწ უწოდებენ ალი-სულთანად“. [2:539] მცირე ხნით ადრე (1605 წ.), აბას I-მა ალექსანდრე II-ს ძირძველი ქართული კუთხე კაკ-ენისელი ჩამოართვა, იქ თურქმანული მოსახლეობა ჩამოსახლა, ადი-კურკულ-ბეგის ვაჟს - ალი სულთანს შაჰ-თამაზის მიერ ბოძებული სიგელი განუახლა და დამოუკიდებელი ელისუს სასულთნო შექმნა. წყალობაში შაჰს არც სულთანი - ოსმან II ჩამორჩა და 1609 წელს საგანგებო ფირმანით ალი-სულთანს სოფლები: კახი, მემბაში, ზერნა, ლექეთი, ყუმი და ალაგოზი (ალი-ბეგლო) უწყალობა. [7:84]

ი. ლინევიჩი და პოლკოვნიკი კოცებუ ალი-ბეგს ქართველად თვლიან, [14:8; 5:24] რომელმაც უღალატა თავის მეფეს, გამაჰმადიანდა და შაჰს ეახლა პროვინციის მმართველად დანიშნის თხოვნით.

ვახუშტის ცნობით, ელისუს სულთანთა დინასტია ვახვახიშვილებიდან მოდის: „იტყვიან, მივიდა ვახვახიშვილი წინაშე შაბაზისა ქრისტესსა ჩფაჲ, ქრ. სოე (= 1587 წ.), გამოჰმადიანდა და, მოსვლასა ერევანს, მიუღო ალექსანდრეს და დასვა სულტნად იგივე აქა“. [2:539] ამის შემდეგ ელისუს სულთნები შაჰისა და სულთნის ერთგული დასაყრდენები ხდებიან ქართველ ხელისუფალთა წინააღმდეგ. 1632 წელს შაჰ-სეფიმ მეჰმედ-ხან წახურელს უცვლელად განუახლა 1627 წლის სიგელით ნაბოძები ის მიწები, რომლებიც ელისუს სულთნებს წინა შაჰებისაგან მიეღოთ და მოუწოდა დაერბია და დაეცალა თეიმურაზის კახეთი მისი რუსეთთან კავშირის გამო. [14:8] 1642 წელს შაჰ-აბას II-ის ბრძანებით, მეჰმედ ხანის ვაჟს - ხალილ ბეკს [11:1121] 155 თავრიზული თუმანი ენიშნება და შირვანის მფლობელს ევალება, რომ წახურის სამფლობელო ხალილ-ბეკის საკუთრებად ცნოს და ჯამაგირიც აძლიოს. [7:84] ისტორიულ ჰერეთში ქართული მიწების „გაჩუქების“ პროცესი როსტომ-ხანის დროს შეჩერდა, თუმცა დროებით. 1656 წელს როსტომს კახეთი ჩამოართვეს და განჯის ხანს - სელიმს გადასცეს, რომელმაც „მოიყვანა ელნი და დასხნა შიგნით და გარე კახეთს ...და იყო ჭირი დიდი მათგან კახეთსა შინა და ქურდთა და ლეკთაგან“. [2:189] ელისუს სულთნებს ხშირად წყალობდნენ ოსმალებიც. 1724 წელს ახმედ-ხან სულთანი ელისუს მაჰმად-ალი-სულთან-ზადეს სპეციალური ფირმანით არემის სამფლობელოს უწყალობებს. [5:41]

სასულთნოს ჩამოყალიბების პროცესი აბსოლუტურად სხვაგვარად აქვს გაგებული აზერბაიჯანელ ავტორს - არზუ აშრაფ გიზი მამედოვას, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოებმა და სამცხე-საათაბაგომ ცნეს შაჰ-ისმაილისა და შაჰ თამაზის სეფიანთა ირანის ვასალიტეტი, მაგრამ პირველივე შემთხვევისთანავე მახვილით ცდილობდნენ თავი დაეღწიათ მათი ძალაუფლებისაგან. ქართველ მეფეთა მხრიდან არაერთი დარღვეული მოლაპარაკებისა და შეთანხმების გამო, შაჰ თამაზმა შეცვალა კურსი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის საზღვრის დაცვის მიზნით და დაიწყო საზღვრისპირა ტერიტორიებზე მუსლიმანური სამფლობელოების ჩამოყალიბება. ამას შედეგად მოჰყვა შაქის სახანოს გავლენის ზრდა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აზერბაიჯანის ისტორიაში. ეს პოლიტიკა საბოლოოდ დასრულდა წახურის სამფლობელოს დასავლეთით ელისუს სასულთნოს ჩამოყალიბებით. ქართველი მეფეები ალბანურ მიწებზე არც ახალი სამხედრო-პოლიტიკური წარმონაქმნის ჩამოყალიბების ფაქტს შეურიგდნენ და ბრძოლა გააჩაღეს. პროცესის დასრულების თვალსაზრისით გადამწყვეტი აღმოჩნდა 1695 წელს გოლოდასთან გამართული ბრძოლა, სადაც ჭარ-ბელაქანის მუსლიმანურმა მოსახლეობამ ქართულ სამხედრო ძალას გადამწყვეტი დარტყმა მიაყენესო. [16] მამედოვას ქართველ მეფე-მთავართა ირანის შაჰებთან წარმოებული პოლიტიკა თითქოს სწორად ესმის, მაგრამ მისი მცდელობა ძირძველი ქართული მიწების ალბანურ ტერიტორიებად „მონათლოს“ არადამაჯერებელი და ლოგიკას მოკლებულია.¹

სასულთნოს ტერიტორია ორი ნაწილისაგან შედგებოდა: წახურის სამფლობელოსაგან და საკუთრივ ელისუს სასულთნოსაგან. წახური სასულთნოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა. მთლიანობაში ელისუს სასულთნო მოიცავდა შემდეგ ტერიტორიას: დასავლეთით მდ. მუხახისა და ყაფი-ჩაით, სამხრეთით - მდ. ალაზნისა და მისი შენაკადის - აგრი-ჩაით, აღმოსავლეთით - მდ. კაშკა-ჩაით, რომელიც ჰქმნიდა საზღვარს შაქის სახანოსთან, ხოლო ჩრდილოეთის საზღვარი გასდევდა კავკასიონის მთავარ ქედს და მდ. სამურის ზემო წელამდე ვრცელდებოდა კიურინის სახანოს ტერიტორიამდე. [17:61-62] ი. პეტრუშევსკის აზრით, ელისუს სულთნების ძალაუფლება ელისენის ძველი მოურავების მმართველობის გაგრძელება იყო და კახეთის ფეოდალური ურთიერთობების ფესვებზე ჩამოყალიბდა. [17:64]

თავდაპირველად სულთნის არჩევაში გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა ჯამაათს, რომელიც არჩეულ სულთანს მიამაგრებდა სპეციალურ წარმომადგენლებს - ვექილებს. ისინი აკონტროლებდნენ სულთნის ქმედებებს ადათების მიხედვით და დარღვევის შემთხვევაში შეეძლოთ შეეცვალათ იგი სულთნების საგვარეულოს სხვა წარმომადგენლით. [17:65] XVIII საუკუნიდან ელისუს ჯამაათის მიერ სულთნების არჩევის უფლება ფიქციად გადაიქცა, სამაგიეროდ გაიზარდა ჭარის თავისუფალ თემთა გავლენა. ელისუს სულთნები არჩევნებამდე ჭარში მიდოდნენ და საჩუქრებით ცდილობდნენ მოესყიდათ იქაური ქვეხები. ადგილობრივების ყოველგვარი მცდელობა სულთნის არჩევნებში ძველი უფლებების აღდგენის მიზნით მარცხით სრულდებოდა და სულთნის მმართველობა მთლიანად ჭარის ჯამაათის მიერ კონტროლდებოდა. [17:66] ჯამაათის მიერ არჩეულ სულთანს ამტკიცებდა ოსმალეთის სულთანი, ან ირანის შაჰი, იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე აკონტროლებდა მოცემული დროისათვის კავკასიას. [17:66] დამოკიდებულების მიხედვით, სასულთნოს სოფლები სამ კატეგორიებად იყოფოდა: 1) ემორჩილებოდნენ სულთანს, მაგრამ სხვა ვალდებულებები მისადმი არ გააჩნდათ; 2) გადასახადების გადამხდელები; 3) ბეგების ძალაუფლების ქვეშ მოქცეულნი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ სოფლები, რომლებშიც მხოლოდ ლეკები ცხოვრობდნენ. მათ მიერ დაკავებული მიწები თავიდან საერთო მფლობელობას

¹ როგორც ჩანს, ხსენებულ ავტორს საქართველოს ისტორიაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. სქოლიოში გაპარული აქვს უხეში შეცდომა, როდესაც კახეთის მეფე დავით იმამ-ყული-ხანს (1703-1722 წწ.), ბაგრატ III-ის სახელით იხსენიებს [იხ: 16, სქოლიო].

წარმოადგენდა და დანაწილებული არ იყო, მაგრამ მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ელისუს ტერიტორია დაიყო წახურის, ელისუს, კარადულაკისა და სუვაგალის თემებად. თემებში გაბატონებულ ფენას წარმოადგენდნენ ლეკები, რომელთაც სოციალური თავისუფლება ჰქონდათ და საგადასახადო ვალდებულებები არ ეკისრებოდათ. მათი მთავარი საქმიანობა მესაქონლეობა და მეცხვარეობა იყო, მცირე ნაწილი მიწათმოქმედებასა და მეაბრეშუმეობასაც მისდევდა, მაგრამ მიწის მცირე ფართის გამო, მოწეული მოსავალი მხოლოდ 3 თვეს ჰყოფნიდათ. [14:11]

პოლკოვნიკ კოცებუს 1828 წლის სტატისტიკური მონაცემებით, მთის ახლომდებარე მოსახლეობა, საერთო სახელით - გლუხოდარები, გაჭირვებას ჩამოჰყავდა კახეთში და ადგილობრივ მოსახლეობას ემსახურებოდნენ ყველაზე მძიმე სამუშაოების შესასრულებლად. [10:485] მოსახლეობის ზრდასთან ერთად, მთაში „ზედმეტი მუშახელი“ დაგროვდა. უმუშევრად დარჩენილებმა შიმშილისაგან დასაცავად ყაჩაღობა და მარცვა დაიწყეს. მალე ამ საქმემ იმდენად სახიფათო ფორმები მიიღო, რომ კახელებმა საერთოდ შეწყვიტეს გლუხოდარების ბარში მოწვევა. თუმცა, შიმშილით სიკვდილის რეალური საფრთხე გლუხოდარებს აიძულებდა ძალების გაერთიანების მიზნით, მეზობელი დადესტნელები მოეწვიათ და ერთად განეხორციელებინათ თავდასხმები.

თავდაპირველად მთიელები ხეობების გადმოსასვლელებში სახლდებოდნენ. მაგრამ თანდათანობით ბარის ტერიტორიებიც გამოჩნდნენ, მაგ. ქართული პროვინცია - კახი წახურელმა ლეკებმა დაიკავეს. ისინი იყოფოდნენ ერთმანეთის თანასწორ თოხუმებად, რომლებიც ბეგების სოციალური წრიდან ირჩევდნენ წინამძღოლებს. მოგვიანებით, არჩევნებმა წახურიდან ელისუში გადმოინაცვლა. კახის პროვინციის დაკავების შემდეგ, ლეკებმა ახალი სოფლები დაარსეს: მალახი, ზარნა, ლეკით-მალახი. ისინი წახურის თემის მფლობელობაში შედიოდნენ საზოგადოებრივი საკუთრების ფორმით. ლეკებმა მიწის საკმაოდ დიდი ფართობები დაიკავეს, ამიტომ მალევე იძულებულნი გახდნენ მათთან თანაცხოვრების მსურველნი მოეწვიათ. ასეთები მუგალები აღმოჩნდნენ. ისინი ლეკებისგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ არ შეეძლოთ ლეკების მიწითა და სამოვრებით სარგებლობა, თუმცა, ნებადართული იყო მიწისა და სამოვრების იჯარით აღება (მოსავლის 1/6 ნაწილის პირობით), ან ეყიდათ ისინი. [14:15] გარდა ლეკებისა, მათი ნებართვით, ამ ტერიტორიებზე სახლდებოდა შირვანიდან და ყუბანიდან გადმოსახლებული მოსახლეობა, ჩამოსახლებულებს ადგილობრივთაგან მიწა უნდა გამოესყიდათ, მაგრამ ტყე და სამოვრები საერთო იყო. წახურის მსგავსად, ზამ-სუვაგალის თემშიც წამყვანი დარგი მეცხვარეობა იყო. ადგილებზე (ყუმი, კოტუკლო) მისდევდნენ მეაბრეშუმეობასაც. ელისუს სასულთნოში ქართული (ინგილოური) სოფლები იყო: კახი, ალიბეგო, მეშაბაში, სუსკენცი, ყარაგანი, შოთავარი, ყიჩიყ-ქოთულლო და ბეუყ-ქოთულლო.

სულთნის შემოსავლის ძირითად წყაროდ სოფ. კახი ითვლებოდა. სულთანს მის მოსახლეობას დროებით სარგებლობაში აძლევდა მიწას, თუმცა მისი ფართი განსაზღვრული არ იყო და შეეძლო შეხედულებისამებრ გაედიდებინა, ან შეემცირებინა. სულთანსვე შეეძლო გადასახადების წინასწარ აკრეფა, მიწის ჩამორთმევა, ან მისი უფლების სხვისთვის გადაბარება. მაგ. რომელიმე ერთგული ბეგის მხარდაჭერის გამო, სულთანი ხშირად ართმევდა მიწას ინგილოებს, იშვიათად - მუგალებს, მაგრამ არასოდეს - ლეკებს, გამონაკლისს წარმოადგენდა ახოები, რომელიც მოსახლეობას საკუთარი ხელით ჰქონდა გაკაფული და პირად საკუთრებად იქცეოდა. [14:17] კახის მოსახლეობა სულთანს მიწის ბეგარასაც უხდიდა. ინგილოები მიწის თითოეული ნაკვეთიდან (კემკელიდან) სულთანს უხდიდნენ ხორბლის, ქერის შემოსავლიდან 3 თადარ¹ აბრეშუმს და 1 საპალნე² ყურძენს. მუღალებს, ინგილოებთან შედარებით, იმავე ფართობის მიწიდან 3-ჯერ ნაკლები გადასახადი ჰქონდათ. მაგ. 1 თადარი ხორბალი და 1 სტილი³ აბრეშუმი. [14:18] ამას გარდა, ინგილოები გადასახადებს უხდიდნენ ბეგების წარმომავლობის სხვა პირებსაც. ალიბეგლო, რომლის მოსახლეობა (80 კომლი) მთლიანად ინგილო იყო, სულთანს უხდიდნენ 1 თადარ ხორბალს, ჩალთიქს (ჩალთიქი - დაუცხვავი ბრინჯი), ფეტვს, აბრეშუმს (1^{1/2} სტილი თითოეული ოჯახიდან), 1/10 ყურძნის მოსავლიდან. სოფლებს: მეშაბაშსა და ონჯალოს, ტიპიური გადასახადების გარდა, დღესასწაულებზე სულთნისათვის უნდა მიერთმიათ არაყი, ძმარი, კაკალი და სხვ. ბეგების ოჯახში ქორწილისას მეშაბაშელები ვალდებულნი იყვნენ მის ოჯახში თითო სტუმარზე თითო ბატკანი მიეყვანათ. [14:20]

ინგილო გლეხები ასევე ვალდებულნი იყვნენ თავიანთი ხარჯით შეენახათ სულთანი და მთელი მისი ამალა, როდესაც მათ კახში მოუხდებოდათ გაჩერება. [5:82] იყო სხვა მძიმე ვალდებულებებიც, მაგ. პირველი დამის უფლება. ი. პეტრუშევსკის მოჰყავს ინგილოების ერთ-ერთი სოფლის ბეუყ-ქოთულლოს (Бекк-

¹ **თადარი** - მარცვლეულის საწყაო ირანსა (XIII ს-დან) და საქართველოში (XVIII-XIX სს.) ირანში თადარი 100 თავრიზულ მანს (83,2 კგ.) შეადგენდა, საქართველოში კი 30 ლიტრას (დაახლ. 90-100 კგ.)

² **საპალნე** - ჯორის ტვირთი. ზრდასრული ჯორის წონა მერყეობს 370-460 კგ-ს შორის. ჯორს შეუძლია აიკიდოს მისი სხეულის წონის 20%, ანუ 70-80 კგ.

³ **სტილი** - (მასის) წონის ერთეული XVII-XVIII საუკუნეებში ირანსა და საქართველოში. საქართველოში იგი შეადგენდა ლიტრის 1/20-ს. XVII ს-ის მიწურულამდე უდრიდა 128,8 გრამს. XVIII ს-ში - 153-166 გრ.

Котукло) მოსახლეობის საჩივარი ხელისუფლებასთან ბეგების უფლებასთან დაკავშირებით, რომ „ქვრივები და ქალიშვილები შეეძლოთ გაეთხოვებინათ მათი სურვილისამებრ, ან წაეყვანათ მძევლებად“. [17:71] მემბაშელებისა და ონჯალოელების მთავარი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. მიწას მოსახლეობა საერთო შეთანხმების საფუძველზე ამუშავებდა. მას თანაბარ ნაწილებად ყოფდნენ და კენჭისყრას ატარებდნენ. სანაიბოს მთიანი ნაწილის სოფლები (სუვაგილი, სარუბაში, ელისუ) იმდენად მჭიდროდ იყო დასახლებული, რომ მოსახლეობას არათუ ბაღები, ეზოებიც კი არ ჰქონდა. დაბლობში მეაბრემუმეობასთან ერთად მისდევდნენ მევენახეობასაც, განსაკუთრებით ინგილოები. ყურმნისაგან ისინი ღვინოს აყენებდნენ, ხოლო მუგალები ტკბილ წვეს (სიროფს), რომელსაც „ბეკმეხს“ უწოდებდნენ. [15:2] ინგილოებს დიდი რაოდენობით ედგათ კაკლის ხეებიც. მის ნაყოფს ისინი ცვლიდნენ მარილზე. სოფლებში: მემბაშეში, ზარნასა და ლეკიტში ინგილოებს ჰქონდათ ვაშლისა და მსხლის ბაღებიც, რომლის მოსავალს ისინი პურსა და საოჯახო მოხმარების სხვა საგნებზე ცვლიდნენ. [15:3] მიწათმოქმედება ელისუს სასულთნოში ძალზე არათანაბრად იყო განაწილებული მაგ. სოფლებში: სარუბაში, ელისუში, აგრიჩაში, სუვაგილში და სხვ. სახნავი მიწა მთიანი რელიეფის გამო ძალზე ცოტა და, როგორც წესი, კერძო საკუთრებას წარმოადგენდა იმ შთამომავალთათვის, რომელთა წინაპრებმა თავის დროზე ეს ახლები გატეხეს. ახოს გატეხვა ნებისმიერ პირისათვის იყო ნებადართული, ოღონდ არა საზაფხულო საძოვრების ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში ხორბლისა და ქერის თესვისას, მოსახლეობისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო არა ფქვილი, არამედ შინაური საქონლისათვის ზამთრის საკვებით უზრუნველყოფა. [15:3]

სასულთნოს სამიწათმოქმედო სოფლებში მიწის ნაყოფიერებას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ მისი დიდი ნაწილი ირწყოდა ყარა-სუსა და აღ-სუს წყლებით, ან მათგან გამოყვანილი არხებით. თუმცა, ზაფხულობით ეს მდინარეები მეჩხერი იყო და ალაზნამდე ვერ აღწევდნენ. კრიზისისას სოფლებს წყალი განსაზღვრული ვადითა და რაოდენობით ეძლეოდათ, რომლის წესი საგანგებოდ დაცული იყო საამისოდ გამოყოფილი სპეციალური პირების („ჯუვარების“) მიერ. მიწის ყიდვა-გაყიდვა, როგორც წესი, თავისუფალი იყო, მაგრამ ზოგიერთ თემში მოქმედებდა ადათი, რომლის მიხედვით, გაყიდვისას უპირატესობა ენიჭებოდა გამყიდველის ნათესავებს, მეზობლებსა და თემის მაცხოვრებლებს. იმ შემთხვევაში, თუ მათ ამის სურვილი და საშუალება არ ჰქონდათ, შეიძლებოდა მიწის უცხო პირებზე გაყიდვა. მიწის ფასი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენი იყო დასახლებული პუნქტის ირგვლივ თავისუფალი ფართი. მაგ. ამირჯანლოში, მიუხედავად იმისა, რომ მიწა უფრო ნაყოფიერი იყო, თადარი ღირდა 10-დან 35 მანეთამდე, ხოლო ელისუში იგივე ფართი 30-დან - 40 მანეთამდე. [15:6] მიწის დიდი რაოდენობით მფლობელებს შეეძლოთ მისი გაქირავებაც. გაქირავების საზღაური განისაზღვრებოდა ნატურით (მოსავლის ნაწილი - „მალჯაათი“), ან ნათესის რაოდენობით („იოხირი“). „მალჯაათი“ მერყეობდა მოსავლის 1/4-დან - 1/10-მდე. „იოხირის“ გადამხდელი მიწის პატრონს აძლევდა ზუსტად იმდენს, რამდენიც დათესა. მიწის ქირაზე გასულებს ერქვათ „რეჩბერები“. ქართული „ხოზანისა“ და „ბოგანოს“ მსგავსად, იგი ეწოდებოდა ისეთ გლეხს, რომელსაც საკუთარ სარგებლობაში არსებული ნაკვეთი არ გააჩნდა და იძულებული იყო ალას, ან ბეგის მეურნეობაში ემუშავა. [5:87] მიწის სამუშაოების სანაცვლოდ იგი მოსავლის 1/2-ს იხდიდა, მაგრამ გამწევი ძალა და სამუშაო იარაღი მიწის პატრონისა იყო. [15:6] „რეჩბერებად“, როგორც წესი, ზაქათალის ოლქსა და ნუხის მაზრაში მცხოვრები მუგალები გვევლინებოდნენ, იშვიათად - ლეკებიც. თანდათანობით სანაიბოში ვაჭრობა ხელში ჩაიგდეს სომხებმა. ისინი ადგილობრივი მოსახლეობისაგან წინასწარ იჯარით იღებდნენ მსხმოიარე ბაღ-ვენახებს 20% სარგებლით. მოსახლეობის დიდი ნაწილი წინასწარ აღებული ვალის გადახდას ვეღარ ახერხებდა და ქონებას მთლიანად კარგავდა. [15:12] ლეკი ნაიბების მთავარ სიმდიდრეს ცხვარი წარმოადგენდა. თავდაპირველად ელისუს სასულთნოს ტერიტორიის მთელი საძოვარი, გამოწკვლის გარეშე, ლეკების მფლობელობაში იყო, საზამთრო საძოვრებით სარგებლობის უფლება ნაწილდებოდა თოხუმების მიხედვით, თანდათანობით იგი მდიდარ ადამიანთა პრივილეგიად იქცა. ბარის სოფლების მუგალები და ინგილოები, რომლებსაც სურდათ საზაფხულო საძოვრებით ესარგებლათ ლეკთა საკუთრებაში არსებულ ფარებთან ერთად, ვალდებულნი იყვნენ ყოველ 100 ცხვარზე მათთვის 2 ცხვარი მიეცათ. [15:9] მიუხედავად იმისა, რომ ნაყოფიერი მიწა ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას იძლეოდა, მიწისა და რესურსების ძალზე არათანაბარი განაწილების გამო, სასულთნოს მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა.

ჭარელებთან ურთიერთობის გარკვევას რუსები ქართლ-კახეთში დამკვიდრებისთანავე შეეცადნენ. 1802 წელს კნორინგმა ჭარელთა ბელადებს მოწოდებით მიმართა, გამოცხადებულიყვნენ თბილისში მეზობლებთან ურთიერთობების გარკვევის მიზნით, თუმცა, ჭარელთა უხუცესები არათუ თბილისში არ გამოცხადდნენ, არამედ სერიოზული დახმარებაც კი გაუწიეს რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ალექსანდრე ბატონიშვილს. [14:29] ახლად დანიშნულმა მთავარმართებელმა ციციანოვმა, 1803 წლის თებერვალში ჭარში გენერალი გულიაკოვი გაგზავნა და მეჰმედ-ჰასან-ხანს შეუთვალა, ან შეთავაზებული პირობები მიეღოთ, ან „აღვიდა პირისაგან მიწისა“. [14:29] ციციანოვი ჭარელებს 5 პირობას უყენებდა: 1) არ

შეეშვათ მათ სამფლობელოში ალ. ბატონიშვილი; 2) ჭარსა და ბელაქანში ჩადგებოდნენ რუსული რაზმები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას უნდა შეენახა; 3) გადაეხადათ აბრეშუმი იმ რაოდენობით, როგორადაც ძველად ქართველ მეფეებს უხდიდნენ; 4) მიეცათ 5-5 ამანათი (მძევალი - ი. ა.) ჭარის, ბელაქანისა და ელისუს წარჩინებული ოჯახებიდან; 5) შეთავაზებული პირობების მიღების შემთხვევაში დაცული იქნებოდა მათი შინა მმართველობაში ჩაურევლობა და პრივილეგიები „მტკიცე სიტყვითა და პირობით“. [14:29] 1803 წლის მარტში გულიაკოვმა ჭარში ილაშქრა და ექვსი კვირის განმავლობაში მთლიანად დაიმორჩილა. რუსებმა ალაზნის პირას ურდოს ფონთან დააყენეს რედუტი 1 ბატალიონის ოდენობით. დააყენეს პოსტები მდინარეზე გამოსასვლელებთან (ფონებთან) დაღესტნელთა მტაცებლური თარეშების აღკვეთის მიზნით. ჭარ-ბელაქანისა და ელისუს სასულთნოდან თბილისში გაიგზავნა უფლებამოსილი და საპატიო პირები. თბილისში წარგზავნილებმა ფიცით დაამტკიცეს „წარსულ ასწლეულში ქართველთა სამეფოსთან გამოყოფილი ჭარის პროვინციის შეერთება“. [14:30] შეთანხმების პირობები, ჭართან ერთად, ელისუს სასულთნოზეც ვრცელდებოდა. თუმცა, ჭარელებმა პირობა კვლავ არ შეასრულეს და ციციანოვის არაერთი მუქარის მიუხედავად, არა მარტო გზას უხსნიდნენ დაღესტნელ მოთარეშეებს, არამედ თვითონაც მონაწილეობდნენ ამ თარეშებში და ხარკსაც არ იხდიდნენ. ელისუს სულთანმა - ახმედ ხანმა ვითარებას ალლო აულო და შეეცადა ჭარელების გვერდის ავლით დაემყარებინა ურთიერთობა და გავლენა მოეპოვებინა რუს მაღალჩინოსნებთან. 1807 წელს ახმედ-ხანი თავის უფროს ვაჟთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და ხელისუფალთ განუცხადა, თუ აქამდე რუსებისადმი ერთგულებისა და თავდადების ჩვენება ვერ მოახერხა, იმით იყო განპირობებული, რომ გარშემორტყმული იყო მტრულად განწყობილი მარბიელი ლეკური რაზმებით. იმისათვის, რომ დროულად და სრულად აეკრიფა ხარკი, ახმედ-ხანი ითხოვდა მის სამფლობელოში ციხის აშენებას და შიგ რუსული მხედრობის ჩაყენებას. იმპერატორისადმი ერთგულების დასამტკიცებლად, სულთანი ნებაყოფლობით ტოვებდა თბილისში „ამანათის“ სახით თავის ვაჟს და ითხოვდა იგი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიეზარებინათ. [9:326] ამ საქციელისათვის იმპერატორმა ახმედ-ხანს პოლკოვნიკის ჩინი და წელიწადში 1200 მანეთი ხელფასი უბოძა. [9:327] ახმედ-ხანის მიზანი, სხვა ლეკების გავლენისაგან გათავისუფლებულიყო, მიღწეულ იქნა, მაგრამ ელისუს ლეკები მარბიელ თარეშებს არ იშლიდნენ, რის გამოც ახმედ-ხანს რუსების წინაშე ხშირად უხდებოდა თავის მართლება. ახმედ-ხანმა რუსებისადმი ერთგულება ერმოლოვის დროსაც გააგრძელა. უფრო მეტიც, იგი თავის მომხრეებთან ერთად, უშუალოდ მონაწილეობდა რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში. 1830 წელს ახმედ-ხანი გარდაიცვალა და მემკვიდრედ გამოცხადდა მისი ვაჟი - მუსა, მაგრამ იმავე წელს მუსაც მამის გზას დაადგა და სულთანი გახდა ახმედის მომდევნო ვაჟი - დანიელ-ბეკი. დანიელ-ბეკმა, თავისი პიროვნული თვისებებით, მალევე მოიგო რუსების გული, ამიტომ კაპიტნობიდან გენერალ მაიორის ჩინამდე აღაზვეეს და მამის მსგავსად წლიური 1200 მანეთი პენსია დაუნიშნეს. ტრადიციული მმართველობის სამოქალაქო რელსებზე გადაყვანა ელისუმი რადიკალურ ზომებს არ ითვალისწინებდა და ადგილობრივი მოსახლეობაც შედარებით „მშვიდად“ იყო. ასე გაგრძელდა 1840 წლამდე. 1840 წელს ჭარ-ბელაქანის ოლქი გადაკეთდა მაზრად და მიაწერეს საქართველო-იმერეთის გუბერნიას. მაზრა გაიყო სამ ნაწილად: ბელაქანის, ენისელის და ელისუს. 1842 წელს სამხედრო მინისტრ ჩერნიშევის წინადადებით, ბელაქანის მაზრა გადაკეთდა მხარედ და დაექვემდებარა სამხედრო სამმართველოს. სამოქალაქო მმართველობიდან მასში დარჩა მხოლოდ სახაზინო განყოფილება. სისხლის სამართლის საქმეები უნდა გაერჩია ზაქათალის სამხედრო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეებს არჩევდნენ შარიათის, ხოლო, სურვილის შემთხვევაში რუსული სამოქალაქო კანონმდებლობით, რომელიც იხილებოდა მეზობელ შაქის სამოქალაქო სამმართველოში. სასოფლო მმართველობას ძველებურად უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის მიერ არჩეული უზბაშები, ქევხები, თაბუნ-ბაშები და ჩაუშები. უზბაშები სოფლის მეთაურები იყვნენ, ქევხები - მამასახლისები, თაბუნ-ბაშები მამასახლისების მოადგილეები და გადასახადების ამკრეფნი. მათი რაოდენობა დამოკიდებული იყო სოფლის სიდიდეზე და 2-დან 5-მდე მერყობდა. ჩაუშები უზბაშებისა და ქევხების დავალებებს ასრულებდნენ: ხალხის შეკრების, ბინების ყიდვა-გაყიდვის, სხვადასხვა ვალდებულებების შესრულება და სხვ. მხარის სამხედრო მეთაურად გენერალმა ნეიდგარტმა გენერალ-მაიორი შვარცი დანიშნა, რომელსაც ექვემდებარებოდა სამხედრო საკითხები, ხოლო სამოქალაქო საქმეებს გუბერნიის სამოქალაქო განყოფილება უძღვებოდა. [14:39] მხარეში სიმშვიდისა და უშიშროების შენარჩუნების მიზნით, საგანგებო ინსტრუქციით სამოქალაქო ხელისუფლება ვალდებული იყო დაუყოვნებლივ შეესრულებინა ყველა განკარგულება, რომელსაც სამხედრო-სამხარეო განყოფილება გამოსცემდა.

კავკასიაში დაწყებულმა ომმა რუსული ხელისუფლება გატარებული ღონისძიებების არაეფექტურობაში დაარწმუნა, ამიტომ გოლოვინის ბრძანებით გადაწყდა, რომ დანიელ-ბეკისათვის მიენიჭებინათ შინაგან საქმეებში სრული თავისუფლება, გარდა სისხლის მიმიე დანაშაულებებისა. თუმცა, მალევე შვარცსა და დანიელ-ბეკს შორის მძაფრი დაპირისპირება დაიწყო. დანიელ-ბეკი შეურაცხყოფილი დარჩა იმით, რომ 1840 წლის რეფორმით ელისუს სასულთნო უბნის სახით ბელაქანის მაზრაში შეიყვანეს და

საქართველო-იმერეთის გუბერნიას დაუქვემდებარეს. მან იმპერატორსაც კი მიმართა წერილით, აღედგინათ მისთვის ძველი უფლებები. [14:49-50] რუსები დათმობაზე აღარ წავიდნენ და 1844 წელს დანიელ-ბეკი შამილის მხარეს გადავიდა. 1844 წლის 14 ივნისს გენერალ შვარცის ჯარები ელისუს სასულთნოში შევიდნენ. დანიელ-ბეკმა თავი სარუბაშის ხეობას შეაფარა თავი. შვარცმა სულთნის თანამდებობა გააუქმა და ახალი მმართველობა დააწესა. [14:54] დანიელ-ბეკმა რამდენჯერმე სცადა დაკარგული ძალაუფლების აღდგენა. 1852-1853 წლებში იგი შამილთან ერთად რამდენჯერმე გამოჩნდა ბელაქანში, მაგრამ უშედეგოდ. [18:17-18] ელისუს სასულთნო ჯერ ელისუს მხარედ გადაკეთდა, რომელიც ჭარ-ბელაქანის მხარის სამხედრო-სამხარეო ხელმძღვანელს დაექვემდებარა, ხოლო შემდეგ საუბნოდ და ჭარ-ბელაქანის ოლქს მიეკუთვნა.

ელისუს ყოფილმა სულთანმა ბოლომდე ვერც შამილს უერთგულა. 1859 წელს იგი კვლავ რუსეთის მხარეს გადავიდა და შამილს საშუალება არ მისცა თავი იოზუს მთებისათვის შეეფარებინა და იქ გამაგრებულიყო. ამ დამსახურებისათვის რუსებმა დანიელ-ბეკს გენერლის ჩინი აღუდგინეს და პენსია დაუნიშნეს, მაგრამ მას ელისუს სასულთნოს აღდგენა სურდა „მემკვიდრეობის უფლებით“, [14:54] მან მიზანს ვერ მიაღწია და იძულებული გახდა 1869 წელს თურქეთში გადასახლებულიყო.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011.
2. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
3. გუჩუა ვიქტორ. კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
4. პაპუაშვილი თენგიზ. საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 2008.
5. პაპუაშვილი თენგიზ. ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972.
6. პაპუაშვილი თენგიზ. ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.
7. ჯანაშვილი მოსე. საინგილო, კრებულში: „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. II, ტფ., 1913.
8. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955.
9. . . III, . 1869.
10. . . IV, ., 1870.
11. . . V. . II, . 1873.
12. . 1578-1613 ., . I, 1889.
13. . (II). www.google.ru.
. www.turkishnews.com/ru/.../ - - - - /
14. . . VII., ., 1877.
15. Несколько данных для определения экономического быта жителей Елисуйского наибства, Закаतालского округа. В кн. . VII., ., 1877.
16. . ., www.google.ru/Илисуйское султанство// jurnal.org/articles/2009/hist26.html.
17. Петрушевский И. Джаро-Белаканские вольные общества в первой трети столетия, Тифлис 1934.
18. . . IV, ., 1876.


FROM THE HISTORY OF POLITICAL-SOCIAL LIFE OF THE ELISUS SULTANATE Ioseb (Soso) Alimbarashvili, Gori State Teaching University, Assistant Professor RESUME

Hereti and Tsuketi were part of Georgia during the reign of Vaxtang Gorgasali, but some Azerbaijani author tries to prove, that Georgians appeared in the area during the reign of David the Builder and the ancient Georgian Toponyms and Oikonyms were as Turkish origin.


The article describes the process of foundation of the Sultanate of Elisiu, its localization, increasing of non-Georgian elements at the local territory and “Ingilo prossesing“of local Georgians.

“Jamaat’s” role and influence in the processing to choose and management Elisiu Sultans and Sultanate. Unequal tax liabilities of “Ingilos“ and “Mughals“and their place in the local community, the political and social changes of Elisiu Sultanate after the entering of the Russia “protection” (in 1803), ethnic and social statistical data of the local populations, unequal distribution process of Agricultural lands for population of ethnic and social composition.

ს ა ნ ე ზ ი ლ მ (ზ ა რ - ზ ე ლ ა ე ა ნ ი ს ი და ა ლ ი ს უ ს ს ა ს ე ლ ო ტ ე მ)



ს ა ნ ე ზ ი ლ მ (ზ ა რ - ზ ე ლ ა ე ა ნ ი ს ი და ა ლ ი ს უ ს ს ა ს ე ლ ო ტ ე მ)



ვახუშტი ბატონიშვილი ქსნის ხეობის შესახებ

დავით ახლოური, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: davit.akhlouri@mail.ru

XVIII საუკუნის ცნობილმა მოღვაწემ ვახუშტი ბატონიშვილმა უდიდესი ამაგი დასდო ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას. საქართველოს წარსულის კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით მის მიერ შედგენილ რუკებსა და ფუნდამენტურ ნაშრომს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ამჯერად ქსნის ხეობის ვახუშტისეული აღწერით დავინტერესდით. ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი აქტიური საზოგადო მოღვაწე იყო. მაგალითისათვის აღსანიშნავია ბაქარ მეფის მიერ მისი წარგზავნა ქსნის საერისთავოში კონფლიქტური სიტუაციების მოსაგვარებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვახუშტის კარგად უნდა ცოდნოდა ქსნის საერისთავო და, ცხადია, ქსნის ხეობაც, რომელიც საერისთავოს დიდ ნაწილს შეადგენდა.

ჰიდრონიმ „ქსნის“ შესახებ ვახუშტი წერს: „მდინარემან ქსანმან მოიგო სახელი ესრეთ, რამე - თუ მდინარე ესე არს სხუათა მდინარეთა ერთი კსანი“ (5:352). ცნობილი ისტორიკოსი ქსანს წონის საზომ ერთეულს უკავშირებდა. „ქსანი“, სულხან-საბას განმარტებით „ერთი თუხტი და თუხტის ნაოთხალია“ (18:234). თუხტი დრამნახევარს უდრიდა, რაც 5,116 გრამის ტოლფასია...

ქსანს საკმეველის, ნიგვზისა და ერბოს საწონ ერთეულად იხსენიებს ივანე ჯავახიშვილი (24:68). უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ამ მოსაზრებას არ იზიარებს მკვლევარი ვ. აბრამიშვილი. მისი მოსაზრებით მდინარე ქსნის სახელწოდება, მისი ბუნებიდან გამომდინარე, დაკავშირებული უნდა იყოს სიტყვა „ქსუ“-სთან (2:11-17). „ქსუ (კსუ), სულხან-საბას განმარტებით, ფრინველია გაუწვრთნელი, შეუჩვეველი, მოუმშვიდებელი, უმწყსო (18:235), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი, ქსუ შეუჩვეველი, მფრთხალი (ცხოველი, ფრინველი), ქსუ ცხვარი, გადატანით მიუკარებელი (ადამიანი)“ (19:457). ვ. აბრამიშვილის დაკვირვებით, ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფიაში“, აღნიშნული მდინარის სახელწოდების ორ ფორმას იყენებს: ქსანი და კსანი, „თითქოს მეცნიერს (ვახუშტი ბატონიშვილს - დ.ა.) სურს ხაზი გაუსვას იმ აზრს, რომ ორივე ფორმა ერთი და იგივეა და მათ შორის განსხვავება არ არსებობს (ქსანი ნახმარია 13-ჯერ, კსანი - 10-ჯერ)“ (2:16).

ქსნის ხეობის აღწერისას ვახუშტი ყურადღებას აქცევს მდინარის მიმართულებას და მიანიშნებს, რომ „მდინარე კსნისა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით, დის და გამოსდის ქნოლოს ჟამურის საშუალს კავკასს. ქარჩოხამდის დის აღმოსავლეთად, ქარჩოხის ქუეთ სამხრით გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკუარს“ (5:359). ქარჩოხის ხეობამდე, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ლომისის ხევამდე აღმოსავლეთით მომდინარე ქსანი, უმეტესწილად მაღლობიდან დაბლობისაკენ მოექანება, სამხრეთით, ქარჩოხის ხეობიდან მტკვართან შეერთებამდე კი უფრო დავაკებულ ტერიტორიას გაივლის.

ქსნის ხეობა ქსნის სათავიდან ანუ ყელის ტბიდან ოძისამდე ახალგორის რაიონს მიეკუთვნება, ოძისი დუშეთის რაიონია, ოძისის სამხრეთით, ქსოვრისიდან მტკვართან შეერთებამდე - მცხეთის რაიონი. მდინარის სიგრძე 84 კმ-ია, მთავარი შენაკადებია ცხრაზმულა, ჭურთა და ალურა (1:561).

ვახუშტი ქსნის ხეობის აღწერას მდინარის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებიდან იწყებს: „სარკინეთის მთის ჩრდილოს გუერდი, ვიდრე ქანდა - ციხის ძირამდე, არს ვენახოვანი, ხილიანი, ბალახიანი და ტყიანი, ხოლო ციხისძირს ჩამოუდის ქსანი. ოძისამდე არს მუხრანისა, ოძისის ჩრდილოთ კერძი კსნის ხევისა“ (5:352). ვახუშტი ქსნის ხეობის ორი ნაწილის ქსნის საერისთავოსა და სამუხრანბატონოს გამიჯვნას ახდენს და ამ სათავადოების საზღვრებზე მიგვანიშნებს. ციხისძირის სამხრეთით მდებარე ქსნის ციხეს მტკვრის ციხის სახელწოდებით მოიხსენიებს და მის აღმშენებლად მეფე კონსტანტინეს ძეს ბაგრატს ასახელებს. ქსნის ციხეს ბაგრატ მეფის მიერ აგებულად მიიჩნევს ბერი ეგნატაშვილიც, ოღონდ იგი, ვახუშტისაგან განსხვავებით მას მტკვრის ციხის სახელწოდებით იცნობს (7:50). ვახუშტის ცნობაზე დაყრდნობით, პ. ზაქარაიამ ციხის აგების თარიღად 1512 წელი მიიჩნია (12:158). ეს მოსაზრება არ გაიზიარეს დ. გვრიტიშვილმა (9:360) და ჯ. გვასალიამ (9:102). ვახუშტის აღნიშნულ ცნობას და ქსნის ციხის აგების თარიღს პ. ზაქარაია მოგვიანებითაც შეეხო სხვა შრომებში (იხ. 13: 114-117; 14:343-351). მან დ. გვრიტიშვილისა და ჯ. გვასალიას მოსაზრებებსაც მიაქცია ყურადღება, მაგრამ ციხის ამგებისა და აგების თარიღის შესახებ აზრი არ შეუცვლია (14:344). ვფიქრობთ, უფრო რეალური უნდა იყოს პ. ზაქარაიას მოსაზრება, რომელიც ეყრდნობა ისეთი გამოჩენილი ისტორიკოსების ცნობებს, როგორებიც „ქართლის ცხოვრების“ ავტორები ვახუშტი ბატონიშვილი და ბერი ეგნატაშვილი იყვნენ... აღნიშნულ მოსაზრებას კიდევ უფრო ჯეროვანს ხდის შესასვლელის თავზე ამოტვიფრული მხედრული წარწერა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ კონსტანტინეს ციხე განუახლებია 1746 წელს.

გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ქსნის ციხეს ციხისძირის სახელწოდებით მოიხსენიებს და განახლების თარიღად 1748 წელს მიუთითებს (4:29). ციხის წარწერას და გიულდენშტედტის ცნობას შორის 2 წელია სხვაობა. ციხის აგების თარიღად 1748 წელს მიიჩნევს ირ. ციციშვილიც (22:86). XVI საუკუნის დასაწყისში აგებული ქსნის ციხე მუხრანბატონების თავდაპირველი რეზიდენცია იყო, მოგვიანებით რეზიდენციამ მუხრანში (შიოსუბანში) გადმოინაცვლა, რასაც პ. ზაქარაია XVII საუკუნის მოვლენად მიიჩნევს (14:344) სამუხრანბატონო კი XVI საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა...

ქსნის ციხეზე საუბრის შემდეგ, ვახუშტი ციხის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე მოგვითხრობს: „სამ კრით, მტკუარამდე და ნასპარსევამდე, არს მინდორი ნასპარსევისა წოდებული“ (5:352).

რუკაზე ვახუშტის ნასპარსევის ადგილზე ნასტაკისი აქვს მითითებული, ნასტაკისის ადგილზე კი - ნასპარსევი, რაც თავის დროზე შენიშნა ჯ. გვასალიამ (8:97). ტოპონიმი ნასპარსევი დღეს აღარ მოიხსენიება, ვახუშტის მიხედვით კი ნასტაკისის აღმოსავლეთით მდებარეობდა და მოიცავდა ტერიტორიას შიომღვიმემდე.

„შიოს-უბანს არს შენობა დიდი სასახლეა, - აღნიშნავს ვახუშტი შიოსუბანში ანუ მუხრანში მდებარე მუხრანბატონთა სასახლეზე საუბრისას (5:352). ვახუშტი მუხრანს შიოსუბნის სახელწოდებით მოიხსენიებს. ეს სახელწოდება ცნობილია გიულდენშტედტისთვისაც (10:57), ვახუშტი ტოპონიმ მუხრანზეც ამახვილებს ყურადღებას „ხოლო მუხრანმან მოიგო სახელი ესე მუხათგან, სადაცა არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხანი“ (5:348). აღნიშნულ ტერმინს ვახუშტისთანაც იგივე დატვირთვა აქვს, რაც გიულდენშტედტთან - მურანბატონის სამბრძანებლოს მოიცავს. შიოსუბანი მუხრანს XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე ერქვა, სოფელში შემორჩენილია მუხრანბატონის ციხე-გალავანი, რომელიც 1733 წელს აუგია მამუკა მუხრანბატონს, რომლის ნანგრევებზეც სახლუხუცეს კონსტანტინე მუხრანბატონს ციხე აუშენებია (16:231).

მუხრანის ანუ შიოსუბნის შემდეგ ვახუშტი ქსოვრისზე, ოძისზე და ქსნის დასავლეთით მდებარე სოფლებზე ამახვილებს ყურადღებას: „არის ჩრდილოთ ქსორისი. მუნ არს ადებული რუ, და რწყავს ნაყოფიერებას მით ფრიად. მას ზეით ოძისი და, დასავლით კსნისა, ირტო-თეზ-ოკმის მინდორი და ჩანგილარ-ბეგთათავისა; ირწყვის ქსნის რუთივე და ნაყოფიერებს“ (352).

ვახუშტი მუხრანში (მუხრანბატონების სამთავროში) 56 სოფელს ასახელებს (5:199). მუხრანბატონთა საბრძანის კი ფრიად შემკულ მხარედ მიიჩნევს: „ესე მუხრანი ფრიად შემკული არს ზამთარი სითბოთი, და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი, ზაფხულს მშუენი, კეთილ-აგარაკოვანი, ცივნი წყარონი, ჰავით მშუენი, მოსავალი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს, პირუტყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი, რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან. ფრინველნი გარეულნი და შინაურნი მრავალნი, სანადირონი მოუკლებელნი“ (5:352-353). მუხრანის მცხოვრებთა შესახებ აღნიშნავს: „სახლობენ გუარიაანი აზნაურნი და კაცნი მკნენი და მერძოლნი, არამედ მპარავნი“ (5:353). ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი კიდევ უფრო მკაცრია ქსნის ხეობის მეორე სათავადოს - ქსნის საერისთავოს მცხოვრებთა დახასიათებისას. ქსნის შენაკად ჭურთის ხეობაზე საუბრისას იგი მიგვანიშნებს, რომ „მოსახლენი არიან სარწმუნოებით ქართველნი, ეგრეთვე კსნის-ჰევისა და ცხრაზმისა. მოსავლით არს ჭურთა, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი. კაცნი და ქალნი ამ სამთა ჰეობათანი არიან, ვითარცა დავსწერეთ მთიულნი, მათნი მიმსგავსებულნი, და ისინი ყოვლითა უმჯობესნი, ხოლო ესენი ქურდნი, მპარავნი, მმარცველნი, უსირცხონი“ (5:360).

ვახუშტი ქსნის საერისთავოს ზოგადად კსნის-ჰევის ტერმინით მოიხსენიებს. აღწერს რა ოძისის ჩრდილოეთით მდებარე ქსნის სანახებს, პირველ რიგში ხოფის მონასტერზე მიგვითითებს: „ოძის ზეით არს მონასტერი ხოფა, უგუმბათო, დიდშენი კეთილად და აწ ცარიელი“ (5:359). ხოფის მონასტერი XIII ს. I ნახევარშია აგებული. ეკლესიის სიდადეზე დღესაც მიგვანიშნებს მისი მოხატულობის ფრაგმენტები. ვახუშტის ხოფის ტაძარი რუკაზედაც აქვს აღნიშნული, თუმცა მის დროს მოქმედი არ ყოფილა. XVIII საუკუნის ბოლოს, 1797 წელს, ანტონ II კათალიკოსმა მონასტრის არქიმანდრიტად დოსითეოს ფიცხელაური დანიშნა, რომელსაც ტაძრის აღდგენა და კურთხევა დაევალა (17:465). ვახუშტი ხოფის ჩრდილოეთის მდებარე ქსნის საერისთავოს ადმინისტრაციულ ცენტრს ახალგორს მცირე ქალაქის სახელწოდებით მოიხსენიებს: „ჩრდილოეთით არს მცირე ქალაქი ახალგორი, მსახლობელნი არიან სომეხნი, და სასახლე ქსნის ერისთავისა“ (5:359). იგი ახალგორს XVI საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ქართლში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებითაც ახსენებს. როცა ქართლის რეაქციონერმა ფეოდალებმა ბარძიმ ამილახვარმა და ელიზბარ ერისთავმა ისარგებლეს ქვეყანაში არსებული განუკითხაობით, თავს დაესხნენ ალამუტის ციხეში დატყვევებული ქართლის მეფის სიმონის ოჯახს და გამარცხეს 93:47). მეფის ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ, როგორც ვახუშტი აღგვიწერს „შეშინდა კსნის ერისთავი ელიზბარი და შეუჯრდა დედოფალსა; შესძლუნა სრულიად მინატაცი და სხუანიც მრავალნი, კულად ახალგორი (ხაზგასმა ჩვენი - დ.ა.) და მეჯვდა“ (5:412). სწორედ ვახუშტისთან და ბერი

ეგნატაშვილთან (7:372) იხსენიება ისტორიულ წყაროებში პირველად ახალგორი XVI საუკუნის აღნიშნულ ამბებთან დაკავშირებით... როგორც ვხედავთ, ვახუშტი ახალგორის მცხოვრებთა შორის მხოლოდ სომხებს ასახელებს. XVII საუკუნის I ნახევრის ისტორიული წყაროს მიხედვით, სადაც საუბარია წილკნელის ქსნის საერისთავოში, ახალგორის მცხოვრებთა შორის მოხსენიებულნი არიან ქართველები და სომხები (21:561). 1770 წლის 5 აპრილით დათარიღებული ქართლ-კახეთის აღწერის მიხედვით კი იმ დროისათვის ახალგორში 140 კომლს უცხოვრია „მართლმადიდებელ ქართველებს და სომხებს“ (20:420). არქეოლოგიური მასალით ცხადი ხდება, რომ ქართველ მოსახლეობას ახალგორის ტერიტორიაზე ნეოლითის ხანიდან თითქმის უწყვეტად უცხოვრია. სომხების ახალგორში გადმოსახლება კი XV საუკუნეში უნდა მომხდარიყო (3:121). ვახუშტი ახალგორში მხოლოდ ძირითად სასახლეზე მიგვითითებს, სადაც დღეს ქსნის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალია განთავსებული და თავის დროზე ქსნის ერისთავს უნდა ეცხოვრა თავისი ოჯახით. ქსნის ერისთავებმა ახალგორში ააგეს სამი დიდი არქიტექტურული ანსამბლი. დღეისათვის შემორჩენილია ქსნის ერისთავების ციხე-სასახლით, გარნიზონის სადგომი კომპლექსით (რომელსაც ერისთავების მეორე შტოს საცხოვრისადაც მოიხსენიებენ), ციხის წისკვილი, 12 მცირე და მოზრდილი ზომის ეკლესია და ცალკე მდგარი რამდენიმე კოშკის ნაშთი.

ქსნის ხეობის აღწერისას ვახუშტი ახალგორის ჩრდილოეთით ყურადღებას ამახვილებს წირქოლის ციხეზე, სოფელ წირქოლს კი დაბად მოიხსენიებს „ქსნის დასავლით კიდესა ზედა, არს ციხე დაბასა წირქვალს“ (5:359). შემდეგ ახალდაბის ციხეზე, კაბენის მონასტერზე, ხადის ციხეზე და ზებეყურის მთაზე საუბრობს (5:359). ვახუშტის მიერ ნახსენები წირქოლის ციხე ისტორიულ წყაროებში X საუკუნის 70-იანი წლებიდან იხსენიება, როცა ქსნის ხეობის ერთი ნაწილები და მათ შორის წირქოლის კარგად გამაგრებული ციხე კახეთის საზღვრებში შედიოდა (25:41) XIV საუკუნიდან იგი ქვენიფნეველებს (ქსნის ერისთავთა ადრინდელი ტიტული) ეკუთვნოდათ. XVIII საუკუნეში ვახუშტის მოღვაწეობის დროს. გივი ამილახვრის მფლობელობაშია. მოგვიანებით თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის წირქოლზე ერთობლივი ლაშქრობის შემდეგ რევაზ ამილახვარმა ციხე თეიმურაზს დაუთმო (13:68). სამეფო კარმა კი ისევ ქსნის ერისთავებს გადასცა... ციხე მოქმედი ჩანს 1804 წლის მთიულეთის აჯანყების დროსაც. რაც შეეხება კაბენის მონასტერს, იგი IX საუკუნის ძეგლია. XV საუკუნეში ტაძარში არსებული ხელნაწერები და მდიდარი ბიბლიოთეკა ყანჩავეთის ეკლესიაში განათავსეს. ხელნაწერთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ყანჩავეთის ჟამნგულანი (XVII ს.) და ყანჩავეთის ოთხთავი (XII-XIII სს.). როგორც ვახუშტი შენიშნავს, „კეთილად ნაშენი“ ერთ დროს მდიდარი და ხალხმრავალი მონასტერი „აწ ხუცის სამარ“ იყო დარჩენილი.

ვ. ბატონიშვილი ქსნის სათავადოს გეოგრაფიული გარემოს მიხედვით ორ ნაწილად ყოფს, საერისთავოს მთის რეგიონად და ბარის რეგიონად. გამოყოფად ალევის მთას მიიჩნევს, რომელიც ჩრდილოეთით „დაავიწოვებს კსანსა კლდითა, ამ კლდეს ქუეთ მტკუარამდე კსანი არის ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხუანი აღვსწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან-კლდიანობითა. ამავე ჩრდილოთ, საძეგურს, ერთვის კსანსა აღმოსავლეთიდან კვევი, ალევის მთის გამომდინარე. საძეგურის ჩრდილოთ არს მონასტერი ლარგვისი, წმიდის თევდორესი, აღმოსავლით უდის ქსანი, სამჭრით ჭურთის წყალი, უგუმბათო, შემკული ყოვლითა, აწ ხუცის სამარ“ (5:359). „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, ლარგვისის მონასტერი აგებული უნდა იყოს VI საუკუნეში ცხრაზმის საერისთავოს პირველი ერისთავის როსტომის მიერ, „როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგვისს და განასრულა და შეამკო ყოვლითურთ ეკლესია“ (23:346). ლარგვისზე საუბრისას ვახუშტი აქ შანშე ერისთავის მიერ აგებულ ციხეზეც მიგვითითებს: „აქა ჰყო შანშემ ციხე, არამედ ურგებად თვისად“ (5:360).

ლარგვისის ჩრდილოეთით ვ. ბატონიშვილი ცხრაზმის ხევსა და ქარჩოხის ხეობაში მდებარე ციხეზე ამახვილებს ყურადღებას: ლარგვისის „ჩრდილოთ ერთვის კსანს აღმოსავლიდან ცხრაზმის კვევი, გამოსდის ლომისას და არს ადგილი ესე მოსავლიანი, მთის ალაგთაებრი. და ამ კვეს ზეით, ჩრდილოთკენ, არს ციხე ქარჩოხისა, კსნის პირსა ზედა, ლომისიდან ჩამოსულს კლდესა ზედა. უდის სამჭრით კსანი და აღმოსავლით კვევი, ლომისის მთის გამომდინარე, და აღვალს აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს“ (5:360). როგორც ვხედავთ, ვახუშტი არ ასახელებს ცხრაზმისა და ქარჩოხის ხეობის სოფლებს (ქარჩოხი სოფელსაც ერქვა), ძირითადად ყურადღება ამახვილებულია ქსნის შენაკადებზე და ხეობაში არსებულ მატერიალურ ძეგლებზე. იგი ქარჩოხის ხეობაში, ლომისის მთის სიახლოვეს „ქსნის პირსა ზედა“ მდებარე ციხეს ქარჩოხის ციხის სახელწოდებით იცნობს, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა მას ცხმორის ციხეს უწოდებს. ქარჩოხიდან გზა დასავლეთით ჟამურის ხეობისკენ გრძელდება, სადაც იმ დროს ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ოსები ცხოვრობდნენ და მდებარეობდა ჟამურის ციხე, „ბერციხედ წოდვილი“ (5:360), ქსნის ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე-კოშკი, რომელიც ქსნის სათავეს მეთვალყურეობდა.

ვახუშტი ქსნის ხეობის აღწერას ჟამურის მთის სამხრეთით მდებარე ჭურთისხევის აღწერით ასრულებს: „ხოლო სამკრით ჟამურისა არს მთა, განმყოფელი ჭურთისა და ჟამურისა, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი და ნადირიანი. ამ მთის სამკრით არს ჭურთის-ხევი, რომლისა წყალი გასდის ამავე მთასა, და სად ერთვის ამ წყალს ცხრაწყაროს-წყალი, მუნ, ამ ორთა წყალთა შუა, არს ციხე წინკიბე, ფრიად მაგარი. ამ ორთა ჰევთა უწოდებენ ჭურთას და მიდის აღმოსავლეთად და მიერთვის მონასტერს კსანსა“ (5:360). ჭურთის ხეობა რამდენიმე სოფლისაგან შედგება, მათ შორის გავაზი, საბარკლეთი და კუცხოეთი სამთავნელის სარგოს X საუკუნის წიგნშია დასახელებული. გარდა ვახუშტის მიერ ნახსენები წინკიბის ფრიად მაგარი ციხისა, ჭურთის ხეობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლია - ციხის კარი, ხოხანის, იგივე ჭურთის ციხე და კარას კოშკი. ჭურთის წყალი ლარგვისის მონასტერთან უერთდება ქსანს სამხრეთ-აღმოსავლეთით - „მიერთვის მონასტერს კსანსა“...

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილმა თავისი „აღწერით“ შეუფასებელი საგანძური დაგვიტოვა. მთელ რიგ შემთხვევებში ზუსტია და უტყუარი მისი ცნობები. ცალკე კვლევის საგანია ქსნის ხეობაში არსებულ სათავადოებში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, რომელთა შესახებაც ვახუშტი არაერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის.

ლიტერატურა:

1. აფხაზავა ი., ქსანი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986.
2. აბრამიშვილი ვ., ლიახვი, ქსანი, არაგვი, 2005.
3. ახლოური დ., ახალგორის ისტორია, თბ., 2006.
4. ახლოური დ., იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში, თბ., 2006.
5. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, 1973.
6. ბაგრატიონი ვახუშტი, საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997.
7. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, 1959.
8. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, 1983.
9. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური ქართლის სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955.
10. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, 1962.
11. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1940.
12. ზაქარაია პ., ქსნის, მჭადიჯვრის და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII, 1954.
13. ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988.
14. ზაქარაია პ., ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, 2002.
15. მაკალათია ს., ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1968.
16. მუხრანი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, 1984.
17. საქართველოს სიძველენი, II, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1909.
18. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993.
19. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბ., 1985.
20. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, 1965.
21. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, 1970.
22. ციციშვილი ირ., ქართული არქიტექტურის ისტორია, 1955.
23. ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას რედაქციით, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.
24. ჯავახიშვილი ივ., საფას-საზომი, თბ., 1925.
25. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ., 1948.

VAKHUSHTI PRINCE OF KSANI VALLEY
Davit Akhlouri, Gori State Teaching University, Associate Professor
RESUME

The paper deals with a famous 18th century historian and geographer Batonishvili information about the Ksani Valley satavados Ksani saeristavosa and Samukhranbatonos.

The main focus is on the geographical description of the valley. Vakhushti Kartli was sent by the royal Ksani to resolve the conflict, so he was well aware of the geographical environment, which was characterized by its modern Ksani Valley.

The paper Vakhushtis by geographic names and monuments of material culture found in the literature for additional information, which fills the valley Ksani vakhushtiseul sigh and confirm the reliability as well as uncertainty.

Finally, it highlights the great contribution that batonishvili fault description and maps of the whole of our country, as well as the study of the past Ksani Valley.

დასავლეთ საქართველოში ჩამოსახლებულ რუს კოლონისტთა და მკვიდრი მოსახლეობის სამეურნეო-ყოფითი ურთიერთკავშირის საკითხისათვის

ლელა თოგოშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: togoshvililela@yahoo.com

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთმა განახორციელა საქართველოს ანექსია. პოლიტიკური დაპყრობის შემდეგ იწყება ქვეყნის ეკონომიკური ათვისება. რუსეთის მეფის ხელისუფლების მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის გარუსება, ქართული ენის ამოძირკვას, ქართველი ხალხის გათქვეფას მრავალმილიონიან რუსულ მოსახლეობაში. ამ მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთ უმთავრესს ქვეყნის კოლონიზაცია წარმოადგენდა. ეს პროცესი მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების უგულვებელყოფით მიმდინარეობდა. უსამართლობა მიწის საკითხში, ადგილობრივ მკვიდრთა უკიდურესად მძიმე მდგომარეობა, რასაც მეფის ადმინისტრაციაც ვერ უარყოფდა, წარმოშობდა ანტაგონიზმს კოლონისტებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის. რუსული დასახლებების შექმნა დასავლეთ საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნაწილი იყო.

მკვიდრი მოსახლეობისა და რუს გადმოსახლებულთა კონტაქტებს ერთგვარი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარის შემდგომი განვითარებისათვის. გადმოსახლებულებს ამომრავებდათ სურვილი გასცნობოდნენ და გამოეყენებინათ მკვიდრი მოსახლეობის მიერ საუკუნეებით დაგროვილი გამოცდილება სამეურნეო და ყოფით სფეროში. ამავე დროს, მკვიდრმა მოსახლეობამ აითვისა ყველაფერი ახალი და პროგრესული, რაც მოიტანეს და განავითარეს კოლონისტებმა. გადმოსახლებულებმა ჩამოიტანეს, ადგილობრივთან შედარებით, უფრო სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, დანერგეს სოფლის მეურნეობის უფრო რენტაბელური დარგები, რომლებიც გამოირჩეოდა მაღალმწარმოებლურობით; ინტენსიური მუშაობა გააჩაღეს საჯიშე-სანამენე მიმართულებით მეცხოველეობაში (გ. რიბინსკი, 1894), გაუმჯობესდა მუშაობა სარძევე მიმართულებით, უფრო მრავალფეროვანი გახდა რძის ნაწარმი. გადმოსახლებულებმა ისწავლეს მკვიდრთაგან მევენახეობა.

დასავლეთ საქართველოში კოლონისტების ჩამოსვლას უკავშირდება კულტურული მეთაფლეობის ფართოდ განვითარება (გ. მიძარია, 1958). გადმოსახლებულებმა ისწავლეს ქართული (რუხი-აფხაზური და მეგრული) ფუტკრის მოშენება, განსხვავებული რუსული ფუტკრისაგან, რომელიც ვერ ეგუებოდა საქართველოს ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებს, უფრო მიზანშეწონილი აღმოჩნდა მათი მეურნეობისათვის. ყოველივე ამან კიდევ უფრო დააჩქარა საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევა და კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა ჩასახვა და განვითარება.

გადმოსახლებულებმა ადგილობრივთაგან გადაიღეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ცალკეული ჯიშები (ლომი, სიმინდი, ლობიო). ზოგჯერ მათ მიერ ჩამოტანილი მცენარეთა ჯიშები ვერ ხარობდა საქართველოს კლიმატურ პირობებში. კოლონისტებმა აითვისეს სხვადასხვა კერძისა (ლომი, ლობიო, მჭადი) და სანელებლის დამზადების წესები, საოჯახო კუსტარული მრეწველობის სხვადასხვა სახეობები და სხვ. ქართველებისაგან გადაიღეს 2-ხარისანი ან 2-კამეჩიანი ურემი, ნაცვლად რუსული დროგისა, რადგან ურემი უფრო შეეფერებოდა დასავლეთ საქართველოს პირობებს. ადგილი აქვს შრომითი ჩვევების, შრომის იარაღების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაცვლას და სხვ.

თავდაპირველად რუს კოლონისტთა ყოფა არაფრით განსხვავდებოდა იმ ყოფისაგან, როგორც საკუთარ სამშობლოში ჰქონდათ. მათ, შეიძლება ითქვას, ბოლომდე შეინარჩუნეს საკუთარი ცხოვრების წესი ოჯახური ყოფის სფეროში იმ ფორმით, რაც ყოველი რუსი გლეხისათვის იყო დამახასიათებელი

(რაც არ ითქმის სამეურნეო ყოფაზე) . გადმოსახლებისას (მათ სპეციალური წარგზავნილები ჰყავდათ, რომლებიც წინასწარ ნახულობდნენ მომავალ საცხოვრებელ ადგილს და ამის მიხედვით წყვეტდნენ, იყო თუ არა იგი მათთვის მიზანშეწონილი) ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ შეერჩიათ ისეთი საცხოვრებელი ადგილი, რომელიც კლიმატურად უფრო ახლოს იქნებოდა მათ მშობლიურ მხარესთან. თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც სამეურნეო მოსაზრებებს ეკუთვნოდა (ი. გამოსონია, 1964). ახალ რეგიონში დასახლების შემდეგ ისინი სრულიად უცხო, ძალზე რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ეს გამოიხატებოდა მეურნეობრიობის ახალ ჩვევებში, რაც განპირობებული იყო რეგიონის კლიმატურ-ნიადაგობრივი თავისებურებებით. მაგალითად, სრულიად უცხო იყო მათთვის დაბლობ ადგილებში გავრცელებული მორწყვის მეთოდი - ნიჩბის მეშვეობით სარწყავი მიწის განაწილება. ამიტომ ისინი ცდილობდნენ დასახლებას ისეთ ადგილებში (ალპურ ზონაში და სხვ.), სადაც მაქსიმალურად შეძლებდნენ თავისი სამეურნეო ინვესტიარის გამოყენებას (დ. ისმაილ-ზადე, 1982).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოში რუსულმა დასახლებებმა შეინარჩუნა ის პირვანდელი სახე, როგორც დამახასიათებელი იყო საერთოდ რუსეთის გუბერნიების რუსული სოფლებისათვის. ეს, ბუნებრივია, განასხვავებდა მათ დასახლებებს ადგილობრივ მკვიდრთა სოფლებისაგან (რუსული ეკლესია, რომელსაც მთავრობა უშენებდა, ხის სახლები, სახლების შიდა მოწყობა, ფართო ქუჩები და სხვ.) (მასალევი, 1886). თუმცა არსებობდა პატარა ნიუანსები, რაც განასხვავებდა რუს მართლმადიდებელ გლეხთა და რუს სექტანტთა სახლების გარეგნულ სახესა და ინტერიერს; ზოგჯერ განსხვავება ძალზე შეუმჩნეველი იყო. მაგალითად, ცენტრალური გუბერნიებიდან ჩამოსულთა სოფლები განსხვავდებოდა მალოროსიიდან გადმოსახლებულთა სოფლებისაგან (ს. კოლოსოვი, 1902). ეს განპირობებული იყო იმით, რომ კოლონისტები ცდილობდნენ ისეთივე სახლ-კარის აშენებას, როგორც დატოვებული ჰქონდათ სამშობლოში (პ. ბასიხინი, 1900).

რუსულ სოფლებს საქართველოში ახასიათებს შემდეგი თავისებურებები: აუცილებლად სოფელში უნდა ყოფილიყო რუსული ეკლესია, ფართო, სწორი ქუჩები, რომელთა ორივე მხარეს ჩამწკრივებული იყო შეღებილი სახლები. დიდი და ფართო ეზოები ჰქონდათ, ასევე სამეურნეო ნაგებობანი; ეზოს უკან - პატარა ბოსტანი (მასალევი, 1886). რუსული სოფლები სისუფთავითა და მიმზიდველობით გამოირჩეოდა: სახლები - შეთეთრებული, ყოველი სახლის წინ - პატარა ბაღა, ქუჩებზე - ხეები. ეზოს დიდი ნაწილი სამეურნეო ნაგებობებს ეკავა და სუფთად იყო შენახული. დასავლეთ საქართველოში ადგილობრივ დასახლებათა გაფანტული ტიპი ჩამოყალიბდა, - სახლები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვანი მანძილით იყო დაშორებული. ამიტომ ზოგჯერ სოფელი 10 კილომეტრზე იყო გადაჭიმული. განსაკუთრებით ეს თავისებურება გურიისთვისაა დამახასიათებელი. დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში კი, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, შეინიშნება მჭიდრო დასახლება (ნ. ვოლკოვა, გ. ჯავახიშვილი, 1982). შესაბამისად, ასეთივე დაგეგმარება ჰქონდა რუსულ სოფლებს: მთიან რეგიონებში, აფხაზეთში ნათლად ჩანს მათი დასახლებების სიმჭიდროვე; ასევე მჭიდროდ იყო დასახლებული ქუთაისის გუბერნიამი შემავალი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე რუსული დასახლებები. დასავლეთ საქართველოს დაბლობი რაიონების რუსული სოფლები არ გამოირჩეოდა დიდი სიმჭიდროვით. დასავლეთ საქართველოს ცალკეული რაიონების სახლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სახლებისაგან, ისე ერთმანეთისაგან. ძირითადად ისინი ხისაა (იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში ქვის ბოძი აქვს, დანარჩენი ხისაა; ზემო რაჭაში - ფიცრული, განსხვავებით მთიანი რაჭისაგან, სადაც აშენებდნენ სახლებს დაუმუშავებელი ქვისაგან; ქვემო რაჭაშიც - ხის სახლები და სხვ.) (ნ. ვოლკოვა, გ. ჯავახიშვილი, 1982). ღარიბები მიწურებში ცხოვრობდნენ. ასევე რუსული მოსახლეობაც, მცირე გამოწვევის გარდა, ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, ძირითადად ხის სახლებს აშენებდა - მაღალ ბოძებზე, მაგრამ მკვიდრთაგან განსხვავებული წყობით: ძეღურ ქოხებს უსვამდნენ თიხას და ათეთრებდნენ როგორც შიგნიდან, ისე - გარედან. შეძლებული გლეხების სახლები კრამიტით იყო გადახურული, თუმცა არსებობდა ჩალით დაფარული სახლებიც. გურიაში ჭერს ასხმული ჩალით ფარავდნენ, სამეგრელოშიც - სიმინდის ჩალით, ქვემო რაჭაში კი იშვიათად კრამიტით, უფრო ხშირად - ფიჭვის ტკეჩით (ნ. ვოლკოვა, გ. ჯავახიშვილი, 1982).

ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავებით, რუსი კოლონისტები სახლის სახურავს ტრადიციული კეხით ამკობდნენ და აუცილებლად ჭიშკარზე აკეთებდნენ საშოშიეს. თუმცა მდიდარი და ღარიბი გლეხის საცხოვრებელი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ისევე როგორც ქართულ სოფლებში. ღარიბი რუსი გადმოსახლებულის საცხოვრებელი წარმოადგენდა ალიზის ქოხს, ანუ თიხით შელესილ ფაცხას (მსგავსად ღარიბი ქართველებისა). საშუალო და შეძლებულ რუს გლეხთა სახლები ბევრად უფრო კარგი და მოსახერხებელი იყო. გადმოსახლებული რუსი გლეხის სახლი 2 ნაწილისაგან შედგებოდა: ოთახი და ქოხი. ოთახს, ქართველებისაგან განსხვავებით, აკრავდნენ შპალერს, ავეჯად იყენებდნენ თვითნაკეთ საწოლებს, სკამებს, მერხებს, სავარძლებს. ფანჯრებზე ეკიდა ფარდები.

ქართველი გლეხები უფანჯრებო სახლებს აშენებდნენ (იმერეთსა და გურიაში - უშუშო პატარა ფანჯრებით), მიწურში კი ფანჯრებს აკეთებდნენ ჭურჭრუტანის სახით. მკვიდრმა მოსახლეობამ, რუსების მსგავსად, დაიწყო ფანჯრებიანი სახლების აშენება, სახლების კრამიტით გადახურვა. მემამულეთა და შეძლებულთა შორის გავრცელდა ევროპული ტიპის სახლები. ფანჯრის რაფებზე დგამდნენ ყვავილის ქოთნებს, ხატაში დგამდნენ ღუმელს, ამაგრებდნენ ჭურჭლის თაროებს (მსგავსი რამ რაჭულ სოფლებში გვხვდება). ქართველთა სახლებისათვის არ იყო დამახასიათებელი აივანი, რუსულ სოფლებში კი თითქმის ყველა სახლი იყო აივნიანი (ეზოს მხრიდან). რუს კოლონისტთა სახლების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა სამოვარი, კუთხეში - ხატები, ხოლო სექტანტებს ხშირად ეკიდათ მეფის, მხედართმთავრების სურათები და გეოგრაფიული რუკებიც კი (ნ. ვოლკოვა, გ. ჯავახიშვილი, 1982).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუს გადმოსახლებულთა ყოფითი პირობები, ზნე-ჩვეულებები, ჩაცმულობა და სხვ. ქართველთაგან მკვეთრად განსხვავებულია. რუსი კოლონისტები ქართულ მიწაზეც ინარჩუნებენ მათთვის დამახასიათებელ ტიპურ გარეგნულ იერსახეს, რაც ჩაცმულობაშიც გამოიხატება. მკვიდრი მოსახლეობის (მამრობითი სქესის) ჩაცმულობა მე-19 ს-ში შედგება (ტანსაცმელი ერთნაირი იყო საქართველოს სხვადასხვა რაიონებისათვის) პერანგისაგან, საცვლისაგან, შარვლისაგან; ზედა სამოსიდან (ახალუხი, ჩოხა) ქამარი (აბრეშუმის, ვერცხლის ბალთიანი, შალის). ზამთარში იცვამდნენ ნაბადს, თავსაბურავად იყენებდნენ ნაბდის ქუდს, ბეწვის ფაფახს და ყაბალახს; ფეხზე იცვამდნენ მოქსოვილ წინდებს, ტყავის პაჭიჭებს, თვითნაკეთ ფეხსაცმელს, ქალამანს, მესტებს (უფრო ნაზი ტყავისაგან კეთდებოდა). თავად-აზნაურები ხმარობდნენ ტარსიკონისაგან შეკერილ რბილ უქუსლო ფეხსაცმელს, ძირზე მიკერებული წაღებით, ასევე ქუსლიან ჩექმებს (პ. ნადეჟდინი, 1901). ტანსაცმელი სოციალურ კუთვნილებას გამოხატავდა.

ჩვენ არ ვხეხებით ქალის ეროვნული კოსტუმის თავისებურებებს საქართველოში, ვინაიდან რუს გადმოსახლებულ ქალებს არ გადაუღიათ მკვიდრთა ჩაცმულობა. სამაგიეროდ, მამაკაცებმა გადაიღეს მკვიდრთაგან ახალუხი, ნაბადი, ნაბდის ქუდი, ფაფახი, ტყავის ქურქი და სხვა ტანსაცმელი, თუმცა ისევ იყო ხმარებაში მათი ხალათები გვერდზე შესაკრავებით, ზიპუნები. რუსმა კოლონისტებმა საქართველოში ფართოდ გავრცელეს ჩითი, ტილო, მაუდი. რუსული ჩითი დიდი მოწონებით სარგებლობდა.

საქართველოში რუსული მოსახლეობის გაჩენამ, მათ შორის სამეურნეო-სავაჭრო კონტაქტების დამყარებამ, განაპირობა ის ფაქტი, რომ ქართველთა ყოფაში გაჩნდა არატრადიციული ფაბრიკული წარმოების ქსოვილები, ჩაცმულობის არატრადიციული ელემენტები, როგორცაა ფეხსაცმელი, წინდები გალიფე შარვალი (ცოტა მოგვიანებით) და სხვ. სპეციალური ხელოსნები კერავდნენ ჩოხებს, ფეხსაცმელებს, თავსაბურავებს, ლაბადებს, ქურქებს. საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ცხვრის ტყავის ქურქი (სხვათა შორის, რუს გადმოსახლებულთა შორისაც). ამიტომ ქართველებსა და რუს გადმოსახლებულთა შორისაც იყვნენ ცხვრის ტყავის დამუშავების კარგი სპეციალისტები, რომლებიც ამზადებდნენ ქურქებს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ყიდიდნენ. სამეგრელოში რუსი და ქართველი ხარაზები ყიდიდნენ თავის მიერ შეკერილ ფეხსაცმელს (ნ. ვოლკოვა, გ. ჯავახიშვილი 1982). რუსები ვაჭრობდნენ საქართველოში ჩითით, ვერცხლის, რკინის და სპილენძის ნაწარმით, შალით, რუსული ხელსახოცებით.

რაც შეეხება საკვებ პროდუქტებს, ადგილობრივებმა რუსი გადმოსახლებულებისაგან ისწავლეს ისეთი კულტურების მოყვანა, როგორცაა: კარტოფილი, კომბოსტო, კიტრი, შვრია. დაიწყეს მანამდე მათთვის უცხო წიწიბურას, გამტკიცული ფქვილის ხმარება. ისწავლეს შვრისისაგან არყის გამოხდა და საქონლის საკვებად მისი გამოყენება. ამ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებს ყიდიდნენ რუსებიც და ქართველებიც.

თითოეულ რაიონს საქართველოში, თავისი ბუნებრივი სამეურნეო პირობების გათვალისწინებით, ძირითადი სამიწათმოქმედო კულტურები და, შესაბამისად, საკვები რაციონი გააჩნდა. დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა) ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო იქმნებოდა პირობები მიწათმოქმედების, მებაღეობის, მევენახეობის, მეხოსტნეობის განვითარებისათვის. შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული მესაქონლეობა, რის გამოც კოლონისტები მკვიდრ მოსახლეობას ნაწილობრივ ამარაგებდნენ ხორცით, რძით, ყველით, კარაქით. მათ ჰყავდათ გამწევი ძალა, ძროხები, კამეჩები, თხები, ღორები, ცხვრები (კაკა, ტ. II; ტ. III).

დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა რაციონში ძალზე მიღებული იყო შემდეგი საკვები პროდუქტები: ღომი, სიმინდი, ლობიო, ცერცვი, მუხუდო, ბადრიჯანი, თაღამი, კიტრი, გოგრა, ხახვი, სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, კარტოფილი, ბევრნაირი სახის მწვანილი: წითელი წიწაკა, წიწმატი, ქინძი, ტარხუნა; თაფლი, ხორბალი, ქერი, ტყის ხილი, ბრინჯი. მოგვიანებით აფხაზეთსა და აჭარაში გავრცელდა ჩაი, პიტნა, თამბაქო, სელი, კანაფი, ნიორი. ფართოდ გავრცელდა და განვითარდა მეღვინეობა; ხდიდნენ არაყს; ასევე გავრცელდა მეთევზეობა. ზოგიერთი პროდუქტი (შაქარი, ჩაი, მაკარონი, ვერმიშელი) რუსეთიდან შემოჰქონდათ. სხვა რეგიონებიდან შემოჰქონდათ თევზი,

ხიზილალა, პური, მარილი და სხვ. სამეურნეო პროფილის შეცვლასთან დაკავშირებით (სამეგრელოში, გურიაში, ქვემო აჭარაში, აფხაზეთში) თავისთავად იცვლება ადგილობრივი მოსახლეობის საკვები რაციონი. მკვიდრთა საკვები პროდუქტების კლასიფიკაცია ასეთია: 1) რძე და რძის პროდუქტები (ყველი, ხაჭო, კარაქი, ნაღები, დო); 2) ხორცი და ხორცის პროდუქტები (ცხვრის, ღორის, ფრინველის - ინდაური, ქათამი, ბატი, ნანადირევი, გარეული ნადირისა და ფრინველის ხორცი); 3) პური, ფქვილისა და მარცვლეული კულტურებისაგან დამზადებული კერძები; 4) მცენარეული პროდუქტები - ბოსტნეული, მწვანილი, ყურძენი, სელის ზეთი, მხესუმზირის ზეთი; 5) თევზი და თევზის პროდუქტები; 6) თაფლი. მამასადამე, ადგილობრივ მცხოვრებთა კვება დამოკიდებული იყო რეგიონის ეკოლოგიურ და სამეურნეო პირობებზე, ასევე ქონებრივ მდგომარეობასა და სოციალურ კუთვნილებაზე (გ. რიბინსკი, 1894). ქართული საკვები მაღალი კალორიულობით გამოირჩეოდა. რუსმა კოლონისტებმა ადგილობრივთა საკვები რაციონიდან გადაიღეს შიმფურზე შემწვარი მწვადი, რძის წვნიანი, ბასტურმა, ცხვრის წვნიანი (ბოზბაში), საცივი, ჩიხირთმა, ლავაში, შოთი, მჭადი, ღომი, ლობიო, სხვადასხვა მწვანილები: ქინძი, რეჰანი, ტარხუნა, პიტნა, წიწმატი, ჯონჯოლი.

გადმოსახლებულებმა ათვისეს ღვინის დაყენების წესი; ისწავლეს ღვინის ჭურჭლის - საწნახელის, ჭურების და სხვ. დამზადება (თუმცა უმეტესად მაინც არაყს სვამდნენ); ისწავლეს არყის გამოხდა თუთისაგან, ხილისაგან, კენკროვანი ხილისაგან, ჭაჭისაგან, სანთლისაგან (გურიაში), ლუდის გამოხდა ქერისა ან ხორბლისაგან; ჩაის დაყენება ბალახებისაგან, ბადაგი და სხვ.; ფართოდ დაიწყეს სიმინდისა და მწვანილების გამოყენება. ადგილობრივებში ფართოდ იყო გავრცელებული საკვები ბალახების შეგროვება (რაც არანაკლებ იყო გავრცელებული რუს კოლონისტთა შორისაც). ეს არა მარტო ტრადიციით განისაზღვრებოდა, არამედ ხშირად აუცილებელი პროდუქტების უქონლობით. რუსმა გადმოსახლებულებმა, დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა მსგავსად, საკვების ნივთიერებით, ბროწეულით შეკმაზვა დაიწყეს. დასავლეთ საქართველოში დამზადებული კერძები ყველა სხვა რეგიონისაგან გამოირჩევა წიწაკის სიჭარბით, დიდი რაოდენობით იყენებდნენ კაკალს, ბოსტნეულს. ყოველივე ამან თავისებური კვალი დაამჩნია აქაურ კოლონისტთა საკვებ რაციონს.

რუსებისაგან ქართველებმა გადაიღეს ბორშჩი, ხორცის წვნიანი მაკარონით, კატლეტები, შემწვარი კარტოფილი.

კოლონისტთა შორის ძალზე დაბალი იყო განათლების დონე, ძალზედ მცირე - წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი. ქალებმა საერთოდ არ იცოდნენ წერა-კითხვა, ხოლო მამაკაცები დიდი გაჭირვებით წერდნენ საკუთარ სახელსა და გვარს. თუმცა რუს გადმოსახლებულთა სოფლებში ცუდად არ იყო დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. განსაკუთრებით სწავლისადმი უნდობლობას სექტანტები იჩენდნენ, რაც მათი რელიგიურ-ზნეობრივი მრწამსიდან გამომდინარეობდა (გამონაკლისს შეადგენდნენ მალაკნები, რომლებიც მაღალი კულტურული დონით გამოირჩეოდნენ; ეს მათი დიდი შემდებულობით აიხსნებოდა) (ბ. ტიხონოვი, 1978).

რაც შეეხება ენობრივ ურთიერთკავშირს, რუსულმა მოსახლეობამ დროთა განმავლობაში ისწავლა ქართული. ეს აუცილებელიც იყო მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის უცვლელად შეინარჩუნეს ლაპარაკის მანერა; მათი მშობლიური ენა, აქცენტი - უცვლელი დარჩა. რუსებთან კონტაქტმა და მეზობლობამ ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რუსული ენის ათვისებას. მიუხედავად ამისა, მეფის მთავრობის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ამ რეგიონში ვერ გაამართლა. გადმოსახლებულები ძირითადად იზოლირებულად ცხოვრობდნენ (მცირე გამონაკლისების გარდა, როდესაც შერეულ დასახლებებში ან ქალაქებში ცხოვრობდნენ). ამ გარემოებამ ხელი შეუშალა მკვიდრ მოსახლეობასთან მათ ასიმილაციას. რუს გადმოსახლებულთა უმეტესობა ორენოვანი გახდა - რუსულის გარდა იცოდა მკვიდრთა ენა და ადვილად გადადიოდა ერთი ენიდან მეორეზე, რაც ძალზედ აადვილებდა მათ ურთიერთობას. მოხდა ერთგვარი ასიმილაცია რუსული მოსახლეობის ადგილობრივთან. ამის მაგალითია გურიაში დღემდე შემორჩენილი რუსული წარმომავლობის გვარები, რომლებიც სრულიად გაქართველდნენ (მხოლოდ გვარები შემორჩათ რუსული, დანარჩენი - ენა, ზნე-ჩვეულებანი და სხვ. სრულიად ქართულია).

მამასადამე, რუსული დასახლებები დასავლეთ საქართველოში ინარჩუნებენ თავის თვითმყოფადობას - სამეურნეო, საოჯახო, ყოფით, ენობრივ სპეციფიკას და, იმავდროულად, მკვიდრ მოსახლეობასთან სამეურნეო-ყოფით ურთიერთკავშირში ითვისებენ მათთვის მანამდე უცხო და სრულიად ახალ ჩვევებს. დასავლეთ საქართველოში რუს გადმოსახლებულთა რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად, მკვიდრი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაზე არ შეეძლო არ მოეხდინა გარკვეული ზეგავლენა რუს გადმოსახლებულთა მიერ მოტანილ სიახლეებს და, პირიქით, ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო-ყოფითი ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტები ათვისებულ და გადაღებულ იქნა რუსთა მიერ.

ლიტერატურა:

1. პ. ზასიხინი, რუსული დასახლება კავკასიაში, „კავკაზსკი ვესტნიკი“, 1900, №3, გვ. 39.
2. ნ. ვოლკოვა, გ. ჯავახიშვილი, ყოფილი კულტურა საქართველოში XIX-XX საუკუნეებში, ტრადიციები და ინოვაციები, მოსკოვი, 1982, გვ. 16-18, 29-35, 38, 56.
3. ი. გამისონია, აფხაზური სოფელი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, სოხუმი, 1964, გვ. 180.
4. გ. მიძარია, სახალხო მეურნეობა და სოციალური ურთიერთობები აფხაზეთში XIX საუკუნეში, სოხუმი, 1958, გვ. 465-466.
5. დ. ისმაილ-ზადე, რუსი გლეხობა ამიერკავკასიაში (XIX საუკუნის 30-იანი წლები - XX საუკუნის დასაწყისი), მოსკოვი, 1982, გვ.78.
6. ს. კოლოსოვი, რუსი სექტანტები ერევნის ოლქში, - წიგნი: ერევნის გუბერნიის სამახსოვრო წიგნი 1902 წ., ერევანი, 1902, გვ. 154.
7. პ. ნადეჟდინი, ამიერკავკასიის მხარე: ბუნება და ადამიანები, ტულა, 1901, გვ. 69-71.
8. გ. რიბინსკი, აფხაზეთი სასოფლო-სამეურნეო და ყოფილი ურთიერთობებში, ტიფლისი, 1894, გვ. 19-21, 78.
9. ბ. ტიხონოვი, გადასახლებები რუსეთში XIX საუკუნის II ნახევარში, მოსკოვი, 1978, გვ. 80.
10. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შედგენილი აქტები (კაკა), ტ. II, გვ. 74-75, 407. ტ. III, გვ. 310.
11. მასალები ამიერკავკასიის მხარის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფის შესწავლისათვის, ტ. IV, ნაწ. 2, თბ., 1886, გვ. 39, 195.

RUSSIAN COLONISTS WHO SETTLED IN WESTERN GEORGIA AND INDIGENOUS AGRICULTURE - THE RELATIONSHIP OF LIVING

Lela Togoshvili, Gori State Teaching University, Associate Professor

RESUME

The creation of Russian settlement in west Georgia was the part of XIX century Russian colonial policy. This process was going to neglect the interests of the indigenous population.

Despite the lack of quantity of residents living in west Georgia, their news influenced on agricultural life of indigenous population. Russian also used and copied elements of agricultural important life of local residents.

Russian settlements vindicated their originality : agricultural, homelike, entity and lingual specificity but at the same time the communication of the indigenous population led to them mastering foreign skills. As for linguistic communication Russian population learned Georgian time to time. It was necessary for their everyday life, but it should be noted that they vindicated speaking manner their native language, accent invariably. Neighborhood and contacts with Russian people helped Russian residents to master Russian language. In spite of this , Russification policy of the King Government was not justified in this region. Immigrated people lived in isolation(minor exceptions, when they lived in mixed settlement or cities.) This circumstance prevented assimilation with indigenous population.

The lifestyle of the Georgian people was successful than the imported rules of the farm of the immigrated people.

მოქვისა და კოდორის ხეობების საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში

იგორ კეკელია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის – ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, მოცემულია საქართველოს სხვადასხვა მხარის აღწერა ადგილთა ბუნებრივი თანმიმდევრობისა და სამხედრო-პოლიტიკური დანაწილების შესაბამისად. ნაშრომის ერთ-ერთი თავია „აღწერა ეგრისის ქვეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“, რაც, თავის მხრივ, იყოფა რამდენიმე ქვეთავად. საქართველოს ამ ნაწილის (განსაკუთრებით აფხაზეთის, ოდიშის,

გურიის, სვანეთის) ვახუშტისეული აღწერილობა ნაკლებად ზუსტი და სქემატურია, რასაც განაპირობებდა ის გარემოება, რომ იმ დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო (ოსმალთა ბატონობა) ვახუშტის არ შეეძლო საქართველოს ყველა კუთხეში კვლევითი საქმიანობის თანაბრად წარმართვა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნაკლებად შესწავლილი მხარეების აღწერა ვახუშტის, სავარაუდოდ, ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით უნდა ეწარმოებინა.

ფრიად მნიშვნელოვანია ვახუშტის მიერ 1735 და 1745 წლებში შედგენილი გეოგრაფიული ატლასები, საქართველოსა და მის მეზობლად მდებარე და საქართველოს ცალკეული ნაწილების გამომსახველი რუკებით. მეცნიერს ამ რუკებზე გამოუსახავს ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები, დასახლებული პუნქტები, რელიეფი, ჰიდროგრაფიული ქსელი (მდინარეები, ტბები, ჭაობები, ვოკლუზები, მინერალური წყაროები) და ოროგრაფიული ერთეულები (ქედები, ბორცვები, ვაკეები, ხეობები, მწვერვალები...).

ქვემოთ განვიხილავთ მოქვისა და კოდორის ხეობების საისტორიო გეოგრაფიას, ვახუშტის ნაშრომისა და მის მიერ შედგენილ რუკათა, ასევე სხვა წერილობითი წყაროების მონაცემების გათვალისწინებით.

ეგრისწყლის შემდეგ მეცნიერი ეხება ოდიშის დასავლეთ ნაწილს, მოქვისა და კოდორის ხეობებს: „...ამ ეგრისის მდინარის დასავლით დის **მოქვის მდინარე** ჩდილოდამ სამხრით. გამოსდის კავკასს და მიერთვის ილორს ზღუას. ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს **მოქუს** ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები. აღაშენა... მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა. არამედ ეს მდინარე მოქვისა დის მოქუამდე აღმოსავლიდამ დასავლეთად. ხოლო მოქვის მდინარის დასავლით დის **კოდორის მდინარე**. ამ წყალზედ არს ეკლესია **დრანდას**, მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა. არამედ აწ აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამთ შინა ეპისკოპოზნი. გარნა მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე კავკასიიდან, და დრანდიდამ ზღუამდე დის ჩდილოდამ სამხრით. მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში” (ვახუშტი, IV, 1973:780-781).

მოქვის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში, მდ. მოქვისა და მისი შენაკადის – დვების შესართავთან. ოჩამჩირეს 17 კმ-ით არის დაშორებული. მდ. მოქვიც რაიონის ტერიტორიაზე მოედინება. მდინარის სიგრძე 47 კმ-ია, აუზის ფართობი 336 კმ²-ს შეადგენს. სათავეს იღებს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2560 მ-ზე და სოფ. ჯუყმურის მახლობლად შეერთვის შავ ზღვას (აფხაზავა, ქსე, VII, 1984:148). ამასთანავე, მოქვი ეწოდება სოფელსა და თემის ცენტრს მდ. მოქვის ნაპირზე. რაიონულ ცენტრს – ოჩამჩირეს 17 კმ-ითაა დაშორებული და ზ. დ. 130 მ-ზე მდებარეობს.

მოქვის დინების ვახუშტისეული აღწერა მცდარია. მდინარე ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთით მიედინება, შემდეგ – ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მდ. მოქვისწყალი აღნიშნულია ქრისტეფორე კასტელის 1654 წლისა და ჟან შარდენის 1672 წლების რუკებზე.

მოქვის ტაძრის მშენებლობას, როგორც ვახუშტის ნაშრომიდან მოტანილი ციტატიდან ჩანს, ვახუშტი აფხაზთა მეფე ლეონ III-ის სახელს უკავშირებს. რომელიც მეფობდა 957-967 წლებში. შესაბამისად ტაძარიც ამ წლებს შორის მონაკვეთში უნდა აშენებულიყო. ირკვევა, რომ მოქვზე მსჯელობისას მას უსარგებლია „მატიანე ქართლისაში” დაცული შემდეგი ცნობით: „შეიქცა ლეონ და ეუფლა მამულისა და სამეფოსა თვისსა... ამან აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა” („ქ. ცხ.”, I, 1955:270).

მოქვი და მისი შემოგარენი ოდითგანვე გამოირჩეოდა ბუნების მშვენიერებით, რაც თავისთავად განაპირობებდა ამ პუნქტის დაწინაურებას. „ადვილი წარმოსადგენია, – წერს კ. ბერულავა, – თუ რამდენად მოშენებული უნდა ყოფილიყო ამ მხარის მოსახლეობა, რომ ლეონ III-ს... აშენებია ეს დიადი ტაძარი, რომლის ბადალი, თავისი რთული აღნაგობის მიხედვით, არ მოიპოვება აფხაზეთში და საქართველოშიაც იშვიათია” (ბერულავა, 1951:70). დიმიტრი ბაქრაძეს მოქვის ტაძრისათვის „წარსულის დიდებული ძეგლი” უწოდებია. კ. ბერულავა თავის ნაშრომში იმოწმებს მარი ბროსეს, რომელსაც 1848 წელს უნახავს ტაძარი და შთაბეჭდილებები შემდეგი სიტყვებით გადმოუცია: „ზომით გაშლილი ტაძარი ხვიარა მცენარეთა ბადებითაა შემოხვეული, მისი სახურავი საჰაერო ბადად გადაქცეულა... ყოველივე ამას განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. შიგ ისარივით აღმართულან საუცხოო თლილი ქვისაგან გაკეთებული სვეტები, 5 ნავი (ნეფს), ფიცარნაგი, უწინწკლო თეთრი მარმარილოს ლორწინებით დაგებული, ფერად-ფერადი მინების ნამსხვრევნი და ჩინებული ჩუქურთმის ლავგარდანთა ნაშთები მოწმობენ იმ დიად მშვენიერებასა და ხელოვნებაზე, რაც უადრეს სისრულემდეა აყვანილი” (ბერულავა, 1951:70-71).

ტაძრის სიმაღლე 24 მ-ია, სიგრძე – 27 მ, სიგანე – 20 მ. ეზოში, ჭიშკართან შენობის ნანგრევებია. ტაძარი შემოზღუდულია მაღალი გალავნით. ძეგლი რთული გეგმისაა. სამნავიან ტაძარს განაპირა ნაგებობის გასწვრივ სამლოცველოების მწკრივი მიუყვება. აღმოსავლეთი მხარის სამი შვერილი აფსიდიდან შუას – საკურთხეველისას, შიგნიდან ნალისებური ფორმა აქვს, გარედან კი ხუთწახნაგაა. შენობის ცენტრში აღმართულ ოთხ სვეტზე გუმბათია დაყრდნობილი, დაბალი, თორმეტწახნაგა ყელით. კვადრატისგან გუმბათის ყელზე გადასვლა მშენებელს აფრების საშუალებით განუხორციელებია. ძეგლი თლილი ქვის პერანგითაა შემოსილი. ფასადებზე ჩუქურთმები არ შეინიშნება (ზაქარაია, ქსე, VII, 1984:148).

მოქვი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო და კულტურის კერას წარმოადგენდა შუა საუკუნეების საქართველოში. აქ შემოქმედებითი, მწიგნობრული მუშაობის ფართოდ გაშლას მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული არაერთი ხელნაწერი წიგნი. მათ შორის მოქვის ეპისკოპოსის – დანიელის თაოსნობით 1300 წელს გადაწერილი და მდიდრული ორნამენტებით შემკული ოთხთავი. მის უშუალო გამამწერად და გამფორმებლად ქართველი მწიგნობარი ბერი ეფრემია მიჩნეული (თუმანიშვილი:70-71). აქვე მოღვაწეობდნენ ზებედე დიაკვანი, გიორგი მწერალი, გრიგოლ მაგნისძე (XII ს.), აბრაჰამი (XIV ს. I ნახევარი), ამბრია (XIV ს.), ლუკა ოძრხელი (1363 წ. ახლო პერიოდი), ელია (1414 წ. ახლო პერიოდი), რომანოზი (XV ს. I ნახევარი), ფილიპე ჩხეტიძე (XV ს.), ექვთიმე საყვარელიძე, ანდრია საყვარელიძე (1660-1666 წწ.) და სხვები, რომელთა თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით იქმნებოდა და მრავლდებოდა მრავალი ქართული სასულიერო ხასიათის ხელნაწერი (კალანდია, 2004:123-124; გასვიანი, 2011:200, 255).

მოქვი მოიხსენიება არაერთ უცხოურ და ქართულ წერილობით წყაროში. იერუსალიმელი მონაზონის, თეოდოსი განგრელის მიერ დაცულ აპოკრიფის წერილში გვხვდება სოფ. მოქვი: „იმ ციხეში, რომელსაც თუსუმესი ეწოდება და რომელიც მდებარეობს სოფელ მოქვის ზემოთ, აფსიდიის მხარის საზღვარზე, პონტოს ზღვის აღმოსავლეთით კავკასიის მთების ძირში, ქრისტესმოყვარე აბაზგებისა და ალანთა ტომის მახლობლად, ხუთი სიმიის მანძილზე სოფელ ჯიხახორიდან, ესე იგი, იმავე ლაზთა ქვეყნის ჭეშმარიტად ქრისტესმოყვარე პატრიკოსისა და მაგისტროსის გრიგოლის პირველი სახლიდან, რომელსაც ის ამ წერილში ღირსეულად მიუძღვნის კეთილ ხსოვნას” (თეოდოსი, გეორგიკა, IV:50; კეკელიძე, III:307).

1654 წელს შედგენილ ოდიშის სამთავროს რუკაზე აღნიშნულია მდ. მოქვისწყალი და მის მარცხენა მხარეს – თილითი (ახლანდ. თლით-აბაა – ნაგებობათა კომპლექსი სოფ. თხინას ერთ უბანში – აბაჟეახუში) (ბერაძე, „მაცნე”, 3, 1971:153).

1615 წლის 2 მარტს მოქვს სწვევია ფრანგი მისიონერი ლუი გრანჟი, რომელიც შენიშნავს, რომ მოქვის მოსახლეობა მეგრელები არიან. რამდენადაც მოქვი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაშია, ხოლო ქრისტიანობის ენას ქართული წარმოადგენს, მისიონერს საჭიროდ ჩაუთვლია მოქვის შემოქმედებითი, საგანმანათლებლო კერის შესასწავლად მეგრულისა და ქართულის შესწავლა. იგი არაფერს ამბობს აფხაზურ ენაზე, რადგან მისი მოქვში ყოფნის დროისთვის იქ აფხაზები აღარ ცხოვრობდნენ (Сборник, 1915:52; გასვიანი, 2011:258).

1640 წელს მოქვი ცაიშელ ეპისკოპოს ანდრიასთან ერთად მოუნახულებიათ რუს ელჩებს – ფედოტ ელჩინსა და პავლე ზახარევს. საკათედრო კერის ნახვით აღტაცებული ელჩები წერდნენ: „

...

... 9

” (50.325).

1659 წელს სტუმრად წვეულ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს მოქვის საკათედრო ტაძარზე შეუნიშნავს შემდეგი წარწერა: „ტაძარი მოიხატა იმპერატორ ალექსი კომნენისა და აფხაზეთის დიდი მეფის დავითის დროს” (გასვიანი, 2011:200).

ტაძრისადმი ეპისკოპოს ანდრია საყვარელიძის (მოღვაწეობდა XVII ს. 50-60-იან წლებში) მიერ შეწირულ ღმრთისმშობლის ხატის კარედზე ქართული ასომთავრულით შესრულებულ წარწერაში ტაძარი მოიხსენიება „მოქუს” ფორმით: „მოვაჭედინეთ ხატი ესე სახედ და მსგავსად შენდა და დავასვენეთ ტაძარსა თქვენსა მოქუს სახსრად და საოხად სულისა ჩვენისათვის” (თუმანიშვილი, 2001:66).

კასტელის ცნობით, „აფხაზეთის ახლოს მდებარე მოქვის საეპისკოპოსო ეკლესია ძალიან ლამაზია, შიგ მრავალი ოქროსა და ვერცხლის ხატი და სხვადასხვა წმინდანის რელიკვიაა. აქვეა სახელოვანი წამებული სტეფანეს მკლავი...” (კასტელი, 1976:176). კავკასიის მხარის 1886 წლის სტატისტიკური აღწერის ცნობარიდან ირკვევა, რომ სოხუმის „ოკრუგში” შემავალი მოქვის სოფლის საზოგადოებაში შედიოდა ოთხი სოფელი: არადუ (98 კომლი, 184 სული; მ. შ. ქალი – 171, კაცი – 355), მერკული (113 კომლი, 242 სული; მ. შ. ქალი – 221, კაცი – 463), მოქვი (159 კომლი, 323 სული; მ. შ. ქალი – 321, კაცი – 644), თხინი (99 კომლი, 214 სული; მ. შ. ქალი – 208, კაცი – 422) (сводъ..., 1893).

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის ცნობარის მიხედვით 1926 წლისათვის არსებობდა მოქვის სასოფლო საბჭო, მასში შემავალი ხუთი სოფლით: არადუ, აძვიბჟარა,

აჯა, მირკულა და მოქვი. სასოფლო საბჭოში სულ 459 კომლი (2242 სული) მოსახლეობდა. მ. შ. 265 სული ქართველი იყო, 35 – რუსი, 1839 – აფხაზი, 3 – ბერძენი, 8 – უკრაინელი, 92 – სხვა დანარჩენი (დაყოფა, 1930:163).

1949 წლის მონაცემებით მოქვის სასოფლო საბჭოში ხუთი სოფელია: მოქვი, ჯალ-აფსუა, აძიბჟარა, არადუ, აჯაჟვი (დაყოფა, 1949:130-131).

1966 წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მოქვი სოფელი და სასოფლო საბჭოს ცენტრია ოჩამჩირის რაიონში. სასოფლო საბჭო აერთიანებს სოფლებს: საკუთრივ მოქვს, ჯალ-აფსუას, აძიბჟარას, ჯალს, მერკულასა და აჯაჟვს (დაყოფა, 1966:120).

ვახუშტი ცდება, როცა ამბობს: „ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს მოქუს ეკლესია გუმბათიანი“. სინამდვილეში მოქვის ტაძარი ვაკეზეა აგებული. არასწორია მდ. მოქვის ზღვასთან შეერთების ადგილის ვახუშტისეული ჩვენებაც. მეცნიერი მიიჩნევს, რომ მოქვი „მიერთვის ილორს ზღუს“. რეალური ვითარება სხვაგვარია: სოფ. ილორში შავ ზღვას შეერთვის მდ. ღალიძგა, ხოლო ილორიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მოქვის ზღვაში შესართავამდე საკმაო მანძილია (ზუხბაია, 2000:13).

ვახუშტი შეცდომას უშვებს დრანდის ეკლესიის ადგილმდებარეობის აღწერის დროსაც. მემატთან მიიჩნევს, რომ დრანდის „გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი“ ეკლესია მდებარეობს მდ. კოდორის ნაპირზე („ამ მდინარესა ზედა“), მთაში. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით სოფ. დრანდა მდებარეობს გულრიფშის რაიონში, გულრიფშიდან 9 კმ-ის დაშორებით, მდ. პატარა კოდორის ნაპირას, შავიზღვისპირა გზატკეცილზე და არა მთაში. ვახუშტის მიერ მოხსენიებულ მდ. კოდორს სოფელი 10 კმ-ითაა დაშორებული. დრანდა სამურზაყანოს დაბლობზეა, ზ. დ. 40 მ-ზე. იგი სოფელი და თემის ცენტრია. კასტელის ცნობით აფხაზეთში, კავკასიის მთებში მდებარეობს **დრანდას** საეპისკოპოსო (კასტელი, 1976:180). ჟან შარდენის 1672 წლის რუკის ფრაგმენტზე აღნიშნულია „დრანდის ციხე-სიმაგრე და ბაზარი“.

ამიერკავკასიის მხარის 1886 წლის სტატისტიკური აღწერის მასალების ჩვენებით **დრანდი** სოფელია სოხუმის „ოკრუგის“ გუმისთის საზოგადოებაში, სადაც იმდროისათვის სახლობდა 69 კომლი (მ. შ. კაცი – 156, ქალი – 120).

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის ცნობარიდან ირკვევა, რომ სოხუმის მაზრაში არსებობდა დრანდის სასოფლო საბჭო, მასში შემავალი ოთხი სოფლით: დრანდა (166 კომლი, 1072 სული), ვორონცოვო-ვასილიევკა (27 კომლი, 153 სული), ფშაფი ზემო (147 კომლი, 731 სული) და შაუმიანოვკა (108 კომლი, 651 სული) (დაყოფა, 1930:166).

1949, 1966, 1977, 1987, 2002 წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარების მიხედვით თემი აერთიანებს ხუთ სოფელს: საკუთრივ დრანდას, ათარბეკოვკას, ზემო ფშაფს, ქვემო ფშაფს და შაუმიანოვკას.

ისტორიული ოდიშის ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა შორის თვალწარმტაც პლატოზე აგებული დრანდის მონასტერი ხუროთმოძღვრული თვალსზრისით ძველი, ბიზანტიური ტაძრების ტიპისაა და მიჩნეულია ბიზანტიური არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშად.

VII-VIII სს. აფხაზეთის სამეფოში შექმნილი ისტორიული ფონის გათვალისწინებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ დრანდაში ტაძარი VIII ს-ში უნდა აშენებულიყო (Меписашвили, 1983:10).

გეგმით ჯვრის ტიპს მიახლოებული გუმბათოვანი საკათედრო ტაძარი აგურითა და რიყის ქვითაა ნაშენები და VIII ს-ით თარიღდება. წრის ფორმის ჯვრის შუა არეზე ცილინდრული კედელ-სვეტები, რაზეც აფრიანი თაღებია დაყრდნობილი. ტაძრის გუმბათი 16-წახნაგოვანია. აღმოსავლეთით სამწახნაგოვანი შვერილი აფსიდა აქვს. ჯვრის მკლავებს სამივე მხრიდან სწორკუთხედის ფორმა აქვს. კუთხის სათავსებში შესვლა შესაძლებელია სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავიდან (ჩუბინაშვილი, 1948:67; ბერულავა, 1951:74; ქსე, III, 1978:634).

დრანდის ტაძარი არაერთგზის გაუმარცვავთ და დაურბევიათ თურქებს (კვარაცხელია, 6, 2003:180-182). 1885 წლიდან მისი აღდგენა დაუწყია დიმიტრი მაჭავარიანს. დრანდის სავრგულებს XX ს. დასაწყისამდე ფლობდნენ აფხაზ თავადთა – ძიპაშვილების საგვარეულო, ხოლო შემდეგ – შარვაშიძენი (იქვე:181). XIX ს 10-20-იან წლებში დრანდის მფლობელი ყოფილა ალი-ბეი შერვაშიძე, რომელიც, წებელ-დალ-ფსხუელთა მხრიდან პერმანენტული თავდასხმებით შეწუხებული, სოფ. ტამიშში გადასახლებულა (იქვე:182).

მდ. კოდორის დინების მიმართულება „აღმოსავლიდამ დასავლეთად“ ახლანდელი გულრიფშის რაიონის სოფ. ამზარამდეა და არა დრანდამდე. ამზარიდან მდინარე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მიედინება და სოფ. აძიუბჟას სამხრეთით, კოდორის კონცხთან შეერთვის შავ ზღვას. კოდორი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი მდინარეა, რაც წარმოიქმნება ორი მდინარის – გვანდრისა და საკენის სოფ. მარცხენა გენწვიშთანშეერთებით. სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 740 მ-ზე. მდინარის სიგრძე გვანდრის სათავიდან

110 კმ-ია, უშუალოდ კოდორად სახელდებული მონაკვეთისა – 84 კმ. აუზის ფართობი 2030 კმ²-ს შეადგენს. კოდორის უმთავრესი შენაკადებია ჩხალთა, მრამბა, ჯამპალი ამტყელით და სხვ. (აფხაზავა, ქსე, V, 1980:570).

კოდორის აუზის ქვემო ნაწილი (ტერასისებური ხეობით) კოლხეთის დაბლობში შედის, უმეტესი, ზემო ნაწილი კი, მასში შემავალი ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებით (მთავარი წყალგამყოფი ქედი, ჩხალთისა და კოდორის (ფანავის) გამყოლი ქედები, ჩხალთა-საკენის გასწვრივი ხეობა, საკუთრივ კოდორის ხეობა), კავკასიონის მთიანეთის შემადგენელი ნაწილია (მარუაშვილი, XIV, 1961:3).

ვახუშტი შენიშნავს, რომ მდ. კოდორმა „მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში“. მასსადაამე, დაბის სახელი დარქმევია მდინარეს. კოდორის სახელწოდებით დასახლებული პუნქტი ამჟამად კოდორის ხეობის მთიან ნაწილში არ არის. პ. ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ვახუშტისეული დაბა კოდორი უნდა შეესაბამებოდეს ანასტასი აპოკრიფის წერილში მოხსენებულ სკოტორის ციხეს (ინგოროყვა, 1954:156; თეოდოსი, გეორგიკა, IV:42-43, შენიშვნა 4; კეკელიძე, VII:31; ბერაძე, სიგვ, IV, 1971:65; მუსხელიშვილი, I, 1977:119).

მდ. კოდორის სათავედ ვახუშტი „კავკასს“ („გამომდინარე კავკასიიდან“) მიიჩნევდა. აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთი ტოტი, კოდორის ქედია. აღნიშნული ქედი უნგურის, ღალიძგის, მოქვისა და სხვა მდინარეთა აუზების წყალგამყოფს წარმოადგენს და შედგება ხოჯალის მთის მასივში ერთმანეთ დაკავშირებული ორი მონაკვეთისაგან. ერთი მონაკვეთი აფხაზეთის ქედის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი სიგრძე 30 კმ-ია და მიმართულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კავკასიონის მთიური წყალგამყოფი ქედიდან ხოჯალის მთამდე. ამ ქედზეა მოგუაშირხის მწვერვალი, ხოლო შუა ნაწილში, მდინარეების – საკენისა და ნენსკრის წყალგამყოფზე – ხიდის უღელტეხილი. ფანავის ქედის სახელით ცნობილი მეორე მონაკვეთის სიგრძე 51 კმ-ია, მიმართულია განედურად, ხოჯალის მთიდან მდ. კოდორის ქვემო დინებამდე (მარუაშვილი, ქსე, V, 1980:570).

ანასტასი აპოკრიფი გვამცნობს: „უფალი ამბა ანასტასი და ამ წერილის დამწერი შესხეს ცხენებზე და ასე გაამგზავრეს და ჩამწყვდიეს: პირველი – აბაზგიის მახლობლად ერთ ციხეში, რომელსაც სკოტორი ეწოდება“; კოტორი მოიხსენიება აგრეთვე გიორგი მთაწმინდელის დიდ სკინაქსარში ანასტასის წერილიდან მოტანილი ციტატის ქართული ვერსიის შესაბამისი ადგილი ასე იკითხება: „და მმა ანასტასიოს საეგრიტა წარიყვანეს და შეაყენეს ციხესა აფხაზეთისასა, რომელსა ეწოდების კოტორი“ (იქვე:43; ბერაძე, სიგვ, IV, 1971:65).

მდ. კოდორი გამოსახულია არქანჯელო ლამბერტის 1654 წლის რუკაზე (Coddars Feolim Corax) მოიხსენიებს თავის ნაშრომშიც („სამეგრელოს აღწერა“) და აღნიშნავს, რომ კოლხიდაში (ოდიშ-სამეგრელო) „ყველაზე უკანასკნელი მდინარე არის კოდორი, რომელიც უნდა იყოს (მველითა) კორაქსი, რადგან კოლხიდის საზღვრებია (მველთა სიტყვით) ერთის მხრით ფაზისი და მეორეს მხრით – კორაქსი“ (ლამბერტი, 2011:201).****ნ. ლომოურის აზრით, მდ. კოდორის ნაპირზე მდებარე კოდორის კონცხის უწინდელი სახელწოდება ისკურიის კონცხი იყო (ლომოური, 1962:45). განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა თ. ბერაძეს. ლამბერტის რუკაზე, მდ. სკურჩის მარცხენა ნაპირზე დატანილი Turcharu Emporium (თურქთა სავაჭრო ფაქტორია) უცხოურ წყაროებში მოხსენებული ისკურია და ქართული ტყაურუა (ბერაძე, „დ. მ.“, №21, 1970:42; მისივე, „მაცნე...“, 3, 1971:154). ამიანე მარცვლინეს მიერ მოხსენიებული კორაქსისა და მდ. კოდორის იგივეობა საეჭვოდ მიაჩნდა აკად. ს. ყაუხჩიშვილს (გეორგიკა, I:113,156).*

გერმანელი მოგზაურის – იაკობ რაინეგის ცნობით აფხაზეთის დაბლობებსა და ღია ველებს მდინარეები – კოდორი და გერჩისი (?) რწყავს (რაინეგსი, 2002:112). ედუარდ აიხვალდი შენიშნავს, რომ „კოდორი სათავეს იღებს კავკასიის უმაღლეს მთებში და მოედინება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ღრმა ხეობაში, ის დიდი რაოდენობით იერთებს მთის ნაკადულებს და სოფელ უხობის ანუ დრანდის უკან ერთვის ზღვას ორ ტოტად, რომელთაგან სამხრეთისა ძალზე ნელა მოედინება და პატარა ნაგებობისთვის სანაოსნოა“ (აიხვალდი, 2005:221-222).

მდ. კოდორი გამოსახულია XIII ს. ვენეციურ რუკაზე, ვენეციელი კარტოგრაფების ძმების – პიციგანების მიერ 1367 წელს შედგენილ რუკაზე, სოლერის ხმელთაშუა ზღვის რუკაზე (1385 წ.), პორტუგალიელი კარტოგრაფის დიეგო ომენის 1559 წლის რუკაზე, (დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში) იაკობ დე მაიოლოს 1563 წლის რუკაზე (დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), იტალიელი მისიონერის – ჟან შარდენის 1672 წლის რუკაზე (საზღვარი აფხაზეთ-სამეგრელოს შორის), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის, რუსეთის უცხო ენათა კოლეჯის პროფესორ რ. კერის მიერ 1732 წელს შედგენილ რუკაზე და ა. შ. (გამახარია, გოგია, 1997:312; ზუხბაია, „მახარია“, №10, 2002:19). მდ. კოდორი გამოსახულია ლიხთ-იმერეთის 1737 წელს შედგენილ რუკაზეც (ბურჯანაძე, „მოამბე“, I, 1959:194).

ბ. კვარაცხელია გამოთქვამს ვარაუდს, რომ ანასტასი აპოკრიფის წერილში მოხსენებული „სკოტორი“ და ვახუშტისეული დაბა კოდორი აფსილეთის იმ სექტორში მდებარეობდა, „სადაც აფსილეთის მხარე ადგება მდინარე კოდორს, ე. ი. წებელდის აღმოსავლეთით“ (კვარაცხელია, 6, 2003:187).

ჩანს, რომ მკვლევარი იზიარებს პავლე ინგოროყვას თვალსაზრისს, მაგრამ არ მიუთითებს ამ უკანასკნელის ნაშრომიდან შესაბამის გვერდს. პ. ინგოროყვა წერს: დაბა კოდორი... მდებარეობას აბსილეთში, იმ სექტორში, სადაც აბსილეთის მხარე ადგება მდ. კოდორს, ე. ი. წებელდის აღმოსავლეთით” (ინგოროყვა, 1954:156).

ვახუშტის აღწერის გაანალიზება გვამძლევს შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას:

1. ისტორიკოსი ნაწილობრივ არასწორად გადმოგვცემს მოქვის დინების მიმართულებას („ჩდილოდამ სამხრით“). მოქვი ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთით მიედინება, შემდეგ – ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. არასწორია მდინარის ზღვასთან შეერთების ადგილის ვახუშტისეული ჩვენებაც. მეცნიერი მიიჩნევს, რომ მოქვი ილორთან უერთდება ზღვას. რეალური ვითარება კი სხვაგვარია: სოფ. ილორთან შავ ზღვას შეერთვის მდ. ღალიძგა, ხოლო ილორიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მოქვის ზღვაში შესართავამდე საკმაო მანძილია. მოქვის ეკლესიის მდებარეობაც ნაშრომში არასწორად არის მოცემული. იგი მდებარეობს არა მთაში, არამედ – ვაკეზე;

2. XVIII ს-ის I ნახევრის ისტორიული ფონის გათვალისწინებით, მოქვისა და დრანდის ეპარქიები აფხაზთა მიერ არის აოხრებული, ეპისკოპოსები არ არიან და საეკლესიო წირვა-ლოცვა არც ერთ მათგანში არ აღევლინება;

3. კოდორის დინების მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ახლანდელი გულრიფშის რაიონის სოფ. ამზარამდეა და არა დრანდამდე, როგორც ფიქრობს მეცნიერი ბატონიშვილი. ამზარიდან მდინარის დინება სამხრეთ-დასავლეთისკენაა მიმართული და სოფ. აძიუბჟას სამხრეთით, კოდორის კონცხთან უერთდება შავ ზღვას;

4. ვახუშტი აზრით, დრანდის ზემოთ, მთაში მდებარე დაბის სახელი დარქმევია მდინარეს. კოდორის სახელწოდებით დასახლებული პუნქტი ამჟამად კოდორის ხეობის მთიან ნაწილში არ გვხვდება.

ლიტერატურა:

1. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2005.
2. ი. აფხაზავა, კოდორი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, თბ., 1980.
3. ი. აფხაზავა, მოქვი. ქსე, VII, თბ., 1984.
4. თ. ბერაძე, XVII ს. პირველი ნახევრის ოდიშის რუკა. „მეგლის მეგობარი“, №21, თბ., 1970.
5. თ. ბერაძე, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, თბ., 1971.
6. თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. IV, თბ., 1971.
7. კ. ბერულავა, აფხაზეთის ისტორიული ადგილები. თბ., 1951
8. შ. ბურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, „მომამბე“, I, თბ., 1959.
9. თეოდოსი განგრელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. გეორგიკა, IV, ნაკვეთი I, თბ., 1941.
10. გ. გასვიანი, აფხაზეთი საქართველოა. თბ., 2011.
11. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ტფ., 1930, თბ., 1949. თბ., 1966.
12. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., ტ. IV, 1973.
13. პ. ზაქარაია, მოქვი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984.
14. ვ. ზუხბაია, ვახუშტი ბაგრატიონი და აფხაზეთი, თბ., 2000.
15. ვ. ზუხბაია, აფხაზეთი შუა საუკუნეების რუკებზე. გაზ. „მახარია“, №10, 2002.
16. დ. თუმანიშვილი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2001.
17. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954.
18. გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი). თბ., 2004.
19. დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ (ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ., 1976.
20. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. VII, 1961.
21. ბ. კვარაცხელია, ზოგი რამ გულრიფშის რაიონის ისტორიულ წარსულზე. კრ. „საისტორიო ძიებანი“, თბ., 6, 2003.
22. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თბ., 2011.
23. ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1962.

24. ლ. მარუაშვილი, კოდორის აუზის მოკლე გეომორფოლოგიური ნარკვევი. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XIV, თბ., 1961.
25. ლ. მარუაშვილი, კოდორის ქედი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V, თბ., 1980.
26. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, 1977.
27. ი. რაინესი, მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2002.
28. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955.
29. () „ - 30- XX . .,1997.
30. „ . VIII . ., 1983.
31. (1639-1640).
32. . ., 1888.
33. . .44. ., 1915.
34. , 1893.
34. . ., 1948.

**SOME ITEMS OF THE HISTORIC GEOGRAPHY OF MOQVI AND KODORI GORGE IN
VAKHUSHTI BAGRATIONI'S WORK
Igor Kekelia, Akaki Tsereteli State University, PhD Student
RESUME**

Vakhushti Bagrationi's, the well-known Georgian scientist and statesman of XVIII century, research work is very important treasure in the history of Georgian culture and science.

His work „Description of kingdom of Georgia“, which was based on his own research and learning of historical resources and also his cartographical atlas has big importance in the question of social-economic and historical geographic situation of Georgia in the middle Ages.

Vakhushti wrote about the division of whole Georgia (the second half of XV century) into small kingdoms and principalities and gave us description of historical and Geographical past. In his work Vakhushti described Kartli, Kakheti, Hereti, Kukheti, Tusheti, Didoeti, Ovseti, samtskhe-Saatabago, Klarjeti, and some regions of Western Georgia (Abkhazia, Odishi, Guria, Svaneti). Vakhushti's Description of these regions is not so exact and schematic. The reason of it was conditioned with the circumstances of having the lack of information about these regions.

In the previous work there are given the materials about historical geography of Mokvi and Kodori Gorge. According to the research work it is very important to compile the Geographical atlases, which were made in 1735 and 1745 by the scientist.

While discussing the questions of historical geography Mokvi and Kodori Gorge, the author gives us his viewpoint about etymology of some toponymy, about settlements.

ცივჩაყების საქართველოში ჩამოსახლების საკითხისათვის

**ელდარ მამისტვალიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: eldarmamistvalishvili@rambler.ru**

დავით აღმაშენებლის საერთაშორისო ავტორიტეტთან, მის პრაგმატულ დიპლომატიასთან იყო დაკავშირებული ცივჩაყთა საქართველოში გადმოსახლება. მაგრამ საკითხის ამ მხრივ შესწავლისათვის რაიმე პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება, გონივრული ვარაუდი კი ჩნდება, რომ დავით აღმაშენებელს აუცილებლად ცივჩაყების საქართველოში გადმოყვანისათვის დიპლომატიური ხასიათის კონტაქტი ექნებოდა კიევის მთავარ ვლადიმირ მონომახთან (1113-1125), რომელიც სათავეში ედგა რუსეთის სამთავროების ანტიცივჩაყურ კოალიციას. რუსი მთავარი დაინტერესდებოდა თავისი სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ცივჩაყთა სამეზობლოში მიმდინარე ამბებთან და საქართველო-ცივჩაყეთის კავშირით, რაც განმტკიცებული იყო დავით მეფის ცივჩაყთა მთავრის ასულზე ქორწინებით. დავითის

ისტორიკოსის მიხედვით, დავითს „პირველ მრავალთა წელთასა მიერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა, უმთავრესისა ათრაქა შარადანის ძისა სჯულიერად მეუღლედ თასად და დედოფლად ყოველი საქართველოსა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 336). ქართველი ისტორიკოსის გადმოცემას ყივჩაღთა მთავრის ასულის დავით მეფის ცოლობის შესახებ იზიარებენ ცნობილი ქართველი ისტორიკოსები ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1983: 200), შ. მესხია (მესხია 1972: 76), რ. მეტრეველი (მეტრეველი 1986: 295) და პ. ინგოროყვა (ინგოროყვა 1963: 819) და სხვები.

მხედველობაშია მისაღები, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღთა ერთი ნაწილის საქართველოში გადმოსახლებამდე მცირე ხნით ადრე რუსებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, 1103-1116 წლებში, მათი ძირითადი მასა გაწყვიტეს. ყივჩაყთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთაური, როგორც ითქვა იყო ვლადიმირ მონომახი (1901; ცინცაძე 1965: 191-192).

XII ს. ვოლინელმა მემატინემ ყივჩაყების საქართველოში გადმოსვლის ამბავი შემდეგნაირად აღწერა: „მარად დაუვიწყარ, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი დიდი მთავრის რომანის გარდაცვალების შემდეგ... (რომელიც - ე. მ.) ეჯიბრებოდა თავის პაპას მონომახს, რომელმაც დაღუპა უწმუნდური ისმაიტელნი, ყივჩაყებად წოდებულნი, განდევნა რა ოტროკი¹ აფხაზეთში (საქართველოში) რკინის კარებს იქით... მან ვლადიმერ მონომახსმ... მიიღო (შემოიერთა) მათი მიწა-წყალი სრულიად და გადარეკა წყეულნი აგარიანნი. ვლადიმერის გარდაცვალების შემდეგ სირჩანთან დარჩენილი ერთადერთი მეზუკე (სახელად) ორევა გაგზავნა (სირჩანმა) აფხაზეთში (საქართველოში) და დააბარა (ეთქვა ოტროკისათვის): „ვლადიმერი უკვე მკვდარია, დაბრუნდი და მოდი შენს ქვეყანაში“ (ცინცაძე 1965: 190)².

შ. მესხიას სრულიად სწორი ვარაუდით, ყივჩაყთა საკითხმა დავით აღმაშენებელი და ვლადიმირ მონომახი ერთმანეთთან დააკავშირა. ყივჩაყებთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარება და შემდეგ მათი საქართველოში გადმოსახლება ვერ მოხერხდებოდა კიევის რუსეთის დიდ მთავართან მოლაპარაკება-შეთანხმების გარეშე. კიევის მთავარი, რომელიც ათეული წლების მანძილზე ებრძოდა ყივჩაყებს, საქართველოს მეფის ყივჩაყებთან დაკავშირება შეიძლებოდა კიევის საწინააღმდეგოდ მოქმედებად ჩათვალა, თუკი იგი სათანადოდ ინფორმირებული არ იქნებოდა ქართველი მეფის მიზნებისა და ამოცანების შესახებ (მესხია 1972: 76).

კიევის მთავრის საქართველოს შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებელია ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოს III-ის (1648-1672) ვაჟის პავლე ალექოელის „საქართველოს აღწერილობაში“ მოთავსებული ცნობა დავით IV-ის მიერ ყივჩაყების საქართველოში გადმოყვანისათვის კიევის მთავარ, ვლადიმირ მონომახს რომ უკავშირდება³. **სავარაუდოა, ვოლინის მატინე და მის შინაარსთან მიახლოებული სხვა წყარო საფუძვლად დაედო პავლე ალექოელის ცნობას.**

პავლე ალექოელი აღწერს რა გელათის მონასტერს, აღნიშნავს ამ მონასტრის დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებას და იქვე ამატებს: „როდესაც უწმინდურებმა საქართველოს დაპყრობა მოიწადინეს, მაშინ მეფე დავითი რუსეთში მოვიდა, თაყვანისცემით დახმარება ითხოვა და მისცეს რა დიდი ძალა, წავიდა და უწმინდურნი თავისი სამფლობელოებიდან განდევნა და გაათავისუფლა მისგან“ (მესხია 1972: 63).

უცნობ წყაროზე დამყარებით, პავლე ალექოელი გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის კიევის მთავართან ჩასვლაზე. ამ ცნობის პირდაპირი გაგება არ შეიძლება. ვლადიმირ მონომახთან შეიძლება ის ადამიანები მისულიყვნენ, რომელთა შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამბობს: „წარავლინა (მეფემ - ე. მ.) კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თქსსა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 336). შეიძლება ვივარაუდოთ: რადგან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მას შემდეგ, რაც მეფეს მისმა კაცებმა ყივჩაღებისაგან საქართველოში გადმოსვლის თანხმობა და ოსეთის გზის მშვიდობიანი გავლისათვის უზრუნველყოფის თხოვნაც ჩამოუტანეს, ამის შემდეგ დავით აღმაშენებელი და გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ოსეთს გადავიდნენ, ოსები და ყივჩაყები ერთმანეთთან შეარიგა. „და ყო შორის მათსა სიყუარული და მშუდობა ვითარცა ძმათა, და აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშუდობისა ყივჩაყთათქს, და გამოყვანა სიმრავლე ფრიად დიდი; და სიმამრი და ცოლისძმანი თქსნი არა ცუდად დაშურეს...“ (ყაუხჩიშვილი 1955: 336).

¹ ოტროკი, დავითის ისტორიკოსის მიხედვით, ათრაქა შარადანის ძე, დავით IV-ის სიმამრი.

² ოტროკი შემდეგში მართლაც დაბრუნდა სამშობლოში (Ипатьевская 1908: 716)

³ შ. მესხიას ვარაუდი დამყარებული იყო ნ. ასათიანის 1965 წელს გამოქვეყნებულ თეზისებზე, რომელშიც განხილული იყო პავლე ალექოელის (*პავლე ალექოელის მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე, აგრეთვე წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა ვრცლად - ასათიანი 1965: 18-19; ასათიანი 1965: 17*)

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნათქვამი ყვიჩაყების საქართველოში გადმოყვანის შესახებ სამ ეტაპად უნდა განვიხილოთ: 1. დავით მეფის მიერ წარგზავნილ კაცთა მოლაპარაკება ყვიჩაყთა მეფესთან; 2. ყვიჩაყების გადმოყვანისათვის ჩატარებული სამზადისი, რომელსაც უშუალოდ დავით მეფე ხელმძღვანელობდა; 3. ყვიჩაყების წარმატებული გადმოყვანა საქართველოში.

ყვიჩაყების საქართველოში გადმოყვანისათვის მეფე დავითის მიერ ჩატარებული დიპლომატიური საქმიანობიდან, თუ დავითის ისტორიკოსის თხრობას მივყვებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეორე ეტაპს. ამ დროს, როგორც ითქვა, მეფე პირადად იმყოფებოდა ყვიჩაყთა და ოსეთში და ადგილზეც გაეცნობოდა თავისი სიმაძრისა და, საერთოდ, რუსულ სამთავროებთან და ალანებთან ბრძოლებში დასუსტებული ყვიჩაყების მდგომარეობას. სავარაუდოა, დავით მეფის ყვიჩაყეთში ჩასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გაჭირვებაში მყოფი სიმაძრისა და მისი მხარდამჭერი ტომის გადმოყვანა იყო. ასეთნაირად ყვიჩაყთა ერთი ნაწილის გადარჩენა¹ და ამასთან ერთად საქართველოს სამხედრო პოტენციალის ამაღლება იყო. ასეთ დროს დავით მეფის კიევის მთავართან დაკავშირება (რაზეც პავლე ალექსოვილი მოგვითხრობს) და მასთან დიპლომატიური მოლაპარაკება სრულიად დასაშვებია და წარმატების მიღწევაც შეიძლებოდა. ყვიჩაყთა მნიშვნელოვანი რაოდენობის კავკასიაში გადმოსვლა ორივე მხარეს, საქართველოს და ყვიჩაყთა მეზობლებს, აწყობდათ.

ვფიქრობ, საუთუოა მ. წურწუმიას მოსაზრება, რომ დავით აღმაშენებელს ყვიჩაყების საქართველოში გადმოყვანა და მათგან მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის ჩამოყალიბება ჩაიფიქრა ჯერ კიდევ 1104 წელს, მაშინ, როდესაც მან გადაწყვიტა ცოლად მოიყვანა ათრაქა შარადანის ძის ასული გურანდუხტი. დავითმა ჩანაფიქრის განხორციელება შეძლო მხოლოდ 1118 წელს, როდესაც მან საბრძოლო მოქმედებები საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაიტანა (წურწუმი 2012: 187).

გადაწყვეტით იმისი თქმა, რომ დავით აღმაშენებელს 1104 წელს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ყვიჩაყების გადმოყვანა და ამიტომ შეირთი ათრაქას ასული გურანდუხტი, ამისათვის არავითარი პირდაპირი და ირიბი წყარო არ გავაჩნია. შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ დავითს ასეთი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობის გადაწყვეტილების მიღება იმან გაუადვილა, რომ ცოლად გურანდუხტი ჰყავდა.

დავით აღმაშენებელმა, „ამან მეორემან ალექსანდრე განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხუაებრ არა იყო ღონე, და უწყოდა კეთილად ყვიჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმკნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირვლობა და ყოვლითურთ მომზდებულობა ნებისა თქვისა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 335-336). როგორც ივ. ჯავახიშვილი წერდა, ყვიჩაყთა ლაშქრის გადმოყვანა, მათი დაბინავება, გაწვრთნა და დაწყობა უნდა მომხდარიყო 1118-1120 წლებში (ჯავახიშვილი 1983: 200). საქართველოს მეზობელმა მუსლიმანებმა ხიფათის შემცველად აღიქვეს დავით მეოთხე აღმაშენებლის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმა, განსაკუთრებით კი, ყვიჩაყების გადმოყვანა (1118 წ.) და ყვიჩაყი მეომრების რეფორმირებული ქართული ჯარის სისტემაში ჩართვა.

ამგვარად, დავით IV სამხედრო თვალსაზრისით, მზად იყო თავისი დიდი ომისათვის, დიდგორში გამარჯვებისათვის.

ლიტერატურა:

- ასათიანი 1965: ასათიანი ნ., პავლე ალექსოვილის „საქართველოს აღწერილობა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. *ოსუ და საქართველოს პედინსტიტუტების ისტორიის კათედრების გაერთიანებული სამეცნიერო სესიის თეზისები*, თბილისი, 1965
- ასათიანი 1973: ასათიანი ნ., *მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის*, თბილისი, 1973
- ინგოროყვა 1963: ინგოროყვა ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, 1963
- მესხია 1972: მესხია შ., ძლევამ საკვირველი, თბილისი, 1972
- მეტრეველი 1986: მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი, თბილისი, 1986
- ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955
- ცინცაძე 1965: ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბილისი, 1965
- წურწუმი 2012: წურწუმი მ., ყვიჩაყთა საკითხისათვის XII საუკუნის დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ, მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, თბილისი, 2012

¹ ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ რუსი მემკვიდრის ცნობა ვლადიმირ მონომახის ყვიჩაყების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის შესახებ გაზვიადებულია (Мургулия 1998: 69; წურწუმი 2012: 184).

ჯავახიშვილი 1983: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბილისი, 1983
1901: I, 1901
1908: 2, 1908
1998: XII-XIII
1998

THE ISSUE OF THE KIPCHAKS' IMMIGRATION IN GEORGIA
Eldar Mamistvalishvili, Gori State Teaching University, Professor
RESUMÉ

The immigration of the Kipchaks in Georgia is related to David the Builder's international authority and his pragmatic diplomacy. Though there is no direct reference to study the issue in this regard, there is a reasonable assumption that David the builder probably had some diplomatic consultations with the Velikiy Knyaz of Kiev Vladimir Monomakh (1113-1125) who ruled the anti-Kipchaks coalition of the Russian principalities.

As a result of this diplomacy, the Kipchaks successfully moved to settle in Georgia. By recruiting the Kipchak warriors, David the Builder created the additional military force. Afterwards he was ready to gain victory in the battle of Didgori (August 12, 1121).

XVII საუკუნის საციციანოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან

მანანა მიჩიტაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქართლ-კახეთის განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის გამო, საციციანოს დამოკიდებულება სამეფო კართან ხშირად რადიკალურად იცვლებოდა. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ციციშვილები განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან, უკავიათ საკმაოდ მაღალი „საველოები“ სამეფო კარზე. მათი პოლიტიკური მოღვაწეობა ავსებდა და ხშირად მნიშვნელოვნად ცვლიდა კიდევ ქვეყანაში მიმდინარე რთულ პოლიტიკურ პროცესებს. 1609 წ. ივნისში ოსმალებისა და ყირიმელი თათრების შემოსევისას ლუარსაბ მეფისა და გიორგი სააკაძის გვერდით ცხირეთში მყოფი, სარდალი, ზაზა ციციშვილი თავგანწირვით იბრძვის: „მეფიდან წარვიდა მოურავი და ციციშვილი ზაზა.., მაშინ ზაზამ მოჰკლა ფაშა და თავის ჭრასა შინა მოერტყენ თათარხანნი, იპყრა ზაზამ კბილით წვერი თავისა მის, შეჯდა ცხენსა და გამოვლო ბრძოლით თათარხანნი... და დადგენ ტაშისკარის ბოლოს... ეკუთვნენ ფიცხელად და იქმნა ბრძოლა ძლიერი... მოსცათ ღმერთმან ძლიევა და მოსწყვდნეს ურიცხვნი“ (13:422,423) თითქმის იდენტურია ბერი ეგნატაშვილის (12:117) და პარიზის ქრონიკის ცნობები სარდალ ციციშვილის შესახებ. (16:68)

შაჰ-აბასის შემოსევების დროს საციციანოს წინამძღოლი ფარსადან ციციშვილია. იგი დიდ როლს თამაშობს ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სარგებლობს განუსაზღვრელი უფლებებით. არ ინდობს საკუთარ სახლისკაცებს, იტაცებს ქვემო საციციანოს ყმა-მამულს. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენს მიერ მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანილი 1615 წლის დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ: „ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალებ და გიბოძეთ ჩუენ მეფემან პატრონმა ლუარსაბ თქუენ ციციშვილისათვის ქაიხოსროს და მერაბს შვლითა და მომავალთა სახლის თქუენისათა ... თქუენი კერძო მამული ფარსადანს ნაქდევ ქონდა და მოკითხული ვქენით; ზოგი თქუენი სამკვიდრო და ზედ სანაცლოდ მოგეცით ნიჩბისი, უ ფლისა, დოესი, ავეკითი, ახალდაბა, ქვენაფლიჯ, ღვ ვს. აზნაურშვილი შენმაზარ უზნაძე, დავით სიხარულისძე, ივანე ალექსიძე, მერაბა მთიელი, ესეებითა და სახლ-მამულითა მქონებელნი ყოფილან და ანუ არიან.“ (19:№1410) დოკუმენტიდან ხაზგასმით ჩანს მეფე ლუარსაბის მცდელობა შეეზღუდა დაუმორჩილებელი თავადის შეუვალობის უფლებები, ფარსადანისაგან გამოეხსნა ქვემო საციციანოს სახლისკაცების მიტაცებული ყმა-მამულები, თუმცა მხოლოდ შაჰთან შეთანხმებით. ამ დასტურით შაჰი ფიქრობდა, ერთი მხრივ, სამუდამო მტრობა ჩამოეგდო მეფესა და გავლენიან ციციშვილს შორის, მეორე მხრივ, გაემწვაებინა დაპირისპირება საგვარეულოში და სამუდამოდ მოეშალა საციციანოს ერთიანობა, რაც კიდევ უფრო დაასუსტებდა ლუარსაბ მეფის ძალაუფლებას. ქართლის

მეფის, ლუარსაბ მეორის სპარსეთში მოტყუებით წაყვანის შემდგომ, რაშიც ფარსადანის ხელიც ერია, ქართლის ფაქტიურ გამგებლობას ფარსადანი დაეუფლა. ბაგრატ-ხანი (1616-1619 წწ.) მხოლოდ ქვემო ქართლს ფლობდა „ვერცა ეუფლა ქალაქს ზეით ზემო ქართლსა“ (12:402) და ქართველები დაცინვით „უკმობდნენ საბარათიანოს ბატონსა“. (13:428) ქართლის ძლიერი სათავადოს, საციციანოს სამოკავშირეო ძალას ქართლისა და კახეთის სამეფოების ანტიირანულ კოალიციაში, სათანადოდ აფასებდა მეფე თეიმურაზი, რაც ცხადად ჩანს 1616 წლის უვნებლობის პირობის წიგნით, რომელიც მიუცია მეფეს, ფარსადანთან დაპირისპირებულ ბაადურ და მანუჩარ ციციშვილებისათვის. (19:№1292)

1619 წელს შაჰ-აბასმა მას შემდეგ, რაც ქართლის მმართველის სიმონ ხანის „ვექილად“ და ხელმძღვანელად დანიშნა მოურავ-ბეგი. (2:115) სააკაძე ქართლის ფაქტიური გამგებელი გახდა. ძალაუფლების, გავლენის და მიტაცებული ყმა-მამულის დაკარგვის შიშით შიდაკლასობრივი ბრძოლა ფარსადანსა და გიორგი სააკაძის პოლიტიკურ დასს შორის კიდევ უფრო გამძაფრდა, თუმცა ქვეყნის სამომავლო ინტერესებიდან გამომდინარე თავის დაუძინებელ მტერს ფარსადან ციციშვილს შეურიგდა, მაგრამ უშედეგოდ. (20 :№14,1442)

XVII ს. 40-იანი წლებიდან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ციციშვილები კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. გიორგი სააკაძის ქვეყნიდან განდევნის შემდეგ, მეფე თეიმურაზის ანტიირანულ უკომპრომისო ბრძოლაში აქტიურ მხარდამჭერთა შორისაა ფარსადანის შვილი, ნოდარ ციციშვილი. რაც შეეხება ქვემო საციციანოს წინამძღოლს პაპუნა ციციშვილს და მათ შთამომავლებს, ქართლის მეფეთა ერთგულებით გამოირჩევიან, ირანთან კომპრომისული პოლიტიკის მხარდამჭერნი არიან და შაჰის წყალობასაც უხვად იმსახურებენ.

ამდენად, საციციანოს წინამძღოლთა განსხვავებულმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ კიდევ უფრო გააღრმავა შინაფეოდალური დაპირისპირება, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახებოდა საციციანოს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

როსტომის გამეფებით ირანისა და ქართლის პოლიტიკურ ურთიერთობაში დროებით მშვიდობიანობა დამყარდა. ყიზილბაშთა შეიარაღებულ ძალებთან ერთად მეფე როსტომს მოჰყვებოდა შაჰის კარზე მყოფი ქართველ დიდგვაროვანთა ამაღლა, რომელთა შორისაა პაპუნა ციციშვილი. (8:240) ამავე ცნობას მცირე სხვაობით ადასტურებს პარიზის ქრონიკაც. (16:92) ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით: „ქართველთა თავადნი და აზნაურნი სრულ მიუვიდნეს და როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს ციციშვილის ფარსადანის მეტი და იმას სარდრისა ეშინოდა, ამისათვის რომ ძველით მტერობა აქონდათ. ეს სარდარმან იწყინა საციციანოს ლაშქარი გაუმძახა, დარბევინა და მრავალი ტყვე მოასხეს“ (8:240; 16:94) ეს როსტომ მეფე იწყინა და სარდარს კაცი მიუგზავნა: „თავად საქართველო აოხრებული არის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამიოხრებთო, მამ მე რისიღა ბატონი ვიქნებით“. როსტომ მეფის მოთხოვნით შაჰმა საქართველოდან როსტომ სააკაძე გაიწვია: „რა სარდარი საქართველოს გაეცალა, ფარსადან ციციშვილი და ან ხხვანი ... ყველანი მოვიდნენ.“ (8:240- 241)

ქართლის თავადაზნაურობასთან ერთად თეიმურაზის მოკავშირე ციციშვილებმა როსტომს ერთგულება შეჰფიცეს. შეშინებულები ერთგულების დასამტკიცებლად მზად ყოფილან თეიმურაზი შეეპყროთ და მისთვის გადაეცათ. (1:26) არქანჯელო ლამბერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფარსადან ციციშვილი „ერისთავთა ტოლი იყო“ ქსნისა და არაგვის ერისთავების მსგავსად არ დახმარებია მეფე თეიმურაზს. ევროპული წყაროს ეს ცნობა მიგვანიშნებს, რომ ფარსადანი მათთვისაც ძალზე გავლენიანი და ცნობადი სახე უნდა ყოფილიყო. ჩანს ფარსადანმა სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება, ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ჯარით, ყაზახის, შამშადილუს და ლორეს ხანების დამხმარე სარეზერვო ძალებით და ქართლის თავადთა მხარდაჭერით გაძლიერებულ მეფე როსტომთან ბრძოლა სასიკეთოს არაფერს უქადდა. ამის შემდეგ მეფე როსტომმა თეიმურაზის დანიშნული მოხელეები თანამდებობებიდან გადააყენა და თავისი ერთგული ქვეშევრდომებით განიმტკიცა ძალაუფლება. პაპუნა ციციშვილს მაღალი „საჯელო“ მიუღია. მას სარდლად მოიხსენიებს პარიზის ქრონიკა (16:107) და როსტომ მეფის 1650 წლით დათარიღებული სიგელი. (5:145)

შაჰის სპარსული ფირმანით ცნობილი ხდება, რომ ანტიირანული ორიენტაციის მქონე ფარსადან ციციშვილის ყმა-მამული ჯერ კიდევ 1632 წელს ერთგულ ქაიხოსრო ციციშვილისათვის გადაუცია: „ხუთი ოჯახი აზნაური და ორმოცდაათი ოჯახი გლეხი ქართლის ოლქის მცხოვრებ აზნაურთა და გლეხთაგანი, რომელნიც წინათ ფარსადან ციციშვილს ეკუთვნოდნენ, ბოძებულ იქნენ ქაიხოსრო-ბეგ ციციშვილისათვის.“ (7:40-42) გვაქვს განსხვავებული ვითარებაც, როდესაც შაჰი ციციშვილებს სამსახურის სანაცვლოდ თიულებს ურიგებს. 1641 წლის შაჰ-სეფის ფირმანის მიხედვით პაპუნა ციციშვილი შაჰის პირადი დულამის წევრია და სამსახურის სანაცვლოდ თიულს დროებით მფლობელობაში გადასცემს, მაგრამ არა საქართველოში, რადგან XVII ს. ქართველი მაჰმადიანი მეფეების დროსაც მიწისმფლობელობის ქართული სისტემა შენარჩუნებული იქნა, არამედ შირვანის ოლქში, სადაც აღმოსავლური მიწისმფლობელობა იყო დამკვიდრებული. ამ ფირმანის მიხედვით როსტომ მეფის

კეთილშობილთა ამაღლის წევრ პაპუნა ციციშვილისათვის ჯამაგირიც დაუნიშნავთ: „11 თავრიზული თუმანი და 7300 დინარი... პაპუნა-ბეგ ციციშვილის ყოველწლიურ ჯამაგირად არის დაწესებული, როგორც თვით მან ითხოვა... დიდებული ხელმწიფეების შთამომავალ, სიქველით გამოჩენილ ჩემ ძმასთან, საქართველოს ვალისთან როსტომ-ხანთან იმყოფებაო... იქ ასრულებს საჭირო სამსახურს“. (6:41-42)

პაპუნა ციციშვილი ბოლომდე როსტომის კომპრომისული პოლიტიკის ერთგული დარჩა. 1649 წ. შაჰ-აბას II ფირმანით კვლავაც ინარჩუნებდა კარგ ჯამაგირს და მამულებს შირვანში: „გამოვიდა უავგუსტესი ფირმანი... მას დაუდგინეს ჰამასალად თანხა თერთმეტი თუმნის და 7600 დინარის [ოდენობით] შირვანის ოლქის ვოჯუჰათის თანხებიდან.“ (6:60-61) როსტომის გარდაცვალებისთანავე კი მარიამ დედოფალი სწორედ ერთგულებით გამორჩეულ სარდალს, პაპუნა ციციშვილს აგზავნის შაჰის კარზე, მისი მდგომარეობის გასარკვევად: „თმაცა და წიგნიც ციციშვილს პაპუნა სარდალს მისცეს, ჩაფრად გაისტუმრეს. პაპუნა სარდალი ადრე მოსულიყო, ყაენს სწყენოდა როსტომ მეფის სიკვდილი, დედოფლისა დიად ბევრი დედაკაცობა უამბო.“ (16:109; 8:269)

როსტომ მეფესა და თეიმურაზს შორის პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ციციშვილებიც ორ მტრულ, შეურიგებელ ბანაკად გაყო, „სარდალისშვილებსა“ და ფარსადანის შთამომავლებს შორის ბრძოლა თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა (11:76,144, 607,610,634)

ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად თეიმურაზის 1636 წ. 1637 წ. 1638 წ. 1642 წ. ბრძოლებში მეფის გვერდით თავგანწირვით იბრძვის, ერთგულებით გამორჩეული ნოდარ ფარსადანის ძე ციციშვილი. როსტომს ნოდარ ციციშვილის თავის მხარეზე გადასაბირებლად, წყალობა და მფარველობა არ დაუკვლია. თუმცა უშედეგოდ. მეფე მისი უმადურობით დიდად აღშფოთებულა, რაზედაც საინტერესო ცნობას გვაძლევს ფარსადან გორგიჯანიძე: „ბედნიერს ყაენს გამოეპარაო და მთხოვა და არ მივეცო, ფარსადან მამამან მისმანო მრავალი მამლიაო, რომ საციციანო მისის შვილისშვილის პაპუნა ყორჩიბაშისათვის მთხოვაო და არ მივეცო და მაგას უქრთამოთ მივეცო და ახლა ამდენის სიკეთის მაგიერათო ჩემთვის უმუხანათებიაო და სხვას ბატონს ჰპირებია.“ (8:248) ამ საინტერესო ფაქტის სანდოობის დადგენა სხვა წყაროებით ჯერ-ჯერობით არ დასტურდება, თუმცა მის სანდოობას არ გამოვრიცხავთ. ნოდარ ციციშვილს სპარსული მწერლობის საუკეთესო მცოდნეს, „ბარამგურიანის“ ავტორს, თეიმურაზის ლიტერატურული სკოლის მიმდევარსა და მის მეხოტბეს, მეფის მსგავსად, ვფიქრობთ, ბედმა არგუნა სპარსეთის კარზე მძევლობა.

1636 წელს მეფე როსტომი ქართლის თავადთა თხოვნას დათანხმდა, რომ იმერეთის მეფის გიორგი III-ის ძე მამუკა ბატონიშვილი ახალციხიდან ჩამოეყვანა და ეშვილა: „მოატყუეს მეფე როსტომ, მამუკა ბატონიშვილი ჩამოეყვანეს თავის ჯარითა... ღმერთი ჰგმეს და პატრონ ყმობა სწვალეს და მეფის როსტომის სიკვდილი გაჰბედეს და მამუკა ბატონის შვილის გამეფება მოინდომეს ქართლშია და მეფეს როსტომს ქალაქის სასახლის აბხანაში [აბანოში] მოღალატეები ჩაუსხეს.“ (8:246) როსტომმა შორსმჭვრეტელობით, სისხლისღვრის გარეშე, შეძლო მამუკა ბატონიშვილი ისევ ახალციხეს გადასულიყო: „მეფემან აუჩქარებელმან ათის ათასის მარჩილის საჩუქარი სომანეთის ჭალაში მჯდომს, მამუკა ბატონისშვილს გაუგზავნა და მისწერა... რაც კელით გამოგვივაო, აქიდამაც მოგიმართავთო ჯელსაო,“ თუმცა ბატონიშვილის მხარდამჭერი „ჩხეიძენი და ზოგნი საბატოის კაცის შვილები ქართლს დადგნენ, ზოგი ციციშვილი ნოდარისასა და ზოგნი სხვაგან“. (8:247) ნოდარ ციციშვილი აშკარად უპირისპირდება როსტომს, მისი პოლიტიკური მიზნები გაცხადებულია. (8:247) ვეთანხმებით გ. ჟორჯოლიანს, რომ მამუკა ბატონიშვილის ქართლის ტახტის მემკვიდრედ აყვანის შემდეგ ქართლის ვალის მიზანი მოკავშირეთა დახმარებით იმერეთის სამეფოს ქართლთან შეერთება უნდა ყოფილიყო. (4:65,66) თუმცა, შეთქმულნიც ქვეყნის გაერთიანების მიზანს ისახავდნენ ანტიირანულ ძალთა კოალიციით. მიუხედავად ორივე მხარის მცდელობისა, საქართველოს მაშინდელი საშინაო და საგარეო მდგომარეობა არ იძლეოდა საფუძველს ქვეყნის გაერთიანებისა და გათავისუფლებისათვის.

1637 წელს როსტომის წინააღმდეგ აჯანყებულ იოთამ ამილახვრის, იასე და ზაალ ერისთავის გვერდით ნოდარ ციციშვილია: „საქართველოს არევა მოინდომეს და თავადები შეიფიცნეს და ბატონს თეიმურაზს საფიცრები გაუგზავნეს, რომ თვითან ლაშქრით ცხეთას მოზმანდეს და გაღმით ერისთავი და ამილახორი ლაშქრით მოვიდნენ და გაღმართი მკრის ლაშქარი ნოდარ შემოიყაროს, ჩხეიძენიც თან იახლოს და როსტომ მეფეს მტრობა გაუცხადონ და ძალით ბატონობა წართვან.“ (8:247) ჩანს, მდგომარეობა იმდენად მძიმე და საშიშროების მომტანი შეიქმნა როსტომისათვის, რომ მეფემ კვლავ ამჯობინა დათმობაზე წასულიყო, ამილახორად ბეჟანი დანიშნა, კარაღეთი ნოდარ ციციშვილს და ქსნის ერისთავობა ელიზბარს უბოძა. კახეთს გადახვეწილი იოთამ ამილახვარი და იასე ქსნის ერისთავი დედოფლის შუამდგომლობით კვლავ შეიწყნარა. შერიგება კვლავაც ხანმოკლე გამოდგა. იმავე 1637 წელს ახალი აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი ნოდარ ციციშვილია. ის იმდენად დარწმუნებულია გამარჯვებაში, რომ „სამარტოთ გამარჯვება მოინდომა, არც ბატონი თეიმურაზი მოიცადა და არც

ერისთავი და არც ამილახორი. ვითაც ჩხეიძენი და სხვა იმერეთის საბატოს კაცის შვილები მასთან იყვნენ და ყველანი ომნაცადნი კაცნი იყვნენ და საციციანოს მხრისაკენ თავისი და სხვის ლაშქარი შემოჰყროდა. მოვიდა ხოვლეთს ჩამოჭდა. თავისის კერძოს ლაშქარი ვინც არ შემოეყარა, მამულები (დაურბივა) და ეს ანზავი იორამ მოვრავისშვილს მეფისათვის მოეწერა” (8:247). როსტომმა შეძლო დედაქალაქსა და მცხეთაში ძალების სწრაფი მობილიზება, საბარათიანოსა და ყიზილბაშთა ლაშქრით გამთენიისას ხოვლეთში გამაგრებულ ნოდარ ციციშვილს შეებრძოლა: „ძალმიცემით ომი გარდიხადეს და მეფემ გაიმარჯვა” (8:248) გორგიჯანიძის ცნობით „ნოდარ ომს არ მოსრულიყო და უწინვე ვერის ციხისაკენ წასულიყო და ჩხეიძეებს ზურგი არ მოაბა... ნოდარ ვერის ციხეში შეიხვეწა”. აქაც როსტომმა შემწყნარებლობა გამოიჩინა. რაც შეეხება საციციანოს, „უფროსი ერთთ საციციანო დაუყვეს და კაცები უჩინეს, რომ გაქცეულთ კაცთ უკან ნურვინ აედევნების და ვისაც საციციანოს კაცი დაეჭიროს, გაუშვანო.” (8:248) ნოდარ ციციშვილს ბოლოს მტკიცე ზოვრეთის ციხისათვის შეუფარებია თავი „ნოდარ ზოვრეთის ციხეში გამაგრდა. მეფემ გორიდან ლაშქარი გაუმახა და სკრას ზეთი საციციანო დარბევინა.” როსტომმა შაჰის წინაშე თავის მართლების მიზნით, მისწერა: „ქართველნი ჩემის უშვილობისათვის და უნათესაობისათვის ურჩობენ და ავკაცობენო, რომ ჩემს საბოლოს ვერა ჰედვენო” (8:249) ნოდარის მომხრეები როსტომის ლაშქარში ხმას ავრცელებდნენ, ნოდარის მოსაშველებლად თეიმურაზი მოდისო. ამ ხმებმა ვერ გატეხა როსტომი, მან ბრძანება გასცა, რომ „ხოთქარიც მოეშველოსო, სიღამდისინ ნოდარს ციხიდან არ გამოვიყვანო, აქითგან არ დავიძვრიო” (8:249) ალყა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს ციხე შიგნიდან გატყდა. გამჭირახმა პოლიტიკოსმა, „ჩათრეულს ჩაყოლილი აჯობინა”. ნოდარმა თავისი დედის პირით როსტომს „გაცლის გზა სთხოვა. ვითაც ნათესავი იყო მეფისა”. როსტომი დათანხმდა. მან ნოდარს „უვნებლობის საფიცარი მისცა, რომ საცა უნდა წავიდეს თავისი მხლებლებით და ქონებით არაუშავდესრა და ამდენი ცხენი, ჯორი ათხოვეს ზოვრეთიდან, რომე თავიანთ ქონებით ახალციხემდისინ მიახსან”. (8:249) ცხადია, როსტომს შეეძლო საბოლოოდ გაენადგურებინა თეიმურაზის უძლიერესი მომხრე. ამჯერად როსტომმა სავსებით სწორად შეაფასა პოლიტიკური სიტუაცია. ძმათა შორის სისხლისღვრას მოერიდა და არა მარტო ზოვრეთიდან ახალციხეში გადასვლის შესაძლებლობა, არამედ სიმდიდრის გატანის საშუალებაც მისცა, თუმცა ამ შეთქმულების მოწაწილეთა ნაწილი და მათ შორის დედოფლის სახლთუხუცესი ქაიხოსრო ბარათაშვილი, მკაცრად იქნა დასჯილი.

1642 წ. შეთქმულების მოწაწილეთა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა კვლავაც ნოდარ ციციშვილია. წყაროები მეტ-ნაკლები სიზუსტით შეთქმულებას უკავშირებენ როსტომ მეფის შვილად და მემკვიდრედ გამაჰმადიანებული ლუარსაბ ბატონიშვილის ქართლში ჩამოსვლას. შეთქმულების მიზანი კვლავ როსტომის მოკვლა და თეიმურაზის ქართლში გამეფება იყო. შაჰ-აბას II-ის ისტორიკოს, მოჰამედ თაჰერის ცნობით: „იდუმალ კი უფრო გააღვივა შფოთის ცეცხლი და ზაალ ერისთავთან, ნოდართან და ქართლის კათალიკოზთან ერთად... გადასწყვიტა, რომ როსტომ-ხანი მოეკლათ... ის ბოროტგანმზრახველი, უსაზღვრო სინანულში ჩავარდნილი (ნოდარი), გაიქცა და ახალციხეს მივიდა.” (3:381-382) როსტომს რადიკალური ზომები მიუღია, მიწასთან გაუსწორებია მიუდგომელი, მტკიცე ატენის ციხე, დიდი ნადავლი და ნოდარ ციციშვილის ცოლ-შვილი ტყვედაც ჩაუგდია, თუმცა ნოდარმა თავს უშველა და თავი კვლავ ახალციხისათვის შეუფარებია. მეფემ მალევე მიუტყვა: „საციციანო მისი ნაქონი მასვე უბოძა“. (8:251) ბუნებრივია, ისმის კითხვა, მაინც რა მიზეზებით აიხსნება ნოდარ ციციშვილისადმი ასეთი ლმობიერება და არაერთგზის დათმობაზე წასვლა?

ახალციხის საფაშოში დარჩენილი ფანასკერტელების ძირძველი საგვარეულო შტო, ათაბაგთა მხარდაჭერითა და ერთგულებით გამოირჩეოდა, რომელთაგან მფარველობა არაერთგზის ჰქონდა ნოდარ ციციშვილს. მეფე როსტომმა იცოდა, ციციშვილი და მისი სიძე ზაალ ერისთავი, ქვეყანაში თეიმურაზის ძლიერ მოკავშირეებიდან საკმაოდ გავლენიანი, ანგარიშგასაწევი ძალა იყო. შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი უთუოდ ითვალისწინებდა თეიმურაზის საგარეო ურთიერთობებიდან გამომდინარე საფრთხეებსაც და მათ შორის ციციშვილისთვის ოსმალების დახმარებას ახალციხის საფაშოდან, მიუხედავად 1639 წლის ზოჰაბის ზავისა.

პროფ. ი. ცინცაძის ობიექტური შეფასებით, თეიმურაზის შეურიგებლობამ ირანი აიძულა დათმობაზე წასულიყო და როსტომს საშუალება მისცა მშვიდობიანი გზით ეკეთებინა ის საქმე, რომლის გაკეთებასაც თეიმურაზი იარაღით ცდილობდა. (15:212) აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როსტომმა შესანიშნავად იცოდა, შაჰის შედარებით ლოიალურ პოლიტიკაში დიდი წვლილი ნოდარ ციციშვილის გმირულ ბრძოლებსაც უდავოდ შეჰქონდა. როსტომის შემრიგებლური პოლიტიკა საციციანოზეც დადებითად აისახა და დროებით შეწყდა სახლისკაცთა შორის დაპირისპირება. (19:№1080;14:464; 10:76)

1648 წელს მეფე თეიმურაზის განახლებულ ომში ქართლის თავადები, მათ შორის ციციშვილი ნოდარი მეფეს აღარ ეახლა. უფრო მეტიც 1658 წელს ბანძასთან ბრძოლაში (14:470) ქართლის მეფის მხარესაა. გავლენიან ნოდარ ციციშვილთან დანათესავებას ამჯობინებდა მეფე შაჰნავაზი: „ნოდარის ქალი თავის არჩილს უთხოვაო” - წერს ანონიმი ავტორი. (16:108) მართალია, ნათესაობა ხშირად

საბოლოოდ ვერ სპობდა შულს, მაგრამ ის მანც ერთგულების ერთგვარი საწინდარი იყო, რაც ესოდენ სჭირდებოდა ქართლის ტახტზე ასვლისას. ნოდარ ციციშვილის გარდაცვალების შემდეგ კი სამეფო კარი ზემო ციციშვილებთან დამოკიდებულებას აშკარად ცვლის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. გორგიჯანიძის ცნობით: „ნოდარ ციციშვილი მიცვალებულიყო, იმისი ქალი ბატონისაგან არჩილისათვის ნათხოვნი იყო. იმ ქალის დაგდება და ქეთევან დედოფლის შერთვა უნდოდა და საბოლოოდ ციციშვილის სისხლს ერიდებოდა. ტყვილი ზრახვა თქვეს, უქადეს და გასწირეს სული და ჰგმეს ღმერთი... ახალციხის ფაშას ქეთევან დედოფალი სთხოვეს”. (8:273)

XVII ს. 60-იან წლებში ქვემო ციციშვილები „სარდალ-პალატ-უხუცესები არიან” (17:73-74) საბარათიანოს სარდალი ზაზა ციციშვილია. ზაზა საკმაოდ გავლენიანი, უძლიერესი პოლიტიკური მოღვაწე ჩანს ქართლის სამეფოში. მის დაწინაურებას ხელი შეუწყო სამეფო დინასტიასთან მისმა ნათესაურმა კავშირმა. ვახტანგმა (1658-1675 წწ.) გარდაცვლილი კათალიკოზ ქრისტეფორეს შემდეგ კათალიკოსობა, თავის ბიძაშვილს დომენტის 1660 წ. უბოძა. 1671 წლის საინტერესო ისტორიული დოკუმენტის მიხედვით, კათალიკოსის დისწული სწორედ ზაზა ციციშვილია: „ესე წიგნი მოგვით ჩუენ... კათალიკოზმა დომენტი თქუენ ციციშვილს, ჩემს დისწულს ზაზასა და ზაალსა. ასრე რომ როდესაც კურთხეული ჩემი და, დედათქვენი, დედისიმედი მიიცვალა და თქუენ ყინცვისს წასასვენებლად მოინდომეთ... რომ ნიჩბისს თქუენის სასახლის სიახლეს აგეშენებინათ საყდარი და იქ მიგელოთ მიწათ.” (19:№1337) კათალიკოს დომენტის მხარდაჭერამ და ზაზა ციციშვილის პიროვნულმა თვისებებმა განსაზღვრა კიდევ სწრაფი დაწინაურება შაჰნავაზის კარზე. იგი აქტიურად მონაწილეობს ერეკლე ბატონიშვილის წინააღმდეგ 1663-64 წწ. წარმოებულ ბრძოლებში, რამაც მისცა ვახტანგ V-ეს შესაძლებლობა კახეთის ტახტზე არჩილის გამეფებით აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტობრივი გაერთიანება. [13:452] იმავდროულად სარგებლობს შაჰ სულეიმანის ნდობითა და წყალობით, რასაც მოწმობს ციციშვილთა მფლობელობის სახელზე გამოცემული სპარსული ფირმანები. (7:19-20,40-42; 9:305-306;)

ვახუშტის შეფასებით სამეფო კარზე პოლიტიკური გავლენით და ძლიერებით თავგასული ზაზა, შაჰნავაზ V აღარ ემორჩილებოდა, რაც გამხდარა მისი დასჯის მიზეზი. (13:455) ვფიქრობთ, ავტორი ტენდენციურია, მეფის სინანული შაჰის რისხვის თავიდან აცილების მცდელობა უფროა და მხოლოდ სამეფო კარის ანტიირანული პოლიტიკური გეგმებით აიხსნება. მკვლელობის ფაქტი და მოტივი კი დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტად ბუნდოვანია. ამ ისტორიული წყაროების შედარებისას შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. შაჰ-სულეიმანისათვის (1666-1694) აშკარა გახდა, რომ ქართლის მეფის და ტახტის მემკვიდრის, გიორგი ბატონიშვილის პოლიტიკური ზრახვები ირანის ქვეშევრდომობას ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ ისპაჰანის ტარუდის, ვახტანგ V-ის მემკვიდრის, გამაჰმადიანებული ალექსანდრეს გამეფება ირანის შაჰის ინტერესებში შედიოდა, რაც მისგან იყო წაქეზებული და მხარდაჭერილი;

2. ქართლის სამეფო კარის სამომავლო გეგმებისთვის ამ მთავარი საშიშროების, სპარსული ორიენტაციის ძლიერ ძალად მიიჩნიეს გავლენიანი სარდალი, ზაზა ციციშვილი და ამიტომ საჭირო გახდა მისი თავიდან მოცილება;

3. სამეფო კარზე წინასწარ დაგეგმილ, ზაზა ციციშვილის გასაიდუმლოებულ პოლიტიკურ მკვლელობაში თვით მეფის მონაწილეობას ადასტურებს პაპუნას საუფროსოს გაყოფა-დანაწევრებისა (20:№647) და სარდლის მომხრეთა განადგურების მასშტაბები: „როდესაც სარდალი ზაზა მოკლესო, მაშინ შანავაზ მეფემ ჩვენი ქონება აიკლო და სიგლები და მისი საპასუხო წიგნები მაშინ წავვიხდაო... სარდალის შვილებისა წიგნები აღარ ჩნდა და ზემო ციციშვილს წიგნებიც ჰქონდა და ეს მამულიც დღეს კვლთ ეჭირათ, ამიტომ ფიცი ამათი იყო.” (10:206)

საციციანოში ატეხილი შინაფეოდალური დაპირისპირებულობა მოხერხებულად გამოიყენა შაჰ-სულეიმანმა და ქვემო საციციანოზე გავლენის შენარჩუნების მიზნით გარდაცვლილი ზაზა ციციშვილის ქონება, მის ძმას - ზაალს გადასცა, რასაც ნათლად მოწმობს მის მიერ გამოცემული სპარსული ფირმანი: „გოგჩა-დენგიზის ხსენებული ადგილებისა, რომლებიც თიულად, ინამად და ჰამასალად ჰყავდნენ დამტკიცებული ღულამ პაპუნა-ბეგ ციციშვილის შვილს ზაზა-ბეგს. [ის] გარდაიცვალა... თიულად და ჰამასალად დაუმტკიცდა ზაალ-ბეგ ქართველს ამ წლების წილის მიხედვით... 8 თუმანი 6404 დინარი სოფელი ჰასანქენდი, სოფელი ქარმუჯი... 7 თუმანი 8450 დინარი.” (7:44-45,70-71,74-75) შევიწროებული ზაზა ციციშვილის განაყოფი (19:№1337) ციცი ციციშვილი იძულებული გახდა ქართლიდან იმერეთში გადასულიყო, სადაც დაწინაურებულა და ყმა-მამულიც მიუღია. შაჰნავაზი შეეცადა თუ არა იმერეთის დაჭერას, გავლენიანი ციცი ციციშვილის გადმოსაბირებლად მცდელობა არ დაუკვლია: „ცოტა რამე საქმე მოხდა და შემოგვწყერით და იმერეთს წახველ და მანდიდამე ჩვენსა ერთგულობას ეცადე და იმერეთის დაჭერას ეცადედ თუ ჩვენ დავიჭიროთ იმერეთი შენის საქმითა ჩვენცა ეს პირობა და საფიცარი გაგითაოთ, ასე რომე რასაც მქონებელი ამ ქვეყანას იყვე და ან მანდ ახლა მანდ მამული გაქვს

ყოველითურთ უკლებლად დაგიმტკიცოთ, ჯელშეუალად გიბოდოთ შენი სამკვიდრო მამული”. (18: ფ.22, ს.228)

ამდენად, საციციანოსთან სამეფო კარის მკვეთრი დაპირისპირების მიუხედავად, ვფიქრობთ, იმერეთის შემოერთების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოლიტიკურ პროცესებშიც ციციშვილებს აქტიური მონაწილეობა და განსაკუთრებული დამსახურება უნდა მიუძღოდეთ. ამის შემდგომ დაწინაურებული ციცი ციციშვილი სამეფო კარზე განაგრძობს მოღვაწეობას (10:132,134; 20:№801; 9:112) და მეფე გიორგი თავად იცავს მას სახლისკაცთა მტრობისაგან: „მაშინ ციცი წამოვიდა ტფილისს აბანოდ და დახუდენ იშიშუტრუქის ჯიდს ზეით ფარსადან, პაატა, ვახტანგ, ნოდარ და ამილღაბარ ძმანი, მოჰკლეს ციცი და ივლტოდემ მამულსა თვისსა. განრისხებული მეფე მიუქდათ, არამედ გაესწრნენ იგინი. ხოლო აზნაურნი, შემზრახნი მათ თანა მოსწყყდნა და მისცნა მამულნი ციცის, ძესავე ციცისასა.” (13:458) მალე ცნობილი გახდა, რომ: „ქუეგანმხედელ ექმნა გიორგი მეფესა ციცი ციციშვილი და აცნობებდა ყოველსავე ნაზარ-ალიხანს... ამისთჳს შეიპყრა გიორგი მეფემან ციცი, მოაშთო იგი და მისცა საციციანო ფარსადანს ნოდარის ძეს.” (13:470) გიორგი მეფის სწაფვას ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ, რასაც ხელს უშლიდა იმდროინდელი არახელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობები, მოჰყვა შინაფეოდალური ბრძოლები და ანარქია, ამას დაემატა ირანის შაჰის მომხრე ქართლის თავადების, მათ შორის ციციშვილთა აწიოკება, დასჯა, იძულებით გაერთიანება. (14:511) „ორიანობისას“ (9:67,355,462) ქაიხოსრო ციციშვილი ერეკლე ნაზარალი-ხანის (1688-1703 წწ.) სახლთუხუცესი (14:515) და ერთგული მხარდამჭერია. სახლისკაცთა შორის ბრძოლაში გამარჯვება საბოლოოდ მას დარჩა: „მეორე დღეს წარმოავლინეს ქაიხოსრო ლოპინა სპითა. ამან გარდმოვლო მთა თორისა გუჯარეთსა ზედა და დადგა გვეძინეთს. ამისმან მცნობელმან მეფემან გიორგი წარავლინა ფარსადან ციციშვილი და ზურაბ ერისთვისშვილი. არამედ ვერარად ავნეს ქაიხოსროს და დაიპყრა საციციანო მან” (13:473)

ამდენად, ანტიირანულ, უკომპრომისო, განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდამჭერი ზემო საციციანოსა და ირანთან კომპრომისული პოლიტიკის ერთგული, ქვემო საციციანოს ხანგრძლივი ბრძოლები, მართალია, აფერხებდა ქვეყნისა და სათავადოს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ ერთმანეთს პოზიტიურად ავსებდა ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. ავიტაბილე დონ პიედრო, ცნობები საქართველოზე, XVII ს. შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ. 1977.
2. ისქანდერ მუნში. “აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება”. ტექსტი სპარსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. თბ. 1981.
3. მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტის თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა. “მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის” (მსკი). ნ. 30. თბ. 1954.
4. ჟორჟოლიანი გ., საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში, თბ.1987.
5. საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1910.
6. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I; თბ.1961.
7. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I₂; თბ. 1962.
8. ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1925.
9. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვლ.ფუთურიძე, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ. თბ. 1955
10. ქართული სამართლის ძეგლები ტ. IV. თბ., 1972. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, დოკ. 43, 27; 25, 78.; 137. ; 69; 70;
11. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. VI. თბ., 1977, 318; 320; 321;
12. ქართლის ცხოვრება, ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959
13. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.1973
14. ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფილისი. 1897.
15. ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის წარსულიდან. “ისტორიის ინსტიტუტის შრომები”. ტ. I. თბ. 1955.

16. ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ. 1980.
17. ძველი საქართველო II, თბ. 1913
18. საისტორიო არქივი, ფ.22, ს. 228.
19. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Ad №1410; Ad №1292 _Ad; №1080
20. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd 801; Hd 14,1442; ფ. Sd 647

FROM THE HISTORY OF THE POLITICAL RELATIONS OF SATSITSIANO IN THE 17TH CENTURY

Manana Michitashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

RESUME

The Political situation both internally and externally in Kartl-Kakheti region of Georgia in the 17th century stands out with the difficult political processes. The Tsitsishvili were very active that time in the political live of Georgia, they held high “hereditary offices” at the courtyard of the kingdom. Their political activities fulfilled and often significantly changed the difficult political processes in the country.

The Upper branch of Satsitsiano supported the uncompromising liberating battle against Iran while the Lower branch was devoted to the politics of Iran. The constant battles between these two branches though hindered the social-political and economic development of both the country and the princely, still positively affected safeguarding the Georgian statehood.

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი და ისტორიული სამართლიანობა

ლელა სარალიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
E-mail: lelasaralidze@yahoo.com

კონფლიქტი წარმოადგენს ქვეყნის შიგნით ან სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული წინააღმდეგობის ფორმას. მისი საფუძველი შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ნაციონალური, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის დაპირისპირება. ნებისმიერ კონფლიქტში მთავარი პოლიტიკური ინტერესებია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისტორიული სამართლიანობა. ისტორიული სიმართლის ობიექტური განსაზღვრისთვის საჭიროა გარკვეული კრიტერიუმების შემუშავება, რაც დღეს არ არსებობს და კონფლიქტის გადაჭრა საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით ხორციელდება. საჭიროა კონფლიქტის საფუძვლებში გარკვევა, პრობლემის სიღრმეებში ჩაწვდომა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვეძებოთ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზები.

საქართველოში არსებული კონფლიქტების შესწავლისას არ უნდა დაგვავიწყდეს ისტორიული ფაქტების ხაზგასმა. ადგილი აქვს ისტორიული ფაქტების მიზანმიმართულ დამახინჯებას, რასაც სეპარატისტთა ზურგს უკან მდგომი ძალები ახორციელებენ. ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია იმის შესახებ, რომ თითქოს შიდა ქართლი თავიდანვე არა ქართული, არამედ ოსური ტერიტორია იყო რუს სასულიერო პირს ვოსტორგოვს ეკუთვნის. ის ჯერ კიდევ, 1903 წელს წერდა, რომ შიდა ქართლის ტერიტორია თავდაპირველად ქართველებით არ იყო დასახლებული და აქ ოსები ცხოვრობდნენ. შიდა ქართლის ტერიტორიაზე ქართველების და ოსების ავტოქტონობის საკითხთან დაკავშირებით ქართველების და ოსების პოზიცია რადიკალურად განსხვავებულია. ქართული პოზიციის თანახმად, ოსების წინაპრები – ალანები კავკასიონის ქედს იქით ტერიტორიაზე დასახლდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე ოსების პირველი ჩამოსახლების მცდელობას XIII საუკუნის ბოლოს ჰქონდა ადგილი, როცა ისინი იძულებულნი გახდნენ თათარ-მონღოლებს გამოქცეოდნენ. შემდეგში ოსები საქართველოდან გიორგი ბრწყინვალემ განდევნა. ოსური დასახლებები საქართველოს ჩრდილოეთით

მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში – XVII საუკუნის შუა ხანებიდან ჩნდება (თოფჩიშვილი, 1997). ოსების აზრით კი, მათი წინაპრების ამიერკავკასიაში ყოფნის ისტორია გაცილებით ძველია.

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის გაღვივებაში თავისი წვლილი შეიტანეს სეპარატისტ-ისტორიკოსთა ნაშრომებმა, რამაც გაამძაფრა ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტური ურთიერთობა, დავიწყებული იქნა ამ ორ ხალხს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების მდიდარი გამოცდილება (თორია, 2009).

საქართველოში არსებული ავტონომიები ბოლშევიკური ანექსიის შემდგომ ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა და იმთავითვე ერთა შორის თანასწორობის პრინციპებს არღვევდა. ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი ათეული წლების განმავლობაში გეგმაზომიერად მზადდებოდა. იგი ხელოვნურად გაღვივებული ეთნიკური დაპირისპირების ესკალაციის ფონზე სსრკ-ის დაშლის წინა პერიოდში დაიწყო. კონფლიქტი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1988 წლიდან, როდესაც ე. წ. სამხრეთ ოსეთში სახალხო ფრონტი „ადამონ ნიხასი“ შეიქმნა. ორგანიზაციამ მიზნად დაისახა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალებთან დაპირისპირება და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ხელის შეშლა. „ადამონ ნიხასი“ სათავეში ჩაუდგა საპროტესტო აქციებს, რომელიც ცხინვალის რეგიონში 1989 წლიდან დაიწყო. საბაზად გამოიყენეს 1989 წლის 15 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა „ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფას“ (გაზ. „კომუნისტი, №196).

ქართულ-ოსურ კონფლიქტზე პასუხისმგებელია კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე. ოსი პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ისტორიული სამართლიანობის ხაზგასმა, კერძოდ ტერმინის „სამხრეთ ოსეთი“ წარმოშობის ისტორიის წარმოჩენა ყოველთვის გახდება განხეთქილების საგანი და ეს თემა მნიშვნელოვანი და საინტერესო, მხოლოდ, კონფლიქტის გადაწყვეტის შემდეგ იქნება, რაც, ვფიქრობთ, არასწორია. ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ არაბუნებრივია ისტორიული თვალსაზრისით და შესაბამისად მიუღებელია, რადგან აღნიშნული ტერმინის ქვეშ მოიაზრება ოსებით დასახლებული საქართველოს ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორია. სახელწოდება სავსებით უსამართლოდ, საერთაშორისო სამართლის ნორმების გვერდის ავლით, ეწოდა ქართულ მიწა-წყალს, რომელიც ჩრდილოეთიდან გადმოსულმა ოსებმა თანდათანობით დაიკავეს. ოსების საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლების ფაქტს არაერთი ქართველი და უცხოელი ავტორი ადასტურებს. პირველ ოფიციალურ დოკუმენტად, სადაც შიდა ქართლის მთიანეთი „ოსეთად“ მოიხსენიება, ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, საქართველოში რუსული ადმინისტრაციის მეთაურის – მთავარმმართველ კნორინგის 1802 წლის 26 მარტის პატაკი (, 1866). რუს ისტორიკოსს პ. ბუტკოვს მოჰყავს გენერალ-ლეიტენანტ კნორინგის 1802 წლის 15 თებერვლით დათარიღებული პატაკი, სადაც კნორინგი აღნიშნავს: „ოსეთში წარმოქმნილი სხვადასხვა განუკითხაობისა და საქართველოს საზღვარზე ოსების მიერ განხორციელებული თავდასხმებისა და მარცვის გამო, გორიდან მათი წინააღმდეგობის ჩასახშობად პოდპოლკოვნიკი სიმონოვიჩი გაიგზავნა. თოვლიან ქედებზე საკმაოდ რთული გადასვლის განხორციელების შედეგად, ის თავისი რაზმით ოსეთში შევიდა. ოსები იძულებულნი გახდნენ ერთგულების ფიცი დაედოთ და ქართულ ხელისუფლებას დამორჩილებოდნენ“ (, 1869).

ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ და „ჩრდილოეთ ოსეთი“, ოფიციალურად ფეხს იკიდებს 1830 წლიდან. გაზეთ „...“-ში (1830 წ. №72) დაბეჭდილი ანონიმი ავტორის პუბლიკაციაში ე. წ. „სამხრეთ ოსეთად“ სახელდებულია დიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა და მეჯუდას ხეობების მთიანეთის ტერიტორია. იქვე ჩამოთვლილია ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“-ს შვიდი მთავარი ხეობა: მალრანდვალეთის, ქემელთის, ჯავის, პატარა ლიახვის, მეჯუდის, ჭურთისა და ჭამურის (ითონიშვილი, 1995). 1830 წლის 24 მაისს, გენერალ-ფელდმარშალ პასკევიჩის მიერ თბილისის სამხედრო გუბერნატორის, გენერალ-ადიუტანტ სტრეკალოვისადმი გაგზავნილ წერილში „ოსეთის ზემო ნაწილის“ ანუ „ზემო ოსეთის“ საპირისპიროდ მოხსენებულია „ოსეთის ქვემო ნაწილი“ ანუ „სამხრეთ ოსეთი“. ასევე, ოს ისტორიკოს ი. ცხოვრებოვს თავის დოკუმენტების კრებულში მოჰყავს 1830 წლის 24 მაისით დათარიღებული „კავკასიის ცალკეული კორპუსის სარდლის გენერალ-ფელდმარშალ პასკევიჩის წერილი თბილისის სამხედრო გუბერნატორ გენერალ-ადიუტანტ სტრეკალოვისადმი, „სამხრეთ ოსეთში“ გლეხთა აჯანყების ჩასახშობად სამხედრო ექსპედიციის დანიშვნის შესახებ“ (, 1960).

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, თუ გარკვეულ ტერიტორიას ბოლო 50 წლის განმავლობაში დამკვიდრებული აქვს რაღაც სახელწოდება, უმჯობესია, იგი სწორედ ამ სახელით მოვიხსენიოთ. ეს ფაქტი კიდევ უფრო შორს სწევს დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობას.

ისტორიული ფაქტების დამახინჯების გამო, საქართველოს ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა მსოფლიო თანამეგობრობა რუსეთთან ურთიერთობებისას საკუთარ სიმართლეში დაერწმუნებინა და თავისი პოზიცია საერთაშორისო ასპარეზზე გაეტანა.

ცხინვალის რეგიონში გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებში უხეშადაა დამახინჯებული ისტორიული ფაქტები და მოვლენები, შეცვლილია ისტორიული რეალობა: ქართველი ხალხი აგრესორად და დამპყრობლად არის წარმოჩენილი. სახელმძღვანელოს ავტორები მიზანმიმართულად ცდილობენ ოს ბავშვებს ქართველების სიძულვილი ჩაუნერგონ. ოსი ავტორები ცდილობენ ისტორიის გაყალბებას, რათა გაამართლონ თავიანთი უსაფუძვლო პრეტენზიები ისტორიულ და ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე. ასეთი ნაშრომების შექმნა უშუალოდ რუსეთის სპეცსამსახურების მითითებით ხდება.

ერთ-ერთი რეალური არგუმენტი, რაც ქართველ ხალხს კონფლიქტის გადაწყვეტაში დაეხმარება ისტორიული სამართლიანობაა. თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლება რეგიონებში სიტუაციის არეკით ცდილობს დაანაწევროს ქართული მიწა-წყალი, დაარღვიოს საქართველოს ბუნებრივი ისტორიული საზღვრები, შექმნას ხელოვნური ანკლავები და დასუსტებული საქართველო აიძულოს, რათა კვლავ რუსეთის ქვეშევრდომი გახდეს.

თავდაპირველად ქართველთა და ოსთა საუკუნოებრივი თანაცხოვრება მნიშვნელოვნად 1918–1920 წლებში შეილახა, მაშინ როდესაც საქართველომ შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სწორედ, საქართველოს დამოუკიდებლობა გახდა ის რეალური მიზეზი, რათა მესამე ძალა – რუსეთი აქტიურად ჩართულიყო კონფლიქტის გადავსებაში.

1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში, ისტორია საბჭოური ტენდენციურობით იწერებოდა. უცხოეთში იძულებით გახიზნული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საკუთარ მართალ ხმას ვერ აწვდენდა ქართველ ხალხს, რადგან რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ რკინის ფარდა აღმართა დანარჩენ მსოფლიოსთან. ისტორია რეალური ფაქტების უხეში გაყალბებით იწერებოდა. ასეთი ნაშრომების ავტორებს კი საბჭოთა რეჟიმი ახალისებდა და სხვადასხვა პრემიებით აჯილდოვებდა. აღნიშნულ წიგნებს, სადაც აბსოლუტურად არის შეცვლილი ისტორიული რეალობა, რუსეთის ხელისუფლება თავისი მოქმედების გასამართლებლად დღესაც წარმატებით იყენებს.

შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანების მცდელობას, ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიეცა გასაქანი. პირველად საკითხი ოსების თვითგამორკვევის შესახებ, 1917 წლის ივნისში, ამიერკავკასიის ოსთა ჯავის ყრილობაზე დაისვა და ითვალისწინებდა ეროვნულ-ტერიტორიულ თვითმმართველობებს კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით. 1918 წლის დასაწყისში ოსები სამაზრო საეროზო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის მოთხოვნით გამოვიდნენ. მართალია, ოსები ფართო ავტონომიის საკითხს მაშინ არ აყენებდნენ, მაგრამ ცხინვალს თავიდანვე ე. წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ერთეულად მოიაზრებდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ეროვნული უმცირესობის საკითხის გადაწყვეტას საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებდა. ერთ-ერთ სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიის მაშინდელმა თავმჯდომარემ პავლე საყვარელიძემ განაცხადა: „...დღეს ჩვენი მოვალეობა არის შევქმნათ მთლიანი, მტკიცე ეროვნული ორგანიზმი და ავიცდინოთ ის მიზეზები, რომლის გამო სუსტდება და ირღვევა იგი. ამიტომ ჩვენ უნდა განვაცხადოთ: სხვა ერს ჩვენ აქ ვეღარ შევქმნით, სახელმწიფოში ახალ სახელმწიფოს ვეღარ დავაარსებთ...“ (ბახტაძე, 1968).

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის სექტემბერში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ცხინვალის რეგიონში ადგილზე უნდა შეესწავლა ვითარება, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ავტონომიური ოლქის შექმნა აღნიშნულ ტერიტორიაზე. კომისიას უშუალოდ საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბესარიონ კვიციანი ხელმძღვანელობდა (სარალიძე, 2010). მან მოხსენებითი ბარათი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციურ კომიტეტს განსახილველად მაშინ წარუდგინა, როცა ოსები ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის საკითხს აყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა კომისარმა უარყოფითი პოზიცია დაიკავა ე. წ. სამხრეთ ოსეთის, როგორც ცალკე ავტონომიური ერთეულის შექმნის საკითხში. მან შეუძლებლად მიიჩნია არა თუ ე. წ. სამხრეთ ოსეთის სს რესპუბლიკის, ან ავტონომიური რესპუბლიკის, არამედ ავტონომიური ოლქის შექმნაც კი (არქივი, ს. №10, ფ. 121).

საქართველოს ძალით გასაბჭოების და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში თვით საბჭოთა ხელისუფლების მესვეურები ერიდებოდნენ ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ გამოყენებას, რასაც ადასტურებს 1921 წლის 9 აგვისტოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება, სადაც ნახსენებია, მხოლოდ, გორის მაზრის ცხინვალის რეგიონი.

CONFLICT IN TSKHINVALI REGION AND HISTORICAL JUSTICE

Lela Saralidze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior researcher scientist of the Department of Modern and Contemporary History

SUMMARY

On the basis of archive materials the history of Tskhinvali region conflict is discussed in the article. Neglecting historical justice was one of the main reasons of stirring up the conflict. For objective determination of the historical truth certain criterion should be worked out. Today we have not got them and settling of the conflict is based on the principles of the international law. To work out the peaceful settlement of the conflict is possible only after deep understanding of the conflict reasons, after the roots of the conflict will be found out.

Autonomous republics in Georgia, after the Bolshevik annexation, from the very beginning were formed against the interests of the Georgian nation and from the very beginning were infringing the principles of equality between nations. The conflict of Tskhinvali region was systematically prepared for decades. It started before the fall of the Soviet Union on the background of the escalation of the artificially stirred up ethnical opposition. The conflict became quite obvious since 1988, when in so called South Ossetia people's front "Adamon Nikhas" was founded. The organization aimed to confront and hinder the Georgian national-liberation forces to fight for the independence of Georgia. "Adamon Nikhas" became a leader of protests and manifestations that started in Tskhinvali region in 1989. Responsible for conflict are both participants. Ossetian historians think that underscoring historical justice, mainly showing the origins of the term "South Ossetia", will always cause disagreement and split and the subject will become interesting and significant only after the conflict will be settled. In our opinion, this is the wrong approach to the issue. From the historical point of view term "South Ossetia" is not natural and thus unacceptable as it denotes historical part of Georgian territory, "Shida Kartli" (Inner Kartli) populated by Ossetians. Part of the Georgian land was quite unjustly, against the norms of the international law named "South Ossetia", which was gradually settled by the Ossetians migrated from the North.

It must be underlined that one of the real, factual arguments that can be helpful in dealing with this problem is a restoration of the historical justice. The government of Russia tries to escalate situation in regions and thus tries to disintegrate territory of Georgia, change the natural historical boundaries, form artificial enclaves and thus force weakened Georgia to become again subordinated to Russia.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ფრანგი მოგზაურის > ბარონ დე ბაის ცნობების მიხედვით

გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

XIX საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობა გააუქმა, საიმპერატორო კარი თანმიმდევრულად შეუდგა საქართველოს კოლონიურ ათვისებას. ქვეყანა დამპყრობლური პოლიტიკის უღელქვეშ მოექცა. ქართული სახელმწიფოს მეთაურები მეზობელი აგრესიული ქვეყნების მოსაგერიებლად იმედებს ევროპულ სახელმწიფოებზე ამყარებდნენ. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ქვეყნის მესვეურებმა ამ მიზნით ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებს არაერთხელ მიმართეს თხოვნით [14; 435]. ქართველი მონარქები დასავლეთში ემებდნენ სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეს. თუმცა, ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. საბოლოოდ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური წრეების მესვეურებმა გეზი ერთმორწმუნე რუსეთზე აიღეს. რუსეთი, ერთი შეხედვით, მართლაც, საიმედო მოკავშირე ჩანდა, მაგრამ მისი ნამდვილი პოლიტიკური მიზნები მალე გაცხადდა. რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის გაუქმება და კავკასიაში რუსული მმართველობის შემოღება. 1801 წლის მანიფესტით რუსეთმა ოფიციალურად გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, რაც მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნისათვის მეტად მძიმე აღმოჩნდა. სახელმწიფოებრიობის გაუქმებას თან მოჰყვა ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, რაც გამოიხატებოდა, სამეფო ოჯახის წევრთა რუსეთში გადასახლებით, ასევე ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელთა ფიზიკური, თუ ფსიქოლოგიური ტერორით. თუმცა ამან ქართული საზოგადოება მაინც ვერ შეაჩერა, რომელმაც იმპერიის სასტიკ პოლიტიკას არაერთი აჯანყებით უპასუხა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ უამრავი ნაშრომი დაიწერა. ორი ქვეყნის ურთიერთობას მკვლევართა არაერთი თაობა იკვლევდა. სამეცნიერო ბრუნვაში დღემდე უამრავი წყაროა შემოტანილი,

რომელთა შორის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებს. XIX საუკუნეში საქართველოში არაერთი ევროპელი მეცნიერ-მოგზაური იმყოფებოდა. რომელთა ცნობებს აღნიშნული პერიოდის არამარტო მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიაში არსებული ქვეყნების ისტორიის სრულყოფილი შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. მათი ჩანაწერები XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ობიექტური შესწავლისთვის ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, მათ შორის: პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.* უცხოელ მოგზაურთა შთაბეჭდილებებში ცალკე ადგილი ეთმობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. ამ საკითხის ობიექტურად შესწავლის თვალსაზრისით მოგზაურთა ცნობები ძვირფას მასალას წარმოადგენს.*

ევროპელ მოგზაურთა შორის აღსანიშნავია ფრანგი არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე ამურ ოგიუსტ ლუი ჟოზეფ ბერტელო ბარონ დე ბაი, რომელმაც საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში რამდენჯერმე იმოგზაურა. მას განზრახული ჰქონდა კავკასიის და საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა. სამეცნიერო მივლინების ანგარიშებს თავდაპირველად იგი მოხსენებების სახით კითხულობდა პარიზის გეოგრაფიულ საზოგადოებაში, ხოლო შემდეგ გამოსცემდა წიგნების სახით [2; 10]. მისი პირველი ნაშრომი საქართველოს შესახებ გამოქვეყნდა 1898 წელს. ხოლო მომდევნო წლებში მან საქართველოს და კავკასიის შესახებ არაერთი წიგნი გამოსცა [2; 10]. პირველად საქართველოში დე ბაი 1897 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. მას საგანგებო დავალება ჰქონდა საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროსაგან კავკასიაში ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული გამოკვლევების მიზნით [2; 11]. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ მოგზაურმა დაწერა წიგნი: „საქართველოში“. ბარონ დე ბაის საქართველოში თავისი მეორე მოგზაურობა აღწერილი აქვს წიგნში: „კავკასიის ქედის სამხრეთით“. 1900 წელს ფრანგმა მოგზაურმა გამოსცა ჩვენი ქვეყნისადმი მიძღვნილი მომდევნო წიგნი „ტიფლისი“. მოგზაურს ურთიერთობა ჰქონდა ქართველი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლებთან, როგორც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ალ. ცაგარელი, დავით სარაჯიშვილი, თედო სახოკია და სხვები [4; 81–89]. ფრანგი მოგზაურის ჩანაწერები შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას XIX საუკუნის ბოლო წლების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ. დე ბაის შრომებში დაცულია ძვირფასი ცნობები, საქართველოს სხვადასხვა ქალაქების, სოფლების, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ. მოგზაურს დაწვრილებით აქვს აღწერილი ქართველების ჩაცმულობა, საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებები. იგი აღწერს როგორც არისტოკრატიული წრეების, ისე დაბალი სოციალური ფენების ცხოვრებას. მათი ყოფისათვის დამახასიათებელ დეტალებს. ბარონ დე ბაის ნაშრომებიდან საყურადღებო ინფორმაციას ვიღებთ XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. მისი ცნობები ხშირ შემთხვევაში არაობიექტურია და ეს არ არის შემთხვევითი, რადგან მეცნიერს საქართველოში მოგზაურობის დროს თან ახლდა გავლენიანი რუსი გრაფი სერგეი შერემეტიევი.* ამიტომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მთელ რიგ საკითხებზე ბარონ დე ბაის დასკვნებს რუსი ინფორმატორის გავლენა ადვილად ემჩნევა. როგორც დე ბაის თხზულებათა ქართულ ენაზე მთარგმნელი ლ. მადრაძე აღნიშნავს: „დე ბაი თავის ნაშრომში სწორ, სამართლიან მოსაზრებებთან ერთად ზოგიერთ უზუსტობასა და ფაქტობრივი ხასიათის შეცდომასაც უშვებს, რაც ისტორიული მეცნიერების განვითარების, იმდროინდელი დონით და ფრანგულ ენაზე საქართველოს ისტორიის სამეცნიერო ლიტერატურის ნაკლოვანებით შეიძლება აიხსნას. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გადმოცემისას

* აღნიშნული პერიოდის საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვეს ევროპელმა მოგზაურებმა ედუარდ აიხვალდმა(იხ. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005), მორიც ვაგნერმა(იხ. მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002), რობერტ კერ პორტერმა (იხ. TRAVELS-Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia, During the ears 1817, 1818, 1819, and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I London, 1821), რობერტ ლაიალმა (იხ. Robert LYALL, Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia, London, 1825) და სხვ.

* იხ. გ. სოსიაშვილი, აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №4, 2013, გვ. 219-231; იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, ქართული თარგმანი გერმანულ ტექსტთან ერთად გამოსცა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გ. სოსიაშვილმა, თბ., 2013; Giorgi Sosiashvili, French Traveller Jacques Francois Gamba on Russia-Georgia relations in the 1st quarter of the XIX century, Humanities and Social Sciences Review, cd-Rom. Issn: 2165::1(3): 105-111(2012), p. 105; Giorgi Sosiashvili, New vision of the critical analysis of the Russia-Georgia Relations according to german traveller Johan Anton Guldenstadt(1775-1777), Humanities and Social Sciences Review, cd-Rom. Issn: 2156-6992::2(4): 171-176(2012), p. 171.

* ცარიზმისადმი დიდი ერთგულებით ცნობილი დონდუკოვ-კორსაკოვის შემდეგ, გრაფი შერემეტიევი გარკვეული პერიოდი კავკასიის მთავარმართებელი იყო(1890 წლიდან), შერემეტიევი ამ თანამდებობაზე 1896 წელს გოლიცინმა შეცვალა[11; 642–643].

ქართველი ხალხისადმი კეთილგანწყობილ ევროპელ მოგზაურსა და მეცნიერს, დე ბაის, შესაძლებელია, ვერც კი წარმოედგინა ის გარემოება, რომ ცარიზმის რუსეთთან ერთად სვლა საქართველოს გაქრობას, მისი კულტურული მემკვიდრეობის მოსპობას ნიშნავდა“ [2; 14]. თუმცა ფრანგი მოგზაურის თხზულებებში ბევრ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით, რომელთა კრიტიკული შესწავლა და ანალიზი არაერთ საინტერესო საკითხს ჰფენს ნათელს. ბარონი დე ბაი არამარტო რუსეთ-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობის დეტალებს იცნობდა, მას საკმაოდ დიდი ინფორმაცია ჰქონდა ამ ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესახებ. იგი ისტორიულ ექსკურსს აკეთებს და აღნიშნავს, რომ საქართველომ რუსეთზე პოლიტიკური კურსი მას შემდეგ აიღო, რაც გარეშე მუსლიმანური ქვეყნებისაგან შევიწროებული ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაში მოექცა. იგი საქართველოს რუსეთის იმპერიის გვირგვინში მოქცეულ ყველაზე ლამაზ ყვავილს უწოდებს: „ამ ლამაზ საქართველოში რუსეთი, ისევე როგორც სხვაგან, ბიზანტიის მემკვიდრე გახდა, ქრისტიანული საბერძნეთის ღვაწლის გამგრძელებელი და განმაახლებელი. მართლაც, ყველა დროში ბიზანტიის იმპერატორები იყვნენ ლაზების, კოლხების და სხვათა, ერთი სიტყვით, საქართველოს ყველა მცხოვრებთა დამცველნი ქრისტიანული იბერიის საუკუნოვანი მტრების - სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ საქართველომ იმედის თვალი მართლმადიდებლურ რუსეთს მიაპყრო. 1492 წლიდან მეფე ალექსანდრემ მიმართა ივანე III-ს, მოსკოვის დიდ ჰერცოგსა და სოფიო პალეოლოგის მეუღლეს. 1587 წელს კი, საქართველოს მეფემ თავი რუსეთის მოხარკედ გამოაცხადა და მეფე თეოდორემ იგი თავის მზრუნველობის ქვეშ აიყვანა. უფრო გვიან, 1719 წელს მეფე ვახტანგ VI, რომელმაც მაჰმადიანობის მიღება არ ისურვა, წავიდა რუსეთში, სადაც თავი შეაფარა ეკატერინეს კარს. ერეკლე მეფემ, რომელმაც განდევნა სპარსელები თბილისიდან და ლეკები დაამარცხა, სთხოვა რუსებს დახმარება თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო 1784 წელს თავადები: მუხრანსკი და ჭავჭავაძე გააგზავნა რუსეთის იმპერიაში საქართველოს მიერთების საკითხზე მოსალაპარაკებლად. ყველას, ვინც იცნობს საქართველოს, შეუძლია თქვას, რომ იგი არ არის იმპერიული გვირგვინის ყველაზე ლამაზი ყვავილი.* ორი ერი - ისეთი, როგორც რუსები და ქართველები არიან: ერთნაირი სარწმუნოების, ერთნაირი ხვედრის მქონე, წმინდა გიორგის მფარველობის ქვეშ მყოფნი, უნდა შეერთებულიყვნენ მას შემდეგ, რაც ორივემ იწვინა ნახევარმთვარის უღელი და სისხლი დაღვარა სარწმუნოების შესანარჩუნებლად. ცივილიზაციის ავანგარდში მყოფთ, აზიური მოსახლეობის პირისპირ უნდა გაეერთიანებინათ ძალა, რათა ეზრუნათ რუსეთის იმპერიის სიდიადისათვის, რომელიც თითქოსდა მოწოდებულია აღმოსავლეთის გარდასაქმნელად და მისი ახალ გზაზე დასაყენებლად. ეს არის გზა მატერიალური და მორალური განვითარებისა, გზა პროგრესისა. **საქართველოში მასპინძლობა რუსებმა გამიწიეს, დამათვალისებრნი იგი, როგორც დიდი მუზეუმი,** მიმიწვიეს ბუნების სილამაზით დასატკბობად, მაზიარეს ძველ ისტორიას. გავხდი მონაწილე მათი აღტაცებისა და ახლად ანექსირებული ქვეყნის წარსულისადმი, დამაკავშირეს მხარის ყველაზე საინტერესო და ღირსშესანიშნავ პიროვნებებთან. რუსებს დიდი მადლობა უნდა ვუძღვნა, ქართველებს კი უღრმესი მადლობა მათი სიმპათიისა და კეთილგანწყობილი მიღების გამო.“ [2; 54–55]. ბარონი დე ბაი თვლის, რომ საქართველომ რუსეთისთვის მას შემდეგ შეიძინა ფუნქცია, რაც იმპერიამ თვისი კავკასიური პოლიტიკა დაიწყო: „საქართველოს როლო მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც რუსეთმა კავკასია დაიპყრო. უძველესი საქართველო თავის ახალგაზრდა მართლმადიდებელ დაზე წინ წავიდა და შესთავაზა მას თვისი სამეფოთი და მის ქვეშევრდომთა კეთილშობილური სისხლით, რომელიც სამშობლოსათვის ხანგრძლივ ბრძოლებშიც არ გამოფიტულა, ყველაზე საუკეთესო ყვავილი სამეფო გვირგვინის მორთულობაში. ეს კავშირი იყო არა გონებრივი ქორწინება, არამედ შერწყმა ორი ერისა, რათა მათ ერთმანეთი ჰყვარებოდათ. ერთი წარმოადგენდა ქრისტიანობის უძველეს, ყველაზე კეთილშობილურ ავანგარდს აღმოსავლეთში, ხოლო მეორე - მებრძოლსა და ძლიერ მემკვიდრეს ბიზანტიისა, რომლის სკიპტრაც ევროპისა და აზიის ნახევარზე იშლება და რომელსაც მომავალი დიდი იმედით უღიმის.“ [2; 60]. ფრანგი მოგზაურის ცნობით მიუხედავად რუსული მმართველობის შემოდებისა, რუსულ ცხოვრების სტილმა ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი არისტოკრატის, ცხოვრების წესი მაინც ვერ შეცვალა. ქართული წეს-ჩვეულებები მისი გადმოცემით კვლავ ურყევი იყო. იგი წერს: „რუსეთის მიერ დამყარებულ ახალ რეჟიმს არ შეუცვლია საქართველოს ცხოვრების წესი. ამის მაგალითია ის ადგილი, სადაც ვიმყოფებით.

* XIX საუკუნიდან 1917 წლის მარტამდე რუსეთის იმპერატორთა ოფიციალურ ტიტულატურაში საქართველოს და მისი ცალკეული მხარეების ფლობა დასტურდებოდა ტიტულებით: „Царь грузинский“, ასევე „...“, ხოლო რუსეთის იმპერიის სახელმწიფო გერბში სხვა ქვეყნებთან ერთად მეექვსე ადგილზე გვხვდება საქართველოს სამეფოს გერბი. იხ. ნ. ჯავახიშვილი, საქართველო და სხვა ქვეყნები რუსეთის იმპერატორთა ტიტულატურაში და მათი ჰერალდიკური სიმბოლიკა იმპერიის სახელმწიფო გერბში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 2012, გვ. 251–253.

მან გააღარიბა თავადაზნაურობა მისი ხასიათის შეუცვლელად. მისი ღირსება, ისევე როგორც ზრუნვა მასპინძლობაზე, ყოველთვის წარმოადგენს უპირველეს მოვალეობას. ამიტომ წვეულებებს ნამდვილი სიდიადის ელფერი დასდევს. მასპინძელი ცდილობს გამოყოს ის პირი, ვისაც სტუმრად ღებულობს და მე არ ვაზვიადებ, იგი მას ამეფებს თავის სახლში; არაფერზე უკან არ იხევს, რომ ასიამოვნოს და როდესაც მის სადღეგრძელოს სვამს, გამოთქვამს ყველაზე თბილ გრძობებს მისი პიროვნებისა და სამშობლოს მიმართ“ [2; 97]. ბარონი დე ბაი გადმოგვცემს საქართველოში რუსეთის იმპერატორის–ალექსანდრე III სტუმრობის შესახებ. იმპერატორი 1888 წელს ჩამოსულა ჩვენს ქვეყანაში და კარდანახში მისთვის გრაფ შერემეტიევს უმასპინძლია. დე ბაის ინფორმაციით იმპერატორს თან ახლდა თავისი მეუღლეც – მარია თევდორეს ასული. ადგილობრივ მოსახლეობა მათ ძალზე თბილად დახვედრია. მოგზაურის გადმოცემით ხალხის ასეთი დახვედრა ამტკიცებდა, რომ „რუსი მბრძანებლები ქართველებისათვის დამპყრობლები კი არა, პირიქით, მათი მეგობრები ყოფილან“ [2; 36]. თუ როგორი დამოკიდებულება არსებობდა იმ დროინდელ რუსულ საზოგადოებაში საქართველოს მიმართ, როგორ უყურებდა კავკასიაში არსებულ დიდი ისტორიის მქონე სახელმწიფოს მოწინავე რუსული ინტელიგენცია კარგად ჩანს რუსი პოეტის – პოლონსკის ლექსში, რომელიც მთლიანად მოჰყავს თავის თხზულებაში ფრანგ მოგზაურს.* ამ ლექსში წარმოჩენილია რუსეთის როლი საქართველოს ფიზიკური გადარჩენის საქმეში. რუსი პოეტი ხოტბას ასხამს რუსეთის მიერ საქართველოს აღმშენებლობით პროცესში გადადგმულ პროგრესულ ნაბიჯებს. ლექსში ერთგან აღნიშნულია: „საუკუნეების მანძილზე დუმდა საქართველოს მუხა, ის ან სპარსულ სიმღერებს იმეორებდა, ან კიდევ შეუგნებლად ცეკვავდა ზურნის ჩახლეჩილ ხმებზე და ამრიგად, ივიწყებდა თავის პოეტურ ნიჭს. ამ მუხამ გამოიღვიძა და მუქი ლურჯი ცის ქვეშ ხელახლა ხან ჰიმნებით ასხავდა ხოტბას წარსულის დიდებას, ხან კი, შეიგრძნო რა რუსულ სულთან ინტიმური კავშირი, გამოცოცხლებული იმედით შეჰყურებს მომავალს“ [2; 60]. როგორც დე ბაის თხზულების ქართულ ენაზე მთარგმნელი ლ. მალრამე აღნიშნავს: „ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობა მართლაც დიდი იმედით შეჰყურებდა თავის ნათელ მომავალს, მაგრამ არა ისეთსა და არა იმგვარად, როგორც ამას ი. პ. პოლონსკი და მისი თანამედროვენი გულისხმობდნენ და რასაც ხოტბას ასხამდნენ. ის ფაქტი, რომ დე ბაი, რომელიც კარგად იცნობდა რუსი პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეების შემოქმედებასა და იდეურ შეხედულებებს, თავის წიგნში იმორჩებს ი. პოლონსკის ლექსს, ადასტურებს, რომ მასზე და მის ნაშრომებზე გარკვეულწილად ზეგავლენას ახდენდა რუსი ავტორების პოეტური და პუბლიცისტური თხზულებანი. დე ბაი ამ ლექსით ევროპელებს აცნობდა რუსეთის ინტელიგენციის ერთ-ერთი წარმომადგენლის დამოკიდებულებას საქართველოსა და საერთოდ კავკასიისადმი“ [2; 60–61]. როგორც ჩანს, ბარონი დე ბაი პოლონსკის და მისი თანამოაზრეების შეხედულებებს თანაუგრძობდა. სწორედ ამიტომ შეიტანა რუსი პოეტის ლექსი თავის ჩანაწერებში. ბარონ დე ბაი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რუსეთის იმპერიის სამსახურში არაერთი ქართველი იდგა, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში: „ძალიან შორს წაგვიყვანდა არმიის ვეტერანი ქართველების ჩამოთვლა, რომელთა ბრწყინვალე სახელები ოქროს ასოებითა და სისხლით არის ჩაწერილი რუსეთის მიერ აღმოსავლეთში წარმოებულ ომების ისტორიაში.“ [2; 73].* ქართველების მსგავსად სხვა კავკასიელი ხალხებიც ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთის საიმპერატორო კარს. ამ მხრივ, ბარონ დე ბაი ხაზს უსვამს სომხების მოღვაწეობას. როგორც ფრანგი მოგზაური გადმოგვცემს, იმპერიის სამსახურში მყოფი სომხები ხშირად თავიანთ გვარებს რუსულ დაბოლოებას აძლევდნენ [2; 65]. ცნობილია, რომ ასეთი პრაქტიკა ქართველ თავად-აზნაურებშიც ხშირი იყო. დე ბაი აღწერს ქალაქ თბილისს და მის განვითარებას რუსეთის დამსახურებად მიიჩნევს: „თბილისი 1801 წლამდე, ე. ი. სანამ იგი რუსეთის მფლობელობაში შევიდოდა, იყო პატარა ქალაქი, გარშემორტყმული ბაღებითა და კედლებით, რომელთა მისასვლელები უსაფრთხო არ იყო იმ ლეკი ყაჩაღების მიზეზით, რომლებიც იქ გამვლელებს უდარაჯებდნენ. ეს გამაგრებული ზღუდეები რუსეთის ადმინისტრაციამ დაანგრია 1816-სა და 1826 წლებს შორის, განსაკუთრებით კი გამოჩენილი გენერლის ერმოლოვის მმართველობის დროს, რომელმაც ბევრი გააკეთა თბილისის გამშენიერებისთვის.* რუსეთმა თბილისი თანამედროვე,

* რუსულად გამოქვეყნდა გაზ. „კავკაზის“ 1897 წ. 1 იანვრის ნომერში.

* რუსეთის იმპერიის არსებობის მანძილზე არაერთმა ქართველმა გენერალმა ისახელა თავი იმპერიის მიერ წარმოებულ ბრძოლებში, საიმპერატორო კარი არ იშურებდა იმპერატორის სამსახურში დამაშვრალი მოღვაწეებისთვის მაღალი რანგის სამხედრო ჩინებს. იხ. 2003.

* გერმანელი მოგზაური მორიც ვაგნერი, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის 40 –იან წლებში იმყოფებოდა, წერს რომ თბილისის აღმშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა რუსეთმა, „ყველგან სადაც რუს მშენებლებს უღვაწიათ, არის სივრცე, ჰაერი, მზე და თავისუფალი ხედი; ხოლო, სადაც კი ძველი შენობები ხელუხლებლად დარჩა, ქუჩები, და მოედნები ვიწროა და ბნელი.“ იხ. მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 20. თბილისის შესახებ საინტერესო

ლამაზი ქალაქების რანგში აიყვანა, მოაცილა მას ძალიან ვიძრო საზღვრები, შემატა ახალი უბნები, სკოლები, ბიბლიოთეკები, სხვადასხვა სახის დაწესებულებები, და ბოლოს, ორი მუზეუმი. ერთ, დაარსებული ალექსანდრე III-ის მეფობის დროს, წარმოადგენს გამარჯვების ტაძარს, იგი აღსავსეა რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის ბრწყინვალე მოგონებებით, მეორეა 1867 წელს დაარსებული მეცნიერების ტაძარი, სადაც თავმოყრილია კავკასიის ბუნებისმეტყველების ისტორიის ამსახველი მრავალი დოკუმენტი, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა.“ [2; 71]. თბილისს დე ბაი რუსულ ქალაქად თვლის: „რუსები? შემეკითხებით - თქვენ, რადგანაც თბილისი პოლიტიკურად რომ ვთქვათ, ბოლოს და ბოლოს რუსული ქალაქია. სწორედ ამ ქალაქში, ბრწყინვალე სასახლეში აქვს რეზიდენცია ქვეყნის გამგებელს - კავკასიის ადმინისტრაციის უმაღლეს მეთაურს. ამჟამად ამ ფუნქციებს ასრულებს მისი უბრწყინვალესობა თავადი გრიგოლ გოლიცინი; ამას გარდა, იგი არის კავკასიის სამხედრო ძალებისა ყუბანისა და თერგის კავაკების სარდალი. თავადი რამდენჯერმეა ნამყოფი საფრანგეთში და უყვარს იმ მშვენიერი მოგონებების გახსენება. 1876 წლისათვის თბილისის მოსახლეობის 104,000 მცხოვრებიდან 30,813 რუსი იყო. მასში შედიოდა გარნიზონის 10,615 ჯარისკაცი. სამხედრო პირების გარდა იყვნენ აგრეთვე ჩინოვნიკები.“ [2; 70]. თბილისში ფრანგი მოგზაური იხსენიებს საიმპერატორო კარის მიერ რუსეთიდან ჩამოსახლებულ ერთ-ერთი სექტის მოლოკანების* წარმომადგენლებს, რომლებიც მეეტლეებად მუშაობდნენ საქართველოს დედაქალაქში [2; 70]. თბილისიდან ბარონი დე ბაი მატარებლით ბათუმში გაემგზავრა. ბათუმის შესახებ მოგზაური აღნიშნავს, რომ ეს ქალაქი რუსული გავლენის ქვეშ არც თუ ისე დიდი ხნის წინ მოექცა. მოგზაურის თქმით, ბათუმში დიდი ხანი იყო თურქეთის გავლენა [2; 40].* თერთმეტსაათიანი მგზავრობის შემდეგ დე ბაი ბათუმიდან გემით სოხუმში ჩავიდა. მისი ინფორმაციით სამხრეთ კავკასიას იმირკავკასიასთან სამი გზა აკავშირებდა. პირველი ეს იყო ე. წ. სამხედრო გზა. როგორც მოგზაური აღნიშნავს ეს გზა შედარებით გამოუსადეგარი იყო ზვავებისა და ხშირი მეწყერის გამო. ხელისუფლება ამ გზის გასწვრივ რკინიგზის გაყვანას გეგმავდა. [2; 113]. მეორე გზა კასპიის ზღვისპირეთში გადიოდა, რომლის ბოლო დაკეტილი დერბენტით იყო, ხოლო მესამე გზა „მიჰყვება დასავლეთ კავკასიას, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს“ [2; 114]. დე ბაის ცნობით შავი ზღვის სანაპიროების ათვისებით რუსეთი განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული: „ბოლო ხანებში შავი ზღვის ამ სანაპიროებმა რუსეთის ყურადღება მიიპყრო; რუსეთმა აქ მშვიდობა დაამყარა და ნოვოროსიისკის სოხუმთან დამაკავშირებელი გზატკეცილის გაყვანით აღადგინა მიტოვებული მიმოსვლა; ეს მოხდა რკინიგზის გაყვანამდე, რომლითაც დიდად დაინტერესებული იყო სანაპიროზე მცხოვრები მრავალი რუსი მესაკუთრე. მესამე სახმელეთო გზა, რომელზედაც ეს-ეს არის ვლასარაკობდით, იძლევა საშუალებას ჩრდილოეთიდან მივადწიოთ აფხაზეთამდე.“ [2; 114]. როგორც მოგზაური აღნიშნავს აფხაზეთის ქალაქებში აფხაზები ნაკლებად ცხოვრობდნენ. რუსეთის ხელისუფლება მათ გარკვეულ შეზღუდვებს უწესებდა. დე ბაი აღნიშნავს: „აფხაზეთის ქალაქები განსაკუთრებით იმით გამოირჩევა, რომ აფხაზები აქ არ ჩანან. ამ მოსახლეობის მცირე ნაწილი ცხოვრობს, ჩვეულებრივ ცენტრებისაგან მოშორებით, ასეთია მათი გემოვნება, მაგრამ, გარდა ამისა, აფხაზებს, რომლებიც ემიგრაციაში არ წავიდნენ, აკრძალათ სოხუმში და ამ ქალაქების გარშემო რამდენიმე კილომეტრის რადიუსში ცხოვრება იმის გამო, რომ მათ უკანასკნელ ომში დაიჭირეს თურქების მხარე რუსების წინააღმდეგ, ამავე მიზეზით მათ აუკრძალეს იარაღის ტარება.“ [2; 119]. ამ ცნობაში აფხაზი ხალხის უფლებების შეზღუდვა შემთხვევითი არ არის. რუსეთის მიერ წარმოებულმა პოლიტიკამ მკვეთრად შეზღუდა როგორც აფხაზი ხალხი, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ეთნოსები. ბარონ დე ბაის გადმოცემით, აფხაზები ჩამორჩენილი ხალხი იყო. მათ დამწერლობაც არ ქონდათ.* ისინი ჩერქეზებთან სხვადასხვა ბრძოლებში მონაწილეობდნენ. ფრანგი მოგზაურის ცნობით,

ცნობები დავითოვა ასევე XIX საუკუნის 50 –იან წლებში საქართველოში ნამყოფმა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ. იგი აღწერს თბილისში არსებულ ქარვასლებს, თეატრს, თბილისის ბაზარს და სხვადასხვა ნაგებობებს. ალექსანდრე დიუმა, კავკასია, თბ., 2010 გვ. 155.

* მოლოკანების ისე, როგორც სხვა სექტანტი ე. წ. რასკოლნიკების ჩამოსახლება რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის ნაწილი იყო. ჩამოსახლებული მოლოკანები სამშობლოში(ტამბოვის გუბერნიაში) უკან დაბრუნების სურვილს გამოთქვამდნენ, თუმცა ხელისუფლება მათ უარს ეუბნებოდა. 1855 წლის 1 იანვრის მონაცემებით ამიერკავკასიაში მოლოკანების 32 სოფელი იყო. მოლოკანების უმეტესება მისდევდა მეეტლეობას, ხოლო ყველაზე ხელმოკლეები კი თავს მოჯამაგირეობით და დღიური მუშაობით ირჩენდნენ. იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, XIX-XX ს.ს. ტომი პირველი, თბ., 1949, გვ. 635–637.

* ბათუმში მცხოვრები ლაზების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ისლამის აღმსარებელი იყო. ისლამის აღსარებელი მოსახლეობა ბათუმში ცხოვრობდა XX დასაწყისში. ამის შესახებ იხ. გ. სოსიაშვილი, აბრამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 2014, გვ. 8.

* მე-8, მე-10 საუკუნეებიდან მთელ დასავლეთ საქართველოში ბერძნული ენა შეცვალა ქართულმა, რომელიც სამწერლო ენად რჩებოდა საკუთრივ აფხაზეთში მეცხრამეტე საუკუნეშიც, მაგრამ რუსული პოლიტიკის შედეგად

რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჩენის შემდეგ აფხაზი და ჩერქეზი ხალხის დიდი ნაწილი გაქრა [2; 116–117].* დე ბაი აღწერს სოხუმს. როგორც მოგზაური გადმოგვცემს, სოხუმი 1856 წლამდე თურქეთის ბატონობის ქვეშ იყო. შემდეგ კი ქალაქი რუსებმა დაიპყრეს*. თუმცა 1877–1878 წლების ომის დროს რუსებმა მიატოვეს ქალაქი, შემდეგ კი კვლავ დაიბრუნეს. სოხუმი ხანძრისგან იყო განადგურებული. დე ბაის მოგზაურობის დროს სოხუმში 10000 მაცხოვრებელი ყოფილა, უმეტესობა ქართველი (მეგრელი), ხოლო დანარჩენ მოსახლეობას შეადგენდნენ: რუსები, ბერძნები, სომხები და სხვ. [2; 120]. სოხუმიდან დე ბაიმ ჩრდილოეთით გააგრძელა გზა. გზადაგზა იგი აღწერს აფხაზეთს და აღნიშნავს, რომ „ალაგ–ალაგ ტრანსფორმატორმა რუსებმა ახლახან აიშენეს ბაღებით გარშემორტყმული აგარაკები.“ [2; 123]. აფხაზეთში მიწების ათვისება ჯერ კიდევ ვორონცოვმა დაიწყო, მან სოხუმში საცდელი ჩაის პლანტაცია გააშენა. [2; 38].* ბარონი დე ბაი აღწერს ახალი ათონის მონასტერს. როგორც მოგზაური გადმოგვცემს, ახალ ათონში მონასტერი 1876 წელს ათონის მონასტრიდან წამოსულმა რუსმა ბერებმა დააარსეს. ამის ინიციატორი იყო არქიმანდრიტი იერონი, რომელიც შემდეგში ახალი ათონის მონასტრის წინამძღვარი გახდა. სწორედ იერონს მოუყოლია დე ბაისთვის მონასტრის ისტორია. ახალი ათონის მონასტერი როგორც მოგზაური განმარტავს ათონის მონასტრის მსგავსად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა [2; 123]. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში მეფის მთავრობამ სოლიდური მიწები გამოუყო ეკლესია–მონასტრებს, სადაც ნავარაუდევო იყო წირვა–ლოცვის რუსულ ენაზე შემოღება. ხელისუფლებამ ახალი ათონის სიმონ კანანელის სახ. მონასტერს 3278 დესეტინა მიწა გამოუყო, ხოლო დრანდას ეკლესიას 300 დესეტინა.* რუსეთ–თურქეთის ომმა, ფრანგი მოგზაურის თქმით, შეაფერხა ამ მხარის ათვისება, თუმცა 1881 წელს ბერები კვლავ დაუბრუნდნენ ახალი ათონის მონასტერს და 1888 წელს ალექსანდრე

გენერალმა პ. უსლარმა კირილიცის საფუძველზე 1862 წელს აფხაზური ანბანი შეიმუშავა. 1892 წელს ამ ანბანის მოუხერხებლობის გამო კ. მაჭავარიანმა და დ. გულიამ სცადეს „აფხაზური ანბანის“ გამარტივება, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდეგ ნ. მარის მეშვეობით შემუშავდა ახალი ანბანი ლათინურის საფუძველზე, თუმცა პრაქტიკაში ვერც ეს ანბანი დამკვიდრდა. 1938 წელს დ. გულიას, ა. შანიძის და ს. ჯანაშიას მეთაურობით ქართული ასოების საფუძველზე შეიქმნა აფხაზური ანბანი, რომელიც 1954 წელს ისევ ჩაანაცვლეს რუსულ ასოებზე შექმნილი ანბანით. იხ. გ. გასვიანი, აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998, გვ. 232.

* აღსანიშნავია, რომ მეცხრამეტე საუკუნის 50–60–იან წლებში რუსეთმა აქტიურად აწარმოა კავკასიის ომი, რაც მძიმე შედეგებით დამთავრდა კავკასიელი ხალხებისთვის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ერები. 1864 წელს თანამედროვე კრასნაია პოლიანას მიდამოებში რუსებმა საბოლოოდ დაამარცხეს ადგილობრივი აფხაზურ–ადიღური თემები და საზეიმოდ გამოაცხადეს კავკასიის ომის დასრულება. იხ. ზ. პაპასკირი, კავკასიაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი, კავკასიური ომი XIX საუკუნეში და მისი შედეგები, მარი ბროსე–210, თბ., 2012, გვ. 127. რუსეთის ხელისუფლებამ მშობლიური მიწა–წყლიდან აკყარა ათობით ათასი ჩერქეზი, რომლებიც მუჰაჯირებად წავიდნენ ოსმალეთში. 1856–1865 წლებში იმჟამინდელი რუსული ოფიციალური მონაცემებით ოსმალეთში გადასახლდა 493194 ადამიანი. კავკასიაში მხოლოდ ჩერქეზების 5% დარჩა. იქვე, გვ. 128. რაც შეეხება აფხაზებს. რუსული ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო აფხაზები არანაკლებ მძიმე დღეში აღმოჩნდნენ. XIX საუკუნის 60 –იან წლებში თურქეთში 20 ათასამდე აფხაზი გადასახლდა. მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა მომდევნო წლებში. თურქული ძალები მუდმივად აღვივებდნენ აფხაზ ხალხში ანტირუსულ განწყობას. 1877 წელს აფხაზებმა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აჯანყება მოაწყვეს. თურქეთს აფხაზების დიდმა ნაწილმა შეაფარა თავი. ხოლო ნაწილი უკან მობრუნდა. 1880 წლის 31 მაისს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილი აფხაზები „დამნაშავე მოსახლეობად“ გამოცხადდა. იქვე, გვ. 131. თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა მიწაზე რუსეთის ხელისუფლების მიერ ექვსი დასახლებული პუნქტი შეიქმნა: მიხაილოვსკოე, ოლგინსკოე, ალექსანდრევსკოე, ანასტასიევსკოე, ნიკოლაევსკოე და გიორგევსკოე. გ. გასვიანი, აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998, გვ. 192. მეფის ხელისუფლებამ აფხაზეთში სამარიდან და ყირიმიდან ესტონელთა გადმოსახლება დაიწყო. სოხუმის მახლობლად ესტონელთა სოფლები გაჩნდა. იქვე, გვ. 194.

* მოგზაური იყენებს სიტყვას „დაპყრობა“.

* „ტრანსფორმატორი“ რუსები არა ამარტო აფხაზეთის ტერიტორიის ტრანსფორმაციას ახდენდნენ, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებსაც ითვისებდნენ. რუსეთმა მემამულეებმა სოლოვცოვმა და პოპოვმა, დე ბაის ცნობის მიხედვით, რამდენიმე ათეული დესეტინა ჩაის პლანტაცია გააშენეს გურიაში. [2; 39]. დიდვაჭარი პოპოვი ტიხომოროვთან ერთად აჭარაში 300 ჰექტარ მიწას ფლობდა. ნ. ლიპარტელიანი, მ. ჯოლობორდი, ქართველი და უცხოელი მეწარმეები და მათი საქმიანობა საქართველოში XIX ს. XX ს.–ის I ოცწლეული, თბ., 2009, გვ. 175–176.

* აღნიშნული ტაძარი, როგორც დიდი ისტორიული ღირებულების მქონე ძეგლი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეკლესიის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის დროს, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იქნა მოქცეული. იხ. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 213.

მესამის კავკასიაში მოგზაურობის დროს მონასტერში მყოფმა ბერებმა აქ შენობების აგება დაიწყეს.* დე ბაის მოგზაურობის დროს ახალ ათონში 700 ბერი ყოფილა. ახალ ათონს დე ბაი კავკასიის ერთ-ერთ „თანამედროვე დიდებას“ უწოდებს და მის არსებობას რუსეთის დამსახურებად მიიჩნევს [2; 123–124]. აფხაზეთში ყოფნის დროს დე ბაის გაგრაც მოუნახულებია. გაგრას იგი აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვრად მიიჩნევს. რუსეთს აქ თავისი გარნიზონი ჰყოლია, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს გაუყვანია.* აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის მიერ დაწყებულ აღმშენებლობით პროცესს ბარონი დე ბაი მუქ ფერებში გვიხატავს. აფხაზეთს იგი რუსეთის მცირე ნაწილს უწოდებს: „აფხაზეთი მისი სულ მცირე ნაწილია მხოლოდ და აქაც, ისევე როგორც სხვაგან, იგი უდიდეს საქმეებს აკეთებს. აფხაზეთი შორსაა რუსეთის შუაგულიდან, მაგრამ იგი მაინც ახერხებს აქაც, თავისი ღვაწლით, ცივილიზაციისა და პროგრესის დანერგვას.“ [2; 136–137]. მოგზაურის ცნობით, სწორედ რუსეთის დამსახურება იყო არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ მთელი შავიზღვისპირეთის განვითარება: „რუსეთის გამო მთლიანად ეს ზღვისპირა მხარე ეზიარა ცივილიზაციას და პროგრესს.“ [2; 133]. დე ბაი მოხიბლულია რუსეთის პოლიტიკით. იმ პროცესების ორგანიზებით, რასაც რუსეთის იმპერია დიდი მანძილით დაშორებულ მხარეებში ეწეოდა: „ამ უდიდესი იმპერიის გეოგრაფიული რუკის წინაშე მდგომი, ეკითხები საკუთარ თავს, ცენტრიდან ასეთ შორეულ საზღვრამდე როგორ შეუძლია გამოსხივება ამ სასიცოცხლო ძალას, რომელიც ექსპანსიის გენიაა. როგორ შეუძლია მას ამდენ წერტილში, ამდენ სხვადასხვა კლიმატურ პირობებში, ამდენ სხვადასხვა ხალხთა გარემოცვაში, გააგრძელოს თავისი ზეგავლენა გარემოსთან შესაბამისი დაწესებულებების მეშვეობით, რომლებსაც, ამავე დროს, შენარჩუნებული აქვთ ადგილობრივი ხასიათი.“* რუსული ცივილიზაციის ეს დაპატრონება ჩრდილოეთიდან სამხრეთ ზონამდე, დასავლეთის საზღვრებიდან შორეულ აღმოსავლეთამდე, ვერ შეაჩერა, ვერც უზარმაზარმა მანძილმა და ვერც ურიცხვმა დაბრკოლებამ. რუსი ყოველნაირ ჰავას იტანს და უცხოდა თავს არსად გრძნობს. და აი, გაცხოველებულ სამრეწველო და სავაჭრო განვითარების დროს, გზების, სკოლების, საავადმყოფოების, ყოველნაირი დაწესებულების აქტიური შექმნის პერიოდში, შეუწელებელ გაუმჯობესებაში იმისა, რაც არსებობს, სრული ეროვნული ექსპანსიის, თავისი ძალის სრული გამოვლინების დროს, დიდ რუსეთს მოვლენებმა ომი მოახვიეს თავს. პასუხისმგებლობამ მისი ქვეშევრდომებისა და ევროპის წინაშე უკარნახა მშვიდობისმოყვარე მბრძანებელს ყველა ღონე ეხმარა, რათა ეს უბედურება აეცილებინა. ევროპა დღეს შეწუხებულია, მაგრამ ხვალ, ისტორიის დაწერისას, იგი გაამართლებს იმ კეთილშობილურ მცდელობას, რომელიც დაიხარჯა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მცდელობას, რომელსაც ზარბაზნის სროლით უპასუხეს. რუსეთის ერთ-ერთი ხასიათი, ერთ-ერთი ძალა მომავლის რწმენაა; და ეს ძლიერი, მხსნელი რწმენა ჩვენ მასთან ერთად უნდა გავიზიაროთ. მეგობრობამ არა მხოლოდ მონაწილეობა უნდა მიგვაღებინოს ამ განსაცდელში, არამედ იკავშალოს იქ და დასავლეთიდან შორეულ აღმოსავლეთამდე მიიტანოს ეს ფრანგულ - რუსული სიტყვა: იმედი.“ [2; 137]. ფრანგი მოგზაურის – ბარონ დე ბაის ცნობები რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პოლიტიკის შესახებ ხშირ შემთხვევაში არაობიექტურ ინფორმაციას შეიცავს. იგი რუსული ინტელიგენციის შეხედულებებს იზიარებდა და რუსეთში მცირე ერების მხსნელს ხედავდა. ამიტომ მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია სხვა წყაროებთან შეჯერებას და კრიტიკულ შესწავლას საჭიროებს, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობების უაღრესად რთული პერიპეტიების დადგენაში გვეხმარება.

ლიტერატურა:

1. ალექსანდრე დიუმა, კავკასია, თბ., 2010.

* იმპერატორმა ახალ ათონის სამონასტრო კომპლექსში წმ. სიმონ კანანელის სახ. ეკლესია მოინახულა და ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსში წმ. პანტელეიმონის სახ. ტაძრის ასაშენებლად 5 ათასი (ვერცხლით) მანეთი გაიღო[3; 197].

* აღსანიშნავია, რომ როდესაც ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა გაგრას აღწერდა, აღნიშნავდა, რომ გაგრასში აუცილებელი იყო ციხესიმაგრის აგება, რომელიც რუსეთს კავკასიის ხალხების მორჩილებაში მოყვანას გაუადვილებდა. იხ. Giorgi Sosiashvili, French Traveller Jacques Francois Gamba on Russia-Georgia relations in the ist quarter of the XIX century, Humanities and Social Sciences Review, cd-Rom. Issn: 2165::1(3): 105-111(2012), p. 105;

* ბარონ დე ბაისაგან განსხვავებით, რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაზე განსხვავებული შეხედულება ჰქონდა ავსტრიელ მოგზაურს იდა შვაიფერს, რომელიც კავკასიას XIX საუკუნის პირველ ნახევარში სტუმრობდა. იგი წერდა: „საქართველო უკვე ორმოცდაათი წელია რუსეთის ბატონობის ქვეშ არის და მხოლოდ ცოტა ხნის წინ დაიწყეს აქა-იქ გზების მშენებლობა. თუკი ორმოცდაათი წლის შემდეგ აქ კვლავ მოვალთ, ან მზად დაგვხვდება, ან სულაც დანგრეულ-განადგურებული იქნება. . . რამხელა განსხვავებაა რუსეთისა და ინგლისის კოლონიზაციის შორის!“ იდა შვაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, თბ., 2013, გვ. 46–47.

2. ბარონი დე ბაი საქართველოში, ფრანგულიდან თარგმნა შესავალი და კომენტარები დაურთო ლეილა მაღრაძემ, თბ., 2011.
3. გასვიანი გ., აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზეთი, თბ., 1998.
4. გოზალიშვილი შ., ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები, თბ., 1973.
5. გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, XIX-XX სს. ტომი პირველი, თბ., 1949.
6. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005.
7. იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, ქართული თარგმანი გერმანულ ტექსტთან ერთად გამოსცა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გ. სოსიაშვილმა, თბ., 2013.
8. ლიპარტელიანი ნ., ჯოლბორდი მ., ქართველი და უცხოელი მეწარმეები და მათი საქმიანობა საქართველოში XIX ს. XX ს.–ის I ოცწლეული, თბ., 2009.
9. მორიცი ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.
10. პაპასქირი ზ., კავკასიაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი, კავკასიური ომი XIX საუკუნეში და მისი შედეგები, მარი ბროსე–210, თბ., 2012.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970.
12. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013.
13. სოსიაშვილი გ., აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №3, 2013.
14. სოსიაშვილი გ., აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 2014 (ხელნაწერი).
15. ქართული დიპლომატია (ქრესტომათია), თბ., 2005.
16. ჯავახიშვილი ნ., საქართველო და სხვა ქვეყნები რუსეთის იმპერატორთა ტიტულატურაში და მათი ჰერალდიკური სიმბოლიკა იმპერიის სახელმწიფო გერბში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 2012.
17. ჯავახიშვილი ნ., გრუზინი პოდ როსიისკიმ ფლაგომ, ტბ., 2003.
18. Sosiashvili G., French Traveller Jacques Francois Gamba on Russia-Georgia relations in the 1st quarter of the XIX century, Humanities and Social Sciences Review, cd-Rom. Issn: 2165::1(3): 105-111(2012).
19. Sosiashvili G., New vision of the critical analysis of the Russia-Georgia Relations according to german traveller Johan Anton Guldenstadt (1775-1777), Humanities and Social Sciences Review, cd-Rom. Issn: 2156-6992::2(4): 171-176(2012).
20. TRAVELS-Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia, During the ears 1817, 1818, 1819, and 1820, By Sir Robert Ker Porter, Vol. I London, 1821.
21. Robert LYALL, Travels in Russia, the Krimea, the Caucasus, and Georgia, London, 1825.

RUSSIAN-GEORGIAN RELATIONS AT THE END OF XIX TH AND AT THE BEGINNING OF THE XX CENTURIES AS FOR ACCORDING TO THE INFORMATION OF FRENCH TRAVELLER BARON DE BAI

Giorgi Sosiashvili, Gori State Teaching University, Professor

RESUME

Among the European travelers who left interesting information about Russian –Georgian relations, is a French archaeologist and public man Amur Ogiust Lui Jozefph Bertelo Baron de Bai, who travelled in Georgia several times at the end of the XIX and at the beginning of the XX centuries. He intended to study the Caucasus and the history of Georgia. He read the accounts of his scientific expeditions in the form of reports at first in the geographers' society in Paris. At first De Bai arrived in Georgia in October 1897. He had a special mission from the Ministry of the People's Education of France to conduct historical-archaeological and ethnographical researches in the Caucasus. After his returning back to France, the traveler wrote the book: "In Georgia". Baron de Bai described his second travelling in Georgia in the book: "To the South of the Caucasian Ringe". The French traveler published the next book dedicated to our country "Tiplisi" in 1900. His recordings includes important information about social-economical, political and cultural lives of Georgia during the end of the XIX century. Significant information is protected about the architectural monuments existed in different towns, villages and parts of Georgia. The traveler described clothes, domestic rules and traditions of the Georgian people in details in his proceedings. He describes the life of aristocrats and the people

belonging to low social levels as well. The details characteristic for their lives are described there. These proceedings give us very important facts about the Georgian-Russian relations during the end of the XIX and the beginning of the XX centuries. His information is not real in many cases and this happened specially as the scientist was accompanied by the Russian graph Sergei Sheremetievi while travelling in Georgia. Thus, the influence of the Russian informant is quite clear on the items related to Russian-Georgian relations. Though, we come across lots of important information in the books of the French traveler and their critical analyses and studying reveal many interesting items which helps us in setting rather difficult questions existed between the relations of two countries.

„ოქროს ხანის“ ქართველ მემკვიდრეთა წიგნიერებისა და მსოფლმხედველობის შესწავლისათვის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მაგალითზე)

მამუკა ჯობლობორდი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი
E-mail: jolbordimamuka@gmail.com

„ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებს შორის თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. როგორც ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, „ისტორიანი და აზმანი“ საზოგადოდ შინაარსიანი თხზულებაა: ამ მხრივ იგი არც ერთს სხვა საუკეთესო ქართულ საისტორიო ძეგლს არ ჩამოუვარდება. ამასთანავე იგი დიდი ნდობის ღირსიც არის და ამის გამო ისტორიისათვის ძვირფას წყაროდ უნდა ჩათვალოს. (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. VIII, წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977, გვ. 224)

რაც შეეხება თხზულების დაწერის თარიღს და მისი ავტორის (თუ ავტორთა) ვინაობის საკითხს, ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა [ამ საკითხების შესახებ ვრცლად იხილეთ: ი. ანთელავა, XI-XIV სს., ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988, გვ. 55-62; თ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში (თამარის ისტორიკოსები), მაცნე, ისტორიის სერია, №3, 1974, გვ. 102-103], თუმცა წარჩინებული პიროვნება ყოფილა, რისი დამადასტურებელიცაა ის ფაქტი, რომ იგი მონაწილეობდა თამარ მეფის პირველი ქმრის შერჩევის მიზნით მოწვეულ დარბაზის სხდომაზე. ამასთან ქვეყნის იმდროინდელი მონარქის შინაცხოვრების რიგი დეტალების არცოდნა იმის მიმანიშნებელია, რომ მას სამეფო კარზე არანაირი თანამდებობა არ ეკავა. მკვლევართა შორის არ არის თანხმობა იმის შესახებაც, სასულიერო პირი იყო მატაიანის ავტორი, თუ საერო. ივ. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნით, „ერთსა და იმავე დროს მას შეთვისებული აქვს საწარმართოცა და საქრისტიანო მწერლობა და აზროვნებაც ისე, რომ მკვლევარი ვერ გაიგებს რა ხელობისა, ან რა საქმის კაცი იყო იგი? (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 229). ამასთან მემკვიდრის მიერ რიგი ფაქტების მკაფიოდ რელიგიური თხრობის მიუხედავად, ზოგჯერ იგი ისეთ მკრეხელურ და კადნიერ დამოკიდებულებას ამჟღავნებს სარწმუნოების მიმართ, რომ ქართველი ქრონიკის სოციალური იერარქიის საკითხი კიდევ უფრო მეტად ბუნდოვანი ხდება. ამასთან თხზულება ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში მეტად თავისებური სტილის ნაწარმოებად გვევლინება. ავტორის მიერ ნახმარი ტერმინები ხშირად უცხოური წარმოშობისაა და ქართულ ლიტერატურაში მისი მემკვიდრით შემოდის (სტეფანაძე ჯ., „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 1971, გვ. 148)

ივ. ჯავახიშვილი მაინც უფრო იქით იხრება, რომ მემკვიდრე საერო პირი, უფრო კონკრეტულად კი სამხედრო პიროვნება უნდა ყოფილიყო, თედო ჟორდანიას ვარაუდით კი მატაიანე დაწერილია სასულიერო პირის - ჯვარმტვირთველი ჭყონდიდელის - ანტონ გლონისთავის ძის მიერ (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, 1892, გვ. I). არსებობს სხვა მოსაზრებანიც თხზულების სავარაუდო ავტორების შესახებ (სარგის თმოგველი, მანდატურთუხუცესი ჭიბერი, არსენი იშხნელი, შოთა რუსთაველი).

როგორც ცნობილია, ბერძნული ტერმინი ისტორია ქართულ საისტორიო მწერლობაში სწორედ მან დაამკვიდრა. ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორად არის შენიშნული, რომ „აზმანი“ არაბული სიტყვაა. „ისტორია“-სავით იგიც მრავლობით რიცხვად არის ნახმარი და უდრის არაბულს „აზმანუნ“-ს, რომლის მხოლოდითი რიცხვი ითქმის „ზემანუნ“-ად და ჰნიშნავს „დროს“, „ხანას“. ეს ორი ბერძნულ-არაბული ტერმინი საუცხოვოდ გვისურათებს ჩვენი ისტორიკოსის აზროვნებისა და განათლების ორგვარ ხასიათს. მას შეთვისებული ჰქონდა ორი კულტურა: ბერძნული, ბიზანტიურ-ელენური, ქრისტიანული და

არაბულ-სპარსული, მაჰმადიანური (ივ. ჯავახიშვილი, გვ. 222). ქართველი მემატთანე შესანიშნავად იცნობს ელინურ მწერლობას. ერთ-ერთი ბრძოლის წინ ქართველი მეფე ბერძენი მხედართმთავრის მსგავსად ამხნევეს ქართველ ჯარს და ძველი ბერძნების სახელოვანი ისტორიის მაგალითებს მოიხმობს: „რამეთუ გვესმიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს იხსნეს საღთოთა სჯულთათვის, ტომმან ებზრაელმან არტაქსერქსის ზე, ელენთა-ოდეს იგი იძღვებოდის თ[ემისტო]კლეოს მიერ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 383) ქართველი მემატთანე კარგად იცნობს ბერძნული მწერლობის ისეთ ცნობილ წარმომადგენლებს როგორებიცაა ჰომეროსი, პლუტარქე, იოსებ ფლავიუსი. ეს ნათლად ჩანს თხზულების მრავალ ადგილას - ჰომეროსის შესახებ ქართველი ისტორიკოსი წერს: „შემსხმელად ვამს ომიროს მერაბამე იგი“ (ქართულ ისტორიოგრაფიაში ტერმინ „მერაბამე“-ს მნიშვნელობა ბოლომდე გარკვეული არ არის). ჰომეროსის პოემის გმირს აქილევსს კი იმდენად ხშირად ახსენებს, რომ საფიქრებელია, განათლებული ქართველი საზოგადოება იცნობდა ჰომეროსის შემოქმედებას.

დასავლურ-აღმოსავლური ცოდნის ელემენტები ნათლად იკვეთება მემატთანის მიერ ქართველი მონარქის ტიტულატურის მოხსენიებისასაც: პანკრატონიანი, გორგასლიანი, დავითიანი, სოლომონიანი, ავლუსტიანი, აფროდიტიანი, აპოლონიანი, ხუასროიანი, სულტანი და სხვ. (ვ. კეკელიძე, ტ. II, გვ. 267).

ავტორი რომ კარგად იცნობს ელინურ და ირანულ მითოლოგიას, ისტორიასა და მწერლობას ჩანს გიორგი III-ის დახასიათებისასაც: „მზე მნათობთა შორის, ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის, აქილევ, სამსონ და ნებროთ გმირთა შორის, სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის („ქართლის ცხოვრება“, გვ. 379) მემატთანე ასევე ახსენებს სხვა ცნობილ მითოლოგიურ და ბიბლიურ პერსონაჟებს: არტემიდას, კენტავრს, კრონოსს, ზევსს, აპოლონს, არესს, პენელოპეს, მოსეს, დავითს, სოლომონს, ნებროთს, დანიელს და სხვ. (ქ. ცხ., I, გვ. 403)

უდავო ფაქტია, ქართველი მემატთანე უხვად იყენებდა როგორც ქართული და უცხოური მატთანეების, ისე აგიოგრაფიული და საერო ხასიათის მხატვრული ლიტერატურის მონაცემებს. ანტიკური სამყაროს ისტორიიდან მოხმობილ მრავალ პერსონაჟს შორის ქართულ მატთანეში მოხსენიებულია ძველ მსოფლიოში განთქმული შეყვარებული წყვილები. მათ შორის, ქართველი ქრონისტი ჩამოთვლის ბერძნული მითოლოგიის ისეთ ცნობილ წყვილებს, როგორებიცაა პელოპი და ჰიპოდამია და პლატონი და პერსეფონე (ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.105).

ძალზე მნიშვნელოვანია „ისტორიასა და აზმანში“ როგორც გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსების თაღეს მიღებულის, პლატონისა და არისტოტელეს, ასევე ნაკლებად ცნობილი ძვ. წ. VI-ს-ის ბერძენი ხუროთმოძღვრების პითოდორასა და კრიტიას მოხსენიება. ეს უკანასკნელი პლატონის „დიალოგებშია“ ნახსენები, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ქართული წყაროს მონაცემები პლატონის ნაშრომებიდანაა. ზოგიერთ მათგანს ის იხსენებს საკუთარ თხზულებაშიც: „ბრძენ და პლუტარქეს გონიერ კაცთ“, „იოვანე ჭიმჭელის „შესხმა-მოთხრობას“, ჩახრუხადისა და შავთელის „შესხმებს, საეკლესიო მწერლებს ესაიას, დავითს, სოლომონს, ბასილი კესარიელს, იოსებ ფლავიუსს, „ივლიანეს რომანს“, ინდური იგავ-არაკების კრებულს „ქილილას და დამანას“ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ და ვიღაც „ლაკუას“ (ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, შესაძლოა „ლაკუას“ მაგივრად დედანში „გლუკა“ ეწერა და ქართველი მემატთანე XII საუკუნის ცნობილი ქრონისტის მიხედვით გლუკასის „ბიბლოს ხრონიკეს“ იყენებდა). ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, თხზულებაში ნახსენები სიტყვს-მოქმედნი, „ლოგოპოიოს“ ქართული თარგმანი უნდა იყოს და მასში „ლოგოგრაფოსი“ ანუ ჰეროდოტეს წინამორბედი ისტორიკოსები უნდა იგულისხმებოდეს (ივ. ჯავახიშვილი., დასახ. ნაშრ., გვ. 235).

სხვა მკვლევართა მოსაზრებითაც, ქართული მატთანის ძირითადი პირველწყაროებია იოსებ ფლავიუსის თხზულება, გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფია“, ფილოსოფოსების იოანე პეტრიწისა და იოანე ჭიმჭიმელის შრომები.

ბერძნულ-ელინისტური სამყაროს ისტორიიდან, ბუნებრივია, ქართველი მემატთანე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ალექსანდრე მაკედონელს, კერძოდ კი პორეს ეპიზოდს, რომელიც მოხდა ძვ. წ. 326 წ. მაისში და შესულია ალექსანდრეს ყველა ბიოგრაფიაში. (ამ წელს ჰიდასპეს ბრძოლაში მაკედონელმა დაამარცხა პენჯაბის (ძვ. პურავას) მეფე პორუსი). სავარაუდოა, რომ მემატთანე ქართული და ამ ენაზე თარგმნილი წყაროებით სარგებლობის პარალელურად, იყენებდა უცხოურ ენებზე არსებულ მისთვის საინტერესო ცნობებსაც. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ქართველი მემატთანის მიერ ალექსანდრე მაკედონელი მისი თხზულების ზოგიერთ ხელნაწერში „სქანდერ“- „ისქანდერის“ ფორმით არის მოხსენიებული და დასძენს „თუ ეს სიტყვა გადამწერისაგან დამახინჯებული არ არის და თვით ისტორიკოსსაც სწორედ ასე დაუწერია, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს თხზულება ან არაბულად, ან სპარსულად ჰქონია წაკითხული. თუმცა უეჭველია მაშინ ამ თხზულების ქართული თარგმანიც იქნებოდა (ივ. ჯავახიშვილი, გვ. 234).

კ. კეკელიძის აზრით, ქართველ ქრონისტს მხედველობაში აქვს ნიზამი განჯელის „ისქანდერ ნამე“, ხოლო პ. ინგოროყვა კი თვლის, რომ ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ცნობების პირველწყარო „ალექსანდრიანის“ ირანულ-არაბული ვერსიაა.

როგორც კ. კეკელიძე თვლიდა, ქართველი მემატიანის ცნობები მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფიას, ხოლო ვარსკვლავთმრიცხველობისა და ზოროასტრიზმის საკითხებზე მსჯელობისას აშკარაა აპოკრიფ „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქვეყანისა და ადამისათვის“ (იგივე „ნებროთის წიგნი“) კვალი. რა თქმა უნდა, ისევე როგორც მთელი შუა საუკუნეების ქართული საისტორიო და მხატვრული ლიტერატურისათვის, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორისათვისაც საეკლესიო მწერლობიდან ყველაზე ავტორიტეტული ძეგლი და ახალი აღთქმის წიგნებია. ამასთან იგი იყენებს ბასილი დიდის „ექუსთა დღეთათვის“ გიორგი მთაწმინდისეულ თარგმანს, კირილე იერუსალიმელის თხზულებას კონსტანტი კეისრისადმი ჯვრის გამოცხადების შესახებ. ქართველი მემატიანისათვის მნიშვნელოვანია ქართული საისტორიო და სასულიერო მწერლობა: დავითის ისტორიკოსი, ჰიმნოგრაფიული კრებული „იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად“, შავთელისა და ჩახრუხადის პოემები (კ. კეკელიძე, გვ. 273-275).

რ. კიკნაძის დასკვნით, თამარის ხელის სათხოვნად ჩასული უფლისწულის მუზაფარ ად-დინის ტექსტში დამახინჯებული ფორმით, „მუტაფრადინად“ მოხსენიება „შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ არაბული გრაფიკის ნიადაგზე და, ჩანს, ავტორს ეს სახელი რომელიღაც აღმოსავლურ წყაროში ამოუკითხავს“ (რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი და შარავანდედთანი“, გვ. 42 შენ. 31, თბ., 1975).

თხზულების შესწავლა ადასტურებს, რომ მემატიანეს ეპოქის შესაბამისი ფართო განათლება და ქვეყნის ისტორიული განვითარებისა და მოწყობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა და პრინციპები გააჩნდა. იგი პროვიდენციალიზმის პოზიციასზე დგას და მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ქვეყნებისა და ადამიანების ცხოვრება ღმერთის ნებაზეა დამოკიდებული. მისი მტკიცე რწმენით, განგება „სწურთიდა“ ერს და დიდი გადაცდომების შემთხვევაში ერი აუცილებლად დაისჯებოდა. ადამიანი მემკვიდრეობით იღებს წინაპართა ფიზიკურ და სულიერ ღირსებებსა და ნაკლოვანებებს და ამ აზრის დასასაბუთებლად ბიბლიურ აფორიზმებს ხშირად მიმართავს. მაგალითად, „ვითარცა საცნაურ არს ხე ნაყოფისაგან და ნაყოფი ხისაგან“ (ქართლის ცხოვრება I, გვ. 378).

რაც შეეხება სახელმწიფოს პოლიტიკურ მოწყობას, იგი ნამდვილი პატრიოტია თავისი ქვეყნისა. ამასთან აბსოლუტური მონარქიის მომხრეა, რადგან, მისი შეხედულებით, მრავალმთავრობას არეულობა სდევს თან, ამიტომ ყუთლუ-არსლანის იდეის მკაცრი მოწინააღმდეგეა და მეფის საწინააღმდეგო მოქმედება მას უღირსს საქმედ მიაჩნია. მემატიანე აღფრთოვანებულია თამარ მეფის მმართველობით და საქართველოში გამეფებული წესრიგით. მას ძალზე ახარებს ქვეყანაში სიკვდილით დასჯისა და სხვა დამამცირებელი სასჯელების აღკვეთა და მოხიბლულია მეფე-ქალის მშვიდი და სათნო ხასიათით.

ვფიქრობთ, ქართველი მემატიანის განსწავლულობა და მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია მნიშვნელოვანწილად ეფუძნებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართულ სავანეებში მოღვაწე ქართველი მწიგნობრების შრომებს და მსოფლმხედველობას.¹

ლიტერატურა:

1. ანთელავა ი., XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988.
2. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1980.
3. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ. 1981.
4. კიკნაძე რ., ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975.
5. ჟორდანიას თ., ქრონიკები, I, 1892.
6. სტეფნაძე ჯ., „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ერთი ადგილის განმარტებისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971.

¹ როგორც ცნობილია, XI-XII საუკუნეებში ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების გააქტიურების პარალელურად, ძლიერდება ქართველი წარჩინებული საზოგადოების ლტოლვა ბიზანტიაში განათლების მისაღებად. უკვე XI ს-ის დამდეგს ქართველი ვაჩე კირიჭისძის ოჯახმა, რომელიც გადასახლდა ბიზანტიაში, მოგვცა ეფრემ მცირე, რომელმაც სწორედ ბიზანტიაში მიიღო სათანადო განათლება (კ. კეკელიძე, I ტ., გვ. 82). გიორგი მთაწმინდელმა 80 ახალგაზრდა წაიყვანა ბიზანტიაში, ვარდან დიდის ცნობით, დავით აღმაშენებელმა 40 ყმაწვილი გაგზავნა ბიზანტიაში. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს პროცესი კონსტანტინე მონომახის მიერ 1044-1047 წწ. დაარსებული ე.წ. მანგანის აკადემიის დაარსების შემდეგ (აქ მიიღეს განათლება არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიწმა). 1083 წ. გრიგოლ ბაკურიანისძემ დაარსა პეტრიწის მონასტრთან სემინარია და სხვ.

7. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი, თბ., 2008.
8. ყაუხჩიშვილი თ., ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში (თამარის ისტორიკოსები), მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, 1974.
9. ჯავახიშვილი ივ., თხზ. თორმეტ ტომად, ტ. VIII, წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977.

**FOR STUDYING OF WORLD OUTLOOK AND LITERACY OF GEORGIAN
CHRONOGRAPHERS OF “GOLDEN AGE” (ACCORDING TO “HISTORY AND AZMANI
SHARAVANDEDTANI”)**

Mamuka Jolbordi, Gori State Teaching University, Professor

RESUME

Different aspects of literacy and world outlook of the author of history work of “Golden Age” - “History and Azmani Sharavandedtani” are studied in the paper. There is expressed an opinion, which says, that Tamar’s historian was quite educated statesman with clear outlook of the world.

ფოტოგალერეა კონფერენციიდან
Photogallery from the conference





